

# ჩარლზ დიკენსი

## დავით კოპერფილდი

### თავი პირველი

#### დაბადება

მე ვიქნები გმირი ჩემივე საკუთარი თავგადასავლისა თუ სხვა, ამას მკითხველი შემდეგი ფურცლებიდან დაინახავს.

თუ ჩემი ცხოვრების ამბავს სიცოცხლის დასაბამიდან დავიწყებ, უნდა მოგახსენოთ, რომ დავიბადე პარასკევს, სწორედ ღამის თორმეტ საათზე. ამ ღირშესანიშნავი შემთხვევის დამსწრეებმა შენიშნეს და ცნობად მიიღეს ის გარემოება, რომ საათის შუაღამის რეკვა და ახალდაბადებულის პირველი ტირილი ერთსა და იმავე წუთში მოხდა.

ამ დამსწრეთა შორის იყვნენ: გადია, ბებიასული და ზოგიერთი სხვა გონიერი დედაკაცი, რომელნიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ ჩემს ბედში ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე, სანამ მათი პირადი გაცნობის ფიზიკური საშუალება მომეცა.

ყველა ამ პირმა, მიიღო რა მხედველობაში დღე და საათი ჩემი დაბადებისა, ერთსულავნად და ერთხმად გამოაცხადა, რომ, ჯერ ერთი, – მე უბედური ვიქნები ჩემს სიცოცხლეში, და მეორეც – ისა, რომ მოჩვენებათა და სულების ნახვა მიწერია. იმათი შეხედულებით, ბედი აუცილებლად ორივე ამ უპირატესობით იმ ბავშვებს აჯილდოებს, რომელნიც კვირის მეხუთე დღის შუაღამეს იბადებიან.

ამ წინასწარმეტყველების პირველი დებულების შესახებ აქ არა ღირს ბევრი ლაპარაკი: ჩემი ცხოვრების ამბიდან თავისთავად გამოირკვევა, რამდენად უბედური ან ბედნიერი ვიყავი. წინასწარმეტყველების მეორე დებულება სულებისა და მოჩვენებათა ნახვის შესახებ, რამდენადაც მახსოვს, აქამდის ჯერ არ გამართლებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიყრმის პირველ დღეებს, რომელნიც სრულებით წარიშალნენ ჩემს მეხსიერებაში. მაგრამ მე არ ვემდური ბედს, თუ მან სრულებით მომისპო ეს უპირატესობა. არ ვემდური იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმე ძალით წამართმევს მას.

მე დავიბადე „პერანგიანი“, რომლის შესახებ რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ იგი სულ იაფად, თხუთმედ გინეად იყიდება. მაგრამ, როგორცა ჩანს, იმ დროს მეზღვაურები ან უფულოდ იყვნენ, ან კორპის ტანისამოსი ამჯობინეს; ასე იყო თუ ისე, არც ერთი მეზღვაური არ გამოეხმაურა ამ განცხადებას არც სიტყვით, არც საქმით. ათი წლის შემდეგ ჩვენს უბანში გადაწყდა ამ „პერანგის“ ბედი. იგი გაათამაშეს ლატარეაში, ორმოცდაათ წევრს შორის, ნახევარ კრონად თითო სულზე, ხოლო მომგებს უნდა დაემატებინა ხუთი შილინგი ნაღდი. მე თვითონ დავესწარი ამ ცერემონიას და ძალიან კარგად მახსოვს უხერხულობა, რომელსაც ვგრძნობდი იმ ღედისა და ჯენტლმენების შემყურე, რომელთაც, ასე ვთქვათ, ჩემი სხეულის ნაწილი გაათამაშეს. მომგებიანი ბილეთი ერგო ერთ მოხუც ღედის, რომელსაც ხელში ეჭირა პატარა ჩანთა, საიდანაც იძულებული იყო, მეტისმეტად უხალისოდ ამოეღო დათქმული ხუთი შილინგი – სულ ხურდა ფული. დიდხანს თვალი მოხუცმა თავისი ნახევარპენსიანები – საჭირო თანხის შესადგენად, და მაინც დააკლო ორი პენსი, თუმცა ყველა დამსწრენი ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ მისთვის მათემატიკური გამოანგარიშებით, რომ იგი ცდებოდა. ჩვენი პროვინციის ყველა ძველ მცხოვრებს ძალიან კარგად ახსოვს, და უეჭველია, კიდევ დიდხანს ეხსომება, რომ ჩემი „პერანგის“ ბედნიერი მფლობელი მართლაც არ დამხრჩვალა წყალში, იგი მშვიდად და წყნარად გარდაიცვალა დაბადებიდან ოთხმოცდაათოთხმეტი წლისა,

საკუთარ საწოლში, ბუმბულის ლოგინზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოხუცს ჭირივით სძულდა წყალი და თავი მოჰქონდა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვალითაც არ ენახა.

მე დავიბადე დაბა ბლონდერსტონში, სუფოლკის საგრაფოში. მამაჩემის თვალები დაიხუჭა ამ ქვეყნისათვის ექვსი თვით ადრე, ვიდრე მე პირველად ვიხილე იგი. ახლაც მაოცებს, როცა გამახსენდება, რომ მამას არასოდეს ვუნახივარ. უფრო მეტად კი ის მაკვირვებს, რომ იგი წევს მარტოდმარტო ცივ სამარეში, ღამის გაუვალ წყვილადში მაშინ, როდესაც ჩვენს პატარა სასტუმროში სითბო, სინათლე და მყუდროება სუფევს.

მამაჩემის მამიდა და, მაშასადამე, ჩემი პაპიდა, რომლის შესახებ შემდეგ ძალიან დაწვრილებით მომიხდება ლაპარაკი, ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო ჩვენს ოჯახში. მას ერქვა მის ტროტუდი, ანუ მის ბეტსი, როგორც ყოველთვის ეძახდა მას საბრალო დედაჩემი იმ შემთხვევაში, როცა დასძლევდა ხოლმე შიშს და ამ ნათესავზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს. მის ტროტუდი ოდესღაც ძალიან ღამაზი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ამართლებდა ძველებურ ინგლისურ ანდაზას, რომ „მშენიერია მხოლოდ ის, ვისი მოქმედებაც მშენიერია“. ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქოს ქმარი სცემდა მის ბეტსის. ერთხელ ხმა გაგრცვლდა, ოჯახური ალიაქოთის დროს, რაც ფულის საკითხს ეხებოდა, ეს ჯენტლმენი ისე გაააჟდა, რომ თავისი მეუღლე მეორე სართულის ფანჯრიდან უნდა გადევლო. ყოველივე ეს ალბათ სისულელეა, მაგრამ უეჭველია, რომ მეუღლეთა შორის არავითარი ხასიათის მსგავსება არ არსებობდა. ამიტომ იყო, რომ ისინი გაშორდნენ ერთმანეთს. მის ბეტსიმ გადაიხადა გარკვეული თანხა და მოახერხა გაყრა, რომელიც ორივე მხარის ურთიერთსურვილზე იყო დამყარებული. ქმარმა წაიღო მთელი თანხა და წავიდა ინდოეთში მხეცებზე სანადიროდ. ათი წლის შემდეგ მოვიდა ცნობა მისი სიკვდილის შესახებ. იგი წყნარად და უშფოთველად გარდაიცვალა. უკანასკნელი ამოოხვრის წინ დასტიროდა თავის სიყმაწვილის შეცდომებს. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა პაპიდაჩემზე, არავინ იცოდა და ვერც აქამდე შეიტყო. ის კია, რომ გაყრის შემდეგ თავისი ქალიშვილობის სახელი დაიბრუნა, იყიდა სახლი ერთ სოფელში ზღვის პირას, დასახლდა და როგორც გაუთხოვარი, ხანში შესული ქალი, ერთი მოახლის ანაბარა, და ყველამ შეიტყო, რომ მან უარყო ყველა ამქვეყნიური სიამოვნება და განდევილად ცხოვრობს.

მამაჩემი პაპიდას, მგონი, ოდესრაც ძალიან უყვარდა, მაგრამ შემდეგში იგი დიდად შეურაცხყოფილი დარჩენილა მისი ცოლის შერთვით, რადგან დედაჩემი, პაპიდას სიტყვით, „სანთლის დედოფალა“ იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პაპიდას არასოდეს ენახა დედაჩემი და მხოლოდ ის იცოდა, რომ მისი ძმისწულის ცოლი ოც წელზე მეტისა არ იყო. ამ ქორწინების შემდეგ მამიდა და ძმისწული აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მამაჩემი მეტად სუსტი აგებულებისა იყო, დედაჩემზე ოცი წლით უფროსი. იგი ქორწინების ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, როგორც ვთქვი, ექვსი თვით ადრე ჩემს დაბადებამდე.

აი რა მდგომარეობაში იყო საქმე პარასკევს დღისით: დედაჩემი, ავადმყოფი და სევდიანი, ბუხართან იჯდა და თვალცრემლიანი ცეცხლს შეჰყურებდა. მარტი იდგა, ქარიანი და ნოტიო. იგი ფიქრობდა განსვენებულ ქმარზე, თავის მარტოობაზე და იმ ახალ, უსახლკარო, ქვეყნისთვის ჯერ კიდევ უცნობ მგზავრზე, რომლისთვისაც უჯრაში კიდევ ელაგა ათასგვარი ქინძისთავები. „გადავიტან თუ არა იმ საშინელ ტანჯვას, რომელიც მომეღის?“ – შეეკითხა თავისთავს საბრალო ქალი. მერე ცრემლები მოიწმინდა, შეხედა პირდაპირ ფანჯარას და დაინახა ბაღში მომავალი უცნობი ლედი.

მეორე შეხვედრის დროს სევდიანმა წინათრგრძნობამ უბიძგა დედაჩემს, რომ ეს ლედი უსათუოდ მის ბეტსი უნდა ყოფილიყო. იგი ისეთი მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა კარებს და მთელ მის გარეგნობაში ისეთი ღრმა შეგნება

იხატებოდა საკუთარი ღირსებისა, რომ ეს მხოლოდ განსვენებული მამაჩემის მამიდა შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაღე ამის დამამტკიცებელი მეორე საბუთიც გამოირკვა, რომ უცნაური ლედი და მის ბეტსი ერთი და იგივე პიროვნება იყო. მამაჩემი ამბობდა ხოლმე, მამიდაჩემი მეტისმეტად ექსცენტრულია, რასაც არ უნდა აკეთებდეს, და გარკვევით განსხვავდება ყველა სხვა ქალისა და კაცისაგან. ახლაც, როცა უცნაური ლედი სახლს მოუახლოვდა, იმის მაგივრად, რომ კარებთან ზარი დაერეკა, ფანჯარაში შემოიხედა და ისე მაგრა მიაღო შუშას ცხვირი, რომ ზედ მიეჭყლიტა და მთლად გაუთეთრდა.

მე მგონია, ეს გარემოება იყო უკანასკნელი მიზეზი, რომ სწორედ პარასკევს დავბადე.

გაოცებული და აღელვებული დედაჩემი საჩქაროდ ადგა სკამიდან და გაჩერდა მის უკან, ოთახის კუთხეში. მის ბეტსიმ ნელა და დინჯად დაიწყო მთელი ოთახის თვალიერება, ბოლოს მისი თვალები დედაჩემზე შეჩერდა. უცნაურმა ლედიმ წარბები შეიკრა და ხელის ბრძანებით მოძრაობით ანიშნა კარის გაღება. დედაჩემი დაემორჩილა.

– მისის კოპერფილდი, თუ არა ვცდები? – წარმოთქვა მის ბეტსიმ, როცა თვალი გადაავლო ძაძით მოხილ ორსულ ქალს.

– დიას, – უპასუხა დედამ სუსტი ხმით.

– მის ტროტუდი, – თქვა ახლად მოსულმა. – თქვენ, რასაკვირველია, გაგვეგონებათ ეს სახელი.

დედამ უპასუხა, რომ ჰქონდა ეს ბედნიერება.

– იგი თქვენს წინ დგას, – უთხრა მის ბეტსიმ.

დედამ თავი დაუკრა და სთხოვა სტუმარს, ოთახში შებრძანებულიყო.

შემდეგ ისინი ორივენი ოთახში შევიდნენ, დასხდნენ ერთიმეორის პირდაპირ და ღრმა ღუმილში გაატარეს რამდენიმე ხანი. ბოლოს დედა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობდა, თავი შეეკავებინა, მწარედ აქვითინდა.

– ს-ს-ს-უ... ტა, ტა, ტა! – მიაყარა მის ბეტსიმ. – ასეთები არ იყოს, კმარა!

დედამ დიდხანს ვერ შეაჩერა ცრემლები, და მანამდე ქვითინებდა, სანამ გულს მოიხსებდა.

– მოიხადეთ თავსაფარი, შვილო, – უთხრა მის ბეტსიმ. – დამანახვეთ თქვენი თავი.

დედა მეტად შეშინებული იყო, რომ უარი ეთქვა ამ უცნაურ თხოვნაზე. მან მთრთოლვარე ხელებით სწრაფად მოიხადა თავსაფარი და მშვენიერი შავი თმები უსწორმასწოროდ ჩამოეშალა სახეზე.

– ღმერთო ჩემო! თქვენ სრულებით ბავშვი ყოფილხართ! – შესძახა მის ბეტსიმ.

დედაჩემს მართლაც მეტად ყმაწვილი შეხედულება ჰქონდა. მან ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი და წარმოთქვა ქვითინით, რომ მართლაც ძალიან ყმაწვილ ქვრივად გრძნობს თავს, და, რასაკვირველია, მეტად ახალგაზრდა, ბავშვურად გამოუცდელი დედა იქნება, თუ მიაღწია ამ უკვე მოახლოებულ უამს. შემდეგ ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა, და დედას მოეჩვენა, თითქოს მის ბეტსი აღერსიანად შეეხო მის თმებს; მაგრამ როცა გაუბედავად შეხედა, დაინახა, რომ მის ბეტსი წარბებშეკრული იჯდა ცეცხლთან, ხელები მუხლებზე დაეღაგებინა და ფეხები ბუხრის ნაპირზე დაედგა.

– აბა, – უთხრა მის ბეტსიმ, – როდის მოვლით?

– მთლად მაკანკალებს, – წაილაპარაკა დედამ, – არ ვიცი, ღმერთმანი რა მემართება. ალბათ სიკვდილი მომიახლოვდა!

– არა, არა, არა! – უთხრა მის ბეტსიმ, – აბა, ერთი ჩაი დალიეთ!

– აჰ, არ ვიცი! თქვენა გგონიათ, რომ ეს ჩემთვის სასარგებლო იქნება? – ჰკითხა დედაჩემმა საბრალო ხმით.

– რასაკვირველია, სასარგებლო იქნება, – უპასუხა მის ბეტსიმ. – ყოველივე ეს მხოლოდ აღელვებისაგან მოვდით... რა ჰქვია თქვენს ქალს?

– მე, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, ქალი იქნება თუ ვაჟი, ქალბატონო, – გულუბრყვილოდ უპასუხა დედაჩემმა.

– რა ბავშვი ხართ! – შესძახა მის ბეტსიმ და ხელი ხელს შემოჰკრა. – მე თქვენ გეკითხებით, რა ჰქვია თქვენს მოახლეს?

– პეგოტი? – გაიმეორა მის ბეტსიმ აღშფოთებით. – ნუთუ თქვენა გგონიათ, უმეცარო ბავშვო, რომ ქრისტიან ხალხებს მოეპოვებათ პეგოტის მსგავსი სახელი?

– ეს მისი გვარია, – ჩუმად თქვა ჩემმა დედამ. – მისტერ კოპერფილდი მას გვართ ეძახდა, რადგან მე და მაგ ქალს ერთი და იგივე სახელი გვქვია.

– ეი, პეგოტი! – დაუძახა მის ბეტსიმ და სასტუმროს კარი გააღო. – ჩაი! თქვენი ქალბატონი უქეიფოდ არის! აბა, მალე!

ეს განკარგულება ისეთი ბრძანების კილოთი იყო წარმოთქმული, თითქოს იგი მუდამ მეფობდა ამ სახლში. შემდეგ მკაცრად შეხედა გაოცებულ პეგოტის, რომელიც სანთლით ხელში ტალანში მოდიოდა, და ისევ უწინდებურად დაჟდა; ფეხები ბუხრის პირას დააღაგა და ორივე ხელი ერთ მუხლზე დაუშვა.

– თქვენ, მგონია, გეეჭვებათ, რომ ქალი გეყოლებათ? – შენიშნა მის ბეტსიმ. – მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ყოვლად შეუძლებელია სხვაფრივ მოხდეს. მაშასადამე, შვილო, იმ წუთიდან, როცა ეს გოგონა...

– იქნებ ვაჟია, – გააწყვეტინა დედაჩემმა გაუბედავი ხმით.

– მე თქვენ გეუბნებით, ქალი იქნება-მეთქი, ნუ მეკამათებით. და, აი, იმ წუთიდან როცა ეს გოგონა განჩნდება, მე განზრახული მაქვს, მისი მეგობარი გავხდე. მე მისი ნათლია ვიქნები, და ახლავე გთხოვთ, დაარქვათ მას ბეტსი ტროტგუდ-კოპერფილდი. ამ ბეტსი ტროტგუდის ცხოვრებაში არავითარ შეცდომებს არ უნდა ექნეს ადგილი, მე არავის მივცემ ნებას, რომ მისი გრძნობები სათამაშოდ გაიხადოს. იგი მუდამ ჩემი მფარველობის ქვეშ იქნება. საუკეთესოდ უნდა აღეზარდოთ, რომ ბეტსი ტროტგუდ-კოპერფილდმა არ გასწიროს თავისი გული და ვინმე სულელს არ მიენდოს. ყოველივე ამას მე ვკისრულობ და ჩემზე ვიღებ პასუხისმგებლობას.

თითოეული ფრაზის შემდეგ მის ბეტსი ენერგიულად აქნევდა თავს, თითქოს მის გულში საკუთარი ცხოვრების მრავალი მწარე მოგონებანი იღვიძებდნენ.

– მითხარით, გეთაყვა, დავითს უყვარდით, შვილო? კარგად ცხოვრობდით? – იკითხა მის ბეტსიმ რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, როცა ცოტათი დაწყნარდა.

– დიახ, ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიყავით, – წარმოთქვა დედაჩემმა. – მისტერ კოპერფილდი ისეთი კეთილი იყო...

– და, რასაკვირველია, განებივრებდათ. ასეა თუ არა?

– ოჰ! დიახ! როცა მომაგონდება, რომ ისევ მარტოდმარტო დავრჩი ამქვეყნად და ყველაფერში ჩემი თავის ანაბარა უნდა ვიყო... – უპასუხა დედამ და ისევ აქვითინდა.

– აბა, აბა, ნუ ტირით! – უთხრა მის ბეტსიმ. – თქვენ არ იყავით ერთმანეთის შესაფერისი... განა სადმე კი მოიპოვება ორი ისეთი ადამიანი, რომელთაც შეუძლიათ კარგი წყვილი შეადგინონ? თქვენ ხომ, მგონი, ობოლი ხართ, თუ არა ვცდები?

– დიახ.

– თქვენ აღმზრდელად იყავით?

– დიახ, ერთ ოჯახში, სადაც მისტერ კოპერფილდი დაიარებოდა, ბავშვების აღმზრდელად ვმუშაობდი. იგი ძალიან აღერსიანი იყო, დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით მეპყრობოდა და ბოლოს წინადადებით მომმართა. მე დავთანხმდი და ჯვარი დავიწერეთ.

– ჰმ! საბრალო ბაღლი! – ჩაფიქრებით წაილაპარაკა მის ბეტსიმ. – გაგეგებათ რამე?

– როგორ უნდა გავიგო თქვენი სიტყვები, ქალბატონო?  
– გესმით რამე დიასახლისობისა, მაგალითად?  
– არ ვიცი, სწორე მოგახსენოთ, – უპასუხა დედაჩემმა, – ვფიქრობ, ძალიან ცოტა რამ ვიცი. თუმცა მისევე კოპერფილდი მასწავლიდა...

– თვითონ კი ბევრი რამ გაეგებოდა! – შენიშნა მის ბეტსიმ.  
– მასწავლიდა დიდი მოთმინებით; მე ვცდილობდი, მესარგებლა მისი გაკვეთილებით; და რომ, ჩემდა საუბედუროდ, მისტერ კოპერფილდი არ გარდაცვლილიყო...

ცრემლებმა ისევ შეაწყვეტინა დედას ლაპარაკი.

– დავითმა, მგონი, მოახერხა და თავისთავი უზრუნველჰყო შემოსავლით, – თქვა მის ბეტსიმ, – საინტერესოა, რა გააკეთა თქვენთვის?

– მისტერ კოპერფილდი, – უპასუხა დედამ და თან ცდილობდა, მღელვარება შეეკავებინა, – ისეთი კეთილი და წინდახედული იყო, რომ წინასწარვე შეეცადა დაემტკიცებინა ჩემს სახელზე მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი შემოსავლისა.

– მაგალითად, რამდენი?

– ას ხუთი გირვანქა სტერლინგი წელიწადში.

– ჰმ! შესაძლოა უფრო ცუდად ყოფილიყო საქმე, – შენიშნა მის ბეტსიმ.

სიტყვები „უფრო ცუდად“ ეხებოდა დედაჩემს, რადგან იგი სულ უარესად და უარესად ხდებოდა, და ახლა, როცა ოთახში შემოვიდა პეგოტი ჩაის ჭურჭლითა და სანთლებით, მაშინვე შენიშნა ეს მდგომარეობა. მის ბეტსის გაცილებით უფრო ადრე შეეძლო ეს შეენიშნა, ოთახში რომ სინათლე ყოფილიყო. პეგოტიმ ხმაამოუღებლად, საჩქაროდ აიყვანა ავადმყოფი ზემო სართულში, მის საწოლ ოთახში, და მაშინვე გაგზავნა თავისი ძმისწული ექიმისა და ბებიაქალის მოსაყვანად.

ექიმსა და ბებიაქალს, რომელნიც თითქმის ერთდროულად გამოცხადდნენ, ძალიან გაუკვირდათ, როცა სასტუმროში დიდებული შეხედულების უცნობი ღედი დახვდათ. მის ბეტსი ბუხართან უწინდელ პოზაში, მედიდურად იჯდა და ყურებში ბამბას იცობდა; ქუდი კი, თავიდან რომ მოეხადა, მკლავზე უქანაგებდა.

ექიმი ავიდა ზემო სართულში, გაეცნო, რამდენადაც საჭირო იყო, კრიტიკულ მდგომარეობას და კვლავ დაბრუნდა სასტუმროში. მალე დარწმუნდა, რომ იძულებული იყო, ამ უცნობ ღედისთან პირისპირ გაეტარებინა დრო რამდენიმე საათის განმავლობაში. მან გადაწყვიტა, ზრდილობიანად და თავაზიანად მოქცეულიყო. ეს იყო ძალიან უწყინარი და ჩუმი ჯენტლმენი. იგი შედიოდა ოთახში და გამოდიოდა ყოველთვის გვერდულად, ოდნავ მობუზული, და ამასთან ისე ნელა და ჩუმად აბიჯებდა, როგორც მოჩვენება შექსპირის „ჰამლეტში“. თავი ყოველთვის მხარზე ჰქონდა გადახრილი. გარშემო მყოფ პირთა უდიდესი პატივისცემის ნიშნად. ცოფიანი ძაღლიც რომ სცემოდა ყელში, მგონი, მაშინაც აღერსიანად გაუკეთებდა შენიშვნას თავაზიანი და ზრდილობიანი სიტყვებით, და არ შეურაცხყოფდა მას – არც სიტყვით, არც საქმით.

ასეთი იყო მისტერ ჩილიპი, მედიცინის და დოსტაქარობის დოქტორი. მან შეხედა პაპიდაჩემს, გადახარა თავი ერთ მხარეზე, მდაბლად მიესალმა და ზრდილობიანად მოიკითხა მისი ძვირფასი ჯანმრთელობის ამბავი. პაპიდა დუმდა. როცა ექიმმა ჩილიპმა შენიშნა, რმ პაპიდა ყურებში ბამბას იცობდა, იგი ოდნავ შეეხო თავის მარცხენა ყურს და ჰკითხა:

– თქვენ ადგილობრივ გაღიზიანებასა გრძნობთ, ქალბატონო?

– რაო-ო-ო? – ჰკითხა პაპიდამ და, როგორც ბოთლის საცობი, ისე ამოიძრო ბამბა ერთი ყურიდან.

მისტერ ჩილიპი იმ ზომამდე იყო გაოცებული ამ უკმეხი პასუხით, რომ ცოტას გაწყდა არ დაჰკარგა სულის სიმშვიდე, როგორც შემდეგ თვითონ უამბო გულახდილად დედას. ახლა კი გაიმაგრა გული და მორცხვად გაიმეორა თავისი კითხვა:

– ადგილობრივი გაღიზიანებაა, ქალბატონო?

– სისულელეა! – უპასუხა პაპიძამ და ისევ შეიგდო ბამბა უყურში.

ამის შემდეგ მისტერ ჩილიპს არა დარჩენოდა-რა იმის გარდა, რომ სკამზე დამჯდარიყო და ჩუმ-ჩუმად ეცქირნა მისთვის. პაპიძა დაშტერებით შეჰყურებდა ბუხრის ალს. ასე მდუმარედ ისხდნენ ისინი, სანამ ექიმს ზემო სართულში არ დაუძახეს. თხუთმეტი წუთის შემდეგ ექიმი ისევ სასტუმროში გაჩნდა.

– აბა, რაო? – ჰკითხა პაპიძამ და გამოიღო ბამბა იმ ყურიდან, რომელიც ექიმისკენ ჰაონდა მიქცეული.

– არაფერი, ქალბატონო, – უპასუხა მისტერ ჩილიპმა, – წინ მივიწვევთ... ნელ-ნელა, ქალბატონო...

– ეჰ! – წარმოთქვა პაპიძამ სრული ზიზღის გამომეტყველებით.

შემდეგ თავი დაიქნია და ისევ ბამბით დაიცო ყური.

– ეს კი, სწორე მოგახსენოთ, აღარაფერს არ ჰგავდა! – ამბობდა შემდეგ მისტერ ჩილიპი. თუმცა ძალიან გაუძნელდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, საბრალო, კიბეზე ავიდა და ორპირ ქარში იქ იჯდა სიბნელეში მანამდე, სანამ ისევ არ მიიწვიეს მეორე სართულზე.

თავისი საქმის ბედნიერად დაბოლოების შემდეგ სიამოვნებით აღსავსე ექიმი ჩილიპი მზად იყო ყოველივე შეურაცხყოფა ეპატიებინა ყველასათვის. იგი გვერდულად შეიპარა სასტუმრო ოთახში და მიმართა პაპიძას მდაბლად თავის დაკვირვებით:

– დიდად ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მოგილოცოთ, ქალბატონო.

– რა მომილოცოთ? – ჰკითხა პაპიძამ მკვახედ.

მისტერ ჩილიპი ისევ შეკრთა, მაგრამ მაშინვე გაიმართა, გაიღიმა და ისევ თავი დაუკრა, რომ ცოტათი მოეგო მისი გული.

– აჰ, ეს რა უცნაური ადამიანია! – შესძახა მოუთმენლად პაპიძამ. – იცით თუ არა ლაპარაკი, სერ?

– დამშვიდდით, ქალბატონო, – უთხრა მისტერ ჩილიპმა და თან ცდილობდა, თავისი ხმისთვის სინაზე მიეცა. – ჩვენ უკვე ყველაფერს მოვრჩით, ასე რომ თქვენ აღარაფერი ასაღელვებელი მიზეზი აღარა გაქვთ. დაწყნარდით, მიღედი.

იმ გარემოებას, რომ პაპიძა ამ წუთში არა სწვდა ექიმს ქეჩოში და არ გამოაბერტყინა პირიდან სასურველი პასუხი, ჩვენს სახლში ყველანი სასწაულად თვლიდნენ.

– ნება მიბოძეთ, ქალბატონო, სულით და გულით მოგილოცოთ, – დაიწყო ისევ ექიმმა ჩილიპმა, როგორც კი იგრძნო საკმარისი გაბედულება ლაპარაკის განახლებისათვის. – ყველაფერი უკვე გათავდა, მიღედი, და გათავდა ბედნიერად.

იმ სამი თუ ოთხი წამის განმავლობაში, რომელიც მან მოანდომა ამ სიტყვების წარმოთქმას, პაპიძას თვალები დაშტერებით მისჩერებოდნენ მისტერ ჩილიპს.

– მერე? როგორაა იგი? – ჰკითხა გულხელდაკრეფილმა პაპიძამ და მისი ლენტებით მორთული ქუდი კვლავ აქანავდა მის ხელზე.

– ყველაფერი კარგად გახლავთ, ქალბატონო. მალე იგი სრულებით მოიკეთებს და იმედი მაქვს, ისევე ჯანმრთელად იქნება, როგორც ყოველი ახალგაზრდა დედა, რომელმაც მშვიდობიანად დაადწია თავი სიცოცხლის საბედისწერო კრიზისს. თუ გნებავთ, შეგიძლიათ ნახოთ იგი; არავითარი დაბრკოლება არ არსებობს. პირიქით, თქვენმა ნახვამ შეიძლება სარგებლობაც მოუტანოს.

– ისა? ის როგორიდაა. გეკითხებით! – გაიმეორა პაპიძამ მკაცრად.

მისტერ ჩილიპმა უფრო მეტად გადააგდო თავი გვერდზე და აღერსიანი თვალებით შეხედა პაპიძას.

– რატომ არას ამბობთ? როგორია იგი, ახლად დაბადებული გოგონა?

– უკაცრავად, ქალბატონო, მე მეგონა, რომ თქვენ უკვე იცით, – უპასუხა მისტერ ჩილიმპა, – ახლად დაბადებული ბავშვი ვაჟია.

პაპიდამ ხმაამოუღებლად, საჩქაროდ მოიხსნა მკლავიდან ქუდი, ჩამოიფხატა თავზე და სწრაფად გავიდა გარეთ, რომ არასოდეს აღარ დაბრუნებულიყო. იგი გაჰქრა, როგორც ავი სული, ან ერთი იმ მოჩვენებათაგანი, რომელიც მიწინასწარმეტყველეს, და მას აქეთ მისი ხსენება აღარ ყოფილა ჩვენს მხარეში.

მე ვესვენე კალათაში დედის გვერდით, რომელიც ლოგინში იწვა. ბეტსი ტროტგუდი სამუდამოდ დარჩა ჩვენებათა და აჩრდილთა სამეფოში. ჩვენი ოთახის ფანჯარაში შემოჭრილი მთვარის შუქი ანათებდა აგრეთვე იმ საფლავის ბორცვს, სადაც განისვენებდა ოდესღაც ცოცხალი არსების ნეშტი, ურომლისოდაც მე ვერასოდეს გაეჩნდებოდი ამქვეყნად.

## თავი მეორე

### პირველი დაკვირვებანი

როდესაც ახლა გონების თვალთ ვუბრუნდები ჩემი ბავშვობის პირველ წლებს, მე ჯერ ვერ ვარჩევ ვერც სახეებს, ვერც ხმებს და ვერც მოვლენებს; მაგრამ აი პირველი საგნები, რომელნიც იხატებიან ჩემს მეხსიერებაში: დედაჩემი, მისი მშვენიერი თმითა და ყმაწვილური სახით, მის პეგოტი – ქალიშვილი შავი თვალებით, ტლანქი ხელებით და ისეთი წითელი ლოყებით რომ მიკვირდა, რატომ ჩიტები არა ჰკენწლავენ მათ, ვაშლების მაგივრად-მეთქი.

ეს ორი პიროვნება მე ახლა მაგონდება სულ მცირე მანძილით დაშორებულნი ერთმანეთისაგან; ისინი, ალბათ, ჩემ წინ იდგნენ ან მუხლებზე დაჩოქილები, ან დახრილები, და მე გაუბედავი ნაბიჯით გადავიდი ერთისგან მეორესთან. ჩემს მეხსიერებაში დარჩა შემდგომ მოგონებათაგან განუმორებელი შთაბეჭდილება, რომ მე ვეკარებოდი მის პეგოტის ცერს, როცა იგი ხელს მიწვდიდა; და ეს ცერი ისეთი ხორკლიანი ჰქონდა კერვისაგან, როგორც მუშკის კაკლის პატარა საფხეკი.

თუ გნებავთ, ოცნება დაარქვით ამას, მაგრამ დაბეჯითებით ვფიქრობ, რომ ბევრის ყმაწვილური მოგონებანი გაცილებით უფრო შორს მიდიან, ვიდრე საზოგადოდ ჰგონიათ. მე მგონია, აგრეთვე, რომ ძალიან ბევრი პატარა ბავშვი დაჯილდოებულია დაკვირვების საოცარი ნიჭით, და ამ დაკვირვების შედეგი ხშირად არაჩვეულებრივი სწორი და ზედმიწევნითია.

მაშასადამე, როგორც ვთქვით, უპირველეს ყოვლისა, ცხადად და გარკვეულად, სხვა მოვლენებთან შეურევლად, ჩემს მეხსიერებაში იხატება ორი საგანი: ჩემი დედა და მის პეგოტი. იქნებ შევძლო კიდევ მოვიგონო რამე? ვნახოთ.

აი, წარსულის ბუნდოვან ღრუბლებში ჩემს წინაშე ჩვენი სახლი იხატება. ქვემო სართულში მის პეგოტის სამზარეულოა, რომლის ფანჯრები უკანა ეზოში გადის; და აქ, უკანა ეზოში, შიგ მის შუაგულში სარზე გადის; და აქ, უკანა ეზოში, შიგ მის შუაგულში სარზე დამაგრებულია სამტრედე, რომელშიც არა ჩანს არც ერთი მტრედი; ცოტა მოშორებით, კუთხეში, საძაღლეა, სადაც ძაღლი არ არის. მთელ ამ არემარეში მკაცრად და მრისხანედ დასეირნობენ ქათმები. ჩემს თვალში ისინი უზარმაზარნი არიან, მეტადრე საშინელია მამალი მე შიშით ვუცქერდი მას ფანჯრიდან. ჭიშკარს იქით ბატები დადიან და ბორტად წინ იწვდიან თავიანთ გრძელ კისრებს, როცა წინ ჩამივლიან. ბატები ძილშიც მესიზმრებიან. ასეა, ადამიანს, რომელიც მხეცებით არის გარშემორტყმული, ლომები და ვეფხვები ელანდება ძილში.

აი კიდევ გრძელი, დაუსრულებელი ტალანი, თვალუწვდენელი ჩემთვის. იგი პეგოტის სამზარეულოდან სახლის მთავარ შესავალისაკენ მოდის. ტალანის მეორე ბოლოში საკუჭნაოა, საშინელი ჩემთვის ღამლამობით, რადგან არ ვიცი, რა

ბუდობს ამ აუარებელ შუშებსა, ბოთლებსა და ქილებს შუა, ამ შეხუთულ ალაგას, საიდანაც გამოდის საპნის, მწნილის, წიწაკის, ყავის, ქონისა და სანთლების მძიმე სუნი.

ტალანის ერთ მხარეზე ჩვენი ორი სასტუმრო ოთახია. ერთში ყოველ საღამოს ვსხედვართ დედა, მე და პეგოტი – ჩვენი მუდმივი მოსაუბრე; მეორეში, სადღესასწაულო დარბაზში, რომელიც უფრო დიდია, მაგრამ მყუდრებას მოკლებული, კვირა დღეებს ვატარებთ. ამ ოთახში მე ყოველთვის მძიმე და ნაღვლიანი ფიქრები მომდიოდა. პეგოტიმ მიაშბო, არ მახსოვს როდის, ალბათ რამდენიმე საუკუნის წინათ, როგორ ემზადებოდნენ ამ ოთახში მამაჩემის დასაფლავებისათვის და როგორ მოდიოდნენ აქ შავწამოსასხამიანი ჯენტლმენები. აქვე ერთ კვირა საღამოს დედამ წაგვიკითხა მე და პეგოტის აღმოსავლური მოთხრობა, სადაც მთავარი მოქმედი სამარიდან ამოღებული მკვდარი იყო; ამის შემდეგ ისე ვკანკალებდი ლოგინში, რომ უფროსები იძულებულები იყვნენ ფანჯრიდან დაენახებინათ ჩემთვის მყუდრო სასაფლაო, სადაც მთვარის შუქზე მიცვალებულნი მშვიდად განისვენებენ თავიანთ სამარეებში.

აი ჩვენი სავარძელი ეკლესიაში, – უჰ, რა მაღალი საზურგე აქვს! ფანჯარაში, რომელიც მის გვერდითაა, ჩვენი სახლი ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე. პეგოტი წირვის დროს ხშირად უცქერის სახლს, რომ დარწმუნდეს, ცეცხლი ხომ არ უკიდია მას, ან ქურდები ხომ არ შესულან. თუმცა პეგოტი წამდაუწუმ იქით-აქეთ იცქირება, მაგრამ ძალიან ჯავრობს, როცა მეც, იმის მიხედვით, ყოველ მხარეს ვაცეცებ თვალებს; პეგოტი წარბებს იკრავს და ხელით მანიშნებს, რომ პასტორს ვუყურო. რადა? რისთვის? ისედაც ძალიან კარგად ვიცნობ ამ ჯენტლმენს. ჩემი დაშტერებული ცქერა რომ შეამჩნიოს და მკითხოს: რა მინდა? მერე? მართალია თვალების პარპალი არ ვარგა, სამარცხვინოა, მაგრამ მეტი რა გზა მაქვს... მე დედას ვუყურობ, მაგრამ დედა ისეთ სახეს იღებს, თითქოს არც კი მხედავს; გავცქერი ბიჭს, ეკვდერში რომ დგას, და ისე მეჩვენება, თითქოს იგი მეღრიჯებოდეს. ეკლესიის მისაგალს ხომ არ შევხედო? აგერ, კარებთან ფარას ჩამორჩენილი ცხვარი დგას და, მგონია ღია კარებში აპირებს შემოსვას. აი, სადღესასწაულო ფრაკში გამოწყობილი მისტერ ჩილიპი ზის; მისტერ ჩილიპიდან ჩემი თვალები კათედრაზე და სხვა საგნებზე გადადიან... თანდათან თვალები კათედრაზე და სხვა საგნებზე გადადიან... თანდათან თვალები მეხუჭება, ნანასავით ჩამესმის მღვდლის გალობა, სულ მალე სრულიად აღარაფერი მესმის და ხმაურით ვასკდები იატაკს; პეგოტის ხელში აყვანილი მიყვარ მიშისაგან გულგახეთქილი.

თვალწინ მიდგას ჩვენი სახლის ფასადი, მისი ვენეციური ფანჯრებით, საწოლ ოთახიდან ბაღჩისკენ რომ არის გაღებული, სადაც მაღალ თელას ჯერ კიდევ შერჩენია ჭიფუკავების ძველი, ნახევრად დანგრეული ბუდეები. სურნელოვანი ჰაერი შემდის ყველა ოთახის ღია ფანჯრებში; მაგრამ არ მიყვარს ოთახებში ჯდომა გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა უკანა ეზო ამწვანებულია და ბაღში ხეხილი ჰყვავის. დავრბივარ სამტრედესა და საძაღლის გვერდით, შევიღვარ ბაღში. მწიფე და მშვენიერი ხილი ასხია ყველა ხეს და დედა ჰკრეფს მათ კალათაში. ამ დროს მე ჩუმად თეთრეკალასა ვჭამ და თან ვცდილობ, მიამიტი სახე მივიღო.

ჰქრის ძლიერი ქარი, ასხამს წვიმა, – თითქოს ზაფხული არ ყოფილიყოს. ზამთარში, ბინდისას, ჩვენ ვთამაშობთ სასტუმროში, ვტრიალებთ, ვხტივართ და ვცეკვავთ. არაქათგამოლეული დედა სავარძელში ეცემა; მე ვეთამაშები მის კულულებს, და არავინ იცის ჩემზე უკეთესად, როგორ ესიამოვნება მას, რომ ღამაზია, და როგორ ამაყობს თავისი სიღამაზით.

ასეთია ჩემი ადრინდელი შთაბეჭდილებანი. მრავალ მოვლენათა შორის, გარს რომ მახვევია. მალე გამოვიტანე სრულებით სამართლიანი დასკვნა, რომ მე და



დედას ცოტათი გვეშინია პეგოტისა და ყოველვის მის ნებას ვემორჩილებით. ეს დასკვნა ჩემი ბავშვური აზროვნების ერთი პირველი ნაყოფთაგანი იყო.

ერთხელ საღამოს მე და პეგოტი მარტონი დავრჩით, სასტუმროში ბუნხართან ვისხედით. მე ხმამაღლა ვკითხულობდი წიგნს ნიანგების შესახებ; ალბათ ძალიან გარკვევით ვკითხულობდი, ან პეგოტი ძალიან იყო დაინტერესებული, მახსოვს, რომ ამ კითხვის შემდეგ მის პეგოტის დარჩა ბუნდოვანი წარმოდგენა, თითქოს ნიანგები ბოსტნეულის ნაირსახეობა ყოფილიყვნენ. დედა სტუმრად იყო წასული. მე, კარგი ყოფაქცევის ჯილდოდ, ნება მომეცა სასტუმროში ვყოფილიყავი მის მოსვლამდე. წიგნმა ძაღვ დამძალა, ენა თითქმის არ მემორჩლებოდა, თვალებიც მესუტებოდა, მაგრამ სიკვდილს უფრო შევეურიგდებოდი ვიდრე საწოლ ოთახში წასვლას და ლოგინში ჩაწოლას.

– პეგოტი, – ვუთხარი მოულოდნელად, – იყავით თქვენ როდისმე გათხოვილი?

– რა დაგემართათ, მისტერ დევი? – შესძახა პეგოტიმ. – საიდან მოგივიდათ თავში ეს აზრი?

ეს პასუხი ისეთი არაჩვეულებრივი სირცხვილით იყო წარმოთქმული, რომ სრულებით გამოვფხიზლდი. პეგოტი გააკვირვებით მიყურებდა, პაერში გაშეშებულ ხელში ნემსი შერჩენოდა.

– მითხარით, იყავით გათხოვილი, პეგოტი? – გავიმეორე მე. – თქვენ ხომ ძალიან ღამაზი ხართ?

პეგოტი, რასაკვირველია, არა ჰგავდა დედას, მაგრამ მაინც თავისებური დიდ სიღამაზის არსებად ვთვლიდი მას. ჩვენს სადღესასწაულო დარბაზში იყო ერთი პატარა, წითელხავერდშემოვლებული ფეხის დასადგმელი სკამი, რომელზედაც დედამ თაიგული მოქარგა; ამ სკამის ხავერდი და მის პეგოტის ლოყები, სწორი რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ფერისანი იყვნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სკამი რბილი იყო, პეგოტის კი ძალიან მაგარი ლოყები ჰქონდა.

– მე ვარ ღამაზი, დევი? – შეჰყვირა პეგოტიმ. – კარგი, ჩემო საყვარელო! მაგრამ რამ მოგაგონა ასეთი კითხვა?

– თვითონაც არ ვიცი, თქვენ ხომ მხოლოდ ერთ ქმარზე შეგიძლიათ გათხოვდეთ, პეგოტი, არა? ხომ არ შეიძლება ორი ქმრის ყოლა ერთსა და იმავე დროს?

– რასაკვირველია, არა.

– მერე, ვთქვათ, თქვენ ჯვარი დაიწერეთ, და თქვენი ქმარი მოკვდა, შეიძლება მაშინ სხვა ქმარს გაჰყვეთ, პეგოტი?

– როგორ არა, მეორედაც თხოვდებიან. ეს სურვილზეა. ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ რასა ფიქრობს ამ საგანზე.

– თქვენ როგორა ფიქრობთ, პეგოტი?

ეს რომ ვკითხე, დაკვირვებით დავაცქერდი, ისიც მე მაკვირდებოდა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ პეგოტი სამუშაოს მიუბრუნდა და თქვა:

– აი რასა ვფიქრობ, მისტერ დევი: მე თვითონ გათხოვილი არა ვყოფილვარ – და არც გავთხოვდები. აი, რას შემიძლიათ გთხრათ მაგის პასუხად.

– ხომ არ მიჯავდებით, პეგოტი? – ვკითხე ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ.

მართლაც, მეგონა, თითქოს იგი გაჯავრებული იყო, რადგან ძალიან უგულოდ მელაპარაკებოდა, მაგრამ შევცდი. პეგოტიმ დაანება მუშაობას თავი, ფართოდ გაშალა მკლავები, ჩაიკრა ჩემი ხუჭუჭა თავი გულში და დამკოცნა. ამ მოხვევნისა და კოცნის გულწრფელობაში მე ეჭვი არა მქონდა. პეგოტი ძალიან მსუქანი იყო, და როცა ვიწრო კოსტიუმში მორთული, რაიმეზე ძალას მიიტანდა, კაბის ღილები ზურგზე აწყდებოდა და იქით-აქეთ ცვიოდა. ძალიან კარგად მახსოვს, რომ ახლაც ორი ღილი გაგორდა სასტუმრო ოთახის მეორე კუთხეში.

– აბა, ახლა მიაბნეთ რამე მაგ ნიანგებზე, – თქვა პეგოტიმ. – მე, სწორი გითხრათ, ნახევარიც არ გამიგია იმისა, რასაც თქვენ კითხულობდით.

ვერასგზით ვერ მივხვდი, რად გამოიყურებოდა პეგოტი ასე უცნაურად, და რად მაჩქარებდა ასე მოუთმენლად, რომ ნიანგებს დავბრუნებოდი. ასე იყო თუ ისე, ჩვენ მართლაც დავბრუნდით ამ საზარელ მხეცებს, და მე ისევ დიდის ხალისით დავიწყე კითხვა. თავიდან ბოლომდე გავეცანით ამ საინტერესო ჯიშის მცხოველების ისტორიას, მათ ზნესა და ჩვეულებებს. მე დიდი გულმოდგინებით ვკითხულობდი. მაგრამ პეგოტი, როგორც ჩანდა, ვერ მისმენდა ყურადღებით და მაინცდამაინც დიდ მონაწილეობას არ იღებდა ნიანგებზე ნადირობაში. იგი ჩუმად იჯდა, დაფიქრებული სახით, და რამდენჯერმე ნემსიც კი იხველიტა თითში.

როცა ნიანგებს მოვრჩით, გვინდოდა ალიგატორებზე გადავსულიყავით, მაგრამ ამ დროს ბაღჩის კარებთან ზარის რეკვა მოისმა, ჩვენ კარებისაკენ წავედით და შევხვდით დედას, რომელსაც თან ახლდა ვიღაც ჯენტლმენი, მშვენიერი შავი თმით და ბაკუნბარდებით – სწორედ ის, წარსულ კვირას ეკლესიიდან რომ გამოგვაცილა.

კარებთან დედა დაიხარა, ამიყვანა ხელში და მაკოცა; ამ დროს მისმა თანამგზავრმა შენიშნა, რომ მე მეფეზე ბედნიერი ვარ, რაღაც ამის მაგვარი.

– ეს რას ნიშნავს? – ვკითხე ჯენტლმენს დედაჩემის ხმარს იქიდან.

იმან თავზე ხელი გადამისვა, მაგრამ არ ვიცი, რატომ არ მომეწონა ეს კაცი და შემეზიზნა მისი ხმა. როცა იგი შემეხო, და ჩემთან ერთად – დედასაც, ოდნავ ხელი ვკარი მის ხელს. მე ვეჭვიანობდი.

– აჰ, დევი! – მითხრა დედამ წყენით.

– რა მშვენიერი ბავშვია! – შესძახა ჯენტლმენმა. – სრულებით არ მიკვირს, რომ მას ასე უყვარხართ.

არასოდეს წინათ არ შემინიშნავს ისეთი წარმტაცი ვარდისფერი დედაჩემის ლოყებზე, როგორც ამ წუთში. იგი გამიწერა უზრდელობისათვის, მაგრამ მაშინვე გულში ჩამიხუტა და ისე გადაუხადა მადლობა ჯენტლმენს გაცილებისათვის. მადლობის სიტყვებთან, დედამ ხელი გაუწოდა, და როცა ხელი ჩამოართვა, დედამ მე შემომხედა.

– შევრიგდეთ, გეთაყვა, – მითხრა ჯენტლმენმა და თავი დახარა დედას ხელთათმანზე. – ვუსურვოთ ერთმანეთს ღამე მშვიდობისა.

– ღამე მშვიდობისა! – ვუთხარი მე.

– მაშ დავმეგობრდით? – განაგრძო ჯენტლმენმა ღიმილით. – მოიტა ხელი, ჩემო კარგო.

ჩემი მარჯვენა ხელი დედას ყელზე ეხვია; მე მარცხენა ხელი გაუწოდე.

– ეგ არა, ეგ არა, დევი! – სიცილით მითხრა ჯენტლმენმა.

დედამ აიღო ჩემი მარჯვენა ხელი, რომ ჯენტლმენისათვის გაეწოდებინა იგი, მაგრამ მე გაეჯიუტდი და ისევ მარცხენა ხელი მივეცი. ჯენტლმენმა აღერსიანად მოუჭირა მას თავისი ხელი და თქვა, კარგი ბიჭი ხარო. მერე თავი დაგვიკრა და წავიდა.

ახლაც თითქოს თვალწინ მიდგას, როგორ შეჩერდა იგი ბაღში, გადმოგხედა თავისი არაკეთილი თვალებით და შემდეგ ჭიშკარს მიეფარა.

პეგოტიმ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უძრავად იდგა და ერთი ხმა არ ამოუღია, საჩქაროდ გაუყარა კარებს რკინის ურდული, და ჩვენ ყველანი სასტუმროში შევედით. დედა არ დაჯდა ჩვეულებისამებრ სავარძელში ბუნხართად; იგი სასტუმროს მეორე ბოლოში გადავიდა და ნელი ხმით რაღაც მელოდიას მღეროდა.

– იმედი მაქვს, იმხიარულეთ, ქალბატონო? – ჰკითხა პეგოტიმ, რომელიც სანთლით ხელში ოთახის შუაგულში შეჩერდა.

– გმადლობთ, პეგოტი, – უპასუხა დედამ მხიარული კილოთი. დიას, ძალიან სასიამოვნო საღამო იყო.

– ახალ ხალხთან, უეჭველია, სასიამოვნოა დროს გატარება, – შენიშნა პეგოტიმ.

– ძალიან სასიამოვნოა, – დაუდასტურა დედაჩემმა.

პეგოტი განაგრძობდა ოთახის შუაგულში უძრავად დგომას. დედამ ისევ ღიღინი მორთო.

მე დამეძინა, მაგრამ არც ისე, რომ სრულებით არა გამეგო-რა. როცა თველემისაგან გამოფხნიზლდი და თვალები გაეახილე, დედაც და პეგოტიც – ორივე თვალცრემლიანები იყვნენ და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

– არა, მაგისტანა ადამიანი არ მოეწონებოდა მისტერ კოპერფილდს, ცოცხალი რომ იყოს, – თქვა პეგოტიმ. – ამაში თუნდ ფიცს დავდებ, დიას!

– აჰ, რას ამბობთ! – შესძახა დედამ. – თქვენ გამაგიჟებთ, პეგოტი, როდის და სად მოუთმენიათ საბრალო ქალიშვილებს ამგვარი შეურაცხყოფა თავიანთი მოახლისაგან?.. ან რად ვეძახი ჩემს თავს ქალიშვილს? განა გათხოვილი არ ვიყავი, პეგოტი?

– დიხაც რომ იყავით, – უპასუხა პეგოტიმ.

– მაშ როგორა ბედავთ, – განაგრძო დედამ, – ესე იგი, მე მინდოდა მეთქვა, როგორ ვიდლებთ გული, პეგოტი, რომ ასეთ ცუდ სიტყვებს მეუბნებით, როცა მშვენიერად იცით, რომ ამ სახლს იქით არც ერთი გულწრფელი მეგობარი არა მყავს!

– აი სწორედ იმიტომ ვბედავ, – უპასუხა პეგოტიმ. – როგორც გენებოთ, ქალბატონო, და ეგ არ ვარგა! დიახ, არ ვარგა! ნუ გამიწყრებით, და კიდევ ვიტყვი, რომ არ ვარგა!

პეგოტი ისეთი გამწარებული ლაპარაკობდა, რომ ვფიქრობდი შანდალს იატაკზე დაანარცხებს-მეთქი.

– ო, რატომ არა გრცხვენიათ, პეგოტი, რომ ასე მაწყენინეთ! – უთხრა დედამ და უფრო მეტად ატირდა. – რატომ გგონიათ, რომ ჩვენს შორის ყველაფერი გადაწყვეტილი და გათავებულია? გარკვევით გელაპარაკებით, რომ გარდა სულ უბრალო თავაზიანობისა, ჯერ არაფერი არა ყოფილა-რა, და უეჭველია, არასოდეს არც იქნება. თქვენ ამბობთ, რომ ჩემთვის გიჟდებიან, – მერე რა ვქნა? განა ეგ ჩემი ბრალია? განა შემძლია ვაჟკაცების გრძნობათა შეკავება, თუკი ისინი ასეთი სულელები არიან? რა ვქნა ამ შემთხვევაში, გეკითხებით? ხომ არ მიბრძაბნეთ, თავი მოვიარსო, შავი ფერით მოვითხუპნო სახე, ან კიდევ სხვაგვარად დავიმახინჯო თავი? თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია, პეგოტი. თქვენ ძალიან გინდათ, რომ მე მახინჯი ვიყო.

ეს საყვედურები, როგორცა ჩანდა, ძალიან ეწყინა პეგოტის.

– აი, ჩემი ბიჭუნა, ჩემი საყვარელი დევი, – თვალცრემლიანი განაგრძობდა დედა და მიუახლოვდა სავარძელს, რომელშიც ვიჯექი. – ნუთუ ვინმეს შეუძლია მისაყვედუროს, რომ საკმარისად არ მიყვარს ეს მშვენიერი ბავშვი?

– ვერავინ და ვერასოდეს ვერ გაბედავს, ქალბატონო, რომ ეგ გისაყვედუროთ, – უთხრა პეგოტიმ.

– თქვენ მისაყვედურეთ, თქვენ, პეგოტი! – უპასუხა დედამ. – მაშ სხაგვარად როგორ გავიგო ყველა ეს საწყენი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი? თქვენ ძალიან კარგად იცით, პეგოტი, რომ მხოლოდ დევის გულისათვის არ ვიყიდე ახალი ქოლგა, თუმცა ჩემი ძველი მწვანე ქოლგა სრულებით გახუნდა და ფოჩიც მთლად გაუცვდა. დიახ, ეს თქვენ ძალიან კარგად იცით, პეგოტი, ამაზე უარს ვერ იტყვით!

მერე დედამ მაკოცა განსაკუთრებული სინაზით და ისევ განაგრძო. ახლა უკვე პირადად მე მომმართავდა.

– მითხარი, ცუდი დედა ვარ, დევი? ბოროტი, ანჩხლი, თავმოყვარე? არა, დევი? მითხარი „ჰო“, ჩემო ანგელოზო, მითხარი, ჩემო შვილო, – და პეგოტის ეყვარები, დევი, მისი სიყვარული უფრო ძვირფასი იქნება შენთვის, ვიდრე ჩემი. მე შენ სრულებით არ მიყვარხარ... დიახ, სრულებით არ მიყვარხარ!..

ამ სიტყვებთან ერთად ყველანი ხმამაღლა ავტირდით გულწრფელი ცრემლებით, და შეიძლება ყველა ხმამაღლა მე ვტიროდი. მართლაც, სვედსაგან

გული მისკდებოდა და, მგონი, წყენის პირველ წუთში მე პეგოტის „ბოროტი ნადირი“ ვუწოდე. კეთილი ქალი ძალიან ნაწყენი იყო და, რამდენადაც მახსოვს, ამ დროს დაჰკარგა თითქმის ყველა თავისი დიდი, იმიტომ, რომ ვერც ერთი ვეღარ შევნიშნე, როდესაც, დედასთან შერიგების შემდეგ, მან მუხლებზე დაიწოქა საგაძლის წინ, რომ ჩემთანაც მშვიდობა დაემყარებინა.

ამის შემდეგ პეგოტი გაცილებით უფრო იშვიათად რჩებოდა საღამოობით ჩვენთან, ვიდრე უწინ. დედა დიდი ყურადღებით ექცეოდა მას, – იქნებ მეტი ყურადღებით, ვიდრე ოდესმე, და ჩვენ, სამივენი, ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ მაინც რაღაც უცნაური ცვლილება მოხდა. ჩვენს სახლში აღარ იყო უწინდელი სილაღე და სიმხიარულე. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს პეგოტი უშლიდა დედას ფერადი კაბების ჩაცმას, ტანისამოსისი კარადაში რომ ეკიდა, და ისეც ხდებოდა, რომ იგი ეხვეწებოდა დედას – არ წასულიყო სტუმრად; მაგრამ რით იყო გამოწვეული ყოველივე ეს, ვერ მივხვედრილიყავ.

ნელ-ნელა შევეჩვიე შავთმიანი და ბაკენბარდებიანი ჯენტლმენის შეხვედრას ჩვენს სახლში. მე არ მიყვარდა იგი ისევე, როგორც უწინ, და მოუსვენარი იჭვიანობა ყოველთვის მაწუხებდა ამ კაცის დანახვის დროს.

ერთხელ, შემოდგომა დილით, როცა მე და დედა ბაღში ვსეირნობდით, მისტერ მორდსტონი, – მე უკვე ვიცოდი მისი სახელი, – ცხენით მოადგა ბაღის ღობეს. შეაჩერა ცხენი, თავი დაუკრა დედას და უთხრა, რომ ლოუსტოფტში მივდივარ მეგობრების სანახავად; მერე მხიარულად მკითხა, მიყვარს თუ არა ცხენით სეირნობა, და შემომთავაზა მასთან ცხენზე შეჯდომა.

მე გამგზავნეს პეგოტისთან – ცხენზე საჯდომი ტანისამოსის ჩასაცმელად. მისტერ მორდსტონი ჩამოხტა ცხენიდან, აღვირი მხარზე გადაიღო და სეირნობა დაიწყო სურნელოვანი ასკილის ღობის გადაღმა, დედაჩემი კი ნელ-ნელა დადიოდა ბაღში იმავე ღობის აქეთ და თან ელაპარაკებოდა. მახსოვს, როგორ ვუცქეროდით მათ მე და პეგოტი ჩემი საწოლი ოთახის პატარა ფანჯრიდან, როგორ ახლოს შეჩერდნენ ისინი ერთმანეთის წინ და რაღაცას სინჯავდნენ ასკილზე. პეგოტი, რომელიც ერთი წუთის წინ მშვენიერ გუნებაზე იყო, უცებ გაიბუტა და დამიწყო თმების ვარცხნა, არც სრულებით არ იყო საჭირო.

მაღე მე და მისტერ მორდსტონი მივაჭენებდით ცხენს მწვანე მინდროზე, შარავხის გვერდით. მას ძალიან მოხერხებულად ვეჭირე ერთი ხელით, და ამხანად არ ვგრძნობდი ჩვეულებრივს შეწუხებას.

ჩვენ მივედით ზღვის სანაპიროსთან მყოფ სასტუმროში, სადაც ორი ჯენტლმენი დაგვხვდა. ისინი სიგარებს ეწეოდნენ. ორივეს განიერი, გახსნილი ქურთუკები ეცვა. თითოეული, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ოთხ სკამზე მაინც იწვა. ოთახის კუთხეში ერთ ბოღში შეკრული ყვარა სერთუკები, ბაირალი და მეზღვაურების წამოსასხამები.

ჩვენი შესვლისთანავე ჯენტლმენები სწრაფად წამოხტნენ ფეხზე და ერთხმად შეჰყვირეს:

– ა! მორდსტონ! ნუთუ ეს თქვენ ხართ! ჩვენ გვეგონა, რომ უკვე მკვდარი იყავით!

– ჯერ არა, როგორცა ჰხედავთ, – უპასუხა მისტერ მორდსტონმა.

– ეს ჭაბუკი ვილაა? – იკითხა ერთმა ჯენტლმენთაგანმა და ჩემზე მიუთითა.

– ეს დევია.

– ვინ დევი, ჯონსი?

– კოპერფილდი, – აუხსნა მისტერ მორდსტონმა.

– როგორ! იმ მშვენიერი ქვრივის ბიჭუნაა, მომხიბლავი მისის კოპერფილდისა?

– კვინიონ, გთხოვთ, ფრთხილად იყოთ, – უთხრა მისტერ მორდსტონმა. – აქ გვისმენენ.

– აქ გვისმენს? – იკითხა ჯენტლმენმა მხიარული სიცილით.

მე სწრაფად მივიხედ-მოვიხედე ყოველ მხარეს, მაინტერესებდა, ვისი ვრდიდებოდათ.

– შეფილდელი ბრუქსი, – უპასუხა მ-რ მორდსტონმა.

მე გულს მომეშვა, როცა ეს სახელი წარმოთქვა, რადგან პირველად ისე მეჩვენა, თითქოს ლაპარაკი ჩემზე იყო.

აღბათ რაღაც ძალიან სასაცილო იყო ამ შეფილდელი ბრუქსის პიროვნებაში, რადგან ჯენტლმენები მის ხსენებაზე სიცილით დაიხოცნენ.

– მერე, რასა ფიქრობს ეს შეფილდელი ბრუქსი ერთ საინტერესო პროექტზე?

– ჯერჯერობით, მგონია, მას არაფერი ესმის ამ საქმეებისა, – უპასუხა მ-რ მორდსტონმა, – მაგრამ, საზოგადოდ, თუ არ ვცდები, ბრუქსი არ იქნება ჩემს მხარეზე.

ისევ საერთო სიცილი ატყდა. შემდეგ მისტერ კვინიონმა უბრძანა – ერთი ბოთლი ხერესი მოეტანათ ბრუქსის პატივსაცემად. როცა მსახურმა ღვინო მოიტანა, მ-რ კვინიონმა დამისხა ერთი ჭიქა, ნამცხვარი მომცა, მერე ადგა თავისი ადგილიდან და თქვა:

– დაე, შეფილდმა ბრუქსმა კისერი მოიტეხოს!

ყველამ აღტაცებით მიიღო ეს სადღეგრძელო და ტაში დაუკრეს. მეც გავიციე, და მათ კიდევ უფრო მოუმატეს ტაშისკვრას. ერთი სიტყვით, ყველანი გაემხიარულდით.

ამის შემდეგ ყველანი წავედით ზღვის ციცაბო ნაპირისაკენ სასეირნოდ და ბალახზე დაესხედით. აქედან ჯენტლმენებმა დაიწყეს დურბინით სხვადასხვა საგნების თვალიერება. ჩვენ ავედით აგრეთვე ხომალდზე, სადაც სამივე ჯენტლმენი ჩავიდა კაიუტაში რაღაც სააქმეებისათვის. ისინი იქ დიდხანს სინჯავდნენ და კითხულობდნენ რაღაც ქაღალდებს. ამას მე კაიუტის სარკმლიდან ვხედავდი.

ჩემი დაკვირვებით, მთელი ამ დღის განმავლობაში მ-რ მორდსტონი უფრო დინჯი და სერიოზული იყო, ვიდრე დანარჩენი ორი ჯენტლმენი, ისინი მეტად მხიარულნი და უდარდელნი გამოდგნენ. ჯენტლმენები დაურიდებლად ესუბრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ხუმრობა ძალიან იშვიათად იყო მიმართული მორდსტონისადმი. ცხადი იყო, რომ იგი ორივეზე გონიერი და ჭკუადაძვიარი იყო. მე შევნიშნე, რომ ერთხელ-ორჯერ მისტერ კვინიონმა საუბრის დროს გვერდზე გადმოჰხედა მისტერ მორდსტონს, თითქოს უნდოდა გაეგო, კმაყოფილი იყო თუ არა იგი მისი ლაპარაკით. მე ისე მახსოვს, თითქოს მისტერ მორდსტონს, არ გაუცინია იმ დღეს, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა ლაპარაკი უცნობ შეფილდელ ბრუქსზე ჩამოვარდა, – და ეს მისი ერთადერთი ხუმრობა იყო.

საღამოს, ჯერ ისევ თვალნათლივ, ჩვენ შინ დავბრუნდით. მშვენიერი საღამო იყო. დედა და მისტერ მორდსტონი ისევ მოჰყვნენ სეირნობას სურნელოვან ასკილის ღობის იქითა და აქითა მხარეს. მე პეგოტისთან გამეზავნეს ჩაის დასალევად.

მისტერ მორდსტონის წასვლის შემდეგ დედა დიდხანს მეკითხებოდა, როგორ გავატარე ეს დღე. სხვათა შორის, ვუამბე, რა ითქვა იმის შესახებ. დედამ გაიცინა და შენიშნა, რომ ყველა ისინი ქარაფშუტა ხალხია, სისულელეზე გადარეული; მაგრამ ვიცოდი, რომ ეს დედას ძალიან მოსწონდა. მე ვიცოდი ძალიან კარგად, ისე, როგორც ახლა ვიცი. ვისარგებლე შემთხვევით და ვკითხე, ვინ არის ეს შეფილდელი მისტერ ბრუქსი-მეთქი? დედამ მიპასუხა, არ ვიცი, თუცა შეიძლება მექარხნე იყოს, რომელიც დანა-ჩანგალს აკეთებსო.

დროთა სიშორის გამო, ისე მეჩვენება, თითქოს პეგოტის მეორე დღესვე მოუვიდა აზრად, მოეცა ჩემთვის ერთი მეტად უცნაური და გაბედული წინადადება, მაგრამ, უეჭველია, ეს მოხდა ერთი-ორი თვის შემდეგ.

ერთხელ, საღამოს, როცა დედა კვლავ სახლში არ იყო, ჩვენ ორნი ვისხედით სასტუმრო ოთახში ბუხართან. პეგოტი წინდასა ჰქსოვდა; მე ვაპირებდი ნიანგების შესახებ წიგნის კითხვას. რამდენჯერმე ისე მეჩვენა, თითქოს პეგოტის რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ იგი მხოლოდ ადებდა პირს და ისევ ჰკუმაავდა. მე ჯერ მომეჩვენა, თითქოს მხოლოდ ამოქნარებდა, მაგრამ ბოლოს პეგოტიმ მითხრა:

– რას იტყვით, მისტერ დევი, მე რომ აზრად მომივიდეს დაგპატიუთ ჩემს ძმასთან იარმაუთში სტუმრად, ერთი-ორი კვირით? ჩემთვის და თქვენთვის ეს ნამდვილი დღესასწაული იქნებოდა, არა?

– მერე, თქვენი ძმა კარგი კაცია, პეგოტი? – ვკითხე მე.

– ოჰ, მერე, აღარ იტყვით, რა კარგია! – მიპასუხა მეგოტიმ. – იქვეა ზღვაც, ნაგები, გემები და მეზღვაურები. თქვენ შეგიძლიათ ითამაშოთ ზღვის პირას, ჩემს ძმისწულეებთან ერთად!

– მერე, დედა რას იტყვის? გაგვიშვებს? – ვკითხე მე, მოხიბლულმა ამდენი სიამოვნებით.

– ამაზე ნუ შეწუხდებით, – მიპასუხა პეგოტიმ და თან მაკვირდებოდა, – მე მზადა ვარ, დაგენიძლოთ, რომ დედა ხმასაც არ ამოიღებს. გინდათ, ვკითხოთ, როგორც კი სახლში დაბრუნდება?

– კარგი, პეგოტი. ოღონდ აი რას გეტყვით: – ვუთხარი მე. – მერე, ჩვენ რომ აქედან წავალთ, დედა რას იზამს? ხომ არ შეიძლია მარტოკა დარჩეს?

– აჰ, განა თქვენ არ იცით, მისტერ დევი?

– რა? – დედათქვენი ამ დღეებში სტუმრად მიდის მისის გრეიპერთან და მთელი ორი კვირა დარჩება მასთან.

დიდი მოუთმენლობით ველოდი დედის დაბრუნებას. მისის გრეიპერი ჩვენი მეზობელი იყო, და დედამ, ეს რამდენიმე ხანია, მოუხშირა მასთან სიარულს. სრულებით მოულოდნელად, დედა, დაბრუნებისას, მაშინვე დაეთანხმა პეგოტის წინადადებას და ჩვენ იმ საღამოსვე შევუდექით გასამგზავრებლად მზადებს.

მალე წასვლის დღეც დადგა. თუმცა ძალიან მეშინოდა, რომ მიწისძვრას ან ბუნებრივ რაიმე მოვლენას არ ჩაეშალა ეს ექსპედიცია. ჩვენ უნდა გავმგზავრებულიყავით ეტლით, დილით, საუზმის შემდეგ. მე მზად ვიყავი უარი მეთქვა მთელ ჩემ შეგროვილ ფულზე, ოღონდ ეს ღამე სამგზავრო წამოსასხამითა და ჩექმებით გამეტარებინა.

ახლაც კი სევდა მერევა, როცა ვიგონებ, როგორი მოუთმენლობით ვნატრობდი იმ დროს ჩემი ბედნიერი სახლის დატოვებას, და სრულებით ფიქრად არ მომდიოდა, რომ სამუდამოდ ვკარგავდი მას.

თუმცა დიდი კმაყოფილებით სხვა რამეც მაგონდება: როცა ალაყაფის კარებს ეტლი მოადგა და დედამ გამოთხოვებისას კოცნა დამიწყო, სიყვარულმა მისდამი და მშობლიური კერისადმი, რომელსაც მე ჯერ არასოდეს არ მოვშორებოვარ, უნებური ცრემლები მომგვარა. დედაც ტიროდა, და მე ვგრძნობდი, როგორ ძლიერად სცემდა მისი გული ჩემს მკერდთან.

როცა ჩვენ ადგილიდან დავიძარით, დედა გამოიქცა და მეეტლეს უბრძანა, შეჩერებულიყო; მას უნდოდა, ერთხელ კიდევ ეკოცნა ჩემთვის და გულში ჩავეხუტებინე. დიდი სიამოვნებით ვჩერდები ამ წვრილმანებზე, რომელნიც უსათუოდ ამტკიცებენ მის დედობრივ სიყვარულს ერთადერთი შვილისადმი.

ეტლი უკვე საბოლოოდ დაიძრა ადგილიდან, დედა კი ისევ იდგა გზაზე, იმ ადგილას, სადაც ჩვენ გაგვშორდა. მალე მასთან მივიდა მისტერ მორდსტონი, რომელიც, როგორცა ჩანდა, სტუქსავდა მას მეტისმეტი მგრძობიარობისათვის გამოთხოვების დროს. ძალიან გამიკვირდა – რა ესაქმებოდა ამ კაცს დედაჩემის გრძნობებთან? პეგოტიც მეტად უკმაყოფილი იყო და ძალიან გაჯავრებული სახე ჰქონდა.

ვაკვირდებოდი პეგოტის სახეს და ჩაეფიქრდი. უსაქმურობისაგან ჩემს თავს ასეთი ამოცანა მივეცი: პეგოტიმ რომ დამკარგოს გზაში ისე, როგორც ერთ

ზღაპარში პატარა ბიჭი დაკარგეს, მივაგნებ თუ არა სახლს იმ დღეების მიხედვით, რომლებსაც იგი ახლა დააბნევს-მეთქი?

## თავი მესამე

### ცვლილება

მეგონა, რომ ქვეყანაზე არ იყო ცხენი, იმ ჯაგლაზე უფრო ზანტი, რომლითაც ჩვენ იარმაუთში მივდიოდით. იგი რის ვაი-ვაგლახით მიჩანჩალავდა დაბლა თავდახრილი. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს იგი ფრუტუნით დასცინოდა ჩვენს მოუთმენლობასა და წყენას, მაგრამ მეეტლემ აგვისხნა, რომ მისი ჩვეულებრივი ხელა იყო, რომლითაც იტანჯებოდა ეს რამდენი ხანია.

თვითონ მეეტლემ, ცხენის წაბაძვით, თავდახრილი იჯდა კოფოზე, ხელები მუხლებზე დაელაგებინა და თითქოს სანახევროდ სძინავსო, ისე „მართავდა“ ცხენს. იგი ხმას არ გვცემდა და მხოლოდ უსტვენდა.

ჩვენ კარგა ხშირად გვიხდებოდა შარავიდან გადახვევა: საუზმისთვის, სადილისთვის, სამხრისთვის, ვახშმისთვის, დამის გასათევად კი სასტუმროებსა და ბარაკებში ვჩერდებოდით. ყოველივე ამან მეტად დამდალა და ძალიან გამიხარდა, როცა, ბოლოს, იარმაუთი დავინახეთ.

როცა შევუხვიეთ ქუჩაში, რომელიც პირველად უცნაური მეჩვენა, ცხვირში გვეცა თევზის, ფისის, კანაფისა და კუპრის მაგარი სუნი, დავინახეთ მეზღვაურები გასანთლული ქუდებით, ყოველ წამს ვხვდებოდით ფურგონებს, რომლებიც ქვებზე ნჯღრევით მირახუნებდნენ.

– აგერ ქამიც! – შეჰყვირა პეგოტიმ. – როგორ გაზრდილა! ვერც კი იცნობ!

მის პეგოტის ძმისწული მართლაც სასტუმროს კარებთან გველოდა. ეს იყო ღონიერი, საკმაოდ მსხვილი და მხარბეჭიანი ყმაწვილი ექვსი ფუტის სიმაღლისა, მოღიმარი ბავშვური სახით და ქერა ხუჭუჭა თმით, რომელიც მას ბატკანს ამსგავსებდა. ტილოს ქურთუკი ეცვა და შარვალი ისე გახვევებოდა, რომ თავისუფლად დადებოდა მიწაზე უმისფეხებოდ. ქუდის მაგივრად თავს უფარავდა რაღაც, ძველი შენობის სახურავის მსგავსი ნივთი.

ქამს ზურგზე აკიდებული მივყავდი. ქუჩის მისახვევ-მოსახვევები ყველგან სავსე იყო აუარებელი ქვიშიტა და ღორღით. ჩვენი გზა მიდიოდა გაზისა და თოკის ქარხნების, ნავსაშენების, დიდი საწყოებისა, უზარმაზარი ეზოებისა და სხვა ამგვარი ადგილების გვერდით. ბოლოს გავვდიეთ მოსაწყენ ცარიელ მინდორზე ზღვის პირას. ქამმა მითხრა:

– აი ჩვენი სახლიც, მასტერ დევი!

მე გავიხედე ყოველ მხარეს, – ზღვისაკენ, მდინარისაკენ, მინდვრისაკენ, მაგრამ ჩვენს ახლოს სახლის მსგავსი არსად არა იყო რა. ნაპირზე მოჩანდა მხოლოდ დიდი შავი საბარგო ნავი თუ ძველი გემი, რომელსაც ღუმელის მილის მაგივრად მოგრძო რკინის ძაბრი ეკავა.

– სად არის სახლი? – ვკითხე მე. – მე მხედავ მხოლოდ შენობას, რომელიც ხომალდსა ჰგავს.

– აი, სწორედ ეგ არის ჩვენი სახლი, მასტერ დევი, – მიპასუხა ქამმა.

ეს რომ აღადინის სასახლე ყოფილიყო, ან ზღაპრული ციხედარბაზი მარგალიტის კედლებითა და ბროლის ჭერით, ასეთ აღტაცებაში არ მოვიდოდი, როგორც ახლა. გვერდზე ლამაზი პატარა კარი იყო, თან პაწაწინა ფანჯრები კარის ორთავ მხარეს, მაგრამ მის უმთავრეს მშენიერებას ის შეადგენდა, რომ ეს ნამდვილი გემი იყო, რომელსაც უეჭველია, ასჯერ მაინც მოევლო ქვეყანა. ეს რომ ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი ყოფილიყო, უეჭველია, მოუხეშავი, ვიწრო და მეტად მოსაწყენი მეჩვენებოდა; მაგრამ ნამდვილი გემი, ნაპირზე საცხოვრებლად

მოწყობილი, – რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამაზე უფრო ფანტასტიკური და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, ჩემი ბავშვური წარმოდგენისათვის!

შიგნით ყველაფერი სუფთა, ლამაზი და გაკრიალებული იყო. აქ იყო მაგიდა, კედლის საათი და კამოდი. კამოდზე იდგა დიდი სინი და ზედ დახატული იყო ქოლგიანი ლედი, რომელიც დასეირნობდა პატარა, ვაჟკაცური შეხედულების ბიჭთან ერთად. ეს ბიჭი რგოლს აგორავებდა. კედელზე ეკიდა მინიან ჩარჩოებში ჩასმული სურათები. ამ სურათების შინაარსი უმთავრესად „დაბადებიდან“ იყო აღებული. როცა, შემდეგში, მე შემხვედრია ქუჩაში, ხელზე მოვაჭრეებთან, მხატვრული ხელოვნების ეს ნაწარმოები, ყოველთვის ცოცხლად წარმომიდგებოდა ხოლმე პეგოტის ძმის სახლის მთელი მოწყობილობა. ბუხრის პატარა თაროს ზემოთ ეკიდა ერთი საკვირველი სურათი, რომელზედაც დახატული იყო პაწაწინა ხომალდი, ნამდვილი ხის ცხვირით, რომელიც ხელოვნურად იყო მიწებებული სურათზე, – მხატვრული ნაწარმოები, სადაც შეერთებულიყო დურგლობის ხელობა და მხატვრუბის ხელოვნება. ამაზე ძვირფასი და მოხდენილი ვერაფერი წარმომედგინა ქვეყანაზე. კედელთან ჩამწკრივებული სკივრები და ყუთები მშვენივრად ასრულებდნენ სკამების დანიშნულებას და ამთავრებდნენ ამ საუცხოო ბინის მორთულობა.

ყველივე ეს დავათვალიერე იმწამსვე, როგორც კი ფეხი შევდი სახლში. მალე პეგოტიმ გააღო პატარა კარები და მიჩვენა ჩემი საწოლი ოთახი. ეს იყო ყოველმხრივ მშვენიერი საწოლი, როგორც კი შეიძლებოდა გამართულიყო გემის ცხვირზე. აქ იყო: პაწაწინა სარკმელი, გაკეთებული იმ ნახვრეტში, სადაც წინათ საჭე ყოფილიყო; პატარა სარკე, ლოკოკინების ნიჟარების ჩარჩოთი, დამაგრებული კედელზე ჩემს სიმაღლეზე; ლოგინი, რომელსაც თითქმის მთელი ოთახი ეჭირა, და მაგიდაზე, ცისფერ ფინჯანში, წყლის მცენარეთა თაიგული.

ძალიან აღერსიანად მიგვიღო თეთრწინსაფრიანმა დედაკაცმა, რომელიც კარებთან იდგა. მე დავინახე იგი ქამის ზურგს იქიდან, ალბათ კილომეტრის მეოთხედის სიშორეზე მაინც, იგი წამდაუწუმ თავს გვიკრავდა და რევერანსს გვიკეთებდა, სანამ მას ვუახლოვდებოდით. აქვე იდგა მშვენიერი გოგონა, ლურჯი მძივის ფარდულით ყელზე; როცა მისი კოცნა მოვინდომე, დაიმაღა. მოვუსხედით თუ არა მაგიდას, კარებში გამოჩნდა ხშირთმიანი და კეთილი სახის ვაჟკაცი. მან პეგოტის „გოგო“ უწოდა და ერთი მაგარი კოცნა მიაკრა ლოყაზე. აქედან დავასკენი, რომ ეს პეგოტის ძმა უნდა ყოფილიყო. ეს მართლაც ასე იყო: იგი გამაცნეს, როგორც მისტერ პეგოტი, სახლის უფროსი მასპინძელი.

– დიდად მიხარია თქვენი ნახვა, სერ, – მითხრა მისტერ პეგოტიმ. – ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, მაგრამ ყოველთვის მზად ვართ გემსახუროთ.

მადლობა გადაუხადე და ვუპასუხე, რომ იმედი მაქვს, ბედნიერი ვიქნები ასეთ მშვენიერ ალაგას-მეთქი.

– დედათქვენი როგორ ბრძანდება, სერ? – მკიხა მისტერ პეგოტიმ.

– სრულიად ჯანმრთელად, დიდად გმადლობთ.

– მხიარულად იყო გამოთხოვებისას?

– ო, დიას, ისე მხიარულად, რომ მეტი არ შეიძლებოდა. დედა სალამს გიძღვნით, მისტერ პეგოტი, – ვუპასუხე მე, რადგან ეს ზრდილობიანი სიცრუე აუცილებლად მივჩნეე.

– დიდად ვმადლობ დედათქვენს, – მითხრა მისტერ პეგოტიმ. – მაშ თქვენ ორი კვირით გვესტუმრეთ?

– დიას.

– ძალიან კარგი. ჩემი და, ქამი და პატარა ემილია ყოველნაირად ეცდებიან, რომ არ მოგეწყინოთ.

როცა ამგვარად, პირველ შეხვედრისას მისტერ პეგოტიმ შეასრულა ზრდილობიანი მასპინძლის მოვალეობა, იგი წავიდა ცხელი წყლით პირის დასაბანად და თან სრულებით საფუძვლიანად შენიშნა, რომ ცივი წყალი ვერ



მოაშორებს სქელ ჭუჭყს მის ხელებსა და სახეს. მალე იგი ისეთი წითელი დაბუნდა, რომ უნებურად მომაგონდა აღულებული წყლისგან გაწითლებული შავი კიბოები.

ჩაის შემდეგ, როცა კარები დაკეტეს და ოთახები მილაგდა (უკვე ცივი და ბურუსიანი ღემები იდგა), ეს პატარა სახლი უფრო მშვენიერი მეჩვენა, ვიდრე დღისით.

იჯდე ბუხართან სითბოში და ამ დროს გესმოდეს ქარის ზუზუნი ზღვაზე, იცოდე, რომ ბურუსი სქელ ზეწრად ეფინება მთელ ამ თვალუწვდენ სივრცეს და თან წარმოიდგინო, რომ გარშემო არ არის სხვა თავშესაფარი, გარდა ჩვენი სახლისა, და ეს სახლი გემია, – ეს ნამდვილი მშვენიერება იყო! პატარა ემილიამ დასძლია მორცხვობა და ჩემს გვერდით სკივრზე ჩამოჯდა. თეთრწინაფრიანი მის პეგოტი წინდასა ქსოვდა ბუხრის მეორე მხარეს. მისტერ პეგოტი ჩიბუსსა სწევდა. ვიგრძენი, რომ გულახდილი ლაპარაკის დრო დადგა.

– მისტერ პეგოტი! – ვუთხარი მე.

– გისმენთ, სერ.

– იმიტომ ხომ არ დაარქვით თქვენს ვაჟს ქამი, რომ კიდობანში ცხოვრობთ?

როგორც ჩანდა ამ კითხვაში მისტერ პეგოტიმ ღრმა აზრი იპოვა. ერთი წუთის დუმილის შემდეგ მიპასუხა:

– არა სერ, მე მისთვის არაფერი მიწოდებია.

– მაშ ვინ დაარქვა მას ეს სახელი?

– მამამისმა.

– მე კი მეგონა, რომ სწორედ თქვენ ხართ მამამისი!

– ჩემი ძმა ჯო იყო მისი მამა.

– მოკვდა?

– წყალში დაიხრჩო.

ძალიან გამოკვირდა, რომ მისტერ პეგოტი არ გამოდგა ქამის მამა, და შევეჩვიე, სწორედ კი მქონდა წარმოდგენილი ამ ადამიანის ნათესაური დამოკიდებულება გარშემო მყოფთადმი? ჩემი ცნობისმოყვარეობა უადრესად იყო გაღიზიანებული, და გადავწყვიტე – მისტერ პეგოტისთან საუბარში გამომერკვია ეს საკითხი.

– პატარა ემილია? – ვკითხე და ემილიას შევხედე, – იგი ხომ თქვენი ქალიშვილია, მისერ პეგოტი, არა?

– არა სერ, ჩემი სიძე თომა იყო პატარა ემილიას მამა.

– თქვენი სიძე მოკვდა, მისტერ პეგოტი?

– წყალში დაიხრჩო.

ისევ სიჩუმე. გამიძნელდა ლაპარაკის გაგრძელება, მაგრამ ძალიან მინდოდა დაწვრილებით გამეგო დანარჩენები.

– განა თქვენ არა გყავთ შვილები, მისტერ პეგოტი?

– არა, სერ, მე უცოლო ვარ.

– უცოლო ხართ?.. მაშ ვინ არის ეს ქალი, მისტერ პეგოტი? – მივუთითე წინსაფრიან დედაკაცზე, რომელიც წინდას ქსოვდა.

– ეს მისის გუმიჯია, სერ.

– გუმიჯი, მისტერ პეგოტი?

– დიახ, სერ.

მაგრამ ამ დროს პეგოტიმ, ჩემმა საკუთარმა პეგოტიმ – დიდმნიშვნელოვნად მანიშნა ხელით, რომ შემეწყვიტა შეკითხვები. როცა დასაძინებლად წავედი ჩემს საწოლში, პეგოტიმ საიდუმლოდ მიაშბო, რომ ქამი და ემილია, მისი ძმისწული და დისწული, ობლები იყვნენ და ჩემმა ძმამ ჯერ კიდევ ბავშვებაში იშვილა, როცა ისინი ღვთის ანაბარად იყვნენ დატოვებულნი და არსებობის არავითარი სახსარი არ ჰქონდათო. მისის გუმიჯი ქვრივი იყო მისტერ პეგოტის ერთი ამხანაგისა, მეთევზისა, რომელიც დიდ სიღარიბეში მომკვდარა. „ჩემი ძმა არც თვითონ არის

მდიდარი ადამიანი“, – განაგრძო პეგოტიმ, – „მაგრამ ოქროსავით გული აქვს და კაჟით საიმედოა!“ – ასეთი იყო მისი შედარებანი. მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო გაეჯავრებინა მისი ძმა: ეს იყო მისი დიდსულოვნების ქება. როცა ერთხელ ერთმა მისგან შეხიზნულმა ობოლმა ამის შესახებ თქვა, მისტერ პეგოტიმ ისე საშინლად დაჰკრა მარჯვენა ხელი მაგიდას, რომ მაგიდა იმწამსვე დაიმსხვრა.

როგორც კი ალიონმა გაანათა ჩემი სარკის ლოკოკინების ჩარჩო, წამოვხტი საწოლიდან და ზღვის ნაპირზე გამოვედი; აქ მე და ემილიამ კენჭების მოგროვება დავიწყეთ.

– თქვენ ნამდვილი მეზღვაური ხართ, ემილია – ვუთხარი მე.

არა მგნია, რომ მართლა დარწმუნებული ვყოფილიყავი ამაში, მაგრამ ზრდილობა მოითხოვდა, როგორც მეგონა, რითიმე დამეწყო საუბარი. ჩვენს წინ ღამაზად იხატებოდა მიმავალი ნავის იალქანი, და სწორედ ამ სურათმა გამოიწვია ალბათ ემილიას შედარება მეზღვაურთან.

– არა, – მიპასუხა ემილიამ თავის ქნევით, – მე მეშინია ზღვისა.

– გეშინიათ! – ვთქვი და უშიშარი თვალები მივაპყარი ოკეანეს. – მე კი არ მეშინია.

– აჰ, იგი სასტიკია, – განაგრძო ემილიამ, – ვნახე, რა საიმკაცრით მოექცა იგი ზოგიერთ ჩვენგანს. ვნახე, როგორ წვრილ ნაფოტებად აქცია ერთი გემი, ისეთივე მაღალი, როგორიც ჩვენი სახლია.

– იმედი მაქვს, რომ ეს ის გემი არ იყო...

– რომელზედაც ჩემი მამა დაიხრჩო? – დააბოლოვა ემილიამ. – არა, ის გემი არასოდეს არ მინახავს.

– მამა კი გინახავთ?

ემილიამ თავი გაიქნია.

– შეიძლება მინახავს კიდევ, მაგრამ არ მახსოვს, – თქვა მან ერთხანს სიჩუმის შემდეგ, – ჩემი მამა მეთევზე იყო, დედა მეთევზის შვილი იყო; ბიძაჩემი დანიც მეთევზეა.

– ეს დანი მისტერ პეგოტია? – ვკითხე მე.

– აგერ იქ არის ბიძაჩემი დანი, – მიპასუხა ემილიამ და გემის სახლზე მიმითითა.

– დიახ, მეც ეგრე ვფიქრობდი. იგი ძალიან კეთილია, არა?

– კეთილი? – თქვა ემილიამ. – მაღალი წოდების ლედი რომ ვიყო, ვაჩუქებდი მას ლურჯ ფრაკს, ბრილიანტის დილვებით, ნანკის შარვალს, წითელი ხავერდის ჟილეტს, სამკუთხა ქუდს, დიდ ოქროს საათს, ვერცხლის ჩიბუხს და ფულით სავსე ყუთს.

მე ვუპასუხე, რომ მისტერ პეგოტი უსათუოდ ღირსია მთელი ამ საუნჯისა, თუმცა ჩემთვის გავიფიქრე, რომ იგი მაინცდამაინც მოხერხებულად ვერ იგრძნობდა თავს ამ ტანისამოსში, რომელიც მისთვის მადლიერმა დისწულმა მოიგონა. მეტადრე ვერ წარმომედგინა, რას უზამდა მისტერ პეგოტი სამკუთხა ქუდს, მაგრამ საჭიროდ არ ჩავთვალე ჩემი ეჭვის გამოთქმა.

პატარა ემილია შეჩერდა ამ საუნჯეთა თვლაში და შეჰყურებდა ცას, თითქოს ყველა ეს მშვენიერი ნივთი აქ დაცურავდა. შემდეგ ჩვენ ისევ შევუდექით კენჭებისა და ლოკოკინის ნიჟარების მოგროვებას.

– აბა, ახლა გეშინიათ ზღვისა? – მკითხა ემილიამ.

ზღვა მეტად მშვიდი იყო ამ დროს და, მაშასადამე, არ შეეძლო შიშის გრძნობა გამოეწვია ჩემში, მაგრამ დიდი ტალღა რომ მოგორებოდა, პატარა ემილიას დაღუპულ ნათესავებზე საშინელი მოგონებით შეწუხებული უეჭველად გავიქცეოდი. ასე იყო თუ ისე, ვუპასუხე: „არა“, და შემდეგ დავუმატე:

– მგონია, არც თქვენ გეშინიათ ზღვისა, თუმცა იძახით, რომ იგი შიშსა გგვრით.

ემილია ამ წუთას მივიდა ძველი კაშხალის ნაპირთან, რომელზედაც ჩვენ დავდიოდით. მე შემეშინდა, რომ მას ფეხი აუცდებოდა და ზღვაში გადავარდებოდა.

– ო, ასე სრულებით არ მეშინია ზღვისა! – მიპასუხა ემიმ. მაგრამ თუ იგი დელავს და გრგვინავს, ყოველთვის მეღვიძება და მთლად მაკანკალებს, როცა ბიძია დანზე და ქამზე ვფიქრობ; ისე მეჩვენება, თითქოს კიდევ მესმის მათი სასოწარკვეთილი ყვირილი. ასე კი სრულებით არ მეშინია ზღვისა, სრულებით აი, მიყურეთ!

ეს თქვა თუ არა, იგი უეცრად მომშორდა და იმ კაშხალიდან, სადაც ჩვენ ვიდექით, რბენით გავიდა დირეზე, რომელიც უფსკრულზე ეკიდა უსაყდრდენოდ. ეს შემთხვევა ისე დღმად ჩამრჩა მეხსიერებაში, მხატვარი რომ ვიყო, ახლაც დავხატავდი მას ყოველი წვრილმანით, ისე როგორც იგი იმ დღეს მოხდა. პატარა ემი მისწრაფოდა თავის დასაღუპავად (მე ასე მეჩვენებოდა) ისეთი სახით, რომელიც არასოდეს არ დამავიწყდა.

სეირნობის შემდეგ დავბრუნდით სახლში, მისტერ პეგოტის ბინაზე. რამდენიმე წამით შევჩერდით საკუჭნაოს წინ; სადაც კიბოები ელაგა, და გულუბრყვილოდ ვაკოცეთ ერთმანეთს. შემდეგ, მხიარულები და ჯანსაღები, შევედით ოთახში, სადაც გემრიელი საუზმე გველოდა.

– შაშვის ბარტყებს არა გვანან! – თქვა მისტერ პეგოტმ.

რასაკვირველია, მე შემიყვარდა პატარა ემი. ჩემი გონება ფერად ოცნებას ჰქმნიდა ამ ცისფერთვალება ბავშვის გარშემო; მას არამჩვეუნიურ, ჰაეროვან არსებად ვთვლიდი. ერთ მშვენიერ დილას მას რომ გაეშალა თავისი პატარა ფრთები და ღრუბლებში აფრენილიყო ჩემს თვალწინ, ამას სრულებით უბრალო მოვლენად ჩავთვლიდი.

ჩვენ მთელი საათობით ვსეირნობდით და ადგილიდან ადგილზე გადავდიოდით იარმაუთის მთელ ამ მოსაწყენ ცარიელ მინდორზე. დღეები ისე მხიარულად მისწრაფოდნენ, თითქოს დრო ჯერ არ გაზრდილიყო და ისეთივე ბავშვი იყო, როგორც მე და პატარა ემი. მე მას გამოვუცხადე, რომ მიყვარს და თუ არ გიყვარვარ წამსვე ლახვარით გულს გავიგმირავ შენს თვალწინ-მეთქი. ემილია გამოტყდა, რომ მასაც ვუყვარდი. მე ეჭვი არ შემეიტანია მისი ნათქვამის სიმართლეში.

მისის გუმიჯი და პეგოტი ჩეულებრივ ჩვენი ცქერით ტკბებოდნენ, როცა ჩვენ ერთად ვისხედით დაბალ ყუთზე, ბუხრის წინ. „აჰ, რა მშვენიერი ბავშვები არიან“, – ჩურჩულებდნენ ისინი. ამ დროს მისტერ პეგოტი ისე იღიმებოდა, რომ ჩბუხს პირიდან არ იღებდა; ქამი კი იღრიჭებოდა და არას ამბობდა.

მისტერ პეგოტი ხშირ-ხშირად დაიარებოდა სამიკიტნოში, რომელსაც „მხიარული თავი“ ერქვა. სხვათა შორის, იგი იქ წავიდა ჩვენი მოსვლის მეორე თუ მესამე დღეს. ეს გავიგე მისის გუმიჯის სიტყვებიდან, რომელმაც თქვა, პატრონი იმ ტიალ სამიკიტნოში წავიდაო.

მთელი ამ დღის განმავლობაში მისის გუმიჯი გულჩათხრობილი იყო. სადამოს, როცა ბუხარი გაახურეს, ცხარე ცრემლით ატირდა.

– მე უბედური! – ტიროდა მისის გუმიჯი. – ყველაფერი ძირაღმა მიგვდის.

– გაჩუმიდით! – უთხრა პეგოტმ. – თქვენ იცით, რომ ეს ძალიან ძალე გაივლის და არავითარი საფრთხე არ მოსდევს. რა ვუყოთ, არავისთვის არ არის ეს სასიამოვნო.

– ოჰ! არავინ არა გრძნობს ამას ისე, როგორც მე! – უპასუხა მისისს გუმიჯმა.

კარგა ცივი ამინდი იყო და ხშირად ქარის ძლიერი ქროლვა ისმოდა. მისის გუმიჯის კუთხე ბუხართან ყველაზე თბილი და ყუდრო მეგონა, მაგრამ იგი, როგორცა ჩანდა, სრულებით არ იყო კმაყოფილი თავის ალაგით; სულ ერთთავად

სიცივეს უჩიოდა და ჯავრობდა, რომ ქარი ზურგის ძვლებში მივლისო მან ტირილი დაიწყო და ჩიოდა, არავინა მყავს მფარველი მე, უბედურსაო.

– მართლაც, დღეს ძალიან ცივა, – თქვა პეგოტიმ, – ჩვენ ყველანი ვგრძნობთ ამას.

– ყოველ შემთხვევაში, არავინ არა გრძნობს ამას ისე, როგორც მე, – უპასუხა მისის გუმიჯმა ღრმა ოხვრით.

სადილზედაც იგივე გამოვრდა. თევზი წვრილი და ფხიანი იყო, კარტოფილი დამწვარიყო. გამოვტყდით, რომ ყველანი ვგრძნობდით ამ პატარა უხერხულობას, მაგრამ მისის გუმიჯმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ არავის შეეძლო ეს ვგრძნობთ ზომამდე, როგორც მას.

ბოლოს, როცა მისტერ პეგოტი სადამოს ცხრა საათზე სახლში დაბრუნდა, მისის გუმიჯი მიჯდა კუთხეში წინდის საქსოვად და მთლად მიეცა უნუგეშო ფიქრებს. მის პეგოტი ძალიან მხიარულად შეუდგა საქმეს ქამი თავის საზღვაო ჩექმებს წმენდდა; მე პატარა ემის მიუუჯექი და წიგნის კითხვა დავიწყე. მისის გუმიჯი მძიმედ ოხრავდა.

– აბა, მეგობრებო, – გვითხრა მისტერ პეგოტიმ, როცა თავის ადგილას დაჯდა ერთ-ერთ სკივრზე, – როგორა ხართ?

ყოველი ჩვენგანი ეცადა, აღერსიანი რამ ეთქვა მხიარული მასპინძლისათვის; მხოლოდ მისის გუმიჯმა გააჩნია თავი, იჯდა ისევე გატვრენილი, თან წინდასა ქსოვდა.

– აბა, მეგობრებო, – გვითხრა მისტერ პეგოტიმ, როცა თავის ადგილას დაჯდა ერთ-ერთ სკივრზე, – როგორა ხართ?

– რა დაგემართა? – ჰკითხა მას მისტერ პეგოტიმ, – გამხიარულდი!

მაგრამ, როგორცა ჩანდა, არაფერს არ შეეძლო გაემხიარულებინა მისის გუმიჯი. მან ამოიღო ძველი, შავი აბრეშუმის ცხვირსახოცი და თვალები მოიწმინდა; შემდეგ, იმის მაგივრად, რომ ჯიბეში ჩაედო, მუხლებზე დაიღო ცხვირსახოცი საქმეში მოსახმარებლად, რადგან ისევ ცრემლები დაღვარა.

– მაინც რა მოგივიდა? – ჰკითხა მისტერ პეგოტიმ.

– არაფერი, დანიელ, – უპასუხა მისის გუმიჯმა. – შენ, მგონი, „მხიარული თავიდან“ დაბრუნდი, არა?

– ჰო, მართალია, მე შევედი იქ ერთი სათით, – უპასუხა მისტერ პეგოტიმ. – მერე რაო?

– არაფერი; ძალიან მწყინს, რომ ჩემი გულისათვის დადიხარ იქ.

– შენი გულისთვის? აი, ახალი ამბავი! – უპასუხა სიცილით მისტერ პეგოტიმ. – მე თვითონაც დიდი სიამოვნებით დავდივარ იქ.

– მერე რა უფლება მაქვს, თავი მოვაბეზროთ? – განაგრძობდა მისის გუმიჯი. – არავითარი! განა არ ვიცი, რომ ამითი არ უნდა გადაგუხადო სხვის პურ-მარილს. სჯობდა, ისევ თავშესაფარში წავსულიყავი და იქ მზეზე გდებით ამომხდომოდა სული. მარტოკა ვინაღვებ ამ წუთისოფელში და აღარ შევაწუხებ კეთილ ხალხს. რახან ყველაფერში უკუღმართად და ჩემ საწინააღმდეგოდ მიდის და ყველსასათვის აუტანელი გავხდი, ლაპარაკიც მეტია, ხვალვე მივდივარ თავშესაფარში.

ამ სიტყვებთან ერთად მისის გუმიჯი ადგა და დასაძინებლად წავიდა. მისტერ პეგოტიმ თავი დაგვიქნია და წაიხურჩულა:

– სსუ! მას თავისი ბებრუცუნა გაახსენდა.

ვერ მივხვდი, რომელ ბებრუცუნაზე ლაპარაკობდა იგი, მაგრამ პეგოტიმ ამიხსნა შემდეგ, რომ „ბებრუცუნა“ – ეს განსვენებული მისტერ გუმიჯი იყო, რომ მისი ძმა ყოველთვის ამითი ხსნის მისის გუმიჯის მიზეზიანობას, და ეს ყოველთვის აღელვებს მისტერ პეგოტის.

მართლაც, იმ სადამოსვე გავიგონე, როგორ უჩურჩულა მისტერ პეგოტი ქამს:

– საბრალო! მას ისევ თავისი ბებრუცუნა მოაგონდა!

ორმა კვირამ ძალიან სწრაფად, თუმცა ერთფეროვნად გაირბინა. ერთადერთი ცვლილება ჩვენს საერთო ცხოვრებაში იყო ზღვის მიქცევა და მოქცევა, რასთანაც დაკავშირებული იყო მისტერ პეგოტის ზღვაში გასვლა და დაბრუნება. ქამის სამუშაოც იცვლებოდა ბუნების ამ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ, როცა მას არავითარი საქმე არა ჰქონდა, დასეირნობდა ჩვენთან ერთად ზღვის ნაპირზე, გვაჩვენებდა ნავებს, ხომალდებს, გემებს და ერთხელ თუ ორჯერ ნავითაც გაგვასეირნა.

ბოლოს, ჩვენი შინ დაბრუნების დღეც დადგა. ჩემთვის ადვილი იყო მისტერ პეგოტისა და მისის გუმიჯის მოშორება, მაგრამ ძალიან ვიტანჯებოდი, როცა პატარა ემილიას ვეთხოვებოდი. ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებულნი მივედით სასტუმრომდის, სადაც მეეტლე გველოდა, და დავპირდი, რომ გზიდან წერილს მოვწერდი. (ეს დაპირება მართლაც შევასრულე: მე მივწერე მას რამდენიმე წერილი ისეთი უშველებელი ასოებით, როგორითაც ჩვეულებრივად, ოთახის გაქირავებას აცხადებენ).

უნდა გამოვტყდე აგრეთვე, რომ მთელი ამ ორი კვირის განმავლობაში, მე უმადურს, თითქმის არც კი მომგონებია სახლი, მაგრამ დაბრუნებისას ჩემმა ბავშვურმა სინდისმა საყვედურით გამახსენა ეს მშობლიური კერა და ცოცხლად ვიგრძენი, რომ დედანაირი ერთადერთი მეგობარი და ნუგეშისმცემელი მიმელოდა იქ.

ეს აზრი აღარ მომშორებია მთელი მგზავრობის დროს. რაც უფრო ვუახლოვდებოდი სახლს და რაც უფრო ნაცნობი იყო საგნები ჩემთვის, მით უფრო მეტად ვღელავდი და უფრო მეტად მეჩქარებოდა ჩავსუტებოდი დედას. მაგრამ პეგოტი სრულებით არ იზიარებდა ამ აღტაცებას; პირიქით, იგი ცდილობდა ჩემი გრძნობების შეკავებას, და შევნიშნე, რომ რაღაც უცნაურ გუნებაზე იყო.

თუმცა ცხენი ზანტად და ნელა მიჩაქჩაქებდა, მაგრამ მაინც ხომ უნდა მივსულიყავი როდისმე „ბლონდრსტონის ჭილყავებამდე“ (ასე ერქვა ჩვენს სახლს), და მივედით კიდევ გაცრეცილ ცივ საღამოს, როცა ცა მოღრუბლული იყო და კოკისპირულ წვიმას აპირებდა. ო! რა კარგად მახსოვს ეს დღე!

კარი გაიღო. ადელვებულები, ხან მტირალი, ხან მოცინარი თვალებით ვეძებდი ჩემს დედას. იგი არ ჩანდა. ჩვენ ნაცნობი მოახლე დაგვხვდა.

– როგორ, პეგოტი! – შევძახე მე. – განა დედა სახლში არ არის? ჯერ არ დაბრუნებულა?

– არა, არა, მასტერ დევი, – მიპასუხა პეგოტიმ, – დედა სახლშია; მოითმინეთ ერთი წუთით, მასტერ დევი, უნდა გითხრათ რაღაც. – მან სამზარეულოში გამიყვანა.

– პეგოტი! – შევეყვირე მე, მთლად შეშინებულმა. – რა მოხდა?

– არაფერი, მასტერ დევი, დამშვიდდით! – მიპასუხა მან, და თან ცდილობდა, მხიარული სახე მიეღო.

– თქვენ მატყუებთ, პეგოტი! რა მოხდა? სად არის დედა?

– თქვენ გინდათ გაიგოთ სად არის დედა? – გაიმეორა პეგოტიმ.

– დიახ, რატომ არ გამოვიდა დედა? რამ მოგაფიქრათ ჩემი სამზარეულოში შემოყვანა, პეგოტი?

– ა, რაშია საქმე, ჩემო გვრიტო! – დაიწყო პეგოტიმ. – სადაც სამართალია, მე ყველაფერი ეს წინათვე უნდა მეთქვა თქვენთვის, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა. შემთხვევა იქნებ კიდევ იყო, მაგრამ სიმართლე გითხრა, გაბედულება არ მეყო. მადროვეთ, ერთი სული მოვითქვა.

– განაგრძეთ, პეგოტი! – უთხარი მე, უნებური თრთოლვით გასმჭვალული.

– მასტერ დევი, – მითხრა პეგოტიმ და თან აკანკალებული ხელით იხსნიდა თავსაფრის ბოლოებს, – რას იფიქრებთ, მე რომ გითხრათ, რომ თქვენ მამა გყავთ?

მე ამაკანკალა და გაეფითრდი, რაღაც მოჩვენება, დაკავშირებული სამარესთან და მიცვალებულის მკვდრეთით აღდგომასთან, უეცრად გამომეხატა თვალწინ.

– სხვა მამა, – მითხრა პეგოტიმ.

– სხვა?

პეგოტიმ ფართოდ გააღო პირი, თითქოს ყელზე ძვალი დაადგაო, გამომიწოდა ხელი და მითხრა:

– წადით მასთან, მასტერ დევი.

– მე არ მინდა მისი ნახვა.

– დედასი?

თავი დავანებე ჯიუტობას. წავედით სადღესასწაულო დარბაზში და აქ კარებში, პეგოტიმ მიმატოვა. ბუხრის ერთ მხარეს დედა იჯდა, მეორე მხარეს – მისტერ მორდსტონი. დედამ თავი დაანება ხელსაქმეს და საჩქაროდ ადგა თავის ადგილიდან, მაგრამ მე მის მოძრაობაში რაღაცნაირი გაუბედაობა შევნიშნე.

– კლარა, ჩემო მეგობარო! – უთხრა მისტერ მორდსტონმა. – გახსოვდეთ, რაც გითხარი. შეეჩვიე თავის შეკაებას. გამარჯობა დევი, როგორ ხარ?

მე ხელი ჩამოვართვი. მერე, ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ, მივედი დედასთან და ვაკოცე მას. დედამ ოდნავ ხელი გადამისვა მხარზე და ისევ თავის ხელსაქმეს ჩაუჯდა. ვერ ვბედავდი ვერც დედისა და ვერც მისტერ მორდსტონის შეხედვას: მესმოდა, რომ იგი გვზვერავდა ჩვენ ორთავეს.

პირველი შემთხვევით ვისარგებლე, რომ მეორე სართულში ავსულიყავი. ჩემი ძველი საყვარელი საწოლი ოთახი სრულებით გამოცვლილიყო. ჩემი საბავშო ლოგინი სხვა ადგილას გადაეტანათ. ჩავედი დაბლა, იქაც ყველაფერი სხვანაირად მეჩვენა. გავიქეცი ეზოში, მაგრამ მალე დავბრუნდი; საძაღლეში, აქამდის ცარიელი რომ იდგა, ახლა პირდაპირი უზარმაზარი ქოფაკი იწვა, მას მორდსტონის თმებივით შავი ბალანი ჰქონდა; მე რომ დამინახა, გაბრაზდა. წამოხტა და საკბენად გამოექანა.

## თავი მეოთხე

### წყრომა

გრძნობა და ფიქრი რომ შესძლებოდა იმ ოთახს, რომელშიც გადაეტანათ ჩემი საწოლი, მას მოვიყვანდი იმ მწარე ნაღველის მოწმედ, რომლითაც შიგ შევედი სტუმრობიდან დაბრუნების პირველ დამეს.

ჯაჭვით დაბმული ძაღლის ხმამაღალი ყეფის ხმა ყურებში მედგა, როცა კიბეზე მივცოცავდი ჩემს საწოლ ოთახში ასასვლელად. შესვლისას მეჩვენა, თითქოს ოთახმა ისეთივე დაღვრემილი, გაჯავრებული და ეჭვიანი თვალთ შემომხედა, რა თვალთაც მას ვუყურებდი. ჩამოვჯექი საწოლზე, დავიკრიფე გულზე პატარა ხელები და ფიქრებს მივეცი თავი.

ვფიქრობდი მრავალ უცნაურ საგანზე: ამ ოთახის ფორმაზე და გაბზარულ ჭერზე, კედლის იაფფასიან შპალერზე და ფანჯრის უსწორმასწორო შუშებზე, რომლებშიც საგნები დამტვრეულ და მრუდე სახეს ღებულობდნენ. ვფიქრობდი ძველ, პირსაბანის სამფეხა მაგიდაზე...

ვფიქრობდი და ვტიროდი... თვითნაც არ ვიცი, რატომ. თავში მიტრიალებდა ბუნდოვანი აზრი, რომ მცივა ამ მშობლიურ თავშესაფარში, საცა ყველა და ყველაფერი, როგორცა ჩანს, უარს ამბობდა ჩემზე. ამ მძიმე აზრებით დაღლილი გავეხვიე საბანში და დამეძინა.

დიდხანს მეძინა თუ არა, არ ვიცი, ოღონდ გამომადვიდა ვიღაცის ხმამ, რომელმაც წარმოთქვა:

– აი, დევი!

ჩემს წინ დედა და პეგოტი იდგნენ.

– დედი! – მითხრა დედამ. – რა დაგემართა?

ძალიან გამიკვირდა, რომ დედა ამას მეკითხებოდა.

– არაფერი! – ვუპასუხე მე.

მერე ჩავმაღლე თავი ბალიშში, რომ დამეფარა ჩემი მთრთოლვარე ტუჩები, რომლებზედაც სიამართლე ეწერა.

– დევი! – მითხრა დედამ. – დევი, ჩემო შვილო!

არავითარ მისგან ნათქვამ სხვა სიტყვას არ შეეძლო ისეთი გულსაკლავი შთაბეჭდლება მოეხდინა ჩემზე, როგორც ამ ჩვეულებრივმა მომართვამ მოახდინა. ჩავმაღლე ბალისში თავი, რომ ცრემლები დამემალა და ხელი ვკარი იმ ხელს, რომელსაც ჩემი წამოყენება უნდოდა.

– ეს ყველაფერი თქვენი ბრალია, პეგოტი, შეუბრალებელი არსება! – უთხრა დედამ. – არავითარი ეჭვი არა მაქვს ამაში. როგორ არ გრცხვინიათ, რომ ჩემს შვილს ამხედრებთ ჩემსა და იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ახლა ძვირფასია ჩემთვის?

საბრალო პეგოტიმ ხელები და თვალები აღმართა ზეცისაკენ და დიდმნიშვნელოვნად თქვა:

– მისის კოპერფილდ! ღმერთმა გაპატიოთ ეგ სიტყვები! ვისურვებდი, არასოდეს არ გენანოთ ეს თქვენი გამონათქვამი.

– ესლა მაკლდა! – შესძახა დედამ. – და ყველაფერი ეს ჩემი ბედნიერების თვეში ხდება, როცა მტრებსაც კი არ შეშურდებოდათ ჩემი სულის სიმშვიდე და ჩემი ბედნიერება! აჰ! დევი! შენ ცუდი ბიჭი ხარ! უსინდისო პეგოტი! აჰ! – იძახდა ცრემლმორეული დედა და ხან მე და ხან პეგოტის მოგემართავდა. – რა სიცოცხლეა, თუკი ბედნიერებას სწორედ მაშინ გიკლავენ, როცა უფლება გაქვს ყოველნაირ სიამოვნებას მოელოდე!

ამ წუთს ვიგრძენი ხელის მოკარება, რომელიც არც დედისა და არც პეგოტის ხელს არა ჰგავდა. ამ ხელის შეხებამ მაშინვე წამომაყენა ლოგინში. ეს მისტერ მორდსტონი იყო, მას ჩემი მხარი ეჭირა.

– ეს რა ამბავია? – იკითხა მისტერ მორდსტონმა. – კლარა, ჩემო კარგო, განა დაგავიწყდა? სულის სიმტკიცე, უპირველეს ყოვლისა.

– ძალიან ვწუხვარ, ედუარდ, – უპასუხა დედამ. – თავს ძალას ვატანდი მტკიცედ ვყოფილიყავი, მაგრამ ისეთი უბედური ვარ...

– მართლა? ეს, სწორე გითხრა, ვერაფერი სასიამოვნო მოსასმენია ქორწინების შემდეგ პირველსავე დღეებში.

– მაშ უღმერთობა არ არის, ედუარდ, ჩემი ამ ზომამდე მიყვანა? – უპასუხა დედამ საბრალოდ. – ეს ხომ ძალიან დიდი სისასტიკეა, არა?

მისტერ მორდსტონმა თავისკენ მიიზიდა დედა, რაღაც წასწურწულა ყურში და აკოცა. დედამ მიაყრდნო თავი მის მხარს და ხელი ყელზე მოჰხვია. მე მივხვდი მაშინაც და შემდეგაც გავიგე, რომ ეს ადამიანი სრული უფალი იყო დედაჩემის ყოველი მოძრაობისა.

– ჩადი ძირს, გენაცვალე, – უთხრა მისტერ მორდსტონმა დედა, – მე და დავითი ახლავე ჩამოვალთ შენთან.

– ყური მიგდეთ, ჩემო კეთილო, – მიმართა მისტერ მორდსტონმა პეგოტის, – იცით თუ არა თქვენი დიასვლისის სახელი?

– მე დიდი ხანია ვემსახურები მას, უნდა ვიცოდეთ, სერ, – უპასუხა პეგოტიმ.

– ეს მართალია, – თქვა მისტერ მორდსტონმა, – მაგრამ ისე მეჩვენა აქ შემოსვლისას, თითქოს თქვენ უწოდეთ სახელი, რომელიც მას არ ეკუთვნის. როგორც იცით, მან ჩემი გვარი მიიღო, გთხოვთ, არ დაივიწყოთ ეს.

პეგოტიმ აღელვებულმა გადმომხედა, თავი დაუკრა და ხმაამოუღებლად გავიდა ოთახიდან. როცა ჩვენ ორნი დავრჩით, მისტერ მორდსტონმა მიხურა კარები,

დაჯდა სკამზე, ორივე ხელით გამაჩერა თავის წინ და ჩამაშტერდა თავისი შავი, ბოროტი თვალებით. უნებურად მეც ასევე დაკვირვებით მივაჩერდი.

– დავით, – მითხრა მისტერ მორდესტონმა და ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, – მე რომ ჯიუტი ცხენი ან ძაღლი მყავდეს, რას ვუზამ, შენი აზრით?

– არ ვიცი, სერ.

– ვცემ, იცოდე ეს. მე დეზებს ვუჭერ ჯიუტ ცხენს და ვწვრთნი მას; ჯიუტი პირუტყვის მთელი სისხლის გამოშვებაც რომ დამჭირდეს, მაინც ჩემსას გავიყვან. ეგ რა გაქვს სახეზე?

– ჭუჭყი, – ვუპასუხე მე.

მან ისევე კარგად იცოდა, როგორც მე, რომ ეს ცრემლების ნაკვალევი იყო, მაგრამ ოცჯერ რომ მოეცა ერთი და იგივე კითხვა და ყოველ კითხვაზე ოცჯერ რომ დაერტყა ჩემთვის, მჯერა, რომ ბავშვური გული გასკდებოდა – და მაინც არ გამოვამჟღავნებდი, რომ ეს ცრემლის ნაკვალევი იყო.

– ვხედავ, რომ შენს ასაკთან შედარებით ძალიან ჭკვიანი ყოფილხარ, – მითხრა მისტერ მორდესტონმა პირქუში ღიმილით, – და ვხედავ, რომ ძალიან კარგად გესმის ჩემი. დაიბანე ხელ-პირი და წამომყევი. – მან მიმითითა პირაბანზე. ეჭვიც არ შემპარვია იმაში, რომ თუ დავაყოვნებდი, დამარტყამდა.

როცა პირი დავიბანე, ჩვენ დაბლა ჩავვდით და სასტუმრო ოთახში შევედით. მისტერ მორდესტონს ისევ ჩემს მხარზე ევლო ხელი...

– კლარა, ჩემო მეგობარო, – უთხრა მან დედას, – ახლა იმედი მაქვს, რომ აღარავინ შეგაწუხებს; მალე ჩვენ სავსებით თავს დავანებებთ ჩვენს ბავშვურ მიზეზიანობას.

მგონია, სამუდამოდ მხიარული და გულწრფელი დავრჩებდი და, უეჭველია, სულ სხვა ადამიანი გამოვიდოდი, რომ მისტერ მორდესტონი ამ პირველ შეხვედრისას სხვანაირად მომპყრობოდა. ერთი აღერსიანი სიტყვა ახლად შექმნილი გარემოების ასახსნელად, სიბრაღული ჩემი ბავშვური უმეცრებისადმი, გულწრფელი შეხვედრა – ყოველივე ეს, დარწმუნებული ვარ, ჩემგან მორჩილ და გამგონე ბავშვს დააყენებდა, და ღრმა პატივისცემას ვიგრძნობდი მისდამი, იმ სიძულვილისა და თვალთმაქცობის მაგივრად, რომელიც იმწამსვე ჩაითესლა ჩემს ბავშვურ გულში.

მაგრამ აღერსიანი სიტყვა არ იყო ნათქვამი, ჩვენ სამნი დავსხედით სადილად. მისტერ მორდესტონს, როგორც ჩანდა, ძალიან უყვარდა დედაჩემი, – თუმცა მე რა? – დადედასაც ძალიან უყვარდა მისტერ მორდესტონი. მათი ლაპარაკიდან გავიგე, რომ ისინი მოელოდნენ მისტერ მორდესტონის დას, რომელიც იმ საღამოსვე უნდა ჩამოსულიყო.

ნასადილევს, როცა ჩვენ ბუხართან ვისხედით და მე ოთახიდან გასასხლტომად მიზეზს ვეძებდი პეგოტის სანახავად, უეცრად ბალის კარებს ეტლი მოადგა. სახლის პატრონი გავიდა სტუმრის შესახვედრად. დედა გაჰყვა მას. მე მოკრძალებით ავედევნე დედას. სასტუმროს კარებთან რომ მივიდა, დედა უცბად მომიბრუნდა, ძველებურად ჩამიხუტა გულში და ჩურჩულით მთხოვა მყვარებოდა ჩემი ახალი მამა და ყველაფერში მორჩილიც ვყოფილიყავი.

ახლადმოსული პიროვნება იყო მის მორდესტონი, მეტად მკაცრი და მოღუშული ლედი. მისი ხშირი და სქელი წარბები თითქმის შეერთებულიყვნენ უშველებელ ცხვირის თავზე, ადამიანს შეიძლებოდა ეფიქრა, ბუნებამ იმიტომ დააჯილდოვა ამ მორთულობით, რომ აენაზღაურებინა უღვაშების უქონლობა, რომელთა ტარება უხერხული იქნებოდა მისთვის, როგორც ნაზი სქესის წარმომადგენლისათვის. როცა მეეტლეს უსწორდებოდა, მან ფული ამოიღო ფოლადის საფულიდან. – ეს საფულე მას ედო ჩანთაში, რომელიც მძიმე ჯაჭვით მიმაგრებული ჰქონდა მკლავზე. არასოდეს არ მენახა იმ დრომდე ისეთი ფოლადის ლედი, როგორც მის მორდესტონი იყო. მისი საფულის პირი გარეული ნადირის ხახად მეჩვენა.



მას დიდი ამბით შეხედნენ, შეიყვანეს სასტუმროში და აქ ფორმალურად წარუდგინეს დედაჩემი, როგორც ახალი ახლობელი ნათესავი. ამ დროს მის მორდსტონმა შემომხედა და იკითხა:

– ეს თქვენი ვაჟია, ჩემო რძალო?

დედამ თავი დაუკრა.

– საზოგადოდ მე არ მიყვარს ბიჭები, – განაცხადა მის მორდსტონმა. – როგორ ხარ, ბიჭო?

ამგვარი საღმით გამხნეებულმა, ვუპასუხე, რომ კარგადა ვარ, და იმედი გამოვთქვი, რომ ისიც სრულებით ჯანსაღად არის. მაგრამ, ეტყობა, ჩემს პასუხში არ იყო ის თავაზიანობა, რომელსაც მის მორდსტონი მოელოდა. მას ორი სიტყვით დამახასიათა:

– ცუდადაა აღზრდილი.

შემდეგ მის მორდსტონმა მოითხოვა ეჩვენებინათ მისი ოთახი. ამ წუთიდან ეს ოთახი ჩემთვის საშიშარ და საზარელ საგნად გადაიქცა. იქ იდგა ორი უზარმაზარი შავი სკივრი, რომელიც არასოდეს, არასოდეს არ იხდებოდა და რომელთა შესახებ ყველამ იცოდა, რომ ისინი მუდამ კლიტით იყო დაკეტილი. ამ ოთახში აგრეთვე (მე ერთხელ თუ ორჯერ შემთხვევა მქონდა შიგ შემეხედა), ზედ სარკის თავზე, სასტიკი წესრიგით ეკიდა ფოლადის ძეწკვები, შესაკრავები და ქინძისთავეები, რომითაც მის მორდსტონი ირთებოდა ხოლმე.

რამდენადაც გავიგე, მის მორდსტონი საღიასახლისოდ მოვიდა ჩვენთან და სრულებითაც არ აპირებდა უკან დაბრუნებას. მეორე დღესვე მან დაიწყო დედაჩემის „შველა“ და დიდიდან საღამომდე იტრიალა საკუჭნაოში, სადაც თავის გუნებაზე დააღაბა ყველა შინაურობაში მოსახმარი საგანი და სრულებით დაარღვია ძველად შემოდებული წესები.

როცა სახლში ყველანი ჯერ კიდევ ღრმა ძილში იყვნენ, მის მორდსტონი უკვე ფეხზე იდგა. პეგოტი მარწმუნებდა, რომ ძილის დროსაც კი ცალი თვალი გახელილი აქვსო, მაგრამ მე არ ვეთანხმებოდი ამ აზრს, რადგან ჩემს თავზე ვცადე და დავრწმუნდი, რომ ადამიანს არ შეუძლია ღია თვალით ძილი.

თავისი მოსვლის პირველსავე დღიას მამლის ყივილს აჰყვა და დაიწყო ზარის რეკვა. როცა დედა გამოვიდა საუზმისათვის და უნდოდა ჩაი მოემზადებინა, მის მორდსტონმა, მისასალმებელი კოცნის მაგივრად, ლოყაზე ხელი მოუცაცუნა, როგორც პატარა გოგონას და უთხრა:

– კლარა ჩემო მეგობარო! როგორც იცით, მე იმისათვის მოვედი აქ, რომ თავიდან მოგაშოროთ შინაური საქმეების ტვირთი. მომეცით, ჩემო რძალო, თქვენი გასაღებები და სახლს მე გავუძღვები.

ამას იქით ყველა გასაღები მის მორდსტონის შენახული ჰქონდა თავის ფოლადის ტომარაში, ღამით კი ბალიშის ქვეშ ინახავდა.

მაგრამ ეს მტკიცე ავტორიტეტი საოჯახო საქმეებში მან მოიპოვა ერთგვარი, – მართალია, სუსტი, მაგრამ მაინც წინააღმდეგობის შემდეგ დედაჩემის მხრივ. ერთხელ, როცა მის მორდსტონმა ძმის წინაშე დაიწყო საოჯახო მეურნეობის გეგმების დალაგება, დედა უეცრად ატირდა და თქვა, რომ ურიგო არ იქნებოდა ამგვარ შემთხვევებში მისთვის ეკითხათ რჩევა.

– კლარა! – უთხრა დედას მისტერ მორდსტონმა მკაცრი კილოთი. – კლარა! შენ მე მაკვირვებ.

– ო! დიახ, ეს ადვილი სათმელია თქვენთვის, ვდუარდ! – შესძახა დედამ. – თქვენ შეგიძლიათ გაიკვიროთ რამდენიც გნებავთ. თქვენ არაფრად გიღირთ ჩემთან სულის სიმტკიცეზე ლაპარაკი, მაგრამ ვიცი, რომ თქვენ ვერ იტანთ ამ სიმტკიცეს სხვებში.

უნდა შევნიშნო, რომ სულის სიმტკიცე იყო ერთგვარი სიგიჟის საგანი ღირსეულ ძმისა და უღირსეულესი დისა. მისტერ მორდსტონი მტკიცე იყო, – ჩვენ ყველამ ვიცოდით ეს, და არვინ იყო ოჯახურ წრეში ისეთი მტკიცე, როგორც მ-რ

მორდსტონი; მაგრამ არავს არეძლეოდა უფლება, გამოეჩინა ეს თვისება მასთან, რადგან ყველას თავი უნდა მოეხარა მისი სულის შეუდრეკელი სიმტკიცის წინაშე.

– მაშ სისასტიკე არ არის, ედუარდ, – თქვა დედამ – რომ ჩემს საკუთარ სახელში...

– ჩემს საკუთარ სახელში?.. – გაიმეორა მ-რ მორდსტონმა, – კლარა!

– მე მიხლოდა მეთქვა, ჩვენს საკუთარ სახელში, – წაილაპარაკა შეშინებულმა დედამ. – იმედი მაქვს, ედუარდ, რომ თქვენ გესმით ჩემი.

– განაგრძე.

– დიას, ჩემო კარგო, ეს დიდი უსამართლობა და სისასტიკეა, რომ საკუთარ სახელში მე ხმა ვერ ამომიღია შინაურ საქმეებზე. რას ჰგავს ეს? ხომ ვუძღვებოდი ოჯახს, როცა ჯერ ცოლ-ქმარი არ ვიყავით, და კარგადაც ვუძღვებოდი... ამის შესახებ შეგიძლია პეგოტის ჰკითხო, – განაგრძობდა ცრემლმორეული დედა, – მე სხვისი დახმარება არა მჭირდებოდა.

– ედუარდ, – თქვა მის მორდსტონმა, – გავათათო ეს ლაპარაკი. ხვალვე შინ მივდივარ.

– ჯენი მორდსტონ, – უთხრა მას ძმამ, – გაჩუმდით! ისე იქცევით, თითქოს არ იცოდეთ ჩემი ხასიათი.

– მე სრულებითაც არ მიხდა, – განაგრძო დედამ ცხარე ცრემლებით, – რომ ვინმე წავიდეს შენი სახლიდან, ედუარდ. რათა? დიდი უბედური ვიქნები, თუ ვინმე ჩემი გულისათვის წავა აქდან. მითუმეტეს, რომ ასეთ მცირედ რამეს ვთხოვლობ. ღმერთმანი! მე მიხდა მხოლოდ, რომ დროგამოშებით რჩევა მკითხონ ხოლმე. რასაკვირველია, დიდად დავალებული ვარ, რომ სახლის მოვლას მშველიან, ოღონდ მიხდა ხანდახან... ისე... ფორმისთვის მაინც მკითხონ ხოლმე ჩემი აზრიც.

– ედუარდ, – თქვა მის მორდსტონმა, – ბოლო მოელოს ამას. ხვალვე მივდივარ!

– ჯენი მორდსტონ! – დაიგრგვინა მისტერ მორდსტონმა. – გაჩუმდებით თუ არა? როგორ ბედავთ?

მის მორდსტონმა ამოღო ჯიბიდან ცხვირსახოცი და თვალებთან მიიტანა.

– კლარა! – უთხრა მისტერ მორდსტონმა და მიაპყრო შავი თვალები დედაჩემი შემკრთალ სახეს. – თქვენ მაოცებთ! როცა ჯენი მორდსტონმა თავის გულკეთილობით ჩვენი საერთო სარგებლობისთვის დაიჭირა ჩვენს სახელში დიასახლისის ალაგი, იგი სრულებით მოულოდნელად ხვდება ასეთ უმადურობას.

– ო, ედუარდ! – შესძახა აღელვებულმა დედამ. – გთხოვ, ნუ დამწამებ უმადურობას!

– მაშასადამე, ვამბობ მე, როცა ჯენი მორდსტონი სრულებით მოულოდნელად ხვდება აქ ასეთ უმადურობას მხოლოდ იმიტომ, რომ ნათესაური გრძნობა ამოქმედებს, – განაგრძობდა შეუპოვარი მისტერ მორდსტონი, – მეც გუნება მეცვლება და შეიძლება სიყვარულიც ჩაქრეს.

– ო, ნუ მეუბნები მაგას, ჩემო კარგო! – ემუდარებოდა დედა საბრალო ხმით. – ნუ მეუბნები მაგას, ედუარდ! ჩემი გული სავსეა სიყვარულითა და გულწრფელობით შენდამი. მე შიშობლია სიყვარული და უნდა მიყვარდე. ამას არ ვიტყვოდი, დარწმუნებული რომ არ ვიყო ამაში. ჰკითხე პეგოტის; ის გეტყვის, როგორი სიყვარული ვიცი.

– კლარა! – უპასუხა მისტერ მორდსტონმა. – დამშვიდდი: მეტისმეტი სისუსტის გამომჟღავნებით, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ჩემი გულის მოგება. შენ ტყუილად ხარჯავ ცრემლებს.

– აჰ, შევრიგდეთ, ჩემო კარგო! – განაგრძობდა დედა. – მაპატიე, ედუარდ. მე ვიცი, რომ ბევრი ნაკლი მაქვს, და ძალიან კარგია, ედუარდ, რომ ცდილობ ჩემს გამოსწორებას შენი ნების სიმტკიცით. ჯენი, აღარ გაგიწევთ წინააღმდეგობას. რაცა გნებავდეთ, ისა ჰქენით, ოღონდ თავს ნუ დამანებებთ.

– ჯენი მორდსტონ, – მიმართა დას მისტერ მორდსტონმა, – იმედი მაქვს, ამგვარი უსიამოვნება აღარ განმეორდება. ჩემი ბრალი არ არის, თუ დღეს ამგვარი შემთხვევა მოხდა ჩემს სახლში. სხვებმა მაიძულეს ეს უსიამოვნო ლაპარაკი. არც თქვენი ბრალია, ჯენ მორდსტონ, სხვებმა გაიძულეს ეს უსიამოვნო განმარტება. ვეცადოთ დავივიწყოთ იგი. სრულებით საჭირო არ არის, რომ ბავშვი ყურს უღებდეს ამგვარ სცენებს. დავით! წადი შენს საწოლში!

სევდიანმა, თვალცრემლიანმა, ძლივს ვიპოვე სასტუმრო ოთახის კარები, ისეთი თავზარი დამცა საბრალო დედაჩემის ნაღველმა. ხელის ფათურით სიბნელეში ავედი ჩემს ოთახში.

მეორე დღეს ჩვეულებრივზე ადრე ავდექი და დაბლა ჩავედი. სასტუმრო ოთახს რომ ჩაუვარე, დედაჩემის ხმა მომესმა. იგი პატიებას სთხოვდა მის მორდსტონს მოკრძალებული და მორიდებული ხმით, და ამ ლედიმაც, რამდენიმე შენიშვნის შემდეგ, მიანიჭა ეს პატიება. შერიგება მოხდა. იმ დღიდან დედას არასოდეს აღარ გაუბედია საკუთარი აზრის გამოთქმა, სანამ წინასწარ მის მორდსტონს არ დაეკითხებოდა.

ერთხელ როგორღაც ჩამოვარდა ლაპარაკი ჩემი მიბარების შესახებ, რომელიმე პანსიონში. ეს აზრი პირველად მის და მისტერ მორდსტონების თავში დაიბადა. დედა, რასაკვირველია, ხმაამოუღებლად დაეთანხმა, მაგრამ საქმე ჯერ სისრულეში არ იყო მოყვანილი; ამ დრომდის სახლში ვსწავლობდი.

ნუთუ ოდესმე დამავიწყდება ეს შინაური გაკვეთილები? მეცადინეობის ხელმძღვანელი დედა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილად მე მის და მისტერ მორდსტონების პირდაპირი მეთვალყურეობის საგანი ვიყავი. ისინი ყოველთვის ესწრებოდნენ ამ გაკვეთლებს და საუცხოო შემთხვევას პოულობდნენ, რათა დარიგება მიეცათ დედაჩემისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ მიზნით დამტოვეს სახლში. საკმარისად გონიერი და ბეჯითი ბავშვი ვიყავი, სანამ მე და დედა ორნი ვცხოვრობდით, მაგრამ ამ სახეიმო ლექციებს ვიგონებ, როგორც ჩემი სულიერი სიმშვიდის სასიკვდილო ჭრილობებს, როგორც ყოველდღიური შრომისა და ვაების განუწყვეტელ ბორკილს. სიმწრისაგან თავებრუ მუხვეოდა; დარწმუნებული ვარ, საბრალო ჩემი დედა ჩემზე ნაკლებად არ იტანჯებოდა. ო, რა ძნელი, დამქანცველი, აბდაუბდა იყო ეს დაუსრულებელი გაკვეთილები!

ვეცდები მოვიგონო, როგორ ვსწავლობდი. დაე წარსულიდან ერთი დილა აღდგეს.

შევდივარ დარბაზში საუზმის შემდეგ. იღლიაში წიგნები, რვეულები და ასპიდის შავი დაფა ამომიჩრია. დედა უკვე ელის თავის მოწაფეს საწერ მაგიდასთან მაგრამ უფრო მეტად მიმელიან მისტერ მორდსტონი და მისი და.

ვაწვდი დედას წიგნს. შესაძლებელია, ეს გრამატიკაა, ან იქნებ ისტორია, ან გეოგრაფია, უკანასკნელად სასოწარკვეთილებით თვალს ვაყოლებ გადაშლილ გვერდზე და საჩქაროდ ვიწყებ გაკვეთილის ჩაბარებას, სანამ იგი ჯერ კიდევ ცოცხლადაა აღბეჭდილი ჩემს მეხსიერებაში. მაგრამ აი, წავბორძიკდი ერთ სიტყვაზე, – მისტერ მორდსტონი მალლა იხედება; მეორე სიტყვაზე წავბორძიკდი, – მის მორდსტონი იღებს თავს მალლა. ვწითლდები, ვტოკავ ერთ ადგილას, და, ბოლოს, გარკვეულად ჩიხში ვემწყვდები. დედას უნდა, როგორმე მომეხმარს, ან წიგნი მომაწოდოს, მაგრამ ვერ ბედავს. იგი ოხრავს და იძახის:

– აჰ, დევი, დევი!

– ახლა, კლარა, მთელი შენი სულის სიმტკიცე უნდა გამოიჩინო ამ ბავშვთან მოპყრობაში, – ეუბნება მისტერ მორდსტონი. – სასაჭიროა ეს სიტყვები: „აჰ, დევი, დევი!“ ეს ბავშვობაა. ორში ერთია: მან ან იცის, ან არ იცის გაკვეთილი.

– მან არ იცის გაკვეთილი, – იძახის მის მორდსტონი საშინელი ხმით.

– დიახ, მეც ასე მგონია, რომ არ იცის, – ამბობს დედაჩემი.

– მაშასადამე, კლარა, – აგრძელებს მის მორდსტონი, – დაუბრუნეთ წიგნი და ისწავლოს.

– დიას, დიას, მეც ასე ვფიქრობ, გეთაყვა, ჯენი, – უპასუხებს დედა. – აბა, დევი, ცოტა კიდევ ისწავლე, ჩემო კარგო, და ნუ იქნები ასეთი სულელი.

პირველ ბრძანებას სიტყვა-სიტყვით გასრულებ, მაგრამ მეორის შესრულება არ შემოძლია. მე ძალიან სულელი ვარ! რა ვქნა? ჩემი ცოდნის მეორე რევიზიის დროს უფრო ადრე ვბრკოლდები და იქ, სადაც უწინ შეუჩერებლად მივისწრაფოდი, ახლა ვჩერდები და ვფიქრობ. – რაზე? არა გაკვეთილზე. მე ვფიქრობ, მაგალითად, რამდენი ადლი არშია მოუნდება მის მორდსტონის თავსაფარს, ან – რა ღირს მისტერ მორდსტონის დილის ხალათი. მისტერ მორდსტონი მოუთმენლობას იჩენს, რასაც დიდი ხანია, ველოდი; მის მორდსტონი იმეორებს ძმის მოძრაობას. დედა მოკრძალებით უცქერის მათ, ჰკეცავს წიგნს და გვერდზე დებს.

მაღლე მთელი ხროვა გროვდება ჩემი ვალებისა, და იგი თოვლის გუნდასავით სწრაფად იზრდება; რაც უფრო მეტი ვალები მედება, მით უფრო ვსულელდები. ბოლოს, სასოწარკვეთილებამდე მისული და უაზრობით უფსკრულში ჩავარდნიული, ხელს ვიქნევ ყველაფერზე და ბედისწრებას ვანდობ ჩემს თავს.

დედას თავისი გულუბრყვილობით ჰგონია, რომ არავინ უყურებს; იგი ცდილობს, გონებაში ჩამაგდოს ტუჩების მოძრაობით. ყველა ამგვარ შემთხვევაში მის მორდსტონი უბახის ბოხი, გამაფრთხილებელი ხმით:

– კლარა!

დედა კრთება და წითლდება. მისტერ მორდსტონი დგება სავარძლიდან, იღებს წიგნს, თავში მახლის და მხარში წაკვრით ოთახიდან მაგდებს.

ასეთი იყო საერთო მსვლელობა ჩემი უბედური მეცადინეობისა. უეჭველია, მორდსტონები რომ არ ყოფილიყვნენ, ყველაფერი კარგად იქნებოდა; მაგრამ მათ წინაშე მე პატარა ნიბლიას ვგავდი, მოჯადოებულს ორი ვექემძრომის თვალებით. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ბედნიერად დავადწვევდი ხოლმე თავს ამ დილის მახეს, მაგრამ ერთადერთი ჯილდო ჩემი ბეჯითობისა ის იყო, რომ ნება მეძლეოდა მონაწილეობა მიმელო საერთო სადილში; ამის მეტს არაფერს ვიგებდი. მის მორდსტონი დაულაღაჟად ადევნებდა თვალყურს, რომ მუდამ გაკვეთილები მეხეპირებინა, თუ როდისმე ხელში არ მეჭირა წიგნი ან კალმისტარი, იმწამსვე თავისი ძმისა და რძლის ყურადღებას აქცევდა ამ გარემოებას და ამბობდა:

– აჰ, ძვირფაოსი კლარა! შრომა უპირველესად ყოვლისა! მიეცით ბავშვს გაკვეთილი.

მაშინვე ახალ გაკვეთილს მაძლევდნენ, დილა იქნებოდა, შუა დღე თუ საღამო. დასვენებისა და გართობის ხსენებაც არ იყო. მორდსტონების მკაცრი ფილოსოფიით ყველა ბავშვები წარმოადგენდნენ რაღაც მხეცებს, რომელნიც ერთმანეთს სწამლავდნენ.

ბუნებრივი შედეგი ამგვარი მოპყრობისა, რომელიც ექვს თვეს გაგრძელდა, ის იყო, რომ გადავიქეცი მოწყენილ, ზანტ, დაღვრემილ და მეტად მოუხეშავ ბავშვად. ამას კიდევ ხელს უწყობდა ის მწარე ფიქრი, რომ დღითიდღე მაშორებდნენ დედას. უნდა ვიფიქროთ, რომ სავსებით გამოვსულელდებოდი, თუ არა ერთი გარემოება.

საქმე იმაშია, რომ მამაჩემის შემდეგ დაგვრჩა მცირე ბიბლიოთეკა პატარა ოთახში, ჩემი საწოლის გვერდით. იქ შესულა ყოველთვის შემეძლო. ჩემს გარდა ეს წიგნები არავის აინტერესებდა. სევდის მომგვრელ მარტოობის დროს ამ დალოცვილი ოთახიდან დროგამოშვებით გამოდიოდნენ ჩემთან საბაასოდ: როდერიკ რენდომი, პერეგრინ პიკლი, ჰომფრი კლინკერი, ტომ ჯონსი, ვიკფილდის მოძღვარი, დონ-კისოტი, ჟილბლაზი და რობინზონ კრუზო. შემოქმედებითი ფანტაზიის ეს შედეგები, „ათას ერთი ღამის“ და „ჯადოსნური ზღაპრების“ გმირებთან ერთად, და კიდევ რამდენიმე წიგნი მოგზაურობის შესახებ

უფრო აღვივებდა ჩემს ბავშვურ ოცნებას და მომავლის იმედებს მიცხოველებდა. ამ ნაწარმოებთა ცუდი მხარე არ არსებობდა ჩემთვის, რადგან მე იგი არ მესმოდა. ყველა საყვარელი პიროვნება განხორციელებული იყო ჩემთვის ამ მოქმედ პირებში, რომელთაც ავტორის ოცნება სხვადასხვა როლს აკუთვნებდა, და, რასაკვირველია, ყველა ფანტასტიკურ ბოროტ პიროვნებაში მე ვხედავდი მისტერ და მის მორდსტონების საზარელ სახეს.

ეს იყო ჩემი ერთადერთი და მუდმივი ნუგეში. როცა ახლა ვიგონებ ყოველივე ამას, ცოცხლად წარმომიდგება ხომე თვალწინ ზაფხულის საღამო, როცა ბიჭები სასაფლაოზე თამაშობენ, მე კი ვზივარ ჩემს ლოგინზე წიგნით ხელში და თითქოს მინდა გავძღე კითხვით. ყოველი მეზობელი შენობა, ეკლესიის ყოველი ქვა, სასაფლაოს ყოველი ლოდი, აღვიძებდა ჩემს იდეებს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ წიგნებთან, და მაგონებდა მათში აღწერილ რაიმე ადგილს.

ერთხელ, დილით, ილღიაში ამოჩრილი წიგნებით შევედი სასტუმრო ოთახში. დედა, ეტყობოდა, ძალიან აღელვებული და შემკრთალი იყო; სამაგიეროდ მის მორდსტონი მეტად მტიცედ გამოიყურებოდა. მისტერ მორდსტონი რაღაცას ამაგრებდა წვრილ და მოქნილ წკეპლაზე. როცა ოთახში შევედი, მან აწონა ეს წკეპლა ხელში, შემდეგ ალბათ საცდელად, ჰაერში გაიქნია. წკეპლამ გაიზუზუნა.

– გეუბნები, კლარა, – თქვა მისტერ მორდსტონმა, – მე თვითონ მცემდნენ ხოლმე უწინ.

– რასაკვირველია, ეს ჩვეულებრივი საქმეა, – დაადასტურა მის მორდსტონმა.

– უსათუოდ ეს ასეა, თქვენ მართალს ამბობთ, – წაილაპარაკა დედამ სუსტი ხმით, – მაგრამ თქვენ გგონიათ, ამან საგებლობა მუტანა ეღუარდს?

– მაშ რა უნდა შენ გგონია, კლარა, რომ ეღუარდს ავნო ამან? – დიდმნიშვნელოვნად იკითხა მისტერ მორდსტონმა.

– სწორედ რომ მიზანში მოხვდა, – მხარი დაუჭირა მის მორდსტონმა.

– თქვენ მართალი ხართ, ჩემო ჯენი, – თქვა დედამ და გაჩუმდა.

– აბა, დევი, – მითხრა მისტერ მორდსტონმა, – დღეს ფხიზლად უნდა იყო.

მან ისევ აწონა შოლტი ხელისგულზე და ისევ გაატყლაშუნა ჰაერში.

გაკვეთილის დასაწყისშივე ვიგრძენი, რომ სიტყვები ხტებოდნენ ჩემი თავიდან სტრიქონებით და წინადადებებით კი არა, არამედ მთელი გვერდებით. ტყუილად ვცდილობდი მათ დაჭერას და სათანადო წესრიგში და საზღვრებში ჩაყენებას; ისინი მიჰქროდნენ რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ვინ იცის საით; ყოველად შეუძლებელი იყო მათი შეჩერება.

ცუდად დავიწყეთ და უფრო უარესად განვაგრძეთ. მის მორდსტონი თვალს არ გვაშორებდა. ბოლოს დედა მწარედ და ხმამაღლა ატირა.

– კლარა! – შესძახა მის მორდსტონმა გამაფრთხილებელი კილოთი.

– რაღაც უქეიფოდ ვარ ძვირფასო ჯენი, – უპასუხა დედამ.

მისტერ მორდსტონმა დიდმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი თავის დას, წამოდგა ადგილიდან, აიღო შოლტი და თქვა:

– აბა, ჯენი, ჩვენ, რასაკვირველია, უფლება არ გვაქვს მოვთხოვოთ კლარას, რომ შესაფერისი სიმტკიცით აიტანოს ის ზნეობრივი ტანჯვა, რომელიც მას დღეს დავითმა მოუმზადა. ამისათვის სტიკის ხასიათია საჭირო. კლარა, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ მტკიცე გახდა სულიერად, მაგრამ ჯერ არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ საკმარის ნებისყოფას გამოიჩენს. დავით, ერთი ზევით წამომყე.

მან ხელი ჩამჭიდა და კარებისაკენ წამიყვანა. დედა გამოგვედგინა, მაგრამ მის მორდსტონმა შეაჩერა და უთხრა:

– კლარა! გაგიუდით?

მაშინ დედამ ყურები დაიცვა და გავიგე, როგორ აქვითინდა იგი.

მისტერ მორდსტონს მიყვავდი ზევით დინჯი და წყნარი ნაბიჯით; ცხადი იყო, რომ ამგვარი დასჯა დიდად სასიამოვნო იყო მისთვის. როცა საწოლ ოთახში შევედით, მან უცბად ჩემი თავი ილღიაში ამოიღო.

– მისტერ მორდსტონ! სერ! – დავიყვირე მე. ნუ მცემთ! მე ვცდილობ, ბეჯითად ვისწავლო, მაგრამ არ შემიძლია გაკვეთილის ჩაბარება, როცა თქვენ და მის მორდსტონი თვალს მადევნებთ. მე არ შემიძლია სწავლა თქვენი თანდასწრებით.

– მართლა? არ შეგიძლია? მაგასაც ვნახავთ.

ჩემი თავი მას ისე ეჭირა, როგორც მუხრუჭებში მოქცეული, მაგრამ ერთი საშინლად გავიბრძოლე და წუთით დავეღწიე. ტყუილად ვეცადე ერთხელ კიდევ პატიების თხოვნა; მისტერ მორდსტონმა ისევ ჩამიგდო და მომიჭირა თავზე. ამ დროს მე ვწვდი მის ხელს, რომლითაც პირი მომიკუმა, ჩავასვი კბილები და ვუკბინე.

მაშინ კი ისეთი საშინელი ცემა დამიწყო, თითქოს მისტერ მორდსტონს სასიკვდილოდ ვყავდი გამეტებული. მიუხედავად იმ ხმაურობისა, რომელიც ჩვენ ავტეხეთ, მე მესმოდა სირბილი კიბეებზე და ქალების კივილი. დედასა და პეგოტის მწარე ტრილის ხმა.

ბოლოს მისტერ მორდსტონი გავიდა და კარები გაიკეტა. დავრჩი იატაკზე მარტოკა, დატანჯული, აღშფოთებული, გაწარებული.

რა კარგად მახსოვს არაჩვეულებრივი სიჩუმე მთელ სახლში! რა კარგად მახსოვს მწარე ტკივილი მთელს ნაცემ სხეულზე! მაგრამ ყველა ეს ტანჯვა უმნიშვნელო იყო დანაშაულის მწარე გრძნობასთან შედარებით. მე თავს ავაზაკად ვთვლიდი. რას მიზამენ? ციხეში ჩამსვამენ? იქნებ ჩამომასრჩონ?

უკვე დაბინდდა, როცა გასაღები გადატრიალდა, დარი გაიღო და ოთახში შემოვიდა მის მორდსტონი პურით, ერთი ნაჭერი ძროხის ხორციით და რძით. ყველაფერი ეს მაგიდაზე დადგა და ხმაამოურებლად, შემომხედა მტკიცედ და გავიდა. კარი ისევ დაიკეტა.

არასოდეს არ დამავიწდება მეორე დღია. მშვენიერ ხასიათზე გამეღვიძა, განწყობილებაც ხალისიანი მქონდა, მაგრამ უეცრად თავზარი დამცა წინადლით ჩემს თავზე მომხდარი ამბის მწარე მოგონებამ. ვიდრე ლოგინიდან ავდგებოდი, მის მორდსტონი შემოვიდა ჩემ საწოლ ოთახში და მითხრა, რომ ნება მეძლევა ვისეირნო ბაღში არა უმეტეს ნახევარი საათისა. გასვლისას კარი ნახევრად ღია დატოვა, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ მესარგებლა ამ ნებართვით.

მეც ვსარგებლობდი ამ ნებართვით ჩემი ტუსაღობის ყოველ დილას, რამაც ხუთი დღე გასტანა. მე რომ საშუალება მქონოდა მარტოკა მენახა დედა, მუხლისჩოქით მიფოფხდებოდი მასთან, პატიებას ვთხოვდი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში არავინ მინახავს, გარდა მის მორდსტონისა. მხოლოდ საღამოობით, როცა სასტუმრო ოთახში საერთო ლოცვისთვის იკრიბებოდნენ, მეც შემიყვანდნენ ხოლმე ოთახში, მაგრამ იქვე კარებთან გამაჩერებდნენ. როგორც კი ლოცვა დამთავრდებოდა, ვიდრე რომელიმე დაჩოქილი მოასწრებდა ფეხზე წამოდგომას, ჩემი სულთამხუთავი მწვდებოდა მხარში და მიმარბენინებდა ჩემს დილეგში. ვხედავდი, რომ დედა, რომელიც შორ კუთხეში იდგა, მარიდებდა პირს. ისიც დავინახე, რომ მისტერ მორდსტონს შეხვეული ხელი ჩამკიდებული ჰქონდა.

ვერ ავიწერთ, როგორ დიდხანს გაგრძელდა ჩემთვის ეს ხუთი დღე. ყურს ვუგდებდი ყოველ მოძრაობას სახლში, ვცდილობდი, ამეხსნა თითოეული ფაჩუნის მნიშვნელობა კიბეზე და ტალანში. კარები იღებოდა და იხურებოდა, ზარები რეკდნენ, ისმოდა ჩურჩულის ხმები, ვირაცები ერთმანეთს გასზახოდნენ. სიცილი, ჩოჩქოლი, სტვენა და სიმღერები სახლს გარეთ სევდას მატებდა ცემს ტყვეობას. დიდი უცნაურობა იყო, რომ ჩემი ხმა არ მესმოდა. წუთიერად იფეთქებდა ხოლმე სიხარულისმაფვარი გრძნობა, ყოველი სადილისა და ვახშმის დროს, და კვლავ სწრაფად ქრებოდა.

ტყვეობის უკანასკნელ ღამეს გამაღვიძა ჩურჩულით წარმოთქმულმა ჩემმა სახელმა.

– პეგოტი, ეს თქვენა ხართ? – წავიჩურჩულე მე.

პასუხი არ იყო. ფეხის თითებზე მივიპარე კარებთან, მივად ტუჩები გასაღები ჭუჭრუტანას და ისევ წავიჩურჩულე:

– პეგოტი, გენაცვალე, ეს თქვენა ხართ?

– დიახ, მე მე ვარ, ჩემო თვალისჩინო დევი, – მიპასუხა მან. – ფრთხილად იყავი, თავივით, თორემ კატა გაგვიგებს.

– როგორ არის დედა, პეგოტი? ძალიან მიწყურება?

მე ტირილი დავიწყე, და ისე მომესმა, თითქოს პეგოტიც ტიროდა ჭუჭრუტანას მეორე მხარეს. მან მიპასუხა ნამტირალევი ხმით:

– არა, გენაცვალე, ძალიან არა.

– რას მიზამენ, პეგოტი? არ იცით?

– სკოლაში მიგაბარებენ, ლონდონის ახლოს, – მიპასუხა პეგოტიმ.

– მერე როდის, პეგოტი?

– ხვალ.

– იმისათვის ხომ არ ამოაღაგა დღეს მის მორდსტონმა კამოდიდან ჩემი ტანისამოსი?

– დიახ, ჩემოდანში ჩააწყო.

– მე ვერა ვნახავ დედას?

– ნახავ, ხვალ დილით.

აქ პეგოტიმ უფრო მოუახლოვა ჭუჭრუტანას თავისი პირი და რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზა წარმოთქვა ისეთი გრძნობით, როგორც, არც ერთ კარის ჭუჭრუტანას ქვეყანაზე არ გადაუცია მეორე ყურისათვის.

– დევი, ჩემო საყვარელო შვილო! თუ მე... არ გაიღერსებდი ამ დღეებში ისე, როგორც უწინ... ეს იმიტომ კი არა, ჩემო თვალის სინათლე, რომ არ მიყვარდე... ოჰ, დიახ... მე მიყვარხარ, ჩემო სანატრელო ჩიტუნავ... უფრო მეტად, ვიდრე უწინ; ოღონდ ეს მოხდა იმისთვის, რომ შენთვისვე უკეთესი ყოფილიყო... და კიდევ სხვისთვისაც. დევი, ჩემო კარგო, გესმის, რასაც გეუბნები? შეგიძლია, მომისმინო?

– მეს-ს-მის-ს, პეგოტი! – ამოვიკვნესე მე.

– შენ გენაცვალე! – თქვა პეგოტიმ წარმოუდგენელი თანაგრძნობით. – აი, რა მინდა გითხრა: არ დამივიწყო არასოდეს, შენი გადია... და მეც არასოდეს არ დაგივიწყებ... დედაშენს მოვუვლი, დევი, ისე, როგორც შენ გივლიდი. არასოდეს თავს არ დაუანებებ, არასოდეს. მოვა დრო... იქნება... მისთვის სასიამოვნო იყოს, რომ მიაყრდნოს თავისი საბრალო თავი... ბებური, სულელი პეგოტის მხარს. მე შენ წერილებს მოგწერ, ჩემო თვალისჩინო. თუშეცა უსწავლელი ვარ... და მე... და მე...

აქ პეგოტიმ აკოცა გასაღების ჭუჭრუტანას. ისე, თითქოს ჩემს ტუჩებს ჰკოცნიდა.

– გმადლობთ, გმადლობთ, საყვარელო პეგოტი! – ვუთხარი მე. – გმადლობთ!

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაკოცეთ განუსაზღვრელი სინაზით გასაღების ჭუჭრუტანას ორთავ მხრივ და შემდეგ გავეშირდით ერთმანეთს.

ამ ღამის შემდეგ ჩემს გულში შეიპარა პეგოტისადმი ისეთი გრძნობა, რომლის ნამდვილი სახელი მე არ ვიცი. მან, რასაკვირველია, არ დაიჭირა დედის ადგილი, – ეს შეუძლებელი იყო; მაგრამ შეავსო რაღაც სიცარიელე ჩემს გულში. მე მისდამი ისეთი დიდი სიყვარული ვიგრძენი, როგორიც სხვა ადამიანების მიმართ არასოდეს არ მიგვრძნია.

დილაადრიან ჩემს საწოლ ოთახში ჩვეულებისამებრ შემოვიდა მის მორდსტონი და მითხრა, რომ პანსიანში მეზავნიან. მას, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ უკვე ვიცოდი ეს ახალი ამბავი. მიბრძანა, ტანთ ჩამეცვა, შემდეგ გამომიციხადა, საუზმისათვის სასადილოში ჩავსულიყავი. აქ უკვე მელოდა დედა, ფერმკრთალი და ნამტირალევი. მოვეხვიე დედას და პატიების თხოვნა დავუწყე.

– აჰ, დევი, დევი! – მითხრა მან. – როგორ გაბედე შეურაცხყოფა მიგვეყენებინა იმ ადამიანისათვის, რომელიც მე მიყვარს? გამოსწორდი, ჩემო კარგო! გაპატიებ, მაგრამ ძალიან მწყინს, რომ ასეთი ცუდი თვისებები დაგეტყო.

იგი დაერწმუნებინათ, რომ მე წყალწადებული არამზადა ვარ, და ეს გარემოება მას უფრო მეტად სწყინდა, ვიდრე ჩემი მოშორება. მწარედ და მტკივნეულად ვიგრძენი ეს.

– გაიტანეთ მისტერ კოპერფილდის ჩემოდანი, – უბრძანა მის მორდსტონმა, როდესაც ალაყაფის კარებთან გაისმა ეტლის ხმა.

ოთახის კარებში ჩემი ძველი ნაცნობი მეეტლე იდგა. მან ზურგზე მოიდგო ჩემოდანი და ეტლისაკენ წაიღო.

– კლარა! – უთხრა დედას მის მორდსტონმა გამაფრთხილებელი კილოთი.

– ახლავე, ჩემო ჯენი, – უპასუხა დედამ. – მშვიდობით, დევი! შენ მიდიხარ შენივე სიკეთისათვის. მშვიდობით, ჩემო შვილო. არდადეგებზე სახლში მოხვალ. იმედი მაქვს, რომ გამოსწორდები.

– კლარა! – გაიმეორა მის მორდსტონმა.

ახლავე, ახლავე, ძვირფას ჯენი, – ეუბნებოდა დედა და თან მეხვეოდა. – მიპატიებია შენთვის, ჩემო საყვარელო ბიჭუნავ, იყავი ყოჩაღად და მხიარულად.

– კლარა! – ერთხელ კიდევ უთხრა მის მორდსტონმა.

მის მორდსტონმა იკისრა ჩემი მიცილება ეტლამდე და გამოთხოვებისას მითხრა: – გამოსწორდი, თორემ ცუდი ბოლო მოგეღისო.

ჩავჯექი ეტლში. ზანტი ჯაგლაგი ადგილიდან დაიძრა.

## თავი მეხუთე

### მომაცლიეს მშობლიურ სახლს

თითქმის ნახევარი მილი გვექნებოდა გავლილი. ცხვირსახოცი მთლად დამისველდა ცრემლებისაგან. უეცრად მეეტლე შეცვრდა.

გავიხედა და ძალიან გამიკვირდა, როცა პეგოტი დავინახე. იგი ღობის შესახვევიდან გამოვიდა და ეტლში ჩამიჯდა. ისეთი ძალით ჩამიკრა გულში, რომ ჩემო ცხვირი კორსეტს მიეჭირა და ცოტა ხნის შემდეგ საკმარისად ძლიერი ტკივილიც ვიგრძენი. პეგოტიმ გაითავისუფლა ერთი ხელი, ჯიბეში ჩაიყო, ამოიღო იქიდან ქაღალდებში შეხვეული კუპატები და ნამცხვრები, დამიტვირთა ამით ჯიბეები, ხელში ჩანთა მომაჩეხა, მაგრამ ერთი ხმაც არ ამოუღია. მერე ერთხელ კიდევ ჩამისუტა თავისი მძლავრი მკლავებით, გადახტა ეტლიდან და სწრაფად გაიქცა სახლისაკენ. ამ დროს მთელი თავისი კაბის ღილები დაჰკარგა. ავიღე ერთი მათგანი და დიდხანს ვინახავდი, როგორც საყვარელ სახსოვარს.

ამის შემდეგ გავსინჯე პეგოტის საჩუქარი. ეს იყო სქელი ტყავის საფულე კლიტით, შიგ სამი კრიალა შილინგი იღო. მაგრამ ყველაზე ძვირფასი ჩემთვის იყო ორი კრონა, ქაღალდის ნაჭერში შეხვეული; ამ ქაღალდზე დედაჩემის ხელით ეწერა: „დევის, ჩემი სიყვარულის ნიშნად“.

როცა ჩვენ, როგორც იყო, დაახლოებით ორი მილი გავიარეთ ჩანჩალით, ვკითხე მეეტლეს, მას უნდა ვეტარებინე მთელი გზა, თუ არა.

– მერე სადამდე?

– იქამდე.

– სად იქამდე?

– ლონდონამდე, – ვუპასუხე მე.



– რას ბრძანებთ! – გაიკვირვა მეეტლე. მერე მიაგდო ადვირი ჯაგლაგზე და მითხრა:

- ეს ცხენი ტახვიით გაფშიკავს ფეხებს, ვიდრე შუა გზამდე მიაღწევს.
- მაშ თქვენ მხოლოდ იარმაუთამდე მიმიყვანთ? – ვკითხე მე.
- ასე გამოდის.

მეეტლე (მისი სახელია მისტერ ბარკისი) ფლეგმატური ტემპერამენტისა და ჩუმი ადამიანი იყო. ჩემთან ლაპარაკმა, როგორც ჩანდა, დაღალა იგი. მე პატივისცემის ნიშნად ტკბილი ნამცხვარი მივართვი; მისტერ ბარკისმა გადაყლაპა და ტლანქ სახეზე სრულიად არაფერი გამოეხატა.

- ამისთანებს ის აცხობს?
- თქვენ პეგოტიზე ლაპარაკობთ?
- ჰო, რასაკვირველია.
- დიახ, პეგოტი აცხობს ჩვენს სახლში ყველა ნამცხვარს და ამზადებს ყველა საჭმელს.

– შეხედე ერთი, – წაიბურტყუნა მისტერ ბარკისმა.

მან მიაპყრო თვალები თავისი ცხენის ყურებს, თითქოს მათში შესანიშნავი რაღაც დაინახაო, და დიდხანს დაჰყო ამ დგომარეობაში.

– მაშ თქვენ ამბობთ, რომ ამ ნამცხვარს ის აცხობს – იკითხა მისტერ ბარკისმა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ.

- დიახ, ის ამზადებს ჩვენთან ყველაფერს.
  - წერილის მიწერას ხომ არ აპირებთ, სერ?
  - აუცილებლად მივწერ.
  - მართლა? – თქვა მისტერ ბარკისმა მძიმედ. – ხომ არ იკისრებთ, ჩემს მაგივრად მისწეროთ, რომ ბარკისი წინადადებას აძლევს? არ დაგავიწდებათ?
  - „ბარკისი წინადადებას აძლევს“, – გავიმეორე მე, – და სხვა არაფერი?
  - სხვა არა-ფე-რი. ბარკისი აძლევს წინადადებას. მორჩა და გათავდა.
- იმ სადამოსვე, როცა იარმაუთის სასტუმროში დილიჯანის გასტუმრებას ველოდი, ვიშოვე ქარაღდი, სამელნე, კალამი და მივწერე პეგოტის შემდეგი წერილი:

„ძვირფაო პეგოტი!

მე მშვიდობით მოვედი იარმაუთში. ბარკისი წინადადებას გაძლევთ. უთხარით დედას, რომ ძალიან მიყვარს.

თქვენი ერთგული დავით კოპერფილდი.

P.S. მან მთხოვა, უსათუოდ მომეწერა თქვენთვის, რომ ბარკისი წინადადებას გაძლევთ“.

დილიჯანის ეზოში იდგა, მაგრამ მის ახლოს არც ერთი ცხენი არა ჩანდა და არავითარი ნიშანი არ იყო იმისი, რომ იგი მალე დაიძვრებოდა ადგილიდან. იქით-აქეთ ვიყურებოდი და დიდად მაეჭვებდა ჩემი ჩემოდნის ბედი, რომელიც სრულიად უყურადღებოდ იდო დილიჯანის ახლოს.

– ეს ხომ არ არის ბლონდერსტონელი პატარა ჯენტლმენი? – იკითხა ფანჯრიდან დედაკაცმა.

- დიახ, ქალბატონო, – ვუპასუხე მე.
- რა გვარი ხართ?
- კოპერფილდი, ქალბატონო.
- მაშ ეს თქვენ არ ყოფილხართ, – თქვა მან. – კოპერფილდის სახელზე აქ სადილი არ შეუკვეთიათ.
- იქნებ თქვენ მორდსტონს კითხულობთ?
- თუ მორდსტონი ხართ, მაშ რად ირქმევთ სხვის სახელს?

მე ავუსხენი საქმის ვითარება უცნობ ლედის. მან დააწკარუნა ზარი და უთხრა მსახურს:

– ვილიამ! უჩვენეთ საერთო დარბაზი.

სასტუმროს მოსამსახურეს, რომელიც ამ ძაიხილზე მოვიდა, ძალიან გაუკვირდა, როგორცა ჩანდა, როცა ასეთი პატარა ჯენტლმენი დაინახა.

მან შემიყვანა დიდ, გრძელ ოთახში, მოიტანა კატლეტები, ბოსტნეული და ისეთი ხმაურობა ატეხა ხუფების ახდის დროს, რომ შემეშინდა, რაიმე შეურაცხყოფა ხომ არ მივაყენე-მეთქი. მაგრამ გულზე მომეშვა, როცა სკამი დამიდგა მაგიდასთან და აღერსიანად მითხრა:

– აბა, გოლიათო, შეუდექი!

მადლობა გადავუხადე და ჩემს ადგილზე დავეჯექი; მაგრამ ძალიან გამიძნელდა დანა-ჩანგლის ხმარება და კინაღამ წვენი არ გადავაქციე სუფრაზე. აყლაყულა მსახური ამ დროს ჩემი სკამის პირდაპირ იდგა და ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა თავისი დაუინებელი ცქერით.

– ეს რა არის? – ბოლოს იკითხა მან და ატაკა ჩანგალი ჩემს თევშს. – კატლეტი ხომ არ არის?

– დიახ, კატლეტია.

– რასა ბრძანებთ! მე კი არ ვიცოდი, რომ კატლეტები იყო.

მან აიღო კატლეტი ერთ ხელში, კარტოფილი მეორეში, უნებურად თვალი დამჩხა მასზე, ისე გემრიელად ჭამდა ერთსაც და მეორესაც. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ აიღო კატლეტი და კარტოფილი, მერე კიდევ და კიდევ. საკვირველი მადითა და სისწრაფით შეექცეოდა. როცა, ბოლოს, გავათავეთ ეს საჭმელი, მან მოიტანა პუდინგი და ჩემს წინ მაგიდაზე დადგა. რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი თითქოს რაღაც ღრმა ფიქრებში იყო გართული.

– როგორია კუპატი? – იკითხა ბოლოს, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვო.

– ეს პუდინგია, – ვუპასუხე მე.

– პუდინგი? – შეჰყვრა მან. – ნუთუ? დარწმუნებული კი ხართ ნამდვილად, რომ ეს პუდინგია?

და იგი დაიხარა, რომ ჩემს სიტყვებში დარწმუნებულიყო.

– დიახ, სწორია, თქვენ მართალსა ბრძანებთ. მერე, მგონია, პუდინგი კარაქით არის გაკეთებული.

– ეს პლუმ-პუდინგია, – ვუპასუხე მე.

– ნუთუ!.. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ჩემი საყვარელი პუდინგია! – შესძახა მან და სუფრის კოვზი აიღო. – რა ბედნიერებაა! აბა, პაწიავ, დაიწყე! ვნახოთ, ვინ უფრო მეტს შეჭამს.

რასაკვირველია, მსახურმა გაცილებით უფრო მეტი შეჭამა, ვიდრე მე. იგი ძალიან ზრდილობიანად მთხოვდა არ ჩამოურჩენილიყავ და, თუ შეეძლებოდა, მეჯობნა მისთვის ამ ღორმუცელობის ასპარეზზე; მაგრამ შეჯიბრება მეტად უსწორო იყო: რას გავაწყობდი მე ჩემი ჩაის კოვზით მის სუფრის კოვზთან, და ჩემი მადით – მის მადასთან? რასაკვირველია, ჩამოურჩი პირველსავე ლუკმაზე და ყოველივე იმედი დაგკარგე, რომ ოდესმე დავეწეოდი. მგონია, არასოდეს არ მინახავს, რომ ვინმე ასეთი ნეტარება ეგრძნოს პუდინგის ჭამაში.

მსახურის მეგობრული დახმარებით ჩემი სადილი დიდი წარმატებით დასრულდა.

მაგრამ როდესაც დილიჯანსში ჩასაჯდომად გამოვედი, გამაოცა ერთმა, არც ისე სასიამოვნო გარემოებამ: როგორცა ჩანდა, ყველას ეგონა, რომ მე, მარტოკამ, სხვის დაუხმარებლად, შევჭამე ჩემი სადილი. სასტუმროს დიასახლისმა ფანჯრიდან დაუძახა კონდუქტორს:

– ჯორჯ! გაუფრთხილდით ამ პაწიას, არ გასკდეს გზაში!

ამ სიტყვებს საერთო სიცილი მოჰყვა. სასტუმროს მოახლე ქალები გარს შემოეხვივნენ დილიჯანსს და მსინჯავდნენ, როგორც უცნაურ ზღვის ცხოველს.

ჩემი მდგომარეობა დილიჯანსში ძალიან საძნელო იყო, რადგან მეეტლე და კონდუქტორი დამცინოდნენ; მათ აღვირახსნილ ოხუნჯობას საზვარი არ ჰქონდა, და არწმუნებდნენ დანარჩენ მგზავრებს, რომ მხოლოდ მე ვაძნელებ ჩემი სიმძიმით ეტლის წინსვლას. რამდენიმე წუთის განმავლობაში ყველამ დაწვრილებით გაიგო ჩემი მადის ამბავი და მეკითხებოდნენ: როგორი ხელშეკრულება დადეს სასწავლებელში ჩემი კვების შესახებ? მხოლოდ ჩემთვის გადაიხდიან ფასს, თუ ორი ან სამის მაგივრად? – და სხვა ამგვარი კითხვები.

იარმაუთიდან გამოვედით ნაშუადღევს სამ საათზე. უნდა ჩავსულიყავით ლონდონში მეორე დღეს, დილის რვა საათისთვის.

დამე ძალიან აცივდა. იმის შიშით, რომ არ გადმოვვარდნილიყავი დილიჯანსის იმპერიალიდან, ორ ჯენტლმენს შუა ჩამსვეს. როცა ისინი იძინებდნენ, ისე მჭყლეტდნენ ორივე მხრიდან, რომ მათ შუა, როგორც მუხრუჭებში, ისე ვიყავი მომწყვდეული. მე ვიხრჩობოდი და ვყვიროდი: „ო, ღვთის გულისათვის, ნუ გამჭყლიტეთ!“ ეს ძალიან არ მოსწონდათ ჯენტლმენებს, რადგან ჩემი ყვირილი მათ ძილს უფრთხობდა.

ბოლოს ამოვიდა მზე და ჩემი თანამგზავრებიც დამშვიდნენ ნელ-ნელა. როგორცა ჩანდა, მთელი ღამის განმავლობაში ისინი წარმოუდგენელ სიძნელებსა და დაბრკოლებებს ებრძოდნენ. ეს ბრძოლა გამოიხატებოდა შეთანხმებულ ხვრინვასა და ფშვინვაში. მაგრამ ჰორიზონტზე მზემ მაღლა აიწია, და მათი ძილიც უფრო მსუბუქი გახდა. ბოლოს მათ გამოიღვიძეს. ძალიან გამიკვირდა, როცა ერთმანეთს რწმუნება დაუწყეს, თითქოს მთელი ღამე არ სძინებიათ.

როგორი საკვირველი მეჩვენა ლონდონი, როცა პირველად დავინახე იგი შორიდან იმპერიალის სიმაღლიდან! ცოცხლად წარმოვიდგინე ყველა ჩემი საყვარელი გმირი, რომელმაც აქ შეასრულა თავისი შესანიშნავი საქმეები.

თავის დროზე ჩვენ გავჩერდით უაიტჩეპელში. სასტუმროს, რომლის წინაც გაჩერდა დილიჯანსი, ერქვა „ლურჯი ხარი“ თუ „ლურჯი ტახი“, კარგად არ მახსოვს; მახსოვს ოღონდ, რომ რაღაც ლურჯი საგანი ჩვენი დილიჯანსის კარზედაც ეხატა.

კონდუქტორი ჩამოვიდა კოფოდან, მივიდა დილიჯანსების კანტორის კარებთან და იკითხა:

– ხომ არავინ ელის აქ ბიჭუნას, რომელიც დავთარში ჩაწერილი გყავს, როგორც ბლონდერსტონელი მორდსტონი. აქ უნდა მოსულიყვნენ მის წასაყვანად.

პასუხი არ იყო.

– აბა, კოპერფილდის სახელზე ეცადეთ იკითხოთ, სერ, – ვთხივე მე თავჩაღუნულმა.

– ხომ არავინ ელის აქ ბიჭუნას, რომელიც ჩაწერილი გყავს ბლონდერსტონელი მორდსტონის სახელით და რომელიც თავისთავს კოპერფილდს უწოდებს? აქ უნდა მოსულიყვნენ მის წასაყვანად. ეი! ვის უნდა მორდსტონი ან კოპერფილდი?

არავის არ გუნდივარ! შეწუხებულმა მივიხედ-მოვიხედე ყოველ მხარეს, მაგრამ ამან არავისზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, გარდა ცალფეხა ჯენტლმენისა, რომელმაც შენიშნა, რომ ურიგო არ იქნებოდა, გაეკეთებინათ ჩემთვის რკინის საყელო და თავლაში დაეგები.

მიტოვებული, მარტოდმარტო, როგორც რობინზონ კრუზო უდაბურ კუნძულზე, შევედი კანტორაში და, მორიგე მწერლის მიწვევით, დაფჯექი დიდ სასწორზე, დახლს იქით. საშინელი ფიქრები ერთიმეორეს ცვლიდნენ, – ვაითუ არავინ მოვიდეს აქ, დილიჯანსების კანტორაში! რამდენ ხანს დამტოვებენ ამ ალაგას? ნუთუ ამ ხის ყუთებზე უნდა დავიძინო და დილაობით პირი ეზოში, ჭასთან დავიბანო? ვაითუ მისტერ მორდსტონმა განგებ მოიგონა ეს საშუალება ჩემი თავიდან მოსაშორებლად? მაშინ რაღა ვქნა! რასაკვირველია, შიმშილით უნდა მოვკვდე, როცა ჩემ შვიდ შილინგს დავხარჯავ; მაგრამ სად უნდა მოვკვდე?

კანტორაში ნებას არ მომცემენ, რადგან ამან შეიძლება უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოს მგზავრებზე და ამასთანავე – „ლურჯი ტახი“ ან „ხარი“ ამ შემთხვევაში იძულებული იქნება თავის საკუთარი ხარჯით დამმარხოს. ხომ არ გავიქცე უკან, მშობლიურ სახლში? ეს ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ როგორ ვიპოვო გზა მარტოკამ, უთანამგზავროდ? შვიდ შილინგად კი არავინ წამიყვანს. თუმცა ისიც საფიქრებელია, როგორ მიმიღებენ სახლში, რომ მივალწიო კიდევ ბლონდერსტონამდე? პეგოტის გარდა, ვიცი, არავის არ გაუხარდება ჩემი დაბრუნება. ხომ არ მიემართო ადგილობრივ მთავრობას, რომ ჯარისკაცად ან მეზღვაურად ჩამწერონ? არა, მე ისეთი პატარა ვარ, მთავრობა უსათუოდ უარჰყოფს ჩემს წინადადებას.

ყველა ამ და სხვა ამგვარ ფიქრებისაგან ხან მაცივებდა, ხან მაცხელებდა, ისე რომ, ბოლოს სრულებით თავბრუ დამეხვა. როცა ჩემმა მღელვარებამ უკიდურესობამდე მიაღწია, დიიუანსების კანტორაში შემოვიდა ვიღაც მამაკაცი და მორიგე მწერალს ყურში რაღაც წასწურჩულა. მწერალმა ხელი მკრა, სასწორიდან გადმომაგდო და ხელიდან ხელში გადამცერს უცნობს ისე, თითქოს ამწონეს, მიყიდეს და როგორც სავაჭრო საქონელს, ისე მომექცნენ.

ამ მიყიდველთან ხელიხელჩაკიდებული გამოვედი ქუჩაში და ჩუმად შევხედე მას. უცნობს ეცვა შავი, საკმარისად დაძველებული ფრაკი. ამ ტანსაცმელს ვიწრო და მოკლე სახელოები სრულებით გახეხოდა. შარვალი არაფრით არ იყო ფრაკზე უკეთესი. კისერზე ეკეთა გაუხამებელი და მთლად დაჭმუჭნული თეთრი საყელო. ისე მეჩვენა მაშინ, – და, მგონია, არც ვცდებოდი, – თითქოს ეს საყელო უცნობის ერთადერთ თეთრეულს შეადგენდა.

– თქვენ „ახალი“ ხართ? – მკითხა მან.

– დიას, სერ.

მე ალაღბედზე ვუპასუხე. მაგრამ ვივარაუდე, რომ სახელწოდება „ახალი“, ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა მე მკუთვნებოდა.

– მე კი სალემ-ჰაუზის ერთი მასწვლებელთაგანი ვარ.

თავი დაეუკარი და მაშინვე პატივისცემა ვიგრძენი სალემ-ჰაუზის მასწავლებლისადმი. მრცხვენოდა, ხმა ამომელო ნასწავლი ჯანტლმენის წინაშე ისეთი უმნიშვნელო საგნის შესახებ, როგორიც ჩემი სამგზავრო ჩემოდანი იყო, მაგრამ, როცა რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით, გაგბედე და ვუთხარი, რომ ჩემი ნივთები დიიუანსების კანტორაში დარჩა. ჩვენ უკან მივბრუნდით, სალემის მასწავლებელმა მიმართა მწერალს და უთხრა, ამ ნივთების წასაღებად დღესვე, ნასადილევის მოვლენო.

– ნება მიბოძეთ გკითხოთ, სერ – ვუთხარი მე, როცა ჩვენ ისევ გამოვედით კანტოლიდან, – შორი გზა გვაქვს გასავლელი?

– არც ისე პატარა, – დაახლოებით ექვსი მილი. ჩვენ დილიუანსით წავალთ.

საშინლად დადღილი ვიყავი, და იმ აზრმა, რომ კიდევ ექვსი მილი მქონდა გასავლელი, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. მოვიკრიბე ძალ-ღონე და ვუთხარი, რომ მშია, რადგან თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში არაფერი მიჭამია, და იგი დიდად დამავალებდა, თუ მომცემდა ნებას – მეყიდნა რამე. გაკვირვებული მასწავლებელი შეცერდა და ყურადღებით შემომხედა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მითხრა, უნდა შევიარო ერთ მოხუც ქალთან, რომელიც აქ ახლო ცხოვრობს, მის სახლში შეიძლება ვიშოვნოთ რძე საუზმისათვის, პური კი აქვე, გზაზე ვიყიდოთო.

ჩვენ ვიყიდეთ სანოვაგე და გავაგრძელეთ გზა ხალხის ბუზუნსა და ქუჩის ხმაურში. ჩვენ გადავიარეთ რომელიღაც ხიდი, მას ჩემმა თანამგზავრმა, როგორც მაგონდება, ლონდონის ხიდი უწოდა. თავბრუ მეხვეოდა, ფეხზე ძლივს ვიდექი. ბოლოს მოვედით საბრალო დედაბრის ბინაზე. ეს იყო სამრევლო თავშესაფრის ერთი განყოფილებათაგანი, როგორც ჩანდა წარწერიდან ალაყაფის კარების თავზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ სახლი აშენებულია ოცდახუთი ღარიბი ქალის საცხოვრებლადო.

შევედით მომცრო ოთახში, სადაც ვიღაც დედაბერი ცეცხლს უბერავდა ღუმელში. მას ზედადგარზე პატარა ქვაბი ედგა. მასწავლებლის შესვლისთანავე მოხუცმა გამოიღო საბერველი და ისე მომესა, თითქოს იგი მიესალმა მასწავლებელს სიტყვებით: „ა, ეს შენა ხარ, ჩარლი!“ მაგრამ უცნობი ბავშვის დანახვაზე დედაბერი ადგა, გასწორდა და რაღაც რევერანსის მსგავსი მოძრაობით სალამი მოგვცა.

– ხომ არ შეიძლება საუზმე მოუმზადოთ ამ პატარა ჯენტლმენს? – იკითხა მასწავლებელმა. – ხომ არ შეიძლება? რასაკვირველია, შეიძლება! – უპასუხა დედაბერმა.

ჩემ წინ მაგიდაზე დადეს პური, ლორი, კვერცხები და კოჭობი რძით; საუზმე გემრიელიც გამოდგა და მაძღრისიც; სავსებით ვტკბებოდი ამ საუზმით, როცა მოხუცმა დიასახლისმა ჰკითხა სალემის მასწავლებელს:

– ფლეიტა თანა გაქვთ?

– დიას, – უპასუხა მასწავლებელმა.

– კარგი იქნება, თუ ცოტას დაუკრავთ, – აღერსიანად სთხოვა მოხუცმა.

მასწავლებელმა ჩაიყო ხელი ჯიბეში, და, მართლაც, ფლეიტის მსგავსი საკრავი ამოიღო. მან დაუკრა, და იმწამსვე გადავწყვიტე, რომ მთელს ქვეყანაზე არ არის და არც შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც მასზე ცუდად უკრავს. ამგვარი იყო ჩემი იმდროინდელი აზრი, და ახლაც კი არ ვამბობ ამაზე უარს. არ ვიცი, როგორ აღვნიშნო იმ მუსიკალური ჰანგის ხასიათი, თუ კი აქ საერთოდ იყო რაიმე მუსიკა და ჰანგი, მაგრამ შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზე ამ გულსაკლავმა სტვირმა, ისეთი იყო, რომ, ჯერ ერთი, ცოცხლად წარმომიდგა მთელი ჩემი დარდი და ვარაძი, დაწყებული სიყრმიდან ამ წუთამდე; მეორე – ის, რომ სრულებით მადა დამეკარგა, და მესამეც, – საშინელმა თვლელმამ ამიტანა. და აი, ჩემი თვალები ჩემდა უნებურად იხუჭება. ნელ-ნელა ქრება ჩემი თვალთახედვიდან ეს ოთახი, თავისი ღია კარადით ბნელს კუთხეში, მისი ოთხკუთხა საზურგიანი სკამებით, სახურავზე ასახვლელი პატარა კიბით და ფარშავანგის სამი ფრთით, რომელიც ღუმელის თავზე არტყვია (ოთახში შესვლისას ჩემს თავს ვეკითხებოდი, რას იზამდა საბრალო ფარშავანგი, თავისი ბუმბულის ბედი რომ იცოდეს). სალემის მასწავლებელი, ფეხი ფეხზე გადადებული, ზის უძრავად და უსტვენს, უსტვენს უმოწყალოდ, ხოლო დედაბერი, სტუმართმოყვარე დიასახლისი, აღტაცებით შეკყურებს მას. მალე ჰქრება ყველაფერი, ისე რომ აღარ არის აღარც სალემის სასწავლებელი, არც დავით კოპერფილდი – არაფერი, გარდა მძიმე ძილისა.

მეძინა დიდხანს და მაგრად; ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენა. ბოლოს, სალემის მასწავლებელმა სამ ნაწილად დაშალა თავისი სტვირი, შეახვია, ჯიბეში ჩაიდო და კარში გამიყვანა. დილიჯანსმა სწორედ ამ დროს გამოიარა თავშესაფრის წინ და იმპერიალზე ავცოცდით. მალე ისევ დრმა ძილს მივეცი თავი და არ გამიღვიძია, სანამ დილიჯანსმა არ დაიწყო აღმართში მძიმედ ასვლა, მაღალ გორაკზე, მწვანე ხეხილებს შუა. იგი მალე გაჩერდა, რადგან თავის დანიშნულების ადგილს მიაღწია.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით და მივადექით სალემის სასწავლებელს, რომელსაც მაღალი აგურის გალავანი ერტყა. მისი შეხედულება მოსაწყენი და მოღუშული მეჩვენა. კარს თავზე მიკრული იყო ლითონი ფიცარი წარწერით: „სალემის სასწავლებელი კეთილშობილ მოწაფეთათვის“. დავრეკეთ. კარებში გაკეთებული მრგვალი სარკმლიდან გამოიხედა გაუპარსავმა, დაღვრემილმა სახემ, რომელიც, როგორც შემდეგ დავინახეთ, ეკუთვნოდა სქელ ვაჟკაცს, მას ხარივით კისერი და ხის ფეხი ჰქონდა. მოკელგაკრეჭილი თმა ჯაგარვით აბურძგნოდა.

– ეს ახალი მოწაფეა, ტუნგე, – უთხრა მას მასწავლებელმა.

ხისფეხიანმა ჯენტლმენმა ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, დაკეტა ჩვენს უკან კარი და გასაღები გამოიღო.

საღემის სასწავლებელი წარმოადგენდა ქვის ოთხკუთხა შენობას ფლიგელებით; გარედან სრულებით სადა იყო. შიგ სრული სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა, და მე გამოვთქვი აზრი, რომ უეჭველია ბავშვები სასეირნოდ არიან წასულნი მეცადინეობის შემდეგ-მეთქი, მაგრამ მისტერ მეღმა, – ასე ერქვა მასწავლებელს, – ამიხსნა, რომ ყველა ბავშვი ამჟამად სახლშია დათხოვილი. სასწავლებლის პატრონი, მისტერ კრილი, ისვენებს აგარაკზე, ზღვის პირას, ცოლითა და ქალიშვილით. ხოლო შენ იმიტომ გამოგზავნეს არდადეგების დროს, რომ ცუდი საქციელის გამო დაგსაჯესო.

სამეცადინო დარბაზი, სადაც მასწავლებელმა შემიუყვანა, მიტოვებული და სევდისმომგვრელი მეჩვენა. იგი ახლაც ცოცხლად მიდგას თვალწინ. ეს გრძელი და განიერი ოთახია, სადაც ამრიგად მაგიდები დგას და ექვსრიგად სკამები. ჭუჭყიანი იატაკი მოფენილია მოწაფეთა რვეულების ნახევებით. მაგიდებს ზევიდან აბლაბუდას სქელი გაუბამს. ჭუჭყიანი მუყაოს პაწია სახლში ორი თეთრი თავი წინ და უკან დარბის და თავისი წითელი თვალებით მსუნაგად ეძებენ, ხომ არ არის სადმე რაიმე საჭმელიო. პაწაწინა გალიაში ზის რაღაც ჩიტი; იგი ფრთხილებს და დახტის ლატანზე, მაგრამ არ გალობს და არც ჟღერტულებს. მთელი ოთახი გაქლენილია უცნაური სუნით: ობისა, დამპალი ვაშლებისა და თავგებისაგან დაღრღნილი რვეულების სუნით. ყველგან აუარებელი მეღნის ლაქაა; ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ სახლი უსახურად დგას თავისი აშენების დღიდან და რომ მას შეუჩერებელი დასდის მეღნის წვიმა, თოვლი და სეტყვა.

ყველა ეს დაკვირვება მე მისტერ მეღის ოთახში არყოფნის დროს მოვახერხე. როცა ოთახის მეორე ბოლოში გავედი, ერთ-ერთ მაგიდაზე დავინახე მუყაოს დაფა, რომელზედაც გარკვევით ეწერა შემდეგი სიტყვები: „უფრთხილდით, იკბინება“. იმწამსვე მაგიდაზე ავხტი, რადგან ვიფიქრე, ოთახში დიდი ძაღლია-მეთქი. ტყუილად ვეძებდი მოუსვენრად; ძაღლი არსად ჩანდა. მე ჯერ კიდევ ამ ძებნაში ვიყავი, რომ მისტერ მეღი დაბრუნდა ოთახში და მკითხა, რად ამძვრალხარ მაგიდაზეო.

– ბოდიშს ვიხდი, სერ, – ვუთხარი მე, – მინდა გავიგო სად არის აქ ძაღლი?

– ძაღლი? რა ძაღლი?

– განა ეს ძაღლი არ არის?

– სადა? რომელი ძაღლი? – ძაღლი, რომელიც იკბინება.

– არა, კოპერფილდ, – მიპასუხა სერიოზულად მასწავლებელმა, – ეს ძაღლი არ არის. ეს ბავშვია. დავალებული მაქვს, კოპერფილდ, ეს დაფა ზურგზე ჩამოგკიდოთ. ძალიან მწყინს, რომ ჩვენი ნაცნობობა ასე იწყება, მაგრამ მეტი გზა არა მაქვს.

ამ სიტყვებთან ერთად მიბრძანა მაგიდიდან ჩამოსვლა და ზურგზე ჩამომკიდა დაფა, რომელიც ამ მიზნით იყო მომზადებული.

ძნელი წარმოსადგენია, რა განვიცადე ამ დაფის გამო. მიცქერდა ვინმე თუ არა, სულ მეჩვენებოდა, რომ ჩემს ზურგზე კითხულობდნენ წარწერას. ტყუილად ვტრიალებდი ყოველ მხარეს, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არავინ მადევნებდა თვალს. მაინც ზურგზე არა მქონდა თვალები და, ჩემი ფიქრით, უხილავი მკითხველი კითხულობდა ამ საბედისწერო წარწერას. ხისფეხიანი ჯენტლმენი უმოწყალოდ მიმატებდა ტანჯვას. მას დავალებული ჰქონდა ედევნებინა ჩემთვის თვალყური, და ამის გამო, როგორც კი მივეყუდებოდი ხეს ან კედელს, მიყვიროდა საშინელი ხმით:

– ეი, თქვენ, სერ! მისტერ კოპერფილდ! კარგად გამოაჩინეთ თქვენი დაფა, თორემ დაგაბეზლებთ!

ეზო, სადაც სეირნობის ნება დამრთეს, სამზარეულოსა და მოსამსახურეთა ბინების წინ იყო. ჩემის აზრით, ყველა მსახური ქალი და კაცი კითხულობდა ჩემს დაფას; კითხულობდა ყასაბი, კითხულობდა ხაბაზი, ერთი სიტყვით, ყველა

კითხულობდა და ყველამ იცოდა, რომ უნდა მომრიდებოდა, რადგან ვიკბინებდი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩემი თავისა თვითონვე მეშინოდა და წარმოვიდგინე – რაღაც ეშვებიანი ბოროტი მხეცი ვიყავი.

ამ ეზოში იყო ერთი ძველი ხის კარი, სადაც მასწავლებლის მოწაფეებს დანით თავისი სახელები ამოეჭრათ. შიშით ვფიქრობდი ჩემი მომავალი ამხანაგების მალე დაბრუნებაზე და მათ გვარებს რომ ვუკვირდებოდი, წინდაწინვე წარმოდგენილი მქონდა, როგორი რიხით წარმოთქვამდა ყოველი მათგანი: „უფროსილდით, იკბინება“. აქ იყო ერთი შეგირდი, ვინმე ჯემს სტირფორდი; მისი სახელი, ღრმად ამოჭრილი ფიცარზე, ყველაზე ხშირად მეორდებოდა. წარმოვიდგინე, რომ ეს ჯემს სტირფორდი ბოხი ხმით წაიკითხავდა ჩემს წარწერას და შემდეგ თმებით მათრევს-შეთქი. მეორე შეგირდს, ტომ ტრედელსს, ჩემის აზრით, მასხრად უნდა ავეგდე, და იგი ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს მართლაც ეშინოდა ჩემი. სალემის სასწავლებელში სულ ორმოცდახუთი მოწაფე იყო, როგორც მისტერ მეღმა მითხრა, – ვაითუ ყველამ ერთხმად დაიყვიროს: „უფროსილდით, იკბინება!“

ასეთივე შიშს მიღვივებდა კლასის სკამები და მაგიდები, საწოლ ოთახში მოწაფეთა ლოგინები და ჩემი საკუთარი ლოგინიც.

ცხოვრების ერთფეროვნება და მუდმივი შიში ძალიან ძნელი და მძიმე ასატანი იყო ჩემთვის. მისტერ მეღმა დიდ გაკვეთილებს მიტარებდა ყოველდღე, მაგრამ მე ძალიან კარგად ვსწავლობდი, რადგან აქ არ იყვნენ მის და მისტერ მორდსტონები. გაკვეთილების შემდეგ სასეირნოდ გამოვდიოდი ეზოში, სადაც ხისფეხა ჯენტლმენი თვალყურს მადევნებდა. ო, რა კარგად მასხოვს ობისა და ნოტიო სუნი სახლში, დამტვრეული ფილაქანი ეზოში, ძველი დახეთქილი კასრი მის კუთხეში და ხეების გაყვითლებული ფოთლები!

ნაშუადღევის პირველ საათზე მე და მისტერ მეღმა ვდასილობდით სასადილოში, სადაც არავითარი ავეჯი არ იდგა. გარდა ცხვრის ქონით გაჟღენთილი არყის ხის მაგიდებისა. სადამოს, გაკვეთილების შემდეგ, ჩაის ვსვამდით: მისტერ მეღმა – ლურჯი ფინჯანიდან, მე კი თუნუქის მაშრაფიდან. ჩვენ შეუსვენებლად ვმუშაობდით ყოველდღე სადამოს შვიდ ან რვა საათამდე. მისტერ მეღმა უჯდა მაგიდას სასწავლო დარბაზში, მთლად გარშემოზღუდული კალმებით, სახაზავებით, წიგნებით, რვეულებით. მალე გავიგე, რომ იგი სალემის სასწავლებლის უკანასკნელი სემესტრის ანგარიშებს ასწორებდა. როცა მისტერ მეღმა ათავებდა დღიურ მუშაობას, იგი ხელს ჰკიდებდა თავის სტვირს და ისე დაუღალავად უკრავდა, რომ ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქმის მთლად, ხელფეხიანად, აპირებდა შესვლას ამ საკრავის ჭუჭრუტანაში.

ცოცხლად წარმომიდგება ჩემი თავი სალემის სასწავლებლის მობნელო ოთახებში. მე ვზივარ მისტერ მეღმის პირდაპირ ხელებზე თავით დაყრდნობილი, ვუსმენ მისი მუსიკის გულსაკლავ ხმას და ნაღვლიანად ვფიქრობ ხვალინდელ გაკვეთილებზე. ვკეცავ წიგნებს და ფლიეტის სევდიანი ხმების სმენის დროს ვიგონებ მშობლიურ სახლს, იარმაუთს, ზღვის ნაპირს და პატარა ემის. მაგრამ, აი, საწოლ ოთახში ვარ მარტოკა, მიტვებული ცარიელ ოთახებს შუა, ვზივარ ჩემს ლოგინზე და ჩუმად ვტირი იმის ფიქრში, რომ ძილის წინ პეგოტი ნუგეშიმსცემელი სიტყვებით არ მოვა ჩემთან.

დილით, როგორც კი მზის პირველი სხივები გამოანათებენ, დაბლა ჩავდივარ და ჭუჭყიან სარკმელში ვხედავ სალემის ზარს, ქოხის სახურავზე რომ ჰკიდია ფლუგერის ქვემოთ. მალე, მალე დადგება დრო, როცა ეს ზარი გააღვიძებს ჯემს სტირფორდს და სხვა მოწაფეებს!

**თავი მეექვსე**

## ნაცნობების წრე ფართოვდება

ასე გავატარე დაახლოებით ერთი თვე, როცა, ბოლოს, ცალფეხა მეკარე გამოჩნდა ეზოში ცოცხით ერთ ხელში და წყლის სათლით მეორეში. აქედან დაეასკენი, რომ იწყებოდა მზადება მისტერ კრიკლისა და მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა ღირსეული დახვედრისათვის. მე არ ვცდებოდი. მალე ცოცხი და წყლის სათლი სასწავლო დარბაზში გაჩნდა და გამოგვრეკა იქიდან მე და მისტერ მელი. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვაი-ვაგლახით ვცხოვრებით და, როგორ ბოშები, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადავდიოდით. მტვერი სქელი ღრუბელივით ბოლქვებად იდგა მთელ სახლში და ყოველ წუთში ცხვირს მაცემინებდა, თითქოს საღემის სასწავლებელი ერთ დიდ ბურნუთის ყუთად ქცეულიყო.

დაახლოებით სამი დღის შემდეგ მისტერ მელმა შემატყობინა, რომ იმ საღამოს საღემში მოელოდნენ თვით მისტერ კრიკლს. მართლაც, საღამოს გავიგე, რომ მისტერ კრიკლი მოვიდა. ორი საათის შემდეგ, როცა უკვე დასაძინებლად ვემზადებოდი, ხისფეხა ჯენტლმენი მოვიდა მისტერ კრიკლისაგან ჩემს საწყევანად.

ის ნაწილი შენობისა, სადაც ცხოვრობდა მისტერ კრიკლი ოჯახობით, გაცილებით უფრო ლამაზი და უკეთ მოწყობილი იყო, ვიდრე დანარჩენი შენობა, სადაც თვით პანსიონი იყო მოთავსებული. წინ მშვენიერი პატარა ბაღი ჰქონდა გაშენებული; ეს ბაღი ეკვროდა ჩვენს სარეკრეაციო ეზოს, იმდენად უდაბურსა და მოსაწყენს, რომ აქ მხოლოდ აქლემებს შეეძლოთ მყუდროდ ეგრძნოთ თავი. შიშით მივდიოდი მისტერ კრიკლთან, და როცა, ბოლოს, მის ბინაში შემიყვანეს, ისე დავიბენი, რომ ვერც კი შევნიშნე მის და მისის კრიკლი, რომლებიც სასტუმროში ისხდნენ. არავის ვხედავდი, გარდა მისტერ კრიკლისა, მსხვილი ჯენტლმენისა, რომელსაც საათის ოქროს ძეწკვი და ათასგვარი სამკაულები უბრწყინავდა.

იგი იჯდა დიდ სავარძელში, პატარა მაგიდის წინ, რომელზედაც იდგა ჭიქა და ბოთლი ღვინით.

– ა! – შესძახა მისტერ კრიკლმა. – მაშ ეს არის ახალგაზრდა ჯენტლმენი, რომელსაც კბილები უნდა მოვახეხოთ? ერთი მოაბრუნეთ.

ხისფეხა ჯენტლმენმა მიმამბრუნდა ზურგით ისე, რომ ყველას შესძებოდა ჩემი დაფის დანახვა. როცა ეს სინჯვა გათავდა, ისევ ძველ პოზაში დამაყენეს; ხისფეხა ჯენტლმენი კი მისტერ კრიკლის ახლოს დადგა. მისტერ კრიკლს აღისფერი სახე ჰქონდა, თვალები პატარა, ღრმად ჩამჯდარი; შუბლზე სქელი, თ კებისსიმსხო ძარღვები დაბერვოდა, ცხვირი ატარა, ნიკაპი განიერი და მსუქანი. მელოტი თავი უპრიალეებდა, თუმცა დაფარული ჰქონდა თხელი, ჭადარა თმით, რომელიც საფეთქლებიდან ზევით ჰქონდა ავარცხნილი. ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, რომ მისტერ კრიკლს სრულებით არა ჰქონდა ხმა, იგი ჩურჩულით ლაპარაკობდა. იმ ზაღდატანების გამო, რომელიც მას ლაპარაკისთვის უხდებოდა, ან იქნებ ამ ნაკლის უსიამოვნო გრძობის გამო, მისტერ კრიკლი ლაპარაკის დროს უფრო და უფრო ჯავრობდა და შუბლზე ძარღვები უფრო და უფრო ებერებოდა, როცა იგი ძაღვს ატანდა თავს, რომ გამოედო ეს ყრუ და სისინა ხმები.

– აბა! – თქვა მისტერ კრიკლმა. – რას მეტყვით ამ ყმაწვილი შესახებ?

– ჯერჯერობით არაფერი ცუდი არ შეგვიმჩნევია, – უპასუხა ხისფეხა ჯენტლმენმა, – ჯერ არ ყოფილა შემთხვევა.

ამგვარი პასუხი, როგორც შევნიშნე, ეწყინა მისტერ კრიკლს, მაგრამ მისი ცოლი და ქალი – წყნარი და მორიდებული არსებანი, რომლებიც მხოლოდ ახლა შევნიშნე პირველად, ეტყობდა, კმაყოფილნი იყვნენ ხისფეხა ჯენტლმენის პასუხით.

– აქ მოდი, – მითხრა მისტერ კრიკლმა და ხელით მანიშნა.



– აქ მოდი! – გაიმეორა ხისფეხა ჯენტლმენმა და მისტერ კრიკლის მოძრაობა გაიმეორა.

– მე ძალიან კარგად ვიცნობ შენს მამინაცვალს, – წაიხურჩულა მისტერ კრიკლმა... უღირსეულესი ჯენტლმენია, მტკიცე ხასიათისა. მორდსტონი მიცნობს მე და მე ვიცნობ მორდსტონს. შენა? მიცნობ თუ არა, ყმაწვილო, ჰა? – მითხრა მისტერ კრიკლმა და ყური ამიწია.

– ჯერ არა, სერ, – ვუპასუხე მე და ტკივილისაგან შევეკრთი.

– ჯერ არა? ჰა? – გაიმეორა მისტერ კრიკლმა. – მალე გამიცნობ, ჰა.

– მალე გამიცნობ, ჰა? – გაიმეორა ხისფეხიანმა.

შემდეგში გავიგე, რომ ეს ხისფეხა, რომელსაც ძლიერ ხმა ჰქონდა, ყოველთვის თარჯიმნად ახლდა მისტერ კრიკლის პიროვნებას, როცა მას მოწაფეებითან უხდებოდა ლაპარაკი. ძალიან შეშინებული ვიყავი და ვუპასუხე, რომ იმედი მაქვს მალე გავიგო ის, რაც საჭიროა.

– მე მტკიცე ხასიათი მაქვს, – სისინებდა მისტერ კრიკლი, – მე ვიცი ჩემი მოვალეობის ასრულება, იცოდე ეს. ჩემმა საკუთარმა სისხლმა და ხორცმა რომ წინაღმდეგობა გამიწიოს, უარს ვიტყვი ჩემს სისხლსა და ხორცზე (აქ მან მის კრიკლს შეხედა). მას აღარ ჩავთვლი ჩემად. ის არამზადა კიდევ იყო აქ?

– არა სერ, – უპასუხა კოჭლმა.– არა! – თქვა მისტერ კრიკლმა. – აი ის მიცნობს, ის უკეთ მიცნობს. სჯობია, რომ არც მოვიდეს. – ამ სიტყვებთან მისტერ კრიკლმა მუშტი დაარტყა მაგიდას და გაჯავრებით შეხედა თავის ცოლს. – შორს დაიჭიროს თავი, იგი მიცნობს მე. აი, ახალ შენც თანდათან გამიცნობ, ჩემო ძმაო. წადი, წაიყვანე.

– ნება მიბოძეთ, სერ...

– ჰა? რაო? – გაისისნა მისტერ კრიკლმა და მისი თვალები ისე დამაშტერდნენ, თითქოს ჩემი დაწვა უნდოდათ.

– მე მინდოდა ამეხსნა, სერ, თუ ნაებას მიბზებთ...

– აბა?

– მე ვწუხვარ ჩემს საქციელზე, სერ. დიდი ხანია ვნანობ. ხომ არ უბრძანებთ, ეს დაფა მომხსნან, სანამ ამხანაგები...

არ ვიცი, მართლა გაჯავრდა მისტერ კრიკლი, თუ ჩემი შეშინება უნდოდა, ოღონდ ის კია, რომ სწრაფად წამოხტა სავარძლიდან... კისრისტეხით გამოვვარდი ოთახიდან და საწოლ ოთახში გავიქეცი. საბედნიეროდ, კოჭლი არ გამომდევნებია. იქ ტანთ გავიხადე და ორი საათის განმავლობაში ვკანკალებდი ლოჯინში.

– მეორე დღეს, დილით, მოვიდა მისტერ შარპი, უფროსი მასწავლებელი და მეთვამყურე, რომლის ხელქვეითად ითვლებოდა მიტერ მელი. მისტერ მელი სადილობდა ბავშვებთან ერთად, მისტერ შარპი კი სადილობდა და ვახშმობდა მისტერ კრიკლის სურფაზე. მას მუდამ თავი გვერდზე ჰქონდა გადახრილი, თითქოს ამძიმებდა. მისტერ შარპს თხელიდა ხუჭუჭი თმა ჰქონდა, მაგრამ პირველმავე სკოლაში დაბრუნებულმა მოწაფემ მიაბო, რომ მისტერ შარპი პარიკს ატარებს, და რომ ყოველ შაბათს იგი მიდის სადალაქოში ხელოვნური თმების დასახუჭუჭებლად. მე ისიც კი გავიგე, რომ მისტერ შარპის პარიკი ნახმარი იყო, მეორე-მესამე ხელიდან ნაყიდი.

ყველა ეს ცნობა შემატყობინა ტომ ტრედელსმა, რომელიც ყველაზე უწინ დაბრუნდა სახლიდან. მისი ადრეული დაბრუნება ძალიან სასარგებლო იყო ჩემთვის, მან გული იჯერა ცემს დაფაზე მასხარაობით და უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა, რადგან თავს იღო ჩემი გაცნობა ამხანაგებთან. ტრედელსი დაურიდებლად მიმათრევდა ხელით და ყოველგვარი რეკომენდაციის მაგივრად ეუბნებოდა ახალმოსულს: „ერთი შეხედე, რა სასაცილოა“.

ჩემდა საბედნიეროდ, მეტი წილი მოწაფეებისა ნაღვლიანები ბრუნდებოდნენ მშობლიურ სახლებიდან, ისე რომ თითქმის არავის არ მოსვლია აზრად ჩემი მასხრად აგდება.

მაგრამ ჩემი ფორმალური წარდგენა მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა ჯემს სტირფორდი დაბრუნდა. ეს ყმაწვილი ექვსი წლით იყო ჩემზე უფროსი და დიდ სწავლულად ითვლებოდა. მე გამაცნეს იგი, როგორც უფროსი, რომლისგანაც დამოკიდებული იყო ჩემი საბოლოო გასამართლება. სარეკრეაციო ეზოში ჯემს სტირფორდი შეუდგა ჩემს გამოკითხვას... მე ვუამბე ყველაფერი ისე, როგორც ვგრძნობდი და ვიცოდი. მან დიდი ყურადღებით მომისმინა და განაჩენი შემდეგ სიტყვებში გამოხატა:

– სისულელეა, კოპერფილდ! ნუ ინადვლებ!

ამისთვის სამუდამოდ მადლობელი ვარ მისი.

– რამდენი გაქვს ფული, კოპერფილდ? – მკითხა სტირფორდმა.

– შვიდი შილინგი.

– შენთვის უკეთესი იქნება, თუ მაგ ფულს მე მომაბარებ შესანახად. თუმცა ჩემთვის სულ ერთია: მომცემ – კარგი, არა და – როგორც გინდა, მე არ გადალებ.

მაგრამ იმ წუთშივე აჩქარდი, მესარგებლა ამ მეგობრული წინადადებით, – გავხსენი პეგოტის საფულე და მთელი ჩემი საუნჯე ხელისგულზე გადმოვუყარე.

– შენ, იქნებ ყიდვა გინდა რისიმე? – მკითხა მან.

– არა, გმადლობთ.

– ხომ არ გინდა დახარჯო ერთი შილინგი ტკბილი სასმელის საყიდლად? ჩვენ ერთად დავლევდით მას საღამოს, როცა დასაძინებლად გავგრეკავენ. შენ, მგონი, ჩემთან ერთად გძინავს ოთახში?

– დიახ, სერ.

– მაშ რას იტყვი ამაზე?

– რაზე, სერ?

– ტკბილი სასმელის შესახებ.

– მგონია, ურიგო არ იქნება, – ვუპასუხე მე რადგან შევნიშნე, რომ სტირფორდი დადებით პასუხს ელოდა ჩემგან.

– ძალიან კარგი. იქნებ, გესიამოვნოს, რომ ერთი შილინგი კიდევ დახარჯო ნუშის ნამცხვრის საყიდლად?

– დიახ, სერ.

– მშვენიერია! მაშასადამე, ლაპარაკიც ზედმეტია! კიდევ ერთი შილინგი ბისკვიტისათვის და ერთიც კამპეტებისთვის, – ჰა? შენი ფული ეყოფა ყველაფერ ამას.

ამ სიტყვებთან ერთად მან ჯიბეში ჩაიღო ჩემი ფული და მითხრა, რომ არაფრის დარდი არ მქონოდა; იგი კისრულობდა ისე მოეხერხებინა, რომ ფული ყველაფერს ჰყოფნიდა.

როცა საღამოს ჩვენს საწოლში შევედით, სტირფორდმა ამოალაგა ჩემი შვიდი შილინგით ნაგაჭრი საწოლაგე და მთვარის შუქზე მთელი ეს საგზალი ჩემს ლოგინზე გაშალა.

გამოუცდებლობის გამო ვერ შევძელი მთელი ამ ტკბილეულობის განაწილება და ხელი მითრთოდა მათ მიკარებაზე, ჩემი თხოვნით სტირფორდმა იკისრა მასპინძლობა და – მართალი უნდა ვთქვა, – საუკეთესოდ გაუძღვა ამ ბანკეტს. იგი იჯდა ჩემს ბალიშზე, ანაწილებდა თანაბრად ყველა ტკბილეულს, სტუმრების რიცხვის მიხედვით, და ვითონ გვაწვდიდა სასმელს პატარა ჭიქით. მე მის გვერდით ვიჯექი, მარცხენა მხარეს; დანარჩენი ბავშვები კი შეჯგუფდნენ ჩვენს გარშემო, – ზოგი ლოგინებზე, ზოგიც იატაკზე.

ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა. მე მოწიწებით ვუსმენდი მათ. მთვარის შუქი გვინათებდა ფანჯრიდან.

მე გავიგე მრავალი ამბავი საღამოს სასწავლებლის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, თვით მისტერ კრიკლის შესახებ. თურმე სიმკაცრით და სისასტიკით იგი აღემატებოდა ყველა მასწავლებელს. იგი ყოველდღე სცემდა ბავშვებს, ვინც ხელში მოხვდებოდა. თვითონ მას არავითარი ცოდნა არა ჰქონდა და მხოლოდ ჩხუბი

შეეძლო. ჯემს სტირფორდის აზრით, უკანასკნელ შევირდს სკოლაში უფრო მეტი ესმოდა მეცნიერებისა, ვიდრე მისტერ კრიკლს. უწინ იგი ვაჭრობდა სვით ლონდონის ერთ-ერთ ბაზარზე და როცა ამ ვაჭრობაში ჩაღუპა თავისი ცოლის მთელი ქონება, მაშინ სასწავლებელი გახსნა.

მე გავიგე აგრეთვე, რომ უფესო მეკარე, რომელსაც ტუნგე ერქვა, ნამდვილი ბარბაროსი იყო და სავსებით შეეფერებოდა თავის პატრონს. უწინ ისიც იღებდა მონაწილეობას სვით ვაჭრობაში, მისტერ კრიკლის სამსახურში მოიტეხა ფეხი და მასთან ერთად შედგა ფეხი საპედაგოგო ასპარეზზე. იგი არავის არ სცემდა პატივს, გარდა მისტერ კრიკლისა, და ყველა შევირდს თავის მტრად თვლიდა. მისტერ რიკს ჰყავდა ერთი ვაჟი, რომელიც მას სკოლაში მეცადინეობაში შეუელოდა. ერთხელ მას უსაყვედურა მამას ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის გამო; მითხრეს, რომ ამისთვის მისტერ კრიკლმა იგი სახლიდან გააგდო, და ამის შემდეგ მისის და მის კრილი მუდამ სევდიანები არიანო.

მაგრამ ყველაზე მეტად ამ მოთხრობაში იმან გამაკვირვა, რომ სკოლაში იყო ერთი მოწაფე, რომლის ცემას მისტერ კრიკლი ვერ ბედავდა; ეს იყო ჯემს სტირფორდი. მან თვითან დაადასტურა ეს და დაუმატა, ძალიან მინდა ვნახო, ერთი როგორ გაბედავს მისტერ კრიკლი ჩემი ხელის ხლებასო.

– ისიც გავიგე, რომ ყველა დარწმუნებული იყო, როგორ უყვარდა მის კრიკლს სტირფორდი, და ეს აზრი ძალიან შესაძლებელი მეჩვენა. სტირფორდი ყოველ მხრივ უნაკლო ყმაწვილი იყო. გავიგე აგრეთვე, რომ მისტერ მელი ძალიან გულკეთილი ადამიანია, მაგრამ გახვრებილი გროშიც არ აბადია, რომ მოხუცი დედამისი, მისის მელი უკიდურეს სიღარიბეშია თურმე. გამახსენდა საუზმე თავშესაფარში, სადაცა მისტერ მელს „ჩემო ჩარლი უწოდეს, მაგრამ სიამოვნებით მაგონდება, რომ კრინტიც არ დამიძრავს ამ შემთხვევაზე, რომელსაც შეეძლო შეევესო ჩემი ამხანაგების ცნობები მისტერ მელის შესახებ.

ჩვენმა ქეიფმა შუაღამეს გადააცილა. როცა, ბოლოს, ყველაფერი შექმული და დაღეული იყო, მეტი წილი სტუმრებისა წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ საწოლებზე; მე და სტირფორდი კი ისევ ვჩურჩულდებით ჩემს ლოგინზე.

– ღამე მშვიდობისა, კოპერფილდ, – მითხრა ბოლოს სტირფორდმა.

– თქვენ ძალიან კეთილი ხართ, სერ, – ვუპასუხე მე, – დიდად გმადლობთ.

– გყავს და, კოპერფილდ?

– არა, სერ!

– ძალიან მწყინს. შენ რომ და გყავდეს, დარწმუნებული ვარ, იგი ღამაში, მორიდებული, ნათელთვალებიანი გოგონა იქნებოდა. ძალიან დიდი სიამოვნებით გავიცნობდი მას. ღამე მშვიდობისა, კოპერფილდ!

– ღამე მშვიდობისა, სერ.

ლოგინში მწოლიარე კიდევ დიდხანს ვფიქრობდი მასზე და მასსოვს, ერთხელ წამოვდექი კიდევ, რომ დამენახა მთვარის შუქით განათებული მშვენური სახე სტირფორდისა, რომელიც პირაღმა გაჭიმულიყო და ხელები თავქვეშ ამოედო. მომავლის შავი ფარდა არ ეფარებოდა მას, და არავითარი ჩრდილი არ იდგა იმ ბაღის ბილიკზე, რომელზედაც მე და ის დავსვირნობდით სიზმარში.

## თავი მეშვიდე

### წლის პირველი ნახევარი საღამომში

სწავლა მეორე დღესვე დაიწყო. ღრიანცელმა, ხმაურმა და სამედიცინო დარბაზში აღიაქოთმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; მაგრამ, როცა საუზმის შემდეგ კლასში მისტერ კრილი შემოვიდა და კარებთან გაჩერდა, მთელს დარბაზში იმავეწუთს სიჩუმე ჩამოვარდა.

ტურგე დადგა მისტერ კრიკლის მხარს უკან და, თუმც არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა, დაიდრიალა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა:

– ჩემად!

ვხედავდით, როგორ ამოძრავებდა მისტერ კრიკლი ტუჩებს, და გავიგეთ, რას ლაპარაკობდა, როცა ტუნგემ ჩვენი დარიგებისათვის შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

– ბავშვებო! არდადეგები გათავდა. ისწავლეთ, იზეპირეთ, ნუ იზარმაცებთ, რადგან პირადად მე არ დავიზარებ თქვენს დასჯას. აბა, ახლა საქმეს შეუდექით!

მისტერ კრიკლი მომიახლოვდა და მითხრა, რომ თუ მე დიდი ხელოვანი ვარ კბენაში, ისიც დიდი ხელოვანია. შემდეგ ასწია თავისი ჯოხი და განაგრძო:

– როგორ მოგწონს ეს ჯოხი? ჰა? კარგი კბილები აქვს? ჰა? გიკბინა? ჰა?

ყველა ამ კითხვას თან ჯოხის დაკვრა მოსდევდა, ისე რომ ძლიერი ტკივილისაგან ვიკრუნჩხებოდი და ვიკაკვებოდი. ამრიგად, სტირფორდის სიტყვით, ერთ წუთში ჩავეყურყუმელავედი საღემის სასწავლებლის წესებში და ჩემსავე ცრელმებში ჩავიხრჩვე.

მგონია, არავინ არ პოულობდა ისეთ სიამოვნება თავის პროფესიაში, როგორც მისტერ კრიკლი. იგი განსაკუთრებულ მიმზიდველობას გრძნობდა ჯანსაღ ბავშვებისადმი, და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის ხელები ეჭავებოდა, როცა ლოყაწითელი ბავშვი უახლოვდებოდა. მას არა ჰქონდა არავითარი ნიჭი, არავითარი პედაგოგიური ცოდნა და ყველა მეციერებაში სრული უვიცი იყო.

აი ვზივარ ჩემს მაგიდასთან და თრთოლვით თვალს ვადევნებ მისი მრისხანე თვალების მიმართულებას; მან ეს-ეს არის სახაზავით სცემა ბავშვს, არითმეტიკის რვეულის გასინჯვის შემდეგ, და ეს ბიჭი ცდილობს, დაიამოს მწვავე ტკივილი იმით, რომ ცხვირსახოცით ისრესს ხელისგულს. მისტერ კრიკლის თვალები მიზიდავენ უცნაური ძალით. ჩემს უკან მგდომი ბავშვებიც ამგვარსავე დაკვირვებას აწარმოებენ. მისტერ კრიკლმა ძალიან კარგად იცის ეს, თუმცა ისეთნაირად იქცევა, თითქოს არაფერს ჰხედავს. აი მისი სახე საძაგლად დაიმანჭა და აღმაცერად გადმოიხედა ჩვენი მხრისკენ. ჩვენ ყველანი თავებს დაბლა, რვეულებზე ვხრით და ყველას გვაკანკალებს. კიდევ წუთი – და ჩვენ ისევ მას ვუცქერთ. დამნაშავე ბავშვი, რომელმაც ცუდად გამოიყვანა ამოცანა, უახლოვდება მას ძრწოლვით, არეული ნაბიჯით. იგი რაღაცას ბუტბუტებს თავის გასამართლებლად და სიტყვას აძლევს, რომ გამოსწორდება ხვალინდელ დღისათვის. – პატიება არ არსებობს. მისტერ კრიკლი დასჯის წინ მხიარულად იღმიჭება და ხარხარებს. ჩვენც ვიციინით, ჩვენც, საცოდავი ბავშვები, თუმცა ყველას სიკვდილის ფერი გვადევს და გული საშინლად გვიცემს.

ისევ იმ მაგიდას ვუზივარ ზაფხულის ცხელ საღამოს, რომელიც ოცნებას და სიზარმაცეს ჰგვრის ადამიანს. ბავშვები კრაზანებივით ბზუიან ჩემს გარშემო. უცნაურ დაღლილობას ვგრძნობ ნასადილევს: თავი ტყვიასავით მაქვს დამძიმებული. მზად ვარ ყველაფერი დავთმო, ოღონდ რამდენიმე საათი დამაძინა, მაგრამ არ მძინავს. ჩემი თვალები მისჩერებიან მისტერ კრიკლს და ახალგაზრდა ბუსავით ვახამხამებ. მაინც, ერთი წუთით, ძილი სავსებით მიპყრობს და თავი ზარის ენასავით მიქანავებს. მისტერ კრიკლი მეპარება სახაზავით, მიმიზნებს, სისინებს და წითელი ზოლი ისევ მახალისებს სამეცადინოდ.

გაკვეთილი გათავდა. ჩვენ ეზოში ვართ; მაგრამ თვალებს მოჯადოებულებით იქით ვაცვებ, სადაც ამ დროს მისტერ კრიკლი მეგულება, თუმცა მისი დანახვა არ შემიძლია. ვიცი, იგი ამწუთში სადილს მიირთმევს, აი ფანჯარა, რომელთანაც დგას მისი სასადილო მაგიდა. თვალს ვერ ვაშორებ ამ ფანჯარას. თუ მისტერ კრიკლმა გამოიხედა ფანჯარაში, თვითივე ბავშვის სახე, გარდა სტირფორდისა, მუდარებისა და თავმდაბლობის გამომეტყველებას იღებს. ერთხელ ტრედელსმა, უბედურესმა ბავშვმა ქვეყანაზე, თამაშობის დროს ყცაბედად ბურთი მოახვედრა სწორედ ამ ფანჯარას; მოახვედრა და გატეხა. შევძრწუნდი ზარდაცემული, როცა

წარმოვდგინე, როგორ დაეცა ბურთი მისტერ კრიკლის მაღალსა და წმინდა არსების თავს.

საბრალო ტრედელსი! ახლაც თვალწინ მიდგას იგი, თავისი ვიწრო შარვლითა და ცისფერი კურტაკით, რომლებიც შემოწუთხული ჰქონდა ხელებსა და ფეხებზე, გერმანული ძეხვებისა ან მრგვალ-მრგვალი კუბატების მაგვარად. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ყოველდღე სცემდნენ ჯოხით, გარდა ორშაბათისა, როცა სახაზავს ურტყამდნენ ხელისგულზე. ყოველდღე აპირებდა იგი წერილის მიწერას ამის გამო თავის ბიძასთან, და მაინც არასოდეს არ მიუწერია. დადებდა თავის მაგიდაზე, იტირებდა ორი თუ სამი წუთის განმავლობაში და შემდეგ, მოხედვას ვერც კი მოასწრებდი, რომ ხედავ, კიდევ შეუშრია ცრემლები და მხიარული სახით თავის ასპიდის დაფაზე ჩონჩხებსა ხატავს. ჯერ ვერ მივხვდი, რად უყვარდა მას ასე ჩონჩხების ხატვა; მეგონა, მწარე ფიქრებით აღელვებული, ამ სიკვდილის სიმბოლოებში ეძებს თავისი ამქვეყნიური ვაების ბოლოს-მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, ტრედელსი მხოლოდ იმიტომ ხატავდა ჩონჩხებს, რომ ამგვარი ხატვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

მაგრამ იგი ძალიან კარგი ბიჭი იყო. ეს ტრედელსი ყოველთვის და ყოველგან მკერდით იცავდა ამხანაგებს და არასოდეს არავინ გაუცია; თავისი ხასიათის ამ თვისების გამო ზოგჯერ დიდ უსიამოვნებას ითმენდა ხოლმე.

სტირფორდი განაგრძობდა ჩემს მფარველობას და სასარგებლო მეგობარი იყო ჩემთვის. ვერავინ ბედავდა იმ ბავშვის წყენას, რომელსაც სტირფორდი სწყალობდა. მაგრამ მასაც კი არ შეეძლო ჩემი დაფარვა მისტერ კრიკლისაგან, რომელიც ათასგვარად მსჯიდა თითქმის ყოველდღე. სამაგიეროდ, სტირფორდი მანუგეშებდა ხოლმე ყოველი დასჯის შემდეგ; მადლობას ვუხდიდი მას სულით და გულით და მოთმინებით ვიტანდი ჩემს გაჭირვებას. მაინც, შეძლებისდაგვარად, იგი შეამდგომლობას მიწევდა მისტერ კრიკლის წინაშე, და ამ შეამდგომლობის წყალობით ბოლოს გამათავისუფლეს ჩემი დაფისაგან, ზურგზე რომ მეკიდა.

ერთმა შემთხვევითმა გარემოებამ უფრო გააღრმავა მეგობრული ურთიერთობა ჩემსა და სტირფორდს შორის და იმ ზომამდე განამტკიცა იგი, რომ თავი მომქონდა ამ მეგობრობით. ერთხელ როცა ეზოში ვთამაშობდით და სტირფორდმა ლაპარაკი დამიწყო, შემთხვევით მივუთითე რაღაც საგანზე, რომელსაც, ჩემის აზრით, საკვირველი მსგავსება ჰქონდა ამგვარსავე საგანთან „პერეგრინ პიკში“. იმ წუთში სტირფორდმა არაფერი მითხრა, მაგრამ როცა საღამოს საწოლ ოთახში წავედით, მკითხა, ხომ არა გაქვს წიგნიო.

მე ვუპასუხე, რომ არა-მეთქი, და ავუხსენი, რა პირობებში წავიკითხე „პერეგრინ პიკლი“ და სხვა წიგნები.

– და შენ გახსოვს ყველაფერი? – მკითხა სტირფორდმა.

– ძალიან კარგად მახსოვს, – ვუპასუხე მე.

– მაშე ყური დამიგდე, რას გეტყვი, კოპერფილდ: შენ უნდა მიაბო შინაარსი ყველა წიგნსა, რომელიც წავიკითხავს. საღამოობით დიდხანს არა მძინავს და დილაობითაც ყველაზე ადრე ვიღვიძებ. შენ მიყოლებით მიაბობ ყველა ამ მოთხრობას ერთიმეორის შემდეგ; ეს „ათას ერთი ღამის“ მსგავსად გამოვა.

მე სიამაყე ვიგრძენი ამგვარი წინადადების გამო და იმ საღამოსვე შევუდექით მის სისრულეში მოყვანას.

ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, ოღონდ ხშირად არ მეხალისებოდა მოთხრობის დაწყება, მეტადრე საღამოობით, როცა ძალიან მეძინებოდა. ამ შემთხვევაში ჩემი შრომა მეტად მძიმე იყო, მაგრამ უარის თქმას ვერ ვბედავდი სტირფორდის წყენის შიშით. დილაობითაც დიდი სიამოვნებით ვიძინებდი კიდევ ერთ ან ორ საათს, მაგრამ მეტი გზა არ იყო: ვემორჩილებოდი სტირფორდის მტკიცე ნებას, ვდგებოდი დილაადრიახად და, როგორც შეჰყარაზადა, ვიწყებდი გრძელ ამბებს ფანტასტიკური გმირების თავგადასავალზე. მე არ ვიყავი წაგებული: მადლიერი სტირფორდი მიხსნიდა გაკვეთილების გაუგებარ ადგილებს

და ხშირად მისწორებდა რვეულებს. ყოველივე ამასთან, სიმართლე უნდა ვთქვა, არავითარი ანგარიშიანობა არ იყო ჩემის მხრივ ამ შემთხვევაში, – მიყვარდა სტირფორდი, პატივს ვცემდი მას და მისი ქება ჩემთვის უმაღლესი ჯილდო იყო.

დაახლოებით ერთი თვე მოვუნდი „პერეგრინს“ და შემდეგ რამდენიმე თვე, სხვა გმირების თავგადასავალს.

ხანგრძლივი მოთხრობები ღამლამობით, საერთო სიჩუმესა და სინლემში, ხელს უწყობდა რომანტიკულობისა და ოცნების ნიჭის განვითარებას ჩემში. რასაკვირველია, ამას არ შეეძლო არსებითი სარგებლობის მოტანა ჩემთვის, მაგრამ სამაგიეროდ ყველას ვუყვარდი, და ჩემი, როგორც ნიჭიერი მოხრობელის, სახელი სწრაფად მოედო მთელ სასწავლებელს. მე საერთო ყურადღების საგანი შევიქენი, და ეს უფრო მახალისებდა ჩემი ფანტასტიკური შემოქმედების ასპარეზზე.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ მოწაფეებისაგან იმგვარი სკოლისა, როგორც გახლდათ სალემის პანსიონი, ძნელი მოსალოდნელი იყო რაიმე წარმატება მეცადინეობაში, და ვფიქრობ, არც მისტერ კრიკლის მოწაფენი გრძნობდნენ მაინცდამაინც განსაკუთრებულ მისწრაფებას მეცნიერებისადმი: როზგი მათ უკარგავდა სწავლის ყოველგვარ ხალისს.

მე იმდენსავე მცემდნენ, რამდენსაც სხვას, თუ მეტად არა, არა ნაკლებად, მაგრამ, თანდაყოლილი თავმოყვარეობის წყალობით და სტირფორდის მაგალითით წაქეზებული, ვცდილობდი, ყველგან, სადაც კი შემიძლო, ამეკრიფა სიბრძნის ნამცეცხები. ამ შემთხვევაში, მგონია, მე ერთადერთი გამონაკლისი ვიყავი.

სტირფორდის გარდა, ჩემი ხელმძღვანელი მეცადინეობაში იყო მისტერ მელი, რომელიც ძალიან კარგად მეპყრობოდა. ამისათვის, აქამდის დიდი მადლიერი ვარ მისი. ძალიან მწყინდა, როცა ვხედავდი, რომ სტირფორდი არავითარ პატივს არა სცემდა ამ ადამიანს და არც ერთ შემთხვევას არა ჰკარგავდა, რომ დამცირებნა ან ეწყენინებინა მისთვის. სტირფორდის მაგალითს სხვა ბავშვებიც აწყვებოდნენ ხოლმე. ეს ძალიან მაწუხებდა, მით უმეტეს, რომ ერთხელ, გულახდილი ლაპარაკის დროს წამოვროშე სტირფორდთან იმ მოხუცი დედაბრის შესახებ, რომელიც მისტერ მელმა ცემთან ერთად ინახულა თავშესაფარში. რა მექნა! არაფერი არ შემიძლო დამემალა ჩემი მფრაველისაგან. ახლა მეშინოდა, რომ სტირფორდი აქედან გამოიყვანდა მისტერ მელის დამამცირებელ დასკვნას. ჩემი შიში გამართლდა.

ერთხელ ისე მოხდა, რომ მისტერ კრიკლი შეუძლოდ გახდა და თავის ოთახში უნდა დარჩენილიყო მთელი დღე. მთელი სკოლისათვის ამ სასიამოვნო გარემოებამ საშინელი აურზაური გამოიწვია სასწავლო დარბაზში. ყოველად შეუძლებელი იყო წესიერების აღდგენა ამ ცელქებს შორის. ტყუილად შემოდით კლასში კოჭლი ტუნგე და მთავარ მონაწილეთა სახელებს იწერდა; ბავშვები არ ცხრებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სასჯელი, სულ ერთია, არ ასცდებოდათ.

საბათი იყო და ამიტომ გაკვეთილები მხოლოდ სადილობამდის გეჭონდა, მაგრამ რადგან ეზოში ხმაურობას შეეძლო მისტერ კრიკლი შეეწუხებინა, ჩვენ ყველანი ოთახში შეგვრეკეს და გვიბრზანეს – გაკვეთილების მომზადებით გაგვეერთო თავი. იმ დღეს მისტერ შარპი ჩვეულებისამებრ სადალაქოში მიემგზავრებოდა ხელოვნური თმის დასახუჭუჭებლად. მისი არყოფნის დროს სკოლის მეთვალყურეობა მისტერ მელს მიანდეს. ახლაც თვალწინ მიდგას მისტერ მელი: დაუყრდნია ავადმყოფი თავი გამხმარ ხელებზე, წიგნში იცქირება და თავს ძალას ატანს, როგორმე ჩაატაროს მოსაწყენი გაკვეთილი ამ ჯოჯოხეთურ აურზაურში, რომელსაც შეუძლია თავბრუ დაახვიოს ქვედა პალატის ყველაზე რიხიან ორატორს. სიცილი, ცეკვა, ხარხარი, რახარუხი, წივილი, კივილი ისმის მთელ დარბაზში. ზოგი კატა-თავგობანას თამაშობს, ზოგი ყირამალა გადადის, ტრიალებს, ზოგნი გარს შემოხვევიან მისტერ მელს. ეღრიჯებიან, დასცინიან მის

სიღარიბეს, მის ჩექმებს, ფრაკს. დასცინიან მის დედას, – ყველაფერს, რასაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს მასთან.

– ჩუმად! – დაიყვირა უეცრად მისტერ მელმა; იგი გასწორდა წელში და წიგნი მაგიდას დაანარცხა. – რას მიშვრებით? ჩემი გაგიჟება გინდათ? როგორ შეიძლება ასე თავს გასვლა, ბავშვებო?

წიგნი, რომელიც მან დაანარცხა, მე მეკუთვნოდა; ვიდექი გვერდით და თვალს ვადევნებდი მისი თვალების გამომეტყველებას. ბავშვები უეცრად ჩაჩუმდნენ. ბევრის სახეზე შიში გამოიტახა; ზოგს, ალბათ, შერცხვა.

სტირფორდის ადგილი კლასში ოთახის ბოლოში იყო. იგი კედელთან ზურგით მიყუდებული იდგა და ხელები ჯიბეში ჩაეწყო. როცა მისტერ მელმა იმის მხარეს გაიხედა, სტირფორდმა პირი მოკუმბა და ოდნავ დაუსტვინა.

– გაჩუმდით, მისტერ სტირფორდ!

– თქვენ თვითონ დაჯექით და თქვენი საქმე გააკეთეთ.

თავდატყერილმა სიცილმა და თანაგრძობის ჩუმმა ჩურჩულმა მთელ დარბაზს დაურბინა, მაგრამ მისტერ მელი იმ ზომამდე გაფითრდა, რომ სინამდვილე ჩამოვარდა. ერთმა ბავშვმა, რომელიც წინ გამოვიდა, იმ მიზნით, რომ ყირამალა გადასულიყო ამხანაგების გასართობად, უეცრად გამოიცვალა თავისი აზრი და ისეთი სახე მიიღო, თითქოს კალმის გათლას აპირებდა.

– თუ თქვენ ფიქრობთ, სტირფორდ, – უთხრა მისტერ მელმა, – რომ ვერ ვამჩნევ იმ გაკლენას, რომელსაც თქვენს ამხანაგებზე ახდენთ, სცდებით.

ამ სიტყვებთან ერთად მისტერ მელმა, ალბათ უნებურად, ხელი თავზე დამადო.

– თუ გგონიათ, – განაგრძო მელმა, – რომ ვერ ვამჩნევ, როგორ აქეზებთ თქვენ ჩემს წინააღმდეგ, ჩემს მასხარად ასაგდებად თქვენს ამხანაგებს, ძალიან სცდებით, მისტერ სტირფორდ!

– მე თავს არ ვიწუხებ თქვენზე ფიქროთ, მისტერ მელ, – უაპსუხა სტირფორდმა გულგრილად, – ამიტომაც, სერ, არა მგონია, რაშიმე ვცდებოდე.

– ნუთუ თქვენ, – განაგრძო მისტერ მელმა და ყუჩები აუთრთოლდა, – სარგებლობთ ფავორიტის მდგომარეობით და ნებას აძლევთ თავს შეურაცხყოთ ჯენტლმენი...

– ვინ? სად არის ეს ჯენტლმენი? – გააწყვეტინა სტირფორდმა.

– გრცხვებოდეს, სტირფორდ! – გაისმა უეცრად ხმა. – ეს საძაგლობაა!

ეს ტრედელსი იყო.

მაგრამ მისტერ მელმა გააჩუმა იგი.

– თუ თქვენ, ვიმეორებ მე, ნებას აძლევთ თქვენს თავს შეურაცხყოფა მიაყენოთ იმ ადამიანს, რომელსაც არა აქვს ბედი ცხოვრებაში, რომელსაც არასოდეს არაფერი არ დაუშავებია თქვენთვის, რომელსაც თქვენ არ უნდა აწყენინოთ მრავალი მიზეზის გამო, რაც კარგად გასაგები უნდა იყოს თქვენი ჭკუის ყმაწვილი კაცისთვის, – განაგრძობდა მისტერ მელი, – ასეთი საქციელი, მისტერ სტირფორდ, უგვანო და საძაგელია. თქვენ შეგიძლიათ იდგეთ, ან დაჯდეთ, – როგორც გენებოთ, სერ! განაგრძეთ, კოპერფილდ!

– მითმინე ერთ წუთს, კოპერფილდ! – მითხრა სტირფორდმა და დარბაზის შუაგულში გამოვიდა. – აი, რას გეტყვით მისტერ მელ, ერთხელ და სამუდამოდ. თუ თქვენ გაბედეთ და მაკადრებთ საძაგელისა და უგვანოს სახელის წოდება, ამის შემდეგ თქვენ თვითონ უსირცხვილო მათხოვარი ხართ. თქვენ ყოველთვის მათხოვარი იყავით, მაგრამ ამ წუთიდან თქვენ უსირცხვილოც გახდით.

არ ვიცი, მას უნდოდა გაერტყა მისტერ მელისთვის, თუ მისტერ მელს – მისთვის; შევნიშნე მხოლოდ, რომ მთელი კლასი გაშეშდა, – ბავშვები გაქვავებულივით იხდნენ. დარბაზის შუაგულში იდგა მისტერ კრიკლი და მის გვერდით – ხისფეხა ტუნგე. მის და მისის კრიკლი კარებში იყურებოდნენ, შიშით ზარდაცემულები. მისტერ მელს სახეზე ხელები მიეფარებინა და უძრავად იდგა.

– მისტერ მელ! – უთხრა მისტერ კრიკლმა და ხელი ჩამოსწია; მისი ჩურჩული, ამ ჯერზე, ისეთი გარკვეული და მკაფიო იყო, რომ ტუნგემ საჭიროდ არ სცნო მისი გამეორება. – იმედი მაქვს, თავი არ დაგვიწყებიათ?

– არა, სერ, არა, – უპასუხა მასწავლებელმა თავის ქნევით და თან ნერვიულად ხელებს ისრესდა, – არა, მე თავი არ დამვიწყებია, სერ. მე მახსოვს ჩემი თავი, სერ. მე მხოლოდ მინდა, სერ, რომ თქვენც... ოდნავ მაინც... გახსოვდეთ... სერ. დიახ, ეს უკეთესი იქნებოდა თქვენი მხრივ, სერ. შესძლებელია, ამას ბევრი უსიამოვნება აეცდინა ჩემთვის, სერ.

მისტერ კრიკლმა მრისხანედ შეხედა მისტერ მელს, შემდეგ დაეყრდნო ტუნგეს მხარს, ავიდა მერხზე და მაგიდაზე დაჯდა. აქედან დიდხანს უყურებდა ჩაშტერებული მისტერ მელს, რომელიც განაგრძობდა თავის ქნევას და ხელების ფრვნეტას, შემდეგ მიმართა სტირფორდს და უთხრა:

– ვინაიდან მათ არ სურთ პასუხის გაცემა, იქნებ თქვენ ამიხსნათ, სერ, რაშია საქმე.

სტირფორდი მედიდურად, ზიზლით უცქერდა თავის მოწინააღმდეგე და დუმდა.

– დაე, მას თვითონ ავიხსნათ, რაც სურდა ეთქვა, როცა ფავორიტებზე ლაპარაკობდა – თქვა ბოლოს სტირფორდმა.

– ფავორიტებზე? – გაიმეორა მისტერ კრიკლა და შუბრზე ძარღვები სქელი თოკებივით დაებერა, – ვინ ლაპარაკობდა აქ ფავორიტებზე?

– ეგა, – უპასუხა სტირფორდმა.

– მერე, რას გულისხმობდით, სერ, ამ სიტყვებში? – ჰკითხა კრიკლმა და მრისხანე თვალები მიაპყრო თავის თანაშემწეს.

– სწორედ იმას, სერ, რაც უნდა იგულისხმებოდეს, – უპასუხა მისტერ მელმა სუსტი ხმით, – მე მინდოდა მეთქვა, რომ მოწაფეთაგანს არავის აქვს უფლება ისარგებლოს თავისი, როგორც ფავორიტის მდგომარებით და დამამციროს მე.

– თქვენ დაგამციროთ! – წარმოთქვა მისტერ კრიკლმა. – ო, ვის მნათობო! ნება მიბოძეთ, გკითხოთ, სერ, მიწევთ თუ არა სათანადო ანგარიშს, როცა თქვენ თავს ნებას აძლევთ და ფავორიტებზე მელაპარაკებით მე, სასწავლებლის უფროსს?

– მე მზადა ვარ გამოვტყდე, სერ, რომ მოურიდებლად მოვიქეცი, – თქვა მისტერ მელმა. – მე არ ვიზამდი მაგას, დამშვიდებული რომ ვყოფილიყავი.

აქ სტირფორდი ისევ გამოვიდა სცენაზე და თქვა:

– მაგან მითხრა კიდევ, რომ უმსგავსო ვარ, რომ საძაგელი და უსინდისო ვარ, და ამიტომ მე მაგას მათხოვარი ვუწოდებ. მეც რომ გუულდამშვიდებული ვყოფილიყავი, ალბათ, მეც არ ვუწოდებდი ამ სახელს, მაგრამ მე ვთქვი – და ახლაც მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემი საქციელისათვის.

ამ სიტყვებმა, მრცხვენია გამოვტყდე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; მე ვტკბებოდი ჩემი მეგობრის ორატორული ნიჭით და სრულებით არა ვფიქრობდი მისი სიტყვების შედეგზე. მოწაფეთა შორის გაისმა გუგუნნი, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს.

– მე მიკვირს, სტირფორდ, – თქვა მისტერ კრიკლმა – თუმცა კეთილშობილური გულახდილობა დიდად საქებია, – როგორ გეყოთ გამბედაობა გეწოდებინათ ამგვარი დამამცირებელი სახელი იმ ადამიანისათვის, რომელიც სალემის სასწავლებელში მსახურობს და თავისი შრომისთვის წესიერ გასამრჯელოს იღებს?

სტირფორდმა გაიღიმა.

– ღიმილი ჩემი სიტყვების პასუხი არ არის, სერ, – უთხრა მისტერ კრიკლმა, – მე თქვენგან დაწვრილებით განმარტებას მოველი, სტირფორდ.



თუ მისტერ მელი მე უმნიშვნელო მეჩვენებოდა მშვენიერ ყმაწვილთან შედარებით, არ შემიძლია გამოვთქვა, როგორ არარაობად მეჩვენა თვით მისტერ კრიკლი.

– დაე, უარი თქვას მაგაზე, – უპასუხა სტირფორდმა.

– რაზე თქვას უარი, სტირფორდ?

– იმაზე, რომ მათხოვარია.

– მშვენიერია! განა თქვენ გინახავთ როცა იგი მოწყალებას თხოულობდა?

– თუ თვითონ ეგ არ არის გლახა-მათხოვარი, ყოველ შემთხვევაში, მაგისი უახლოესი ნათესავია, და მგონია, ეს სულ ერთია, – მიუგო სტირფორდმა.

მან მე შემომხედა. მისტერ მელის ხელი ჯერ კიდევ ჩემს თავზე ედო. მე გაეწითლდი და გული გამეწურა. შევხედე მისტერ მელს, – მისი თვალები უძრავად მიშტერებოდნენ სტირფორდს; იგი ალერსიანად ხელს მისვამდა მხარზე, მაგრამ ცქერით კი მას უცქეროდა.

– ვინაიდან თქვენ ჩემგან განმარტებას ელით, მისტერ კრიკლ, – თქვა სტირფორდმა, – მე ვაცხადებ, რომ დედამისი თავშესაფარშია შეკედლებული ღვთის სამოწყალოდ.

მისტერ მელი ჯერ ისევ მას უცქერდა და თან ჩემს ალერსს განაგრძობდა. ისე მომესმა, თითქოს მან წამჩურჩულა: „სწორედ ამას ველოდი“.

მისტერ კრიკლი წარბშეკრული მიუბრუნდა თავის თანაშემწეს და ძაღდატანებული ზრდილობიანობით უთხრა:

– აბა, ახლა თქვენ ხომ გაიგეთ, რასაც ლაპარაკობს ეს ჯენტლმენი. ხომ არ ინებებთ, მთელი სკოლის წინაშე გაიმართლოთ თავი?

– არა, სერ, იგი არა ცდება, – უპასუხა მისტერ მელმა სამარისებურ სიჩუმეში, – ყველაფერი, რაც მაგან თქვა, მართალია.

– მაშინ ინებეთ და საჯაროდ გამოაცხადეთ, – უთხრა მისტერ კრიკლმა, თან თავი ერთ მხარეს გადახარა და თვალები დააბრიალა, – ვიცოდი თუ არა მე ეს ამბავი?

– დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა.– როგორ? რა გნებავთ მაგითი თქვათ?

– თქვენ იცოდით, სერ, რომ ოჯახური მდგმარეობა არ მქონდა ბრწყინვალე, – უპასუხა თანაშემწემ. – თქვენ იცოდით, სერ, რა გარემოებაში ვიყავი, როცა აქ მოვედი, და ისიც იცით, რასაკვირველია, რომ ეს გარემოება არ გამოცვლილა.

– მაშ თუ საქმე მაგაზე წავიდა, – უპასუხა მისტერ კრიკლმა და ძარღვები შუბლზე უფრო მეტად დაებერა – უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ცდებით. ჩემი პანსიონი თავშესაფარი არ გახლავთ. მისტერ მელ, ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს; რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია.

– ახლა ყველაზე უკეთესი დროა, – უპასუხა მისტერ მელმა და ნაბიჯი გადადგა კარებისაკენ.

– სერ! შესდექით!

– არა ღირს, მისტერ კრიკლ. გტოვებთ ერთხელ და სამუდამოდ თქვენ და ყველა მოწაფეს. ჯემს სტირფორდ! ყველაზე უკეთესი, რაც შემიძლია გისურვოთ, ის არის, რომ ოდესმე მოინანიოთ თქვენი საქციელი. ახლა კი არ ვისურვებდი თქვენ მეგობრობას და ძალიან მინდა, რომ მეგობრობდეთ იმათ, ვინც მე მიყვარს.

მან ერთხელ კიდევ ალერსიანად გადამისვა მხარზე ხელი შემდეგ ამოიღო მაგიდის უჯრიდან ფლეიტა, რამდენიმე წიგნი, დაუტოვა გასაღები თავის მომავალ მოადგილეს და სკოლიდან გავიდა. მისტერ კრიკლმა ტუნგეს საშუალებით წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მადლობას უხდოდა სტირფორდს საღვთის სასწავლებლის დამოუკიდებელი და ღირსეული სახელის დაცვისათვის. ბოლოს ხელი ჩამოართვა სტირფორდს და ყველამ სამჯერ „ვაშა“ და იტირა მისტერ მელის გაცილების დროს. ბოლოს მისტერ კრიკლი გავიდა კლასიდან თავის ბინაში, სადაც, უეჭველია, მოისვენა დღიური შრომისაგან ლოგინში ან სოფაზე.

ბავშვები მარტონი დარჩნენ სასწავლო დარბაზში, და მახსოვს, როგორი მოუსვენრობით შევცქეროდით ერთმანეთს. გამარჯვება საბრალო მისტერ მელზე, როგორცა ჩანდა, არავის გაჰხარებია. მე თავს ვაყვედრიდი და ვნანობდი; შიშით შევყურებდი სტირფორდს და ძლივს ვიკავებდი ცრემლებს. სტიფორდი ძალიან გაჯავრებული იყო ტრედელსზე და უთხრა, რომ ამ ჯერზე მას სამართლიანად მოხვდა.

– ამას არა უშავს რა, რომ მცემეს, – თქვა საბრალო ბავშვმა, – ეს გაივლის! მაწუხებს მხოლოდ, რომ მისტერ მელს შეურაცხყოფა მიაყენეს.

– მერე, ვინ მიაყენა შეურაცხყოფა?

– ვინა? რასაკვირველია, შენ!

– განა მე რა ვქენი?

– როგორ თუ რა? შენ შეურაცხყოფა მიაყენე მას და ადგილი დააკარგვინე.

– ხომ არა გგონია, რომ მასაც ისეთივე გული აქვს, როგორც შენ, მისტერ ტრედელს? მართალია, მან დაჰკარგა ადგილი, მაგრამ ამისთანა ადგილი ასეთი საუნჯეა ვისთვის? თავისთავად ცხადია, რომ მე წერილს მივწერ სახლში, და მას ფულს მისცემენ.

ამგვარი განზრახვა ჩვენ ყველას მეტად კეთილშობილური გვეჩვენა. ჩვენ ვიცოდით, რომ სტირფორდის დედა – მდიდარი ქვრივი იყო და არაფერში უარს არ ეუბნებოდა თავის შვილს. ტრედელსი დამარცხებული დარჩა. ჩვენ ცამდის ავიყვანეთ სტირფორდის დიდსულოვნება, მეტადრე, როცა გამოაცხადა, რომ ეს ნაბიჯი გადადგა მხოლოდ ჩვენი საერთო სარგებლობისათვის. მისი სიტყვით გამოდიოდა, რომ გი უანგაროდ იქცეოდა და ამასთან ყველას სიკეთე მოუტანა.

– უნდა გამოვტყდე, რომ იმ ღამეს მისტერ მელის ძველი ფლეიტა არაერთხელ მომეჩვენა თავისი გულსაკლავი ხმით. თავზე საბანი წავიხურე, მაგრამ ფლეიტა მაინც უკრავდა სევდიანად სადრაც შორს, და თას უბედურად ვგრძნობდი.

მაგრამ მალე მთლად დამავიწყდა მისტერ მელი, რადგან სულ სტირფორდზე ვფიქრობდი. მან თავისი სურვილით იკისრა ჩვენთვის გაკვეთილების მიცემა სხვადასხვა საგნებში ახალი მასწავლებლის მოსვლამდის. სტირფორდმა თითქოს ყველაფერი ზეპირად იცოდა და თავისი ლექციების დროს არასოდეს არ იხმარიებდა არც წიგნს, არც რვეულს.

ახალი მასწავლებელი გადმოვიდა ჩვენთან სხვა სკოლიდან. სანამ გი თავისი მოვალეობის ასრულებას შეუდგებოდა, ისადილა სასტუმრო ოთახში მისტერ კრიკლთან, სადაც სტირფორდი წარუდგინეს, როგორც მთელი საღამოს წარმომადგენელი. სტირფორდმა დიდად გვიქო ახალი მასწავლებელი და თქვა: „განათლებული გოგრის“ პატრონი რომ არის, ეტყობაო.

წლის ამ ნახევარში მხოლოდ ერთი შემთხვევა მოხდა კიდევ, რომელიც განირჩეოდა ყოველდღიურ მოვლენათაგან. იგი აქამდის ჩამრჩა მეხისრებაში და, მრავალ მიზეზთა გამო, არც დამავიწყდება.

ერთხელ, ნასადილევს, როცა ჩვენ, უკიდურესობამდე დაქანცულნი, მთლად გამოთავყვანებულები ვისხედით, სასწავლო დარბაზში შემოვიდა კოჭლი ტუნგე და ხმამაღლა განაცხადა:

– კოპერფილდთან სტუმრები მოვიდნენ.

შემდეგ მან რამდენიმე საჭირო სიტყვა უთხრა მისტერ კრიკლს, რომელმაც, ალბათ, ჰკითხა, ვინ არიან სტუმრებიო, და გადასცა, სად მიეღოთ ისინი. მე მიბრძანეს სხვა კიბით გავსულიყავი და სუფთა საცვლები ჩამეცა, რომ წესიერი სახით ვჩვენებოდი მოსულებს. დავემორჩლე ამ ბრძანებას მთრთოლვარე მღელვარებით, როგორიც არ მიგრძენია არასოდეს იმ დრომდის. ვინა მკითხულობს? ნუთუ მისტერ და მის მორდსტონი? ან იქნებ დედა? ამ კითხვებით აღელვებული რამდენიმე წუთით შევჩერდი სასტუმრო ოთახის კარებთან და ვერ გბედავდ მის გაღებას.

შესვლისას ჯერ ვერავინ გავარჩიე; მაგრა როცა ჩემს უკან კარი დაიხურა, მე დავინახე მისტერ პეგოტი და ქამი, ისინი კედელს მიჰყრდნობოდნენ და ქუდებს მიქნევდნენ. ჩვენ მეგობრულად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. მე გავიციე, ისევე გავიციე და შემდეგ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე ცრემლების მოსაწმენდად.

მისტერ პეგოტიმ, რომელსაც ამ დარბაზობის განმავლობაში პირი არ მოუკუშავს, დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა ჩემი ცრემლებისადმი და ანიშნა ქამს, ლაპარაკი დაეწყო.

– გამხიარულდით, მასტერ დევი, ღმერთმანი, გამხიარულდით! – მითხრა ქამმა გულუბრყვილო ღიმილით. – მერე როგორ გაზრდილხართ, მასტერ დევი, ღმერთმანი!

– ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ გავიზარდე? – ვკითხე მე, ცრემლების წმენდით. მე ვტიროდი, არ ვიცი რად, ძველი მეგობრების დანახვაზე თუ მომერია ცრემლები, სხვა არავითარი მიზეზი არ იყო.

– გაზრდილხართ, მასტერ დევი! – გაიმეორა ქამმა. – შეხედე, ძია, განა არ გაზრდილა?

– რასაკვირველია, გაზრდილა! – დაადასტურა მისტერ პეგოტიმ.

– ხომ არ იცით, დედა როგორ არის, მისტერ პეგოტი? – ვკითხე მე.

– კარგად არის?

– ძველებურად, – მიპასუხა მისტერ პეგოტიმ.

– როგორ არის ჩემი ძვირფასი პეგოტი?

– ძველებურად.

– პატარა ემი, მისის გუმიჯი?

– ძველებურად, – იმეორებდა მისტერ პეგოტი.

შედეგ სიხუმე ჩამოვარდა. ამ დროს მისტერ პეგოტიმ ამოათრია თავისი ჯიბიდან ორი უზარმაზარი ზღვის კიბო, ერთი საშინლად დიდი ცხრაფეხა და დიდი ტილოს პარკი წვრილი კიბოებით. ეს ყველაფერი ხელში გადასცა ქამს.

– თქვენ, მგონი გიყვარდათ კიბოები, როცა სტუმრად იყავით ჩვენსას, ზღვის პირას. ამიტომ ჩვენ, ესე იგი, ასე რომ, მასტერ დევი... ჩვენც ესენი მოგიტანეთ. მისის გუმიჯმა თვითონ მოხარშა. თვითონ მისის გუმიჯმა მოხარშა... თქვენთვის, მასტერ დევი.

მადლობა გადავუხადე. მისტერ პეგოტიმ შეხედა ქამს, რომელიც ტომარას დასცერებოდა და სრულებით არ ფიქრობდა ბიძამისის დახსნას ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან.

– ასე და ამგვარად. ესე იგი, ასე, მასტერ დევი! – მითხრა მისტერ პეგოტიმ. – დაუბერა მარჯვე ქარმა, და ჩვენც მოვედით ჩვენი პატარა ნავით იარმაუთიდან გრეისვენდში. დამ კი მომწერა, რომ ესე და ესეო, თუ გრეისვენდში მოგიხდეთ წასვლა, შეიარეთ ამა და ამ ალაგას, მასტერ დევისთან, ჩემი მოკითხვა გადაეცით, ყოველივე სიკეთე უსურვეთ და უთხარით, რომ სახლში ყველაფერი ძველებურად არისო. და აი, როცა ჩვენ დავბრუნდებით უკან, პატარა ემი მისწერს ჩემს დას, რომ გნახეთ, მასტერ დევი, და რომ თქვენც, ისა, ძველებურად...

მიუხედავად მისტერ პეგოტის ამ მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკისა, ყველაფერს მივხვდი და სულით და გულით გადავუხადე მადლობა. შემდეგ, თუმცა ვგრძნობდი, რომ ვწითლდებოდი, ლაპარაკი ისევე პატარა ემიზე ჩამოვადე და იმედი გამოვთქვი, რომ იგი, ალბათ, ძალიან გამოიცვალა მას შემდეგ, რაც მე და ის ერთად ვაგროვებდით ლოკოკინებს და კენჭებს ზღვის ნაპირზე-მეთქი.

– მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! ის მალე სულ მთლად დიდი ქალი გახდება, – მითხრა მისტერ პეგოტიმ, – აი, ამასა ჰკითხეთ!

ესე იგი ქამს, რომელიც მთლად ბრწყინავდა სიამოვნებისაგან და თავს იქნევდა თანხმობის ნიშნად.

– რა ლამაზია! – წამოიძახა მისტერ პეგოტიმ გაბრწყინებულმა.

– და მერე როგორა სწავლობს! – დაუმატა ქამმა.

– როგორ წერს! – შესძახა მისტერ პეგოტიმ. – ასოები შავია, როგორც კუპრი, და ისეთი უშველებელი, რო ერთი მილის სიშორეზე ჩანან!

ჩემთვის ნამდვილი ნეტარება იყო, როცა ვხედავდი, როგორი აღტაცებით ლაპარაკობდა მისტერ პეგოტი თავის საყვარელ პატარა გოგონაზე.

ქამი გატაცებული იყო არანაკლებ, ვიდრე ბიძამისი. უეჭველია, კიდევ მრავალ ამბავს გავიგებდი მათგან პატარა ემის შესახებ, სტირფორდს რომ არ დაეშალა თავისი მოულოდნელი შემოსვლით. როცა სტირფორდმა დამინახა კუთხეში მოლაპარაკე ორ უცნობთან, შეწყვიტა სიმღერა და მითხრა:

– მე არ ვიცოდი, რომ შენ აქა ხარ, კოპერფილდ! მაპატიე, ჩემო კარგო!

სტუმრების მისაღები ოთახი სხვა იყო, სტირფორდმა, მართლაც, არ იცოდა, რომ მე იქ ვიყავი. მას უნდოდა, შეუჩერებლად ჩაეარა ჩვენს გვერდით, მაგრამ არ ვიცო, რატომ, შევაჩერე იგი. შესაძლებელია, მინდოდა დამეტრახა ისეთი ამხანაგის ყოლა, როგორც სტირფორდი იყო, ამ მისთვის ამეხსნა, როგორ მოხდა, რომ მისტერ პეგოტის დაუშვებობრივად. მაგრამ რად მომდის თავში ყოველივე ეს ახლა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ? ასე იყო თუ ისე, მე ვუთხარი მორცხვად:

– სტირფორდ, ნუ წახვალ, გეთაყვა. ეს იარმაუთელი მენავეები არიან, ძალიან კარგი ხალხია, ესენი ჩემი გადის ნათესავები არიან და გრეისვენდიდან მოვიდნენ ჩემს სანახავად.

– მართლა? – თქვა სტირფორდმა. – დიდად მიხარია მათი ნახვა. როგორ არის ტქვენი საქმეები?

მის თავისუფალ მოპყრობაში იყო რაღაცა გამოუთქმელი თვისება, რომელიც წარმოუდგენელი მშვენიერების ელფერსა სდებდა ამ ყმაწვილის მთელ პიროვნებას. არაფერია საკვირველი, რომ მან ერთ წუთში მოხიბლა გულუბრყვილო მენავეთა გულები.

– როცა წერილსა წერდეთ სახლში, მისტერ პეგოტი, ჩემს მაგივრად მისწერეთ, რომ მისტერ სტირფორდი ყოველთვის უზომო სიკეთით მეპყრობა და, სწორი გითხრათ, არ ვიცო, რას ვიზამდი ამ აღვილას, იგი რომ არ იყოს. – ვუთხარი მე.

– სისულელეა! – თქვა სტირფორდმა ღიმილით. – თქვენ ნურაფერ მაგას ნუ მისწერთ, – სრულებით არ არის საჭირო.

– და თუ მისტერ სტირფორდი წამოვა როდისმე სუფოლკში ან ნორფოლკში, მისტერ პეგოტი, თქვენ ნება უნდა მომცეთ, მოვიყვანო იგი თქვენსას, ზღვის პირზე. რა მშვენიერი პატარა სახლი აქვთ, სტირფორდ, რომ იცოდეთ! წარმოიდგინეთ, იგი გემისგან არის გაკეთებული!

– რას მეუბნები? – შესძახა სტირფორდმა. – სახლი გემისაგან – ეს საკვირველია! ყვლაფრიდანა ჩანს, რომ თქვენ მშვენიერი მეზღვაური ბრძანდებით, – ცხოვრებითაც კი ნავის სახლში ცხოვრობთ!

– სწორედ ეგრეც არის, სერ! – დაუმატა ქამმა და ყურებამდე გააღო პირი, – მასტერ დევი, ყმაწვილი ჯენტლმენი სრულს ჭეშმარიტებას ბრძანებს. ნამდვილი მეზღვაურია! ჰო! ჰო! რაც მართალია, მართალია!

მისტერ პეგოტი, როგორცა ჩანდა, თავის ძმისწულზე ნაკლებად არ იყო გახარებული ამ თავაზიანი ქათინაურით, თუმცა თავმდაბლობა ხელს უშლიდა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საგანზე.

– გმადლობთ, სერ, დიდად გმადლობთ, ვცდილობთ გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, სერ.

– ყველაზე უკეთეს ადამიანს არ შეუძლია მაგაზე მეტის გაკეთება, მისტერ პეგოტი, – უპასუხა სტირფორდმა, რომელმაც უკვე ყური მოჰკრა ჩემი სტუმრის გვარს.

– მადლობას მოგახსენებთ, სერ, – უპასუხა მისტერ პეგოტიმ და გაჩეჩილი თავი დაიქნია. – მე არ მრცხვენია გამოვტყდე იმაში, რომ ძალიან მიხარია

იმისთანა ჯანტლმენის ქება, როგორც თქვენ ბრძანდებით, სერ. დიდად დავალებუი ვარ თქვენგან ასეთი პატივისცემისათვის, სერ. ჩემი სახლის ნახვა არა ღირს, სერ, რადგან იშვიათი სანახავი შიგ არა არის-რა; მაგრამ მისი კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის, როცა კი თქვენ და მასტერ დევი ისურვებთ მობრძანებას ჩვენსას, იარმაუთში.

ყოველი წინადადების შემდეგ მისტერ პეგოტი აპირებდა სახლში წასვლას, მაგრამ ვერ მიდიოდა.

კარგად იყავით ორივენი. გისურვებთ ბედნიერებას, – გვითხრა მან ბოლოს და საბოლოოდ ხელი დაავლო თავის ქუდს.

ქამმა გაიმეორა მისი გამოსაღმების სიტყვები, და ჩვენ გავშორდით ერთმანეთს, როგორც გულწრფელი მეგობრები.

მთელი იმ საღამოს განმავლობაში მინდოდა ლაპარაკი დამეწყო პატარა ემის შესახებ და ამეწერა მისი მშვენიერება, მაგრამ მისი სახელი ვერ ვახსენე, იმის შიშით, რომ სტირფორდი მასხრად ამიგდებდა. აღელვებული დიდხანს ვფიქრობდი იმის შესახებ, რომ ემილია ნამდვილი ქალი ხდებოდა, როგორც მისტერ პეგოტიმ თქვა; მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა-მეთქი.

მთელი მოსაკითხი, მისის გუმიჯის გამოცდილი ხელით გამზადებული, ჩუმიად გავიტანეთ საწოლ ოთახში და საღამოს დიდებული ვახშამი გავმართეთ. მაგრამ ტრედელს ბედი არ წყალობდა: საწყალ ბიჭს მეტი მოუვიდა და იმ დამესვე ავად გახდა. დილით მას გადააყლაპეს ერთი დუჟინი ლურჯი აბები და დაალევინეს უშველებელი დოზა შავი მიქსტურისა, რომელსაც, როგორც სამართლიანად შენიშნა დიმპლა (ამ ბავშვის მამა ექიმი იყო), შეეძლო ცხენის სხეულიც კი შეერყია. ამის შემდეგ საბრალო ყმაწვილმა, რომელმაც გადაჭრით თქვა უარი თავისი ავადყოფობის მიზეზის ახსნაზე, მიიღო სასჯელი ათი როზგი და ბერძნული ქრესტომათიიდან ექვსი თავი დასაზეპირებლად.

დანარჩენი დრო ამ წლის პირველ ნახევრისა მაგონდება, როგორც დაუსრულებელი ყოველდღიური ბრძოლა და სასწავლებლის ცხოვრების წვრილმანი ზრუნვა. ზაფხულმა სწრაფად გაიარა; დადგა შემოდგომა და მასთან – ცივი დილები, როცა დაუცხრომელი ზარი ლოგინებიდან გვიწვევდა. კიდევ ორი, სამი კვირა, – და აი, მოვიდა სუსხიანი, გრძელი და ბნელი დამეები, როცა იგივე ზარი საწოლ ოთახში გვერეკებოდა. მოსაწყენი და ერთფეროვანი ცხოვრება! საღამოობით სასწავლო დარბაზი მკრთალად არის განათებული და ცუდად გამთბარი, დილაობით იგივე დარბაზი სრულებით არ არის განათებული და სრულებით არ არის გამთბარი, ასე რომ, ჩვენ ყველანი ვკანკალებთ და ვიკრუნხებით სიცივისაგან. საუზმეები, სადილები, ვახშამები: ძროხის ხორცი მოხარშული და შემწვარი, ცხვრის ხორცი მოხარშული და შემწვარი, გამხმარი პური მძაღვ კარაქით; წიგნები დახეული ფურცლებით, დამტვრეული ასპიდის დაფები, რვეულები ცრემლებით დანამული; სახაზავები, როზგები, კინწისკვრა, თმით თრევა, ცემა, ავდრიანი უქმეები, ქონიანი პუდინგები, ჭუჭყისა და მელნის სუნი...

ძალიან კარგად მახსოვს, რომ ზამთრის არდადეგებმა, რომელიც ჯერ წარმოდგენილი არ მქონდა, როგორც უძრავი წერტილი უსაზღვრო დროთა წრეში, თანდათან დაიწყო მოახლოება და ზრდა. მახსოვს, როგორ ვითვლიდით დროს ჯერ თვეობით, შემდეგ კვირაობით, შემდეგ დღეებით და როგორ დამეუფლა ბოლოს შიში, – გამიშვებენ კი აქედან დედის და პეგოტის სანახავად-მეთქი? მაგრამ სტირფორდმა დამამშვიდა და მითხრა, რომ სასწავლებლის გამგეობას უკვე გადაწყვეტილი აქვს შენი გაშვებაო. როდისდა? შემდეგ კვირას, ამ კვირას, ზეგ, დღეს, – და აი ბოლოს, აიღეს ჩემთვის ბილეთი იარმაუთის დილიჯანის. მივდივარ.

## თავი მეორე

### არდადეგები. ერთი განაკუთრებით ბედნიერი საღამო

ჯერ კიდევ გათენებამდის მივედით იარმაუთში. ძალიან ციოდა, ასე რომ, ვერ გამათბო ცხელმა ჩაიმაც კი, რომელიც ბუხრის წინ მოეწყოთ, პატარა მაგიდაზე. მით უფრო დიდი სიამოვნებით ჩავწექი ლოგინში, წავიხურე საბანი და ტკბილად დავიძინე.

მისტერ ბარკისი დილის ცხრა საათზე უნდა მოსულიყო ჩემს წასაყვანად. სწორედ რვა საათზე ავდექი და მოვემზადე დროზე დასახვედრად. ხანმოკლე დასვენების გამო ოდნავ თავბრუდამხვეოდა. მისტერ ბარკისმა ისე შემხვდა თითქოს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ხუთ წუთზე მეტს არ გაეგლო.

როცა მე და ჩემი ჩემოდანი ეტლში მოვთავსდით, მეეტლე კოფოზე დაჯდა, ზანტი ჯაგლაგი დაიდრა ადგილიდან და თავისი ჩვეულებრივი ნაბიჯით წაჩანჩალდა.

– თქვენ მშვენივრად გამოიყურებით, მისტერ ბარკის! – ვუთხარი მე, რომ მესიამოვნებინა მისთვის.

მისტერ ბარკისმა მოისვა ლოყაზე სახელო და შემდეგ დახედა, თითქოს ზედ უნდა დაენახა თავისი აყვავებული ჯანმრთელობის ანაბეჭდი; მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს ჩემი კომპლიმენტის საპასუხოდ.

– მე შევასრულე თქვენი დავალება, მისტერ ბარკის. მოვწერე პეგოტის.

– ეჰ!

როგორცა ჩანდა, მისტერ ბარკისი ვერ იყო გუნებაზე, და ეს პასუხი ძალიან მკვახედ გამცა.

– იქნებ ისე არ მივწერე, მისტერ ბარკის, როგორც თქვენ გსურდათ?

– ჰა?

– მე თქვენი დავალების შესახებ ვაბობ, მისტერ ბარკის.

– არა, ალბათ ისე მისწერეთ, მაგრამ რა გამოვიდა? – მიპასუხა მეეტლემ უგულოდ.

– არა გამოვიდა რა, მისტერ ბარკის?

– არც საღამო, არც პასუხი.

– განა რაიმე პასუხი იყო საჭირო, მისტერ ბარკის? – ვკითხე და ფართოდ დავაღე თვალები. – მაშ არ იყო საჭირო? რახან ვაჟკაცი ამბობს, რომ წინადადებას აძლევს, იგი პაუსუსს ელის.

– განა თქვენ ელაპარაკეთ მას, მისტერ ბარკის?

– ა-რ-რ-ა-ა, – წაიბურტყუნა მისტერ მისტერ ბარტკისმა ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ, – მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს მისთვის. სრულებით არც ვაპირებ მასთან ამაზე ლაპარაკს. რა აზრი აქვს?

– ხომ არ გინდათ, მისტერ ბარკის, რომ მე ვუთხრა თქვენს მაგივრად?

– კარგი, თუ გსურთ, – მიპასუხა მისტერ ბარკისმა და თავჩაღუნულმა შემომხედა. – უთხარით, რომ ბარკისი პასუხს ელის. რა ჰქვია მას?

– პეგოტი, მისტერ ბარკის.

– ეს ხომ მისი გვარია?

– დიახ, ეს მისი გვარია, მისტერ ბარკის.

– რა ჰქვია მას, ესე იგი, რა არის მისი სახელი?

– კლარა.

– მართლა?..

როგორცა ჩანდა, მისტერ ბარკისმა ამ გარემოებაში იპოვა დაუშრეტელი წყარო ფიქრისთვის. რამდენიმე ხნის განმავლობაში იგი ჩუმად იჯდა და მხოლოდ უსტვენდა დროგამოშვებით.

– აბა! – თქვა. მან ბოლოს. – მაშ თქვენ ასე ეტყვი: „პეგოტი, ბარკისი პასუხს ელის“. – „განა რასა მწერდით?“ – „ბარკისი წინადადებას გაძღვეთ“.

ამ შესანიშნავი სიტყვით დამთავრების შემდეგ ბარკისმა ხელი მკრა გვერდში. შემდეგ მან ისევ ჩაჰკიდა თავი და აღარ დაბრუნებია ამ საინტერესო საგანს; მხოლოდ ნახევარი სათის შემდეგ ამოიღო ჯიბიდან ცარცის ნაჭერი და თავისი ეტლის კოფოზე დაწერა, უეჭველია, სახსოვრად: „კლარა პეგოტი“.

რა უცნაურმა გრძნობამ ამიტანა, როცა მივუახლოვდი სახლს რომელიც ახლა ჩემი აღარ იყო, და სადაც იმავე დროს ყოველ საგანს შეეძლო მოეგონებინა ჩემთვის უწინდელი, ბედნიერი დრო, რომელიც გაჰქრა სიზმარივით. დრო, როცა მე დედა და პეგოტი მარტონი ვცხოვრობდით და არავინ ერეოდა ჩვენს ოჯახურ საქმეებში, თვალწინ მედგა და გამოუთქმელი სევდით მივსებდა გულს. რაც უფრო მეტად ვუახლოვდებოდით ბლორდესტონს, მით უფრო მეტად მერეოდა სევდა. ბოლოს ჩემმა ნაღველმა იქამდის მიაღწია, მზად ვიყავი ისევ საღემის სასწავლებელში დაგბრუნებულიყავ, სტირდფორთან. მაგრამ უკვე გვიან იყო, აი ისინი, აი ბლონდერსტონის ჭილყვაკები. ვხედავ მათ გაჩეხილ ბუდეებს ტიტველა ბებერ თელახე და მესმის ქარის ზუზუნის ჩვენს ბაღში.

ჩვენ მოვედით. მე მივდიოდი სახლისკენ ნაცნობი ბილიკით და თან ფანჯრებს ვუცქეროდი, სადაც ყოველ წუთში მოველოდი მისტერ და მის მორდესტონების დანახვას. ნელი და გაუბედავი ნაბიჯით მივუახლოვდუ სახლს, გავაღე კარი და შევედი.

აჰ, რამდენი სახეები და ხმები, დაკავშირებული ჩემს ბავშვობასთან, გააღვიძა ჩემში დედაჩემის ხმამ! იგი მღეროდა სევდიანად და ნაზად. მომეჩვენა, თითქოს ოდესღაც მე ვესვენე მის ხელზე და იგი მე მიმღეროდა ამ სიმღერას, დახრილი, ჩემს აკვანთან.

იმ ჩაფიქრებული გამომეტყველების მიხედვით, რომლითაც იგი მღეროდა, გადავწყვიტე, რომ დედა მარტო უნდა ყოფილიყო, და ჩუმად შევედი ოთახში. დედა ბუხართან იჯდა და ძუძუს აწოვებდა ბავშვს, რომელიც შეუგნებლად იწვდიდა თავის პაწაწინა ხელს მისი ყელისკენ. დედის თვალები მისჩერებოდნენ ბავშვის სახეს.

– დედილო!

დედამ მაკოცა კიდევ და კიდევ და ხელი მომხვია ყელზე. ამ დროს ოთახში შემოვარდა პეგოტი, ჩაგვივარდა ფეხებში და მეოთხედი საათს განმავლობაში გიჟივით იყო სიხარულისან.

თურმე არ მელოდნენ ასე მალე, რადგან მეეტლე ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე მოვიდა. ისიც გამოირკვა, რომ მის და მისტერ მორდესტონები სადღაც იყვნენ წასულნი სტუმრად და სადამომდის არ დაბრუნდებოდნენ შინ. სრულებით არ მოველოდით ასეთ ბედნიერ გარემოებას, – მეგონა, ეს უცხო ხალხი არასოდეს, ერთი წუთითაც აღარ დაგვანებებდა თავს. იმ წამშივე ვიგრძენი, რომ ძველი, ბედნიერი დრო დაგვიბრუნდა.

ვისადილეთ პატარა მაგიდაზე, ბუხრის წინ. პეგოტის უნდოდა მოგვმსახურებოდა, მაგრამ დედამ არ დაანება და ძალით დასვა სუფრასთან ჩვენთან ერთად.

სადილის დროს დავიწყე პეგოტისთან ლაპარაკი ბარკისის დავალების შესახებ, მაგრამ ორი სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ პეგოტიმ აიფარა სახეზე წინსაფარი და სიცილი მორთო.

– პეგოტი, – უთხრა დედამ. – რაშია საქმე?

– აი სერი! – დაიწყო პეგოტიმ. – წარმოიდგინეთ, მას ჩემი ცოლად შერთვა უნდა!

– ბარკისი, მგონია, კარგი ადამიანია, და ეს თქვენთვის შესაფერისი შემთხვევაა, – უპასუხა დედამ.

– აჰ, არ ვიცი! ნუ მკითხავთ! არ გავთხოვდები მასზე, მთლად რომ ოქროსი იყოს; არავიზე არ გავთხოვდები!

– მაშ რატომ არ ეტყვი უარს?

– მას ვუთხრა? – შესძახა პეგოტიმ. – თვითონ ერთ სიტყვასაც არ მეუბნება მაგის შესახებ. ერთი ხმა ამოიღოს, ვაჩვენებ სეირს!

დედა იღიმებოდა, სანამ პეგოტი უცქეროდა მას, მაგრამ შვენიშნე, რომ დედა დაღუნდა და ჩაფიქრდა. პირველ შეხედვაზე გამაკვირვა დედაში საოცარმა ცვლილებამ. მისი მშვენიერი სახე, ძველებურად, სევდისა და მწუხარების ნიშანს ატარებდა; ნაზი და თეთრი ხელების კანი მთლად გახდომოდა, მაგრამ ყველაზე მეტად გამოაცხადებდა დედაში უკიდურესობამდე გაუბედავმა და შემკრთალმა მოქცევამ.

დედამ გაიწოდა ხელი, დაადო, იგი თავის ერთგულ მოახლეს მხარზე და უთხრა:

– მაშ თქვენ არ აპირებთ გათხოვებას, ჩემო კარგო პეგოტი?

– მე? გათხოვება? – შესძახა პეგოტიმ და თვალები ფართოდ გაახილა. – არა, არ ვაპირებ.– გათხოვდებით, რასაკვირველია, მხოლოდ ახლა არა, პეგოტი!

– არასოდეს!

დედამ ხელი მოჰკიდა და უთხრა:

– ნუ დამანებებთ თავს, ჩემო კარგო პეგოტი! თქვენ იქნებ დიდი ხანი აღარ მოგიხდეთ ჩემთან ცხოვრება. რა მეშველება უთქვენოდ?

– მე დაგანებებთ თავს? – შესძახა პეგოტიმ. – მთლად რომ თავიდან ფეხებამდე ოქროსა და მარგალიტში ჩამსვან, მაშინაც არ გაგშორდებით. არასოდეს! არაფრის გულისათვის! როგორ მოგივიდათ, ერთი მიბრძანეთ, ასეთი აზრი თქვენ პატარა თავში?

ჩვენ მივუსხედით ბუხარს და მშვენივრად ვიმუსაიფეთ. დაწვრილებით ვუამბე მისტერ კრიკლის მრისხანე მოპყრობის შესახებ, და ორივემ სულით და გულით შემიბრაღეს. ვუამბე, როგორი მშვენიერი ყმაწვილია სტიროფორდი და როგორ მესარჩლება მე. პეგოტიმ განაცხადა, რომ მზად არის ფეხით გაიაროს ასი მილი ამ ჯენტლმენის სანახავად. ხელში ავიყვანე ბავშვი, როცა მან გაიღვიძა, და ნაზად ვუაღერებდი. როცა ბავშვმა ისევ დაიძინა, ნელა მივუახლოვდი დედას, როგორც უწინდელ დროს, მოვხვიე ხელები მის წელს და ჩემი გახურებული ღოყა მივადე მხარზე. მე ბედნიერი ვიყავი!

როცა ამგვარად ვიჯექი ბუხართან და ვუცქეროდი სხვადასხვა სახეებს ცეცხლის ალში, ისე მეჩვენა, თითქოს არასოდეს არ წავსულიყავი მშობლიური სახლიდან და თითქოს მისტერ და მის მორდსტონები მხოლოდ ფანტასტიკური სახეები იყვნენ, რომელნიც გაქრებიან ბუხრის ალთან ერთად.

– საინტერესოა, – თქვა უეცრად პეგოტიმ, რომელიც ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი გადადიოდა სრულებით მოულოდნელ საგნებზე, – საინტერესოა, რასა იქმს ახლა მასტერ დევს პაპიდა?

– აჰ! – შესძახა დედამ და გამოერკვა თავისი ფიქრებიდან. – რა სისულელე მოგივიდათ თავში, პეგოტი!

– სულელური, მე მგონია, აქ არა არის-რა. მხოლოდ მინდოდა გამეგო, როგორ არის იგი ახლა!

– უცნაური სურვილია, პეგოტი!.. რაღა ახლა მოგივიდათ მაინცდამაინც ეს აზრი? განა სხვა საფიქრებელი არა გაქვთ-რა?

– სწორე ვითხრათ, მეც არ ვიცი, რად მომაგონდა. ჩემს სულელ თავში ზღვჯერ უცნაური აზრები ტრიალებს, და აი ახლა, ყოვლად უმიზეზოდ, მე დამებადა სურვილი გამეგო. სად გაჰქრა მასტერ დევის პაპიდა?

– ნუთუ თქვენ გინდათ, რომ იგი ისევ გვეწვიოს სტუმრად?

– სრულებითაც არ მინდა.

– მაშ რაღა საჭიროა ამგვარ უსიამოვნო საგნებზე ლაპარაკი. მის ბეტსი, უეჭველია, ცხოვრობს განდევნილად თავის სახლში, ზღვის პირას, და მგონია,



არასოდეს უღალატებს ამგვარ ცხოვრებას. ყოველ შემთხვევაში, იგი უეჭველია, არასოდეს აღარ შეგვაწუხებს თავისი სტუმრობით.

– არასოდეს... ალბათ, არასოდეს... მეც ასე ვფიქრობ... დიახ, – თქვა პეგოტიმ, რომელიც უცნაურ ფიქრებში იყო გართული, – საინტერესოა, დაუტოვებს თუ არა იგი რაიმე მემკვიდრეობას მისტერ დევისს, თავისი სიკვდილის შემდეგ?

– რას ლაპარაკობთ, პეგოტი! როგორ შეგიძლიათ იფიქროთ ეგ, როდესაც იცით, როგრო ეწეინა დევისს დაბადება.

– დიახ, ახლა კი მით უმეტეს არ აპატიებს.

– ვითომ რატომაო?

– თუნდ იმიტომ, რომ ახლა მას ძმაცა ჰყავს, – უპასუხა პეგოტიმ.

დედამ ტირილი დაიწყო.

– რა დაგიშავათ ამ უმანკო არსებამ? ვის რას უშლის იგი ამქვეყნად? არა გრცხვენიათ, პეგოტი! ღმერთმანი სჯობია გათხოვდეთ მისტერ ბარკისზე! რატომ არ გინდათ, გათხოვდეთ?

– იმიტომ, თუ გნებავთ, რომ ეს დიდად ასომოვნებდა მის მორდსტონს.

– რა ბოროტი ხართ, პეგოტი! – უპასუხა დედამ. – მე ძალიან კარგად მესმის თქვენი გულის პასუხი! თქვენ თვითონ გინდათ ჩაიგდოთ ხელში ყველა გასაღები და იდიასახლისოთ. ასეა თუ არა? და თქვენ სრულებით არ გინდათ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ყოველივე ამას იგი ნათესაური გრძნობითა სჩადის. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მას კეთილი სურვილი აქვს. რატომ არ გიყვართ იგი? რა დაგიშავათ? განა თქვენ არ გაგიგიათ, ათასჯერ უთქვამს, რომ მე, მისი აზრით, მეტისმეტად უდარდელი ვარ და ჯერ კიდევ...

– ლამაზი, – დაუმატა პეგოტიმ.

– მერე რა არის? – პასუხა დედამ ოდნავი ღიმილით – რა ჩემი ბრალია, თუ მის მორდსტონი მე ლამაზად მოვლის?

– არავინ არც ბრალსა გდებთ.

– რასაკვირველია, არავინ. მას ჰგონია, რომ მე არა მაქვს დიასახლისობის უნარი და დარწმუნებული ვარ, არც სცდება, დიახ, არ სცდება... თქვენ ხომ იცით, რომ მის მორდსტონი ყველაზე გვიან წვეება და ყველაზე ადრე დგება? თქვენ იცით, რომ იგი თვითონ დადის საკუჭნაოში, სარდაფში, იქ, სადაც ნახშირია, და იქ... სადაც მე, უეჭველია, არასოდეს არ წავიდოდი. და ნუთუ გინდათ დამარწმუნოთ, რომ მის მორდსტონის ყველა ამ მოქმედებაში არ არის თავგანწირვა?

– მე არასოდეს არ მითქვამს ეგა, – უპასუხა პეგოტიმ.

– სტყუით, სტყუით! რად ამბობთ უარს? და როცა თქვენ, მაგალითად, ლაპარაკობთ მისტერ მორდსტონის კეთილ სურვილებზე და თვალთმაქცობთ, თითქოს არაფრად აფასებთ მათ, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მხრივ ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, არ შეიძლება ადამიანი არ აფასებდეს მათ, რადგან ეს მართლა კეთილი სურვილებია. თუ მისტერ მორდსტონი მკაცრად მოექცა აქ ვინმეს... მკაცრად და სასტიკად, – თქვენ გესმით, პეგოტი, დევისაც უნდა ესმოდეს ეს – ეს სიმკაცრე წარმოდგება მხოლოდ სიკეთის სურვილიდან ამავე პიროვნებისათვის. მას უყვარს ეს პიროვნება და ვიცი, რომ გულწრფელად სურს სიკეთე ჩვენთვის, ორივესთვის. ის ჩემზე ჭკვიანია, ეს ყველასთვის ცხადია, და რასაკვირველია, გაცილებით ჩემზე უკეთ შეუძლია მსჯელობა ყველა ამ საქმეზე. მაშ რაგორ გინდათ? მე სუსტი, ბავშვივით თავქარიანი ვარ... მაშინ როდესაც მისტერ მორდსტონი დინჯი, ენერგიული, მტკიცე ხასიათის კაცია. მერე რამდენ გაჭირვებას იტანს იგი ჩემი გულისთვის მთელი ამ ხნის განმავლობაში! – განაგრძობდა დედა ცრემლებით, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩამოსდიოდა ნაზ სახეზე. – ღმერთმანი, პეგოტი, მე მადლობელი უნდა ვიყო მისტერ მორდსტონისა და უნდა ვემორჩილებოდე მას ყველა ჩემი გრძნობითა და აზროვნებით; და თუ

ჩემი გული არ მემორჩილება და არა გრძნობს ზოგჯერ ამ მადლობას, ამის გამო ყველაზე უბედური მე ვარ და აღარ ვიცი, რა ვქნა...

პეგოტი ჩუმად იჯდა და შეჰყურებდა ბუხარში ბაღვერდალს.

– მაშ ასე, პეგოტი! – უთხრა დედამ და კილო გამოიცვალა. – შევრიგდეთ, ჩემო კარგო... ღმერთმანი, ჩვენ არ უნდა ვჩხუბობდეთ, მე ვერ ავიტან ამას. თქვენ ჩემი ნამდვილი მეგობარი ხართ, პეგოტი, მე ვიცი ეს, და არვინ მყავს მეგობარი მთელს ქვეყანაზე, თქვენს გარდა. თუ გიწოდებთ თქვენ სულელს, სასაცილო და უსინდისო არსებას, ეს იმას ნიშნავს, პეგოტი, რომ თქვენ ჩემი ნამდვილი მეგობარი ხართ და ყოველთვის იყავით ჩემი გულწრფელი მეგობარი იმ წუთიდან, როცა მისტერ კოპერფილდმა პირველად მომიყვანა ამ სახლში და თქვენ კარებთან დამიხვედით.

პეგოტიმ ბევრი აღარ ახვეწინა დედას და მაშინვე დაამტკიცა მშვიდობიანობის კავშირი იმით, რომ მე გადამკოცნა.

დავლიეთ ჩაი, ახალი ცეცხლი გაუაჩნაღეთ და სანთლები ავანთეთ. ჩვენ სრული ბედნიერები ვიყავით, და ეს ბედნიერი საღამო, უკანასკნელი ჩემს ბავშვურ ცხოვრებაში არასოდეს არ წარიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

თითქმის ათი საათი იყო, როცა ალაყაფის კარებთან ეტლის ხმა მოისმა. ჩვენ ყველანი ავდექით, და დედამ საჩქაროდ მითხრა, რომ უკეთესი იქნებოდა, წავსულიყავი ლოგინში ჩასაწოლად, რადგან საკმაოდ გვიან იყო და მის და მისტერ მორდსტონები კი ადრე ძილს ურჩევენ ყმაწვილ ხალხსო. ვაკოცე დედას და სანთლით ხელში წავედი ზევით, ჩემს საწოლ ოთახში. და-ძმა ჯერ არ შემოსულიყო ოთახში.

მეორე დღეს დღით გულისბგერით ჩავდიოდი საუზმისათვის სასადილოში. მე არ მენახა მ-რ მორდსტონი ჩემი საქციელის შემდეგ. ორჯერ-სამჯერ შეგჩერდი კიბეზე და ერთხელ ოთახშიც კი დაგბრუნდი. ბოლოს ფეხის თითებზე ჩავედი ძირს.

მისტერ მორდსტონი იდგა, ზურგით ბუხრისკენ მიქცეული; მის მორდსტონი ჩაის ამზადებდა. როცა ოთახში შევედი, მ-რ მორდსტონმა შემომხედა დაკვირვებით, მაგრამ არავითარი საღამო არ მოუცია.

წუთიერი არევის შემდეგ მივედი მასთან და ვუთხარი:

– გთხოვთ, მაპატიოთ, სერ; ვნანობ ჩემს საქციელს და იმედი მაქვს, რომ მაპატიებთ.

– მოხარული ვარ, დავით, რომ ნანობ, – მიპასუხა მ-რ მორდსტონმა.

მან გამომიწოდა ხელი, ის ხელი, რომელზედაც ვუკბინე. ერთი წუთით თვალი ვერ მოვაშორე ლაქას, რომელიც ჯერ კიდევ აშკარად აჩნდა ხელზე; ლაქა წითელი იყო, მაგრამ ისეთი წითელი არა, როგორც ჩემი სახე, რომელიც ამენტო, როცა შევხვდი მ-რ მორდსტონს, – ვუთხარი და მიუუახლოვდი.

– აჰ, ეს შენა ხარ! – თქვა მან ღრმა ამოოხვრით და შაქრის მაშა გამომიწოდა ხელის მაგივრად. – რამდენ ხანს გასტანს შენი არდადეგები?

– ერთ თვეს.

– რომელ დღიდან?

– დღევანდელი დღიდან.

– მაშ ერთი დღით ნაკლები იქნება, – თქვა მის მორდსტონმა.

მან აიღო კალენდარი და წაშალა ერთი დღე, ამის შემდეგ იგი ყოველდღე ზრუნველობით შლიდა თითო დღეს; ამ მოვალეობას ასრულებდა ჯერ მოღუშული სახით, მაგრამ როცა თვის ბოლოს მიუახლოვდა, გარკვევით გამხიარულდა.

ჩემი მისვლის პირველ დღეს მან საშინელი მღელვარება გამოიარა ჩემს გამო, თუმცა, საზოგადოდ, მის მორდსტონის რკინის ბუნება ასე ადვილად არ აღელდებოდა.

მე შევედი სასტუმრო ოთახში, სადაც ისხდნენ მის მორდსტონი და დედა ბავშვით მუხლებზე. ავიყვანე ბავშვი უდიდესი სიფრთხილით და აღერსი დავუწყე.

უეცრად მის მორდსტონმა ისეთი საზარელი კვილი მორთო, რომ კინაღამ ბავშვი ხელიდან გამივარდა.

– რა დაგემართა, ძვირფასო ჯენი? – შეჰყვირა დედამ.

– კლარა! განა თქვენ არ ჰხედავთ?

– რასა? სად? მე ვერაფერს ვხედავ, ჯენი.

– მან ხელი დაავლო მას! ბიჭმა ხელი დაავლო ბავშვს! – შიშით თავზარდაცემული მის მორდსტონი მკვდარივით გაფითრდა; მიუხედავად ამისა, იგი მომვარდა და ხელიდან მომგლიჯა ბავშვი. შემდეგ ისე ცუდად გახდა, რომ იძულებული გახდნენ ალუბლის წვენით შეზავებული სასმელი მიეცათ მისთვის. როცა თანდათან ძაღლონე დაუბრუნდა, მივიღე მისგან უსასტიკესი ბრძანება – არასოდეს, არაფრის გულისთვის და არც ერთ შემთხვევაში არ მიგკარებოდი ჩემს პატარა ძმას. დედა, როგორც ჩანდა, სულ სხვა აზრისა იყო ამის შესახებ, მაგრამ დაადასტურა თავისი მულის განკარგულება და თქვა:

– რასაკვირველია, თქვენ მართალი ხართ, ძვირფასო ჯენი, გმადლობთ.

მოკლედ რომ მოვჭრა, მე არ ვუყვარდი მის მორდსტონს და, მგონია, არავის არ ვუყვარდი ამ სახლში. ვისაც ვუყვარდი, ისინი ვერ ბედავდნენ თავიანთი სიყვარულის გამომჟღავნებას და, ვისაც ვეჯავრებოდი, ისინი ყოველი ფეხის გადადგმაზე აცხადებდნენ თავიანთ სიძულვილს. მე მოვიწყინე, მოვიღუშე, გულჩახვეული გავხდი.

მაღე დავრწმუნდი, რომ აქ ყველას თვალში ვეჩხირებოდი. ჩემს გამო მთელი სახლის მყუდროება ირღვეოდა. როგორც კი შევდიოდი იმ ოთახში, სადაც ყველანი იკრიბებოდნენ და ერთმანეთში საუბარი ჰქონდათ, იმწამსვე მღელვარების ჩრდილი დაადგებოდა დედაჩემის სახეს და ჩემს შესვლასთან ერთად ჰკარგავდა მთელს თავის მხიარულებას. თუ მისტერ მორდსტონი მხიარულებისა და ლაპარაკის გუნებაზე იყო, ჩემი შესვლა მას სიტყვას აწყვეტინებდა; მის მორდსტონის მუდმივი მოწყენილობა აშკარად მატულობდა ჩემს დანახვაზე. მესმოდა, რომ დედა მსხვერპლი იყო; იგი ვერ ბედავდა ჩემთან ლაპარაკს, ვერ ბედავდა ჩემს ალერსს, იმის შიშით, რომ ამით შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ქმრისთვის და მისი დისთვის. იგი მუდმივი შიშში იყო ჩემს გამო და შეწუხებული ადევნებდა თვალს ყოველ ჩემს მოძრაობას. ყოველივე ამის გამო გადავწყვიტე მოშორებით ვყოფილიყავი ყველასაგან და ბევრი ზამთრის საათები გავატარე მარტოობაში, ჩემს მოსაწყენ ოთახში, სადაც პატარა მაზარაში შეხვეული, რაიმე წიგნს ვკითხულობდი.

ხშირად საღამოობით ჩავდიოდი სამზარეულოში და პეგოტის საზოგადოებაში ვატარებდი დროს. აქ ყოფნა მესიამოვნებოდა, თავს თავისუფლად ვგრძნობდი და არ მეშინოდა, გულახდილი ვყოფილიყავი. მაგრამ ამგვარი დროსტარება არაფრად ეამათ სასტუმრო ოთახში და მაღე მივიღე ბრძანება, მოუშორებლივ დედის გვერდით ვყოფილიყავი. ჩემი იქ ყოფნა მისი სულის სიმტკიცის გასაწვრთნელი საშუალება უნდა ყოფილიყო, – სულის სიმტკიცისა, რომეიც, და-ძმის აზრით, ყველაზე მეტად სჭირდებოდა დედას.

ერთხელ ნასადილეგს, როცა ჩვეულებისამებრ მინდოდა ოთახიდან გასვლა, მისტერ მორდსტონმა ამგვარი ლაპარაკი დაიწყო:

– დავით! მე ძალიან მწყინს, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ ეს რამდენიმე ხანია, ჩვენი საერთო მოლოდინის მიუხედავად, შენ მეტად პირქუში ხდები.

– იგი დაღვრემილია, როგორც დათვი, – დაადასტურა მის მორდსტონმა.

უძრავად ვიდექი თავჩაღუნული.

– მაგრამ შენ უნდა იცოდეს, დავით, – განაგრძობდა მისტერ მორდსტონი, – რომ კუშტი და მოღუშული ხასიათი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ქვეყანაზე. არაფერი არ შეიძლება იყოს მაგვარი ხასიათისთანა საძაგელი.

– დავითი ნადვილი ველურია, – თქვა მის მორდსტონმა. – ამას არ შეიძლება არა ხედავდეს ადამიანი. უეჭველია, ეს თქვენც შენიშნეთ, კლარა?

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სავსებით გესმით დავითის ხასიათი, ძვირფასო ჯენი? – გაუბედავად შენიშნა დედამ.

– მიკვირს, რომ თქვენ ამას მკითხავთ, კლარა, – უპასუხა მის მორღსტონმა. – მე ჩემი თავის შემრცხვებოდა, რომ არ მესმოდეს რომლისაც გინდა ბავშვივით ხასიათი, თქვენი იქნება იგი, თუ სხვისა. მე არ მომაქვს თავი ღრმააზროვან ადამიანად, მაგრამ სალი მსჯელობა, მგონია, შემიძლია.

– რასაკვირველია, ძვირფასო ჯენი, რასაკვირველია, თქვენი გამჭრიახი გონება...

– კლარა! – უთხრა მისტერ მორღსტონმა შთაგონებული კილოთი. – თუ არა ვცდები, მე და ჩემს დას შენზე მიუდგომლად შეგვიძლია ვიქონიოთ მსჯელობა ამ საგნის შესახებ.

– რასაკვირველია, ედუარდ, რასაკვირველია, – უპასუხა დედამ, მისი სიმკაცრით შეშინებულმა, – შენ საკუთარი მსაჯული ხარ ყველა საკითხში, მე არ ვდავობ. მისს ჯენიც აგრეთვე. მინდოდა მხოლოდ მეთქვა...

– შენ სისუსტე გამოიჩინე, ჩემო კარგო, დაუშვებელი სისუსტე. გირჩევ, ამის შემდეგ უფრო ფრთხილად იყო და თვალი ადევნო შენს თავს.

დედას აუთრთოლდა ტუჩები, თითქოს უნდოდა ეთქვა:

– დიახ, ძვირფასო ედუარდ!

მაგრამ არაფერი არა უთქვამს-რა.

– მე ძალიან მწყინს, დავით, – განაგრძო მისტერ მორღსტონმა და მომაშტერა თავისი ბოროტი თვალები, – მე ძალიან მწყინს, როდესაც ვხედავ, რომ შენ გამოგანჩნდა გულჩათხრობული და კუშტი ხასიათი. განვითარება ხასიათისა ამგვარი მიმართულებით, რასაც უშუალოდ ვადევნებ თვალყურს, პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩემს შეხედულებას, და ჩემს მოვალეობად ვთვლი – ვიხმარო ყოველი, ჩემგან დამკიდებული ძალ-ღონე, რომ აღმოვფხვრა იგი სათავეშივე. ეცადე გამოსწორდე, დავით! გირჩევ, გამოიცვალო, სანამ დრო კიდევ არის.

– ბოდიშს ვიხდი, სერ, – წავილაპარაკე მე. სრულებით არ მინდოდა გულჩათხრობილი ვყოფილიყავი, როცა აქ მოვედი.

– გთხოვთ, ნუ სტყუით, სერ, ნუ თვალთმაქცობთ! – დამიყვირა მან ისეთი გაჯავრებული კილოთი, რომ დედამ უნებურად ასწია ხელი, თითქოს უნდოდა დაეფარე მისგან. – შენ მუდამ შენს ოთახში მიდიხარ, შენ ყველასაგან იმაღლები, როგორც უცხვირპირო, რომელსაც ეზარება ხალხის საზოგადოება. იცოდე, ერთხელ და სამუდამოდ, რომ შენი ადგილი აქ არის, და არა იქ, და რომ მე მოვითხოვ შენს მუდამ აქ ყოფნას. შემდეგ, მე მოვითხოვ შენგან სრულს მორჩილებას. ჩემი მოთხოვნილება უნდა შესრულებული იქნას. შენ მე მიცნობ, დავით.

მის მორღსტონმა გაიცინა ხრინწიანი ხმით.

– მე მსურს და მოვითხოვ, – განაგრძო მისტერ მორღსტონმა, – რომ შენ სათანადო პატივისცემით და ყურადღებით მექცეოდა მე, ჯენი მორღსტონს და დედაშენს. ნებას არ მოგცემთ, რომ შენ სულელური, ბავშვური ჟინიანობით უფრთხოდე ამ ოთახს, როგორც ჭირიანს. დაჯექი!

მან მიბრძანა, როგორც ძალღს, და მეც ძალღივით დავემორჩილე.

– მივაქცევ შენს ყურადღებას კიდევ ერთ გარემოებას, დავით. მე შევნიშნე შენში სიყვარული დაბალ და ვულგარულ საზოგადოებისადმი. შენ არაფერი არა გაქვს-რა და არც უნდა გქონდეს საერთო შინამოსამსახურებთან. იმ დედაკაცის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს შენს სურვილებს, მე არაფერს ვიტყვი, რადგან შენც, კლარა, – განაგრძობდა მისტერ მორღსტონი, და დედას მიმართა, – შენი ძველი, ფანტასტიკური ჩვეულების გამო, იჩენ მისდამი უცნაურ სიყვარულს, ყოველად დაუშვებელს შენთვის, როგორც დედისა და მეუღლისათვის. ეს სისუსტე, საუბედუროდ, მეტად ღრმად გაქვს გამჯდარი.

– წარმოდგენელი, ყოვლად დაუშვებელი დაბრმავება! შესძახა მის მორდსტონმა.

– მე ვიტყვი მხოლოდ, – განაგრძო მისტერ მორდსტონმა და ისევ მე მომმართა, – რომ არ მომწონს შენი სიყვარული დაბალ საზოგადოებისადმი და ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დაანებო მის პეგოტის. ახლა, დავით, შენ გაიგე ჩემი სურვილი! შენთვის მომინდვია მსჯელობა იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვება ურჩობას, თუ ჩემს სურვილსა და ნებას არ აასრულებ.

ძალიან კარგად ვიცოდი და ვხედავდი ამ შედეგებს, იქნებ უფრო უკეთესად, ვიდრე თვითონ ის, საბრალო დედაჩემის მაგალითზე, და მის ნებასა და ბრძანებას ზედმიწევნით ვასრულებდი. აღარ მივდიოდი ჩემს ოთახში და აღარ ჩავდიოდი საღამოობით სამზარეულოში, პეგოტისთან; მაგრამ სასტუმრო ოთახში ვიჯექი სევდიანი, მოწყენილი, ნაღვლიანი, მთელი დღის განმავლობაში, მოუთმენლად ველოდი ღამეს და ჩემს საწოლ ოთახში წასვლის ნებართვას.

ვერ ვხედავდი ხელის ან ფეხის განძრევას იმის შიშით, რომ არ შემეწუხებინა მის მორდსტონი, რომელიც მზად იყო ესარგებლა ყოველი შემთხვევით, რომ უწესობაში დავეჭირე. რა საშინელი წამება იყო ამგვარი ჯდომა ხმისამოუღებლად და კედლის საათის წიკწიკის სმენა!

ვიჯექი და ვფიქრობდი... ბევრ რამეზე ვფიქრობდი. უსაქმობისაგან ვთვლიდი მის მორდსტონის პაწაწა ფოლადის მძივებს და უსაქმურობისგანვე ვცდილობდი, გადამეჭრა საკითხი; მალე გათხოვდება თუ არა ეს ქალი? და ვისზე? ვინ იქნება ის უბედური ადამიანი? უსაქმურობისაგან მეასედ ვსინჯავდი სახეებს კედლის შპალერზე.

რამდენჯერ მიხეტილია ჩვენი უბნის ტალახიან მიხვეულ-მოხვეულებში და ყველგან წარმოდგენა თან მდევდა ჩვენი სევდიანი სასტუმრო ოთახი, ყოველთვის დანავსული მის და მისტერ მორდსტონების სახეებით, ამ მაჯლაჯუნებით, რომელთაგანაც ვერც ერთი წუთით ვერ გამეთავისუფებინა თავი!

როგორი სევდით ვუჯექი სასადილო მაგიდას, როცა ინსტიქტურად ვგრძნობდი, რომ მე აქ ზედმეტი, არავისთვის საჭირო არ ვიყავი! მეტი იყო ჩემი თეფში, მეტი იყო სკამი, რომელზედაც ვიჯექი, და ჩემი გულისთვის მეტი კერძი მოჰქონდათ!

რამდენი მოსაწყენი და დაუსრულებელი საღამო გამიტარებია რაიმე თავსამტვრევი არითმეტიკული ამოცანის ამოხსნაში!

და გამომყავდა ჩემი არითმეტიკული ამოცანები, მოწყენილი ვამთქნარებდი, ვთვლემდი, ხშირად შევხტებოდი ხოლმე ძმისა და ან დის მკაცრ დამახეებაზე. იშვიათად ვიღებდი მონაწილეობას საზოგადო საუბრებში და არასოდეს არ მიმიღია პასუხი ჩემს რაიმე კითხვაზე. ზანტად და ნელა მიიზღაზნებოდა დრო ცხრა საათამდე; მაგრამ აქ კი, საათის ზარის პირველ დარეკვასთან ერთად, ჩემს ყურში ისმოდა მის მორდსტონის ბოხი ხმა, რომელიც მეუბნებოდა:

– წადი, დაიძინე!

გაიარა მთელმა არდადეგებმა და ბოლოს დადგა დილა, როცა მის მორდსტონმა თქვა:

– აი, უკანასკნელი დღეც დადგა!

და ამ სიტყვებთან ერთად მომაწოდა უკანასკნელი ფინჯანი ჩაი.

ახლა სრულებით არ მენანებოდა წასვლა და დედაჩემის სახლის მოშორება. ჯერ კი რაღაც ბურანში ვიყავი, მაგრამ მალე მოვედი გონს და თვალწინ წარმომიდგა სტირფორდის მანუგეშებელი სახე, რომელსაც ნაწილობრვ ჩრდილავდა მისტერ კრიკლის მკაცრი პიროვნება. აი, ისევ მოვიდა ალაყავის კარებთან მისტერ ბარკისი, დედა ისევ დაიხარა ჩემს მოსახვევნად და საკოცნელად, მაგრამ... ისევ და ისევ გაისმა მის მორდსტონის გამაფრთხილებელი ხმა:

– კლარა!

მიუხედავად ამისა, მაინც ვაკოცე დედას, ჩემს პატარა ძმას და გული დამიმძიმდა. მაგრამ მე სევდას ის კი არ მგვრიდა, რომ მივდიოდი, არამედ ის, რომ ჩვენს შორის იყო უფსკრული, რომელიც დღითი დღე უფრო ღრმავდებოდა. დედამ განშორებისას მაკოცა, მაგრამ მე არც ის მახსოვს, თუმცა ძალიან ნაზად და მხურვალედ მეამბორა, არამედ მაგონდება ის, რაც მაშინ განიცადა.

თავი მეცხრე

ჩემი დაბადების სამახსოვრო დღე

გვერდს ვუხვევ ყველა იმას, რაც თავს გადამხდა პანსიონში მარტამდის, როდესაც ჩვეულებისამებრ, ჩემი დაბადების დღე უნდა მედღესასწაულა. წლის დამღევს, თუ თუ უფრო ადრეც, სტირფორდი სახლში უნდა დაბრუნებულყო. ამის გამო იგი უწინდელზე უფრო მხიარული, გონებასმახვილი და დამოუკიდებელი მეჩვენებოდა. მეტი არა მახსოვს-რა. ჩემი ცხოვრების დიდმა ამბავმა, რომლის გამო ეს ხანა სამუდამოდ ჩამრჩა გულში, შთანთქა ყველა სხვა, წვრილმანი თავგადასავალი სკოლის ცხოვრებისა, და მხოლოდ იგი, ერთი, ცოცხლად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

ვერც კი წარმიდგენია კარგად, რომ საღემის სასწავლებელში დაბრუნების დროიდან ჩემი დაბადების ღირსსახსოვარ დღემდე მართლაც მთელმა ორმა თვემ განვლო.

რა კარგად მახსოვს თვით დარი იმ დღეს! აქამდის ვგრძნობ ნისლის სურნელს, სქელ ზეწრად რომ ეფინებოდა ირგვლივ ყველაფერს; ვხედავ ჭადარა თრთვილით შეთეთრებულ შენობების სახურავებს და ხის ტოტებს. ბავშვები მოკრუნჩხულან სიცივისაგან, კბილებს აკაწკაწებენ, თითებს უბერავენ და ფეხებს ატყაპუნებენ ცივ იატაკზე. მეც ვკანკალებ და ვძაგძაგებ მათთან ერთად.

საუზმის შემდეგ ყველა ბავშვი სასწავლო დაბაზში შეიკრიბა; მისტერ შარპი შემოვიდა ჩვენთან და თქვა:

– დავით კოპერფილდს კითხულობენ. სასტუმროში წადით.

მე წერილსა და ამანათს მოველოდი პეგოტისგან და ამიტომ ამ ბრძანებამ ძალიან გამახარა. დავტოვე ჩემი ადგილი და გავიქეცი.

– ნუ გეჩქარებათ, დავით, – მითხრა მისტერ შარპმა, – ჯერ კიდევ მოესწრებით, ჩემო კარგო, ნუ გეჩქარებათ.

ამ თანაგრძნობის კილოს, ეს სიტყვები იყო წარმოთქმული, რასაკვირველია, უნდა გავეკვირვებინე, ერთი წუთით რომ შევჩერებულყავი და მისტერ შარპისთვის შემეხედნა; მაგრამ არავის და არაფერს არ ვაქცევდი ყურადღებას. მივირბინე სასტუმრო ოთახამდის და დავინახე საღემის სასწავლებლის პატრონი, თავისი ოჯახობით. მისტერ კრიკლს ხელში გახსნილი წერილი ეჭირა. ისინი საუზმობდნენ. არსად არ ჩანდა კალათა ტკბილეულებით, რომელიც ჩემთვის უნდა გამოეგზავნათ.

– დავით კოპერფილდ, – მითხრა მისის კრიკლმა, – უნდა მოგელაპარაკო, ჩემო კარგო, დაჯექი აქ და ყური დამიდევ.

მისტერ კრიკლმა, რომელსაც გაუბედავად შევხედე, თავი დაიქნია, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– შენ ჯერ ძალიან ყმაწვილი ხარ, ჩემო კარგო, – მითხრა მისის კრიკლმა, – და, რასაკვირველია, არ იცი, რომ ამქვეყნად ყველაფერი იცვლება. მაგრამ ჩვენ ყველას, დავით, გვიწერია ამის გაგება გამოცდილებით და ვერც ერთი ადამიანი ვერ ასცდება ამ საზოგადო ხვედრს.

მე დიდი ყურადღებით ვუსმენდი და ჩემი თვალები ახლა მისის კრიკლს მისჩერებოდნენ.

– აი რაშია საქმე, ჩემო კარგო, – განაგრძო მისის კრიკლმა ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ. – ყველანი კარგად იყვნენ თქვენსას, როცა შენ არდადეგებზე ბლონდერსტონში იყავი?

მე ავკანკალდი უნებურად, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ მითქვამს.

– ჩემთვის საჭიროა ამის ცოდნა, რადგან აი, დღეს დილით, ჩვენ მივიღეთ ბლონდერსტონიდან ძალიან უსიამოვნო ცნობა. იქიდან იწერებიან, რომ დედაშენი, დავით, ავად არის. ძალიან ავად არის.

ნისლმა დაფარა ჩემგან მისის კრიკლი და ერთი წუთით მეჩვენა, თითქოს იგი ირხეოდა ამ ნისლში. შემდეგ ცხარე ცრემლები სეტყვასავით წამომცვივდა თვალთაგან და ველარაფერს ვხედავდი.

– იწერებიან, რომ იგი ძალიან მძიმე ავადმყოფია, – განაგრძო მისის კრიკლმა.

ყველაფერს მივხვდი.

– გარდაიცვალა!

საშინელი კვილი აღმომხდა გულიდან და სრული მარტოობა ვიგრძენი.

მისის კრიკლი ძალიან აღერსიანად მომექცა. მთელი დღე გავატარე სასტუმრო ოტახში, და მხოლოდ რამდენიმე წუთით მტოვებდა მარტო. ვტიროდი ღონის მიხდამდე, და ხანგამოშვებით ძილი უნებურად მიხუჭავდა მისუსტებულ თვალებს; მაგრამ უეცრად, გაღვიძებისას, ისევ ცხარე და უნუგეშო ცრემლებით ვტიროდი. ბოლოს, როცა მოვიტირე, ფიქრებში წავედი და საშინელმა სევდამ ამივსო გული. მეგონა, რომ ჩემს ტანჯვას ბოლო არ ექნებოდა.

იმ საღამოს არავითარ ამბებზე აღარ ვგქონდა ბაასი. როგორც კი დორტუარში შევედი, ტრედელსმა დაჟინებით შემომთავაზა თავისი ბაღიში. არ ვიცი, რა უნდა გამოეხატა მას ამით, რადგან მე მქონდა საკუთარი ბაღიში, მაგრამ საბრალო ბიჭს ამის მეტი არა ებადა რა, რომ ჩემთვის შემოეთავაზებინა.

მეორე დღეს, საღამოს, საბოლოოდ გამოვეთხოვე საღამის სასწავლებელს. ჩვენ მთელი ღამე ვიარეთ და მხოლოდ დილის ათი საათისთვის მივედით იარმაუტში. ჩვენს ეტლს მოუახლოვდა დაბალი, ჩასუქებული მოხუცი კაცი მხიარული სახით. მას ფართოკიდებიანი ქუდი ეხურა, გამოწყობილი იყო შავ ფრაკში, აბრეშუმის ჩულქებში და შავ შარვალში, რომელიც შავი ლენტით ჰქონდა შეკრული მუხლებთან. იგი ღიმილით შეჩერდა ეტლის ფანჯარასთან და იკითხა:

– მასტერ კოპერფილდ?

– დიას, სერ.

– მაშ თუ ასეა, ხომ არ ინებებთ, ახალგაზრდა ჯენტლმენო, გამობრძანებას, – მითხრა მან და კარი გამოღო. – მე მექნება ბედნიერება გაგაცილოთ სახლამდე.

ხელი გაუწოდე მას, თუმცა ვერ წარმომედგინა, ვინ უნდა ყოფილიყო. ჩვენ შევუხვიეთ ვიწრო შესახვევში და შევჩერდით კარის წინ, რომლის თავზედაც ეკიდა განცხადება:

„ომერი, მკერავი, მეკუბოვე და თალხების გაღანტერით მოვაჭრე“.

შევედით პატარა სასტუმრო ოთახში დუქნის უკან. აქ სამი ახალგაზრდა ქალი გულმოდგინედ მუშაობდა შავ ნაჭრებზე, რომლებიც მაგიდაზე იყო გაშლილი. მთელი იატაკი მოფენილი იყო ამგვარივე ნაჭრებით და ნაკუწებით. ბუხარში ცეცხლი იყო გაჩაღებული და მთელს ოთახში იდგა რაღაც რაღაც განსაკუთრებული სუნი თბილი კრეპისა, – უცნაური სუნი, უცნობი ჩემთვის იმ დრომდე.

სამი ყმაწვილი ქალი, როგორცა ჩანდა, მთლად გართული იყო თავის მუშაობით. მათ მხოლოდ ერთი წუთით ასწიეს თავი ჩემს შესვლისას და ისევ ხელსაქმეს დაუბრუნდნენ.

– აბა, მიდი, – უთხრა ჩემმა თანამგზავრმა ერთს ამ სამ ქალთაგან. – როგორ მიდის თქვენი საქმე, ჩემო კარგო?

– დროზე მოვასწრებთ. ნუ სწუხართ, მამილო, – უპასუხა მინიმ თავაუღებლივ, მხიარული კილოთი.

– ხომ არ გნებავთ, რომ მაღაზიაში მობრძანდეთ, მასტერ კოპერფილდ?

ჩვენ შევედით მაღაზიაში. მისტერ ომერმა გაშალა ჩემს წინ შავი ნაჭერი, რომელიც, მისი სიტყვით, შეუდარებელი რამ იყო.

ამის შემდეგ სასტუმრო ოთახში დაგბრუნდით. მისტერ ომერმა გააღო გვერდით პატარა კარი და უბრძანა:

– მოართვიოთ ჩაი და ბუტერბროდები!

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა მოახლე დიდი სინით, რომელზედაც იდგა ჩემთვის მომზადებული საუზმე. ჩუმად ვიჯექი, შევცქეროდი მომუშავე ქალებს და ყურს ვუგდევდი რაღაც უცნაურ კაკუნს ეზოში.

– ხომ არ იცით, სერ, რა მდგომარეობაშია ჩემი პატარა ძმა?

– ვკითხე მე.

მისერ ომერმა თავი გააქნია.

– იგი გულთან ასვენია, – მიპასუხა მან.

– საბრალო ბავშვი! ნუთუ ისიც მოკვდა?

– ამაზე, მე მგონი, თქვენ არაფერი გაქვთ სადარდებელი, – მიპასუხა მისტერ ომერმა. – დიახ, სერ, ბავშვი მოკვდა.

ამ სიტყვება გამიცხოველა იარები. საუზმე მივატოვე და მივდე თავი პატარა მაგიდაზე, ოტახის კუთხეში რომ იდგა. მინიმ საჩქაროდ გაათავისუფლა იგი, იმის შიშით, რომ ცრემლებით არ გამეფუჭებინა თაღის ნაჭრები, რომელიც ზედ ელაგა. მინი კეთილი ქალი იყო. იგი ხელს ნაზად მისვამდა თავზე და ცდილობდა, დავემშვიდებინე; მაგრამ მეტად მხიარული იყო და, უეჭველია, უხაროდა, რომ საქმეს ამტავრებდა.

მალე შესვალ კარებს მოადგა რაღაც უცნაური ეტლი შავადა შეღებილი და შავი ცხენით შებმული. ამ ეტლში ჩაალაგეს ჯერ კალათები დამთავრებული საკერავით, შემდეგ ჩამსვეს მე, შემდეგ ჩაჯდა მისტერ ომერი თავისი ქალითა და სასიძოთი. ადგილი ყველასთვის საკმარისი იყო.

არ მახსოვს, რომ ოდესმე თავში მომსვლოდეს იმისთანა საშინელი და უცნაური ფიქრები, როგორც მაშინ, როცა ამ უცნაური ხალხის საზოგადოებაში მოვხვდი. მე, ჯერ კიდევ ყმაწვილი და გამოუცდელი, ვერასგზით ვერ შევგუებოდი, როგორი შეიძლებოდა ასეთი ხელობის ხალხი ასეთ მხიარულ გუნებაზე ყოფილიყო. ეს მგზავრობა მათთვის ნამდვილი გასართობი სეირნობა იყო. მე არ ვჯავრობდი მათზე, მარამ მეშინოდა ამ ხალხისა, თითქოს ისინი ადამიანთა სხვა ჯიშს ეკუთვნოდნენ. ყველანი მეტად მხიარულად იყვნენ.

როცა, ბოლოს, მივუახლოვდით ბლონდერსტონის სახლს, საჩქაროდ ჩამოვხტი ეტლიდან, რომ აღარ დავრჩენილიყავი ამ უცნაურ საზოგადოებაში, ამ სევდიანი ფანჯრების წინ, მძიმედ რომ იყვნენ დახურულნი, – გარედან – დარაბებით და შიგნიდან – ჩამოშვებული ფარდებით. აი, საბრალო დედაჩემის ფანჯარა და მის გვერდით – მეორე ფანჯარა, იმ ოთახისა, რომელიც ოდესღაც ჩემს საწოლ ოთახად ითვლებოდა.

პეგოტიმ ჩამიხუტა გულში უფრო ადრე, ვიდრე კიბეზე ავიდოდი. ჩემი საბრალო გადია მძიმე და გაუბედავი ნაბიჯით გამომყვა, თითქოს ეშინოდა მიცვალებულის შეწუხებისა. მითხრეს, რომ მას დიდი ხანია, რაც აერა სძინებია. მტელ რამეებს ათევდა და მიცვალებულს ჰყარაულობდა.

– და არც დავანებებ თავს, ჩემს დაუვიწყარს, სანამ ცივს სამარეს არ მივაბარებთ!

მისტერ მორდსტონმა არავითარი ყურადღება არ მომაქცია, როცა სასტუმრო ოთახში შევედი. იგი იჯდა დიდ სავარძელში ბუხართან და ჩუმად ტიროდა. მის



მორდსტონი ფუსფუსებდა საწერ მაგიდასთან, რომელზედაც აუარებელი წერილები და ქარაღლები ეყარა. მან გამომიწოდა თავისი ცივი თითები და მკითხა ფოლადისებური ჩურჩულით:

- აიღეს შენი ზომა?
- დიას, ქალბატონო.
- შენი პერანგები წამოიღე?
- დიას, მის მორდსტონ. ყველა ჩემი ნივთი მოვიტანე სახლში.

და მეტი არაფერი. არავითარი ნუგეში აღარ გამოიგია ამ ენერგიული ლედისაგან. მის მორდსტონი, უეჭველია, ამაყობდა თავისი სულის სიმტკიცით. როგორცა ჩანდა, არაფერი არ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას მის მორდსტონის რკინის ბუნებაზე. იმ დღის ბოლომდე, და მეორე დღესაც, ადრიანი დილიდან შუადღემდე, იგი საწერ მაგიდას უჯდა. მისი კალამი საშინლად ფხატნიდა ქაღალდს და აღუშფოთებელი ჩურჩულით მიმართავდა ყველას. არც ერთი კუნთი არ შერხევია სახეზე, არც ერთი ნაოჭი არ განძრეულა მის კაბაზე.

მისტერ მორდსტონი დროგამოშვებით ხელში წიგნს იღებდა, მაგრამ მისი ფურცლები არ გადაუშლია, იგი იჯდა მდუმარე და ერთსა და იმავე გვერდს მისჩერებოდა. მეორე იწყებდა წინდა უკან სუარულს ოთახში. იგი იშვიათად ელაპარაკებოდა თავის დას და არც ერთხელ არ მოუმართავს ჩემთვის. საათის რეკვა და მისტერ მორდსტონის ფეხის ხმა ერთადერთი ხმები იყო, რომელნიც არღვევდნენ სახლის მდუმარებას.

ამ დღეებში, დასაფლავების წინ, იშვითად ვხედავდი პეგოტის. იგი მუდამ იმ სევდიან ოთახში იჯდა, სადაც ესვენა ჩემი საბრალო დედა და პატარა ძმა.

ეს დასაფლავება რომ გუშინ მომხდარიყო, მაშინაც არ მეხსოვებოდა იმათზე უკეთესად, როგორც ახლა მახსოვს. ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი სადღესასწაულო დარბაზი და მესმის სუნი, რომელიც შიგა ტრიალებს. ბუხარში გაჩაღებულია ცეცხლი; ღვინო კიაფობს ბროლის გრაფინებში, სურნელოვანი ნამცხვარი დევს დიდ სინზე. მის მორდსტონი ვაჟკაცურად დადის ყველა მიმართულებით, თაღხებში გამოწყობილი. აი, ბოლოს მოვიდა ექიმი ჩილიპი, მედიცინისა და ღოსტაქრობის დოქტორი.

ისმის ზარის რეკვა. მისტერ ომერი და მისი ახლობლები აცხადებენ, რომ ყველაფერი მზად არის. დროა, ჩვენც მოვემზადოთ. პეგოტისაგან დიდი ხანია ვიცოდი, რომ ამ ოთახში ოდესღაც უკანასკნელად ემზადებოდნენ მამაჩემის დასაფლავებისათვის.

კარებთან მეჩირადდნენი და ტვირთის მზიდავნი მოგვევლიან. ისინი მიდიან ბაღის ბილიკით და ალაყაფის კარებით სასაფლაოზე გადიან.

ჩვენ საფლავის ნაპირას ვდგავართ. ეს დღე, როგორც მგონია, სრულებით არა ჰგავს სხვა დღეებს, და ჰოროზონტი, ჩემს თვალებში, რაღაც ნაცრისფერს იღებს. დგება დიადი დუმილი. ჩვენ თავდახრილები ვდგავართ. საზოგადო დუმილში უეცრად ჰაერში ისმის მკაფიოდ და გარკვევით პასტორის ხმა.

მე ვდგავარ სხვებისაგან მოშორებით და ვხედავ ჩემს კეთილსა და ერთგულ გადიას, რომელიც ახლა ერთადერთი მიყვარს მთელ დედამიწის ზურგზე. იგი ხმამაღლა ქვითინებს და ღოცულობს.

ყველაფერი გათავდა. სამარე აივსო მიწით და გასწორდა. ჩვენ ვბრუნდებით. ჩვენს წინ ისევ ჩვენი სახლია, მაინც მუდამ ძვირფასი ჩემი გულისათვის. მის დანახვაზე სევდიანი ფიქრები ირევა ჩემ თავში, და მე აუტანელ დარდსა ვგრძნობ. მისტერ ჩილიპი ხელს მკიდებს, რამდენიმე სიტყვას მეუბნება და წყლის ჭიქა მოაქვს ჩემს ტუჩებთან; მაგრამ არა ვსვამ; გული მეთანადრება ამ გულცვ ხალხში.

- ნება მიბოძეთ, ჩემს ოთახში წავიდე, - ვეუბნები მისტერ ჩილიპს.

მე ვიცოდი, რომ პეგოტი მოვიდოდა ჩემთან. იგი ჩამოჯდა ჩემს გვერდით, ჩემს პატარა ლოგინზე, მაკოცა ხელზე და შემდეგ, თან უაღერსებდა ჩემს ხელს და

თან დაწვრილებით მიამბობდა ყველაფერს, რაც დაემართა საბრალო დედას ბოლო დროს.

– დიდი ხანია იგი უქეიფოდ იყო, – დაიწყო პეგოტიმ. – როცა ბავშვი დაიბადა, ჯერ მეგონა, რომ ეს უკეთესი იქნებოდა მისთვის, მაგრამ შევცდი მისი ჯანმრთელობა მთლად უკან-უკან წავიდა, იგი დღითი დღე დნებოდა. უკანასკნელ დროს შევნიშნე, რომ მეტად მფრთხალი და გაუბედავი გახდა. ყოველი მკაცრი სიტყვა მისთვის სიკვდილი იყო, მაგრამ ჩემთან მუდამ ერთნაირი დარჩა. დიახ, იგი არასოდეს არ გამოცვლილა თავისი სულელი პეგოტისადმი, საბრალო საბრალო, საბრალო ტანჯული!

აქ პეგოტი შეჩერდა და ხელი გადამისვა ხელზე.

– იგი ცდილობდა გამხნეებებს და კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში დამშვიდებით იყო. ეს ხალხი არწმუნებდა მას, რომ იგი თავქარიანი და უდარდელია. მასაც სჯეროდა, საბრალოს ეშინოდა მათთან გულახდილობისა და მხოლოდ ერთხელ, თავისი გარდაცვალების ერთი კვირის წინ, გაბედა ეთქვა მისტერ მორდესტონისათვის:

– ჩემო მეგობარო, მგონია, რომ ვკვდები.

– ამ დროიდან მე აღარ მოვშორებულვარ, – განაგრძო პეგოტიმ, – იგი ხშირად ელაპარაკებოდა ამ ხალხსაც, რადგან მაინც უყვარდა ისინი, ორივენი. ასეთი ხასიათი ჰქონდა. მას უყვარდა ყველა, ვინც კი გარს ეხვია. მაგრამ როგორც კი ისინი მოშორდებოდნენ მის ლოგინს, ყოველთვის მე მომმართავდა; მელაპარაკებოდა ყველაფერს, რაც კი აწუხებდა, დადამშვიდებული იძინებდა ჩემს გვერდით. საბრალო! თითქოს სულელი პეგოტი რომ იქ არა ყოფილიყო, დაძინებაც კი არ შეეძლო! უკანასკნელ დღეს, ბინდისას, მაკოცა და მითხრა: პეგოტი, თუ ჩემი ბავშვი მოკვდეს, სთხოვეთ, რომ ჩემს გულთან დაასვენონ და ერთად დაგემარხონ. (მისის სურვილი ასრულებულია). დაე, ჩემმა საბრალო ბიჭმა გაგვაცილოს სამარემდე, და თქვენ უთხარით, პეგოტი, რომ უბედური დედამისი უკანასკნელი სულის აღმოხდის წინ ღოცავდა მას, ერთხელ კი არა, ათასჯერ!

გათენდა. მზე ამოვიდა. მან მითხრა კიდევ, როგორი კეთილი და ყურადღებიანი იყო მისტერ კოპერფილდი და როგორ აღერსიანად ეპყრობოდა მას.

– პეგოტი, ჩემო კარგო! – მითხრა მან მერე. – მომიახლოვდი, უფრო ახლო, უფრო ახლო... მომხვიე შენი კეთილი ხელი... მიმაბრუნე შენსკენ...

ავასრულე მისი სურვილი და, აი, სწორედ ამ დროს, ჩემო თვალისჩინო, დევი, ასრულდა ჩემი სიტყვები, რომელიც გამოთხოვებისას გითხარი: მან სიხარულით მიაყრდნო თავისი საბრალო თავი სულელი, ბებერი პეგოტის მხარს. იგი გარდაიცვალა, როგორც ბავშვი, თავის აკვანში ჩაძინებული.

ასე დაამთავრა პეგოტიმ თავისი მოთხრობა. ამ წუთიდან სრულებით დამავიწყდა, რა იყო დედა ჩემთვის ბოლო დროს, ჩემს წარმოდგენაში იგი დარჩა ადრინდელი სახით, ყმაწვილი და მხიარული, და მე მიყვარდა მოგონება, როგორ მეთამაშებოდა დედა, ან როგორ ცეკვავდა ჩემთან ერთად სასტუმროში, ბინდისას. პეგოტის მოთხრობამ საბოლოოდ დაამკვიდრა ჩემს გულში მისი პირვანდელი სახე და სრულებით დამავიწყდა მისი მეორედ გათხოვების ხანა. შეიძლება უცნაური იყო ეს, მაგრამ ასეა. სიკვდილმა დაუბრუნდა იგი მშვენიერი სიყმაწვილის ხანას და წაშალა ყველა შემდეგი ამბავი.

დედა, რომელიც საფლავში ასვენია, – ეს ჩემი სიყრმის დედაა; ბავშვი, მას რომ გულთან უსვენია, – ეს მე თვითონა ვარ, ისეთი, როგორიც დღემდე ვიყავი, ეს ჩემი სამუდამოდ წახული სიყმაწვილის ხანაა.

**თავითავი მეთე**

## ობლობა

დასაფლავების მეორე დღესვე, დილით, მის მორდსტონმა მოიხმო პეგოტი და უთხრა:

– შეგიძლიათ, თქვენთვის სხვა ადგილი მონახოთ. გაძლევთ ვადას – ერთ თვეს, დღეიდან.

რამდენიმე დღემ გაიარა. ჩემი მომავლის შესახებ არავის კრინტი არ დაუძრავს. და-ძმა, ახლა განსაკუთრებით გართულნი თავისი პირადი საქმეებით, ალბათ დიდი სიამოვნებით მომიშირებდნენ თავიდან. ერთხელ მე მოვიკრიბე ძაღლონე და ვკითხე მის მორდსტონს – როდის მიპირებდნენ პანსიონში გაგზავნას. მან ძალიან მკვახედ მიპასუხა, რომ, ალბათ, აღარ მოგიხდება სალემის სასწავლებელში დაბრუნებაო.

მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა ჩემს მდგომარეობაში, სანუგეშო ჩემთვის. საქმე იმაშია, რომ სრულებით მიმაგდეს ბედის ანაბარად. წინანდელს შეზღუდვასა და ძაღდატანებაზე ახლა ლაპარაკიც აღარ იყო. ნება მქონდა მეველო, სადაც კი მინდოდა, ოღონდაც მისტერ მორდსტონის ახლოს არა ვყოფილიყავი, ახლა აღარავის მოისლიოდა თავში ჩემი დატუქსვა ვულგარული საზოგადოებისადმი მიდრეკილებისა და პეგოტის სიყვარულის გამო.

დედის სიკვდილით თავზარდაცემულს, მე თითქმის სრულებით არ შემეძლო ფიქრი ჩემს ბედ-იღბალზე. მხოლოდ ხანდახან მომდიოდა თავში აზრი, რომ შესაძლებელია დამტოვონ ყოვლად უყურადღებოდ და რომ ამ შემთხვევაში, განათლებას მოკლებულს, მე ბედოვლათი ცხოვრება მომეღის. ამ წუთებში მებადებოდა სურვილი, გავქცეულიყავი და ამით გადავრჩენილიყავ ამ უბედურებას; მაშინ უკვე ვგრძნობდი თავს ზღაპრულ მოხეტიალე გმირად. მაგრამ ამგვარი ფიქრები ბევრი ხნით არ აბნელებდნენ ჩემს სულს.

ერთხელ ვიდექი სამზარეულოში აგუზგუზებულ ბუხართან.

– რას აპირებ ახლა, პეგოტი? – ვკითხე ჩემს გადიას.

– მე მგონია, დევი, რომ იარმაუთში მომიხდება წასვლა და იქ, უქვეყლია, რაიმე საქმეს ვიშოვი ჩემთვის.

– ხომ შემეძლება იქ შენი ნახვა, პეგოტი? შენ ხომ სამუდამოდ არ დამანებებ თავს?

– ო, არა! – ცხარედ წარმოთქვა პეგოტიმ. – სანამ შენ აქ ხარ, ჩემო თვალისჩინო, დევი, ჩვენ ყოველ კვირას ვნახავთ ერთმანეთს.

თითქოს დიდი ღოღი მომშორდა გულიდან, როცა ეს სანუგეშო ამბავი გავიგე.

– იცი, რა გითხრა, ჩემო კარგო? – განაგრძო მან. – მინდა ერთი-ორი კვირა ჩემს ძმასთან დავრჩე, სანამ ადგილს ვიშოვიდე. ხომ არ გინდა წამოხვიდე ჩემთან ერთად? აქ, მგონია, არავის არ სჭირდება შენი ყოფნა, და დარწმუნებული ვარ, რომ მისტერ მორდსტონი ნებას მოგვცემს.

ვერაფერს მოიფიქრებდა ადამიანი ჩემთვის ამაზე სასიამოვნოს. ის აზრი, რომ ძაღლე ისევ ვნახავ იარმაუთის ქოხის კეთილ და სტუმართმოყვარე მასპინძლებს, დავტკბები ზღვისა და ხომალდების ცქერით, რომელნიც ბურუსიდან გამოდიან, ხელიხელჩაკიდებული ვისეირნებ პატარა ემისთან ერთად, – სამკურნალო ნუგეშით ავსებდა ჩემს სევდიან გულს.

პეგოტიმ საოცარი გაბედულებით მიმართა მის მორდსტონს თხოვნით ჩემი გაშვების შესახებ.

– მერე რას გააკეთებს იქა? – იკითხა მის მორდსტონმა. – უსაქმურობა ხომ დედაა ყოველგვარი მანკიერებისა. თუმცა იგი აქაც უსაქმურად დადის; ასეთია მაგისი ბუნება. მგონია, უკეთესი იქნება, თუ თქვენს თხოვნას დავთანხმდები.

თვის დამღვეს მე და პეგოტიმ წასასწვლელად მზადება დავიწყეთ.

პეგოტი ძალიან ნაღვლიანი იყო: იგი სამუდამოდ ეთხოვებოდა სახლს, სადაც მრავალი წელი გაეტარებინა. დილაადრიან სასაფაოზე იყო და ახლა, როცა ეტლში ჩაჯდა, დიდხანს ეჭირა ცხვირსახოცი ნამტირალეკ თვალებთან.

მთელი ამ სევდიანი სცენის განმავლობაში მისტერ ბარკისს არაფრით არ შეუმჩნევია თავისი არსებობა. იგი იჯდა თავის ჩვეულებრივ ადგილზე, უძრავად, როგორც კერპი. მაგრამ, როცა პეგოტი მიიხედ-მოიხედა და რაღაცა კითხვით მომმართა, ჩვენმა მეეტლემ თავი დაიქნია და გაიღიმა.

– მშვენიერი დარია დღეს, მისტერ ბარკის, – შევნიშნე მე, ზრდილობისათვის.

– არა უშავს რა, – მიპასუხა მან.

– აი, ახლა პეგოტი სრულებით დამშვიდდა, მისტერ ბარკის, – დავუმატე მე, მისი უადრესი სიამოვნებისათვის.

– არა, მართლა? სრულებით დამშვიდდით?

პეგოტიმ გაიღიმა და დაუდასტურა.

– არა, თქვენ ნამდვილად მითხარით, კარგად ხართ ახლა? – განაგრძობდა ბარკისი, თან მისკენ იწევდა და მუჯღუგუნებს ჰკრავდა.

მისტერ ბარკისმა იმდენი ყურადღება გამოიჩინა, რომ მიგვიყვანა გზის პირას მდგარ სასტუმრომდე, ერთადერთი მიზნით – გაგვმასპინძლებოდა შემწვარი ბატკნის ხორციით და ლუდით. როცა ჩვენ ბოლოს იარმაუთის ქვაფენილზე გამოვედით, ეტლმა ისე დაგვანჯღრია ყველანი, რომ დროც აღარ იყო რაიმე გრძნობებზე სალაპარაკოდ.

სასტუმროს კარებთან, სადაც ჩვენ უწინაც ვდგოდით, მისტერ პეგიტო და ქამი გველოდნენ. მათ დაიტაცეს ჩვენი ბოლჩები და ყუთები და უკვე ვაპირებდით გამგზავრებას სტუმართმოყვარე ქოხისაკენ, როცა უეცრად ბარკისმა საიდუმლოდ გამიხმო ალაყაფის კარისაკენ.

– აი რა, მისტერ, – წამჩურჩულა მან, – ყველაფერი მშვენიერად მიდიოდა.

შეგხედე მას და სრული თანაგრძნობით წარმოვთქვი:

– ნუთუ?

– თქვენ ხომ იცით, ვინ მისცა მას წინადადება? – შენიშნა ჩემმა მეგობარმა.

– გახსოვდეთ: ბარკისმა, მხოლოდ ბარკისმა!

მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

– ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, – გაიმეორა მან და ხელი ჩამომართვა, – თქვენ მშვენივრად მოიქეცით, ყველაფერი სიკეთისკენ მიდის. სამუდამოდ თქვენი ერთგული მეგობარი ვარ.

თუმცა ბარკისი ძალიან ცდილობდა, რაც შეიძლება მარტივად და სადად გამოეთქვა თავისი აზრი, მაგრამ მაინც ისეთი უცნაური იღუმალებითა და მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა, რომ შემეძლო მთელი საათი ვმდგარიყავი მის წინ და იმდენივე გამეგო, რამდენიც გაჩერებული საათის წინ დგომით. მაგრამ ამ დროს პეგიტიმ დამიძახა. როცა მე და პეგოტი ერთად მივდიოდით, მან უეცრად მკითხა, რაზე ლაპარაკობდით შენ და ბარკისო.

– იგი მარწმუნებდა, რომ ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, – ვუპასუხე მე.

– რა უსირცხვილობაა, – თქვა პეგოტიმ. – დევი, ჩემო კარგო, რას იტყვი, რომ გათხოვება დაგაპირო?– მე მგონია რომ ძველებურად გეყვარები, – ვუპასუხე მე, ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

წინ მიმავალ თავისი ნათესავებისა და ქუჩაში მოსიარულეთა გასაოცრად, ჩემი კეთილი გადია უეცრად შეჩერდა, არაჩვეულებრივი გულმხურვალეობით მიმიკრა გულზე და თავის უზომო სიყვარულში მარწმუნებდა.

– მაშ მითხარი, შენ რას ფიქრობ ამაზე, ჩემო თვალისჩინო? – მკითხა ისევ.

– შენ რომ ბარკისზე გათხოვდე?

– დიას!

– მე მგონია, ეს ძალიან კარგი იქნება. მაშინ საკუთარი ცხენი და ეტლი გეყოლება და ყოველთვის შეგეძლება ჩემთან მოსვლა ისე, რომ ერთი პენსიც არ დახარჯო გზაზე.

– რა ჭკვიანი რამ ხარ! – შეჰკვივლა პეგოტიმ.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ორივენი ჩუმად მივდიოდით.

– თუმცა, – თქვა პეგოტიმ მხიარულად, – სრულებითაც არ დავაპირებდი გათხოვებას, ეს რომ ჩემს დევის არ ესიამოვნებოდეს.

– შემომხედე, პეგოტი! – გუპასუხე მე. – განა შენ არ ხედავ, რომ სულითა და გულით მიხარია ეს ქორწილი?

– მჯერა, მჯერა, გენაცვალე! დღე და ღამე ვფიქრობდი მაგაზე, ყველაფერი მოვიფიქრე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ, მგონია, კარგს ვიზამ, თუ მისტერ ბარკისის წინადადებას დავთანხმდები. მანამ კი, დევი, ნურავის ნუ ეტყვი ნურაფერს, ყველაფერი ჩინებულად წავა! – დაუმატა მან და მხიარულად გადაიკისკისა.

მისტერ პეგოტის სახლი ისევ ისეთი იყო, როგორიც უწინ, მხოლოდ ერთი რამ აკლდა მას – პატარა ემი. მე ვკითხე მისი ამბავი მისტერ პეგოტის.

– ის ახლა სკოლაშია, სერ, – მიპასუხა მან, შეხედა საათს და დაუმატა, რომ ნახევარი საათის შემდეგ სახლში იქნება.

ვიცოდი გზა, რომლითაც ემი სახლში უნდა დაბრუნებულიყო, და როგორღაც უნებურად გავჩნდი იმ ბილიკზე, სადაც იმედი მქონდა, შევხვდებოდი ჩემს პატარა მეგობარს.

აგერ, ვიღაც გამოჩნდა შორს; მალე მასში პატარა ემი შევიცანი; ძლივს მელირსა მისი ლაჟვარდი თვალებისა და ვარდისფერი სახის ნახვა! რა მოხდენილი რამ იყო და რა მხიარული ღიმილი უთრთოდა ალისფერ ტუჩებზე! მაგრამ ამ წუთში უცნაურმა სურვილმა ამიტანა: ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ვერ ვიცანი იგი, და გვერდით ჩამეველო ისე, რომ არავითარი ყურადღება არ მიმექცია მისთვის.

ემის სრულებით არ გაჰკვირვებია ჩემი საქციელი. მან, რასაკვირველია, მიცნო, მაგრამ სრულებით დამშვიდებით ჩამიარა გვერდით; მერე გაიცინა და გაქცა. იძულებული ვიყავი, გამოვდევნებოდი, მაგრამ ემი ისე სწრაფად მირბოდა, რომ თითქმის მხოლოდ სახლთან დავეწიე.

– აჰ! ეს შენა ხარ? – მითხრა მან.

– მაშ შენ მიცან, ემი?

– თითქოს შენ კი არ მიცანი! – მიპასუხა ცელქმა.

მას როგორც ჩანდა, ესიამოვნებოდა ჩემი წვალება და გაღიზიანება. ამგვარმა ცვლილებამ იმის მოპყრობაში ძალიან გამაკვირვა.

პატარა ემი საერთოდ ნებიერი იყო; ყველაზე მეტად კი მას თვით მისტერ პეგოტი ანებიერებდა, რომელსაც არ შეეძლო მისთვის უარი ეთქვა, როცა იგი გაეხახუნებოდა თავისი ნაზი ლოყით მის ბანჯგვილიან ბაკენბარდებს. ემი კეთილი და აღურისანი იყო და თავის მორცხვობასთან და პატარა ცბიერებასთან ერთად ისეთი საყვარელი რამ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ყველა არ მოეხიბლა.

როცა ჩაის შემდეგ ცეცხლს მივუსხედით და მისტერ პეგოტიმ თავის ჩიბუხს მოუკიდა, მან მოიგონა ჩემი მდგომარეობა. პატარა ემის ცრემლები მოადგა თვალებზე და ისეთი გრძნობით შემომხედა, რომ არ ვიციდი, რითი გადამეხადა მადლობა.

– აი, ესეც ისეთივე ობოლია, როგორც თქვენ, სერ, – შენიშნა მისტერ პეგოტიმ და თან ხელს უსვამდა მის მშვენიერ კულულებს. – აი, კიდევ – განაგრძო მან და ხელი ჰკრა ქამს, – აი კიდევ ობოლი, თუმცა სრულებით არა ჰგავს ბოგანოს.

– ვისაც ისეთი მფარველი ჰყავს, როგორიც თქვენ ხართ, მისტერ პეგოტი, – გუპასუხე მე, – იგი ვერ იგრძნობს თავის ობლობას.

– აი, ეს მშვენივრად იყო ნათქვამი, მასტერ დევი, მშვენივრად! – შეჰყვირა ქამმა აღტაცებით.

– თქვენი მეგობარი როგორღა არის, სერ? – მკითხა უეცრად მისტერ პეგოტიმ.

– სტირფორდი? როცა მოვდიოდი, იგი სრულებით ჯანსაღად იყო.

– აი, მეგობარი მესმის! – შესძახა მისტერ პეგოტიმ და თამბაქოს კვამიდან შემომხედა. – მე ისე მგონია, სერ, რომ მეცნიერებაში მისთვის არ არსებობს არც მეხი და არც ქვები, მიდის იალქნებაშეებული, არა, ჩემო ბატონო?

– სრული სიმართლეა! – ვუპასუხე მე აღტაცებით. – მან ყველაფერი იცის! პირდაპირ საოცარი ჭკუის პატრონია! წიგნის ერთი შეხედვა საკმარისია მისთვის, რომ გაკვეთილი უკვე იცოდეს!

მისტერ პეგოტიმ დამიქნია თავი ისეთი სახით, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ო, ამაში მე სრულებით დარწმუნებული ვიყავი წინათვე!“

– მერე როგორი მჭერმეტყველია! – შევძახე მე. – რაშია ც გნებავთ, დაარწმუნებს ყველას. როგორა მღერის, – პირდაპირ თავს დაგავიწყებთ! ამასთან როგორი კეთილშობილი, დიდსულოვანი და კარგი ამხანაგია, – განვაგრძობდი გაატაცებით. – დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს არ მექნება საშუალება მადლობა გადავუხადო ამ ყმაწვილს იმ დიდსულოვანი მფარველობისათვის, რომელიც მან სკოლაში გამიწია.

მზად ვიყავი, დაუსრულებლად მელაპარაკნა სტირფორდზე, მაგრამ ამ დროს უნებურად პატარა ემის შევხედე. იგი იჯდა მაგიდასთან და მთელი ყურადღებით, სულგანაბული მისმენდა. უნებურად გაეჩერდი და თვალი დამრჩა მასზე. იქ მყოფთ შენიშნეს ესა და, როცა მათაც შეხედეს ემის, ყველას ხმამაღალი სიცილი წასკდა.

– ემისაც, როგორც მე, ენატრება ამ ვაჟკაცის ნახვა, – შენიშნა პეგოტიმ.

ემი შეერთა, როცა დაინახა, რომ საერთო ყურადღება მიიპყრო. ჩაღუნა თავი და სახე უფრო მეტად აენტო. უეცრად იგი გავარდა ოთახიდან და აღარ დაბრუნებულა იმ დრომდე, როცა ყველანი ჩვენ-ჩვენ ოთახებში უნდა წავსულიყავით დასაძინებლად.

მე ისევ ჩემს ძველ ალაგას, პატარა საწოლ ოთახში მოვეწყვე, ქარი ჰქროდა და ზუზუნებდა ზღვის პირას, როგორც ჩემი პირველი ყოფნის დროს. ამ ჯერზე მეჩვენა, თითქოს ქარის საზარელი ღმუილი მიცვალებულების გლოვა იყო.

დღე დღეს მისდევდა და ისეთივე სიამოვნებით ვატარებდი დროს, როგორც პირველად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა იშვიათად მიხდებოდა სეირნობა ზღვის პირას, პატარა ემისთან ერთად. მხიარული და ცელქი გოგონა ახლა გაკვეთილებს უჯდა ხოლმე. ან არადა ხელსაქმობდა. ამას გარდა, იგი ყოველდღე სკოლაში დაიარებოდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მე როგორღაც ვგრძნობდი რომ ჩვენ მაინც აღარ მოგვხდებოდა ძველებულად სეირნობა. მთელ თავის ბავშვურ მხიარულებასა და მიზეზიანობასთან ერთად, ემი მაინც პატარა ქალის მაგვარს წარმოადგენდა, – სულ რაღაც ერთიოდე წლის მანძილზე მან შორს გამისწრო განვითარებაში. მე ძველებურად ვუყვარდი ემის, მაგრამ ახლა იგი სიამოვნებას პოულობდა ჩემს მასხრად აგდებაში. ხშირად, მაგალითად, იგი სხვა გზით ბრუნდებოდა სახლში, და შემდეგ დასცინოდა მასთან შეხვედრის ჩემს უნაყოფო ცდას.

ჩვენი მისვლის პირველსავე საღამოს გვესტურა მისტერ ბარკისი, საოცრად დარცხვენილი და უაზრო სახით. მან მოიტანა თან ცხვირსახოცში შეკრული ფორთოხლები. არავისთვის არაფერი უთქვამს ამ ხილის დანიშნულებაზე და ამიტომ, მისი წასვლის შემდეგ, ჩვენ გავიფიქრეთ, რომ მას შემთხვევით დარჩა ეს შეკრული. ქამი გამოუდგა უკან, მაგრამ მალე დაბრუნდა ცნობით, რომ ფორთოხლები პეგოტის ეკუთვნოდა. ამის შემდეგ მისტერ ბარკისი მოდიოდა აუცილებლად ყოველ საღამოს, მუდამ ერთსა და იმავე დროს, და თან ყოველთვის

მოჰქონდა რაიმე შეკრული, რომელსაც კარს უკან ტოვებდა ხმაამოუღებლად. ეს საჩუქრები, – დამამტკიცებელნი იმ ნაზი გრძობისა, რომელიც მისტერ ბარკისის მგრძობიარე გულში აინთო, შეიცავდნენ მრავალნაირს და, შეიძლება ითქვას, ერთგვარ ექსცენტრიულ შინაარსს. აქ იყო, როგორც მახსოვს, სხვათა შორის, ორი წყვილი გოჭის ფეხი, უზარმაზარი ბალიში ქინძისთავეებისათვის, ორი თუ სამი ათეული ვაშლი, გიშრის საყურეები, ესპანური ხახვის რამდენიმე თავი, პატარა ყუთი ღომინოს სათამაშოთი, იადონი გალიაში და ტახის ლორი.

საზოგადოდ, რამდენადაც მაგონდება, მისტერ ბარკისის არშიეობა მეტად თავისებური იყო. თავისი სტუმრობის დროს იგი იჯდა ხოლმე თავის ეტლის კოფოზე, და დაჟინებით შეჰყურებდა პეგოტის, რომელიც მის ორდაპირ იჯდა. ერთხელ საღამოს, შეგველია, გრძობით გატაცებული, იგი დასწვდა სანთლის ნამწვს, რომლითაც მისი მიჯნური ძაფსა სანთლავდა, ჩაიღო ჯიბეში და თან წაიღო. ამის შემდეგ იგი უდიდესი სიამოვნებით ამოიღებდა ხოლმე ჯიბიდან, მოთხოვნილებსამებრ, ამ თავის საუნჯეს და შემდეგ ისევ ინახავდა.

ჩემი შვებულების ვადა უკვე თავდებოდა, როცა შეცრად გავიგეთ, რომ მისტერ ბარკისი და პეგოტი გასეირნებას აპირებდნენ და რომ ამ სამხიარულო სეირნობაში მე და პატარა ემისაც უნდა მიგველო მონაწილეობა.

პეგოტი, ჩვეულებისამებრ, თავის სადა, შავ კაბაში იყო გამოწყობილი; სამაგიეროდ, მისტერ ბარკისი მორთული იყო ახალი, ცისფერი ფრაკით, რომელიც ისეთი გრძელი და განიერი იყო, რომ მის პატრონს სრულებით აღარ ესაჭიროებოდა ხელთათმანების ჩაცმა ძალიან ცივს ამინდშიც კი. ფრაკის მაღალი საყელო ამ პატიოსან ჯენტლმენს მაღლა უწევდა თმებს კინკრხომდე. მისი პრიალა ღილები უზარმაზარი იყო. გამოურკვეველი ფერის მაუდის შარვალი და ყვითელი ჟილეტი ამთავრებდნენ ამ მშვენიერ მორთულობას.

ჩვენ ერთ ეკლესიასთან გავჩერდით. მისტერ ბარკისი და პეგოტი ერთად შევიდნენ შიგ; ცხენი ბოძს მიაბეს, მე და პატარა ემი კი ეტლში დაგვტოვეს. მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და ჩემს პატარა მეგობარს მოვეხვიე. ვუთხარი ემის, რომ ახლა ცოტახანილა მომიხდებოდა იარმაუთში ყოფნა და ვთხოვე, რაც შეიძლება მეტი აღერსიანობით მომპყრობოდა და არ გაეფუჭებინა ჩენი იმ დღის ნეტარება თავისი მიზეზიანობით. პატარა ემის დამპირდა ჩემი თხოვნის ასრულებას და კოცნის ნებაც კი მომცა.

მისტერ ბარკისი და პეგოტი კარგა ხანს დარჩნენ ეკლესიაში; ბოლოს ისინი დაბრუნდნენ და ჩვენ ისევ გზას გაგუდექით. გზაზე პატიოსანი ჯენტლმენი შეცრად მომიბრუნდა და მკითხა:

– გახსოვს, სერ, ვისი სახელი დავწერე მე ეტლის კოფოზე?

ამ სიტყვებთან ერთად მან ჩამიკრა თვალი ისეთი გამომეტყველებით, რასაც სრულებით არ მოველოდი მისგან.

– კლარა პეგოტისა, – ვუპასუხე მე.

– როგორა გგონიათ, ვის სახელს დავწერდი მე ახლა?

– მე მგონია, რომ თქვენ ახლაც კლარა პეგოტის სახელს დაწერდით, – შევნიშნე მე.

– კლარა პეგოტი ბარკისის! – მიპასუხა მან და ისე საშინლად გადაიხარხარა, რომ ეტლი მთლად შეინძრა.

მოკლედ რომ მოვჭრა, მათ ჯვარი დაიწერეს და სწორედ ამ მიზნით შეიარეს ეკლესიაში. პეგოტის უნდოდა, ჯვრისწერა რაც შეიძლება ჩუმად მომხდარიყო; პასტორი დასთანხმდა და ამიტომ არავინ არ დასწრებია ამ ამბავს.

ჩვენ მივედით პატარა სასტუმროში, სოფლის გზაზე. იქ უკვე გველოდნენ და ჩვენს მისვლამდე მშვენიერი სადილი მოემზადებინათ.

შემდგომში ხშირად ვიგონებდი, რა ორიგინალური, სასაცილო და გულუბრყვილო იყო ეს ქორწილი. ბინისას ისევ ეტლში ჩავსხედით და წყნარად წამოვედით სახლში. გზაზე შევეყურებდით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და

ვბაასობდით ბუნების საოცრებაზე. მე ვუხსნიდი ჩემს თანამგზავრებს ცის მნათობთა მოძრაობას და დიდად გავაკვირვე მისტერ ბარკისი ჩემი ცოდნით. იგი მისმენდა ხმაამოუღებლად, დიდი ყურადღებით და მზად იყო, დაეჯერებინა ყველაფერი, რაც კი მომივიდა თავში ამ შემთხვევაში.

კარგა გვიანი იყო, როცა ნავის სახლში დავბრუნდით. მისტერ და მისის ბარკისები გამოგვეთხოვნენ და მაშინვე წავიდნენ თავიანთ ბინაზე. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ დავკარგე ჩემი კეთილი პეგოტი! სხვა სახლში ამ დამეს დავწვებოდი განადგურებული გულით, მაგრამ აქ ის ფიქრი მამშვიდებდა, რომ პატარა ემისთან ერთ ჭერქვეშ ვიყავი.

მისტერ პეგოტიმ და ქამმა ჩემზე უკეთესად იცოდნენ, რა ხდებოდა ჩემს გულში და ცდილობდნენ, გაექარწყლებინათ ჩემი დარდი თავიანთი გულდია მასპინძლობით. როცა ვახშამი მოიტანეს, პატარა ემი დაჯდა ჩემს გვერდით სკივრზე – პირველად ჩემი ამ სახლში მეორე სტუმრობის განმავლობაში. ეს ბრწყინვალე დაბოლოება იყო მშვენიერი დღისა!

მეორე დილას პეგოტი გვესტუმრა: იგი მისჯდომოდა ჩემს ფანჯარას, და გაღვიძებისას გავიფიქრე – სიზმარში ხომ არ მომეღანდა გუშინდელი ქორწილი-მეთქი. ჩაის შემდეგ ჩემმა კეთილმა გადიამ თან წამიყვანა, და ჩვენ მალე მივედით მის სახლთან. რა საყვარელი, სუფთა, პატარა ბინა იყო მისი სახლი!

მთელი დღით გამოგვეთხოვე ნავის სახლის მცხოვრებთ, როცა სტუმრად წავედი ჩემს ყოფილ გადიასთან და ღამის თვითონაც კი პეგოტის სახლში დავრჩი, პატარა ოთახში, სახურავის ქვეშ. იქ, ლოგინის თავთან, თაროზე იდო ჩემი წიგნი ნიანგებზე. კეთლმა დიასახლისმა გამომიცხადა, რომ ეს ოთახი ჩემთვის არის დანიშნული და ყოველთვის ერთნაირ წესსა და რიგზე იქნებაო.

– ჩემო თვალისჩინო, დევი, – მითხრა მან, – სანამ ცოცხალი ვარ და სანამ ეს ბინა ჩემი იქნება, შენ ყოველთვის ნახავ ამ ოთახს ამგვარი სახით, თითქოს ყოველ წუთში მოველოდე შენს მოსვლას. ყოველდღე დავაღებ მას, როგორც ვაღაგებდი შენს უწინდელ საწოლ ოთახს. ჩინეთშიც რომ მოგიხდეს ცხოვრება, მაშინაც შენი ოთახი მუდამდღე დაღაგებული იქნება!

სულით და გულით მჯეროდა ეს სიტყვები, რადგან ვიცოდი ჩემი კეთილი გადიას უზომო სუყვარული და ერთგულება, და როგორც შემეძლო, მადლობა გადავუხადე ამგვარი დაპირებისათვის. თუმცა არ შემეძლია ვთქვა, რომ ეს მადლობა ძალიან მხურვალე ყოფილიყო: ყველაფერი ეს პეგოტიმ დილით მითხრა და ამ დილით კი სახლში ვბრუნდებოდი. გავემგზავრე პეგოტისა და ბარკისთან ერთად. ისინი მეტად დანადგლიანებულები გამომეთხოვნენ ჩვენი ბადის ჭიშკართან. გულდაწყვეტილი, სევდით ვუცქეროდი მიმავალ ეტლს, რომელსაც თან მიჰყავდა ჩემი ჩემი პეგოტი და მტოვებდა მარტოდმარტოს, ძველი თელების ჩრდილში იმ სახლის წინ, სადაც იმედიც კი არა მქონდა, რომ შევხვდებოდი სიყვარულს ან მეგობრულ დაყვავებას.

ამ დროიდან სრულს მარტოობაში ვარ, მოკლებული ყოველგვარ მეგობრულ დახმარებას, ტოლების საზოგადოებას, დატოვებული ჩემი საკუთარი, სევდიანი ფიქრების ანაბარა.

რას არ მივცემდი, რომ გავეგზავნეთ ყველაზე მკაცრ და სასტიკ სკოლაში! რომ ესწავლებინათ რამე ჩემთვის! მაგრამ არა, ამგვარი ჩემთვის არარსებობდა. ვძულდი და ვეზიზღებოდი მათ. თუ არ ვცდები, იმ დროს მისტერ მორდსტონი მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ამით არ შეიძლება აიხსნას მისი გულქვა მოქცევა მცირეწლოვან ობოლთან. ამ ადამიანს ძალიან ვეჯავრებოდი და თავიდან მიშორებდა, მგონი, იმ მიზნით, რომ მოეკლა ჩემში ყოველგვარი იმედი მისი მფარველობის შესახებ. მან მიაღწია თავის მიზანს.

არ შემეძლია ვთქვა, რომ ცუდად მეპყრობოდნენ; მე არ მცემდნენ, შიმშილით არ მკლავდნენ, მაგრამ სისტემატურად არ ამჩნევდნენ ჩემს არსებობას. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, თვე – თვეს, მე სულ ისევ გულცივი უყურადღებობის



მსხვერპლი ვიყავი. ხანდახან მომდიოდა თავში აზრი, რა მოხდებოდა, ავად რომ გაემხდარიყავი? უპატრონოდ ამომძვრებოდა სული ჩემს მიტოვებულ ოთახში, თუ მაინც მოვიდოდა ვინმე ჩემი ტანჯვის შესამსუბუქებლად?

ძალიან იშვიათად მაძლევდნენ პეგოტის ნახვის ნებას. თვითონ პეგოტი, თავის დაპირებისამებრ, ყოველ კვირას მოდიოდა ჩემს სანახავად და ცდილობდა, სადმე სახლის ახლო შემხვედროდა; მას ყოველთვის რაიმე საჩუქარი მოჰქონდა თან.

სავსებით მესმოდა ჩემი მდგომარეობის სრული უიმედობა და უეჭველია, უუბედურესი არსება ვიქნებოდი, წიგნებში რომ არ მეპოვა ნუგეში. წიგნები შეადგენდნენ ჩემს ერთადერთ ნუგეშს და იმედს, და მე თავს არ ვანებებდი მათ, როგორც ისინი მე; ვკითხულობდი კიდევ და კიდევ, აღარ მახსოვს, მერამდენედ, ერთსა და იმავე წიგნს.

ახლა მე ვუახლოვდები ჩემი ცხოვრების იმ ხანას, რომელიც არასოდეს არ წარიშლება ჩემს ხსოვნაში, სანამ მესხომება რამე. ეს დრო ხშირად სრულებით უნებურად მომაგონდება ხოლმე და, როგორც ღამის მოჩვენება, გულს მიხეთქავდა ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებში.

ერთხელ მე სადღაც წავედი ეზოდან და მივდიოდი ქუჩაში მეტად მოწყენილი, როგორც ყოველთვის. როცა კუთხეში შევუხვით, უეცრად შევეფეთე მისტერ მორდსტონს, რომელსაც ვიღაც ჯენტლმენი მოსდევდა. სრულებით ავირიე ამ მოულოდნელ შეხვედრაზე და ხმაამოუღებელივ მინდოდა გამეფლო, როცა უეცრად ჯენტლმენმა შემაჩერა და შესძახა:

– ეს შენ ხარ, ბრუქს?

– არა, სერ, მე დავით კოპერფილდი მქვია, – ვუპასუხე მე.

– უარს ნუ ამბობ! – მითხრა ჯენტლმენმა, – შენ ბრუქსი ხარ, შეფილდელი ბრუქსი. მე გიცნობ შენ.

ამ სიტყვებზე მე მეტი ყურადღებით შევხედე მას. რაღაც ნაცნობი მომეჩვენა მის სიცილში და ამ ჯენტლმენში ვიცანი მისტერ კვინიონი, რომელთანაც მივდიოდი ლოუსტროფში, მისტერ მორდსტონთან ერთად, როცა... მაგრამ არ არის საჭირო იმის მოგონება, თუ როდის იყო ეს.

– რას აკეთებ, ბრუქს? სად სწავლობ?

ამ სიტყვებთან ერთად მისტერ კვინიონმა მხარში მომავლო ხელი და თავისკენ მიმბრუნა. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, და მისტერ მორდსტონს შევხედე.

– ეს ახლა სახლშია, უსაქმოდ დაეთრევა და დაეხეტება, – უთხრა ჩემმა მამინაცვალმა, – სკოლაში აღარ ივლის. სწორი ვითხრათ, თვითონაც არ ვიცი, რა გუყო.

– ჰმ! – ჩაახველა მისტერ კვინიონმა და ორივეს შემოგვხედა. – მშვენიერი დარია.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ვცდილობდი, გამეთავისუფლებინა ჩემი მხარი ამ ჯენტლმენის ხელიდან, რომ ჩემს გზას გავდგომოდი.

– შენ, მგონია, საკმარისად მოხერხებული ბიჭი ხარ! – მითხრა კვინიონმა. – არა, ბრუქს, ჰა?

– დიახ, უჭკუო არ არის, – თქვა მისტერ მორდსტონმა მოუთმენლობით, – გაუშვით, წავიდეს თავისი გზით. დარწმუნებული იყავით, მადლობას არ გეტყვით ამ შეჩერებისათვის.

მისტერ კვინიონმა ხელი გაუშვა ჩემს მხარს და საჩქაროდ წავედი სახლში. როცა ბაღასთან შევჩერდი, დავინახე, რომ მისტერ მორდსტონი უახლოვდებოდა სასაფლაოს და თან თავის თანამგზავრს ემუსაიფებოდა. ერთი წუთით ისინი შეჩერდნენ და მე შემომხედეს; არავითარი ეჭვი არ იყო, რომ იმათი საუბრის საგანი მე ვიყავი.

ამ ჯერზე მისტერ კვინიონმა ჩვენსას გაათია რამე. მეორე დღეს, დილით, საუზმის შემდეგ, როცა სუფრიდან ავდექი და ბაღში გასვლა დავაპირე, მისტერ მორდსტონმა ოთახში დარჩენა მიბრძანა.

– დავით, – მითხრა მისტერ მორდსტონმა, – ამ წუთისოფელში ყმაწვილი კაცი უნდა მოქმედებდეს და არა უსაქმურობასა და მოწყენილობაში ატარებდეს დროს. ყმაწვილი ამგვარი ხასიათით მუდმივს მეთვალყურეობასა და რადიკალურ გამოსწორებას თხოულობს ყველაფერში. ამგვარი ყმაწვილი უნდა დაუმოჩილო მშრომელი წუთისოფლის ყველა პირობას, აღმოფხვრა მასში ძირიანად ყოველგვარი უსწორმასწორობა, გარდატეხო იგი, გარდაქმნა. შენ, უეჭველია, უკვე იცი, დავით, რომ მე მდიდარი ადამიანი არა ვარ. ყოველ შემთხვევაში, შენ ახლა იცი ეს. აქამდის ჩვენ ვცდილობდით, მოგვეცა შენთვის სათანადო განათლება, და შენ უკვე მოასწარი შეგეძინა აუცილებელი. შემდეგი განათლება ძვირი ღირს და მე არ შემიძლია შენი შენახვა სკოლაში. თუმცა, მდიდარიც რომ ვიყო, მაშინაც არ დავიწყებდი ფულის ფლანგვას შენს შესანახად პანსიონში, რადგანაც, ჩემი ღრმა რწმენით, სასკოლო განათლება სათანადო სარგებლობას არ მოგიტანს. შენი მომავალი გარკვეულია, – უნდა შეებრძოლო ამ ქვეყანას და, რაც უფრო მაღე დაიწყო ამ ბრძოლას, მით უკეთესია.

მომეჩვენა, თითქოს ჩემი ბრძოლა ცხოვრებასთან უკვე დაიწყო პატარა მასშტაბით.

– ხომ არა გაგიგია-რა ჩვენგან ერთი სავაჭრო დაწესებულების შესახებ? – მკითხა მისტერ მორდსტონმა.

– რომელის, სერ?

– სავაჭრო დაწესებულება მორდსტონისა და გრინბისა, მედვინეობის დარგში. ახლა შენ უნდა იცოდე, რომ მისტერ კვინიონი განაგებს ამ დაწესებულების კანტორას.

ჩუმად შევხედე კანტორის გამგეს, ცნობისმოყვარეობით იგი ფანჯარაში იყურებოდა.

– მისტერ კვინიონი მარწმუნებს, რომ მასთან შეიძლება გამოჩნდეს რაიმე სამუშაო შენი წლოვანების ბიჭისთვის. რატომ არ უნდა შეხვიდე შენ მისტერ კვინიონის კანტორაში.

– აჰ, მორდსტონ! ნუთუ თქვენ სხვა არავითარ პერსპექტივას არა ხედავთ მისთვის? – შენიშნა ხმადაბლა მისტერ კვინიონმა და ჩემს მამინაცვალს მიმართა.

მისტერ მორდსტონმა ყური არ ათხოვა მის სიტყვებს, იგი შეინძრა მრისხანედ და განაგრძო:

– ამგვარად, დავით, შენ უნდა შეხვიდე, გარკვეული პირობებით, სხვა ბიჭებთან ერთად, კანტორაში. პირობები ხელსაყრელია: გაჭმევენ, გასმევენ და, ამას გარდა, ჯიბის ფულიც გექნება. შენი ბინის შესახებ უკვე არის მიცემული განკარგულება. რაც შეეხება შენს საცვლებს...

– ეს კი ჩემი განკარგულებისაგან იქნება დამოკიდებული, – გააწყვეტინა მის მორდსტონმა.

– საცვლები და საზოგადოდ მთელი ტანისამოსი შენთვის წინასწარ დამზადებული იქნება ჩემი საკუთარი ხარჯით, – განაგრძო მისტერ მორდსტონმა, – რადგან იმედი არ გვაქვს, რომ შენ საშუალება გექნება შენი საკუთარი ხარჯით ჩაიცვა და დაიხურო. მაშ მომისმინე, დავით, შენ მიდიხარ ლონდონში, მისტერ კვინიონთან ერთად და იწყო ერთგვარად დამოუკიდებელ ცხოვრებას.

– ერთი სიტყვით, – შენიშნა დამ, – ჩვენ აღვიღზე მოგაწყეთ და ახლა იცხოვრე, როგორც გინდა.

მშვენიერად მეხმოდა, რომ მთელი ეს გეგმას ჩემს თავიდან მოსაშორებლად იყო მოგონილი, მაგრამ დანამდვილებით აღარ მახსოვს, – მეწყინა თუ გამიხარდა მაშინ ეს ამბავი. მგონია, ჩემთვის სულ ერთი იყო, დარჩენაცა და წასვლაც. დროცა არა მქონდა ფიქრისათვის; მისტერ კვინიონი მეორე დილას მიდიოდა ლონდონში.

შემდეგი დილაც გათენდა. ჩემი სამგზავრო მომზადება მეტად უბრალო იყო. და-ძმამ დამასახუქრა თეთრი, ნათრევი, შავი მოვლებული ქუდით, შავი კურტაკით

და თეთრი ტილოს შარვლით, რომლითაც, მის მორდსტნის განკარგულების თანახმად, უნდა შეედგომოდო საშიშ ბრძოლას ცხოვრებასთან. მთელი ჩემი ქონება ჩაეცია მომცრო ჩემოდანში, და მე ჩაგვჯექი ფურგონში, რომელსაც მისტერ კვინიონი უნდა მიეყვანა იარმაუთში, ლონდონის დილიუანსამდე.

ჩვენი სახლი და სოფლის ეკლესია თანდათან ქრება ჩემი თვალთახედვიდან. სხვადასხვა საგნებმა დაფარეს ბლონდერსტონის სასაფლაო და ჩემი მშობლების სამარე. ჩემს თავზე ცარიელი ცაა.

## თავი მეოთხე

### დამოუკიდებელი ცხოვრება

სავაჭრო სახლი „მორდსტონი და ჰრინბი“ მდებარეობდა ტემზის მარცხენა ნაპირზე, ბლეკფაიერის უბანში. ეს იყო ძველი, ნახევრად დანგრეული შენობა. თვით ტემზის პირას, სადაც პატარა ხის ნავსადგური იყო. ზღვის მოქცევის დროს იგი წყალში იმალებოდა და უკუქცევის დროს კი ტალახში იდგა. ვირთხები ყოველი მხრიდან მორბოდნენ აქ კონცერტის გასამართავად. მიწის პირას მდებარე ოთახები, სავსე უკუნეთის ჭვარტლითა და ახალი ჭუჭყით, დაბრეცილი კიბეები, ჩანგრეული იატაკი, შეხუთული სარდაფები, სინოტივე, ობი, ჭვარტლი, – აი საგნები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩემს მეხსიერებაში, მრავალ წარსულ წელთა მიუხედავად.

ამ სავაჭრო სახლის მთავარ ოპერაციას შეადგენდა ღვინისა და არყის მიწოდება იმ გემებისათვის, რომელნიც რამდენადაც მახსოვს, ინდოეთში დადიოდნენ. ამ მიზნისთვის აქ ყოველ დღე ასობით მოქონდათ ცარიელი ბოთლები. ეს ბოთლები უნდა გამოგვერეცხა, გაგვეწო, გაგვეშრო, ჩაგვესხა, დაგვეცვა, დაგვებუჭა და ზედაც იარლიყი დაგვეკრა. ეს სამუშაო მე ჩამაბარეს.

ჩემიანად ოთხი ბიჭი იყო. მე უნდა მემუშავა უზარმაზარი ოთახის კუთხეში მისტერ კვინიონის მეთვალყურეობით, რომელიც თვალყურს მადევნებდა თავისი ადგილიდან კანტორაში. უფროს ბიჭს დაავალეს აეხსნა ჩემთვის დაწვრილებით ჩემი ხელობა. მისი სახელი იყო მიკ უოკერ; გაქონილი წინსაფარი და თეთრი ჩაჩი თავზე – მისი ჩაცმულობის განსაკუთრებული კუთვნილება იყო. მან მეორე ბიჭი გამაცნო, თავისი ამხანაგი, რომელსაც დაწესებულებაში უცნაურ სახელს – „კარტოფილას“ ეძახდნენ. მე გავიგე შემდეგ, რომ ამ ყმაწვილს ეს სახელი დაერქვა ფერწასული სახის გამო, რომელიც მართლაც კარტოფილის ფქვილს წააგავდა. კარტოფილას მამა ორგვარ მოვალეობას ასრულებდა: დღისით მენავე იყო, რამით კი – მეღამევე სატახტო ქალაქის ერთ-ერთ თეატრში, სადაც მისი ქალიშვილი ჭინკების როლს ასრულებდა პანტომიმის წარმოდგენებში.

კედლის საათმა პირველის ნახევარი დაჰკრა. მისტერ კვინიონი ადგა თავისი ადგილიდან და დამიძახა. მის წინ შუახნის ვაჟკაცი იდგა, სქელი და მოუხეშავი. უშველებელი თავი მთლად მოტვლეპილი ჰქონდა და კვერცხივით უპრიალებდა. ჩემსკენ მოქცეული სახე, ფართო და დათენთილი, თითქოს კეთილად გამოიყურებოდა. მუქი ყავისფერი სერთუკი და სარვალი საკმარისად ნახშიარი ჩანდა, მაგრამ მით უფრო ეფექტურად მოუჩანდა პერანგის გახამებული საყელო.

– აი სწორედ ეს არის, – თქვა მისტერ კვინიონმა და ჩემზე მიუთითა.

– მაშ, ისე გამოდის, რომ მე მაქვს პატივი დავით კოფერფილდის ნახვისა, – თქვა უცნობმა მოწყალე კილოთი, – როგორ გრძნობთ თავს, მასტერ კოპერფილდ?

მე ვუპასუხე, რომ კარგად ვარ-მეთქი, და იმედი გამოვთქვი, რომ ისიც ჯანმრთელად არის. ნამდვილად, ძლივს ვიდექი ფეხზე დაღლილობისაგან, მაგრამ იმ დროს ხასიათად არ მქონდა ჩივილი ჩემს უბედურ მდგომარეობაზე.

– მე მივიღე წერილი მისტერ მორდსტონისაგან, რომელშიც იგი გამოთქვამს სურვილს ჩემს სახლში, როგორც მდგმური. ეს, რასაკვირველია, დიდი პატივია ჩემთვის. ჩემს სახლში, დასავლეთის მხარეს, მართლაც არის პატარა ოთახი, რომელიც გამოდგება თქვენთვის საწოლ ოთახად. დიდად მოხარული ვარ, რომ ბედნიერება მაქვს თაის გაცნობისა, მასტერ კოპერფილდ, – დაამთავრა მოღიმარე ჯენტლმენმა.

– ეს მისტერ მიკობერია, – მითხრა მისტერ კვინიონმა.

– ხომ არა გნებავთ ჩემი სახლის მისამართი? – მითხრა მისტერ მიკობერმა, – იგი სიტის გზაზეა, ვინძორის ტერასაზე; მე მექნება სიამოვნება პირადად გამოგიაროთ საღამოს, და თქვენ, იმედია, ნებას მიბოძებთ, გიჩვენოთ უახლოესი გზა თქვენი ახალი ბინისაკენ. ბედნიერად დარჩენას გისურვებთ, მისტერ კვინიონ. მეტს ვერ გავბედავ თქვენს შეწუხებას ჩემი აქ ყოფნით.

მან დაიხურა ქული, დაიქნია ჯოხი და გავიდა კანტორიდან რაღაც მხიარული სიმღერის დილინით.

საღამოს დანიშნულს დროზე მოვიდა მისტერ მიკობერი. დავიბანე ხელ-პირი, რომ წარვდგენოდი ჩემს ახალ მასპინძელს, და მეგობრულად წავედით ჩვენი სახლისკენ, როგორც მე, ალბათ, მომიხდება ვუწოდო ამ სახლს დღეის შემდეგ. გზაში მისტერ მიკობერი მისახელებდა იმ ქუჩებისა და შესახვევების სახელებს, რომელზედაც გვიხდებოდა გავლა, და ცდილობდა, დამეხსომებინა ისინი, რათა უფრო ადვილი ყოფილიყო ჩემთვის მეორე დღეს სამსახურში მისვლა.

სახლი ვინძორის ტერასაზე ყოველნაირად უშნო და მახინჯი იყო, მაგრამ იმგვარივე პრეტენზიებით ჯენტლმენურ კომფორტზე, როგორიც აშკარად ჩანდა მის პატრონში. მისტერ მიკობერმა გამაცნო ჩავისი მეუღლე, მაღალი და გამხდარი ლედი, უკვე შორს გადაცილებული პირველ სიყმაწვილეს. მისის მიკობერს ხელში ბავშვი ეჭირა, ერთი მის მის ტყუპისთავანი, როგორც მაშინვე მითხრეს.

იყო კიდევ ორი სხვა ბავშვი, რომელნიც ამ მეუღლეებს ეკუთვნოდნენ – მასტერ მიკობერი ოთხი წლისა და მის მიკობერი – სამისა. შინამოსამსახურედ ჰყავდათ ერთი ახალგაზრდა დედაკაცი, უბედური ჩვეულებით, – იგი ყოველ სიტყვაზე ფხაკურობდა. მე მომიჩინეს პაწაწინა ოთახი სხვენზე, უბადრუკი ავეჯით, მაგრამ მშვენივრად შეღებილი ცისფერი საღებავით. მისის მიკობერმა, ბავშვით ხელში, თვითონ იკისრა ჩემი მოთავსება ამ სადგომში.

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ყმაწვილო, როგორ შეიძლება გამოიცვალოს გარემოება ადამიანის ცხოვრებაში, – მითხრა მისის მიკობერმა, როცა ერთად ავდიოდით სხვენზე. – გათხოვებამდე, როცა დედასთან და მამასთან ვცხოვრობდი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მდგმურების აყვანა მომიხდებოდა, მაგრამ ეს რამდენიმე ხანია, ჩემი ქმარი გაჭირვებულს მდგომარეობაში იმყოფება. მძიმე დრო დაგვიდგა, ყმაწვილო, მძიმე!

ვერ ვიტყვი დანამდვილებით, მისგან გავიგე თუ სხვისგან, რომ ოდესღაც მისტერ მიკობერი ფლოტში მსახურობდა, ოღონდ ჩემს თავში შემუშავდა მტკიცე წარმოდგენა, რომ უწინ იგი საზღვაო ოფიცერი იყო, ამჟამად კი ასრულებდა სხვადასხვა სავაჭრო სახლების დავალებებს, თუმცა ვერასოდეს და ვერავისგან გავიგე, რაში მდგომარეობდა ეს დავალებანი, რომელთაც მისტერ მიკობერს ანდობდნენ.

– თუ მოვალეები არ დააცდიან, – განაგრძობდა მისის მიკობერი, – შედეგი მათთვისავე იქნება საზიანო. რაც მოხდება – მოხდეს. რაც უფრო მალე მოხდება – მით უკეთესი! ქვას სისხლს ვერ გამოადენ; მოვალეს ვერ გამოსწურავ ფულს, თუ მისი ქისა ცარიელია. მისტერ მიკობერს იმდენი ფულიც კი არა აქვს, რომ დაფაროს სასამართლოს ხარჯები.

დიასახლისის ამგვარმა გულახდილობამ, რომელიც ჩემის მხრივ არაფრით არ იყო გამოწვეული, ერთგვარად გამოაცა, და პირველად ისე მეჩვენა, თითქოს მას მეტი ხნისა ვეგონე, ვიდრე ვიყავი. მაგრამ საქმის ვითარება, როგორც გამოირკვა,

გაცილებით უფრო მარტივი იყო: საბრალო მისის მიკობერი ისე იყო შეწუხებული, რომ მზად იყო თავისი დარდი ყველასათვის შეეჩივლა, თუგინდ თავისი, ჯერ უმეცარი ტყუილებისათვის, თუ მის ახლოს არ იყო სხვა მსმენელი.

შემოსავალი კარის შუაგულს ამშვენებდა ლითონის დაფა, რომელზედაც ეწერა: „სასწავლო დაწესებულება მისის მიკობერისა ყმაწვილ ქალთათვის“. მაგრამ არასოდეს არც ერთი ყმაწვილი ქალი არ ყოფილა მისის მიკობერის პანსიონში. საერთოდ არასოდეს არ შემინიშნავს მასთან მდებარეობითი სქესის არსებანი და არც არასოდეს შემიმჩნევია რაიმე მზადება რომელიმე ყმაწვილი ქალის მისადებად. ერთადერთი მომსვლელები, რომლებიც მინახავს მათ სახლში, მევალენი იყვნენ. ისინი მოდიოდნენ ყოველ საათში და მალე დავრწმუნდი, რომ ზოგი მათგანი არაჩვეულებრივ ცხარე ხასიათის ჯენტლმენი იყო.

მოხდებოდა ხოლმე, რომ მათი გაშმაგებული ყვირილის გამო მისტერ მიკობერი სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა, და ერთხელ კინაღამ ყელი გამოეჭრა სამართებლით, როგორც მისი მეუღლისაგან გავიგე. საბედნიეროდ, ამგვარი სასოწარკვეთილება მეტად ხანმოკლე იყო; როგორც კი გავილოდა სახლიდან მოუსვენარი მევალე, მისტერ მიკობერი მზრუნველი ხელით იწმენდა ჩექმებს და შემდეგ მხიარული სახითა და ღილინით გადიოდა სახლიდან. ასეთივე უზრუნველი იყო მისის მიკობერი. ერთხელ, როცა მოვიდა ცნობა, რომ სასამართლოს დადგენილებით მათი ქონება უნდა აეწერათ, მისის მიკობერს გული წაუვიდა და სრულებით ჩამოეშალა თმა, მაგრამ იმავე საღამოს, ბუხართან, იგი მშვენიერ გუნებაზე იყო და შეექცეოდა ხოს ხორცის კატლეტებს. ამ საღამოს გავიგე მისგან მრავალი საინტერესო ამბავი იმის შესახებ, თუ რიგორ ცხოვრობდა წინათ მისი მამილო და დედილო, როგორ ქეიფობდნენ და ვინ ჰყავდათ სტუმრებად.

ჩემი თავის ანაბარა დარჩენილს, ბავშვურის უზრუნველყოფით მიმყავდა ჩემი საქმეები. ხშირად, როცა დილით მივდიოდი „მორდსტონისა და გრინბის“ დაწესებულებაში, ვერ ვუძღებდი საშაქარღამოს ფანჯარაში გამოდგმული ტკბილეულობის ცდუნებას და სადილის ფულით ვყიდულობდი რაიმე გამხმარ ტკბილ კვერს. იმ დღეს, უსადილოდ დარჩენილი, იოლად მივდიოდი ერთი ფუნთუშით ან პუდინგის ნაჭრით. მაგრამ, თუ საშაქარღამოს ცდუნებას გავუძღებდი ხოლმე, მაშინ ვიღებდი სადილს ძველი, ჭუჭყიანი დუქნიდან, სახელწოდებით „ლურჯი ლომი“, რომელიც ჩვენი კანტორის პირდაპირ იყო. მაშინ ჩემთვის მოჰქონდათ ბივშტექსი ოთხ პენსად, დიდი ნაჭერი ყველი და მთელი პიტნა ლუდი სამ პენსად.

ჩვენ ჩაისაც ვსვამდით, რისთვისაც ნახევარი საათი დრო გვეძლეოდა. როცა ჯიბეში საკმარისი ფული მქონდა, მაშინ ვუკვეთავდი ყავას რძით და ბუტერბროდით, მაგრამ თუ ფული არ მქონდა, მაშინ ქუჩაში დავეხეტებოდი, ან კონვერტ-გარტენის ბაზარზე ვტკბებოდი ფორთოხლების ცქერით, ან ნერწყვს ვკლაპავდი ტკბილეულობის დანახვაზე.

როცა ახლა ყველა ამ წვრილმანს ვიგონებ, სრულებითაც არა მაქვს აზრად გავაზვიადო იმდრონდელი ჩემი მძიმე მდგომარეობა. თუ მისტერ კვინიონი მუყაითი სამსახურისათვის მეტ შილინგს მაძლევდა წასახალისებლად, იმწამსვე ვხარჯავდი ამ ფულს ან სადილზე, ან ჩაიზე. ვმუშაობდი ადრიანი დილიდან შუაღამემდე გაფუჭებული და უზნეო ბიჭების საზოგადოებაში, თავისუფალ დროს კი უმიზნოდ დავეხეტებოდი ქუჩაში. არ ვიცი, როგორ არ გავხდი ან ჯიბგირი ან მაწანწალა.

ჩემი მდგომარეობა „მორდსტონისა და გრინბის“ დაწესებულებაში თანდათან განმტკიცდა. მიუხედავად მისტერ კვინიონის თავქარიანობისა, მე მაინც უფრო ზრდილობიანად მექცეოდა, ვიდრე სხვებს. საჭიროდ არ ვთვლიდი იმის ახსნას, თუ რა გარემოებათა მიზეზით მოვხვდი ამ კანტორაში, და არც სიტყვით, არც საქმით არ გამომიტკვამს უკმაყოფილება ჩემი ადგილის გამო, ჩუმად და უსიტყვოდ ვიტანჯებოდი. ჩემი ამხანაგების საზოგადოებაში ვცდილობდი, მხიარული სახე მიმეღო და მუყაითად ვასრულებდი ჩემ საქმეს. ყველასთან

თანასწორად ვმუშაობდი და მალე გავიწაფე ჩემს ხელობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგებთან მოპყრობაში სულ უბრალო ვიყავი, მაინც, როგორცა ჩანს, ჩემს ქცევაში იყო რაღაც განსაკუთრებული, ბიჭები და დიდი მუშები პატარა ჯენტლმენს ან სუფოკლიდან გამოსულს მეძახდნენ. ამ საზოგადოებაშიც მომიხდა რამდენჯერმე მეამბნა ჩემი გმირების ფანტასტიკური თავგადასავალი, და ჩემმა თხრობითმა ნიჭმა გაკვირვება გამოიწვია ჭუჭყიანი კანტორის გულუბრყვილო მსმენელებში. ერთ მათგანი, ვინმე გრეგორი, რომელიც გასაგზავნად ამზადებდა საქონელს, დიდ პატივს მცემდა; მეორე ბიჭი, ვინმე ტინო, შიკრიკი, რომელიც ირთვებოდა ალისფერი კურტაკით, ჩემს მეგობრობასაც კი ღამობდა და უბრალოდ დავითს მეძახდა. ყველა ეს წარმატების ნიშანი აღშფოთებდა „კარტოფილას“, მაგრამ მიკ უოკერმა მალე ჩააგდო გონებაში.

მისტერ მიკობერის აწეწილი საქმეები ერთგვარად ხელს უწყობდა ჩემი სულიერი სიმშვიდის დარღვევას. მარტოხელა მწირი ამ სატახტო ქალაქში გულწრფელად შევეთვისე ამ ოჯახს და ხშირად, ქუჩაში ხეტიალის დროს, ვიგონებდი სახსარს, რომ გაჭირვებული მდგომარეობიდან გამომეყვანა ეს ოჯახი. მათი ვალები ჩემ შაბათის საღამოებსაც კი მიწამლავდნენ. როცა მე, ექვსი ან შვიდი შილინგით ჯიბეში, მშვენიერ გუნებაზე ვბრუნდებოდი სახლში და თან ყველა მაღაზიასა და ღუბანში ვიხედებოდი და ვანგარიშობდი, რამდენი ძვირფასი რამ შემეძლო მეყიდა ამ ფულით სწორედ მაშინ დაიწყებდა მისის მიკობერი თავის დაუსრულებელ მასლაათს შინაურ აწეწილ-დაწეწილ გარემოებათა შესახებ. კვირა დილასაც ეს ამბავი იყო, როცა მე ჩემს უბრალო საუზმეს ვამზადებდი.

მიუხედავად ჩვენი წლოვანების ასეთი თვალსაჩინო განსხვავებისა, ჩვენ შორის უცნაური მეგობრობა დამყარდა. ერთნაირი გარემოებანი ბუნაბრივად ხელს უწყობდნენ ჩვენს დაახლოებას. მიუხედავად ამისა, მაინც არასოდეს ვიღებდი მონაწილეობას მათს ოჯახურ სადილებში, რადგან ვიცოდი, რომ ისინი მუდამ მწყურალად იყვნენ მეპურესთან და ყასაბთან და ამის გამო ხშირად დიდ შიმშილს განიცდიდნენ.

დადგა, ბოლოს, დრო, როცა მისის მიკობერმა თავისი უზომო ნდობა მაღირსა. ჩვენს შორის დაახლოებით ამგვარი ლაპარაკი ჩამოვარდა:

– მისტერ კოპერფილდ! – მითხრა მისის მიკობერმა. – დიდი ხანია, რაც გიცქერით, როგორც ახლობელს და, მაშასადამე, შემძლია საიდუმლოდ გამოგიცხადოთ, რომ მისტერ მიკობერის გაჭირვებულმა მდგომარეობამ უკიდურესობას მიაღწია.

ამგვარმა ცნობამ მტკივნეული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და გულწრფელი თანაგრძნობით შევხედე მისის მიკობერის ნამტირალევ თვალებს.

ჩემს ჯიბეში ამჯერაზე ორი თუ სამი შილინგი იყო (საიდანაც შეიძლება ის დაეასკნათ, რომ ეს ბაასი ოთხშაბათს საღამოს მოხდა), და მე საჩქაროდ ამოვიღე ეს ფული, რომ მისის მიკობერისათვის მიმერთმია. მაგრამ ამ ლედიმ უარი თქვა ჩემს წინადადებაზე, დედობრივი სიყვარულით მაკოცა და ისევ უკან, თავის ალაგას ჩამადებინა ჩემი შილინგები.

– არა, ჩემო კარგო მასტერ კოპერფილდ! – მითხრა მისის მიკობერმა. – სრულებით არ ვფიქრობდი მაგაზე. თქვენ, ჩემო მეგობარო, სხვაფრივ შეგიძლიათ დამეხმაროთ, და სწორედ ეს დახმარება მინდა გთხოვოთ.

– მიბრძანეთ, ქალბატონო! ყველაფრისათვის მზად ვახლავარ!

– აი, საქმე რაშია, ჩემო კარგო: ჩემი საკუთარი ხელით წავიღე, სადაც ჯერ არს, ექვსი ჩაის კოვზი, ორი სამარილე, შაქრის მაშა და ყველა ამისათვის მივიღე თავის დროს ფული შინაური ხარჯებისათვის. სახლში კიდევ გვაქვს ზოგიერთი ნივთი, ურომლისოდაც ძალიან ადვილად გავძლებთ; მაგრამ მისტერ მიკობერი, თავის გრძნობათა მეტისმეტი სიფაქიზის გამო, არასოდეს არ გაბედავს ამ ნივთების გაყიდვას. კლიკეტას თხოვნა ამის შესახებ, თქვენ დამეთანხმებით, უხერხულია, რადგან ამ შემთხვევაში ერთგვარ დამოკიდებულებაში ვიქნები ჩემივე

საკუთარი მოახლისაგან. მაშ ახლა გესმით, ძვირფასო მასტერ კოპერფილდ, რა მეგობრულ დამხმარებასაც მოველი მე თქვენგან?

მივხვდი მისის მიკობერის სურვილს და ვთხოვე, მოვეხმარნე, როგორც ნებავდა. იმავე საღამოს დავიწყე გატანა სახლიდან ზოგიერთი მსუბუქი ნივთებისა, და ამ დროიდან თითქმის ყოველ დილით ვმოგზაურობდი ამგვარი დავალებებით, სანამ „მორდსტონსა და გრინბის“ დაწესებულებაში წავიდოდი.

მისტერ მიკობერს რამდენიმე წიგნი ჰქონდა პატარა თაროზე და მოსწონდა, როცა ამას თავის ბიბლიოთეკას ეძახდა. სწორედ ამ წიგნებიდან დავიწყეთ. მიმქონდა ეს წიგნები უახლოეს ანტიკვართან, რომელიც წიგნებით ვაჭრობდა.

მევახშის დუქანშიც მალე გამიცნეს. მევახშე ნასწავლი და დინჯი კაცი იყო. როცა იგი მოტანილ ნივთებს აფასებდა, იმავე დროს ლათინურ გრამატიკაში და სახელთა ბრუნვასა და უსწორო ზმნათა კანკელდობაში მწვრთნიდა..

ამგვარი დავალების ასრულების შემდეგ მისის მიკობერი თავის თავის აუცილებელ მოვალეობად სთვლიდა პატარა ქეიფი გაემართა. და მახსოვს, როგორი მადით შეექცეოდა დამშეული ოჯახი გამრეულ საჭმელებს.

გამოილია ბოლოს ეს დამხმარე რესურსებიც. მისტერ მიკობერის გაჭირვებული მდგომარეობა თანდათან იზრდებოდა და, ბოლოს კრიზისი დადგა: ერთ უბედურ დილას მისტერ მიკობერი, მთავრობის განკარგულებით, წაიყვანეს სხვაგან, სახელმწიფო საჯარო ციხეში. როცა იგი გადიოდა სახლიდან, მწუხარე სახით მითხრა, რომ დღეს განიპობა მიწა და მშთანთქავსო. მაგრამ, საბედნიეროდ, როგორც შემდეგ გავიგე, მისტერ მიკობერმა, როცა კი მიაღწია საბედისწერო სახლს, მაშინვე გაიცნო ახალი ამხანაგები და სადილობამდის უკვე მოასწრო თამაშა მათთან რამდენიმე პარტია ბილიარდი.

მისი დატუსაღების პირველ კვირა დღეს წავედი მისტერ მიკობერის სანახავად მის ახალ ბინაზე. მისტერ მიკობერი, რომელიც, როგორცა ჩანდა, მიმელოდა, მეტად სევდიან გუნებაზე იყო. ჩვენ მოვიტირეთ და შემდეგ შევედით ოთახში, რომელიც მიეჩნიათ მისთვის მეხუთე სართულზე. მახსოვს, როგორ დამაფიცა მან, რომ გაკვეთილად გამომეყენებინა მისი ეს უბედურება, და მირჩევდა უმთავრესი ყურადღება მიმექცია არსებობის შემდეგი აქსიომისთვის: „თუ ადამიანი, რომელსაც წლიური შემოსავალი ოცი გირვანქა აქვს, ხარჯავს ცხრამეტ გირვანქას და ცხრამეტ შილინგახევარს, იგი, უეჭველია, ბედნიერი იქნება, მაგრამ, თუ იგივე ადამიანი დახარჯავს ოცდაერთ გირვანქას, მაშინ საქმე წასულია, – იგი ციხეს ვერ ასცდება“. ამ სენტენციის დამთავრების შემდეგ, მისტერ მიკობერი მესესხა ერთ შილინგს ერთი ბოთლი პორტერისათვის, ხელწერილით მისი მიკობერის სახელზე, ცხვირსახოცი მოიწმინდა ცრემლები და იმწამსვე გამხიარულდა.

– ახლა აი რა, მასტერ კოპერფილდ, – მითხრა მისტერ მიკობერმა, – გაისარჯეთ და აირბინეთ ჩემო სართულში, მეშვიდე ნომერში, სადაც კაპიტანი ჰოპკინსი ცხოვრობს. მოიკითხეთ ჩემს მაგივრად კაპიტანი, გაეცანით, როგორც ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, დანა-ჩანგალი სთხოვეთ.

მართლაც, კაპიტანს არ უთქვამს უარი. მის პაწაწინა ოთახში დავინახე ჭუჭყიანი ლედი და ორი გამხდარი გოგონა, მისი ქალიშვილები, გაწეწილი თმებით. კიდევ კარგი, რომ დანა-ჩანგლის სათხოვნელად გამომგზავნეს, თორემ, უეჭველია, სავარცხლის თხოვება არ შეეძლო კაპიტან ჰოპკინსს.

არ ვიცი, როგორ მოხდა და ვისი საშუალებით, ოღონდ ოჯახური გარემოების გამოსასწორებლად მალე ბინის ავეჯიც გაიყიდა. იგი მე არ გამიყიდა, და აქამდის არ ვიცი, ვის მიანდო მისის მიკობერმა ეს მისია. ასე იყო თუ ისე, ავეჯი გაყიდეს და გაიტანეს სახლიდან ფურგონით, გარდა ლოგინისა, ექვსი სკამისა და ერთი სამზარეულოს მაგიდისა, ამ ნივთებით ჩვენ ყველანი, ესე იგი მისის მიკობერი, ბავშვები, კლიკეტა და მე, გადავედით ვინძორის ტერასაზე დაცარიელებული სახლის ორ ოთახში. არ მახსოვს, რადენი ხანი ვიცხოვრეთ

ამგვარად, მგონია – ძალიან დიდი ხანი. ბოლოს, მისის მიკობერმა გადაწყვიტა ციხეში გადასახლება, თავის მეუღლესთან შესაერთებლად, რომელმაც ახლა ცალკე ოთახი მიიღო თავისი ოჯახისათვის. დავეკეტე დაცარიელებული სახლი და მისი გასაღები ჩავაბარე მის უბედურ პატრონს. ბავშვების ლოგინები, გარდა ჩემისა, სავალო ციხეში გადაიტანეს. ჩემთვის ქალაქის ერთ-ერთ უბანში დაიჭირეს პაწაწინა საკუჭნაო სახლის სხვენზე.

ამ დროს ისევ „მორდსტონისა და ეინბის“ ღვინის საწყობში ვმუშაობდი. აქ ისევ ის ამხანაგები, იგივე ცხოვრება და იგივე საგნები მერტყა გარს. საბედნიეროდ, არავისთან არ დამიჭირია ახლო კავშირი და ჩემი თავისთვის არ მიმიცია ნება, გულახდფილი და მეგობრული ბაასი დამეწყო ყმაწვილთან, რომელნიც იქ იყვნენ. ერთადერთი ცვლილება ჩემს ცხოვრებაში ის იყო, რომ ჯერ ერთი, საკმარისად უსუფთაო გავხდი და ჩვეულებებიც გამომეცვალა, და მეორეც ისა, რომ, ჩემი მეგობრების ციხეში გადასახლების შემდეგ, გავთავისუფლდი ჩემი მძიმე და უსიამოვნო მოვალეობისაგან მათი ბედის მოწყობის შესახებ. გამონდნენ ნათესავეები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა მათს მდგომარეობაში, და ამის გამო მიკობერები მოეწყვნენ სავალო ციხეში, გაცილებით უფრო მეტი კომფორტით, ვიდრე თავიანთ საკუთარ სახლში, ვინძორის ტერასაზე. ახლა მათთან ერთად ვსაუზმობდი ყოველდღე, რაღაც პირობის თანახმად, რომელიც ახლა აღარ მახსოვს.

საღამოობით ისევ აუცილებლად ციხეში მივდიოდი და თან ვახლდი მისტერ მიკობერს სეირნობის დროს, ან მისის მიკობერს კაზინოს ვეთამაშებოდი, არ ვიცი, ოღონდ „მორდსტონისა და გრინბის“ ღვინის საწყობში არავის ველაპარაკებოდი ჩე პირად საქმეებზე.

იმის გამო, რომ მისტერ მიკობერს საქმეები სრულიად აწეწილი ჰქნდა, მთელი თავისი სიცოცხლე უნდა მჯდარიყო სახელმწიფო სავალო ციხეში, და ეს, უეჭველია, ასეც იქნებოდა, მისი ფართო, წმინდა ჯენტლმენური ბუნება რომ არ აღშფოთებდით იმ აზრით, რომ მას მთელი მთელი სიცოცხლე მოუხდებოდა ამ მოსაწყენ ოთხ კედელს შუა ყოფნა! მისის მიკობერი ვერ შეეჩვია ტუჭყიან ჯენტლმენებისა და ლედების ვულგარულ საზოგადოებას. ასე თუ ისე, საჭირო იყო ციხიდან თავის დაღწევა, სუფთა ჰაერზე გასვლა და შესვლა ცხოვრების ახალ სფეროში. მას შემდეგ, რაც მრავალჯერ სცადეს ეთხოვნათ თავისი მეგობრებისა და ნათესავეებისათვის „უახლოესი ვადით“ თანხა, მკაცრი მევალეების დასაკმაყოფილებლად, მისტერ მიკობერმა საბოლოოდ გადაწყვიტა – გამოეცხადებინა თავი „გაკოტრებულ მოვალედ“ და ამის გამო შეიტანა სასამართლოში სათანადო განცხადება. მისის მიკობერმა შემატყობინა, რომ ამ შემთხვევაში მისი მეუღლე მოქმედებდა ნათესავეების ჩაგონებით. სასამართლოს გადაწყვეტილება ექვსი კვირის უკან უნდა გამოცხადებულიყო. კომერციულ დადგენილებათა კოდექსის თანახმად, „გაკოტრებული მოვალე“ თავისუფლდებოდა ციხიდან.

თავი მეთორმეტე

დიდი გადაწყვეტილება

მომავალი სიკეთის მოლოდინში მისტერ მიკობერმა გადაწყვიტა, დიდი საქმით აღნიშნა ციხეში ყოფნა. ციხის შენობაში სეირნობის დროს მან შენიშნა, რომ ტუსაღების მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ამის გამო მისტერ მიკობერს აზრად მოუვიდა თხოვნის შედგენა პარლამენტში წარსადგენად, რომელსაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი ცვლილებანი უნდა მოეხდინა სავალო ციხის წესებსა და დადგენილებებში.



ციხეში იყო კლუბი, სადაც მისტერ მიკობერი, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ თხოვნის იდეა მისტერ მიკობერმა შეატყობინა კლუბს. კლუბის წევრებმა ერთხმად მიიღეს მისი აზრი. ამის შემდეგ მისტერ მიკობერმა ერთხმად მოჰკიდა ხელი საქმეს იმ საოცარი გულმოდგინებით, რომელსაც იგი საზოგადოდ იჩენდა ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე თვითონ მას არ შეეხებოდა. მისტერ მიკობერმა გაატარა რამდენიმე ღამე კალმით ხელში; იგი ხაზავდა, წერდა, შლიდა, ფხეკდა და, ბოლოს სრულებით კმაყოფილი დარჩა თავისი ნაწარმოებით. როცა მან გადაათვთრა ეს საპარლამენტო თხოვნა უშველებელ ქაღალდზე და გაშალა მაგიდაზე, შეატყობინა კლუბს, რომ ყველა მისი წევრი შეკრებილიყო დანიშნულ დროს მის ოთხში, ამ დოკუმენტზე ხელის მოსაწერად.

მე პირადად ვიცნობდი თითქმის ყველა ამ ჯენტლმენს, ისევე, როგორც ისინი მიცნობდნენ მე, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებდა ეს ამბავი და აუცილებლად მიხდოდა დავსწრებოდი ამ ცერემონიას. „მორდსტონისა და გრინბის“ დაწესებულებას ვთხოვე, გავეშვი რამდენიმე საათით და დროზე მივედი ციხეში. ცერემონია იმით დაიწყო, რომ პირველი მობრძანდა ჩემი ძველი მეგობარი კაპიტანი ჰოპკინსი. ამ ღირშესანიშნავ შემთხვევისათვის მას ხელ-პირიც კი დაეხანა. მისტერ მიკობერი, გულზე ხელდაკრეფილი, მაგიდასთან დადგა. კაპიტანი ჰოპკინსი, როგორც კლუბის უფროსი წევრი, მოემზადა ამ დოკუმენტის წასაკითხად ყველასათვის, ვინც კი ჯერ არ იცნობდა მის შინაარსს. კარი გაიღო, და ციხის მოსახლეობამ, გრძლად ჩამწკრივებულმა, დაიწყო მსვლელობა. ადგილის უქონლობის გამო, ბევრნი დერეფანში იდგნენ და თავიანთ ჯერს ელოდნენ. ყოველი წევრი შემოდოდა, ხელს აწერდა და გადიოდა. ყოველ წევრს თავის ჯერზე კაპიტანი ჰოპკინსი ჰკითხავდა:

– წაგიკითხავთ თხოვნა?

– არა.

– მაშ ხომ არა გნებავთ, რომ წაგიკითხოთ?

და თუ წევრი გამოთქვამდა მოსმენის მცირეოდენ სურვილს, კაპიტანი ჰოპკინსი კითხვას იწყებდა გარკვევით, მკაფიოდ, ბოხი ხმით, ისე, რომ დოკუმენტის ყოველი სიტყვა ცხადად აღბეჭდილიყო მსმენელის თავში. კაპიტანი ჰოპკინსი მზად იყო ოციათასჯერ წაეკითხა ეს დოკუმენტი, ოღონდ კი ამდენ ადამიანს გამოეთქვა მოსმენის სურვილი. განსაკუთრებული ეფექტით წარმოთქვამდა იგი, რამდენადაც მახსოვს, დაახლოებით ამგვარ წინადადებებს: „უზენაესი საკანონმდებლო დაწესებულების სახალხო წარმომადგენელნი“, „უბედური ქვეშევრდომნი სამი შეერთებული სამეფოსი“ და სხვა. ყველა ამგვარი სიტყვა განსაკუთრებულს, საკვირველად გემრიელ გემოს იღებდა მკითხველის პირში. მისტერ მიკობერი ისმენდა ავტორის სიამაყით და ღმობიერის ცქერით გაჰყურებდა ფანჯარაში ციხის წვეტიან კედლებს.

დიდხანს ვსეირნობდი იმ სადამოს ლონდონის ბნელ ქუჩებში და ხალხის ბრბოს შეხვედრაზე მანანებოდა, რომ არავის მათგანს არ ეღიროსა კაპიტან ჰოპკინსის მოსმენა.

დანიშნულ დროს სახელმწიფო სასამართლომ განიხილა მისტერ მიკობერის თხოვნა და, ჩემდა უადრეს სასიხარულოდ, დაადგინა გაეთავისუფლებინა ციხიდან ეს ჯენტლმენი. სხდომას, რასაკვირველია, მისტერ მიკობერიც დაესწრო. ყველაფერი ბედნიერად გათავდა და მვეალებს, როგორც მისის მიკობერმა მითხრა, არ გამოუჩენიათ რაიმე განსაკუთრებული სიძულვილი მისი მეუღლისადმი.

სხდომის შემდეგ მისტერ მიკობერი, საბოლოო განთავისუფლების წინ, სავალო ციხეში უნდა დაბრუნებულიყო. კლუბმა აღტაცებით მიიღო იგი და იმ სადამოსვე მის პატივსაცემად კრება დანიშნა. მისის მიკობერმა, თავისი ოჯახის წევრებით გარშემოხვეულმა, უბრძანა მოეტანათ ბუფეტიდან ერთი ულუფა

შემწვარი ხბოს ხორცი და ერთი ბოთლი ელი. ამ ვახშამში მეც მივიღე მონაწილეობა.

– მე და თქვენ საუკეთესოდ უნდა ვიდღესასწაულოთ ეს დღე, მასტერ კოპერფილდ! – მითხრა მისის მიკობერმა. – და კიდევ თითო ჭიქა დავლიოთ, ჩემი დედისა და მამის ხსოვნისათვის.

ვისარგებლე ამ შემთხვევით გულახდილი საუბრისთვის და ვკითხე:

– ნება მიბოძეთ, ქალბატონო, გკითხოთ: რას აპირებს მისტერ მიკობერი ახლა, როცა დამთავრდა მისი გაჭირვებული მდგომარეობა და თავისუფლება მიიღო? გადაწყვიტა თუ არა რაიმე?

– ჩემი ოჯახის წევრები, – მიპასუხა მისის მიკობერმა (ამ სიტყვებს იგი მუდამ დიდებული სიამაყით წარმოთქვამდა ხოლმე, თუმცა ვერასგზით ვერ გავიგებ ვისა გულისხმობდა ამ ტიტულით), – ჩემი ოჯახის წევრები იმ აზრს ადგანან, რომ მისტერ მიკობერმა თავი უნდა დაანებოს ლონდონს და ასპარეზი თავისი ნიჭისთვის რომელიმე პროვინციაში იპოვოს. მისტერ მიკობერი დიდი ნიჭის პატრონია, მასტერ კოპერფილდ! – ო რასაკვირველია! – ვუპასუხე მე.

– ჩემი ოჯახის წევრები სრულებით საფუძვლიანად ფიქრობენ, რომ ჯენტლმენს მისი ნიჭით შეუძლია თავისი კარიერა საბაჟო სამსახურით მოაწიოს. ამიტომ აქედან გამოსვლის შემდეგ იგი, ჩემი ოჯახის საერთო სურვილის დასაკმაყოფილებლად, მაშინვე უნდა მოემზადოს სამგზავროდ და პლიმუტში გადასახლდეს.

მე შევეჩვიე მიკობერებს და სრულებით შევეთვისე მათ აზროვნებასა და სურვილებს. მათი წასვლის შემდეგ ერთხელ კიდევ გამომეცვალა ბინა, მომანახა ახალი ხალხი და სამუდამოდ ჩავსშულიყავი ამ ატმოსფეროში. ამ ფიქრებმა ისევ გამიახლეს გუკლისტიკვილი; ისევ შემრცხვა ჩემი თავისა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამგვარი ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელი იყო.

ვინ გამათავისუფლებდა ამ გარემოებიდან? არავინ! ცხადად ვხედავდი ამას და ვიცოდი, რომ ხსნა მხოლოდ ჩენგანვე შეიძლებოდა მოსულიყო. არასოდეს ადა არაფერი არ გამიგია ჩემი მამინაცვლისა და მის მორდსტონის შესახებ. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მივიღე ბლონდერსტონიდან ამანათი დაკერებული საცვლებით და მასთან ჩემ სახელზე იყო ბარათი, სადაც ეწერა, რომ ჯემ მორდსტონი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ დავით კოპერფილდი გულმოდგინედ ასრულებს თავის საქმეს და ცდილობს, დაიმსახუროს მისტერ კვინიონის მადლობაო. ეს იყო და ეს.

მეორე დღეს ძალიან აღელვებული ვიყავი იმ ახალი აზრებით, რომელიც თავში მიტრიალებდნენ. მიკობერების ოჯახი ერთი კვირით დასახლდა იმ სახლში, სადაც მე ვცხოვრობდი, ამ კვირის ბოლოს კი პლიმუტში უნდა წასულიყვნენ.

ამგვარად, მთელი დანარჩენი დრო, ვიდრე მისტერ და მისის მიკობერები ლონდონში იყვნენ, ისევ ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრე მათთან და მართალი უნდა ვთქვა, დიდი სიამოვნებით ვატარებდით ამ საღამოებს. მე მგონია, ბოლოს ჩვენ შეგვიყვარდა კიდევ ერთმანეთი. უკანასკნელ კვირა დღეს მიკობერებმა გამოსათხოვარ სადილზე დამპატიეს. წინა დღით საჩუქრები ვუყიდე ორ უფროს მიკობერს: ხის ცხენი პატარა ვილკინს მიკობერს და ვარდისფერკაბიანი დედოფალა – მის დას.

მეორე დღეს გავაცილე მთელი ოჯახი დილიუანსამდის, რომლითაც ისინი პლიმუტში მიემგზავრებოდნენ.

– მშვიდობით, ძვირფასო კოპერფილდ! – მითხრა მისის მიკობერმა. – მშვიდობით! ბენდიერი იყავით! თუ შემდგომში გავიგებ, რომ ჩემი მწარე ბედი სასარგებლო მარგალიტად გამოგადგათ, ვიტყვი, რომ უქმად არ მიცხოვრია. თუ ბედმა გამიღიმა (რისი იმედიცა მაქვს), დამიჯერეთ, ვეცდები, გავაკეთო რაიმე თქვენი ბედნიერებისათვის.

მე მგონია, როცა მისის მიკობერი ავიდა იმპერიალზე, შემომხედა იქიდან და დაინახა, თუ არსებითად როგორ საბრალო, მიგდებული ბავშვი ვიყავი, – ტირილი დაიწყო. იმიტომ მგონია ეს, რომ მისის მიკობერმა მანიშნა, ავსულიყავი მასთან იმპერიალზე, და მის სახეზე დავინახე დედობრივი სინაზის გამომეტყველება. დიახ, მან მაკოცა ისე, როგორც საკუთარ შვილს აკოცებდა... ძლივს მოვასწარი ჩამოხტომა და – დილიქანსიც დაიძრა. ერთი წუთის შემდეგ იგი მიიმაღლა, რადგანაც კუთხეს შეუხვია, და მასთან ერთად გაქრა ცხვირსახოცებიც – უკანასკნელი საღამო მგზავრებისა. მარტო დავრჩი და წავჩანჩაღდი „მორდსტონისა და გრინბის“ კანტორაში, რომ დამეწყო ჩემი მოსაბეზრებელი სამუშაო.

მაგრამ გადავწყვიტე, აღარ მემუშავა! არა, მე გაქცევა დავაპირე. გადავწყვიტე დამეღწია როგორმე თავი ლონდონიდან, მეპოვნა ჩემი ერთადერთი ნათესავი, რომელიც დედამიწაზე დამრჩენოდა, და მეამბნა მისთვის მთელი ჩემი მწარე ამბავი! მეამბნა მისთვის, პაპიდასათვის, მის ბეტსისთვის! როგორ დამებადა ეს აზრი არ ვიცი, ოღონდ დამებადა თუ არა, ღრმად დამიჯდა თავში და გულში და მტკიცე გადაწყვეტილებად გადაიქცა. სრულებით არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამ საქმიდან რამე სიკეთე გამოვიდოდა, მაგრამ აღარაფერი არ შეეძლო დაეშალა ჩემთვის ამ გეგმის სისრულეში მოყვანა.

რადგანაც არც კი ვიცოდი სად ცხოვრობდა მის ბეტსი, ამიტომ მივწერე პეგოტის უზარმაზარი წერილი და თითქოს გაკვრით ვეკითხებოდი, ხომ არ იცი პაპიდას ბინადრობა-მეთქი, რადგან მელაპარაკენ ერთი ლედის შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავს პაპიდას ხასიათით და ამა და ამ ქალაქში ცხოვრობსო (ქალაქი დავწერე პირველი, რომელიც მომხვდა), და ვითომც ამიტომ მაინტერესებდა გამეგო, პაპიდაზე ხომ არ იყო ლაპარაკი. ამავე წერილში ვწერდი პეგოტის, რომ ძალიან მჭირდება ნახევარი გინეა, და თუ შეგიძლია, მასესხე ეს თანხა; ვალის დაბრუნებისას აგიხსნი, რისთვის დამჭირდა ეს ფული. პეგოტიმ არ დამიგვიანა პასუხი, და მისი წერილი, როგორც ყოველთვის, სავსე იყო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით. მან გამომიგზავნა ნახევარი გინეა. მის ბეტსი, მწერდა პეგოტი, ცხოვრობს სადღაც ღუვრში, ოღონდ არ ვიცი, თვით ქალაქში ცხოვრობს იგი, თუ რომელიმე მიდამოში, როგორც, მაგალითად, ჰაითში, სანდგეტში ან ფოსტსტონშიო. არც ეს იყო ძნელი საქმე: ერთმა ჩვენი საწყობის მუშამ ამიხსნა, რომ ყველა ეს ადგილი ერთიმეორის გვერდით არისო. ჩემს განზრახვას საიდუმლოდ ვინახავდი და გადავწყვიტე, კვირის ბოლოს სისრულეში მომეყვანა იგი.

დადგა შაბათი საღამო და მასთან ერთად შეწყდა ყოველკვირეული მუშაობა „მორდსტონისა და გრინბის“ ღვინის საწყობში. ჩემი ამხანაგები, ტიპის მეთაურობით, წავიდნენ კანტორაში ჯამაგირის მისაღებად. მე განზე გავიხმე მიკ უოკერი და წავჩურჩულე, გადაეცა მისტერ კვინიონისათვის, რომ წავედი ახალ ბინაზე გადასასვლელად; შემდეგ დამემშვიდობისა ვუსურვე „კარტოფილას“ და გავედი კარებში, რომ არასოდეს აღარ დავბრუნებულყავი „მორდსტონისა და გრინბის“ ღვინის საწყობში.

ჩემი ჩემოდანი ძველ ბინაზე იყო. წინათვე დავწერე მისთვის მისამართი: „ღუვრის დილიქანსების კანტორაში, გადაეცეს მოთხოვნილებსამებრ მასტერ დავითს“. ეს ბარათი ჯიბეში მედო და მიხლოდა ზედ მიმეკრა, როცა ჩემოდანს ბინიდან გამოვიტანდი. ახლა საჭირო იყო ისეთი ადამიანის შოვნა, რომელიც მიშველიდა მის ფოსტაში წადებას.

ბლეკფრაიერის გზაზე, ობელისკთან, იდგა ცარიელი პატარა ვირის ორთვალა, რომელშიაც ზორბა ყმაყვილი ბიჭი იჯდა. იგი გამგულ-გამომგულელებს ათვალიერებდა, როგორც ჩანდა, უმიზნოდ.

- მე მინდა დაგიქირაოთ, – ვუთხარი და ორთვალასთან გაჩერდი.
- რისთვის?

– ჩემოდნის წასაღებად. ჩემი ჩემოდანი ფოსტის კანტორაში უნდა წაიღოთ ექვს პენსად.

– მერე, სადაც ცხოვრობ?

ვუთხარი ჩემი მისამართი, და აყლაყუდა ჩემი ბინისაკენ მიაბრუნა ვირი.

შევიყვანე იგი ოთახში, რომლის დატოვებასაც ვაპირებდი. ჩემოდანი დაუყოვნებლივ გამოიტანა და ორთვალაში მოათავსა. მე არ მიხლოდა მისამართის დაკვრა ჩემოდანზე, სანამ ბინიდან არ გამოვიტანდი, რადგან მეშინოდა, რომ სახლის პატრონები მიხვდებოდნენ ჩემს განზრახვას; ამიტომ ვთხოვე მეეტლეს, გარჯილიყო და შეჩერებულიყო ერთი წუთით, როცა მიაღწევდა სავალო ციხის ყრუ კედელს. როგორც კი ეს სიტყვები წამომცდა ენიდან, აყლაყუდა ისე გააჭენა თავისი ვირი, თითქოს ის, ჩემი ჩემოდანიც და ვირიც გაგიჟებულიყვნენ. სირბილით მივედი და ძლივს დავეწიე დანიშნულ ალაგას.

როცა ჯიბიდან ბარათს ვიღებდი, სინქარისაგან ჩემი ნახევარი გინეა მიწაზე დამივარდა და აღებისას იგი უნებურად პირში ჩავიდე. შემდეგ აკანკალებული ხელით მივაკარი ბარათი ჩემოდანს. როგორც კი ეს ოპერაცია გავათავვე, აყლაყუდა ძლიერი ხელი ნიკაპში გამარტყა; ფული გამომვარდა პირიდან – და ერთ წუთში მის ხელში გაჩნდა.

– ეჰე! – თქვა ყმაწვილმა და კისერში წამავლო ხელი. – აქ, მგონი, პოლიციის სუნი ტრიალებს! შენ, როგორც ჩანს, სხვისი საქონელი გიშოვნია, ჩემო კარგო! აბა, ერთი პოლიციაში წამომყევი!

– დამანებეთ თავი! – შევეყირე შეშინებულმა. – მომეცით ჩემი ფული!

– წამოდი ჯერ პოლიციაში, იქ გაარჩევენ!

– მომეცით ჩემი ჩემოდანი და ფული! დამეხსენით! – ვყვიროდი და თან ცხარე ცრემლებით ვტიროდი.

მაგრამ აყლაყუდა პოლიციით მაშინებდა, თან ვირის ორთვალასკენ მიმათრევდა. დაჯდა ცემს ჩემოდანზე, გაჰქუსლა და თან ყვიროდა, რომ პოლიცია გამისწორდება.

მე გამოვუდექი და მივრბოდი რაც ძალა და ღონე მქოდა. ვიხრჩობოდი მღელვარებისა და დაღლილობისაგან, არ შემეძლო დამეძახა ვისთვისმე საშველად და ვერც ვბედავდი დაყვირებას.

ამგვარად ნახევარი მილი მაინც გავივრბინე და და ამ დროს ოცჯერ მაინც ვიყავი განსაცდელში, რომ ან გამჭყლეტნენ და ან გამსრესდნენ. ხანდახან სრულებით მეკარგებოდა თვალიდან უსინდისო აყლაყუდა და მისი ორთვალა; ხანდახან კი შორით მოჩანდა მისი ქუდი. აქ მეეტლე მირტყამდა შოლტს, იქ ტალახში ვვარდებოდი, ვდგებოდი, ისევ მივრბოდი, ვაწყდებოდი მგზავრებს, ვეცემოდი, ვეხეთქებოდი ფარნის ბოძს, და შემდეგ ისევ მივრბოდი გამწარებული. ბოლოს, ღონემიხდილს, მომეჩვენა, რომ ნახვარი ღონდონის მოსახლეობა უკან მომდევდა, და თავი დავანებე ამ აყლაყუდას დევნას, ჩემი ფული და ჩემოდანი რომ გაიტაცა. დაე ირბინოს, სადაც სურს, რამდენიც სურს, თუნდაც ქვეყნის ბოლომდე! როცა სულის მოსათქმელად შევჩერდი, შევნიშნე, რომ გრინვიჩის მიმართულებით მივრბოდი, სადაც, როგორც ვიცოდი, დუვრის გზა მიდიოდა. ცხარე ცრემლები გადმომცვივდა, როცა მოვისაზრე, რომ მოტყუებული და გაქურდული დავრჩი. მაგრამ რა გაეწყობოდა! ცრემლებით საქმეს ვერ ვუშველიდი. როგორც ამბობდა მისის მიკობერი. ნელი და გაუბედავი ნაბიჯით წავჩანჩაღდი წინ, პაპიდაჩემის უცნობი ბინისაკენ, მის ბეტისისაკენ, რომელიც, უეჭველია, ამ დროს უფრო ნაკლებ ფიქრობდა ჩემზე, ვიდრე იმ დამეს, როდესაც მისი სულის სიმშვიდე დავარღვიე ჩემი დაბადებით.

თავი მეცამეტე

## ჩემი გადაწყვეტილების შედეგები

უკვე დაღამდა და ჩემს ყურებში გაისმა დიდი საათის ზარის ხმა, რომელმაც ათი დარეკა, მაგრამ, მიუხედავად იმ დიდი უბედურებისა, რომელიც თავს დამატყდა, ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი უკან დაბრუნებაზე; არ დავბრუნდებოდი არას შემთხვევაში, თუნდაც ჩემი ყოფილიყო დაფარული.

იმის ფიქრში, თუ სად გამეთია ღამე, ბენდიერი აზრი მომივიდა, რომლის სისრულეში მოყვანას იმწუთშივე შევუდექი. გადავწყვიტე, ღამე გამეთია ჩემი ძველი პანსიონის კედელთან, განმარტოებულ კუთხეში, სადაც ყოველთვის თივის ბულული იდგა.

დაღლილობა უკვე მერეოდა და უზომოდ დატანჯული ვიყავი, როდესაც, ბოლოს, ამ დღის ვაი-ვაგლახის შემდეგ ბლოკითის ველზე მივჩანჩაღდი. ღამის წყვილიაღში ძალიან საძნელო იყო საღემის სასწავლებლის პოვნა, მაგრამ მაინც ვიპოვე იგი და მასთან ერთად ვიპოვნე კუთხეში თივის ბულულიც.

მე დავიძინე ისე, როგორც, უეჭველია, იძინებენ მრავალნი დევნილნი, რომელთაც ცხვირწინ კარებს უკეტავენ. დამესიზმრა, თითქოს ვწევარ ჩემს ლოგინში, საღემის სასწავლებლის დორტუარში და რაღაც ამბავს ვუამბობ ბავშვებს, რომლებიიც გარს შემომხვევიან, მაგრამ მე კი არ ვიწექი, არამედ წამოვმჯდარიყავი და სტირფორდის სახლი ენაზე მადგა, როდესაც უეცრად გამომედვიდა და შევხედე აუარებელ ვარსკვლავებს, რომელნიც თავს დამციმციმებდნენ. გამოუთქმელმა, უცნაურმა გრძობამ ამიტანა, როდესაც ბუნდოვნად მოვისახრე და მოვიგონე, სად და რად ვიყავი აქ უდროო დროს. შეშინებული და შემკრთალი წამოვხტი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ, მაგრამ ვარსკვლავების სუსტმა ციმციმმა და ალიონის მკრთალმა ნათელმა გონს მომიყვანა და უკან დავბრუნდი. დავწექი და ისევ დავიძინე. ამჯერზე მხოლოდ ის დამესიზმრა, რომ ძალიან ციოდა და ვკანკალებდი, სანამ მზის პირველმა სხივებმა არ გამათბეს. მაგრამ, აი, გაისმა საღემის სასწავლებლის გასადვიძებელი ზარის ხმა, და მეც გამომედვიდა. იმედი რომ მქონოდა, სტირფორდი, როგორმე მეხელთნა დრო და ცალკე მენახა იგი; მაგრამ ვიცოდი, რომ ამ ახალგაზრდა ჯენტლმენს უკვე დიდი ხნით ადრე თავი უნდა დაენებებინა საღემის სასწავლებლისათვის. ტრედელსი, უეჭველია, ჯერ ისევ აქ იყო, მაგრამ მას ვერ მივანდობდი ჩემს საიდუმლოს, თუმცა ვიცოდი მისი კეთილი გულის ამბავი, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებისათვის. ამგვარად, იმ დროს, როდესაც მისტერ კრიკლის მოწაფეებმა გაიდვიძეს, მე შემოვუარე სასწავლებლის კედელს და გავედი დუერის დიდ გზაზე. უწინ ხშირად ვსეირნობდით ამ გზაზე სწავლისაგან თავისუფალ დროს; როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მე, როგორც უსახლკარო მგზავრს, მომიხდებოდა ამ გზით ხეტიალი?

ამ კვირა დღეს გავიარე დაახლოებით ოცდასამი მილი, გავიარე დიდი სიძნელით, რადგან ჩვეული არ ვიყავი ამგვარ მოგზაურობას. მახსოვს, როგორ მივდიოდი როჩესტერში ხიდზე საღამო უამს. დუქანში ნაყიდი პურის ნაჭერი შეადგენდა მთელ ჩემს ვახშამს. ორი თუ სამი სახლი წარწერთ: „სასტუმრო მგზავრთათვის“ დიდ საცდურს წარმადგენდა ჩემთვის, მაგრამ მეშინოდა, აქ დამეხარჯნა ჩემი უკანასკნელი პენსები და კიდევ უფრო მეშინოდა იმ საეჭვო მაწანწალებისა, რომელიც გზაში მხვდებოდნენ. გადავწყვიტე, ისევ ცისქვეშ გამეთია ღამე. უკვე შებინდებული იყო, როდესაც დიდი სიძნელით ძლივს მივადწიეს ჩეტმსს. ღამის წყვილიაღში იგი საზარელ სურათს წარმოადგენდა, თავისი ასაწვეი ხიდებითა და უანძო გემებით ჭუჭყიან მდინარეზე. ავუსვიე ყაზარმებს და მივადწიე ბატარეას, სადაც ღამის სიჩუმეში წინ და უკან გუშავი დადიოდა. სწორედ აქ, ზარბაზნის გვერდით მოვეწყვე; მალე დამეძინა ძალიან მაგრად და დილაამდე აღარაფერს არ შევუწუხებია.

გაღვიძებისას საშინელი ტკივილები ვიგრძენი მთელს ტანში და მეტადრე ფეხებში; მე გამაღვიძა ნადარისა და მოვარჯიშე ჯარისკაცების ფეხის ხმამ, რომელთაც თითქოს აზრად ჰქონდათ, ყოველი მხრიდან ალყა შემოერთებოდა ჩემთვის. ავდექი და ძლივს წაფხანჩაღი გრძელი, ვიწრო ქუჩით; ცხადი იყო, ჩემი ეს მგზავრობა მეტად მოკლევადიანი და მცირემანძილიანი იქნებოდა. გადავწყვიტე, შემესვენა აქვე, რომ ძალ-ღონე მომეკრიბა მომავალი მგზავრობისათვის. უპირველესად ყოვლისა, ჩემი კურტაკის გაყიდვა დავაპირე და იმწამსვე გავიხადე იგი, რო მესინჯა – შესაძლებელი იყო თუ არა უიმისოდ არსებობა. ცდამ დამანახვა, რომ შესაძლებელი იყო. იღლიაში ამოვიდე კურტაკი და თვალიერება დავუწყე დუქნებს, სადაც შეიძლებოდა მიმემართა ჩემი საქონლის გასაყიდად.

დუქანი ბევრი იყო. შეკერილი ტანისამოსის გამყიდველები, რომელნიც არც ისე ცოტანი იყვნენ, უმეტესად თავიანთი მაღაზიების კარებთან იდგნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ; მაგრამ რადგან მაღაზიებში უმთავრესად ოციფრების მუნდირები და ეპილოტები მოჩანდა, დიდხანს დავეყიადობდი ამ ჯენტლმენებს შორის და სავაჭროების ბრწყინვალეობით შეშინებული, ვერ გბედავდი ჩემი საქონლის ჩვენებას.

ამგვარი მორიდების გამო ვეძებდი დუქნებს, სადაც მეზღვაურების ძველ ტანისამოსს ყიდდნენ, და ბოლოს ვიპოვე სწორედ ასეთი დუქანი აშშორებული შესახვევის კუთხეში, რომელიც ჭინჭრით იყო სახსე.

ამ დაბალს, შეხუთულსა და ჭუჭყიან დუქანში, რომელსაც უფრო აბნელებდა, ვიდრე ანათებდა პაწაწინა ჭუჭრუტანა, ჩამოფარებული დაგლეჯილი ძოძვებით, გულისფანცქალით ჩავედი ჭუჭყიანი და აყროლებული კიბით, რომელზედაც ბინძური წყალიც გადმოესხათ. ამ შემზარავი ბუნავის უკანა მხრიდან გამოძვრა მახინჯი ბებერი, გარეული კატის ეშმაკური თვალებით და ჯაგრის მსგავსი წვერებით, რომელიც მთელ ნახევარ სახეს უფარავდა. იგი ხმაამოუღებლად მწვდა თმებში და კედელს მიმახალა.

– ოჰ, რა გინდა? ოჰ, თვალები დამიდგეს, რა გინდა ჩემგან? ოჰ, აგისკდეს მიწა და თან ჩაგიტანოს!

და მან ისე საზარლად დააბრიალა თვალები, რომ კინაღამ არ გადმოუვარდა ბუდიდან.

– მე მოვედი, რომ გკითხოთ, სერ, ხომ არ ინებებთ იყიდოთ ჩემი კურტაკი? – ვუთხარი მთლად აკანკალებულმა.

– ოჰ, მაშ მომეცი ეგ შენი კურტაკი! – დაიწვილა ბებერმა. – ოჰ, დამეწვას გული, მაჩვენე შენი კურტაკი! ოჰ! გამისკდეს ღვიძლი, მაჩვენე შენი კურტაკი!

ამ სიტყვებით თავი დაანება ჩემს თმებს და სათვალე მიიღო აწითლებულ თვალებზე.

– ოჰ, დამიდგეს თვალები, რამდენს თხოულობ შენს კურტაკში?

– ნახევარ კრონას, სერ, – ვუპასუხე და თან ისევ ვთრთოდი.

– ოჰ, არა, არა, არა! გამისკდეს ღვიძლი! რა მოიგონე? არა, არა, არა, დამიდგეს თვალები! ხომ არ აიღებ თვრამეტ პენსს? ბურრრ, ბურრრრი-გურრრი!

ამ სიტყვებთან მას თვალები მთლად შუბლის გადაღმა ეკარგებოდა და მისი ხმა, წარმოუდგენლად საშინელი, მაგონებდა თავაწყვეტილი ქარიშხლის ქროლას, რომელიც დაბალი ტონით იწყება, თანდათან იწვეს მაღლა და უეცრად შეწყდება, – სხვა შედარებას ვერ მოუვნახავ.

– ძალიან კარგი, სერ, მზად ვარ დაგიტმოთ თვრამეტ პენსად, – ვუთხარი მე, რომ როგორმე გაეთავებინა ეს უბედური ვაჭრობა.

– ოჰ, დაიკარგე ამ დუქნიდან! – დამიყვირა ბებერმა და კურტაკი ხელიდან გამომგლიჯა. – გაეთრე გარეთ, საძაგელო არამზადავ! ოჰ, დამიდგეს თვალები, დაიკარგე, სანამ მოგხვდებოდეს! გურრრი-ბურრრი, ნუ მთხოვ ფულს! სამაგიეროდ აიღე რამე – ბრრრ!

არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არ შემშინებია იმ ზომამდე, როგორც მაშინ, მაგრამ მაინც წყნარად ვუთხარი, რომ ფული ძალიან მჭირდება და ამიტომ თანახმა არა ვარ, სხვა რაიმე ავიღო კურტაკის მაგივრად-მეთქი.

მე გამოვედი გარეთ და დავეჯექი ჩრდილში დუქნის წინ. გაიარა რამდენიმე საათმა; ჩრდილო მზის შუქმა და მზის შუქი – ისევ ჩრდილმა. მე ისევ ვიჯექი და ფულს ველოდი.

ბებერი რამდენჯერმე გამოვიდა თავისი ბუნაგიდან და მთხოვა გაცვლაზე დავთანხმებულეყავ. მას გამოჰქონდა ხან ანკესი, ხან ვიოლინო, ხან ქუდი, ხან ფლეიტა, მაგრამ არ აყვევი მის ცდუნებას; განვაგრძობდი კარებთან ჯდომას და ცრემლით ვთხოვდი ჩემი კურტაკის ფულს. ბოლოს მან დაიწყო ფულის გამოტანა ნახევარ-ნახევარი პენსიანებით და ამ გასწორებამ ორი საათი გასტანა.

– ოჰ, დამიდგეს თვალები! – დაიყვირა მან ბოლოს, როცა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ გამოჰყო თავი ბუნაგიდან. – წაეთრევი თუ არა აქედან, ორი პენსი რომ მოგცე ლაწირაკო?

– არ შემიძლია! მაშინ შიმშილით სიკვდილი მომეღის, – ვუპასუხე მე.

– ოჰ, დამეგლიჯოს ნაწლავები! სამ პენსს ხომ არ დასჯერდები? აიღე და დაიკარგე!

– მე დიდი ხანი წავიდოდი, რომ შემეძლოს, მარამ ძალიან მიჭირს ფული.

– აბა, არამზადაე! – დაიყვირა მან ბოლოს. – გეყოფა ოთხი პენსი: აიღე და მომწყდი თავიდან!

სრულებით დატანჯული ამ ვაჭრობით, ბოლოს დავთანხმდი ოთხ პენსზე, მთრთოლვარე ხელით გამოვართვი ფული მხეცური თათიდან და მზის ჩასვლისას მოვშორდი დუქანს. წყურვილი და შიმშილი საშინლად მტანჯავდა, ამიტომ დავხარჯე სამი პენსი პურსა და რძეზე და ცოტათი შევმაგრდი. ამ დღის განმავლობაში მხოლოდ შვიდი მილით წავიწიე წინ.

ღამით წყაროს წყალში დავიბანე დაავადებული ფეხები, შემოვიწყე ზედ ახალი ფოთლები და ცის ქვეშ, თვის ბულულთან მოვეწყვე დასასვენებლად. როცა მეორე დღეს დილით გზას გაუდექი, ვნახე, რომ ჩემი გზა გადიოდა ხილის ბაღებსა და ბოსტნებზე და სვიის პლანტაციებზე. ზაფხული მიწურული იყო; ბღებში მწიფე ვაშლები მოჩანდა და ზოგან უკვე აგროვებდნენ ყვითელ სვიას.

ამ დღის განმავლობაში თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე მხვდებოდნენ მეტად საეჭვო მაწანწალები, რომელნიც წარმოუდგენელ შიშსა მგვრიდნენ. ეს შიში აქამდისაც კი ცოცხალია ჩემს გულში. ზოგიერთ მათგანი მაინც ნამდვილ სისხლისმსმელ ყაჩაღის შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩემს დანახვაზე ისინი შეჩერდებოდნენ ხოლმე და თავისკენ მიხმობდნენ, მაგრამ როცა მე მივრბოდი შემშინებული, უკანიდან ქვებს მესროდნენ.

ბოლოს მივაღწიე დუფრის უდაბურ მიდამოს და სრულმა სასოწარკვეთილებამ ამიტანა, როცა დაგლეჯილი პერანგითა და ფეხსაცმელებით მომიხდა სიარული უცხო ქალაქში.

პირველი შეკითხვებით პაპიდას შესახებ მენავეებს მივმართე და მივიღე მათგან ათასნაირი, მაგრამ მეტად არაღამაკმაყოფილებელი პასუხი. ერთმა მითხრა, რომ პაპიდაჩემმა გაჰქუსლა ცეცხლოვან მხარეს, მზის კუნძულზე და ბაკენბარდები შეიტრუსაო; მეორემ – რომ ის დასახლდა პაბში ნავსადგურს იქით და სტუმრებს იღებს ბინდისას, ზღვის მიქცევასა და მოქცევას შუაო; მესამემ მითხრა, რომ პაპიდაჩემი ციხეში ჩასვეს ბავშვების მოტაცების გამო; მეოთხემ დაუმატა, რომ იგი უკანასკნელ ქარიშხლის დროს, ჭექა-ქუხილში ბუხრის მიღს აჰყვა და ყველამ დაინახა, როგორ შეაჯდა ცოცხს და მადლა ღრუბლებში აფრინდაო. მენავეების შემდეგ მეეტლევებს მივმართე; ისინი ისეთივე ოხუნჯები გამოდგნენ, და მე შევნიშნე წყენით, რომ არც ერი მათგანი არავითარ პატივს არა სცემდა მის ბეტსის. ამგვარად, ადგილზე მისვლისას უარეს მდგომარეობაში ჩავვარდი, ვიდრე ჩემი მაწანწალობის დროს. ფული გამომეღია, გასაყიდი აღარა

დამრჩა-რა. საშინელს შიმშილს, წყურვილსა და დაღლილობას ვგრძნობდი. ჩემი საბოლოო მიზანი ისევე შორს იყო ჩემგან, როგორც ლონდონიდან გამოსვლის დროს, თუ უფრო შორს არა.

მთელი დღია მოვუნდი ამ უსარგებლო ძიებას და კითხვებს. ბოლოს დაუძღურებული და სასოწარკვეთილებამდე მისული დაფიქრებული საბაზრო მოედნის ახლოს, რომელიღაც დაკეტილი დუქნის კარებთან და დავიწყე ფიქრი, თუ საით წავსულიყავი. ამ დროს მიმავალ მეეტლეს ჩული ჩამოუვარდა. როდესაც ავიღე იგი ქვაფენილიდან და მივაწოდე, შევნიშნე, რომ მეეტლეს კეთილი სახე ჰქონდა, და გადავწყვიტე მეკითხა, ხომ არ იცის, სადა ცხოვრობს მის ტროტუდი.

– მის ტროტუდი... მოითმინეთ... მგონია, მე ვიცნობ ამ ლედის, – მითხრა მეეტლემ, – ხომ მოხუცია?

– დიას, სერ.

– და დადის სწორედ, მაღლა თავადებული?

– დია, დიას, ეს უსათუოდ ის უნდა იყოს

– მას ყოველთვის ჩანთა უჭირავს ხელში და შეხედულებით მკაცრია? ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს და ყველას უწყობა?

გული ამითამაშდა სიხარულისაგან, როდესაც გავიგე პაპიდას თვისებების ამგვარი დაწვრილებითი აღწერა.

– მაშ, აი, ჩემო კარგო, – განაგრძო მეეტლემ და შოლტით მიმითითა წინ, ქალაქის ზღვის პირს ნაწილისაკენ, – წადით სულ პირდაპირ და აგერ იქ მარჯვნივ, შესახვევში გადით. ზღვის პირას დაინახავთ რამდენიმე ლამაზ სახლს და იქ, უეტველია, გეტყვიან, სად ცხოვრობს მის ტროტუდი. ოღონდ არა მგონია, რომ მიიღოთ რამე მისგან. აი, პენი, ჩემო კარგო.

მე დიდი მადლობით მივირე ეს ფული და იმწამსვე პური ვიყიდე. როდესაც პური შევჭამე, წავედი იმ მიმართულებით, რომელიც მეეტლემ მანიშნა. ბოლოს, ხანგრძლივი სიარულის შემდეგ, ჩემს წინ გამოჩნდა ზღვის პირი, ლამაზი პატარა სახლებით. შევედი საწვრილმანო დუქანში და ვკითხე: ხომ ვერ მეტყვიან, სადა ცხოვრობს აქ მის ტროტუდი? ამ კითხვით მივართე მედუქნეს, რომელიც დახლს უკან იდგა და ბრინჯს უწონიდა ყმაწვილ ქალს; მაგრამ ამ ქალმა წარმოდგინა, რომ ეს კითხვა თიტქოს მას მივეცი, სწრაფად მომიბრუნდა და მითხრა:

– თქვენ ჩემს დიასახლისთან მიდიხართ, ყმაწვილო? რად გინდათ?

– საქმე მაქვს მასთან.

– ესე იგი, თქვენ მოწყალება გინდათ სთხოვოთ მას?

– ო, არა, არა! – სწრაფად გუპასუხე მე, მაგრამ იმწამსვე გავიფიქრე, რომ ჩემს მისვლას არ შეეძლო ჰქონოდა სხვა მიზანი. გავწითლდი და თავი ჩავლუნე.

ამ დროს პაპიდაჩემის მოახლემ აავსო ბრინჯით პატარა კალათა, გავიდა დუქნიდან და მითხრა, რომ შემიძლია გავყვე მას, თუ მინდა გავიგო, სად ცხოვრობს მის ტროტუდი. გავყვი ამ ყმაწვილ ქალს და მალე მივედით სუფთა და ლამაზ პატარა სახლთან, თალიანი ფანჯრები რომ ჰქონდა. ამ აგარაკის წინ, ოთხკუთხედ მოედანზე, მშვენიერი ყვავილნარი იყო გაშენებული.

– მის ტროტუდი აქ ცხოვრობს, ყმაწვილო, – მითხრა ყმაწვილმა ქალმა. – ახლა ისე მოიქცით, როგორცა გსურდეთ. სხვა სათქმელი არა მაქვს-რა.

ამ სიტყვებთან ერთად იგი სწრაფად შევიდა ჭიშკარში, თითქოს უნდოდა თავიდან აეცილებინა პასუხისგება ჩემი მოულოდნელი მისვლისათვის.

მე დავრჩი ბაღჩასთან და უიმედოდ შევეყურებდი შუა ფანჯარას, რომელიც, უეტველია, სასტუმრო ოთახს ეკუთვნოდა. ფანჯარას ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული; შევნიშნე პატარა მრგვალი მაგიდა და მის წინ დიდი სავარძელი, რომელშიც, უეტველია, სადილს მერე მოსვენება უყვარდა პაპიდაჩემს.

ფეხსაცმელები საშინელ მდგომარეობაში მქონდა. ძირები რამდენიმე ალაგას იყო გახეული, ზედა პირები კი ისე დაიდონდა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მათი პირვანდელი ფორმის გამოცნობა. ქუდი, რომესაც ღამეც არ ვიხდიდი, იმ



ზომამდე დაიჭმუჭნა და დაისრისა, რომ ძველ ქვებს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავსახურავს. პერანგი და სარგალი, მოსვრილი ტალახით, სილითა და ბალახით, რომელზედაც დამდამობით ვეგდე, ძონძებად იყო ქცეული, და მე ნამდვილ საფრთხობელას წარმოვადგენდი, გადმოვდგმულს პაპიდას ბაღჩაში, ფრინველის დასაშინებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ პაპიდა არ იყო სასტუმროში, რადგან აქ სრული სიწყნარე და სიჩუმე სუფევდა. მაღლა ავიხედე; ერთი ფანჯრის წინ, მეორე სართულში, ვიდაც ჯენტლმენი იდგა გულკეთილი გამომეტყველებით, ჭაღარა თითა და ვარდისფერი ლოყებით. მან შემომხედა, თვალი ჩამიკრა, რამდენჯერმე თავი დაიქნია, გამიღიმა და მოშორდა ფანჯარას.

გაოცებულმა ამ ჭაღარა ჯენტლმენის ნახვით და მისი უცნაური მანჭვით, უკვე დავაპირე მოვშორებოდი იქაურობას, მივმალულიყავ სადმე კუნჭულში და თავისუფლად მომეფიქრებინა ჩემი მოქმედების გეგმა, როდესაც, უეცრად, სახლიდან გამოვიდა ხნიერი ლედი თავსაფრით, რომელიც კიდევბზე ბაფთებით იყო შეკრული, და ხელთათმანებით, რომელთაც სათითებო წაჭრილი ჰქონდა. ქამარზე მას დიდი ჩანტა ეკიდა, როგორც გადასახადთა ამკრეფს, და ხელში ბაღის დანა ეჭირა. ამ ადამიანში პირველ შეხედვისას უმაღლ მის ბეტსი ვიცანი; იგი იმავე ამაყი ნაბიჯით მოდიოდა, როგორითაც დედაჩემის აღწერით ვიცოდი, როცა ბლონდერსტონის სახლში მოვიდა.

– გასწი აქედან! – თქვა მის ბეტსიმ და თავი გაიქნია, – გასწი აქედან! აქ ბიჭებს არავითარი საქმე არა აქვთ!

მე ვუცქერდი მას გულისძგერით და ვგრძნობდი, რომ სუნთქვა მეკვროდა. პაპიდა მივიდა ბაღის კუთხეში და რაღაც ძირს დაუწყო თხრა. სასოწარკვეთილებამდე მისული, მიუუახლოვდი ფეხის თითებზე, შევჩერდი მის გვერდით და ოდნავ შევეხე მის კაბას.

– ნება მიბოძეთ, ქალბატონო... – დავიწყე მე.

პაპიდა შეკრთა და მკაცრად შემომხედა.

– რაო-ო! – შეჰყვირა მის ბეტსიმ წარმოუდგენელი გაოცებით.

– პაპიდა!

– როგორ! – შესძახა მის ბეტსიმ და ამ სიტყვებთან ერთად ჩაიკეცა იქვე, ბაღის ბილიკზე, რომელსაც ქვიშა ეყარა.

– მე დავით კოპერფილდი ვარ, ბლონდერსტონიდან, სუფოკლიდან. თქვენ იყავით ჩვენსას იმ დამეს, როდესაც მე დავიბადე, და ნახეთ ჩემი საყვარელი დედა. იგი გარდაიცვალა. მის შემდეგ მე დიდი უბედური ვარ, ქალბატონო! მე მიმაგდეს, არაფერი არ მასწავლეს და ისეთი ხელობა მიმიჩინეს, რომელიც არ შემეფერებოდა. გადავწყვიტე თავი დამენებებინა ამ ხელობისათვის და თქვენთან გამოვქცეულიყავი. გამქურდეს ლონდონიდან გამოსვლისთანავე და დიდი წვალებით მოვდიოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში დამდამობით ბალახზე მეძინა, ცისქვეშ.

ამ მონოლოგის გათავებისას სრულებით დაგკარგე ძალღონე და მხოლოდ ჩემს ძონძებზე მივუთითე, რომელიც ჩემი ტანჯვის მოწმე იყო. ამის შემდეგ მწარე ქვითინი ამივარდა, დავიღვარე ცრემლებად, რომელიც თითქმის მთელი კვირის განმავლობაში დამიგრავდა.

ყოველგვარი გრძნობა გამოიხატა პაპიდას სახეზე, გარდა გაკვირვებისა, როდესაც იგი იჯდა ბაღის ბილიკზე, ქვისაზე და დაშტერებით შემომცქეროდა. მაგრამ როდესაც მან ჩემი მწარე ქვითინი გაიგო, უეცრად წამოხტა საოცარი სისწრაფით, წამავლო კისერში ხელი და წამათრია სასტუმრო ოთახში. აქ მან, უპირველეს ყოვლისა, ბუფეტი გააღო და გამოიღო იქიდან რამდენიმე ბოთლი სხვადასხვა სასმელით; შემდეგ თითო-თითო წვეთი ყველა ბოთლიდან ჩამასხა პირში. როგორცა ჩანდა, სასმელებს განურჩევლად იღებდა, რადგან მე ვყლაპავდი ანისულის წყალს, ანჩოუსის წვენს, სალათისთვის შეზავებულ ძმას და სხვა ამისთანანას, მაგრამ ყველა ამ წამალმა ვერ მოახდინა მოსალოდნელი გავლენა.

მე უწინდებურად მწარედ და გულამოსკვნით ვქვითინებდი. პაპივამ დამსვა სოფაზე, მომახურა თავზე შალი და ფეხქვეშ ცხვირსახოცი გამიშალა, უეჭველია, იმისი შიშით, რომ ხაღინა არ გამეხვარა.

ასე გაიარა რამდენიმე წუთმა. ბოლოს პაპივამ მოახლეს დაუძახა.

– ჯენეტა! – უთხრა პაპივამ, როცა მოახლე შემოვიდა. ადით ზევით და მოახსენეთ მისტერ დიკს, რომ მასთან მოლაპარაკება მსურს.

მე ვიჯექი სოფაზე და განძრევას ვერ ვბედავდი. პაპივამ ხელები ზურგზე დაიწყო და მორთო ოთახში წინ და უკან სიარული. მალე ოთახში შემოვიდა ის ჯენტლმენი, რომელმაც მეორე სართულის ფანჯრიდან შემნიშნა.

– მისტერ დიკ! – უთხრა მას პაპივამ. – გთხოვთ, ახლა ნუ მოისულელებთ თავს, რადგან ქვეყანაზე არავინ არის თქვენზე ჭკვიანი, თუ მოისურვებთ; ჩვენ ყველამ ვიცით ეს. მაშასადამე, სრულებით საჭირო არა რის, რომ თქვენ სულელად გვაჩვენოთ თავი. გაგიგიათ თუ არა ჩემგან ოდესმე დავით კოპერფილდის შესახებ? გთხოვთ, ნუ მიიღებთ ისეთ სახეს, თითქოს არაფერი არ გახსოვდეთ, რადგან ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ მშვენიერი მეხსიერება გაქვთ.

– დავით კოპერფილდი? – უპასუხა მისტერ დიკმა და თან ცდილობდა, გაეხსენებინა ეს სახელი, რომელსაც, ეტყობოდა, ვერც ისე ადვილად იგონებდა. – დავით კოპერფილდი? დიახ, დიახ, თქვენ გითქვამთ იმის შესახებ.

– ძალიან კარგი. მაშ აი, გთხოვთ, იცოდეთ, რომ ეს ბიჭი მისი შვილია. იგი, რასაკვირველია, პირწავარდნილი მამა იქნებოდა, ესე რომ არა ჰგავდეს თავის დედას.

– მართლა? – შესძახა მისტერ დიკმა. – ეს მისი შვილია? ესე იგი, დავითის შვილი?

– და მე უნდა მოგახსენოთ, მისტერ დიკ, – განაგრძობდა პაპივამ, – რომ ეს დავითის შვილი გამოქცეულა! როგორ მოგეწონათ ეს? აი, მისი და კი, ბეტსი ტროტუდი, იგი არასოდეს არ გაიქცეოდა, ეს მე ვიცი.

პაპივამ დაიქნია თავი, დარწმუნებულმა ამ ყმაწვილი ქალის ყოფაქცევაში, რომელც არასოდეს არ დაბადებულა ამქვეყნად.

– მაშასადამე, ახლა თქვენ ჰხედავთ თქვენს წინ დავით კოპერფილდს, და მე მინდა გავიგო თქვენი აზრი – რა გუყო ამ ბავშვს?

– რა უყოთ თქვენ ამ ბავშვს? – გაიმეორა მისტერ დიკმა სუსტი და გაუბედავი ხმით. – რა უყოთ მას? მაგ ბავშვს?

– დიახ, – უპასუხა პაპივამ და საჩველებელი თითი ტუჩებთან მიიტანა, – მარტად, მისტერ დიკ! მე თქვენგან საფუძვლიან პასუხს მოველი.

– რა რჩევაა საჭირო? მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, – უპასუხა მისტერ დიკმა და დაკვირვებით მომაშტერა თავისი თვალები, – მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, თქვენს ადგილას ვიყო... ვაბანებდი მას!

– ჯენეტა! – უთხრა პაპივამ და სწრაფად მიუბრუნდა მას გამარჯვებულის გამომეტყველებით, რაც იმ დროს გაუგებარი იყო ჩემთვის. – მისტერ დიკმა ყველა ჩვენი საფიქრებელი ერთბაშად გამოარკვია. მოამზადეთ აბაზანა.

ამ ლაპარაკით დაინტერესებული, გუმლოდვინედ ვათვალიერებდი პაპივას, მისტერ დიკს და ჯენეტას, რადგან ამ მოკლე ხნის განმავლობაში საკმარისად ნათელი წარმოდგება შემექმნა ამ მოქმედ პირებისა და მოქმედების ადგილის შესახებ.

მის ბეტსი იყო მაღალი ტანის ლედი, მკაცრი, მაგრამ მაინც სასიამოვნო სახის ნაკვეთით. მის სახეში, სიარულში, ხმასა და თავის დაჭერაში იყო რაღაც სიმტკიცის იერი, რომლის გამო ჩემთვის გასაგები გახდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მან საბრალო დედაჩემზე მოახდინა; მაგრამ მიუხედავად მკაცრი გამომეტყველებისა, მის ბეტსის სახის ნაკვეთი სწორი და თითქმის მშვენიერიც კი იყო მისი წლოვანებისათვის. მეტადრე გამაოცა მისი თვალების ცოცხალმა

გამომეტყველებამ. მის ჭაღარა, შუაზე გაყოფილ თმას ჰვარავდა ქერივის თავსაფარი, რომელიც ნიკაპთან ორი ლენტით ჰქონდა შეკრული. პაპიდას სუფთა და ფაქიზი ნაცრისფერი კაბა ისე იყო შეკერილი, რომ არაფერში არ უშლიდა მოძრაობას. მაშინ ისე მეჩვენა, თითქოს ეს კაბა ცხენოსნობისათვის იყო მომზადებული. მაგრამ შემდეგში გავიგე, რომ პაპიდა არასოდეს არ მჯდარიყო ცხენზე.

მისტერ დიკის შესახებ უკვე იყო ნათქვამი, რომ მას ჭაღარა თმები და დაბრაწული ლოყები ჰქონდა. ამით შეიძლებოდა კიდევ გაგვეთავებინა მისტერ დიკის აღწერა, მისი თავი რომ მუდამ დაბლა დახრილი არ ყოფილიყო, რაც მოხუცებულობისაგან არ მოსდიოდა. მის დიდრონ, ნაცრისფერ თვალებში მუდამ რაღაც ბავშვური სიამოვნება გამოსჭვიოდა, როდესაც კი პაპიდა დაიწყებდა მის ქებას. ყველა ამ გარემოებამ, იმის მორცხვ და გაუბედავ მოქმედებასთან ერთად იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ეს ჯენტლმენი ცოტათი ჭკუაზე იყო შემცდარი. მაგრამ თუ ასე იყო, რაღად ცხოვრობდა იგი პაპიდასთან? მისტერ დიკის ტანისამოსი არაფრით არ განირჩეოდა ყველა წესიერი ჯენტლმენის ტანისამოსისაგან: მას ეცვა ნაცრისფერი დილის სერთუკი, თეთრი ჟილეტი და თეთრი შარვალი. ყელზე საათის ძეწკვი ეკიდა. სერთუკის ერთ ჯიბეში ფული ეყარა და მისტერ დიკი ყოველ წუთს აჩხარუნებდა მას.

ჯენეტა იყო მშვენიერი ყმაწვილი ქალი, დაახლოებით ცხრაშვიდი წლისა, და მთელი მისი არსება წარმოადგენდა სისუფთავის სრულ ნიმუშს.

ოთახი ისეთივე სუფთა და ფაქიზი იყო, როგორც პაპიდა და ჯენეტა. როცა ამ წუთში ვიგონებ მას, დავდე ჩემი კალამი და მყისვე ვიგრძენი ზღვისა და ყვავილების სურნელება. მე ისევ დავინახე ძველებური წითელი ხის ავეჯი გაბრწყინებული და გაკრიალებული, პაპიდას საკუთარი სავარძელი, მრგვალი მაგიდა თეჯირის უკან, ვენეციურ ფანჯარასთან, სპარსული ხალლიჩა იატაკზე, კატა, კრიალა საყავე, ორი იადონი, ფაიფურის ფინჯნები, ჩაიდანის, პუნშის ჯამი გამხმარი ვარდის ფურცლებით და კარადა ბოთლებით და გრაფინებით.

ჯენეტა გავიდა აბაზანის მოსამზადებლად და პაპიდა შეუდგა ჩემს კვებას საკუთარი ხელით. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი უეცრად წამოხტა სავარძლიდან, დააგდო კოვზი, გასწორდა წელში და აღმოფოთებულმა შეჰყვირა:

– ჯენეტა! ვირები!

– თვალის დახამხამებაში ჯენეტა გავარდა ჭიშკარში, პატარა მინდორზე, სახლის წინ, სტაცა ხელი აღვირში ორ ვირს, რომლებზედაც ორი ლედი იჯდა, და გაათრია ისინი ამ მინდორის საზღვარს იქით. პაპიდა ამ დროს გამწარებული გავარდა ჭიშკარში და სწვდა აღვირში მესამე ვირს, რომელზედაც ბიჭი იჯდა; მან უკუღმა მიაბრუნა ვირი და ორი მაგარი სილა სტაკიცა უბედურ ბიჭს, რომელმაც გაბედა ამ ნაკრძალ ადგილზე შემოსვლა.

აქამდის არ ვიცი, რა უფლება ჰქონდა მის ბეტსის ამ მწვანე მინდორზე მისი სახლის წინ, ასე იყო თუ ისე, ერთადერთი შეურაცხყოფა, რომელიც აუცილებელ შურისძიებას მოითხოვდა, ეს იყო ვირების შემოსვლა ამ აკრძალულ საზღვარს აქეთ. რა საქმეშიც არ უნდა ყოფილიყო გართული მის ბეტსი, როგორი საინტერესო ბაასიც არ უნდა ჰქონოდა სასტუმრო ოთახში, ვირი იმწამსვე არღვევდა მის აზრთა მსვლელობას, და გაშმაგებით მივარდებოდა ხოლმე თავის მტერს. წყლით სავსე ჭურჭელი ყოველთვის მზად ჰქონდა ფარულ ალაგას – მტრის შემოსევის მოლოდინში, ტალანში, კარებს უკან, წვეტიანი ჯოხები იყო დამალული. სანამ აბაზანას მოამზადებდნენ, ეს ალიაქოთი სამჯერ ატყდა და პაპიდას განსაკუთრებით ისახელა თავი უკანასკნელად, როდესაც ერთს თხუთმეტი წლის წითურ ბიჭთან მოუხდა ბრძოლა. მან მიატყლიტა საბრალო ბიჭი კარებს და საკუთარი ხელით წასწვდა წითელ თმაში, სანამ უბედური ბიჭი მიხვდებოდა, რად და რისთვის სცემდნენ.

როცა ვიბანე, პაპივამ და ჯენეტამ ჩამაცვეს მისტერ დიკის პერანგი და შარვალი და ორი თუ სამი შალი შემომახვიეს. არ ვიცი, რას ვგავდი ამ მორთულობაში, ოღონდ მთელ ტანში სასიამოვნო სითბომ დამიარა. მივწექი სოფაზე და მაშინვე დამეძინა.

არ ვიცი, ცხადი იყო ეს, თუ სიზმარი, ოღონდ მეჩვენა, თითქოს პაპივამ დიდხანს იდგა ჩემს თავთან დახრილი და თმას მივარცხნიდა. დროგამოშვებით მესმოდა სიტყვები: „საბრალო ბავშვი!“ მაგრამ როდესაც გავიღვიძე და თვალები გავახილე, პაპივამ იჯდა სავარძელში ფანჯარასთან და ზღვას გაჰყურებდა.

პაპივას ბრძანების თანახმად, მისტერ დიკს ყურადღებით უნდა მოესმინა მთელი ჩემი თავგადასავალი. მე ვუამბე ყვეაფერი, როგორც შემეძლო, და დაწვრილებით ვუპასუხე ყველა კითხვაზე. ამ მოთხრობის განმავლობაში პაპივამ თვალს არ აშორებდა მისტერ დიკს და ყოველგვარ, როცა კი სახეზე ღმილი გადაუვლიდა ან დაიმანჭებოდა, პაპივამ წარბებს შეიკრავდა და მკაცრად შეაჩერებდა ხოლმე. ამგვარი გაფრთხილება აუცილებელი იყო, რადგან სხვაგვარად მისტერ დიკი ტკბილ ძილს მიეცემოდა.

– გაუგებარია! – წარმოთქვა ბოლოს მის ბეტსიმ. – რად ესაჭიროებოდა იმ უბედურ ბავშვს მეორედ გათხოვება! ვერ გამიგია! იგი რომ უფრო ჭკვიანი ყოფილიყო, – განაგრძობდა პაპივამ, – ისეთი შვილი ეყოლებოდა, რომლისთანაც ცოტაა ქვეყნაზე. რა იქნა, მე თქვენ გეკითხებით, მისი და, ბეტსი ტროტუდი? თქვენ მეტყვით, რომ იგი არც დაბადებულა? სისულელეა! გთხოვთ, ნუ მეტყვით მაგას!

მისტერ დიკს, როგორც ეტყობა, ცოტა შეეშინდა.

– ის არ ეყო, რომ დაჰკარგა ის უბედური ბეტსი ტროტუდი, ამ ბავშვის და! არა! – მოდი, ერთი კიდევ კიდევ გავთხოვდებიო! და ისიც ვისზე? ვიღაცა მორდერერზე! (Murderer – მკვლელი). ახლა – რა გამოვიდა მისი შვილისაგან? ჯერ მიწას არ ასცილებია, და უკვე დაეხეტება, როგორც კაენი, და მოსალოდნელიც იყო.

მისტერ დიკი დამაკვირდა, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, რამდენად ვგავდი კაენს.

ამგვარმა ბაასმა სადამომდე გასტანა.

ჩაის შემდეგ ფანჯარასთან დავსხედით, უეჭველია, იმისთვის, რომ უკეთესად გვედევნებინა თვალყური ვირებისათვის. ბინდისას ჯენეტამ შემოიტანა სანთლები, დადგა სათამაშოდ ნარდი და ფარდები ჩამოუშვა.

– ახლა ყურადღებით იყავით, მისტერ დიკ, – უთხრა პაპივამ და ახედდა თავის მოსაუბრეს, – მე მინდა მოგცეთ ერთი საკმარისად მნიშვნელოვანი კითხვა: შეხედეთ ამ ბავშვს და მითხარით, რას უზამდით თქვენ ახლა მას?

– მას? დავითის შვილს? ე! ა! რას უზამდით თქვენ, ესე იგი მე... მე მას დავაძინებდი.

– ჯენეტა! – შესძახა პაპივამ იმავე სიხარულით, რომელიც მე უწინაც შევნიშნე. – მისტერ დიკმა ხელად გადაწყვიტა საჭირბოროტო საკითხი; თუ ლოგინი გაშლილია, ჩვენ წავიყვანთ ამ ბავშვს ზევით და ლოგინში ჩავაწვენთ.

მე მზრუნველობით წამიყვანეს ზემო სართულში, როგორც ტუსადი. პაპივამ წინ მიგვიძღვოდა, მე მას მივდევი; ჯენეტა უკან მოგვდევიდა.

ჩემი ოთახი, მხიარული და მყუდრო, გაჰყურებდა ზღვას, რომელსაც იმწუთში სავსე მთვარე დაჰნათოდა. დიდხანს ვიჯექი ფანჯარასთან და ვტკბებოდი ბრწყინვალე მნათობის შუქით, რომელიც ზღვის სიღრმეში მოჩანდა; მომეჩვენა, თითქოს მთვარის სხივებში, როგორც ნათელ წიგნში, ვკითხულობდი ჩემი ცხოვრების მომავალ ბედს. ჩემს თავში გაიარა ყველა იმ მივარდნილმა ადგილმა, სადაც მე ცის ქვეშ გავათიე დამეები. შემდეგ თვალები ისევ მივაჩერე მთვარის შევერცხლილ კვალს, ზღვას რომ ანათებდა, და ფიქრებმა გადამტყორცნეს ოცნებათა და ჩვენებათა სამეფოში.

## თავი მეოთხემეტე

### პაპიდა ზომებს იღებს

მეორე დღეს, დილით, ტანთ ჩაფიცვი და სასტუმრო ოთახში ჩავედი. მის ბეტსი ღრმა ფირქებში გართული, მაგიდასთან იჯდა. იგი ხშირ-ხშირად მიყუდებოდა ისეთი უცნაური სახით, თითქოს მისი ყურადღების საგანი ნახევარი კილომეტრით მაინც იყო მისგან დაშორებული. საუზმის გათევის შემდეგ ჩაფიქრებული მივერდნო სავარძლის ზურგს, შეიკრა წარები, გულხელი დაიკრიფა და ისეთი დაშტერებით დამიწყო სინჯვა, რომ სრულებით დავიბენი. ჩემი დარცხვენის დასაფარავად ახალი ენერგიით შევუდექი საუზმეს, მაგრამ ძალიან უხერხულად: დანა ყოველ წუთს ჩანგალსა ხვდებოდა, პირთან მიტანილი ღორის ნაჭრები თეფშზე მივარდებოდა და რამდენჯერმე კინაღამ ჩაით არ დავიხრჩვე.

– მომისმინე! – მითხრა ბოლოს მის ბეტსიმ, ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

მოკრძალებით ავიღე თავი და შევხედე ჩემი ნათესავის ნათელ თვალებს.

– მე წერილი მივწერე შენს მამინაცვალს. შევატყუებინე, რომ ჩემთან გამოიქეცი.

– მაშ თქვენ... გინდათ მასთან დამაბრუნოთ? – წარმოვთქვი ბორძიკით.

– არ ვიცი, – მიპასუხა პაპიდამ, – ვნახოთ!

– ო! რა მეშველება, – შევძახე მე, – თუ ისევ მისტერ მორდსტონის ხელში მომიხდება ცხოვრება!

– ჯერ არაფერი არ ვიცი. ურიგო არ იქნება, თუ ზევით აირბენ და ჩემს მაგივრად მისტერ დიკს დილამშვიდობისას უსურვებ. უთხარი, რომ მაინტერესებს, რა მდგომარეობაშია მისი მემუარები.

საჩქაროდ ავდექი, რომ სისრულეში მომეყვანა მისი დავალება.

მისტერ დიკი, მართლაც, მუშაობაში გართული დამხვდა. იგი წერდა უშველებელი კალმით და თავი თითქმის ზედ ქაღალდზე დაედო. ისე იყო გართლი თავის საქმეში, რომ სრულებით ვერ შენიშნა ჩემი შესვლა. ოთახის კუთხეში დავინახე უზარმაზარი ფრანი (ქაღალდის მგრინავი გველი), მთელი ხროვა ხელნაწერები, აუარებელი კალმები და ათიოდე დიდი მელნის შუშა. ბოლოს მისტერ დიკმა შენიშნა ჩემი იქ ყოფნა.

– ა! ფებ! – მითხრა მან და კალამი დადო. – რაო? როგორია ქვეყნიერება? იცით რა? – დაუმატა მან და ხმა დაიდაბლა. – მე არც კი მინდა ამაზე ლაპარაკი.

– მან ყურში წამჩურჩულა: – მთელი ქვეყანა გადარეულია, გადარეული, ჩემო კარგო, და მსოფლიო – საგიჟეთია! ეს აღმოჩენა მე მეკუთვნის. – აქ მან ამოიღო ბურნუთი, უსუნა და მხიარულად გადაიხარხარა.

ვერ გავბედე პასუხის გაცემა მის უცნაურ სიტყვებზე და დავეჩქარე პაპიდას დავალება დაგამეცა მისთვის.

– თქვენ სწავლობდით სკოლაში? – მითხრა მან.

– ვსწავლობდი, სერ, – ვუპასუხე მე, – მაგრამ მცირე ხანს.

– გახსოვთ, როდის მოკვეთეს თავი ჩარლზ პირველს? – მკითხა დიდმნიშვნელოვნად და ჩემი პასუხის ჩაწერა დააპირა.

– თუ არ ვცდები, ეს მოხდა ათას ექვსას ორმოცდაცხრა წელს.

– ჰმ! – ჩაახველა მისტერ დიკმა და კალმით ყურის ძირი მოიფხანა. – მართალია, ასე წერენ წიგნებში, მაგრამ ყოველად შეუძლებელია, რომ ეს ამბავი ასე ადრე მომხდარიყო! მაშ როგორა ხდება, რომ ამ პირს აკუთვნებენ იმ აზრებს, რომელნიც ჩემს თავში ტრიალებენ?

ფრიად გამოაცა ამ უცნაურმა კითხვამ, მაგრამ უძლური ვიყავი გადამეჭრა ეს ამოცანა.

– საკვირველია, მეტად საკვირველია, – განაგრძობდა მისტერ დიკი; იგი ნაღვლიანად დასცქეროდა თავის ხელნაწერს და ხელს ისვამდა თავზე. – ვერასგზით ვერ გამოვარკვეე ეს საკითხი. თუმცა არა უშავს-რა! – თქვა ბოლოს და ისევ გამხნევდა. – დრო საკმარისია. მოიკითხეთ მის ტროტუვდი და გადაეცით, რომ მშვენივრად ვგრძნობ თავს.

მე დავაპირე წასვლა, მაგრამ მან ისევ შემაჩერა და მკითხა:

– როგორ მოგწონთ ეს ფრანი?

– მშვენიერია, – ვპასუხობ მე.

– ეს ჩემი გაკეთებულია. როდისმე ერთად წავიდეთ მინდორში და ავაფრინოთ.

მისტერ დიკის სახეს კეთილი და გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა, და მისი გარეგნობა უნებურ პატივისცემას იწვევდა. მე გავიღიმე, იმანც გამიღიმა და ჩვენ გულწრფელ მეგობრებად გავშორდით ერთმანეთს.

– აბა! – მითხრა პაპიდამ, როდესაც დაბლა ჩავედი. – როგორ გრძნობს თავს მისტერ დიკი?

– მისტერ დიკმა მოკითხვა შემოგვითვალათ და მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ სრულებით ჯანმრთელად არის, – ვუპასუხე მე.

– რა აზრისა ხარ მის შესახებ? – მკითხა მის ბეტსიმ.

რაც იდუმალი გრძნობის გამო, არ მინდოდა სრულებით გულახდილად გამომეტქვა ჩემი აზრი და ვუპასუხე, რომ მისტერ დიკი, როგორცა ჩანს, მშვენიერი ადამიანია. მაგრამ პაპიდას ვერ დააკმაყოფილებდით ასეთი პასუხით. მან თავი დაანება ხელსაქმეს, გულხელი დაიკრიფა და მითხრა:

– აი, შენი და, ბეტსი ტროტუვდი, არასოდეს არავის შესახებ არ დამალავდა თავის აზრს; შენც იყავი გულახდილი და მითხარი უბრალოდ, რას ფიქრობ მისტერ დიკის შესახებ?

– მე, ღმერთმანი არ ვიცი... მითხარით, პაპიდა... სრულს გონებაზე არის... მისტერ დიკი? – წავილაპარაკე მე, რადგან ვგრძნობდი ჩემი მდგომარეობის უხერხულობას.

– ო, სრულებით! – მიპასუხა მის ბეტსიმ.

– მართლა?

– მთელს ქვეყანაზე არ არის ადამიანი, რომელიც უფრო სრულს გონებაზე იყოს, – შენიშნა პაპიდამ დაბეჯითებით.

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა, და მორიდებით ვუთხარი:

– ნუთუ?

– იგი გიჟად გამოაცხადეს, – მითხრა პაპიდამ. – მე ჩემს მოვალეობად ვთვლი, ყველას ვუამბო მისი ამბავი, რადგან უკვე ათი წელია, რაც ვსარგებლობ ამ ჯენტლმენის საზოგადოებითა და ბრძნული რჩევებით, იმ დროიდან, რაც შენმა დამ ბეტსი ტროტუვდმა მოლოდინი გამიცრუა, მისტერ დიკი მუდამ ჩემთან ცხოვრობს. მთელს ქვეყანაზე არ არის არსება უფრო წყნარი და გულკეთილი. მერე რა ჭკვიანი! როგორ კეთილშობილ რჩევას იძლევა მუდამ! მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ამბავი მხოლოდ მე ვიცი.

პაპიდამ ტუჩის აკვრით გაიქნია თავი იმის ფიქრში, რომ ქვეყანაზე არსებობს ხალხი, რომელსაც შეიძლება ეჭვი დაებადოს მისტერ დიკის სრული გონების შესახებ.

– მისტერ დიკს ჰყავდა და, – განაგრძო პაპიდამ, – კეთილი, მოსიყვარულე არსება, რომელიც მას სულითა და გულით უყვარდა. საუბედუროდ, ეს და აჰყვა სხვა ქალების მაგალითს და გათხოვდა; მისი ქმარიც აჰყვა სხვა ქმრების მაგალითს და თავისი ცოლის დაღუპვის მიზეზი გახდა. ამ უბედურებამ ისეთი საშინელი გავლენა იქონია მისტერ დიკის ნერვებზე, რომ იგი ავად გახდა ცხელებით, რომელსაც, რასაკვირველია, სიგიჟე არა ჰქვია. იმ დროს იგი ჯერ არა

ცხოვრობდა ჩემთან. აქამდის ამ შემთხვევის მოგონება მუდამ დიდ სევდას ჰგვრის მას. ხომ არაფერი უთქვამს შენთვის ჩარლზ პირველის შესახებ?

– როგორ არა, მითხრა.

– აკი ვიცოდი! – თქვა მის ბეტსიმ და ცხვირი მოიფხანა ისეთი სახით, თითქოს ეწყინა ეს მახავი. – მას ჩვეულებად აქვს ალეგორიული, ესე იგი, გადაკრული ლაპარაკი. მისი აზრით გამოდის, რომ ჩარლზ პირველის ტანჯვას უშუალო კავშირი აქვს მის საკუთარ ავადმყოფობასთან. იქნებ იგი მართალიც არის! სიძნელე მხოლოდ იმაშია, რომ ამრიგად გამოთქმული აზრი ყოველთვის არ მოსწონს ბრბოს, რომელიც ხელის ფათურით სიარულს არის დაჩვეული. ეს საკუთარი გამოცდილებითაც ვიცი, და ამიტომ ვურჩევ მისტერ დიკს, რომ ამოშალოს ეს ალეგორიული წვრილმანი თავის მოგონებათა წიგნიდან.

– განა იგი თავისი ცხოვრების მოგონებასა წერს? დიას, – მიპასუხა პაპი დამ და ისევ ცხვირი მოიფხანა. – ძალიან მწყინს, რომ მისტერ დიკი აქამდის ვერ გათავისუფლდა თავისი ალეგორიული ლაპარაკისა და წერისაგან; მაგრამ არა უშავს რა, დაე, იმუშაოს. მუშაობა მისთვის აუცილებელია.

მართლაც, შემდეგში, გავიგე, რომ მისტერ დიკი ათი წელია, რაც ცდილობდა ამოეგდო თავისი ნაწარმოებიდან ჩარლზ პირველის სახელი, მაგრამ ყოველდღე ავიწყდებოდა და ისევ უბრუნდებოდა ამ საგანს.

ბუნდოვნად მივხვდი, რომ პატივცემული პაპიდაჩემი, თავისი ექსცენტრული მოქცევისა და მკვახე მოპყრობის მიუხედავად, დიდი პიატივისციემისა და სრული ნდობის ღირსი იყო. ამ დღეს, როგორც წინა დღესაც, იგი დაუღალავად ებრძოდა ვირებს და ერთხელ საშინლად გაბრაზდა, როდესაც ვიღაც ყმაწვილმა კაცმა ფანჯარაში შემოიხედა და თვალი ჩაუკრა ჯენეტას. პაპიდასთვის არ არსებობდა ამაზე მეტი შეურაცხყოფა.

ის დრო, რომელმაც გაიარა პაპიდას წერილსა და მისტერ მორდსტონის პასუხს შორის, ჩემთვის უადრესი წუხილისა და მღელვარების ხანა იყო; მაგრამ, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდი, შემეკავებინა ჩემი გრძნობები; თავი მხიარულად მეჭირა და ვცდილობდი, მესიამოვნებინა პაპიდისათვის და მისტერ დიკისთვის.

ბოლოს მოვიდა წერილი, რომელსაც ასეთი მოუთმენობით მოველოდი. გული გამისკდა, როცა წერილის წაკითხვის შემდეგ, პაპი დამ გამომიცხადა, რომ მისტერ მორდსტონი თვითონ, პირადად, აპირებს მობრძანებას მოსალაპარაკებლად მეორე დღესო.

იმ დღეს პაპიდა ცოტათი უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ყოველთვის, მაგრამ სახლში არ შემინიშნავს არავითარი მზადება საშინელი სტუმრის მისაღებად. პაპიდა ფანჯარასთან იჯდა ხელსაქმით, და თითქმის არ მოვშორებივარ მას. ღრმა ფიქრებში წასული, ვცდილობდი, დაახლოებით მაინც წარმომედგინა მომავალი სტუმრობის შედეგი. სადილი გადადებული იყო გამოურკვეველი ვადით, მაგრამ როცა ძალიან დაგვიანდა, მის ბეტსიმ უბრძანა სუფთა გაეშალათ. სწორედ ამ დროს ატყდა უეცარი ალიაქოთი ვირების გამო. გავიხედე ფანჯარაში და გავოცდი, როდესაც დავინახე მის მორდსტონი. იგი გვიახლოვდებოდა ჩაფიქრებული პოზით, სწორედ პაპიდას მიმდორზე!

– გასწით, გასწით აქედან! – დაიყვირა პაპი დამ და მუშტით დაემუქრა ფანჯარაში. – აქ არაფერია სათქვენო! – როგორა ბედავთ სხვის მიწაზე სიარულს? გასწით, გასწით!

პაპიდა ისე გააკვირვა მის მორდსტონის დაღვრემილმა სიმშვიდემ და გულგრილობამ, რომ ერთი წუთით იგი უძრავად დარჩა და ჩვეულებისამებრ არ გავარდა ქუჩაში ჯოხით ხელში. ვისარგებლე ამ წუთით და დავაჩქარე შემეტყობინებინა, ვინ იყო ეს უტიფარი არსება, და ამავე დროს ავუხსენი, რომ ჯენტლმენი, რომელიც ცოტაოდენი მოშორებით მოსდევდა მას, იყო თვით მისტერ მორდსტონი!

– რა ჩემი საქმეა, ვინც გინდა იყოს! არავის მივცემ ჩემი მიწის გაოხრების ნებას! ეი, მოშორდით მანდედან! ჯენეტა, გააგდეთ!

ვირი თავგამოდებით იცავდა თავს ოთხივე ფეხით, როდესაც ჯენეტა აღვირით მას უკან მიათრევედა და მისტერ მორდსტონი კი წინ მიერეკებოდა. მის მორდსტონი ქოლგითა სცემდა ჯენეტას. ქუჩის ბიჭები აღტაცებით ჭყოდნენ.

– მე გავიდე, პაპიდა? – ვკითხე ათრთოლებული ხმით.

– რადა? აქ დარჩით, სერ.

ამ სიტყვებით პაპიდამ ხელი მკრა კუთხისკენ და მომადგა სავარძელი იმრიგად, რომ შიგ მოვემწყვდიე, როგორც ციხეში ან როგორც სასამართლოში, მთავარი ვეჭილის კათედრასთან. ეს პოზიცია მთელი ამ აუდიენციის განმავლობაში მეკავა.

მის და მისტერ მორდსტონი შემოვიდნენ.

– აჰ, მაშ ეს თქვენ იყავით! – უთხრა მათ მის ბეტსიმ, – მე კი სწორედ მოგახსენოთ, ვერასვებით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს თქვენა ხართ! თუმცა სულ ერთია, არავის მივცემ ნებას იაროს მწვანეზე ჩემი სახლის წინ. ეს ჩემი წესია და არავისთვის არ ვაკეთებ გამონაკლისს. თქვენ, თუ არა ვცდები, სწორედ ის მისტერ მორდსტონი ბრძანდებით, რომელმაც შეირთო ჩემი განსვენებული ძმისწულის დავით კოპერფილდის ქვრივი?

– დიას, ქალბატონო, მე თქვენი ნათესავი მყავდა ცოლად.

– და ძალიან ცუდად მოიქეცით, რომ შეირთეთ, სერ! საბრალო ბავშვი გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა, თავი რომ დაგენებებინათ მისთვის. ასეთია ჩემი აზრი, სერ. ჯენეტა, სთხოვეთ მისტერ დიკს, აქ ჩამოვიდეს.

მისტერ დიკის ჩამოსვლამდე პაპიდა იჯდა ხმაამოუღებლად, წელში გამართული, და მრისხანედ შეჰყურებდა კედლებს. როცა კარი გაიღო, მან საჩქაროდ გააცნო მისტერ დიკი თავის სტუმრებს.

– მისტერ დიკი, ჩემი ძველი, ერთგული მეგობარი. მის აზრსა და რჩევას მე სავსებით ვენდობი, – დაამთავრა მის ბეტსიმ განსაკუთრებული გამომეტყველებით და მკაცრად თვალი გადაავლო მისტერ დიკს.

– მის ტროტვუდ, – დაიწყო მისტერ მორდსტონმა, – თქვენი წერილის მიღების შემდეგ საჭიროდ დავინახე, სამართლიანობის აღსადგენად და უმთავრესად კი – თქვენდამი პატივისცემის ნიშნად...

– მადლობას მოგახსენებთ, – უთხრა პაპიდამ და თან არ აშორებდა თავის გამჭრიახ თვალებს, – ჩემს შესახებ ნუ შესწუხდებით.

– მე ვარჩიე პირადად, მიწერ-მოწერის გარეშე, გამეცა თქვენთვის პასუხი, მიუხედავად იმ ზოგიერთი უხერხულობისა, რომელიც თავად სდევდა ამ მგზავრობას, – განაგრძობდა მისტერ მორდსტონი. – ეს უბედური ბიჭი, მის ტროტვუდ, არაერთხელ ყოფილა მიზეზი ოჯახური ალიაქოთისა და უსიამოვნებისა, როგორც ჩემი შეუდარებელი მეუღლის სიცოცხლის დროს, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. მას მუდამ ემჩნეოდა აუტანელი, თავაწყვეტილი ხასიათი და ისეთი მიდრეკილებანი, რომელთა გამო ყოვლად შეუძლებელი იყო ფიქრი რაიმე ღმობიერებაზე. მე და ჩემი და ვცდილობდით შეძლებისდაგვარად გამოგვესწორებინა მისი ნაკლოვანებანი, მაგრამ მთელმა ჩვენმა ცდამ უნატყოფოდ ჩაგვიარა. საჭიროდ დავინახე, პირადად მეცნობებინა თქვენთვის ყველა ეს სამწუხარო ამბავი, და თქვენ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, მის ტროტვუდ, რომ ჩვენ ვიქცევით მიუდგომლად, სინდისისა და პატიოსნების თანახმად.

– მე, ჩემის მხრივ, ზედმეტად ვთვლი იმის დადასტურებას, რასაც ჩემი ძმა ლაპარაკობს, – წარმოთქვა მის მორდსტონმა, – თუმცა გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ჩემი ღრმა რწმენით, დავით კოპერფილდი უსაძაგლესი ბიჭია ქვეყანაზე.



– რაც შეეხება მისი აღზრდის სისტემას, აქ მე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ვიქცევი ჩემი საკუთარი შეხედულების თანახმად, – დაიწყო ისევ მისტერ მორდსტონმა, რომლის სახე თანდათან იღრუბლებოდა, როდესაც მისი თვალები ჰხვდებოდნენ მის ბეტსის გამჭრიახ თვალებს.

– თქვენი განსვენებული მეუღლე უბედური ბავშვი იყო, სერ, მოკლებული ყოველგვარ გამოცდილებას, რაც აუცილებელია, მეტადრე იმისათვის, ვისაც ისეთ ქმართან უხდება საქმის დაჭერა, როგორც თქვენ ბრძანდებით, სერ, – უპასუხა პაპი დამ და თან დაჟინებით სინჯავდა მისტერ მორდსტონს. – თქვენი ცოლი გულშობრყვილო, უსუსური ბავშვი იყო, თუ გნებავთ, რომ მოკლედ და ნათლად მოვჭრა. კიდევ ხომ არას ინებებთ, შემატყობინოთ?

– მე იმისთვის მოვედი აქ, რომ ჩემს სახლში წავიყვანო დავითი, – წავიყვანო ყოველგვარი პირობებისა და შეზღუდვის გარეშე. სრულებით მოვალე არა ვარ ანგარიში ჩავაბარო ვისმეს და ზედმეტად ვთვლი რაიმე პირობის მიცემას ამ ბავშვის შესახებ. თუ თქვენ, მის ტროტვუდ გადაწყვიტეთ – ამ ბავშვისა და ჩემს შორის ჩადგეთ, ეს პოზიცია თქვენ სამუდამოდ უნდა დაიკავოთ. მე არ ვხუმრობ და არავის მივცემ ნებას, მასხრად ამიგდოს. მე მოვედი აქ პირველად და უკანასკნელად, იმ პირობით, რომ თან წავიყვანო იგი. მზად არის თუ არა წამოსასვლელად? თუ მზად არ არის, იცოდეთ, მის ტროტვუდ, რომ ჩემი სახლის კარები ერთხელ და სამუდამოდ იკეტება მისთვის, და თქვენ კისრულობთ გაულოთ მას საკუთარი სახლის კარები.

პაპი და დიდი ყურადღებით ისმენდა მის ლაპარაკს და, როგორც ჩანდა, ცდილობდა, არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. როცა მისტერ მორდსტონმა დაამთავრა სიტყვა, მის ბეტსიმ გაუნძრევლად გაიხედა იქით, სადაც მის მორდსტონი იჯდა, და ჰკითხა ლაკონურად:

– თქვენ ხომ აღარაფერს ბრძანებთ კიდევ?

– არაფერს, მის ტროტვუდ. უპასუხა მის მორდსტონმა. – ჩემმა ძმამ ნათლად და დაწვრილებით გამოთქვა ყველაფერი, რაც კი მე შემეძლო გადმომეცა თქვენთვის.

– ახლა უნდა გავიგო, რას იტყვის თვითონ ბავშვი, – თქვა პაპი დამ და მე მომიბრუნდა. – მზადა ხარ წაჰყვებ, დავით?

მე ვუპასუხე, რომ არა, და ვთხოვდი პაპიდას არ მოვეშორებინე არც ახლა, არც შემდეგ, არასოდეს! ვუთხარი, რომ არავინ იყო ამ ქვეყნად ჩემზე უბედური, როდესაც მაგ ხალხთან ვცხოვრობდი. მაგათ დედაჩემიც გააუბედურეს ჩემი გულისთვის; პეგოტიმ კარგად იცის ყოველივე ეს. არ მახსოვს, რა სიტყვებით ვამბობდი ყოველივე ამას, მაგრამ მახსოვს, როგორი სიმწრით ვლაპარაკობდი.

– მისტერ დიკ, – უთხრა პაპი დამ თავის მეგობარს, – რა ვუყო მე ამ ბავშვს?

მისტერ დიკმა იფიქრა ცოტა ხანს და შემდეგ უპასუხა გაბრწყინებული სახით:

– მოიწვიეთ მკერავი და ახალი ტანისამოსი შეუკეროთ!

– მისტერ დიკ! – უთხრა გახარებულმა პაპი დამ. – მომეცით თქვენი ხელი: თქვენი რჩევა პირდაპირ დაუფასებელია.

მან მაგრად ჩამოართვა ხელი მისტერ დიკს და უთხრა მისტერ მორდსტონს:

– თქვენ შეგიძლიათ წაბრძანდეთ, სადაც გნებავთ: ბავშვი ჩემთან რჩება თუ იგი მართლაც ისეთი ცუდია, როგორც თქვენ ამიწერეთ, ვეცდები, იმდენი მაინც გავაკეთო მისთვის, რამდენსაც თქვენ აკეთებდით. თუმცა უნდა უნდა გაგაფრთხილოთ, რომ არ მჯერა არც ერთი თქვენი ნათქვამი სიტყვა. მშვიდობით, სერ, – დაუმატა პაპი დამ, – მშვიდობით, მის მორდსტონ! თუ თქვენ ერთხელ კიდევ მოგივათ აზრად ჩემს მინდორზე გასეირნება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მოგაგლეჯთ თავიდან მაგ ქუდს და ფეხით გავთელავ.

ადამიანი მხატვარი უნდა იყოს, და ამასთან გენიოსი მხატვარი, – რომ შეიძლოს სწორედ გადმოსცეს პაპიდას სახე, როცა იგი ამ სრულებით

მოულოდნელ სენტენციას ამბობდა, – და მის მორდსტონის სახე, როცა იგი ისმენდა ამას. ხმაამოუღებლად, მის მორდსტონმა ხელი მისცა ძმას. ისინი საჩქაროდ გავიდნენ პაპიდას სახლიდან.

თანდათან პაპიდას გაეხსნა შუბლი და მალე სრულებით მხიარული სახე მიიღო. ამ გარემოებით გამხნეებულმა, გავბედე ჩემი უდიდესი მადლობა გადამეხადა პაპიდასათვის, ხელი მოვხვიე კისერზე და ვაკოცე მას ბავშვური სინაზით. შემდეგ ხელი ჩამოვართვი მისტერ დიკს, რომელმაც მხიარული სიცილი დაიწყო.

– ამას იქით, მისტერ დიკ, – უთხრა პაპიდამ, – მე და თქვენ საერთო ძალით უნდა ვუპატრონოთ ამ ბავშვს.

– ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება დავითის შვილის პატრონობა, – უპასუხა მისტერ დიკმა.

– მაშასადამე, ეს გადაწყვეტილი ამბავია, – თქვა პაპიდამ. – იცით რა, მისტერ დიკ? მე მინდა მას ტროტვეუდი დავარქვა.

– დიახ, დიახ, რასაკვირველია! – დაუდასტურა მისტერ დიკმა.

პაპიდას ისე მოეწონა ეს აზრი, რომ მზა ტანისამოსზე, რომელიც იმ საღამოსვე იყიდეს ჩემთვის, საკუთარი ხელით დააწერა მეღნი: „დავით ტროტვეუდ კოპერფილდი“

...

ამგვარად დავიწყე ახალი ცხოვრება ახალი სახელით და ახალი საგნებით ჩემს გარშემო. ამგვარი მდგომარეობა რამდენიმე დღის განმავლობაში სასიამოვნო სიზმრად მეჩვენებოდა. მე არ მომილოდა აზრად, რა უცნაურები იყვნენ ჩემი ახალი აღმზრდელები – პაპიდა და მისტერ დიკი. პირველ ხანებში სრულებით არა ვფიქრობდი ჩემს მომავალზე. ყოველ შემთხვევაში, ორი რამ სრულებით ცხადი იყო ჩემთვის: ჯერ ერთი, რომ სამუდამოდ მოვრჩი ბლონდერსტონის ცხოვრებას, მეორეც ის, რომ ჩემი სამსახური „მორდსტონისა და გრინბის“ ღვინის საწყობში სამუდამოდ დაიფარა ჩემს თვალთახედვიდან მძიმე ფარდით. ამის შემდეგ არავის და არასდროს აღარ აუხდია ეს ფარდა.

## თავი მეთხუთმეტე

### ახალი ცხოვრება

სულ მოკლე ხანში მე და მისტერ დიკი ნამდვილი მეგობრები გავხდით და ერთად გავდიოდით ქუჩაში ფარნის ასაშვებად.

მისტერ დიკი ყოველდღე იჯდა და წერდა მემუარებს, მაგრამ საქმე მიუხედავად ამისა, მაინც სრულებით ვერ მიდიოდა წინ, რადგან ჩარლზ პირველი ყოველ გვერდზე იჩენდა თავს. როცა მისტერ დიკი გააფუჭებდა ერთ თაბახს, იგი მეორე თაბახს ჰკიდებდა ხელს. არ შეიძლებოდა ადამიანი არ გაოცებულიყო იმ მოთმიჯებით, რომლითაც მისტერ დიკი იტანდა ამ ამბავს, და იმედით, რომითაც ისევ და ისევ უბრუნდებოდა თავის შრომას. ჩარლზ პირველი მისი მუდმივი დამაბრკოლებელი საგანი იყო და მასზე იმსხვრეოდა მთელი მისი ნიჭი.

ამგვარი მეგობრული განწყობილების გამო მისტერ დიკთან, ძნელი არ იყო პაპიდას გულისმოგება. მას ისე შევუყვარდი, რომ ჩემი ახალი სახელი – ტროტვეუდი – ტროტად შეამოკლა და ამასთან გამამხნევა იმედით, რომ შემდეგში იმავე ადგილს დავიჭერდი მის გულში, როგორც ეჭირა ჩემ დას, ბეტსი ტროტვეუდს.

– ტროტ, – მითხრა პაპიდამ ერთ საღამოს, – ჩვენ უნდა ვიფიქროთ შენს სწავლაზე. ხომ არ გინდა კენტერბერის პანსიონში შეხვიდე?

მე ვუპასუხე, რომ ძალიან მინდა, მით უმეტეს, რომ კენტერბერი შორს არ არის დუფრიდან.

– ძალიან კარგი, – მითხრა პაპივამ. – ხომ არ გინდა ხვალ წავიდეთ?

უკვე შევეჩვიე პაპივას სწრაფ გადაწყვეტილებებს და ამიტომ ამ კითხვამ სრულებით არ გამაკვირვა.

– დიას, პაპივამ.

– კეთილი. ჯენეტა, დაიქირავეთ კაბრიოლეტი და ლურჯა ცხენი ხვალ დილის ათი საათისთვის და ჩააღაგეთ საგზაოდ მისტერ ტროტვუდის ნივთები.

მეორე დილას პაპივამ, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საზოგადოების აზრს, თვითონ წამიყვანა კენტერბერიში დუფრის ქუჩებით და მშვენიერად უძღვებოდა ლურჯს ცხენს. როცა გავცილდით ქალაქის ქუჩებს, ვკითხე:

– დიდა ეს სკოლა?

– მე თვითონაც არ ვიცი. ჩვენ ჯერ მისტერ ვიკფილდთან მივალთ.

ვერ გავბედე მეკითხა, ვინ იყო ეს პირი. ჩვენ სხვა საგნებზე ვლაპარაკობდით თვით კენტერბერიში მისვლამდე.

მივედით ძველებურ ფართო, ვენეციურ ფანჯრებიან სახლთან, როდესაც ჩვენი კაბრიოლეტი გაჩერდა, კარებიდან გამოვიდა წითელთმიანი ჭაბუკი მომაკვდავსავით გაფითრებული სახით. მას არ ჰქონდა არც წარბები არც წამწამები და მოწითალო თვალები სრულებით მოკლებული იყო ამ ბუნებრივ ჩრდილსა და საფარველს. ამ გარემოებამ ძალიან გამაკვირვა და ვერ წარმომედგინა, როგორ შეეძლო ძილი ამგვარ ადამიანს. გრძელკალთებიანი სერთუკი შეკრული ჰქონდა ყველა ღილაზე, ყველამდე.

– გამარჯობათ, ური ჰიპ! – უთხრა ყმაწვილს პაპივამ. – შინ არის მისტერ ვიკფილდი?

– მისტერ ვიკფილდი? შინ გახლავთ, მის ტროტვუდ, თუ ინებებთ, იქით მიბრძანდით, – უპასუხა ური ჰიპმა და თავისი გრძელი ხელით ოთახზე მიუთითა.

ჩამოვედით კაბრიოლეტიდან, დავეუბრეთ ცხენი წითელთმიან ყმაწვილს და შევედით გრძელ, დაბალ სასტუმრო ოთახში, რომლის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა. მაღალი, ძველებური ბუხრის თავზე ეკიდა ორი პორტრეტი; ერთზე იყო გამოსატყული ჯენტლმენი ჭადარა თმით (თუმცა სრულებით ყმაწვილი სახით) და შავი წარბებით, რომელიც დასცქეროდა წითელი ზონრით შეკრულ რაღაც ქაღალდებს; მეორე პორტრეტი იყო ახალგაზრდა ლედისა, ნაზი და მომხიბლავი სახით, რომელიც თითქოს მე მიყურებდა. ოთახში მეორე ბოლოში გაიღო კარი და შემოვიდა ჯენტლმენი. ეს იყო გაცოცხლებული პორტრეტი, ოღონდ რამდენიმე წლით უფრო ხნიერი.

– მის ბეტსი ტროტვუდ! – მიმართა ჯენტლმენმა პაპივას, – გთხოვთ, მობრძანდით. რომელმა ქარმა დაჰბერა და მოგიყვანათ ჩვენს მხარეს? იმედი მაქვს, რომ ეს ზენაქარი არ იყო?

– არა, მე სადავო საქმეზე არ მოვსულვარ.

– კეთილი და პატიოსანი! დიდი ხანია დროა, თავი დავანებოთ ყველა ამ იურიდიულ საქმეს.

ეს ჯენტლმენი გახლდათ მისტერ ვიკფილდი, ვექილი და მთავარი გამგე რომელიც ლორდის მამულებისა. მისი სახე ძალიან სასიამოვნო მეჩვენა. მისი სავესტო ლოყები შეფერადებული იყო იმ მშვენიერი ფერით, რომელიც აიხსნება პორტვინის მუდმივი ხმარებით.

– ეს ბავშვი ჩემი შვილიშვილია, – უთხრა პაპივამ. – მე ვიშვილე იგი ამ ცოტა ხნის წინათ და ახლა მოვიყვანე აქ, რომ მივაბარო პანსიონში, სადაც კარგად ასწავლიან ყველა საგანს და ადამიანურად ექცევიან ბავშვებს. მითხარით, სად არის აქ ასეთი პანსიონი?

– საუკეთესო პანსიონში, რამდენადაც ვიცი, თქვენი შვილიშვილი შეიძლება მოეწეოს მხოლოდ როგორც გარედან მოსიარულე, – უპასუხა მისტერ ვიკფილდმა რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ.

– რა უშავს მერე? მას შეუძლია სხვაგან იცხოვროს და მარტო სასწავლო საათებში იაროს იქ.

მისტერ ვიკფილდმა ეს შესაძლებად სცნო. მან კიდევ გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება და შემდეგ ურჩია პაპიდას, თვითონვე წასულიყო პანსიონში, დაეთვალა იქაური წესები და ისე გადაეწყვიტა საქმე.

პაპიდა დაეთანხმა ამ წინადადებას და ისინი ერთად წავიდნენ. კარგა ხნის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ კმაყოფილები. მათმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. პანსიონი მშვენიერი აღმოჩნდა, ოღონდ პაპიდას არ მოსწონებოდა ჩემს საცხოვრებლად არც ერთი ბინა, რომელიც მას უჩვენეს.

– დატოვეთ დროებით თქვენი შვილიშვილი ჩემთან, – მისცა წინადადება მისტერ ვიკფილდმა. – იგი ჭკვიანი ბავშვი ჩანს და იმედი მაქვს, არ შემაწუხებს.

– დიდად გამადლობთ, მისტერ ვიკფილდ; ჩემი შვილიშვილიც მაძლობელია, როგორც ხედავთ, მაგრამ...

– რაღა „მაგრამ“?.. ვხედავ, რა გაქვთ აზრად, მის ბეტსი. ნუ იფიქრებთ ამაზე. მე სრულებით არ მინდა თქვენი შეწუხება და არ მინდა იფიქროთ, თითქოს ჩემი მოვალე ხართ: თუ გნებავთ, თქვენ შეგიძლიათ გადაიხადოთ მაგისი შესანახი ფასი.

– ამ პირობით კი დიდი მოხარული ვიქნები, რომ თქვენთან დავტოვო ბავშვი, თუმცა მაინც დიდად მაგალებთ ამით.

– მაშ ახლა უნდა გაგაცნოთ ჩემი პატარა დიასახლისი. წამობრძანდით.

ჩვენ ავედით მეორე სართულში საკვირველი ძველებური კიბით, რომელსაც ისეთი ფართო მოაჯირი ჰქონდა, რომ მასზე, როგორც საფეხურებზე, თავისუფლად შეიძლებოდა ასვლა. დიდი გემოვნებით მორთულ ოთახში, სხვათა შორის, იდგა ფორტეპიანო და ყვავილების რამდენიმე თაიგული. კუთხეებში ღამაზად იყო მიწყობილი მზრუნველის ხელით სხვადასხვა ნივთები სასიამოვნო და მიმზიდველი ფორმისა: პატარა მრგვალი მაგიდა, თაროები, ბუფეტი, წიგნების კარადა და კიდევ სხვა ამგვარი საგნები.

მისტერ ვიკფილდმა დააკაკუნა მეორე კარი, და ჩვენთან მარდად შემოირბინა თითქმის ჩემი ხნის გოგონამ. იგი კისერზე მოეხვია მისტერ ვიკფილდს და აკოცა მას.

– აი ჩემი პატარა დიასახლისი, – გვითხრა მისტერ ვიკფილდმა, – ჩემი ქალი აგნესა.

პირველ დანახვაზედვე შევნიშნე ამ ჰაეროვან არსებას ის ნაზი და კეთილი გამომეტყველება, რომლითაც მიყურებდა ლედის სურათი ქვემო სართულის სასტუმროში. მის თვალებში კრთოდა სრული კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობა, თუმცა იმავე დროს მთელი მისი არსება გამსჭვალული იყო რაღაც წყნარი, აუშფოთებელი, სერიოზული სიმშვიდით, რომელიც არასოდეს არ მავიწყდებოდა და არასოდეს არც დამავიწყდება.

პატარა დიასახლისი მშვენივრად უხდებოდა მთელ ამ ძველებური სახლის მორთულობას. პაწაწინა გასაღებების აბმულა ეკიდა მას ქამართან. მომხიბლავი ღიმილით მოუსმინა მამას, როდესაც მისტერ ვიკფილდმა გააცნო ჩემი თავი, როგორც ახალი მდგმური. ამის შემდეგ ჩვენ ყველანი წავედით ზევით, ჩემი ოთახის დასათვალაიერებლად. პატარა დიასახლისი წინ მიდიოდა და გზას გვიჩვენებდა. ჩემი ოთახი, მშვენივრად მოწყობილი მუხის ავეჯით, ყოველმხრივ შესაფერისი გამოდგა. პაპიდა და მე სრული კმაყოფილები ვიყავით, და ჩვენ ყველანი ჩავედით ქვემო სართულის სასტუმროში, ძალიან მხიარულნი და ნასიამოვნები.

მისტერ ვიკფილდმა ბევრი სთხოვა პაპიდას სადილად დარჩენილიყო, მაგრამ მან გადაჭრილი უარი უთხრა იმ მოსაზრებით, რომ უსათუოდ თვალნათლივ უნდა მისულიყო სახლში. ამიტომ პატარა დიასახლისმა განკარგულება მოახდინა, საჩქაროდ საუზმე მოემზადებინათ. საუზმის შემდეგ ჩვენ მარტონი დაგვტოვეს, რომ გამოთხოვება შეგვძლებოდა, როგორც გვსურდა.

პაპიდამ მითხრა, რომ მისტერ ვიკფილდმა საუკეთესოდ მოაწყო ყველა ჩემი საქმე და არაფერი გამიჭირდებოდა.

– ტროტ, შვილო, ღმერთმა დაგლოცოს, – მითხრა პაპიდამ, – ეცადე გაამართლო იმედები; შენი საკუთარი, ჩემი და მისტერ დიკისა.

გულაჩუყებულმა, სულით და გულით გადაუფხადე მადლობა პაპიდას და მოკითხვა შევუთვალე მისტერ დიკს.

– ნუ იქნები სულმდაბალი, ორპირი და სასტიკი. თუ მედები, აიცილინო ეს სამი დიდი ნაკლი, ჩემი იმედები გამართლდება, შვილო.

დავიბრდი პაპიდას ზედმიწევნით ამესრულებინა მისი რჩევა.

– ცხენი კარებთან მეღის, – თქვა პაპიდამ ბოლოს. – მივდივარ. შენ აქ დარჩები.

ამ სიტყვებით იგი მომეხვია უკანასკნელად, საჩქაროდ გავიდა ოთახიდან და კარები გაიხურა.

მე ჯერ გამაკვირვა პაპიდას ამგვარმა სწრაფმა წასვლამ და შემეშინდა კიდევ, ხომ არაფერი ვაწყენინე-მეთქი. ჩემს კეთილისმყოფელს; მაგრამ როდესაც ფანჯარაში გავიხედე, სულიერი ტანჯვის ანარელი დავინახე მის სახეზე, როცა იგი კაბრიოლეტში ჯდებოდა, და უკეთ ვიცანი მაშინ ჩემი პაპიდა.

ნასადილევს ჩვენ ყველანი ავედით ზევით, ისევ იმ სასტუმროში, სადაც წინათ ვიყავით. ერთ-ერთ მაგიდაზე კუთხეში აგნესამ დადგა ღვინის ჭიქა და გრაფინი პორტვინით თავისის მამისთვის.

იჯდა იგი და ნელნელა სვამდა, ბევრს, ბევრსა სვამდა. ამ ხნის განმავლობაში აგნესა უკრავდა ფორტეპიანოზე, მღეროდა, ხელსაქმობდა, გველაპარაკებოდა მამასა და მე. მისტერ ვიკფილდი ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო, მაგრამ ზოგჯერ მისი თვალები შეჩერდებოდნენ ხოლმე მის ქალზე ნაღვლიანი გამომეტყველებით, და გაჩუმდებოდნენ. ამ შემთხვევაში აგნესა ყოველთვის ცდილობდა გაემხიარულებინა თავისი მამა რაიმე კითხვით ან ბავშვური აღერსით. მისტერ ვიკფილდი იმწამსვე თავს ანებებდა ფიქრებს და პორტვინით ივსებდა ჭიქას.

აგნესა გვისხამდა ჩაის და თავმჯდომარეობდა სადამოს სუფრაზე. სადამომ გაიარა იმგვარსავე ბაასში, როგორც სასტუმრო ოთახში, სანამ აგნესამ არ დააპირა დასაძინებლად წასვლა. მისტერ ვიკფილდი მოეხვია და აკოცა მას, და როცა აგნესა გავიდა, მაშინ უბრძანა აენტოთ სანთლები კანტორაში.

ძილის წინ გავისეირნე ქუჩაში, რომ ერთხელ კიდევ შემეხედა კენტერბერის განთქმულ ძველებური ტაძრისათვის. დაბრუნებისას შევხვდი ური ჰიპს, რომელიც კანტორის დარაბებს ჰკეტავდა. აღსავსე მეგობრული გრძნობით ამ სახლის ყველა მცხოვრებისადმი, მივედი მასთან, გამოვეხმაურე და გამოთხოვებისას ხელი გავუწოდე. მაგრამ რა უცნაური და საზარელი იყო ამ ადამიანის ხელის ჩამორთმევა! იგი უწინდელზე მეტად წააგავდა სამარიდან ამოდებულს, და ხელები ვისრისე, რომ როგორმე მომემორებინა მისი მოკარების გრძნობა და გამეთბო ხელები.

ეს ცივი და სველი ხელი მომაგონდა ჩემს საწოლ ოთახში. გავადე ფანჯარა და გავხედე პირდაპირ მდგომი სახლების სახურავებს; იმწამსში მომეჩვენა, თითქოს ური ჰიპი ასულიყო მადლა, სახურავზე, და იქიდან მიყურებდა! საჩქაროდ მივხურე ფანჯარა და ლოგინში ჩავწექი.

მეორე დღეს, დილით, მისტერ ვიკფილდმა წამიყვანა სკოლაში. სკოლის დირექტორი, დოქტორი სტრონგი, თავის ბიბლიოთეკაში იჯდა. ადამიანი ვერ

იტყოდა, რომ მისი ტანისამოსი განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო გაწმენდილი, ან თმები ჰქონდა წესიერად და ლამაზად დავარცხნილი, – სრულებით არა! შავი გეტრები გახსნილი ჰქონდა და ფეხსაცმელები, გვერდზე რომ ელაგა ხალიჩაზე, თითქოს ამოქნარებდნენ საშინელი დაღლილობისა და მოწყენილობისაგან. დოქტორ სტრონგმა მომმართა და მითხრა, რომ ესამოვნა ჩემი ნახვა, და გამომიწოდა თავისი დიდი ხელი, რომლისთვისაც არ ვიცოდი, რა მექნა.

მის შორიასხლოს მშვენიერი ყმაწვილი ლედი იჯდა ხელის ქნარით. ჩვენი შესვლის ერთი წუთის შემდეგ იგი სწრაფად ადგა, მხიარულად დაეშვა მუხლებზე დოქტორ სტრონგის წინ და ფეხსაცმელები ჩააცვა. როდესაც გაათავა ეს საქმე, თავი დაგვიკრა და ყველანი გავედით სამეცადინო დარბაზში.

– მართლა, ვიკვილდ, – თქვა დოქტორმა, შეჩერდა დერეფანში და ხელი დამადო მხარზე, – თქვენ ჯერ კიდევ ვერ უმოვეთ ადგილი ჯეკ მაღდონს, ჩემი ცოლის ბიძაშვილს?

– არა, – უპასუხა მისტერ ვიკვილდმა, – არა, ჯერ ვერ მომინახავს.

– ძალიან სამწუხაროა, რაც უფრო მალე გათავდება ეს ამბავი, მით უკეთესი, – უთხრა დოქტორ სტრონგმა.

დოქტორი სტრონგი მხიარულად მიდიოდა წინ, რაღაც უცნაური ნაბიჯით და გვერდიდან გვერდზე იხრებოდა. ჩვენ მივდევდით მას. მე შევნიშნე, რომ მისტერ ვიკვილდის სახემ შეწუხებული გამომეტყველება მიიღო, და რამდენჯერმე გაიქნია თავი.

სამეცადინო დარბაზი იყო საკმაოდ გრძელი და განიერი ოთახი სახლის მოშორებულ და მიყურებულ ნაწილში. ასე, დაახლოებით ოცი, ოცდახუთი ყმაწვილი, რომელნიც წიგნებს უსხედნენ, ფეხზე წამოდგნენ და დილა მშვიდობისა უსურვეს დოქტორ სტრონგს. ისინი აღარ დამსხდარან, როდესაც დაგვინახეს მისტერ ვიკვილდი და მე.

– აი, თქვენი ახალი ამხანაგი, ყმაწვილო ჯენტლმენებო, – უთხრა გამგემ, – ტროტგუდ კოპერფილდი.

უკვე გადაჩვეული ვიყავი ზრდილობიანი ბავშვების საზოგადოებას, და ისეთი დიდი ხანი იყო, რაც არ მენახა ტოლები, გარდა მიკ უოკერისა და „კარტოფილასი“, რომ პირველად ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. ჯერ კიდევ ბავშვი გარეგნობით, უკვე გამობრძმედილი ვიყავი. ცხოვრებაში, ასე რომ, ყველა ეს ბავშვი, ერთად აღებული, ისე გამოცდილი არ იყო, როგორც მე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვატყუებდი ყველას, როდესაც შევდიოდი მათ წრეში, როგორც ჩვეულებრივი ახალი შეგირდი. ამას გარდა, ჩემმა ყოფნამ „მორღსტონისა და გრინის“ ღვინის საწყობში სრულებით გადამაჩვია ყველა თამაშობასა და ვარჯიშობას, ასე რომ, ჩემს ახალ ამხანაგებს შორის შემეძლო სრულებით უვიცის შთაბეჭდილება მომეხდინა. ყველა ჩემი ცოდნა, შეძენილი სახლში, დედის ხელმძღვანელობით, და მისტერ კრიკლის პანსიონში, გაჰქრა საბოლოოდ ცხოვრების მძიმე პირობებში და, როდესაც ახლა გამომცადეს ახალი ამხანაგების წინაშე, გამოდგა, რომ სრულებით არაფერი ვიცოდი. მეშინოდა მაღლა ახედვისა და განძრევის და უნებურ თრთოლვას ვგრძნობდი მთელს ტანში, როდესაც ვინმე ახალ ამხანაგთაგანი მიახლოვდებოდა. როგორც კი გათავდა მეცადინეობის საათები, თავპირის მტვრევით გავვარდი დარბაზიდან, რადგან მეშინოდა თავი არ შემერცხვინა სკოლის წინაშე რამე სულელური პასუხით მეგობრულ საღამზე ან კითხვაზე.

მისტერ ვიკვილდის ძველმა სახლმა დამამშვიდებელი გავლენა იქნი ჩემზე. როდესაც მივედი შესავალ კარებთან ჩემი სასკოლო წიგნებით იდლიაში და კარი დავარახუნე, ვიგრძენი, რომ ჩემი შინაგანი მღელვარება თანდათან ქრებოდა.

აგნესა იჯდა სასტუმრო ოთახში და ელოდა თავის მამას, რომელსაც ჯერ არ გაეთავებინა საქმეები კანტორაში. იგი შემხვდა ალერსიანი ღიმილით და მკითხა,

როგორ მოგეწონა ინსტიტუტი. მე დადებითად ვუპასუხე, ოღონდ დავუმატე: დიდი უხერხულობა ვიგრძენი პირველად უცხო ბავშვების წრეში-მეთქი.

– თქვენ კი ჯერ არ სწავლობთ პანსიონში? – ვკითხე მე.

– ო, როგორ არა! მე ახლაც ვსწავლობ... ყოველდღე.

– მაგრამ თქვენ სახლში სწავლობთ და არა პანსიონში?

– სხვაგვარად შეუძლებელია, – მიპასუხა აგნესამ ღიმილით, – მამა არ დათანხმდება ჩემს სასწავლებელში გაშვებაზე, ხომ იცით, მისი დიასახლისი მუდამ სახლში უნდა იყოს.

– ძალიან უყავრხართ მამას?

– სსსუ! მოდის!

ეს თქვა თუ არა, აგნესა გაიქცა მამის შესახვედრად, და ერთი წუთის შემდეგ ისინი ერთად შემოვიდნენ სასტუმროში. მისტერ ვიკფილდი ძალიან გულიანად შემხვდა და მითხრა, რომ ჩემთვის დიდი ბედნიერებაა დოქტორ სტრონგის ხელმძღვანელობა, რადგან, მისი სიტყვით, ეს იყო ყოველმხრივ უკეთილშობილესი ადამიანია.

– არ ვიცი დანამდვილებით, მაგრამ შესაძლებელია, რომ არის ქვეყანაზე ხალხი, რომელსაც ესიაშოვნება ბოროტად ისარგებლოს ამგვარი ადამიანის ნდობით, – მითხრა მისტერ ვიკფილდმა. – ერთდეთ, ტროტვუდ, ამგვარი ხალხის საზოგადოებას და გრცხვენოდეთ მათი მიბაძვისა. ქვეყანაზე არ არის არსება უფრო გულუბრყვილო და მიმნდობი, ვიდრე დოქტორი სტრონგი.

მისტერ ვიკფილდს ლაპარაკის კილოში რაღაც წყენა ეტყობოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი მიმეცა კითხვა ამის შესახებ, – სადილი მზად იყო. ჩავედით სასადილოში და დავიკავეთ ჩვენი ადგილები.

ნასადილევს ავედით მეორე სართულში, სასტუმროში, და აქ განმეორდა ისევე ის სცენა, რაც წინადღით. აგნესამ დადგა გრაფინი და ღვინის ჭიქა იმავე კუთხეში, იმავე მაგიდაზე; მისტერ ვიკფილდი მიუჯდა პორტვინს და ძალიან ბევრი დალია. აგნესა უკრავდა ფორტეპიანოზე, იჯდა მამის გვერდით, იცინოდა, ცელქობდა, ხელსაქმობდა, ლაპარაკობდა და რამდენიმე პარტია დომინო მეთამაშა.

ბევრმა ზამთარმა და ზაფხულმა გაიარა მას აქეთ, მხიარულმა და სევდიანმა, მაგრამ ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, მე ისევ ვხედავ მას, მორცხვს, თავდაჭერილს, წყნარი მოძრაობით მესმის მისი მშვენიერი, ნაზი ხმა.

თავის დროზე აგნესა გამოგვეთხოვა მამას და მე და თავის საწოლში წავიდა. მარტონი დავრჩით. მეც ხელი ჩამოვართვი მისტერ ვიკფილდს და დასაძინებლად წასვლა დავაპირე. მან შემაჩერა და მითხრა:

– აბა, მისტერ ტროტვუდ, რას იტყვით? იცხოვრებთ ჩვენთან, თუ შევუდგეთ თქვენთვის ბინის შოვნას?

– ო, არა, სერ! – შევძახე ცხარედ. – ნება მიბოძეთ, თქვენთან დავრჩე!

– დარჩი ჩვენთან, ტროტვუდ! ძალიან მოხარული ვარ, – მითხრა მან. – შენ შეგიძლია ჩვენი ამხანაგი და მოსაუბრე იყო. ეს კარგია ჩვენთვისაც, აგნესასთვისაც, ყველასთვის კარგია!

– და მეტადრე ჩემთვის, სერ, – ვუთხარი მე. – ძალიან მიხარია თქვენთან ცხოვრება.

– შეძალიან კარგი ბავშვი ხარ, ტროტვუდ, – მითხრა მისტერ ვიკფილდმა. – თუ ჩემი და აგნესას საზოგადოება გესიაშოვნება, იცხოვრე ჩვენთან, რამდენიც გინდა.

ამ სიყვებით ხელი გამომიწოდა და შემდეგ ზურგზე მომიფათურა.

მე დავინახე სინათლე პატარა კანტორაში, იმწამსვე ვიგრძენი ური ჰიპის უცნაური ძალა და უნებურად იქით წავედი. ური ჰიპის უჯდა უზარმაზარ მწავნე წიგნს და, როგორც ჩანდა, ძალიან გულდასმით კითხულობდა; მისი სალოკი თითო გადადიოდა ერთი სტრიქონიდან მეორეზე და სტოვებდა ჭუჭყიან და ლორწოვან კვალს, თითქოს წიგნზე ლოკოკინა მიცოცავდა.

– თქვენ დღეს ძალიან დიდხანს მუშაობთ, მისტერ ჰიპ, – ვუთხარი მე.  
– მე ხომ კანტორის საქმეებს არ ვაკეთებ ამჟამად, მასტერ კოპერფილდ! – მითხრა მან.

– მაშ რას აკეთებთ, მისტერ ჰიპ?

– მე ვცდილობ, შევიძინო ზოგიერთი იურიდიული ცოდნა და ახლა, როგორც ხედავთ, ვსწავლობ ტიდის „პრაქტიკულ დარიგებას“. ო, მისტერ ტიდი დიდი მწერალია, მასტერ კოპერფილდ!

– თქვენ უეჭველია, მშვენიერი იურისტი ბრძანდებით, მისტერ ჰიპ, – ვუთხარი სიხუმის შემდეგ.

– ვინ? მე, მასტერ კოპერფილდ? რას ბრძანებთ, მე სრული არარაობა ვარ!

აქ გაკვირვებით შევნიშნე, რომ ური ჰიპი ხელისგულებს ისრესდა, თითქოს იმშრალედა და ითბობდა მათ.

– ძალიან კარგად ვიცი, რომ არარაობა ვარ, – განაგრძო ური ჰიპმა მორჩილების კილოთი, – დაე, სხვები ამაღლდნენ, როგორც უნდათ და რამდენადაც უნდათ. ჩემი მოღვაწეობის ასპარეზი მეტად შეზღუდულია. დედაჩემი ჩემსავით მოკლებულია ყოველგვარ ნიჭს. ჩვენ ძალიან ღარიბად ვცხოვრობთ, უბრალო ქოხში, მაგრამ გულები მგრძნობიარე გვაქვს, მასტერ კოპერფილდ, და ვიცით მადლობის გადახდა. დიახ, სერ, ჩვენ მადლიერები ვართ. აი, მაგალითად, მაშ მადლიერი არ უნდა ვიყო ჩემი ბედისა, რომ მისტერ ვიკფილთან მომიხდა ცხოვრება?

– იქნებ ოდესმე ამხანაგად შეუდგეთ თქვენს ახლანდელ პატრონს, – ვუთხარი მე, რომ მესმიავემებინა მისთვის. – და მაშინ ახლანდელი კანტორა იარსებებს საერთო ფირმით – ვიკფილდი და ჰიპი.

– ო, არა, მასტერ კოპერფილდ, არა! მე მეტად უმნიშვნელო არსება ვარ ამგვარი კარიერისთვის.

ამ სიტყვებთან უარყოფით გაიქნია თავი და დაღვრემილმა შემომხედა.

– მისტერ ვიკფილდი მშვენიერი ადამიანია, მასტერ კოპერფილდ, – მითხრა ურიმ. – როცა ცოტა ხანს იცხოვრებთ მათთან, უკეთესად გაიცნობთ, ვიდრე სიტყვიერად შეიძლებოდა ამის გადმოცემა. მე მგონია, თქვენ დიდხანს არ მოგიხდებათ აქ ცხოვრება, მასტერ კოპერფილდ?

გუპასუხე, რომ პირიქით, ვაპირებ მისტერ ვიკფილდთან ცხოვრებას სკოლაში კურსის დასრულებამდე.

– ო, მართლა! – შესძახა ურიმ. – მაშ თქვენ იქნებით და არა მე არ ფირმის ამხანაგი.

გამიკვირდა და უარზე ვიდექი, მაგრამ ურიმ დაიჟინა:

– არა, იქნებით, იქნებით!

ბოლოს ჩააღაგა ყველა თავისი ნივთი და, როდესაც გასვლა დააპირა, მკითხა:

– შემიძლია სანთელი ჩავაქრო, მასტერ კოპერფილდ?

– რასაკვირველია. ისედაც ვიპოვი გზას.

ური ჰიპმა ჩააქრო სანთელი და გამომშვიდობებისას ხელი ჩამომართვა; ისევე მეჩვენა, თითქოს ჩემს ხელს სველი თევზი მოხვდა. შემდეგ გააღო ქუჩის კარები და გაძვრა ქუჩაში.

ჩემმა მღელვარებამ ცოტათი იკლო, როდესაც მეორე დღეს სკოლაში მივედი. მესამე დღეს უკეთესად ვიგრძენი თავი და შემდეგ, ერთი-ორი კვირის განმავლობაში, სრულებით შევეჩვიე დოქტორ სტრონგს ინსტიტუტს და ისე ვგრძნობდი თავს ახალი ამხანაგების წრეში, როგორც საკუთარ სახლში. შევუდექი მუშაობას უდიდესი გულმოდგინებით, რათა დამემსახურებინა ყველას თანაგრძნობა და პატივისცემა. მოკლე ხანში უწინდელი ჩემი ცხოვრება თითქმის სრულებით წარიშალა ჩემს მეხსიერებაში და თვითონაც აღარ მჯეროდა, რომ ოდესღაც ვმსახურობდი „მორდსტონისა და გრინბის“ ღვინის საწყოში.



ახლანდელს ჩემს ცხოვრებას თანდათან საბოლოოდ შევეგუე ჩემი ჩვეულებებით, ასე რომ, მეჩვენებოდა, თითქოს დიდი ხანია, რაც ზრდილობიან ბავშვების წრეში ვარ-მეთქი.

ზოგიერთი უფროსი მოწაფე პანსიონერად ცხოვრობდა დოქტორ სტრონგთან, და მათგან საიდუმლოდ გავიგე ზოგიერთი რამ მისი პირადი ცხვრებიდან. ერთი წლის წინათ დოქტორ სტრონგმა შეირთო ცოლად ის მშვენიერი ყმაწვილი ლედი, რომელიც მის კაბინეტში ვნახე. სტრონგი მუდამ გართული იყო ბერძნული ძირების ძიებაში. უვიცმა ფილოლოგიური მეცნიერების დარგში, ჯერ წარმოვიდგინე, თითქოს აქ ლაპარაკი ბოტანიკურ საგნებზე იყო, და ჩემს აზრს ის ადასტურებდა, რომ დოქტორი მუდამ თავჩაღუნული დადიოდა; მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ აქ ლაპარაკი იყო ბერძნული სიტყვების ძირებზე, რადგან ეს რამდენიმე ხანა, რაც დოქტორი სტრონგი შესდგომოდა ბერძნული ლექსიკონის შედგენას.

სასიამოვნო სანახაგები იყვნენ დოქტორი და მისი ლამაზი ცოლი ერთად; იგი უაღერსებდა და ანებოვრებდა, როგორც ნამდვილი მამა. მისის სტრონგს, როგორცა ჩანდა, ძალიან უყვარდა ქმარი და ზრუნავდა მასზე, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევნიშნე, რომ ცხარე მონაწილეობა მიეღო მისი ქმრის ბერძნული ლექსიკონის შედგენის საქმეში.

მისის სტრონგი ძალიან მომწონდა მრავალ მიზეზთა გამო: ჯერ ერთი, მას შევეუყვარდი იმ დღიდან, როდესაც პირველად ვნახე დოქტორ სტრონგის კაბინეტში; მეორეც ისა, რომ მუდამ მიაღერსებდა და მონაწილეობას იღებდა ჩემს საქმეებში; და მესამეც, რომ მას ზალიან უყვარდა აგნესა და თიტქმის მუდამდღე დაიარებოდა ჩვენს სახლში. მაგრამ იყო რაღაც ძალდატანება მასა და ჩემს მასპინძელს შორის; მე ისიც კი მეჩვენებოდა, თითქოს მისის სტრონგს ეშინოდა მისტერ ვიკფილდისა, თუმცა არ ვიცი, რის გამო. მუდამ, როდესაც კი მისტერ ვიკფილდი წინადადებას აძლევდა, რომ სახლში გაეცილებინა, მისის სტრონგი მოკრძალებით უარს ეუბნებოდა და ჩემთან ერთად საჩქაროდ მიემშურებოდა სახლისაკენ. ასე რომ, მე ვიყავი მუდმივი თანამგზავრი დოქტორის მეუღლისა. ჩვენ ყოვეთვის ძალიან სწრაფად მივდიოდით და ყველას ვერიდებოდით გზაში, მაგრამ თითქმის ყოველთვის ისე გამოდიოდა, რომ შუა გზაზე, ქალაქის კოშკის ახლოს, ჩვენ შეგვხდებოდა ხოლმე მისტერ ჯეკ მაღდონი, რომელიც ჩვეულებრივ განცვიფრებას გამოთქვამდა ჩვენი დანახვის გამო.

მისის სტრონგს ჰყავდა ღედა, ხანშიშესული ლედი, მრავალმხრივ საინტერესო. მისი გვარი იყო მარკლჰემი, მაგრამ ინსტიტუტის მოწაფეებმა დაარქვეს მას ძველი ჰუსარი, მიიღეს რა მხედველობაში ის საკვირველი ხელოვნება, რომითაც იგი ამხედრებდა თავის მრავალრიცხოვან ნათესავებს დოქტორ სტრონგის წინააღმდეგ.

მე მქონდა შემთხვევა, ახლო მედვენებინა თვალყური ძველი ჰუსარისათვის ერთ დაუვიწყარ საღამოს განმავლობაში. საღამო გამართული იყო დოქტორის სახლში, ჯეკ მაღდონის ინდოეთში გამგზავრების გამო, სადაც მას კარგი ადგილი უშოვეს მისტერ ვიკფილდის მეცადინეობით. მოხდა ისე, რომ ამავე დღეს დოქტორი სტრონგი დღესასწაულობდა თავის დაბადების დღეს.

როდესაც ჩვენ მივედით, ჯეკ მაღდონი უკვე სასატუმროში იყო, სადაც ყველაზე ადრე მისულიყო. მისის სტრონგი, მორთული თეთრი კაბით, პირისფერი ბაფთებით, პიანინოს უჯდა. მისტერ მაღდონი მისი სკამის უკან იდგა და ნოტების ფურცლებს აბრუნებდა.

– ერთი შეხედვით, როგორ გადამივარდა გონებიდან, – დაიწყო მისის მარკლჰემმა, როცა ყველანი დაუსხედით. – სრულებით დამავიწყდა, დოქტორო, მომელოცნა თქვენთვის დაბადების დღე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი მოლოცვა არ შეიძლება ჩაითვალოს კომპლიმენტად ჩემის მხრივ, სულით და გულით მოგილოცავთ, დოქტორო, და გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს.

– გმადლობთ, – უპასუხა დოქტორმა.

– მრავალი, მრავალი, მრავალი წელი! – გაიმეორა „ძველმა ჰუსარმა“. – იცოცხლეთ უამრავი წლები – თქვენთვის, ანისთვის, ჯეკ მაღდონისთვის, ყველა ჩვენთვის.

სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა. ყველაზე უწინ მოვიდა ორი მასწავლებელი. გაიბა საერთო საუბარი. უმთავრესად ლაპარაკობდნენ ჯეკ მაღდონის შესახებ: მის შორ მოგზაურობაზე, იმ ქვეყანაზე, სადაც იგი მიდიოდა, და მის მრავალგვარ გეგმებზე. ჯეკ მაღდონი იმავე დამეს, ნაგახშმევს უნდა წასულიყო საფოსტო ეტლით გრეგზენდში, სადაც ოკეანეში მიმავალი გემი მოელოდა.

მისის სტრონგი ნამდვილი მსახიობივით მშვენივრად მღეროდა. ხშირად მომისმენია მისი სიმღერა, როდესაც იგი ფორტეპიანოს უჯდა ხოლმე სასტუმროში, მაგრამ ახლა, არ ვიცი, შეერთა მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე, თუ ხმა არ ემორჩილებოდა, სრულებით ვერ შესძლო სიმღერა. მისის სტრონგმა სცადა, ემღერა დუეტი თავის ბიძაშვილთან ერთად, მაგრამ ვერც კი დაიწყო. შემდეგ დათანხმდა საერთო თხოვნას და სცადა სიმღერა მარტომ; მან მშვენივრად დაიწყო მაგრამ უეცრად ხმა აუკანკალდა და დაუძღურებულმა მომღერალმა თვი კლაგიშებზე დახარა. კეთილმა დოქტორმა შენიშნა, რომ მის მეუღლეს დროგამოშვებით ემართება ამგვარი ნერვიული სისუსტე, და ამის გამო სთხოვა სტუმრებს ბანქოს თამაშით გართულიყვნენ, თუმცა თვითონ იმდენივე ესმოდა ქარაღდის თამაშისა, როგორც რაიმე საკრავზე დაკრისა. „ძველმა ჰუსარმა“ იმწამსვე თავის ამაღლაში ჩარიცხა დოქტორი და თავის პარტნიორი უწოდა. თამაში დაიწყო და რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი ვერცხლის ფული დოქტორის ჯიბიდან მისი ვაჟკაცური სიდედრის ჯიბეში გადავიდა.

მაგრამ ეს არაფერი. ბანქოს თამაში გაგარბელდა ძალიან მხიარულად და დიდის აღფრთოვანებით. მისის სტრონგმა, ნერვიული სისუსტის გამო, უარი თქვა თამაშზე მთელი საღამოს განმავლობაში; მისმა ბიძაშვილმა მაღდონმაც უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ნივთები ჰქონდა ჩასალაგებელი საგზაოდ. იგი გავიდა კიდევ ოთახიდან ამ მიზნით, მაგრამ ძალიან მალე დაბრუნდა და დაჯდა სოფაზე, თავისი ბიძაშვილის გვერდით. ისინი ლაპარაკობდნენ დაბალი ხმით. განმარტოებულნი სტუმრებისაგან. დროგამოშვებით მისის სტრონგი მიუახლოვებოდა ხოლმე თავისი ქმრის მაგიდას და უხსნიდა თამაშის წესებს.

იგი მეტად გაფითრებული იყო და ხელები უთრთოდა, როდესაც ქალაღლზე უჩვენებდა ქმარს. დოქტორი სტრონგი ბედნიერი იყო და არაფერს ამჩნევდა.

მაგრამ ვახშამზე საზოგადო მხიარულება ჩაიშრიტა. ყველა გრძნობდა, რა მძიმეა მაგვარი განშრება, და რაც უფრო ახლოვდებოდა იგი, მით უფრო ნაღვლიანნი ხდებოდნენ სტუმრები.

დოქტორი იმ დროს დარწმუნებული იყო, რომ მისი იქ ყოფნა დიდად სასიხარულოა მთელი საზოგადოებისათვის. იგი ბედნიერი იყო იმ აზრით, რომ მის გარშემო ყველანი მეტისმეტად მხიარულად იყვნენ.

– ანი, ჩემო კარგო მეგობარო, – უთხრა დოქტორმა მეუღლეს, შეხედა საათს და აივსო ჭიქა. – აი უკვე დადგა წასვლის წუთი შენი ბიძაშვილისათვის. არ უნდა დავაყოვნოთ იგი. დრო და ზღვის მიმოქცევა თავისი გარდაუვალი წესით მიდიან და არ ელიან არც ადამიანს და არც მის მზადებას. მე თქვენ მოგმართავთ, მისტერ ჯეკ მაღდონ! თქვენს წინ თვით მოგზაურობაა და სრულებით უცნობი და უცხო ქვეყანა. აბობქრებულმა ქარიშხალმა შთანთქა ოკეანის უფსკრულში ათასი გემი, დატვირთული ყველა ქვეყნის საუნჯით, მაგრამ მთელი მილიონები გემებისა უვნებლად ბრუნდებიან მდიდარი განძით. მშვიდობით, მისტერ მაღდონ! – დაამთავრა დოქტორმა სიტყვა, ადგა ადგილიდან და ჩვენც ყველანი ავდექით. – გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას ოკეანის მღელვარე ზვირთებში, ბედნიერ მომავალს ოკეანეს იქით და ბედნიერ დაბრუნებას სამშობლოში.

ჩვენ ყველამ დავლიეთ ეს სადღეგრძელო და მხურვალედ გამოვემშვიდობეთ ჯეკ მაღდონს, რის შემდეგ მან საჩქაროდ თავი დაუკრა ყველას და კარებისაკენ გაქიქვა. მე გავიქეცი ქუჩაში, სადაც იდგა საფოსტო ეტლი, და საერთო ალიაქოთში დავინახე, როგორ ჩაჯდა შიგ ჯეკ მაღდონი. მთრთოლვარე ხელში მას ეჭირა რაღაც პირისფერი საგანი.

ამ გამოთხოვების ცერემონიის შემდეგ ინსტიტუტის მოწაფეებმა დაიძახეს „ვაშა“, ორჯერ – დოქტორის პატივსაცემად და სამჯერ – მისი მეუღლისა. შემდეგ ისინი იქით-აქეთ დაიფანტნენ. მე ისევ სასტუმრო ოთახში მოვხვდი. დოქტორი სტრონგი იდგა სასტუმრო ოთახის შუაში, სტუმრებით გარშემოხვეული. უეცრად მისის მარკლჰემმა დაიყვირა:

– სად არის ანი?

არ არის ანი! ტყუილად ეძახდნენ მას ყველანი სხვადასხვა ხმით, იგი პასუხს არ იძლეოდა. ყველანი გაცვივდნენ დოქტორის მეუღლის საძებნელად და დარბაზში იპოვეს: მისის სტრონგი ეგდო იატაკზე და არავითარი ნიშანწყალი სიცოცხლისა აღარ ეტყობოდა. ატყდა საშინელი ალიაქოთი. ანი გულწასული იყო.

დოქტორმა დაიღო მუხლებზე მისი თავი, გადაუყარა სახიდან კულულები და თქვა ნაზი მხმით:

– საბრალო ანი! როგორი ერთგული და ნაზი გული აქვს, მისთვის მეტად ძნელი ასატანია განშორება თავისი სიყმაწვილის ერთადერთი მეგობრისა, რომელიც მას ასე უყვარდა!

მისის სტრონგმა აახილა თვალები. შემოგვხედა ყველას და დოქტორის დახმარებით ფეხზე წამოდგა; შემდეგ, ერთხელ კიდევ შემოგვხედა დარცხვენილი თვალებით და მიაყრდნო თავი დოქტორის მხარს, – არ ვიცი, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სისუსტესა გრძნობდა გულის წასვლის შემდეგ, თუ იმიტომ, რომ დაეფარა აღელვება. ჩვენ დავაპირეთ სასტუმროში გასვლა და მისი დატოვება დედისა და დოქტორ სტრონგის ხელში, მაგრამ ანიმ განაცხადა, რომ ახლა გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს და რომ ჩვენთან უნდოდა ყოფნა. იგი გადაიყვანეს სასტუმროში და დივანზე დააწვინეს. მე შევნიშნე, რომ ძალიან გაფითრებული იყო.

– ანი, ჩემო კარგო, – უთხრა დედამ, როდესაც კაბას უსწორებდა. – შენ, მგონია, ბაფთა დაგიკარგავს... დიას, სწორედ დაგიკარგავს. ჯენტლმენებო, გაისარჯეთ, მონახეთ ანის ბაფთა – პირისფერი ლენტებისა.

ამ პირისფერ ბაფთს მისის სტრონგი ჩვეულებრივად გულზე იკეთებდა. ჩვენ დავიწყეთ მისი ძებნა, – მე ყველაზე მეტად ვცდილობდი, მაგრამ ვერაფერ ვერ იპოვა.

– ხომ არ გახსოვს, ანი, სადა გქონდა იგი უკანასკნელად? – ჰკითხა დედამ.

ამ კითხვაზე სიკვდილისფერი მისის სტრონგის სახეზე შეცვალა ცოცხალმა ვარდისფერმა. მან უპასუხა, რომ, როგორც ახსოვს, რამდენიმე წუთის წინ იგი ხელში ეჭირა, მაგრამ თან დაუმატა, რომ არც კი ღირს მისი ძებნაო.

ჩვენ მივდიოდით სახლში ნელ-ნელა. აგნესა და მე მოვარეს შევცქეროდით, მისტერ ვიკფილდი ჩუმად მოდიოდა თვალებდახრილი. შესავალ კარებთან თავისი პატარა ხელის ჩანთა. გამეხარდა, რომ შემქმლო რითიმე გამომეჩინა ჩემი ყურადღება და უკან გავიქეცი.

შევედი სასტუმრო ოთახში, სადაც ჩანთა იყო დატოვებული. აქ არავინ იყო და ბნელოდა. კარი დოქტორის კაბინეტში ოდნავ ღია იყო და იქიდან სინათლე მოჩანდა. მე შევედი, რომ ამეხსნა ჩემი დაბრუნების მიზეზი და სანთელი ამეღო.

დოქტორი იჯდა დიდ, ვორტერისებურ სავარძელში ბუხართან, მისი ყმაწვილი ცოლი კი მის ფეხით მოთავსებულიყო პატარა სკამზე. დოქტორი მოწყალე კილოთი, ღიმილით უკითხავდა ხმამაღლა რაღაც ხელნაწერებს, – უეჭველია, ბერძნული სიტყვების ძირების დახლართული თეორიის შესახებ; მისის სტრონგს აეწია თავი და შესქცეროდა მას; მაგრამ სახე ისეთი გამომეტყველებით ჰქონდა სავსე, რომელიც არასოდეს არ მინახავს. მშვენივრ ქალს თვალები ფართოდ

გაეხილა; წაბლისფერი კულულები ეყარა მხრებსა და თეთრ კაბაზე. რას მეტყველებდა ეს ადგზნებული თვალები? სირცხვილს, დამცირებას, სინანულს, სიამაყეს, სიყვარულს, ნდობას, იმედს, – ყოველივე ეს ცხადად დავინახე მის თვალებში, მაგრამ ამის გარდა დავინახე წარმოუდგენელი შიშის გრძნობა, რომლითაც სავსე იყო მისის სტრონგი.

ჩემს შესვლაზე, როგორცა ჩანდა, იგი გონს მოვიდა, დოქტორი სტრონგიც იძულებული იყო შეეწყვიტა დაუსრულებელი ხელნაწერის კითხვა. როდესაც მეორედ შევედი სანთლის დასადგმელად, რომელიც მაგიდიდან, ავიღე, დოქტორი მამობრივი სინაზით თავზე ხელს უსვამდა ცოლს და სთხოვდა, დასაძინებლად წასულიყო. იგი ლანძღავდა თავის თავს და უწოდებდა უმოწყალო ბარბაროსს, რომელიც უსინდისოდ სარგებლობს სხვისი მოთმინებით.

მაგარამ მისის სტრონგი ეხვეწებოდა, ნება მიეცა დარჩენილიყო მასთან მთელ საღამოს. როდესაც, კაბინეტიდან გასვლისას, ერთხელ კიდევ მივიხედე, დავინახე, რომ მისის სტრონგს დაელაგებინა თავისი ხელები ქმრის მუხლებზე და ისევე დაშტერებით უცქეროდა მას, ოღონდ ახლა გაცილებით უფრო დამშვიდებული იყო.

ამ სურათმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, და შემდეგში არა ერთხელ დავბრუნებულვარ მას გონების თვალთ, მრავალ მიზეზთა გამო, რომელთაც მკითხველი თავის დროზე გაიგებს.

## თავი მეოთქესმეტე

### მოულოდნელი შეხვედრა

დოქტორ სტრონგის ინსტიტუტში ყოფნის პირველ თვეებში მის ბეტსი ხშირად მოდიოდა კენტერბერიში და თითქმის ყოველთვის უდროო დროს, იმ განზრახვით, როგორც მგონია, რომ ენახა, რას ვაკეთებდი; მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მუდამ წიგნებში გართულს მხედავდა. ამიტომ მალე შეწყდა პაპიდაჩემის მოულოდნელი სტუმრობა. ახლა მე ვხედავდი პაპიდას მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ თვეში, შაბათობით, როდესაც დუფერში წასვლის ნება მეძლეოდა. სამაგიეროდ, მისტერ დიკი ყოველ კვირას მოდიოდა ოთხშაბათობით და მეორე დღის დილაზე რჩებოდა ჩემთან.

მისტერ დიკს განსაკუთრებით უყვარდა ზარდანჩოს ნამცხვარი. რომ უფრო სასიამოვნოყოფილიყო მისთვის ეს სტუმრობა, პაპიდამ დამავალა გამეხსნა კრედიტი მისტერ დიკისათვის საშქარლამოში, თუმცა ამავე დროს თვითონვე გასცა განკარგულება ამ დუქანში, რომ ნისია არ ყოფილიყო ერთ შილინგზე მეტი დღეში.

ერთხელ მისტერ დიკი მოვიდა ჩვეულებრივად ოთხშაბათს შუადღისას, შემოვიდა ჩემს ოთახში რაღაც იდუმალი გამომეტყველებით და მითხრა:

– ტროტუვდ, ხომ არ იცი, ჩემო კარგო, რა კაცი დადის ჩვენი სახლის გარშემო და აშინებს მას?

– ვის? პაპიდას?

– პირველად ის გაჩნდა... მოიცა... ათას ექვსას ორმოცდაცხრა წელს... თავი მოჰკვეთეს ჩარლზ პირველს. შენ ხომ თქვი, მგონი, ტროტუვდ, რომ ეს მოხდა ათას ექვსას ორმოცდაცხრა წელს?

– დიახ, სერ.

– საქმე როგორღაც ირევა, – შეწუხებით თქვა მისტერ დიკმა და თავი დაიქნია. – ნუთუ მე ამდენი წლისა ვარ? ან იქნებ აქ შეცდომაა რამე. ისე არაფერი, დიახ, ეს კაცი, მართლაც, პირველად გამოჩნდა მალე იმის შემდეგ, რაც ჩარლზ პირველის ტვინი გადმოვიდა ჩემს თავში. ჩვენ გამოვედით მის

ტროტკუდთან ერთად სასეირნოდ ჩაის შემდეგ. ბინდისას, და სწორედ ამ დროს იგი გაჩნდა ჩვენი სახლის ფანჯრების წინ.

– მერე, რას აკეთებდა ის კაცი?

– როგორ თუ რას? იქ სრულებითაც არ იყო. ოღონდ მიეპარა უკანიდან მის ტროტკუდს და წასჩურჩულა... რა წასჩურჩულა, არ ვიცი. მის ბეტსი მიბრუნდა და შეტორტმანდა. მე ვიდექი და ვუქცევროდი. ის წავიდა..

– და მას შემდეგ აღარ გინახავთ?

– საქმეც იმაშია, რომ ვნახე, – მიპასუხა მისტერ დიკმა და სიამაყით თავი დაიქნია. – იგი არ გამოჩენილა წუხანდლამდის. ჩვენ ისევ სასეირნოდ გამოვედით, იგი ისევ მიეპარა უკანიდან, და მე იმწამსვე ვიცანი.

– და ისევ შეაშინა პაპიდა?

– იგი აკანკალდა, – მითხრა მისტერ დიკმა.

შემდეგ მიაბო, რომ შუალამისას მთვარის შუქზე დავინახე ფანჯარაში, როგორ ელაპარაკებოდა პაპიდა ამ კაცს ბალის კარებთან და როგორ მისცა მას ფულიო. ყოველივე ეს ძალიან აწუხებდა მისტერ დიკს.

ჩემთან მოსვლა უდიდესი ბედნიერება იყო მისტერ დიკისათვის, და მეც ბედნიერი ვიყავი მასთან ერთად. მოკლე ხანში იგი მონაწილეობას ირებდა ყველა ჩვენს თამაშობაში და არა ერთხელ უშველია ჩვენთვის ფრანის ჰაერში გაშვება. ამ დროს იჩენდა საოცარ მოხერხებას და სიყოჩაღეს. ამ წუთებში მისტერ დიკს, როგორც ჩანდა, ავიწყდებოდა ჩარლზ პირველიც – მისი ტანჯვით, მის ბეტსიც – მისი გენიალური ნიჭით, და თავისი დაუსრულებელი მემუარებიც.

მაღე იგი შეუყვარდა ჩემი სკოლის ყველა ამხანაგს. გადაყრილი ძვლებიდან მისტერ დიკი საოცარის ოსტატობით თლიდა ჭადრაკის ფიგურებს, ძველი სათამაშო ქაღალდიდან აკეთებდა რომაულ ეტლებს, ძაფის ცარიელი კოჭებიდან აკეთებდა მშვენიერ თვლებს, და ძველი მავთულიდან, რომელსაც სამზარეულოდან ჰყრიდნენ, ჰქმნიდა საოცარ გალიებს.

მისტერ დიკის სახელი იზრდებოდა დღითი დღე და ბოლოს თვით დირექტორის ყურებამდეც კი მიაღწია. ერთხელ დოქტორ სტრონგმა დამიბარა კაბინეტში და დაწვრილებით გამომკითხა მისტერ დიკის ამბავი. ვუამბე ყველაფერი, რაც კი ვიცოდი მის შესახებ მის ბეტსისაგან. დოქტორის ცნობისმოყვარეობა უადრესად იყო გაღვიძებული და მთხოვა, გამეცნო მისთვის მისტერ დიკი, როგორც კი იგი მოვიდოდა შემდეგ ოთხშაბათს. გაცნობა მოხდა და მისტერ დიკმა მაშინვე დაიმსახურა დოქტორ სტრონგფის კეთილი განწყობინება.

ახლაც თითქოს თვალწინ მიდგას ეს ორი ექსცენტრული მეგობარი, რომლებიც წინ და უკან დადიან ჩვენი კლასის ფანჯარასთან; მისტერ სტრონგი აღერსიანი ღიმილით უკითხავს თავის ხელნაწერს და ხელების ქნევით უხსნის ბერძნული ძირების არსს. მისტერ დიკი, გატაცებული ფილოლოგიური ინტერესით, ყურს უგდებს სიამაყითა და სიტკბოებით, თითქოს ბერძნული ლექსიკონი უმშვენიერესი წიგნი იყოს ქვეყანაზე: თუმცა, ზოგჯერ, მისტერ დიკის აზრები, ვინ იცის, სად დაფრინავენ.

აგნესაც დაუმეგობრდა მისტერ დიკს, მაგრამ დიკისათვის მე მუდამ პირველი ადგილი მეჭირა. ჩვემი მეგობრობა, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო. იგი მოდიოდა კენტერბერიში, როგორც ჩემი მზრუნველი და მეთვალყურე, მაგრამ ნამდვილად და მე მიხდებოდა ზრუნვა და თვალყურის დევნა მისტერ დიკისათვის ყველა იმ შემთხვევაში, როცა საჭირო იყო გონების ოდნავი ძალდატანება. მისტერ დიკი აუცილებლად ჩემს აზრს კითხულობდა და დაუყოვნებლივ ასრულებდა მას. იგი უზომოდ პატივს სცემდა ჩემს მაღალ ნიჭს, რომელიც, მისი შეხედულებით, ჩამომავლობით გამომყვა პაპიდასაგან.

ერთხელ, ხუთშაბათს დილით, როდესაც ინსტიტუტში წასვლის წინ ვაცილებდი მისტერ დიკს დილიუანსების კანტორაში, გზაში შემხვდა ური ჰიპი და

მომავლენა, რომ ოდესღაც დავიპირდი, სტუმრად ვწვეოდი მათ ქოხში, სადაც თავის დედასთან ერთად ცხოვრობდა.

მე ვუპასუხე, რომ ვთხოვ მისტერ ვიკოფილდს, და თუ ნებას დამრთავს, – რაშია ან არავითარი ეჭვი არ იყო, – დიდი სიამოვნებით გესტუმრებით ერთ ჭიქა ჩაიხე-მეთქი.

საღამოს ექვს საათზე, როდესაც კანტორაში გათავდა მუშაობა, გამოვუცხადე ურის, რომ მზად ვიყავი წასასვლელად.

– ო, დედაჩემი დიდად იამაყებს ისეთი სტუმრით, როგორც თქვენ ბრძანდებით, მასტერ კოპერფილდ! – მითხრა ჰიპმა, როდესაც ქუჩაში გავვდივით.

– თქვენ, მგონი, ძალიან მუყაითად მეცადინეობით ამ ბოლო დროს? – ვკითხე მე, რომ საუბრის თემა შემეცვალა.

– მე ვკითხულობ ცოტა-ცოტას, მასტერ კოპერფილდ, თქვენ მართალსა ბრძანებთ, მაგრამ განა შეიძლება მაგას მეცადინეობას ეწოდოს? მე ისევ და ისევ ტიდს ვკითხულობ.

– ეს მგონი, ძალიან ძნელად გასაგები მწერალია, – შევნიშნე მე.

– აი, ხედავთ, მასტერ კოპერფილდ, მისტერ ტიდს მართლაც აქვს ძნელად გასაგები ადგილები ისეთი მცირედი ნიჭის პატრონისათვის, როგორც მე ვარ.

– მერე, რაში მდგომარეობს ეს სიძნელენი?

– რაში მდგომარეობს ეს სიძნელენი?

– მისტერ ტიდი ხშირად ხმარობს ლათინურ სიტყვებსა და ტერმინებს.

– გინდათ, ლათინური ისწავლოთ, მისტერ ჰიპ? – ვკითხე სწრაფად, – დიდი სიამოვნებით გასწავლით.

– ო, გმადლობთ, მასტერ კოპერფილდ, – მიპასუხა ურიმ თავის ქნევით. – იმედი მაქვს, რომ თქვენ წრფელი გულით მაძლევთ ამ წინადადებას, მაგრამ არ შემიძლია ვისარგებლო მით.

– რატომ?

– მე მეტად უმნიშვნელო ადამიანი ვარ, მასტერ კოპერფილდ.

– რა სისულელეა! თქვენ მხოლოდ მოისურვეთ და ხვალვე გიჩვენებთ ზოგიერთ რამეს.

– ო, ამაში სრულებით არავითარი ეჭვი არ მეპარება, მასტერ კოპერფილდ, არავითარი ეჭვი.

– მაშ რაშია საქმე?

– სულ ისევ იმაში, რომ მეტისმეტად უმნიშვნელო ადამიანი ვარ. თქვენ ისეთ სიმადლეზე დგებართ, რომ ვერ მიხვდებით ჩემს გრძნობას: არაფრის გულისთვის არ დავთანხმდები, გავიჩინო მტერი მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტათი უფრო განათლებული ვიქნები. დაე, იარონ თავიანთი გზით; მე კი ჩემი გზით წავალ, აი, ჩვენი საცოდავი ქოხიც, მასტერ კოპერფილდ!

ჩვენ შევედით დაბალს, ძველებური ყაიდის ოთახში. იქ დაგვხვდა მისის ჰიპი.

მისის ჰიპი შავებში იყო. მეუღლე უკვე დიდი ხანია გარდაცვლდა, მაგრამ იგი ისევ შავებში დადიოდა, უეჭველია, იმისათვის, რომ შავი ტანისამოსი ცხადი დამამტკიცებელი ყოფილიყო მისი თავმდაბლობისა. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ მისის ჰიპის ფერადი თავსაფარი; ყველა დანარჩენი ტანისამოსი ისეთი შავი ემოსა, როგორც მისი მეუღლის გარდაცვალების პირველ დღეს.

– ეს დღე, ჩემო ური, უნდა დავიხსოვოთ, – უთხრა შვილს მისის ჰიპმა. – შენ, რასაკვირველია, არასოდეს არ დაივიწყებ, რომ მასტერ კოპერფილდმა გაგვაბედნიერა თავისი სტუმრობით.

– არასოდეს არ არ დავივიწყებ, არასოდეს, დედილო, – დაუდასტურა ურიმ.

– ო, ნეტა მამაშენი მოსწრებოდა ამ დღეს! – შესძახა მისის ჰიპმა. – მაშინ სამივენი გავიხარებდით ამისთანა სტუმრით.

ყველა ეს ქათინაური, ცოტა არ იყოს, მეჩოთრებოდა, რადგან მეტად გადაჭარბებულად მეჩვენა, მაგრამ მაინც ის აზრი, რომ მე ამისთანა დიდ

სტუმრად მოვლიან, ესია მოვინებოდა ჩემს თავმოყვარეობას, და გადავწყვიტე, მისის ჰიპი სასიამოვნო ქალია-მეთქი.

მისის ჰიპი ახლოს მოგვიჯდა, ურემ ჩემს პირდაპირ დაიდგა სკამი. ისინი მთავაზობდნენ საუკეთესო საჭმელს მაგიდაზე და ყოველ წუთს მეხვეწებოდნენ, რაც შეიძლება მეტი მეჭამა. საჭმელმა მაინცდამაინც არ მომტაცა თვალი, მაგრამ ვაფასებდი დედისა და შვილის ყურადღებას და სულით და გულით ვუხდიდი მადლობას. მათ დამიწყეს გამოკითხვა პაპიდის, დედის, მამინაცვალის შესახებ. როგორ შეუძლია ღურსმანს, წინააღმდეგობა გაუწიოს გაზს, ან ნორჩი კბილი როგორ გაუძღებს გამოცდილ კბილის ექიმს? ურემ და მისის ჰიპმა ამომწოვეს ყველაფერი, რაც კი ესაჭიროებოდათ. ჩემდა სამარცხვინოდ, ვუამბე ისეთი რამეებიც, რის შესახებ წინასწარ ჩემს თავს სიტყვა მივეცი, კრინტი არ დამეძრა. ეს ბავშვური გულახდილობა მით უფრო სულელური იყო, რომ ჩემი გულუბრყვილობით, თავი წარმოდგენილი მქონდა ნამდვილ მფარველად ამ ორი ჩემი პატივცემულის მუსაუბრისა.

როდესაც აღარაფერი დარჩა საამბობელი ჩემს შესახებ, დედამ და შვილმა დაიწყეს ბაასი მისტერ ვიკფილდზე და აგნესაზე. ეს ბაასი, შეუდარებელი ხელოვნებით წარმართული, ჰგავდა ბურთის თამაშობას. ურემ პირველმა გადაუგდო ბურთი თავის დედას, მისის ჰიპმა დაიჭირა იგი და უკან გადმოუგდო ურის. მას ეჭირა ბურთი ხელში რამდენიმე წუთის განმავლობაში და შემდეგ ისევ გადაუგდო მისის ჰიპს. ამგვარად ისინი ისროდნენ ამ ბურთს იმ დრომდის, სანამ სრულებით თავბრუ არ დამესხა და ვეღარ ვარჩევდი, ვინ და როგორ აგრძელებდა ამ თამაშობას. თვით ბურთი იცვლებოდა ყოველ წუთს და ყოველგვარ სახეს იღებდა. ეს ხან მისტერ ვიკფილდი იყო, ხან აგნესა, ხან მშვენიერი გული მისტერ ვიკფილდისა, ხან ჩემი და აგნესას ნაზი მეგობრობა, ხან პრაქტიკული მუშაობა მისტერ ვიკფილდისა და მისი ყოველწლიური შემოსავალი, ხან ჩვენი შინაური ცხოვრება ნასადილევს, ხან პორტკეინი, რომელსაც მისტერ ვიკფილდი სვამდა, და რაღა სვამდა, რა მიზეზით, და როგორ საწყენია, რომ სვამს. ჯადოსნური ბურთი იყო ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე, ხან ყველაფერი და ხან არაფერი. მე წამოვროშე ყველაფერი, რაც კი გულში მქონდა, თუმცა მეშინოდა ხმამაღლა ლაპარაკისა, რომ ამით შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა დედისა და შვილისათვის და მათი საკვირველი თავმდაბლობისათვის. არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ისინი სრული კმაყოფილები იყვნენ თავიანთი სტუმრით.

მაგრამ თვითონ ვიგრძენი უხერხულობა და უკვე დავაპირე შინ წასვლა, როდესაც ჩემი ყურადღება მიიპყრო რაღაც ფიგურამ, რომელმაც გაიელვა ღია კართან ქუჩის მხარეს. იგი გაქრა, ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, კარებში შემოჰყო თავი და ბოლოს დაიძახა ხმამაღლა:

– კოპერფილდ! ნუთუ ეს თქვენა ხართ?

ეს იყო მისტერ მიკობერი!. თვით მისტერ მიკობერი, თავისი ღორნეტი სერთუკის ზედა ღილზე, შავი ხის ჯოხით, ამაყი შეხედულებით და სასიამოვნო ინტონაციით.

– ძვირფასო კოპერფილდ! – მითხრა მისტერ მიკობერმა და ხელი გამომიწოდა. – როგორი მოულოდნელი შემთხვევაა! ამგვარი შეხვედრა უნებურად აფიქრებინებს ადამიანს, როგორი ცვალებადი და უსაფუძვლოა ადამიანის ყოველგვარი მოღვაწეობა, საქმე და სურვილი... კოპერფილდ, ძვირფასო მეგობარო, როგორ ხართ?

არ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან გამეხარდა მისტერ მიკობერის ნახვა აქ, ჰიპებთან; მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მესიამოვნა მისი ნახვა. მაგრად ჩამოვართვი ხელი და მოვიკითხე მისის მიკობერი.

– გმადლობთ, ძვირფასო მეგობარო, – მითხრა მისტერ მიკობერმა, – ფიზიკური სხეული ჩემი მეუღლისა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ტყუპები, ეს რამდენიმე ხანია, რაც აღარა სწოვენ საკვებ სითხეს ბუნების წყაროდან... ერთი

სიტყვით, მისის მიკობერი ძუძუს აღარ აწოვებს ბავშვებს და ახლა მოგზაურობს ჩემთან ერთად. მას მეტად ესიამოვნება, კოპერფილდ, ნაცნობობის განახლება კეთილშობილ ყმაწვილთან, რომელიც სავსებით ღირსი გამოდგა მეგობრობის საკურთხეველთა სამსახურისა.

მე ვუპასუხე, რომ დიდად მოხარული ვიქნები, პირადად მივესალმო მისის მიკობერს-მეთქი.

– რას აკეთებთ, კოპერფილდ?

მე ავიღე ქუდი და ვუპასუხე, რომ ვსწავლობ ახლა დოქტორ სტრონგის ინსტიტუტში-მეთქი.

– სწავლობთ? – თქვა მისტერ მიკობერმა და წარბები ასწია. – ეს ამბავი აღტაცებით ავსებს ჩემს სულს!

– ხომ არ წავიდეთ მისის მიკობერთან, სერ? – ვუთხარი მე, რომ მალე გამეყვანა ამ სახლიდან.

– დიდი სიამვნებით, ძვირფასო მეგობარო, თუ თქვენ გსურთ ასეთი პატივი სცეთ ჩემს მეუღლეს, – მიპასუხა მისტერ მიკობერმა. – აი, აქ, თქვენი ახალი მეგობრების წინაშე, შემიძლია გულახდილად ვაღიარო, რომ ვეკუთვნი იმ ადამიანტა რიცხვს, რომელნიც იძულებულნი არიან, მრავალ წელთა განმავლობაში გამოსცადონ მძიმე ბრძოლა ფინანსურ დაბრკოლებებთან... ამის შემდეგ მან დაიღიღინა რაღაც ახალმოდური არია, ხელი ხელში გამიყარა და ქუცაში გავედი.

მეორე დღეს, დილის თერთმეტ საათზე, მე გამომიწვიეს კლასიდან მისადებოთახში, სადაც მისტერ მიკობერი დამხვდა. იგი ძალიან მხიარულად იყო და სადილად დამპატიუა.

იმ საღამოს ფანჯრიდან დიდი გაოცებით და აღელვებით დავინახე ქუჩაში მისტერ მიკობერი, ხელიხელგაყრილირი ჰიპთან. ისინი დასეირნობდნენ ქვაფენილზე და, როგორც ჩანდა, ძალიან საინტერესო ბაასი ჰქონდათ. ური მდაბრად თავს უკრავდა და მადლობას უხდიდა იმ პატივისცემისათვის, რომელიც მას ამ ნაცნობობით აკუთვნეს; მისტერ მიკობერი დიდებულ პოზაში იდგა და მზად იყო მფარველობა გაეწია ური ჰიპისათვის, მაგრამ ამით არ გათავებულა ეს ამბავი, როდესაც მეორე დღეს, ოთხ საათზე, მე მივედი რესტორანში სადილად მისტერ მიკობერთან, მან შემატყობინა, რომ წინა საღამოს სტუმრად იყო მისის ჰიპთან და იქ პუნშით გაუმასპინძლდნენ.

– აჰ, ჩემო კოპერფილდ! – მითხრა მისტერ მიკობერმა. – თქვენს მეგობარს, ჰიპს, დიდი ნიჭი აქვს, და დარწმუნებული ვარ, თავის დროზე მთავარი ვექილი გამოვა. თქვენ ხომ იცით, მე ფიზიონომისტი ვარ და ძნელად შევცდები მაგვარ საქმეში. მე რომ გამეცნო ეს ყმაწვილი კაცი იმ უბედურ დროს, როდესაც საბოლოო კრიზისი მოხდა ჩემს საქმეებში... მე ვხედავ, რომ შეიძლებოდა სხვანაირად მოვქცეოდი ჩემს მოვალეებს.

სადილი საუცხოო იყო. ჩვენ მოგვართვეს მშენივრად მომზადებული თევზი, ხბოს შემწვარი თირკმლები, ძეხვები, ხოსობი და პლუმ-პუდინგი. ღვინო და შოტლანდიური ლუდი საკმარისი იყო. ნასადილევს მისის მიკობერმა საკუთარი ხელით მოგვიმზადა თითო ჭიქა პუნში.

მისტერ მიკობერი ძალიან მხიარულად იყო, ჯერ არასოდეს არ მენახა იგი ასეთ მშვენიერ გუნებაზე. სახე უბრწყინავდა პუნშისგან, თვალები უელავდა და შუბლი ისე უპრიალებდა, თითქოს ლაქი ჰქონდა წასმული. მისი სიტყვით ისა და მისი მეუღლე მშვენივრად იყვნენ მოწყობილნი სასტუმროში, – ისე, როგორც კი შეიძლებოდა ენატრა განათლებულ მოგზაურს, და იგი არასოდეს არ დაივიწყებს იმ სასიამოვნო დროს, კენტერბერიში რომ გაატრა. შემდეგ წარმოითქვა ჩემი სადღეგრძელო. მისტერ მიკობერმა მოიგონა წარსული დრო და ჩვენი პირველი ნაცნობობა ყველა წვრილმანით: როგორ ვშველოდი ჭურჭლისა, წიგნებისა და ავეჯის გაყიდვაში.



ერთი სიტყვით, მე არასოდეს არ მენახა ადამიანი, აღსავსე ასეთი გულწრფელი მხიარულებით, რომელიც იმ საღამოს გამოკრთოდა მისტერ მიკობერის სახის ყველა ნაკვთში. ჩვენ გავშორდით ერთმანეთს საუკეთესო მეგობრებად, და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ბედმა მართლაც გაუღიმა ამ კეთილ ხალხს.

მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე, მივიღე მისტერ მიკობერისაგან წერილი, რომელიც, როგორც თარიღიდან ჩანდა, დაწერილი იყო წინა საღამოს, ათის ნახევარზე, ესე იგი, ჩემი წამოსვლის თხუთმეტი წუთის შემდეგ. ადვილი წარმოსადგენია ჩემი გაცეცხა, როდესაც წავიკითხე შემდეგი სტრიქონები:

„ჩემო ყმაწვილო მეგობარო, ძვირფასო კოპერფილდ!

წილი უკვე ვყარე – და ჩემი ბედი გადაწყდა! ყველაფერი დაიღუპა! მე ვმაღავდი სიკვდილის შხამს, გულს რომ მიგლეჯდა, ნაძალადევი მხიარულების ნიღაბქვეშ. მე მინდოდა შემეტყობინებინა თქვენთვის ამ საღამოს, რომ არ არის არავითარი იმედი ფულის მიღებისა. ამგვარ დამამცირებელ მდგომარეობაში მყოფმა, დიდი სიძნელით დავიყოლიე აქაური სასტუმროს პატრონი, რომ ფულის მაგივრად გამოერთმია ჩემთვის ხელწერილი, რომლის ძალით ეს ფული უნდა გადავიხადო ლონდონში, პეტონვილში, სადაც ახლა ჩემი მუდმივი რეზიდენციაა. ფულის გადახდის ვადა დანიშნულია თოთხმეტი დღის შემდეგ, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, რომ არც ერთი პენსი არ მექნება არც იმ დროისთვის და არც თითხმეტი თვის უკან. შედეგი – დაღუპვა. ღრუბელი მოგროვდება, იელვებს ელვა, დაიჭექებს – და ხე წაიქცევა.

დაე გამოადგეთ ჭკუის მასწავლებელთ გაკვეთილად, ჩემო კარგო კოპერფილდ, საცოდავი ბედი იმ ადამიანისა, რომელმაც ათროლოლებული ხელით გამოსახა ეს მომაკვდინებელი სტრიქონები. ამ მიზნით აიღო მან ხელთ კალამი. და თუ ამ მიზანს მიაღწია, იქნებ ოდესმე მზის შუქმა გაანათოს მისი უკანასკნელი დღენი შეხუთულს საპყრობილეში, სადაც მას უწერია, სულიერ ტანჯვათა შორის, საბოლოოდ განშორდეს ამ საცოდავ სიცოცხლეს.

ამ უკანასკნელ წერილს, ჩემო კარგო კოპერფილდ, თქვენ იღებთ ბედისაგან მოკლულის, თქვენი უბედური მეგობრის

ვილკინს მიკობერისაგან“.

თავზარდაცემულმა შევწყვიტე დილის მეცადინეობა და თავპირისმტვრევით გავიქეცი სასტუმროში, რომ რაიმე ნუგეში მეცა უბედური მისტერ მიკობერისათვის. შუაგზაზე შემხვდა ლონდონის დილიჯანსი და მის იმპერიალზე გაკვირვებით დავინახე ჩემი მეგობრები. მისტერ მიკობერი წარმტაცად იღიმებოდა, შესცქეროდა მეუღლეს ისეთი თვალებით, რომლებშიც ადამიანი ადვილად წაიკითხავდა ნეტარებასა და სიმშვიდეს. ისინი ორივენი თხილსა ჭამდნენ. მისტერ მიკობერის ჯიბიდან ბოთლს ამოეყო თავი.

მათ ვერ დამინახეს და გადავწყვიტე, რომ უკეთესი იყო, გვერდზე გამეველო და არ დამერღვია მათი აღუშფოთებელი მშვიდობიანობა.

შევუხვიე უახლოეს შესახვევში და სახლში შეუსვლელად წავედი დოქტორ სტრონგის ინსტიტუტში. დიდი ტვირთი მომეშვა გულიდან და მიხაროდა მათი წასვლა, თუმცა მაინც ძალიან მიყვარდა ეს ხალხი.

## თავი მეჩვიდმეტე

### განვლილი გზა

სად გაჰქრით, სად გაფრინდით ჩემი სასკოლო ცხოვრების წარსულნო დღენო? არავითარი კვალი არ დარჩა თქვენგან, და იქ, სადაც უწინ მიიჩქაროდა

ღრმა და სწრაფი მდინარე, მე ვხედავ მხოლოდ ვიწრო დელეს, ბალახით დაფარულს...

მაინც ვეცდები მოვიგონო ის შორეული ხანა.

მე უკანასკნელი მოწაფე აღარა ვარ დოქტორ სტრონგის ინსტიტუტში. რამდენიმე თვის განმავლობაში მოვახერხე ბევრი ამხანაგისთვის გამესწრო წინ, მაგრამ პირველი მოწაფე, ვინმე ადამსი, ჯერ ისევ ეხატება ჩემს წარმოდგენას, როგორც სხვა ჯიშის უძლიერესი ქმნილება. აგნესა ტყუილად მარწმუნებს, რომ მოვა დრო, როდესაც მეც ავალ კლასიკური სიბრძნის იმავე საფეხურზე. მე ვუპასუხებ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან პირველი მოწაფე დოქტორ სტრონგის ინსტიტუტში დიდებული გენოსია და ყველაფერს ერთი სწრაფი თვალის გადავლებით ხედება. იგი არ არის ჩემი მფარველი, როგორც სტირფორდი, და არ ითვლება ჩემს მეგობართა შორის, მაგრამ პატივსა ვცემ მთელი ჩემი არსებით და მაცოდებს მისი ნიჭი. რა გამოვა მისგან, როდესაც კურსის დამთავრების შემდეგ დასტოვებს დოქტორ სტრონგის ინსტიტუტს? არ ადგილს მოუმზადებს მას კაცობრიობა? აი ის კითხვები, რომლებიც მაინტერესებენ, როდესაც ვფიქრობ ჩვენი ინსტიტუტის პირველ მოწაფეზე.

მაგრამ ვისი სახე გამოჩნდა უეცრად ჩემი გონების თვალწინ? ეს არის მის შეპერდი, რომელიც მე მიყვარს.

მის შეპერდი სწავლობს ორი დის, პეტინგოლების პანსიონში, მე ვაღმერთებ მის შეპერდს. იგი ჯერ ისევ ბავშვია და მოკლე კაბით დაიარება. მაგრამ მე ვაღმერთებ მის შეპერდს. მას მრგვალი სახე აქვს და ხუჭუჭი თმა, რბილი, როგორც აბრეშუმი. დები პეტინგოლების მოწაფენი იქვე დადიან სასეირნოდ კვირაობით, სადაც ჩვენც დავდივართ. მე თვალი ვერ მომიშორებია მის შეპერდისათვის და შინ დაბრუნებისას ათასჯერ ვიმეორებ აღტაცებით: „ო, მის შეპერდ, მშვენიერო მის შეპერდ!“

რამდენიმე ხნის განმავლობაში ეჭვი მაქვს მის შეპერდის გრძნობების შესახებ, მაგრამ, ბოლოს, ბედმა შემიბრალა და ჩვენ შევხვდით ერთმანეთს საცეკვაო სკოლაში. არის თუ არა საჭირო ლაპარაკი იმაზე, თუ ვისთან ვცეკვავდი მე? ვეკარები მის შეპერდის ხელთათმანებს და ვგრძნობ, როგორ მივლის მთელ ტანში უნებური თრთოლვა. არა მითქვამს-რა განსაკუთრებული, მაგრამ ჩვენ გვესმის ერთმანეთის. მის შეპერდი და მე ვცხვოვრობთ ახლა მხოლოდ იმისთვის, რომ შევერთდეთ განუყრელი კავშირით, რა წამსაც გამოვალთ სასწავლებლიდან.

რად მივეცი, კაცმა რომ მკითხოს, მის შეპერდს ერთი დუქუნი ბრაზილიის კაკალი? კაკალი, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს ჩემი სიყვარულის ემბლემა, რადგან ზეთის გემო აქვს და ისეთი მაგარია, რომ მისი გატეხვა დიდი სიძნელით შეიძლება კარებსა და ჩარჩოს შუა. მაინც ვგრძნობ, რომ უნდა მიმეცა მისთვის ეს კაკალი. ამას გარდა, მე მივართვი მას ერთი გირვანქა საუცხოო კამფეტი და აუარებელი ფორთოხლები. ერთხელ კიდევაც ვაკოცე მალულად მის შეპერდს, – ეს მოხდა დიდი საცეკვაო სადამოს შემდეგ, დერეფანში; მაგრამ რა კალამი აღწერს ჩემს აღშფოთებას, როდესაც მეორე დღეს გავრცეელდა ხმა, თითქოს დებმა პეტინგოლებმა კუთხეში დააყენეს მის შეპერდი იმის გამო, რომ მას წესიერად ვერ ეჭირა ფეხის წვერები რომელიღაც პოზაში.

დიდხანს იყო მის შეპერდი ჩემი სიცოცხლის ერთადერთი ოცნება და მიზანი, და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ არავითარ ძალას ამქვეყნად არ შეეძლო ჩვენი კავშირის დარღვევა. მაგრამ ჩვენს შორის ხდება განხეთქილება, თუმცა ვერც კი წარმომიდგენია, როგორ მოხდა ეს. მის შეპერდი და მე საკმაოდ გულგრილი გავხდით ერთიმეორისადმი. ჩემს ყურამდე მოაღწია ხმამ, თითქოს მის შეპერდს ეთქვას ერთხელ, რომ შემდეგში აღარ გავბედო მასზე თვალების შტერება. მალე მე მესმის, რომ მის შეპერდი გარკვეულად უპირატესობას აძლევს მისტერ ჯონსს! ეს კი მეტისმეტია! ჯონსი სრულებითაც არ არის რითიმე

შესანიშნავი ბიჭი! კიდევ რამდენიმე დღე – და ჩვენს შორის მთელი უფსკრული გაიხსნა. ერთხელ, სეირნობის დროს, მე შევხვდი მის პეტინგოლების მთელ პანსიონს. როდესაც ჩემს გვერდით ჩაიარა მის შეპერდმა, მან ტუჩი ამიკრა და შემდეგ ღიმილით გადახედა თავის ამხანაგს. ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულა! მე მზად ვიყავი მისთვის სიცოცხლე შემეწირა, იმან კი!..

ახლა აღარავინ არღვევს ჩემს სულიერ სიმშვიდეს და სწრაფი ნაბიჯით მივდივარ წინ, კლასიკური განათლების გზით. უკვე აღარ ვაქცევ არავითარ ყურადღებას პეტინგოლების პანსიონის ყმაწვილ მოწაფე ქალებს, დაე, ორჯერ ან სამჯერ მეტნი იყვნენ და ყოველი მათგანი სილამაზისა და მშვენიერების ნიმუში იყოს: ახლა მე დიოგენის თვალსაზრისით ვუყურებ მთელს მდედრობით სქესს. ცეკვის გაკვეთილები საშინლად მობეზრდა. რატომ მარტონი არ ცეკვავენ ეს გოგონები და თავს არ დაგვანებებენ? მე მშვენივრად ვწერ ლათინურ ლექსებს და სრულებით ყურადღებას აღარ ვაქცევ ჩემს ტანისამოსს. დოქტორი სტრონგი ყველგან და ყოველთვის ლაპარაკობს ჩემს შესახებ, როგორც ყმაწვილ კაცზე, რომელიც ბრწყინვალე იმედებს იძლევა. მისტერ დიკი თრთის აღტაცებულისაგან; პაპიდა საჩუქრად გინეას მიგზავნის.

აი ჩემს თვალწინ ისახება ყმაწვილი ყასბის სახე, როგორც მოჩვენება მუხარადიანი თავისა მაკბეტში. ვინ არის ეს ყმაწვილი ყასაბი? მთელი კენტერბერის ბიჭების შიშისა და თავზარის დამცემი. ჩვენს შორის დადის ხმა, თითქოს ხარის ქონი, რომელსაც იგი თმაზე ისვამს, მას ანიჭებს არაჩვეულებრივ ძალას და ამის გამო, ვაჟკაცებთანაც კი შეუძლია ჭიდაობა. ყმაწვილ ყასაბს განიერი სახე აქვს, სქელი და მოკლე კისერი, წითელი ლოყები და საზიზღარი ენა, მისი მთავარი საქმეა – დამცირება და გაბიაბრუება დოქტორ სტრონგის ახალგაზრდა მოწაფეებისა. საჯაროდ აცხადებს, რომ ინსტიტუტის მოწაფეებს დიდხანს ეხსომებათ იგი, ზოგიერთ ჩვენგანს, და მეც მათ შორის, იგი ასახელებს და იქადის, რომ გაღაზიანდეს ყველას. იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ერთი ხელი ზურგზე ექნეს გაკრული. მისთვის ერთი ხელიც საკმარისია, – მარჯვენა იქნება იგი თუ მარცხენა, სულ ერთია. იგი უსაფრთხეა პატარა მოწაფეებს და თმებით ათრევს. არაერთხელ გამიწვია საბრძოლველად ქუჩაში.

ყველა ესა და მრავალი სხვა, ერთად აღებული მიზეზი, მაიძულებენ გამოვიდე საჭიდაოდ ყმაწვილ ყასაბთან.

დრო – ზაფხულის სადამო; ასპარეზი – მწვანე კორდი კედელს უკან; მოქმედი პირნი – მე და ყმაწვილი ყასაბი. თან მახლავს ინსტიტუტის რამდენიმე მოწაფე; ყასაბის მოწმენი არიან – დუქნის ბიჭი და მილების მწმენდავის ქარგალი. ბრძოლის პირობები წინასწარვე გამორკვეულია. მე და ყასაბი ერთიმეორის პირდაპირ ვდგავართ. ერთი წუთი და ყასაბმა ისე მითაქა, რომ ათი ათასი სანთლის ნაპერწკალი გადმომცვივდა მარცხენა თვალიდან. კიდევ ერთი წუთი – და აღარც ვიცი, სად არის აქ კედელი, სადა ვარ მე, სად ჩემი ამხანაგები. ძლივს ვარჩევ, რომელი ვარ მე და რომელი – ყასაბი. ჩვენ ვუტრიალებთ, ვუვლით ერთმანეთს და გამწარებით ვიბრძვით მწვანე ბალახზე. ხანდახან ვხედავ ყასაბს ნაცემს, დასისხლიანებულს, მაგრამ მხნეობით აღსავსეს; ხანდახან არაფერს ვხედავ, ვზივარ ჩემი სეკუნდანტის მუხლებზე და სულს ძლივს ვითქვამ. მაგრამ უეცრად ისევ გამოვდივარ ასპარეზზე და მლავებდაკაპიწებული, გაშმაგებული ვებრძვი ჩემს მოწინააღმდეგეს, რომელიც მაინც კლდესავით მაგარია. ბოლოს, გონებას ვკარგავ და ვეცემი მწვანე ბალახზე; მე ხელში მიყვანენ და თვალს ვახელ, როგორც მძიმე ძილის შემდეგ. ყასაბი ქურთუკს იცვამს და სახელში წასვლას აპირებს. დუქნის ბიჭი და მილების მწმენდავი ესალმებიან ამხანაგს და გამარჯვების ყიჟინით ავსებენ ჰაერს. აქედან ვასკენი, რომ გამარჯვება ყასაბის მხარეზეა.

მე სახელში ვარ, ჩემს ოთახში, საბრალო მდგომარეობაში. თვალებზე უმ ხორცს მადებენ. მკერდსა და სახეზე არყისა და ძმრის ტილოები მადევს; ზედა

ტუნზე უმველებელი თეთრი ბუმტი მახის. სამი თუ ოთხი დღის განმავლობაში ჩემს ოთახში ვზივარ დასახიჩრებული, საზარელი სანახავი ვარ; გასიებული ლოყები, წითელ-ყვითელი რგოლები თვალების გარშემო ნამდვილ მახინჯად მხდიან, ძალიან მოვიწყენდი, აგნესა რომ არ იყოს, რომელიც დის მაგივრობას მიწევს. იგი მივლის, თანამიგრძნობს, სწუხს ჩემთან ერთად, ხმამაღლა მიკითხავს. ამგვარად, დრო მალე მირბის. მე ბედნიერი ვარ აგნესას საზოგადოებაში. არასდეს და არაფერს არ ვუძალავ აგნესას. ამბავი ყასაბისა და ცხარე ბრძოლისა მწვანე კორდზე მან დაწვრილებით იცის. აგნესა მეთანხმება, რომ მართლაც ყოვლად შეუძლებელი იყო უარის თქმა ბრძოლაზე, მაგრამ გული უსკდება და თრთის, როდესაც წარმოიდგენს, რომ მე გავბედე ამისთანა საშინელი ვშირობის ჩადება.

თვეები და წლები მიჰქრია. პირველი მოწაფე ინსტიტუტში უკვე ადამსი აღარ არის. დიდი ხანია, რაც მან დაასრულა კურსი. როდესაც მისტერ ადამსი მოდის სადარბაზოდ დოქტორ სტრონგთან, ბევრნი ვეღარა სცნობენ მას, ჩემს გარდა. ადამსი იურიდიულ საქმეებს სწირავს თავს; მისი მიზანია ვექილობა და პარიკის ტარება. გააკვირვებული ვარ, რომ მისტერ ადამსი წყნარი, მორიდებული ყმაწვილი კაცია და არაფერი განსაკუთრებული არ არის მის პიროვნებაში. აქამდის მას არ მოუხდენია რაიმე თვალსაჩინო გავლენა მსოფლიოს საქმეებზე. ეს ძალიან, ძალიან მაკვირვებს.

ახლა მე ვარ პირველი მოწაფე დოქტორ სტრონგის ინსტიტუტში. რა არარაობას წარმოადგენენ ის ბიჭები, უმცროს კლასში რომ სხედან უკანა სკამებზე! მაგრამ მე არა ვარ ამაყი და თავბრუ არ მეხვევა ამ, ჩემთვის წინათ მიუწვდომელ სიმაღლეზე დგომით, გულწრფელ მონაწილეობას ვიღებ პატარა მოწაფეების ბედში და ყოველი ახალი მოწაფე მაგონებს იმ ბავშვს, რომელიც ოდესღაც თვითონ ვიყავი ამ სკოლაში შემოსვლისას! ო, რა დიდი ხანია მას აქეთ!.. პატარა კოპერფილდი წარმოდგენილი მყავს, როგორც სრულებით განსაკუთრებული არსება, რომელიც მე არაფრით არ მგავს. მართლა კი ვიყავი როდისმე პატარა? არა, მე დავტოვე პატარა კოპერფილდი ჩემს უკან, ცოხვრების შარავზაზე, ჩაცუარე გვერდით და ახლა ვიგონებ მას, როგორც ერთ იმ ახალ მოწაფეთაგანს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო დოქტორ სტრონგის ინსტიტუტის პირველ მოწაფესთან.

ის პატარა გოგონა რაღა იქნა, რომელიც დამხვდა მისტერ ვიკფილდის სახლში, პირველად რომ მოვედი? ის აღარ არის! მისტერ ვიკფილდის სახლში ახლა დიასახლისობს იმ პორტრეტის ორიგინალი, რომელიც სასტუმრო ოთახში ბუხრის თავზე ჰკიდია, და აღარაფერი ბავშვური აღარ არის მის სახეში. აგნესა, ჩემი ძვირფასი და, როგორც ვუწოდებ მას ჩემს ოცნებაში, ჩემი ნუგეშისმცემელი, მრჩეველი, მეგობარი, მუდამ თავგამოდებული, აგნესა – დასრულებული ქალია.

მაშ ასე, მე გავიზარდე, დავვაჟიკადი, შევიძინე კლასიკური განათლება. ხომ არ არის-რა ჩემში კიდევ რამე ცვლილება? როგორ არა! ახლა მე ვატარებ ოქროს საათს ძეწკვით, ოქროს ბეჭედს მარცხენა ნეკზე, განიერსა და გრძელკალთებიან ფრაკს და, ამას გარდა, დათვის ქონს ვისვამ თმაზე. ყოველივე ეს, ერთად აღებული, ბეჭედთან ერთად, არაფერ სიკეთეს არ მოასწავებს. ნუთუ ისევ შეყვარებული ვარ? დიახ, მე ვადმერთებ უფროს მის ლარკინს.

უფროსი მის ლარკინსი უკვე ბავშვი აღარ არის. სრულიადაც არა! იგი მაღალია, ტანწერწეტი, შავგვრემანი, შავთვალწარბა, მაშასადამე – მშვენიერი. მას არ შეიძლება ეწოდოს ნორჩი, რადგან მისი უმცროსი დაც კი გამოვიდა ამ ასაკიდან და იგი სამი თუ ოთხი წლით მაინც არის უმცროსი ჩემი გრძნობის საგანზე. უფროსი მის ლარკინსი, ჩემი აზრით, ერთი ოცდაათი წლისა მაინც არის და ჩემი სიყვარული მისდამი აღემატება ყოველივე აღწერას.

უფროსი მის ლარკინსი ბევრ ოფიცერს იცნობს ამ ქალაქში. ეს საშინელებაა და ყოვლად აუტანელი. ხშირად ვხედავ, როგორ ელაპარაკება იგი ოფიცრებს. ისინი განგებ გაჩერდებიან ხოლმე ან გზას გადმოდინან, როდესაც ქვაფენილზე

თვალს მოჰკრავენ უფროსი მის ლარკისის ქუდს, რომლის გვერდითაც ჩანს მეორე ქუდი – მისი უმცროსი დისა. უნდა შევნიშნო, რომ უფროს მის ლარკისს მშვენიერი გემოვნება აქვს და ყოველთვის საუცხოო ქუდები ჰხურავს. იგი უღიმის ოფიცრებს, ძალიან მხიარულად ელაპარაკება მათ, და ყველაფრიდან ჩანს, რომ ოფიცრების საზოგადოება განსაკუთრებით მოსწონს მის ლარკისს. ჩემი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ახლა ქალაქში სეირნობას ვანდომებ და ვცდიობ, წინასწარვე გამოვარკვიო, სად უფრო მოსალოდნელია მის ლარკისის შეხვედრა. მთელი დღის განმავლობაში ბედნიერი ვარ, თუ ერთხელ მაინც მომეცა საშუალება მას თავი დაგუკრა; ეს არ არის ჩემის მხრივ თავხედობა, რადგან ბედნიერება მაქვს ვიცნობდე მის ლარკისის მამას. დროგამოშვებით ისიც გამაბედნიერებს ხოლმე თავის დაკვრით. აი, დანიშნულია დიდი საცეკვაო სადამო და ვიცი, რომ მის ლარკისსი ოფიცრებთან იცეკვებს. რა წამები შეედრება იმ სულიერ ტანჯვას, რომელსაც გავიცდი ამ სადამოს წინ?

გრძნობა მიკარგავს მადას და მაიძულებს ვატარო ახალი აბრეშუმის ყელსახვევები. ჩემი ერთადერთი ნუგეშია ახლა სარკის წინ მორთვა ჩემს საუკეთესო ტანისამოსში; ჩექმებს ვიწმენდ დილით, შუადღისას და სადამოს, ძილის წინ. მორთულს და დავარცხნილს, განსაკუთრებული ფასი მედება ჩემს თვალში და მეძლევა იმედი, დავისახურო მის ლარკისის თანაგრძნობა. ყველაფერი, რაც კი მას ეკუთვნის ან რაიმე დამოკიდებულება აქვს მასთან, ძვირფასია ჩემთვის.

როგორა მწყინს, რომ ასეთი ახალგაზრდა ვარ! ტყუილად ვითვლი ჩემს წლოვანებას ხან ასე, ხან ისე, მაინც გამოდის, რომ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა ვარ და, მაშასადამე, შესაძლებლობის თეორიით, ამ ასაკში არ ვვარგვივარ მის ლარკისის მეუღლედ. რა ვუყვით მერე! მოვა დრო, – და ძალიან მალეც, – როდესაც ოცდაერთი წლისა შევსრულდები. ამ მოსაზრებით მე ყოველ სადამოს დავსეირნობ მისტერ ლარკისის სახლის წინ, თუმცა გული მტკივნეულად მეწურება და სევდისგან მიკვდება, როდესაც აქ ოფიცრებს ვხედავ ამ მესმის მათი ხმები სასტუმრო ოთახში, სადაც უფროსი მის ლარკისსი არფაზე უკრავს. სტუმრები წავიდნენ, სანთები ჩაქრა, მთელს ოჯახს სძინავს, მე კი ისევ დავდივარ სახლის წინ და ვცდილობ, მივხვდე, რომელ ოთახში სძინავს უფროს მის ლარკისსს. ხომ შეიძლება, რომ ამ სახლს უეცრად ცერცხლი წაეკიდოს? ხანძრის ალი მეტად და მეტად მძვინვარებს, აუარებელი ხალხი მორბის და გაშტრებული უცქერის, როგორ ანადგურებს ყველაფერს აბობქრებული სტიქიონი. ყველანი პანიკური შიშით არიან გაქვავებულნი. ამ დროს გაბედულად ვადგამ კიბეს საწოლი ოთახის ფანჯარას, სადაც წევს ჩემი გულწასული სატრფო, ვიხუტებ მას გულში და სიფრთხილით ვეშვები ჩემი ტვირთით მიწაზე. მერე ისევ იმავე კიბით ავდივარ მისი ნივთების გადასარცენად და გმირული სიკვდილით ვიღუპები ალში! როგორც ჰხედავს მკითხველი, ჯერ კიდევ შემეძლო მაშინ უანგარო სიყვარული, ჩემი ნატვრა იყო, რითიმე მესახელებინა თავი უფროსი მის ლარკისის წინაშე და შემდეგ – მომკვდარყავი მის ფერხთით.

მაგრამ ყოველთვის არა ვარ ასეთი უანგარო. აი, ამ დღეებში ლარკისები დიდ საცეკვაო სადამოს მართავენ, რაც მე უკვე სამი კვირის წინ ვიცოდი. მშვენიერი ჩვენება ირევა ჩემს ოცნებაში. ორი საათით ადრე ვილაპარაკებ თავს სარკის წინ და ოცნება მიმაფრენს ფანტაზიის სამეფოში. წარმოდგენილი მაქვს, რომ ამ სადამოს ვიკრებ მთელს ვაჟაკობას და სიყვარულს ვუცხადებ უფროს მის ლარკისსს. იგი აენტება გაკვირვებისაგან, მხარზე მომყრდნობს თავს და მეტყვის:

– ო, მისტერ კოპერფილდ! ნუთუ ეს მართალია?

ყველაფერი გათავდა. მეორე დილას, ჯერ ისევ ლოგინში ვარ, როდესაც მოდის მისტერ ლარკისსი და მეუბნება:

– ძვირფასო კოპერფილდ! ჩემმა ქალმა ყველაფერი მიამბო. სიყმაწვილე არ არის დაბრკოლებს, მე თანახმა ვარ. აი ოცი ათასი გირვანქა სტერლინგი, – ბედნიერი იყავით.

პაპიდა ჯერ მიჯავრდება ასეთი უეცარი გადაწყვეტილებისათვის, მაგრამ შემდეგ ისიც მოღბება და დალოცავს ჩვენს კავშირს. მისტერ დიკი და დოქტორი სტრონგი ესწრებიან ქორწილს. მე გრძნობით აღსავსე, მაგრამ მორიდებული ვარ (ესე იგი, ასეთი ვიყავი იმ შორეულ ხანაში); მიუხედავად ამისა, მთელი ეს თავხედური ოცნება თავბრუს მახვევს და გულს სიხარულით მივსებს.

ბალი გაჩაღებულია. მუსიკა, ყვავილები, ეპოლეტები, და ამათ შორის – უფროსი მის ლარკინსი, რომელიც ყველას ჩრდილავს თავისი ბრწყინვალე სილამაზით. იგი ცისფერ კაბაშია გამოწყობილი და თავზე ცისფერი ყვავილი უკეთია. მისი მშვენიერების დავიწყება ყოვლად შეუძლებელია!

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვარ ამგვარ დიდს საღამოზე, უფროსებს შორის, და თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ. მე აქ არ ვეკუთვნი არც ერთ წრეს და, როგორცა ჩანს, არავის სურს მომაქციოს რაიმე ყურადღება. მხოლოდ მისტერ ლარკინსი მიახლოვდება და მეკითხება: რა არის ახალი ჩვენს ინსტიტუტში და როგორ არიან ჩემი ამხანაგები. უცნაური კითხვებია! ნუთუ იმისთვის მომიწვიეს, რომ შეურაცხყოფა მომაყენონ! რამდენიმე ხნის განმავლობაში უძრავად ვდგავარ კედელთან და ჩემი თვალები მოუშორებლად მიმართულია ჩემი გულის მბრძანებელზე. ბოლოს, – ო, სიხარულო! – მე შემნიშნა მის ლარკინსმა, თვითონ მან, უფროსმა მის ლარკინსმა!

– თქვენ ცეკვავთ? – მეკითხება მის ლარკინსი, მომხიბლავი ღიმილით.

– თქვენთან, თუ ნებას მიბოძებთ, – ვუპასუხე მდაბალი ტავის დაკვრით.

– და სხვა არავისთან?

– მე არ მინდა სხვებთან ცეკვა.

მის ლარკინსი იღიმება და წითლდება, ესე იგი, მე მომეჩვენა, რომ იგი გაწითლდა.

– ძალიან კარგი, – მეუბნება მის ლარკინსი, – დიდი სიამოვნებით, მზად ვარ ვიცეკვო თქვენთან, ოღონდ კადრილის შემდეგ: ახლა მე უკვე ანგაჟირებული ვარ.

მე ვთვლი წამებს, და ბოლოს, სანატრელი წუთი დადგა. დაუკრეს ვალსი. ვუახლოვდები მის ლარკინსს.

– განა თქვენ ცეკვავთ ვალსს? – მეკითხება ეჭვით მის ლარკინსი. – თუ არა ცეკვავთ, კაპიტანი ბეილი...

მაგრამ მე ვცეკვავ ვალსს და შემიძლია ვთქვა, რომ ურიგოდ არ ვცეკვავ. მე ხელსა ვკიდებ მის ლარკინსს და ამაყად მიმყავს იგი კაპიტანი ბეილის წინ. იგი, რასაკვირველია, ცოფებსა ყრის სიბრაზით, მაგრამ მე არ მენადვლება. მე ხელსა ვხვევ უფროსი მის ლარკინსის წელს და ჩვენ ვტრიალებთ... სად, როგორ, რა საგნებს შუა, დიდხანს თუ მცირე ხანს, – არაფერი არ ვიცი, და მეჩვენება, თითქოს დავცურავ დაუსრულებელ სივრცეში, მიფერინავ ვარსკვლავთა სფეროში, ბურუსში გახვეული, მოხიბლული, მოჯადოებული, დაბრმავებული ცისფერი ფერიის მშვენიერებით. მაგრამ, აი, ჩვენ მარტონი ვართ პატარა ოთახში და სოფაზე ვსხედვართ. მის ლარკინსი აღტაცებაში მოდის ყვავილისაგან, რომელიც ჩემი ფრაკის კილოში მიკეთია, – ეს იყო პირისფერი იაპონური კამელია, რომელშიც ნახევარი კრონა მივეცი. სიხარულით ვთავაზობ ამ ყვავილს და ვეუბნები:

– სამაგიეროდ, მე ვთხოვლობ ფასდაუდებელ ჯილდოს, მის ლარკინს.

– მაინც რას?

– ყვავილს თქვენი თაიგულიდან. მე გავუფრთხილდები მას, როგორც ძუნწი – თავის საუნჯეს.

– თქვენ გაბედული ყმაწვილი ხართ, – მეუბნება მის ლარკინსი. – ინებეთ.

იგი მაწვდის ყვავილს, ასე მეჩვენება – კეთილგანწყობილების დიმილით. მე მიმაქვს იგი ჯერ ტუჩებთან და შემდეგ ჩემს გულთან. მის ლარკინსი ძალიან მხიარულად იცინის, მიწვდის ხელს და მეუბნება:

– აბა, ახლა კი წამიყვანეთ კაპიტან ბეილტან.

მე ჯერ გონს ვერ მოვსულვარ ნეტარებისაგან, ვალსისა და გამარტოებული ლაპარაკის გამო, როდესაც მის ლარკინსი ისევ მიახლოვდება და თან მოჰყავს ხნიერი, სრულებით უმნიშვნელო ჯენტლმენი, რომელიც მთელი ამ საღამოს განმავლობაში ქაღალდს თამაშობდა.

– აი ეს, ჩემი გაბედული მეგობარი, – ამბობს მის ლარკინსი. მისტერ ჩესტლს თქვენი გაცნობა სურს, მისტერ კოპერფილდ.

დიდად მოხარული ვარ, რადგან ვხვდები, რომ ეს ხანშიშესული ჯენტლმენი მის ლარკინსის ოჯახის ძველი მეგობარია.

– გემოვნება, სერ, მშვენიერი გქონიათ, რაც სასახელოა თქვენთვის, – მეუბნება მისტერ ჩესტლი. – ოღონდ იმედი მაქვს, რომ თქვენი სურვილები ძალიან შორს არ მიდის, რადგან შეიძლება სხვებმა დაგასწორონ, ყმაწვილო, ყოველშემთხვევაში მესიამოვნა თქვენი გაცნობა. თუ როდისმე მოგიხდეთ ყოფნა ჩვენს მხარეს, აშფორდის მიდამოებში, გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენსას და გვესტუმროთ, რამდენი ხნითაც გსურდეთ.

გულწრფელ მადლობას გუხდით მისტერ ჩესტლს და მაგრად ვართმევ ხელს. ჩემი ოცნება უფრო შორს მიფრინავს. ერთხელ კიდევ ვცეკვავ ამ საღამოს განმავლობაში უფროს მის ლარკინსთან, და იგი მეუბნება, მშვენივრად ცეკვავ ვალსსაო.

წარმოუდგენელი ნეტარება სახლშიც თანა მსდევს, მისტერ ვიკფილდის განმართოებულს ოთახში მთელი ღამის განმავლობაში ცეკვავს ჩემი ოცნება, და მთელი ღამის განმავლობაში ვეხები წელსზე ცისფერ ფერიას. ჩემი ნეტარება რამდენიმე დღეს გრძელდება; მაგრამ მე აღარსად ვხედავ მის ლარკინსს. იგი არა ჩანს არც ქუჩაში, არც თვაის სახლის ფანჯრებთან. სევდა მეპარება, მაგრამ დამტკნარი ყვავილი მანუგეშებს ჩემი გულის მბრძანებლის უნახაობას.

ერთხელ, ნასადილევს, როდესაც ჩვეულებრივად ვისხედით ზემო სართულის სასტუმრო ოთახში, აგნესამ მომმართა და მითხრა:

– იცით, ტროტვუდ, ვინ თხოვდება ამ დღეებში?

– არა, არ ვიცი, ვინ?

– თხოვდება ერთი არსება, რომელიც თქვენ ძალიან გიყვართ.

– ვინ არის ეს? თქვენ ხომ არა, აგნესა?

– მე? გესმით, მამილო, რას ლაპარაკობს?.. არა, ტროტვუდ, თქვენ ვერ გამოიცანით. თხოვდება უფროსი მის ლარკინსი... აბა, მიხვდით, ვისზე?

– კა...კა. კაპიტან ბეილზე, – ვამბობ მე და სულს ძლივს ვითქვამ.

– არა, კაპიტანზე კი არა, მისტერ ჩესტლზე, რომელსაც სვია მოჰყავს აშფორდის მიდამოებში.

საშინელი სევდა მიღრღნის გულს და ერთი-ორი კვირის განმავლობაში მკვდარივით დავდივარ. აღარ მიბრწყინავს ოქროს ბეჭედი ნეკზე და დათვის ქონით აღარ მიკრიალებს თმა, ახალი ტანისამოსი შენახულია. მე ძველ სერთუკს ვატარებ ახლა და ხშირად ცხარე ცრემლებს ვაფრქვევ გამხმარ ყვავილზე. ამგვარი მდგომარეობა აუტანელია ჩემთვის, და გამეხარდა, როდესაც უტიფარმა ყასაბმა ისევ გამიწვია საბრძოლველად. მე მივაგდე გამხმარი ყვავილი, მედგრად გავედი მტრის წინააღმდეგ და ამ ჯერზე ყასაბი დავამარცხე!

**თავი მეოთხრამეტე**

## აღმოჩენა

არ ვიცი ნამდვილად, გამეხარდა თუ მეწყინა, როდესაც ბოლო მოეღო ჩემს მეცადინეობას სკოლაში. მგონია, ძალიან ბედნიერი ვიყავი ინსტიტუტში, ღრმად პატივს ვცემდი ჩემს დირექტორს და ყველას ვუყვარდი. ამიტომაც მწყინდა ინსტიტუტის მოშორება და გულთ ვნადვლობდი. მაგრამ მრავალი სხვა მიზეზის გამო მიხაროდა კურსის დამთავრება. იქ, ამ სკოლის კარებს იქით, ბუნდოვანს სივრცეში, მეხატებოდა ნათელი გზა საზოგადო მოღვაწეობისა, აღსავსე ბრწყინვალე იდეებით.

ჩემი ბავშვობის გამოცდილება და დაკვირვებანი არაფრად გამომაღვა და ვუცქეროდი სიცოცხლეს, როგორც ჯადოსნულ ზღაპარს, რომლის წაკითხვაც, მე როგორც ფანტასტიკური ქვეყნის გმირს, მომიხდებოდა გატაცებითა და აღტაცებით.

პაპივამ და მე საერთო თათბირზე დიდხანს ვიმსჯელებთ იმის შესახებ, თუ რაგვარ ცხოვრებას შევდგომოდი სკოლის დამთავრების შემდეგ. თითქმის ორი წლის განმავლობაში ვცდილობდი, მეპასუხა ჩემი თავისთვის მთავარ საკითხზე: რა დარგისკენ უფრო მიმიწევს გული განსაკუთრებით? მაგრამ რამდენიც არ ვიმტვრიე თავი, ბოლოს ყოველთვის გამოდიოდა, რომ ჩემში არ იყო რაიმე გადაჭრილი მიდრეკილება რომელიმე გარკვეული მეცნიერებისაკენ.

მისტერ დიკი, როგორც ჩემი მეთვალეყურე და მზრუნველი, აუცილებლად ესწრებოდა ყველა ამ თათბირს.

– იცი რა, ტროტ? – მითხრა პაპივამ ერთხელ დილით, უქმეებში როდესაც უკვე გამოვედი ინსტიტუტიდან. – ამდენი ხანია ვლაპარაკობთ ამ საკითხზე და მაინც ვერც ერთი ნაბიჯით ვერ წავწიეთ წინ. მე მგონია, ურიგო არ იქნება, თუ ცოტას მოვითმენთ და დავიცდით. შენ კი, ამ ხნის განმავლობაში, ეცდები, ახალი თვალსაზრისით შეხედო ქვეყანას, არა როგორც მოწაფემ. ყმაწვილი კაცისთვის მეტი არ არის ხალხის გაცნობა და ამავე დროს თავის მდგომარეობაში გარკვევა, გესმის?

– მესმი, პაპიდა.

– მე აზრად მომივიდა, ტროტ, რომ პატარა მოგზაურობა ძალიან სასარგებლო იქნებოდა შენთვის. თანახმა ხარ?

– სავსებით თანახმა ვარ, პაპიდა.

– ვთქვათ, პირველად თუ მოისურვებდი გასეირნებას ძველი ადგილებისაკენ, იქ, სადაც ცხოვრობს ის დედაკაცი, უმსგავსი სახელით, – რა ჰქვია? – იკითხა პაპივამ და ცხვირი მოიფხანა.

უნდა შევნიშნო, რომ პაპივამ ვერ აპატია პეგოტის მისი უმსგავსი სახელი.

– ო, ამაზე უკეთესს თქვენ ვერაფერს მოიფიქრებდით, პაპიდა! – წამივიძახე მე აღტაცებით.

– ძალიან კარგი! დიდი ხანია ვფიქრობ მაგაზე. ჯერ აზრად მქონდა, რომ მოგზაურობაში შენთვის აუცილებელია მისტერ დიკის თანხლება, მაგრამ როდესაც კარგად მოვისაზრე, გადავწყვიტე, რომ მისტერ დიკი სახლში უნდა დარჩეს და მე მომიაროს.

მისტერ დიკმა ერთი წუთით მოიწყინა და თავი ჩაჰკიდა, მაგრამ მას ისევ გაუბრწყინდა სახე, როდესაც გაიგო, რომ უნდა გაუფრთხილდეს და დაიცვას ყველაზე საოცარი ქალი დედამიწის ზურგზე.

ყველა თავისი გეგმა და სურვილი პაპივას საოცარი სისწრაფით მოჰყავდა სისრულეში. ახლაც, როგორც კი გათავდა ჩვენი წინასწარი მოლაპარაკება, ჩემი ჩემოდანი დაუყოვნებლივ მოამზადეს სამგზავროდ, და მე მივიღე პაპივასაგან ოქროებით მაგრად გატენილი ქისა. გამომშვიდობებისას პაპივამ დამაჯილდოვა კეთილი რჩევით და უნაზესი კოცნით. ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ ჩემი მოგზაურობის მიზანი მხოლოდ ქვეყნის გაცნობაა და ჩემი მდგომარეობის აწონ-



დაწონვა. ამიტომ პაპიდა მირჩევდა რამდენიმე დღე გამეტარებინა ლონდონში, სუფოკლიდან დაბრუნებისას, ან, თუ მსურს, სუფოკლში წასვლის წინ. მისი ანგარიშით ჩემი მგზავრობა უნდა გაგრძელდეს უიყო სამი კვირა ან ერთი თვე. მთელი ამ ხნის განმავლობაში სრული თავისუფლება მეძლეოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ წესიერად, კვირაში სამჯერ წერილი მიმეწერა პაპიდასათვის.

მე, უპირველეს ყოვლისა, წავედი კენტერბერში, რომ საბოლოოდ გამოვთხოვებოდი აგნესას, მისტერ ვიკფილდს და ინსტიტუტის პატივცემულ დირექტორს. აგნესას ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა და მითხრა, რომ ჩემი წასვლის შემდეგ მათი სახლი აღარ ჰგავს წინანდელს.

– მით უმეტეს, მე აღარ ვგავარ ჩემს თავს, აგნესა, თქვენთან განშორების შემდეგ, – ვუთხარი მე. – უთქვენოდ, აგნესა, თითქოს მარჯვენა ხელი მაკლია. მეტსაც ვიტყვი: უთქვენოდ ძლივს მესმის, რომ თავი თანზე მებას. თქვენი რჩევა ძვირფასია ყველასთვის, ვინც კი ერთხელ გაგიცნოთ, აგნესა!

– მე კი მგონია, რომ ყველა ჩემმა ნაცნობმა პირი შეკრა ჩემს გასანებივრებლად და გაზვიადებულ ქათინაურებს მეუბნებიან, რადგან ისინი სრულებით არ დამიმსახურებია, – მიპასუხა აგნესამ ღიმილით.

უეცრად აგნესაც მომაპყრო შეწუხებული თვალები და მითხრა აღელვებულიხმით:

– ტროტვუდ, მე უნდა გკითხო რამე ერთ საქმეზე, რომლის შესახებ, იქნებ, შემდეგში ვეღარ მოვახერხო ღაპარაკი. ხომ არ შეგიმჩნევიათ, ეს რამდენიმე ხანია, რაიმე ცვლილება მამაში?

დიდი ხანია, რაც შევნიშნე ეს ცვლილება და ხშირად მიკვირდა, როგორ არ ამჩნევდა ამას აგნესა.

ეს გაკვირვება, როგორცა ჩანს, ახლაც გამოიხატა ჩემს სახეზე, იმიტომ რომ აგნესამ დახარა თვალები და მის წამწამებზე ცრემლები შევნიშნე.

– ამისხენით, რაშია საქმე? – მითხრა ოდნავ გასაგონი ხმით.

– მე მგონია, აგნესა, მასში თანდათან დაიმკვიდრა იმ უბედურმა ჩვევამ, რომელიც ადვილად შევნიშნე თქვენს სახლში შემოსვლისთანავე; და ეს ჩვეულება სიკეთეს არ მოუტანს მისტერ ვიკფილდს. იგი ხშირად აღელვებული არის ხოლმე და... თუმცა, შეიძლება, ვცდებოდე...

– არა, ტროტვუდ, არა, თქვენ არ სცდებით, – მითხრა ყმაწვილმა ქალმა თავის ქნევით.

– ხელები უკანკალებდა, ენა სრულებით არ ემორჩილება და სულ უბრალო სიტყვაც ვერ გამოუთქვამს, თვალები უელავს რაღაც არაჩვეულებრივი ცეცხლით, და შევნიშნე, რომ სწორედ ამ უბედურ წუთებში მასთან აუცილებლად მოდიან რაიმე საქმის გამო.

– მოდის ური, – მითხრა აგნესამ.

– დიას, ადვილი შესაძლებელია, რომ იმ დროს იგი სრულებით მოკლებულია საქმის ჩაკვირების უნარს; ყოველ შემთხვევაში, მას სწყინს, რომ უცხო ხალხი ხედავს მას ამგვარ მდგომარეობაში. ამის გამო მეორე დღეს უფრო ცუდად გრძნობს თავს, მესამე დღეს – უფრო უარესად, და თანდათან ეცემა სულით, დაღვრემილი და მოღუშული ხდება.

მე ჯერ არ დამემთავრებინა ღაპარაკი, რომ ყმაწვილი ქალი მივარდა კარებს მამის მისაგებებლად და ყელზე მოეხვია მას.

დილით საბოლოოდ უნდა გამოვთხოვებოდი ძველ სახლს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში იყო განათებული ჩემთვის აგნესას კეთილი განწყობილებით. გულსევდიანმა დავიწყე ჩალაგება ჩემი ტანისამოსისა და იმ ძველი წიგნებისა, რომელიც ჩემი წასვლის შემდეგ უნდა გაეგზავნათ დუერში, პაპიდასთან. ჩემი სევდა შენიშნა ური ჰიპმაც კი, რომელიც ჩალაგებას მშველოდა. იგი ისეთი გულმოდგინებით ფათურობდა ჩემს გარშემო, რომ უნებურად თავში მომივიდა აზრი – ური ჰიპს ძალიან უნდოდა ჩემი აქედან წასვლა.

ბოლოს, გამოვეთხოვე აგნესას და მის მამას და ამ შემთხვევაში სრულებით მოვახერხე გამომეჩინა ის სულის სიმტკიცე და ხასიათის ძლიერება, რომელიც, ჩემის აზრით, უმთავრესი თვისება უნდა ყოფილიყო ვაჟკაცისა. მე გავემართე ფოსტის კანტორაში და დავჯექი ლონდონის დილიჯანსის იმპერიალზე.

როცა დილიჯანსი დაიძრა ადგილიდან და ქალაქგარეთ გავიდა, ჩემი პირველი საზრუნავი იყო – მიმელო სრულწლოვანი, დარბაისელი ჯენტლმენის შეხედულება, და ამ მიზნით გადავწყვიტე, უსათუოდ ბოხი ხმით მელაპარაკა. ეს ძალიან ძნელი იყო ჩემთვის, მაგრამ დავარწმუნე ჩემი თავი, რომ ბოხი ხმა შეადგენს ყველა დინჯი ჯენტლმენის აუცილებელ კუთვნილებას. მეეტლემ პირველმა დამიწყო ლაპარაკი.

– თქვენ, სერ, ბოლომდის მიბრძანდებით? – მკითხა მას.

– დიას, ვილიამს, – ვუპასუხე მოწყალების კილოთი (მეეტლე ჩემი ძველი ნაცნობი იყო). – მე ლონდონში მივდივარ და იქიდან სუფოკლში ვაპირებ წასვლას.

– სანადიროდ, სერ?

ეს კითხვა იმას უდრიდა, რომ ეკითხა ჩემთვის – ხომ არ მიდიხართ ვეშაპების დასახოცადო; მაგრამ ძალიან მესიამოვნა, როდესაც დავინახე, რომ მეეტლე ისეთ ჯენტლმენად მთვლის, რომელსაც ნადირობა შეუძლია.

წელში გავიმართე და ვუპასუხე:

– არ ვიცი, ვილიამს, ვინადირებ თუ არა, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს.

– ფრინველები, ამბობენ, ძალიან ფრთხილები არიან ახლა, – შენიშნა ვილიამსმა.

– სხვაფრივ შეუძლებელიც არის ამ დროს, – ვუპასუხე მე.

– თქვენ სუფოკლში დაიბადეთ, სერ?

– დიას, სუფოკლი ჩემი სამშობლოა.

– მართალია, სერ, რომ თქვენსას, სუფოკლში, საუკეთესო პუდინგებს ამზადებენ? – მკითხა ვილიამსმა.

არაფერი ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ მინდოდა ჩემი სამშობლოს კეთილი სახელის დაცვა; ამიტომ თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და ვაგრძობინე, რომ სუფოკლის პუდინგებს სამართლიანად აქვთ დამსახურებული თავისი კარგი სახელი.

ჩვენ გავჩერდით ჩერნიკოსთან, „ოქროს ირმის“ სასტუმროში. სასტუმროს მსახურმა შემიყვანა საერთო დარბაზში; მოახლე ქალმა მიხვნა ჩემი პატარა საწოლი ოთახი, გაჯღენთილი თავლის სუნით, ვიწრო და შეხუთული სამარესავით. არც აქ, არც ქალაქში არავინ მცემდა სათანადო პატივს და ვხედავდი, რომ ყველანი ისევ ბავშვად მთვლიდნენ. სასტუმროს მოახლე ქალი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩემს სიტყვებს, ლაქია კი ისე ფამილარულად მექცეოდა, რომ რამდენიმე მეგობრული რჩევაც კი მომცა.

ნასადილევს კარგ გუნებაზე დავდექი და გადავწყვიტე თეატრში წასვლა. ჩემი არჩევანი კოვენტგარტენის თეატრზე შეჩერდა. თამაშობდნენ „იულიუს კეისარს“. უდიდესი სიამოვნებით და აღტაცებით ვუცქეროდი კეთილშობილ რომაელებს, რომელთაც ხორცი შეისხეს ჩემს თვალწინ. სულ ახლახან არ იყო, რომ ისინი მაწვალდებდნენ ინსტიტუტის აუდიტორიის კედლებში? ახლა გაჰქრა მათი ჩვეულებრივი სიმკაცრე და ისინი აღსდგნენ სამარიდან ერთადერთი მიზნით, – ესთეტიკური აღტაცება გამოეწვიათ ყოფილი მოწაფის გულში. წარმოდგენა თორმეტ საათზე გათავდა. როდესაც თეატრიდან ბნელ, წვიმიან ქუჩაში გავედი, მომეჩვენა, თითქოს უეცრად ღრუბლებიდან დავეშვი ჭუჭყიან და ურიამულიან ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ საბრალო არსებანი, რომელთაც უწერიათ მუდამ აჭყაპუნონ ტალახში კალოშები და უმსგავსი ქოლებით შეებრძოლონ კოკისპირული წვიმის მსხვილ წვეთებს.

მექანიკურად გავწიე სასტუმროსაკენ. აქ, საერთო დარბაზში ვახშმის დროს, სიამოვნებით ვიგონებდი ყველა იმ მშვენიერებას, რომელიც ვნახე და გავიგე კოვენტგარტენის თეარში.

შევნიშნე, რომ საერთო დარბაზში შემივიდა მშვენიერი ყმაწვილი კაცი, უკანასკნელ მოდაზე და დიდი გემოვნებით ჩაცმული, თუმცა მთელ მის ტანისამოსში გამოსჭვიოდა გარკვეული უზრუნველობა, რაც, როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ელფერს აძლევს კოსტაობას. იგი ჩემს შორიახლოს დაჯდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

როდესაც წამოვდექი ოთახში წასასვლელად და გვერდზე ჩავუარე ამ უცნობს, უნებურად შევხედე სახეში, – შევხედე დაადგილზე გავშემდი.

– სტირფორდ! ნუთუ შენ გხედავ?

მან შემომხედა, მაგრამ შევამჩნიე, რომ ვერ მიცნო.

– დაგავიწყდით, მისტერ სტირფორდ! – ვუთხარი წყენით.

– აჰ! ეს ვინ არის! – შესძახა მან გაოცებით. – ნუთუ ეს პატარა კოპერფილდია? როგორ გაჩნდი აქ?

– მე მხოლოდ დღეს ჩამოვედი აქ კენტერბერის დილიუანსით. იმ მხარეს ცხოვრობს პაპიდაჩემი, იმან შემიფარა. დავამთავრე კურსი ერთ-ერთ ინსტიტუტში. შენ როგორა ხარ, სტირფორდ?

– მე დიდი ხანია, რაც პანსონი დავამთავრე და ახლა, როგორც ხედავ, ოქსფორდში ვარ, უნივერსიტეტში. იქ მაწვალავენ სემესტრიდან სემესტრამდე, პერიოდულად... აი, ახლა შვებულება ავიღე და დედასთან მივდივარ. დედა აქ ახლოს ცხოვრობს, ქალაქგარეთ; მაგრამ ისეთი საძაგელი გზებია და სახლში კიდევ ისეთი საშინელი მოწყენილობა, რომ გადავწყვიტე, ამ სასტუმროში გავათიო დამე.

დაუძახა სასტუმროს პატრონს, რომელიც უკვე კარგახანია, დიდი ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდა. ახლა იგი მოწიწებით მოგვიახლოვდა.

– სად მოათავსეთ თქვენ ჩემი მეგობარი კოპერფილდი? – ჰკითხა სტირფორდმა.

– გთხოვთ, გვაპატიოთ, სერ... მისტერ კოპერფილდს უჭირავს ორმოცდამეოთხე ნომერი.

– მერე, რა ეშმაკმა მოგაფიქრებინათ მისი მოწყობა ამ სოროში?

– გვაპატიეთ, სერ... ჩვენ არ ვიცოდით... ვერ მივხვდით, რომ მისტერ კოპერფილდს ესაჭიროებოდა წესიერი ოთახი. თუ გვიბრძანებთ, ახლავე გადავიტანთ მის ბარგს სამოცდამეთორმეტე ნომერში; ეს სწორედ თქვენს გვერდით იქნება, სერ, – გნებავთ?

– რასაკვირველია, მნებავს, – პასუხა სტირფორდმა. – ახლავე გადაიტანეთ.

ჩემი ახალი საწოლი ოთახი, სუფთა და მშვენიერი, არაფრით არ ჰგავდა უწინდელ ჭუჭყიან სოროს. ოთახის შუაგულში მშვენიერი ფართო ლოგინი იდგა, რომელზედაც, გაჭირვებისას, თავისუფლად დაეტეოდა ხუთი ან ექვსი ადამიანი. ჩავიძირე ბალიშებში და მალე ღრმასა და ტკბილ ძილს მივეცი თავი.

## თავი მეცხრამეტე

### სტირფორდის სახლი

– დაწვრილებით უნდა გავიგო, რას აკეთებ, სად მიდიხარ, – გავიგო ყველაფერი, რაც კი შენ შეგეხება. ისე მგონია, თითქოს მე მეკუთვნი მთლიანად, განუყოფელად და უცვლელად, – მითხრა სტირფორდმა მეორე დილით, თავის ოთახში, საუზმის დროს.

გახარებულმა ამ უცარი აღმოჩენით, რომ ჩემი ძველი მეგობარი ასე გულმხურვალედ მეკიდებოდა, ვუამბე ყველაფერი და ბოლოს ისიც ვუთხარი, როგორ მოიგონა პაპივამ ჩემთვის ეს მგზავრობა.

– აქედან ჩანს, – დაასკვნა სტირფორდმა, – რომ შენ საშური არა გჭირს-რა, ამიტომ შენ წამოხვალ ჩემთან ჰაიგეტში და მესტუმრები ორი-სამი დღით.

პირველი საქმე საუზმის შემდეგ ის იყო, რომ გავედი ჩემს ოთახში და წერილი მივწერე პაპივას: ავუწერე მას სრულებით მოულოდნელი შეხვედრა ძველი ამხანაგისა და მეგობრისა, რომელთანაც ორი-სამი დღით სტუმრად მივდიოდი.

შემდეგ ჩავსხედით ეტლში და წავედით ლონდონის შესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. ჩვენ ვნახეთ პანორამა, სამხეცე, ვიყავით მუხეუმში. გამაოცა, რომ ყველგან ყველა საგნის შესახებ, სტირფორდი იჩენდა საკვირველ ცოდნას, რომელსაც იგი სრულებით არ აფასებდა, როგორც ჩანდა.

უკვე ბინდი იყო, როდესაც ჩვენი ეტლი გაჩერდა ჰაიგეტში, ძველი ქვის შენობის კარებთან, რომელიც მაღალი ბორცვის თავზე იდგა. ჩვენ მოგვეგება ხაშიშესული, თუმცა არც ისე მოხუცებული ლედი, ამაყი შეხედულებით და მშვენიერი სახლით. მას „საყვარელი ჯემსი“ უწოდა სტირფორდს და გულში ჩაიკრა. ეს იყო მისი დედა, რომელსაც სტირფორდმა ჩემი თავი გააცნო, როგორც თავისი საუკეთესო მეგობარი. მისის სტირფორდი მომესალმა ალერსიანად, მაგრამ ღირსებით.

ეს იყო ძველებური, თავადების სახლი, განმარტოებული და მდიდრული. ჩემი ოთახის ფანჯრებიდან დავინახე ლონდონი, რომელიც ამ სიშორეზე ადგილ-ადგილ ცეცხლის წერტილებით დაჩითულ რაღაც სქელ ღრუბელსა ჰგავდა. როდესაც სადილისთვის ვიცვამდი, თვალი მოვაკლე ავეჯს და ძველებურ სურათებს, რომლებზედაც გამოსახული იყვნენ წარჩინებული ქალბატონები, კორსეტებში გამოწყობილნი, დაპუდრული თმებით. ისინი ზოგან ნათლად, ზოგან მუქად ჩანდნენ ბუხრის მოციმციმე შუქზე.

შევედი სასადილოში. იქ, დიასახლისის გარდა, დამხვდა მეორე ლედი, შავგვრემანი, პატარა ტანისა, სრულებით არამიმზიდველი სახისა. კუპრივით ჩავი თმა ჰქონდა და სავი თვალები საოცარი ცეცხლით ენთო. იგი ძალიან წერილი იყო, და შენიშნე ჭრილობის ნიშანი, რომელიც იწყებოდა ზედა ტუჩთან და ნიკაპამდე ჩადიოდა. ჭრილობა შეხორცებოდა, მაგრამ კვალი აჩნდა და დაემახინჯებინა ზედა ტუჩი. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ქალი უკვე გადაცილებულია ოცდაათ წელს და გათხოვება უნდა-მეთქი. იგი ჰგავდა სახლს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გასაქირავებლად არის, მაგრამ ყოველთვის კითხვას იძლეოდა.

იგი გამაცნეს როგორც მის დარტლი, თუმცა სტირფორდი და მისი დედა მის როზას ეძახნენ. გავიგე, რომ მის დარტლი უკვე დიდი ხანია, რაც ამ სახლში ცხოვრობს, როგორც მისის სტირფორდის კომპანიონი. ყველაზე თვალსაჩინო მის დარტლის მოქმედაში ის იყო, რომ არასოდეს არ მოგმართავდათ პირდაპირ; ცდილობდა გადაკვრით გამოეთქვა თავისი აზრი და პასუხის მაგივრად ყოველთვის კითხვას იძლეოდა.

მისის სტირფორდმა მკითხვა, რად მივდიოდი სუფოკლში, ვუპასუხე, რომ მივდივარ ჩემი მოხუცი გადიასი და მისტერ პეგოტის ოჯახობის სანახავად.

– როგორი ბედნიერი ვიქნებოდი, სტირფორდი, შენც რომ წამოსულიყავი ჩემთან ერთად! – განვაგრძე მე და ჩემს მეგობარს მივმართე. – შენ ნაწილობრივად უკვე იცნობ ამ ოჯახს. გახსოვს ის მენავე, პანსიონში რომ მოვიდა ჩემთან? მაშინ საჩუქრად ზღვის კიბოები მომიტანა.

– მგონია, მახსოვს, – მიპასუხა სტირფორდმა. – ზორბა, მოხეშავი ვაჟკაცი, ტლანქი მიმოხვრით. იგი მაშინ თავის ვაჟთან ერთად იყო.

– არა, ეს მისი ძმისწული იყო, რომელიც იშვილა. მისტერ პეგოტის დისწულიც ჰყავს, მშვენიერი ყმაწვილი ქალი, რომელსაც იგი ზრდის, როგორც საკუთარ ქალიშვილს. დარწმუნებული ვარ, ძალიან გესიამოვნება ამ ოჯახის ნახვა.

– მართლაც, ეს, ალბათ, სრულებით ორიგინალური ოჯახია, – მითხრა სტირფორდმა. – ურიგო არ იქნება გასეირნება და ამ ჯიშის ხალხის გაცნობა. წავიდეთ, დევი, შენთან ერთად, ყოველ შემთხვევაში, არ მივიწყენ.

გული ამითამაშდა სიამოვნებისაგან, როდესაც წარმოვიდგინე ეს ჩვენი მგზავრობა; მაგრამ მის დარტლმა, რომელიც დიდი ყურადღებით უსმენდა ჩვენს საუბარს, თითქოს მონახა საგანი თავისი გონებამახვილობისათვის სტირფორდის სიტყვებში, როდესაც მან მისტერ პეგოტის ოჯახი გაუფრთხილებლად მიაკუთვნა ადამიანთა განსაკუთრებულ ჯიშს.

– მაშ, აი, რაში ყოფილა საქმე! – შესძახა მის დარტლმა. – ნუთუ მართლა?

– რა მართლა? – ჰკითხა სტირფორდმა.

– ხალხის ეს ჯიში, სერ, როგორც თქვენ ბრძანეთ! მაშ ისინი მართლაც ეკუთვნიან ადამიანთა განსხვავებულ ჯიშს და არა აქვთ რა საერთო ჩვენთან? ეს მართლაც საინტერესო უნდა იყოს!

– ტყუილად გიკვირთ, მის როზა, ისეთი ფრაზები, რომელშიაც არ არის არავითარი დაფარული აზრი, – უთხრა სტირფორდმა წყნარად. – ჩვენ მართლაც ძალიან ცოტა რამ გვაქვს საერთო ამ ხალხთან. დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ გრძნობიერება მათში გაცილებით უფრო ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე ჩვენში. ისინი საოცარი სიმძიმით ითვისებენ რაიმე შთაბეჭდილებას და ძნელია მათი დელიკატობის შეურაცხყოფა.

– ნუთუ მართლა? რას ბრძანებთ! რა ბრძნულად არის ყოველივე ეს მოწყობილი! – უპასუხა მის დარტლმა. – თქვენ მანუგეშეთ და დამამშვიდეთ, მისტერ სტირფორდ. სასიამოვნოა თქვენის პირით დარწმუნდეს ადამიანი, რომ ეს ხალხი უგრძნობელია თავის ტანჯვაში. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ძალიან მებრალეობდა ხალხის ეს ჯიში; მაგრამ ახლა, თქვენი წყალობით, სრულებით აღარ ვფიქრობ ამ ხალხზე. რაც არ ვიცოდი უწინ, ახლა იგი ჩემთვის მზესავით ნათელია. სწორი მოგახსენოთ, გაცილებით უფრო ხელსაყრელია კითხვა, ვიდრე პასუხის გაცემა... ასე არ არის?

მეგონა, რომ სტირფორდი ხუმრობით ლაპარაკობდა ყოველივე ამას, ერთადერთი მიზნით, რომ გაებრაზებინა მის დარტლი, და ველოდი, რომ მისი ოთახიდან გასვლის შემდეგ ამიხსნიდა თავის აზრს. მაგრამ ეს არ მოხდა. როდესაც ნასადილევს ორივე ლედი გავიდა თავ-თავის ოთახსში და ჩვენ მარტონი დავრჩით ბუხართან, სტირფორდმა მკითხა მხოლოდ, რა აზრის ხარ ჩემი დედის კომპანიონის შესახებო.

– როგორი საკვირველი ჭრილობის ნიშანი აქვს ტუჩზე, – ვუთხარი მე.

სტირფორდს სახე მოედრებოდა და ერთი წუთით ჩაფიქრდა.

– ეს ნიშანი, კოპერფილდ, – მითხრა მან, – ჩემი ხელის ნამოქმედარია.

– რა საშინელი გაუფრთხილებლობაა!

– არა, ეს გაუფრთხილებლობით არ მომხდარა. როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მის დარტლმა ერთხელ მოთმინებიდან გამომიყვანა და მას ჩაქუჩი ვესროლე.

ძალიან მეწყინა, რომ ამ საგანს შევეხე, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ნათქვამ სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებ.

– იმ დროიდან, – განაგრძო სტირფორდმა, – იგი ატარებს ამ ნიშანს თავის სახეზე და, რასაკვირველია, ატარებს მას წარუშლელად, სამარემდე... თუკი ეღირსა სამარეში მოსვენება. იგი შვილია მამაჩემის ბიძაშვილისა და აღზრდილია უდელოდ. დედამისი გარდაიცვალა მისი დაბადების შემდეგ სულ მალე. როდესაც მისი მამაც გარდაიცვალა და მთლად ობლად დარჩა, დედამ, რომელიც სწორედ

იმ დროს დაქვრივდა, აიყვანა იგი კომპანიონად. მშობლებმა დაუტოვეს მას მემკვიდრეობა, ორი ათასი გირვანქა. ეს ფული ბანკში შეიტანა და არასოდეს არ იღებს სარგებელს, ისე რომ მისი თანხა სწრაფად იზრდება. აი მთელი ბიოგრაფია მის როზა დარტლისა.

– უეჭველია, შენ უყვარხარ, როგორც ძმა, – ვუთხარი მე.

– ჰმ! – ჩაახველა სტირფორდმა და თვალები ბუხარს მიაპყრო. – ყველა ძმის ხვედრი არ არის დების სიყვარული, და ზოგჯერ ისეთი დებიც არიან რომ... თუმცა, აი, ჩვენ წინ მშვენიერი ღვინოა, დავლით შენი სადღეგრძელო და შემდეგ ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

ჭმუნვის ღრუბელი ერთ წამში მოშორდა მის სახეს. ეს სადღეგრძელო მხიარული კილოთი იყო წარმოთქმული, და ამ წუთიდან სტირფორდი ისევ ჩვეულებრივი იყო.

სრულებით არ მიკვირდა, რომ მისის სტირფორდს ასე უზომოდ უყვარდა თავისი ვაჟი. იგი მუდამ თავის შვილზე ლაპარაკობდა და, როგორ ჩანდა, მხოლოდ მასზე ფიქრობდა. მისის სტირფორდმა მაჩვენა მედალიონი თავისი ვაჟის სურათით, როდესაც იგი ბავშვი იყო, ამავე მედალიონში იყო მისი სიყრმის თმები; შემდეგ მაჩვენა მეორე სურათი, გადაღებული იმ დროს, როდესაც პირველად შევხვდი მას; ბოლოს გავიგე, რომ მისი სტირფორდი გულთან ატარებდა შვილის სურათს, მისი ახლანდელი სახით.

შვილისაგან მიღებული ყველა წერილს იგი ინახავდა მშვენიერ ყუთში, რომელიც მუდამ მის გვერდით იდგა. იგი სიხარულით წამიკითხავდა ამ წერილებს, შვილი რომ წინ არ აღდგომოდა მის სურვილს.

– ჯემსმა მითხრა, მისტერ კოპერფილდ, რომ თქვენ მისი უახლოესი მეგობარი ხართ და რომ გუშინ, მასთან შეხვედრის დროს, თქვენ სიხარულის ცრემლებიც კი დაღვარეთ. არ მინდა ვითვალთმაქცო და პირდაპირ გეტყვი. რომ ამგვარი გრძნობები, რომელსაც ჩემი შვილი სხვებში იწვევს, სრულებით არ მაკვირვებს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ შემიძლია გულგრილი დავრჩე იმ პირთადმი, რომელნიც ღირსეულად აფასებენ ჩემი შვილის გონებრივსა და ზნეობრივ მაღალ ღირსებებს. დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს სახლში გხედავთ, მისტერ კოპერფილდ, და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩემს შვილს გულწრფელად უყვარხართ. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ იმედი გქონდეთ მისი მფარველობისა.

სადამოთი, ბუხართან, სტირფორდი დამპირდა, სერიოზულად მოეფიქრა ჩვენი საერთო მოგზაურობის შესახებ სუფოკლში.

– საჩქარო არაფერია, დეზი, – მითხრა მან, – ერთი კვირა, ან დაახლოებით ამდენი ჩვენ შეგვიძლია ჰაიგეტში გავატაროთ.

სტუმართმოყვარე მისის სტირფორდმა დაადასტურა შვილის სიტყვები. სტირფორდმა დეზი მიწოდა და ამან ისევ გამოიყვანა სცენაზე მის დარტლი.

– აჰ, მართლა, მისტერ კოპერფილდ? – მითხრა მან. – ნუთუ თქვენ ასე გიწოდებენ? და რად გიწოდებთ იგი ვარდ-გვირილას? ნუთუ მართლა იმიტომ, რომ ჯერ მეტად ყმაწვილად და უმანკოდ გთვლით? ამისხენით, ღვთის გულისათვის, არ მესმის.

გავწითლდი და ვუპასუხე, რომ მგონია, მისი აზრი სწორი უნდა იყოს.

– ა, მაშ ასე! – განაგრძო მის დარტლმა. – ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ შემთხვევაში მაინც არ შევცდი. სწორედ იმიტომ ვკითხულობ, რომ შეცდომაში არ შევიდე. იგი უმანკოდ და ყმაწვილად გთვლით, იმიტომ თქვენ მისი გულითადი მეგობარი ხართ! ო, ეს შესანიშნავია!

ამ სიტყვებით მის დარტლი წავიდა თავის საწოლ ოთახში. მისის სტირფორდიც მალე გავიდა. ჩვენ კიდევ დავრჩით ბუხართან დაახლოებით ერთი საათი; ვლაპარაკობდით ტრედელსზე და საღემის სასწავლებლის სხვა მოწაფეებზე. ამის შემდეგ ჩვენც ზევით წავედით.

ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა ჩემს ოთახში. ჩაფხეკი ღრმა სავარძელში ბუხრის წინ და ოცნებაში წავედი ჩემი ბედნიერების შესახებ. რამდენიმე ხანს უძრავად ვიჯექი და ვტკბებოდი სიწყნარით, როდესაც უეცრად, მის დარტლმა მომაშტერა თვალები ბუხრის თავიდან.

სურათი საოცარ მსგავსებას წარმოადგენდა, ოღონდ მხატვარს საჭიროდ არ დაენახა ჭრილობის ნიშნის დახატვა. მე დავუმატე იგი ჩემს წარმდგენაში და ახლა ვაქცერდებოდი ყველა მის ცვალებადობას. იგი ხან მხოლოდ ზევითა ტუნზე იყო, როგორც მე პირველად შევნიშნე, სადილის დროს, – ხან იწეოდა ჩემს თვალწინ მთელ სივრცეზე და ამხელა ჭრილობის პირვანდელ ზომას, როგორც ეს შევამჩნიე, როდესაც მის დარტლი გაჯავრდა.

რად დამიკიდეს, კაცმა რომ თქვას, ეს სურათი ჩემს ოთახში? მის დარტლის სურათის თავიდან მოსაშორებლად საჩქაროდ გავიხადე, ჩავქარე სანთელი და ჩავწექი ლოიგინში; მაგრამ ბნელაშიც მის დარტლი მიცქერდა თავისი მწველი თვალებით და მესმოდა, როგორ კითხულობდა იგი: „ნუთუ? მართლა? სწორედ ასე კია?“ დამე, მოუსვენარი ძილით შეწუხებული, ვეკითხებოდი ყველას: „ნუთუ? მართლა კია?“ თუმცა თვითონაც არ მესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი და რა სიმართლეს ვთხოვლობდი სხვებისგან.

## თავი მეოცე

### პატარა ემი

ამ სახლში იყო მსახური, რომეიც პირველ შეხვედრაზე რესპექტაბელობის ნიშნად მეჩვენა. იგი ემსახურებოდა ჯემს სტირფორდს და თან ახლდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. იგი დადიოდა უსათუოდ ფეხის თითებზე, იყო მორიდებული, ჩუმი, დინჯი, ყურადღებიანი, მუდამ იქვე იყო, როდესაც მას კითხულობდნენ, და არასოდეს არ გეჩხილებოდათ თვალში, როცა არ იყო საჭირო. ლაპარაკობდა ძალიან დაბალი ხმით, თითქოს ჩურჩულით, მაგრამ გარკვევით და მკაფიოდ, ყველაფერი თვით მასზე და მის გარშემო აუცილებლად წესიერს, რესპექტაბელურ სახეს იღებდა. ბუნებას რომ მისთვის ცხვირი ძირაღმა გადაებრუნებინა, ეს ცხვირიც კი მის სახეზე, წესიერ ფორმას მიიღებდა. ეს ლაქია წარმოსადგეი და სერიოზული იყო ყველა თავის მოძრაობაში. მისი გვარი იყო ლიტიმერი, და, რასაკვირველია, ვერავინ მომსახურეთაგანი ლიტიმერს სიტყვას ვერ შეუბრუნებდა.

ლიტიმერს მოჰყავდა ჩვენთვის შეკაზმული ცხენები და სტირფორდი, რომელმაც ყველაფერი იცოდა ქვეყანაზე, ცხენზე ჯდომას მაჩვენებდა. ლიტიმერს მოჰქონდა ჩვენთვის საფარიკაო რაპირები და სტირფორდი ფარიკაობას მასწავლიდა. ლიტიმერი გვაწვდიდა ხელთათმანებს და სტირფორდი მასწავლიდა ბოქსს, მე სრულებით არ მრცხვენოდა სტირფორდისა, რომელიც ხედავდა ჩემს სრულ უმეცრებას ყველა ამ ხელოვნების დარგში, მაგრამ ვერასგზით ვერ გავბედე გამომემულავნებინა ჩემი უმეცრება ამ რესპექტაბელური მსახურის წინაშე, თუმცა არაფერი არ მაფიქრებინებდა, რომ თვით ლიტიმერი კარგი მცოდნე იყო ყველა ამ ხელოვნებისა; მას არავითარი საბუთი არ მოუცია ამგვარი ეჭვისათვის, და მაინც, როდესაც იგი ესწრებოდა ჩვენს ვარჯიშობას, სირცხვილისაგან ვიწვოდი და სრულ უვიცად ვგრძნობდი თავს.

განგებ გავაგრძელე ლაპარაკი ამ შესანიშნავ ადამიანზე, რადგან შემდეგში მას მნიშვნელოვანი როლი ჰხვდება წილად.

სტირფორდმა საბოლოოდ გადაწყვიტა გამგზავრება ჩენთან ერთად სუფოკლში. მალე ჩვენი გამგზავრების დღეც დადგა.

ჩვენ გამოვემშვიდობეთ ორივე ლედის, სულითა და გულით გადავუხადე მადლობა მისის სტირფორდს მისი სტუმართმოყვარეობისა და ჩემდამი ყურადღებისათვის.

ლონდონში დილიუანსში გადავსხედით და იარმაუთისაკენ გავემგზავრეთ. არ შემიძლია გამოვთქვა ჩემი გრძნობები, რომელნიც განვიცადე ამ ძველი ნაცნობი ადგილების დანახვაზე. მახსოვს – ჩემთვის ისეთი სათუთი იყო იარმაუთის კეთილი სახელი, რომ, როცა ეტლი ამ ქალაქის ბნელი ქუჩებით სასტუმროსკენ მიგვაქროლებდა და სტირფორდმა მითხრა – ჩემის აზრით, ეს მივარდნილი კუთხე არც ისე ურიგო უნდა იყოსო, – დიდად გამახარა მისმა სიტყვებმა. იმავე სასტუმროში გავათიეთ ღამე, სადაც ოდესღაც მოველოდი ლონდონის დილიუანსს. დილით, უკვე კარგა მოგვიანებით, ვისაუზმეთ საზოგადო დარბაზში.

– აბა, ახლა საით აპირებ? მე მგონია, შენი მოხუცი გადიას სანახავად წახვალ? – მკითხა სტირფორდმა.

– დიას, უწინარეს ყოვლისა, მე პეგოტი უნდა ვნახო.

– მომეცი მისი მისამართი, ორ საათში იქ გავჩნდები და გავითამაშებ მის წინ კომიკურ ან სენტიმენტალურ სცენას, როგორც გაგიხარდება.

ზამთრის მშვენიერი დღე იყო. მიწა გამაგრებულყო ყინვებისაგან; ლაჟვარდი ზღვა უძრავად იდგა და მას ცის სივრცე დაჰყურებდა. ძალაგამოლეული მზე ირგვლივ აბნედა სინათლის ტალღებს. ყველგან ხალისი იგრძნობოდა. მე ისეთ სიხალისესა და სიცოცხლეს ვგრძნობდი მთელს ტანში, რომ მზად ვიყავი შემეჩერებინა ქუჩაში ყველა გამვლელ-გამომვლელი და მეგობრულად ხელი ჩამომერთმია.

როდესაც დავაკაკუნე, პეგოტიმ გამიღო კარები და მკითხა – რა გნებავთო. მე შევხედე ღიმილით, მაგრამ მან არ გამიღიმა საპასუხოდ. ჩვენი მიწერ-მოწერა არ შეწყვეტილა ბოლო დრომდე, მაგრამ უკვე შეიღმა წელმა განვლო, რაც ერთმანეთი არ გევნახა.

– შინა ბრძანდება მისტერ ბარკისი, ქალბატონო? – ვკითხე ბოხი ხმით.

– შინ გახლავთ, სერ; ოღონდ ნეკრესის ქარებით იტანჯება და ლოგინში წევს, – მიპასუხა პეგოტიმ.

– განაგრძობს თუ არა მოგზაურობას ბლონდერსტონში?

– დიას, სერ, როდესაც ჯანმრთელად გახლავთ.

– თქვენ, მისის ბარკის, ახლაც დადიხართ ბლონდერსტონში?

მან ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და გაუბედავად ხელები ასწია.

– პეგოტი! – შეეძახე მე.

– დევი, ჩემო საყვარელო!

გადავეხვიეთ ერთმანეთს და ორივემ ტირილი დავიწყეთ.

– ბარკისს ისე გაუხარდება შენი ნახვა, ჩემო თვალის სინათლეო, რომ ეს ყველა წამალზე მეტად უშველის, – მითხრა პეგოტიმ და წინსაფრით ცრემლები მოიწმინდა. – ხომ არ ვუთხრა, რომ აქ ხარ? ან ხომ არ გინდა, შენ თვითონ ახვიდე ზევით და ინახულო?

მისტერ ბარკისმა დიდი სიხარულით მიმიღო. იგი საშინლად იტანჯებოდა ყველა სახსრის ტეხვით და არ შეეძლო ხელი გამოეწოდებინა ჩემთვის, მაგრამ მთხოვა, მეგობრობის ნიშნად, ჩამომეწია ჩაჩის ფოჩი, რომელიც თავზე ეხურა. დიდი სიამოვნებით ავასრულე ეს თხოვნა. როდესაც საწოლის ბოლოზე ჩამოვჯექი, მისტერ ბარკისმა მითხრა, რომ მისთვის დიდი სიხარულია იმის მოგონება, როგორ მატარებდა იგი ბლონდერსტონის გზაზე. იგი იწვა ზურგზე, პირაღმა, და თავიდან ფეხებამდე შეხვეული თბილ საბანში, მეტად უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა.

– გახსოვთ თუ არა, მისტერ დავით, ვისი სახელი დავწერე მე ოდესღაც ჩემი ეტლის კოფოზე? – მკითხა მისტერ ბარკისმა და თან ცდილობდა, მხიარული ღიმილი გამოეხატა ტანჯულ სახეზე.



– როგორ არ მახსოვს, მისტერ ბარკის!

– მე სიამოვნებით მოგახსენებთ, სერ, რომ კლარა პეგოტი ბარკისი ყველაზე გულკეთილი და ყველაზე უკეთესი დედაკაცია მთელს ქვეყანაზე. არ არის ისეთი ქება, რომლის ღირსიც არ იყოს, სამართლიანად, კლარა პეგოტი ბარკისი. შენ გაისარჯე, გენაცვალე, საუკეთესო სადილი მოამზადე; ძვირფასი სტუმარი ჩვენთან ერთად ისადილებს. ღვინოც მოამზადე, ჩემო კარგო.

მე გავაფრთხილე პეგოტი სტირფორდის მოსვლის შესახებ. ჩვენ ძალიან ცოტა ხანს მოგვიხდა მისი ღოდინი. წინათვე ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი ამხანაგი მიღებული იქნებოდა, როგორც ჩემი მფარველი, და ამიტომ, როგორც ჩემი გადიას საუკეთესო მეგობარი; მაგრამ ის, რაც ნამდვილად მოხდა, აღემატებოდა ყველა ჩემს მოლოდინს. სტირფორდის დაუშრეტელმა გონებამახვილობამ, უდარდელმა მხიარულებამ, თავისუფალმა მოქცევამ, მშვენიერმა გარეგნობამ და იშვიათმა ნიჭმა ყოველნაირი როლის შესრულებისა ისა ჰქნა, რომ ხუთი წუთის შემდეგ სავსებით დაიპყრო პეგოტის ყურადღება, და გულწრფელად მჯერა, რომ იმ დროისთვის, როდესაც ჩვენ ორივემ დავაპირეთ წამოსვლა მისი სახლიდან, იგი გაგიჟებული იყო ჩემი მეგობრისთვის.

პეგოტის უნდოდა, აუცილებლად მის სახლში გამეთია ღამე, იმ პატარა ოთახში, რომელსაც „პატარა დევის ოთახი“ ერქვა. გაუბედავად შევხედე სტირფორდს და არ ვიცოდი, მიმელო თუ არა ჩემი გადიას წინადადება.

– რასაკვირველია, რასაკვირველია, – მითხრა მან, – შენ აქ დაიდბინე, მე კი ჩემს ნომერში წავალ.

ბევრი ვიუარე, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი.

ქარი სევდიანად და საზარლად ზუზუნებდა, როდესაც ჩვენ, საუკუნო მეგობრობის რომანტიკული გრძნობით გამსჭვალულნი, მივუახლოვდით მისტერ პეგოტის ფანტასტიკურ ბინას.

– საკმარისად უდაბური ადგილია, არა სტირფორდ, რას იტყვი? – ვუთხარი მე.

– დიას, ვერასგზით ვერ იტყვი, რომ ძალიან მხიარული ადგილი იყოს, მეტადრე ღამე. გესმის, როგორ ღრიალებს ზღვა? მას თითქოს ჩვენი შთანთქმა უნდა. მგონია, აგერ რაღაც გემზე სანთლები ბჟუტავს.

– სწორედ ეგ არის მისტერ პეგოტის სახლი.

– მეც სწორედ ასე ვიფიქრე. დღეს დილას აქ ვსეირნობდი და ინსტიქტურად პირდაპირ მაგას მივადექი.

მეტი ხმა აღარ ამოგვლია დანარჩენი მანძილის გავლისას. ჩვენ მივეპარეთ სახლს და ვცდილობდით, არავითარი ხმაურობა არ აგვეტეხა. მე ვუთხარი სტირფორდს, რომ მომყოლოდა, და შეჩვეული ხელით შევადე კარი.

როდესაც ოთახში შევედით, ვიღაცამ ტაში დაუკრა. მისტერ პეგოტი იცინოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და ხელებგაშლილი იდგა, თითქოს გულში უნდა ჩაეკრა პატარა ემი. შემერთალ ქამს, მრავალგვარი გრძნობებით აღსავსე, ეჭირა ემილიას ხელი, თითქოს აპირებდა მის მიყვანას მისტერ პეგოტისთან. პატარა ემი, დარცხვენილი და აღელვებული, მაინც, როგორც ჩანდა, იზიარებდა თავისი ბიძის აღტაცებას, და ჩვენ სწორედ იმ წუთს შევესწარით, როდესაც იგი გამოსხლტა ქამის ხელიდან და უნდოდა გულში ჩახუტებოდა მისტერ პეგოტის. ჩვენს შესვლაზე შეჩერდა, რადგან მან პირველმა შეამჩნია მოულოდნელი სტუმრები. ასეთი იყო სურათი, რომელმაც გაგვაოცა, როდესაც ჩვენ ღამის წყვდიადის შემდეგ, უეცრად გაჩნდით ფანტასტიკური სახლის თბილ და გაჩაღებულ ოთახში.

მაგრამ ჩვენი მისვლისთანავე ყველაფერი გამოიცვალა და აირია ერთ წუთში, თითქოს არასოდეს არც ყოფილიყოს ეს ცოცხალი სურათი. მე პირდაპირ მივედი მისტერ პეგოტისთან და ხელი ჩამოვართვი. პირველი გაოცების შემდეგ ქამმა დაიყვირა მთელი ძალდონით:

– მასტერ დევი! ერიპა! ეს ხომ მასტერ დევი!

ყველა ახმაურდა და დაფაცურდა. ჩვენ ხელს ვართმევდით ერთმანეთს, ვკითხულობით ერთმანეთის ამბავს, სიხარულს გამოვხატავდით ამ მოულოდნელი შეხვედრის გამო. ყველანი ერთად, გაუჩერებელი ვლაპარაკობდით; უცხოს რომ შემოეხედა ამ დროს ამ სანახაობისათვის, შექმლო ის დასკვნა გამოეტანა, რომ ჩვენ ყველანი გავგიჟდით.

მისტერ პეგოტიმ თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა ან რას ლაპარაკობდა. იგი ყოველ წუთში მოდიოდა ხან ჩემთან, ხან სტირფორდთან, ხან ორივესთან ერთად; ხელს გვართმევდა, თავს გვიკრავდა, თვალებს ახამხამებდა, უჩეჩავდა აბურძვნილ თმას, ხარხარებდა და ათასჯერ იმეორებდა, რომ ჩვენ ნამდვილი დღესასწაული გავუმართეთ მას.

– ორი ჯენტლმენი, დიდი ჯენტლმენი... ორი ჯენტლმენი, – დაიწყო მისტერ პეგოტიმ, – ორი ჯენტლმენი გვესტუმრა... არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არ მომხდარა... ჩემს ჭერქვეშ... ემი, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ, – მოდი ახლოს... შეხედე... ეს მისტერ დევის მეგობარია, სწორედ ის, რომლის შესახებ ამდენს ვლაპარაკობდით; ორი ჯენტლმენი! ეს, სერ, პატარა ემია... იგი ჩემი ქალიშვილი არ არის, – მე არა მყოლია შვილები, მაგრამ გარწმუნებთ, არც ერთ მამას არ უყვარს თავისი შვილი ისე, როგორც მე მიყვარს პატარა ემი. თუმცა იგი აღარ არის პატარა, – ახლა იგი გასათხოვარი ქალია, თქვენ თვითონაც ჰხედავთ! – არის ერთი კაცი, რომელიც იცნობდა ჩვენს პატარა ემის ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მისი მამა დაიღუპა. იგი ხელზე ატარებდა მას, როცა ემი ბავშვი იყო, ეთამაშებოდა, როცა პატარა გოგონა იყო, და ახლა თვალს აღარ აშორებს, როცა იგი გასათხოვარი ქალია. ეს ყმაწვილი, ისევე როგორც მე, ტლანქია ზღვის ზღარბივით, მაგრამ გული საგულეს აქვს და, რაც უმთავრესია, უპატიოსნესი ადამიანი.

ქამმა გაიღიმა და აღერსიანი თვალებით შემომხედა, იმის აღსანიშნავად, რომ ლაპარაკი მის შესახებ იყო.

– მაშ თქვენ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ემილია გასათხოვარი ქალია; თქვენ თვითონაც ჰხედავთ ამას. აქედან გამომდინარე, რომ მე მინდა დავაბინავო ემილია, მინდა დავუკავშირო მისი ბედი ისეთ ადამიანს, რომელიც დაიცავს, როგორც თავის კანონიერ მეუღლეს.

– ერთ საღამოს, ჯენტლმენებო, ემილია, თავისი დღიური მუშაობის დამთავრების შემდეგ, გამოდის მაღაზიიდან და ეს ყმაწვილიც, უნდა მოგახსენოთ, თან მოსდევს. ამაში ჯერ არა არის რა განსაკუთრებული; მაგრამ, მოითმინეთ, შემდეგ, რა გამოვა, მან მოიყვანა ემი ხელიხელგაყრილი და დამიყვირა: – „შეხედე ბიძია დან! აი ჩემი მომავალი პატარა ცოლი!“ იგი შეკრთა, საყვარელი გვრიტი, შერცხვა, თან იცინის, ტან ტირის და მეუბნება: – „დიახ, ბიძია, თანახმა ვარ, ცოლად გაყვე მას, თუ თქვენც გნებავთ!“ – მეც მნებავს! – დაიყვირა მისტერ პეგოტიმ და აღტაცებით აიჩეხა აბურძვნილი თმა, – მეც მნებავს! მაშ რა იყო ჩემი ერთადერთი სურვილი მთელი სიცოცხლის განმავლობაში? მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გაიცანით ჩემი დისწულის საქმრო.

მე აღელვებული ვიყავი სულით და გულით.

– მისტერ პეგოტი, – უთხრა სტირფორდმა, – თქვენ უღირსეულესი ადამიანი ხართ და ღირსი ხართ ყოველნაირი ბედნიერებისა; აი, ჩემი ხელი, ქამ, მომილოცავს, ჩემო მეგობარო, მოიტა ხელი. დევი, მოურიე ბუხარში ცეცხლს და დაე ახალმა ალმა გაანათოს ჩვენი საერთო სიხარული. რა იქნა თქვენი მშვენიერი დისწული, მისტერ პეგოტი? დაბრუნდეს და დაიჭიროს ეს ცარიელი ადგილი კუთხეში, თორემ არც ერთი წუთი აღარ გავჩერდები ამ სახლში. ყველა ბედნიერი უნდა იყოს ამ საღამოს, და მე არავინ, მით უმეტესად ყმაწვილი ქალი, არ მინდა შევაწუხო ჩემი აქ ყოფნით.

მისტერ პეგოტი წავიდა ჩემს უწინდელ პატარა საწოლ ოთახში ემილიას მოსაყვანად და, როდესაც ყმაწვილი ქალი გააჯიუტდა, მაშინ ქამიც წავიდა. ისინი მალე დაბრუნდნენ, მოიყვანეს ემიცი და ბუნხართან დასვეს. ემილია ჯერ დარცხვენილი და მორიდებული იყო, მაგრამ თანდათან გადიყარა მორცხვობა და გასწორდა. სტირფორდი მოწიწებით და ზრდილობით ექცეოდა. მან გააბა ბაასი მისტერ პეგოტისთან ნაკვებზე, გემებზე, ზღვის მიქცევასა და მოქცევაზე, თევზის ჭერაზე; შემდეგ მომმართა და მოიგონა ის დრო, როდესაც პირველად ნახა მისტერ პეგოტი სალემის სასწავლებელში. ჩვენ თანდათან შევეყვით მას მისი დაუშრეტელი მჭერმეტყველების ჯადოსნურ რკალში, და შემდეგ ყველა დაურიდებლად ლაპარაკობდა, რაც სურდა.

ემილია ყველაზე ნაკლებად ლაპარაკობდა ამ საღამოს განმავლობაში. იგი აკვირდებოდა ახალ სტუმარს და ყურს უბდებდა დიდი გულისყურით. სახე ვარდისფრად ანთებოდა და მშვენიერი იყო.

ჩვენმა სტუმრობამ, რამდენადაც მახსოვს, თითქმის შუადღამედ გასტანა. ვივახშმეთ ორცხოვლით და გამხმარი თევზით, ამას გარდა, წინდახედულმა სტირფორდმა თან მოიტანა ერთი ბოთლი ღვინო, რომელიც ჩვენ, ვაჟაკებმა, დავლიეთ. (ახლა კი, მგონია, უკვე უფლება მაქვს, ჩემს თავს ვაჟაკი ვუწოდო). ჩვენ ძალიან მხიარულად გავშორდით ერთმანეთს. მთელი ოჯახი მოგროვდა კარებთან, რომ მოენათებინათ ჩვენთვის, როდესაც გზაზე გავდიოდით. ემილია ცისფერი თვალებით მოგჩერებოდა, თავისი წკრიალა ხმით გვიმეორებდა, რომ ძალიან ფრთხილად ვყოფილიყავით გზაში.

– მშვენიერი ქალია! – თქვა სტირფორდმა და ხელი ხელში გამიყარა. – მართალი ხარ, დევი, შენი მეგობრები მართლაც ძალიან ორიგინალური ხალხია, და ამ ფანტასტიკურ საზოგადოებაში რაღაც უცნაური გრძნობები გებადება.

– რა კარგია, რომ შევესწართ მათ ოჯახურ ბედნიერებას! – ვუპასუხე მე. – ჯერ არ შევხვედრილვარ ასეთ ბედნიერ ხალხს. რა სასიამოვნოა მონაწილეობის მიღება მათ საერთო სიხარულში!

– თუმცა, მე მგონია, ეს სულელი ღრეჭია სრულებით შესაფერისი არ არის ისეთი ლამაზი გოგონასათვის, არა? – მკითხა სტირფორდმა.

ამ ცივმა და ყოვლად მოულოდნელმა კითხვამ სრულებით თავბრუ დამამხსა, როდესაც მოვიგონე, რა ყურადღებით და აღერსით ეპყრობოდა სტირფორდი ყმაწვილი ქალის საქმროს. სწრაფად მივუბრუნდი მას, მაგრამ შევნიშნე ეშმაკური ღიმილი თვალებში და ვუპასუხე ყოველგვარი წყენის გარეშე:

– აჰ, სტირფორდ, როგორ შეიძლება ასეთი ხუმრობა საბრალო ხალხზე! შენ შეგიძლია ავარჯიშო შენი გონება მახვილობა მის დარტლზე ან ჩემზე. თუ გსურს, შეგიძლია, რამდენიც გნებავს, დაცინვის ნიღაბით დამალო შენი ნამდვილი გრძნობები, მაგრამ მე ხომ ვერ მომატყუებ... ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი. გაცილებით უფრო უკეთესად გიცნობ, ვიდრე შენ ფიქრობ. ვიცი, რომ შენ არ შეგიძლია დარჩე გულცივი ამ ბუნების შეილთა ბედისადმი, – ნაღვლობენ ისინი, ტირიან თუ მხიარულობენ... ამისათვის, სტირფორდ, ათასჯერ მეტად მიყვარხარ და პატივს გცემ.

იგი გაჩერდა, შემომხედა სახეში და მითხრა:

– დევი! მე მგონია, ამას შენ სერიოზულად ლაპარაკობ, ჩემო მეგობარო, და ვხედავ, რომ მართლაც კეთილი გული გქონია. ნეტავი ყველა ჩვენგანი შენ გბავდეს!

და ერთი წუთის შემდეგ მხიარულად დაიწყო მეთევზეების სიმღერა.

## თავი ოცდამეერთე

### ახალი თვალთ დანახული ძველი მეგობრები

ორ კვირაზე მეტი გავატარეთ მე და სტირფორდმა იარმაუთში. მას უყვარდა უშუალო მონაწილეობის მიღება მეზღვაურების ცხოვრებაში. მე კი არ გამომიჩენია ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული მისწრაფება. ამიტომ იმ დროს, როცა სტირფორდი ნავით დადიოდა მისტერ პეგოტისთან ერთად, მე ჩვეულებრივად ნაპირზე ვრჩებოდი, ჩემს მეგობართა შორის. ამას გარდა, სტუმართმოყვარეობა ჩემი კეთილი გადიასი, რომელმაც მაიძულა მეცხოვრა მასთან, ერთგვარად ჰბორკავდა ჩემს მოქმედებას, მაშინ, როდესაც სტირფორდი სრულებით თავისუფალი იყო. ვხედავდი, როგორი გულმოდგინებით უვლიდა პეგოტი თავის ავადმყოფ ქმარს და ამის გამო არ შემეძლო დიდხანს დავრჩენილიყავი სტუმრად საღამოობით, იმის შიშით, რომ არ დამეფრთხო ჩემი დიასახლისის ძილი; ჩემი უდარდელი მეგობარი კი, რომელიც სასტუმროში ცხოვრობდა, მოქმედებდა თავისი სურვილისა და შეხედულების თანახმად. ამგვარად, ერთხელ ჩემს ყურამდის მოაღწია, რომ ჩემმა მეგობარმა გაუმართა ქეიფი მისტერ პეგოტისა და მის მეგობრებს სასტუმრო „მხიარულ თავში“; რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ გავიგე, რომ სტირფორდმა მეზღვაურის ტანისამოსი ჩაიცვა, მთელი დამე გაათია ნავში ზღვაზე, მთვარიან ღამეში და მხოლოდ გათეებისას, დილის მოქცევის დროს დაბრუნდა შინ.

ჩვენ ვშორდებოდით ერთმანეთს კიდევ იმიტომ, რომ ხშირად ბლონდერსტონში დავდიოდით. ამგვარად სამჯერ თუ ოთხჯერ, რამდენადაც მახსოვს, გავშორდით ერთმანეთს საუზმის შემდეგვე და შევხვდით მხოლოდ საღამოს, გვიანი სადილის დროს. როგორ ატარებდა სტირფორდი დროს ამ ხნის განმავლობაში, არ ვიცოდი და არც მინდოდა გამეგო; მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემმა მეგობარმა სახელი გაითქვა იარმაუთის მეზღვაურებს შორის და ახერხებდა ათასნაირ გასართობის პოვნას იქ, სადაც სხვა ერთსაც ვერ მოახერხებდა.

სიამოვნება და სევდა ერთმანეთს ებრძოდა ჩემს გულში, როდესაც ჩემი სამშობლოს ნაცნობ ადგილებში დავსეირნობდი. ზამთრის მზის ჩასვლისას უკვე იარმაუთში უნდა დავბრუნებულიყავი; ამ დროისათვის სტირფორდი უკვე მელოდა თავის ადგილას, გაშლილ სუფრაზე, აგიზგიზებულ ბუხართან. სადილის დროს არაჩვეულებრივ სიხარულს ვგრძნობდი, რომ მშობლიური ადგილები ვინახულებ. ეს გრძნობა თან მდევდა ჩემს პატარა, სუფთა საწოლშიც, პეგოტის სახლში, სადაც პატარა მაგიდაზე იღო წიგნი ნიანგების შესახებ. მეასედ ვფურცლავდი ამ შესანიშნავ წიგნს და უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი თავს. გულაჩვილებული, ბედს ვუმაღლოდი, რომ მომივლინა ძვირფასი მეგობრები სტირფორდი და პეგოტი, რომლებიც ზრუნავდნენ ჩემს მყუდროებაზე და სავსებით მიწვედნენ პაპიდას, მის ბეტსის მაგიერობას.

ორ კვირაზე მეტმა გაიარა. უკანასკნელად ვიყავი ბლონდერსტონში და საბოლოოდ გამოვეთხოვე ჩემი გულის ძვირფას ადგილს. მოდრუბლული, ბურუსიანი საღამო იყო. მისტერ პეგოტის სახლში, სადაც მე და სტირფორდი ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, ჩვეულებრივზე უფრო გვიან მივედი. სტირფორდი მარტოდმარტო იყო მთელ სახლში და ჩაფიქრებული იჯდა ბუხართან. იგი ისე ღრმად იყო წასული ფიქრებში, რომ ვერ შენიშნა ჩემი მისვლა, თუმცა გასაგები იყო, რადგან ქვიშაზე სრულებით არ ისმოდა ფეხის ხმა, მაგრამ სტირფორდმა მაშინაც კი ვერ შემამჩნია, როცა შევადე კარი, ოთახში შევედი და მის გვერდით დავდექი. იგი იჯდა ბუხართან შეკრული წარბებით, ღრმად ჩაფიქრებული.

როდესაც მხარზე ხელი დავადე, იგი შეკრთა.

– როგორ შენაშინე! ისე გამომეცხადე, როგორც საიქიოდან მოსული სული, – მითხრა მან თითქმის გაჯავრებით.

– რა ვქნა, ჩემო კარგო! – ვუპასუხე მე. – ხომ უნდა გამომეფხიზლებინე რითიმე.

– მე შევეყურები ფანტასტიკურ სახეებს, რომელნიც ისახებიან აქ, ცეცხლში, – მითხრა სტირფორდმა.

– მერე რაღად შლი მაგ სახეებს? – შევნიშნე მე, როდესაც მან აიღო მაშა და აურია ნაკვერჩხლები, – განა არ გინდა, რომ მეც ვნახო ისინი შენთან ერთად?

– შენ ვერ დაინახავდი მათ. როგორ მეჯავრება ეს ბინდი, – აღარც დღეა, არც ღამე! რად დაიგვიანე დღეს, დევი! სად იყავი?

– ჩემს სამშობლოს ვეთხოვებოდი, როგორც იცი...

– მე კი ვიჯექი აქ, – მითხრა სტირფორდმა და ოთახს მოაგლო თვალი, – ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ მოვა დრო, ადრე თუ გვიან, როდესაც ეს ხალხი, ასეთი მხიარული და უდარდელი ჩვენი პირველი მოსვლისას, გაიფანტება იქით-აქეთ. ზოგი მოკვდება, ზოგი ქვეყნის მეორე ბოლოში წავა, ზოგიც... რა ვიცი, ცოტა სისულელე მოგივა ადამიანს თავში, როდესაც არავინ არის შენს გარშემო? როგორ მწყინს, დევი, რომ ჩემი სიცოცხლის ამ პირველი ოცი წლის განმავლობაში არ მყავდა მკაცრი და დარბაისელი მამა!

რაღაც ღრმა სევდის ამოძახილმა მის ხმაში გამაოცა და დამაფიქრა. ამ წუთში სტირფორდი სრულებით არ ჰგავდა თავის თავს. იგი ადგა, დაეყრდნო ბუხრის თავს და განაგრძო უცნაურის აღელვებით:

– სჯობდა, ღარიბი მეთევზე ვყოფილიყავი, ვინმე დანიელ პეგოტი, ამ მისი სულელი ძმისწული, ვიდრე ის, რაც მე ვარ... მდიდარი და ჭკვიანი, როგორც ამბობენ; მაგრამ რა გამოვიდა ამ სიმდიდრისა და ჭკუისაგან, როდესაც ხშირად იძულებული ვარ წარმოუდგენელი ზნეობრივი ტანჯვა განვიცადო?.. სად არის ისეთი საუნჯე, რომელსაც შეუძლია ამინაზღაუროს ის ჯოჯოხეთური ფიქრები, რომელნიც, მაგალითად, მტანჯავდნენ ამ ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ მარტოკა ვიჯექი ამ საცხოვრებელ ნავში?

მე გავშრი. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ მთელი სახის ნაკეთები საშინლად გამოეცვალა. იგი იდგა ჩაფიქრებული და თვალები ბუხარში მოცივლივით ალისთვის მიეყრო. ბოლოს დაუწყვე ხვეწნა მეგორობის მთელი გატაცებით, რომ აეხსნა ჩემთვის თავისი იღუმალი ფიქრები.

– რასაკვირველია, არ შემიძლია გირჩიო რაიმე, სტიფორდ, – ვუთხარი მე, – მაგრამ ჩემში შენ შეიძლება იპოვო ერთადერთი ადამიანი, რომელიც მზად არის გაინაწილოს შენი მწუხარება.

მაგრამ, ვიდრე ლაპარაკს გავათავებდი, სტირფორდმა გაიცინა და მალე მისმა სახემ თავისი ჩვეულებრივი, მხიარული და უდარდელი გამომეტყველება მიიღო.

– სისულელეა, ჩემო კარგო დეზი! – მიპასუხა მან. – მეონი, მე მითქვამს შენთვის ლონდონში, რომ დროგამოშვებით მეზარება ჩემი თავი. უეცრად მომეჩვენება, რომ ყოვლად უმსგავსი ბიჭი ვარ, რომელიც მხეცებმა შეჭამეს ცელქობისთვის. ყველა ეს საშინელება, უსაქმო დედაბრების მიერ გამოგონილი, ისახებოდა ჩემს წინაშე საზარელ სურათებში. მე პირდაპირ შემეშინდა ჩემი თავისა.

– აბა, მაშ არა უშავს რა, – შევნიშნე მე.

– იქნებ ჰო, იქნებ არა, გარემოებათა მიხედვით, – მითხრა სტირფორდმა. – ყველაზე უკეთესია თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს.

– რა იქნა აქაური მასპინძელი თავისი ოჯახით? – ვკითხე მე.

– არ ვიცი, – მიპასუხა სტირფორდმა. – ჯერ ბორანთან დავვეხეტებოდი, შენ გელოდებოდი. როდესაც აქ მოვედი დასასვენებლად, სახლში არავინ იყო; ამან მომცა დრო ზოგიერთი ფანტასტიკური ფიქრებისათვის, შენც სწორედ ამ ფიქრების დროს შემოხვედი.

– იცი თუ არა, რომ აქ ნავი ვიყიდე? – მკითხა სტირფორდმა, როდესაც ჩვენ სახლიდან გავედით.

– რა უცნაური ფანტაზიაა, სტირფორდ, – შევძახე მე. – ნავის ყიდვა, როდესაც, იქნებ, არასოდეს აღარ მოგიხდეს აქ მოსვლა!

– ვინ იცის! მე შემეფარდა იარმაუთი და ალბათ სამუდამოდ არ ვეთხოვები აქაურ მეზღვაურებს, – მიპასუხა სტირფორდმა და ფეხს აუჩქარა. – ყოველ შემთხვევაში, ვიყიდე ნავი, რომელიც იყიდებოდა... კარგი ნავია, ჩემს აქ არყოფნაში მისტერ პეგოტი იქნება მისი მეთვალყურე.

– ახლა კი მესმის, სტირფორდ! – ვუთხარი მე აღტაცებით. – შენ იყიდე ნავი ვითომ შენთვის და ამით უკეთებ ზრდილობიან საჩუქარს მისტერ პეგოტის. საკვირველია, რატომ ერთბაშად არ მივხვდი ამას!

– სსსუუ! რასაც ნაკლებს ილაპარაკებ ამის შესახებ, მით უკეთესია, – მიპასუხა მან და აენტო.

– როგორ მიხარია, ჩემო კარგო სტირფორდ! განა არ გეუბნებოდი, რომ შენ შეგიძლია მონაწილეობა მიიღო ამ კეთილი ხალხის ჭირშიც და ლხინშიც?

– დიახ, დიახ, შენ უკვე მითხარი, ეს მახსოვს, ოღონდ თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს.

გაგჩუმიდი, რომ არ მეწყენინებინა მეგობრისთვის ისეთ საგანზე ლაპარაკით, რომელსაც, როგორცა ჩანდა, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა მის თვალში. ფეხს აუჩქარეთ.

– მართლა! გითხარი თუ არა, რომ ლიტიმერი აქ არის?

– არა!

– ლიტიმერი ჩამოვიდა დღეს დილას, თან დედაჩემის წერილი ჩამომიტანა.

ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, და შევნიშნე, რომ ჩემი მეგობარი გაფითრდა ამ სიტყვებთან ერთად, თუმცა მისი სახე არ გამოხატავდა არავითარ შეწუხებას და პირდაპირ მიცქერდა თვალებში. მე ვიფიქრე, ალბათ სტირფორდმა მიიღო დედისაგან დატუქსვის წერილი და ამან მიიყვანა იგი იმ უცნაურს სულიერ განწყობილებამდე, რომლის მოწმეც ვიყავი წელან ნავის სახლში. მე მაშინვე ვუთხარი ეს ყველაფერი.

– ო, არა, ცუდი გულთმისანი ყოფილხარ, დეზი! – მითხრა მან სიცილით. – ლიტიმერი მოვიდა, როგორც ჩემი ნივთების ერთგული დარაჯი – არც მეტი, არც ნაკლები.

– ისევ ისეთია?

– ისევ ისეთი: მშვიდი, წყნარი, გულდახურული და ცივი, როგორც ჩრდილოეთის პოლუსი. იგი უნდა დაესწროს ნავის ნათლობას. ნავის ნამდვილი სახელია „ქარიშხალი“, მაგრამ რაში ენადვლება მისტერ პეგოტის ქარიშხალი? ჩემს ნავს სხვა სახელი ერქმევა.

– მაგალითად რა?

– „პატარა ემი“.

მან ისევ შემომხედა თვალებში დაკვირვებით და აქედან დავასკვენი, რომ არ იყო საჭირო ჩემი მეგობრის გულკეთლობის ჩამდე აყვანა.

– დაე ერქვას მას „პატარა ემი“... მაგრამ შეხედე, – მითხრა სტირფორდმა და წინ მიმითითა, – ხსენებებაზე თვით მშვენიერი ორიგინალია ჩვენს წინაშე!.. ეს ბიჭიც თან ახლავს, როგორც აუცილებელი თანამგზავრი. აი, ამას ჰქვია ნამდვილი რაინდი; იგი არასოდეს თავს არ ანებებს თავის ლედის.

თავის სამუშაო ტანისამოსში ქამი ამჟამად ტლანქად და მოუხეშავად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ადამიანი ერთი შეხედვით იტყოდა, რომ იგი ღირსია იყოს მფარველი იმ მშვენიერი ყმაწვილი ქალისა, რომელიც გვერდით მოსდევდა. პატიოსანი გულახდილობა, სიამაყე თავისი მშვენიერი თანამგზავრით და უზომო სიყვარული მისდამი იხატებოდა მისი სახის ყოველ ნაკვთში. უნებურად თვალი დამრჩა მათზე და გულში გავიმეორე, რომ ქამი და ემილია ერთიმეორისთვის არიან გაჩენილი-მეთქი. ისინი მოგვიახლოვდნენ.

ემილიამ მორიდებით გაითავისუფლა ხელი საქმროს ხელიდან და აწითლებულმა გამოგვიწოდა მე და სტირფორდს. ჩვენ ერთი-ორი სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს და შეუჩერებლივ განვაგრძეთ გზას; მაგრამ შევნიშნე, რომ

ემილიას აღარ უნდოდა ხელიხელგაყრილი სიარული თავის საქმროსთან; მას რცხვენოდა სხვებთან ამგვარი სიახლოვისა. ყოველივე ეს მიმზიდველ გულუბრყვილობად გვეჩვენა მე და სტირფორდსაც. ჩვენ თვალს ვადევნებდით მათ ახალი მთვარის შუქზე.

მთელი გზის განმავლობაში სტირფორდი ადევნებულ იყო, მაგრამ როდესაც სასტუმრში მივედით და გაშლილ სუფრას მივუსხედით გავარვარებულ ბუხართან, იგი უეცრად გამხიარულდა და უკვე სევდის აღარავითარი ჩრდილი არ აჩნდა სახეზე.

სადილის განმავლობაში ლიტიმერი იდგა ოთახის კუთხეში და ორივეს გვათვალიერებდა, ან, იქნებ, მხოლოდ მე მსწავლობდა? როდესაც მოგვართვეს უკანასკნელი თავი საჭმელი, მან გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი და უთხრა თავის ბატონს:

– გთხოვთ, მაპატიოთ, სერ, დამავალეს გადმომეცა თქვენთვის რომ მის მაუჩერი აქ არის.

– ვინ? – შესძახა გაოცებულმა სტირფორდმა.

– მის მაუჩერი, სერ. ეს ადგილი, მგონია, მისი სამშობლოა, სერ. მის მაუჩერმა მითხრა, რომ ყოველდღე დადის იარმაუთში თავის საქმეების გამო. დღეს იგი ქუჩაში შემხვდა და მთხოვა, მეკითხა თქვენთვის, შეგიძლიათ თუ არა მიიღოთ იგი ნასადილევს, სერ?

– იცნობ შენ ამ გოლიათს, დეზი? – მკითხა სტირფორდმა.

მე იძულებული ვიყავი გამოვტყვილიყავი, რომ არ მქონდა ბედნიერება მისი ცნობისა.

– მიიღეთ მის მაუჩერი, როდესაც მოვა.

კარი გაიღო და ლიტიმერმა აღუშფოთებელი სიწყნარით წარმოთქვა:

– მის მაუჩერი.

მე შევხედე კარებს და ვირავინ დავინახე. ისევ შევხედე, რადგან მეგონა, რომ მის მაუჩერი კარებს უკან შეჩერდა; მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემი თვალი მოხვდა... სქელ-სქელ, ჩასუქებულ ქონდრის ქალს, იგი დაახლოებით ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა. სტუმარი უკვე ოთახში იყო და ფუსფუსებდა სავარძელთან, რომელიც ჩვენს შუა იდგა. ეს იყო არსება უზარმაზარი თავით და ნაცრისფერი ეშმაკური თვალებით. ხელები ისეთი მოკლე ჰქონდა, რომ, როდესაც სტირფორდის მისაღმებისათვის მოინდომა ცხვირის ბოლოზე თითის გარტყმა, დასჭირდა თავის დაღუნვა და მაინც ძლივს მიიღო სალოკი თითი ცხვირთან. მისი ნიკაპი ეკუთვნოდა დაბაბების ჯიშს და ისეთი სქელი და მსუქანი იყო, რომ მასში უკვალოდ იკარგებოდა მისი ქუდის შესაკრავები – ბანტი და ყელის სხვა მორთულობა. მის მაუჩერი შესდგებოდა მხოლოდ ტანისაგან, რომელსაც, დინამიტის სახით, მიდგმული ჰქონდა ადამიანის ფეხებისმაგვარი კიდურები. ჩვეულებრივი ზომის სკამი მისთვის იგივე იყო, რაც მაგიდა, და მას მაღლა უხდებოდა თავისი პაწაწინა ხელის აწევა, რომ დაედო სკამზე ხელჩანთა. იგი კოხტად იყო ჩაცმული, თუმცა შესამჩნევი დაუდევრობით.

– აბა, ჩემო ვარდო! – დაიწყო მის მაუჩერმა და მხიარულად დაიქნია თავისი უზარმაზარი თავი. – მაშ შენ აქაც გაჩნდი? ერთი შეხედეთ! რომელმა ბედმა გადმოგაგდო ამ ცივ ქვეყანაში! ეშმაკობას იწყებ, არა? მე ვიცი, რომ ეს ასეა, განებივრებულო ჯენტლმენო. თქვენ, ალბათ, სანაძღვოს დასდებით ას გირვანქა სტერლინგზე, რომ აქ ვერ მნახავდით, არა? მე კი აქა ვარ! აქ და ყოველგან. ყველგან და არსად. სწორედ ისე, როგორც თვალთმაქცის ნახევარი კრონა, რომელიც, ვინ იცის, როგორ გაჩნდა ერთი ლედის ცხვირსახოცში.

მისმა სახის ღმეჭამ და თვალების ტრიალმა გამოაცა თითქმის იმდენადვე, როგორც ხელოვნებამ, რომლითაც მას შეეძლო დროზე თავის დაჭერა. ეს არსება, ჩემი შეხედულებით მრავალი მხრით იყო ორიგინალური. როდესაც იგი ყურს უგდებდა რას ლაპარაკობდნენ, ან პასუხს ელოდა თავის კითხვაზე, ერთ გვერდზე

გადაიგდებდა ხოლმე თავს და ცალ თვალს კაჭკაჭის თვალივით ატრიალებდა. გაოცებისაგან გარინდებული, ვუცქეროდი გაშტერებით და სრულებით დამავიწყდა ზრდილობიანობისა და წესიერების ზომა.

ამ დროს მის მაუხერმა მიიწია სკამი და თავისი უშველებელი ჩანთიდან დაიწყო ნივთების ამოლაგება; მას ყოველ ჯერზე უხდებოდა ხელის ჩაყოფა თითქმის მხრამდის. ნელ-ნელა ამოალაგა ჩანთიდან პატარა შუშები, ბოთლები, ღრუბლები, სავარცხლები, ჯაგრისები, ფლანელის ნაჭრები, თმის დასახვევი მაშა და ათასგვარი სხვა ხელსაწყო. როდესაც ეს ამბავი დაასრულა, უეცრად მიუბრუნდა სტირფორდს და ჰკითხა:

– ეს თქვენი მეგობარია, სერ?

– დიახ, – დაუდასტურა სტირფორდმა.

– მერე, რა ჰქვია?

– მისტერ დავით კოპერფილდი, – უთხრა სტირფორდმა. – მას თქვენი გაცნობა უნდა.

– თუ უნდა, გამიცნოს. თვალეზე ვატყობ, რომ უნდა, – უპასუხა მის მაუხერმა და გორვით წამოვიდა ჩემკენ თავისი ცარიელი ჩანთით, თან მხიარულად ხარხარებდა: – მშვენიერი ვაჟკაცია! შეხედეთ, სახე როგორ ატამს მოუგავს! მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, მისტერ კოპერფილდ, თქვენი მონა-მორჩილი, სერ.

მე ვუპასუხე, რომ მეც ბედნიერი ვიყავი მისი გაცნობით.

– ოჰ, როგორი ზრდილობიანები ვართ! – შესძახა მის მაუხერმა და მოახდინა ყოველად უშედეგო ცდა – ხელებით დაეფარა თავისი სახე, – როგორ ვატყუებთ ერთმანეთს. ერთმანეთს პირველად ვხედავთ და მაშინვე ქათინაურებს ვეუბნებით! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვიცნობთ მაღალ საზოგადოებას.

შემდეგ ისევ ჩაუშვა ხელი თავის დაუშრეტელ ჩანთაში.

– რა გინდათ მაგით თქვათ, მის მაუხერ? – ჰკითხა სტირფორდმა.

– არაფერი, ჩემო კარგო! მე ვამბობ, რომ ჩვენ ყველანი მატყუარები და არამზადები ვართ, ყველა თავის ყაიდაზე. ხა, ხა, ხა! – გადაიხარხარა მის მაუხერმა და თან აფათურებდა ხელებს თავის ჩანთაში.

სტირფორდმა გაიცინა და მეც მის მაგალითს მივყევი. მთელი ამ ხნის განამგლობაში მის მაუხერი თავს იქნევდა და თან აპაჭუნებდა თავის კაჭკაჭის თვალებს. ბოლოს, მან ხელები დაირტყა მუხლებზე და თქვა:

– ძალიან ბევრს ვებედობ აქ, თქვენთან, ყმაწვილო ჯენტლმენებო; ეს არ ვარგა. ისევ საქმეს შეეუდგეთ. სტირფორდ, მიხვენეთ თქვენი პოლარული მხარე.

მან ხელში აიღო ორი თუ სამი პატარა იარაღი, პატარა ბოთლი და, ჩემდა გასაოცრად, იკითხა – გაუძლებს თუ არა მაგიდა. როდესაც სტირფორდისაგან დასტური მიიღო, მის მაუხერმა მოიღვა სკამი, დიდი სიყოჩაღით შეხტა ზედ და შემდეგ, ჩემი დახმარებით მაგიდაზე ავიდა.

სტირფორდი დაჯდა ზურგით მაგიდისკენ, მოღიმარი სახით – ჩემკენ. ამგვარად, მისი თავი ამ ჯადოქრის სრულ განკარგულებაში იყო. მე მესმოდა, რომ სტირფორდი დასთანხმდა ამ ოპერაციას მხოლოდ დროს გასატარებლად. მის მაუხერი დაიხარა მის თავზე და დაუწყო სინჯვა მის მშვენიერ წაბლისფერ კულულებს მრგვალი, გადამდიდებელი შუშით, რომელიც ჯიბიდან ამოიღო. ეს საოცარი სანახაობა იყო.

– რაც მართალია, მართალია, მშვენიერი ყმაწვილი ხარ! – შესძახა მის მაუხერმა წინასწარ გასინჯვის შემდეგ. – მაგრამ იცი? მე რომ არ ვიყო, ისე მოგეტყვლიპებოდა თავი თორმეტი თვის განმავლობაში, როგორც ჩინეთის მანდარინს. ცოტა მოითმინე, ჩემო კარგო, და ახლავე ისე გაგხეხავ, რომ შენი კულულები ერთი ათი წლის განმავლობაში მაინც შეგრჩეს.

ამ სიტყვებით მან ბოთლიდან რაღაც სითხე გადმოასხა ფლანელის ნაჭერზე, დაასველა ამავე სითხეში პატარა ჯაგრისი და დაიწყო უდიდესი გულმოდგინებით



სტირფოდის თავის ხეხვა. მთელი ამ ხნის განამელობაში მის მაუჩერი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა.

ჩემს სიცოცხლეში არა მინახავს-რა მის მაუჩერის მსგავსი, როდესაც იგი იდგა სასადილო მაგიდაზე, გულმოდგინედ ხეხავდა თავს სტირფორდს და ორთავ თვალს ახამხამებდა.

– ამ ყრუ და მივარდნილ ალაგას არაფერი შემოსავალი არა აქვს ჩვენი ჯურის ხალხს. მალე წავალ იარმაუთიდან. წარმოიდგინე, ჩემო მეგობარო ჯიმი, რომ აქ ვერ შევხვდი ვერც ერთ ლამაზ ქალს.

– მართლა?

– ვერც ერთს, სრულებით ვერც ერთს, – გაიმეორა მაუჩერმა.

– მგონი, ჩვენთვის ძნელი არ იქნება მივუთითოთ ლამაზ ქალზე, – მითხრა სტირფორდმა და შემომხედა. – არა? – რას იტყვი დეზი?

– რასაკვირველია, – ვუპასუხე მე.

– აჰ? – შესძახა ქონდრის ქალმა და ორთავეს გადაგვაგლო თავისი გამჭრიახი თვალები. – ეჰ?

პირველი შეძახილი კითხვას ნიშნავდა და ჩვენ ორივეს გვეხებოდა; მეორე – მიმართული იყო განსაკუთრებით ჩემი მეგობრისადმი.

– ეს თქვენი და ხომ არ არის, მისტერ კოპერფილდ? – შესძახა მან ხანმოკლე სიხუმის შემდეგ და თან თვალები ჭერს მიაპყრო. – ასეა, სერ? ჰა?

– არა, – უთხრა სტირფორდმა და ჩემს მაგივრად უპასუხა. – სრულებით არა. პირიქით, თუ არ ვცდები, კოპერფილდი ოდესღაც თვითონ იყო შეყვარებული.

– ეჰ, ახლა კი აღარ არის შეყვარებული? – შესძახა მის მაუჩერმა – მაშ მაგისთანა თავექარიანია? აჰ, სირცხვილო! ნუთუ იგი დააქპრის ყვავილიდან ყვავილზე, მას აქეთ, რაც უღალატა თავის პოლის? მას ხომ პოლი ჰქვია?

ყველა ამ არეული კითხვით დავიბენი და ერთი წუთის განმავლობაში არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

– არა, მის მაუჩერ, – ვუთხარი მე ბოლოს, – მას ემილია ჰქვია.

– აჰა! – შესძახა მან იმავე კილოთი, როგორც უწინ. – ეჰ! ოჰ! რა ყბედი ვარ! არა, მისტერ კოპერფილდ?

მის თვალებში ისეთი გამომეტყველება გამოკრთა, რომელიც სრულებით არ მომწონდა, და ძალიან მწყინდა, რომ ლაპარაკი ამ საგანზე ჩამოვარდა. სერიოზული სახე მივიღე და ვუპასუხე:

– ეს ქალი იმდენადვე მშვენიერია, რადენადაც კეთილზნეობრივი, მის მაუჩერ, თუ გნევათ, იცოდეთ. იგი უკვე დანიშნულია, და მისი საქმრო უღირსეულესი ყმაწვილი კაცია, როგორც კი შეიძლება მონახოს ადამიანმა მათს წრეში. მე პატივს ვცემ ამ ქალის გონიერებას იმდენადვე, რამდენადაც აღტაცებაში მოვყავარ მის სილამაზეს.

– კარგად არის ნათქვამი! – შესძახა სტირფორდმა. – მისმინეთ, მისმინეთ! იგი მართლაც დანიშნულია, როგორც გამოაცხადა ჩემმა მეგობარმა, თავის ბიძაშვილზე; მისი სახელი – ქამი; გვარი – პეგოტი; ხელობა – ნავების კეთება; ბინადრობს ამ ქალაქში. მისი საცოლუ მშვენიერი, მომხიბლავი ფერიაა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მე მიყვარს იგი გულწრფელად და ღრმად, ისევე როგორც ჩემს მეგობარს კოპერფილდს. როცა იგი ბრუნდება საღამოობით მაღაზიიდან, სადაც მუშაობს, დამეს ათევეს თავის ნათესავის სახლში. მისი სახელი არ ვიცი; გვარი – პეგოტი; ხელობა – მეთევზეობა; ბინადრობს ამ ქალაქში. ემილია მისი დისწულია. მე რომ არ მეშინოდეს შეურაცხყოფისა, რომელიც შეიძლება მივაყენო ამ სიტყვებით ჩემს მეგობარს კოპერფილდს, –

დავუმატებდი, რომ მის ემილია უდიდეს სისულელეს სჩადის ქვეყანაზე, როდესაც თავის გულსა და ხელს აძლევს იმ ადამიანს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის მისი შესაფერისი. მისი მომავალი შეიძლება გაცილებით უკეთესი ყოფილიყო. მჯერა და მზად ვარ საქვეყნოდ ვაღიარო, რომ იგი დაბადებულია იმისთვის, რომ ლედი გახდეს.

ყველაფერი ეს იყო წარმოთქმული მკაფიოდ, მაღალი ხმით, იმ ცხადი განზრახვით, რომ დაწვრილებით შეეცდებინა მის მაუჩერისთვის ყმაწვილი ქალის ყველა გარემოება. მის მაუჩერი უსმენდა უდიდესი ყურადღებით; თავი ერთ მხარეს მოექცია, თვალებით კი ჭერს მისჩერებოდა. როგორც კი სტირფორდმა დაამთავრა ლაპარაკი, იგი იმწამსვე გამოფხიზლდა და ისევ დაიწყო თავისი ებედობა საოცარი სისწრაფით.

– თქ! ეს არის ყველაფერი? და სხვა არაფერი? – შესძახა მან და თან პატარა მაკრატლით უღვაშებს უკვეცავდა ჩემს მეგობარს. ეს მაკრატელი ყველა მიმართულებით ტრიალებდა მისი თავის გარშემო. – ძალიან კარგი. ყმაწვილო ჯენტლმენებო, ძალიან კარგი! ისტორია გრძელდება, და აი მისი ბოლო: „ისინი ცოცხლობდნენ ძალიან დიდხანს და სრულებით ბედნიერები იყვნენ“. ხომ ასეა? როგორც ფანტის თამაშობაში. მშვენიერი თამაშობაა. მიყვარს მშვენიერი ე... იმიტომ რომ მშვენიერია; მეჯავრება მშვენიერი ე..., იმიტომ, რომ იგი სხვისი საცოლვა. მე გადავუხადე მას იმით, რომ მოვიტაცე იგი ერთ საღამოს და წავიყვანე შორს, შორს, აღმოსავლეთში. მზეთუნახავის სახელი – ემილია. ჰა, ჰა, ჰა! რა ყბედი რამ ვარ, მისტერ კოპერფილდ, არა?

მან სწრაფად შემომხედა და არ დაუცდია პასუხისათვის, ისე განავრძო:

– აბა, ახლა როგორია? თუკი ყოფილა ოდესმე ქვეყანაზე ყმაწვილი ასეთი მშვენიერი კულულებითა და მომხიბლავი უღვაშებით, – ეს თქვენა ბრძანდებით, მისტერ სტირფორდ. თუ კარგად მესმის ვისიმე თავი, – ეს შენი თავია, ჩემო კარგო. გესმის, რას ვამბობ? მე ვხედავ შენ თავს მთლად, თითქოს იგი გამჭვირვალე იყოს, მშვენიერო ჯენტლმენო, – უთხრა მის მაუჩერმა და სახეში შეხედა. – ახლა შეგიძლიათ, სერ წაბრძანდეთ თქვენს ადგილზე, როგორც სასამართლოში ამბობენ.

– რამდენი მოგართვათ ამ ოპერაციისთვის, მის მაუჩერ? – ჰკითხა სტირფორდმა.

– ხუთი შილინგი, ჩემო კარგო...

მის მაუჩერმა გადაიგდო მხარზე თავისი ჩანთა და კარებისაკენ გაიქცა, მაგრამ სანამ კარებს გააღებდა, შეჩერდა და ერთხელ კიდევ მოგვმართა ორივეს:

– ხომ არ გნებავთ, ჯენტლმენებო, სახსოვრად თითო კულუელი ჩემი თმებისა? ეს დაამშვენებდა თქვენს მედაიონებს. ხა, ხა, ხა! რა თავქარიანი რამ ვარ! არა, მაშ?

ამ სიტყვებით მან გაიხახუნა თითი ცხვირის ბოლოზე, გააღო კარი და გავიდა.

სტირფორდმა მხიარულად გადაიხარხარა, მეც უნებურად მივყვეი მის მაგალითს, თუმცა, მართალი რომ ვთქვა, არავითარი მიზეზი სიცილისათვის არ მქონდა. როდესაც გული ვიჯერეთ სიცილით, სტირფორდმა მითხრა, რომ მის მაუჩერს ჰყავს უზარმაზარი წრე ნაცნობებისა და იგი ათასნაირად ემსახურება ყველას. ზოგჯერ სახლებში მასხარას როლს თამაშობს; მაგრამ სტირფორდის დაკვირვებით, ეს იყო ძალიან ჭკვიანი და გამჭრიახი დედაკაცი, რომელიც ყველაფერსა ხედავდა, ყველაფერს ამჩნევდა. იგი ყველას იცნობდა და ყველგან შინაური იყო. მე ვკითხე, როგორი ხასიათი აქვს მის მაუჩერს, – კეთილი ადამიანი იგი, თუ მისი ზნეობა ვერ არის საქებარი-მეთქი? სტირფორდმა ყური არ ათხოვა ამ ჩემს კითხვებს, თუმცა ორჯერ თუ სამჯერ გავუბეორე, სამაგიეროდ ბევრი რამ მიაგმო მისი საოცარი ხელოვნების შესახებ და, სხვათა შორის, რეკომენდაცია გაუკეთა მას, როგორც კოტონშების დადგმის დიდ მცოდნეს.

– იქნება, – დაუმატა მან ბოლოს, – შენც დაგჭირდეს ოდესმე მის მაუხერის დოსტაქარული ნიჭი.

მთელი საღამოს განმავლობაში ვლასპარაკობდით მის მაუხერის შესახებ. ბოლოს გამოვეთხოვე სტიროფორდს და გადავასთან წავედი დასაძინებლად.

ბარკისის სახლს რომ მივუახლოვდი, განვცვიფრდი, როცა კარებთან დავინახე ქამი, და უფრო მეტად გამიკვირდა, როდესაც გავიგე მისგან, რომ პატარა ემი იქ იყო, ჩემი გადიას ოთახში.

– თქვენ რაღას აკეთებს აქ, მისტერ ქამ? – ვკითხე მე.

– აი ხომ ხედავთ, წინ და უკან დავდივარ, მისტერ დევი.

– მერე, რატომ ოთახში არ შეხვალთ?

– არ შეიძლება, მისტერ დევი, არ შეიძლება. ემილია საიდუმლოდ არის აქ მოსული ვისთანმე მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება ყმაწვილ ქალთან სწარმოებს, სერ. ემილია იცნობდა მას უწინ; ახლა კი უხერხულია მისი ცნობა. ეს უბედური ქალია, მასტერ დევი, რომელსაც მთელი ჩვენი ქალაქი სდევნის. მას მართა ენდელი ჰქვია, სერ. იგი ორი თუ სამი წლით უფროსია ემილიაზე, მაგრამ ისინი ერთად სწავლობდნენ პანსიონში და შემდეგ ერთად მუშაობდნენ. მას სჭირდება ემილიას ნახვა. ემილია ვერ მიიღებდა მას თავის სახლში, რადგან ბიძაჩვენი სახლშია და იგი ნებას არ მოგვცემდა... ემილიამ აიღო ფანქარი და დაუწერა ქალაქის ნაგლეჯზე ბარათი, რომელიც შემდეგ გადასცა თავის ყოფილ ამხანაგს. – „უჩვენე ეს ბარათი დეიდაჩემს, მის ბარკისს, – უთხრა მან ფანჯარაში, – დეიდაჩემი სიყვარულით მიგიღებს თავის ბუხართან და, როდესაც ბიძია წავა, მე მაშინვე მოვალ შენთან“.

მე აღტაცებით ხელი ჩამოვართვი ყმაწვილ კაცს და მღელვარებისაგან ხმა ვერ ამოვიღე. ჩუმიად გავიარ-გამოვიარეთ სახლის წინ. რამდენიმე ხნის შემდეგ კარი გაიღო და პეგოტიმ ანიშნა ქამს, რომ შეეძლო შესვლა. გადავწყვიტე წასვლა და უკვე გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ პეგოტი დამეწია და შემეხვეწა, სახლსი შევსულიყავი. მინდოდა შეუხერებლივ აესულიყავი ზევით, ჩემს ოთახში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელი იყო, არ გამოველო სამზარეულო დაბლა სართულში.

ყმაწვილი ქალი შორიხლოს იყო კერასთან. იგი იატაკზე იჯდა თავჩალუნული, ერთი ხელი სავარძელზე ედო. მივხვდი, რომ ემილია ეს-ეს არის ახლა ადგა ამ სავარძლიდან და მისი მეგობრის დახრილი თავი მის მუხლებზე ესვენა. მართას ნახევრად უფარავდა სახეს გაწეწილი თმა, მაგრამ ერთი შეხედვით შევნიშნე, რომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი იყო. პეგოტი ტიროდა.

ემილიამ პირველმა დაიწყო ლაპარაკი.

– მართას ლონდონში უნდა წასვლა, – უთხრა ქამს.

– რა უნდა ლონდონში? – იკითხა ქამმა.

იგი იდგა მათ შორის და უცქეროდა უბედურ ქალს სიბრალულით და თან რაღაც შინაგანი წყენით. როგორცა ჩანდა, ეჭვიანობდა და უნდოდა, თავის საცოლესა და მის შუა გარდაუვალი ზღუდე დაეღვა. ეს ორმაგი გამომეტყველება ყმაწვილი კაცის თვალეში სამუდამოდ ჩამრჩა გულში. ისინი ორივენი ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს მართა ავად იყო, – ლაპარაკობდნენ ჩურჩულით, თუმცა მათი ხმა მკაფიოდ ისმოდა.

– მერე, იქ რას გააკეთებს? – იკითხა ქამმა.

მართამ აიღო თავი, შეხედა მას სევდიანი თვალებით, შემდეგ დაღუნა და ორივე ხელით თავის ყელს ეცა, თითქოს უეცრად მეხი დაეცაო.

– ეცდება, იქ კარგად მოიქცეს, – უთხრა პატარა ემიმ. – შენ არ იცი, რას გველაპარაკებოდა ახლა. ვუთხრა?... ვუთხრა მათ, დეიდა?

პეგოტი თანაგრძნობით თავი გააქნია.

– დიას, ვეცდები გამოვსწორდე, თუ თქვენ დამეხმარებით, რომ ამ ქალაქს თავი დავანებო, – თქვა მართამ. – იმაზე უარესი, რაც აქ გადამხდა, შეუძლებელია იქ იყო. ლონდონში ვეცდები, კარგად დავიჭირო თავი. მიშველეთ, თავი დავანებო ამ ქალაქს, სადაც ყველანი ბავშვობიდან მიცნობენ.

ცრემლები წამოსცვივდა ემილიას, მაგრამ თავი მიიბრუნა და თავის მეგობართან მივიდა. რა მისცა, არ ვიცი; დავინახე მხოლოდ, რომ იგი დაიხარა და რაღაც ჩაუღო უბეში. შემდეგ წასჩურჩულა რამდენიმე სიტყვა და ჰკითხა:

– საკმარისია ეს, მართა?

– ო, ეს გაცილებით მეტია! – უპასუხა უბედურმა და ხელზე აკოცა.

შემდეგ იგი ადგა, გაისწორა მხრებზე შალი, მიიფარა სახეზე, ხმამაღლა აქვითინდა და მძიმე ნაბიჯით წავიდა კარებისაკენ.

როდესაც კარი გაიხურა, პატარა ემიმ შემოგვხედა ყველას შეშინებული თვალებით და უეცრად ტირილი აუვარდა.

– კარგი, ემი! – უთხრა ქამმა და ხელი შეახო მის მხარს. – კარგი, ჩემო საყვარელო! შენ რა გატირებს, ჩემო მშვენიერო?

– ო, ქამ! – შესძახა ყმაწვილმა ქალმა, და თან მწარედ ტიროდა. – მე სრულებით არა ვარ ისეთი კეთილი, როგორიც უნდა ვიყო. ჩემი გული ზოგჯერ არ გრძნობს იმ მაღლობას, რომელიც შენ გეკუთვნის.

– რა ფიქრებია, ემილია? – უპასუხა ქამმა. – მე ვიცი, რომ შენ კეთილი გული გაქვს.

– მე ხშირად და მეტად გაუფრთხილებლად გტანჯავ შენ, ჩემო კარგო მეგობარო! – ქვითინით ამბობდა ემილია. – გაწვალებ ჩემი მიზეზიანობითა და თავქარიანობით, მაშინ, როდესაც შენ მუდამ სინაზითა და ყურადღებით ხარ სავსე. მაღლობის მაგივრად ხშირად შეურაცხყოფას ითმენ ჩემგან! ო, მე მხოლოდ იმაზე უნდა ვფიქრობდე, რომ შენ ბედნიერი იყო!

– მე ბედნიერი ვარ, ჩემო საყვარელო, – უთხრა ქამმა, – ბედნიერი ვარ თუნ მარტო იმით, რომ შენ გხედავ; ბედნიერი ვარ დიდიდან სადამომდე მარტო იმით, რომ შენზე ვფიქრობ.

– დეიდა, მოდი ჩემთან, – ქვითინებდა ემი, – დამამშვიდე შენს გულთან. მე ძალიან უბედური ვარ ამ წუთში! რა ვქნა! სრულებით არ ვარ ისეთი კარგი, როგორიც თქვენ გგონივართ. მე ვიცი ეს.

პეგოტი მიუახლოვდა სკამს ბუხართან. ემილიამ ხელები მოხვია მას ყელზე და მის წინ დაიჩოქა. მის თვალებში წარმოუთქმელი სევდა იხატებოდა.

– დეიდა, მიშველე! ქამ, ძვირფასო მეგობარო, დამეხმარე! მისტერ დავით, გვევდრებით, ჩვენი წარსული მეგობრობის გულისათვის, მიშველეთ! მე მინდა მაღლიერი და დიდსულოვანი ვიყო. ჩემი გული, ჩემი საბრალო გული!

ემილია პატარა ბავშვს უფრო ჰგავდა, ვიდრე გასათხოვარ ქალს, და ეს უფრო უმატებდა ელფერს მის მშვენიერებას. ახლა იგი მიეკრა ჩემი ძველი გადიას გულს და ჩუმად ტიროდა. გადია უაღერსებდა და არწევდა მას, როგორც პატარა ბავშვს.

ქვითინი თანდათან შეწყვიტა, ჩვენ ყველამ დავუწყეთ დამშვიდება, ხან სერიოზულად, ხან ხუმრობით. ემილიამ აიღო თავი და უკვე დამშვიდებული გვიპასუხებდა ყველა ჩვენს შენიშვნასა და კითხვაზე.

ამ დამეს ემილიამ ის ჩაიდინა, რაც წინათ არასოდეს არ შემინიშნავს. მან აკოცა ლოყაზე თავის საქმროს და სინაზით მიეკრა მის მოუხეშავ ტანს, თითქოს იგი ნამდვილი ბურჯი იყო მისი სიცოცხლისა.

ისინი ერთად წავიდნენ სახლში მთვარის მკრთალ შუქზე. თავი გავყავი ფანჯარაში და შევნიშნე, რომ ემი მაგრად მიეკრა თავის საქმროს.

## მე ვორჩევ პროფესიას

მეორე დილას, გამოღვიძებისთანავე, დიდხანს ვფიქრობდი პატარა ემისა და მისი მწუხარების შესახებ წარსულ ღამეს, როდესაც თავის უბედურ მეგობარს ეთხოვებოდა. უნებური მოწამე გავხდი ისეთი ოჯახური სცენისა, რომელსაც ჩვეულებრივად მაღავენ ხოლმე უცხო თვალისაგან, და ამიტომ ლაპარაკი ამის გამო ვისთანმე, თუნდაც სტირფორდთან, უხერხულად და უადგილოდ მიმაჩნდა.

საუზმის დროს მომიტანეს უკანასკნელი ფოსტით მოსული პაპიდას წერილი. წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე, მეამბნა მისი შინაარსი სტირფორდისათვის, მით უმეტეს, რომ მისი რჩევა შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო ჩემთვის, მაგრამ ჩვენ გადავდეთ სხვა დროისათვის ამაზე ლაპარაკი, რადგან იმ წუთში უმისოდაც ბევრი საქმე ეგვიქონდა. ჩვენ საბოლოოდ ვეთხოვებოდით ჩვენს იარმაუთელ მეგობრებს. გამოთხოვება, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად მგრძობიარე გამოვიდა. მისტერ ბარკისი სულითა და გულით წუხდა; მისტერ პეგოტიმ და მისმა ოჯახმა მეტად მოიწყინეს. სტირფორდთან მოვიდა მთელი ჯარი იარმაუთელი მეზღვაურებისა და მენავეებისა ჩვენი ჩემოდნების წასადებად დილიუანსების კანტორაში. ერთი სიტყვით, ჩვენმა გამგზავრებამ საერთო სინანული გამოიწვია იარმაუთში.

– თქვენ კი დიდი ხნით რჩებით აქ, ლიტიმერ? – ვკითხე მე, როდესაც იგი გვაცილებდა დილიუანსთან.

– არა სერ, დიდი ხნით არა, – მიპასუხა ლიტიმერმა, – მე მგონია, რომ დიდი ხნით არა.

– მან თვითონაც არ იცის, – შენიშნა უდარდელად სტირფორდმა. – მან იცის მხოლოდ, რა უნდა გააკეთოს აქ და, რასაკვირველია, შეასრულებს კიდევ.

– ო, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, – ვუთხარი მე, – ლიტიმერი უთუოდ აასრულებს ყველაფერს, რასაც მას დაავალებენ.

რესპექტაბელური მსახური შეხო თავის ქუდს ჩემი აზრის სრული თანხმობის აღსანიშნავად. დილიუანსი დაიძრა ადგილიდან, ცხენებმა გაჰქუსლეს, და ლიტიმერი ეგვიპტის პირამიდით დარჩა ქვაფენილზე, სერიოზული და იდუმალებით სავსე.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ჩვენი ლაპარაკი ვერ მოხერხდა. სტირფორდი არაჩვეულებრივად ჩაფიქრებული იყო და ხმას არ იღებდა. მეც ვფიქრობდი იმაზე, მომიხდებოდა თუ არა კიდევ ოდესმე ამ მხარეში მოსვლა და რა ცვლილებები შეიძლებოდა მომხდარიყო აქ ჩემი არყოფნის დროს. მაგრამ სტირფორდმა უეცრად გადაიყარა ნაღველი, გამხიარულდა და ალაპარაკდა. მან სახელო ჩამომიწია და მითხრა:

– რას გაჩუმებულხარ, დეზი? რა წერილზე მელაპარაკებოდი საუზმის დროს?

– პაპიდასაგან მივიღე, – ვუპასუხე და წერილი ჯიბიდან ამოვიღე.

– მერე, რას გწერს?

– პაპიდა მაგონებს ჩემო მოგზაურობის საგანს და იმეორებს, მხოლოდ იმისვის მოგზაურობ, რომ ნახო და გაიცნო ქვეყანა და ხალახი, თან შენს მდგომარეობას დაუფიქრდით.

– მერე, შენ, რასაკვირველია, მიაღწევ მაგ მიზანს!

– სავსებით არა. მართალი რომ გითხრა, მე თითქმის დამავიწყდა, რისთვის წამოვედი.

– სხვას რას გწერს პაპიდა? – მკითხა სტირფორდმა და შეხედა წერილი, ხელში რომ მეჭირა. – სამსახურო ხომ არ უშოვია შენთვის?

– თითქმის. პაპიდა მეკითხება, რომ არ ვგრძნობ განსაკუთრებულ სურვილს პროქტორი გავხდე. რას იტყვი ამაზე სტირფორდ? ვივარგებ პროქტორად?

– არ ვიცი, სწორი ვითხრა, რა გიპასუხო მაგაზე, – თქვა სტირფორდმა. რატომ არ ივარგებ? მე მგონია, რომ შენ თავისუფლად შეგიძლია აირჩიო ეს ხელობა ისე, როგორც ყოველი სხვა.

გამეცინა, როდესაც დავინახე, როგორი სიმსუბუქითა და სისაღვლით ექცეოდა სტირფორდი ყველა საზოგადოებრივ თანამდებობასა და წოდებას.

– მერე, რა არის პროქტორი, სტირფორდ?

– თითქმის იგივეა, რაც ვექილი, ოღონდ იგი აწარმოებს მხოლოდ სამონასტრო და საეკლესიო საქმეებს. ეს ძალიან კარგია, რომ პაპიდა ასე ზრუნავს შენზე, ხუმრობაგაშვებით, გირჩევ მიიღო მისი წინადადება.

გადავწყვიტე მიმელო მისი რჩევა. პაპიდა მწერდა წერილში, რომ იგი მელის ლონდონში, სასტუმროში, ლინკოლნის ველთან. „ბინა ძალიან კარგია“, – მწერდა პაპიდა, – „ქვის კიბით და სახურავზე ასასვლელი კარით“. პაპიდა დარწმუნებული იყო, რომ ლონდონში ხანძარი ყოველდღე ჩნდება და, მაშასადამე, ქვის კიბე აუცილებელია ყოველ წესიერ ბინაში.

დანარჩენი მგზავრობა ძალიან მხიარულად გავატარეთ საუბარში ჩემი მომავალი მოღვაწეობის შესახებ. სტირფორდი სასაცილო სურათებით მიხატავდა ჩემს პროქტორებას და სიცილით კვდებოდა, როდესაც წარმომიდგინა მსაჯულის პარიკითა და წამოსასხამით. უკანასკნელ სადგულზე გავშრდით ერთმანეთს. სტირფორდი სახლში წავიდა და პირობა ჩამომართვა, რომ ორი, სამი დღის მერე ვესტუმრებოდი; მე კი დაუყოვნებლივ გავეშურე სასტუმროში, ლინკოლნის ველზე. სადაც პაპიდა ვახშმად მიმელოდა.

ჩვენ ისე გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, თითქოს მთელი დედამიწის ზურგი მომეველო. მის ბეტსიმ ტირილიც კი დაიწყო, როდესაც მომეხვია, თუმცა ეცადა, ისე ეჩვენებინა თავი, თითქოს იცინოდა.

– მაშ მისტერ დიკი სახლში დარჩა პაპიდა? – ვკითხე მე. ძალიან მწყინს. გამარჯობათ, ჯენეტ.

ჯენეტმა კნიქსენი გამიკეთა. შევნიშნე, რომ მისტერ დიკის ხსენებაზე პაპიდას სახე მოეღუშა.

– მეც ძალიან ვნანობ ახლა მაგას. – მითხრა პაპიდამ. – რაც აქ ვარ, ჯერ ერთი წუთითაც არ მომიხვენი.

სანამ მოვასწრებდი ამ შეწუხების მიზეზის კითხვას, პაპიდამ მეღანქოლიური სიმტკიცით დაადო ხელი მაგიდას და ამგვარად განაგრძო:

– დარწმუნებული ვარ, ტროტ, რომ მისტერ დიკი, თავისი მშვიდი ხასიათის გამო, ვერ გაუძლებდა ვირებს. ამისთვის მას არ ეყოფა არც ვაჟკაცობა და არც სულის სიმტკიცე. სადაც სამართალია, ჯენეტი სახლში უნდა დამეტოვებინა, მაშინ უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი. თითქმის დანამდვილებით ვიცი, რომ დღეს ოთხ საათზე ვირი დასეირნობდა ჩემს მინდორზე, მთელს ტანში მაკანკალებს, და ეს კი იმის ნიშანია, რომ ვირი უსათუოდ იქ იყო.

ვცაღე რამდენიმე სიტვით ნუგეში მეცა, მაგრამ პაპიდა უნუგეშო იყო.

ვასშამი მშვენიერად მომზადებული იყო და თან ცხელი, მიუხედავად იმისა, რომ პაპიდას სასტუმროში ეჭირა ყველაზე ზევითა სართული. არვიცი, იმიტომ დაეჭირა მას ეს ბინა, რომ თავისი ფულით უნდოდა ყველაზე მეტი ქვის საფეხურები აეგლო, თუ იმიტომ, რომ ყოველ შემთხვევაში ახლოს ყოფილიყო სახლის სახურავზე გასასვლელად.

– აბა, ტროტ, – დაიწყო პაპიდამ, – რას იტყვი პროქტორის ადგილის შესახებ? თუ ჯერ არც კი გიფიქრია ჩემს გეგმაზე?

– არა, პაპიდა, ბევრი ვიფიქრე, და მე და სტირფორდმა დიდხანს ვილაპარაკეთ მაგის შესახებ: თქვენი გეგმა ძალიან მომწონს.

– ჰოდა, ძალიან კარგი! დიდად მოხარული ვარ!

– მე მხოლოდ ერთი გარემოება მაწუხებს, პაპიდა.

– მაგალითად, რა?

– ძალიან ძვირად ხომ არ დაგიჯდებათ ჩემი შესვლა ამ სამსახურში?

– ეს, როგორც მითხრეს, სწორედ ათასი გირვანქა ეღირება.

– მეც ეგ მაწუხებს, ძვირფასო პაპიდა, – ვუთხარი და სკამი მისკენ მივწიე. – ათასი გირვანქა, – ეს ხომ აუარებელი ფულია. თქვენ უმიხოდაც ძალიან ბევრი დახარჯეთ ჩემს აღზრდაზე. თქვენი უზომო ხელგაშლილობის გამო არაფერში ნაკლებობა არ მიგრძნია. მგონია, რომ შეიძლება გაუჭირველბლად მოვნახო ისეთი სამსახური, რომელიც არ მოითხოვს ასეთ დიდ თანხას.

– ტროტ, შვილო! ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ნუგეში დამრჩენია, – რომ შენ კეთილი და ბედნიერი აღამიანი გამოხვიდე. ეს ერთადერთი მიზანია ჩემი და მისტერ დიკისა... ჩვენ დიდხანს ვიმსჯელებთ ამ საგანზე, და ძალიან მწყინს, რომ უცხო არავინ დაესწრო ჩვენს ბაასს. მისი აზრი მუდამ საოცრად შორსმჭვრეტელი და გამჭრიახია, ოღონდ რას იზამ? ჩემს გარდა, არავის ესმის ამ აღამიანის გონების მთელი სიღრმე!

იგი შეჩერდა ერთი წუთით, შემდეგ მომკიდა ორივე ხელი და განაგრძო:

– ტროტ, შვილო! ნუ მოვიგონებთ წარსულს. ვინ იცის, იქნებ მეტი სიყვარულით უნდა მოვპყრობოდი შენს საბრალო მამას და შესაძლებელია, რომ სავსებით არ ვარ მართალი მის წინაშე. რასაკვირველია, მეტი სიბრაღული უნდა გამომეჩინა შენი საბრალო პატარა დედისადმი იმის შემდეგაც კი, რომდესაც შენმა უმანკო დამ, ბეტსი ტროტუდმა, გამიმტყუნა იმედები. როდესაც შენ მოხვედი ჩემს სახლში – საბრალო ბავშვი, დაგლეჯილი, დატანჯული და ჭუჭყიანი, მე იქნებ გავიფიქრე ყოველივე ეს. იმ დღიდან, ტროტ, ვიდრე ამ წუთამდე, შენ ხარ ჩემი ერთადერთი ნუგეში, სიამაყე და იმედი. არავის სხვას არ აქვს უფლება ჩემს ქონებაზე, ყოველ შემთხვევაში...

აქ იგი, ჩემდა გასაოცრად, როგორღაც დაიბნა.

– დიას, სხვა არავინ არ იქნება ჩემი მემკვიდრე. და შენ ხარ, ტროტ, ჩემი ერთადერთი შვილი! ოღონდ გიყვარდე მე, ბებერი, და მაპატიე ჩემი უცნაურობა და უნიანობა. მე არ მინახავს ბედნიერება ჩემი სიცოცხლის განთიადზე, ჩემმა სიყმაწვილემაც უსიხარულოდ ჩაიარა. ჩემი დამშვიდებით, ტროტ, შენ გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტან ჩემს მოხუცებულობას, ვიდრე მე შემიძლია შენთვის გავაკეთო!

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ პაპიდა თავის წარსულზე ლაპარაკობდა. მისი დიდსულოვანი გულახდილობა გულის სიღრმემდი ჩამწვდა და, რასაკვირველია, უფრო მეტი პატივისცემით განვიმსჯელებოდი მისდამი, უმიხოდაც რომ არ ვყოფილიყავი სავსე უზომო პატივისცემითა და სიყვარულით.

– ახლა ჩვენ უკვე ყველაფერი ვთქვით, ტროტ, და, მაშასადამე, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი, – მითხრა მის ბეტსიმ. – მაკოცე, ჩემო კარგო.

მიუხედავად ამისა, ჩვენ კიდევ დიდხანს ვისხედით ბუხართან და ვსაუბრობდით ჩვენს საქმეებზე: ჩემი და პაპიდას ოთახები ერთსა და იმავე სართულში იყო, ერთმანეთის გვერდით. დამე მან რამდენჯერმე დამიკაკუნა კარზე და მეკითხებოდა, ხომ არ მესმის მეხანძრეების სიარული. მას აწუხებდა ქუჩის ეტლები და დროგები; მაგრამ შუაღამისას პაპიდა დაწყნარდა და მეც მშვიდად მეძინა დანარჩენი ღამე.

დილის თერთმეტ საათზე გავემგზავრეთ სპენლოსა და ჯორკინსის კანტორაში. სხვათა შორის, პაპიდა იმ აზრის იყო, რომ ლონდონში ყველა გამგლეღ-გამომგლეღი ქურდი ან ავაზაკი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მან შესანახად მომცა თავისი ქისა, რომელშიც იყო ათი გინეა და რამდენიმე წვრილი ვერცხლის ფული.

უეცრად პაპიდამ ნაბიჯს აუქარა. როგორც ჩანდა, რაღაცის შეეშინდა. ამავე დროს შევნიშნე, რომ მის ახლოს ტრიალებდა ვინმე მოხრილი, მეტაფ ღარიბად ჩაცმული კაცი, საეჭვო შეხედულებისა.

– ტროტ! ჩემო ტროტ! – შესძახა პაპილამ შეშინებული ხმით. – მე არ ვიცი, რა ვქნა!

– არაფერია, პაპილა, ნუ სწუხართ! – შებრძანდით მაღაზიაში: მე გავუსწორდები მაგ ვაჟბატონს.

– აჰ, არა, შვილო! ნუ ელაპარაკები! მე გთხოვ, მე გიბრძანებ – ხმა არ გასცე!

– რა დაგემართათ, პაპილა? განა არ ხედავთ, რომ ეს თავხედი გლახაა. ნება მიბოძეთ, გავაგლო.

– შენ არ იცი, ვინ არის ეგ! – მიპასუხა მის ბეტსიმ. – შენ არ იცი, რას ამბობ!

ამ ლაპარაკის დროს გავჩერდით ერთი სახლის კარებთან; უცნობიც შეჩერდა.

– ნუ უყურებ მას, ტროტ, – მითხრა პაპილამ, როდესაც აღშფოთებით მივიბრუნე მისკენ თავი. – დამიჭირე ეტლი, ჩემო კარგო, და შემდეგ ეკლესიასთან დამიციადე.

– დაგიცადოთ, პაპილა?

– დიახ, მე მარტოკა უნდა წავიდე. მე მაგასთან ერთად უნდა წავიდე.

– ამასთან, პაპილა? ამ მაწანწალასთან ერთად?

– გაჩუმდი, ტროტ! მე ჩემს ჭკუაზე ვარ და ვიცი, რასაც ვხადივარ. დამიქირავე ეტლი.

უაღესად გაკვირვებული ვიყავი, მაგრამ მაინც მესმოდა, რომ არავითარი უფლება არა მქონდა, წინააღმდეგობა გამეწია მის ბეტსის გადაჭრილი თხოვნისათვის, დავუძახე ეტლს. პაპილა სწრაფად ჩაჯდა შიგ; უცნობიც მას შეჰყვია. ხელის სწრაფი მოძრაობით პაპილამ მიბრძანა მოვშორდებოდი, და ისევ იძულებული ვიყავი მისი ნება ამეხსრულებინა. შემდეგ პაპილამ თავი გამოყო ეტლიდან და დაუყვირა მეეტლეს:

– გასწი!

– სად მიბრძანებთ?

– სადაც გინდა!

ეტლმა სწრაფად ჩამიარა წინ.

ახლა პირველად მომაგონდა მისტერ დიკის უცნაური ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვიღაც კაცი აშინებს მის ბეტსის. მაშინ მე ეს მისტერ დიკის საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად ჩავთვალე, მაგრამ ახლა ეჭვი არ მქონდა, რომ ეს უცნობი და მისტერ დიკის ფანტასტიკური ჩვენება ერთი და იგივე პირი იყო. მაგრამ რა დამოკიდებულება ჰქონდა მას მის ბეტსისთან, – ეს ჩემთვის ყოველად გაუგებარი იყო. დაახლოებით ერთი საათი მომიხდა ლოდინი ეკლესიის კარებთან, სანამ პაპილას ეტლი დავინახე. მეეტლემ ჩემს წინ გააჩერა იგი; ეტლში პაპილა მარტო იჯდა.

იგი აღელვებული იყო და, რა თქმა უნდა, ამგვარ გუნებაზე შეუძლებელი იქნებოდა სადარბაზოდ მისვლა რომეიმე თანამდებობის პირთან. მე ჩავჯექი მასთან ეტლში.

– უთხარი მეეტლეს, ტროტ, რომ ცოტათი წინ და უკან გაიარ-გამოიაროს.

როდესაც ავასრულე მისი ბრძანება, მის ბეტსიმ ერთი ღრმად ამოიოხრა და მითხრა:

– ჩემო საყვარელო შვილო, არასოდეს არაფერი მკითხო ამის შესახებ.

თანდათან დამშვიდდა და მითხრა, რომ ახლა შეგვიძლია ეტლიდან გადმოვიდეთო. გამოვართვი ქისა, რომ მეეტლეს გავსწორებოდი; ყველა გინება გამქრალიყო და ქისაში მხოლოდ წვრილი ვერცხლის ფული დამხვდა.

ჩვენ რამდენიმე ბნელი ეზო გავიარეთ და ბოლოს შევედით სპენლოს და ჯორკინსის კანტორაში. ამ კანტორის წინა ოთახში, რომელიც ღია იყო ყველა მიმსვლელისთვის ზარის დაურეკავად და კარის დაურახუნებლად, იჯდა სამი თუ ოთხი კლერკი და წერდა.



ერთი მათგანი, პატარა, გამხდარი კაცი, თამბაქოსფერი პარიკით, ოდნავ მოშორებით იჯდა ცალკე მაგიდასთან. იგი ადგა პაპიდას დასახვედრად და წაგვიყვან მისტერ სპენლოს კაბინეტში.

– მისტერ სპენლო სასამართლოში გახლავთ, მილედი, – უთხრა გამხდარმა კაცუნამ. – მე ახლავე გავგზავნი მასთან კაცს.

სანამ მისტერ სპენლო მოვიდოდა, ვისარგებლე შემთხვევით, რო მისი კაბინეტი დამეთვალეებინა. საწერ მაგიდას გადაფარებული ჰქონდა მწვანე ფრიზი, რომელსაც დაეკარგა პირვანდელი ფერი და გამხდარი და საბრალო მოხუცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მაგიდასა და თაროებზე ელაგა უზარმაზარი ქაღალდის შეკვრები სხვადასხვა წარწერებით, როგორც, მაგალითად, „ჩვენებანი“, „პირისპირ წაყენება“, „მიმართვა“, „ცნობები“ და სხვა. ამ ქაღალდებიდან, როგორც წარწერებიდან ჩანდა, ზოგი უნდა გადაგზავნილიყო თაღების ქვეშ, ზოგი – პრეროგატიულ სასამართლოში, ზოგი – საზღვაო სასამართლოში, და იყო, ბოლოს, ისეთი ქაღალდებიც, რომლებიც დანიშნული იყო ვეკილების სპეციალურ სასამართლოსთვის. ქაღალდების გარდა ელაგა კიდევ უზარმაზარი სქელი ხელნაწერი წიგნები, სქელი ყდებით, ეგრეთ წოდებული Books of Evidence, ესე იგი წიგნები, რომელნიც შეიცავდნენ დამთავრებულს, ფიცის მიღებით დამტკიცებულ საქმეებს. ყოველივე ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და კარგი აზრის გავხდი პროქტორის საქმიანობისა დოქტორთა კავშირში.

ჩემი ცნობისმოყვარეობა თანდათან იზრდებოდა და განვაგრძობდი დიდი ყურადღებით ამ საგნების სინჯვას, როდესაც გაისმა ვიღაცის მძიმე ფეხის ხმა. კაბინეტის კარი გაიღო და გამოჩნდა სასამართლოს შავწამოსასხამიანი მისტერ სპენლო. მან მოიხადა ქუდი და თავი დაგვიკრა.

ეს იყო დაბალი ტანის ქერა ჯენტლმენი, გაკრიალებული ფეხსაცმელებით და მაგრად გახამებული ყელსახვევით, რომლის ქვეშიდან გამოიყურებოდა მადლის-უმაღლესი საყელო. მისტერ სპენლოს ბაკენბარდები დიდი მზრუნველობით ჰქონდა დავარცხნილი, და როგორც ჩანდა, ამაყობდა თავისი სახის ამ მორთულობით. იგი ისე დადიოდა წელში გამართული, რომ თითქმის ვერ ჰხრიდა ზურგს. როდესაც დასჭირდა მაგიდაზე მდებარე ზოგიერთი ქაღალდის გადათვალეერება, იძულებული გახდა მთელი ტანით დახრილიყო.

– აბა, მისტერ კოპერფილდ! თქვენ გნებავთ, ჩვენს წრეში შემოხვიდეთ? დიდად მოხარული ვარ, დიდად მოხარული. იმედი მაქვს, რომ არ ინანებთ ამ დარგის სამსახურის არჩევას, – მითხრა მისტერ სპენლომ და მთელი ტანით დაიხარა. – ამ დღეებში მის ტროტგუდმა პატივი მცა თავისი დარბაზობით, და მე შემთხვევით შევნიშნე, რომ ჩვენთან ვაკანსია იხსნება-მეთქი. მის ტროტგუდმა ინება მეტად დროზე ბრძანება, რომ მას ჰყავს შვილიშვილი, ყმაწვილი კაცი, რომელმაც ეს არის ახლა დაამთავრა სწავლა ინსტიტუტში. ამჟამად, თუ არ ვცდები, მაქვს პატივი ვესაუბრო მის ტროტგუდის ამ ღირსეულ ნათესავს.

თავი დაუჟკარი და გუთხარი, რომ უკვე მქონდა ბედნიერება, გამეგო ეს ამბავი პაპიდასაგან, და თან გამოვთქვი იმედი, რომ, უეჭველია, ძალიან მომეწონება დოქტორთა კოლეგია. ჩვეულებრივ ერთი თვე, რომელსაც ამის გამო მე შესასვლელ თვეს ვუქოდებ. დიდი სიამოვნებით დაგინიშნავდით ორს, სამს, ოთხ თვეს, უფრო მეტსაც, რამდენსაც ისურვებდით, მაგრამ ამ საქმეებში მე მყავს ამხანაგი, და ეს ამხანაგი მისტერ ჯორკისია.

– შესასვლელი პრემია, სერ, თქვენ, მგონი, დანიშნული გაქვთ ათასი გირვანქა?

– დიახ, შესასვლელი პრემია, ბეჭდისა და საღერბო ქაღალდის ხარჯის ჩათვლით, დაჯდება ათასი გირვანქა, – გვიპასუხა მისტერ სპენლომ. – მე უკვე მქონდა პატივი გამომეცვლადებინა მის ტროტგუდისათვის, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ყოველსავე სხვა შემთხვევაშიც, არასოდეს არ მივცემ ნებას ჩემს თავს ვიხელმძღვანელო რაიმე მოგების ანგარიშით; მაგრამ მე მყავს ამხანაგი, მისტერ

ჯორკინსი, და იგი სხვანაირად უცქერის საქმეს. თქვენ გესმით, რომ მე მოვალე ვარ, პატივი ვცე მისტერ ჯორკინსის აზრს, ის კი ფიქრობს, რომ ათასი გირანქა კიდევაც უმნიშვნელო პრემიააო.

– ნება მიბოძეთ, ის მაინც გავიგო, სერ, – ვუთხარი მე, რადგან მსურდა რითიმე ამენაზღაურებინა პაპიდას ხარჯები. – იმედი მაქვს, თუ კლერკი სავსებით გაეცნობა თავის თანამდებობას და უტყუარ იმედსაც მოგცემთ, რომ სარგებლობას მოუტანს თავისი სამსახურის ადგილს (მე გავწითლდი, როდესაც მოვისაზრე, რომ ეს ძალიან ჰგავდა თავის ქებას), ალბათ ისეთ კლერკს... თვალის დროზე... ენიშნება... საკმარისი...

მაგრამ მისტერ სპენლომ აღარ მათქმევინა სიტყვა: ჯამაგირი.

მან დიდი სიძნელით ასწია თავი, გაიქნია და მითხრა:

– არა! არ შემიძლია გითხრათ მისტერ კოპერფილდ, როგორ მოვიქცეოდი ამგვარ შემთხვევაში პირადად მე; მაგრამ თქვენ მოგეხსენებათ, რომ მე ამხანაგი მყავს, და მისტერ ჯორკინსი შეუდრეკელია.

წარმოიდგინეთ, რა აზრი უნდა შემქმნოდა ამ საშინელი ჯენტლმენის შესახებ. შემდეგში გამოირკვა რომ მისტერ ჯორკინსი ყოველად უწყინარი და უმშვიდესი არსება იყო ყველა მომაკვდავს შორის, ჯენტლმენი ფლეგმატური ტემპერამენტისა და მორიდებული ხასიათისა. მისტერ ჯორკინსს არა ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული საქმე კანტორაში; მისი საქმე იყო – ფირმისთვის შეუპოვარი და მკაცრი, მხეცური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანის იდეალი წარმოედგინა. თუ კლერკი ჯამაგირის მომატებას თხოულობდა, მისტერ ჯორკინსს ამის შესახებ ლაპარაკის გაგებაც არ უნდოდა. თუ კლერკი უარს ამბობდა სასამართლოს ხარჯების გადახდაზე, მისტერ ჯორკინსი ციხით იმუქრებოდა. რას იზამ! მისტერ ჯორკინსი შეუპოვარი იყო, როგორც კლდე. მისტერ სპენლო მზად იყო სულითა და გულით ყოველგვარი დახმარება გაეწია თქვენთვის, მაგრამ ეს ბოროტი სული – ჯორკინსი – მას ხელსა და ფეხს უბორკავდა ყოველ ნაბიჯზე.

გადაწყდა, რომ ჩემი შესასვლელი თვე მაშინვე დაიწყებოდა, როდესაც მოვისურვებდი. მისტერ სპენლო დაწერილებით მოგველაპარაკა ყველა დებულების შესახებ და თან წინადადება მომცა, ეჩვენებინა ჩემთვის დაწესებულების დარბაზები, რათა წინასწარვე გავცნობოდი წესებსა და წყობილებას დოქტორთა კოლეჯიაში. დიდი მადლობით დავეთანხმე ამ წინადადებას და დაუყოვნებლივ გავვდი. პაპიდა კი მისტერ სპენლოს კაბინეტში დარჩა. მის ბეტსი ეჭვის თვალით უყურებდა ყველა ამგვარ საჯარო დაწესებულებას და წარმოდგენილი ჰქონდა ისინი დენტის ქარხნის მსგავსად, რომელიც მცირეოდენი გაუფრთხილებლობის გამო შესაძლოა, ჰაერში აფეთქებულიყო.

ჩვენ გავვდივით ფართო ეზოში, რომელიც ყოველმხრით შემოზღუდული იყო უშველებელი აგურის შენობებით. ამ შენობებს აუარებელი კარები ჰქონდა და ყოველ კარზე ამოჭრილი იყო გვარი რომელიმე დოქტორისა. ეზოს მარცხენა მხარეს იყო უზრმაზარი ბნელი დარბაზი, რომელიც ძალიან ჰგავდა საყდარს. ამ დარბაზის ზემო ნაწილი გადაღებილი იყო დანარჩენი ოთახისაგან, და აქ, ამ პლატფორმის ორივე მხარეს, ძველებურ სასადილო სკამებზე ისხდნენ წითელწამოსასხამებიანი და ჭადარა პარიკებიანი დარბაისელი და წარჩინებული ჯენტლმენები. სწორედ ესენი იყვნენ ვეკილები, კანონიკურ და სამოქალაქო უფლებათა დოქტორები. ამ ამფითეატრის შუაგულში საზოგადოებისაკენ პირმიბრუნებული სთვლემდა მაგიდასთან მოხუცი ჯენტლმენი, რომელიც უსათუოდ ბუ მეგონებოდა, ფრინველების ეზოში რომ მენახა. ეს თავმჯდომარე იყო. ამფითეატრის დაბალ ნაწილში იატაკის სიმაღლეზე, გრძელი მაგიდის გარშემო, ისხდნენ სხვა ჯენტლმენები, იმავე რანგისა, როგორც მისტერ სპენლო. ყველა მათ, როგორც მისტერ სპენლოს, ესურათ კიდევზე თეთრმოვლებული შავი წამოსასხამი და მაღალი, ძალზე გახამებული საყელოები ეკეთათ. ერთი შეხედვით ისინი უსაშინლეს ამაყ ხალხად მომეჩვენნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შევცდი;

როდესაც ორი თუ სამი მათგანი ადგა პასუხის გასაცემად თავმჯდომარის შეკითხვაზე, მე წავიკითხე მათ სახეებზე მეტად მოკრძალებული და მორიდებული გამომეტყველება. მთელს მსმენელ საზოგადოებას წარმოადგენდა ვიღაც ქუჩის ბიჭი და ვიღაც დაგლეჯილი ჯენტლმენი, რომელიც ფრაკის ჯიბიდან ჩუმად იღებდა ნამცხვრებს და სჭამდა. ისინი ორივენი ბუხართან თბებოდნენ, დარბაზის შიგ შუაგულში. ამ ადგილის სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ გადამწვარი ქვანახშირის ტკაცუნის და ერთი დოქტორის ხმა, რომელიც დინჯად და აღუშფოთებლად დაბრძანდებოდა იურიდიული სიბრძნის ფართო გზაზე და მხოლოდ დროგამოშვებით შეჩერდებოდა კლასიკური არგუმენტაციისა და ციტატების ვიწრო ბილიკზე. ერთი სიტყვით, ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ასეთი მისრწნილი, პირქუში და მიძინარე საზოგადოება.

მე ვიკმარე ამ დაწესებულების მთვლემარე ატმოსფერო და შევნიშნე მისტერ სპენლოს, რომ ჯერჯერობით ეს დაკვირვებანი საკმარისი იყო ჩემთვის. ჩვენ დავბრუნდით პაპიდასთან და მასთან ერთად დავტოვე ეს მოსაწყენი ადგილები. პაპიდა საერთოდ კმაყოფილი და მხიარული იყო, მხოლოდ დროგამოშვებით აგონდებოდა ლონდონის ხანძრები და ჯიბგირები, რომელნიც, მისი სიტყვით, ყოველ ფეხის გადადგმაზე დაყიალობდნენ. ამიტომ ვთხოვე პაპიდას, რაც შეიძლება მაღე დაბრუნებულიყო დუვრში და ჩემი თავი ჩემთვის მოენდო.

– ჰო, გენაცვალე, წავალ, მაპატიე კი, – მიპასუხა პაპიდამ. – ხვალ სწორედ ერთი კვირა შესრულდება, რაც აქ ვარ. ოღონდ წასვლამდე ბინა უნდა გიშოვნო და მოვიწყო.

ამ სიტყვებით ჯიბიდან ამოიღო გახეთიდან ამოჭრილი განცხადება და მომაწოდა. მე წავიკითხე:

„ბუკინგემის ქუჩა, ადელფის თეატრთან ქირით იძლევა მოწყობილი ოთახები, ფანჯრებით თემზისაკენ. ეს ოთახები მოსახერხებელი იქნება ყმაწვილი ჯენტლმენისათვის, რომელიც მსახურობს სასამართლოში ან სხვა რაიმე დაწესებულებაში. ფასი საშუალო. იკითხეთ ამ სახლში მცხოვრები მისის კროპი“.

– ამაზე უკეთესი რაღა იქნება, პაპიდა? – ვუთხარი მე წინდაწინვე ბედნიერებასა ვგრძნობდი, რომ ჩემი საკუთარი ბინა მექნებოდა.

– წავიდეთ, ტროტ, ვნახოთ.

წავედით. გახეთში აღნიშნული სახლის პოვნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ჩვენ შევჩერდით შესავალ კარებთან და დავრეკეთ ზარი, რომელიც, ჩვენის აზრით, მისის კროპის ოთახში უნდა ყოფილიყო გაყვანილი. გამოვიდა საკმაოდ სქელი ლედი, ნანკის მოკლე კრიალა კაბით, რომლის ქვეშიდან მოუჩანდა ფლანელის ქვედატანი.

– ხომ არ ინებებთ, გვაჩვენოთ ოთახები, რომელსაც აქირავებთ? – ჰკითხა პაპიდამ.

– დიდი სიამოვნებით, ქალბატონო, – გვიპასუხა მისის კროპმა და გასადები მონახა ჯიბეში.

ჩვენ ზევით ავედით.

ბინა სულ მაღალი იყო, სახურავის ქვეშ. მას ჰქონდა პატარა შესავალი ოთახი, სადაც თითქმის არაფერი არა ჩანდა, და პაწაწინა საკუჭნაო, სადაც უკვე სრულებით არა ჩანდა რა. მაგრამ გარდა ამ ორი ოთახისა, იყო კიდევ ნათელი სასტუმრო და ნათელი საწოლი ოთახი.

მე აღტაცებაში მოვედი. პაპიდა და მისის კროპი გავიდნენ ბნელ საკუჭნაოში მოსალაპარაკებლად. მათ ივაჭრეს, იკამათეს, იჩხუბეს, გაცხარდნენ, მაგრამ ბოლოს, როდესაც დაბრუნდნენ, პაპიდას და მისის კროპს თვალებში შევატყვევ რომ საქმე ორივე მხრის სასიამოვნოდ გადაწყდა.

ამგვარად, ბინა დაქირავებული იყო საცდელად ერთი თვით, იმ პირობით, რომ მე ვიცხოვრებდი შიგ წელიწადს ან ორს, როგორც მოვისურვებდი. მისის კროპმა

ჩემი კვებაც იკისრა. უნდა გადმოვსულიყავი ერთი დღის შემდეგ, მისის კროპის უდიდეს სასიამოვნოდ, რადგან გამოაცხადა, რომ უკვე შეილივით ვუყვარვარ.

დაბრუნებისას პაპივამ გულწრფელი და მგრძობიარე სიტყვით გამოთქვა იმედი, რომ ახლა, როდესაც მე გამოვდივარ ცხოვრების ფართო ასპარეზზე, ისე მოვიქცევი, როგორც საკუთარ ღირსების გრძობით გამსჭვალული ადამიანი. ეს იმედი და რჩევა მეორე დღესაც მრავალჯერ იყო გამოთქმული, როდესაც ვლაპარაკობდით ჩემი წიგნებისა და ტანისამოსის გადმოტანის შესახებ, რომელიც მისტერ ვიკვილდთან იყო დატოვებული. ამის გამო უშველებელი წერილი მივწერე აგნესას და პაპიდა დამპირდა, პირადად გადაეცა იგი მეორე დღესვე დანიშნულებისამებრ.

ბოლოს პაპიდა და მის ჯენეტი მშვიდობით ჩასხდნენ დუერის დილიჯანსში და ორივენი სავსე იყვნენ საშინელი შურისძიების გრძობით იმ უვიც და ბრიყვ ვირებისადმი, რომელნიც, უეჭველია, მათი არყოფნის დროს გაანადგურებდნენ მწვანე მინდორს სახლის წინ.

## თავი ოცდამესამე

### პირველი ქეიფი

მაშ ასე! მე მქონდა საკუთარი ციხე-დარბაზი ღრუბლებში. როდესაც პირველად დაგვეტე ამ ბინის შესავალი კარი, იმასვე ვგრძნობდი, რასაც რობინზონ კრუზო, როდესაც იგი თავის სახლში შევიდა და კიბე თან აიტანა. რა ბედნიერებაა სეირნობდე ქალაქში და ჯიბეში შენი ბინის გასაღები გედოს, სეირნობდე, სადაც გინდა, და რამდენიც გინდა; სეირნობდე და თან იცოდდე, რომ შეგიძლია დაჰპატიუო, ვინც გასურს, და ამით არავის შეაწუხებ, შენი თავის გარდა! საუცხოოა! მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა გამოვტყდე, რომ ზოგჯერ მარტოობასა და მოწყენილობას ვგრძობდით.

ხმის გამცემი არავინ მყავდა. აგნესა არ იყო ჩემს გვერდით; საყვარელი, ნაზი და, რომელსაც მუდამ ვუზიარებდი ჩემს აზრებსა და გრძობებს, შორს იყო ჩემგან! გული მეწურებოდა და უზომო სიცარიელეს ვგრძობდით ჩემს გარშემო. ვისთან გამეტარებინა მოსაწყენი დრო? მისის კროპი იქ დაბლა ცხოვრობდა, ან კი რა მქონდა სალაპარაკო მისის კროპთან?

ორი დღის შემდეგ უკვე ისე მეჩვენებოდა, თითქოს მთელი წლებია, რაც ამ განმარტოებულს ბინაში ვცხოვრობ, და მიუხედავად ამისა, ერთი საათითაც ვერ დავბერდი! როდის იქნება, რომ ბავშვად აღარ მთვლიდნენ?

სტირფორდი გაჰქრა! ავად ხომ არ არის? უეჭველია, ავად არის! მესამე დღეს ადრე გავათავე ჩემი მეცადინეობა დოქტორთა კოლეჯიაში და გადავწყვიტე ჰაიტეკში წასვლა. მისის სტირფორდს გაუხარდა ჩემი ნახვა. მან მითხრა, რომ მისი შვილი ერთ ოქსფორდელ სტუდენტებთან ერთად გაემგზავრა მეორე სტუდენტის სანახავად, რომელიც ალბანის უბანში ცხოვრობს. მეორე დღეს უნდა დაბრუნებულიყო.

მისის სტირფორდმა სადილზე მიმიწვია. მე დავრჩი, რამდენადაც მახსოვს, მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ მისი შვილის შესახებ ვლაპარაკობდით. ვუამბე, როგორ შეუყვარდა ყველას სტირფორდი იარმაუთში და როგორი სახელი გაითქვა მან მეზღვაურებს შორის. მის დარტლი, იდუმალებით აღსავსე, უდიდესი ყურადღებით მიგდებდა ყურს და ყოველ წუთში იმეორებდა: „ნუთუ?“ „მართლა?“ „აჰ, რასა ბრძანებთ!“ ამგვარი კითხვებით მან გამომწოვა ყველაფერი, რისი გაგებაც უნდოდა.

მეორე დღით, როდესაც ყავა შემომიტანეს, ჩემი სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და ჩემდა წარმოუთქმელ სასიხარულოდ, სტირფორდი დავინახე.

– ჩემო სტირფორდ! – შეეძახე მე. – შენ ხარ? მე კი მეგონა, ვერასოდეს ვეღარ გნახავდი!

– რა ვქნა! – მიპასუხა სტირფორდმა. – თითქმის ძალით წამიყვანეს, სახლში დაბრუნების მეორე დღესვე, აბა, დეზი, მომილოცავს. ახლა შენ ნამდვილი ძველი დარდიმანდი მასპინძელი ხარ! იცი რა, ჩემო კარგო? შენი ბინა ჩემი ბინაც იქნება მუდამ, როდესაც ლონდონში მომიხდება ყოფნა. მე ვიცხოვრებ შენთან, სანამ სახლიდან არ გამაგდებ.

ამან აღტაცებაში მომიყვანა.

მე აზრად მომივიდა მედღესასწაულა ჩემი ახალ ბინაზე გადმოსვლა. როგორც წესი და რიგია ნამდვილი ჯენტლმენისა, და სადილი გამემართა. ეს აზრი სტირფორდს გაეუზიარე, იგი დამპირდა, მოეყვანა სადილად თავისი ორი მეგობარი. სადილი ექვს საათისთვის გავნიშნეთ.

როგორც კი სტირფორდი გავიდა, იმ წამშივე დაეურეკე მისის კროპს და ჩემი გეგმა გავაცანი. ჩვენ თათბირი დავიწყეთ სადილის შესახებ. აღმოჩნდა, თურმე მისის კროპის ღუმელი ოსტატის რაღაც წინდაუხედაობის გამო ისე უცნაურად იყო მოწყობილი, რომ მასში შეიძლებოდა გაკეთებულიყო მხოლოდ კატლეტები და, იქნებ, ისიც დიდი გაჭირვებით, კიდევ რაღაც სოუსი გახეხილი კარტოფილით.

– რაც შეეხება თევზის ქვაბს, – მითხრა მისის კროპმა, – ხომ არ ინებებთ თქვენ თვითონ ნახოთ, როგორ არის იგი მოწყობილი?

ამაზე უკეთესს იგი ვერას მეტყოდა! რად უნდა წავიდე, კაცმა რომ მკითხოს, ჩემი სდიასახლისის ღუმელის სანახავად? თითქოს ჭკუა მომემატებოდა ამ რევიზიისაგან! უარი მოვახსენე ამ წინადადებაზე და ვუთხარი:

– ძალიან კარგი. თევზი არ არის საჭირო.

– აჰ, არა, ნუ იტყვით მაგას! – მიპასუხა მისის კროპმა. – თევზი აუცილებელია კარგ სუფრაზე.

– მაშ ისე მოიქეცით, როგორც სჯობდეს, – ვუთხარი მე და ჩემი თავი დიასახლისის სრულ განკარგულებას მივანდე.

ამის შემდეგ მისის კროპმა შემიდგინა ჩემი სადილის სრული პროგრამა. აი იგი: პირველი თავი საჭმელი – ორი ცხელი შემწვარი ქათამი – გამოვართვათ სასტუმროში. მეორე თავი საჭმელი – ცხელი ბივშტექსი, კარტოფილითა და ხარდალით – სასტუმროში. მესამე თავი – ცხელი თირკმლები, ერბოში შემწვარი, და მასთან, სტუმართა რიცხვის მიხედვით, ოთხი კუპატი – გამოვართვათ სასტუმროში. მეოთხე თავი – დიდი ნამცხვარი – იქვე. მეხუთე – ტორტი ან, მის მაგივრად, ოთხი ულუფა ყელე – იქვე.

მისის კროპის დარიგების თანახმად, მე თვითონ წავედი სასტუმროში სადილის შესაკვეთად, ამის შემდეგ გავემგზავრე კოვენტგარტენის ბაზარზე ტკბილეულობის საყიდლად და გზაზე მეღვინესაც დაუუკვეთე, გაეგზავნა ჩემს ბინაზე საჭირო რაოდენობის ღვინო. სადამოს, როდესაც სახლში დავბრუნდი, ბოთლები უკვე მწკრივად იდგა იატაკზე, ბნელ საკუჭნაოში, და ისე ბევრი იყო, რომ შემეშინდა, როდესაც შევხედე სასმელების ამ არსენალს; მაგრამ მისის კროპმა შენიშნა წყენით, რომ ორი ბოთლი აკლდა.

ბოლოს, სტუმრებიც მოვიდნენ. სტირფორდის ერთ მეგობარს ერქვა გრენჯერი, მეორეს – მარკჰემი. ორივენი მხიარული, ცოცხალი ყმაწვილები იყვნენ. გრენჯერი შეხედულებით ცოტათი სტირფორდზე უფროსი ჩანდა; მაგრამ მარკჰემი სულ ყმაწვილი იყო; იგი არ იქნებოდა ოც წელზე მეტისა.

გაშალეს სუფრა და მოიტანეს პირველი თავი საჭმელი. რადგან მე ჩემს თავს ყმაწვილად და გამოუცდელად ვგრძნობდი და, მაშასადამე, არ ვიყავი შესაფერი სუფრის ხელმძღვანელად, ამიტომ სტირფორდს ვთხოვე დაეტერა სუფრაზე პირველი ადგილი; მე კი მის პირდაპირ დავჯექი. სტირფორდმა ბრწყინვალედ შეასრულა თამადის მოვალეობა.

მაღე საოცარი უდარდებლობა და მხიარულება ვიგრძენი. ყველა ნახევრად დავიწყებული საგანი მომივიდა თავში, ტვინი ამიმოძრავდა და ვყბედობდი შეუჩერებლად, როგორც ყველაზე უდარდელი და თავქარიანი ჭაბუკი. ვიცინოდი ჩემსავე გონებასახვილობაზე და ჩემი სტუმრების ხუმრობაზე; ვუყვიროდი სტირფორდს, ღვინო დაესხა; სხამადლა გამოვთქვამდი ოქსროფდში წასვლის სურვილს და ბოლოს გამოვაცხადე, რომ არა უგვიანეს შემდეგი კვირისა ვმართავდი გრანდიოზულ საღამოს...

ღვინო წყაროსავით მოდიოდა. ბოთლის საცობები ჭერში ჰხოტდნენ. ბოლოს თვითონ დავიწყე ღვინის დასხმა. რახან ეს მოვალეობა ვიკისრე, სტირფორდის სადღეგრძელო გამოვაცხადე. მე ვთქვი, რომ იგი ჩემი მეგობარია, ჩემი ბავშვობის მფარველი. ჩემი სიტყბების საფუძველი, ამხანაგი, მოსაუბრე და ამფსონი. ვთქვი, რომ აღტაცებით ვსვამ მის სადღეგრძელოს.

– ვსვამთ, ვსვამთ, ვსვამთ სტირფორდის სადღეგრძელოს, ვაშა!

ჩვენ სამჯერ შევძახეთ „ვაშა“, შემდეგ კიდევ და კიდევ. ბოლოს დავამსხვრეთ ჭიქა, გაავწოდე სტიფორდს ხელი მაგიდის იქით და ვუთხარი სიტყვების თავისებური დაყოფით:

– სტირ-ფორდ შ-ნახ-არგზისმა-ჩვენებელივარ-სკვლავიჩემი ცხოვრებისა.

მარკჰემმა მოგვცა წინადადება დაგვეღია „ქალის“ სადღეგრძელო. მე უარი განვაცხადე და წარვადგინე საფუძვლიანი საწინააღმდეგო დებულებანი. ამგვარი სადღეგრძელოები, – ვუთხარი მე, – ყოველად დაუშვებელია ჩემს სახლში. ეს უზრდელობაა, უპატივცემულობაა; თუ დალევაა, უნდა დავლიოთ „მშვენიერი ლედის“ სადღეგრძელო.

ვიღაცამ თუთუნი მოსწია. ჩვენ ყველამ დავიწყეთ წევა. ვწევდი და ვგრძნობდი, რომ მთელ ტანში ჟრჟოლა მივლის. სტირფორდმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ჩემს შესახებ. ვუსმენდი მას და თან სიხარულის ცრემლებს ვღვრიდი. ღრმა თანაგრძნობით, მადლობისა და მეგობრობის გრძნობით აღსავსემ, მივმართე ჩემს სტუმრებს უმორჩილესი თხოვნით – მოსულიყვნენ ჩემთან სადილად ხვალ, ზეგ, მაზეგ, ისე, უცერემონიოდ, როგორც მიღებულია გულწრფელ მეგობართა შორის, მოვიდნენ სადილად მუდამდღე სწორედ ხუთ საათზე და მთელი საღამო ჩემთან დარჩნენ. ამის შემდეგ უდიდესი სურვილი ვიგრძენი კიდევ ერთი სადღეგრძელო დამეღია და მესურვა დღეგრძელობა, პატივი და ბედნიერება პაპიდაჩემისათვის, მის ბეტსი ტროტვეუდისთვის, საუკეთესო ქალისთვის მთელ დედამიწის ზურგზე.

ვიღაც იდგა ჩემი საწოლის ფანჯარასთან და ხარბად ჰყლაპავდა ჰაერს. ეს მე ვიყავი. მე ჩემს თავს „კოპერფილდს“ ვუწოდებდი; მე ვეუბნებოდი ჩემს თავს: „რაღა სწევ, უსინდისო! ლაწირაკო! როგორ არა გრცხვენია?“ ვიღაცამ ბორძიკით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სარკის წინ გაჩერდა. ეს ისევე მე ვარ, სარკეში ძალიან ფერმკრთალი ვჩანვარ; ჩემი თვალები უაზროდ ჰხტიან ყოველ მხარეს და თმები, – მხოლოდ თმები, მე სხვაზე არას ვამბობ, – მოწმობენ ცხადად, რომ მე მთვრალი ვარ!

– წავიდეთ თეატრში, კოპერფილდ!

სარკე აღარ არის, ლოგინიც აღარ არის, მთელი საწოლი გაჰქრა. ჩემს წინ ჭიქები წკარუნობს; ლამპა ანთია; გრეჯერი – მარჯვნივ, მარკჰემი – მარცხნივ, სტირფორდი ჩემს პირდაპირ. ყველანი სადღაც შორს, სქელ ბურუსში სხედან.

– თეატრში? რატომ არა? წავიდეთ! აბა, თუ მივდივართ – წავიდეთ. მე მხოლოდ ლამპას ჩავაქრობ, რომ ცეცელი არ გაჩნდეს, და თქვენ გამოგყვებით.

ლამპა ჩაქრა; სტუმრები დაფაცურდნენ. კარი დაიკარგა, – სად, გაურკვეველია. მე დავიწყე მისი ძებნა ფანჯრებს შუა და კედელს გასწვრივ – კარი აღარსად არის. სტირფორდმა გაიცინა, მომიკიდა ხელი და ოთახიდან გამიყვანა. ჩვენ კიბეზე ჩავდივართ მწკრივად. ერთ-ერთ უკანასკნელ საფეხურზე ვიღაც დაეცა და დაგორდა. მერე ვიღაცამ შენიშნა, რომ ეს კოპერფილდი ჩავორდა. ავენთე ამ ცილისწამებაზე, მაგრამ მაღე ვიგრძენი, რომ დერეფანში

ვწევარ ჩემს საკუთარ ზურგზე; მაშასადამე, ცილისწამებას ჰქონდა ერთგვარი საფუძველი. ქუჩები ბურუსიანია და ნოტიო. ფარნების ირგვლივ უცნაური ჩრდილების ანარეკლია. ამბობენ, თითქოს წვიმა სცრის. ვიღაც უპასუხებს, რომ ეს სისულელეა; კი არა სცრის, ჰყინავს. ეს მე თვითონ ვთქვი. სტირფორდმა მიმიყვანა ფარნის ბოძთან, გამიწმინდა ზურგი და თავზე ქული დამახურა. საიდან გაჩნდა ეს ქული, ვინ მოიტანა და რად, არავინ იცის. მე მახსოვდა, რომ ოთახიდან გამოსვლის დროს თავზე ქული არ მესურა. სტირფორდმა მითხრა:

– აბა, კოპერფილდ! ახლა შენ სრულებით მზად ხარ, არა?

ვიღაც კაცმა, რომელიც სამტრედეში იჯდა, გამოიხედა ბურუსიდან, გამოართვა ვიღაცას ფული და იკითხა, ჩემთვისაც გადაიხდიან თუ არა? მას დადებითად უპასუხეს, მაგრამ მახსოვს, რომ იგი დიდ ეჭვში იყო, აელო თუ არა ფული ჩემგანაც. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ გაჩნდით სადღაც მაღლა, ძალიან მაღლა, თბილსა და შეხუთულ თეატრში და იქიდან ვიყურებოდით რაღაც ორმოში, რომელიც თითქოს ბოლავდა, და საღაც აუარებელი ხალხი ირეოდა. სცენაზე სისუფთავე და სინათლე იყო, გაცილებით უფრო მეტი სისუფთავე და სინათლე, ვიდრე ქუჩაში. იქ კაცები დადიოდნენ წინ და უკან და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ რაზე – არ ვიცი. სანთლები ძალიან მწახედ ანათებდნენ და მუსიკაც ხმამაღლა უკრავდა. ლოქებში ისხდნენ მშვენიერი ლედი და ჯენტლმენები, და აქ კიდევ იყო რაღაც, მაგრამ რა, გაურკვეველია. უეცრად მთელი თეატრი შეინძრა, ლედი და ჯენტლმენი თითქოს ცურავდნენ, – სად, რად, რისთვის? არ ვიცი. ყველას ისე უცნაურად ეჭირა თავი, რომ დავაპირე პასუხი მომეთხოვა, რამ გააგიჟა ყველანი-მეთქი.

ვიღაცამ თქვა, რომ ურიგო არ იქნება, ფოიეში ჩავსუყავით, საღაც ქალები იყვნენ. ჩვენ ჩავედით. ვიღაც მშვენივრად ჩაცმული ჯენტლმენი იჯდა სავარძელში დურბინდით ხელში და უცნაურად მიცქეროდა. დავინახე მისი სახე სარკეში, და იქვე გაიელვა ჩემმა საკუთარმა სახემაც. შემდეგ შემიყვანეს რომელიღაც ლოქაში, საღაც დაფიქვი, მაგრამ უწინარეს რაღაც შენიშვნა მივეცი გარშემო მყოფთ. ვიღაცამ ვიღაცას დაუყვირა: „ჩუმი!“ და ამ დროს რამდენიმე ლედი აღმფოთებით შემოხედეს, – როგორ მოხდა? უცნაურია, წარმოუდგენელი, მაგრამ მე დავინახე აგნესა! აი, იგი ზის ჩემს წინ, იმავე ლოქაში; მის გვერდით სხედან ჯენტლმენი და ლედი, რომელთაც მე არ ვიცნობ. ამ წუთში მე გაცილებით უფრო კარგად ვხედავ მის სახეს, ვიდრე მაშინ ვხედავდი: ჩემსკენ მომართულ აგნესას სახეზე ცხადად ჩანდა სიბრაღისა და გაოცების გამომეტყველება.

– აგნესა! – ვუთხარი მე, მგონი, ბოხი ხმით. – როგორ მოხდა, რომ აქ ხართ?

– სსსუუ! გაჩუმდით! – მიპასუხა მან, ჩემდა გასაოცრად, ალელგებული ხმით.

– თქვენ უშლით სხვებს. უყურეთ სცენას!

დიდხანს ვაცეცე თვალები და ვცდილობდი, დამენახა რამ; ვუსმენდი ორივე ყურით, მაგრამ ვერაფერი ვერც დავინახე და ვერც გავიგე. მე ისევ აგნესას შევხედე: იგი მიყუყულიყო ლოქის კუნჭულში და ხელთათმანში გამოწყობილი ხელი თავთან მიეტანა.

– აგნესა! – ვუთხარი მე. – თქვენ, მგონი უქეიფოდ ხართ?

– დიახ, დიახ, ნუ მაქცევთ ყურადღებას, ტროტეუდ, – მიპასუხა მან. – წყნარად იჯექით და უსმინეთ. მალე წახვალთ შინ?

– მალე წავალ? – გავიმეორე მე.

მე გამიელვა სულელურმა აზრმა – მეპასუხა რომ წარმოდგენის ბოლომდე დარჩენას და ის სახლში გაცილებას ვაპირებ. მგონია, კიდევ წავიბურდლუნე ამის მაგვარი რაღაც; ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ იყო, რომ აგნესა მიხვდა ჩემს აზრს. მან შემომხედა გაკვირვებით და მითხრა დაბალი ხმით:

– მე ვიცი, რომ თქვენ შეასრულებთ ჩემს თხოვნას, თუ მოისურვებთ მიხვდეთ, რომ სერიოზულად გელაპარაკებიტ. წადით აქედან, ტროტეუდ, ამ წუთსვე! წადით ჩემი გულისთვის და სთხოვეთ თქვენს ამხანაგებს, სახლში გაგაცილონ.

ეს კი მეტისტემტი იყო, თითქმის დაფჯავრდი აგნესაზე. მიუხედავად ამისა, შემრცხვა, არ ვიცი, რად. ავდექი, ავიღე ქუდი, თავი დაუჟარი და წავილაპარაკე:

– ღმმ მშუდლობისს!

ესე იგი – ღამე მშვიდობისა! შემდეგ ლოჟიდან გამოვედი და ერთ წამში ჩემს საწოლში გაეჩნდი. სტრიფორდი მშველოდა ტანისამოსის გახდას და ლოგინში მაწვენდა. ველაპარაკებოდი მას და მგონია, ძალიან მჭეტმეცველურად, რომ აგნესა ჩემი და არის; ჩემი საყვარელი, დაუვიწყარი დაიკო, და ვეხვეწებოდი მოენახა ახალი ბოთლი გასახსნელად.

ვიდაც ჩაწვა ჩემს ლოგინში და დაიწყო მთელი ამ დღის მოლენათა გამეორება კარიკატურული სახით. ეს მე თვითონ ვიყავი და ვბოდავდი; ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი ლოგინი აბობოქრებული, დაუდგარი ზღვა იყო.

გონება მზის პირველ სხივებთან ერთად დამიბრუნდა. სირცხვილი, სინანული, საშინელი სევდა, – რა კალამი ასწერს ყოველივე იმას, რაც მე ვიგრძენი, როდესაც თვალები პირველად გავახილე? გულისხეთქით წარმოვიდგინე, რომ უგონოდ მყოფს შემედლო წინაღამეს ათასგვარი შეურაცხყოფა მიმეყენებინა ბევრი ვისთვისმე, რომელთა ვინაობა თავიდან ამომვარდა ახლა, და რასაც ვერასოდეს ვერ გამოვასწორებ. აგნესას სახე, შეშინებული და თან სიბრალულით აღსავსე, წარუშლელად ჩამებეჭდა გონებაში. რას ფიქრობს იგი ახლა ჩემზე? როგორ გავიმართლო თავი? მე ვერც კი ვნახავ მას, რადგან არ ვიცი, როგორ ჩამოვიდა იგი ლონდონში და სად ჩამოხტა.

ფიზიკური საშუალება არ მქონდა სახლიდან გასვლისა. სასოწარკვეთლებით წამებული ვიჯექი ჩემს ბინაში ბუხართან, ხელში ცხვრის ბულიონით, რომელსაც ქონი გადაჰკვროდა.

დადგა საღამო – საშინელი, ჯოჯოხეთური საღამო! მისის კროპმა მომიტანა თეფშით თირკმელი, მჟავე კიტრი და მითხრა, რომ ეს ერთადერთი ნაშთია გუშინდელი სადილისაო. სულიერი ტანჯვით აღსავსე, მზად ვიყავი, გადავხვეოდი მისის კროპს და მეთქვა:

– ო, მისის კროპ! მისის კროპ! რად მინდა თქვენი თირკმელები და კიტრები! გაჰქრეს ყველა ეს ნიშანი ჩემი გარყვნილებისა! ო, მე ძალიან უბედური ვარ, მისის კროპ!

საბედნიეროდ, ჩემი სასოწარკვეთლების მიუხედავად, მოვისაზრე და მივხვდი, რომ მისის კროპი არ ეკუთვნოდა იმ ქალების რიცხვს, რომელთაც შეუძლიათ მიხვდნენ გულის ტკივილს. ტრაგიკული მონოლოგი წარმოუთქმელი დამრჩა.

## თავი ოცდამეოთხე

### კეთილი ანგელოზი და ბოროტი სული

როდესაც მეორე დილას ბინიდან გამოვდიოდი, კიბეზე შემხვდა კაცი წერილით ხელში.

– მისტერ ტროტვუდ კოპერფილდს, ესკვაიარს, – მითხრა მან და გადმომცა, რომ უმორჩილესად მთხოვდნენ, პასუხი გამეცა. მე კიბეზე დავტოვე იგი და ოთახში შევედი.

ეს იყო აგნესას საყვარელი, მეგობრული წერილი, რომელშიც არ იყო არავითარი ხსენება თეატრში მომხდარი ამბისა. აი იგი:

„ძვირფასო ტროტვუდ!

მე ჩამოვხტი მისტერ უატერბრუკის სახლში, ელის მოედანზე, ჰოლბორნში. მისტერ უატერბრუკი აგენტია მამის საქმეებისა. ხომ არ შემოივლით ჩემთან დღეს? მთელი დღე სახლში ვიქნები და თქვენ მნახავთ, როდესაც კი მოისურვებთ.



თქვენი ერთგული აგნესა“.

დიდხანს ვწერე პასუხი. არ ვიცი, რა იფიქრა გამოგზავნილმა; იქნებ ისიც კი მოუვიდა თავში, რომ ახლა დავიწყე წერა-კითხვის სწავლა. მე, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ნახევარი დუჟინი წერილი მაინც შევადგინე და, ბოლოს, შემდეგი პასუხი მივწერე:

„ძვირფასო აგნესა!

თქვენი ბარათი თქვენი გულის უზომო სიკეთის დამამტკიცებელია, ვიქნები თქვენთან ოთხ საათზე.

სულთ და გულთ თქვენი ერთგული, თქვენი საცოდავი მეგობარი

ტროტკუდ კოპერფილდი“.

მისტერ უატერბრუკის კანტორა ქვედა სართულში იყო; მეორე სართულში იგი თვითონ ცხოვრობდა ოჯახით. შემიყვანეს პატარა, ლამაზ სასტუმროში, სადაც აგნესა იჯდა და ქისას ქსოვდა.

ამ კეთილი, სათნოებით სავსე არსების დანახვამ მომაგონა ჩემი ბედნიერი, უდარდელი დღეები, გატარებული კენტერბერიში. უნებურად შევადარე იმდროინდელ უმანკო ბავშვს ის თავაწყვეტილი ავარა, როგორც ვიყავი თეატრში, და უნდა გამოვტყდე, ცხარე ცრემლებით ავტირდი, თუმცა ძნელი სათქმელია, სასაცილო იყო ეს ჩემი საქციელი თუ არა.

– სხვას ვისმე რომ ვენახე იმ უბედურ მდგომარეობაში, აგნესა, – ვუთხარი მე და პირი მოვარიდე, – რასაკვირველია, ვინაღვლებდი, მაგრამ იმის ნახევარიც არ დავიტანჯებოდი, როგორც ახლა ვიტანჯები. უკეთესი იყო ათასჯერ მოვკვდარიყავი, ვიდრე ჩემი შერცხვენის მოწმედ გამეხადეთ.

იგი ჩემს ხელს შეეხო. რაღაც ცხოველმყოფელი ძალა იყო ამ შეხებაში; გაჰქრა სევდა, გულში სიმსუბუქე და ნეტარება ვიგრძენი. დიდი და ღრმა მადლიერების ნიშნად ხელზე ვაკოცე აგნესას...

– დაბრძანდით, – მხიარულად მითხრა აგნესამ, – ნუ დარდობთ, ტროტკუდ. მეც რომ არ გამოიზაროთ თქვენი დარდები, მაშ ვინ გცემთ ნუგემს?

– მართალია, აგნესა, თქვენ ხართ ჩემი მფარველი ანგელოზი.

– ანგელოზი ვარ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მართლაც მინდოდა გამეფრთხილებინეთ, ტროტკუდ...

გაკვირვებით შევხედე და თითქმის მივხვდი, რა ჰქონდა აზრად. აგნესამ დააკვირვებით შემომხედა თვალებში.

– გამეფრთხილებინეთ ბოროტი სულისაგან, – მითხრა მან.

– ნუთუ თქვენ სტიფორდზე ლაპარაკობთ?

– დიას, ტროტკუდ!

– მაშ თქვენ სცდებით, ძვირფასო აგნესა, სასტკად სცდებით. როგორ უნდა წარმოვიდგინო ბოროტ სულად იგი, ვინც მუდამ ჩემი ხელმძღვანელი, დამცველი იყო!

– მე ვსჯელობ მის შესახებ მრავალ წვრილმან გარემოებათა მიხედვით, რომელნიც უმნიშვნელონი არიან თავისთავად, მაგრამ ერთად აღებული დიდ მნიშვნელობას იღებენ ჩემს თვალში. წარმოდგენა ამ ადამიანის შესახებ ნაწილობრივ თქვენი საკუთარი ნაამბობის მიხედვით, ნაწილობრივ იმ გავლენის მიხედვით, რომელსაც იგი ახდენდა თქვენს ხასიათზე. შინაგანი გრძნობა მეუბნება, რომ სტიფორდის სახით თქვენ ძალიან სახიფათო მეგობარი შეიძინეთ.

მისმა კეთილმა სიტყვებმა ღრმა სიმები აახმაურეს ჩემს სულში. მან გაათავა ლაპარაკი, მაგრამ ისევ ვუსმენდი. სტირფორდის სახემ დაჰკარგა თავისი ბრწყინვალეობა.

– რასაკვირველია, – განაგრძო აგნესამ რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ, – დიდი უგუნურება იქნებოდა ჩემის მხრით მომეთხოვა თქვენგან, რომ დაუყოვნებლივ გამოიცვალეთ თქვენი აზრი. ეს სიყვარული თქვენი სკოლის ამხანაგისადმი დიდი ხანია დამკვიდრებულია თქვენს ნდობით სავსე გულში; მე მხოლოდ ერთს გთხოვთ, ტროტვუდ, ყოველთვის, როდესაც კი მომიგონებთ, ნუ დაგავიწყდებათ, რაც გითხარით. ხომ არ მიჯავრდებით, დავით?

– მე მხოლოდ მაშინ დავანებებ თავს ჯავრობას, როდესაც თქვენ უფრო ახლოს გაიცნობთ სტირფორდს და შეიყვარებთ მას ისევე, როგორც მე მიყვარს.

– მანამდე არა? – მკითხა აგნესამ.

მსუბუქმა ჩრდილმა გადაჰკრა სახეზე, მაგრამ შემდეგ ღიმილით მიპასუხა ღიმილზე და მეგობრული, გულახდილი ლაპარაკი განახლდა ჩვენს შორის. მკითხა, ხომ არ მინახავს ური.

– არა, განა ლონდონშია?

– დიახ, იგი ყოველდღე შემოდის აქ, კანტორაში. იგი ერთი კვირით ჩემზე ადრე ჩამოვიდა ლონდონში, უეჭველია, რაიმე უსიამოვნო საქმის გამო.

– ეს გარემოება, მგონია, ძალიან გაწუხებთ, – შევნიშნე მე. – რა საქმის გამო შეექმლო მას ჩამოსვლა?

– მე მგონია, ური ემზადება მამასთან ამხანაგობაში შესასვლელად.

– როგორ? ური? უსინდისო, მონური არსება! შეიძლება მას ამგვარი აზრი ჰქონდეს? – შევძახე აღშფოთებით. – და თქვენ არავთარ წინააღმდეგობას არ უწევთ ამას, აგნესა? თქვენ უნდა მოლაპარაკებოდით მამას და გაგეფრთხლებინათ იგი ამგვარი უგონო საქციელისაგან!

– თქვენ გახსოვთ ჩვენი უკანასკნელი საუბარი მამის შესახებ? ორი თუ სამი დღის შემდეგ მან პირველმა დამიწყო ლაპარაკი ამ საქმის გამო. საბრალო სანახავი იყო, როდესაც ცდილობდა, დაგეჯერებინე, რომ ამ შემთხვევაში სრულებით თავისი ნებაყოფლობით იქცევა.

– მაშ ვის შეუძლია დაატანოს ძალა?

– საქმე იმაშია, რომ ურიმ მოახერხა საჭირო გამხდარიყო მამისათვის. მან ძალიან მოხერხებულად შენიშნა ყველა მისი სუსტი მხარე და კიდევ უფრო მოხერხებულად ისარგებლა ამით, და... ერთი სიტყვით, როგორ გითხრათ... მამას ეშინია ამ ადამიანისა.

– ცოტა ადრე, სანამ ამ ამბავს გავიგებდი, – განაგრძო აგნესამ, – ურიმ ითხოვა დათხოვნა და თან არწმუნებდა მამას, თუმცა დიდად სამწუხაროა ჩემთვის ამ ადგილის დატოვება, მაგრამ მაძლევენ სხვას, გაცილებით უკეთეს ადგილსო. მამა იმ დროს ძალიან შეწუხებული და დატვირთული იყო საქმეებით. იგი მოეკიდა ამ აზრს – ამხანაგად გაეხადა თანაშემწე და ამავე დროს თითქოს რცხვენოდა, მიემართა ამ ზომისთვის.

– თქვენ როგორღა მიიღეთ ეს ცნობა, აგნესა?

– მე მგონია, ტროტვუდ, – მიპასუხა მან, – ისე მოვიქეცი, როგორც საჭირო იყო. ვგრძნობდი, რომ ეს დაამშვიდებდა მამას, და ამიტომ სავსებით მოვიწონე მისი გადაწყვეტილება.

არასოდეს ამ წუთამდე არ მენახა აგნესას ასეთი მწარე ცრემლები. მე მენახა, როგორ ტიროდა იგი სიხარულისაგან, როდესაც რაიმე საჩუქრით ვბრუნდებოდი სკოლიდან; მენახა, როგორ ერეოდა თვალებზე ცრემლები, როდესაც მამამისის შესახებ ვლაპარაკობდით; ვნახე, როგორ მარიდებდა თავის მშვენიერ სახეს, როდესაც ერთმანეთს ვშორდებოდით; მაგრამ არასოდეს მინახავს აგნესას ასეთი ღრმა სევდა. მალე მოერია სასოწარკვეთილებას და მისმა მშვენიერმა სახემ

მიიღო თავისი მუდმივი, წყნარი და ნაზი გამომეტყველება, როგორც მე არც ერთ სხვა ქალში არ შემხვედრია.

აგნესამ გამაცნო მისის უატერბრუკი. ამ პატივცემული ლედით ცხვირში მეცა შემწვარი ბატკნის სუნი. ყველაფრიდან ჩანდა, რომ სადილზე მარტო მე არ ვიყავი მიწვეული.

მისტერ უაიტერბრუკი შუახნის კაცი იყო, მოკლე კისრით და უფართოესი საყელოებით. მან დიდი სიამოვნება გამოთქვა ჩემი გაცნობის გამო და, როდესაც მივესალმე დიასახლისს, პატივცემულმა მისმა მეუღლემ მიმიყვანა ვიღაც ხანში შესულ, მეტად უფერულ ლედისთან, რომელსაც შავი ხავერდის კაბა ეცვა და შავი ხავერდის ბერეტი ეხურა. მე იმ წამსვე გამიელვა აზრმა, რომ იგი, უეჭველია, ცოტათი ჰამლეტს ენათესავებოდა.

ამ ლედის ერქვა მისის ჰენრი სპაიკერ; იგი მოსულიყო თავის ქმართან ერთად, რომელსაც ისეთი ცივი გამოხედვა ჰქონდა, რომ მისი ჭაღარა თმებიც კი თითქოს თრთვილით იყო დაფარული.

სტუმართა შორის ური ჰიპიცი იყო თავით ფეხებამდე შავებში ჩაცმული და, ჩვეულებისამებრ, გამსჭვალული საოცარი თავმდაბლობით, რომელიც ახლოს იდგა მონურ მლიქვნელობასთან. ხელი გაგუწოდებდა და ბედნიერება მქონდა მომესმინა უადრესი მადლობა ამგვარი დიდი ყურადღებისათვის.

ვერც სხვა დანარჩენმა სტუმრებმა მოახდინეს ჩემზე სავსებით სასიამოვნო შთაბეჭდილება. მხოლოდ ერთმა მათგანმა ამაღელვა, ჯერ კიდევ თავის შემოსვლამდე: ჩემდა გასაოცრად, მსახურმა, რომელიც შემოვიდა მოსახსენებლად, წარმოთქვა ტრედელსის სახელი. ჩემს გონებას უცებ წარმოუდგა დრო, გატარებული საღამოს სასწავლებელში. მე ძალიან დამაინტერესა მისტერ ტრედელსმა და ცნობისმოყვარეობით შევხედე მას, როდესაც იგი ოთახში შემოვიდა. როგორც ჩანდა, ეს იყო მეტად მორიდებული, დინჯი ყმაწვილი კაცი, უცნაურად დავარცხნილი თმითა და ცოტათი გადმოკარკლული თვალებით. თუმცა ძლივს მოვკარი თვალი, ისე სწრაფად მიეფარა იგი შორ და მყუდრო კუნჭულს.

მე მივედი მისტერ უატერბრუკთან და ვუთხარი, რომ, მგონია, ბედნიერება მაქვს ვნახო აქ ერთი ჩემი სკოლის მეგობართაგანი-მეთქი.

– დიახ, დიახ, სავსებით შესაძლებელია, – მიპასუხა მან გულგრილად.

– თუ ეს ის არის, – ვთქვი მე და ისევ ტრედელსისკენ გავიხედე, – მაშინ ჩვენ ერთად ვიზრდებოდით საღამოს სასწავლებელში; იგი ძალიან კარგი ამხანაგი იყო.

– ო, დიახ, ტრედელსი კარგი ყმაწვილია, ძალიან კარგი, – დამიდასტურა მისტერ უატერბრუკმა თავმდაბალი კილოთი. – იგი ვექილობისთვის ემზადება. მხოლოდ, ჩემის აზრით, იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც თვითონვე იღობავენ გზას. ეს ხანდახან ხდება ამქვეყნად. მე დარწმუნებული ვარ, მაგალითად, რომ მას არასოდეს არ ექნება საშუალება თუნდაც ხუთასიოდე გირვანქა სტერლინგისა. იგი ურიგოდ არ ადგენს წერილებს; ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს საქმეს. უნდა მოეწყოს ამ ყმაწვილის ბედი; მე ვაპირებ, ერთი წლის შემდეგ ვუშოვო მას შესაფერი ადგილი.

შემოსულმა ლაქიამ მოახსენა პატივცემულ საზოგადოებას, რომ სადილი მზად არის. სტუმრები ადგნენ და სასადილო ოთახში გაემართნენ. მისტერ უატერბრუკმა ხელი გაუწოდა ჰამლეტის დეიდას; მისტერ ჰენრი სპაიკერმა წაიყვანა მისის უატერბრუკი. მე მიხლოდა აგნესასთვის გამეწოდა ხელი, მაგრამ ვიღაც ფეხმოქცეულმა და სულელურად მომღიმარე ჯენტლმენმა დამასწრო. ური, ტრედელსი და მე, როგორც საზოგადოების უმცროსი წევრები, უსწორ-მასწოროდ მივდიოდით ყველაზე უკან. მე ჯერ მეწყინა, რომ აგნესას მომაშორეს, მაგრამ მალე დავმშვიდდი, როდესაც კიბეზე ჩემს ამხანაგს დავეწიე. ტრედელსი მომესალმა მეგობრული აღტაცებით. ური ჰიპი კი ისე საძაგლად იმანჭებოდა და იბრიცებოდა, რომ უდიდესი სურვილი აღმეძრა მოაჯირის იქით გადამეგდო.

სუფრაზე მე და ტრედელსი ორ სხვადასხვა კუთხეში დაგვსვეს. მას ალი ეკიდებოდა ერთი სისხლმოჭარბებული ლედის გვერდით, რომელიც მორთულიყო მდიდრულ ალისფერ ხავერდის კაბაში; მე კი ჩავიფერფლე ჰამლეტის დეიდის მახლობლად. სადილი ძალიან დიდხანს გაგრძელდა.

როდესაც ნასადილევს ქალები ზევით ავიდნენ, დავეშურე აგნესას საზგადოებას მივკედლებოდი და სიხარულით გავაცანი ჩემი მეგობარი ტრედელსი, რომელიც ახლაც, როგორც ყოველთვის, მორიდებული და მოკრძალებული იყო. სამწუხაროდ, ტრედელსი მალე გამოგვეთხოვა, რადგან მეორე დღეს დილით სადღაც უნდა წასულიყო მთელი ერთი თვით. ტრედელსი ნასიამოვნები დარჩა, როცა გაიგო, რომ განვაახლე ჩემი მეგობრობა სტირფოდთან, და ისეთი გატაცებით დაიწყო ლაპარაკი მის შესახებ, რომ გავამეორებინე მას აგნესას წინაშე ყოველივე, რასაც იგი ფიქრობდა ამ მშვენიერ ყმაწვილზე. მაგრამ აგნესამ სიბრალულით შემომხედა და მხოლოდ ოდნავ დახარა თავი, როდესაც ტრედელსმა დაამთავრა თავისი მოთხრობა.

ტრედელსის წასვლის შემდეგ ჩვენ ორნი დავრჩით და აგნესამ მითხრა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ სახლში, კენტერბერიში მივდივარო. ამიტომაც ვცდილობდი, გამეგრძელებინა ჩემი ყოფნა ამ სახლში იმ დრომდე მაინც, სანაც ყველა სტუმრები არ დაიშლებოდნენ. ბოლოს, როდესაც ბრწყინვალე მნათობი, რომელნიც ანათებდნენ მისტერ უატერბრუკის სახლს, ჩაჰქრნენ და მიეფარნენ თანდათან, მე აღარ მქონდა არავითარი საბაბი დარბაზობის გასაგრძელებლად. იძულებული გავხდი, დიდი სინანულით ხელი მომეკიდა ქუდისთვის.

მე ვთქვი, რომ ყველა სტუმრები დაიშალნენ, მაგრამ მათ რიცხვში არ ჩამითვლია მისტერ ური ჰიპი, რომელიც არ მოგვეშორებია მთელი საღამოს განმავლობაში. იგი მომდევნა კიბეზე ჩასვლისას და უკან გამომყვა, როდესაც ქუჩაში გავედი.

თავისთავად ცხადია, რომ არ მქონდა არავითარი სურვილი ამ ადამიანთან საუბარი დამეწყო, მაგრამ მომაგონდა აგნესას თხოვნა და გაფრთხილება და ვთხოვე ური ჰიპს, შემოსულიყო ჩემთან ერთი ფინჯანი ყავის დასალევად.

– ო, მასტერ კოპერფილდ... – მითხრა ური ჰიპმა, – გთხოვთ, მაპატიოთ, სერ, მე უნდა მეთქვა – მისტერ კოპერფილდ. მე არ მინდა შეწუხდეთ თქვენს სახლში ისეთი უმნიშვნელო ადამიანის ყოფნით, როგორიც მე ვარ.

– არ არავითარი შეწუხება არ იქნება, – ვუპასუხე მე, – გინდათ ჩემთან შემოხვიდეთ?

– ო, ძალიან, მინდა! – მითხრა ურიმ საძაგელი ღმეჭკით.

– მაშ წამოდით.

უნებურად უგულოდ ველაპარაკებოდი, მაგრამ ური თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩემს გულცივობას.

– აჰ, მასტერ კოპერფილდ, – დაიწყო ურიმ. – დრონი იცვლებიან. თქვენი წასვლის შემდეგ ისეთი ამბები მოხდა, რემელთა შესახებ მე, გაუნათლებელი და მოკრძალებული ადამიანი, ოცნებასაც ვერ ვხედავდი. ეს ღვთის წყალობაა, ჭეშმარიტად. მე მგონია, თქვენ უკვე გაიგებდით ჩემი მდგომარეობის ბედნიერი ცვლილების შესახებ, მასტერ კოპერფილდ, – ესე იგი, მინდოდა მეთქვა, მისტერ კოპერფილდ.

იგი იჯდა მოკუზული და მოკეცილი ჩემს სოფაზე და კოვზით ურევდა ყავას ფინჯანში, რომელიც თავისი გრძელი ფეხების მუხლებზე ედგა, ხოლო მისი ქუდი და ხელთმანები მის გვერდით იატაკზე იდო. მისი წითელი უწამწამო თვალები უძრავად მისჩერებოდნენ ჩემს სახეს, თუმცა ისეთნაირად, თითქოს სრულებითაც არ მიცქეროდნენ. ნესტოები ებერებოდა და ეკუმშებოდა ყოველ ამოსუნთქვაზე, როგორც საბერველი, იგი მთელი ტანით იკლაკნებოდა. მხოლოდ ამ წუთში მომივიდა პირველად თავში, როგორ მძულდა ეს ადამიანი.

– დიახ, გავიგე ზოგი რამ, – ვუპასუხე მე.

– მეც ასე მგონია, სერ, – მშვიდად დაადასტურა ურიმ. – მის აგნესამ დაახლოებით უნდა იცოდეს ჩემი საქმეები. ძალიან მიხარია, რომ მან იცის ჩემი საქმეების მდგომარეობა. ო, გმადლობთ, მასტერ... ესე იგი, მისტერ კოპერფილდ!

მე მზად ვიყავი, თავი გამეჭვქვია მისთვის ფეხსაცმლის კალაპოტით, რომელიც იქვე, ბუხართან, იდო, – ისე მეწყინა, რომ მან გამომტყუა აგნესას ნათქვამი სიტყვა. მაგრამ თავი შევიკავე და მშვიდად განვაგრძობდი ყავის სმას.

– რას იზამ. მასტერ კოპერფილდ! როგორცა ჩანს, ასეთი ყოფილა წესი, რომ ზოგჯერ თურმე ყოველად უმნიშვნელო ადამიანიც შეიძლება კეთილი საქმის იარაღი გახდეს. ჩემთვის დიდად სასიამოვნოა ის აზრი, რომ მე ვიყავი სიკეთის იარაღი მისტერ ვიკფილდისათვის, – ვიყავი და, უეჭველია, კიდევაც ვიქნები. იგი, როგორც იცით, მეტად კეთილი ადამიანია, მაგრამ საოცარია, როგორი გაუფრთხილებლობით იქცეოდა ამ ბოლო დროს!

– სამწუხაროა. – ვთქვი მე და მოკლე სიჩუმის შემდეგ დაეუმატე მნიშვნელოვანი კილოთი: – სამწუხაროა ყოველი მხრივ!

– დიას, მართალი ბრძანებაა, მისტერ კოპერფილდ! ყოველი მხრით სამწუხაროა, როგორც თქვენ ინებეთ შენიშვნა, და განსაკუთრებით მის აგნესასთვის!

მეტი მას არა უთქვამს-რა. იგი ურევდა ყავას, სრუპავდა, ხელს ისვამდა ნიკაპზე, იღრიჯებოდა, ქშენდა, უცქეროდა ბუხარს, კედლებს, ფრუტუნებდა და იბრიცებოდა, მაგრამ აღარც ერთი სიტყვა აღარ წარმოუთქვამს. ცხადი იყო, რომ ურიმ მე დამითმო მასთან ლაპარაკის განახლება.

– მაშ ისე გამოდის, რომ მისტერ ვიკფილდი, რომელიც ხუთასჯერ უფრო ღირსეულია, ვიდრე თქვენ... ან მე, – ვთქვი მე ბოლოს, – რომ მისტერ ვიკფილდი გაუფრთხილებლად იქცეოდა ამ ბოლო დროს. ასეა, მისტერ ჰიპ?

– დიას, ძალიან გაუფრთხილებლად, მასტერ კოპერფილდ, – მიპასუხა ურიმ და ღრმად ამოიოხრა, – ძალიან, ძალიან გაუფრთხილებლად და დაუფიქრებლად! ოჰ იგი საოცარი უგონობით იქცეოდა, მასტერ კოპერფილდ. ამის შესახებ მხოლოდ თქვენთან შემიძლია ვილაპარაკო, ისიც მხოლოდ საერთოდ, საგნის ოდნავ შეხებით. მე რომ არ ვიყო მაგ კანტორაში, მისტერ ვიკფილდი დაჰკარგავდა მამულს, სახელს, და აღარ ვიცი, რა არ მოუვიდოდა. ეს მან თვითონაც იცის. მაგრამ მე ვემსახურებოდი გულმოდგინედ, გულწრფელად და ჩემმა შეუმჩნეველმა მოღვაწეობამ გადაარჩინა იგი, შეიძლება ითქვას, დაღუპვას. სამაგიეროდ, ხედავთ, მისტერ ვიკფილდს აყვევარ ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ოცნებასაც კი ვერ ვბედავდი. ო! როგორი მადლობელი ვარ იმისი! ჩემი გული ქვა არ არის, მისტერ კოპერფილდ, და ვგრძნობ ყოველივე ამას!

ამ სიტყვებით ხელი მოაშორა მაგიდას, ჩაფიქრებულმა მიიღო მჭლე თითები ნიკაპზე, თითქოს პირის გაპარსვას აპირებსო, და თან სისხლისფერი თვალები მე მომაშტერა.

– მასტერ კოპერფილდ, – დაიწყო მან, – მაგრამ, მგონია, მე თქვენ გიშლით, სერ?

– არა, მე საკმაოდ გვიან ვწვები.

– ო, გმადლობთ, მასტერ კოპერფილდ! იმედი მაქვს, თქვენ არ გამოცვლით ჩემზე აზრს, თუ გაგიზიარებთ ჩემს გულითად საიდუმლოს. ხომ ხომ ასე, მასტერ კოპერფილდ?

– არ გამოვიცვლი არავითარ შემთხვევაში. თქვით.

– საქმე აი რაშია, მისტერ კოპერფილდ. მის აგნესა...

– მერე?

– აგნესას სახე მუდამ ცოცხლობს ჩემს გულში. ო! რომ იცოდეთ, როგორ წმინდა სიყვარულსა ვგრძნობ იმ მიწისაღმიც კი, რომელზედაც დადის ჩემი აგნესა!

მზად ვიყავი, ჭკუიდან შევმცდარიყავი ამ წუთში, ჩემი პირველი აზრი იყო – დამეველო ხელი გახურებული მაშისთვის და ვცემოდი ურის; მაგრამ ნელ-ნელა დაემშვიდდი და თითქმის მტკიცე ხმით ვკითხე:

– მერე? ელაპარაკეთ ამის შესახებ აგნესას?

– ო, არა, მასტერ კოპერფილდ! – მიპასუხა მან. – არა, ეს როგორ შეიძლება! ჯერ არავინ იცის ეს ამბავი, თქვენს გარდა. მე ხომ მხოლოდ ახლა ვიწყებ ამადლებას იმ დამცირებული მდგომარეობიდან, რომელშიც ვიმყოფებოდი, ასე ვთქვათ, აკნინიდან. ჩემი იმედი უმთავრესად იმას ემყარება, რომ მის აგნესამ საკუთარი თვალით უნდა დაინახოს, რა ზომამდე ვარ მე აუცილებელი და სასარგებლო მამამისისთვის, რადგან, თქვენ ხომ გესმით, მასტერ კოპერფილდ, უჩემოდ მისტერ ვიკფილდის დაღუვა აუცილებელი იყო. აი, სწორედ ამ მიზეზით ნებას ვაძლევ ჩემს თავს იმედი ვიქონიოთ, რომ მის აგნესა მომაქცევს თავის მაღალ ყურადღებას.

აგნესა! ძვირფასი აგნესა! ისეთი მოსიყვარულე და კეთილი, რომ მე ვერავინ მომენახა მისი ღირსი, ნუთუ მისი ხვედრია ამ საზიზღარ ადამიანთან ცხოვრება!

– რასაკვირველია, მასტერ კოპერფილდ, ჩვენ არ ავჩქარდებით, – განაგრძო ურიმ შემპარავი კილოთი. – ჩემი აგნესა ჯერ მეტად ნორჩია, მე და დედაჩემს ზოგიერთი მომზადება დაგვჭირდება, სანამ ამ საქმეს შევუდგებოდეთ. საზრუნავი, როგორც იცით, საკმარისი ქნება. მე კი, გარემოებისდა მიხედვით, ნელ-ნელა გავაცნობ მას ჩემს იმედებს. აჰ, როგორ მიხარია, მასტერ კოპერფილდ, რომ ახლა თქვენ წინ არ აღდგებით ჩემს იმედებს და გეგმას და არ მოისურვებთ რაიმე უსიამოვნების შეტანას ოჯახში.

მან ჩაიღო ჩემი ხელი თავის ბაყაყის თათში, ძალიან მაგრად მოუჭირა და შემდეგ საათს შეხედა.

– აჰ, უკვე მეორე საათია! – შესძახა მან. – აჰ, როგორ მეწყინა! საქმე იმაშია, მასტერ კოპერფილდ, რომ ბინა მაქვს პანსიონში „ახალ მდინარესთან“. იქ, უეჭველია, უკვე ყველასა სძინავს. მე ვერც კი კი გავადვიძებ.

– ძალიან სამწუხაროა, – ვუპასუხე მე, – რადგან მხოლოდ ერთი ლოგინი მაქვს და, მაშასადამე...

– ო, ლოგინის შესახებ ნუ შეწუხდებით, მასტერ კოპერფილდ! – შესძახა ურიმ. – თუ ნებას მომცემთ, მე დავიძინებ ქეჩაზე ბუხრის წინ.

– არა, თუ ასეა, მაშინ თქვენ ჩაწექით ჩემს ლოგინში, მე კი ბუხრის წინ დავიძებ.

მაგრამ ურიმ, უზომო მოკრძალებით გამსჭვალულმა, წარმოთქვა დამაჯერებელი სიტყვა და დაასაბუთა მიზეზები, რომელთა გამო იგი უარს ამბობდა ჩემს წინადადებაზე. არავითარმა თხოვნამ არ გასჭრა და ვერ მოდრიკა ური; იძულებული ვიყავი გამეცა ზოგი საჭირო განკარგულება მისი იმპროვიზირებული საწოლის მოწყობის შესახებ ბუხრის წინ. მე დამე მშვიდობისა ვუსურვე და საწოლ ოთახში შევედი.

არასოდეს არ დამავიწყდება ეს ღამე, უძილო და შფოთიანი.

აგნესას სახე ყოველ წუთში მეხატებოდა თვალწინ და მის გვერდით იმართებოდა ურის სახე. რა მექნა? როგორ ამეშორებინა მისთვის ეს განსაცდელი? ვბრუნავდი ერთი გვერდიდან მეორეზე, ვიძინებდი რამდენიმე წუთით და ამ დროს თვალწინ მიდგებოდა ისევ აგნესას და მისი მამის სახეები. ისინი მიცქეროდნენ სინაზით და სამდურავით აღსავსე თვალებით; ვიღვიძებდი, რადგან უნებურ თრთოლვასა ვგრძნობდი მთელს ტანში. ღამე გაგრძელდა უზომოდ, საშინლად, უიმედოდ, და ისე მეჩვენებოდა, თითქოს ური ჰიპის წყალობით მზე არასოდეს აღარ ამოანათებდა ბინიდან ცის კაბადონზე.

დილაადრიან იგი გაჰქრა და, საბედნიეროდ, არ მიიღო ჩემი მიწვევა ყავაზე. მასთან ერთად გაიფანტა დაუსრულებელი ღამის წყვდიადიც. სამსახურში

წასვლის წინ ღია დავტოვე ყველა ფანჯარა, რომ გამეწმინდა ოთახი ური ჰიპის სულისგან!

## თავი ოცდამეხუთე

### ტყეობა

ამის მეტად, აგნესას წასვლამდე, ური ჰიპი აღარ მინახავს; მაგრამ, როდესაც მივედი დილიუანსების კანტორაში აგნესასთან გამოსათხოვებლად, ური ჰიპიც აქ იყო და იმავე ეტლით მიემგზავრებოდა კენტერბერიში.

საიდუმლოება, რომელიც ამ ადამიანმა მომანდო, მძიმე ტვირთად მაწვა გულზე. საშინელი მსხვერპლის მოლოდინს შეიძლებოდა საბოლოოდ დაეღუპა აგნესას ბედნიერება; მაგრამ ყველაფრიდან, რასაც ვხედავდი, დავრწმუნდი, რომ აგნესას ჯერ არავითარი ეჭვი არ ჰქონდა მომავალი საფრთხის შესახებ. გამხელა მისთვის ურის განზრახვისა საშინელი შეურაცხყოფის მიყენება იქნებოდა, და არც აზრი ჰქონდა ამას. ამიტომ ჩვენ ისე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, რომ აგნესასთვის არა მითქვამს-რა. აგნესა მიღიმოდა ეტლის ფანჯრიდან და ცხვირსახოცს მიქნევდა, მაშინ, როდესაც ბოროტი სული იბრიცებოდა და იკლავებოდა ეტლის სახურავზე და, უეჭველია, დარწმუნებული იყო, რომ მსხვერპლი უკვე მის კლანჭებში იყო.

დიდხანს ვერ დავივიწყე გამოთხოვების ეს სცენა. როდესაც აგნესასაგან წერილი მივიღე კენტერბერიდან, რომელშიც მატყობინებდა შინ მშვიდობით მისვლას, ისევე მტკივნეულად განვიცადე იგივე გრძნობები, რასაც მისი წასვლისას ვგრძობდი. ერთი და იგივე საგანი მეხატებოდა თვალწინ ყოველთვის, როგორც კი ჩავფიქრებოდი, და ჩემი აღელვება სულ მატულობდა. აგნესას ბედი მეღანდებოდა ცხადად, მეღანდებოდა სიზმარში თითქმის ყოველდღამ. იგი ჩემი სიცოცხლის ნაწილი გახდა, განუყოფელი ჩემი სხეულისაგან, როგორც თავი ან გული.

და არავინ არ არღვევდა ჩემს სევდიან ეჭვებს! სტირფორდი ოქსფორდში იყო და სულ მარტოდმარტო ვგრძნობდი თავს.

დრო კი მიდიოდა თავისი წესით, რამდენიმე კვირის შემდეგ ფორმალურად დამამტკიცეს წარჩინებულ კლერკად ჯორკინსისა და სპენლოს კანტორაში. პაპივამ დამინიშნა ოთხმოცდაათი გირვანქა წელიწადში სახარჯოდ, გარდა ბინის ქირისა და განსაკუთრებული თანხისა ისეთი საჭიროებისათვის, რაც ყოველდღიურ ხარჯებში არ შედიოდა.

იმ დღეს, როდესაც, გამოსაცდელი თვის შემდეგ, საბოლოოდ ვიყავი დანიშნული წარჩინებული კლერკის თანამდებობაზე, მისტერ სპენლომ ჩემი უფრო ახლო გაცნობის სურვილი გამოთქვა. იგი დიდად მოხარული იქნებოდა, – მითხრა მან, – მივეწვიე თავის აგარაკზე ნორვედში, მაგრამ, საუბედუროდ, სახლში ამხნობით არავითარი წესრიგი არ არის, რადგან ამ დღეებში ქალიშვილს მოველი პარიზიდანო. ორი კვირის შემდეგ მან მითხრა, რომ დიდად დავავალე, თუ ვეწვევი შემდეგ შაბათს და ორშაბათამდის დავრჩები. მისტერ სპენლომ შემომთავაზა თავისი ეტლი, რომლითაც იგი წამიყვანდა აგარაკზე და ორშაბათ დილით მომიყვანდა უკან იმავე ეტლით.

ბოლოს, სასურველი დღეც დადგა: მე და მისტერ სპენლო ეტლით გავემართეთ აგარაკზე.

ჩვენ ძალიან მხიარულად მივდიოდით. მისტერ სპენლომ გამიზიარა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი შენიშვნა ჩემი თანამდებობის შესახებ. მისი სიტყვებით, პროქტორობა უკეთესი შობილესი პროფესია იყო მთელს ქვეყნიერებაზე და არავითარ შემთხვევაში არ შეედრებოდა ჩვეულებრივს ვეჟილობას. პროქტორს აქვს

თავისი გარკვეული, განსაკუთრებული დარგი მოღვაწეობისა, მეტად ხელსაყრელი ცხოვრების თვალსაზრისით და, რასაკვირველია, არა მექანიკური.

– დოქტორთა კოლეგიაში ჩვენ ყველაფერს ადვილად ვუცქერით, უპენდატიზმოდ და იურიდიული ხრიკების გარეშე. ამის გამო საზოგადოების თვალში სამართლიანად შევადგენთ პრივილეგიურ კლასს. რასაკვირველია, – განაგრძო მისტერ სპენლომ, – არასგზით არ შეიძლება დაიფაროს ის სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენ ხშირად გვრევენ სამოქალაქო ვექილებში, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ვექილები დაბალი ხარისხის ხალხს ეკუთვნიან და ყოველ პროქტორს სამართლიანი უფლება აქვს, იამაყოს მათ წინაშე.

მე შევეკითხე მისტერ სპენლოს, რა ჯურის საქმეებს აძლევთ უპირატესობას დოქტორთა კოლეგიაში-მეთქი. მან მიპასუხა, რომ პირველი ადგილი უცილობლად ეკუთვნის იმ საქმეებს, რომლებიც აღძრულია საეჭვო ანდერძის გამო, სადაც გადასაწყვეტია, ვის უნდა ერგოს მეანდერძის სურვილით პატარა მამული, ოცდაათ ან ორმოც ათას გირვანქად ფასებული. ამგვარ შემთხვევაში იურიდიული მანქანა მუშაბს სრული დატვირთვით; არჩევენ ცნობებს, ჩვენებებს, საბუთებს; საქმე გადადის ერთი ინსტანციიდან მეორეში (აღარას ვამბობ აპელაციაზე დელეგატთა სასამართლოსა და ლორდების პალატაში); დაკითხვებიდან დგება ქაღალდის ნამდვილი მთები. როდესაც, ბოლოს, უმაღლესი ინსტანცია გამოიტანს უკანასკნელ დადგენილებას, სასამართლოს ხარჯებს დაუბრკოლებლად იხდიან, ისე რომ, ყველა მხარე სრულებით კმაყოფილი რჩება. შემდეგ ვრცლად და აღტაცებით ილაპარაკა ამ მშვენიერი დაწესებულების შესახებ ბრიტანეთის სახელმწიფოში.

– ყველაზე მეტად, – მითხრა მან, – გაკვირვების ღირსია ის ერთსულოვნება, რომლითაც გამსჭვალულია დოქტორთა კლეგია. ეს კორპორაცია საუკეთესოდ არის მოწყობილი და სავსებით გამოსატავს სამართლის სწორი წარმოების იდეას. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ თქვენ შეიტანეთ თხოვნა გაყრის შესახებ. საქმე კონსისტორიის სასამართლოში მიდის. კეთილი და პატიოსანი. ჩვენ ვმსჯელობთ მის შესახებ კონსისტორიაში. თქვენ ერთი წევრისაგან მეორესთან გადადიხართ, როგორც ოჯახში, და თავისუფალ დროს ანდომებთ თქვენს საქმეს, როგორც სასიამოვნო ოჯახურ გასართობს. მაგრამ ვთქვათ, უკმაყოფილო ხართ კონსისტორიის სასამართლოს დადგენილებით. რას სჩადიხართ ამ შემთხვევაში? თქვენ გადადიხართ სასამართლოში თაღებქვეშ. მერე, რა არის ეს, სასამართლო თაღებქვეშ? იგივე სასამართლო, იმავე მოსამართლეებით; მთელი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კათედრაზე თავმჯდომარეობს სხვა მსაჯული. ისევ ის თამაში იწყება და თქვენ ატარებთ მას იმავე წესით. მაგრამ მაინც არა ხართ კმაყოფილი? ძალიან კარგი. ამ შემთხვევაში თქვენ მიდიხართ დელეგატებთან. ვინ არიან დელეგატები? ესენი არიან ტიტულოსანი ვექილები, გარკვეულ საქმიანობის გარეშე. ისინი დამშვიდებით უცქერიან ამ თამაშს ორ პირველ სასამართლოში და თავიანთ ჯერს მოედიან ბანქოს დარიგებაში. სათამაშო ქაღალდი მათ ხელში გადადის; მოთამაშენი, ახალ მოსამართლეთა სახით, მიუსხდებან მწვანე მაგიდას და სულ მოკლე ხანში ყველაფერი ყველას სასიკეთოდ მთავრდება, ისე რომ, ვერც ერთი უცხო არგუსი ვერ შენიშნავს, როგორ მოება თავი ბოლოს. ბევრი ბოროტი და მოუსვენარი ენა ლაპარაკობს გახრწნილების შესახებ დოქტორთა კოლეგიაში, ქრთამებზე, საძრახის წინასწარ შეთანხმებაზე და მოითხოვენ კოლეგიის რეორგანიზაციას. მაგრამ, როდესაც ხორბლის ფასმა საზღაპროდ აიწია სახელმწიფოში, ვინ იყო, რომ ყველაზე გულმოდგინედ შეუდგა ამ საქმის განხილვას? ჩვენი სასამართლოები.

– არა, ჩემო ბატონო, – დააბოლოვა მისტერ სპენლომ პათეტიკური კილოთი, – ჩვენ გაბედულად შეგვიძლია დავიდლოთ გულზე ხელი და ვთქვათ მთელი ქვეყნის წინაშე: „შეხეთ კოლეგიას – და დიდი ბრიტანეთი საბოლოოდ დაიღუპება!“



დიდი ყურადღებით ვუმსენდი და, თუმცა ვერასგზით ვერ მივხვდი, რა სიკეთე მოჰქონდა დიდი ბრიტანეთის დოქტორთა კავშირს, მაინც მოკრძალებით ვიხსომებდი მისტერ სპენლოს აზრებს. ხორბლის ფასმა საბოლოოდ თავბრუ დამახვია და აღარ ჩავკვირვებოვარ ამ საკითხის საფუძველს. შემდეგში დაწვრილებით გავეცანი ინგლისის კომერციულ დადგენილებებს ხორბლით ვაჭრობის შესახებ; მაგრამ ჩემთვის მაინც ყოველად გამოუცნობ საიდუმლოებად დარჩა დოქტორთა კოლეგიის მონაწილეობა ხორბლის ფასების აწევ-დაწევაში.

ჩემი სიჩუმით სრული თანხმობა გამოვხატე პატივცემული უფროსის აზრებისა, რომელიც ჩემზე მაღლა იდგა ცოდნითა და გამოცდილებით. ამის შემდეგ ლაპარაკი გადავიდა ტრაგედიაზე, რომელიც თეატრში ვნახე, და, ბოლოს, იმ წყვილ ცხენზე, ჩვენს ეტლში რომ იყო შებმული. ბოლოს მივედით ნორვუდში.

ვიღაცის ხმამ წარმოთქვა:

– მისტერ კოპერფილდ, ჩემი ქალიშვილი დორა და მისი დამრიგებელი.

უეჭველია, ეს მისტერ სპენლოს ხმა იყო; მაგრამ ვერ ვიცანი იგი და არც მინდოდა მცოდნოდა, ვისი იყო. ყველაფერი ერთ წუთში მოხდა და ჩემი ბედი გადაწყდა. მე გავხდი ტყვე და მონა. მე უეცრად შემიყვარდა დორა სპენლო – გაგიჟებით.

– მე წინაც მინახავს მისტერ კოპერფილდი, – წარმოთქვა კარგად ნაცნობმა ხმამ, როდესაც თავი დაუკარი და წავიღულულღუე რაღაც გაუგებარი ქათინაური.

ამას დორა არ ლაპარაკობდა – არა! ეს მისი დამრიგებლის ხმა იყო, ხმა მის მორდსტონისა!

– გამარჯობათ მის მორდსტონ, – ვუთხარი მე. – იმედი მაქვს, კარგად ბრძანდებით?

– სრულებით კარგად, – მიპასუხა მის მორდსტონმა.

– როგორ ბრძანდება მისტერ მორდსტონი?

– ჩემი ძმა კარგად არის, გმადლობთ.

მაშინ მისტერ სპენლომ, უეჭველია, ჩვენი ნაცნობობით გაკვირვებულმა, თქვა:

– დიდად მოხარული ვარ, კოპერფილდ, რომ თქვენ და მორდსტონი უკვე იცნობთ ერთმანეთს.

– მისტერ კოფერფილდი და მე ცოტაოდენად უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, – თქვა მის მორდსტონმა აღუშფოთებელი სიმშვიდით და სიმტკიცით.

– დორას, საუბედუროდ, არ ჰყავს დედა და კეთილმა მის მორდსტონმა იკისრა გაეწია მისთვის მოსაუბრისა და მფარველის მოვალეობა.

ამ დროს გაისმა ზარის ხმა. მისტერ სპენლომ მითხრა, რომ ეს პირველი სასადილოს ზარია, და მიმიწვია სადილისთვის ჩასაცმელად.

ადვილი სათქმელია ჩაცმის იდეა! როგორც ცნობილია, არც ისეთი უბრალო საქმეა ჭაბუკისთვის, რომელსაც ვნების ალი უკიდია.

ბუხართან ვიჯექი ჩემს ოთახში და ვფიქრობდი მხოლოდ წარმტაც, თვალნათელა დორაზე. რა მშვენიერი ტანი აქვს, რა სახე, რა გრაციოზული, მომხიბლავი მიმოხვრა!

ზარის ხმა მეტად მალე გასიმა მეორედ. ცოტათი გავიწმინდე ჩემი ფრაკი, გავისწორე საყელო, ჩავიხედე სარკეში და დაბლა ჩავედი.

აუწერელია ჩემი სულიერი აფორიაქება. ვეჭვიანობდი დორას გამო ყველას მიმართ. ცოფებსა ვყრიდი იმ ფიქრით, რომ ამ საზოგადოებაში არის ხალხი, რომელიც ჩემზე უკეთესად იცნობს მისტერ სპენლოს.

სრულებით აღარ მახსოვს, ვინ იყო აქ, დორას გარდა ჩემს თავში არ დარჩენილა არავითარი მოგონება, თუ რა საჭმელები მოჰქონდათ სადილზე. დორას გვერდით ვიჯექი და მხოლოდ მას ველაპარაკებოდი; რაზე და როგორ – ეს არავინ იცის. მას მშვენიერი ხმა აქვს და ყოველ მუსიკაზე უნახესი ხმით იცინის. ბუნებას იგი ყოველხრივ შეუმკია ყმაწვილ კაცის საბოლოოდ დასაღუპავად. იგი მომცრო ტანისაა, მაგრამ ეს საუცხოოდ უხდება.

– დავით კოპერფილდ! – მითხრა მის მორდსტონმა ნასადილევს და ფანჯარასთან მიმიხმო. – ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.

ორნი დავრჩით პირისპირ.

– დავით კოპერფილდ! საჭიროდ არ მიმაჩნია ჩვენი ოჯახური მდგომარეობის ახსნა აქ. ეს არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს არც თქვენთვის, არც ჩემთვის.

– მართაღს ბრძანებთ, მის მორდსტონ.

– არ მსურს განვაახლო მოგონებაში ჩვენი წარსული ჩხუბი და უსიამოვნება. შეურაცხყოფა მომაყენა პიროვნებამ, რომლის სახელი ვერ წარმოითქმის აღუშფოთებლად. ეს პიროვნება, სამწუხაროდ, ჩემივე სქესის არსებია. ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ჩვენ არც ერთი სიტყვით არ ვახსენებთ მას.

საშინელი აღშფოთება ვიგრძენი პაპიდაჩემის ამგვარ ხსენებაზე, მაგრამ მეყო სულის სიმტკიცე, შემენიშნა მის მორდსტონისთვის, რომ იგი ძალიან კარგს იზამს, თუ არ შეეხება ამ საგანს.

– მე არ მოვიტმენ პაპიდაჩემის უდიერად ხსენებას, – დავუმატე მე, – და თუ თქვენ აზრად მოგივათ ლაპარაკი მის შესახებ, იძულებული ვიქნები, ჩემი აზრი უფრო გადაჭრით გამოვთქვა.

საღამო მშვენიერი იყო; მაგრამ ჩემს მოგონებაში მხოლოდ ის დარჩა, რომ ჩემი გულისმპყრობელი მომხიბლავ ფრანგულ სიმღერას მღეროდა და თან აყოლებდა რაღაც მშვენიერ საკრავს, რომელიც თითქოს გიტარას წააგავდა. როდესაც, ბოლოს, მის მორდსტონი დაესაკუთრა თავის მოწაფეს, რომ დასაძინებლად წაეყვანა, დორამ გამიღიმა და მომხიბლავი ხელი გამომიწოდა. ამის შემდეგ ჩემს ოთახში გავემართე. სარკემ, რომელშიც ჩავიხედე შემთხვევით, ვიღაც გაბოროტებული და გამოსულელებული ადამიანის სახე დამანახა.

დადგა მშვენიერი დილა. მე ადრე ავდექი. აზრად მომივიდა გავსულიყავი ბაღში, სუფთა ჰაერზე, რომ იქ თავისუფლად მეოცნება. ტალანში მის დორას პატარა ფინია შემხვდა, სახელად ჯიპი. მიგუახოვდი მას მეგობრული გრძნობით აღსავსე, მაგრამ ფინიამ ყველა თავისი კბილი მიჩვენა, შეძვრა სკამქვეშ ღრენით, როგორც ნამდვილი მხეცი, და არ ისურვა ჩემი ნაზი სიტყვების მოსმენა.

დიდხანს არ მისეირნია ამ ბაღში მარტოკას. როდესაც კუთხეს მოვუცვივ, მის დორას შევხვდი. გული აჩქარებით მიცემს, როდესაც ამ შეხვედრას ვიგონებ, და კალამი თრთის ჩემს ხელში.

– თქვენ... თქვენ... ადრე... გამოსულხართ სასეირნოდ, მის სპენლო! – ვუთხარი მე.

– კვირა დილაობით არავითარი მეცადინეობა არა მაქვს. – მიპასუხა დორამ. – და ხომ უნდა გავაკეთო რამე? მეც გამოვუცადე მამას, რომ სასეირნოდ მივდივარ-მეთქი. მით უმეტეს, რომ ეს ყველაზე ნათელი დროა დღის განმავლობაში.

საშინელი გამბედაობით აღვიჭურვე და ვუთხარი (თუმცა ენის ბორძიკით), რომ ჩემთვის ეს ყველაზე ნათელი დროა, თუმცა ერთი წუთის წინ ძალიან ბნელოდა.

– ამას თქვენ ქათინაურს მეუბნებით? – თუ ამინდი მართლაც გამოიცავლა?

უფრო მეტად დამება ენა, მაგრამ გარკვევით ვუთხარი, რომ სრულებით არ მიფიქრია ქათინაურზე და სრულს სიმართლეს ვამბობ, თუმცა არ ვიცი, იყო თუ არა ამინდის ცვლილება-მეთქი.

– თქვენ, მგონია, ძალიან დაახლოებით არ იცნობთ მის მორდსტონს? – მკითხა დორამ.

– დიახ, სულ ცოტათი, – ვუპასუხე მე.

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მოსაწყენი რამ არის! – მითხრა დორამ და გაიბუტა. – ვერ გამიგია, რად ამომირჩია მამამ დამრიგებლად ასეთი ბუზღუნა ბებერი! ფი! მთელი ჩემი უბედურება იმაშია, რომ დედა არ მყავს, და მამას ჰგონია, რომ ვიღაც ავს, ბუზღუნა ბებერს შეუძლია დედის მაგივრობა გამიწიოს.

მის მორღსტონი დაგვექებდა მთელს ბაღში და ბოლოს ორანჟერეაში გვიპოვა. მან საკოცნელად გაუწოდა დორას თავისი დანაოჭებული ლოყა (თუმცა ნაოჭები დიდი გულმოდგინებით იყო შელესილი პუდრით) და დორა იძულებული იყო, ეკოცნა მისთვის. შემდეგ მის მორღსტონმა ხელი გაუყარა დორას მკლავში და ჩვენ ისე გავემართეთ საუზმისთვის, თითქოს ვასაფლავებდით ვისმე.

დღე გავატარეთ წყნარ მყუდროებაში, სტუმრები არ ყოფილან. ჩვენ ისევ დავსვირნობდით ბაღში, ოთხივემ ვისადილეთ და საღამოს ვსინჯავდით წიგნებსა და სურათებს.

ორშაბათს, დიადრიან, ლონდონში დავბრუნდით. მე ვიჯექი საზღვაო სასამართლოში და გულდასმით ვისმენდი მთელი საქმის მსვლელობას, მაგრამ ვერ ვიკისრებ იმის აღწერას, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩემი ჭკუა, და გული მთელი ამ დღის განმავლობაში. ვეცხრლის ნიჩბის სახელურზე, რომელიც სასამართლოს მაგიდაზე იდო, როგორც უმაღლესი საზღვაო სასამართლოს ემბლემა, ვხედავდი დორას, მარტო დორას და სხვას არაფერს!

და არა მარტო ამ დღის განმავლობაში ვოცნებობდი დორაზე, – არა, ამის შემდეგ ყველა დღე ერთიმეორეს ჰგავდა და სასამართლოს ყოველ კრებაზე ერთი და იმავე საკითხით ვიყავი გართული.

ჩემი გატაცების პირველივე კვირის განმავლობაში ვიყიდე ოთხი არაჩვეულებრივი ჟილეტი და დავიწყე სვირნობა ქუჩებში ლაიკის ხელთათმანებით. ახლა რომ შეიძებოდეს იმ ფესსაცმელების შოვნა, რომელსაც ვატარებდი ჩემი ცხოვრების ამ შესანიშნავ ხანაში, და მისი შედარება ჩემი ფეხის ბუნებრივ ზომასთან, მარტო ამ შედარებას შეეძლო დაენახებინა, რა საბრალო და უსათუოდ არაბუნებრივს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი იმჟამად.

ჯერ არავისთვის არ გამეზიარებინა ჩემი საიდუმლოება. აგნესასთან წერილში მხოლოდ გაკვრით აღვნიშნე, რომ „ვიყავი ამ დღეებში სტუმრად მისტერ სპენლოსთან, და რომ მისეტი სპენლოს ოჯახი შედგება მხოლოდ მისი ქალიშვილისგან“. მეტი არაფერი მითქამს. მიუხედავად ამისა, მისის კროპი, არ ვიცი, რა მანქანებით, მიხვდა ჩემს საიდუმლოს – ჩემი გულის გრძობათა განვითარების ამ ადრეულ ხანაშიც კი. აქედან იძულებული ვარ დავასკვნა, რომ მისის კროპი საოცარი გამჭრიახი გონების პატრონი იყო.

## თავი ოცდამეექვსე

### მისტერ მიკობერის ხელთათმანები

მეორე დღეს გადავწყვიტე, წავსულიყავი სადარბაზოდ ტომ ტრედელსთან. ტრედელსი ცხოვრობდა კამდენ-ტაუნში, კოლექსის ახლოს.

მიყრუებულ ქუჩას თავისებური თვისებები ჰქონდა, ტრედელსისთვის სასურველი იქნებოდა, რომ ამ ქუჩას ეს თვისებები არ ჰქონოდა; ქუჩის მცხოვრებლებს აშკარად ეტყობოდათ მიდრეკუება – გადმოეყვანათ ფანჯრიდან ქუჩაში ათასნაირი ხარხახურა, ურომლისოდაც მშვენიერად შეძლოთ იოლად წასვლა შინაურობაში. როდესაც ჩემი მეგობრის ბინას ვეძებდი, ქუჩაში, გარდა კომბოსტოს ფურცლებისა და სხვა ბოსტნეულისა, შევნიშნე ჩექმა, დამტვრეული ქვაბი, ქალის თავსაფარი, ძველი ქოლგა და განადგურების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი მრავალი სხვა ნივთი.

საერთო სანახაობამ მომაგონა ჩემი დიდი ხნის დავიწყებული დღეები, როდესაც მისი და მისტერ მიკობერის საზოგადოებაში ვცხოვრობდი. ყველა სახლი აშენებული იყო ერთ მოუხეშავ ყაიდაზე და ადამიანს მოაგონებდა ვინმე უნიჭო ბავშვის ნახატს, რომელიც ტყუილად ცდილობს, საცხოვრებელი ბინების ხატვა ისწავლოს და იმათ მაგივრად რაღაც ნაჯღაბნი გამოჰყავს ქალაქლზე.

სახლი, რომელშიც ჩემი მეგობარი ცხოვრობდა, მომცრო, ორსართულიანი იყო.

მეორე სართულის ბაქანზე თვით ტომ ტრედელსი დამიხვდა. იგი მომეხვია და სიხარულით შემიყვანა თავის ბინაში. ბინა სუფთა და მოვლილი იყო, მაგრამ ავეჯი ძალიან ღარიბული იდგა; იგი მხოლოდ ერთი ოთახისაგან შედგებოდა. ტომ ტრედელსის მაგიდა სავსე იყო ქაღალდებით, იგი აქ ბეჯითად მუშაობდა თავის ძველ, ნიდაყვებგამოგლეჯილ სერთუკში...

– ტრედელს! – ვუთხარი მე და ხელი ჩამოვართვი. – როგორ მიხარია შენი ნახვა!

– ახლა მე როგორ მიხარია, კოპერფილდ, რომ იცოდე!

– მისტერ უატერბრუკმა მითხრა, თითქოს შენ ვექილობისთვის ემზადები, მართალია?

– დიას, ვემზადები ვექილობისთვის, – მიპასუხა ტრედელსმა და კმაყოფილად ხელები მოიფშვინტა. – საქმე იმაშია, რომ უკვე შევუდექი იურისპუდენციის სისტემატურად და მეთოდურად შესწავლას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ას გირვანქაზე მეტის შოვნა, რომ წარჩინებული კლერკის უფლება მიმეღო. ეს კი სახუმარო საქმე როდია. ასი გირვანქა სტერინგი – სახუმარო საქმე არ არის კოპერფილდ, – გაიმეორა ტრედელსმა.

– მეონი, სიყაწვილეში შენ ვიდაც ბიძა გინახავდა? – ვკითხე მე.

– მართალია, მინახავდა. ჩემი პანსიონიდან გამოსვლის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ოდესღაც იგი მაუდიტა და ტილოებით ვაჭრობდა და თავის მემკვიდრედ დამნიშნა; მაგრამ, როდესაც გავიზარდე, გული აიცრუა ჩემზე, რადგან, მისი სიტყვით, სრულებითაც ისეთი არ გამოვედი, როგორიც უნდოდა. ამიტომ აიღო და თავისი მოახლე შეირთო.

– მერე? შენ რაღა პქენი?

– არაფერი. მე დავრჩი მათთან იმის მოლოდინში, სანამ რაიმე სამსახურში მომატყობდნენ. საუბედუროდ, ბიძაჩემი მოკვდა, მისი ცოლი ყმაწვილ კაცზე გათხოვდა, მე კი, რომ იტყვიან, ბედისანაბარად გამაგდეს. – მაშ შენ არაფერი მიგიღია ბიძაშენის შემდეგ?

– როგორ არა, მივიღე! ორმოცდაათი გირვანქა. არსებითად მე არ მამზადებდნენ არც ერთი რაიმე გარკვეული თანამდებობისათვის და ამიტომ პირველად, მართალი ვითხრა, სრულებით არ ვიცოდი, რა მექნა; მაგრამ იაულერის შვილის შემწეობით, რომელიც ჩვენთან ერთად სწავლობდა სალემის სასწავლებელში, დავიწყე იურიდიული დოკუმენტების გადაწერა. აბა, რასაკვირველია, ამით კაცი თავს ვერ გაიტანდა; ამიტომ მალე შევუდექით სხვადასხვა ქაღალდების შედგენას ვექილების შეკვეთით. საქმე გაიჩარხა. რადგან ამგვარ საქმეებზე მომიხდა მუშაობა, გადავწყვიტე იურისპუდენციის სისტემატური შესწავლა ისე, როგორც ამას სტუდენტები სჩადიან, და ამ შესწავლაზე მივახარჯე მთელი ჩემი ორმოცდაათი გირვანქა. შემდეგ ბედმა გამიღიმა და გავიცანი ერთი ლიტერატორი, რომელიც ენციკლოპედიურ ლექსიკონებს სცემდა. ხედავ ამ ქაღალდებს? ეს სულ ენციკლოპედიური ლექსიკონისთვის დაგროვილი მალასაა. მართალი რომ ვთქვა, კოპერფილდ, ურიგო კომპილატორი არა ვარ, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი ნიჭი არა მაქვს. არა მეონია, კიდევ მოიძებნებოდეს ჩემს გარდა, ყმაწვილი კაცი, ამ ზომამდე მოკლებული ორიგინალურ შემოქმედებით ნიჭს.

აქ ტრედელსი შეჩერდა და ჩემს დასტურს მოელოდა, როდესაც თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად, განაგრძო:

– საოცარია, კოპერფილდ! შენ ისეთივე გულკეთილი ხარ, როგორც სკოლაში იყავი, და შენი სახეც უნებურად გულახდილობას იწვევს. ამიტომ ისიც უნდა გაიგო, ძვირფასო მეგობარო, რომ მე დანიშნული ვარ!

– დანიშნული?!

– ჩემი საცოლვე პასტორის ქალია, დევონშირში ცხოვრობს. მათი ოჯახი ათი სულისგან შედგება. დიას, მშვენიერი ქალია, – განაგრძო ტრედელსმა. – ცოტათი ჩემზე უფროსია, მაგრამ მშვენიერია ყოველმხრივ. ჩვენ, ყვევლია, კარგა დიდხანს მოგვიხდება ასე დანიშნულებად ყოფნა, მაგრამ ჩვენი დევიზია – „მოთმინება და იმედი!“

– სხვა, მგონი, მეტი არაფერი მაქვს შენთვის საამბობი, – დააბოლოვა ტრედელსმა. – როგორცა ჰხედავ, ჯერჯერობით ვცხოვრობ ისე, არც კარგად, არც ავად. პატარა შემოსავალი მაქვს, ხარჯიც პატარაა. სადილი საერთო მაქვს ქვედა სართულის მდგმურებთან. მისის და მისტერ მიკობერებმა იციან ცხოვრება, და მათ საზოგადოებაში ადამიანს არასოდეს არ მოსწყინდება. სასიამოვნო ხალხია!

– ტრედელს! – შევძახე მე სწრაფად. – რას ლაპარაკობ!

ტრედელსმა გაოცებით შემომხედა და, როგორც ჩანდა, ვერ გაეგო, რა დამემართა.

– მისის და მისტერ მიკობერები! მე მათ ძალიან კარგად ვიცნობ!

ამ დროს ვიდაცამ კარებზე ორჯერ დააკაკუნა, – იმგავარად დააკაკუნა, როგორც ათასჯერ გამეგო ვინძორის ტერასზე და როგორც მხოლოდ მისტერ მიკობერს შეეძლო, მთელი დედამიწის ზურგზე არსებულ ქმნილებათა შორის, დარაკუნება კარისა.

ჩემს დანახვაზე მისტერ მიკობერმა ოდნავ თავი დამიკრა და საყელო გაისწორა.

– როგორ ბრძანდებით, მისტერ მიკობერ – ვკითხე მე.

– სერ, – მიპასუხა მისტერ მიკობერმა, – თქვენ ძალიან გულკეთილი ბრძანდებით. მე ვიმყოფები in status quo.

მისტერ მიკობერმა ვერ მიცნო, თუმცა პირისპირ ვიდექით; მაგრამ როდესაც დაინახა ღიმილი ჩემს სახეზე, დამაცქერდა, უეცრად უკან გახტა და შეჰყვირა:

– ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ მე კოპერფილდს ვხედავ? – და ამ სიტყვებთან ერთად მაგრად მართლევდა ხელს.

– როგორც ბრძანდებიან ჩვენი კეთილი მეგობრები – დოქტორი სტრონგი და ყველა ჩვენი კენტერბერის ნაცნობი? – მკითხა მისტერ მიკობერმა.

– ყველანი კარგად არიან, როგორც მწერენ.

– ო, მე აღტაცებული ვარ ამ ცნობებისაგან. ძვირფასო კოპერფილდ, თქვენ გვხვდებით იმ მდგომარეობაში, რომელსაც, სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, გაჭირვებული მდგომარეობა ჰქვია; მაგრამ თქვენ უკვე იცით მრავალი შემთხვევიდან, რომ შეჩვეული ვარ ამგვარ დაბრკოლებათა შებრძოლებას და გამარჯვებას. თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენს მდგომარეობაში ყოფილა ისეთი ხანა, როდესაც საქმეთა ვითარების გამო მიხდებოდა ჩემი ჩვეულებრივი მოღვაწეობის შეჩერება და ველოდი შესაძლებელ ცვილებებს გარემოებათა სწრაფ სრბოლაში. მაშინ ვიხვედი უკან, ვიცდიდი და დაკვირვებით ვემზადებოდი საგმირო მოქმედებისათვის. მაჟამად სწორედ ასეთ გარდამავალ ხანაში ვიმყოფები: უკან ვიხევ, ახალ ძალ-ღონეს ვიკრებ და საბოლოოდ ვიმაგრებ გულს, რათა გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგა.

მე ჩემი სრული სიამოვნება გამოვთქვი, როდესაც ოთახში მისის მიკობერი შემოვიდა. ჩვენ დაახლოებით ნახევარი საათი გავატარეთ მხიარულ ბაასში და ვიგონებდით ძველ, ბედნიერ დროს. სხვათა შორის, მე გავიგე, რომ მიკობერების ტყუპები „ჰყვავიან“ და რომ მასტერ და მის მიკობერები „ნამდვილი ბუმბერაზები“ გაიზარდნენ, თუმცა ამჯერზე ისინი არ უჩვენებიათ ჩემთვის.

მისტერ მიკობერი მეხვეწებოდა სადილად დარჩენას. მე არა მქონდა რა საწინააღმდეგო, მაგრამ მისის მიკობერის თვალეში ადვილად დავინახე, რომ მათი ტაბლა მეტად მცირე იყო უცხო სტუმრისთვის. ამიტომ ვუთხარი, რომ სხვა ადგილას ვარ მიწვეული სადილად-მეთქი, და ჩემმა უარმა ერთ წამში ალადგინა მისის მიკობერის სულის სიმშვიდე.

დარბაზობის ბოლოს ვთხოვე ტრედელსა და მიკობერს თავისი მეუღლით – დაენიშნათ დღე, რომდესაც მობრძანდებოდნენ ჩემთან სადილზე.

დანიშნულ დღეს და საათს სამივე სტუმარი გამოცხადდა. მისტერ მიკობერის საყველო თოვლივით ბზინავდა, ლორწეტი ახალ ლენტზე ეკიდა. მისის მიკობერს მშვენიერი ქუდი ეხურა, ცოტათი გახუნებული, მაგრამ მას თან თავსაფარიც ჰქონდა, ყავისფერ ყუთში ჩადებული. ტრედელს ერთ ხელში ყუთი ეჭირა, მეორე ხელით მისის მიკობერს შველოდა. ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ ჩემი ბინისაგან.

მე მგონია, მისის კორპს სადილის გაკეთების დროს თავისი ჩვეულებრივი კრუნჩხვა დაემართა, რადგან ყველა საჭმელი სრულებით გაფუჭებული იყო. ცხვრის ხორცი, შიგნიდან უმი, ძალიან მკრთალად გამოიყურებოდა გარედან. ამასთანავე მის ზედაპირზე რაღაც უცნაური ნივთიერება მოსჩანდა ფერფლისებრი, თითქოს ნაცარი დაჰყოფდა ჩემი დიასახლისისი შესანიშნავ ღუმელში. მტრედებიან ნამცხვარს გარედან არა უშავდა რა, მაგრამ უფრო ახლოს გასინჯვის დროს გამოირკვა, რომ რაღაც ფანტასტიკური ნამცხვარი იყო: მისი ზედაპირი, ფრენოლოგიურად რომ ვთქვათ, მრუდედ მოყვანილ თავის ქალას წარმოადგენდა; ზედ მარვალი კორძები და ბორცვები ჰქონდა. მაგრამ ამ უცნაურ გარეკანის ქვეშ თითქმის ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ერთი სიტყვით, ვერაფერი ბანკეტი გამოვიდა და, რასაკვირველია, სრულებით უბედურად ვგრძნობდი თავს, მაგრამ სტუმრებმა საოცარი მოხერხებით გამომიყვანეს ამ მძიმე მდგომარეობიდან, და მისტერ მიკობერის ბრწყინვალე იდეამ გამოასწორა მთელი საქმე.

– ნება მიბოძეთ შევნიშნო, – განაცხადა მან, – რომ ჩემს ხანგრძლივ დაკვირვებზე დამყარებული აზრით, არაფერი არ სჯობს პილპილით შეზავებულ საჭმელს. ამგვარი საჭმელი ახლაც შეიძლება გაკეთდეს. ვისარგებლოთ შრომის განაწილების თეორიით. მოიტანონ მაყალი და თქვენი დახმარებით ვკისრულობ, ისეთი საჭმელი მოგიმზადოთ, რომელიც სავსებით დაგავიწყებთ ცუდი მზარეულის უთაურობას.

მაყალი მოიტანეს, ყველანი ვეცადეთ სისრულეში მოგვეყვანა მისტერ მიკობერის იდეა. ვფუსფუსებდით, წინ და უკან დავრბოდით, ვჭრიდით, ვაცხელებდით, ვამარილებდით, ვსინჯავდით, ვხუმრობდით, ვიცინოდით და მალე ამ აურზაურში ცხვრის ფეხისაგან მხოლოდ ერთი ძვალიდა დარჩა.

– თუ არ ვცდები, მისტერ კოპერფილს, – თქვა მისის მიკობერმა და თან პუნშს წრუპავდა, – აქ ჩვენ, ყველანი ახლობელი მეგობრები ვართ და, რასაკვირველია, მათ შორის ტრედელსიც, რადგან იგი, დიდი ხანია, ჩვენი ოჯახის წევრი გახდა, ამიტომ მინდოდა თქვენი საერთო აზრი გამეგო ჩემი ქმრის გეგმებისა და იმედების შესახებ. ამჟამად შეგყურებ ქვეყნიერებას და ვკითხულობ: „სად ვეძიოთ მასში იმგვარი მოღვაწეობის დარგი, სადაც მისტერ მიკობერის ნიჭს მიეცემა სრული ბრწყინვალეობით გავითარების საშუალება. ერთხელ და სამუდამოდ უარს ვაცხადებ ყოველგვარი კომისიების წინააღმდეგ, რადგან კომისიები საიმედო საქმე არ არის, მისტერ მიკობერი კი იმგვარი ნიჭის პატრონია, რომ მას არავითარი რისკი არ უნდა მოელოდეს. არ დაგიმაღლავთ, მისტერ კოპერფილდ, რომ დიდი ხნით ადრე შევაჩერე ჩემი ყურადღება ლუდის ქარხანაზე, რადგან, ჩემი აზრით, ლუდით ვაჭრობა ზედ გამოჭრილია ჩემს ქმარზე. მაგრამ რას იზამ? ჩემი რჩევით მისტერ მიკობერმა არა ერთხელ მიმართა ამგვარ ფირმებს, მაგრამ ამაყი ნეგოციანტები საოცარი სიჯიუტით უარყოფენ მისტერ მიკობერის წინადადებას და პასუხსაც კი არ აღირსებენ. მაშასადამე, არა ღირს ამ გეგმაზე შეჩერება.

– კმ! სწორე გითხრა, გენაცვალე... – გააწყვეტინა მისტერ მიკობერმა.

– ჩემო მეგობარო, გთხოვ დამაცადო, – უთხრა მისის მიკობერმა და თავისი რბილი ხელთათმანები მის ხელს დაადო. – ღრმად დარწმუნებული ვარ, მისტერ კოპერფილდ, რომ ჩემი ქმარი მშვენიერი ბანკირი იქნებოდა, გარემოებანი ხელს რომ უწყობდნენ. პირადად მე რომ თანხა მქონდეს, სრული ნდობით შევიტანდი

მას იმ საბანკო სახლში, რომელსაც სათავეში ყვოლებოდა მისტერ მიკობერის ნიჭით აღჭურვილი ადამიანი. მაგრამ, თუ ყველა აქაური ბანკირი დაუინებით უარს აცხადებს იმაზე, რომ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ მისტერ მიკობერის ნიჭი და ზიზღითაც კი უკუაგდებენ მის წინადადებას, – საჭიროა თუ არა ამ იდეაზე შეჩერება? რასაკვირველია, არა. და აი, მისტერ მიკობერი – ადამიანი, შემკული ათასგვარი ნიჭით... ადამიანი დიდი ნიჭით... მე გავბედავ ვთქვა, – გენიოსი ადამიანი, თუ არ ჩამითვლით მეუღლის გადაჭარბებად...

მე და ტრედელსმა დავარწმუნეთ, რომ აქ არავითარი გადაჭარბება არ არიას.

– მიუხედავად ამისა, როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, მისტერ მიკობერი უადგილოდ არის და, რაც ყველაზე უარესია, უფულოდ. უნებურად იბადება კითხვა: ვინ არის ყოველივე ამის პასუხისმგებელი? ცხადია – საზოგადოება! მერე რა არის საჭირო ამ შემთხვევაში? ჩემის აზრით, საჭიროა მიკობერმა აცნობოს საზოგადოებას ეს სამწუხარო მოვლენა და ურჩიოს მას – გამოასწოროს თავისი შეცდომა. რამდენიც არ ვიფიქრე ამ საგანზე, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, ჩემი საბოლოო დასკვნა ერთი და იგივეა. მისტერ მიკობერმა უნდა გადაუგდოს საზოგადოებას თავისი რაინდული ხელთათმანი და უთხრას კეთილშობილური გაბედულებით: „რომელი თქვენგანი აპირებს ამ ხელთათმანის აღებას? მაჩვენე ეს ადამიანი. დაე ჩემი მეტოქე წინ გამოვიდეს!“

მე გავბედე მეკითხა – რა სახით შესძლებდა მისტერ მიკობერი ამის ჩადენას?

– როგორ? ვერ მიხვდით? მისტერ მიკობერმა განცხადება უნდა დაბეჭდოს თავის შესახებ ყველა ინგლისურ გაზეთში, მისტერ მიკობერმა უნდა გამოაცხადოს: „აბა, ახლა მომიხმარეთ, რა საქმისთვისაც გსურდეთ, შრომის წესიერი დაჯილდოებით. მისამართი – ვილკინს მიკობერს კამდენ-ტაუნში“.

– განცხადება, მგონია, ძალიან ძვირი ღირს, – შევნიშნე მე ერთგვარი ეჭვით.

– დიას, თქვენ მართაღს ბრძანებთ! – დამიდასტურა მისის მიკობერმა და თან სასტიკად იცავდა ლოგიკურ თანმიმდევრობას აზრთა მსვლელობაში. – აი სწორედ უმთავრესად ამ მიზეზის გამო აუცილებლად მიმაჩნია, რომ მისტერ მიკობერმა ვალად აიღოს გარკვეული თანხა თამასუქით. მოიგონეთ, რომ ამას მოითხოვს სამართლიანობა მისდამი, მისი ოჯახისადმი, და აუცილებელი მოვალეობა სამართლიანობისა თვით საზოგადოებისადმი.

მისტერ მიკობერი, სავარძელში გადაწოლილი, ღორწეცს ათამაშებდა და ჭერს შესცქეროდა; მაგრამ შევნიშნე, რომ ამავე დროს თვალს ადევნებდა ტრედელსაც, რომელიც ამ დროს ცეცხლს მისჩერებოდა.

– ჩემი ოჯახის წევრები უარს აცხადებენ ყოველგვარ ნათესაურ გრძნობაზე და არ უნდათ ამ საქმეში დაგვეხმარნონ, – განაგრძო მისის მიკობერმა. – რას იზამ? ჩემი აზრის გამოსახატავად არსებობს გარკვეული კომერციული ტერმინი...

– თამასუქის განაღდება, – მიეშველა მისტერ მიკობერი და თან ჭერს შესცქეროდა.

– დიას, წავიდეს სიტიში და თამასუქი გაანადღოს, – გადაჭრით დააბოლოვა მისის მიკობერმა.

ამის შემდეგ მისის მიკობერმა აღარ ისურვა მონაწილეობის მიღება ჩვენს ქეიფში და ჩემს საწოლ ოთახში გავიდა. მე განვიმსჭვალე აზრით, რომ მისის მიკობერი დიდებული ქალია, კეთილშობილ რომაელ დედათა მოდგმისა, რომელნიც განთქმულნი იყვნენ თავიანთი გმირული საქმეებით.

ამ შთაბეჭდულებით აღსავსემ, სულითა და გულით მივულოცე მისტერ მიკობერს ის დაუფასებელი საუნჯე, რომელიც მას ერგო მეუღლის სახით. ტრედელსმაც მიულოცა. მისტერ მიკობერმა სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი და შემდეგ სახეზე მიიფარა ცხვირსახოცი, რომელიც, თუ არ ვცდები, მთლად თამბაქოთი იყო გასვრილი. ამის შემდეგ ბედნიერებით აღსავსე მისტერ მიკობერი ისევ პუნშს დაბრუნდა და მჭერმეტყველებამ მის ბაგეთაგან მძლავრ ნაკადად გადმოხეთქა.

დაახლოებით თორთმეტი საათი იყო, როდესაც მისის მიკობერმა თავსაფარი ყუთში ჩადო და ქუდი დაიხურა. როდესაც ტრედელსი პალტოს იცვამდა, მისტერ მიკობერმა ისარგებლა შემთხვევით და წერილი გადმომცა, რომელიც, მისი თხოვნის თანახმად, თავისუფალ დროს უნდა წამეკითხა... შემდეგ გავაცილე ჩემი სტუმრები და სანთლით ხელში მოაჯირზე გადამდგარმა კიბე გავუნათე.

უკან დაბრუნებისას ბუხარს მიუჯექი და ჩაუფიქრდი იმ უცნაურ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა ჩემსა და მისტერ მიკობერს შორის; ვფიქრობდი ამ ადამიანის უცნაურ ხასიათზე. ერთი წუთის შემდეგ კიბეზე ვიდაცის ჩქარი ფეხის ხმა მოისმა. ჯერ გავიფიქრე, რომ ეს ტრედელსი ბრუნდება მისის მიკობერის რაიმე დარჩენილ ნივთისთვის-მეთქი, მაგრამ ჩემი გული უფრო სწრაფად აძგერდა, როდესაც სტირფორდი დავინახე.

აგნესას სიტყვები სტირფორდის შესახებ ღრმად ჩამივარდა გულში, თვით აგნესაც ჩემი ფიქრის მუდმივი საგანი იყო. მაგრამ, როდესაც სტირფორდი შემოვიდა და ხელი გამომიწოდა, შემრცხვა იმისი, რომ ეჭვი შევიტანე მეგობარში, რომის სიყვარული და პატივისცემა ბავშვობიდანვე გულში მქონდა ჩანერგილი.

– ა, დეზი! ჰაი, შე ლოთო, შენა! – მხიარულად შესძახა სტირფორდმა. – მგონია, ისევ ქეიფზე მოგისწარი!

– მე ისე ვარ გოცეპული, სტირფორდ, რომ სალამის მოცემა დამავიწყდა, – ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

– აბა, როგორ ხარ, ბახუსის ნორჩო თაყვანისმცემელო?

– ძალიან კარგად, და დღეს, ყოველ შემთხვევაში, ბახუსისათვის თაყვანი არ მიცია, თუმცა შენ ცოტას გაგსცდა, არ შეხვდი აქ სამ სტუმარს.

მან გამიღიმა, ოღნავ თავი დამიქნია და მკითხა, ხომ არა მაქვს-რა საჭმელი? მე გამოვიღე კარადიდან ნამცხვარი მტრედებით.

– ოჰო! დევი! ეს ხომ ნამდვილი მეფური ვახშამია! – შესძახა სტირფორდმა და მაგიდას იუჯდა. – ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ეს არის ახლა დავბრუნდი იარმაუთიდან.

– მართლა? მე კი მეგონა, ოქსფორდიდან მოხვედი.

– არა, მე მეზღვაურის ხელოვნებას ვსწავლობდი: ეს უკეთესია, ვიდრე ოქსფორდის ლექციები.

– დიდი ხანი იყავი იქ?

– არა, სამი თუ ოთხი დღე.

– როგორ არიან ჩვენი მეგობრები? როგორ არის ემი? ჯერ ხომ არ გათხოვილა?

– ჯერ არა.

– ხომ არ გავიგია, როდის არის-მეთქი მათი ქორწილი?

– მგონი, ერთი კვირის შემდეგ, თუ ერთი თვისა, ან ორისა, მართალი გითხრა, არ ვიცი დანამდვილებით. მე თითქმის არ მინახავს ისინი. მართლა, წერილი მაქვს შენთან.

მან დადო დანა-ჩანგალი და წერილის ძებნა დაიწყო ჯიბეებში.

– ვისგან? – ვკითხე მე.

– რასაკვირველია, შენი ბებერი გადიასაგან, – მიპასუხა მან და რაღაც ქაღალდები ამოათლია ჯიბიდან. – „ჯონ სტირფორდს, ესკვიარს, „მხიარული თავის“ სასტუმროში“. არა, ეს არ არის. მოითმინე, ახლავე ვიპოვი.

წერილი ჩემი კეთილი პეგოტისგან იყო, დაწერილი წარმოდგენელის ასოებით. იგი მატყობინებდა, რომ მისი ქმარი უიმედო მდგომარეობაშია; თან აღნიშნავდა, რომ ბარკისი ამ ბოლო დროს უფრო ხელმოჭერული გახდა, ვიდრე წინ, და ამის გამო პეგოტი მოკლებული იყო საშუალებას ისე მოეწყო მისთვის, როგორც საჭიროა. პეგოტი არას ამბობდა უძილო ღამეებზე და დიდი ქებით იხსენიებდა საბრალო ავადმყოფს. წერილი დასრულებული იყო გულწრფელი სიყვარულის გამოცხადებით და უმდაბლესი მოკითხვით.



იმ დროს, როდესაც ამ იეროგლიფებს ვარჩევდი, სტირფორდი განაგრძობდა ჭამა-სმას.

– უსიამოვნო ამბავია, – მთხრა მან, როდესაც კითხვა გავათავე, – მაგრამ რას იზამ! მზე ყოველდღე ჩადის და ადამიანები ყოველ წუთში კვდებიან. საერთო ხვედრი არავის არ უნდა აშინებდეს. თუ ჩვენ შევყოყმანდებით შევდგათ ფეხი უზანგში, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილმა კარი დაარახუნა, მაშინ ყველაფერი წასულია. არა, ჩემო მეგობარო! გასწი წინ შენს რაშზე! მოუჭირე დეზები, სადაც საჭიროა და ნუ დაეცემი სულით ნურასოდეს, თავგამოდებით გაჰქუსლე სულ წინ, გადალახე ყველა დაბრკოლება და გამარჯვება შენია!

იგი შეჩერდა, დაისხა ღვინო, ცოტათი უკან გადახარა თავისი მშვენიერი თავი და შემომხედა. მისი სახე, ოდნავ მზემოკიდებული, ზღვის ჰაერის სიახლით იყო აღსავსე.

– მომისმინე, სტირფორდო, – ვუთხარი მე, – შენი გონება, მგონია, ღრუბლებში დაჰქრის, მაგრამ თუ დაეშვები მაგ ციური სფეროდან და ჩემს მოსმენას მოისურვებ...

– სადაც გასურს იქ დავეშვები, – მიპასუხა მხიარულად და ისევ ბუხარს მიუჯდა. – სთქვი, მთლად შენს განკარგულებაში ვარ, დევი.

– აი საქმე რაშია, სტირფორდო. ჩემის აზრით, ძალიან კარგს ვიზამ, თუ ჩემს ბებერ გადიას ვინახულებ. ჩემი იქ ყოფნა, უეჭველია, დიდი ნუგეში იქნება მისთვის.

სტირფორდის სახემ ჩაფიქრებული გამომეყველება მიიღო და, სანამ პასუხს გამცემდა, როგორ ჩანდა, ცდილობდა, წესრიგში მოეყვანა თავისი აზრები.

– კარგი, წადი! – მითხრა მან ბოლოს. – შენ არ შეგიძლია ზიანის მიყენება.

– დიახ, წავალ, მაგრამ, მგონი, ზედმეტია თხოვნა, რომ შენც მიიღო მონაწილეობა ამ მოგზაურობაში, რადგან ეს არის ახლა დაბრუნდი იარმაუთიდან.

– რასაკვირველია, მე ახლა პირდაპირ ჰაიგეტში მივდივარ დედას სანახავად. მართლა! შენ ხვალ გინდა წახვიდე? – მკითხა სტირფორდმა და ხელი მხარზე დამადო.

– დიახ, ხვალ.

– მოდი, ზეგამდე გადადე შენი მოგზაურობა. მინდოდა რამდენიმე დღით ჩემთან მომეწვიე. როგორც გინდა, დევი, მაგრამ ხვალინდელი დღე შენ ჩვენს სახლში უნდა გაატარო. რამდენიმე საათით მაინც წამოდი. ვინ იცის, როდის და სად მოგვიხდეს კიდევ ერთმანეთის ნახვა... იარმაუთი არსად არ გაიქცევა. აუცილებლად საჭიროა, რომ შენ ჩაგდე ჩემსა და როზა დარტლს შორის. მე ვითხოვ შენგან ამ დახმარებას, დევი.

– რაო? განა თქვენ ძალიან გიყვართ ერთმანეთი?

– გვიყვარს თუ გეძულს, სულ ერთია, ოღონდ, გეთაყვა, დევი, გადადე ზეგისთვის შენი წასვლა.

მე ზეგისთვის გადავდე ჩემო მოგზაურობა იარმაუთში. მალე ამ ლაპარაკის შემდეგ სტირფორდმა ჩაიცვა პალტო, მოუკიდა სიგარას და წავიდა.

როდესაც ტანისამოსს ვიხდიდი ჩემს საწოლ ოთახში, ჯიბიდან მიკობერის წერილი ამომვარდა და მხოლოდ მაშინ მომაგონდა იგი.

„სერ (მე ვერ ვბედავ გიწოდოთ ძვირფასი მისტერ კოპერფილდი)! უნდა მოგახსენოთ, რომ ქვემოთ ხელმომწერი საბოლოოდ განადგურებულია. მე არ მინდოდა მეთქვა ეს თქვენთვის დღეს დილით და ამეხსნა ყველა გარემოება, ჩემს ჰორიზონტზე გაჰქრა ყოველი იმედი და ქვემოთ ხელისმომწერი საბოლოოდ დაიდუპა.

ამ წერილს წერს ადამიანი, რომელმაც სრულებით დაჰკარგა თავი და ვისი ბედიც ჩარჩების ხელშია. ამ ადამიანს არ შეუძლია შეიტანოს ქირა იმ ბინისა, რომელშიც ცხოვრობს და ამიტომ მისი ქონება აღწერილია. სიაში შეტანილია არა

მარტო ქვემოთ ხელისმომწერის ყველა ნივთი, არამედ მოძრავი ქონება მისი მდგმურისა, მისტერ ტრედელსისა, მათი ოჯახის პატივცემული წევრისა.

ქვემოთ ხელისმომწერის ბაგესთან, უკვდავი პოეტის სიტყვით, მიტანილია მწარე სასმელი, რომელსაც მხოლოდ ერთი წვეთიდა აკლია. ზემოთ მოხსენებულმა მისტერ ტომას რედელსმა იკისრა, გადაიხადოს ჩემს მაგივრად 23 გირვანქა, 4 შილინდი და 9 1/2 პენსი, მაგრამ უზრუნველყოფა არ მიუღია; და თუმცა მთელი პასუხისგება ქვემოთ ხელისმომწერს ედება, თანხის სიდიდის გამო ერთი მსხვერპლის მაგივრად – ორი იქნება, და ეს მოხდება არაუგვიანეს, ვიდრე მთვარე ექვსჯერ გაივსება და დაცხრება.

ამ საქმის დაწვრილებით მოხსენების შემდეგ ზედმეტად მიმაჩნია დავუმატო, რომ დღეიდან მტკერი და ნაცარი სამარადისოდ თავს ეყრება

ბედისგან დამარცხებულს და ბედისწერისაგან მოკლულს.  
ვილკინს მიკობერს“.

საბრალო ტრედელსი! გამოცდილებით ვიცოდი, რომ მიკობერი, ასე თუ ისე, თავს დაადწვედა ბედის უკუღმართობას; მაგრამ საბრალო ტრედელსი მეცოდებოდა და მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი.

## თავი ოცდამეშვიდე

### მეორე დარბაზობა სტირფორდთან

მეორე დღეს, დილითვე, როდესაც მივედი სამსახურში დოქტორთა კოლეგიაში, გამოვუცხადე მისტერ სპენლოს, რომ მოულოდნელ გარემოებათა გამო იძულებული ვარ წავიდე მოკლე ხნით. მე დამითხოვეს ყოველივე დაბრკოლების გარეშე, რადგან უჯამაგიროდ ვმსახურობდი და, მაშასადამე, არ ვემორჩილებოდი ამ მხრივ ჯორკინსის განკარგულებას, რომელიც უღმობელი იყო ყველა კლერკის მიმართ. მისტერ სპენლოსთან ლაპარაკის დროს ვისარგებლე შემთხვევით და ვიკითხე, როგორ ბრძანდება მის სპენლო-მეთქი. ხმა მიკანკალებდა ამ კითხვაზე, მაგრამ მისტერ სპენლომ მაღლობა გადამიხადა ყურადღებისთვის და ამითხრა, რომ ჩემი ქალი ძალიან კარგად გრძნობს თავსო. ყოველივე ეს ისეთი სადა და უმნიშვნელო კილოთი მიპასუხა, თითქოს ლაპარაკი სულ უბრალო ადამიანზე ყოფილიყო.

მისის სტირფორდს გაუხარდა ჩემი ნახვა; როზა დარტლსაც აგრეთვე. ლიტმერი, ჩემდა სასიამოვნოდ, სახლში არ იყო. ჩემი მისვლის დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ შევნიშნე, რომ როზა დარტლი მიდარაჯებდა ყურადღებით და დაუინებით. რამდენჯერაც კი მივმართე მას, შემთხვევით თუ განგებ, მისი შავი თვალები აუცილებლად ჯერ მე დამაშტერდებოდნენ, ან ორივეს ერთბაშად თვალს მოგვაავლებდა. ტყუილად ვეცადე, მეჩვენებინა მისთვის, რომ მე ვხედავ, როგორ აწარმოებს იგი თავის ზვერვას. მის დარტლი არ შემკრთალა და არ შერცხვინია. იგი ისევ საოცარი დაკვირვებით მაშტერებდა ფოცხვერისებურ, გამჭრიახ თვალებს.

ასე ჩანდა, რომ მთელი სახლი მისი აღელვებული დაკვირვების საგანი იყო ამ დღის განავლობაში. თუ მე და სტირფორდი ვლაპარაკობდით ოთახში, უახლოეს დერეფანში აუცილებლად ისმოდა მის დარტლის კაბის შრიალი. როდესაც მე და სტირფორდი გავიდოდით სახლიდან მინდორზე, თამაშობაში სავარჯიშოდ, მის დარტლი მეტეორივით სწრაფად დაჰქროდა ერთი ფანჯრიდან მეორემდე, სანამ არ დამკვიდრდებოდა ერთ სადარაჯო ადგილზე.

სადილის წინ ოთხივენი სასეირნოდ გავედით. როგორც კი მოვცილდით სახლს რამდენიმე ნაბიჯით, მის დარტლმა სწრაფად წამავლო მკლავში თავისი მჭლე ხელი და შემაჩერა. როდესაც სტირფორდი და მისი დედა თვალსაჩინო მანძილზე მოგვმორდნენ, მის დარტლმა, რომელსაც აღარ ეშინოდა რომ მის ლაპარაკს გაიგებდნენ, ამგვარი ბაასი დაიწყო:

– დიდი ხანია არ ყოფილხართ ჩვენსას, მისტერ კოპერფილდ! რად მოხდა ეს? ნუთუ თქვენი სამსახური იმდენად საინტერესოა ყმაწვილი კაცისთვის, რომ მთელს თქვენს ყურადღებას იპყრობს? ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ ყველაფერი დაწვრილებით მინდა გავიგო, რადგან არაფერ არა ვიცი-რა. სამართლიანად ვფიქრობ? ჰა?

მე ვუპასუხე, რომ სამსახურს მართლაც აქვს ბევრი საინტერესო მხარე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არა მაქვს განსაკურებული სიყვარული ჩემი თანამდებობისა.

– მართლა? აჰ, რა მოხარული ვარ! – მითხრა მის დარტლმა. – მაშ ვცდებოდი და თქვენ ახლა გამოგყევართ სწორ გზაზე. სასიამოვნოა შეცდომების აღიარება. იქნებ თქვენი სამსახური ცოტათი უინტერესოა-მეთქი, მისტერ კოპერფილდ?

მე ვუპასუხე, რომ მართლაც ცოტათი უინტერესო იყო.

– მართლა? მეც სწორედ ასე ვფიქრობდი. სრულებით ბუნებრივია, მაშასადამე, თუ თქვენ ეძებთ ერთგვარ გასართობს, სიამოვნებას, ცვლილებას. ასეც უნდა იყოს. მაგრამ მისთვის, იცით, იქნებ ეს მეტისმეტია, – ჰა? მე ვამბობ – მისთვის, და არა თქვენთვის, – ჰა?

სწრაფმა გახედვამ იმ მხარეს, სადაც დასეირნობდნენ სტირფორდი და მისი დედა, ცხადად დამანახა, ვის შესახებაც იყო ლაპარაკი; მაგრამ აი ყველაფერი ის, რაც აღამიანს შეეძლო გაეგო მისი სიტყვებიდან. ჩემი მისკენ მიმართული თვალები, უეჭველია, დიდ გაოცებას გამოხატავდნენ.

– იქნებ ეს უკვე მეტისმეტია? მე არაფერს ვამტკიცებ, მისტერ კოპერფილდ, მხოლოდ ვფიქრობ, ვვარაუდობ, იქნებ ეს ძალიან ართობს მას, არა? და სწორედ ამიტომ ხომ არ ხდება, რომ ბოლო დროს იგი ასე იშვიათად ნახულობს ამ ბრძანსავით მინდობილს... არა?

დედა-შვილისკენ გატყორცნილი მზერა ისევ ჩემსკენ მობრუნდა სწრაფად. როგორც ჩანდა, მის დარტლი ცდილობდა, გაეგო ჩემი იდუმალი ფიქრები.

– აჰ, მის დარტლ, – ვუპასუხე მე, – ნუ იფიქრებთ, გეთაყვა...

– მე არც ვფიქრობ რასმე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მისტერ კოპერფილდ. ან რად მოგეჩვენათ, თითქოს ვფიქრობდე რასმე? არა, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. მე არ ვარ ეჭვიანი. მე მხოლოდ ვკითხულობ – და სხვა არაფერი. არავითარი გადაჭრილი აზრი არ მაქვს. ჩემი აზრი დამყარებული იქნება მხოლოდ იმაზე, რასაც თქვენ მეტყვით. მაშ ეს ასე არ არის? დიდად მოხარული ვარ.

– თუ სტირფორდი ბოლო დროს ჩვეულებრივზე იშვიათად მოდის სახლში, ეს ვერაფრით ვერ ამისხნია ჩემი მხრით, ეს არც კი ვიცოდი ამ წუთამდე და თქვენ პირველმა მითხარით. არ მინახავს იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში, წუხანდელ საღამომდე.

– მართლა?

– დიახ, მის დარტლ.

უეცრად მას სახე გაუფითრდა და ძველი ჭრილობის ნიშანმა გაიწია მთელს სიგრძეზე, ზემო ტუჩუდან ქვემოზე, ნიკაპამდის. მე პირდაპირ შემეშინდა ამ სიმახინჯისა და უნებურად შევეკრთი, როდესაც მან დამაშტერა თავისი გამჭვალავი თვალები და წაილაპარაკა:

– მაშ რას აკეთებს?

უნებურად გავიმეორე მისი სიტყვები უფრო ჩემთვის, ვიდრე იმისთვის.

– მაშ რას აკეთებს? – წარმოთქვა მან ისეთის აფეთქებით, თითქოს გულზე ალი ეკიდებოდა. – რაში ეხმარება მას ეს ადამიანი, რომლის ჩემდამი მომართულ თვალეში მუდამ ვამჩნევ რაღაც მიუწვდომელი ცბიერების, ეშმაკობისა და სიცრუის გამომეტყველებას? თუ თქვენი გული სავსეა გულწრფელი მეგობრობითა და კეთილშობილებით, სრულებით იმისთვის არ გეკითხებით, რომ თქვენ უღალატოთ თქვენს მეგობარს, მიპასუხეთ მხოლოდ ერთს კითხვაზე: რითი ხელმძღვანელობს ეს ადამიანი თავის მოქმედებაში? წყრომით? სიძულვილით? მუსვენარი დაუდგარობით? თუ რაიმე თავშეუკავებელი, დამთხვეული ჟინიანობით, ან ქინებ სიყვარულით?

– მის დარტლ, – ვუპასუხე მე, – როგორ დაგარწმუნოთ, რომ ჩემთვის სტირფორდი სრულებით ისეთივეა, როგორც უწინ იყო, როდესაც პირველად მოვედი ამ სახლში! ჩემის აზრით, მასში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. არაფრის ეჭვი არ მაქვს, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ არც არის რამე საეჭვო. არც კი მესმის, რაზე ლაპარაკობთ!

მან ისევ დამაშტერა თავისი შავი თვალები და შევნიშნე, რომ მისი ჭრილობა გაინძრა და საშინლად ათამაშდა. თითქოს იგი ისევ ხელახლა დასჭრესო. მისი ზედა ტუჩი აიწია და გასივდა, თითქოს სიბრალულსა და ზიზღს გამოხატავდა ერთსა და იმავე დროს. მან საჩქაროდ მიიფარა ჭრილობაზე თავისი წვერილი, ფაიფურივით გამჭვირვალე ხელი და პირიდან წამოსკდა სიტყვები წარმოუთქმელი მძლავრი და აბობქრებული გრძნობებით:

– მაშ ყოველივე ეს საიდუმლოდ დარჩეს ჩვენს შორის!

და ამის მეტი აღარაფერი არ გამიგია მის დარტლისაგან მთელი ამ სეირნობის დროს.

სტირფორდი-დედა განსაკუთრებით ბედნიერი იყო იმ დღეს თავისი შვილის საზოგადოებაში, შვილიც განსაკუთრებული ყურადღებითა და თავაზიანობით იყო აღსავსე დედისადმი. დედა და შვილი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთგვარი სიამაყით აღბეჭდილი მდეღვარება, რომელიც ახასიათებდა ყმაწვილ ჯენტლმენს, შეცვლილი იყო ხნიერი ლედის პიროვნებაში საკუთარი ღირსების წყნარი და დამშვიდებული გრძნობით. არა ერთხელ, გატაცებულს მათი ცქერით, მიფიქრია და გულში მადლობა გადამიხდია ბედისთვის, რომ არ იყო და, რასაკვირველია, შეუძლებელია ყოფილიყო რაიმე სერიოზული მიზეზი მათ შორის განხეთქილებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ორი ხასიათის – ან, უკეთ რომ ვთქვათ, ერთი და იმავე ბუნების ორი აჩრდილის შერიგება მეტისმეტად ძნელი იქნებოდა.

– აჰ, მართლა, მითხარით რამე... მე მთელი დღე ვფიქრობ ამაზე და ძალიან მინდა ვიცოდე, – დაიწყო როზა დარტლმა, როდესაც სუფრაზე დაესხედით.

– რა გინდათ, რომ იცოდეთ? – ჰკითხა მისის სტირფორდმა. – დაანებეთ თავი მაგ იდუმალებას, როზა, გთხოვთ.

– იდუმალებას? აჰ მართლა? რას ბრძანებთ! ნუთუ თქვენ მართლაც იდუმალებას მომაწერთ?

– ეს იდუმალება ურთიერთობაში თქვენთვის მეორე ბუნებად გადაიქცა, – განაგრძო მისის სტირფორდმა არც ისეთის უკმაყოფილებით, – მაგრამ მახსოვს, და, რასაკვირველია, თქვენ თვითონაც კარგად გახსოვთ, რომ უწინ არ გემჩნეოდათ მიდრეკილება ამ უცნაურ გამოცანებისადმი. მაშინ გაცილებით უფრო გულახდილი იყავით ჩვენთან და სრულებით არ ფრთხილობდით ისე, როგორც ახლა.

– ო, დიახ, რასაკვირველია, თქვენ სრულ სიმართლეს ბრძანებთ, – უპასუხა როზა დარტლმა. – რა ვქნა! როგორც ჰხედავთ, ცუდი ჩვეულებები ფესვებს იკიდებს ჩემში. შეხედეთ ერთი! როგორ მოხდა, რომ შეუმჩნეველად გამოვიცვალე? მეს მეტად საკვირველია. ვეცდები, ისევ ისეთი ვიყო, როგორც უწინ. ოღონდ

ვისგან ავიღო მაგალითი? ძალიან კარგი! მე ჯემსისაგან ვისწავლი გულახდილობას!

როზა დარტლის ამ სიტყვებში, როგორც ყველა სხვა სიტყვაშიც, შეუმჩნევლად იხატებოდა მწვავე დაცინვა. მისის სტირფორდმა საოცარი ხალისიანობით უპასუხა:

– და ძალიან კარგსაც იმზამთ, როზა! უკეთეს სკოლას თქვენ ვერც ვერსად იპოვით.

საჭიროა, აქ კიდევ ერთი პატარა გარემოება მოვიხსენიო მის დარტლის შესახებ. მე ეს შემდეგში მომაგონდა, როდესაც ყველა წარსული სცენა აიხსნა. მთელი ამ დღის განამელობაში, მეტადრე ნასადილევეს, სტირფორდი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მოერჯულებინა და მოეშინაურებინა ეს უცნაური ქალი და სასიამოვნო, ალერსიანი მოსაუბრე გაეხადა. სტირფორდის გამარჯვება არ უნდა გამკვირვებოდა, რადგან იგი ყველაფერში იმარჯვებდა. მის დარტლს სახე თანდათან გაეშალა, მოქცევაც ნელ-ნელა შეიცვალა. მისმა გამოსხედიამ დაკარგა პირვანდელი უკმეხობა და ძალიან სუსტად ეწინააღმდეგებოდა ყმაწვილ კაცის მომხიბლავ ძალას. და აი, ბოლოს, ღიმილმა გაითამაშა მის დარტლის ტუჩებზე; იგი მოშინაურებული, დამონავეებული იყო, და უკვე აღარაფერი საშინელი აღარ მოჩანდა ამ მოღუშულ და პირქუშ არსებაში. ვისხედით ბუხართან და ჩვენს მხიარულ ლაპარაკს თან სდევდა უდარდელი სიცილი, თითქოს უხილავმა ძალამ ყველანი პატარა ბავშვებად გადაგვაქცია.

– გესმის, დევი, – ჩურჩულით მითხრა სტირფორდმა და ფეხის თითებზე მივიდა ოდნავ მიხურულ კარებთან. – მე მგონია, დედას გარდა არავის არ გაუგონია მისი დაკვრა ამ უკანასკნელი სამი წლის განამელობაში. წავიდეთ მასთან.

ამ სიტყვებს თან სდევდა დამცინავი ღიმილი, რომელიც იმ წამშივე გაჰქრა მისი სახიდან. ჩვენ შევედით. მის დარტლი მარტო იყო სასტუმრო ოთახში.

– აჰ, ნუ აღგებით, როზა! – უთხრა სტირფორდმა, როდესაც მის დარტლი უკვე ადგა თავისი ადგილიდან. – ერთხელ მაინც იყავით კეთილი: გვიმღერეთ ირლანდიური სიმღერა. აი, ჩემს მეგობარს დეზისაც ძალიან უყვარს მუსიკა. გვიმღერეთ ირლანდიური სიმღერა, როზა, მე კი დავჯდები და მოვისმენთ, როგორც უწინ.

ერთ წუთს მის დარტლი იდგა ჩაფიქრებული საკრავთან; მან გაუსვა ხელი სიმებს, მაგრამ, როგორც ჩანდა, ჯერ ვერ ბედავდა დაკვრას. ბოლოს დაჯდა, სწრაფი და მოულოდნელი ხელის მოძრაობით მოიწია ქნარი და დაუკრა.

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არა გამიგია-რა ამ ირლანდიური სიმღერის მსგავსი. ვერც ერთმა კომპოზიტორმა ქვეყანაზე ვერ შესძლო ამ ხმების გადმოცემა მუსიკაში, და მის დარტლის სიმღერამ თითქოს თავისთავად ამოხეთქა გულიდან, რომელიც აღსავსე იყო აბობქრებული და ველური ვნებით. მისი ხმა და სიმები, რასაკვირველია, სულ მცირეოდენ გამოხატავდნენ იმ საიდუმლოთა საიდუმლოს, რომელიც ამ გულში იმალებოდა. ენა დამება გაოცებისაგან. ამ დროს მის დარტლმა დაამთავრა სიმღერა და, თითქოს ბურანშიაო, ისევ უსვამდა სიმებზე მარჯვენა ხელს.

სტირფორდი ადგა ადგილიდან, ღიმილით მიუახლოვდა მის დარტლს, მოხვია წელზე ხელი და უთხრა:

– გმადლობ, როზა! ამის შემდეგ ჩვენ გულწრფელად და ნაზად გვეყვარება ერთმანეთი.

ერთ წამში როზამ ხელი ჰკრა სტირფორდს და გიჟივით გავარდა სასტუმროდან.

იგი აღარ დაბრუნებულა. მის შესახებ აღარაფერი გვითქვამს მანამდე, ვიდრე დაძინების წინ არ შევედი სტირფორდის ოთახში გამოსამშვიდობებლად. მაშინ

სტირფორდმა გაიცინა და მკითხა, მინახავს თუ არა სადმე ამგვარი ველური და დაუგეშავი არსება.

– ამ ადამიანის გამოცნობა ყოველად შეუძლებელია. მეგონი, უკვე გითხარი, რომ იგი მზად არის ყველაფერი ახლოს მიიტანოს გულთან. მისი ჭკუა ნამდვილი წისქვილია, რომელიც ფქვავს ყოველ სიტყვას, ყოველ აზრს. იგი ყოველთვის სახიფათოა. ღამე მშვიდობისა, დეზი!

– ღამე მშვიდობისა, სტირფორდ! ხვალ, შეჭკველია, ჩვენ ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს.

მაგრამ, როგორც ჩანდა, ჯერ არ უნდოდა ჩემთან განშორება. იგი იდგა გაუბედავ პოზაში ოთახის შუაგულში და ორივე ხელი ჩემს მხრებზე ელაგა.

– ყური მიგდე, დეზი! თუ ოდესმე ისეთი გარემოებანი შეგვხვდა, რაც სამუდამოდ მოგვაშორებს ერთმანეთს, მომიგონე, როგორც კარგი, კეთილი მეგობარი. დამპირდი ამას!

– შენ ჩემთვის მუდამ ერთი და იგივე ხარ – ღირსი პატივისცემისა და სიყვარულისა, – ვუპასუხე მე.

მაშ რად შეურაცხყოფდი ამ ადამიანს ჩემს ფიქრებში უსამართლო ეჭვებით? ისე დაველონდი ამის გამო და ისე შემრცხვა ჩემი თავისა, რომ მზად ვიყავი, ყველაფერი მეთქვა მისთვის, აღსარება კინაღამ ენიდან არ მომწყდა, მაგრამ თავი შევიკავე; ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირველ წუთში ვერ მოვნახე საშუალება, როგორ შევდგომოდი ამ მძიმე განმარტებას.

– ღამე მშვიდობისა, დეზი! – გაიმეორა სტირფორდმა.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და გავშორდით.

მე ავდექი გათენებისას, საჩქაროდ ჩავიცვი და ფრთხილად შევიხედე ჩემი მეგობრის ოთახში. მას თავი ერთ ხელზე დაედო და ეძინა წყნარი, უდარდელი ძილით. ამგვარ მდგომარეობში ხშირად მინახავს იგი საღუმის სასწავლებლის დორტუარში.

## თავი ოცდამეორე

### გლოვა

იმ დღესვე, საღამოთი, ჩავედი იარმაუთში და სასტუმროში დავდექი.

ათი საათი იქნებოდა, როდესაც ქუჩაში გავედი. დუქნები და მაღაზიები დაკეტილი იყო. ქალაქი დაცარიელებული და მოწყენილი მეჩვენა. გავემართე ჩემი გადიას სახლისაკენ.

დაკაკუნებაზე კარი მისტერ პეგოტიმ გამიღო. ჩემდა მოულოდნელად, მას სრულებით არ გაჰკვირვებია ჩემი დანახვა. ამგავრადვე სრულებით არ გაუკვირდა პეგოტისაც, როდესაც იგი ჩამოვიდა ჩემთან ზევიდან. შემდეგში თვითონ დავრწმუნდი გამოცდილებით, რომ საბედისწერო ცვლილების საშინელი მოლოდინი აყრუებს ადამიანის გულში ყველა დანარჩენ გრძნობას.

ხელი ჩამოვართვი მისტერ პეგტის და ჩუმად შევედი სამზარეულოში. პატარა ემი ბუხართან იჯდა და სახე ხელებით დაეფარა. ქამი მის გვერდით იდგა.

– ემი, გენაცვალე! – შესძახა მისტერ პეგოტიმ. – გამოიხედე აქეთ. აი მასტერ დევიც მოვიდა! გამხიარულდი, ჩემო სიცოცხლე! რაო, განა არ გინდა ერთი სიტყვა მაინც უთხრა მასტერ დევის?

ძლიერმა თრთოლვამ დაურბინა ყმაწვილ ქალს მთელ სხეულში. მე ახლაც კი ვხედავ ამ თრთოლვას. მან გამომიწოდა ხელი, სუსტი, ცივი, მაგრამ უეცრად, იმწამსვე მომშორდა და გადაირბინა ოთახის მეორე ბოლოში, ბიძასთან. იგი ისევ თრთოდა მთელი სხეულით და ჩუმად მიეყრდნო ბიძის მკერდს.

– ემი ისეთი სუსტი მყავს! – მითხრა მისტერ პეგოტიმ და თან თავის ტლანქ ხელს უსვამდა მის მშვენიერ კულულებს. – მას ვერ აუტანია ასეთი მწუხარება. უკვე გვიანია, ჩემო კარგო! შენი ძილის დროა, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ. – აი, ქამიც მოვიდა შენს გასაცლებლად. გაჰყევი სახლში.

მისი პასუხის სუსტმა ხმამ ვერ მოაღწია ჩემს სმენამდე. მისტერ პეგოტიმ დაჰხარა მისკენ თავი და შემდეგ თქვა:

– რაო? ჩემთან გინდა დარჩე? კარგი, გენაცვალე! რა სასიამოვნოა პირისპირ ჯდომა ბებერ ბიძასთან, როდესაც ვაჟკაცი საქმრო განგებ მოვიდა შენს სახლში გასაცილებლად!

– მერე რა? – თქვა ქამმა. – ემილია მართალს ამბობს. შეხედეთ მას! ისეთი მფრთხალი და სუსტია, დარჩეს აქ დილაამდის. მეც დავრჩები.

– არა, არა, – უთხრა მისტერ პეგოტიმ. – შენ ოჯახის პატრონი ან თითქმის ოჯახის პატრონი კაცი ხარ და, მაშასადამე, არ უნდა მოსცდე მუშაობას. წადი სახლში და ხვალ მოდი. ემილია სანდო ხელშია ხომ ხედავ.

ქამმა აიღო ქუდი და აკოცა თავის საცოლეს. ამ დროს უცნაური მოკრძალება გამოიხატა ყველა მის მოძრაობაში, თუმცა მე ვიცოდი, რომ ყველა სხვა შემთხვევაში იგი გაბედული და მამაცი იყო. ემილია გადაიხარა საქმროსაგან და უფრო მაგრად მიეკრა ბიძას. ქამი გავიდა, მე ნელა მივხურე ქუჩის კარი.

მარტო დავრჩი ბუხრის ცეცხლთან და უნებურად დაუფიქრდი პატარა ემის ბედს.

ბოლოს ჩამოვიდა ჩემი პეგოტი. მან გულში ჩამიკრა და მადლობა გადამიხადა იმ ნუგეშისათვის, რომელიც, მისი სიტყვით, მე ჩემის მისვლით მიუტანე. შემდეგ მთხოვა, ზევით ავსულიყავი და თვალცრემლიანმა გამომიცხადა, რომ ბარკისს მუდამ ვუყვარდი გულწრფელად.

მე და მისტერ პეგოტი გაფიქრდით ლოგინის ფერხით. ჩემი გადაი დაიხარა ქმრის სასთუმალთან და ჩასძახა თითქოს მხიარული ხმით:

– ბარკის, ჩემო მეგობარო... გესმის? აი, მასტერ დევი... ის ვინც ჩვენი ქორწილი მოაწყო, ბარკის. განა შენ არაფერი არ გინდა უთხრა მასტერ დევის?

მაგრამ იგი უძრავად და უგრძობლად იყო.

– იგი გათავდება ზღვის მოქცევასთან ერთად, – მითხრა მისტერ პეგოტიმ.

– როგორ თუ მიქცევასთან?

– დიახ. ზღვის პირზე ადამიანი კვდება უსათუოდ ზღვის მიქცევასთან ერთად, – დამიდასტურა პეგოტიმ.

– აი, გონს მოდის, – თქვა პეგოტიმ.

მისტერ პეგოტიმ ხელი მახლო და წამჩურჩულა სასოებით:

– სიკვდილი მოდის მიქცევის კვალზე!

– ბარკის, ჩემო კარგო! – უთხრა პეგოტიმ.

– კლარა... პეგოტი... ბარკის, – წარმოთქვა მომაკვდავმა სუსტი ხმით, – არა არის ქვეყანაზე დედაკაცი კლარაზე უკეთესი!

– გამოიხედე აქეთ, კარგო! – უთხრა პეგოტიმ. – აი მასტერ დევი გვესტუმრა.

მომაკვდავმა თვალები გაახილა. მინდოდა მეკითხა მისთვის, მიცნო თუ არა; ამ დროს მისტერ ბარკისმა გამოიწოდა ჩემსკენ ხელი და წარმოსთქვა მკაფიოდ და გარკვევით:

– ბარკისი წინადადებას აძლევს!

ზღვა მიიქცა – და საბრალო მეეტლედ გათავდა...

პეგოტიმ მთხოვა, დავრჩენილიყავი იარმაუთში დასაფლავებამდე. მე ყველგან თან დავყვებოდი პეგოტის და ვაკეთებდი მისთვის ყველაფერს, რაც კი შემეძლო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მე მიკარნახებდა მადლობის გრძობა პეგოტისადმი, მაგრამ მაინც ნაწილობრივ თავი მომქონდა, რომ, როგორც დოქტორთა კოლეგიის მოსამსახურეს, შემეძლო უფრო სასარგებლო ვყოფილიყავი ამ შემთხვევაში, ვიდრე სხვა, გარეშე პირი.

საბრალო მისტერ ბარკისის ანდერძი ჩვენ ვიპოვეთ ყუთის ძირში, ცხენის თოფრაში, თივით დაფარული. ამავე თოფრაში ვიპოვეთ ძველი ოქროს საათი ძეწკვითა და ბეჭდებით, – რაც ყველა ერთად მკერდს უმშვენებდა მისერ ბარკისს ქორწილის დღეს და შემდეგ კი სადღაც გაჰქრა. ამის გარდა ყუთში ინახებოდა: ფეხის მსგავსი ვერცხლის ჩიბუხის სატენი; სათამაშო ლიმონი, სავესე პაწაწინა ფინჯნებითა და ლამბაქებით; ვფიქრობ, ეს ჩემთვის იყიდა, მე რომ პატარა ვიყავი, მერე კი მოსაცემად ვეღარ გაიმეტა; ოთხმოცდაშვიდ-ნახევარი გინეა წვრილი და მსხვილი ფული; ორას ათი გირვანქა სტერლინგი – ახალთახალი ასიგნაციები; რამდენიმე თამასუქი და ბანკის ბილეთები; ცხენის ძველი ნალი, ქაფურის ნატეხი და ლოკოკინა.

წლითიწლობამდე, დღითი დღე, მისტერ ბარკისი თან ატარებდა ამ ყუთს ყველგან, საქონელთან და წერილებთან ერთად. რომ აეცილებინა თავიდან ყოველგვარი მოურიდებელი ცნობისმოყვარეობა, მან მოიგონა შემდეგ წარწერა: „ეს ყუთი ეკუთვნის მისტერ ბლეკბოის. დარჩეს ბარკისთან მოთხოვნამდე“. ეს წარწერა დიდი გულმოდგინებით იყო ამოჭრილი ყუთის ხუფზე.

იგი ტყილად არ შრომობდა, აგროვებდა და დაჰკანკალებდა ყოველ გროშს. მისტერ ბარკისის საკუთრება ფულად შეადგენდა სამი ათას გირვანქას. ერთი ათასის პროცენტები ენიშნებოდა მისტერ პეგოტის, სანამ ცოცხალი იყო; მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ეს თანხა თანაბრად უნდა განაწილებულიყო პეგოტისა, პატარა ემისა და ჩემს შორის. მთელი დანარჩენი ქონება, უძრავი და მოძრავი, გადადიოდა პეგოტის სრულ საკუთრებაში.

გადავწყვიტეთ, რომ დასაფალავების მეორე დღეს პეგოტი წამოვიდოდა ჩემთან ერთად ლონდონში, ანდერძის განსაცხადებლად დოქტორთა კოლეგიაში. სადამოსთვის ყველამ დავთქვით – შევკრებილიყავით მისტერ პეგოტისთან ნავის სახლში.

მისტერ პეგოტის სახლი, როგორც ყოველთვის, სუფთა და მოვლილი იყო. მისის გუმიჯი და ჩემი პეგოტი წინდასა ქსოვდნენ. მისტერ პეგოტი აბოლებდა თავის სადამოს ჩიბუხს; ცეცხლი გუზგუზებდა ბუხარში; ძველი სკივრი იდგა თავის ალაგას პატარა ემის მოლოდინში.

– აი, მასტერ დევიც, პირველი სტუმარი ჩვენს ქოხში! – მითხრა მისტერ პეგოტიმ გაბრწყინებული სახით. – გაიხადეთ ჩქარა თქვენი სველი პალტო, სერ.

– ფანჯარა განათებულია, როგორც ერთხელ და სამუდამოდ არის შემოდებული, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ. – გნებავთ იცოდეთ, ვისთვის არის იგი გაჩირადდებული? პატარა ემისთვის. გზა ბნელია, ამინდი საძაგელი, ბინდისას აღარაფერი ჩანს, და აი, როდესაც მე სახლში ვარ, ყოველთვის სანთელსა ვდგამ ფანჯარაზე იმ დროისთვის, როდესაც იგი უნდა დაბრუნდეს. ემილია ხედავს სინათლეს და იძახის: „აი, სახლიც“. ხედავს სანთელს ფანჯარაში და ამბობს: „ჩემი ძიაც სახლშია!“ მაშ! აი როგორ არის საქმე! თუ მე სახლში არ ვარ, არც სანთელია ფანჯარაში. სსუუ! მოდის, მოდის! – შესძახა მისტერ პეგოტიმ და ტაში შემოჰქრა.

კარი გაიღო, მაგრამ ოთახში მხოლოდ ქამი შემოვიდა. მას მუშამბის ქუდი ეხურა და წვიმის წვეთები ნაკადულივით ჩამოსდიოდა ქუდის კიდეებიდან.

– ემილია სადღაა? – ჰკითხა მისტერ პეგოტიმ.

ქამმა უჩვენა თავის მოძრაობით, რომ მისი საცოლვე კარს უკან იდგა. მისტერ პეგოტიმ აიღო სანთელი ფანჯრიდან, დადგა მაგიდაზე და გულმოდგინედ შეუდგა ბუხარში ნაკვერჩხლების რევას.

ამ დროს ქამმა მომმართა და მითხრა:

– მასტერ დევი, ნება მიბოძეთ გთხოვოთ ერთი წუთით კარს უკან. მე და ემილიას გვინდა, ერთი რამ გაჩვენოთ.

მან თითქმის ძალით გამათრია ოთახიდან და მიხურა კარი ჩვენს უკან. ჩვენ ორნი დავრჩით.



– რა დაგემართათ, ქამ?

– ო, მასტერ დევი!

და მას წასკდა მწარე ქვითინი. გავქვავდი ამ უეცარი სევდით ზარდაცემული. რაზე ვფიქრობდი ამ წუთში, ან რისი მეშინოდა, მე თვითონაც არ ვიცი. მე მხოლოდ შევცქეროდი მას გულგახეთქილი.

– ქამ... საბრალო ქამ! მითხარით, რა დაგემართათ?

– დაიღუპა ყველაფერი! სიამაყე, იმედი და ბედნიერება ჩემი სიცოცხლისა. ის, ვისი გულისთვისაც მე მზად ვიყავი ათასჯერ თავი გამეწირა, ვისთვისაც ახლა მოვკვდები... აღარ არის!

– მაშ რა იქნა?

– ემილია გაიქცა!.. ო! მასტერ დევი! მისთვის უკეთესია, მოკვდეს, ვიდრე სამარცხვინო სიცოცხლე ატაროს! თქვენ ნასწავლი კაცი ხრათ, მირჩიეთ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა ვთქვა სახლში? როგორ შევატყობინო ეს ამბავი ბიძია დანს, მასტერ დევი?

ამ დროს კარი გაიღო; მე ხელი ვტაცე სარაზავს, რომ კარი ჩამეკეტა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მისტერ პეგოტიმ გამოყო თავი ოთახიდან, და – არასოდეს არ დამავიწყდება მისი სახის გამომეტყველება, როდესაც ჩვენ ორნი დაგვინახა.

მახსოვს სასოწარკვეთილების კვიილი, მახსოვს, რომ ჩვენ ოთახში გავეხდით, ხელში ქაღალდი მეჭირა, რომელიც ქამმა მომაწოდა. მისტერ პეგოტი გახსნილი კამზოლით, აბურბგნილი თმით მომჩერებოდა თვალებში დაშტერებით.

– წაიკითხეთ ეს ქაღალდი, სერ! – მითხრა ქამმა მთრთოლვარე ხმით. – წაიკითხეთ ნელა. არ ვიცი, შევძლებ თუ არა მის მოსმენას.

სამარისებურ სიჩუმეში გავშალე წერილი და დავიწყე კითხვა: „როდესაც თქვენ, ვისაც ასეთი სინაზით გიყვარდით, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ღირსი ვიყავი, – როდესაც თქვენ დაიწყებთ ამ წერილის კითხვას, მე უკვე შორს ვიქნები თქვენგან. ვტოვებ საყვარელ სახლს... ვტოვებ ხვალ დილით და არ დავბრუნდები არასოდეს, თუ იგი თავის მეუღლედ არ გამხდის. ამ წერილს თქვენ გადმოგცემენ საღამოს, ჩემი წასვლის რამდენიმე საათის შემდეგ. ო, როგორ კენესის ჩემი გული! თქვენ ვერასოდეს ვერ მაპატიებთ, – არც უნდა მაპატიოთ, მაგრამ ის მაინც იცოდეთ, რომ ტანჯვა, რომელსაც ამ წუთში განვიცდი, წარმოუდგენელია. თუმცა დიდი დამნაშავე ვარ, რომ ჩემს შესახებ ვილაპარაკო. ინუგეშეთ იმ აზრით მაინც, რომ არასოდეს არ ვიყავი თქვენი სიყვარულის ღირსი, მაგრამ უთხარით, უთხარით ბიძია დანს, რომ არასოდეს არ მყვარებია მე იგი ისე, როგორც ახლა მიყვარს. დამივიწყეთ, დაივიწყეთ, რომ ოდესღაც მე თქვენი საცოლვე ვიყავი; დაარწმუნეთ თქვენი თავი, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილობაში მოვკვდი და დამარხული ვარ შორს თქვენგან, უცნობ ადგილას. და როდესაც აღარ ვიქნები მანდ, გვევდრებით – შეიბრალებთ ბიძაჩემი; ანუგეშეთ, დაამშვიდეთ. უთხარით მას, რომ ჩემს დღეში ისე არ მყვარებია იგი, როგორც ახლა. შეიყვარეთ ვინმე სხვა ყმაწვილი ქალი, ჩემზე უფრო ღირსეული; იგი თქვენი ერთგული იქნება და არ შეარცხვენს თქვენს სახელს. მშვიდობით, მშვიდობით! თუ მე არ მიწერია მისი ცოლობა, დავიღუპები, მაგრამ არასოდეს არ დაგივიწყებთ. ჩემი უკანასკნელი საღამო ბიძია დანიელს. ჩემი უკანასკნელი ცრემლები და უკანასკნელი ჩემი მადლობა – ბიძია დანიელს!“

და მეტი არაფერი.

ბიძია დანიელი იდგა გაქვავებული ქანდაკებასავით და შემომცქეროდა თვალებგაშტერებული. ასე გაიარა რამდენიმე წუთმა, წერილი წავიკითხეთ, მაგრამ ყველა სდუმდა. ბოლოს, მისტერ პეგოტიმ თქვა ყრუ ხმით:

– ვინ არის ის, ის კაცი? რა ჰქვია?

ქამმა მე შემომხედა, და უეცრად საშინელი თრთოლვა ვიგრძენი, თითქოს ელექტრონის ნაპერწკალმა დამიარა მთელს ტანში.

– ვინ არის ის, მინდა ვიცოდე! – გაიმეორა პეგოტიმ.

– მოდიოდა ხოლმე აქ დროგამოშვებით ერთი მსახური, – თქვა ქამმა სუსტი და თრთოლებული ხმით, – მოდიოდა ჯენტლმენიც მოკლე ხნით. მსახური ამ ჯენტლმენისა იყო.

მისტერ პეგოტი უძრავად იდგა, როგორც უწინ; მაგრამ მისი თვალები ახლა ქამს შეჰყურებდა.

– ამ მსახურთან, – განაგრძო ქამმა, – ენახათ გუშინ ჩემი... ჩვენი საბრალო ქალი. ეს მსახური ქალაქში იმალებოდა ეს რამდენიმე დღეა.

პეგოტის ხელი შემოეხვია ჩემს კისერს; მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ უძრავად დავრჩებოდი, მთელი სახლი რომ თავს დამქცეოდა.

– დღეს დილით, გათენებისას, – განაგრძო ქამმა, – უნახავთ ქალაქგარეთ, ნორვიჩის გზაზე, ცხენები და ეტლი. ეტლში ჯენტლმენი იჯდა – სწორედ ის კაცი, რომელსაც შენ კითხულობ!

– ო! – შეჰყვირა მისტერ პეგოტიმ, თან უკან დაიხია და ხელები წინ გამოიწოდა, თითქოს უკუ უნდა ეგდო რაღაც საგანი. – არ მითხრათ, რომ ამ კაცის სახელი სტირფორდია!

– მისტერ დევი! – შესძახა ქამმა ჩახლეჩილი ხმით. – თქვენ არაფერში არ ხართ დამნაშავე... მაგრამ იმ ადამიანს სტირფორდი ჰქვია და იგი არამზადაა!

მისტერ პეგოტიმ არ დაიყვირა, არ აქვითინდა და არ გაინძრა იმ დრომდე, სანამ უეცრად, თითქოს მძიმე ძილისაგან გაღვიძებული, არ მივარდა ოთახში მეორე კუთხეს და არ დაიწყო ღურსმნიდან ჩამორება თავისი წამოსასხამის.

– მომესმარეთ ვინმე... ეი! ვინმე! – დაიყვირა მან მოუთმენლად. – ხელები გამიშეშდა, ვეღარაფერს ვერ ვაკეთებ.

ვიღაცამ უშველა წამოსასხამის წამოსხმა.

– კარგი. მომეცით ქუდი.

ქამმა ჰკითხა, სად მიდიოდა.

– მივდივარ ჩემი დისწულის საძებნელად. მივდივარ ემილიას მოსანახავად. დავამსხვრევ ჯერ იმ წყეულ ნავს და ჩავძირავ იქ, სადაც თვით მისი პატრონი უნდა ჩამეძირა, რომ მცოდნოდა თავის დროზე, რა ქაჯი იჯდა ამ ადამიანში. მშვიდობით, მივდივარ ჩემი დისწულის საძებნელად.

– საით? – შესძახა ქამმა და გზა გადაუღობა კარების წინ.

– საითაც მომიხდება! ყველგან! მივდივარ ჩემი დისწულის მოსანახავად, თუნდ ქვეყნის ბოლოს. მოვებნი ჩემს საბრალო ბავშვს, შერცხვენილს, შეგინებულს, და სახლში მოვიყვან. ნუ მაჩერებთ. მე ვთქვი, რომ ჩემი დისწულის საძებნელად მივდივარ!

– არა, არა! – შეჰყვირა მისი გუმიჯმა და ჩავარდა მეთევზეთა შუა. – არა, დანიელ! ახლა შენ არსად არ წახვალ! მოითმინე, რამდენიც საჭირო იქნება, ჩემო საბრალო, დაობლებულო დანიელ; ახლა კი მე არ გაგიშვებ. დაჯექი, დანიელ, და მოვიგონოთ ის ძველი დრო, როდესაც შენ შეიფარე პატარა ობოლი, ქამი და მე, – ყველანი შეგვიფარე და გვიპატრონე...

ამჟამად იგი უნებო იყო და გაშმაგებული აღელვებისაგან თანდათან დაყუჩდა.

ჩემი პირველი აზრი იყო ამ სცენის დასაწყისში – მუხლებზე დამეჩოქა ამ კეთილი ხალხის წინაშე, დამწვევლა სტირფორდი და მეთხოვნა მათგან პატიება იმ უნებური ბოროტებისთვის, რომელიც მათ მივაყენე. მაგრამ, როდესაც მისტერ პეგოტი აქვითინდა, ჩემი ბოლმით სავსე გულიც ცრემლებად დაიცალა მასთან ერთად.

**თავი ოცდამეცხრე**

**შორი მოგზაურობის დასაწყისი**

რაც ჩემს თვისებას შეადგენს, ის, ალბათ, მრავალ სხვათა თვისებაც არის და ამიტომ არ მრცხვენია გამოვტყდე, რომ არასოდეს ისე არ მყვარებია სტირფორდი, როგორც ამ დროს, როდესაც თითქოს უნდა მძულებოდა იგი. მე ვგრძნობდი მისგან ჩადენილი საქციელის მთელ სისაძაგლეს, მაგრამ იმავე დროს უფრო მეტად ვფიქრობდი მის ბრწყინვალე თვისებებზე, მეტად ვგრძნობდი ყოველივე იმ სიკეთეს, რაც მასში იყო, მეტი სამართლიანობით ვაფასებდი მის ნიჭს, რომელსაც შეეძლო მოეხვეჭა მისთვის ბრწყინვალე სახელი. ყოველივე ამაზე ვფიქრობდი ახლა გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, როდესაც ჩემი მისდამი სიყვარული არავითარ საფრთხეს არ განიცდიდა. მე ახლაც იმდენად მიყავრდა იგი, ისეთი ძვირფასი იყო ჩემვის მოგონება ჩემი მისდამი სიყვარულისა, რომ ისევე განვაგრძობდი მასზე ფიქრს, როგორც მეგობარზე, თუმცა აღარავითარი ნახვის იმედი აღარ მქონდა. მე ვგრძნობდი, როგორც უეჭველია, ისიც გრძნობდა, რომ ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულა. არ ვიცი, როგორ მიგონებდი მას, როგორც დაუვიწყარ მეგობარს, რომელიც აღარ მყავდა ამქვეყნად.

ცნობა მომხდარი ამბის შესახებ სწრაფად მოედო მთელ ქალაქს; როდესაც დილით ქუჩაში მივდიოდი, ყოველი მხრიდან ისმოდა ამაზე ლაპარაკი.

მისტერ პეგოტი და ქიმი ზღვის პირას დამხვდნენ. მისტერ პეგოტი წინ და უკან დადიოდა წელში მოხრილი, თავჩაქინდრული; ამ ერთი ღამის განმავლობაში წელში მოღუნულიყო მეტად, ვიდრე ოცი წლის მანძილზე მოიხრებოდა. ორივენი მოღუშულები და დაღვრემილები იყვნენ. რამდენიმე წუთს სამივენი ხმაამოუღებელივ დავდიოდით, ჩვენს ფიქრებში წასული. ბოლოს მისტერ პეგოტიმ თქვა:

– ჩვენ აქა ვმსჯელობდით, სერ, იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ. ახლა ის მაინც ვიცით, საიდან დავიწყეთ.

მე შევხედე ქამს და საშინელმა აზრმა გამიელვა თავში. არავითარი წყრომის ნიშანი არ ემჩნეოდა მის სახეს და ადამიანი ვერას წაიკითხავდა მასზე, გარდა მტკიცე გადაწყვეტილებისა; მაგრამ მე ვიგრძენი, რომ ეს ადამიანი მოკლავდა ჩემს მეგობარს, თუკი შეხვდებოდა სადმე.

– ჩემი გადაწყვეტილება ურყევია, სერ, – მითხრა მისტერ პეგოტიმ. – მე მივდივარ მის საძებნელად. ახლა ეს ჩემი ერთადერთი ვალია ამქვეყნად.

შემდეგ მან მკითხა, რომ არ ვაპირებ ხვალ ლონდონში წასვლას. გუპასუხე, რომ დღეს ვაპირებდი წასვლას და მხოლოდ იმიტომ დავრჩი, რომ იქნებ გამოვდგომოდი რაშიმე.

– ჩემი სურვილია, სერ, რომ ამ ნავის სახლმა ყოველდღე და ყოველღამე ზამთარსა და ზაფხულს იქონიოს ისევე ის სახე, რა სახითაც ნახა იგი პატარაობაში, როდესაც იგი, ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ჩემთან მოვიდა. თუ ოდესმე მას უწერია ამ ადგილებში დაბრუნება, მე მსურს, რომ ძველი ბინა არ ეუცხოვოს. დაე, პირიქით, ყოველი ნივთი მიმზიდველი იყოს, როგორც უწინ. ვინ იცის, იქნებ ოდესმე, ავდარსა და ქარიშხალში, მას მოუხდეს ამ ადგილებში ყოფნა; იგი შეიხედავს ფანჯარაში და დაინახავს თავის ძველ ადგილს ბუხრის წინ; იგი დაინახავს, რომ ოთახში არავინ არის გარდა მისის გუმიჯისა, და, ვინ იცის, მისტერ დევი, იქნებ ეყოს გაბედულება და შევიდეს სახლში. ყოველღამე სანთელი წინანდებურად იდგება ფანჯარაში და, თუ როდისმე მოვა ამ ადგილას, ეს სინათლე ეტყვის მას: „დაბრუნდი, ჩემო შვილო, დაბრუნდი!“

ჩვენ შეუმჩნეველად მივუახლოვდით ნავის სახლს და შიგ შევედით. მისის გუმიჯი ფუსფუსით ამზადებდა საუზმეს. როდესაც მან გაშალა სუფრა და დადგა მაგიდაზე საჭმელი ჩვენთვის, მიუჯდა ფანჯარას და შეუდგა მისტერ პეგოტის საცვლების კემსვას. იგი სწრაფად მუშაობდა. როდესაც მისის გუმიჯმა გაათავა საქმე, ჩააღაგა თავისი პატრონის საცვლები მუშაობის ჩანთაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში შეუჩერებლად ლაპარაკობდა დამამშვიდებელი კილოთი.

– იყოს ნება შენი, დანიელ. ვიქნები აქ მარტოკა ზამთარს და ზაფხულს. ვეცდები, ყველაფერი ისე გავაკეთო, ჩემო მეგობარო, როგორც შენ გსურს და როგორც მიბრძანებ. დროდადრო წერილებსაც მოგწერ. იქნებ ოდესმე შენც მომწერო ორიოდ სიტყვა, დანიელ, და მიაშბო დაწვრლებით ყველაფერი, როგორ და სად იფლი ქვეყანაზე.

მე გამოვედი მეთევზეების ქოხიდან და რამდენიმე ხანს ვისეტიალე ქალაქის ქუჩებში, ისე რომ, უკვე ათი საათი იყო, როდესაც მივედი სახლში, ჩემს პეგოტისთან. დავეჯექი სამზარეულოში ბუხართან და დავიწყე ფიქრი უკანასკნელი დღეების ამბების შესახებ. ჩემი ფიქრები დაარღვია ქუჩის კარზე კაკუნმა. გავაღე კარი და, ჩემდა განსაცვიფრებლად, არა დავინახე რა გარდა ქოლგისა, რომელიც თითქოს თავისთავად გაჩნდა კარის წინ. მაგრამ მალე აღმოვაჩინე ქოლგის ქვეშ ცოცხალი არსება, და ეს არსება იყო მის მაუჩერი.

– მის მაუჩერ! – შეეძახე მე. – როგორ გაჩნდით აქ? რა გნებავთ?

მან მანიშნა თავის პაწაწინა ხელით, რომ დამეკეცა მისი ქოლგა, შემდეგ სწრაფად ჩამირბინა გვერდით და შემოვიდა სამზარეულოში. დაგვეტე კარი და უკან გავეყვი ქოლგით ხელში. ამ დროს მის მაუჩერი აფოფხდა დაბალი ღუმელის თავზე, ბუხრის წინ, რომელზედაც ალაგებდნენ ფინჯნებსა და თეფშებს.

– რა დაგემართათ, მის მაუჩერ? – წამოვიძახე ისევ. – ავად ხომ არა ხართ?

– ყმაწვილო, – მიპასუხა მის მაუჩერმა და აკანკალებული ხელები გულთან მიიღო, – მე მტკივა და მიკვნესის აი აქ. ვინ იფიქრებდა, რომ საქმე აქამდის მივიდოდა! ო! ადრევე რომ მცოდნოდა ყოველივე ეს!

უზარმაზარი თავსაფარი მის თავზე, სრულებით შეუსაბამო მის ტანთან, ირხეოდა ყოველ მხარეს.

– თქვენ მაოცებთ... – დავიწყე მე, მაგრამ მის მაუჩერმა სიტყვა გამაწყვეტინა.

– დიახ, ეს მუდამ ასეა! – შესძახა მან. – თქვენ მე გართობთ, როგორც სათამაშო; დამცინით და მეხუმრებით, როდესაც მოგესურვებათ, და უსათუოდ გაოცებთ, თუ დაინახავთ, რომ ვგრძნობ ცოტათი უფრო მეტს, ვიდრე ხის ცხენი ან მუყაოს ჯარისკაცი, ეს ასეა. დიახ, სერ, დიახ, ეს ძველი ამბავია და მე უკვე დიდი ხანია, მივეჩვიე მას.

– თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ ეგ სხვების შესახებ, მის მაუჩერ, მაგრამ ჩემთან, არა მგონია, მოსატანი იყოს ეს ძველი ამბავი. მე თითქმის სრულებით არ გიცნობთ.

– ასე, ასე. მაშ რას მიბრძანებთ, რა ვქნა? – შესძახა ქონდრის ქალმა. – შემხედეთ. ასეთივე იყო ჩემი საბრალო მამა. ჩემი დაცა და ძმაც მე მგვანან თანითაც და მოყვანილობითაც. მერე? მე ვმუშაობდი მთელი ეს წლები დისა და ძმის გულისათვის; ვმუშაობდი გულმოდგინედ, მისტერ კოპერფილდ, ყოველდღე და, შეიძლება ყოველ წამს, არავის არას ვაფუჭებ. და თუ ყველა ამ თავქარიან და სასტიკ ხალხს აზრად მოუვიდა ჩემი გამასხარავება და სათამაშოდ ქცევა თავიანთ გასართობად, მაშ რა დამრჩენოდა, ღვთის გულისათვის, თუ არა მათი აყოლა? ვინ არის აქ დამნაშავე? ნუთუ მე?

– არა, რასაკვირველია, თქვენ არა, მის მაუჩერ.

– მე რომ თქვენი მეგობრის წინაშე მეთამაშა მგრძნობიარე ქონდრის ქალის როლი, – განაგრძო მის მაუჩერმა და მწარე საყვედურით შემომხედა, – ნუთუ გგონიათ, რომ შეიძლებოდა იმედი მქონოდა მისი დახმარებისა ან შველისა? წარმოიდგინეთ, რომ მე, საბრალო ქონდრის ქალი, მოკლებული ყოველგვარ ნიჭს, მივდივარ რომელიმე ჯენტლმენის სახლში და ვიწყებ გულსაკლავ ამბავს ჩემს მწარე ხვედრზე. თქვენა გგონიათ ეს ჯენტლმენი მომაქცევს თავის მაღალ ყურადღებას? თქვენც არ მომიკედეთ! პატარა მაუჩერმა უნდა იმასხროს, იპრანჭოს, უსტვინოს და იცეკვოს სხვის სალამურზე, სანამ არ მოკვდება ცისქვეშ. თუ თქვენ, გოლიათებმა, სათამაშოდ გაიხადეთ საბრალო ქონდრის ქალი, მოიღეთ მოწყალება და, ყოველ შემთხვევაში ზიზღით ნუ უცქერთ მას.

უზარმაზარი თავსაფარი მის მაუჩერის თავზე და მისი ჩრდილი ათამაშდა კედელზე.

– ღმერთმა დასწყევლოს თქვენი მეგობარი! – შესძახა მის მაუჩერმა და სალოკი თითი ასწია თავის ელვარე თვალებთან. – და ათასჯერ იყოს დაწყევლილი მისი გარყვნილი ლაქია! მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ შეყვარებული თქვენ იყავით!

– მე?

– აჰ, ბავშვო, ბავშვო! – წამოიძახა მის მაუჩერმა და ხელებს იმტვრევდა უეცარი სევდით. – რად მოგინდათ მაშინ ისეთი აღტაცებული ქებით მისი ხსენება? რად წითლდებოდით, რად გებნეოდით ენა?

მან ისევ ამოიღო ცხვირსახოცი და ორივე ხელით მიიღო თვალებთან.

– როგორ უნდა მომესაზრა და მომეფიქრებინა მთელი ეს ვერაგობისა და სიცრუის სისტემა? – თქვა მის მაუჩერმა. – როგორც კი მე დაგტოვეთ და ოთახიდან გამოვედი, მისი ლაქია დამეწია და მითხრა, რომ „უბედურ ძუძუმწოვარს შეჰყვარებია საბრალო გოგონა“. ძუძუმწოვარა მან თქვენ გიწოდით. თქვენ გესიამოვნებოდით, როდესაც სტირფორდი აქებდა მას, ეს აშკარა იყო. თქვენ პირველმა წარმოთქვეით მისი სახელი და გამოტყდით, რომ პატარაობიდანვე გიყვართ იგი. და მიხაროდა, რომ გამოცდილი ამხანაგი, გამსჭვალული მეგობობის გრძნობით, ცდილობს თქვენი სიკეთისათვის. მათ ეშინოდათ, ჩემთავად არ მივმხდარიყავი სიმართლეს! – შესძახა მის მაუჩერმა, ჩამოხტა ღუმელიდან და წინ და უკან სიარული დაიწყო სამზარეულოში, – მათ იცოდნენ, რომ გამოცნობაში ყოჩაღი ვარ; და აი, გამაბრეყვეს, როგორც უკანასკნელი სულელი! მე თვითონ, ჩემი საკუთარი ხელით გადავეცი წერილი იმ საბრალო ქალს!

ამ ვერაგობამ და მუხანათობამ უადრესად გამაოცა და ხმაამოუღებლად შევცქეროდი მის მაუჩერს, რომელიც განაგრძობდა სწრაფი ნაბიჯით წინ და უკან სიარულს. ბოლოს ისევ აფოფხდა ღუმელზე, მოიწმინდა ცხვირსახოცით თვალები, რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩუმად იჯდა და მხოლოდ თავს იქნევდა. მე არ დამირღვევია სიჩუმე.

– ჩემი წასვლის დროა, – მითხრა მან ბოლოს. – უკვე გვიანია. იმედი მაქვს, ეჭვი ჩემზე არა გაქვთ?

ამ კითხვასთან ერთად მან დაკვირვებით შემომხედა. ავირეო და ოდნავ გასაგონი ხმით წავილაპარაკე: „არა!“

მის მაუჩერმა ისევ გადამავლო თავისი გამჭრიახი თვალები, გამომიწოდა ხელი, რომ მეშველა მისთვის ჩამოსვლა ღუმელიდან, და მითხრა:

– თქვენ სავსებით გულწრფელი არ ხართ, სერ. გამოტყდით, რომ არავითარი ეჭვი არ დაგებადებოდით, ჩვეულებრივი ტანის ქალი რომ ვიყო. ეჭვი მხოლოდ ქონდრის ქალზე გაქვთ.

ამ სიტყვებში ბევრი სიმართლე იყო და მე ჩემი თავის შემრცხვა.

– ყური დამიგდეთ, სერ. თქვენ ყმაწვილი კაცი ხართ და, მაშასადამე, თავისუფალი ბევრი ცრუ აზრებისაგან, რომელიც ფესვებს იდგამს ჩვენში დროთა განმავლობაში. მიიღეთ გამოთხოვებისას რჩევა უმნიშვნელო სამი ფუტის სიმაღლის არსებისაგან. ნუ აურევთ ერთმანეთში სულისა და სხეულის სიმახინჯეს, ჩემო კეთილო მეგობარო! არის მახინჯთა შორის კეთილი ხალხი, ისევე, როგორც მშვენიერ სხეულში იმალება ზოგჯერ მახინჯი სული. დამიჯერეთ იმდენად მაინც, – დაამთავრა ქონდრის ქალმა და ჩემს ხელს შეეხო, – რამდენადაც თქვენ ენდობოდით და დაუჯერებდით ჩვეულებრივი ტანის ქალს. თუ ოდესმე კიდევ მოგიხდეთ ჩემი ნახვა იმავე როლში, რომელსაც სასტუმროში ვთამაშობდი თქვენს წინ, გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, რა საზოგადოებაში ვასრულებ მას. თუ გსურთ სამართლიანი იყოთ, წარმოიდგინეთ ჩემი დისა და ძმის წრეში, ჩვენს საკუთარს ოჯახში, სადაც ვბრუნდები ჩემი შრომის დამთავრების

შემდეგ. მაშინ თქვენ აღარ გაგიკვირდებათ, რომ ისეთ გლახაკს, როგორც მე ვარ, შეუძლია ხანდახან ჩაფიქრებაც და ნაღვლობაც. დამე მშვიდობისა!

მე ჩამოვართვი ხელი მის მაუჩერს სრულებით სხვა გრძობით, ვიდრე პირველად.

დილაადრიანად მოვიდნენ ჩემთან მისტერ პეგოტი და ჩემი გადია. ყველანი ერთად წავედით დილიუანსების კანტორაში, სადაც უკვე გველოდებოდნენ მისის გუმიჯი და ქამი.

– მასტერ დევი, – წამჩურჩლა ქამმა და განზე გამიხმო იმ დროს, როდესაც მისტერ პეგოტი ალაგებდა ბარგს. – მისტერ პეგოტის სიცოცხლე, შეიძლება ითქვას, დაღუპულია. მან თვითონაც არ იცის, სად მიდის და რა მოელის. მას განზრახული აქვს მოგზაურობა, რომელმაც, გარემოებისდა მიხედვით, შეიძლება მთელი სიცოცხლე გასტანოს, – ერწმუნეთ ჩემს სიტვას, – თუ ვერ იპოვნა იგი, ვისაც ეძებს. დარწმუნებული ვარ, მასტერ დევი, რომ თქვენ მისი ერთგული მეგობარი იქნებით. ასეა თუ არა?

– თქვენ არ სცდებით, ქამ. ყოველთვის ვეცდები, სასარგებლო ვიყო მისთვის, – ვუპასუხე მე და გულწრფელი თანაგრძნობით ჩამოვართვი ხელი.

– გმადლობთ, სერ! სულით და გულით გმადლობთ!

ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, და არასოდეს არ დამავიწყდება ის უღრმესი მწუხარებისა და მტკიცე გადაწვეტილების გამომეტყველება, რომელიც იხატებოდა იმ წამში ყმაწვილი კაცის სახეზე.

ლონდონში ჩასვლისთანავე, უპირველესად ყოვლისა, ჩვენ შევუდექით ბინის ძებნას პეგოტისთვის, სადაც მისი ძმაც მოეწყობოდა დროებით. ამგვარი ბინა, ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი, ჩვენ ვიპოვნეთ საწვრილმანო დუქნის თავზე.

გზაში მისტერ პეგოტიმ გამომიცხადა, რომ, უწინარეს ყოვლისა, იგი აპირებს მისის სტირფორდის ნახვას. ჩემს თავს მოვალედ ვთვლიდი შუაგულად ვყოფილიყავი ამ შეხვედრის დროს და ამიტომ იმ სადამოსვე მივწერე წერილი მისის სტირფორდს და მოვამზადე მოულოდნელი სტუმრის მისაღებად.

დანიშნულ საათს მივედით ჰაიგეტში და შევჩერდით იმ სახლის კართან, სადაც სულ რამდენიმე დღის წინ უდარდელი და ბედნიერი ვიყავი. ახლა ეს სახლი, მოღუშული და უდაბური, დახშული იყო ჩემთვის.

შეგვიყვანეს სასტუმრო ოთახში. მისის სტირფორდი აქ იყო, როზა დარტლი ჩვენი შესვლისას გამოვიდა ოთახის მეორე ბოლოდან და მისის სტირფორდის სავარძელს უკან დადგა.

დედის სახეზე პირველსავე შეხვედრისას დავინახე, რომ შეიღმა უკვე შეატყობინა ყველაფერი. იგი გაფითრებული იყო და ღრმა მწუხარების დაღი დასჩენოდა სახის ყოველ ნაკვთზე. იგი ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჰგავდა თავის შვილს; და ეს საოცარი მსგავსება, როგორც ვიგრძენი, არ გამოეპარა ჩემი თანამგზავრის ყურადღებას.

მისი სტირფორდი იჯდა წელში გამართული, ამაყი, აუშფოთებელი, გაქვავებული სახით. მან მიაპყრო თვალები მისტერ პეგოტის, რომელიც მის წინ იდგა. მისტერ პეგოტი დაკვირვებით უცქეროდა მას. სიჩუმე რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

მისის სტირფორდმა ხელით ანიშნა მისტერ პეგოტის სკამზე დაჯდომა. მან უპასუხა:

– მე უწესოდ მიმაჩნია, მიღედი, დაჯდომა ამ სახლში. ნება მიბოძეთ, ისევ ფეხზე ვიდგე.

ისევ ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს მისის სტირფორდმ თქვა:

– მე გულწრფელი მწუხარებით გავიგე, რამაც მოგიყვანათ აქ. რა გნებავთ ჩემგან? რას მოითხოვთ?

მისტერ პეგოტიმ იღლიაში ამოიღო ქუდი, ჩაიყო ხელი ჯიბეში, ამოიღო ემილიას წერილი და გადასცა იგი მისის სტირფორდს.

– კეთილ ინებეთ და წაიკითხეთ ეს, მილედო. ამას ჩემი დისწული წერს.

მისის სტიფორდმა გადაიკითხა წერილი იმავე მედიდური და აუღელვებელი სახით. წერილის შინაარსმა, როგორც ჩანდა, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა მასზე. მან დაუბრუნა წერილი მისტერ პეგოტის.

– „თუ იგი თავის მეუღლედ არ გამიხდის“, – თქვა მეთევზემ. – მე მოვედი გავიგო, ქალბატონო, შეასრულებს თუ არა იგი თავის დანაპირებს?

– არა!

– რატომ?

– ეს შეუძლებელია. იგი თავს დაიმცირებდა ამით.

– რითი, ნება მიბოძეთ ვიკითხო?

– ამგვარი ჯვარისწერით. თქვენ გესმით, რასკავირველია, რომ ქალი მასზე დაბლა დგას.

– აამაღლეთ!

– იგი გაუნათლებელია, გაუწვრთნელი!

– შესაძლებელია, ასეც არის, მაგრამ შესაძლებელია არა. მგონი, რომ არა, მაგრამ ამგვარ საქმეებში მე არა ვარ მსაჯული. ძალიან პატიოსანი. აღზარდეთ უკეთესად.

– ვინაიდან თქვენ მაიძულებთ გულახდილ ლაპარაკს, – რაც სრულებით არ მინდოდა, – მოვალე ვარ აღვნიშნო, რომ თქვენი დისწულის მდაბიო ნათესაობა ამისთვის გარდაუვალი ზღუდეა.

– მომისმინეთ, ქალბატონო, რას გეტყვით ამაზე, – უპასუხა მისტერ პეგოტიმ დინჯად და წყნარად. – თქვენ იცით, რას ნიშნავს შვილის სიყვარული. მეც ვიცი. თქვენ არ იცით, რა არის შვილის დაკარგვა, მე კი ვიცი. გადაარჩინეთ იგი ამ დამცირებისაგან და ფიცს დავდებ, რომ ჩვენ არ შევარცხვენთ მას. არც ერთი ჩვენთაგანი ნებას არ მისცემს თავისთავს, შეხედოს მის მშვენიერ სახეს, არც ერთი ჩვენთაგანი არ გამოტყდება, რომ იცნობს მას. ჩვენ ვინუგეშებთ იმ ფიქრით, რომ იგი ჩვენგან შორს, სხვა ცისა და მზის ქვეშ ცხოვრობს.

მეზღვაურის ტლანქმა მტერმეტყველებამ, ეტყობა, ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა მისის სტირფორდზე. მას არ შეუცვლია ამაყი და მედიდური პოზა, მაგრამ ხმა დაურბილდა, როდესაც უპასუხა მისტერ პეგოტის:

– მე არავის არ ვამართლებ და არავის არ ვამტყუნებ, მაგრამ მწუხარებით ვიმეორებ, რომ ეს შეუძლებელია. ამგვარი ჯვარისწერა აუცილებლად დაარღვევს ჩემი შვილის კარიერას, დაანგრევს მთელ მის მომავალს. თუ თქვენ შეგიძლიათ დაკმაყოფილდეთ სხვა რაიმე ანაზღაურებით...

– თქვენი სახე, ქალბატონო, მაგონებს სხვა სახეს, რომელიც ასე ცოტა ხნის წინათ მიცქეროდა ჩემს სახლში, ჩემს კერასთან, – გააწყვეტინა მისტერ პეგოტიმ და მიაპყრო მას თავისი გაცეცხლებული თვალები. – ეს სახე, მეგობრული დიმილის ქვეშ, უღირს აზრებსა ჰფარავდა. მერე? ნუთუ სახე, რომელიც ისე ჰგავს იმ სახეს, არ იწვის სირცხვილით, როდესაც ფულს სთავაზობს შეურაცხყოფილ მამას მისი ბავშვის შერცხვენისათვის? ეს არ მესმის, ქალბატონო, მით უმეტეს, რომ სახე, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ეკუთვნის ლედის!

მისის სტირფორდი უეცრად გამოიცვალა და მრისხანების სიწითლე გადაეფინა სახეზე. მისი ხმა თრთოდა, როდესაც ორივე ხელი სტაცა სავარძლის სახელურებს და წარმოსთქვა საპასუხოდ:

– თქვენ? თქვენ კი რითი შეგიძლიათ ამინაზღაუროთ ჩემი დანაკლისი, ის უფსკრული, რომელიც გაირღვა ახლა ჩემსა და ჩემს შვილს შორის? რა არის თქვენი სიყვარული ჩემს სიყვარულთან? რას ნიშნავს თქვენი განშორება ჩვენს განშორებასთან შედარებით?

მის დარტლი ოდნავ შეეხო მის მხარს და რაღაც წასწურჩეა ყურში; მაგრამ მისის სტირფორდს არ სურდა მისის მოსმენა.

– არა, როზა, არა! – უთხრა მან მოუთმენლობით. – დაე ამ ადამიანმა მოისმინოს ყველაფერი. ჩემი შვილი ერთადერთი ნუგეში იყო ჩემი სიცოცხლისა, ყველა ჩემი სურვილი და ფიქრი მხოლოდ მას ეკუთვნოდა, და იმ წუთიდან, როდესაც ის დაიბადა, არასოდეს არ გამიყვია ჩვენი არსებობა ერთმანეთისგან. და მერე? ეს შვილი გაიქცა ჩემგან, და ვიღაც საცოდავმა გოგომ დამიკარგა ერთადერთი შვილი! მისი გულისთვის უღირსი ტყუილით გადაუხადა დედის გულახდილობას, მისი გულისთვის გაბედა დედის დატოვება! როგორ? განა მე არ მქონდა უფლება მის მორჩილებაზე, სიყვარულზე, პატივისცემასა და მადლიერებაზე? მერე, ვინ გაბედა წინ აღდგომოდა ამ წმინდა უფლებებს? უღირსი, გლახაკი გოგო! განა ეს საწყენი არ არის?

ისევ სცადა როზა დარტლმა მისი შეცერება, მაგრამ ამაოდ.

– არა, როზა, არა! ნუთუ მას ჰგონია, რომ ხანგრძლივი მოშორება შემარიგებს მასთან? მაშ ძალიან ცუდად იცნობს თავის დედას! დაე ახლავე ჩაიხშოს თავისი უღირსი ვნება – და ჩემი სახლი ისევ ღიაა მისთვის. მაგრამ, თუ მას არ ეყო კეთილშობილი გამბედაობა უკუაგდოს იგი თავისგან, მაშინ იცოდეს, რომ არასოდეს არ მივიღებ! მე მსურს და მოვითხოვ, რომ დაუყოვნებლივ დაანებოს მას თავი, მოვიდეს სახლში და ითხოვოს სულგრძელი პატიება. აი, ჩემი უფლება! მხოლოდ ამას შეუძლია ჩვენი შერიგება, თუ არა და – ჩვენ ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს ამქვეყნად. განა ეს საწყენი არ არის? – დააბოლოვა მისის ტირფორდმა და მიაპყრო თავის სტუმარს მედიდული და მრისხანე თვალები.

როდესაც შეურაცხყოფილი დედა აღელვებით ამბობდა ამ სიტყვებს, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მის შვილს ვხედავ და მისი ხმა მესმის-მეთქი.

ამის შემდეგ მისის სტირფორდმა მომმართა წინანდელი სიმშვიდით და სიამაყით და შენიშნა ხმამაღლა, რომ უსარგებლოდ თვლის ამ შეხვედრის გაგრძელებას, რადგან უკვე თქვა ყველაფერი და აღარაფრის მოსმენა აღარ სურს. შემდეგ ადგა ოთახიდან გასასვლელად. მისტერ პეგოტიმ შეაჩერა.

– ნუ გეშინიათ, მე არ ვაპირებ მეტად თქვენს შეწუხებას, – თქვა მან და კარისკენ გადადგა ნაბიჯი. – უიმედოდ მოვედი აქ და უიმედოდ მივდივარ. არაფერს არ მოველოდი ამ ბოროტი სახლისგან!

ჩვენ დაებრუნდით პატარა ბინაში საწვრილმანოს თავზე. აქ მოვასწარი მეამბნა ჩემი პეგოტისათვის ის, რაც მისმა ძმამ მითხრა. მანაც ჩემსავით არ იცოდა, სად მიდიოდა მისტერ პეგოტი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ იგი მოქმედებდა წინასწარ მოფიქრებული გეგმით.

თავის დის ფულიდან მისტერ პეგოტიმ მიიღო მცირე თანხა იმ პროცენტების ანგარიშზე, რომელიც ერგებოდა ნაანდერძევი თანხიდან. ეს თანხა, ჩემის ვარაუდით, უნდა ჰყოფნოდა არა უმეტეს ერთი თვისა. იგი დამპირდა დროგამოშვებით წერილების მოწერას; შემდეგ გადაიგდო მხარზე მუშაობის ჩანთა, აიღო ქუდი და ჯოხი და გამოგვეთხოვა.

– გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, კეთილო ადამიანო, – უთხრა მან დას და მოეხვია, – თქვენც, მასტერ დევი. – მან მაგრად ჩამომართვა ხელი. – თუ ჩემი გოგონა თვითონ დაბრუნდება ჩემი არყოფნის დროს (ნეტავი ასე მოხდებოდა), ან თუ მოვნახე და მოვიყვანე უკან, ჩვენ ისეთ ადგილას უნდა დავსახლდეთ, რომ არაოდეს არავინ არ გაბედოს მისი დაყვედრება. მაგრამ თუ დავიუპები ამ მოგზაურობის დროს, გახსოვდეთ, რომ ჩემი უკანასკნელი სიტყვები სიცოცხლესთან გამთხოვებისას იყო: „უცვლელია ჩემი სიყვარული ძვირფასი ბავშვისადმი. მიპატიებია მისთვის!“

მან წარმოსთქვა ეს სიტყვები მგრძნობიარე ხმით, ქუდმოხდილმა. შემდეგ დაიხურა ქუდი და ჩავიდა კიბეზე. იგი კარებამდე მივაცილეთ.

**თავი ოცდამეათე**



## აღტაცება

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი სიყვარული დორასადმი დღითი დღე იზრდებოდა. ოცნება მის შესახებ ჩემი ერთადერთი ნუგეში იყო ცხოვრების უკუღმართობაში და ერთადერთი სამაგიერო ჩემი მეგობრის დაკარგვისა. რაც უფრო მეტი გროვდებოდა ჩემს გარშემო სიცრუე და მღელვარება ამ ქვეყნისა, მით უფრო წმინდად და ნათლად ელვარებდა მშვენიერი დორას ვარსკვლავი...

სიყვარულმა ისე გამიტაცა, რომ გადავწყვიტე, პეგოტისთვის გამეზიარებინა ჩემი საიდუმლო. ერთ საღამოს ფრთხილად ვუამბე მას მთელი ჩემი გულის დარდი. პეგოტი ძალიან დააინტერესა ამ ამბავმა, მაგრამ სულ სხვანაირად შეხედა საქმეს. ისე ღრმად და უსაზღვრო გადაჭარბებით იყო დარწმუნებული ჩემს მაღალ ღირსებებში, რომ ვერც კი წარმოედგინა, რა ეჭვი ან მღელვარება შეიძლებოდა აღძრულიყო ჩემს გულში.

– საქმე დღესავით ნათელია, – მითხრა პეგოტმ გადაჭრილი კილოთი. – ახლაგაზრდა ლედის შეუძლია მოულოცოს თავისთავს, რომ ასეთი საუნჯე იშოვნა. იმაზე ხომ ლაპარაკიც მეტია: უკეთესი რა უნდა?

მაგრამ მიუხედავად ამისა, მისტერ სპენლოს პროქტორობის წამოსახამი და მისი მაღალი, თოვლივით თეთრი და კაჟივით მაგარი საყელო ერთგვარ მოკრძალების გრძნობას იწვევდა მიუწვდომელ მსაჯულისადმი ჩემს კეთილ გადიაშიც კი.

თვით პეგოტის დამოკიდებულება დოქტორთა კოლეგიასთან განისაზღვრებოდა მით, რასაც ჩვენში ჩვეულებრივად უბრალო იურიდიულ ფორმას უწოდებენ და რომელიც არას შემთხვევაში არ გაგრძელდებოდა დიდხანს. როდესაც ყველა ფორმალური წესი შესრულებული იყო, წავიყვანე პეგოტი სამმართველოში იურიდიული ხარჯების გადასახდელად.

მისტერ სპენლო იმხანად კანტორაში არ იყო. იგი ფიცს ადებინებდა ვიღაც ჯენტლმენს, რომელიც ნებასა თხოულობდა კანონიერი ქორწინებისათვის. ამ ნებართვას „ლიცენზიას“ უწოდებდნენ. ბოლოს, პატივცემული პროქტორი გამოვდა ჩვენთან მხიარული და მოცინარი სახით, როგორც საქმრო – ქორწილის წინ.

მაგრამ პეგოტმ და მე იმწამსვე პირი მოვარიდეთ მისტერ სპენლოს, როდესაც, ჩვენდა გასაოცრად, მისტერ მორდსტონის საზოგადებაში დავინახეთ იგი.

– აი, კოპერფილდ? – მითხრა მისტერ სპენლომ. – თქვენ მგონი, ცოტათი იცნობთ ამ ჯენტლმენს?

მე თავდაჭერით თავი დაუკარი ჯენტლმენს, მაგრამ პეგოტმ ძლივს დახარა თავი.

იგი თითქმის სრულებით არ გამოცვლილიყო. თმები უწინდელივით ხშირი, ისეთივე შავი ჰქონდა და თვალებიც უწინდებურად არ იწვევდნენ არავითარ ნდობას. პირველ წუთში იგი, როგორც ეტყობოდა, აირია ამნაირ შეხვედრისაგან, მაგრამ იმწამსვე წელში გასწორდა და მომიახლოვდა.

– იმედი მაქვს, კარგად ხართ? – მითხრა მისტერ მორდსტონმა.

– არა მგონია, რომ ეს საინტერესო იყოს თქვენთვის, – ვუპასუხე მე. – თუმცა მე კარგად ვარ.

– თქვენ როგორღა ბრძანდებით? გულწრფელად ვწუხვარ, რომ მეუღლე დაკარგეთ.

– გამდლობთ, სერ, – უპასუხა პეგოტმ და თან აკანკაღდა თავით ფეხებამდე, – ეს პირველი დანაკლისის არ არის ჩემს სიცოცხლეში, მისტერ მორდსტონ! სულით და გულით მიხარია, რომ ვერავის ვერ დავემღურები ამ უკანასკნელი დანაკლისის გამო. აქ არავინ იყო დამნაშავე.

– ჰმ, ეს სასიამოვნო მოსასმენია, – თქვა მისტერ მორდსტონმა. – მაშ თქვენ შეასრულეთ თქვენი ვალი? ეს დამამშვიდებელი აზრია!

– დიას, სერ! მე არავის სიცოცხლე არ ამომიჭამია, – დაუმატა პეგოტიმ. – არა, მისტერ მორდსტონ! ჩემი გულისთვის არცერთი ნაზი, მშვიდი, მშვენიერი, საყვარელი და უმწეო არსება არ ჩასულა ადრეულ სამარეში. არა, სერ, არა!

მისტერ მორდსტონმა გადაავლო მას მრისხანე თვალები. შემდეგ მომიბრუნდა, ჩემს მაგივრად ჩემს ფეხებს დააჯექვრდა და მითხრა:

– მე მგონია, ჩვენ მალე აღარ შევხვდებით ერთმანეთს ამის შემდეგ. უეჭველია, ეს აზრი ისევე სასიამოვნოა თქვენთვის, როგორც ჩემთვის, რადგან ამგვარი შეხვედრა ვერ არის მაინცდამაინც სახარბიელო.

მე თავი დავეუკარი.

– თქვენ მუდამ ეწინააღმდეგებოდით ჩემს კანონიერ უფლებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ხასიათის ცუდი თვისებების აღმოფხვრის წინააღმდეგ იყო მიმართული, – განაგრძო მისტერ მორდსტონმა. – მაშასადამე, არავითარი იმედი არ მაქვს თქვენი მადლობისა და, მით უმეტეს, თქვენი კეთილი განწყობილებისა ჩემდამი.

ეს ლაპარაკი სწარმოებდა გარე კანტორის კუთხეში და მისტერ მორდსტონი ყრუ და ოღნავ გასაგონი ხმით ლაპარაკობდა. შემდეგ იგი შევიდა მისტერ სპენლოს კაბინეტში და უთხრა ხმამაღლა მლიქვნელის კილოთი:

– თქვენი პროფესიის ჯენტლმენები, მისტერ სპენლო უეჭველია, დაჩვეულნი არიან ათასგვარი ოჯახური უთანხმოების მოწმედ ყოფნას და, რასაკვირველია, იციან, როგორ დახლართულია ხოლმე ეს საქმეები.

ამ სიტყვებით მან გადაიხადა ფული თავის „ლიცენციისათვის“ და, როდესაც მიიღო ეს იურიდიული საბუთი მისტერ სპენლოს ხელიდან, კანტორიდან გავიდა. პატივცემულმა პროქტორმა გააცილა თავისი კლიენტი კარებამდე, გამოეთხოვა მეგობრული ხელის ჩამრთმევით და უსურვა ყოველივე სიკეთე მას და მის მომავალ მეუღლეს.

პეგოტი ისე ააღელვა ამ შემთხვევამ, რომ ძლივს დავამშვიდე.

როგორც ჩანდა, მისტერ სპენლომ სრულებით არ იცოდა, რა დამოკიდებულება არსებობდა ჩემსა და მისტერ მორდსტონს შორის. მისი აზრით, ამ ოჯახურ უთანხმოებაში უსათუოდ პაპიდაჩემი ერია.

– მის ტროტეული გაბედული დედაკაცია, – შენიშნა მის სპენლომ, – და ყოველ შემთხვევაში, მოახერხებს თავის დაცვას. ოპოზიცია არაფერს არ მოიგებს. მუდამ მაკვირვებს მის ტროტეულის ხასიათი, და ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, კოპერფილდ, რომ თქვენ მართლის მხარეზე ხართ. რასაკვირველია, გათიშვა ნათესავეებს შორის დიდად საწყენია, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამგვარ შემთხვევაში უმთავრესია მართლის მხარეზე იყო... ესე იგი იმ მხარეზე, სადაც ფულია. მისტერ მორდსტონი ცოლს ირთავს... პარტია, მგონი ურიგო არ არის. მე მივხვდი მისტერ მორდსტონის სიტყვებიდან, – ხალხს ხშირად წამოსცდება ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, – რომ ეს ჯვარისწერა ხელსაყრელი უნდა იყოს. მისი და, მის მორდსტონი, ჯერ კიდევ წინათ ლაპარაკობდა ამის შესახებ.

– თქვენ ბრძანეთ, რომ ფულის მხრით არის ხელსაყრელი ეს ჯვარისწერა, სერ? – ვკითხე მე.

– დიას, ფულის მხრით, უპირველესად ყოვლისა, – მიპასუხა მისტერ სპენლომ. – ამასთანავე, ამბობენ, საცოლვე მზეთუნახავიაო!

– ყმაწვილია იგი?

– სწორედ გათხოვების ასაკშია. ქორწილი გადადებული იყო მის სრულწლოვანებამდე.

– აჰ, საბრალო! – შესძახა პეგოტიმ.

ამის შემდეგ მისტერ სპენლომ შემატყობინა, რომ ამ კვირას დორას დაბადების დღეა და ამის გამო იმართება პატარა ოჯახური ქეიფი ქალაქგარეთ. მან მითხრა, რომ ძალიან მასიამოვნებ, თუ მეწვევი აგარაკზე ოჯახურ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებადო. პროქტორის მოწვევამ საბოლოოდ შემშალა ჭკუიდან; და როდესაც მივიღე მოსაწვევი ბარათი ვარდისფერ ქაღალდზე წარწერით: „მოწვევას გაგონებთ“, მთელი დღის განმავლობაში გიჟივით ვიყავი.

ახლაც მაციებს და მაცხელებს, როდესაც ვიგონებ ამ შემთხვევისთვის ნაყიდ ყელსახვევს. ჩემს ფეხსაცმელს უდავოდ შეეძლო წამების იარაღების კოლექციის გამდიდრება. დღესასწაულის წინადღეს ვიყიდე და ნორვუდში გაგვზავნე საღამოს დილიჯანსით პატარა კალათა, სავსე იმგვარი ნივთებით, რომლებიც, ერთად აღებულები, სიყვარულის ფორმალურ გამოცხადებას უდრიდა. დილის ექვს საათზე უკვე კოვენგარტენის ბაზარზე ვიყავი და თაიგულს ვყიდულობდი დორასთვის. ათ საათზე მივაჭენებდი ლურჯა ცხენს და მშვენიერი თაიგული მიმაგრებული მქონდა ქუდზე, რათა უვნებლად მიმეტანა იგი ნორვუდში.

როდესაც, ბოლოს მივედი მისტერ სპენლოს აგარაკზე და ჩამოვხტი ცხენიდან ბაღის კარებთან, გავწიე მწვანე მინდორზე ჩემი ექსცენტრიული ფეხსაცმელით იმ სკამისკენ, სადაც დორა იჯდა.

მასთან ერთად იჯდა ყმაწვილი ლედი, დაახლოებით ოცი წლისა. მისი გვარი იყო მის მილსი და დორა მას ჯულიას უწოდებდა. მის მილსი დორას მეგობრად ითვლებოდა. ბედნიერი მის მილსი!

– გიხაროდეთ, მისტერ კოპერფიდ, – შესძახა დორამ. ის საძაგელი მის მორდსტონი ახლა აქ არ არის. იგი თავისი ძმის ქორწილში წავიდა და სულ ცოტა – სამი კვირა მაინც დარჩება იქ. მშვენიერება არ არის?

მაგრამ, აი, სახლიდან მისტერ სპენლო გამოვიდა. დორა მიეგება მამას და წამოიძახა:

– შეხედეთ, მამილო, რა მშვენიერი ყვავილებია! ეს მისტერ კოპერფიდმა მომართვა.

ჩვენ ყველამ გავწიეთ ეტლისკენ, რომელიც უკვე მზად იყო.

არასოდეს არ ყოფილა ასეთი მშვენიერი მგზავრობა; არასოდეს არც იქნება. ცხენით მივდევდი ეტლს, ოდნავ მოშორებით. დორა იჯდა ზურგით ცხენებისკენ და მიყურებდა. ჩემი თაიგული მის გვერდით იყო პატარა ბალიშზე. იგი ხშირად იღებდა მას ხელში და დიდი სიამოვნებით იყნოსავდა ყვავილების სურნელებას.

თუ არა ვცდები, დიდი მტვერი იდგა. მგონი, მისტერ სპენლო მირჩევდა, ცოტათი მოშორებით მეულო ეტლისაგან, რომ მტვერი არ დამდებოდა; მაგრამ არ ვუსმენდი მისტერ სპენლოს. ერთნაირად ჩავფლულიყავი სიყვარულისა და მშვენიერების ღრუბელში, რომელიც დორას გარს ეხვია. ამის მეტს არაფერს ვგრძნობდი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიარეთ, და აქამდის არ ვიცი, საით მივდიოდით. გილდფოლდისკენ, ალბათ, ან დაახლოებით იქით. უეჭველია, რომელიმე ჯადოქარმა ერთი დღით გამოაჩინა ეს მშვენიერი ადგილი და შემდეგ სამარადისოდ დამალა იგი; ასე რომ, ახლა ვერც კი ვიტყვი, სად ვიყავი. მახსოვს მხოლოდ, რომ იქ იყო მწვანე მოედანი, ხეხილით დაჩრდილული, და, საერთოდ, მშვენიერი სანახაობა ყოველი მხრით.

ძალიან ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ათასგვარი უცხო ხალხი მოელოდა ჩვენს მისვლას. ეჭვიანობას საზღვარი არ ჰქონდა. ყველა მამაკაცი, განურჩევლად, ჩემი მოსისხლე მტერი გახდა, მეტადრე – ერთი წითური დიდუღვაში.

ჩემს თავში მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩა იმისი, თუ რა ხდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში. ვიცი, რომ საშინლად ვმხიარულობდი, მაგრამ ეს იყო სასოწარკვეთილების ტრაგიკული მხიარულება. მე ჩავაჩივდი ვარდისფერკაბიან ყმაწვილ ლედის და საშინელი დაჟინებით ვეარშიყებოდი. იგი ძალიან მოხდენილი იყო და პატარა თვალეში ცეცხლის ნაპერწკლები უკრთოდა.

წარმოსთქვეს დორას სადღეგრძელო. როდესაც მე ვსვამდი ჩემს ჭიქას, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ლაპარაკი შემაწვტყვევებინეს ყველაზე საინტერესო ადგილას, და იმწამსვე განვაგრძე იგი წინანდელის აღფრთოვანებით. როდესაც თავი დაგუკარი, თვალი მოვკარი დორას თვალებს და ისე მომეჩვენა, თითქოს იგი სევდიანი იყო; მაგრამ დორა მიყურებდა წითურ დიდუღვაშას თავს იქიდან და ამის გამო უღმობელი დავრჩი, როგორც ქვა.

ვარდისფერკაბიან ყმაწვილ ლედის ჰყავდა მწვანეკაბიანი დედა და მას აზრად მოუვიდა ჩვენი განშორება რაღაც იდუმალ გარემოებათა გამო, რაც ჩემთვის გამოუცნობ საიდუმლოებად დარჩა. თუმცა, როდესაც სადილის ნარჩენები კალათებში ჩაალაგეს, ყველანი ისედაც წავიდ-წამოვიდნენ იქით-აქეთ. სასოწარკვეთილმა და გამწარებულმა, დავიწყე ხეტიალი ხეებს შორის. წარმოუდგენელს გუნებაზე ვიყავი. ავადმყოფად ხომ არ გამოვაცხადო თავი, ან ხომ არ გავექუსლო ჩემს ლურჯაზე უგზო-უკვლოდ-მეთქი? იმ დროს, როდესაც სერიოზულად ვიყავი გართული ამ საკითხების გადაჭრით, მომიახლოვდნენ მის მილსი და დორა.

– მისტერ კოპერფილდ, – მითხრა მის მილსმა, – თქვენ მოწყენილი ხართ?

– სრულებითაც არა! რად გგონიათ!

– დორა! – განაგრძო მის მილსმა ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია ჩემი პასუხისთვის. – დორა, შენ მოწყენილი ხარ?

– ო, არა, არა! სრულებით არც კი მიფიქრია!

– მისტერ კოპერფილდ და დორა! – თქვა მის მილსმა. – კმარა, ჩემო მეგობრებო, კმარა! ნუ გაახშობთ რაიმე სისულელის გულისთვის გაზაფხულის ყვავილებს; ერთხელ მოწყვეტილნი, ისინი ჭკნებიან სამუდამოდ და აღარ იშლებიან მეორედ. გეუბნებით ამას საკუთარი, მწარე გამოცდილებით.

ავიღე დორას პაწაწინა ხელი და ვაკოცე მას. დორას არ გაუწევია წინააღმდეგობა. ჩვენ აღარ გავშორებივართ მთელ საღამოს. ერთად დავდიოდით და დორას მთრთოლვარე ხელი ხელში მეჭირა. ყველაფერი ეს სისულელეა, არ ვდაობ, და იქნებ დიდი სისულელეც – ფილოსოფიური თვალსაზრისით; მაგრამ რა ბედნიერი იქნებოდა მომაკვდავი, რომ სამუდამოდ ასეთი სულელური ცხოვრება ეწეროს!

მთვრალი ვიყავი ბედნიერებისაგან; ყოველივე ეს მომხიბლავ სიზმრად მეჩვენებოდა და მეშინოდა, ხუმრობაგაშვებით, რომ ახლავე გამომეღვიძებოდა ბუკინგემის ქუჩაზე და მომესმოდა მისის კროპის ფინჯნების ჩხარუნი.

მაგრამ დორა მღეროდა, სხვა ქალებიც მღეროდნენ; მის მილსიც მღეროდა. ჩვენ ჩაი დავლიეთ, საღამო გაგრძელდა.

მეტი ბედნიერება ვიგრძენი, როდესაც მთელი უცხო ხალხი გამოგვეთხოვა და წავიდ-წამოვიდნენ სახლებში. ჩვენ იმავე გზით დავბრუნდით.

გზაში მის მილსმა შემატყობინა, რომ დორა ესტუმრებოდა მას რამდენიმე ხნით, და მეც მიმიწვია. არ ვიცი, რა მანქანებით, ნორჟუდი მოგვიახლოვდა რამდენიმე მილით, და ჩვენ გაცილებით უფრო ადრე მივედით სახლში, ვიდრე უნდა მივსულიყავით.

– შემოდით სახლში, მისტერ კოპერფილდ! თქვენ უნდა დაისვენოთ, – მითხრა მისტერ სპენლომ.

ოთახში მოგვართვეს ღვინო და ბუტერბროდები. თაფლის სანთლების შუქზე დორა ისეთი სიყვარულით ბრწინავდა, რომ თვალი ვერ მოვაშორე და ვეღარ დავიძარი მისი სახლიდან; მაგრამ როდესაც, ბოლოს, მისტერ სპენლომ მოურიდებლად ხვრინვა ამოუშვა სავარძელში, ცხადად დავინახე, რომ დიდი ხანია ჩემი სახლში წასვლის დრო იყო.

მეორე დღეს ლოგინში გადავწყვიტე, გამომეცხადებინა დორასთვის სიყვარული და გამეგო ჩემი ბედი. სამმა დღემ საშინელ ტანჯვაში გაიარა.

ბოლოს, მოვიკრიბე მთელი ჩემი ძალ-ღონე და გავწიე მის მიღსის სახლში გარკვეულის მიზნით – ჩემი ბედი გამეგო.

მისტერ მიღსი სახლში არ იყო, – ან რა საჭირო იყო მისი ყოფნა? სრულებით არ მქონდა მისი პირადი ნახვის სურვილი. მის მიღსი სახლში იყო, – ეს კმაროდა.

ამიყვანეს მეორე სართულში, სასტუმროში, სადაც მის მიღსი და დორა იხსდნენ. მის მიღსი ნოტებს სწერდა; დორა ყვავილებს ხატავდა. ეს სწორედ ის ყვავილები იყო, რომელიც კოვენტგარტენის ბაზარზე ვიყიდე. ვერასგზით ვერ ვიტყვი, რომ დედანსა და პირს შორის რაიმე მსგავსება შემენიშნოს. იმის თქმაც კი ძნელია, შესაძლებელია თუ არა საერთოდ არსებობდეს მცენარეთა სამეფოში რაიმე მსგავსი ამ სურათისა; მაგრამ მაინც მივხვდი, რომ დორა ჩემს თაიგულსა ხატავდა.

მის მიღსი დიდად მოხარული იყო და მწუხარება გამოთქვა, რომ მამამისი სახლში არაა; თუმცა ჩვენ ყველანი, თუ არ ვცდები, შესანიშნავი სულის სიმტკიცით ვიტანდით ამ დანაკლისს.

მე გამიელვა აზრმა, – უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ჩემი აღსარება ხვალისთვის გადამეღო.

– იმედი მაქვს, თქვენი საბრალო ცხენი ძალიან არ დაიქანცა გუშინ დაბრუნებისას? – მითხრა დორამ, როდესაც მის მიღსი ოთახიდან გავიდა.

მე გავიფიქრე, რომ უკეთესი იქნებოდა, დღესვე გამეთავებინა ყველაფერი.

– დიას, – ვუპასუხე მე, – გზა გრძელი და მოსაწყენი იყო, რადგან არაფერი არ ახალისებდა მას დაბრუნების დროს.

– როგორ? განა არაფერი აჭამეს? საბრალო ცხენი! – შესძახა დორამ.

მე გადავწყვიტე, რომ უკეთესი იყო, ხვალისთვის გადამეღო.

– არა, მაძლარი კი იყო, აჭამეს, მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ მას არ შეეძლო ეგრძნო ის შეუღარებელი ბედნიერება, რომელსაც ვგრძნობდი თქვენს ახლოს ყოფნით.

დორამ თავი დახარა ნახატზე და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ თქვა:

– ერთ დროს, მგონი, თქვენ სრულებით არ ესწრაფებოდით ამ ბედნიერებას...

ამ წუთში ვიგრძენი, რომ დადგა კრიტიკული წამი და ჩემი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

– თქვენ სრულებით არ ზრუნავდით ამ ბედნიერებაზე... სრულებით... როდესაც მის კიტის გვერდით იჯექით, – მითხრა დორამ წარბებშეკრულმა და თავი გაიქნია.

მის კიტი იყო ის ვარდისფერკაბიანი ლედი, რომელსაც მწავნეკაბიანი დედა ჰყავდა.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მე მოვეხვიე დორას. მჭერმეტყველებამ გადმოხეთქა ჩემი პირიდან ნაკადულივით. სიტყვები ერთიმეორეს მოსდევდა შეუჩერებად. ვუთხარი, როგორ მიყვარს იგი, ვუთხარი, რომ მოგკვდები უიმისოდ, რომ ვაღმერთებ მას!

როდესაც დორამ დახარა თავი, ატირდა და თრთოლდა, ჩემმა მჭერმეტყველებამ აბობქრებული მდინარის ხასიათი მიიღო. ვუთხარი, რომ საკმარისია ერთი სიტყვა წარმოთქვას და მზად ვარ, მისი სიამოვნებისათვის ავიტანო ათი ათასი სიკვდილი, მუდამ მეყვარება იგი, ყოველ წუთში, გაგიჟებით. ყოველთვის იყო ხალხი, რომელიც უყვარდათ და ყოველთვის იქნება ხალხი, რომელთაც ეყვარებათ; მაგრამ არავის და არასოდეს, ქვეყნის დასაბამიდან ამ წუთამდე, არ ჰყვარებია, არ უყვარს, არ ეყვარება და არც შესწევს ნიჭი ისეთი სიყვარულისა, როგორც მე მიყვარს დორა.

ნელ-ნელა დავწყნარდი. მე და დორა ვისხედით სოფაზე ერთმანეთის გვერდით. მძიმე ტვირთი მომეშვა მხრებიდან. ნეტარებაში ვიყავი. მე და დორამ

შევეფიცეთ ერთმანეთს, რომ მხოლოდ ერთმანეთისათვის ვიცოცხლებთ ამის შემდეგ.

დორამ გამოთქვა აზრი, რომ მისი მამის ნებადაურთველად ვერასგზით ვერ დავიწერთ ჯვარს. გადავწყვიტეთ, დროებით საიდუმლოდ შეგვენახა ჩვენი დამოკიდებულება მისტერ სპენლოსაგან; თუმცა მაშინ აზრადაც კი არ მომსვლია, რომ ჩემი და მისი შვილის დამოკიდებულება შესაძლებელი იყო დასაძრახისად სჩვენებოდა ვისმეს.

მის მიღსმა სულით და გულით დალოცა ჩვენი სიყვარული.

რა ბედნიერი დრო იყო! როგორი სულელური, ნეტარების დრო!

როდესაც ვიხედები განვლილ გზაზე, არ ვიცი ჩემს სიცოცხლეში არც ერთი ხანა, რომელზედაც ჩემს მოგონებას შეეძლოს შეჩერება მეტი სიყვარულითა და ღიმილით!

## თავი ოცდამეთერთმეტე

### პაპიდა მაკვირებს

მე მივწერე აგნესას დიდი წერილი, რომელშიც ვეცადე, ცოცხალი ფერებით დამეხატა, რა ბედნიერი ვიყავი და რა მშვენიერი იყო დორა. ვარწმუნებდი აგნესას, რომ ამ გრძნობის სიღრმე უსაზღვროა და რომ ამის მაგვარი არა ყოფილა-რა ადამიანის გულის ისტორიაში.

სტირფორდის შესახებ არაფერი მითქვამს. მხოლოდ გაკვირით მოვიხსენე, რომ ჩემი იარმაუთელი მეგობრები უზომოდ შეწუხებული არიან ემილიას გაქცევით და რომ მეც მეტად გაცოცხლებული ვარ. ვიცოდი, რომ აგნესა თვითონ მიხვდებოდა ჩემგან დამალულს ჭეშმარიტებას, დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველი არასოდეს არ წარმოსთქვამდა ჩემს წინაშე ჩემი მეგობრის სახელს.

ამ წერილის პასუხი პირველი ფოსტითვე მივიღე. როცა კვითხულობდი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მესმოდა აგნესას მეგობრული ხმა.

ჩემი სახლში არყოფნის დროს, ორჯერ თუ სამჯერ ტრედელსი ყოფილიყო. მას გაეცნო ჩემი კეთილი გადია, დაახლოებით ერთი საათი დარჩენილიყო და დრო ჩემს შესახებ მასლაათში გაეცარებინა. ასე გადმომცა პეგოტიმ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ლაპარაკით მხოლოდ პეგოტი ლაპარაკობდა, ამასთან უფრო მეტ ხანს, ვიდრე ერთი ან ორი საათი: გამოცდილებით ვიცოდი, რა ძნელი იყო მისი შეჩერება, როდესაც იგი ჩემს შესახებ დაიწყებდა ლაპარაკს.

ამან მომაგონა, რომ ტრედელსს დანიშნული ჰქონდა დღე, როდესაც იგი ჩემთან უნდა მოსულიყო, და რომ ეს დღე უკვე მოახლოვდა. ჩემმა შინაურმა პირობებმა უკანასკნელ დროს სხვანაირი ხასიათი მიიღო, რაც ერთგვარ განმარტებას თხოულობს. მისის კროპმა, საკუთარი ღირსების გრძნობით განმსჭვალულმა, გადაჭრილი უარი განაცხადა აესრულებინა რაიმე მოვალეობა (გარდა ფულის მიღებისა) იმ დრომდე, სანამ ჩვენს სახლში ივლის დედაკაცი, რომელსაც პეგოტი ეწოდება. ამის გამო მისის კროპს არა ერთხელ ჰქონდა საიდუმლო ბჭობა თავის კიბეზე, სადაც ელაპარაკებოდა ხმამაღლა ვიღაც უხილავსა და უჩინარ არსებას, უეჭველია, ჭინკას, რადგან, არსებითად, იგი მარტოდმარტო ცხოვრობდა და მთელ სახლში ჩემსა და მის გარდა არ იყო არც ერთი ცოცხალი არსება, მაგრამ როდესაც ამ კრებებმა ვერ გამოიღო სათანადო შედეგი, მისის კროპმა მომწერა წერილი, რომელშიც დაწვრილებით მიხსნიდა თავის მიზნებსა და სურვილებს. ჩვეულებრივი შესავლის შემდეგ, რომელიც, უნდა ითქვას, არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავდა, მისის კროპი მიხსნიდა, უპირველესად ყოვლისა, რომ იგი თვითონ დედაა და ამასთანავე ისეთი დედაკაცი, რომელსაც ბედის წყალობით მრავალნაირი მდგომარეობა გამოუცდია

ცხოვრებაში, მდიდარი გრძნობებითა და საქმეებით. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი მდგომარეობა, მაინც მისი კროპს, თავისი არსებობის ყველა ხანაში, ინსტიტუტურად ზიზღსა გვრიდა ყოველივე ის, რასაც ბეზღობა ან დასმენა ეწოდება. აქ არ არის საჭირო აღნიშვნა რომელიმე პიროვნებისა ან რაიმე სახელისა, – განაგრძობდა მისი კროპი, – მაგრამ მამბეზღარა და დამსმენი, – ქალი იქნება თუ კაცი, მას ჭირივით სძულს, მიუხედავად ყოველგვარი ქვრივის თავსახურავისა და თალხი კაბებისა (უკანასკნელი სიტყვები ხაზგასმული იყო). თუ რომელიმე ჯენტლმენი მსხვერპლი ხდება ამ მამბეზღარისა და დამსმენისა, ეს მისი საკუთარი ნებაა. დე ისე მოიქცეს, როგორც სურდეს. ეს მისი კროპის საქმე არ არის. მისი კროპის ერთადერთი სურვილია – არაფერი საერთო არ იქნოს ამგვარ ხალხთან. ამიტომ იგი უმორჩილესად ითხოვს, არავითარი პრეტენზიები ან გამოაცხადონ მის დახმარებაზე, ვიდრე საქმის ვითარება პირვანდელ სახეს არ მიიღებს, რასაც იგი გულწრფელად ისურვებს. ბოლოს, მისი კროპი მიცხადებდა სათანადო პატივისცემით, რომ მისი პატარა ანგარიშის წიგნაკი ყოველ შაბათს ჩემს სასადილო მაგიდაზე იდებოდა, და გამოსთქვამს იმედს, რომ, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, დაუყოვნებლივ ნაღდი ფულით დაეფარავდი ამ წიგნაკში აღნიშნულ ვალებს, ბოროტი ენების ყბედობისა და სხვათა შეწუხების თავიდან ასაცილებლად.

ამგვარი ფორალური დეკლარაციის შემდეგ, მისი კროპი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ კიბეზე ქოთნებისა და დოქების საშუალებით მართავდა ეშმაკურად მოწყონილ მახეებს, კეთილის მიზნით – ფხვები მოემტვრია ჩემი კეთილი გადიასათვის. ამგვარი სააღყო წესები ცხოვრების დიდ უხერხულობას წარმოადგენდა, მაგრამ ისე მეშინოდა მისი კროპისა, რომ ვერ ვბედავდი მიმელო მის წინააღმდეგ რაიმე ზომები და შეტევაზე გადავსულიყავი.

– ძვირფასო კოპერფილდ, – შემომძახა ტრედელსმა, როდესაც მოვიდა ჩემთან დანიშნულ დღეს, – როგორ ხარ, მეგობარო?

– დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავ, ძვირფასო ტრედელს, – ვუთხარი მე. – მაპატიე, ჩემო ძმობილო, რომ სახლში არ დაგხვდი. ბოლო დროს ბევრი საქმეები მქონდა.

– შენი სატრფო ლონდონში ცხოვრობს, თუ არ ვცდები?

– რაო, რა სთქვი?

– როგორ თუ რა?.. მაპატიე, ჩემო ძმაო, – ეს ჩვეულებრივი საქმეა. მის დ. – არა? – ლონდონში ცხოვრობს, თუ არ ვცდები?

– დიახ, ლონდონის მახლობლად.

– შესანიშნავია. ჩემი კი – შენ ხომ გახსოვს, რასაკვირველია? – პასტორის ქალიშვილი, დევონშირში ცხოვრობს. მაშასადამე, მე ისე არა ვარ გართული, როგორც შენ.

– მე მიკვირს, როგორ შეგიძლია დაკმაყოფილდე ასეთი იშვიათი შეხვედით შენს საცოლესთან?

– რა გგონია? – თქვა ტრედელსმა ჩაფიქრებით. – მართლაც გასაკვირია, მაგრამ რა ვქნა? ამას არა ეშველება-რა! ძალიანაც მინდა მისი ხშირად ნახვა, მაგრამ შეუძლებელია.

– მისტერ მიკობერი როგორღა არის?

– არა უშავს-რა. სრულებით ჯანმრთელად არის. თუმცა ახლა მე აღარ ვცხოვრობ მათთან. საქმე აი რაშია, – თითქმის ჩურჩულით მითხრა ტრედელსმა, – შინაურ გარემოებათა დროებით გართულების გამო, მან საჭიროდ დაინახა გვარის გამოცვლა, ახლანდელი მისი ფსევდონიმი მორტიმერია. იგი მხოლოდ ბინდისას გამოდის სახლიდან და ისიც სათვალთ. ბინის ქირის გადაუხდელობის გამო მათ ნივთები აუწერეს. მისი მიკობერი ამ დროს ისეთ საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ მეტი გზა იყო – მე გულისტკენით გადავწყვიტე, შემეწირა ჩემი სახელი მეორე თამასუქისათვის.

ჩვენ კიდევ ათას რამეზე ვიპალარაკეთ და შემდეგ ჩემს გადიასთან წავედით, რომელთანაც ტრედელსს პატარა საქმე ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მიკობერის ნივთებთან ერთად ტრედელსის ნივთებიც წავდით; ახლა მას ეშვონა ფული მათ გამოსასყიდად და უნდოდა, რომ პეგოტის გამოეტანა ისინი. პეგოტი, რასაკერველია, დიდი სიამოვნებით დასთანხმდა და, როდესაც მან ჩააბარა ტრედელსს ნივთები, ტრედელსმა აღტაცებით გულში ჩაიკრა ისინი, დიდი მადლობა გამოავიციხა და შინისკენ გასწია. მე და პეგოტი წამოვედით ჩემი ბინისკენ, მაგრამ გზაში ძალიან ხშირად ვჩერდებოდით მაღაზიების წინ, რომელთაც უზომო აღტაცებაში მოჰყავდათ პეგოტი, ისე რომ, საკმარისმა ხანმა გაიარა, სანამ ჩემს ბინას მივალწევდით.

როგორ გადმოგცეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც დაბრუნებისას მე და პეგოტიმ შევადეთ ჩემი ოთახის კარი და – დავინახეთ პაპიდა და მისტერ დიკი. პაპიდას წინ ორი გალია იდგა მისი ჩიტებით, მის კალთაში კი კატა მოკალათებულიყო. პაპიდა იჯდა ოთახის შუაგულში თავის ნივთებზე და სვამდა ჩაის, როგორც ახალი რობინზონ კრუზო ქალის ტანისამოსში. მისტერ დიკი იჯდა საკმაო მანძილზე მისგან მოშორებით და დაფიქრებით შესცქეროდა თავის მშვენიერ ფრანს, ერთ იმ ფრანთაგანს, რომელთაც ჩვენ ხშირად ვაფრენდით მასთან ერთად კენტერბერში.

– პაპიდა! – შევყვირე მე. – რა მოულოდნელი ბედნიერებაა!

ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს და გადავკოცინეთ; მისტერ დიკმა გატაცებით ჩამომართვა ხელი.

– შენ გახსოვს ჩემი პაპიდა, პეგოტი? – ვუთხარი მე.

– გონიერების პატივისცემისათვის, შვილო, – შესძახა პაპიდამ, – ნუ უწოდებ ინგლისელ ქალს ამ საძაგელ ბარბაროსულ სახელს. აბა, რას ჰგავს ესა? მით უმეტეს, იგი გათხოვილი იყო და გვარი გამიცვალა: უკეთესს იგი თავის სიცოცხლეში ვერაფერს იზამდა. რა გვარის ბრძანდებით ახლა, ქალბატონო? – ჰკითხა პაპიდამ და მიაპყრო მრისხანე თვალები ჩემს გადიას.

– ბარკისი, ქალბატონო, – უპასუხა პეგოტიმ და რავერანსი გაუკეთა.

– აი, ეს მომწონს, – სთქვა პაპიდამ, – ამაში აზრი მაინც არის. ეს კარგი გვარია. გამარჯობათ, ბარკის, როგორ ხართ?

და ამ სიტყვებით პაპიდამ ხელი გაუწოდა პეგოტის. ამგვარი კეთილი ყურადღებით გამხნევებული პეგოტი წამოვიდა წინ, ჩამოართვა პაპიდას ხელი და უღრმესი პატივისცემის ნიშნად ისევ გაიმეორა თავისი რევერანსი.

– მე და თქვენ ძველი ნაცნობები ვართ, ბარკის, – უთხრა პაპიდამ. – თქვენ, ვფიქრობ, არ დაგვიწყებიათ, სად და როგორ შეხვდით ერთმანეთს პირველად. რა სათქმელია, ვერ იყო კარგი შეხვედრა! ტროტ. კიდევ ერთი ფინჯანი დამისხი, ჩემო კარგო!

პაპიდა იჯდა თავისი ჩვეულებრივი შეუპოვარი სახით, წელში გამართული. როდესაც ფინჯანი მივაწოდე, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე რამდენიმე შენიშვნით მიმემართა იმის შესახებ, თუ რა უხერხულია ყუთებზე ჯდომა, როდესაც სხვა ავეჯი არსებობს.

– არა უშავს-რა, ტროტ! არაფერია! გმადლობთ, ჩემო მეგობარო, – მიპასუხა პაპიდამ. – მირჩევნია ჩემს საკუთრებაზე ვიჯდე.

აქ პაპიდამ მკაცრად გადახედა მისის კროპს და უთხრა:

– ჩვენ შეგვიძლია თქვენი დახმარების გარეშეც მოვეწყოთ, მისის კროპ.

– ხომ არ მიბრძანებთ – ცოტა ჩაი დავუმატო ქალბატონო? – უთხრა მის კროპმა.

– არა, გმადლობთ.

– ხომ არ მიბრძანებთ – ცოტა კარაქი მოგართვათ, ქალბატონო? ან ხომ არ გნებავთ ახალი კვერცხები... ეს-ეს არის ახალი დადებულია, ქალბატონო! ან ხომ



არ გნებავთ – დუქანში გავიქცე ლორისთვის? ხომ არას მოიგონებთ თქვენი ძვირფასი პაპიდასათვის, მისტერ კოპერფილდ?

– არაფერი არ არის საჭირო, მის კროპ, – უპასუხა პაპიდამ. – ჩვენ თვითონ მოვახერხებთ ყველაფერს.

ამ ლაპარაკის დროს მის კროპი სულ იღიმებოდა და ამგვარად გამოხატავდა თავის გულჩვილობასა და გულკეთილობას; იგი ყოველ წუთს თავს ჰხრიდა ერთ მხარეზე – თავისი სხეულის საერთო სისუსტის საჩვენებლად და ყოველ წუთს ხელებს იფშენებდა, დახმარების სურვილით აღსავსე. მაგრამ ამ ხრიკებმა ტყუილად ჩაუარა, და როდესაც მისის კროპი დაემორჩილა პაპიდას დაჟინებულ ბრძანებას და ოთახიდან გავიდა, პაპიდამ სთქვა:

– დიკ! გახსოვს, რას გელაპარაკებოდი მლიქვნელებისა და პირმოთნების შესახებ?

მისტერ დიკს, ეტყობა, შეეშინდა და შეკრთა, თითქოს გონივრიდან წაშლოდეს პაპიდას ნათქვამი; მიუხედავად ამისა, სწრაფად დასტური მისცა.

– მაშ აი მისის კროპი ერთი მათგანია, – უთხრა პაპიდამ. – ბარკის, გაისარჯეთ, ჩაუმატეთ ჩაი და დამისხით კიდევ ერთი ფინჯანი.

მე ისე კარგად ვიცნობდი ჩემს პაპიდას და მის ჩვეულებებს, რომ ცხადად ვხედავდი – მის გულში რაღაც დიდი საიდუმლო იყო და მისი ჩამოსვლა ჩემთან, ყოველ შემთხვევაში, რაღაც არაჩვეულებრივი გარემოებით იყო გამოწვეული. ხომ არ ვაწყენინე რითიმე მის ბეტსის? ძალიან შესაძლებელია: სინდისი ჩამჩურჩულებდა, რომ ჯერ არაფერი მითქვამს მისთვის დორას შესახებ. ნუთუ იგი ჩამოვიდა რაიმე ხმების გამო, რაც ამის შესახებ გავრცელდა?..

ვიცოდი, რომ ვერავითარი ძალა ვერ ააღაპარაკებდა პაპიდას, სანამ თვითონ არ მოისურვებდა. დაფიქვით მის გვერდით, დაუწყე მის ფრინველებს ლაპარაკი, ვეთამაშებოდი მის კატას და, საზოგადოდ, განსაკუთრებით მხიარულად ვახველებდი თავს.

– ტროტ, – მითხრა პაპიდამ ბოლოს. – თქვენი წასვლა საჭირო არ არის, ბარკის, – დარჩით. ტროტ, ისწავლე თუ არა თვითმოქმედება და სიმტკიცე?

– მე მგონია, პაპიდა.

– დარწმუნებული ხარ ამაში?

– მე მგონია, რომ დარწმუნებული ვარ.

– ძალიან კარგი. ამ შემთხვევაში შემიძლია დაგეკითხო, – მითხრა პაპიდამ და ღრმავანად გდამომხედა, – ჰხვდები თუ არა, ჩემო კარგო, რად მირჩევნია ამ საღამოს ჩემს საკუთრებაზე ჯდომა?

– არა, პაპიდა, ვერ ვხვდები.

– მაშ მე უნდა ავიხსნა. ეს საკუთრება ერთადერთია, რაც დამრჩა. მე ჩემი საცხოვრებელი დაგეკარგე, ჩემო კარგო.

მთელი სახლი სახურავიდან საძირკვლამდე რომ დანგრეულიყო, ანდა ჩვენ ყველანი წყალში რომ ჩავრჩენილიყავით, ამაზე მეტს შემწოთებას ვერ გამოიწვევდა ჩემში.

– მისტერ დიკმა იცის ეს ამბავი, – განაგრძო პაპიდამ და ხელი მხარზე დამადო. – მე გავლატაკდი, ჩემო კარგო ტროტ. ყველაფერი, რაც კი დამრჩა, ამ ოთახშია გადმოტანილი, გარდა დუვრის აგარაკისა, რომელიც ჯენეტას ჩავაბარე გასაქირავებლად. ბარკის, ამ ჯენტლმენს ესაჭიროება საწოლი ოთახი ამ დამისთვის. ყაირათისათვის ჩემი ლოგინი აქვე უნდა გაიმართოს. გაისარჯეთ და მოაწყვეთ ეს, ბარკის. ხვალ ჩვენ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ ამის შესახებ.

ამ სიტყვებთან ერთად პაპიდამ უეცრად მომეხვია ყელზე და ქვითინით მითხრა, რომ იგი მხოლოდ ჩემი გულისთვის სწუხს.

ერთი წუთის შემდეგ პაპიდამ დაიოკა მღელვარება, დამშვიდდა და მითხრა დიდმნიშვნელოვნად:

– გაბედულად უნდა დავუხვდეთ ცხოვრების უკუღმართობას, ჩემო კარგო, და არ დავეჩაგვრინოთ მას. ვითამაშოთ ჩვენი ცხოვრების პიესა ბოლომდე და ნურაფერს მივაქცევთ ყურადღებას.

თავი ოცდამეთორმეტე

გაჭირვებული მდგომარება

მინდოდა გამეგო, იცოდა თუ არა მისტერ დიკმა მიზეზი ამ უეცარი და დიდი ცვლილებისა პაპიდას საქმეებში. მისი გამოკითხვიდან შემდეგი გავიგე:

გუშინწინ პაპიდამ დაიბარა მისტერ დიკი და უთხრა:

– აბა, დიკ, მე მსურს გავიგო, ხართ თუ არა მართლაც ნამდვილი ფილოსოფოსი, როგორც აქამდე გთვლიდით?

ამაზე დიკმა უპასუხა, რომ იმედი აქვს, ეს მართლაც ასეა. მაშინ პაპიდამ უთხრა:

– დიკ, მე გავლატაკდი!

მისტერ დიკმა უპასუხა:

– ა? ნუთუ!

პაპიდამ ძლიერ მოუწონა მისტერ დიკს ეს პასუხი და მისტერ დიკი ძალიან გახარებული იყო. შემდეგ ჩემთან წამოვიდნენ. გზაში პორტერსა სვამდნენ და სჭამდნენ ბუტერბროდებს.

აქედან მე დავინახე, რომ მისტერ დიკს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა საქმის ვითარებაზე და იძულებული ვიყავი ამეხსნა მისთვის, რომ გალატაკება ნიშნავს გაჭირვებას, სიღარიბეს, საშიშროებას, რომ შეიძლება მოკვდე შიმშილისა და სიცივისაგან; მაგრამ იმწამსვე ვინანე ჩემი დაუფიქრებელი ლაპარაკი, როდესაც დავინახე, როგორ გაუფითრდა მისტერ დიკს სახე და ლოყებზე მწარე ცრემლები ჩამოსცვივდა. მისი გამხიარულება გაცილებით უფრო მეტად გამიძნელდა, ვიდრე მისი მიყვანა ამ სასოწარკვეთილებამდე. მაღე მივხვდი, რომ იგი დამშვიდებული და ბავშვივით უზრუნველი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ უზომო იმედი ჰქონდა პაპიდას სიბრძნისა, და კიდევ იმიტომაც, რომ მეტისმეტად აფასებდა ჩემი გონების დაუშრეტელ სიმდიდრეს. ამის გამო მისტერ დიკს არ ეშინოდა არავითარი გაჭირვებისა და ნებას არ აძლევდა თავისთავს ეცქირნა მომავლისათვის შეუდრეკელი გმირის თვალებით.

– მაშ რა ვქნათ, ტროტ? – მითხრა მისტერ დიკმა. – ხომ არ გამოდგება ჩემი მემუარები?

– რასაკვირველია, გამოდგება, – გუთხარი მე, – მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მისტერ დიკ, თქვენ, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსი, ეცადეთ, მხიარულად იყოთ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მშვიდად მაინც. პაპიდამ არ უნდა შეამჩნიოს, რომ ჩვენ ვფიქრობთ ამის შესახებ. წავიდეთ მასთან.

პაპიდა დიდი სულის სიმტკიცეს იჩენდა და მისი მაგალითი გაკვეთილი იყო ჩვენთვის, – ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში. იგი მეტად ალერსიანი იყო პეგოტისადმი და თავს ისე გრძნობდა, როგორც სახლში; მან გადაწყვიტა, ეს ღამე ჩემს საწოლ ოთახში გაეთია, მე კი სასტუმრო ოთახში უნდა დავწოლილიყავი, რომ დამეფარა პაპიდა ყოველნაირი ხიფათისაგან. პაპიდას აიმედებდა ის გარემოება, რომ ჩვენი სახლი მდინარის ნაპირას მდებარეობდა, და დავრწმუნდი, რომ ეს გარემოება, მეტად მნიშვნელოვანი ხანძრის შემთხვევაში, ცოტაოდენად ამშვიდებდა პაპიდას.

– ტროტ, – მითხრა პაპიდამ საღამოს, – საზოგადოდ მე არ მეხალისება უცხო ხალხთან შეხვედრა, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, უნდა გამოვტყდე – შენი ბარკისის სახე ძლიერ მომწონს.

– აჰ, პაპიდა, როგორ მიხარია! – ვუთხარი მე.

– საკვირველი საქმეები ხდება ხოლმე ამქვეყნად, – შენიშნა პაპიდამ. – როგორ ამოირჩია მან თავისთვის ასეთი ბარბაროსული სახელი! წარმოუდგენელია! ისევ ვინმე ჯაკსონად ან რაიმე ამგვარად დაბადებულიყო.

– იქნება ისიც აგრე ფიქრობს, პაპიდა, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ეს მისი ბრალი არ არის.

– რასაკვირველია, თუ ხეირიანად განვსჯით, იგი არ არის დამნაშავე, მაგრამ მაინც ძლიერ საწყენია. თუმცა იგი ახლა ბარკისია და ეს, შეიძლება, ერთგვარი ნუგეში იყოს. ბარკისს გაგიჟებით უყვარხარ, ტროტ.

– იგი ყველაფერს გააკეთებს ჩემთვის, პაპიდა!

– ყველაფერს, დიახ, ასე გამოდის, – დამიდასტურა პაპიდამ. – აი ახლაც ჩამაცივდა სულელური თოხვით, რომ მისი ფული ავიღო. მან არ იცის, რა უყოს ფულს, გესმის? რა სულელია!

ნაძალადეგმა სიცილმა, რომელაც ამ სიტყვებს მოჰყვა, საშუალება მისცა პაპიდას ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოეღო და მიეტანა იგი თვალებთან. მოიწმინდა ცრემლები და ამგვარად განაგრძო ლაპარაკი:

– მე ყველაფერი ვიცი, ტროტ, მე და ბარკისმა ბევრი ვიჭორავეთ აქ, სანამ შენ მისტერ დიკი წასული იყავით. ყველაფერი ვიცი, რაც ხდება თქვენს შორის. საოცარია ამ ყმაწვილი გოგონების საქმე, როგორ თვითონვე მიდიან თავიანთ დადუპისაკენ, – დააბოლოვა პაპიდამ და მიაშტერა თვალები ბუხრის თავს.

– აჰ, ტროტ, ტროტ, მაშ შენც წარმოიდგინე, რომ შეყვარებული ხარ, ჰა?

– წარმოვიდგინე? პაპიდა! როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი! – შევძახე მე და ყურებამდის გავწითლდი. – მე სულითა და გულით მიყვარს იგი.

– და შენ რასაკვირველია, გინდა დამარწმუნო, რომ იგი მშვენიერი ქალია, არა?

– აჰ, პაპიდა, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ქალია!

– ჰმ! იმედი მაქვს – სულელი მაინც არ არის.

– სულელი! რას ბრძანებთ, პაპიდა!

სერიოზულად ვფიქრობ, რომ იმწუთამდე არც ერთხელ არ მომსვლია თავში, მეფიქრა ჩემი ღორას ჭკუის შესახებ; თავისთავად ცხადია, რომ გადაჭრით უარყვავი პაპიდას აზრი.

– კარგი, კარგი! – მითხრა პაპიდამ. – ნუ გეწყინება, შვილო, მე ხომ მხოლოდ ვკითხულობ. აზრადაც არ მაქვს მისი დამცირება. საბრალო ბავშვები! თქვენ სერიოზულად ფიქრობთ რომ ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილი?

– ჩვენ ამაში ეჭვი არა გვაქვს, პაპიდა, ეს დღესავით ნათელია!

– და იმედი გაქვთ, მთელი სიცოცხლე გაატაროთ მტრედებოვით, მხოლოდ კანფეტებისა და ნაყინის ჭამაში, არა?

შემდეგ ჩამოვარდა ხანგრძლივი სუჩუმე.

– შენი გატაცება, ტროტ, – განაგრძო პაპიდამ, – ერთხელ კიდევ მაგონებს იმ საბრალო ბავშვს – დედაშენს. სიყვარული მშვენიერი გრძნობაა, მე არ ვდავობ; მაგამ აქ, როგორც ყოველგან, საფუძვლიანობაა საჭირო, ჩემო კარგო, ღრმა განზომილი საფუძვლიანობა.

– რომ იცოდეთ, პაპიდა, რა საფუძვლიანია ჩემი ღორა!

– შენ ბრმა ხარ, ჩემო კარგო, ბრმა!

და თვითონაც არ ვიცი, რად – ჩემს გულში გაჩნდა უეცრად რაღაც გამოურკვეველი წინათგრძნობა შორეული უბედურებისა, რომელიც ჩემი ნათელი სიჭაბუკის დღეების დაჩრდილვას მიქადდა.

იმ ღამეს სრულებით არ მიძინებია. ათასი ფიქრი მაწუხებდა და, ბოლოს ბრწყინვალე აზრი მომივიდა: ხომ არ შეიძლება, ჯორკინსისა და სპენლოს კანტორიდან უკან გამოვიტანო ის ფული, რომელიც ცემ პრემიად იყო შ ტანილი. გადავწყვიტე, რომ „ცდა ბედის მონახევრეა“, და აღრიანად წამოვხტი.

ისე ადრე მივედი კანტორაში, რომ იძულებული ვიყავი, ნახევარი საათის განმავლობაში ეზოში მეცადა, სანამ მოვიდოდა მისტერ სპენლო, გახამებული, გამოწვობილი, დახუჭუჭებული თმით.

– გამარჯობათ, კოპერფილდ! – მითხრა მან. – რა მშვენიერი დარია!

– დიახ, სერ, მშვენიერი დილაა! – ვუპასუხე მე. – ნება მიბოძეთ მოგელაპარაკოთ, სერ, სანამ სასამართლოში წაბრძანდებოდეთ.

– რატომ არა, მობრძანდით კაბინეტში.

– მე მივიღე დიდად საწყენი ამბავი პაპიდაჩემისაგან, – დავიწყე მე.

– იმედი მაქვს, რომ დამბლა არ დასცემია!

– არა, სერ. საბედნიეროდ ამ ცნობას არ აქვს კავშირი მის ჯანმრთელობასთან. მის ბეტსის საქმეები საგრძნობლად შეირყა უკანასკნელ დროს, ასე რომ, მან თითქმის მთელი ქონება დაჰკარგა.

– ნუთუ? თქვენ მაოცებთ, კოპერფილდ, – შეჰყვირა მისტერ სპენლომ.

– დიახ, სერ, პაპიდაჩემის მდგომარეობა ამ ზომამდე შეიცვალა, რომ მინდოდა მეთხოვა თქვენთვის... ხომ არ შეიძლება, სერ, გავაუქმოთ ის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მქონდა პატივი, დამეჭირა წარჩინებული კლერკის ადგილი თქვენს კანტორაში?

მისტერ სპენლომ შეიკრა წარბები და მისმა სახემ მეტად მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

– როგორ? თქვენ გინდათ, გააუქმოთ ხელშეკრულება, კოპერფილდ! ხელშეკრულება?

აუუსხენი, რომ თითქმის უსახსროდ ვრჩებით იმ დრომდე, სანამ თვითონ რაიმე საქმეს არ დავიწყებ.

– მომავლისა ჩვენ სრულებითაც არ გვეშინია, – ვუთხარი და განსაკუთრებით ხაზი გავუსვი ამ სიტყვებს, საიდანაც, ჩემი აზრით, მისტერ სპენლოს უნდა ის დასკვნა გამოეტანა, რომ ჯერ კიდევ ვვარგოვარ მისი ქალის საქმროდ, – მომავლისა ჩვენ არ გვეშინია, სერ, მაგრამ ამჟამად ჩემი მდგომარეობა მეტად გაძნელებულია და თვითონაც არ ვიცი ჯერ, თუ რა საქმისთვის მომიხდება ხელის მიკიდება.

– ძალიან მწყინს ამის მოსმენა თქვენგან, კოპერფილდ, – მითხრა მისტერ სპენლომ, – ძალიან მწყინს. ხელშეკრულება სასამართლოს დაწესებულებებში არ ირღვევა არავითარ შემთხვევაში, ამისი მაგალითი ჯერ არ ყოფილა. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს პროფესიას. ამასთანავე, მინდა შევნიშნო, რომ ხელები შეკრული მაქვს და ყოველთვის არ შემიძლია მოვიქცე ჩემი სურვილისამებრ. თქვენ იცით, რომ მე მყავს ამხანაგი, მისტერ ჯორკინსი.

– კი, მაგრამ, რომ გავბედო და მიემართო თხოვნით მისტერ ჯორკინსს, ხომ არ ფიქრობთ, სერ...

მისტერ სპენლომ უარყოფით გაიქნია ხელი და შემაწყვეტინა ლაპარაკი.

– დმერთმა დამიფაროს, კოპერფილდ, – მითხრა მან, რომ შეურაცხყოფა მივაყენო ვისმე უსამართლო აზრის გამოთქმით, და მით უმეტეს მისტერ ჯორკინსს. მაგრამ მე ვიცნობ ჩემს მეგობარს, კოპერფილდ, და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მისტერ ჯორკინსი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს ამდაგვარ თხოვნას. თქვენ არ იცით, რა ადამიანია იგი.

მაგრამ მხოლოდ ის ვიცოდი მისტერ ჯორკინსის შესახებ, რომ იგი ყველაზე გვიან მოდიოდა კანტორაში და ყველაზე ადრე მიდიოდა. არასოდეს არავინ მას არაფერს ეკითხებოდა და მიჩენილი ჰქონდა პაწაწა ჭუჭყიანი ოთახი ზემო სართულში. იქ ერთი მაგიდა იდგა და ამ მაგიდაზე იდო, მგონი, მთელი ოცი წლის განმავლობაში, ერთი და იგივე ფურცელი, ქალაღდი, მტვრიანი და გაყვითლებული, რომელიც მეღნის არც ერთი წარწერით არ იყო მოსვლირი.

– იქნებ თქვენ არ გსურთ, რომ ვაცნობო მას ეს ამბავი, სერ, – ვკითხე მე.

– ო, არა, სრულებითაც არა! – მიპასუხა მისტერ სპენლომ, მაგრამ შემძლია თითქმის გადაჭრით გიწინასწარმეტყველოთ, რომ მისტერ ჯორკინსის აზრი არ იქნება ამ შემთხვევაში თქვენს სასარგებლოდ. უკეთესი იქნებოდა, როგორმე სხვანაირად მოგვეწყო ეს საქმე, რადგან მე, ჩემი მხრით, მზად ვარ ყოველნაირად დაგეხმაროთ. თუმცა – მოიქეცით, როგორც გსურდეთ; მე სრულებით არ გიშლით ლაპარაკს მისტერ ჯორკინსთან, თუ თქვენ აუცილებლად თვლით.

როდესაც მისტერ ჯორკინსი მოვიდა, დავეშურე შევსულიყავი მის კაბინეტში.

შესვლისთანავე, ჩვეულებრივი მისაღმების შემდეგ, გუამბე მას ჩემი საქმის ვითარება, თითქმის იმავე სიტყვებით, როგორც მისტერ სპენლოს. მისტერ ჯორკინსი იყო მაღალი და წყნარი მოხუცი, დაახლოებით სამოცი წლისა, მის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენდა ბურნუთის სიყვარული. მას ისე ხშირად ხმარობდა, რომ დოქტორთა კოლეგიის კანტორის მოსამსახურეთა შორის გავრცელებული იყო აზრი, თითქმის მისტერ ჯორკინსი მხოლოდ ამ ნარკოტიკული მცენარით იკვებებოდა, რადგან მის სხეულში აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ადგილი სხვა საკვები ნივთიერებებისათვის.

მისტერ ჯორკინსმა მომისმინა და შეწუხებულმა მკითხა:

– მერე იცის რაიმე ამის შესახებ მისტერ სპენლომ?

გუპასუხე, რომ მქონდა პატივი შემეტყობინებინა ეს ამბავი მისტერ სპენლოსათვის და რომ მან მირჩია მისტერ ჯორკინსისთვის მიმემართა.

– და მან გითხრა, რომ მე არ დავთანხმდები? – მკითხა მისტერ ჯორკინსმა.

იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ მისტერ სპენლო ძალიან შესაძლებლად სთვლიდა ამგვარ პასუხს.

– მაშინ მაპატიეთ, მისტერ კოპერფილდ, მაგრამ მე ვერაფრით დაგეხმარებით, – მითხრა მისტერ ჯორკინსმა ადელვებით. – საქმე იმაშია... მაგრამ მე ბანკში მეჩქარება... გთხოვთ, მაპატიოთ, სერ.

– მაშინ თქვენ ფიქრობთ, რომ არავითარი საშუალება არ არის ამ საქმის მოსაგვარებლად?

– არავითარი! – მიპასუხა მისტერ ჯორკინსმა და კარებთან შეჩერდა... – თქვენ ხომ იცით უკვე, რომ მე თანახმა არა ვარ, – დაუმატა მან და სწრაფად კარი გააღო. – თქვენ უნდა გესმოდეთ, სერ, რომ თუ მისტერ სპენლო არ არის თანახმა...

– კი მაგრამ, მისტერ სპენლო თვითონ არ ხედავს არავითარ დაბრლკლებას...

– დიახ, დიახ, თვითონ! – გაიმეორა მისტერ ჯორკინსმა მოუთმენლად. – გარწმუნებთ, რომ არის მიზეზი, მისტერ კოპერფილდ, გარდაუვალი მიზეზები. თქვენი სურვილის ასრულება შეუძლებელია. მართლაც-და, ბანკში ვარ წასასვლელი, მისტერ კოპერფილდ, მაპატიეთ, სერ.

და გაიქცა ქვევით ისეთი სისწრაფით, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო სამოცი წლის მოხუცისათვის. ამ შემთხვევის შემდეგ, რამდენადაც ვიცი, მისტერ ჯორკინსი არ მოსულა კანტორაში სამი დღის განმავლობაში.

მაგრამ მინდოდა მეცადა ყოველგვარი ღონისძიება; დაეუცადე მისტერ სპენლოს და გუამბე ჩემი აუდიენციის შედეგები; ამასთან ერთად, ვაგრძნობინე, რომ ჯერ სავსებით არ დამიკარგავს იმედი ამ საქმის მოგვარებისა, თუ მისტერ სპენლო თვითონ გაირჯება და ეცდება, დაითანხმოს უღმობელი მისტერ ჯორკინსი.

– კოპერფილდ! – მითხრა მისტერ სპენლომ, – თქვენ ისე ვერ იცნობთ მისტერ ჯორკინსს, როგორც მე. ნება მიბოძეთ შევნიშნო, რომ ათეული წლების განამგლობაში ვსწავლობ მის ხასიათს. არა, კოპერფილდ, არავითარ დაჯერებას არ შეუძლია შეარყიოს მისტერ ჯორკინსი. დარწმუნებული იყავით ამაში!

მძიმე სევდით შეპყრობილი გამოვედი კანტორიდან და სახლში წავვედი. ჩემი მოლაპარაკება მისტერ სპენლოსტან მით უფრო საწყენი იყო ჩემთვის, რომ მომავლისათვის შეეძლო საბოლოოდ გაეფუჭებინა ჩემი საქმე ღორასთან.

საჭირი იყო სხვა, უფრო საიმედო ზომების მიღება, რომელთაც შეეძლოთ უზრუნველყოთ ჩვენი მომავალი; რასაკვირველია, ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც შემთხვევით შევხედე ჩემს წინ გაჩერებულ ეტლს. ქალის მშვენიერი სახე გამოჩნდა მისი ფანჯრიდან, და დავინახე სახე, რომელიც მუდამ სიმშვიდესა და ბედნიერებას მგვრიდა.

– აგნესა! – შევძახე მე. – ო, როგორ მიხარია! არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეეძლო ასე გავეხარებინე, როგორც თქვენ, აგნესა!

– ვითომ?

– გარწმუნებთ! მე ისე მწყურია თქვენთან ლაპარაკი!

– აგნესა მიდიოდა ბუკინგემის ქუჩაზე, პაპიდაჩემის სანახავად; მაგრამ ამინდი ისეთი მშვენიერი იყო, რომ დამეთანხმა გამოსულიყო ეტლიდან. ეტლი გავისტუმრეთ და ფეხით წავვედით სახლისკენ. აგნესას დანახვასთან ერთად ჩემს გულში უეცრად გაცოცხლდა ყველა იმედი და დამავიწყდა ყველა ჩემი დარდი და ვარაძი.

დუვრიდან წამოსვლისას პაპიდას ლაკონური წერილი მიეწერა აგნესასათვის. მის ბეტსი წერდა, რომ მის საქმეებში მოხდა ცვლილებანი, რომელნიც აიძულებდნენ, თავი დაანებოს დუვრს; მიუხედავად ამისა, მშვენივრად ვგრძნობ თავს და ნურავინ ნურაფრით ნუ შეწუხდება ამით. ამ წერილის მიღების შემდეგ აგნესა დაუყოვნებლივ წამოსულიყო ლონდონში პაპიდას სანახავად, რადგან მათ შორის ძველი მეგობრობა არსებობდა. აგნესა მარტოკა არ ჩამოსულიყო. მასთან ერთად იყვნენ მისტერ ვიკფილდი და... ური ჰიპი.

– ისინი მართლა ფირმის ამხანაგები გახდნენ? – ვკითხე მე.

– დიახ, – მიპასუხა აგნესამ. – ისინი აქ საქმეებზე ჩამოვიდნენ და ვისარგებლე ამ შემთხვევით, რომ მის ბეტსი ვინახულო. თუმცა ჩემი მოსვლა მარტო ამით არაა გამოწვეული; იქნებ მე ძალიან ეჭვიანი ვარ, ტროტვუდ, მაგრამ არ მიყვარს მამას მარტოკა დატოვება ამ ადამიანთან.

– ნუთუ მას ისევ ისეთი გავლენა აქვს მისტერ ვიკფილდზე, აგნესა?

მან თავი დამიქნია, და ეს დასტურის ნიშნად უნდა ჩამეთვალა.

– ჩვენთან ისეთი ცვლილება მოხდა, ტროტვუდ, – მითხრა აგნესამ, – რომ ახლა ვერც კი იცნობთ ჩვენს ძველ სახლს. ისინი ხომ ჩვენთან ცხოვრობენ.

– ისინი?

– მისტერ ჰიპი და მისი დედა. ჰიპს თქვენს ყოფილ ოთახში სძინავს, – სთქვა აგნესამ და სახეში შემომხედა.

– ძალიან ვწუხვარ, რომ მისი სიზმრები ჩემგან არ არის დამოკიდებული, – შევნიშნე მე: – მაშინ ური ჰიპი დიდხანს არ იძინებდა იმ სახლში.

– მთავარი უხერხულობა მათი ყოფნისა ჩვენთან ის არის, – განაგრძო აგნესამ, – რომ აღარ შემიძლია უწინდებურად სულ მამასთან ვიყო, რადგან ური ჰიპი გვაშორებს ერთმანეთს მთელი დღის განმავლობაში. აღარ შემიძლია მოვუარო მამას წინანდელი მზრუნველობით. მაგრამ მწამს, ტროტვუდ, რომ ჭეშმარიტება და ნამდვილი სიყვარული ძლიერია ყველა ბოროტებაზე და უბედურებაზე ამქვეყნად.

ჩვენ მიუუახლოვდით ბუკინგემის ქუჩას, აგნესამ სწრაფად გამოცვალა ლაპარაკის საგანი და მკითხა, – ვიცი თუ არა გარემოებანი, რისი მიზეზითაც მოხდა უეცარი და არასასიამოვნო ცვლილება პაპიდას საქმეებში. უარით ვუპასუხე, რადგან პაპიდას ჯერ არაფერი ეთქვა ჩემთვის. აგნესა ჩაფიქრდა, ერთ წამში ღიმილი გაჰქრა მის სახეზე და ვიგრძენი, რომ მისი ხელი ათრთოლდა ჩემს ხელში.

პაპიდას ძალიან გაეხარდა აგნესას ნახვა. დავიწყეთ ლაპარაკი საქმეებზე და მე ვუამბე ჩემი ამ დილის თავგადასავალი.

– უმიზნო საქციელია, ტროტ, – მითხრა პაპიდამ, – მაგრამ დიდსულოვანი სურვილი გამართლებს; შენ კეთილი ბავშვი ხარ და მე ვამაყობ ამით. ახლა, ჩემო მეგობრებო, განვიხილოთ ბეტსი ტროტგუდის საქმეები.

– ბეტსი ტროტგუდს, ჩემო კარგებო, – დაიწყო პაპიდამ, – ჰქონდა საკუთრება, და უნდა მოგახსენოთ, რომ ბეტსი ტროტგუდი თვითონ განაგებდა თავის ფინანსურ საქმეებს. შენ ხომ გესმის, ტროტ, რომ ამჟამად ვლაპარაკობ არა შენს დაზე, ბეტსი ტროტგუდზე, არამედ ჩემს საკუთარ თავზე. მისი ფულები ბანკში იყო, მაგრამ შემდეგ, ერთი საქმის კაცის რჩევით, მან ეს ფული სანდო ხელს გადასცა. საქმეები ჯერ ძალიან კარგად მიდიოდა და ბეტსი ტროტგუდი თავის დროზე, წესიერად იღებდა პროცენტებს. ასეთმა გამარჯვებამ თავბრუ დაახვია ბეტსი ტროტგუდს და ისურვა უფრო მომგებიანად მოეთავსებინა თავისი ფული. ის საქმის კაცი იმ დროს სრულებით ის არ იყო, რაც ამჟამად, – მე მამაშენზე ვლაპარაკობ, აგნესა, – და უნდა ითქვას, რომ იმ დროს ბეტსი ტროტგუდი მის რჩევას ხმის შეუბრუნებლად მისდევდა. მაგრამ ამჯერზე ბეტსი ტროტგუდმა, რომელსაც თავისთავი დიდ ბრძენად მოჰყავდა, გადაწყვიტა, ემოქმედნა საკუთარი ნებით, და გარკვეულად წააგო ფულის ბანკში მოთავსებით. არ ვიცი ნამდვილად, რამდენად ფასობდა იმ ბანკის აქციები, სადაც მან ფული შეიტანა, – მოგებას, მგონი, ას პროცენტსაც კი ჰპირდებოდნენ, მაგრამ ეს ბანკი ძალიან შორს იყო, ქვეყნის მეორე ბოლოში და მალე, მგონი, სრულებითაც მიწამ უყო პირი. ერთი სიტყვით, იგი გაკოტრდა და მასთან ერთად დაიკარგა მის ტროტგუდის ფულიც!

პაპიდამ დაამთავრა თავისი მოთხრობა და გამარჯვებულვით მიაპყრო თვალები აგნესას.

– და მეტს არაფერს იტყვით თქვენი საქმის შესახებ, ძვირფასო მის ტროტგუდ? – ჰკითხა აგნესამ.

– და მეტს არაფერს, შვილო, – უპასუხა პაპიდამ; – აღარაფერია დასაკარგი, აღარაფერია სათქმელიც.

აგნესა თავიდანვე სულგანაბული, დიდი ყურადღებით უსმენდა და მისი სახის გამომეტყველება ყოველ წამში იცვლებოდა; მაგრამ ბოლოს თავისუფლად ამოისუნთქა. მეგონა, მიუხედი, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. საბრალო ქალს ეშინოდა – მისი უბედური მამა ხომ არ იყო ერთგვარი მიზეზი ამ ბედშავი ამბისა ბეტსი ტროტგუდის ცხოვრებაში. პაპიდამ ორივე ხელი დაუჭირა აგნესას და დიმილთ განაგრძო:

– ახლა საქმე აი რაშია, აგნესა, თქვენ ჭკვიანი გოგონა ხართ. შენც, ჩემო კარგო ტროტ, ზოგჯერ ხარ ხოლმე ჭკვიანი, თუმცა ყოველთვის ვერ მოგამრთავ ასეთი ქათინაურით, – დაუმატა პაპიდამ. – რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? მე მაქვს აგარაკი დუვრში, და ამ აგარაკის შემოსავალია სამოცდაათი გირვანქა წელიწადში. მეტი არაფერი არა მაქვს. მისტერ დიკიც ფულიანი კაცია, – მას აქვს ასი გირვანქა წლიური შემოსავალი, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფული მასვე მოხმარდება. ახლა გადასაჭრელია საკითხი – როგორ და რითი ვიცხოვროთ მე და ტროტმა? რას იტყვით ამაზე, აგნესა?

– მე მგონია, პაპიდა, რომ უნდა მივიღო რაიმე ზომები, – გადავწყვიტე მე.

– რა, მაგალითად? ხომ არ აპირებ ჯარისკაცად წასვლას? ან რომელიმე გემზე ჩაწერას? ეს სისულელეა, შვილო! შენ პროქტორი უნდა გამოხვიდე და გამოხვალ კიდევ!

– მე მგონია, ტროტგუდ, – დაიწყო აგნესამ გაუბედავი კილოთი, – მგონია, თქვენ რომ თავისუფალი დრო გქონდეთ...

– მე ძალიან ბევრი თავისუფალი დრო მაქვს, აგნესა. ოთხი ან ხუთი საათის შემდეგ თითქმის სულ თავისუფალი ვარ, ამას გარდა, რამდენიმე თავისუფალი საათი დილაობითაც მაქვს.

– რას იტყვით მდივნის თანამდებობაზე, ტროტკუდ? იმედი მაქვს, დამამცირებლად არ ჩასთვლით მას თქვენთვის?

– რა საფიქრებელია, აგნესა!

– მაშ, აი საქმე რაშია, – განაგრძო მან. – დოქტორ სტრონგმა აისრულა თავისი დიდი ხნის ნატვრა და ამ დღეებში გადმოსახლდა საცხოვრებლად ლონდონში. მე ვიცი, მან სთხოვა მამას, რომ მისთვის მდივანი ეშოვნა. ხომ არ გინდათ ეს ადგილი დაიჭიროთ? დოქტორი სტრონგი, დარწმუნებული ვარ, თქვენ, როგორც თავის საყვარელ მოწაფეს, უპირატესობას მოგცემთ ყველა სხვასთან შედარებით.

– აჰ, აგნესა! – ვუთხარი მე. – რა მეშველებოდა უთქვენოდ! თქვენ მუდამ იყავით და ყოველთვის იქნებით ჩემი მფარველი ანგელოსი.

აგნესას რჩევით იმწამსვე მივუჯექი საწერ მაგიდას და მივწერე დოქტორ სტრონგს, რომ მე მეორე დღეს, დილის ათ საათზე, ვეახლები საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

როდესაც ფოსტიდან დავბრუნდი, პაპიდას გალიები ფრინველებით უკვე ეკიდა ისევე, როგორც დუერის აგარაკზე, და ჩემი დიდი სავარძელიც იდგა ღია ფანჯარასთან სწორედ ისე, როგორც მის ბეტსის დუერის სავარძელი. მწვანე ეკრანიც კი, პაპიდას მიერ მოტანილი, იდგა თავის ჩვეულებრივ ადგილას ფანჯარასთან. ვიცოდი, ვინ მოაწყო ყოველივე ეს, რადგან ყველაფერი ისე მხიბლავად იყო დალაგებული, თითქოს თავისთავად მოწყობილიყო. ჩემი წიგნებიც კი დალაგებული იყო სწორედ ისე, როგორც ელაგა ჩემი ინსტიტუტში ყოფნის ბედნიერ დროს. აგნესა აქ იყო, ჩემს ბინაში, და ჩემი თვალთა ვხედავდი, როგორ ამთავრებდა იგი ჩემი ბიბლიოთეკის მოწესრიგებას.

პეგოტი განაგრძობდა ხმაურობას ყველა კუთხეში და მონაწილეობას იღებდა ჩემი ოთახების მოწყობაში. შევეყურებდი და მიკვირდა, რა ცოტას აკეთებდა ჩემი დაულაღავი პეგოტიც კი აგნესასთან შედარებით, რომელიც ამავე დროს თავისი მოძრაობით არავითარ ხმაურობას არ იწვევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა კარის რაკუნი. აგნესა გაფითრდა.

– მგონია, ეს მამა უნდა იყოს, – თქვა მან, – იგი დამპირდა მოსვლას.

გავაღე კარი და შემოვუშვი არა მარტო მისტერ ვიკფილდი, არამედ ური ჰიპიც. ჩვენ უკვე დიდი ხანია არ ვენახა ერთმანეთი; აგნესას ლაპარაკის შემდეგ მოველოდი დიდ ცვლილებას მისტერ ვიკფილდში, მაგრამ მაინც ის, რაც ახლა ჩემი თვალთა დავინახე, ყოველივე მოლოდინს აღემატებოდა.

ვერ ვიტყვი, რომ იგი ძალიან მოხუცებულიყო. იმან გამაოცა, რომ მისტერ ვიკფილდი, მიუხედავად თავისი ცხადი უპირატესობისა, ასე აშკარად და სავსებით დამორჩილებოდა საზიზღარ ქვემძრომს – ური ჰიპს.

როგორც ჩანდა, მისტერ ვიკფილდი თვითონვე გრძნობდა თავისი მდგომარეობის დამამცირებლობას; როდესაც იგი ჩვენს ოთახში შემოვიდა, შეჩერდა კარებთან, თითქოს ვერ ბედავდა განძრევას და თავის აღებას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამი გაგრძელდა; აგნესა მიუახლოვდა მას და უთხრა:

– მამა! აი მის ტროტკუდი და მისტერ კოპერფილდი, რომელნიც თქვენ დიდი ხანია არ გინახავთ.

მან გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი და ხელი გამომიწოდა. ამ დროს ური ჰიპს ისე საზარლად დაემანჭა სახე, რომ აგნესამ შენიშნა ეს და განზე გაიწია.

– აბა, ვიკფილდ, – უთხრა პაპიდამ, და ამ დროს საბრალომ პირველად გაბედა თვალი გაესწორებინა მისთვის. – ეს არის ახლა ვუამბე თქვენს ქალს, რა კარგად მოვიქეცი, რომ ჩემთავად მოვაწყე ჩემი თანხა. ჩვენ აქ ვითათბირეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ყველაფერი მშვენივრად მიდის. ჩემის აზრით, მარტო აგნეს მთელს თქვენს ფირმად ღირს.



– თუ ნებას მიბოძებთ გამოვთქვა ჩემი აზრი, – თქვა ური ჰიპმა, – მზად ვარ დავეთანხმო მის ტროტკუდის აზრს, და ჩვენ დიდი სიამოვნებით შევიყვანდით მის აგნესას ჩვენს ამხანაგობაში.

– თქვენ თვითონ კომპანიონი ხართ და ჯერჯერობით ესეც საკმარისია თქვენთვის, – უპასუხა პაპიდამ. – როგორ ბრძანდებით, სერ?

ამ კითხვაზე მისტერ ჰიპი სამად მოიკეცა და უპასუხა, რომ სრულიად კარგად ვარო.

– თქვენ, მასტერ... ბოდიშს ვიხდი – მისტერ კოპერფილდ, – მითხრა ურიმ, – იმედი მაქვს, კარგად ბრძანდებით, სერ, დიდად მიხარია თქვენი ნახვა, მისტერ კოპერფილდ, ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაშიც კი. ჩვენ როგორღა გეჩვენებით? მართალი არ არის, რომ მისტერ ვიკვილდი ჰყვავის? წელთა სვლა ჰკარგავს თავის ძალას ჩვენი ფირმის მიმართ. ჟამთა ვითარებამ მხოლოდ აამაღლა საბრალო დედა თავისი ვაჟიშვილით და გაამშვენიერა აგნესა.

ამ ქათინაურთან ერთად იგი ისე დაიკლაკნა, რომ მის პირდაპირ მჯდომმა პაპიდამ მოთმინება დაჰკარგა.

– ეშმაკმა წაიღოს ამ კაცის თავი! – შეჰყვირა მან აღშფოთებით. – რა ემართება! ნუ იბრიცებით, სერ!

– გთხოვთ მაპატიოთ, მის ტროტკუდ, – უთხრა ურიმ, – დამავიწყდა, რომ თქვენ სუსტი ნერვების პატრონი ბრძანდებით.

– თავი დამანებეთ თქვენი შენიშვნებით, სერ! ვინ მოგახსენათ, რომ მე სუსტი ნერვები მაქვს? თუ ქვემძრომი ხართ, დაიკლაკნეთ, რამდენიც გსურდეთ, და თუ ადამიანი ხართ, განზომეთ თქვენი მოძრაობა. არ შემიძლია ვუყურო, როგორ იკლაკნება ჩემს წინ ადამიანი ქვემძრომივით ან ბურღივით!

ური ჰიპი მომიბრუნდა და მითხრა მოკრძალებული ხმით:

– მე ვიცი, მასტერ კოპერფილდ, რომ მის ტროტკუდს, მთელ მის სულიერ სიკეთესთან ერთად, ცოტათი ანჩხლი ხასიათი აქვს. სრულებით ბუნებრივია, რომ ახლანდელ გარემოებაში იგი ასე გაანჩხლდა. მე მხოლოდ იმის საკითხავად მოვედი, – ხომ არ შეგვიძლია დავეხმაროთ რითიმე მის ტროტკუდს. ეს ხომ არ ეწინააღმდეგება ჩვენი ფირმის გეგმებს? – ჰკითხ მან დამანატული ღიმილით თავისი ფირმის ამხანაგს.

– ური ჰიპი დაუღალავად შრომობს ფირმის საქმეებზე, ტროტკუდ, – თქვა მისტერ ვიკვილდმა მონოტონური და ნაძალადევი ხმით. – თქვენ იცით, რომ გულწრფელ მონაწილეობას ვიღებ თქვენს საქმეებში; ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს, რასაც ამბობს ური ჰიპი, მეც ვადასტურებ.

– ო! რა ნეტარებაა და რა დიდი ჯილდოა, სერ, ასეთი დიდი ნდობის დამსახურება, – თქვა ური ჰიპმა, გადმოდგა წინ ერთი ფეხი და კისერი მოიდრიცა, მიუხედავად იმისა, რომ მეორედ შეეძლო მიეღო შენიშვნა პაპიდასან.

– ური ჰიპი დიდად მიმსუბუქებს შრომას, – თქვა მისტერ ვიკვილდმა ისევ იმ მონოტონური ხმით. – დიდი ტვირთი მომშორდა ზურგიდან მას აქეთ, რაც მისი სახით კომპანიონი შევიძინე, ტროტკუდ!..

– ჯერ ხომ არ მიდიხართ, მამა? – ჰკითხა აგნესამ შეწუხებით. – ხომ არ გინდათ, გავისეირნოთ შემდეგ ტროტკუდთან ერთად?

მისტერ ვიკვილდი, უეჭველია, ჰკითხავდა რჩევას თვალებით მაინც, მაგრამ ურიმ დაასწრო:

– მე საქმეებზე უნდა წავიდე, – თქვა მან. – ჩემი ამხანაგი რჩება აქ ფირმის წარმომადგენლად. თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ, მის აგნესა. მშვიდობით, მასტერ კოპერფილდ! ჩემი უდიდესი პატივისცემა, მის ბეტსი ტროტკუდ.

ამ სიტყვებით იგი გავიდა.

ჩვენ ვისხედით დაახლოებით ორი საათი და ვლაპარაკობდით კენტერბერის წარსულს დროებაზე. მისტერ ვიკვილდი გამხიარულდა და ცხადი სიამოვნებით გვისმენდა, როგორ ვიგონებდით ძველ დროს. მან შენიშნა, რომ ამგვარი ბაასი

ავონებს იმ ბედნიერ ხანას, როდესაც იგი ცხოვრობდა მხოლოდ ჩვენთან, ჩემთან და აგნესასთან ერთად, და გულწრფელად ინანა, რომ ეს დრო შეიცვალა. ერთი სიტყვით, აგნესას იქ ყოფნამ უაღრესად კეთილი გავლენა მოახდინა მისტერ ვიკფილდზე.

ნუთუ დამავიწყდება ოდესმე ეს მშვენიერ ქალი იმ სახით, რომლითაც იგი, სიყვარულით გაშუქებული, მომეგვლინა ჩემი სიცოცხლის ამ მძიმე ხანაში! თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა ყველაფერი; აგნესა ძალიან ცოტას ლაპარაკობდა ამ სადამოს და, ამასთან, ლაპარაკობდა თავის ჩვეულებრივი მორიდებით; მაგრამ მან აავსო ჩემი გული კეთილშობილური გამბედაობით, გამამხნევა თავისი მაგალითით, მიმართა ჩემი ნება ვაჟკაცური ბრძოლისკენ დაბრკოლებათა დასაძლევად, და დარწმუნებული ვარ, მისი მადლობელი უნდა ვიყო ყველა იმ სიკეთისათვის, რაც კი ოდესმე ჩემს სიცოცხლეში გამიკეთებია!

აჰ, აგნესა! ჩემი სიჭაბუკის დაო! მაშინ რომ მცოდნოდა ის, რაც ასე გვიან გავიგე!..

შემდეგ, როდესაც მარტოკა ვიჯექი ფანჯარასთან და ვიგონებდი აგნესას ნათელ თვალებს, ქუჩაში მათხოვარმა გამოიარა. მის ბუტბუტზე მე შევეკრთი და უნებურად მომაგონდა პაპიდას სიტყვები: „შენ ბრმა ხარ, ჩემო კარგო, ბრმა!“

თავი ოცდამეცამეტე

ენტუზიაზმი

მეორე დღეს, დილით, გავემართე ჰაივეტში, დოქტორ სტრონგთან. უნდა დამემტკიცებინა პაპიდასათვის, რომ მისმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და რომ მეც შემიძლია, ჩემის მხრით, მადლიერი და დიდსულოვანი ვიყო. შრომას უნდა შევდგომოდი, მტკიცედ და გადაჭრით ხელში ცული უნდა ამელო და გამეკაფა გზა დაბრკოლებათა ტყე-ღრეში, რომ დორამდის მიმეღწია, და მეც წავედი წინ სწრაფი ნაბიჯით, თითქოს ეს საქმეს რამეში უშველიდა.

დოქტორი სტრონგი ცხოვრობდა ძველებურ სახლში, რომელიც მას ერთიანად განეახლებინა; ეს ჩანდა ზოგიერთი ახლადდამთავრებული სამუშაოს მიხედვით. როდესაც ჭიშკარი გავაღე და შევედი, დოქტორი სტრონგი სეირნობდა ბაღში თავის ჩვეულებრივ ტანსაცმელში, თითქოს მას არასოდეს არ შეეწყვიტოს სეირნობა ჩემი მოწაფეობის დროის შემდეგ.

გამოცდილობით ვიცოდი, რომ არ არსებობდა არავითარი საშუალება, რომლითაც შესაძლო იქნებოდა ამ სწავლული ადამიანის ყურადღების მიპყრობა, თუნდაც პატარა მანძილზე. ამიტომ ჩუმად გავყევი კვალდაკვალ, მის წინ რომ გავჩენილიყავი, როდესაც სეირნობის დროს შემობრუნდებოდა. დოქტორი სტრონგი მობრუნდა და მომაპყრო ჩაფიქრებული თვალები; მაგრამ უეცრად მისი სახე დიმილმა გააშუქა და ხელი მტაცა.

– აჰ კოპერფილდ, როგორ მიხარია თქვენი ნახვა! – მითხრა დოქტორმა სტრონგმა. – როგრო ხართ? როგორ გალამაზებულხართ და დაგაჟაკცებულხართ!

მე მოვიკითხე დოქტორი და გამოვთქვი იმედი, რომ მისი მეუღლეც კარგად არის.

– ო, დიას, ძვირფასო მეგობარო! ანი ძალიან კარგად არის, მადლობას მოგახსენებთ, – მითხრა დოქტორმა. – ანისაც ჩემსავით ეამება თქვენი ნახვა. თქვენ მუდამ მისი საყვარელი მოწაფე იყავით.

შემდეგ დოქტორმა დამადლო მხარზე ხელი, შემოხედა კეთილი თვალებით და განაგრძო:

– ახლა ვიბაასოთ თქვენი წინადადების შესახებ, ძვირფასო კოპერფილდ! ჩემთვის, როგორც თქვენც წარმოიდგენთ, ეს ძალიან სასიამოვნოა მრავალი მხრით, მაგრამ თქვენთვის! დარწმუნებული კი ხართ, რომ არ მოიძებნება უფრო ხელსაყრელი სამუშაო? მიზანშეწონილი კი იქნება თქვენი მხრით, რომ უმნიშვნელო მუშაობას მოანდომოთ საუკეთესო ხანა თქვენი ცხოვრებისა, ჩემო კარგო მეგობარო?

მაგრამ მე ისევ ვთხოვე მიველე სამუშაოდ და თან მოვაგონე დოქტორ სტრონგს, რომ უკვე მაქვს პროფესია, რადგან დოქტორთა კოლეგიაში ვმუშაობ-მეთქი.

– მაშ კარგი, – მითხრა დოქტორმა. – მაგრამ მაინც დამეთანხმეთ, რომ სამოცდაათი გირვანქა წელიწადში – მეტად უმნიშვნელო თანხაა.

– იგი აორკეცებს ჩვენს წლიურ შემოსავალს, დოქტორ სტრონგ! – ვუპასუხე მე.

– ნუთუ? ვინ იფიქრებდა ამას! – შესძახა დოქტორმა.

– შემიძლია ვიმუშაო თქვენთან დილით და საღამოობით, დოქტორ სტრონგ; თუ თქვენთვის მისაღებია ჩემი წინადადება, სამოცდაათი გირვანქა ისეთი ჯილდო იქნება ჩემთვის, რომლის იმედი სრულებითაც არ მქონდა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა დოქტორმა. – რას ვიფიქრებდი, რომ ჩემი საყვარელი მოწაფე ასე დააფასებდა ჩემს მცირედ გასამრჯელოს! მაშ კარგი, თანახმა ვარ, მხოლოდ იმ პირობით, რომ თქვენ დაურიდებლად თავს დაანებებთ ჩემთან მუშაობას, როგორც კი იშოვით თქვენთვის ხელსაყრელ სამსახურს. თქვენი პატიოსანი სიტყვა, ჩემო მეგობარო!

დოქტორს ჩვეულებად ჰქონდა ინსტიტუტში სერიოზულად მოჰკიდებოდა თავის მოწაფეთა პატიოსან სიტყვას.

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სერ! – ვუპასუხე იმავე კილოთი, თითქოს ისევ მისი მოწაფე ვიყავი.

– ასეთ შემთხვევაში, თანახმა ვარ! – თქვა დოქტორმა და ხელი დამკრა მხარზე.

დიდი გულმოდგინებით შევუდექი ჩემს მუშაობას. ვდგებოდი დილის ხუთ საათზე და ვბრუნდებოდი სახლში საღამოს ცხრა ან ათ საათზე, მიუხედავად ამისა, ეს შრომა დიდ სიამოვნებას მგვრიდა.

დორამ ჯერ არაფერი იცოდა ამ უცარი ცვლილების შესახებ ჩემს ცხოვრებაში. რამდენიმე დღის შემდეგ იგი სტუმრად უნდა სწვეოდა მის მილსს, და მე ამ დროისათვის გადავდე ყოველგვარი ახსნა-განმარტება. ერთ-ერთ ჩემს წერილში მხოლოდ ის ვაცნობე, რომ ბევრ რამეზე მაქვს მასთან მოსალაპარაკებელი.

მისტერ დიკი ძალიან ნაღვლობდა იმ დიდი უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა პაპიდას. მისი აზრით, მე წელი მწყდებოდა ჯაფისაგან, რადგან კატორღელზე მეტს ვმუშაობდი. იგი იტანჯებოდა ამ ფიქრით, რომ პირადად ვერაფრით ეხმარებოდა გადატაკებულ ოჯახს; იგი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე გრძნობდა, რომ ვერ დაამთავრებდა მემუარებს, და, რაც უფრო მეტი გულმოდგინებით შრომობდა, მით უფრო ხშირად ელანდებოდა უბედური ჩარლზ პირველის სახე. მეშინოდა, ავადმყოფობა არ გართულებოდა, თუ ჩვენ არ დავარწმუნებდით, რომ იგი სასარგებლოა ჩვენთვის, ანდა თუ ნამდვილად არ გამოვნახავდით საშუალებას – სასარგებლოდ გამოგვეყენებინა მისტერ დიკის უდიდესი სურვილი – ეშრომა. ამიტომ გადავწყვიტე, მეთხოვა რჩევა ტრედელსისათვის და წერილი მივწერე, რომელშიც დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, რაც თავს დაგვატყდა. ტრედელსმა დაუყოვნებლივ მიპასუხა წერილით, რომელიც მეგობრული თანაგრძნობითა და სიყვარულით იყო სავსე, და მისასვლელი დღე დამინიშნა.

როდესაც ჩვენ მივედით, ტრეელსი საქმეში იყო გართული; აუარებელი ქაღალდები ელაგა წინ. მან დიდი სიყვარულით მიგვიღო და იმწამსვე დაუმეგობრდა მისტერ დიკს.

– აი რაშია საქმე, – უთხრა მისტერ დიკმა შეწუხებული სახით, – იქნებ შეიძლებოდეს ჩემი შრომის გამოყენება, მისტერ ტრედელსს... იქნებ შეიძლებოდეს, რომ დოლზე ან რაიმე სტვირზე დავუკრა...

საბრალო მისტერ დიკი! ეჭვი არა მაქვს, ამგვარი შრომა მას ყველაფერს ერჩია. ტრედელსმა სრული სერიოზულობით უპასუხა:

– კი, მაგრამ, თუ არ ვცდები, თქვენ მშვენიერი ხელი გაქვთ, სერ.

– მშვენიერი, დიას, – დავუდასტურე მე.

მართლაც, მისტერ დიკი მშვენივრად წერდა.

– მაშინ, სერ, – განაგრძო ტრედელსმა, – ხომ არ შეგიძლიათ გადაწერა ხელნაწერებისა, თუ ამგვარ სამუშაოს გიშოვით?

მისტერ დიკმა შემომხედა და მკითხა:

– ჰა, ტროტგუდ? შენ რას იტყვი ამაზე?

მე თავი გავიქნიე. მისტერ დიკმა ამოიხრა და მანაც თავი გაიქნია.

– აბა, ერთი მემუარების შესახებ გადაუკარი სიტყვა, – მითხრა მისტერ დიკმა.

მე ავუხსენი ტრედელსს, რომ მთავარი დაბრკოლება იმაშია, რომ მისტერ დიკის ყველა ხელნაწერში აუცილებლად სცენაზე გამოდის უბედური ჩარლზ პირველი.

– მართალია, – მიპასუხა ტრედელსმა, – მაგრამ ის ქაღალდები, რომლებზედაც მე ვლაპარაკობ, უკვე შედგენილი იქნება, როგორც წესი და რიგია; მისტერ დიკს არაფერი თავის სამტვრევი არ ექნება. ეს ხომ დიდი განსხვავებაა, კოპერფილდ. ვცადოთ, ყოველ შემთხვევაში!

ჩვენ გადავწყვიტეთ, მეორე დღესვე დაგვესვა სამუშაოდ მისტერ დიკი.

მაგიდაზე ტანჯარასთან, ბუკინგემის ქუჩაზე, გავშალეთ ტრედელსის მოტანილი ხელნაწერი – რაღაც იურიდიული დოკუმენტი, რომლისგანაც საჭირო იყო დანიშნული ვადისთვის რამდენიმე პირის დამზადება, ხოლო მეორე მაგიდაზე გავშალეთ უკანასკნელი, დაუმთავრებელი დედანი დიდებული მემუარებისა. ჩვენ შემდეგი ინსტრუქცია მივეცით მისტერ დიკს: მას სიტყვა-სიტყვით უნდა გადმოეწერა იურიდიული საბუთი, ყოველგვარი შეცვლა დედანისა ყოველად შეუძლებელი იყო; მაგრამ, თუ ვინიცობაა, მისტერ დიკი იგრძნობდა აუცილებლობას მიემართა უბედურ ჩარლზ პირველისათვის, ამ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა გადასულიყო მეორე მაგიდაზე, სადაც მისი მემუარების ხელნაწერი იდო. შემდეგ პაპიდასავან გავიგეთ, რომ პირველად მისტერ დიკი ჰგავდა დიდს ორმაგ დაფდაფზე დამკრულ ადამიანს და ყოველ წუთში დარბოდა ერთი მაგიდიდან მეორეზე; მაგრამ მალე, როგორც ჩანს, იგი დარწმუნდა, რომ ეს სირბილი ძალიან დამქანცველია და უშლის მუშაობის დამთავრებას. ამიტომ მისტერ დიკი მიუჯდა მაგიდას, როგორც ნამდვილი გადამწერი, და მთლად მიეცა თავის შრომას. ამგვარად, შაბათ საღამოს მისტერ დიკმა მიიღო ათი შილინგი და ცხრა პენსი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ დარბოდა აღელვებული მისტერ დიკი თავის თანხის დასახურდავებლად, როგორ სიმეტრიულად დაალაგა ფული სასადილო კარადის ფიცარზე პაპიდას წინ და როგორ ჩამოსდიოდა სიხარულის ცრემლები.

– ამის შემდეგ ჩვენ აღარ გვეშინოდეს შიმშილით სიკვდილისა, ტროტგუდ, – მითხრა მისტერ დიკმა, როდესაც მიმიყვანა კუთხეში და მაგრად ჩამომართვა ხელი. – მე ვიმუშავებ მისთვის, სერ!

არ ვიცი, ვის უფრო უხაროდა ეს ამბავი, – მე თუ ტრედელსს.

– საოცარია! – მითხრა ტრედელსმა, ამოიღო ჯიბიდან წერილი და გადმოძცა. – სრულებით დამავიწყდა მისტერ მიკობერის წერილი.

გავსენი წერილი და შემდეგი წავიკითხე:

„ძვირფასო კოპერფილდ!

უეჭველია, არ გაგიკვირდებათ, როდესაც გაიგებთ, რომ ჩემმა საქმეებმა უკეთესი მიმართულება მიიღო; თუ მოიგონებთ, ამასწინათ გაგრძნობინეთ, რომ აუცილებლად მოველოდი ამგვარ ცვლილებას.

მე ვსახლდები ჩვენი დალოცვილი კუნძულის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში. მისი საზოგადოება შედგება ბედნიერად შერჩეულ მიწათმოქმედთა და სასულიერო პირთაგან, და იქ უშუალო დამოკიდებულებაში ვიქნები ერთ-ერთ მეცნიერულ პროფესიასთან. მისის მიკობერი და ჩვენი ჩამომავლობაც თან წავყვებიან. საფიქრებელია, რომ ჩვენი ნეშტი მიებარება იმ სასაფლაოს წმინდა მიწას, რომელიც ეკუთვნის დიდებულ ტაძარს, რომლისაგანაც ამ ქალაქმა მიიღო თავისი სახელი, განთქმული, ასე ვთქვათ, ჩინეთიდან პერუმდე.

ვემზვიდობები ახალ ბაბილონს, სადაც ჩვენ არა ერთხელ გადაგვიტანია, შეიძლება ითქვას, პატიოსნად, ბედის უკუღმართობა. ამასთან ერთად, არ შეგვიძლია დავმალეთ, რომ სინანულით ვეთხოვებით, იქნებ სამუდამოდაც, ერთ ადამიანს, რომელთანაც გვაკავშირებდა უახლოესი მეგობრობა. თუ სადამოს, განშორების წინ, გვეწვევით ჩვენს ბინაზე მისტერ ტრედელსთან ერთად, რათა ამ შემთხვევის გამო ვუსურვოთ ერთმანეთს სიკეთე და ბედნიერება, დიდად დაავალებთ მას, ვინც მუდამ იყო და დარჩება თქვენი ერთგული.

ვილკინს მიკობერი“.

გულწრფელად გამახარა ამგვარმა უეცარმა ცვლილებამ მისტერ მიკობერის საქმეებში და, როდესაც გავიგე, რომ წვეულება ამ სადამოს არის, გამოვთქვი სურვილი დაუყოვნებლივ წავსულიყავით. ჩვენ მაშინვე გავწიეთ გრესის გზის ბოლოში, სადაც ახლა ცხოვრობდა მისტერ მიკობერი, მორტიმერის ფსევდონიმით.

– ძვირფასო კოპერფილდ, – მითხრა მისტერ მიკობერმა, – თქვენ და მისტერ ტრედელსი გვხედავთ წასასვლელად მზადების დროს. პატარა უწესობანი აუცილებელია ამგვარ შემთხვევაში და ამიტომ გთხოვთ გვაპატიოთ.

მე მივულოცე მისის მიკობერს ბედნიერი ცვლილება მათ ცხოვრებაში.

– ჩემთვის ცხადია, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, – მიპასუხა მისის მიკობერმა, – რომ ბედად მიწერია უცხოეთში გავატარო დანარჩენი დღენი ჩემი ცხოვრებისა, რადგან ჩემი გვარეულობის სხვადასხვა წევრებმა, რომელთაც მიმართა მისტერ მიკობერმა და შეატყობინა თავისი ამბავი, არავითარი ყურადღება არ მიაქციეს მის კეთილშობილურ წერილს. რას იზამ? იქნებ მე ცრუმორწმუნე ვარ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მგონია, მისტერ მიკობერს ბედად უწერია პასუხისმიუღებლობა ყველა თავის მრავალრიცხოვან წერილზე. ჩემი გვარეულობის წევრთა დაუინებელი სიჩუმიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანო, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ჩემი გადაწყვეტილებებს; მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მისტერ კოპერფილდ, რომ ვერავინ გადამახვევინებს ჩემი პირდაპირი მოვალეობის ასრულებისაგან, თვით დედა და მამაც კი, ცოცხლები რომ იყვნენ, და მე ყოველგან და ყოველთვის თან გავყვები ჩემს მეუღლეს!

მე გამოვთქვი ის აზრი, რომ ამგვარი გადაწყვეტილება სავსებით ეთანხმება პატიოსნებისა და სამართლიანობის მოთხოვნილებას.

– ნათქვამის დამატებით, – დაიწყო მისტერ მიკობერმა ოფიციალური კილოთი, – მოვალე ვარ შეგატყობინოთ, რომ ჩემმა იურიდიულმა გამოცდილებამ და მისის მიკობერის კეთილგონიერმა შთაგონებამ მიგვიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდე. გახსოვთ, უკანასკნელი შეხვედრის დროს მისის მიკობერი რომ ლაპარაკობდა საზოგადოებისადმი რაინდული ხელთათმანის გადაგდების შესახებ?

ეს გეგმა დაუყოვნებლივ იქნა ასისრულეში მოყვანილი გაზეთებში განცხადებების საშუალებით. ხელთათმანი აიღო ჩემმა მეგობარმა ჰიპმა! თქვენ უწყით, რა საოცარი გამჭირახობით არის დაჯილდოებული ჩემი მეგობარი ჰიპი და მსურს ვილაპარაკო მის შესახებ მხოლოდ დიდი პატივისცემით. ჩემმა მეგობარმა ჰიპმა ჯერჯერობით არ დამინიშნა გარკვეული ჯამაგირი, როგორც თავის ნდობით აღჭურვილ კლერკს, მაგრამ საგრძნობლად დამეხმარა და შემიმსუბუქა ჩემი ფინანსური მდგომარეობა – ჩემი მომავალი შრომის ხელფასის ანგარიშში. ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ ამგვარი მისი ანგარიში არაა შემცდარი. მთელი ჩემი ცხოვრების გამოცდილება და მთელი ჩემი ნიჭი, – თუკი ბუნებამ დამაჯილდოვა რაიმე ნიჭით, – დღეიდან სავსებით ეკუთვნის ჩემს მეგობარს – ჰიპს!

ეს სიტყვა არა ერთხელ იყო შეწყვეტილი მისის მიკობერის შენიშვნებით მისტერ მიკობერი-შვილის მოუსვენარი და დაუდევარი მოქცევის გამო. იგი ხან რაღაც უცნაურად ჩაკუნტდებოდა ქუსლებზე, ხან ისე ეჭირა ორივე ხელით თავი, თითქოს მხრებიდან ვარდებო, ხან ფეხსა ჰკრავდა მაგიდის ქვეშ მისტერ ტრედელსს, ხან გადასდებდა ერთ ფეხს მეორეზე, ხან ისე გაიჩარხებოდა, რაც ცხადად ეწინაღმდეგებოდა ბუნების კანონებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ხმამაღლა ვიჯექი, გაკვირვებული მისტერ მიკობერის დიდმნიშვნელოვანი სიტყვებით. ბოლოს, მის მიკობერმა ისევ დაიწყო ლაპარაკი.

– ცხადია, რომ მისტერ მიკობერი არაფრით არ ამცირებს თავის ღირსებას, როდესაც თანხმდება ამ იურიდიულ დაბალ თანამდებობაზე. რასაკვირველია, მე ვსჯი, როგორც ქალი, მაგრამ მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ მისტერ მიკობერი დაჯილდოებულია იმით, რასაც ცხონებული მამაჩემი იურიდიულ ფანტაზიას უწოდებდა. არავითარი ეჭვი არ მეზადება იმაში, რომ ამჟამად მისტერ მიკობერი გამოდის პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე, რომელიც სავსებით განავითარებს მის თანდაყოლილ ნიჭს; რომ იგი გამარჯვებით გადალახავს ყველა წვრილმან დაბრკოლებას და მიაღწევს უმაღლეს სახელსა და ხარისხს სახელმწიფოებრივი მმართველობის კიბეზე.

გულწრფელად დარწმუნებული ვარ, რომ თვით მისტერ მიკობერი, თავისი იურიდიული ფანტაზიის საშუალებით, არსებული სინამდვილის იქით უკვე ხედავდა თავის თავს პარლამენტის თავმჯდომარედ. მან მოწყალების გამომეტყველებით გადაისვა ხელი მოტვლეპილ თავზე და თქვა:

– გენაცვალე! ნუ დავაჩქარებთ ამბებს! თუ მიწერია მოსამართლის პარიკის ტარება, უკვე მზადა ვარ, ერთგვარად, ამ წარჩინებისათვის, ყოველ შემთხვევაში – ცემი გარეგნობით მაინც!

ამ სიტყვებთან ერთად მისტერ მიკობერმა ერთბაშად გადაჰკრა ორი ჭიქა პუნში, რის გამო მისმა სახემ ღრმინაზროვანი გამომეტყველება მიიღო. შემდეგ განაგრძო გატაცებით:

– ერთი რამ კიდევ მაქვს გასაკეთებელი განშორების ამ ნაღვლიან უკანასკნელ წუთში. ჩემმა პატივცემულმა მეგობარმა, მისტერ თომას ტრედელსმა ხელი მოაწერა ორ თამასუქს. პირველ შემთხვევაში მისტერ თომას ტრედელსი, ჩემი მოუღლონელი გაჭირვების გამო, მოკლედ რომ ვთქვათ, ხაფანგში გაება. მეორე ვალდებულების ვადა ჯერ არ დამდგარა. პირველი ვალდებულების თანხა, თუ არ ვცდები (თუ არ ვცდები, აქ მისტერ მიკობერმა ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი), ოცდასამ გირვანქას, ოთხ შილინგს და ცხრანახევარ პენსს უდრის; მეორე ვალდებულებებისა არის – თვრამეტი გირვანქა, ექვსი შილინდი და ორი პენსი. ორივე თანხა, ერთად აღებული, თუ ჩემი ანგარიში სწორია, უდრის ორმოცდაერთ გირვანქას, ათ შილინგს და თერთმეტნახევარ პენსს. ჩემი მეგობარი კოპერფილდი დიდად დამავალებს, თუ შეიწუხებს თავს და ანგარიშის ჯამის სისწორეს გასინჯავს.

მე გავსინჯე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჯამი სწორი იყო.

– ჩემი სინდისი ასეთ აუტანელ სიმძიმეს როგორ გაუძღვებოდა, ნება მიმეცა ჩემი თავისთვის, ისე გავსულიყავი დედაქალაქიდან, რომ არ მიმელო წინასწარ სათანადო ზომები ჩემი პატივცემული მეგობრის, თომას ტრედელსის დასაკმაყოფილებლად, რომელმაც აღმომიჩინა მეგობრული დახმარება, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ კრიტიკულ წუთში. ამიტომ დავამზადე მისტერ ტრედელსისათვის სათანადო საბუთი. უმორჩილესად ვთხოვ ჩემს პატივცემულ მეგობარს, მისტერ თომას ტრედელსს, მიიღოს ჩემგან ხელმოწერა ორმოცდაერთ გირვანქა, ათ შილინგსა და თერთმეტნახევარ პენსზე. ეს საბუთი, იმედი მაქვს, სავსებით აღადგენს ჩემს ზნეობრივ ღირსებას და ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შემძლია, ისევე ამაყად დავიტვირო თავი, როდესაც ჩემს თანამოძმესთან ვიმყოფები.

ამის შემდეგ მისტერ მიკობერმა ჩააბარა ტრედელსს ხელმოწერილი ბარათი და უთხრა, რომ უსურვებს სიცოცხლეში ყოველგვარ სიკეთეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამბავი არა მარტო მისტერ მიკობერისათვის უდრიდა ფულის გადახდას, არამედ თვით პატივცემული მეგობარი თომას ტრედელსი ამგვარივე თვალებით უყურებდა ამ საქმეს იმ დრომდე, სანამ გამოცდილებამ არ დაანახა, რა განსხვავებაა ფურცელ ქაღალდზე დაწერილ ხელწერილსა და ვალის ნამდვილად გადახდას შუა.

ამაყად და კმაყოფილებით ასწია მისტერ მიკობერმა თავი, როდესაც კიბეზე გვაცილებდა. ჩვენ მეგობრულად გამვემშვიდობეთ ერთმანეთს.

თავი ოცდამეთოთხმეტე

ცოტაოდენი ცივი წყალი

უკვე ერთმა კვირამ გაიარა, რაც დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. დღითი დღე უფრო მეტი სიმტკიცით ვცდილობდი, გამეხორციელებინა ის ჩემი პირვანდელი შეუდრეკელი გადაწყვეტილება პრაქტიკული საქმიანობის შესახებ, რომელსაც დავადექი პაპიდას კრიტიკული მდგომარეობის გამო. განვარძობდი სიარულს საოცარი სისწრაფით, მომავალი წარმატებით აღფრთოვანებული. გადავწყვიტე მეშრომა უკანასკნელი ძალის გამოლევამდე და ხელი მომეკიდა ყოველგვარი საქმისთვის, რისი გაკეთების თუნდაც მცირეოდენი უნარი აღმომაჩნდებოდა. მზად ვიყავი, მომეტანა ყოველგვარი მსხვერპლი და ერთხელ ის აზრიც კი დამებადა, რომ ვეგეტარიანელი გავმხდარიყავი და მხოლოდ ბოსტნეულით კვებაზე გადავსულიყავი.

პატარა დორამ ჯერ არაფერი იცოდა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, რადგან ჩემს ლაკონიურს წერილებში მეტად ბუნდოვნად, თუმცა მეტად სევდიანად ვწერდი ამის შესახებ.

მაგრამ აი, უკვე მოახლოვდა მეორე შაბათი; ამ შაბათს, საღამოს, დორა სტუმრად უნდა სწევოდა მის მილსს. ჩვენ დათქმული გვქონდა წინასწარ, რომ როგორც კი მისტერ მილსი წავიდოდა კლუბში ბანქოს სათამაშოდ, უხილავი ხელი გადმოსდგამდა გაიას სასტუმრო ოთახის შუა ფანჯარაში და ეს იქნებოდა ჩემთვის ნიშანი, რომ უკვე შემძლია მივიდე მის მილსთან ჩაის დასალევად.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ოჯახური საქმეები ბუკინგემის ქუჩაზე ასე თუ ისე მოწესრიგდა. მისტერ დიკი უმაგალითო ბეჯითობით განაგრძობდა შრომას იურიდიული საბუთების გადაწერაზე. შინაურ საქმეებში საგრძნობი გაუმჯობესება მოხდა, ისე რომ გაღარიბების მაგივრად თითქოს გავმდიდრდი კიდევ. გონებაამახვილმა ყოველგვარ გამოგონებაში, პაპიდამ, ჩემს კაბინეტად გადააქცია ბნელი საკუჭნაო და მიყიდა ასაკეცი ლოგინი, გამართული იმრიგად, რომ დღის განმავლობაში იგი წარმოადგენდა წიგნის კარადის მაგვარ ნივთს. მე ვიყავი მისი

მზრუნველობისა და დედობრივი ყურადღების ერთადერთი საგანი. თვით საკუთარ დედასაც არ შეეძლო მეტად ჰყვარებოდა ერთადერთი შვილი. ყველა ჩემი საჭიროება გათვალისწინებული იყო, ყველა სურვილი გაგებულ, და იშვიათი კომფორტით ვტკბებოდი.

პეგოტი, რასაკვირველია, დიდ მონაწილეობას იღებდა ყველა ამ საქმეში და პაპივით აღჭურვა იგი უდიდესი ნდობით, ასე რომ, ისინი საუკეთესო მეგობრები გახდნენ, თუმცა ჩემს გადიას, ძველის მოგონებით, ცოტათი კიდევ ეშინოდა მის ბეტსისა. მაგრამ ბოლოს დადგა დღე, როდესაც პეგოტიმ დაამთავრა ყველა თავისი საქმე და სახლში უნდა წასულიყო, იარმაუთში.

– მშვიდობით, ბარკის! – უთხრა პაპივამ გამოთხოვებისას. – ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასე დამენანებოდა თქვენთან განშორება.

მე გავაცვილე პეგოტი დილიუანსების კანტორაში.

– აჰ, ჩემო თვალისჩინო, დევი! – მითხრა პეგოტიმ. – აი ახლა შენ ჯერ სწავლაში ხარ, ჩემო კარგო, და ვიცი, ხშირად დაგჭირდება ფული; შემდეგ, როდესაც მოწყობას დაიწყებ, ფული უფრო მეტად დაგჭირდება. ვინ უნდა გაძლიოს, თუ არა მე, შენმა სულელმა, ბებერმა გადიამ? არ დაივიწყო ეს, გეთაყვა, დევი!

ვინაიდან ამ მხრივ სრულებით არ ვიყავი უზრუნველყოფილი, ვუპასუხე, რომ თუ სესხება დამჭირდება, რასაკვირველია, ვისესხებ ჩემი კეთილი გადიასაგან. ამან დიდად გაახარა და ანუგეშა პეგოტი, თითქოს უკვე დავეთანხმე ამელო მისგან დიდი თანხა.

– აი, კიდევ რა, ჩემო კარგო! – ჩამხურჩულა პეგოტიმ. – უთხარი შენს პატარა მშვენიერს, რომ ძალიან, ძალიან მინდა მისი ნახვა, ერთი წუთით მაინც, და უთხარი ისიც, რომ თქვენი ქორწილის წინ ვკისრულობ თქვენი სახლის დალაგებას. ისე მოგიწყობთ, როგორც სათამაშოს, თუკი ნებას მომცემთ.

მე გამოვუცხადე, რომ ჩემი გადიას გარდა არავის ექნება უფლება გაბედოს ჩვენი მომავალი ბინის დალაგება. პეგოტის უზომოდ გაუხარდა ეს დაპირება და მშვენიერ გუნებაზე წავიდა სახლში.

მთელი დღის მანძილზე დოქტორთა კოლეგიაში ოცნების კოშკებსა ვქმნიდი. სადამოც მოახლოვდა და დანიშნულს ვადაზე გაგზნდი ნაცნობ ქუჩაზე. მისტერ მილსი, რომელსაც საბაგელი ჩვეულება ჰქონდა ნასადილევს ძილისა, ჯერ არ ამდგარიყო, ისე რომ, სასტუმრო ოთახის შუა ფანჯარაში ჯერ არ იდგა პაემანის გალია.

ბოლოს, როგორც იყო, იგი წავიდა თავის კლუბში და პატარა დორამ საკუთარი ხელით ჩამოჰკიდა გალია შუა ფანჯარაში, გამოიხედა აივანზე და იმწამსვე ოთახში შეირბინა, როგორც კი დამინახა.

დორა დამხვდა სასტუმრო ოთახის კარებში. ჯიპი გამწარებული ყვევით მომვარდა, როგორც ავაზაკს, დორამ ხელში აიყვანა იგი და ჩვენ შევედით ოთახში სრული ბედნიერები, ერთმანეთით კმაყოფილნი. მაგრამ მალე, ჩემდა უნებურად, დავარღვიე ჩვენი საერთო სიხარული, როდესაც სრულებით მოულოდნელად პირდაპირ ვკითხე დორას – შეუძლია თუ არა მას შეიყვაროს ლატაკი?

საბრალო დორა! ლატაკის იდეასთან მის პატარა თავში დაკავშირებული იყო გაყვითლებული სახე, ჩაცვნილი, უსიცოცხლო თვალები, გაწეწილი თმები, ჭუჭყიანი ჩაჩი, ყავარჯენი, ხის ფეხი და სხვა ამგვარი საშინელება. მის თვალებში, რომელნიც მომჩერებოდნენ, უმშვენიერესი გაოცება გამოიხატა.

– როგორ ბედავთ ასეთი სულელური კითხვების მოცემას? – შესძახა დორამ და გაიბუტა. – ლატაკის სიყვარული!

– დორა, ჩემო კარგო! – ვუთხარი მე. – ეს ლატაკი მე ვარ!

– როგორ ბედავთ ამგვარი სულელური ზღაპრების მოგონებას! – გაჯავრდა დორა და ხელზე დამარტყა. – ვუბრძანებ ჯიპს, რომ გიკბინოთ!



– დორა! ჩემო სიცოცხლე! მე ვარ შენი გადატაკებული დავითი!

– გეუბნებით, რომ ვუბრძანებ ჯიპს, დაგკბინოთ თქვენი სულელური ხუმრობისათვის!

მაგრამ ისეთი სერიოზული სახე მქონდა, რომ დორამ ნაღვლიანად დამადლო მხარზე თავისი პაწაწინა, მთრთოლვარე ხელი. იგი ჯერ აღელდა, შეშინდა, შემდეგ კი მწარე ტირილი დაიწყო. მე დავიჩოქე სავრაძლის წინ, ვეაღერებოდი ჩემს საცოლეს და ვემუდარებოდი, არ დაეფლითა ჩემი გული. პაწაწა დორა ისევ ტიროდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მისი პირიდან მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები ისმოდა. აჰ! აჰ! და ოჰ! როგორ შემეშინდა! და რა იქნა ჯულია მილსი! აჰ! წამიყვანეთ ჯულია მილსთან! და წადით, მომცილდითო.

სასოწარკვეთლებაში ჩავვარდი. ბოლოს, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, დორამ შემომხედა შეშინებულმა; მაგრამ თანდათან შიში გაჰქრა და მის სახეზე მხოლოდ სიყვარულია გამოიხატა. მაშინ მოვეხვეე ყელზე და ვუთხარი, რომ მიყვარს უზომოდ, და რომ, მიუხედავად ამისა, ახლა, როდესაც გავდარბიდი, მზად ვარ გავათავისუფლო თავისი პირობისაგან. დაე მან სხვა საქმრო აირჩიოს, თუ უნდა; მაშინ მე აუცილებლად მოვეკვები. მაგრამ მაინც ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენ ისევ ისე დანიშნულები დავრჩებით. სიღარიბე არ მაშინებს სრულებით, რადგან ხელი მაქვს მტკიცე, გონება – ნათელი და გული, დორას მიერ აღფრთოვანებული, – ანთებული უზომო ვაჟკაცობით, რაც მხოლოდ შეყვარებულთათვის არის შესაძლებელი! და რა სათქელია, საკუთარი შრომით შეძენილი ლუკმაპური გაცილებით უფრო ტკბილია და გემრიელი, ვიდრე ის მდიდრული სადილი, რომელიც წილად ხვდება ხოლმე ვინმე მუქთახორას. დიდხანს ვლაპარაკობდი ამ საგანზე და ჩემი მჭერმეტყველება, ჩემდა განსაცვიფრებლად, სწრაფი ნაკადულივით გადმოსჩქეფდა ჩემი პირიდან.

– მაშ ისევ მე მეკუთვნის შენი გული, ჩემო დორა? – ვკითხე ბოლოს, როდესაც დავრწმუნდი, რომ დადებით პასუხს მივიღებდი, რადგან იგი სულ უფრო და უფრო მეკვროდა.

– ო, დიახ, დიახ! შენ და სხვას არავის! – შესძახა დორამ. – ოღონდ ნუ იქნები ასეთი საშინელი!

– მე – საშინელი? დორა!

– მაშ რისთვის ლაპარაკობ სიღარიბეზე, შრომაზე, – მითხრა დორამ და მაგრად მომეკრა. – ნუ ლაპარაკობ! ნუ ლაპარაკობ!

– აჰ, ჩემო კარგო! – ვუთხარი მე. – შრომით ნაშოვნი ლუკმა...

– კიდევ, კიდევ! – წამოიძახა დორამ უდიდესი მოუთმენლობით. – ნურას გამაგონებთ ამ ლუკმებზე! რა ლუკმებია?

დორას ბავშვურმა გამოუცდელობამ აღტაცებაში მომიყვანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რამდენად დაშორებული იყო ის პრაქტიკულ ცხოვრებას. ჩემი გული, შრომისთვის აღფრთოვანებული, ცოტა არ იყოს, დაიბინდა იმ აზრით, რომ შეუძლებელი იყო დორასთვის გადამედო ეს გატაცება. მაინც ერთხელ კიდევ ვცადე:

– ჩემო კარგო! შემიძლია სერიოზულად გელაპარაკო?

– აჰ, გეთაყვა, ნუ მელაპარაკები! – მითხრა დორამ შემდეგი კილოთი. – შენ მაშინებ, დევი!

– კარგი, გენაცვალე, აქ საშიში არაფერია, გარწმუნებ. მე მხოლოდ მინდა, რომ შენ შეეჩვიო ფიქრს ამ საგანზე. მინდა ცოტ-ცოტა მიგაჩვიო ჩვენს მდგომარეობას, დორა!

– აჰ, გაჩუმდი, გაჩუმდი, გთხოვ! – შესძახა დორამ. – ეს ხომ საშინელებაა, საშინელება!

– არა, ჩემო კარგო, სრულებითაც არა, – ვუპასუხე მხიარულად. – შენ რომ ამ აზრით ჩაიხედო ზოგჯერ მამაშენის საოჯახო დავთარში და ეცადო, ნელ-ნელა შეჩვიო... მაგალითად, შინაური ხარჯების ანგარიშს... და რომ შეგეძლოს,

მაგალითად, მომცე პირობა, რომ წაიკითხავ სამზარეულო წიგნს, რომელსაც გიყიდი, ეს ჩვენ, ორივეს, დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით უნდა გავიკაფოთ გზა წინ, ცხოვრებაში. ვაჟკაცობა, გამბედაობა და სულის სიმტკიცე აუცილებელია ჩვენთვის. აუარებელი დაბრკოლებანი არსებობენ ჩვენ საერთო გზაზე; მხნედ უნდა დაეუხვედეთ მათ და უშიშრად გადავლახოთ ისინი!

მე გამიტაცა საკუთარმა მჭერმეტყველებამ; გაქანებული მივქროდი ამ გზით, ისე რომ, სახე ამენთო და ხელები თავისთავად მომეკუმშა მუშტებად. მაგრამ არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა ასეთ გატაცებას; საკმარისად ვილაპარაკე საქმის ხელახლა გასაფუჭებლად – მას ისე ეშინია! აჰ, რა იქნა ჯულია მილსი! ოჰ! თავი დაანებეთ მას, ღვთის გულისათვის!

ახლა კი მომეჩვენა, რომ საბოლოოდ მოვკალი დორა. მე ცივ წყალს ვაპკურებდი სახეზე. დავიჩოქე მის წინ, სასოწარკვეთით შეპყრობილი თმებს ვიგლეჯდი და გუწოდებდი ჩემს თავს უგრძობელსა და შეუბრალებელ მხეცს. ცრემლით ვემუდარებოდი პატიებას და ვეხვეწებოდი, ერთხელ მაინც შემოეხედნა ჩემთვის. გულსაკლავი სევდით სავსემ, გადავაქოთე მის მილსის სამუშაო ყუთი, სადაც სურნელებას ვექებდი; მაგრამ სურნელების მაგივრად წამოვიდა ნემსები და დაეყარა დორას თავზე და მხრებზე. ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა და ბუნდოვნად ვგრძობოდი, რომ გონებას ვკარგავდი. ბოლოს ოთახში მის მილსი შემოვიდა.

– ეს ვინ ჩაიდინა? – მკაცრად იკითხა მის მილსმა და თან თავის მეგობარს ეხმარებოდა.

– მე, მის მილს! მე ჩავიდინე ეს! მე ვარ დამნაშავე! მე ვარ ბოროტმოქმედი!

კიდევ მრავალი ამგვარი სისულელე წარმოვთქვი. ბოლოს, ბაღში მივიფარე სახეზე და დაუძღურებული მივეგდე სოფაზე.

თვით კეთილმა ბედმა გამომიგზავნა მის მილსი – ჩვენ სანუგეშოდ და დასამშვიდებლად. მოკლედ ვუამბე მას უბედური ცვლილების შესახებ ჩემს მდგომარეობაში; იგი სწრაფად მიხვდა ყველაფერს და ერთ წუთში დაამშვიდა დორა, როდესაც აუხსნა, რომ მე სრულებით არ ვაპირებდი უბრალო შავ მუშად დადგომას. ამგვარი განმარტება აუცილებელი იყო, რადგან დორამ ის დასკვნა გამოიტანა ჩემი სიტყვებიდან, რომ უკვე დღიურ მუშად დავდექი ფორანით ქვიშის საზიდავად. მალე ჩვენ შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდა. როდესაც დორა გავიდა თვალების მოსახანად, მის მილსმა დაურეკა მოახლეს და უბრძანა ჩაი მოერთმიათ. ვისარგებლე ამ დროით და გამოვუცხადე მის მილსს, რომ იგი ჩვენი ერთგული მეგობარია, და რომ მაშინაც კი, როდესაც ჩემი გული მტვრად იქცევა ცივ სამარეში, არ დაივიწყებს მის თანაგრძობას და გულკეთილობას.

ამის შემდეგ საოცარი სიადვილით აუხსენი მის მილსს ყოველივე ის, რასაც აქამდე ყოვლად უშედეგოდ ვცდილობდი ამეხსნა დორასთვის. ჯულია მილსმა მიპასუხა მორალისტის ტონით, რომ ღარიბი ქოხი, აღსავსე სიამოვნებით, გაცილებით უკეთესია, ვიდრე ცივი პალატები – ამას სიმდიდრით. „სადაც სიყვარულია – იქ ყველაფერია!“ – დაამთავრა მის მილსმა.

როდესაც ჩაი მოიტანეს, დორამ უბრძანა ჯიპს უკანა ფეხებზე დადგომა, რომ მიეღო მისგან შემწვარი პურის ნაჭერი. როდესაც ჯიპი გაჯიუტდა, დორამ ცხვირთან მიუტანა ცხელი ჩაიდან, ისე რომ, ჯიპი იძულებული გახდა დამორჩილებოდა. ეს მშვენიერი სურათი იყო. როგორ შეიძლებოდა ამის შემდეგ მისი შეშინება რაიმე სამზარეულო წიგნით? რასაკვირველია, ეს ყოვლად შეუძლებელი იყო, და ჩემს თავს მტარვალად ვგრძობოდი.

ჩაის შემდეგ გიტარა გაჩნდა, და დორამ ისე მშვენივრად შეასრულა ძველი ფრანგული სიმღერები, რომ ფეხები უნებურად ცეკვავდნენ და ჩვენც ვიმეორებდით: „ტრა-ლა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლა-ლა!“ ერთხელ კიდევ ვიგრძენი ჩემი თავი მტარვალად, რომელიც ყოველგვარი სასჯელის ღირსია.

საერთო მხიარულება შეწყდა მხოლოდ ჩემი სტუმრობის ბოლოს და ეს ისევე ჩემივე მიზეზით. მის მიღსმა როგორღაც ხვალინდელი დილა ახსენა; მე შევნიშნე, სრულებით უდროოდ, რომ ახლა იძულებული ვარ, ვიშრომო, და ჩვეულებრივად ხუთ საათზე ვდგები. არ ვიცი, რა აზრი დაებადა დორას ამ სიტყვების გამო, – ღამის გუშაგი ვეგონე, თუ სხვა ამგვარი რამ, ოღონდ ამ სიტყვებმა უდიდესი სთაბეჭდილება მოახდინა დორაზე, ამის შემდეგ მას აღარ დაუკრავს და აღარც უმღერია.

ეს აზრი მთელი საღამოს განმავლობაში აწუხებდა და, როდესაც ვეთხოვებოდი, მითხრა ნაზი და ალერსიანი ხმით, როგორც ჩვეულებრივად დედოფალას ელაპარაკებიან.

– ნუ დგები ხუთ საათზე, უმსგავსო ბიჭო! ეს სისულელეა!

– სხვაფრივ შეუძლებელია, გენაცვალე, უნდა ვიშრომო!

– მიქარვაა, სრულებით არ არის საჭირო! – მიპასუხა მან. – რა საჭიროა შრომა!

ამ მშვენიერი, გაოცებული სახის შემყურეს, მხოლოდ მხიარული კილოთი და ხუმრობით შემეძლო პასუხის გაცემა. მე ვუთხარი, რომ შრომა ჩვენთვის აუცილებელია.

– ფი! რა სასაცილოა! – მიპასუხა დორამ.

– მაშ სხვაფრივ როგორ ვიცხოვროთ, დორა? – ვუთხარი მე.

– როგორ? რა საკითხავია! როგორმე! – მიპასუხა დორამ.

მე მიყვარდა დორა და განვაგრძობდი მის სიყვარულს; მაგრამ შრომასაც განვაგრძობდი დაუზოგავად, რამდენადაც ეს შესაძლებელია შეეყვარებული ყმაწვილი კაცისთვის. მიუხედავად ამისა, ხშირად შუადამისას მეღვიძებოდა ხოლმე გულის ფანცქალით, მაგონდებოდა დორას შიში და, როდესაც ვუფიქრდებოდი ყოველივე ამას, ისე მეჩვენებოდა, თითქოს თმები მითეთრდებოდა და გული მიბერდებოდა.

თავი ოცდამეთხუთმეტე

მოულოდნელი დაბრკოლება

ერთხელ, როდესაც, ჩვეულებისამებრ, დოქტორთა კოლეგიაში გავემართე, ტალანში მისტერ სპენლო შემხვდა. იგი არაჩვეულებრივად მოღუშული იყო და რაღაცას ელაპარაკებოდა თავის თავს.

მან არ მიპასუხა საღამოზე, ამაყად შემომხედა და მკაცრად მიბრძანა გავყოლილიყავი. დავემორჩილე და იმწამსვე მთელ ტანში უნებური თრთოლვა ვიგრძენი. გულში მწარე წინათგრძნობა დამებადა, რომ მან გაიგო რამე ჩემი და დორას დამოკიდებულების შესახებ.

ჩემი წინათგრძნობა მკაცრ სინამდვილედ გადაიქცა, როდესაც მან ამიყვანა ზემო სართულში და იქ, ერთ-ერთ ოთახში, რომელშიც ჩვენ შევედით, მის მორდსტონი დავინახე.

მის მორდსტონმა გამომიწოდა ყინულივით ცივი ბრჭყალები და გაშეშებული დაჯდა უახლოეს სკამზე. მისტერ სპენლომ დაკეტა კარი და გაჩერდა ხალიჩაზე, ბუხრის წინ.

– გაისარჯეთ, მის მორდსტონ, – დაიწყო მისტერ სპენლომ, – უჩვენეთ მისტერ კოპერფილდს, რა გაქვთ ჩანთაში.

მის მორდსტონმა ფოლადის ბალთასავით მოკუმა ტუჩები, გახსნა ჩანთა და ამოიღო ჩემი უკანასკნელი წერილი დორასადმი.

– ეს თქვენი ხელია, მისტერ კოპერფილდ? – მკითხა მისტერ სპენლომ.

– ჩემი, სერ.

ამ დროს მის მორდსტონმა ამოიღო ჩანთიდან მთელი დასტა წერილებისა, შეკრული ცისფერი ძვირფასი ლენტით, და გამომიწოდა.

– უნდა გამოვტყდე, – დაიწყო მის მორდსტონმა, – რომ დიდი ხანია ეჭვი დამებადა მის სპენლოსა და მისტერ კოპერფილდის ურთიერთობის შესახებ. თვალყურს ვადევნებდი მათ განუწყვეტლივ, მათი პირველი შეხვედრიდანვე, და უნდა მოგახსოვნოთ, რომ პირველივე სთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზე მის სპენლოს და დავით კოპერფილდის დაახლოებამ, არაფერს სასიამოვნოს არ შეიცავდა. მსურდა საბუთიდან დამემტკიცებინა ჩემი ეჭვი, მაგრამ ჩემი ცდა დიდხანს დარჩა უნაყოფოდ. როდესაც დავბრუნდი ჩემი ძმის ქორწილის შემდეგ, – განაგრძობდა მის მორდსტონი უაღრესი აღშფოთების კილოთი, – შევნიშნე, რომ მის სპენლოს, რომელიც იმ ხანებში სტუმრად იყო თავის მეგობარ მის მილსთან, უწინდელზე უფრო უცნაურად უჭირავს თავი; ჩემი ეჭვი გაძლიერდა და მეტი გულმოდგინებით შევუდექი მის სპენლოს ყურისგდებას.

საბრალო პატარა დორა! როგორ მოგივიდოდა ფიქრად, რომ ამ ვეშაპის თვალები გითვალთვალებდა დაუღალავად, მარადუამს!

– მიუხედავად ამისა, წუხანდელ დამემდის ვერ მეპოვნა ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი, – განაგრძობდა მის მორდსტონი. – თუმცა ძალიან საეჭვოდ მეჩვენებოდა, რომ მის სპენლო ისე ხშირად იღებდა წერილებს თავისი მეგობრის, მილსისაგან, მაგრამ ვინაიდან მეგობრობა ამ ქალთან ნებადართული იყო მამამისის მიერ, ჩემს თავს ნებას არ ვაძლევდი, ჩავრეულიყავი მათს საქმეში. წუხელ სადამოს, ჩაის შემდეგ, შევნიშნე, რომ პატარა ფინია დარბოდა სასტუმროში და თან რაღაც ნივთს დათრევდა. მე ვუთხარი მის სპენლოს: „დორა! რა უჭირავს პირში ტოქვენს ძაღლს? მგონი რაღაც ქაღალდია“. მის სპენლომ იმწამსვე ჩაიყო ხელი უბეში, შეჰყვირა და გამოუდგა ძაღლს. მე შევაჩერე და ვუთხარი: „დორა, ჩემო მეგობარო, ნება მიბოძე, მე გამოვართვა!“

ო, ჯიპ! საძაგელო ჯიპ! მაშ შენ გაეცი ჩვენი საიდუმლო!

– მეშინოდა, რომ ძაღლი მიკბენდა, მაგრამ, რასაკვირველია, არაფრად ჩავაგდე ხიფათი და – საბუთი ჩემს ხელში გაჩნდა! როდესაც წავიკითხე, მივმართე წყრომით მის სპენლოს და ადვილად დავუმტკიცე, რომ უეჭველია, მას მრავალი უნდა ჰქონოდა ამგვარი წერილი. ამის შედეგია, რომ მის სპენლომ გადმომცა წერილების დასტა, რომელიც ახლა დავით კოპერფილდის ხელშია.

ამით დასრულდა მისი სიტყვა. მის მორდსტონმა დაკეტა ჩანთა, მოკუმა პირი და მკაცრი გამომეყვებლების შეუცვლელად მოემზადა, როგორც ჩანდა, ყოველგვარი იერიშის უკუსაგდებად.

– თქვენ მოისმინეთ მის მორდსტონის მოხსენება, – მითხრა მისტერ სპენლომ. – რა შეგიძლიათ სთქვათ თავის გასამართლებლად, მისტერ კოპერფილდ, სთქვით!

– მე არ შემიძლია თავის გამართლება, სერ! დამრჩენია მხოლოდ გამოვტყდე, რომ მტოელი ბრალი ამ შემთხვევაში მე მედება. დორა...

– მის სპენლო, თუ ინებებთ, – შემაწყვეტინა დორას მამამ მედიდური კილოთი.

–... ჩემს მიერ იყო დარიგებული, – განვაგრძე მე, როდესაც ჩავყლაპე ეს ცივი შენიშვნა, – მე ვურჩიე, დაემალა თქვენგან ეს საიდუმლო, და ახლა მწარედ ვნანობ.

– თქვენ უაღრესი გაკიცხვის ღირსი ხართ, სერ, – მითხრა მისტერ სპენლომ. – თქვენ უწესო და უგვანო საქციელი იკისრეთ, მისტერ კოპერფილდ!

– ვგრძნობ ამას, სერ, გარწმუნებთ, – ვუპასუხე მე, – მაგრამ არასოდეს არ მიფიქრია ეს წინათ, არასოდეს. პატიოსან სიტყვას ვაძლევთ, მისტერ სპენლო, რომ ამაზე არასოდეს მიფიქრია უწინ. მე ისე მიყვარდა მის სპენლო...

– ფი, რა სისულელეა! – მითხრა მისტერ სპენლომ და გაწითლდა სიბრაზისაგან. – პირში მაინც ნუ მელაპარაკებით, მისტერ კოპერფილდ, რომ გიყვართ ჩემი ქალი!

– მაშ რითი შემიძლია გავამართლო ჩემი საქციელი სერ? – ვუთხარი მე მოკრძალებით.

– ყველაზე ნაკლებად – რაღაც სულელური სიყვარულით. – მიპასუხა მისტერ სპენლომ. – მიიღეთ თუ არა მხედველობაში თქვენი და ჩემი ქალის წლოვანება, სერ? იფიქრეთ თუ არა მის მდგომარეობაზე საზოგადოებაში, ჩემს სურვილსა და იმედებზე მისი ამადლების გამო, და იმ ანდერძის შესახებ, რომელიც მის სასარგებლოდ უნდა შედგენილიყო? და საერთოდ, რას ფიქრობდით, მისტერ კოპერფილდ? ყოველივე ეს სისულელეა! რაც უფრო მალე გათავდება სულელური საქმე, მით უკეთესია, აიღეთ ეგ წერილები და ცეცხლში ჩაყარეთ. მომეცით მის სპენლოს წერილები, მე ჩავყრი ცეცხლში. თქვენ მიხვდებით, რომ ჩვენი მომავალი დამოკიდებულება დღეიდან მხოლოდ კანტორით განისაღვრება. არც ერთი სიტყვა მომხდარის შესახებ. თქვენ ჭკვიანი ადამიანი ხართ, მისტერ კოპერფილდ, და მაშასადამე, გესმით, როგორ უნდა მოიქცეთ. დავივიწყოთ ეს უსიამოვნო ამბავი!

არა! ჩემთვის შეუძლებელი იყო ამაზე დათანხმება. დიდად ვწუხდი, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე დავმდგარიყავი, ცივი გონების ყოველგვარი დარიგება უკუმეგდო. სიყვარული მთავარია! მიყვარდა დორა მთელი სულითა და გულით და დორასაც ვუყვარდი. შევარბილე შეძლებისამებრ ჩემი სიტყვები, ამგრამ აზრი სწორედ ის იყო, რომ არაფრის გულისათვის არ შემეძლო დამევიწყებინა დორა! უეჭველია, ძალიან სასაცილო ვიყავი; მიუხედავად ამისა, მტკიცე გადაწყვეტილება, ცხადია, მკაფიოდ იყო აღბეჭდილი ჩემი სახის ყოველ ნაკვთში.

– ძალიან კარგი, მისტერ კოპერფილდ! – მითხრა მისტერ სპენლომ. – მაშინ უნდა გამოვცადო ჩემი გავლენა ჩემს ქალზე!

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა და აღარ ვიცოდი – დავრჩენილიყავი თუ გავსულიყავი. ბოლოს, ნელი ნაბიჯით გავწიე კარებისაკენ და ვაგრძობინე, რომ ჩემი იქ ყოფნა უსარგებლოა; მაგრამ მისტერ სპენლომ ჩაიყო ორივე ხელი ფრაკის ჯიბეებში, რისთვისაც დიდი შრომა დასჭირდა, და მითხრა ხაზგასმით, გადაჭრით, მეტისმეტად სერიოზული კილოთი:

– თქვენ, რასაკვირველია, იცით, მისტერ კოპერფილდ, რომ მე არ ვარ მოკლებული ამქვეყნიურ სიკეთეს და რომ მის სპენლო, ჩემი უახლოესი ნათესავი, ძვირფასია ჩემთვის.

მე სისწრაფით ვუპასუხე ამ კითხვაზე და დავემურე მეთქვა, ხომ არ ებადება ეჭვი მისტერ სპენლოს ჩემი ანგარების შესახებ.

– მე არაფერს ამგვარს არ ვამბობ, – მითხრა მისტერ სპენლომ, – თქვენთვისაც და ყველა ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა, რომ თქვენ გქონოდათ ეს ანგარიში... ესე იგი, სერ, თქვენ არ გაეტაცნეთ ბავშვურ გრძობებს. არა, მე თქვენ სრულებით სხვა მიზნით გეკითხებით. იცით თუ არა, რომ ჩემი ქონება ანდერძით ჩემი ქალის ხელში გადავა?

– დიახ! ასეთი აზრი ძალიან ბუნებრივია.

– აი, თქვენ დოქტორთა კოლეგიაში მსახურობთ, – განაგრძო მისტერ სპენლომ, – და, მასასადმე, შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით ყოველდღიური დაკვირვებით, როგორი ხშირია შემთხვევა, რომ ადამიანი, შეუწყნარებელი დაუფიქრებლობის გამო, ყურადღებას არ აქცევს თავის უწმინდეს მოვალეობას, რომელიც თითქოს მუდამ პირველ რიგში უნდა იდგას. თქვენ, რასაკვირველია, არ ფიქრობთ, მისტერ კოპერფილდ, რომ ამ შემთხვევაში მეც ისეთივე დაუფიქრებელი ვიყავი, როგორც სხვები?

მე თავი დავუკარი.

– დიახ, სერ. ყველა ჩემი განკარგულება წინასწარვე გაცემულია. წარმოუდგენელიც არის, რომ სხვაფრივ ყოფილიყო, – მითხრა მისტერ სპენლომ დინჯად, თავის ქნევით და თან ხან ერთ ფეხს ვერდნობოდა, ხან მეორეს. – და

თქვენ გესმით, რასაკვირველია, რომ რაიმე ბავშვურ საქციელს არ შეუძლია გამოცვალოს ჩემი გეგმები ჩემი შვილის შესახებ; ცელქობა ცელქობად დარჩება, ესე იგი – სისულელედ, სიგიჟედ; მაგრამ თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს ბავშვური ამბავი სერიოზულ ხასიათს მიიღებს, იძულებული ვიქნები მოვმართო ყოველგვარ ზომებს და მთელ ჩემს გავლენას ჩემს შვილზე, რათა გადავარჩინო იგი სულელური შეცდომის შედეგისაგან.

რადაც სიმშვიდე აღბეჭდვოდა ამ დროს მის სახეს, რაც მზის ჩასვლის სურათს მოგაგონებდათ. იგი ისეთ ნათელს, ნეტარ სულიერ განწყობილებაში იმყოფებოდა, რომ შეუძლებელი იყო მისი ცქერა აუღელვებლად. ცხადი იყო, რომ მისი სიცოცხლე აღუშფოთებელ და აუძღვრველ ნაკადივით მიემართებოდა, და რომ უკვე დიდი ხანია, მტკიცე საფუძველზე დაამყარა თავისი ამქვეყნიური საქმეები. მისტერ სპენლო, როგორ ჩანდა, თვითონვე გრძნობდა ამას ამ წუთში, და მე ცრემლებიც კი შევნიშნე მის თვალებზე.

მაგრამ მე რა მექნა? უარს ხომ არ ვიტყვოდი დორაზე? როდესაც მან მითხრა, რომ ერთ კვირას მაძლევს ყველა ამ საკითხის მოსაგვარებლად, იძულებული ვიყავი მიმეღო ეს წინადადება, თუმცა წინასწარვე ვიყავი დარწმუნებული, რომ მთელი ათასეული კვირები არავითარ ცვლილებას არ სშეიტანდნენ ჩემს გრძნობაში.

– მანამდე კი ჰკითხეთ რჩევა მის ტროტეზს ან სხვა რომელსამე პირს, ვისაც ესმის რაიმე ცხოვრებისა, – მითხრა მისერ სპენლომ და საყულო გაისწორა ორივე ხელით. – თქვენს განკარგულებაში მთელი კვირაა, მისტერ კოპერფილდ.

თავი დაუუკარი და დავეშურე ოთახიდან გამოსვლას. ჩემი სული სასოწარკვეთილებით იყო შეპყრობილი, მაგრამ გული შეურყეველი სიმტკიცით მქონდა სასე.

როდესაც კანტორაში დაებრუნდი, ხელი ვტაცე კალამს და საშინელი წერილი მივწერე მისტერ სპენლოს. ვემუდარებოდი, შეებრალეხინა ეს ნაზი და სათუთი ყვავილი, და, საერთოდ, რამდენადაც მახსოვს, იმ კილოთი ვწერდი, თითქოს იგი დორას მამა კი არ იყო, არამედ ბოროტი ჯადოქარი ან ვეშაპი. დავბეჭდე ეს წერილი და დაგუდე კაბინეტში. როდესაც იგი დაბრუნდა, ოდნავ გაღებულ კარებში დავინახე, რომ აიღო ჩემი წერილი და წაიკითხა.

მთელი დღის განმავლობაში მისტერ სპენლოს ხმა არ გაუცია ჩემთვის, მაგრამ სადამოს, სამსახურის გათავების წინ, მიხმო თავის კაბინეტში და მითხრა, რომ ტყუილად ვღებულობ ჩემს თავზე შრომას, ვიზრუნო მისი ქალის ბედნიერებისათვის. მისი სიტყვით, უკვე მოესწრო დორასთან მოლაპარაკება და დაეჯერებინა, რომ ყოველივე ეს სისულელეა და სხვა არაფერი. იგი მეტად ღმობიერ მამად სთვლიდა თავის თავს (ეს მართლაც ასე იყო) და გადაჭრით გამომიცადა, არ გაქვს არავითარი საბუთი, შეწუხდე ამის გამო.

– თუ გაჯიუტდებით, – შენიშნა მისტერ სპენლომ, – იმას მიადწევთ, რომ ისევ საზღვარგარეთ გამაგზავნიან ჩემს შვილს რამდენიმე ხნით; მაგრამ უკეთესი აზრის ვარ თქვენზე. იმედი მაქვს, რამდენიმე დღის შემდეგ მოისაზრებთ ყველაფერს და დატკვიანდებით.

სახლში დაბრუნებისას ყველაფერი გულახდილად ვუამბე პაპიდას, მაგრამ მიუხედავად იმისი დამამშვიდებელი ლაპარაკისა, მაინც სასოწარკვეთილებით ვიყავი შეპყრობილი. იგი სასოწარკვეთილება თან გამყვა გაღვიძებისას და დილით, სახლიდან გამოსვლისას. შაბათი იყო და პირდაპირ დოქტორთა კოლეგიაში გავემართე.

როდესაც კანტორას მივუახლოვდი, გაცემით შევნიშნე მისი შესავალი კარის წინ გახეთების გამყიდველები, რომლებიც რაღაცას ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, და რამდენიმე უსაქმური ავარა, რომლებიც დახურულ ფანჯარას შეჰყურებდნენ. აუჩქარე ნაბიჯს და სწრაფად ჩავუარე ამ ბრბოს გვერდით.

ყველა მოსამსახურე კანტორაში იყო, მაგრამ არავინ არაფერს არ აკეთებდა.

– დიახ, საშინელი უბედურებაა, მისტერ კოპერფილდ, – მითხრა ერთმა მათგანმა ჩემი შესვლისთანავე.

– რა იყო? – შევეკვირე მე. – რა მოხდა?

– განა არ იცით?

– არა, – ვთქვი და თვალი გადავაგლე იქ მყოფთ.

– მისტერ სპენლო...

– რა მოუვიდა?

– გარდაიცვალა!

მომეჩვენა, თითქოს კედლები ათამაშდნენ და დატრიალდნენ ჩემს წინ. სკამზე დამსვეს, წყალი დამალევინეს. რამდენმა ხანმა გაიარა ამ აურზაურში, არ ვიცი.

– გარდაიცვალა? – გავიმეორე მე.

– გუშინ მან ისადილა ქალაქში, – მითხრა უფროსმა მოსამსახურემ ტიფიმ, – და ნასადილევს მარტო წავიდა ეტლით; მეეტლეს კი უბრძანა, დილიჯანსით წამოსულიყო, როგორც ეს ხშირად უწინაც უქნია. ეტლი დაბრუნდა სახლში ცარიელი, უპატრონოდ.

– ცხენებმა გაიტანეს?

– არა მგონია. ცხენები ჩვეულებრივზე მეტად არ იყვნენ გახურებულნი, როდესაც თავლასთან გაჩერდნენ, მაგრამ აღვირები დაწვეტილი ჰქონდათ, უეჭველია, იმიტომ, რომ ბოლოები მიწაზე ეთრეოდა. იმწამსვე მთელი სახლი ფეხზე დადგა და სამი მოსამსახურე წავიდა პატრონის საძებნელად. მათ იპოვეს იგი აგარაკიდან ერთი მილის სიშორეზე, ეკლესიის გალავნის ახლოს. იგი იწვა გზის პირას პირდამხობილი. შესაძლებელია, ეტლიდან გადმოვარდა, როდესაც დამბლა დაეცა, ანდა თვითონ გადმოვიდა, როდესაც იგრძნო ავადმყოფობის მოახლოება. იმწამსვე მოიწვიეს ექიმები, მაგრამ სამკურნალო დახმარება უკვე უსარგებლო იყო.

არ შემიძლია ავწერო ის სულიერი მღელვარება, რომელშიც ჩამაგლო ამ ცნობამ. გრძნობას ვერ წარმოედგინა, რომ ეს შესაძლებელი იყო! აი მისი სკამი და მაგიდა თავის ძველ ადგილას, კაბინეტში; აი, მისი საკუთარი ხელით დაწერილი ხელნაწერი მაგიდაზე; ასე გეჩვენებოდათ, რომ ახლავე გაიღება კარი, მისტერ სპენლო შემოვა და ძველებურად შეუდგება თავის ჩვეულებრივ საქმეებს.

ვეგრძნობდი, რომ მამის სიკვდილი ამომშლიდა დორას ფიქრებიდან, და ვიტანჯებოდი რაღაც უცნაური, მწვავე შურით მისი მწუხარებისადმი. მწყინდა, რომ დორა სხვათა წინაშე ჰღვრიდა ცრემლებს და სხვები ანუგეშებდნენ მას. მინდოდა, ყველანი მომეშორებინა დორასთვის ამ ბედკრულ დროს და მე მჭეროდა განსაკუთრებული ადგილი მის გულში.

მისტერ ჯორკინსი, რომელიც წასული იყო ნორვუდში, რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა კანტორაში. ის და ტიფი ჩაიკეტნენ კაბინეტში, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ მეც დამიბახეს.

– მობრძანდით, სერ, – მითხრა მისტერ ჯორკინსმა, – აი, ჩვენ ვსინჯავთ კარადას, მაგიდის უჯრებს და ყველა სხვა ადგილს სადაც მიცვალებული დებდა თავის ქარაღებს. ჩვენ ვბეჭდავთ მის კერძო მიწერ-მოწერას და ვეძებთ ანდერძს, მაგრამ ჯერჯერობით ამ საბუთის კვალსაც ვერ მივაგენით. დაგვეხმარეთ, მისტერ კოპერფილდ!

ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდექით ძებნას. მისტერ ჯორკინსი ადებდა უჯრებს და იღებდა იქიდან ქაღალდებს. ჩვენ გადავათვალიერეთ და დავლუქეთ აუარებელი საბუთები და ისევ ისეთი ფუსფუსით განვაგრძობდით უჯრების ჩხრეკას.

– მე მგონია, რომ მას სრულებითაც არ დაუტოვებია ანდერძი, – თქვა უცრად მისტერ ჯორკინსმა.

– ო, არა, სერ! – ვუპასუხე სწრაფად, – მე ვიცი, რომ ანდერძი დამზადებულია.

ორივემ გაოცებით შემომხედა.

– სწორედ იმ დღეს, როდესაც უკანასკნელად ვნახე მისტერ სპენლო, – განვაგრძე მე, – მან მითხრა, რომ მისი ანდერძი შედგენილია და ყველა მისი საქმეები წინასწარ წესრიგშია მოყვანილი.

– კეთილი მისტერ კოპერფილდ! თქვენ რომ იმდენი გემსახურათ დოქტორთა კოლეგიაში, რამდენიც მე, გეცოდინებოდათ მრავალი გამოცდილებით, როგორ მსუბუქად და დაუფიქრებლად იქცევა ხალხი ამგვარ საქმეებში.

– აჰ რას ბრძანებთ! – შევძახე მე. – მისტერ სპენლომ სწორედ ამგვარი სიტყვებით ილაპარაკა იმ უკანასკნელ დღეს ამ საგნის შესახებ!

– მაშასადამე, ძებნაც ზედმეტია! დარწმუნებული ვარ, რომ ანდერძი შესრულებული არ არის!

მე უზომოდ გამაოცა ამგვარმა უცნაურობამ, მაგრამ ნამდვილად აღმოჩნდა, რომ ანდერძი მართლაც არ იყო შედგენილი. მისტერ სპენლოს არც კი უფიქრია მის შესახებ, რაც ცხადად ჩანდა მისი ქალაქლებიდან, რადგან მათში არ მოიპოვებოდა არავითარი ნიშანი, არავითარი კვალი, არავითარი მითითება რამე ამგვარ იურიდიულ საბუთზე. არანაკლებ ვიყავი გააკვირვებული იმ გარემოებით, რომ მისტერ სპენლოს საქმეები საშინლად აწეწილ-დაწეწილი აღმოჩნდა. ცოტ-ცოტაობით გამოირკვა, რომ განსვენებული პროქტორი ხარჯავდა გაცილებით მეტს, ვიდრე იღებდა, და მისი ქონებრივი მდგომარეობა შერყეული იყო ყოველნაირად და ყოველმხრივ, ისე რომ, ბოლოს, მთელი მისი უძრავი და მოძრავი ქონება ნორვუდში გაიყიდა საჯარო ვაჭრობით.

ეს სამწუხარო ამბები გამოირკვა ექვსი კვირის განავლობაში. მთელ ამ ხანში ისეთ ტანჯვაში ვიყავი, რომ სერიოზულად გადავწყვიტე თავის მოკვლა. მქონდა კიდევ მიზეზი! მის მილსი მწერდა, რომ საბრალო პაწაწა დორა მუდამ, როგორც კი ახსენებდა ჩემს სახელს, ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ო, ჩემო საბრალო მამა! ო, საყვარელო მამა!“ იმავე წყაროდან შევიტყვევ, რომ დორას მთელი ნათესაობა შედგებოდა ორი მამიდისაგან – მისტერ სპენლოს დებისაგან. ისინი მარტომარტონი ცხოვრობდნენ ლონდონის ერთ-ერთ მიდამოში, პუტნიში, და მრავალი წლის განმავლობაში არ ენახათ თავიანთი ძმა. „ჩხუბით – არ წაჩხუბებულან, – მწერდა მის მილსი, – სრულებითაც არა! მაგრამ აი, რა ამბავი მოხდა. როდესაც დორას ნათლავდნენ, მისტერ სპენლომ დაჰპატიჟა თავისი დები ჩაიზე, მაშინ როდესაც დები სადილზე დაჰპატიჯებას მოელოდნენ. ამის გამო ორივე დამ წერილობით შემოუთვალა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ისინი სახლში დარჩებიან და არც ჩაიზე და არც სადილად არ მივლენ. ასეც მოხდა. ამის შემდეგ და-ძმები აღარ შეხვედრიან ერთმანეთს სიცოცხლეში“.

ამ შემთხვევაში ორივე დამ თავი დაანება განდევილობას და წინადადება მისცეს დორას, გადასულიყო მათთან საცხოვრებლად პუტნიში. დორა მოეხვია მათ, ჩაეხუტა და შესძახა ტირილით:

– ო, დიახ, ძვირფასო მამიდებო! წამიყვანეთ თქვენთან, მეც, ჯულია მილსიც, ჯიპიც, ყველანი წაგვიყვანეთ პუტნიში!

როგორ და რანაირად მყოფნიდა დრო იმისათვის, რომ პუტნიშიც მეველო, ვერ ვიტყვი, რადგან თვითონაც არ ვიცო; მაგრამ დავხეტილობდი ამ მიდამოებში თითქმის ყოველდღე. მის მილსი ზედმიწევნით ასრულებდა მეგობრის მოვალეობას და ამიტომ დღიურს აწარმოებდა. ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს დროდადრო და იგი მიკითხავდა თავისი კალმის ნაწარმოებს. მაგრამ თუ მის მილსს არ ეცადა, მაშინ სახლში მიმქონდა დღიური და იქ ვკითხულობდი. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ვაფასებდი ამ საუნჯეს. მომყავს ზოგიერთი ადგილი მის მილსის დღიურიდან:

„ორშაბათი. დორა საშინლად ნადვლობს, ტირის და ქვითინებს. თავი სტკივა. ჯიპს უცქირა – შენიშნა, რომ ძალიან კრიალა ბეწვი აქვს. მოუაღერსა.



გაღვიძებულმა მოგონებამ აგხსნა დაფარული სევდის ნაკადი. ახალი ცრემლები. (ცრემლები! – ხომ არ შეიძლება ვუწოდოთ მათ გულის ნამი? ჯ.მ.)

„სამშაბათი. დორა სუსტად არის და ნერვიულობს. ფერმკრთალია, მაგრამ მშვენიერია (მთვარეც ხომ ასეა! ჯ.მ). დორამ, ჯიჰმა და ჯულია მილსმა ისეირნეს კარეტით. ჯიჰმა შეჰყეფა კარეტის ფანჯრიდან მუშას, რომელიც გზას ჰგვიდა და ამან ღიმილი გამოიწვია მისი დიასახლისის ფერმკრთალ სახეზე (რა სუსტი რგოლებისაგან შედგება ჩვენი სიცოცხლის ჯაჭვი! ჯ.მ.).

„ოთხშაბათი. დორა შედარებით მხიარულად არის. ვუმღერე მას ნაზი ჰანგი: „საღამოს ზარი“. მაგრამ სანუგეშოდ არ იმოქმედა. მეტისმეტად ააშკარავებს მგრძობიარობას. დამხვდა ოთახში მარტო, თვალცრემლიანი. წავუკითხე შესაფერი ლექსი, სადაც ყმაწვილი ქალი შევლთან არის შედარებული. უნაყოფოდ.

„ხუთშაბათი. მომჯობინების ცხადი ნიშნები ეტყობა. უფრო მხიარულია და დამშვიდებული. ძილი უშფოთველი და ღრმა ჰქონდა, ლოყები შეუვარდისფრდა... გავბედე მომეგონებინა დავით კოპერფილდი. ფრთხილად ჩამოვაგდე ლაპარაკი მის შესახებ სეირნობის დროს. დორა საშინლად აღელდა: „ო, ჯულია, ძვირფასო ჯულია! ო, მეც ცუდი, გაუგონარი შვილი ვიყავი!“ ვეცადე დამეწყნარებინა და დამემშვიდებინა. დაუხატე იდეალური სურათი დავით კოპერფილდისა, რომელიც საფლავის პირამდეა მისული. მდეღვარება გამეორდა უძლიერესად: „ო, რა ვქნა! ო, წამიყვანეთ სადმე“ საშინელი მწუხარება გამოხატა. გული წაუვიდა და უახლოესი სასტუმროდან გამოტანილი წყლით მოვაბრუნეთ (პოეტური შედარებაა: სასტუმროს აჭრელებული აბრა ადამიანის სულის სიტრელეს წააგავს. სამწუხაროა! ჯ.მ.).“

მის მილსი და მისი დღიური ერთადერთი ნუგეში იყო ჩემთვის იმ მძიმე წუთებში!

თავი ოცდამეთექვსმეტე

ვიკოფილდი და ჰიპი

ჩემმა მუდმივმა სევდიანობამ ძალიან შეაწუხა პაპიდა და მოიგონა წავსულიყავი დუერში, რომ დამეთვალყურებინა მისი აგარაკი ზღვის პირას და უფრო მეტი ვადით გამეახლებინა პირობა მდგმურთან.

თუმცა ჩემთვის ძალიან საგრძნობელი იყო მის მილსის მოშორება, მაგრამ მაინც სიამოვნებით მივიღე პაპიდას წინადადება, რადგან დუერში წასვლა საშუალებას მაძლევდა რამდენიმე სასიამოვნო დღე გამეტარებინა აგნესას საზოგადოებაში.

აგარაკი და მთელი მისი ავლადიდება სრულიად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სიამოვნებით შევატყობინე პაპიდას ისიც, რომ მის მდგმურს გადასდება პაპიდას სიძულვილი ვირებისადმი, რომლებთანაც მუდმივი ბრძოლა აქვს გამართული. წესრიგში მოვიყვანე ყველა საქმე, დამე აგარაკზე გავათიე და დილაადრიანად კენტერბერიში გავემართე. ზამთარი იყო.

კენტერბერიში მისვლისას ჯერ ფეხით მოვიარე ყველა ნაცნობი ქუჩა. მათი ნახვა უზომო სიამოვნებას ჰგვრიდა ჩემს სულსა და გულს.

მისტერ ვიკოფილდის სახლში მისვლისას, უპირველეს ყოვლისა, დავინახე მისტერ მიკობერი. იგი იჯდა კალმით ხელში, პირველი სართულის იმ პატარა მრგვალ ოთახში, სადაც ოდესღაც ვარჯიშობდა ური ჰიპი. მას ეცვა შავი სერთუკი, რაც ესოდენ შესაფერისი იყო მისი ახალი პროფესიისათვის, და უფრო წარმოსადეგი მოჩანდა ამ პატარა ოთახში.

სასტუმროში არავინ იყო, თუმცა ადვილად შეამჩნევდით მისის ჰიპის იქ ყოფნის ნიშნებს. შევიხედე აგნესას ოტახში. იგი იჯდა ბუხართან და წერდა.

ჩემი შესვლით სინათლე დაეწრდილე. აგნესამ ჩემსკენ გამოიხედა. რა სიამოვნება ვიგრძენი, როდესაც ჩემს დანახვაზე აგნესას სახე გაუბრწყინდა.

– აჰ, აგნესა! – ვუთხარი მე, როდესაც პირველი მისალმების შემდეგ ერთად დავსხედით. – ძალიან გამიძნელდა და ძალიან მოწყენილი ვიყავი უთქვენოდ ამ ხნის განმავლობაში!

– ნუთუ? – მითხრა აგნესამ. – ისევ დაგჭირდით და ასე მალე?

– ყოველთვის, აგნესა, როდესაც არ მამხნევებთ თქვენი რჩევით, მე ვიბნევი; და სიმშვიდე იმწამსვე ჩამენერგება ხოლმე გულში, როგორც კი ჩემს გვერდით დაგინახავთ. ამჟამად მოვედი თქვენთან, როგორც დაღლილი მგზავრი სახლში, და ვგრძნობ სიწყნარეს, ბედნიერებას და ნეტარ მოსვენებას.

ღრმა გრძნობით ვლაპარაკობდი და იმ ზომამდე ვიყავი აღელვებული, რომ ხმა ამიკანკალდა, ცრემლები უნებურად გადმომცვივდა თვალთაგან და ხელები სახეზე მივიფარე.

აგნესას ნახმა, დის გრძნობით სავსე მოპყრობამ, მისმა მშენიერმა თვალებმა და მომხიბლავმა ხმამ მალე დაამშვიდეს ჩემი აღელვებული გრძნობები, და ვუამბე ყველაფერი, რაც კი თავს გადამხდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ.

– მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, აგნესა, – ვუთხარი მე, როდესაც გავათავე ჩემი აღსარება. – თქვენ ხედავთ, რომ მთელი ჩემი იმედი თქვენზე არის დამყარებული.

– ვითომ ასეა, ტროტუდ? – მიპასუხა აგნესამ კეთილი ღიმილით. – მე მგონია, თქვენ სხვა არსებაზე უნდა ამყარებდეთ თქვენს იმედებს.

– დორაზე?

– რასაკვირველია!

– საქმეც იმაშია, აგნესა, – ვუმასუხე მე და თან რაღაც უხერხულობა ვიგრძენი, – რომ აქ ერთგვარი მოულოდნელი დაბრკოლებანი აღმოჩნდნენ, იმიტომ, რომ დორა... დმერთმანი, არ ვიცი, როგორ გამოვთქვა ეს, აგნესა! იგი მეტად ფრთხილია და აშინებს ყველაფერი, რაც კი ოდნავ მაინც სცილდება ჩვეულებრივ მოვლენათა წრეს.

მე ვუამბე აგნესას, როგორ ველაპარაკე დორას ჩემი სიღარიბის ამბავზე, სამზარეულო წიგნსა და ჩვენი მომავალი ოჯახის მოწყობის შესახებ.

– აჰ, ტროტუდ, – წამოიძახა აგნესამ ღიმილით, – როგორი წინდაუხედაობაა, როგორი გაუფრთხილებლობა! რა გეჩქარებოდათ ყოველივე ამის ასნა გამოუცდელი, მფრთხალი, მოსიყვარულე ქალისათვის? საბრალო დორა!

– მაშ რა ვქნა, აგნესა? – ვკითხე ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ. – რით დავიწყო?

– მე მგონია, – მიპასუხა აგნესამ, – თქვენ უნდა მისწეროთ გულწრფელი წერილი თქვენ საცოლეს იმ ორ ნათესავ ქალს. ჩემის აზრით, ეს ყველაფერი უბრალო და კეთილშობილური საშუალება დორასთან ურთიერთობის განახლებისათვის.

– რახან თქვენ ამბობთ ამას, აგნესა, მაშ, ასეც უნდა იყოს, გეთანხმებით.

– მე გულწრფელად და გულახდილად ვუამბობდი მათ ყველაფერს, რაც კი აქამდის მოხდა, და შემდეგ ვთხოვდი ნებართვას, დროგამოშვებით გენახათ დორა მათ სახლში. ყოველ შემთხვევაში, მე ვთხოვდი, რომ ისინი არ დაჩქარებულიყვნენ უარის თქმისას, სანამ დორას არ მოელაპარაკებოდნენ.

გულდამშვიდებული, თუმცა იმავე დროს ჩემი საქმის უდიდესი მნიშვნელობის ღრმა შეგნებით შევუდექი წერილის შედგენას ქალბატონ სპენლოებთან და მთელი საღამო მოვანდომე ამ საქმეს.

მაგრამ მანამდე ჩავედი ქვემო სართულში მისტერ ვიკფილდისა და ჰიპის სანახავად. ური ჰიპს ეჭირა ახალი კანტორა, რომელიც ეს იყო აქმენებინათ

ბაღში. მან მიმიღო თავისი ჩვეულებრივი ბრეცით და ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი იცოდა ჩემი მისვლის შესახებ. ჩვენ შევედით მისტერ ვიკფილდის ოთახში, რომელიც ახლა აღარაფრით არ ჰგავდა მის უწინდელ კაბინეტს, რადგან მთელი საუკეთესო ავეჯი გადაეტანათ ახალ კანტორაში, ფირმის ახალ ამხანაგთან.

– თქვენ, რასკავირველია, ჩვენთან იცხოვრებთ, სანამ კენტერბერიში იმყოფებით? – მითხრა ვიკფილდმა და კითხვით გადახედა ურის.

– დიდად მოხარული ვიქნებოდი, ოღონდ მოიპოვება კი ჩემთვის ოთახი თქვენს სახლში?

– ო, დამწვიდებული ბრძანდებოდეთ! მე მზად ვარ გავათავისუფლო თქვენი უწინდელი ოთახი, თუ გსურთ, – მითხრა ურიმ.

– არა, არა, – თქვა მისტერ ვიკფილდმა, – რად უნდა შეწუხდეთ. სხვა ოთახს ვიშოვით, სხვა ოთახს.

– კი, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ჩემთვის სასიამოვნო იქნება პატივი მეცა მისტერ კოპერფილდისთვის. – უთხრა ურიმ.

ყოველგვარი მეტი ლაპარაკის თავიდან ასაცილებლად ვუთხარი, რომ სხვა ოთახში დავდგები, ან არა და სასტუმროში გადავალ. შემდეგ გამოვეთხოვე სადილობამდე ფირმის წარმომადგენლებს და ისევ ზევით ავედი, აგნესასთან. იმედი მქონდა, რომ ამ დღეს გავატარებდი მხოლოდ აგნესას საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენ ჩამოგვეჩხირა სხვა მობაასე მისის ჰიპის სახით. მან ითხოვა ნება, გადმოსულიყო თავისი საქსოვით იმავე ოთახში, სადაც ჩვენ ვისხედით, რადგან, მისი სიტყვით, სასტუმროში და სასადილოში ორპირი ქარი უბერავდა, რაც მეტად მავნებელი იყო მისი ნეკრესის ქარებისათვის. იგი თავს არ გვანებებდა და თუ გადიოდა ოთახიდან, მხოლოდ ერთი წუთით. მე ადრე მივედი იმ დროს და სადილობამდე კიდევ სამი ან ოთხი საათი იყო, მაგრამ მისის ჰიპი განუწყვეტლივ სულ ჩვენთან იჯდა.

ამგვარივე დაუღალავი ყურადღებით გვზვერავდა იგი სასადილოშიც. ნასადილევს გუშაგობა შეიღს გადაულოცა და, როდესაც მე და მისტერ ვიკფილდი მარტონი დავრჩით სასადილოში, ურიმ ისეთი უსინდისო და უტიფარი თვალებით შემომხედა, რომ კინაღამ გული ამერია. ეს ამბავი სასტუმროშიც გაგრძელდა, სადაც თავდაუზოგველმა დედამ ისევ გადმოიტანა თავისი საქსოვი. მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ აგნესა უკრავდა და მღეროდა, მისის ჰიპი ფორტეპიანოს გვერდით იყო, ური კი ამ დროს ამთქნარებდა, სავარძელში გაშხლართული. ერთი პირობა მისის ჰიპმა სთხოვა აგნესას ემღერა რაღაც ბალადა, რომლისაგან, მისი სიტყვით, ური მუდამ აღტაცებაში მოდიოდა. სიმღერის განმავლობაში იგი სულ თავის შვილს შეჰყურებდა და შემდეგ ეუბნებოდა აგნესას, რომ მისი შვილი გაგიჟებულია მუსიკით. თუ იგი ლაპარაკობდა, წინასწავე შეგეძლოთ გეთქვათ, რომ მისის ლაპარაკის საგანი მისი შვილი იყო. ამგვარი მოქცევით, როგორც ჩანდა, მისის ჰიპი ასრულებდა მოვალეობას, რომელიც დაკისრებული ჰქონდა.

ასე გაგრძელდა გვიან ღამემდის.

მეორე დღეს ერთი წუთითაც ვერ ვიხილე დრო, რომ აგნესა მარტო მენახა, მხოლოდ მოვახერხე, ისიც დიდი სიძნელით, მეჩვენებინა მისთვის ჩემი წერილი დორას მამიდებთან. ბინდისას გავედი სასეირნოდ და თან ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. არ ვიცოდი, უნდა დამემალა თუ არა აგნესასაგან ის, რაც მითხრა ლონდონში ური ჰიპმა. მისი განზრახვა ძალიან მაწუხებდა.

როგორც კი გავედი ქალაქგარეთ, ვიდაცის ხმამ შემაჩერა. მოვიხედე და დავინახე ჩემს უკან მობაჯბაჯე ადამიანი ჭუჭყიან მაზარაში. ეს იყო ჰიპი, რომელიც მიახლოვდებოდა. შევჩერდი.

– რა გნებავთ? – ვკითხე მე.

– აჰ, რა სწრაფად მიდიხართ, მისტერ კოპერფილდ, – მიპასუხა ურიმ. – მე საკმარისად გრძელი ფეხები მაქვს, მაგრამ თქვენ ვერასხვით ვერ დაგეწევით ადამიანი.

– სად მიდიხართ?

– მინდოდა გამეფლო თქვენთ ერთად, მისტერ კოპერფილდ, თუკი ძველი ნაცნობობის გულისათვის ასეთ პატივს დამდებთ.

– არ გეწყინებათ, თუ მართალს გეტყვით?

– რას ბრძანებთ! როგორ შეიძლება!

– მე გამოვედი სასეირნოდ მარტოკა და სრულებით არ მსურს ვიყოლიო ამხანაგი ამ დროს.

– რატომ მისტერ კოპერფილდ?

– თუნდ იმიტომ, რომ ამხანაგებმა დღისითაც მომაბეზრეს თავი.

– როგორ უნდა გავიგო თქვენი სიტყვები, მასტერ კოპერფილდ? – მითხრა ურიმ საზიზღარი მანჭვით. – ნუთუ დედაჩემმა მოგაბეზრათ თავი?

– დიას, თქვენ არ სცდებით, – ვუპასუხე მტკიცე კილოთ.

– მაშ რა ვქნათ, მასტერ კოპერფილდ? ჩვენ პატარა ხალხი ვართ, მორიდებული და მეტად უმნიშვნელო. ყოველივე ამას ჩვენ ვიღებთ მხედველობაში, მასტერ კოპერფილდ, და იმიტომ ვცდილობთ, არავის დავეჩაგვრინოთ. ამასთან ერთად თქვენ იცით, სერ, რომ სიყვარულში ყოველგვარი ხრიკებია დასაშვები. თქვენ მეტად სახიფათო მეტოქე ხართ, სერ.

– მაშ თქვენ ჩემი გულისთვის დაუყენეთ ყარაული მის ვიკვილდს და ტყვედ გყავთ თავის სახლში?

– აჰ, მასტერ კოპერფილდ! რა სასტიკი სიტყვებია, სერ!

– ყური მიგდეთ, ური! – ვუთხარი მე. – მის ვიკვილდის პატივისცემისათვის...

– ჩემი აგნესასი! – შეჰყვირა მან და დაიკლაკნა ერთ მხარეზე. – კეთილი ინებეთ, მასტერ კოპერფილდ, და პირდაპირ აგნესა უწოდეთ მას!

– აგნესა ვიკვილდის პატივისცემისათვის და მისი სიმშვიდის გულისათვის, გეტყვით, რომ მე სხვა ყმაწვილი ქალი მიყვარს და უკვე მის საქმროდ ვარ გამოცხადებული. იმედი მაქვს, ეს საკარისია თქვენთვის?

– ო, მასტერ კოპერფილდ, – მითხრა მან. – რატომ არ ინებეთ და არ გამიმჟღავნეთ ეს საიდუმლო იმ ღირშესანიშნავ რამეს, როდესაც ჩემი გული გადაგიშალეთ და იძულებული ვიყავი მესარგებლა თქვენი სტუმართმოყვარეობით და ღამე თქვენი ბუხრის წინ გამეთია! მაშინ ეჭვი არ შემეპარებოდა თქვენზე, მასტერ კოპერფილდ... მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ახლა თქვენი სიამოვნებისათვის, ვეცდები, მოვაშორო დედაჩემი აგნესას.

მთელი ამ ლაპარაკის განმავლობაში იგი ხელს მართმეფდა თავისი სველი, ბაყაყის თათებით, და ამაოდ ვცდილობდი, გავთავისუფლებულიყავი მისი ხელიდან. მან მომიჭირა ნიდაყვზე, მომეკრა და იძულებული ვიყავი, უნებურად მეფლო მასთან ასე, ხელიხელჩაკიდებული.

– გამოტყდით მაინც, მასტერ კოპერფილდ, რომ თქვენ არასოდეს არ გყვარებიათ ისე, როგორც მე მიყვარდით. თქვენ მუდამ მეტად უმნიშვნელო არსებად მთვლიდით. მე ვიცი ეს. რა ვქნათ! თქვენ არ ცდებით.

– ყური მიგდეთ, ური. საშინლად მძულს, ეროდესაც ვინმე თვითონ ლაპარაკობს თავის არარაობაზე ან რამე ამგვარ თვისებაზე.

– ვიცი ეს! – თქვა ურიმ და სახე დაუგრძელდა; მთვარის შუქზე მან მიიღო საზარელი ტყვიისფერი. – ვიცი, თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ თქვენ, მასტერ კოპერფილდ, არა მგონია, გესმოდეთ, რას ნიშნავს მორჩილება და მორიდება ჩემს მდგომარეობაში მყოფი ხალხისა. მე და მამაჩემი ობოლთა სკოლაში ვართ გაზრდილი და დედაჩემიც საქველმოქმედო სასწავლებელში გაიზარდა. დიდიდან სადამომდე ჩვენ მორჩილებას გვასწავლიდნენ და ამის გარდა არა გვსმენოდა-რა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც ვიცოდდი, სადამდის მიჰყავს ადამიანი

დამცირებას სხვათა წინაშე, და უკვე მაშინ დავიწყე წარმატებით გატარება ცხოვრებაში ყველა იმ წესისა, რაც პატარაობიდანვე მქონდა ჩანერგილი. მოკრძალებით ვჭამდი გამხმარ ნამცხვარს, თუმცა ამავე დროს არ ვანელებდი ჩემს მადას; და კიდევ უფრო მეტი მორჩილებით მივჩანხალობდი სკოლაში ყოფნის დროს ჩემი ამხანაგების კუდში. აი რა მიზეზის გამო მოკრძალებით ვთქვი უარი, როდესაც თქვენ წინადადება მომეცით, ლათინური ენა გესწავლებინათ – „რაც უფრო მეტად იწვევს ადამიანი შენზე მაღლა, – მეუბნებოდა მამაჩემი, – მით უფრო მეტად ეცადე, დაიმცირო თავის მის წინ“. მამის რჩევამ ნაყოფი გამოიღო. მე მშვიდი ადამიანი ვარ, მასტერ კოპერფილდ, წყნარი და უმნიშვნელო; მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ მოვიპოვე ერთგვარი ძალა და გავლენა.

ერთადერთი, რაც მოვიგე ამ ლაპარაკით, ის იყო, რომ ურიმ, თავისი მჭერმეტყველებით გატაცებულმა, ხელი მომაშორა, რათა მიკაპზე მიედო. ერთხელ გათავისუფლებულმა, გადავწყვიტე, მოშორებით დამეჭირა თავი, და დაბრუნებისას ჩვენ თითქმის აღარ გვილაპარაკია.

როდესაც ნასადილევს ჩვენ, სამი მამაკაცი, მარტონი დავრჩით სასადილოში, ური მეტად გამხიარულდა და გამბედავი გახდა.

გუშინ შევნიშნე, ნასადილევს ურიმ მოიწადინა დაეღვეინებინა ღვინო მისტერ ვიკფილდისათვის, მაგრამ ვერ გამოუვიდა. აგნესამ ოთახიდან გასვლის დროს ისე შემომხედა, რომ ძნელი არ იყო ამ შემოხედვის ახსნა. მხოლოდ ერთი ჭიქა დავღიე და ვუთხარი ჩემს ამხანაგებს, მის ვიკფილდს გავეყოლოდი. ამას დღესაც არ ვიზამდი, მაგრამ გაიძვერა ურიმ დამასწრო.

– ჩვენ მეტად იშვიათად ვხედავთ ჩვენს ძვირფას სტუმარს, სერ, – უთხრა მან მისტერ ვიკფილდს. – ჩემს თავს ნებას ვაძლევ, წარმოვთქვა მისტერ კოპერფილდის სადღეგრძელო და ამის გამო ერთი ან ორი სიტყვა ვთქვა, თუ თქვენის მხრით არ იქნება დაბრკოლება. თქვენი სადღეგრძელო იყოს, მასტერ კოპერფილდ.

იძულებული ვიყავი, ჩამომერთმია მაგიდის მეორე მხრიდან გამოწვდილი ხელი.

– აბა, ამხანაგებო! – შესძახა ური ჰიჰმა. – ახლა თქვენი ჯერია. ხომ არ ინებებთ, წარმოსთქვათ ვისიმე სადღეგრძელო, რაც სასიამოვნო იქნებოდა მისტერ კოპერფილდისათვის?

მისტერ ვიკფილდმა წარმოსთქვა პაპიდაჩემის სადღეგრძელო, შემდეგ მისტერ დიკისა, შემდეგ დოქტორთა კოლეგიის აყვავებისა, შემდეგ ურისა, მერე ბრიტანეთის აყვავებისა და ყოველ ჯერზე სვამდა ორ-ორ ჭიქას, თან ცხადად ემჩნეოდა სირცხვილი თავისი სისუსტის გამო.

– ვინ არ დამეთანხმება, ჯენტლმენებო, – დაიწყო ისევ ურიმ, – რომ აგნესა ვიკფილდმა უნდა უდავოდ დაიჭიროს პირველი ადგილი მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის? ნება მიბოძეთ, პირდაპირ გამოვთქვა ჩემი აზრი მეგობართან. დოღო ბედნიერებაა მისი მამობა, მაგრამ მის მეუღლედ ყოფნა...

ნურასოდეს ნუღარ გამეგოს ის საზარელი ყვირილი, რომელიც აღმოხდა მის უბედურ მამას. იგი მაგიდიდან წამოიჭრა.

– რა მოგივიდათ? – შესძახა ურიმ, სიკვდილივით გაფითრებულმა. – თუ მე ვამბობ, რომ მაქვს მაღალი მისწრაფება თქვენი ქალის მეუღლე გახდეს, ამის შესახებ, მე მგონია, ისეთივე უფლება მაქვს ვილაპარაკო, როგორც ყველა სხვა მამაკაცს. მეტსაც ვიტყვი, ჩემი უფლება ცოტადნად უფრო მეტია, ვიდრე ყველა სხვა ვაჟკაცისა. თქვენ ეს უნდა იცოდეთ, მისტერ ვიკფილდ!

მე მოვეხვიე მისტერ ვიკფილდს და ვემუდარებოდი დამშვიდებულიყო. როგორც ეტყობოდა, გონება სრულებით დაეკარგა საბრალო მოხუცს. იგი თმას იგლეჯდა, მუშტებს ირტყამდა თავში, ცდილობდა, მოვეშორებინე თავიდან; ხმას არ იღებდა, არაფერი ესმოდა, არას ხედავდა, ბრმასავით მიიწევდა, თუმცა სად და რად, თვითონაც არ იცოდა, და უაზრდ თვალებს აბრიალებდა ყოველ მხარეს.

ყოველნაირად ვცდილობდი, შვილისკენ მიმემართა მისი აზრი, და საყვედური ვუთხარი კიდევ, რომ არ ჰყოფნიდა სულის სიმტკიცე, ეს ამბავი აგნესასთვის დაემალა. არ ვიცი, ჩემი სიტყვების შედეგი იყო, თუ თავისთავად მოხდა, მაგრამ თანდათან ცოტაოდენ დამშვიდდა. ბოლოს მითხრა:

– მე ვიცი, ტროტკუდ! ჩემი საყვარელი შვილი და თქვენ... მე ვიცი... მაგრამ შეხედეთ მას!

მან მიმითითა ურიზე, რომელიც გაფითრებული და მოკრუნხული იჯდა თავის კუთხეში. ცხადი იყო, რომ ური მოულოდნელად შესცდა თავის ანგარიშში.

– შეხედეთ ჩემს მტარვალს! – განაგრძო მისტერ ვიკოვილდმა. – ამის გულისათვის დაკარგე ცოტაოდენით ჩემი სახელი, რეპუტაცია, სიმშვიდე და სიწყნარე, სახლი და ოჯახური ცხოვრების ბედნიერება!

– მე შეგინარჩუნეთ სახელიც და რეპუტაციაც, სიმშვიდე და სიწყნარე, თქვენი სახლი და ოჯახური ბედნიერება, – სწრაფად ჩამოართვა სიტყვა ურიმ. – ნუ ბავშვობთ, მისტერ ვიკოვილდ! თუ ცოტათი უფრო შორს წავედი, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, მე ხომ უკან დახევაც შემიძლია. აქ არაფერია ისეთი.

– მე ყველაფერს ვიტყვი! – შეჰყვირა მისტერ ვიკოვილდმა. – რატომ ყველას ხელში არ უნდა ვიყო, თუკი თქვენს ხელში ვარ!

– მომისმინეთ რას გეტყვით! – დაიყვირა ურიმ. – თუ არ მოკუშავთ პირს, თქვენ მაგისი მეგობარი აღარ ხართ. განა არ ხედავთ, რომ მორჩილი და მორიდებული ადამიანი ვარ და მუდამ ასეთი ვიქნები? თუ შეგტოპე, პირველი მევე ვნანობ ამას. მეტი რა გინდათ, სერ!

– ოჰ, ტროტკუდ, ტროტკუდ! – შესძახა მისტერ ვიკოვილდმა და თან ხელებს იმტვრევდა. – განა ასეთი ვიყავ იმ დროს, როდესაც პირველად დამინახეთ სახლში?

იგი ჩავარდა სავარძელში და აკენესდა. არაჩვეულებრივმა აღელვებამ გაიარა და ახლა ისეთივე უმწეო იყო, როგორც ბავშვი. ური წინ წამოდგა თავისი კუთხიდან.

– მე თვითონაც არ ვიცი ყველაფერი, რაც გაგიჟების დროს ჩავიდინე, – განაგრძო მისტერ ვიკოვილდმა და გამომიწოდა ხელები, თითქოს მთხოვდა, არ გამეკიცხა იგი. – მან ჩემზე უკეთესად იცის ეს, რადგან მუდამ ჩემს გარშემო ტრიალებდა. თქვენ თვითონ ხედავთ, თუ როგორ მაზის იგი ახლა კისერზე. თქვენ ხედავთ მას ჩემს სახლში, და იგი მართავს ახლა ყველა ჩემს საქმეს. მეტი რა უნდა ვთქვა?

– არაფერი, მისტერ ვიკოვილდ! თქვენ ნახევარიც არ უნდათ გეთქვათ იმისი, რაც თქვით, – შენიშნა ურიმ. – სინამდვილე ყველაზე მეტად შეგშვენიოთ ახლა, სერ. ღვინომ თავბრუ დაგახვიათ და ენა აღარ გემორჩილებათ.

კარი გაიღო და აგნესა შემოვიდა. იგი მოეხვია მამას და უთხრა მტკიცე ხმით:

– მამილო, თქვენ უქეიფოდ ხართ. წამომყევით ზევით!

მან მიაყრდნო თავი აგნესას მხარს და მასთან ერთად გავიდა სასადილოდან. აგნესას თვალები მხოლოდ ერთი წუთით შეხვდნენ ჩემს თვალებს, მაგრამ მივხვდი, რომ მან იცოდა ამ სცენის შინაარსი.

– როგორ გაიწია, ვერ უყურებთ! – მითხრა ურიმ, როდესაც მარტონი დავრჩით. – ამას კი, სწორედ მოგახსენოთ, სრულებით არ მოველოდი. მაგრამ ეს არაფერია. ხვალ ჩვენ ისევ შევრიგდებით.

ხმა არ ამომიღია საპასუხოდ, ჩუმად ავედი მაღლა, ჩემს ოთახში, სადაც წინათ აგნესა იჯდა ხოლმე ჩემს გვერდით, იმ ბედნიერ დროს, როცა სკოლის გაკვეთილებს ვამზადებდი. არავინ მოსულა ჩემთან შუალამემდის. ავიღე წიგნი და ვეცადე, კითხვისთვის გადამეყოლებინა გული. საათმა დარეკა შუალამე და ისევ ვკითხულობდი, თვითონაც არ ვიცი, რას, როდესაც უეცრად აგნესა შეეხო ჩემს მხარს.

– ხვალ დილით თქვენ ადრე წახვალთ, ტროტკუდ. მე გამოსამშვიდობებლად მოვედი.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ეტირა, თუმცა სახე დამშვიდებული ჰქონდა.

– ძვირფასო აგნესა! – ვუთხარი მე. – ვხედავ თქვენს თვალებში, რომ არ გინდათ, ამ უბედური სცენარის შესახებ ვილაპარაკო; მაგრამ ნუთუ ამას არაფერი ეშველება? ხომ არ შემიძლია, რითიმე დაგეხმაროთ, აგნესა?

– არა, ძვირფასო ტროტკუდ!

– მოიფიქრეთ, აგნესა. მეტად ღარიბი ვარ ყველა იმ ნიჭით, რომლითაც თქვენ ასე მდიდრად ხართ დაჯილდოებული. ვერ გაგიწევთ ხელმძღვანელობას, მაგრამ მაინც იცით, როგორ მიყვარხართ. მითხარით მხოლოდ ერთი რამ: ხომ არასოდეს არ მიიტანთ მსხვერპლად თქვენს თავს ცრუ მოვალეობის გულისთვის?

ო, დიდხანს, დიდხანს მახსოვდა მე ეს სახე, რომელიც მომიბრუნდა ამ დროს, და ის ერთწამიერი შემოხედვა, რომელშიც არ იყო არც საყვედური, არც კითხვა, არც სინანული! ო, დიდხანს მახსოვდა მისი მშვენიერი ღიმილი, როდესაც მითხრა, რომ სრულებით არ ეშინია თავისი თავისა და რომ ამ მხრივ შემიძლია სრულებით დამშვიდებული ვიყო. გამოთხოვებისას მან ძმა მიწოდა და ჩუმიად გავიდა ოთახიდან.

ჯერ ისევ ბნელოდა, როდესაც მივედი დილიუანსების კანტორაში, რომ ადგილი დამეჭირა იმპერიალზე. ეტლი გათენებისას გადიოდა. დაფეჭი მგზავრებს შუა და აგნესას ბედზე ვფიქრობდი. უეცრად ური ჰიპის თავი ამოძვრა დილიუანსზე და ამან გამომარკვია ფიქრებიდან.

– კოპერფილდ! – მითხრა ხრინწიანი წურჩულით და თან ებლაუჭებოდა რკინის სახურავს. – ვფიქრობ, თქვენთვის სასიამოვნო იქნება გაიგოთ წასვლის წინ, რომ ჩვენ შორის ყველაფერი მოწესრიგდა. ვიყავი მასთან კაბინეტში. ჩვენ ისევ გულწრფელი მეგობრები ვართ. რა ვქნა! უმნიშვნელო ადამიანს წარმოვადგენ, არ ვდავობ, მაგრამ თქვენ ხომ თვითონ ხედავთ, რომ ძალიან სასარგებლო ვარ მისთვის, ეს მას თვითონაც ესმის, როდესაც მთვრალი არ არის.

– მაშასადამე, მისტერ ვიკფილდმა თქვენ პატიება გთხოვათ, ური?

– ო, რა პატიება, რას ბრძანებთ, მასტერ კოპერფილდ! ღირს კი ბოდიშის მოხდა ისეთი უმნიშვნელო და მორიდებული ადამიანის წინაშე, როგორიც მე ვარ? ერთი სიტყვა და აღტაცებით ვუწვდი ხელს. ეს სისულელეა; მაგრამ საქმე აი რაშია, მასტერ კოპერფილდ. მოგიწყვეტიათ ოდესმე მკვახე მსხალი?

– შესაძლებელია. მერე?

– მე კი ვცადე, ეს მექნა წუხელ სადამოს, როგორც თქვენ ინებეთ გენახათ. ჩემი მსხალი ჯერ მეტად მკვახეს; მაგრამ ეს არაფერია, – იგი დამწიფდება. საჭიროა მხოლოდ მოთმინება. მე კი მზად ვარ მოვითმინო, მასტერ კოპერფილდ!..

თავი ოცდამეჩვიდმეტე

მგზავრი

უკვე თითქმის ერთმა კვირამ გაიარა მას შემდეგ, რაც წერილი გავუგზავნე დორას მამიდებს, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიმიღია. მის მოლოდინში ჩემი სამსახურის საქმეებს ვასრულებდი. ერთხელ დოქტორ სტრონგისგან სახელში ვბრუნდებოდი. მთელი დღის განმავლობაში საძაგელი დარი იყო; ცივი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა. ბინდისას ქარი ჩადგა და წამოვიდა თოვლი, რომელმაც რამდენიმე საათის განმავლობაში ქუჩებში ზვინები დააყენა.

როდესაც ეკლესიის გვერდით ჩავიარე, უახლოეს შენობასთან შევნიშნე ქალის სახე. მან დაკვირვებით შემომხედა და სწრაფად მიიმალა კუთხის უკან.

ეს სახე მეცნაურა, მაგრამ სად და როდის მენახა, – ვერასგზით ვერ მოვიგონე. ეკლესიის შესავლის საფეხურზე ჩემს წინ გამოისახა მოხრილი ადამიანი, რომელსაც ტვირთი რბილ თოვლზე დაედო. ჩვენ თითქმის ერთსა და იმავე დროს შევხედეთ ერთმანეთს, და მე გავშეშდი ერთ ადგილას გაოცებისაგან. მან სწრაფად ჩამოირბინა საფეხურები და ჩემთან მოვიდა. ეს იყო მისტერ პეგოტი.

მხოლოდ მაშინ მომაგონდა უცნობი ქალის სახე. ეს მართა იყო, ის უბედური ქალი, რომელსაც ემილიამ ფული მისცა ლონდონში წასასვლელად.

ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და პირველ ხანში ვერცერთმა ჩვენგანმა ხმა ვერ ამოიღო.

– აჰ, მასტერ დევი! – შესძახა მან ბოლოს და თან ჩემი ხელი ისევ ხელში ეჭირა. – გული ღამის არის ამოვარდეს სიხარულისაგან, როდესაც თქვენ გიცქერით. კეთილი შეხვედრაა, მასტერ დევი, კეთილი შეხვედრა!

– დიახ, კეთილი შეხვედრაა, ჩემო კარგო, ძველო მეგობარო! – ვუპასუხე მე.

– იარმაუთში მითხრეს, რომ თქვენ პაპიდასთან ერთად ცხოვრობთ, და არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ ხვალ დილით, წასვლის წინ, უსათუოდ შემოვივლი, სერ.

– ნუთუ ისევ მიემგზავრებით?

– რასაკვირველია, მასტერ დევი, რასაკვირველია! – მიპასუხა და თავი დაიქნია. – ხვალ გათენებისას ისევ მივდივარ.

ამ ქუჩაზე გამოდიოდა უკანა კარი „ოქროს ირმისა“, – იმ სასტუმროსი, სადაც მე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საუბედუროდ, შევხვდი სტირფორდს. კარი ღია იყო, ჩვენ ეზოში შევედით, სასტუმროს ორ-სამ ოთახში სანთელი ენთო. ერთ მათგანში არავინ იყო. იმ ოთახში შევეყვანე მისტერ პეგოტი.

ბუხარში ცეცხლი პრიალებდა და პირველად გავარჩიე რიგიანად ჩემი ძველი მეგობრის სახე. იგი მთლიანად გათეთრებულიყო და ღრმა ნაოჭებს დაესერა მისი შუბლი და ლოყები. ადამიანი ადვილად მიხვდებოდა, რომ მისტერ პეგოტი მოგზაურობდა დაუღალავად სიცხესა და სიცივეში, წვიმასა და აედარში; მაგრამ ყოველივე ამასთან ჯერ კიდევ მხნე და ღონიერი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სანამ დაკვირვებას ვაწარმოებდით, იგი თოვლს იბერტყავდა ქუდიდან და სახეს იწმენდა. შემდეგ დაჯდა და ერთხელ კიდევ ჩამომართვა ხელი.

– მე გაიამბობთ, მისტერ დევი, – მითხრა მან, – სად ვიყავი ამ ხნის განმავლობაში და რის გაგება მოვასწარი. ძალიან შორს ვიყავი და ძალიან ცოტა რამ გავიგე, მაგრამ მაინც გაიამბობთ.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში თოვლის ცოტაოდენი ნამქერი შემოფრინდა.

– უპირველეს ყოვლისა, წავედი საფრანგეთში, ვიპოვე იქ ინგლისელი ჯენტლმენი, წარჩინებული პირი, – მიაგებოდა მისტერ პეგოტი, – და ვუთხარი, რომ, აი, სერ, მე მივდივარ ჩემი დისწულის საძებნელად. მან აღერსიანად მიმიღო და მომცა ქარაღები, რომ დაუბრკოლებლად შემძლებოდა სიარული ამ მხარეში. მას უნდოდა ფულიც მოეცა, მაგრამ მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ არ არის საჭირო კეთილი და ღირსეული ჯენტლმენი იყო, მასტერ დევი! მადლობა გადავუხადე და შევუდექი გზას საფრანგეთის ამ მხარეში.

– მარტოკა? ფეხით?

– მეტწილად ფეხით, თუმცა მოხდებოდა ხოლმე, რომ კეთილი ხალხი, რომელიც ბუხარში მიდიოდა, მიმიწვევდა ურემზე დასაჯდომად. ზოგჯერ კიდევ კონდუქტორები უფასოდ მაძლევდნენ ადგილს დილიუანსებში. როგორც კი მივიდოდი რომელიმე ქალაქში, ჩვეულებრივად გავჩერდებოდი ხოლმე სასტუმროს ეზოში და ველოდი, ხომ არავინ გამოჩნდებოდა ინგლისურად მოლაპარაკე. ამგვარი ხალხი თითქმის მუდამ მხვდებოდა. აგუსსნიდი ჩემი მოგზაურობის მიზანს, ისინი მეუბნებოდნენ, ვინ და ვინ წარჩინებული პირთაგანი იყვნენ ჩამომხტარნი სასტუმროში. მაშინ ველოდი, ხომ არ გამოჩნდებოდა მათ შორის



ჩემი დისწული, და, როდესაც დავრწმუნდებოდი, რომ იქ არ იყო, ისევ გზას გაუუღებოდი.

კარებში მართა ენდელი იდგა და ხარბად უსმენდა მისტერ პეგოტის თხრობას. მეშინოდა, რომ მისტერ პეგოტი მიიხედავდა და შენიშნავდა მას.

– ბოლოს, ზღვამდის მივედი. ისეთი მეზღვაურისათვის, როგორც მე ვარ, თქვენ წარმოიდგინეთ, ძნელი არ იყო იტალიამდე მისვლა! ამ ქვეყანაშიც ისევე ვხეტილობდი, როგორც საფრანგეთში. იტალიელები ალერსიანად მხვდებოდნენ, ისევე, როგორც ფრანგები, და ადვილად გადავდიოდი ქალაქიდან ქალაქში; მაგრამ აქ მივიღე ცნობა, რომ იგი ენახათ შვეიცარიის მთებში. კაცს, რომელიც იცნობდა მათ მსახურს, ენახა ისინი სამივენი და გადმომცა, სად მოგზაურობდნენ და სად შემეძლო მათი ნახვა. გავემგზავრე მთებისკენ, მასტერ დევი, და თითქმის უსვენებლივ მივდიოდი დღე და ღამე. მაგრამ რაც უფრო მივდიოდი, მით უფრო შორს მიიწევდნენ ჩემგან მთები. ბოლოს, ძლივს მივუახლოვდი მათ. როდესაც ვუახლოვდებოდი იმ ადგილს, სადაც ისინი მეგულებოდნენ, ფიქრმა ამიტანა: „რა ვქნა, როდესაც მას დავინახავ?“ ვიყიდე მისთვის გლეხური ტანისამოსი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ოღონდ მეპოვნა, და იმწამსვე გამომეყვებოდა და უკვე არასოდეს აღარ დამანებებდა თავს. მინდოდა მომეგლიჯა მისთვის მაღალი წოდების ლედის ტანისამოსი და ჩამეცმია გლეხური კაბა. მაშინ ჩვენ უკან დავბრუნდებოდით ხელიხელჩაკიდებულში და დროდადრო შევისვენებდით კეთილ ხალხთან. მეტზე არაფერზე არ ვფიქრობდი. იმ კაცს არც კი შევხვდავდი. მაგრამ, მასტერ დევი, ჯერ არ დამდგარა ჩემთვის ის ბედნიერი წუთი; დავიგვიანე და ადგილზე მისვლისასა გავიგე, რომ ისინი უკვე წასულიყვნენ. სად, ვერ გავიგე. და აი, ახლა სამშობლოში ვარ.

– დიდი ხანია, რაც დაბრუნდით, მისტერ პეგოტი?

– არ არის დიდი ხანი, მასტერ დევი, – სულ სამი დღეა. ბინდისას მივედი ჩემს ნავის სახლთან და დავინახე სანთელი ფანჯარაში. მე მივიპარე და შევიხედე შიგ. ერთგული მოხუცი, მისის გუმიჯი, ზის თავისი ხელსაქმით და არავინ არის მის ახლოს. მე ვუთხარი: „ნუ გეშინიათ, მისი გუმიჯ! ეს მე ვარ, დანიელი!“ – კარი გამიღო და შევედი.

მისტერ პეგოტიმ ამოიღო ჯიბიდან სამი თუ ოთხი პატარა შეკრული, ქალაქში შეხვეული, და მაგიდაზე დადო.

– აი ეს მიღებულია ჩემი წასვლის სწორედ ერთი კვირის შემდეგ, – მითხრა მან და მიმითითა ერთ შეკრულზე. – პაკეტში, რომელიც დაეღო ღამე კარების წინ და რომელსაც ჩემი მისამართი ეწერა, აღმოჩნდა ორმოცდაათგირვანქიანი ბანკის ბილეთი. ემი ცდილობდა, ხელი გამოეცვალა. მაგრამ მე და ვერ ვიცნობდი მის ხელს!

მან მზრუნველობით დაახვია ბანკის ბილეთი, მისცა წინანდელი ფორმა და განზე გადადო.

შემდეგ მისტერ პეგოტიმ მომაწოდა წერილი და მითხრა ჩემი ხმით:

– კეთილი ინებეთ, სერ, წაიკითხეთ!

მე შემდეგი წავიკითხე:

„ო, რას იგრძნობთ თქვენ, როდესაც ამ წერილს დაინახავთ! მაგრამ მოიღეთ ჩემზე მოწყალება სულ ცოტა ხნით მაინც, – ჩემი გულისათვის კი არა, – ბიძაჩემის დიდსულოვნების პატივისცემისათვის; მომწერეთ ქარაღდის ნაგლეჯზე, როგორ არის და რას ლაპარაკობდა იგი ჩემს შესახებ იმ საბედისწერო საღამოს, რომლის შემდეგ თქვენ სამუდამოდ უარი თქვით ჩემზე. ხომ არ შეგიმჩნევიათ, რომ იგი ისევ განაგრძობდა ჩემს მოლოდინს საღამოობით, როდესაც მე ვბრუნდებოდი ხოლმე სახლში? მუხლებზე დაჩოქილი გემუდარებით, ნუ იქნებით ჩემდამი ისეთი სასტიკი, როგორისაც ღირსი ვარ, ნუ მიწოდებთ „პატარას“ და ნუ მიწოდებთ სახელს, რომელიც შევარცხვინე. მაგრამ ჩემი უბედური ბიძის თანაგრძნობის

ნიშნად, მომწერეთ რამდენიმე სიტყვა ბიძაჩემზე, რომელსაც ჩემი თვალები აღარასოდეს აღარ იხილავენ ამქვეყნად“.

ამ წერილშიც ფული იღო – ხუთი გირვანქა. ეს ფული ისევე ხელუხლებელი იყო, როგორც უწინდელი თანხა. წერილთან ერთად იყო მისამართი პასუხისათვის, რომელსაც მრავალ ხელში უნდა გაეგლო, სანამ თავის დანიშნულებას მიაღწევდა.

– მერე? რა უპასუხეთ ამ წერილზე? – ვკითხე მისტერ პეგოტის.

– მისის გუმიჯი, როგორც მოგეხსენებათ, არ არის წერის დიდი ხელოვანი. ამიტომ ქამმა შეადგინა წერილი და მან მხოლოდ გადაწერა. მას შეატყობინეს, რომ წასული ვარ მის საძებნელად, და დაწერილებით უამბეს, რას ვლაპარაკობდი მის შესახებ გამოთხოვებისას. მე მივდივარ ახლა მის საძებნელად, კონვერტის ბეჭდის მიხედვით.

და მან მიჩვენა კონვერტი. მასზე აღნიშნული იყო ქალაქი ზემო რეინზე. იარმაუთში მისტერ პეგოტის ეპოვა ვაჭრები, რომელნიც იცნობდნენ ამ მხარეს. მათ დაეხატათ მისთვის ქალაქზე საკმარისად ტლანქი რუკა. მისტერ პეგოტიმ გაშალა იგი მაგიდაზე, დაეყრდნო ერთ ხელზე ნიკაპით და მეორე ხელით მიჩვენებდა იმ გზას, რომლის გაგლასაც აპირებდა.

შემდეგ მან, ჩაფიქრებულმა, მოაგროვა ყველა შეკრული, ხელი გადაუსვა, ქარაღში შეახვია და ფრთხილად ჩაიდო უბეში. ქალის სახე კარებს უკან გაჰქრა.

– აბა, სერ, – მითხრა მისტერ პეგოტიმ და შეხედა თავის სამგზავრო ჩანთას. – დიდად მოხარული ვარ, რომ ისევ გნახეთ, მასტერ დევი. ხვალ, გათენებისას, ისევ გზას გაუდგები. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ შეიძლება ისე დავიღუპო, ვერ დავუბრუნო ეს ფული. თუ სიკვდილი მიწერია ამ მოგზაურობაში და ფული დაიკარგება, ან მოიპარავს ვინმე, იგი ვერ გაიგებს, სად წავიდა მისი ფული! მაგრამ მზად ვარ, სამარიდან ავდგე, რათა დავუმტკიცო, რომ არ მინდოდა ამ თანხის აღება!

ამის შემდეგ ორივენი ავდექით და მაგრად ჩამოვართვით ხელი.

– გავივლი ათიათას მილს, – მითხრა მან, – ვეთრევი სულის ამოხდამდე, რომ დავუბრუნო მას ეს დაწყევლილი ფული. თუ მოვახერხე და ვიპოვნე ჩემი ემილია, – მეტი არა მინდა რა. მაგრამ თუ ვერ ვიპოვნი, მაინც როდისმე მის ყურთასმენამდე მიაღწევს, რომ საბრალო ბიძამისმა დაამთავრა მისი ძებნა სიცოცხლესთან ერთად, და მარტო ეს დააბრუნებს მას სახლში. მაშასადამე, ასე თუ ისე, ჩემი მიზანი მიღწეული იქნება.

როდესაც ჩვენ გავშორდით ერთმანეთს ალაყაფის კარებში, შევნიშნე მართა ენგელი, რომელიც ცდილობდა, თვალიდან მოგვეფარებოდა. შევაჩერე მისტერ პეგოტი რაღაც მიზეზით და ვილაპარაკეთ იმ დრომდის, სანამ მართა არ მიიძალა წყვილიადში.

თავი ოცდამეთვრამეტე

მის დორა სპენლოს მამიდები

მოვიდა ბოლოს პასუხი ორი მოხუცებული ლედისაგან. ისინი პატივისცემას უცხადებდნენ მისტერ კოპერფილდს და ატყობინებდნენ, რომ სათანადო ყურადღებით გადასინჯეს მისი წერილი, „ვინაიდან მხედველობაში ჰქონდათ ორივე მხარის ბედნიერება“. ქალბატონი სპენლოები დასძენდნენ, რომ ზოგიერთი მიზეზის გამო ისინი უხერხულად სთვლიდნენ თავიანთი აზრის გამოთქმას მიწერ-მოწერის საშუალებით; მაგრამ თუ მისტერ კოპერფილდი ინებებს და დანიშნავს დღეს დარბაზობისათვის და თუ მობრძანდება მათთან პუნტიში რომელიმე თავის მეგობართან ერთად, ქალბატონი სპენლოები დიდად მოხარულნი იქნებიან,

მიიღონ იგი თავიანთ სახლში, და მაშინ მისტერ კოპერფილდი გაიგებს ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა.

ამაზე მისტერ კოპერფილდმა დაუყოვნებლივ უპასუხა, რომ მას ექნება პატივი ეახლოს სადარბაზოდ ამა და ამ დღეს, თავისი მეგობრის თომას ტრედელსის თანხლებით. ამ წერილის გაგზავნის შემდეგ მისტერ კოპერფილდი აუწერელ მღელვარებაში იყო დარბაზობისათვის დანიშნულ დღემდე...

ტანისამოსის საკითხი უდიდეს ამოცანას შეადგენდა ჩემთვის ამ დანიშნულ დღეს. ერთი მხრივ, მეშინოდა, რომ გადაჭარბებული ზრუნვა ტანისამოსზე საქმეს გამიფუჭებდა ქალბატონ სპენლოების თვალში. ვეცადე, საშუალო ხაზი ამერჩია და ამ ორ უკიდურესობას შორის. როდესაც მზად ვიყავი, პაპიდამ მომიწონა ჩაცმულობა.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი მე და ტრედელსი ქალბატონ სპენლოების სახლს, მით უფრო ვკარგავდი სულის სიმტკიცეს. ჩემი ვაჟკაცობის აღსადგენად ტრედელსმა მირჩია ერთი ჭიქა ელის გადაკვრა. ეს რჩევა სისრულეში მოვიყვანეთ უახლოეს დუქანში. მივდიოდი, მაგრამ ფეხები მიკანკალებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაეჩნდით ქალბატონ სპენლოების სახლის წინ.

ახლა ყველა საგანი ირევდა ჩემს მეხსიერებაში და ვერც კი გამიჩვენია, სიზმარში იყო ეს თუ ცხადში. აი, კარი გაიღო, მე მეჩვენება, რომ ლამაზმა გოგონამ ამათვალყურ-ჩამათვალყურა თავიდან ფეხებამდე. აი, შევედით პატარა სასტუმროში, რომლის ფანჯრები ბაღში გადის. სოფაზე დავსხედით, და მეჩვენება, თითქოს ტრედელსის თმები, როდესაც მან ქუდი მოიხადა, გადაიქცნენ ზამბარებიან პატარა ფიგურებად, რომლებიც ამოვარდებიან ხოლმე ზოგიერთი, ეშმაკურად მოწყობილი თამბაქოს ყუთიდან ხუფის ახდისას. ძველებური საათი წიკწიკებს ბუხარზე და ცდილობს, აჰყვეს ჩემი გულის ძგერას, მაგრამ ვერ ახერხებს. ვათვალყურებ ყველაფერს სუსტი იმედით, რომ თვალს მოგვრავ სადმე დორას ან ჯიპის სიახლოვის ნიშნებს, მაგრამ ვერ ვხედავ ვერც დორას და ვერც ჯიპის რაიმე კვალს. და ვსხედვართ გაჩუმებულნი, დრმა ფიქრებში გართულნი. კიდევ წუთი ან ორი – და სასტუმროს კარი იღება; წამოვხტი, უკან დავიხიე, მივაჭყლიტე ტრედელსი ბუხარს და დიდად შემკრთალმა თავი დაუკარი ორ ხნიერ, პატარა ტანის, გამხდარ ლედის, მთლად შავებში ჩაცმულთ, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ განსვენებულ მისტერ სპენლოს.

– უმორჩილესად გთხოვთ, დაბრძანდეთ, – გვითხრა ერთ-ერთმა ამ ორ პატარა ლედთაგანმა.

ამგვარი დასაწყისი არაფერს სასიკეთოს არ მოასწავებდა. ტრედელსმა საჩქაროდ უპასუხა, რომ კოპერფილდი მე ვიყავი, და მეც შემკრთალმა წარვუდგინე ჩემი თავი. ისინი დაეშურნენ ეთქვათ, რომ შესცდნენ და ტრედელსი მიიღეს კოპერფილდად. მდგომარეობა არასასიამოვნო იყო.

– მისტერ კოპერფილდი! – მითხრა უმცროსმა დამ.

უმაბლესად დაუკარი თავი და მოვემზადე მოსასმენად. მეორე დამ ამრიგად განაგრძო ბაასი:

– ჩემი და ლავინია, რომელიც იცნობს რამდენადმე ამგვარ საქმეებს, წარმოგიდგინთ ყველა მოსაზრებას, რაც ჩვენ ამჯამად მიგვაჩნია უმჯობესად ორივე მხარის ბედნიერებისათვის.

შემდეგში გავიგე, რომ მის ლავინია იმიტომ ითვლებოდა ავტორიტეტად სიყვარულის საქმეში, რომ ოდესღაც მის გულში მეფობდა მისტერ პიკერი, ვისთვის მშვენიერი მოთამაშე. ისე იყო მიღებული, თითქოს მისტერ პიკერი იწვოდა ნაზი გრძნობით ლავინიასადმი, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ ეს სრულებით არ მჯერა, ვინაიდან თვით მისტერ პიკერს არავისთვის არ გაუმჟღავნებია თავისი სიყვარული არც წერილობით, არც პირადად. მაგრამ მის ლავინია და მის კლარისაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ მისტერ პიკერი აუცილებლად აუხსნიდა სიყვარულს, დამბლა რომ არ დასცემოდა სამოცი წლის ასაკში მყოფს. მისი

უეცარი სიკვდილი, მათი აზრით, იღუმალის სიყვარულის შედეგი იყო. თუმცა ეს ძნელი საფიქრებელია, რადგან მისტერ პიკერის მოლურჯო ცხვირი (მისი სურათი ეკიდა სასტუმროში) ცხადად ეწინააღმდეგებოდა ამგვარ გაბედულ აზრს.

– ჩვენი ძმისწულის მდგომარეობა, – მითხრა მის ლავინიამ – ბევრად გამოიცვალა ჩვენი ძმის ფრენის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თვით აზრიც ჩვენი ძმისა თავისი ქალიშვილის შესახებ უნდა აგრეთვე შეიცვალოს. ჩვენ ეჭვი არ გვაქვს, მისტერ კოპერფილდ, რომ თქვენ ბრძანებით ემაწვილი ჯენტლმენი, მშვენიერი ნიჭით და მშვენიერი სახელით; ჩვენ სრულებით დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გიყვართ ჩვენი ძმისწული.

მე ვუპასუხე, – როგორც ყოველთვის, – რომ ჯერ არავის არავინ ჰყვარებია ისე, როგორც მე დორა მიყვარს!

– გულის ღრმა გრძნობა, – განაგრძო მის ლავინიამ, – გულწრფელი, დიდი ერთგულება ასე ადვილად არ გამოიხატება. იგი მორიდებულია და მორცხვი, უყვარს დამალვა ადამიანის თვალთაგან და მზად არის იცადოს, დიდხანს იცადოს. წლები სწრაფად მიჰქრიან, სიცოცხლე დასასრულისაკენ მიისწრაფის, გრძნობა კი კვლავ განაგრძობს ზრდას ჩრდილში. ასეთია ნამდვილი გრძნობა.

რასაკვირველია, მაშინ არ ვიცოდი, რომ აქ ლაპარაკი მისტერ პიკერის მოლურჯო ცხვირის შესახებ იყო.

– ემაწვილი ხალხის წარმავალი გრძნობები, ასე ვთქვათ, ქვიშა არის შედარებით ზღვის პირის საღ კლდესთან, – განაგრძო მის ლავინიამ. – აქ ძნელია წინასწარ გადაწყვეტა, თუ რამდენად შეიძლება მტკიცე იყოს მათი სიყვარული და იქნება თუ არა იგი ხანგრძლივი. აი ამიტომ მე და ჩემი კლარისა დიდხანს ვყოყმანობდით, როგორ მოექცეულიყავით ამ შემთხვევაში, მისტერ კოპერფილდ.

მე ჯერ არ მიმელო დადებითი პასუხი ან წახალისება, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ აქ ჩემთვის იმედის შუქი ელვარებდა. ბედნიერი გარემოებით გამხნეებულმა, აღზნებული სიტყვებით დავუწყე მტკიცება, რომ ყველაფერზე მეტად სიცოცხლეში დორა მიყვარს, რომ ეს იცის ყველა ჩემმა ნათესავმა და მეგობარმა, ამ სიტყვების დასადასტურებლად მივმართე ტრედელს, და ტრედელსმა გატაცებით დაუმტკიცა, რომ ჯერ არ არსებულა ისეთი შეყვარებული, როგორიც მე ვარ. მისმა მტკიცებამ, როგორც ჩანდა, ჩემთვის სასარგებლო სთაბეჭდილება მოახდინა ორივე დაზე.

მის ლავინიამ შეხედა ღორნეტით ჩემს წერილს, გადააბრუნა იგი იმ მხარეზე, სადაც ხელისმოწერა იყო და სადაც, როგორც შევნიშნე, ფანქრით შენიშვნები იყო მიწერილი.

– ჩვენ ვფიქრობთ, მისტერ ტრედელს, – უთხრა მან, – ერთგვარი გამოცდის წინ დაგაყენოთ ეს გრძნობა. ამჟამად ჩვენ არ ვიცით რა ამ გრძნობის შესახებ და, მაშასადამე, არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად ნამდვილია ან შემცდარი იგი. ამიტომ ვეთანხმებით მისტერ კოპერფილდის წინადადების ერთ მუხლს და გადავწყვიტეთ, რომ მას შეუძლია იაროს ჩვენსას სადარბაზოდ.

– ო, მე არასოდეს არ დავივიწყებ თქვენს სიკეთეს, – შევძახე და ვიგრძენი, თუ როგორ მომშორდა მძიმე ტვირთი მხრებიდან.

– საქმეთა ამგვარ ვითარებაში, – განაგრძო მის ლავინიამ, – ჩვენ უფლება გვაქვს, მოვითხოვოთ მისტერ კოპერფილდისაგან, რომ მან პატიოსანი სიტყვა მოგვცეს, არავითარი ურთიერთობა არ იქონიოს ჩვენს ძმისწულთან ჩვენდა ნებადაურთველად.

მე იმწამსვე მივეცი მტკიცე პირობა, ტრედელსი მოწმედ მოვიყვანე და ნება მივეცი ჩავეთვალე უმსგავს და უსინდისო ადამიანად, თუკი გავბედავდი რამენაირად დამერღვია მიცემული პირობა.

– შეჩერდით! – მითხრა მის ლავინიამ და ხელი ასწია – თქვენს მობრძანებამდე ჩვენ გადავწყვიტეთ, მარტონი დაგვეტოვებინეთ თხუთმეტი წუთით,

რათა დრო გქონოდათ, ეს პირობა მოისაზროთ. ამიტომ, ჯენტლმენებო, ნება გვიბოძეთ გიასხლოთ.

ტყუილად ვარწმუნებდი, რომ ყოველგვარი ფიქრი ზედმეტია: ქალბატონი სპენლოები თავისაზე იდგნენ. ისინი გავიდნენ ოთახიდან და თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ შემოვიდნენ ისეთივე ღირსებით და დარბაისლობით.

მე ისევ მივეცი სიტყვა, დავმორჩილებოდი ყველა მათგან დადებულ პირობას.

– დაია კლარისა, – უთხრა მის ლავინიამ, – დანარჩენი კი შენგან არის დამოკიდებული.

– ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იქნება, – დაიწყო მის კლარისამ, – ვნახოთ ხოლმე მისტერ კოპერფილდი ყოველ კვირას ჩვენ სუფრაზე. ჩვენ ვსადილობთ სამ საათზე.

მე თავი დავუკარი.

– კვირის განმავლობაში, – განაგრძო მის კლარისამ, – მისტერ კოპერფილდს შეუძლია გვესტუმროს ხოლმე საღამოობით. ჩვენ ვსვამთ ჩაის შვიდის ნახევარზე.

მე ერთხელ კიდევ დავუკარი თავი.

– საღამო სტუმრობა შეიძლება კვირაში ორჯერ, არა უხშირესად, – მითხრა მის კლარისამ.

ისევ თავი დავუკარი.

– მის ტროტუდს, რომელსაც იხსენიებს თავის წერილში მისტერ კოპერფილდი, შეუძლია აგრეთვე, თუ ინებებს, გვესტუმროს. – მითხრა მის კლარისამ. – თუ ამგვარი სტუმრობა საჭირო იქნება ორივე მხარის ბედნიერებისათვის, ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ ამ სტუმრობას და საპასუხოსაც გადავუხდით.

ვინაიდან ყველა პირობა ახლა უკვე ბოლომდე იყო მოყვანილი, დავექჩარე გამომეტქვა ჩემი უღრმესი მადლობა ორივე ლედისათვის და ვაკოცე ხელზე ჯერ მის კლარისას, შემდეგ მის ლავინიას.

ამის შემდეგ მის ლავინია ადგა და მიბრძანა უკან გავყოლოდი. დავემორჩლე. ჩვენ მეორე ოთახში გავდიოთ, აქ, პირველად ხანგრძლივი უნახაობის შემდეგ, დავინახე დორა.

– ო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო დორა! ახლა კი მართლაც ჩემი ხარ, ჩემი სამუდამოდ!

– აჰ,! გაჩუმდი, ღვთის გულისათვის! გაჩუმდი! – მიპასუხა დორამ.

– როგორ? განა შენ არ გინდა, ჩემი იყო, დორა?

– რასაკვირველია, მე შენი ვარ, მაგრამ განა არ ხედავ, მე ისე შემეშინდა!

– შეგეშინდა? რისი, ჩემო კარგო?

– აი იმისი! მე არ მიყვარს იგი. რად მოვიდა?

– ვინ, ჩემო სიცოცხლე?

– ეგ შენი მეგობარი, – მითხრა დორამ. – რა ესაქმება? შეჭკველია, იგი ძალიან სულელია!

რა უნდა ყოფილიყო უფრო მშვენიერი, ვიდრე ეს ბავშვური გულშეხილობა, რომლითაც დორა თავის აზრს გამოხატავდა!

– რას ამბობ, გენაცვალე, – ვუთხარი მე, – ჩემი მეგობარი საუკეთესო არსებაა ქვეყანაზე.

– მერე, რად გინდა ეს საუკეთესო არსება? განა უმაგისოდ კი ვერ გავძლებთ?

– კარგი, ჩემო კარგო! შენ გაიცნობ მას უფრო ახლოს და ისე შეგიყვარდება, რომ მეტი არ შეიძლება. მაღე აქ ჩემი პაპიდაც მოვა. შენ ისიც შეგიყვარდება.

– ო, არა, გეთაყვა, ნუ მოიყვან აქ! – მითხრა დორამ და გულზე ხელები მიიღო ვედრების გამომეტყველებით. – მოიღე მოწყალება, ნუ მოიყვან, დორა! – დაასრულა ჩემმა პატარა მბრძანებელმა და ასე ორიგინალურად გადააკეთა ჩემი სახელი დავითი.

რჩევა-მტკიცება აქ უსარგებლო იყო. ვიცინოდი, ვტკბებოდი მისი ცქერით, ვხუმრობდი და უზომოდ ბედნიერი ვიყავი. მინდოდა მეტხოვა მისთვის, რომ ტრედელსი გაეცნო, მაგრამ რა წამსაც ვახსენე მისი სახელი, დორა გაიქცა და ოთახში ჩაიკეტა. მეტი რა გზა მქონდა, მარტო გამოვედი ტრედელსთან და შინისაკენ გავეწიეთ.

რასაკვირველია, მაშინვე ვუამბე პაპიდას ჩემი დარბაზობის ყველა შედეგი. მას უხაროდა ჩემი ბედნიერება და დამპირდა, დაუყოვნებლივ წასულიყო დორას მამიდებთან სტუმრად.

იმავე საღამოს, იმ დროს, როდესაც აგნესას წერილს ვწერდი, პაპიდამ დაიწყო სიარული ყველა ოთახში, ისეთი დაუცხრომელი გამალებით, რომ შემეშინდა – ხომ არ აპირებს იგი პუტნიში წასვლას უთენებლივ-მეთქი.

ახლა, კვირის ექვსი დღის განმავლობაში, მე არ მქონდა არც ერთი თავისუფალი წუთი. დავდიოდი სამსახურში დოქტორთა კოლეგიაში, შემდეგ – დოქტორ სტრონგთან ჰაიგეტში. ამგვარადვე მოგზაურობა პუტნიში ყოველად შეუძლებელი იყო; ამიტომ ვითხოვე ნებართვა მის ლავინიასაგან – მივსულიყავი ხოლმე ყოველ შაბათ საღამოს. ამრიგად, ყოველი კვირის ბოლოში იშლებოდა ჩემს წინ განუწყვეტელი სიამოვნების პერსპექტივა, და მით უფრო მუყაითად ვშრომობდი დანარჩენ დღეებში, როდესაც წინ ასეთი ღირსეული ჯილდო მელოდა.

მძიმე ლოდი მომეშვა გულიდან, როდესაც პაპიდაჩემმა და დორას მამიდებმა ერთმანეთი გაიცნეს, არც თუ ძალიან ახლოს, მაგრამ არც ისე შორს, როგორც მოსალოდნელი იყო თავიდან.

მხოლოდ ერთი გარემოება მაწუხებდა, მას შემდეგაც, როცა ყველაფერი თითქოს საბედნიეროდ მოეწყო. საქმე ის იყო, რომ თითქოს ყველამ პირი შეჰკრა და დორას პატარა სათამაშოსავით ექცეოდნენ. პაპიდა, რომელსაც დორა თანდათან დაუმეგობრდა, ეძახდა დორას „პატარა ყვავილს“. მის ლავინიასთვის უდიდეს სიამოვნება შეადგენდა დორას თმების ვარცხნა, მისი ტანისამოსის წესრიგში მოყვანა და მისი დაძინება ბავშვივით. რასაც აკეთებდა მის ლავინია, იმასვე, როგორც დამყარებულ წესს, იმეორებდა მის კლარისა. ისინი ისე ექცეოდნენ დორას, როგორც დორა ექცეოდა ფინია ჯიპს.

ბოლოს გადავწყვიტე, მოვლაპარაკებოდი ამის შესახებ დორას, გამოვაცვლევინე ამგვარი, ცოტა არ იყოს უცნაური მოპყრობა შენდამი-მეთქი.

– ყველას ვუყვარვარ, მე ვიცი, – მითხრა დორამ, – ძალიან ბედნიერი ვარ.

– კი, მაგრამ უფრო ბედნიერი იქნებოდი, ჩემო კარგო, ისე რომ გეპყრობოდნენ, როგორც წესია.

დორამ შემომხედა მშვენიერი, სამღურავით სავსე თვალებით, შემდეგ დაიწყო ქვითინი და თან სულ ამას იმეორებდა: რისთვის ვაპირებ მის თხოვნას, თუკი სრულებით არ მიყვარს იგი.

ამის პასუხად არაფერი დამრჩენოდა, იმის გარდა, რომ დამეკოცნა მისი ნამტირალევი თვალები და დამერწმუნებინა ათიათასჯერ, რომ მიყვარს იგი მთელი სულით და გულით. ასეც მოვიქცევი.

აღტაცებაში მოვედი, როდესაც მაღე ამის შემდეგ თავისი საკუთარი სურვილით მეტხოვა მეყიდნა მისთვის სამზარეულო წიგნი, რომელზედაც უწინ იყო ლაპარაკი, და მეტხოვა მეჩვენებინა, როგორ უნდა ეწარმოებინა ოჯახის ანგარიში.

მაგრამ მაღე სამზარეულო წიგნისაგან დორას თავი ასტივდა და ციფრებმა ცრემლები მოჰგვარა: „რა ვქნა? რიცხვებს არ უნდათ მიმატება“, – მითხრა დორამ და ამ მიზეზით წასალა ყველა ეს საძაგელი ციფრი, რათა იმავე ცხრილებზე დაეხატა თაიგული და ჩემი და ჯიპის მინიატურული პორტრეტები.

მაშინ ვისარგებლე შაბათის სეირნობით და რამდენჯერმე ვეცადე პირადად გადამეცა დორასთვის რჩევა ოჯახის გაძღოლის შესახებ. ერთხელ, მაგალითად, ჩვენ გავიარეთ საყასბოს წინ და მე ვუთხარი:

– წარმოვიდგინოთ, ჩემო კარგო, რომ ჩვენ ჯვარი დავიწერეთ და შენ წახვედი ხორცის საყიდლად სადილისთვის. იცი, როგორ უნდა იყიდო?

დორამ იფიქრა ერთი წუთი და შემდეგ გამარჯვებულის ღიმილით მითხრა:

– ყასაბმა ხომ იცის ხორცის ყიდვა, მე რაღაც მინდა ამის ცოდნა? აჰ, შე სულელო ბიჭუნა!

და ისევ ვუბრუნდებოდი გიტარას, ვხატავდი ყვავილებს, ვცვლქობდი და ვმღეროდი.

თავი ოცდამეცხრამეტე

მაბეზღარა

აგნესა და მისი მამა ჩამოვიდნენ ორი კვირით სტუმრად დოქტორ სტრონგთან. სრულებით არ გამკვირვებია, როდესაც აგნესამ გამომიცხადა, რომ დავალებული აქვს იშოვოს მათ ახლოს შესაფერისი ბინა მისის ჰიპოსათვის. ამ მოხუცებულს ნეკრესის ქარები გაუძლიერდა და ჰაერის გამოცვლა ესაჭიროებოდა. არ გამკვირვებია, როდესაც მეორე დღეს ური ჰიპმა, როგორც მორჩილმა და პატივისმცემელმა შეიღმა, მოიყვანა თავისი ღირსეული დედა ახალ ბინაზე.

მე და ური ჰიპმა გავისეირნეთ დოქტორის ბაღში.

– ხედავთ, მისტერ კოპერფილდ, – მითხრა ური ჰიპმა, – შეყვარებული ხალხი მუდამ ცოტათი ეჭვიანია. ჩვენ, მაგალითად, თვალს არ ვაშორებთ საყვარელ არსებს.

– მერე ნიკაპი მოიფხანა თავისი დაკრუნჩხული ხელით.

– თქვენ, რასაკვირველია, შენიშნავდით, რომ არასოდეს არ ვიყავი ქალების მოტრფიალე – და ყველაზე ნაკლებად მისის სტრონგისა. ასე არ არის?

– რა გინდათ ამითი სთქვათ? – ვკითხე მე.

– როდესაც ვიყავი ფირმის მოკრძალებული მოსამსახურე ჩემი ახლანდელი ამხანაგის კანტორაში, ეს ლედი მედიდურად მიცქეროდა. იგი მუდამ ჰპატიუებდა ჩემს აგნესას სახლში და აგნესას უხდებოდა ხოლმე მისი გაცილება. თქვენ იგი განსაკუთრებით კარგად გეპყრობოდათ ყოველთვის, მასტერ კოპერფილდ! მაგრამ მე, რა სათქმელია, მეტად დაბლა ვიდექი, რომ მიმეპყრო ჩემსკენ ამ ქალის ყურადღება.

– მერე? – ვთქვი მე. – ვთქვათ რომ ასეა.

– ...და მეტად დაბლა ვიდექი ამ ქალის მეგობართან შედარებით, – განაგრძობდა ური ჩაფიქრებული კილოთი.

– ნუთუ თქვენ გგონიათ, ური, რომ დოქტორ სტრონგს ახსოვს თქვენი არსებობა, თუ თქვენ თვითონ არ ეჩვენებით მას?

– ოჰ, ეგ როგორ შეიძლება, მასტერ კოპერფილდ! მე ვლავარაკობ არა დოქტორ სტრონგზე!.. საბრალო ქმარი! არა, სერ! მე ვგულისხმობ მისტერ მაღდონს!

მე გული გამეწურა, ყველა ჩემი ეჭვი და შიში გამეღვიძა ამ ადამიანის ცქერით და მეგონა, რომ ური ჰიპი მზად იყო საბოლოოდ დაენგურია დოქტორ სტრონგის ბედნიერება და სიმშვიდე.

– იგი ხომ ყველაზე ზრდილი ქალია, მისტერ კოპერფილდ, და ამიტომ მისთვის სათაკილოა ისეთი ადამიანისადმი ყურადღების მიქცევა, როგორიც მე ვარ. ეს ჩვენ ვიცით. მის ხელში აგნესა შეიძლება თავის დროზე მშვენიერ სათამაშოდ გადაიქცეს. მაგრამ მე მაქვს თვალები და პირდაღებული არ ვმჯდარვარ, როდესაც ფხიზლად ყოფნა იყო საჭირო. ჩვენ, დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხი, მართალი რომ ვთქვა, მუდამ ფხიზლად ვართ; ეს არაფერია, რომ სხვა არავინ გვამჩნევს.

მე ვცდილობდი, ისეთი სახე მიმელო, თითქოს არაფერი მესმოდა, მაგრამ ური ჰიპის თვალები ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ხედავდნენ ჩემს შეშფოთებას.

– ჩემი მოტყუება, მართალი რომ ვთქვა, ძნელია, ძვირფასო კოპერფილდ, – განაგრძო ურიმ. – მივიღებ ყოველგვარ, ჩემგან დამოკიდებულ ზომებს, რომ ბოლო მოეღოს ამ შეუფერებელ მეგობრობას. მე იგი სრულებით არ მომწონს, მასტერ კოპერფილდ.

– მე არ მესმის თქვენი ლაპარაკი, ური.

– მართლა? თქვენ მაცნობთ, მასტერ კოპერფილდ, – მიპასუხა მან მისებური ღრეჭით. – როგორ? თქვენ არ გესმით სულ უბრალო რამ – თქვენი გამჭრიახი გონებით? შემდეგში მე ვეცდები, უფრო ნათლად ვილაპარაკო. ეს ვინ რეკავს ალაყაფის კარებთან? მგონი, მისტერ მალდონია! ცხენით მოსულა?

– მგონი, ის არის, – ვუპასუხე მე, რამდენადაც კი შემეძლო, უდარდელი კილოთი და დავეშურე წასვლას.

დაახლოებით ამ ლაპარაკიდან ორი დღის შემდეგ მე წავიყვანე აგნესა დორას გასაცნობად. მე წინასწარვე გავაფრთხილე მის ლავინია ამ სტუმრობის შესახებ. აგნესას ჩაიხე მიელოდნენ.

ვამაყობდი ჩემი პატარა საცოლეთი და ამავე დროს მეშინოდა, რომ აგნესას იქნებ არ შეჰყვარებოდა იგი.

დორას ეშინოდა აგნესასი, იმიტომ ეშინოდა, რომ აგნესა, როგორც მას ეგონა ჩემი სიტყვებიდან, „ძალიან ჭკვიანი“ იყო, მაგრამ ჩემი ბავშვობის მეგობრის დანახვისთანავე ჩემი პატარა საცოლე დარწმუნდა, რომ არაფერი საშინელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ჩაფიქრებულ ქალში, რომელიც აღსავსე იყო გულკეთილობით, სინაზით და სიყვარულით, დორამ ოდნავ შეჰკვივლა და იმწამსვე ყელზე მოეხვია აგნესას.

მის ლავინია და მის კლარისა თავისებურად მონაწილეობას იღებდნენ ჩემს სიხარულში. სადამო მშვენიერი იყო. მის ლავინია გვიყურებდა აღერსიანად, კეთილი თვალებით, თითქოს მისი მოწყობილი ყოფილიყო ჩვენი ბედნიერი სიყვარული. ერთი სიტყვით, ყველანი მხიარულად ვიყავით და ერთმანეთით კმაყოფილნი.

აგნესას აღერსიანმა და მომხიბლავმა უბრალოებამ გააცოცხლა ამ ქალის გული. მან უახლოესი მონაწილეობა მიიღო ყველაფერში, რაც კი აინტერესებდა დორას, და იმწამსვე გაიცნო ჯიპი. რომელმაც დაუყოვნებლივ, სიხარულის გამოსახატავად, კუდის ქნევა დაიწყო და ხტომა მორთო მის გარშემო.

– როგორ მიხარია! – უთხრა აგნესას დორამ ჩაის შემდეგ. – სრულებით არ მოველოდი, რომ შეგიყვარდებოდით; მე კი ისე მჭირდება მეგობარი ახლა, როდესაც აღარ არის ჩემთან ჯულია მილსი.

მართლაც, ჩვენთან აღარ იყო ჩვენი საერთო მეგობარი, რომელიც მამასთან ერთად გაემგზავრა ოკეანეს იქით, ინდოეთში.

სადამომ სწრაფად გაირბინა, და ბოლოს დადგა დრო, როდესაც დილიჯანსი უნდა მოსულიყო ჩვენს წასაყვანად. მარტოკა ვიდექი ბუხართან ჩაფიქრებული, როდესაც დორა მომეპარა გამოსათხოვებლად.

– როგორ გგონია, დოდი? – მითხრა და თან უდარდელად ათამაშებდა ჩემი ფრაკის ერთ-ერთ დილს, – მე ხომ გაცილებით უფრო ჭკვიანი ვიქნებოდი, წინათვე რომ დავმეგობრებოდი აგნესას? არა, დოდი?

– რა სისულელეს ლაპარაკობ, ჩემო კარგო, – ვუპასუხე მე.

– შენ გგონია, რომ ეს სისულელეა? – მიპასუხა დორამ და არ შემოუხედავს ჩემთვის. – დარწმუნებული ხარ მაგაში?

– რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ.

– მე დამავიწყდა, დოდი, რა ნათესავია შენი აგნესა?

– ჩვენს შორის არ არის ნამდვილი ნათესაობა, – ვუპასუხე მე, – მაგრამ ერთად ვიზრდებოდით და-ძმასავით.



- მაშ როგორ მოხდა, რომ შეგიყვარდი?
- ძალიან უბრალოდ, შენი ნახვა და არშეყვარება შეუძლებელი იყო.
- მაშ, რომ არ გენახე?
- მაშ, მე და შენ სულ რომ არ დავბადებულყავით? - ვუპასუხე მხიარული კილოთი.

ვერ მივხვდი, რაზე ფიქრობდა ჩემი დორა. იგი განაგრძობდა ბუხართან დგომას; ხმაამოუღებლად ვტკბებოდი მისი ნაზი ხელის ცქერით, რომელიც ჩემი ფრაკის ღილებს ათამაშებდა, მისი მშვენიერი კულულებით, რომელიც დაფენილიყო ჩემს მკერდზე, და წამწამებით მისი დახრილი თვალებისა, რომელნიც ჩაფიქრებული უცქეროდნენ მისი პაწაწინა თითების მოძრაობას. ბოლოს შემომხედა სახეში, დადგა ფეხის თითებზე, მაკოცა არაჩვეულებრივი სინაზით და ოთახიდან გავიდა.

დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ მთელი ჩვენი პატარა საზოგადოება დაბრუნდა სასტუმროში და დორას არაჩვეულებრივი ჩაფიქრება ერთ წუთში გაჰქრა. იგი დაპირდა აგნესას წერილების წერას, იმ პირობით, თუ აგნესა არ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ მისი წერილები მოსულელო იქნებოდა. აგნესაც დაპირდა წერას.

არასოდეს, არასოდეს არ მყვარებია დორა ისე ნაზად და ღრმად, როგორც იმ საღამოს!

როდესაც ვარსკვლავებით მოჭედული ცის შუქზე ვუახლოვდებოდი დოქტორ სტრონგის სახლს, მე ვუთხარი აგნესას, რომ მთელი ჩემი ბედნიერება მისი საქმეა.

- და როდესაც თქვენ დაჯდებით მის გვერდით, - განვაგრძე მე, - მომეჩვენა, რომ ისეთივე მფარველი ანგელოზი ხართ მისთვის, როგორც ჩემთვის. სხვაფრივ ვერც კი წარმომიდგენიხართ, აგნესა!

- საბრალო მფარველი, მაგრამ ერთგული, - მიპასუხა აგნესამ.

მისმა მშვენიერმა, წკრიალა ხმამ, რომელიც გულის სიღრმემდე ჩამწვდა, მათქმევინა:

- მე მგონია, რომ ახლა თქვენ ბედნიერი ხართ შინაურ ცხოვრებაში!

- დიახ, ტროტკუდ, მუდამ მხიარულად ვარ და გულზე არა მაქვს-რა, მაგრამ ჩვენს სახლში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, - მიპასუხა აგნესამ წუთიერი სიჩუმის შემდეგ.

- და თქვენ არა გაგიგიათ-რა ახალი... მეშინია, არ გეწყინოთ, აგნესა, მაგრამ ეს საკითხი მეტისმეტად მაწუხებს... თქვენ არა გაგიგიათ-რა იმის შესახებ, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით უკანასკნელად?

- არა. რაც შეიძლება ნაკლებად იფიქრეთ ამაზე, ტროტკუდ, ჩემი გულისთვის ნუ შეწუხდებით, - დაუმატა მან ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ. - არასოდეს არ გადავდგამ იმ ნაბიჯს, რომლისადაც თქვენ გეშინიათ.

ამგვარი ლაპარაკით შევედით დოქტორ სტრონგის აგარაკის პატარა ეზოში. უკვე გვიანი იყო.

- ნუ იწუხებთ ჩვენს ჯავრსა და ვარამზე, - მითხრა აგნესამ და ხელი გამომიწოდა. - შემიძლია ბედნიერი ვიყო მხოლოდ თქვენი ბედნიერებით, ტროტკუდ, და თუ დამჭირდება სხვისი შეველა, მოგმართვით მხოლოდ თქვენ და - და სხვას არავის.

როდესაც აგნესა სახლში შევიდა, მე დავინახე სინათლე დოქტორ სტრონგის კაბინეტში და შევედი, რომ დამე მშვიდობისა მესურვა მისთვის.

პირველი ადამიანი, რომელიც დავინახე ლამპის მკრთალ შუქზე, იყო, ჩემდა უდიდეს განსაცვიფრებლად, ური ჰიპი. იგი იდგა უძრავად, ორთავე ხელით დაყრდნობილი საწერ მაგიდაზე. მისტერ ვიკოფილდი, სევდიანი და აღელვებული, ცოტათი წინ წამოხრილიყო და რაღაც გაუბედავად ეხებოდა დოქტორ სტრონგის მხარს.

ჯერ მეგონა, რომ დოქტორი ავად არის. ამ შთაბეჭდილებით წინ წავდგი ნაბიჯი, მაგრამ ურის თვალებმა, რომელნიც ჩემს თვალებს შეხედნენ, ერთ წამში ამიხსნეს, რაშიც იყო საქმე. მინდოდა გავსულიყავი კაბინეტიდან, მაგრამ დოქტორმა შემაჩერა ხელის მოძრაობით.

– ყოველ შემთხვევაში, ზედმეტი არ არის კარის დაკეტვა, – შენიშნა ურიმ. – სრულებით არ არის საჭირო, მთელ ქალაქს შეატყობინოთ ეს ამბავი.

ამ სიტყვებით იგი მიეპარა ფეხის ფრჩხილებზე კარებს და ფრთხილად დაკეტა გასაღებით.

– ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, მისტერ კოპერფილდ, – მითხრა ურიმ, – მიმეთითებინა დოქტორ სტრონგისათვის იმაზე, რის შესახებაც ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი, თუმცა, მგონია, მაშინ საკლებით ნათლად ვერ მიხვდით აზრს?

მე შევხედე, მაგრამ არ მითქვამს არც ერთი სიტყვა. შემდეგ მივედი ჩემს მასწავლებელთან და წავებუბუბუტე რაღაც უაზრო სიტყვები. ამით ვფიქრობდი მის დამშვიდებასა და ნუგეშისცემას. მან აღერსიანად დამადლო ხელი მხარზე, მაგრამ თავი არ აუღია.

– ვინაიდან მაშინ ვერ მიხვდით ჩემს ლაპარაკს, მასტერ კოპერფილდს, – დაიწყო ისევ ური ჰიპოპოტი, – ნებას მივცემ ჩემს თავს მოგახსენოთ, რომ მე მივაქციე დოქტორი სტრონგის ყურადღება მისის სტრონგის ზოგიერთ მოქმედებას. აი, სწორედ ეს მინდოდა მეთქვა, სერ, თქვენ კი ამას ვერ მიხვდით. თქვენი შემოსვლის წინ, სერ, ეს არის ახლა, მივმართე ჩემი ფირმის ამხანაგს ამ სიტყვების დასადასტურებლად, რადგან ჩვენ, ასე ვთქვათ, ყველანი ვართ ამაში გარეული. დაე მისტერ ვიკფილდმა, პაციოსნებისა და სინდისის წინაშე, სთქვას გადაჭრით – ეთანხმება თუ არა იგი ჩემს სიტყვებს. აბა, მისტერ ვიკფილდ! გთხოვთ, დაურიდებლად სთქვათ. ჰო, თუ არა?

– მუდამ და ყოველთვის მხოლოდ ერთი თვალსაზრისით ვუცქეროდი ყველაფერს, – თქვა მისტერ ვიკფილდმა მთრთოლვარე ხმით, – და ამიტომ, ძვირფასო დოქტორ, ნუ მიაქცევთ დიდ ყურადღებას ჩემს მაშინდელ აზრს, უეჭველია, შემცდარს და უსამართლოს. სხლა იძულებული ვარ გამოვტყდე, რადგან არ არის ჩემთვის სხვა გამოსავალი...

– მე კი არ ვიცი! სადღაა გამოსავალი, მისტერ ვიკფილდ, – შენიშნა ურიმ. – თავის დაღწევა ძნელია, სერ, როდესაც ყველანი გავერიენით ამ საქმეში.

მისტერ ვიკფილდმა უიმედოდ შეხედა თავის ამხანაგს და განაგრძო:

– დიახ, იყო მართლაც დრო, როდესაც მეჩვენებოდა, რომ ეს მშვენიერი ლედი არ ასრულებს თავის მოვალეობას თქვენდამი, აი რატომ ვცდილობდი შემეწვიტა, შეძლებისდაგვარად, მტკიცე კავშირი აგნესასა და მის სტრონგს შორის. მაგრამ არასოდეს არ მითქვამს ამის შესახებ არც ერთი სიტყვა. არასოდეს არც კი მიფიქრია, რომ ეს იცის ვინმემ. თქვენთვის, უეჭველია, ძნელია ამის მოსმენა, – დაამთავრა უბედურმა მისტერ ვიკფილდმა, – მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ, რა ძნელია ჩემთვის ამისი თქმა, შემიბრალვებით, ძვირფასო დოქტორო!

დოქტორმა ჩვერეულებრივის გულკეთილობით გაუწოდა მას ხელი. მისტერ ვიკფილდმა თავჩაღუნულმა, რამდენიმე წუთით შეაჩერა იგი თავის ხელში.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. დოქტორი ადგა და ოთახში გაიარა; შემდეგ იგი დაუბრუნდა ძველ ადგილს, მიეყრდნო სავარძლის ზურგს და ცხვირსახოცი მიიფარა თვალებზე.

– მე დავიმსახურე ქვეყნის სამართლიანი გაკიცხვა. – თქვა ბოლოს დოქტორმა სტრონგმა, – და, ვფიქრობ, ქვეყანას სრული უფლება აქვს გამამტყუნოს. ერთადერთი არსება, ძვირფასი ჩემთვის, ჭორობის საგნად არის ქცეული.

ური ჰიპოპოტი რაღაც წაისისინა, უეჭველია, თანაგრძნობის ნიშნად.

– მე რომ არ ვიყო ამქვეყნად, – განაგრძო დოქტორმა, – ძვირფასი ანი არასოდეს არ გახდებოდა ამ გაკიცხვის საგანი. ჯენტლმენებო! მეტად

მოსუცებული ვარ, როგორც თქვენც იცით, და ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ვგრძნობ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, მაგრამ ამ სიცოცხლით ვაგებ პასუხს იმ უმწიკვლო ლედის პატიოსნებისათვის, რომელიც ამჯამად ჩვენი საუბრის საგანს შეადგენდა.

დოქტორმა სტრონგმა საოცარი ღირსებით წარმოსთქვა ეს სიტყვები. მუდამ მაკვირვებდა ის არაჩვეულებრივი სათნოება, რომელსაც იჩენდა დოქტორი სტრონგი თავისი ყმაწვილი ცოლისადმი; მაგრამ პატივისცემამ და სინაზემ, რომელიც მან ახლა გამოხატა ყოველი თავისი სიტყვებით, და იმ მოკრძალებამ, რომლითაც იგი ცდილობდა, აეშორებინა მისთვის ყოველგვარი ეჭვი, – ყოველივე ამან უფრო აამაღლა იგი ჩემს თვალებში.

– მე შევირთე ცოლად ეს ლედი, როდესაც იგი სულ ყმაწვილი იყო. ავიყვანე იგი ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ, როდესაც მის ხასიათს არ ჰქონდა ჯერ კიდევ მიღებული გარკვეული მიმართულება. კარგად ვიცნობდი მის მამას; კარგად ვიცნობდი მას; ვასწავლიდი ყველაფერს, რაც კი შეეძლო, და მუდამ განცვიფრებაში მოვყავდი ამ მშვენიერი და მდიდარი პიროვნების მართალ თვისებებს. თუ უსამართლოდ მოვექეცი (აღბათ ეს ასეა, თუმცა, საუბედუროდ, ეს არ მომსვლია თავში), როდესაც ნება მივეცი ჩემს თავს ეგოისტურად მესარგებლა იმისი მადლობით, სულით და გულით ვთხოვ პატიებას ამ ლედის.

მან გაიარა ოთახში და, როდესაც დაბრუნდა ძველ ალაგზე, ჩაჰკიდა მთრთოლვარე ხელები სავარძლის ზურგს.

– ჩემი ცხოვრება მასთან ბედნიერი იყო ამ საღრამომდე. მუდამ ვლოცავდი იმ დღეს, ეროდსაც ასეთი უსამართლობა ცავიდინე და ჩემს ცოლად გაეხადე იგი. ვაცხადებ, ჯენტლმენებო, რომ არავითარი ეჭვის ოდნავი ჩრდილიც კი არ უნდა იხსენებოდეს ჩემი ცოლის სახელთან ერთად.

მისი თვალები აღფრთოვანებით აენტო და ხმა განუმტკიცდა.

– ამრიგად, პირველად გავიგე ახლა, რა იყო ამ ლედის უბედურების მიზეზი. ვეცდები, ავიტანო ეს და დავემორჩილო ბედს. რა მაქვს მასთან სასაყვედურო: ეს უფლება მას, მხოლოდ მას ერთს ეკუთვნის. ამის შემდეგ ჩემი მთავარი და უპირველესი მოვალეობაა – დავიფარო იგი უსამართლო მითქმა-მოთქმის ყოველგვარი საბაბისაგან, რომლისგან, როგორც ვხედავ, თავისუფალნი არ არიან თვით ჩემი საუკეთესო მეგობრებიც კი. რაც უფრო განმარტოებით ვიცხოვრებ, მით უფრო ადვილი იქნება ჩემთვის ამ მოვალეობის ასრულება. და როდესაც დადგება დრო – დაე, დაე ადრე დადგეს იგი! – როდესაც ჩემი სიკვდილი გაათავისუფლებს მას არაბუნებრივი ძალდატანებისაგან, დაუხუჭავ თვალებს მისი პატიოსანი სახის წინ უზომო ნდობით და სიყვარულით და დავლოცავ მას უსინანულოდ და უწყენად – დატკბეს მშვიდად უბედნიერესი ცხოვრებით.

მე ვერ ვხედავდი მას, რადგან თვალები ცრემლებით ამევსო. მან ფეხი გადადგა კარებისაკენ და დაუმატა:

– ჯენტლმენებო! მე გაგიხსენით ჩემი გული! იმედი მაქვს, დაიცავთ ერთგვარ პატივისცემას ჩემი სიტყვებისადმი. ყოველივე, რაც დღეს იყო ნათქვამი, აღარ უნდა განმეორდეს არასოდეს. ვიკვილდ, ძველო მეგობარო, მიშველეთ ზევით ასვლა.

მისტერ ვიკვილდი დაეშურა, მიეშველებინა თავისი ხელი და ისინი მძიმე ნაბიჯით გავიდნენ ოთახიდან. მათ მიაცილებდა ური ჰიპის ხარბი თვალები.

– როგორ მოგწონთ, მასტერ კოპერფილდ! – სთქვა ურიმ და მომმართა. – საქმემ ხომ, ძველი პედაგოგის მეოხებით, სრულებით ის მიმართულება არ მიიღო, რომელიც მოსალოდნელი იყო! შესანიშნავი ადამიანია! ბრმაა, როგორც თხუნელა. ყოველ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ეს ოჯახი გადაუხვევს ახლა თავისი ძველი კალაპოტიდან.

ჩვენ პირისპირ ვიდექით და დავინახე მის სახეზე ფარული აღტაცების გამომეტყველება. მისი ცქერა აუტანელი გახდა ჩემთვის. მისი გამხარი ლოყა

თითქოს სილას თხოულობდა. და გავარტყი სახეში ისეთი ძალით, რომ ხელი მეტკინა, თითქოს დამეწვაო.

მან მტაცა ხელი ამ ხელში და ასე გაკავებულები ვუცქეროდით ერთმანეთს თვალებში. ასე ვიდრე რამდენიმე წუთის განმავლობაში, და ეს დრო საოცრად დიდი მეჩვენა. ჩემი თითების თეთრი კვალი თანდათან გაქრა მისი სახიდან.

– კოპერფილდ, – მითხრა ბოლოს, – გაგიჟდით?

– თავი დამანებთ! ხშირად მიგრძნობინებია თქვენთვის, რომ მეზიზღებით. ახლა დაგიმტკიცეთ ეს. არ მეშინია თქვენი საზიზღარი აზრების არც ჩემსა და არც სხვათა მიმართ.

იგი ძალიან კარგად მიხვდა, ვისაც ვგულისხმობდი და რა გარემოებათა გამო ვიკავებდი თავს ამ ადამიანთან პირდაპირი ლაპარაკისა და ახსნისაგან. შესაძლებელია, შემეკავებინა თავი გარტყმისა და შეურაცხყოფისაგან, აგნესას რომ არ დავემშვიდებინე იმ სადამოს გადაჭრილი პასუხით.

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

– კოპერფილდ! – მითხრა მან და მოიშორა ხელი სახიდან. – თქვენ მუდამ ჩემს წინააღმდეგ მიდიოდით. ვიცი, მუდამ ჩემი წინააღმდეგი იყავით, ჯერ კიდევ მისტერ ვიკფილდის სახელში.

საჭიროდ არ ვთვლიდი პასუხის გაცემას; ავიღე ქუდი და წასვლა დავაპირე. ური ჩადგა ჩემსა და კარს შუა.

– კოპერფილდ, – მითხრა მან, – ყოველ ჩხუბში უნდა ორი მხარე იყოს; თქვენ არ იპოვით ჩემში მოწინააღმდეგე მხარეს.

– დამეკარგეთ აქედან!

– ნუ ამბობთ ამას. მე ვიცი, თქვენ ინანებთ. როგორ დაიმცირეთ ასე თავი ჩემს წინაშე, რომ ასეთი ავი ხასიათი გამოიჩინეთ. მაგრამ მე გაპატიეთ, კოპერფილდ.

– თქვენ გაპატიეთ?

– გაპატიეთ და უნებურად უნდა შემირიგდეთ. თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ ადამიანს, რომელიც მუდამ თქვენი მეგობარი იყო! მაგრამ, ისევ ვიმეორებ, ჩხუბი არ შეიძლება იყოს იქ, სადაც არ არის ამისთვის აუცილებელი ორი მხარე. თქვენი სურვილის წინააღმდეგ, სერ, მე სამუდამოდ თქვენი მეგობარი დავრჩები. ახლა თქვენ იცით, რას უნდა მოელოდეთ ჩემგან!

გავაღე კარი და სწრაფად გავედი სახლიდან!

როდესაც დილით გარეთ გამოვედი, ეკლესიის ზარი წირვას აუწყებდა. ური ჰიბი დასეირნობდა თავის დედასთან ერთად ეკლესიის გალავანში. მან, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, დილა მშვიდობისა მისურვა, და იძულებული ვიყავი, პასუხი გამეცა სალამზე. ეტყობა, ისე ძლიერ გამერტყა, რომ ური, როგორც ცადა, კბილის ტკივილს გრძნობდა. მას აეხვია სახე შავი აბრეშუმის ხელსახოცით და ამის გამო ქუდი მაღლა ჰქონდა ასკუპებული კინკრისოზე. მუდამ მახინჯი, უფრო მახინჯი ჩანდა ამ წუთში.

დოქტორმა უქეიფობა მოიმიზეზა და, სანამ მასთან სტუმრად იყო მისტერ ვიკფილდი და მისი ქალი, უმეტეს დროს ოთახში ატარებდა. მხოლოდ სტუმრების წასვლის ერთი კვირის შემდეგ შევუდრეკით ისევ მუშაობას. ამ მუშაობის დაწყების წინ დოქტორმა გადმომცა დაუბეჭდავი ბარათი ჩემს სახელზე. მოკლე წერილში იგი მთხოვდა, არასოდეს აღარ დავბრუნებოდი იმ სარამოს ბაასის საგანს. აგნესას, რასაკვირველია, ეჭვიც არ დაჰბადებია, თუ რა მოხდა მაშინ ჩვენს შორის. ეჭვი არ ჰქონდა მისის სტრონგსაც.

ერთხელ, დილაადრიანად, მისის სტრონგის დაბადების დღეს, როდესაც იგი ჩვენი მეცადინეობის განმავლობაში ჩვეულებისამებრ ფანჯარაზე იჯდა, დოქტორი მივიდა მასთან, ორივე ხელი მოკიდა თავზე, აკოცა განსაკუთრებული სინაზით და საჩქაროდ გავიდა კაბინეტიდან, რადგან ვეღარ მოერია თავის აღელვებულ

გრძნობებს. მისის სტრონგი დარჩა იმ ალაგას, სადაც ქმარმა დატოვა, შემდეგ დახარა თავი და მწარედ აქვითინდა.

წინათ ზოგჯერ ისე მეჩვენებოდა, რომ მისის სტრონგს თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის, როდესაც დოქტორი გავიდოდა ხოლმე ოთახიდან; მაგრამ არასოდეს არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენია. დოქტორი კი ამავე დროს იგონებდა ახალ გეგმებს ცოლის გასამხიარულებლად და ურჩევდა, ხშირად ევლო საზოგადო სეირნობაზე თავის დედასთან ერთად. მისის მარკლჰემს გაგიჟებით უყვარდა ყოველგვარი ასეთი გასართობი და ამიტომ დიდი სიამოვნებით უჭერდა მხარს დოქტორ სტრონგის გეგმებს. თავისი ბედის მორჩილი ანი, სევდიანი და მოწყენილი, მიდიოდა იქ, სადაც მიჰყავდათ, და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არაფერს.

არ ვიცოდი, რა მეფიქრა; არ იცოდა პაპიდამაც. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ერთადერთ მნიშვნელოვან დახმარებას, რომელიც კი შესაძლოა შეჭრილიყო ამ ოჯახური უბედურების საიდუმლო სფეროში, აწარმოებდა ადამიანი, რომელიც თითქოს უძღური იყო, რაიმე დახმარება გაეწია ვისთვისმე, ვლასპარაკობ მისტერ დიკზე.

რას ფიქრობდა იგი ამ ამბის შესახებ და რაში გამოიხატებოდა მისი დაკვირვება დოქტორ სტრონგის ოჯახური ცხოვრების მსვლელობაზე, ვერ ამეხსნა, როგორც, უეჭველია, ვერ ახსნიდა ამას თვით მისტერ დიკიც.

მისტერ დიკმა დიდი ხანია მიიღო უპირატესობა, ნებართვის უთხოვნელად ესეირნა დოქტორის ბაღში, და ხშირად დასეირნობდა კიდევ დოქტორ სტრონგთან ერთადაც. სიამაყით ივსებოდა ამ პრივილეგიის გამო და არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, ესარგებლა ამ უფლებით. იგი უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა თავისთავს, როდესაც დოქტორი უკითხავდა მას თავის ნაწარმოებს – ბერძნულ ლექსიკონს. იმ დროს, როდესაც მე და დოქტორი სტრონგი გართული ვიყავით ფილოსოფიურ მუშაობაში, მისტერ დიკი დასეირნობდა ბაღში მისის სტრონგთან ერთად და შეელოდა მას ყვავილების მორწყვასა და მარგვლაში. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მისტერ დიკი მთელი საათის განმავლობაში არ წარმოსთქვამდა ათ სიტყვასაც; მაგრამ დოქტორი და მისი მეუღლე ხედავდნენ, რომ მისტერ დიკს უყვარდა ისინი სულით და გულით და გულწრფელ მონაწილეობას იღებდა მათს ცხოვრებაში. ამის გამო მისტერ დიკმა მიაღწია იმას, რასაც ვერავინ სხვა ვერ მიაღწევდა მის ადგილას; იგი გახდა შემაერთებული რკალი ცოლსა და ქმარს შორის.

– ჩემს გარდა არავინ იცის, რა დიდი ადამიანია დიკი! – სიამაყით ამბობდა ხოლმე პაპიდა, როდესაც ვბაასობდით ამის შესახებ.

ახლა უნდა მიემართო სხვა გარემოებას, ვიდრე ამ თავს დავამთავრებდე. მთელი იმ ხნის განამელობაში, სანამ დოქტორთან სტუმრად იყვნენ მისის კენტერბერელი მეგობრები, ვამჩნევდი, რომ ფოსტალიონს ყოველ დილას მოჰქონდა ხოლმე ორი ან სამი წერილი ური ჰიპის სახელზე. წერილების მისამართი დაწერილი იყო მისტერ მიკობერის ხელით. აქედან ის უნდა დაგვესკვნა, რომ კენტერბერიში ყველაფერი წესზე და რიგზეა, და რომ მისტერ მიკობერი შეეჩვია თავის კეთილშობილ იურიდიულ საქმეებს და ჯანმრთელად და ბედნიერად სუფევს. ამიტომ ძალიან მეწყინა და გამიკვირდა, როდესაც მივიღე მისი მეუღლისაგან შემდეგი წერილი:

„კენტერბერი, ორშაბათი.

თქვენ, უეჭველია, გაოცდებით, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, როდესაც მიირებთ ჩემგან ამ მოულოდნელ წერილს. უფრო მეტად გაგიკვირდებათ, როდესაც გაიგებთ მის შინაარსს. მაგრამ ყველაზე მეტად გაგაკვირვებთ აუცილებელი პირობა – მტკიცე საიდუმლოდ შეინახოთ ყველაფერი, რაც აღნიშნული იქნება შემდეგ სტრიქონებში. შეურაცხყოფილს, როგორც დედას და მეუღლეს, მესაჭიროება ენერგიული დახმარება, რომლისთვისაც საუბედუროდ, არ შემიძლია

მივმართ ჩემი გვარეულობის სასტიკ წევრებს, რადგანაც მათ უარი განაცხადეს მისტერ მიკობერის საქმეებში მონაწილეობაზე, და ამის შემდეგ მე აღარავინ დამრჩენია, რომ რაიმე მირჩიოს, გარდა ჩემი ძველი მეგობრისა და მდგმურისა.

თქვენ იცით, ჩემო ძვირფასო კოპერფილდ, რომ ჩემსა და მისტერ მიკობერს შორის (რომელსაც არასოდეს არ დავანებებ თავს) მუდამ არსებობდა ურთიერთნდობა, თანხმობა და მშვიდობა. მისტერ მიკობერი აძლევდა დროდადრო ხელწერილებს საგრძნობ თანხებზე ჩემთან მოუთხოვრებლად და შეცდომაში შევეყავდი ამ ვალების გადახდის ვადის შესახებ, მაგრამ, საერთოდ, მისტერ მიკობერს არ ჰქონდა არავითარი საიდუმლო, დაფარული თავის გულის მეგობრისაგან – მე ვგულისხმობ მის ცოლს – და ყველა ეს მისი საქმე ცნობაში მოგვეყავდა, როგორც კი მშვიდობიანობა აღსდგებოდა ჩვენს შორის. თავისი ჩვეულებრივი შრომის დამთავრების შემდეგ მისტერ მიკობერი აუცილებლად ყოველ საღამოს მიაბობდა ხოლმე მთელი დღის ყოველ მომხდარ შემთხვევას.

წარმოიდგინეთ, ძვირფასო კოპერფილდ, ჩემი სასოწარკვეთილება, როდესაც გეტყვით, რომ მისტერ მიკობერი სრულებით გამოიცვალა! იგი ფრთხილია, გულჩათხრობილი, სდუმს. ყველაფერი, რასაც კანტორაში აკეთებს, დაფარულია ჩემთვის უკუნეთის წყვლიადით.

მაგრამ ჯერ ეს არ არის ყველაფერი. მისტერ მიკობერი გახდა მკაცრი, მოღუშული, პირქუში. იგი სრულებით თავიდან იშორებს ჩვენს უფროს ქალსა და ვაჟს, აღარ ამაცობს ჩვენი ტყუილებით და გულსაკლავის უგრძობელობით უცქერის უმანკო ახალმოსულს, რომელიც სხვებზე გვიან შემოვიდა ჩვენს ოჯახში – უკანასკნელი წევრის სახით, და წარმოგიდგენიათ, ძვირფასო კოპერფილდ, უარს ამბობს ყველა ამ უცნაურ და მოუწვდომელ საქციელის ახსნაზე.

აუტანელია, სამწუხაროა, სავალალოა, და ვგრძნობ, რომ ჩემი გული ღამის შუაზე გაიპოს. რა ვქნა, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ? თუ შეგიძლიათ მომცეთ რჩევა, რითი და რაგვარად მოვეხმარო ჩემს თავს, ერთ მეგობრულ დახმარებას კიდევ დაუმატებთ იმ მრავალ სიკეთეს, რომელიც აღმოგიჩენიათ ჩვენთვის სხვადასხვა დროს. გიგზავნით ჩემი შვილების სიყვარულს და უმანკო ღიმილს ბედნიერი, ჯერ კიდევ უმეცარი ბავშვისას, და დავრჩები, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ,

მუდამ თქვენი ერთგული,  
უბედური ემი მიკობერი“.

არა მგონია, რომ გავამართლე მისის მიკობერის მოლოდინი, როდესაც საპასუხო წერილში ვურჩიე, აღერსიანად მოპყრობოდა მისტერ მიკობერს და მოთმინებით აეტანა დროებითი უსიამოვნება, რომელიც, ყოველ ეჭვს გარეშეა, მაღე დამთავრდება მეუღლეთა საბედნიეროდ. ყველაფერი ეს მისი მიკობერმა, როგორც ცხოვრების საქმეებში გამოცდილმა ლედიმ, ჩემზე უკეთესად იცოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისმა წერილმა სერიოზულად დამაფიქრა.

თავი მეორმოცე

განვლილი გზის ერთხელ კიდევ  
თვალის გადავლება

კვირები, თვეები სწრაფად მიჰქრიან. მხიარულად მიხსრიალებს მდინარე ზაფხულის მზის შუქზე, მწვანე ნაპირებს შუა, სადაც კვირაობით მე და დორა ვსეირნობთ, მაგრამ, აი, დაუბერა შემოდგომის ქარმა, ააბობოქრა ტალღები და უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე, გაეშურა მდინარე ზღვისკენ. კიდევ ცოტა ხანი – და მდინარე დიდი ხნით დაიმაღლა ყინულის სქელი კანის ქვეშ.

მაგრამ არავითარი ცვლილება არ მომხდარა იმ პატარა სახლში, სადაც ორი იადონი – დები ცხოვრობდნენ. შეუწყვეტლივ წიკწიკებს საათი ბუხრის თავზე და ბარომეტრი წყნარად ჰკიდია სასტუმროში, სულ ერთსა და იმავე ადგილას.

მე მივადწიე სრულწლოვანებას. ოცდაერთი წლის ვარ. დრო ყველას აჯილდოებს ამით; მაგრამ ვნახოთ, რისი გაკეთება მოვასწარი ამ ხნის განმავლობაში.

ტრედელსის რჩევით შილინგად და ექვს პენსად ვიყიდე განთქმული წიგნი, რომელშიც დაწვრილებით იყო დალაგებული ყველა წესი და კანონი სტენოგრაფიის საოცარი ხელოვნებისა, და იმწამსვე ჩავიყურე ყუმელავე ყველა ამ უცნაური ხრიკების ზღვაში, რომელთაც რამდენიმე კვირის მანძილზე კინაღამ არ გამაგიჟეს. ახირებული ცვალებადობა წერტილებისა, რომელნიც ამა და ამ მდგომარეობაში ამა და ამ საგანს აღნიშნავენ, მაშინ როდესაც მეორე მდგომარეობაში, რამდენადმე შეცვლილი, ნიშნავენ ამა და ამას, სრულებით საწინააღმდეგო იდეას; ცნებათა საოცარი ხლართები, გამოსახული ნახევარი რგოლებით; აურაცხელი შედეგები, გამომდინარე სხვადასხვანაირი ნიშნებიდან, რომელნიც ბუხის ფეხებს ჰგავდნენ; საშინელი მოქმედება მოხრილისა, დახრილისა, გადახრილისა და გადმოხრილისა, ჩანიშნულებისა უაღაგო ალაგას, – ყოველივე ეს გუნებას მიშლიდა არ ამარტო დღის განმავლობაში, არამედ ღამეც სიზმრებს მიშხამავდა. როდესაც, ბოლოს, როგორც იყო, ხელების ფათურით გავიარე ყველა ეს წინასწარი სიძნელე და დავეუფლე სტენოგრაფიულ ანბანს, რომელიც თავისთავად უკვე წარმოადგენდა ძველი ეგვიპტური საკერპო ტაძრის მსგავს რაღაცას, ამის შემდეგ თვალწოდენელ პერსპექტივაში გადაიშალა ჩემს თვალწინ ახალი საშინელებანი, რომელთაც ეწოდებოდათ პირობითი ემბლემები, მოკლებულნი ყოველგვარ გონივრულ მნიშვნელობას და ლოგიკურ აზრს. ამ ემბლემების მიხედვით უმოწყალო სახელმძღვანელო ბრძანებდა, მაგალითად, რომ უაზრო ფიგურა, აბლაბუდას მსგავსი, ნიშნავდა მოლოდინს, მაშინ როდესაც შუშუნასმაგვარი ნაჯღაბნი ნიშნავდა ზედმესრულს: ეს იყო ლაბირინთი უადრესად დესპოტურ სახეებისა; და როდესაც ვიტენიდი თავში ამ მახინჯებს, გულის კანკალით ვამჩნევდი, რომ ამ დროს ჩემი თავიდან ჰქრებოდა სხვა ნიშნები, ასე რომ, იძულებული ვხდებოდი, ხელახლა დამეწყო და ისევ ხელახლა დამევიწყა. როცა ვაგროვებდი ემბლემებს, ვკრავდი ეგრეთ წოდებულ ხასიათებს და პირუკუ, ერთსა და მეორე შემთხვევაშიც თავი მიჭექავდა და გული გასკდომაზე მქონდა.

და გამოსკდებოდა კიდევ, თუ არა დორა, რომელიც ჩემთვის იმედისა და ხსნის ღუზა იყო ამ აბობოქრებულ ზღვაზე. ყოველი ნაფხაჭნი სახელმძღვანელოში მეჩვენებოდა მოუდრეკელ მუხად სიძნელეთა გაუვალ ტყეში, და ყოველი ნაჯღაბნი – ფეხისმოსატეხ ქვად ამ გაუვალ გზაზე. მაგრამ მაინც წინ მივდიოდი; ვჩეხავდი და ვკაფავდი ძირიანად ხეს ხეზე ისეთი წარმატებით და გამარჯვებით, რომ მალე ჩემ გზაზე არ დარჩა არც ერთი ჯირკი. დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ უკვე შემეძლო გამომეცადა ჩემი თავი დოქტორთა კოლეგიის ერთ-ერთ ჭახჭახსა ორატორზე. ნუთუ დამავიწყდება ოდესმე საზარელი წუთი, როდესაც ამ ჭახჭახსა ორატორმა მოუსვა და გამისწრო თვალწოდენელ მანძილზე, ვიდრე წერას შეეუდებოდი. ჩემმა სუსტმა ფანქარმა დაიწყო ხტომა ქალღმრთელოზე, როგორც თავრეტდასხმულმა, და დარცხვენილმა უარი ვთქვი ჩემს პირველ ცდაზე.

ცხადად დავინახე, რომ ასე არ ვარგოდა. მეტისმეტად მაღლა აფორინდი და საფრთხე მელოდა, რომ ჩამოვვარდებოდი და მთლად დავიჩეხებოდი. რა მექნა? ტრედელსს მივმართე რჩევისათვის, ტრედელსმა თავისი არაჩვეულებრივი გულკეთილობით იკისრა ეკარნახა ჩემთვის ორატორების სიტყვები, აუჩქარებლად, სათანადო დასკვნებითა და პაუზებით, როგორც ამას მოითხოვდა ჩემი სტენოგრაფიული სისუსტე. სიხარულით მივიღე ეს მეგობრული წინადადება და ამის შემდეგ თითქმის ყოველღამეს, როდესაც ვბრუნდებოდი დოქტორ

სტრონგისაგან, ჩვენთან იმართებოდა კერძო საპარლამენტო კრება ბუკინგემის ქუჩაზე.

ეს იყო მეტად საინტერესო და სრულებით ორიგინალური პარლამენტი. პაპიდა და მისტერ დიკი, გარემოებათა და გასარჩევ საქმეთა მნიშვნელობის მიხედვით, წარმოადგენდნენ სამინისტროს ან ოპოზიციას, ხოლო ტრედელსი, ორატორების სიტყვათა კრებულთა შეიარაღებული, ჰქუხდა მათ წინააღმდეგ გამაყრუებელი ფილიპიკებით. ჩვეულებრივ, იგი იდგა მაგიდასთან და თითო დადებული ჰქონდა წიგნის ფურცელზე, რომ არ დაჰკარგვოდა სადეკლამაციო პუნქტი; პათეტიკურად იქნევდა მარჯვენა ხელს, სწორედ ისე, როგორც მისტერ პიტი, ფოქსი, შერიდანი, ბორკი, ლორდი კასტელრი, ვიკონტი სიდმაუსი, ან მისტერ კანინგი. აღფრთოვანებული პულიტიკური პათოსით იგი აყვედრიდა პაპიდას გაფლანგვასა და ანგარებას. მე, მოკრძალებული სტენოგრაფი, ვიჯექი კათედრის შორიახლოს, ჩასაწერი რვეული მუხლებზე მედო და მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი, არ გამომპარვოდა არც ერთი სიტყვა მჭერმეტყველი ორატორის პირიდან. ვერც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ევროპული პოლიტიკის ასპარეზზე ვერ შეედრებოდა ტრედელსს პოლიტიკურ რწმენათა მერყეობასა და შეუსაბამობაში. სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში მან წარმოუდგენელი თავქარიანობით გამოამჟღავნა ყოველნაირი პოლიტიკური აზრები და მოასწრო გამოეკიდა თავის ანძაზე ყველა ფერისა და სახელწოდების დროშა. პაპიდა ამ დროს, უძრავი და შეუდრეკელი თავის პოზაში, როგორც სახელმწიფო კანცლერი, შეაწყვეტინებდა ხოლმე შთაგონებულ ორატორს სიტყვას რეპლიკით, როგორც, მაგალითად: „ერთი მოუსმინეთ!“ „არა!“ ან „ჰო!“, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვდა სიტყვის შინაარსი. მისტერ დიკი, როგორც ნამდვილი პროვინციალი, მაშინვე აიტაცებდა პაპიდას სიტყვებს და აუცილებლად დიდინით იმეორებდა მათ მხიარული კილოთი.

პარლამენტის ეს დებატები ძალიან ხშირად შუადამემდე გრძელდებოდა, სანამ არ დაიწვოდა სანთლები. ამ გულმოდგინე მუსაობის შ დევი ის იყო, რომ ცოტ-ცოტათი კვალში ჩავუდექი და თან მივყვებოდი ტრედელსის დეკლამაციას. ამგვარი წარმატება სავსებით შეიძლებოდა დამაკმაყოფილებლად მჩვენებოდა, თუ ოდნავ მაინც შესაძლებელი იქნებოდა გარკვევა ჩემს ნაწერში. მაგრამ, საუბედუროდ, მათი აზრი ჩემთვის სრულ საიდუმლოებად რჩებოდა. ეს იყო ჩემთვის იგივე, რაც ჩინური წარწერების წაკითხვა ჩაის შეკრულაზე, ანდა ამოცნობა ოქროს ფიგურებისა, რომლებიც დახაზულია ხოლმე წითელსა და მწვანე შუშებზე, ქიმიურ მაღახიებში რომ არის გამოფენილი.

ისევ მელოდა მძიმე აუცილებლობა – დავბრუნებულიყავი უკანდა ახლად შევდგომოდი ამ მოლიპულ გზას. ეს ძნელიც იყო და საწყენიც; მაგრამ გავიმავრე გული, მოვიკრიბე ძალ-ღონე და წაგჩანჩალდი ლოკოკინის სიმძიმით ისევ იმავე გზით, ვცერდებოდი მეთოდურად ყოველ წინწკალზე და სასოწარკვეთილი გულმოდგინებით ვცდილობდი, გავრკვეულიყავი ამ ნიშნების ახირებული ცვალებადობის ყველა წერილმანში.

ბოლოს სავსებით დავიუფლე ეს ველური სტენოგრაფიული საიდუმლოებანი და ამის საშუალებით საგრძნობელი შემოსავალი გამიჩნდა. მე ვითვლებოდი საუკეთესო სტენოგრაფად, ვმუშაობ „დილის გაზეთისათვის“, რომლისთვისაც ვწერ პარლამენტის კამათს. ყოველ საღამოს ყურში ჩამესმის პოლიტიკური წინასწარმეტყველებანი, რომელთაც არასოდეს არ უწერიათ განხორციელება პოლიტიკურ სამყაროში, და მუდამ მესმის დრამააზროვანი განმარტებანი, რომელთა ერთადერთი მიზანია კაცობრიობის მოდგმის მისტიფიკაცია.

მე მეორე ასპარეზზედაც გამოვედი. შიშითა და თრთოლვით მოვიკიდე ხელი მწერლის კალამს. საიდუმლოდ დავწერე პატარა წერილი, გავგზავნე ჟურნალში და იგი დაბეჭდეს. ამის შემდეგ დავწერე მრავალი პატარა წერილი და ამჟამად



საგრძობელ გასამრჯელოს ვლებულობ ჩემი ლიტერატურული შრომისთვის. საზოგადოდ, ჩემი საყოფაცხოვრებო მდგომარეობა მტკიცე საფუძველს დაემყარა.

ჩვენ გადაგსახლდით ბუკინგების სასახლიდან მშვენიერ პატარა კოტეჯში, ლონდონის მიდამოში. პაპიდას არ უნდა ჩემთან ერთად ცხოვრება. მან აირჩია თავისთვის ჩემს ახლოს პაწაწინა სახლი. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ჩემს ცოლის შერთვას ხომ არა? დიას!

დიას! მე ვირთავ დორას! მის ლავინიამ და მის კლარისამ გამოაცხადეს ბოლოს თავიანთი თანხმობა.

დღეს მე და ტრედელსი მივედით დოქტორთა კლეგიაში. ორივეს აღელვებული სახეები გვაქვს. რაშია საქმე? ჩემი ბავშვური ოცნება განხორციელდა. მე ვიღებ ლიცენზიას კანონიერ შეუღლებისათვის.

– იმედი მაქვს, ძვირფასო მეგობარო, რომ მეორე ჯერზე უკვე შენ მოხვალ დოქტორთა კოლეგიაში იმავე საჭიროებისათვის, რამაც დღეს მე მომიყვანა აქ, – ვუთხარი ტრედელსს. – და იმედი მაქვს, რომ ეს ძალიან მალე მოხდება.

– გმადლობ კეთილი სურვილისათვის, ძვირფასო კოპერფილდ, – მიპასუხა ტრედელსმა, – მე თვითონაც იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხდება. დიდი ბედნიერებაა, როდესაც იცი, რომ ის თანახმაა გელოდოს, რა დრომდისაც გინდა.

– როდის უნდა წახვიდე დილიუანსების კანტორაში მის დასახვედრად? – ვეკითხები მე.

– შვიდ საათზე, – მიპასუხა ტრედელსმა, – მის ვიკფილდიც ხომ ამ დროს უნდა მოვიდეს?

– ცოტა უფრო გვიან.

თავის დროზე სოფი, ტრედელსის საცოლვე, მოდის დორას ნათესავების სახლში. მას მართლაც მეტად სასიამოვნო სახე აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ სოფი ნამდვილი ლამაზი იყოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, – არა; მაგრამ მისის სახე პირველივე შეხედვაზე იზიდავს ადამიანის გულს. იგი ეკუთვნის სადა, საყვარელ და გულუბრყვილო არსებათა რიცხვს.

მე გადმოვსვი აგნესა კენტერბერის დილიუანსიდან და მივიყვანე პუტნიში, სადაც ახლა ყველანი სტკბებიან მისი მხიარული და მშვენიერი სახის ცქერით.

და მაინც არ მჯერა ყოველივე ეს. სადამო მშვენიერია, ჩვენ ყველანი ისეთი ბედნიერები ვართ, რომ მეტის წარმოდგენაც შეუძლებელია. მაგამ არაფერი მჯერა. სული ვერ მომიბრუნებია, გონს ვერ მოვსულვარ ძლიერ შთაბეჭდილებათაგან. ბედნიერების სიჭარბე მაწვება და რაღაც უცნაური ბურუსი მიდგას თვალწინ. მეჩვენება, თითქოს გავიღვიძე დილაადრიან, ორი კვირის წინ, და მას შემდეგ აღარ დავწოლილვარ. ვერ წარმომიდგენია, როდის იყო გუშინდელი დღე, და ისე მეჩვენება, თითქოს იურიდიული ნებართვა ქორწინებისა უკვე სამი თვეა, რაც ჯიბეში მიდევს.

ყველაფერი მეეჭვება, არაფერი მჯერა, და ვბრუნდები ჩემს ბინაზე, რომელიც ახლა მიჭირავს პუტნის ახლოს. ვდგები დილაადრიანად და მივდივარ ჰაიგეტის გზაზე პაპიდას წამოსაყვანად.

არასოდეს არ მინახავს პაპიდა ახეთი გაბრწყინებული. მშვენიერი აბრეშუმის კაბა ეცვა და თეთრი ქუდი ხურავს. მისი დანახვა პირდაპირ მაცლებს. ჯენეტა, რომელიც ჩაცმაში შეელოდა პაპიდას, თვალუბრაგაყვანილი მიცქერს. პეგოტი მზად არის ეკლესიაში წასასვლელად; იგი აპირებს ზევიდან უყუროს ჯვრისწერას. მისტერ დიკს, რომლის მოვალეობაა დღეს ჩამაბაროს ჩემი ყმაწვილი ცოლი საკურთხეველის წინ, მშვენიერად დაუხვევია თმები. ტრედელსი, რომელსაც წინასწარ შეთანხმებით თემსარის ბიჭებთან შევხვდი, წარმოადგენს თავისი პერსონით დამაბრმავებელ შეერთებას ნაღებისა და ისასამნის ფერებისას. ისიც და მისტერ დიკიც საკვირველ შთაბეჭდილებას სტოვებენ თავიანთი ხელთათმანებით.

აი უკვე მივდივარ ღია ეტლით და სიბრალულით ვუცქერი საცოდავ ხალხს, რომელსაც არა აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ჩემს ქორწილში, ჰგვის ღუქნებს და მიდის საყოველღეო სამუშაოზე.

ყველაფერი დანარჩენი სიზმარია, უთავოლო, გაურკვეველი.

მე ვხედავ ამ სიზმრისებურ ჩვენებაში, როგორ შემოდის დორა თავისი ამალით, როგორ გვაყენებს საკურთხეველის წინ ეკლესიის დარაჯი ქალი.

და მეღანდება, თითქოს ბოლოს მოდის პასტორი. იწყება ჯვრისწერის წესი, სახეიმოდ ისმის პასტორის ხმა და ჩვენ ყველანი დიდი ყურადღებით ვუსმენთ.

მეჩვენება, თითქოს მის ღავინია, რომელიც პატარძლის მეგობართა შორის იმყოფება, პირველი იწყებს ხმამაღლა ტირილს და ამგვარად იგონებს დაუვიწყარ მისტერ პიკერს, მისი ლურჯი ცხვირით. მის კლარისა სპირტსა სუნავს; აგნესა დორას უვლის; პაპიდა წარმოადგენს შეურყეველი სიმტკიცის ნიმუშს, თუმცა ცრემლები ჩამოსდის ორივე ლოყაზე; პაწაწა დორა ჩვეულებრივ აძლევს პასუხს პასტორს.

და ვხედავ, ისევ სიზმარში, როგორ მიმყავს ხელიხელგაყრილი ჩემი პაწაწა ცოლი აუარებელ ხალხში, როგორ ვამბობ რაღაც სიტყვას, მაგრამ რას, – არავინ იცის და ყველაზე ნაკლებად თვითნ მე. ყველანი თავს ბედნიერად და კმაყოფილად გრძნობენ, – ჯიპიც კი, რომელსაც მისცეს საქორწინო ნამცხვრის ნაჭერი.

დგება გადამჭრელი წუთი, მე და დორა მივდივართ ერთად, ხელიხელჩაკიდებულები, მაგრამ დორა ჩერდება, უკან იხედება და იძახის ხმამაღალი ტირილით:

– თუ ვაწყენინე ვისმეს, დაივიწყეთ!

და, აი, ვხედავ, თითქოს, ბოლოს, გამოვდივართ ოთახიდან; იგი ერთხელ კიდევ დგება, იხედება, მიისწრაფის აგნესასკენ, მოეხვევა მას და ჰკოცნის, რადგან აგნესა ყველაზე ძალიან უყვარს.

საფოსტო ცხენები დაიდრნენ ადგილიდან. ჩვენ მივდივართ და ვფხიზლდები ძილისაგან. ეს კი სიცხადეა: აი, გვერდით მიზის ჩემი პატარა ცოლი, რომელიც სულითა და გულით მიყვარს.

– ბედნიერი ხარ ახლა, ჩემო სულელო ბიჭუნა? – მეკითხება დორა. – დარწმუნებული ხარ, რომ არ ინანებ?

იმ დღეთა აჩრდილებმა გაიქროლეს ჩემს წინ ბურუსიან წარსულში და მე განვაგრძობ ჩემი ცხოვრების ამბავს.

თავი ორმოცდამეერთე

ჩვენი ოჯახი

გათავდა ქორწილი, პატარძლის მეგობრები წავიდ-წამოვიდნენ. მე და დორა მარტონი დავრჩით ჩვენს პატარა სახლში.

აი ჩვენ ორნი ვართ და სხვას არავის აღარ ეკითხება ჩვენი საქმე, რადგან ჩვენი სიცოცხლის რომანი დასრულდა. აღარავის ვეწონებით... ესე იგი, ახლა მხოლოდ ერთმანეთს უნდა მოვეწონოთ, სხვას არავის, მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში.

როდესაც ზოგჯერ კარგა დაგვიანებით ვბრუნდებოდი პარლამენტის სხდომის შემდეგ, მეტად უცნაურად მეჩვენებოდა ხოლმე, რომ სახლში დორა მომელოდა. აი მე ვახშამს მივუჯექი და დორა ფეხაკრეფით მოიპარება ჩემთან სალაპარაკოდ, – რა შეიძლება იყოს ამაზე საკვირველი?

როგორც წესია, ჩვენ მოახლეც გვყავდა. მთელი სახლი მას ებარა. საშინელი დრო გამოვიართ ამ მერი-ანას ხელში:

მერი-ანას ატესტატი ჰქონდა, უზარმაზარი და მქუხარე, როგორც პროკლამაცია. იგი სიცოცხლის აყვავების ასაკში იმყოფებოდა, იყო მიძიმე, სრული, ცოტათი მკაცრი. ჰყავდა (როგორც წესია) ბიძაშვილი, ჰუსარი, ისეთი გრძელფეხება, რომ შეიძლებოდა გჩვენებოდათ ადამიანის სადამო დროის წაგრძელებულ ჩრდილად. ჩვენი პატარა სახლი უფრო პატარავდებოდა მისი მუდამ იქ ყოფნის გამო.

ატესტატში აღნიშნული იყო, რომ მერი-ანა პატიოსნებისა და სიფხიზლის იშვიათი ნიმუშია. მაშასადამე, ვაღდებული ვიყავი დამეჯერა, რომ მას შემთხვევით წაუვიდა გული, როდესაც ერთხელ სამზარეულოში, დიდი ქვების ქვეშ, უგონოდ მდებარე ვიპოვეთ და როდესაც ერთხელ უეცრად დაგვეკარგა ჩაის კოვზები, უნდა მივხედრილიყავი, რომ ისინი მოიარა მომსვლელმა მუშამ, რომელსაც ნაგავი გაჰქონდა.

მერი-ანამ ტყვედ ჩაგვიგლო უმოწყალოდ და შეუბრალებლად. ვგრძნობდით ჩვენს გამოუცდელობას და სრულებით მოკლებულნი ვიყავით საშუალებას, რაიმე წინააღმდეგობა გაგვეწია მისთვის. ეს ქალი, ყოვლად შეუბრალებელი, მშვენივრად სარგებლობდა თავისი მდგომარეობით. მერი-ანა იყო მიზეზი ჩვენი პირველი უთანხმოებისა.

– როგორ გგონია, – ვუთხარი ერთხელ დორას, – მერი-ანა რაიმე ანგარიშს უწევს დროს?

– განა რა მოხდა, დოდი? – მითხა დორამ და თავისი უმანკო თვალები მოაშორა ნახატს.

– აი, უკვე ხუთი საათია, და ჩვენ კი საათზე ვსადილობთ.

დორამ მზრუნველობით შეხედა საათს და მითხრა, რომ საათი, საფიქრებელია, ცოტათი წინ მიდის.

– პირიქით, გენაცვალე! საათი უკან რჩება რამდენიმე წუთით, – შევნიშნე მე, როდესაც ჩემს საათს დავხედე.

ჩემს დასამშვიდებლად ჩემი პატარა ცოლი დამიჯდა მუხლებზე და ცხვირის ბოლოზე ფანქარი გამისვა. ეს ძალიან სასაცილო იყო, მაგრამ მაინც მშიერი დავრჩი.

– ყური დამიგდე, დორა, ნუ ბავშვობ. შენ უეჭველია, გახსოვს, რომ გუშინ სადილიდან ავდექი და გუშინწინ ავადაც კი გავხდი, რადგან იძულებული ვიყავი, მეჭამა ხბოს უმი ხორცი. დღეს კი სრულებით არ ვსადილობ. ისიც იცი, როგორი ჩაით გაგვიმასპინძლდა დღეს მერი-ანა. არც კი შეიწუხა თავი, რომ წყალი აედუღებინა. აზრად არ მაქვს გისაყვედურო, ჩემო კარგო, მაგრამ დამეთანხმე, რომ ეს არაა კომფორტაბელური.

– აჰ, შე გულქვა, გულქვა, სასტიკო ბიჭო! – შესძახა დორამ. – მე მეუბნება, რომ ცუდი ცოლი ვარ!

– შენ იცი, გენაცვალე, რომ ეს არასოდეს არ მითქვამს.

– შენ სოქვი, რომ კომფორტაბელური არა ვარ.

– სრულებით არა, მე ვოქვი, რომ ჩვენს ოჯახში არ არის კომფორტი.

– განა ეს ერთი და იგივე არ არის? – შესძახა დორამ.

დორას პატარა გულმა საგრძნობი ჭრილობა მიიღო, იგი ვერასგზით ვედარ დავამშვიდე, მისი ტირილი და ქვითინი ისეთი ღრმა სევდით იყო სავსე, თითქოს უსაშინლესი წყენა მივაყენე. საჩქაროდ გავედი სახლიდან. მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე სახლში დავბრუნდებოდი, სინდისი საშინლად მტანჯავდა და ჩემს თავს ვთვლიდი ბოროტმოქმედად, რომელმაც შეიწირა უმანკო მსხვერპლი.

უკვე დამის ორი თუ სამი საათი იყო, როდესაც სახლში დავბრუნდი. სასტუმრო ოთახში პაპიდა იჯდა და მელოდა.

– ხომ არაფერი მოხდა, პაპიდა? – ვკითხე უნებური თრთოლვით.

– არაფერი, ტროტ! – მიპასუხა პაპი დამ წყნარი კილოთი. – დაჯექი, ჩემო კარგო, დაჯექი. პატარა ყვავილი გუნებაზე არ იყო ამ სადამოს და მინდოდა, ცოტათი გამემხიარულებინა. მეტი არაფერი.

– თქვენ ვერ წარმოდიგენტ, პაპიდა, როგორ ვიტანჯებოდი მთელი ამ ხნის განმავლობაში, როდესაც დორას მდგომარეობაზე ვფიქრობდი, – ვუთხარი მე. – მაგრამ აზრადაც არ მომსვლია მისი შეურაცხყოფა. მინდოდა მხოლოდ მეგობრულად და გულახდილად მოვლაპარაკებოდი ჩვენს შინაურს საქმეებზე.

პაპი დამ თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად.

– შენ ცოტა მეტი მოთმინება უნდა იქონიო, ტროტ, – მითხრა მან. – საქმე იმაშია, რომ პატარა ყვავილი მეტად ნაზი ყვავილია, როგორც იცი, და ქარის ოდნავი ქროლვა მისთვის საგრძნობი ხდება.

გუნებაში მადლობა გადავუხადე პაპიდას ასეთი სინაზისთვის ჩემი ცოლისადმი, და მან წაიკითხა ეს მადლობა ჩემს თვალებში.

– როგორ გგონიათ, პაპიდა, – ვუთხარი მე და თან ბუხარში ვიყურებოდი, – თქვენ რომ დროდადრო ურჩიოთ ხოლმე დორას... ჩვენი საერთო სიკეთისათვის...

– ტროტ, – მიპასუხა პაპი დამ ერთგვარი აღლვებით, – არა, ნუ მთხოვ მაგას! შენ ჯერ ბავშვი ხარ, ტროტ... დიახ, ჩემო კარგო! – განაგრძო პაპი დამ. – მე რომ ჩავერიო თქვენ საქმეებში, ვინ იცის, როგორი განხეთქილება მოხდეს თქვენს შორის და როგორ დაიტანჯება ამისგან პატარა ყვავილი. ამაზე ლაპარაკიც მეტია. მე მინდა, მას ვუყვარდე და მუდამ მხიარული იყოს, როგორც პეპელა. მოიგონე მეორე ცოლ-ქმრობა შენს მშობლიურ სახლში და ნუღარ მიმართავ ნურც მას, ნურც მე იმ შენიშვნებით, რასაც ახლა გულისხმობდი.

უეცრად მივხვდი ამგვარი მსჯელობის მთელ საფუძვლიანობას და პაპიდას დიდსულოვან აზრებს ჩემი ცოლის შესახებ.

– დრო ჯერ ბევრია წინ, ტროტ, თქვენი ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყება, – განაგრძო პაპი დამ. – შენი არჩევანი თავისუფალი იყო (კაემნის ღრუბლებმა, როგორც მეჩვენა, ერთი წუთით დაჩრდილა მისი სახე) და შენ ამოირჩიე ლამაზი, მოსიყვარულე, ნაზი არსება. შენი ვალია და, ამასთან, სასიამოვნო მოვალეობაც, პატივი სცე და დააფასო ის ღირსებანი, რომელიც მასში ჰპოვე, და არა ისინი, რომელიც მას ჯერ არ აქვს. თუშეცა ყოველივე ეს თვითონაც იცი და სრულებით არ ვაპირებ გაკვეთილის კითხვას, მაგრამ გახსოვდეს, ჩემო კარგო, რომ მთელი თქვენი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ თქვენს ხელთ არის და თქვენზე არის დამოკიდებული. არავის სხვას არ შეუძლია თქვენი შველა. ეცადეთ, თვითონ მოაწყოთ თქვენი ბედი. ამაშია ცოლქმრობა, ჩემო კარგო ტროტ! თქვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში ხართ, როგორც ორი ბავშვი ტყეში.

და ამ სიტყვებით, რომელიც მხიარული კილოთი იყო წარმოთქმული, პაპი დამ ნაზად მაკოცა, რომ ამრიგად მტკიცედ ექცია თავისი სურვილი.

როდესაც მარტო დავრჩი, დორა გამოვიდა ჩემთან თავისი პატარა ქოშებით. იგი ქვითინით გადამეხვია და მითხრა, რომ სასტიკად მოვიქეცი და რომ ისიც, თავის მხრივ, განებოვრებული და ზვიადი ბავშვია. შევრიგდით და გადავწყვიტეთ, რომ ეს პირველი უსიამოვნება უკანასკნელიც იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში.

ოჯახური მოუწყობლობა ისევ გრძელდებოდა. ყველას, როგორც ეტყობოდა, პირი შეეკრა ჩვენს მოსატყუებლად და გასასულელებლად. როდესაც დუქანში მივიდოდით, ვაჭარი უსათუოდ ცდილობდა, გაესაღებინა უვარგისი საქონელი. თუ ზღვის კიბოს ვყიდულობდით, იგი მთლად წყლით იყო სავსე. ხორცი მუდამ ხესავით მაგარი იყო, და პური, რომელიც სუფრაზე მოჰქონდათ, მუდამ გამხმარ ქერქებად იქცეოდა ხოლმე.

იმ ანგარიშის მიხედვით, რომელსაც წარმოგვიდგენდა ხოლმე მეწვრილმანე-ვაჭარი, შეიძლებოდა ეფიქრა ადამიანს, რომ ჩვენ შემოვიღეთ ექსცენტრიული ჩვეულება – ერბო მოგვესვა იატაკზე მთელ ქვედა სართულში, იმდენს ვხმარობდით თურმე ამ სანოვაგეს. იმხანად არ მომიხდა ოფიციალური

ანგარიშების წაკითხვა, რომელსაც ადენს შინაგან გადასახადთა დეპარტამენტი, და არ ვიცი, რა ზომამდე აიწია მაშინ მოთხოვნილებამ პილპილზე, მაგრამ თუ ჩვენმა მოთხოვნილებამ ცხადი გავლენა მოახდინა პილპილით ვაჭრობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალმა ოჯახმა სრულებით უარი სთქვა პილპილის ხმარებაზე; და ყველაზე საკვირველი აქ ის გარემოება იყო, რომ არასოდეს არ მინახავს ეს მასალა ჩემს სახლში ან ჩემს სუფრაზე.

მოსარეცხე დროგამოშვებით აგირავებდა დუქანში ჩვენი სარეცხის ნაწილს და შემდეგ მოდიოდა ჩემთან ბოდიშის მოსახდელად სრულებით მთვრალი. მაგრამ ამაზე აღარას ვამბობ, რადგან ამგვარი ამბები ყველას ემართება.

პირველი ჩვენი შინაური წვეულება იყო პატარა სადილი ტრედელსის პატივსაცემად. როდესაც სუფრაზე დავსხედით, ზალიან მინდოდა, ჩვენთვის ადგილი ყოფილიყო. არ ვიცი როგორ გამოდიოდა ეს, მაგრამ ჩვენ მუდამ ადგილი არ გვეოფნიდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორნი ვცხოვრობდით. ეს, როგორც საფიქრებელია, იმიტომ ხდებოდა, რომ არც ერთი ნივთი არ იდგა ჩვენს სახლში თავის ადგილას.

არანაკლებად ვნატრობდი, რომ ჯიპს ერთხელ და სამუდამოდ აკრძალული ჰქონოდა სუფრაზე სეირნობა სადილობის დროს. უკვე მარტო მისი მაგიდაზე ყოფნა არღვევდა სურფის ერთგვარ წესიერებას. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანდა, დარწმუნებული იყო, რომ მას ევალბოდა ტრედელსის შეშინება. უყვოდა ჩემს ძველ მეგობარს და ყოველ წამში იერიში მიჰქონდა მის თეფშზე ისეთი დაუცხრომელი სიჯიუტით, რომ მთელი უფლება ლაპარაკისა სადილის დროს მხოლოდ მას დარჩა.

და მიუხედავად ყოველივე ამისა, არავითარი შენიშვნა არ გამიკეთებია, რადგან ვიცოდი დორას მგრძნობიარე გულის ამბავი, რომელიც მზად იყო სასოწარკვეთილებამდე მისულიყო საყვარელი ფინიას უფლებათა ოდნავი შელახვის გამო. ამგვარივე მოსაზრებით არაფერი მითქვამს იმ არეულარევის შესახებ, რომელიც სუფრაზე სუფევდა და რომლის მიზეზით თეფშები იატაკზე ეყარა. სადილის ჭურჭელი მაგიდაზე იდგა, მაგრამ იდგა მთვრალივით და ადამიანს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ყველას ეს ბოთლი და შუშა მომდურავად არიან ერთმანეთთან. ტრედელსს ამ დროს მთლად მიყრილი ჰქონდა წინ ჭიქები და თეფშები, თითქოს გადავწყვიტეთ მისი ალყის შემორტყმა. როდესაც მოიტანეს ცხვრის ფეხი, რომელიც მე უნდა დამეჭრა, გაცვებით დავეკითხე ჩემს თავს, რად იღებს ყოველნაირი ხორცი ჩვენს სახლში ასეთ უცნაურ სახეს, და ნუთუ ყასაბმა გარდაუვალ წესად დაადგინა, მოეცა ჩემთვის ეს ყველაზე მახინჯი ცხვარი, რომელიც კი ბრიტანეთის ბაზარზე მოიპოვება-მეთქი.

ჩვენ ვჭამდით ცხვრის ხორცს... ესე იგი, ცხვრის ხორცის იმ ნაწილს, რომელიც ვარგოდა საჭმელად. თუმცა ტრედელსი, ჩვენთვის რომ ესია მოგნებინა, მზად იყო ველურად გადაქცეულიყო და ეჭამა გაურჩევლად უმი ხორცი, მაგრამ სრულებით არ მინდოდა, რომ მას ასეთი მსხვერპლი მოეტანა მეგობრობის სამსხვერპლოზე. საბედნიეროდ, საკუჭნაოში ინახებოდა ღორი და ამითი გავეუმასპინძლდი ჩემს მეგობარს.

ჩემი პატარა ცოლი საშინელ შიშში იყო, რომ გავუჯავრდებოდი, მაგრამ მით უფრო დიდი იყო მისი სიხარული, როდესაც დაინახა, რომ არ ვაპირებდი გაჯავრებას. წუთიერმა წყენამ, რომელიც მოახდინა უწესო სადილმა, სწრაფად გაიარა და ძალიან სასიამოვნო საღამო გავატარეთ.

როდესაც ტრედელსი წავიდა და მისი გაცილების შემდეგ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, დორამ მოსწია ჩემსკენ სკამი და გვერდზე დამიჯდა.

– მე ნაღვლიანად ვარ, – მითხრა მან. – ხომ არ გინდა მასწავლო, დოდი?

– მე ჯერ თვითონ უნდა ვისწავლო, რადგან ისეთივე გამოუცდელი ვარ, როგორც შენ, დორა.

– კი, მაგრამ შენ შეგიძლია ისწავლო, დოდი, რადგან შენ ჭკვიანი ხარ, ძალიან ჭკვიანი!

– სისულელეა, გენაცვალე, სისულელე!

– როგორ მწყინს, – დაიწყო ჩემმა ცოლმა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, – როგორ მწყინს, რომ არ მომიხდა აგნესას გვერდით ცხოვრება ერთი წელი მაინც!

იგი დაეყრდნო ნიკაპით ხელებს, რომლებიც ჩემს მხარზე ელო და მისი ცისფერი თვალები უძრავად მომჩერებოდნენ თვალებში.

– მე მინდა, დოდი, რომ შენ რამე განსაკუთრებული სახელი მიწოდო, – მითხრა დორამ პოზის გამოუცვლელად.

– როგორი, მაგალითად? – ვკითხე მე დიმილით.

– ეს, რასაკვირველია, სულელური სახელია, – თქვა მან და გაიქნია კულულები, – პაწაწინა ცოლი!

გავიციინე და ვკითხე ჩემს პაწაწინა ცოლს, რად მოუვიდა თავში ასეთი უცნაური სურვილი. მისი ცისფერი თვალები ახლა უფრო ახლოს იყვნენ ჩემთან, რადგან ხელი მოვხვიე ყელზე.

– მე სრულებით არ მინდა, სულელო ბიჭუნა, რომ ეს სახელი შენ მიწოდო დორას მაგივრად, სრულებითაც არა! მე მხოლოდ მინდა, რომ შენ ამგვარად იფიქრო ჩემს შესახებ. თუ შენ აზრად გექნება – მე გამიჯავრდე, წინასწარ უთხარი შენს თავს: „ეს ხომ ჩემი პაწაწინა ცოლია!“ თუ მე მომეწყინება ხოლმე, შენ ისევ სთქვი: „მე დიდი ხანია ვიცოდი, რას უნდა მოველოდე ამისთანა პაწაწინა ცოლისაგან“. თუ შენ ვერ იპოვი ჩემში ყველა იმ თვისებას, რომელიც, როგორც მგონია, მე არასოდეს არ მექნება, შენ იფიქრე ცოტათი და სთქვი: „მაინც ჩემს სულელ პაწაწინა ცოლს ძალიან ვუყვარვარ!“ იმიტომ რომ, მართლაც ძალიან მიყვარხარ, დოდი!

დორას ამ მომართვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. დაე მისი მშვენიერი, უმანკო სახე გამოვიდეს წარსულის წყვილიდან და დაე ისევ მომაპყროს თავისი მშვენიერი თვალები; ვაცხადებ, რომ ეს პატარა სიტყვა მუდამ ცოცხლობდა ჩემს მეხსიერებაში, შესაძლებელია, ვერ გავაკეთე ყველაფერი, რაც საჭირო იყო, რადგან თვითონაც ყმაწვილი და გამოუცდელი ვიყავი, მაგრამ არასოდეს არ დავრჩენილვარ უყურადღებოდ ამ უბრალო და სადა თხოვნისადმი.

წლოვანებით თვითონაც ყმაწვილი-ქმარი ვიყავი. თუ ბევრ შემთხვევაში შეცდომას ჩავდიოდი, ჩემი შეცდომის ნიადაგი იყო ცუდად გაგებულ სიყვარული და ცხოვრების გამოუცდელობა.

ამრიგად, მე მხოლოდ ჩემს თავზე ავიღე მთელი სიმძიმე და შრომა ოჯახური ცხოვრებისა და არ მყავდა ამხანაგი ჩემს საკუთარ სახლში. ჩვენ მოუწყობლად ვცხოვრობდით, მაგრამ უკვე შევეჩვიე ამ შინაურ უწესობას და ძალიან მოხარული ვიყავი, რომ დორა აღარ ნაღვლობდა... იგი უწინდებურად მხიარული და ცელქი იყო, როგორც ბავშვი, ნაზად ვუყვარდი და სრულს ბედნიერებას პოულობდა ბავშვურ გართობაში.

როდესაც პარლამენტის თათბირი ძალიან გაგრძელდებოდა და გვიან ვბრუნდებოდი სახლში, დორა ყოველთვის გამოდიოდა ჩემს დასახვედრად, როგორც კი გაისმოდა ტალანში ჩემი ფეხის ხმა. უჩემოდ ჩემი პაწაწინა ცოლი არასოდეს არ წვებოდა. თუ არ იყო სტენოგრაფიული სამუშაო, რომელიც ასეთ საშინელ შრომად და მოთმინებად მიღირდა, ჩვეულებრივად ლიტერატურულ მუშაობას ვეწეოდა; დორა მუდამ იჯდა ჩემს პირდაპირ, უტყვი, როგორც თევზი. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ მას დაეძინა, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი თავს ავიღებდი, მისი ცისფერი თვალები მომანათებდა დაკვირვებული და წყნარი ყურადღებით.

– აჰ, როგორი დაუღალავი ბიჭუნა ხარ! – მითხრა დორამ ერთხელ ღამით, როდესაც უჯრას ვკეტავდი და მის თვალებს შევხვდი.

– როგორი დაუღალავი გოგონა! – ვუთხარი მე. – ეს უფრო სწორი იქნება. მეორეც, ჩემო სულიკო, გირჩევ, წახვიდე ხოლმე და დაიძინო. ნუღარ დამიწყებ ლოდინს. ეს მეტიხმეტად გვიანია შენთვის.

– ო, არა, ნუ დამითხოვ, დოდი! – მევედრებოდა ჩემი პაწაწინა ცოლი და თან მეკვროდა. – ძალიან გთხოვ, ნუ დამითხოვ!

– დორა!

ჩემდა გასოცრად, მან ქვითინი დაიწყო ჩემს მკერდზე.

– შენ უქეიფოდ ხარ, ჩემო კარგო? უბედური ხარ?

– არა, დოდი! მე სრულებით ჯანმრთელად ვარ და ძალიან ბედნიერიც, ოღონდ შენ, გეთაყვა, მომეცი ნება – ვიჯდე შენს კაბინეტში და გიყურო, რდესაც წერ.

– რა სანახაობაა ეს შენი ჟუჟუნა, ნათელი თვალებისათვის ამ შუადამეს?

– განა ჩემი თვალები ჟუჟუნაა? – მიპასუხა დორამ მხიარული სიცილით. – მე ისე მიხარია, რომ ჟუჟუნაა! თუ შენ ჩემი თვალები მართლაც ლამაზად მიგაჩნია, დოდი, მაშინ ნება მომეცი, მუდამ ვიჯდე და გიყურო, როგორ წერ. მართლა ლამაზად სთვლი ჩემს თვალებს?

– მშვენიერებაა!

– მაშ ვიჯდები შენს კაბინეტში და ვუყურებ შენს წერას!

– მეშინია, ჩემო კარგო, ამისგან თვალებს სილამაზე არ დაეკარგოს.

– არა, დოდი, არა, გარწმუნებ! შენ ხომ ჭკვიანი ბიჭუნა ხარ. იმედი მაქვს, მთლად არ მივიწყებ ამ მუსაობის დრეოს, როდესაც შენი თავი სავსეა ფანტაზიებით. იცი რა, დოდი? მინდა გთხოვო ერთი... ძალიან სულელური რამ, – მითხრა დორამ მორიდებით.

– ვნახოთ, რა საკვირველი თხოვნაა!

– ნება მომეცი, დოდი, კალმები გაგიტალო ხოლმე. ხომ უნდა გავაკეთო რამე მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ შენ მიცემული ხარ შენს სამუშაოს. მაშ ნება მომეცი, კალმები გაგიტალო, ჰა?

ამის შემდეგ ყოველთვის, როდესაც კი წერას დავიწყებდი, დორა დაჯდებოდა ხოლმე თავის ალაგას, კალმების უშველებელი კონით. ახლა იგი ამაცობდა იმით, რომ უშუალო მონაწილეობას იღებდა ჩემს შრომაში, და ძალიან უხაროდა, როდესაც კალამი დამჭირდებოდა. რომ მესიამოვნებინა მისთვის, ვიცვლიდი კალებს, რაც შეიძლებოდა ხშირად, და ჩემი პაწაწინა ცოლის აღტაცება თვით ჩემთვის იყო ახალი სიამოვნების წყარო. მოხდებოდა ხოლმე, რომ ისე მოვჩვენებდი, თითქოს ჩემთვის აუცილებელია, გადაწერა ხელნაწერის ერთი ან ორი გვერდისა. მაშინ იყო დორა დიდ ამბავში. ამ დიდი შრომის სამზადისში იგი იცვლიდა რამდენიმე წინსაფარს, მოჰქონდა სამზარეულოდან ჩერები კალმებიდან მეღნის მოსაშორებლად და ყოველ წამში ჩერდებოდა, რომ ეჩვენებინა თავისი ნამუშევარი ჯიპისთვის. იგი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მისი შრომა დაუმთავრებელია, თუ ბოლოში თავის სახელსა და გვარს არ მოაწერდა. ხელის მოწერის შემდეგ იგი გამარჯვებული წარმომიდგებოდა ხომე თავის ნაშრომს სამსჯავროდ. და როდესაც შევაქებდი მის ნამუშევარს, პაწაწინა ცოლი ყელზე მეხვეოდა აღტაცებით გულაჩუყებული. ყველა ეს მოგონება, უბრალო და წვრილმანი სხვებისთვის, დაუფასებელია ჩემთვის.

მალე მან მიიღო თავის განკარგულებაში გასაღებების აბმულა და განუწყვეტლივ აუღარუნებდა, როდესაც წინ და უკან დადიოდა მთელს სახლში. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს აბმულა მხოლოდ სათამაშოდ გამოადგა ჯიპს, და იშვიათად დამხვედრია დაკეტილი ის ადგილები, რომელთათვისაც ეს გასაღებები იყო დანიშნული. მაგრამ დორას ძალიან უხაროდა და მეც მიხაროდა მასთან ერთად. იგი სავსებით კმაყოფილი იყო დიასახლისობის ამ ფანტასტიკური აჩრდილებით და ჩვენ ორივენი ძალიან ვმხიარულობდით, თითქოს ბავშვების სათამაშოდ აგებულ ქაღალდის სახლში ვცხოვრობდით.

ასე დაიწყო და მიმდინარეობდა ჩვენი ოჯახის საქმეები. დორას შეუყვარდა პაპიდა, თითქმის ისევე, როგორც მე მიყვარდა, და ხშირად უამბობდა იმ დროზე, როდესაც წარმოდგენილი ჰყავდა პაპიდა, როგორც „ბრაზიანი, ბუზღუნა დედაბერი“. პაპიდას მოქცევამ საბოლოოდ დაკარგა უწინდელი სიმკაცრე და უკმეხობა. იგი უაღერსებდა ჯიპს, თუმცა ჯიპი არასოდეს არ პასუხობდა აღერსით; ყოველდღე ყურს უგდებდა გიტარას, თუმცა წინათ არასოდეს შემინიშნავს მასში განსაკუთრებული სიყვარული მუსიკისადმი. იგი ფეხით გადიოდა დიდ მანძილს, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ეყიდნა დორასთვის რაიმე საჩუქარი და ესიამოვნებინა მისთვის. ხშირად მთელს სახლში გაისმოდა პაპიდას მხიარული ხმა; იგი კითხულობდა:

– სად არის პატარა ყვავილი?

თავი ორმოცდამეორე

მისტერ დიკი ამართლებს პაპიდას იმედებს

უკვე დიდი ხანი იყო, რაც თავი დავანებე მუშაობას დოქტორ სტრონგთან. ჩვენ მეზობლად ვცხოვრობდით და ამიტომ საკმაოდ ხშირად ვხვდებოდი მას. ერთხელ თუ ორჯერ ჩვენ, მთელი ოჯახი, ვიყავით მათთან სადილზე და ჩაის დასალევად. ძველი ჰუსარი სამუდამოდ მოეწყო ბინაზე თავის სიძესთან. მისის მარკლჰემს უყვარდა საზოგადოებაში გამოჩენა და ყოველგვარი გასართობები გაცილებით მეტად. ვიდრე მის ქალს. იგი მზად იყო ემხიარულა ყოველთვის, თავს კი ისე აჩვენებდა, თითქოს ყოველივე ამას სჩადიოდა თავისი საყვარელი შვილის გულისთვის.

– ძალიან მინდა, ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ არა მგონია, რომ ამ საქმეში მათ უშველოს რაიმე ამ მეომარმა მეგობარმა (ასე ეძახდა პაპიდა ძველ ჰუსარს), – ამბობდა პაპიდაჩემი. სამაგიეროდ, მას მტკიცე რწმენა ჰქონდა მისტერ დიკისა.

– ამ ადამიანს, – ამბობდა პაპიდა, – რაღაც აქვს აზრად. ადრე თუ გვიან, თავს იჩენს როგორმე არაჩვეულებრივად.

მისტერ დიკი, მგონი, ეჭვითაც კი არ გრძნობდა, რომ ასეთი აზრი არსებობდა მის შესახებ. დოქტორსა და მის მეუღლესთან დამოკიდებულებაში იგი ერთ წერტილზე შეჩერდა და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მისტერ დიკი სრულებით მოკლებული იყო ამ ადგილიდან დაძვრის უნარს.

მაგრამ ერთ საღამოს, ჩემი ჯვრისწერის რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მარტოკა ვიჯექი საწერ მაგიდასთან სასტუმრო ოტახში, მისტერ დიკმა მოულოდნელად თავი შემოყო კარებში და დიდმნიშვნელოვნად ჩაახველა, რომ მიექცია ჩემი ყურადღება.

– ტროტვუდ, – მითხრა მან მისაღმების შემდეგ, – სანამ დავჯდებოდე, ერთი შენიშვნა: იცნობთ თქვენს პაპიდას?

– მგონია, რომ ცოტათი ვიცნობ, – ვუპასუხე მე.

– ეს ხომ ყველაზე საოცარი ქალია დედამიწის ზურგზე, სერ!

ამ სიტყვებით მისტერ დიკი სკამზე დაჯდა და შემომხედა.

– რა აზრის ხართ ჩემზე, სერ? – მკითხა დიკმა და გულხელი დაიკრიფა.

– მე გთვლით ჩემს ჭეშმარიტ მეგობრად, მისტერ დიკს, – ვუპასუხე მე.

– გმადლობთ, ტროტვუდ, – მითხრა მისტერ დიკმა და იმწამსვე სკამიდან წამოხტა, რომ ხელი ჩამოერთმია ჩემთვის. – მაგრამ საქმე ამაში არ არის. – განაგრძო მან და ისევ მიიღო მშვიდი და დიდმნიშვნელოვანი გამომეტყველება, – მინდა ვიცოდე, რა აზრის ხართ თქვენ ჩემზე ამ მხრივ?

აქ მან თავის შუბლზე მიმითითა.



გამაკვირვა ამ კითხვამ და არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მაგრამ მისტერ დიკმა თვითონვე გამომიყვანა უხერხული მდგომარეობიდან.

– სუსტი ვარ? – იკითხა მან.

– დიახ, იქნებ ცოტაოდენ, – ვუპასუხე გაუბედავი კილოთი.

– მოვისულელებ! პაპიდა ამბობს, რომ არაფერია, არც კი უნდა ათხოვოს ყური ამას, მაგრამ მე ვიცი! იგი რომ არ იყოს ჩემი მეგობარი, ჩემი მფარველი, ჩამამწყვედვენენ სადმე. მაგრამ მე ვიზრუნებ მისთვის! არაფერი არ დამიხარჯავს იმ ფულიდან, რომელიც მივიღე გადაწერაში. უკვე შევადგინე ანდერძი. ვუტოვებ მას მთელ ჩემს ქონებას!

მისტერ დიკმა ამოიღო ცხვირსახოცი და თვალები მოიწმინდა.

– აი, თქვენ, ტროტვუდ, – მითხრა მისტერ დიკმა, თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ, ძალიან ჭკვიანი. თქვენ იცნობთ დოქტორს და იცით, რომ იგი მეცნიერია. მერე? თქვენ თვითონ ჰხედავთ, როგორ პატივს მცემს იგი მე. იგი არ არის ამაყი, მიუხედავად იმისა, რომ სწავლულია; იგი თავმდაბალი, აღერსიანია, დიკთანაც კი რომელსაც არაფრისა გაეგება რა! მისი მშენიერი მეუღლე! – შესძახა უეცრად მისტერ დიკმა. – ო, ეს მნათობია, ბრწყინვალე მნათობი! მაგრამ... – აქ მან ახლოს მოსწია სკამი და ხელი მუხლზე დამადო, – ღრუბლები სერ, ღრუბლები.

– მათ ემჩნევათ დაშორიშორება ერთმანეთისგან, – ვუთხარი მე, – მათ აშორებთ ერთმანეთისაგან რაღაც უბედური გარემოება. შესაძლებელია, რომ ეს წელთა შეუფერებლობისაგან იყოს; მაგრამ შესაძლებელია, ეს დაშორება წარმოიშვა თანდათან, სრულიად უმნიშვნელო და შეუმჩნეველი მიზეზებისაგან.

ყოველი ამ დებულების შემდეგ მისტერ დიკი ჩაფიქრებული იქნედა თავს. შემდეგ რამდენიმე ხნის განმავლობაში ხმაამოუღებლად იჯდა.

– დოქტორი უწყობა მას, ტროტვუდ? – იკითხა მან ბოლოს.

– პირიქით, სულით და გულით უყვარს.

– მაშ, ტროტვუდ, მე ვიცი, რაშიც არის საქმე, – შესძახა მისტერ დიკმა. იგი გაჩერდა ჩემს წინ, რაღაც აღტაცებით დაიქნია თავი და გულში ხელი ჩაირტყა.

– სულელი, სერ, – მითხრა მისტერ დიკმა, – სუსტი ჭკუის ადამიანი, ერთი სიტყვით, მე გავაკეთებ იმას, რის გაკეთებაც ვერ მოახერხა ჭკვიანმა ხალხმა. შევარიგებ უბედურ ცოლ-ქმარს. მე არ გამიწვევენ წინაღმდეგობას, არ მიაქცევენ ყურადღებას, თუ რამე ისე არ გამოვიდა. მე მხოლოდ დიკი ვარ, და ვინ აქცევს ყურადღებას დიკს? რას ნიშნავს დიკი? სრულებით აარფერს! ფუ! – და მან ზიზღით შეუბერა, თითქოს თავისი თავი უნდოდა აღეგავა დედამიწის ზურგიდან.

მან ვერ მოასწრო საიდუმლოების გამჟღავნება, რადგან ამ დროს ბაღის კარებს მოადგა ეტლი, რომელიც ბრუნდებოდნენ სეირნობიდან პაპიდა და ღორა.

ერთ მშენიერ სარამოს მე და პაპიდა წავედით დოქტორის აგარაკზე. მისის სტრონგი ეს-ეს იყო დაბრუნებულიყო ბაღიდან, სადაც მისტერ დიკი, დანით ხელში, ჯერ კიდევ შეველოდა მებადეს სარების ჩასმას. დოქტორი გართული იყო რაღაც საქმეში ვიღაც სტუმრებთან, თავის კაბინეტში, მაგრამ მისის სტრონგმა დაგვარწმუნა, რომ სტუმრები მალე წაველენო, და გვთხოვა მოგვეცადნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში შემოირბინა გაზეთით ხელში მისის მარკლჰემმა. იგი არაჩვეულებრივად ალელვებული იყო.

– აჰ, ანი, რატომ არ გამაფრთხილე, რომ კაბინეტში უცხო ხალხია? – შესძახა მისის მარკლჰემმა. – წარმოიდგინე ჩემი გრძნობა, როდესაც შევესწარი პატივცემულ დოქტორს ანდერძის შედგენის დროს!

ამ სიტყვებზე მისი ქალი სწრაფად მობრუნდა ფანჯრიდან.

– დიახ, ძვირფასო ანი, – დაუმატა მისის მარკლჰემმა, – მე შევედი სწორედ იმ წუთში, როდესაც იგი აცხადებდა თავის უკანასკნელ ნებას და ხელს აწერდა ანდერძს. დაწვრილებით უნდა ვიამბო, რომ სამართლიანად პატივი ვცე დაუფასებელ დოქტორ სტრონგს... „მაშასადამე, ჯენტლმენებო“, – თქვა დოქტორმა, – ანი, ჩემო კარგო, მიაქციე ყურადღება ყოველ სიტყვას: – „იმედი

მაქვს, რომ აქ ნათლად არის გამოხატული ის სრული ნდობა, რომელიც მაქვს მისის სტრინგისადმი, და ჩემი სურვილი – გადავცე მას ყველაფერი უკლებლივ?“ – ერთმა ჯენტლმენმა უპასუხა: – „ყველაფერი უკლებლივ!“

ამ წუთში გაისმა შემოსავალი კარის ზარის რეკა და ჩვენ გავიგეთ მიმავალი სტუმრების ფეხის ხმა.

მახსოვს, რომ მისტერ დიკი იდგა ოთახის ბნელ კუთხეში და კეცავდა დანას, როდესაც კაბინეტში შევედით. ჩვენ დავინახეთ დოქტორი უფრო ადრე, ვიდრე იგი შეგვამჩნევდა, თავის მაგიდასთან, საყვარელი ფოლიანტებით გარემოცული. იმავე წუთს კაბინეტში შემოვიდა მისის სტრონგი, ფერმკრთალი, მთრთოლვარე. იგი მოჰყავდა მისტერ დიკს ერთი ხელით; მეორე ხელი მან მხარზე დაადო დოქტორს და მოახედა. როდესაც პატივცემულმა მოხუცმა აიღო თავი, მისი ცოლი მუხლებზე დაეშვა მის წინ და მუდარით გაუწოდა ხელები.

დოქტორის კეთილი სახე, მისი გაოცება, ვედრების პოზა ცოლისა, მისტერ დიკის ნაზი მონაწილეობა, სერიოზული კილო, რომლითაც პაპი დამ წარმოთქვა: „და ამ ადამიანს გიყვარს უწოდებენ!“ – ყოველივე ეს ისე ცხადად იხატება ჩემს მეხსიერებაში, თითქოს ამ წუთში ხდებოდეს, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ.

– ანი! – შესძახა დოქტორმა. – ადექი, ძვირფასო ანი!

– გთხოვ და გვედრებით, ნუ გახვალთ აქედან. მეუღლე ჩემო და მამავე, მოუღეთ ბოლო ამ დუმილს. დაე ორივემ გავიგოთ ჩვენი გათიშვის მიზეზი.

– ანი! – უთხრა დოქტორმა სინაზით და ხელი მოჰკიდა თავის ცოლს. – ჩემო ძვირფასო მეგობარო! თუ ჩვენს ცხოვრებაში მოხდა რაიმე ცვლილება, ყოველ შემთხვევაში, შენ არ ხარ ამაში დამნაშავე. არა, დამნაშავე მე ვარ და მხოლოდ მე. ჩემს შენდამი პატივისცემაში, ჩემს სიყვარულში შენდამი არ მომხდარა არავითარი ცვლილება. გულწრფელად მიყვარხარ და პატივს გცემ. ადექი, ანი, გთხოვ, ადექი!

მაგრამ იგი არ ადგა. რამდენიმე წუთს ხმაამოუღებლად უცქეროდა ქმარს, შემდეგ ახლო მიიწია, დაეყრდნო მის მუხლებს, დაღუნა თავი, მიმართა იქ მყოფთ და თქვა:

– თუ არის აქ ადამიანი, რომელიც პატივს სცემს ჩემს მეუღლეს და გრძნობს ჩემდამი თუნდ ოდნავ კეთილგანწყობას, ადამიანი, რომელმაც იცის რაიმე გარემოება, ჩვენი მდგომარეობის ამსახველი, – თქვას! ვემუდარები მას, როგორც მეგობარს!

სრული სიჩუმე, მოკლე, მაგრამ მწვავე ბრძოლის შემდეგ ჩემს თავთან, გადავწყვიტე, დამერღვია სიჩუმე.

– მისის სტრონგი, – ვუთხარი მე – ვიცი ერთი გარემოება, რომლის შესახებ ვდუმდი აქამდე თქვენი მეუღლის დაბეჯითებული თხოვნის გამო; მარამ ახლა, მგონია, ძალიან ცუდად მექნებოდა გაგებულნი ნდობისა და პატივისცემის წესები, თუ განვაგრძობ ამ საიდუმლოების დაფარვას; თქვენი თხოვნა მათავისუფლებს ამ მიცემული პირობისაგან.

გუამბე მას, რა მოხდა ამავე ოთახში, თუმცა ცოტათი შევარბილე ური ჰიპის უხეში სიტყვები.

როდესაც გავათავე, ანი რამდენიმე წამს ჩუმად იყო, თავჩაღუნული, როგორც უწინ; შემდეგ სტაცა ხელი დოქტორის ხელს, ჩაიკრა იგი გულში და აკოცა. მისტერ დიკმა სიფრთხილით ააყენა მისის სტრონგი.

– ყველაფერი, რაც ჩემს გულში მოხდა მას შემდეგ, რაც გავთხოვდი, – თქვა მან დაბალი, მორჩილი, ნაზი ხმით, – ყოველივე ეს მინდა გულახდილად გამოვთქვა. ახლა, მას შემდეგ, რაც გავიგე, შეუძლებელია ვცოცხლობდე და გულში საიდუმლოებას ვატარებდე.

„როდესაც ჯერ ბავშვი ვიყავი, ჩემი პირველი მოგონებანი განუყრელად დაკავშირებული იყო კეთილ სათნო, ალერსიან მეგობართან და მასწავლებელთან, განსვენებული მამის ამხანაგთან, რომელიც მუდამ ძვირფასი

არსება იყო ჩემთვის. როდესაც მოვიზარდე, მას იგივე ადგილი ეჭირა ჩემს გულში. ვამაყოფდი იმისი ყურადღებით და მიყვარდა ღრმად, ნაზად. ვუყურებდი როგორ მამას, როგორც უპირველეს ჩემს ხელმძღვანელს. თქვენ იცით, დედა, როგორი ყმაწვილი და გამოუცდელი ვიყავი, როდესაც მოულოდნელად წარმომიდგინეთ იგი, როგორც ჩემი საქმრო.

„ეს ისეთი დიდი ცვლილება იყო, ამას ისეთ დიდ მოვლენად ვთხვლიდი, რომ აღელვებული და მოწყენილი ვიყავი. ამის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო იგი იმადვე დარჩენილიყო ჩემთვის, რაც უწინ იყო. მაგრამ ვამაყოფდი იმ დიდი პატივით, რომელიც მან მაღირსა, და ჩვენ ჯვარი დავიწერეთ.“

„არასოდეს მიფიქრია, – განაგრძო ანიმ და მისი ლოყები ალისფრად აენტო, – რაიმე ამქვეყნიურ ანგარიშებზე ამ გათხოვებასთან დაკავშირებით. ჩემი ყმაწვილი გულისთვის რომელიც აღსავსე იყო სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით საქმროსადმი, უცხო იყო რაიმე წვრილმანი ანგარიში. დედა, მაპატიეთ, თუ ვიტყვი, რომ თქვენ პირველმა ჩამინერგეთ აზრი ამგვარი ეჭვის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შეურაცხყოფელი იყო ჩემთვისაც და ჩემი ქმრისთვისაც.“

„ეს იყო პირველი უბედურება ჩემს ახალ ცხოვრებაში, – ამბობდა ანი, – პირველი საბაბი ყველა იმ ტანჯვისა, რომელიც გამოვცადე შემდეგში. ეს ტანჯვა ბოლოს ისე გახშირდა, რომ შეუძლებელია მისი ჩამოთვლა. საკუთარი პიროვნების დამცირება, იმის ფიქრი, რომ მე უნდა მთვლიდნენ არსებად, რომელმაც გაყიდა თავისი სიყვარული, – ეს ფიქრი დამაწვა მძიმე და დაუმსახურებელ ტვირთად.“

„ამ დროს დედა ძალიან ცდილობდა ჩემი ბიძაშვილის მალდონის მოწყობას. ოდესღაც ძალიან მიყვარდა ეს კაცი, – თქვა მან ნელა, მაგრამ სრულებით აღუშფოთებლად, – ჩვენ შორის პატარაობიდან არსებობდა ბავშვური სიყვარული. გარემოებას რომ სხვა მიმათულება მიეღო, ჩვენ ჯვარს დავიწერდით და უბედური ვიქნებოდით მთელ ჩემს სიცოცხლეში: ცოლქმრობაში უთანასწორობის მიზეზი წარმოხდებოდა აზრებისა და სურვილების სხვადასხვაობისაგან. ჩვენს შორის არა იყო-რა საერთო. ეს დიდი ხანი შევნიშნე. სხვა მიზეზი რომ არ მქონდეს მადლიერი ვიყო ჩემი მეუღლისა, ჯერ მარტო ის, რომ მან გადამარჩინა გამოუცდელი გულის პირველი შეცდომისაგან, ჩამინერგა ეს გრძნობა, მაგრამ მაინც არ ვიყავი ცუდი აზრისა მალდონის შესახებ იმ საღამომდეს, როდესაც იგი ინდოეთში მიდიოდა. მაშინ დავრწმუნდი მისი გულის ვერაგობაში და ჩავწვდი იმ ორაზროვანი გამოხედვის აზრს, იმ საღამოს მისტერ ვიკფილდის თვალეებში რომ ეწერა.“

„ამ დროიდან ველაპარაკებოდი მას მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ ჩვენთან იყავი. დახმარება, რომელსაც შენ უწევდი მას და რომლის შესახებ მაცნობებდი საიდუმლოდ, რათა გესიამოვნებინა ჩემთვის, დამიჯერე, უფრო მეტად ამძიმებდ ჩემი საიდუმლოების ტვირთს“.

იგი ნელა დაეშვა მუხლებზე დოქტორის წინ და უთხრა ცრემლმორეულმა:

– ნუ შემაწყვეტინებ! მომეცი საშუალება ყველაფერი გამოვთქვა! კარგად მოვიქეცი თუ ცუდად, არ ვიცი, მხოლოდ ვგრძნობ, რომ ისევ ისე მოვიქცეოდი, იმ მდგომარეობაში რომ მომიხდეს ყოფნა. მეტად ყმაწვილი ვიყავი და არვინ მყავდა გვერდით ისეთი, ვისაც შეეძლო მოეცა ჩემთვის მხსნელი რჩევა. დედასა და ჩემს შორის ყველაფერში, რაც კი შენ გეხებოდა, უზარმაზარი უფსკრული არსებობდა. თუ გულში ჩავიმარხე სამარცხვინო აზრი, ჩემდამი რომ გააჩნდათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისე ძლიერად გცემდი პატივს და ისე ძალიან მიხლოდა დამემსახურებინა შენი პატივისცემა!

– ანი, წმინდა არსება! – თქვა დოქტორმა. – ჩემო საყვარელო მეგობარო!

– მე ეჭვი შემეპარა, რომ არ ვვარგვივარ მეგობრად ასეთი ჭკვიანი და განსწავლული ადამიანისათვის. თუ ყოველივე ამას მაიძულა გულჩათხრობილი ვყოფილიყავ, იმის მაგივრად, რომ გამეზიარებინა შენთვის ჩემი ტანჯვა, ეს

მხოლოდ იმიტომ, რომ ღრმად პატივსა გცემდი და იმედი მქონდა, ოდესმე დადგებოდა დღე, როდესაც მეც ვეღირსებოდი შენს პატივისცემას.

– ეს დღე დიდი ხანია დადგა ან, – უთხრა დოქტორმა, – მას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ დაუსრულებელი ღამე, ჩემო კარგო.

– მიზეზი იმ ცვლილებისა, რომელიც შევნიშნე შენში ამ ბოლო დროს, ცხადი გახდა ჩემთვის, და ახლა ბედნიერი შემთხვევის გამო, გავიგე მთელი სიდიადე შენი ნდობისა ჩემდამი, მიუხედავად ყველა ამ გაუგებრობისა არ მაქვს იმედი, რომ უდრმეს სიყვარულს, გულწრფელს ერთგულებას შეძლოს აგინაზღაუროს შენი დიდსულოვნება და გამხადოს შენი ნდობის ღირსი!

მან მოხვია ხელი დოქტორს, რომელმაც მიაყრდნო თავი, და მისი ჭაღარა თმები შეერივნენ ყმაწვილი ქალის მუქ-წაბლისფერ კულულებს.

პაპიდა დინჯად, სრულებით აუჩქარებლად მივიდა დიკთან, სინაზით მოეხვია და აკოცა ლოყაში. ეს დიდი ბედნიერი გარემოება იყო დიკისთვის, რადგან გადაარჩინა იგი თავის შერცხვენას: შევნიშნე, რომ სწორედ იმ წუთში იგი აპირებდა ფეხზე დადგომას, რათა ღირსეულად გამოეხატა თავის აღტაცება.

– თქვენ შესანიშნავი ადამიანი ხართ, დიკ! – უთხრა პაპიდამ.

პაპიდამ ხელი ჩამოსწია დიკს სახელოზე, თავი დაიქნია. სამივენი ნელა გამოვედით ოთახიდან და სახლში წავვედით.

– სასურველია, ზოგიერთმა დედამ თავი დაანებოს თავის ქალს მისი გათხოვების შემდეგ. შენ რას ფიქრობ ამის შესახებ, ტროტ? – მკითხა პაპიდამ.

ვფიქრობდი იმის შესახებ, რაც ნათქვამი იყო წელან, და გონებაში ვიმეორებდი ზოგიერთ სიტყვებს, გაგონილს დოქტორის კაბინეტში; „ცოლქმრობაში უთანასწორობის მიზეზები წარმოდგება სურვილთა და აზრთა სხვადასხვაობისაგან“... „პირველი ცრუ გატაცება გამოუცდელი გულისა“...

თავი ორმოცდამესამე

ცნობა

ჩემი დაქორწინების შემდეგ გაიარა წელმა, ან დაახლოებით ამდენმა დრომ, თუ არ მატყუებს მეხსიერება, რომელიც რიცხვებს არც ისე კარგად იხსომებს. საღამო იყო. მე ვბრუნდებოდი სახლში სეირნობის შემდეგ და ვფიქრობდი ჩემს თხზულებაზე (ამ დროს მე ჩემს პირველ რომანს ვწერდი). გავიარე მისის სტირფორდის სახლის წინ, რაც ახლა, მას აქეთ, რაც ჰაიგეტში დავსახლდი, ხშირად მიხდებოდა ხოლმე.

ამ შენობას მუდამ სევდიანი და მოღუშული შეხედულება ჰქონდა. არც ერთი სადარბაზო ოთახი არ გამოდიოდა ქუჩისკენ. ვიწრო, უშნო, ძველებური ფანჯრები თითქოს სამუდამოდ მიეხურათ და ფარდა ჩამოეფარებინათ. არ მახსოვს, შემიინიშნავს თუ არა როდისმე სინათლე ამ სახში.

სევდიანმა მოგონებებმა გამიტაცა და ფიქრებში გართული განვაგრძობდი გზას. უეცრად შემაერთო ხმამ, რომელიც ჩემს ახლოს გაისმა. ვიცანი მისის სტირფორდის მოახლე.

– ხომ არ ინებებთ, სერ, შემობრძანდეთ ჩვენსას და მოელაპარაკოთ მის დარტლს?

– განა მის დარტლმა გამოგგზავნათ ჩემთან? – ვკითხე მე.

– დღეს არა, მაგრამ ეს სულ ერთია. მის დარტლმა ორჯერ შენიშნა, რომ საღამოობით თქვენ ჩაივლით ხოლმე ჩვენი სახლის წინ, და მიბრძანა დაგხვედროდით გამოსვლისას, რომ მეტხოვნა, მობრძანებულიყავით მასთან ორიოდ სიტყვისთვის.

შესვლის იმაღვე გამიყვანეს ბაღში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა მის დარტლი. ყმაწვილი ლედი იჯდა სკამზე ტერასის ბოლოში, საიდანაც იშლებოდა უზარმაზარი ქალაქის სურათი.

მან შენიშნა ჩემი მიახლოება და ადგა. სახე საშინლად გაუფითრდა, ელვარე თვალები თითქოს უწინდელზე მეტად უელავდნენ და ჭრილობის ნიშანი უფრო მკაფიოდ აჩნდა უფერულ სახეზე.

– გადმომცეს, მის დარტლ, რომ გსურთ ჩემთან ლაპარაკი, – ვუთხარი მე.

ხელის მოძრაობით მთხოვა დაჯდომა, მაგრამ მოვერიდე ეს მისი თავაზიანობა დამეკმაყოფილებინა.

– ერთი მიბრძანეთ, გამოჩნდა ის ქალი? – მკითხა მის დარტლმა.

– არა.

– მე კი ვიცი, რომ გაიქცა.

შეენიშნე, რომ ტუჩები უთრთოდა ლაპარაკის დროს.

– გაიქცა? – გავიმეორე მე.

– გაექცა მას, – თქვა მან ჩაცინებით. – თუ აქამდის არ გამოჩენილა, შესაძლებელია, სულაც აღარ გამოჩნდეს. უეჭველია, იგი ცოცხალიც აღარ არის!

იგი წამოდგა, რაღაც ბოროტი ღიმილი სახეზე დასთამაშებდა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი ხშირი ნარის ღობისაკენ, რომელიც ბაღის ამ ნაწილს ქალაქისაგან ღობავდა, და დაიძახა ხმამაღლა:

– ეი! აქეთ!

მან შემომხედა მხარს იქიდან უწინდელი გამომეტყველებით და დაუმატა:

– თქვენ, რასკვირველია, აქ თავს შეიკავებთ შურისძიებისაგან, მისტერ კოპერფილდ!

დავინახე თავი, თუმცა არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკებოდა.

იგი დაბრუნდა რესპექტაბელური მისტერ ლიმიტერის თანხლებით. ლიმიტერმა თავი დამიკრა ისე, რომ არაფრით არ დაუმცირებია თავის რესპექტაბელურობა, და დადგა მის დარტლის უკან.

– უამბეთ მისტერ კოპერფილდს ამ გაქცევის ამბავი, – უთხრა მას მის დარტლმა.

– მისტერ ჯემსი და მე, ქალბატონო...

– მე ნუ მომმართავთ! – გააწყვეტინა მან და წარბები შეკრა.

– მისტერ ჯემსი და მე, სერ...

– გთხოვთ, მე ნუ მომმართვით, – ვუთხარი მე.

მისტერ ლიმიტერის სრულებით არ დაიბნა და დაუყოვნებლივ მორჩილებით გამოაცხადა, რომ ყველაფერი, რას სასიამოვნოა ჩვენთვის, სასიამოვნოა მისთვისაც. მან განაგრძო:

– მისტერ ჯემსი და მე ვიყავით საზღვარგარეთ ყმაწვილ ქალთან ერთად, მას აქეთ, რაც დავტოვეთ იარმაუთი. ჩვენ მოვიარეთ მრავალი ადგილი და მრავალი მხარე ვნახეთ. ვიყავით საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში – ერთი სტყვით, თითქმის ყველგან. მისტერ ჯემსი არაჩვეულებრივად შეეჩვია ამ ყმაწვილ ქალს და გაცილებით უფრო მეტად იყო კმაყოფილი თავისი მდგომარეობით, ვიდრე ოდესმე, მას აქეთ, რაც მასთან ვმსახურობ. ამ ქალში ყოველად შეუძლებელი იყო უწინდელი სოფლის ქალის ცნობა. შეენიშნე, რომ ყველგან, სადაც კი მივდიოდით, მას გაკვირვებით შეჰყურებდნენ. არ ვიცი, მისი მორთულობის ბრალი იყო, თუ ჰაერისა და მზისა, ან იმისი, რომ მას ასე უსაზღვროდ ანებივრებდნენ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მისი ღირსებანი მართლაც საყოველთაო ყურადღებას იქცევდა.

მაგრამ ხშირად იგი ცუდ გუნებაზე იყო ხოლმე; ეს ცოტათი მობეზრდა მისტერ ჯემსს და ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად წავიდა. რაც უფრო მოუსვენრად იყო მისტერ ჯემსი, მით უფრო ცუდ გუნებაზე იყო ქალი.

ბოლოს, მრავალი ლაპარაკისა და ყვედრების შემდეგ, მისტერ ჯემსმა ერთ მშვენიერ დილას დატოვა ნეაპოლის მიდამოები, სადაც ჩვენ ვილა გვექონდა. იგი

დაჰპირდა ქალს, რომ ორი დღის შემდეგ დაბრუნდებოდა, მაგრამ მე დამავალა, გამომეცხადებინა მისთვის, რომ ორივეს კეთილდღეობისათვის გადაწყვიტა, სამუდამოდ დაშორებოდნენ ერთმანეთს. თუმცა უნდა შევნიშნო, მისერ ჯემსი ძალიან კეთილშობილურად მოიქცა წასვლისას; დამავალა მერხია ქალისთვის, რომ იგი გათხოვილიყო ადამიანზე, მეტად რესპექტაბელურზე, რომელიც თანახმა იყო, არ მიექცია ყურადღება მისი წარსულისათვის. უკეთეს ქმარს იგი ვერასდროს ვერ იშოვიდა ამგვარ მდგომარეობაში, რადგან ისიც უბრალო ოჯახის შვილი იყო.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს არამზადა თავისთავზე ლაპარაკობდა.

– მე უნდა გამომეცხადებინა მისთვის ეს გარემოებაც. როდესაც ყმაწვილმა ქალმა გაიგო, რომ მისტერ ჯემსი სამუდამოდ წავიდა, მისმა სასოწარკვეთილებამ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. კინაღამ ჭკუაზე არ შესცდა, ასე რომ, საჭირო გახდა ზომების მიღება, თორემ იგი, დანის უქონლობის ან ზღვაში გადავარდნის შეუძლებლობის გამო, თავს გაიტეხდა მარმარილოს სვეტზე. მაგრამ, როდესაც გამოვიცხადე დავალებული მეორე ნაწილი, ამ ქალმა სრულებით დაჰკარგა გონი. არასოდეს არ მინახავს ადამიანი ამ ზომამდე გაცოფებული.

– ეს ამართლებს მას ჩემს თვალში, – ვთქვი აღშფოთებით.

მისტერ ლიტიმერმა დახარა თავი, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მართლა სერ? თუმცა თქვენ ისეთი ყმაწვილი ხართ!“ – და ისევ განაგრძო:

– მოკლედ რომ მოვჭრა, აუცილებელი იყო, მომეშორებინა მისთვის ყველა საგანი, რომლითაც კი შეეძლო ვნება მიეყენებინა თავისი თავისთვის და სხვისთვისაც, და დაკეტილში მყავდა რამდენიმე ხანს. მიუხედავად ამისა, ერთ ღამეს გამოტეხა ფანჯრის ჩარჩო, რომელიც საკუთარი ხელით გავამაგრე, და გაიქცა; იგი ჩამოცოცებულიყო კედელზე ახვეულ ვაზზე. მას აქეთ მის შესახებ აღარა გაგვიგია რა.

როდესაც აღარ დარჩა არავითარი ეჭვი, რომ მისი პოვნა შეუძლებელია, წავედი მისტერ ჯემსთან და გამოვუცხადე, რაც მოხდა. შემეძლო ამეტანა, და კიდევ ვიტანდი მისტერ ჯემსისაგან მეტად ბევრ უსიამოვნებას, მაგრამ ამ ჯერზე მან გადააჭარბა: მეტად დიდი შეურაცხყოფა მომაყენა. ვინაიდან ვიცოდი ამბავი დედაშვილის საუბედურო განხეთქილებისა, წარმოდგენილი მქონდა დედის შიში შვილის ბედის შესახებ და ამიტომაც გაგებდე ინგლისში დაბრუნება, რათა მეამბნა...

– ფულით, რომელიც ჩემგან მიიღო, – შენიშნა მის დარტლმა ჩემსკენ მომართვით.

– დიახ, ქალბატონო... გაგებდე მეამბნა ყველაფერი, რაც კი ვიცოდი. მეტი, მგონია, არაფერი აღარ ვიცი, – დაუმატა მისტერ ლიტიმერმა წუთიერი სიჩუმის შემდეგ.

მის დარტლმა შემომხედა, თითქოს უნდოდა გაეგო, ხომ არ მინდოდა მიმეცა რაიმე კითხვა. ამ დროს მომაგონდა ერთი გარემოება და ამიტომ ვთქვი:

– მე მინდოდა გამეგო მისგან... ხომ მიიღო ის წერილი, რომელიც იმ უბედურ ქალს სახლიდან გაუგზავნეს?

ლიტიმერი ჩუმად იდგა და მიწისკენ მიეპყრო თვალები.

– უკაცრავად, ქალბატონო, – თქვა მისტერ ლიტიმერმა ერთხანს ჩაფიქრების შემდეგ. – მე მსახური ვარ, რასაკვირველია, მაგრამ მეც მაქვს თავმოყვარეობა. მისტერ კოპერფილდი ის არ არის, ქალბატონო, რაც თქვენ ბრძანდებით. თუ მისტერ კოპერფილდს სურს გაიგოს რაიმე ჩემგან, გაგებდავ მოვაგონო, რომ მას შეუძლია პირადად მე მომმართოს კითხვით.

– თქვენ გაიგეთ ჩემი კითხვა; ჩათვალეთ იგი თქვენდამი მომართულად. რას იტყვით საპასუხოდ?

– სერ, – მიპასუხა მან, გასწია ხელები და ისევ შეაერთა თითების ბოლოები. – არ შემიძლია მოგცეთ პირდაპირი პასუხი. გაწბილება მისტერ ჯემსის ნდობისა მისი დედის გულისთვის – ეს სრულებით არ არის იგივე, რომ

გულაღატო მას თქვენი გულისათვის. მე მგონია, მისტერ ჯემსი არ იყო მომხრე ასეთი წერილების მიღებისა, რომელთაც შეეძლოთ გაეძლიერებინათ ამ ქალში ცული გუნება, დანარჩენი კითხვებისაგან, სერ, მე ვისურვებდი გათავისუფლებული ვყოფილიყავი.

– ეს ყველაფერია? – მკითხა მის დარტლმა?

მე ვუპასუხე ხელის მოძრაობით, რომ მეტი აღარა დამრჩენია სათქმელი.

– ერთი რამის აღნიშვნა კიდევ არის საჭირო, – დავუმატე მე, როდესაც შევნიშნე, რომ მან წასვლა დააპირა. – კარგად მესმის ამ კაცის მონაწილეობა ამ ბოროტ საქმეში. ვურჩევ მას – არ გამოჩნდეს ქალაქის ქუჩებში, რადგან აზრად მაქვს, – ვაცნობო ყველაფერი იმ პატიოსან ხალხს, რომელიც მამის მაგივრობას უწევდა ბავშვობაში იმ უბედურს.

როგორც კი ლაპარაკი დავიწყე, იგი შეჩერდა და მისმენდა ჩვეულებრივი აღუშფოთებელი სიმშვიდით.

– გმადლობთ, სერ. მაგრამ მაპატიეთ, თუ შევნიშნავ, რომ ინგლისის კანონები სასტიკად უკრძალავენ ყოველგვარ თვითგანსჯას. აი ამიტომ სრულებით არ მეშინია ამგვარი მუქარის და ვივლი, სადაც მომესურვება!

მან ზრდილობიანად დაგვიკრა თავი – ჯერ მე, შემდეგ მის დარტლს, და გავიდა ბალიდან იმავე გზით, რა გზითაც მოვიდა. მის დარტლი და მე ვიდექით რამდენიმე ხანს ხმაამოურებლად და ერთმანეთს შევცქეროდით.

– გარდა ამისა, იგი ამბობს, – შენიშნა მის დარტლმა და ტუჩები ოდნავ შეუკრთა, – რომ მისის ბატონი დასეირნობს ახლა ესპანეთის ნაპირებთან და შემდეგ აპირებს თავი მისცეს საყვარელ გატაცებას – ზღვაზე მოგზაურობას, სანამ ეს საქმე არ მობეზრდება. ამ ორ ამაყ არსებათა – დედასა და ვაჟს შორის ახლა უფრო დიდი უფსკრულია გათხრილი, ვიდრე უწინ. თითქმის არავითარი იმედი არ არის, რომ ოდესმე გათავდება ეს საუბედურო განხეთქილება. ორივეს ერთი და იგივე ხასიათი აქვს და დრო უფრო გააკაჟებს და შეუპოვრად გახდის მათ ბუნებას. ამ გარემოებას, რასაკვირველია, თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეს შესავალია იმისა, რაც მე მინდა გითხრათ. თუ ის ქალი ცოცხალია, თქვენ, უეჭველია, მოისურვებთ, რომ ასეთი ძვირფასი საუნჯე მოიძებნოს, და მიღირებთ მას თქვენი მფარველობის ქვეშ. ეს ჩვენთვის სასურველია, რომ ჯემსს აღარ მოელოდეს ხიფათი, ისევ მისი მსხვერპლი გახდეს. აი რად მოგიწვიეთ, რომ მეცნობებინა თქვენთვის ყველაფერი დაწვრილებით. ახლა თქვენ იცით ყველაფერი, რაც საჭიროა, იცოდეთ.

მისი სახის გამომეტყველების ცვლილებაზე მივხვდი, რომ ვიღაც გვიახლოვდებოდა. ის იყო მისის სტირფორდი. მან გამომიწოდა ხელი უფრო ცივად, იდრე უწინ. საშინლად გამოცვლილიყო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე: წერწეტი წანი ოდნავ მოხროდა; მშვენიერ სახეზე ღრმა ნაოჭები დასჩენოდა; თმები გასთეთრებოდა, მაგრამ თვალებში ჯერ კიდევ მოუჩანდა ის ამაყი, მედიდური ცეცხლი, რომელიც ისე მიტაცებდა ჩემს მოწაფეობის წლებში.

– მისტერ კოპერფილდმა ყველაფერი იცის, როზა?

– ყველაფერი.

– მან თვით ლიტიმერს მოისმონა?

– დიახ, მე ავუხსენი, რად გასურდათ თქვენ ეს.

– თქვენ კეთილი ქალი ხართ, – უთხრა მან მის დარტლს და მერე მე მომიბრუნდა. – დროგამოშვებით მიწერ-მოწერას ვაპირებ თქვენს ყოფილ მეგობართან, სერ, მაგრამ ეს სრულებით არ აღვიძებს მასში დედაშვილურ გრძნობას. აი, ამიტომ, ამ შემთხვევაში, მე არა მაქვს სხვა მიზანი, გარდა იმისა, რომლის შესახებაც გელაპარაკათ როზა. შესაძლებელია რომ ყოფილიყო, ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ტანჯვა იმ საბრალო ადამიანისა, რომელიც თქვენ აქ მოიყვანეთ, და ჩემი შვილიც მეხსნა განსაცდელისაგან, რომელიც, შესაძლებელია

მოელოდეს იმავე მაცდურ ქალისაგან, რათა კვლავ ხელთ იგდოს იგი, კარგი იქნებოდა.

იგი წელში გასწორდა და გაშტერებული გაჰყურებდა სივრცეს.

– ქალბატონო, – მივმართე პატივისცემით, – მესმის თქვენი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველივე ნათქვამი ცუდად არ გაგიგეთ, მაგრამ მე ამ შეურაცხყოფილ ოჯახს ბავშვობიდან ვიცნობ და თავს ნებას მივცემ, მოგახსენოთ – თუ თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ის გოგონა სასტიკად არის მოტყუებული, ცდებით! მე ღრმად გახლავართ დარწმუნებული, რომ ათასჯერ სიკვდილს არჩევდა, ვიდრე თუნდაც ერთი ჭიქა გამოწვდილ წყალს აიღებდა თქვენი შვილის ხელიდან.

– არაფერია, როზა, არაფერი! – მიმართა მას მისის სტირფორდმა, რაკი შეატყო, რომ იგი ლაპარაკში ჩარევას ცდილობდა. – ამას არა აქვს მნიშვნელობა, დაე ასე იყოს. ამბობენ, თქვენ ცოლი შეირთეთ, სერ?

მე დავუდასტურე.

– და ბედნიერი ხართ? იშვიათად მესმის ასალი ამბები, მაგრამ გავიგე, რომ სახელს იხვეჭთ.

– დიახ, – ვუპასუხე მე, – ჟურნალები ერთგვარი ქებით მიხსენიებენ.

– თქვენ არ გყავთ დედა? – მკითხა მან ოდნავი შეცვლილი ხმით.

– არა!

– ძალიან სამწუხაროა... იგი იამაყებდა ასეთი შვილით. მშვიდობით!

ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი. ამ ქალის სიამაყეს შეეძლო თვით პულის ძგერაც კი შეეჩერებინა და ჩამოეფარებინა სახეზე სიმშვიდის საბურველი.

ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გაგონილის შესახებ საჭიროდ ვცანი მეცნობებინა ყველაფერი მისტერ პეგოტისთვის.

მას ისევ ის პატარა ოთახი ეჭირა მეწვრილმანის დუქნის თავზე, უნგერსფორდის ბაზარზე. გამოვკითხე სხვა მდგომარეობის შესახებ, გავიგე, რომ ჯერ არ გასულიყო სახლიდან და რომ მისი ნახვა შეუძლებოდა მის პატარა ოთახში.

როდესაც შევედი, იგი ფანჯრასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა. მას არ გაუგია კარზე დაკაკუნება და მხოლოდ მაშინ აიღო თავი, როდესაც ხელი დავადე მხარზე.

– მისტერ პეგოტი, – ვუთხარი და ჩამოვართვი სკამი, რომელიც მომაწოდა, – ბევრს ნუ მოელოდით, მაგრამ მივიღე ზოგიერთი ცნობა.

– ემილიას შესახებ?

მან თრთოლვით მიიღო ტეხებზე ხელი, გაფითრდა და თვალებში შემომხედა.

– არ იცინან, სად არის იგი, ოღონდ მასთან აღარ არის!

მან ყურადღებით მომაპყრო თვალები და ხმაამოუღებლად მოისმინა ჩემი თხრობა. არ შემიძლია დავივიწყო გამომეტყველება ღირსებისა, სილამაზისა და კი, და მშვიდი სიამაყისა მის სახეზე. მას არ შეეუჩერებია არც ერთი კითხვით.

– რას ჰფიქრობთ ამის შესახებ, მასტერ დევი? – მკითხა ბოლოს.

– მე ვფიქრობ, რომ ის ცოცხალია, – ვუპასუხე მე.

– ვინ იცის, იქნებ მეტად ძლიერი იყო ეს ზარი და მღელვარე გულმა ვერ აიტანა!

მან ჩაფიქრებით წარმოთქვა ეს წყნარი ხმით და გაიარ-გამოიარა პატარა ოთახში.

– ამავე დროს, მასტერ დევი, – დაუმატა მან, – მაინც ვგრძნობ, რომ ცოცხალია! რაღაც მეუბნება სიზმარში და ცხადლივ, რომ ვიპოვი ჩემს საუნჯეს!

მან მაგრად დააჭირა ხელი მაგიდას და მისმა აღელვებულმა სახემ მტკიცე გამომეტყველება მიღო.



– დიახ, ჩემი დისწული ემილია ცოცხალია, სერ! – მითხრა დაბეჯითებით. – არ ვიცი, რა გზით და სად გავიგე ეს, მაგრამ იგი ცოცხალია! ემი ცოცხალია, დარწმუნებული ვარ ამაში.

– ძალიან შესაძლებელია, რომ იგი ლონდონში დაბრუნდეს, რადგან აქ მისთვის ყველაზე ადვილია თავისი უბედურების დამალვა ცნობისმოყვარე ხალხისაგან; სხვა მიზანი არ ექნება, თუ არ აპირებს სახლში დაბრუნებას, – ვუთხარი მე.

– იგი არასგზით არ დაბრუნდება სახლში, – მიპასუხა მან და სევდიანად გაიქნია ტავი. – აი, თვითონ დაენებებინა თავი, საკუთრი ნებით, მაშინ, შესაძლებელია, მოსულიყო მშობლიურ თავშესაფართან. თორემ ახლა არასოდეს არ დაბრუნდება, სერ!

– თუ აქ მოვა, – განვაგრძე მე, – სახეში მყავს ერთი ქალი, რომელსაც ყველაზე ადვილად შეუძლია იპოვოს თქვენი დისწული. გახსოვთ მართა?

– ჩვენებური?

– იცით, რომ ახლა ლონდონშია?

– შემხვედრია ქუჩებში, – მიპასუხა ათრთოლებულმა.

– მაგრამ თქვენ არ იცით, – ვუთხარი მე, – რომ ემილიამ გაქცევამდე დახმარება გაუწია მას ქამთან ერთად. თქვენ არ იცით აგრეთვე, რომ ერთხელ ღამით, როდესაც მე და თქვენ შევხვდით ერთანეთს ქუჩაში და ვლაპარაკობდით სასტუმროში, ეს ქალი ყურს გვიგდებდა კარს უკან.

– მასტერ დევი! – შესძახა მან გაკვირვებით. – იმ ღამეს ხომ არ იყო, როდესაც ისე საშინლად თოვდა?

– სწორედ იმ ღამეს. არასოდეს მას აქეთ აღარ მინახავს ეს ქალი. როდესაც გამოგემშვიდობეთ, გავეყვი უკან, მაგრამ უკვე ვეღარ ვიპოვე. არ მინდოდა მაშინ მისი ხსენება ისევე, როგორც ახლა, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია მისი პოვნა, გესმით?

– საუკეთესოდ, სერ, – მიპასუხა მან.

თითქმის ჩურჩულით ვლაპარაკობდით და ამ კილოთი განვაგრძობდით საუბარს.

– თქვენ აბობთ, რომ შეხვედრიხართ რამდენიმეჯერ. იმედი გაქვთ, რომ შეხვდებით ისევ?

– მე მგონია, მასტერ დევი, რომ ვიცი, სად უნდა ვეძებო.

– უკვე ბნელა. ხომ არ გავემგზავროთ მის საძებნელად ახლავე?

იგი დამეთანხმა და დაიწყო მზადება გამოსასვლელად. ისეთი სახე მივიღე, თითქოს არ ვამჩნევდი, რას აკეთებდა. თვითონ მიაღაგა თავისი პატარა ოთახი, დადგა მაგიდაზე სანთელი. მერე გაშალა ლოგინი, ამოიღო უჯრიდან თავისი დისწულის კაბა და ქუდი, რომელშიც, როგორც მახსოვს, რამდენჯერმე მინახავს ემი. ეს ნივთები, ახლა წესიერად დაკეცილი, ელაგა ემის ტანისამოსის სხვა მორთულობასთან ერთად. პეგოტიმ ფრთხილად ამოიღო ეს ნივთები და დააწყო მაგიდაზე. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ყველა ეს კუთვნილება ქალის ტანისამოსისა ეწყობოდა ამავე წესით, ყოველ ღამეს, თავისი პატრონის მოლოდინში.

გზაში ვიკითხე ქამის ამბავი, რომ საუბრის მასალა გექონოდა, და ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობითაც. მისტერ პეგოტიმ მიპასუხა თითქმის იმავე სიტყვებით, როგორც უწინ, რომ ამი ისევ ისეთია, „მუშაობს წინანდებურად და არაფრად აგდებს თავის სიცოცხლეს“. მაგრამ ყველას უყვარს ქამი და იგი თითქოს მორჩილებით იტანს უბედურებას.

ჩვენ შევედით სიტიში ტემპლის გზით. მისტერ პეგოტიმ თავი დაანება ლაპარაკს. ბლეკფრაიერის ხიდის ახლოს იგი უეცრად მიბრუნდა და მიჩვენა მარტოდ მდგომი ქალის ფიგურა, რომელიც ქუჩის მეორე მხარეზე ჩანდა. იმწამსვე ვიცანი მართა.

გავყევით მას უკან, ცოტა მოშორებით, და არ ვკარგავდით მხედველობიდან, თუმცა არ მივსულვართ მაინცდამაინც ახლოს, რომ არ მიგვექცია მისი ყურადღება.

ბოლოს მან რომელიღაც ბნელ ქუჩაში შეუხვია.

– ახლა კი, – ვუთხარი მე, – შეგვიძლია დაველაპარაკოთ. – და ფეხი ავუჩქარეთ.

თავი ორმოცდამეოთხე

მართა

ახლა ჩვენ ვესტმისტერში ვიყავით. მაგრამ მალე იძულებული გავხდით, უკან წამოვსუიყავით, რადგან მართა უეცრად, გამობრუნდა. იგი ძალიან სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. ჩვენ მივდევდით ქუჩის მეორე მხარეზე, ჩუმად, სახლების ჩრდილში.

მდინარის ნაპირას იდგა და, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ახლაც დგას პატარა დანგრეული სახლი, უეჭველია, მენავის ძველი, მიტოვებული ქოხი. როდესაც მივიდა ამ შენობამდე და წყალი დაინახა, შეჩერდა, თითქოს თავისი მგზავრობის მიზანს მიაღწია; შემდეგ აჰყვა მდინარის ნაპირს და თან დაუინებით უცქეროდა მის მღვრიე ტალღებს.

არა მგონია, რომელიმე ადგილი ლონდონის მახლობლად წარმოადგენდეს უფრო ნაღვლიან, უსიცოცხლო სურათს. აქ არ იყო არც ნავსაშენები, არც სახლები, ამ სევდიან, უდაბურ გზისპირას. მღვრიე არხი ჩაუდიოდა ციხის კედლებს თავისი ჭუჭყიანი ტალღებით. ერთ ადგილას მოჩანდა დაუმთავრებელი სახლების ნანგრევები; მეორე ადგილი სავსე იყო დაუანგებული რკინეულის ნაყარნუყართ, ქვაბებით, თვლებით, მილებით, ღუმელებით, ნიჩბებით, ღუზებით, წიქვილის ფრთებით და ათასი სხვა საგნებით, რომელთა სახელები არც კი ვიცი. ჩაქუჩების რახარუხი სამჭედლოებში, წითელი ალი და მძიმე შავი ბოლის ბოლქვები არღვევდნენ ღამის მყუდროებას. საფლობი და მიხვეულ-მოხვეული ბილიკები იკლაკნებოდნენ ძველი ხის ბოძების გარშემო, რომელთაც გარს ეხვია დამპალი ჭაობის რაღაც მცენარეები და ზედ ეკრა განცხადების ნაგლეჯები დამხრჩვალთა გადარჩენისათვის ჯილდოს გაცემის შესახებ. ეს ბილიკები, ჭუჭყიან და ღამიან ნიადაგის გადასერით, მიემართებოდა მდინარის დაბალ ნაპირისაკენ. არსებობდა თქმულება, თითქოს აქ იყო ის ორმო, რომელშიც შავი ჭირის დროს მარხავდნენ მკვდრებს. ასე გეჩვენებოდათ, თითქოს მოშხამული ჰაერის გამხრწნელი გავლენა აქედან მთელ მიდამოს ეფინებოდა.

ქალი რომელსაც მივყვებოდით, ჩავიდა თვით მდინარესთან. იდგა მარტო, გაუნძრევლად და თვალები წყლისთვის მიეშტერებინა.

ვანიშნე მისტერ პეგოტის, რომ იგი გაჩერებულიყო თავის ადგილას, და გამოვედი ჩრდილიდან იმ განზრახვით, რომ მაშინვე დამეწყო მასთან ლაპარაკი. შიშით მივუახლოვდი მართას.

მგონია, იგი თავის თავს ელაპარაკებოდა. თითქოს მოჯადოებულს წყლის ცქერით, ჩამოშლოდა მხრებიდან შალი და ხელში აწვალავდა ისეთი უაზრო, ფეთიანი გამომეტყველებით, რომ მთვარეულს ჰგავდა. მე ხელში ვტაცე ხელი და ვუთხარი:

– მართა!

მან შეჰკივლა შეშინებულმა და ცდილობდა, ხელიდან გამსხლტომოდა, მაგრამ ხელი, უფრო ღონიერი, ვიდრე ჩემი, მოეჭიდა მას ამ წუთში. უბედურმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ შემდეგ, ღონემიხდილი მიწაზე დაეცა. ჩვენ

მოვაშორეთ იგი წყალს და გადავიტანეთ უახლოეს ადგილას, სადაც რამდენიმე მშრალი ქვა იდო. ერთ ხანს იგი იჯდა სახეზე ხელებშიფარებული.

– ო, მდინარე! – შეჰყვირა მან სასოწარკვეთილებით. – ო, მდინარე!

– ნელა, ნელა! – ვუთხარი მე. – დაწყნარდით!

მაგრამ ისევ იმ სიტყვებს იმეორებდა: „ო, მდინარე, ო, მდინარე!“ სხვა მეგობარი არ ჰყავს ჩემისთანა ქალს! მოდის იგი შორი, ნათელი მხრიდან, სადაც ანკარა და წმინდა იყო მისი ზვირთები, და აი, ახლა მიიზღაზნება მოღუშული, მღვრიე, ჭუჭყიან, საცოდავ ქუჩებში. იგი მიისწრაფის ბობოქარი ზღვისკენ. ჩემი გზაც იქით არის!

მისტერ პეგოტი წატორტმანდა, თითქოს მზად იყო, დაცემულიყო, და როდესაც ხელი ვტაცე, რადგან მისი მდგომარეობა მაშინებდა, ხელები ცივი ჰქონდა, როგორც მკვდარს.

– ბოდავს! – წავჩურჩულე მე. – რამდენიმე წუთის შემდეგ სულ სხვანაირად ილაპარაკებს.

ჩვენ ორივენი ჩუმად ვიდექით, სანამ მართა ცოტათი არ დაწყნარდა.

– მართა, – ვუთხარი მე შემდეგ და მივეშველე ადგომაში. – იცით, ინ არის ეს? ვისთან ვარ მე?

მან მიპასუხა ძალაგამოლეული ხმით.

– ვიცი!

– დამშვიდდით? – ვკითხე მე. – შეგიძლიათ გველაპარაკოთ იმ საკითხის შესახებ, რომელიც, საშინლად გათავდა?

იგი კვლავ აქვითინდა და რამდენიმე სიტყვა წაილაპარაკა მადლობისა, რომ არ გავაგდე მაშინ.

– არ არის საჭირო ლაპარაკი ჩემს შესახებ, – თქვა მან რამდენიმე წამის შემდეგ. – მე სოაცდავი, დაღუპული არსება ვარ. მაგრამ უთხარი მას, ისე, თუ კი ღირსად მთვლით ამგვარი დახმარებისა, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ მისი უბედურების მიზეზი.

– არავინ არც გამტყუნებთ ამაში, – ვუპასუხე ამავე სერიოზული კილოთო.

– ჯერ კიდევ თვლიან ღამემდეგ, – განაგრძობდა მართა, – გავიგე ყველაფერი, რაც მოხდა. ყველაზე მეტად ეს ფიქრი მაწუხებდა: ხალხი მოიგონებს, რომ ეს დიდსულოვანი ქალი მე მელაპარაკებოდა, და უეჭველია, იტყვიან, რომ მე შევაცდინე იგი. ო, სიხარულით მოვიკლავდი თავს, რომ დავუბრუნო მას კეთილი სახელი. მე არ ვადარებ მას ჩემს თავს... მაგრამ მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად მთელი ჩემი დამცირებისა და დაცემისა, მუდამ ვიქნები მისდამი აღსავსე სიყვარულითა და მადლობით, ნუ იფიქრებთ, რომ სრულებით დაგვარგე სიყვარულის უნარი! ხელი მკარით ზიზღით, მომკალით, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მადლობისა და სიყვარულის გრძნობა სრულებით გაქრა ჩემში!

მისტერ პეგოტი სევდიანად შეჰყურებდა ამ მომუდარე ქალს და ალერსიანად ააყენა, როდესაც იგი გაჩუმდა.

– მართა! – უთხრა მან. – მე არ ვარ შენი მსაჯული! მე არ ვარ შენი გამკიცხავი, საბრალო, უბედურო ქალი!

საცოდავი ქალი მორიდებით იდგა მის წინ და, როგორც ჩანდა, ეშინოდა მისი თვალების შეხვედრისა; მაგრამ მისი მწვავე ნადგელი მიყუჩდა და მართა დადუმებული იყო.

– აი, თუ შენ მოისმინე, – უთხრა მას მისტერ პეგოტი, – რასაც ვლაპარაკობდით მე და მისტერ დევი იმ რამეს, როდესაც ისეთი სშინელი თოვლი მოვიდა, ალბათ იცი, რომ მოვიარე თითქმის მთელი ქვეყანა და ყველგან ვეძებდი ჩემს ძვირფას დისწულს. დიახ, ძვირფასს, – გაიმეორა მან სიმტკიცით, – იგი ახლა უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე უწინ იყო.

მართა შეკრთა. მისტერ პეგოტიმ აიღო მიწიდან შალი და მზრუნველობით მოაფარა იგი ქალს მხრებზე.

– შენ აბობ, რომ კეთილი და ალერსიანი იყო შენდამი. ეჭვი არა მაქვს ამაში. იგი მუდამ ასეთი იყო ყველასთან. მაღლობასა და სიყვარულსა ჰგრძნობ მის მიმართ? მაშ გვიშველე, რომ ვიპოვნოთ.

მართამ სწრაფად შეხედა მოხუცს პირველად.

– მერე? თქვენ მენდობით? – იკითხა ჩუმად გაცეცხლებული კილოთი.

– სავსებით! – უპასუხა მისტერ პეგოტიმ.

– და თქვენ მავალალებთ დაველაპარაკო მას, თუ შემხედება, შევიფარო იგი, თუ მექნება თავშესაფარი, მავალებთ, ბოლოს შეგახვედროთ მასთან?

ორივემ ერთხმად ვუპასუხეთ: „ღიას!“

ასწია თვალები და დაიფიცა, რომ მზად არის აასრულოს ეს დავალება, რომ არასოდეს არ შეასუსტებს ძებნას, არ აუხვევს მიზანს, სანამ დარჩება თუნდ მცირეოდენი იმედი.

საჭიროდ დავინახეთ შეგვეტყობინებინა მისთვის ყველაფერი, რაც კი ვიცოდით. იგი გვისმენდა დიდი ყურადღებით. დროდადრო თვალები ცრემლებით ევსებოდა, მაგრამ თავს იკავებდა. როგორცა ჩანდა, მასში სრული გარდატეხა მოხდა. იგი ცდილობდა, დამშვიდებული გვიჩვენებოდა.

როდესაც გავათავე, მან გვკითხა, სად შეეძლო ჩვენი ნახვა, თუ საჭირო იქნებოდა. მიველი ფარნის მკრთალ შუქთან გზის პირას და დავუწერე მისამართი – ჩემი და მისტერ პეგოტისა... მე ვკითხე, სად ცხოვრობდა თვითონ ის. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მიპასუხა, რომ არსად არ ცხოვრობს დიდი ხნობით და რომ ამის შესახებ უკეთესია ნუ მეკითხებითო.

მისტერ პეგოტიმ მანიშნა ჩურჩულით ერთი გარემოება, რომელიც თვითონაც მომივიდა თავში. ამოვიღე ქისა, მაგრამ ვერასგზობ ვერ დავიყოლიე ეს უბედური, მიეღო ჩემგან ცოტაოდენი ფული. იმაზედაც კი ვერ დავითანხმე, რომ დამპირებოდა – შემდეგში მაინც მიეღო ჩვენი დახმარება. იგი შეუპოვარი დარჩა.

მან გაიწოდა მთრთოლვარე ხელიდა შეეხო მისტერ პეგოტის, თითქოს მასში მკურნალი ძალა იყო; შემდეგ წავიდა ჩვენგან უდაბურის გზით.

შუალამე იყო, როდესაც სახლში ვბრუნდებოდით. ჩემდა გასაოცრად, შევნიშნე, რომ პაპიდას სახლში კარი ღია იყო და იქიდან გზისკენ მკრთალი სინათლე გამოდიოდა. როდესაც სახლს მივუახლოვდი, დავინახე ვიღაც კაცი, რომელიც ბაღში იდგა.

მას ხელში ბოთლი და ჭიქა ეჭირა. საჩქაროდ შევცერდი ხის ხშირი ტოტების ქვეშ. მალე ვიცანი სწორე ის ადამიანი, რომელსაც ოდესღაც მისტერ დიკის ოცნების ნაყოფად ვთვლიდი და რომელიც დაგვხვდა ერთხელ მე და პაპიდას ლონდონის ქუჩებში.

იგი არა მარტო სვამდა, სჭამდა კიდევ, და სჭამდა დიდი სიხარბით. იგი დაიხარა რომ მიწაზე დაედგა ბოთლი, შეხედა ფანჯარას და დაიწყო გარშემო ცქერა, მაგრამ რაღაც იდუმალებითა და მოუთმენლობით, თითქოს უნდოდა რაც შეიძლება მალე გასულიყო იქიდან.

რამდენიმე წამით შესავალში სინათლე დაბნელდა და კარებში პაპიდა გამოჩნდა. იგი აღელვებული იყო და ფული გადაუთვალა უცნობს. მე მესმოდა ფულის შხარუნის ხმა.

– ეს ცოტაა! – თქვა უცნობმა.

– მეტის მოცემა არ შემიძლია, – უპასუხა პაპიდამ.

– მაშინ არ წავაღ, – უთხრა მან, – აჰა, აი, შეგიძლია უკან წავიღო შენი ფული.

– რა საძაგელი ადამიანი ხარ, – უთხრა პაპიდამ აღელვებით. – განა შეიძლება ამგვარად მოქცევა ჩემთან? მაგრამ რას ვკითხულობ! შენ ასე იმიტომ იქცევი, რომ იცი ჩემი სისუსტე. როგორ მოგიშორო თავიდან? ადრე თუ გვიან, იძულებული ვიქნები, მიგაგდო ბედის ანაბარად.

– მერე? რაღას ელი? – ჰკითხა მან.

– კიდევ მეკითხები? – უპასუხა პაპილამ. – რა გული აქვს ამ ადამიანს!

კაცი იდგა უკაყოფილო და ფულებს აჩხარუნებდა; შემდეგ თავი გაიქნია და თქვა:

– მაშ მეტს არაფერს მომცემ?

– სულ ეს არის, რის მოცემაც შემიძლია, – უპასუხა პაპილამ. – შენ ხომ იცი, რომ ქონება დავკარგე და გავღარიბდი. უკვე გიამბუე ეს.

– რა გულკეთილი ხარ! მაგრამ, რაც არის, არის, ამ ჯერზე ასე იყოს, დავეაბულდები იმას, რაც მივიღე.

იგი მძიმე ნაბიჯით გავიდა ბაღიდან. საჩქაროდ გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, თითქოს ახლა მოვდიოდი, და შესავალთან შევეფეთე მას. ჩვენ მტრული თვალით დავათვალიერეთ ერთმანეთი.

– პაპილა, – ვუთხარი საჩქაროდ, – ეს კაცი ისევ გაწუხებთ. ვინ არის? მე მოველაპარაკები მას!

– შეილო! – მითხრა პაპილამ და ხელი მტაცა. – წამო ჩემთან. ნუ მელაპარაკები ათი წუთის განმავლობაში.

ჩვენ სასტუმროში დავსხედით. პაპილა მოეფარა ძველ მრგვალ, მწვანე თერჯს, რომელიც სავარძლის ზურგზე იყო მომაგრებული, შემდეგ გამოვიდა იქიდან და დაჯდა ჩემს გვერდით, სავარძელზე.

– ტროტ, – მითხრა პაპილამ წყნარად, – ეს ჩემი ქმარია!

– თქვენი ქმარი, პაპილა? აკი მოკვდაო?

– მოკვდა ჩემთვის, – მიპასუხა მან, – მაგრამ ჯერ ცოცხალია.

შევეყურებდი მას ჩუმი გაცემით.

– ბეტსი ტროტგუდი არ ჰგავს ისეთ არსებას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ნაზი გრძნობები, – მითხრა პაპილამ მტკიცე, მშვიდი სახით, – მაგრამ იყო დრო, ტროტ, როდესაც იგი სავსებით მიენდო ამ ადამიანს, როდესაც უყვარდა იგი სულით და გულით; როდესაც მაგ ადამიანის გულისათვის მზად იყო, ყოველგვარი მსხვერპლი გაეგელო ერთგულების დასამტკიცებლად. მან იმით გადაუხადა მადლობა, რომ გაფლანგა მისი ქონება და მოუკლა გული.

– კეთილო, ძვირფასო პაპილა!

– მას მშვიდად გავშორდი, – განაგრძო პაპილამ და, ჩვეულებისამებრ, ხელი ხელზე დამადო. – იგი ისეთი სისასტიკით მექცეოდა, რომ შემეძლო გაყრის დროს მიმელო საუკეთესო პირობები, მაგრამ არ მიმიმართავს ამ ზომისათვის. მან მალე გაფლანგა ყველაფერი, რაც კი მივეცი, და სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემოდა. თუ არ ვცდები, ცოლი შეირთო ქალაქის მოთამაშე, გაიძვერა. როგორია, ახლა შენ თვითონ ჰხედავ, მაგრამ ძალიან ღამაში იყო, როდესაც გავთხოვდი მასზე, – მითხრა პაპილამ ისეთი კილოთი, რომელშიც ჯერ კიდევ ისმოდა ძველი სიყვარულისა და აღტაცების ანარეკლი, – და მას ვთვლიდი... მე ხომ სულელი ვიყავი მაშინ... პატიოსნების იდეალად.

ხელზე ხელი დამიკრა და თავი გაიქნია.

– ახლა იგი ჩემთვის არაფერია, ტროტ, უფრო ნაკლებიც, ვიდრე არაფერი, მაგრამ არ მინდა დაისაჯოს თავის ბოროტმოქმედებათათვის (ეს კი აუცილებლად მოხდება, თუ დაიწყებს ხეტიალს ამ ადგილებში). აი ამიტომ, დროგამოშვებით, როდესაც გამომეცხადება ხოლმე, ვაძლევ გაცილებით მეტ ფულს, ვიდრე საშუალება მაქვს, ოღონდ აქედან წავიდეს. სულელი ვიყავი, როდესაც მივთხოვდი და მიყვარდა, ტროტ, როგორც კი შეუძლია სიყვარული ქალს.

პაპილამ ამოიხსრა და გაჩუმდა.

– ასე, ჩემო მეგობარო! – მითხრა მან. – ახლა შენ იცი დასაწყისი, შუაგული, ბოლო, ყველა წვრილმანი ჩემი ამბისა, მეტს ნულარ ვახსენებთ მას, და შენ, რასაკვირველია, ამას არავის უამბობ. დაე ჩვენ შორის დარჩეს ეს სულელური ამბავი ჩემი ცხოვრების, ტროტ!

## თავი ორმოცდამეხუთე

### შინაური საქმეები

გამოვიდა, ბოლოს, ჩემი პირველი წიგნი. მას დიდი გამარჯვება ერგო. მაგრამ ქებამ, რომელმაც დაიგუგუნა ჩემს ყურებში, სრულებით არ გააბრუნა ჩემი, მწერლის თავმოყვარეობა, თუმცა დიდი ყურადღებით ვუსმენდი მას და პირადად დიდი აზრის ვიყავი ჩემი ოცნების შემოქმედებაზე.

მაგრამ არ ვაპირებ აქ ჩემი ლიტერატურული საქმეებისა და მათი წარმატების შესახებ სრული ანგარიშის წარმოდგენას, თუმცა ყველა სხვა მხრივ ეს წიგნი უნდა იყოს ჩემი ცხოვრების სწორი ანასახი. ჩემმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა თვითონ უნდა ილაპარაკონ თავიანთ შესახებ – და დაე თვითონვე ილაპარაკონ. ამ შემთხვევაში მათ ვახსენებ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ჩემი ცხოვრების ნაწილს შეადგენენ.

მე წარმატებით ვწერდი გაზეთებში და სხვა გამოცემებშიც, მაგრამ, როდესაც ნამდვილად გავიმარჯვე, როგორც დიდი წიგნის ავტორმა, თავს ნება მივეცი თავი დამენებებინა პარლამენტის მოსაწყენი კრებებისათვის. ამიტომ ერთ მშვენიერ საღამოს უკანასკნელად დავაღაგე პარლამენტის მიკიბულ-მოკიბული სიტყვები ჩემს სტენოგრაფიულ ნოტებზე და ამის შემდეგ ამ მუსიკას არასოდეს აღარ შეუწუხებია ჩემი ყურთასმენა.

დაახლოებით წელიწადნახევარმა გაიარა მას შემდეგ, რაც ცოლი შევირთე. მრავალი უხეირო ცდის შემდეგ თავი დავანებეთ შინაურ საქმეებზე ზრუნვას, როგორც ყოველად გამოუსადეგარ შრომას. ოჯახური საქმეები თავისთავად მიდიოდა; მოსამსახურისათვის დასახმარებლად კი დავიქირავეთ პაუი, რომელიც ჩვენს სახლში ცხოვრობდა და თავის უპირველეს მოვალეობად სთვლიდა მზარეულთან ჩხუბსა და ლანძღვას.

ეს უბედური პაუი, რაღაც ეშმაკად დაქირავებული ჩემს მიერ, ექვს გირვანქად და ათ შილინგად წელიწადში, დაუსრულებელი შიშის საგანი გახდა ჩემთვის. ვაკვირდებოდი მის ზრდას, – იზრდებოდა კი იგი ცერცვის სისწრაფით, – და საშინელი შიში ამიტანდა ხოლმე იმ დროის მოლოდინში, როდესაც წვერის პარსვას დაიწყებდა, შემდეგ გათეთრდებოდა, გაქაჩლდებოდა... არავითარი იმედის შუქი ამ ტვირთის თავიდან მოშორების არ ჩანდა.

ბოლოს ჩემს მტარვალს მიუსაჯეს სამშობლოდან გადასახლება ქურდობისათვის. იგი განუწყვეტლივ გვწერდა წერილებს ციხიდან და ისეთ ცხარე სურვილს აცხადებდა ღორას ნახვისას წასვლის წინ, რომ ღორა გაემგზავრა ციხეში და, რასაკვირველია, მაშინვე გული წაუვიდა, როგორც კი რკინის მოაჯირის იქით მოხვდა. მოკლედ რომ ვთქვათ, არ მქონდა არც ერთი მოსვენებული წუთი, სანამ ეს ბიჭი არ გადაასახლეს და მწყემსად არ დააყენეს (როგორც ეს შემდეგში გავიგე) სადღაც „ზღვის გაღმა“, სად, ნიშანდობლივ არ გიცო.

ყოველივე ამან სერიოზულად დამაფიქრა და ახალი სახით წარმომიდგა ჩვენი ოჯახური საქმეების აწეწილობა. მიუხედავად ჩემი სიყვარულისა ღორასადმი, არ შემეძლო არ გამეზიარებინა მისთვის ჩემი აზრები ამის შესახებ.

– გენაცვალე, – ვუთხარი ერთ საღამოს, – საფიქრელადაც საშინელია, რომ ჩვენი უვიცობა ოჯახურ საქმეებში მავნებელი ხდება არა მარტო ჩვენთვის, ვინც უკვე მივეჩვიეთ ამას, არამედ სხვებისთვისაც.

– შენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთი დამშვიდებული იყავი, დოდი, რაღად გინდა ისევ გამიჯავრდე? – მითხრა ღორამ.

– სრულებითაც არა, ჩემო მეგობარო, გარწმუნებ. მომეცი ოღონდ საშუალება, უფრო ნათლად გამოვთქვა ჩემი აზრი.

– მერე, რად მინდა ვიცოდე შენი აზრი? – მითხრა დორამ. – სრულებითაც არ მსურს ვიცოდე, რა გაქვს თავში.

– კი, მაგრამ მე მინდა, დორა, რომ შენ გაიგო, რაშია საქმე.

მისმა მშვენიერმა სახემ სრულებით სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

– სამქე იმაშია, ჩემო კარგო, რომ ჩვენ რაღაც ჭირი გვჭირს, და ეს ჭირი გადადის ყველაზე, ვინც კი ჩვენ გვეკარება.

მე ასე დავიწყე და განვაგრძობდი ამგვარ ფიგურალურ ლაპარაკს, მაგრამ დორას შეშინებულმა სახემ დამანახა, რომ ხუმრობაგაშვებით შეეშინდა და, მგონი, ფიქრობდა, რომ ვაპირებდი ყვავილის აცრის ან ამის მაგვარი ახალი საშუალების შემოღებას ჩვენი საშინელი სენის წინააღმდეგ. ამიტომ გამოვიცვალე კილო და ვეცადე, რაც შეიძლებოდა მარტივად გამომეთქვა ჩემი აზრი.

– გენაცვალე! – ვუთხარი მე. – ჩვენი უზრუნველყოფის გამო ვკარგავთ არა მარტო ფულს, კომფორტს და დროგამოშვებით სულის სიმშვიდეს, არამედ ვდგებით პასუხისგებაში სინდისის წინაშე; ჩვენ ხომ პირდაპირ ვხრწნი ჩვენს მოსამსახურეებს! საუბედუროდ, აქ მარტო ისინი არ არიან დამნაშავეები; ხალხი ირყვნება, რადგან ჩვენ თვითონ არ ვცდილობთ, გამოვასწოროთ ჩვენი ნაკლი!

– ო, რა საშინელი ბრალდებაა! – შესძახა დორამ და შემომხედა გაოცებული თვალებით. – თქმა იმისა, რომ მე საათს ვიპარავ, ო რა საშინელებაა!

– ჩემო კარგო! – ვუთხარი მე. – როგორ შეიძლება ამგვარი სისულელის თქმა? განა მე რამე ვთქვი საათის შესახებ?

– რასაკვირველია, სთქვი! – მითხრა დორამ. – შენ თვითონ იცი ეს. შენ პირადად შემაღარე მას!

– ვის?

– ვის და იმ საძაგელ ბიჭს, – მითხრა დორამ ქვითინით. – რატომ შერთვამდე არ გამომიცხადე შენი აზრი? რატომ მაშინვე არ სთქვი, რომ მე გადასახლებულ პაუზე უარესი ვარ? ო, რა საშინელებაა!

– დამშვიდდი, ჩემო კარგო, გემუდარები. ერთხელ მაინც მიაქციე ყურადღება იმას, რასაც ვამბობ და რის თქმასაც ვაპირებ ჩვენი საერთო სარგებლობისათვის. სანამ თვითონ არ შევიგნებთ ჩვენ მოვალეობას მოსამსახურეთადმი, მანამდე მათაც არ ეცოდინებათ თავიანთი მოვალეობა ჩვენდამი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამის შესახებ. აი ის, რაც უნდა მეთქვა. კარგი, დამშვიდდი, ჩემო კარგო!

დიდხანს ქვითინებდა ჩემი პაწაწა ცოლი და არ მაძლევდა ნებას მომემორებინა ცხვირსახოცი მის თვალთაგან. იგი მაღავედა სახეს და ბუტბუტებდა, რომ სრულებით არ უნდა შემერთო ცოლი, თუ ასეთი უბედური ვარ. რაკი ასეა, რატომ არ ვგზავნი მას მამიდებთან პუტნიში, ან ჯულია მილსთან ინდოეთში? ჯულიას გაუხარდება მისი ნახვა და არ დაუძახებს მას გადასახლებულ პაუსს; ჯულიას არასოდეს არ უწოდებია მისთვის ასეთი საძაგელი სახელი! ვხედავდი სრულ უსარგებლობას ყოველგვარი ახალი ცდისას ამ სახით და გადავწყვიტე, სხვა ზომებისათვის მიმემართა. მაგრამ რა? „ცოლის ჭკუის განვითარება“. – ეს სიტყვები ძალიან სასიამოვნოა სმენისათვის და გამამხნეველი იერი აქვს. გადავწყვიტე დორას ჭკუის განვითარება.

ამას დაუყოვნებლივ შევუდექი. დორა ცელქობს, როგორც ბავშვი, და თვითონაც ძალიან მინდა მასთან ერთად თამაშობა; მაგრამ ვიღებ სერიოზულ სახეს და ვარდევ მის მხიარულებას – და ჩემსასაც აგრეთვე. ვებასებოდი მას ისეთ საგნებზე, რომლებიც იტაცებდნენ ჩემს ოცნებას, უკუითხავდი შექსპირს და ვქანცავდი საბრალოს უკიდურესობამდე. ვცდილობდი, გადამეცა მისთვის, თითქოს შემთხვევით, ზოგიერთი სასარგებლო ცნობები. მას ეშინოდა მაგვარი დარიგებისა და ყოველნაირად ერიდებოდა მათ, თუკი რაიმე საბაბს იშოვიდა. ჩემი პაწაწინა ცოლის ჭკუის განვითარებას დიდი სიფრთხილით შევუდგებოდი ხოლმე, მაგრამ იგი, როგორც ჩანდა, მუდამ გრძნობდა, საით მიმყავდა ლაპარაკი; ისიც ცხადი

იყო, რომ შექსპირი მას წარმოდგენილი ჰყავდა რაღაც საშინელ არსებად. განვითარება ძალიან მძიმედ მიიწვედა წინ.

განვითარების ამ ცდაში ტრედელსიც ჩავითრიე, ისე, რომ მას ეჭვიც არ აუღია. როგორც კი ტრედელსი მოვიდოდა ხოლმე ჩვენსას, ვაფეთქებდი მის წინ ჩემს ნაღმებს დორას ჭკუის სასწავლებლად. პრაქტიკული სიბრძნის რაოდენობა, რომელიც შევატყობინე ტრედელსს ამგვარად, უზარმაზარი იყო, მაგრამ დორაზე ყოველივე ამან არავითარი გავლენა არ მოახდინა გარდა იმისა, რომ მუდამ რაღაც ნერვიულ შიშს განიცდიდა.

ჯერ კიდევ იმედი მქონდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ჩემ და დორას შორის სრული თანხმობა დამყარდებოდა, ამიტომ დაუღალავად მივისწრაფოდი ჩემი მიზნისაკენ რამდენიმე თვის განმავლობაში. მაგრამ ყოველივე აქედან არა გამოვიდა რა. მაშინ, სინდისის დასამშვიდებლად გადავწყვიტე, რომ დორას ჭკუა საბოლოოდ განვითარებული იყო!

უარი ვთქვი ჩემს პედაგოგიურ გეგმაზე, რომელიც ძალიან მიმზიდველი იყო სიტყვიერად, ამგვარად ყოველად უსარგებლო გამოდგა საქმეში. გადავწყვიტე დავკმაყოფილებულიყავი ჩემი ცოლის ბავშვური, გულუბრყვილო ხასიათით და უკვე აღარ ვცდილობდი, მომეხდინა მასში რაიმე ცვლილება. თვითონაც საშინლად მომბეზრდა მუდამ ღრმააზროვანი ბრძენის როლის თამაში და დორას სახეზე მოწყენილობისა და ძალდატანების გამომეტყველების ცქერა. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ვიყიდე წყვილი საუცხოო საყურე დორასთვის და საყვლო ჯიპისთვის და დავბრუნდი სახლში მტკიცე გადაწყვეტილებით – აღმედგინა ჩემი წარსული ბედნიერება.

დორას გაუხარდა ეს პატარა საჩუქრები და აღტაცებით გადამოკცნა, მაგრამ მაინც რაღაც ჩრდილი ჯერ კიდევ დარჩა ჩვენს შორის და გადავწყვიტე, უსათუოდ გამეფანტა იგი.

მივუჯექი დორას სოფაზე და გავუკეთე საყურეები. მერე ვუთხარი, რომ ბოლო დროს ისე კარგად არ ვცხოვრობდით, როგორც წინათ, და რომ ამაში მე ვარ დამნაშავე. ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული.

– საქმე იმაშია, – ვუთხარი მე, – რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მინდოდა ბრძენი ვყოფილიყავი.

– და მეც ბრძენი გაგეხადე – მითხრა დორამ მორიდებით. – არა, დოდი?

მე თავი დავუქნიე ამ მომხიბლავი კითხვის პასუხად, რომელიც გამოიხატა აწეული წარბებით, და დავუჭირე ტუჩები, რომელიც ჩემი კოცნის აცილებას ცდილობდნენ.

– აქედან არავითარი სარგებლობა არ გამოვა, – განაგრძო დორამ და თავი გაიქნია: – შენ თვითონ იცი, როგორი ბავშვი ვარ! და არ დავგიწყებია, რასაკვირველია, რა სახელიც უნდა დამიძახო. და თუ შენ აღარ გინდა მიწოდო შენი პაწაწინა ცოლი, ეს იმას ნიშნავს, ჩემი აზრით, რომ არასოდეს არ გყვარებივარ. შენ, ალბათ, არასოდეს არ მოგსვლია თავში აზრად, რომ უკეთესი იქნებოდა... რომ...

– რა რომ, ჩემო კარგო? – ვკითხე მე, რადგან იგი უეცრად შეჩერდა. – რომ რა?

– არაფერი, – მითხრა მან.

იგი მომეხვია ყელზე და დამალა თავისი მშვენიერი სახე ჩემს მხარზე.

– დარწმუნებული ვარ, უკეთესი იყო, სრულებით არაფერი არ გამეკეთებინა, ვიდრე ის, რომ ვცდილობდი, განმევითარებინა ჩემი პაწაწინა ცოლის ჭკუა, – ვუთხარი მე სიცილით. – ასე არ არის? ღმერთმანი, მე დარწმუნებული ვარ ამაში.

– მაშ, აი რასა ცდილობდი! – შესძახა დორამ. – აჰ, შე სულელო ბიჭუნა!

– ამის შემდეგ აღარ ვიზამ, – ვუთხარი მე. – მე მიყვარს იგი ისეთი, როგორიც არის.

– მართლა – იკითხა დორამ.



– რად უნდა გამოვცვალო, რაც ასე მომწონდა ამდენი ხნის განმავლობაში, – ფთქვი მე. – შენ ყველაზე მშვენიერი ხანა შენი ახლანდელი სახით, ჩემო კარგო, ისევ ვიცხოვროთ ძველებურად და ბედნიერები ვიყოთ.

– და ბედნიერები ვიყოთ! – დაადასტურა დორამ. – დიახ, ბედნიერები მთელ ჩვენს სიცოცხლეში! შენ არასოდეს არ იფიქრებ, რომ საქმე ისე არ მიდის, როგორც წესია?

– არასოდეს, არასოდეს! – ვუთხარი მე. – ვიცხოვროთ, როგორც გვეცხოვრება.

– და შენ არასოდეს აღარ იტყვი, რომ ჩვენ ვაფუჭებთ ხალხს? – მითხრა დორამ ალერსით. – არა? შენ ხომ თვითონაც იცი, რა ცუდია ეს.

– სჯობს, რომ შენ დორა იყო, ვიდრე სხვა ვინმე, ვინც არ უნდა იყოს მთელ დედამიწის ზურგზე.

– მთელ დედამიწის ზურგზე? ჰა, დოდი? ეს ხომ უზარმაზარი ადგილია?

მან გაიქნია თავი, მომანათა თავისი აღტაცებული, ნათელი თვალები, გადამკოცნა, გადაიკისკისა მხიარულად და გაიქცა, რომ ჯიპისთვის ახალი საყელო გაეკეთებინა.

ამგვარად დასრულდა ჩემი უკანასკნელი ცდა ცოლის გარდაქმნისა. ჩემმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა. უწინდელი მძიმე გრძობა ჯერ ისევ ჩრდილავდა ჩემს არსებობას. იგი ღრმად მქონდა გამჯდარი და არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა მასში. უწინდებურად იგი გამოურკვეველი იყო, და თითქოს რაღაც სევდიან ხმას მოჰქონდა ჩემთან შუადამეში. გულწრფელად მიყვარდა ჩემი ცოლი და ბედნიერად ვთვლიდი თავს, მაგრამ ეს ის ბედნიერება არ იყო, რომელიც ოდესღაც ეხატებოდა ჩემს ოცნებას. რაღაც მენანებოდა და რაღაც აკლდა ჩემს სრულს კეთილდღეობას.

როდესაც ვფიქრობდი ჩემი სიჭაბუკის შეუსრულებელ ოცნებებზე, გონებაში წარმომიდგებოდა ხოლმე ის საუკეთესო ხანა, რომელიც წინ უძღვის ვაჟკაცობას, – ის ასაკი, რომელიც გაქრა ჩემთვის სამუდამოდ, – და მაშინ მაგონდებოდა ბედნიერი დღეები, გატარებული აგნესასთან ერთად, საყვარელ ძველ სახლში.

ზოგჯერ მომივიდოდა აზრი, – რა იქნებოდა, მე და დორას რომ არასოდეს გვენახა ერთმანეთი? მაგრამ დორა ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩემს არსებობასთან, რომ ამგვარი აზრი სისულელედ მიმაჩნდა, და მალე ქრებოდა.

ყოველთვის მიყვარდა ჩემი პაწაწინა ცოლი. ის, რაზედაც მე ახლა ვლაპარაკობ, თვლემდა ჩემი გულის სიღრმეში და მხოლოდ დროგამოშვებით იღვიძებდა ოდნავ შესამჩნევად. რომ ისევ ჩაეძინა ღრმა ძილით. არასოდეს არ წარმომიდგენია ეს ფიქრები ცხადად, გარკვეული სახით, და არა მგონია, მათ ჰქონოდათ რაიმე გავლენა ჩემს სიტყვებზე ან მოქმედებაზე. მარტო ვებრძოდი და ვერეოდი ჩემს პატარა დარდებს და ჩემს საკუთარ გეგმებს. მე ვწერდი, დორა კალმებს მითლიდა, და ორივენი ვგრძობდით, რომ ყოველი ჩვენთაგანი ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც წილად ერგო. დორას გულწრფელად ვუყვარდი და ამაყოფობდა ასეთი ქმრით.

„პირველი შემცდარი გატაცება გამოუცდელი გულისა“, – ეს სიტყვები წარმოთქმული დოქტორ სტრონგის მეუღლის მიერ, ყოველ წუთში მაგონდებოდა და თითქოს არ მშორდებოდა. ხშირად ამ სიტყვებით ვიღვიძებდი შუადამისას.

„ცოლქმრობაში უთანასწორობის მიზეზები წარმოსდგება სურვილების, აზრებისა და გემოვნების სხვადასხვაობისაგან“, ეს აზრიც არ მანებებდა თავს. ვცდილობდი, შეემფარებინა ერთმანეთისთვის დორას და ჩემი აზრები, მაგრამ დავინახე, რომ ეს შეუძლებელი იყო. ერთიდა დამრჩენოდა, – თვითონ შემეთვისებინა დორას აზრები; გამენაწილებინა მასთან ის, რაც შესაძლებელი იყო, და ბედნიერი ვყოფილიყავი; ჩემი საკუთარი ზურგით გადამეტანა ის, რაც აუცილებელი იყო, და მაინც ბედნიერი ვყოფილიყავი. ვცდილობდი, მიჩხვოდი ამ

აზრს, და ამიტომ მეორე წელიწადი ჩემი ოჯახური ცხოვრებისა გაცილებით უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე პირველი.

მაგრამ როდესაც ეს წელი ბოლოს უახლოვდებოდა, დორას ჯანმრთელობა შესამჩნევად შესუსტდა. იმედი მქონდა, რომ ხელები, ჩემს ხელებზე უფრო ნაზი, შესძლებდნენ ახალი ცხოვრების შექმნას, და რომ ბავშვის ღიმილი, მშვენიერი დედის მკერდზე, ნამდვილად ქალად აქცევდნენ ჩემს პაწაწინა ცოლს. მაგრამ ყოველივე ამას არ ეწერა ასრულება.

ძვირფასო დორა! როდესაც იგი შემდეგ კვირას ჩამოვიდა სადილად და გაუხარდა ჩვენი ძველი მეგობრის ტრედელსის ნახვა (იგი ყოველ კვირა დღეს სადილობდა ჩვენთან), ყველამ გადავწყვიტეთ, რომ ერთი-ორი დღის შემდეგ ისევ ძველებურად დაიწყებდა სირბილს ყველა ოთახში, მაგრამ შემდეგ გვითხრეს, რომ უნდა მოვითმინოთ რამდენიმე დღე, მერე ისევ გვაცდევინეს, და დორას ჯერ არ შეეძლო არც სირბილი, არც სიარული.

იგი მხიარული და მშვენიერი იყო, როგორც კვლავ, მაგრამ მისი ფეხები, ოდესღაც რომ ასეთი სისწრაფით ცეკვავდნენ ჯიპის გარშემო, ახლა სუსტი და უძრავი იყო.

ახლა, ყოველ დილას, მე ჩამომყავდა დორა ხელში აყვანილი. საღამოს ისევ ამყავდა ზევით. იგი ხელებსა მხვევდა ყელზე და იცინოდა, თითქოს გასართობად დამყავდა. ჯიპი ჰყეფდა და ტრიალებდა ჩვენს გარშემო; წინ მიბობდა და უკან იხედებოდა, თან ქშიტინებდა სიბერისაგან. პაპიდა, რომელიც ყოველ მოწყალების დაზე უკეთესად უვლიდა ავადმყოფს და არასოდეს არ ჰკარგავდა მხიარულებას, მოიჩქაროდა ჩვენს უკან უამრავი სალებითა და ბალიშებით. მისტერ დიკი ქვეყანაზე არავის არ დაუთმობდა თავის მოვალეობას – გაენათებინა ჩვენთვის გზა. ტრედელსი ხშირად იდგა ხოლმე კიბის ძირში, გვიცქეროდა და იღებდა სასაცილო დავალებებს დორასაგან თავის საცოლისათვის გადასაცემად. ჩვენ მხიარულ პროცესიას შევადგენდით და ყველაზე მხიარული ჩემი პაწაწინა ცოლი იყო.

მაგრამ ზოგჯერ, როდესაც ხელში ავიყვანდი, გამჩნევდი, რომ დღითი დღე მსუბუქდებოდა, და რაღაც საშინელი გულსაკლავი გრძნობა ამიტანდა ხოლმე. მეშინოდა, დამერქვა ამ გრძნობისათვის რაიმე სახელი, და ვერ ვბედავდი ანგარიში მიმეცა ჩემი თავისთვის. ერთხელ საღამოს, როდესაც ჩვეულებისამებრ, ვუჯექი საწერ მაგიდას, ეს გრძნობა განსაკუთრებული სიმძიმით შემომაწვა და პირველად მეწყინა საშინლად პაპიდას სიტყვები, როდესაც, დორასთან გამოთხოვების დროს, მან უთხრა: „ღამე მშვიდობისა, პატარა ყვავილო!“ რა საბედისწერო სახელია! ყვავილი ჭკნება თავის ღეროზე!

თავი ორმოცდამეექვსე

მისტერ მიკობერის საიდუმლო

ერთ მშვენიერ დილას მივიღე ფოსტით წერილი კენტერბერიდან, შემდეგი მისამართით: „ღავით კოპერფილდს, ესკვაირს, დოქტორთა კოლეჯიაში მოსამსახურეს“. ერთგვარი გაკვირვებით წავიკითხე შემდეგი სტრიქონები:

„ჩემო ძვირფასო სერ!

ათასგვარი გარემოება, ჩემგან სრულებით დამოუკიდებელი, იშვიათად მაძლევს ნებას, გონების თვალთ ჩავიფიქრდე წარსულ ამბებსა და შემთხვევებს; მაგრამ თუ კიდევ, უამრავ იურიდიულ საქმეთა და მოვალეობათა შორის, იშვიათად ვპოულობ ზოგიერთ შესაძლებლობას ჩემს თავს დავუბრუნდე ხოლმე, ამ ბედნიერ წუთებში ჩემი სული ივსება და მუდამ სავსე იქნება სოცოცხლის

ბოლომდე გამოუთქმელი ნეტარებით იმის ფიქრში, რომ ოდესღაც მქონდა დიდი პატივი, მესარგებლა თქვენი ძვირფასი მეგობრობით, თქვენ უმორჩილეს მონას. ვაგლახ! ბედმა ისურვა ჩვენი განშორება დიდი ხნით და დაღო გარდაუვალი ზღუდე ჩვენს შორის!

ჩემს საკუთარ შეცდომათა და სხვადასხვა არასასურველ გარემოებათა გამო ადამიანი, რომეიც ამ წუთში მოგმართავთ წერილით, იმყოფება, თუ ნებას მიბოძებთ, ასე ვთქვათ, ქარიშხალით დამსხვრეული გემის მდგომარეობაში.

თუ რაიმე საქმე არ დაგიშლით, შეხედოთ ყურადღებიანი და მოწყალე თვალით ამ საცოდავ წერილს, სუსტი და გამოუცდელი კალმით დაჯღაბნილს, თქვენ, წინა სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, შეჭველია, მომცემთ კითხვას: რამ მაიძულა მომემართა თქვენთვის ამ წერილით?

სრულებით არ ვგულისხმობ არც პირდაპირ, არც გადაკვრით, რომ შემიძლია მეხის ისარი ვტყორცნო და მოესპო ბოროტება და სიმდაბლე სასჯელის შთანთქმელის ალით; მხოლოდ შევნიშნავ გაკვრით, რომ მხიარული და ნათელი ოცნება ჩემი სიცოცხლისა სამუდამოდ გაჰქრა, და ვაგლახ! აღარ არის ჩემში აღარც სულის სიმშვიდე, აღარც საზოგადოების გამხიარულების უწინდელი ნიჭი! მე თვითონ ვთქვი უარი ჩემს საკუთარ პიროვნებაზე და უკვე აღარ შემიძლია, გუცქირო თვალებში ჩემს ახლობლებს საკუთარი ღირსების გრძობით! სასოწარკვეთილების მაგლი ბუდობს ჩემს გულში და ღრღინს ჩემს სიცოცხლეს, ოდესღაც ენერგიით სავსეს, და ღამის დაღუპოს თავისი მსხვერპლი, მაგრამ რაც იქნება, იქნება! წილი ნაყარია და, რაც უფრო მალე მოეღება ბოლო ყოველივეს, მით უკეთესი!

სასოწარკვეთილებამ ამიტანა იმ ზომამდე, რომ ყოველი ძალა დაეკარგა მისის მიკობერის გავლენასაც კი, რომელსაც იგი მუდამ ახდენდა ჩემს ენერგიულ ხასიათზე, რგორც ქალი, მეუღლე და ჩემი ბარტყების დედა. აი ამიტომ მინდა ცოტათი გავერთო, დავივიწყო ჩემი ნამდვილი მდგომარეობა და აუცილებელი დაღუპვის პერსპექტივა. გადავწყვიტე, ვისარგებლო თავისუფალი დღით, რომ ვნახო სატახტო ქალაქში ადგილები, ჩემთვის წარსული ბედნიერების მოგონებით. გაცნობებთ, რომ ზეგ, სწორედ საღამოს შვიდ საათზე, ვიქნები უბედურ მოვალეთა დატუსაღების ადგილს სამხრეთ კედელთან, – ეს არის ერთადერთი მიზანი წინამდებარე წერილისა ჩემი სიყმაწვილის მეგობართან.

ვერ გავკადნიერდები იმდენად, რომ იმედი ვიქონიო, თითქოს ჩემი უწინდელი მეგობარი მისტერ კოპერფილდი და ჩემი ძველი მეგობარი თომას ტრედელსი დათანხმდებიან მნახონ და განაახლონ, რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. მხოლოდ შევნიშნავ, რომ დანიშნულ საათსა და დანიშნულ ადგილას იქნება საცოდავი ნაშთი.

ვილკინს მიკობერისა.

ა.შ. საჭიროდ ვთვლი დაგუმატო, რომ მისის მიკობერი სრულებით არ არის ჩახედული ჩემს საქმეში“.

რამდენჯერმე გადავიკითხე ეს წერილი. მხედველობაში რომ მივიღოთ მისტერ მიკობერის ჩვეულება მაღალფარდოვანი სიტყვების ხმარებისა და მისი გატაცება გრძელი წერილებით, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, მაინც არ შეიძლებოდა, არ ეფიქრა ადამიანს, რომ რაღაც საიდუმლოება, მართლაც, იმალება მთელ ამ მაღალფარდოვან სიტყვათა და წინადადებათა ქაოსში. ამ დროს შემოვიდა ტრედელსი და ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში მნახა.

– წარმოიდგინე, ტრედელს! საკვირველი წერილი მივიღე მისტერ მიკობერისაგან.

– რას მელაპარაკები? – შესძახა ტრერედელსმა. – გარემოებათა როგორი უცნაური დამთხვევაა! მე კი სწორედ ახლა მივიღე წერილი მისის მიკობერისაგან!

ამ სიტყვებთან ერთად ტრედელსმა ამოიღო ჯიბიდან გახსნილი კონვერტი და ჩვენ შევცვალეთ წერილები.

აი რას წერდა მისის მიკობერი:

„მაქვს პატივი გამოვუცხადო ჩემი უდიდესი პატივისცემა მისტერ თომას ტრედელსს. თუ ამ ჯენტლმენს არ დავიწყებია არსება, რომელსაც ოდესღაც ბედნიერება ჰქონდა მისი ნაცნობობისა, ეს პიროვნება ბედავს, სთხოვოს მას რამდენიმე წუთი თავისუფალი დრო. შემძლია დავარწმუნო მისტერ თომას ტრედელსი, რომ არასოდეს არ შევაწუხებდი ამგვარი თხოვნით, სასოწარკვეთილებამდე რომ არ ვიყო მისული.

ჩემდა უადრეს სამწუხაროდ, უნდა გამოვაცხადო, რომ ამ წერისა და თხოვნის მიზეზი არის მისტერ მიკობერის უცნაური გაგარეულება ცოლისა და ოჯახისაგან, – ცვლილება, მომხდარი ადამიანში, რომელიც მუდამ აღსავსე იყო უნაზესი სიყვარულით ოჯახისადმი. მისტერ ტრედელსი ვერც კი წარმოიდგენს კარგად ამ ცვლილებას, რომელიც მოხდა მისტერ მიკობერის ქცევაში; ეს ოდესღაც ნაზი და მოსიყვარულე ოჯახში თავი გადაიქცა თავდაუჭერელ, ველურ, სიფიცხითა და სიმკაცრით აღსავსე ადამიანად. ეს უბედური სულის მდგომარეობა თანდათან გაძლიერდა მასში და მიიღო ბოლოს სრული სიგიჟის სახე. გულჩათხრობილობა გახდა განსაკუთრებული თვისება ჩემი მეუღლისა და შეცვალა უზომო ნდობა ცოლისადმი. მცირეოდენი მიზეზი, თვით ისეთი კითხვაც კი, თუ რა გავაკეთოთ სადილად, იწვევს მისტერ მიკობერში გაყრის სურვილს. წუხელ სადამოს პატარა ტყუპებმა სთხოვეს ორი პენსი ტკბილი კვერის საყიდლად; გაცოფებულმა მამამ უჩვენა ქარქაშიდან ამოღებული დანა და სიკვდილით დაემუქრა ამ ბავშვური, გულუბრყვილო თხოვნის საპასუხოდ.

ადვილი არ არის მოსიყვარულე მეუღლის ფხიზელი თვალის მოტყუება. ვიცი, რომ მისტერ მიკობერი ლონდონში მოდის. დილიუანსი გაჩერდება ვესტ-ენდში, „ოქროს ჯვარის“ სასტუმროსთან. გაგბედავ და ვთხოვ მისტერ ტრედელსს – ინახულოს ჩემი მეუღლე! ვემუდარები მისტერ ტრედელსს – სცადოს ალაღვინოს თანხმობა მისტერ მაკობერსა და მის გაუბედურებულ, სასოწარკვეთილებაში მყოფ ოჯახს შუა! თუმცა არა! ამგვარი თხოვნა მეტისმეტი კადნიერება იქნება ჩემგან!

თუ მისტერ კოპერფილდს ახსოვს ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ სახელსა და დიდებას, მისტერ ტრედელსი ინებებს და შეატყობინებს მას ჩემს მისდამი გარდაუვალ პატივისცემას. დაე, მისტერ ტრედელსმა დამდოს პატივი და შეატყობინოს თავის მეგობარს ჩემი უმორჩილესი თხოვნა – ინახულოს ჩემი უბედური მეუღლე! ყოველ შეთხვევაში, მისტერ ტრედელსმა კეთილი ინებოს და საიდუმლოდ შეინახოს ეს ცნობა და არ ახსენოს იგი, გადაკვრითაც კი, მისტერ მიობერთან. საჭიროდ ვთვლი დაუშმატო, რომ წერილს, გამოგზავნილს კენტერბერის ფოსტის კანტორაში, ლიტერებით: „ე.მ.“ მოთხოვნამდე, არავითარი ხიფათი არ მოეღის, რაიც აუცილებლად მოჰყვებოდა, წერილი რომ გამომიგზავნოს პირდაპირ იმ პიროვნების სახელზე, რომელსაც აქვს პატივი, იყოს მისტერ თომას ტრედელსის მავედრებელი და პატივისმცემელი მეგობარი.

ემი მიკობერი“.

მე და ტრედელსმა შევადგინეთ ამ წერილის პასუხი და ორივემ მოვაწერეთ ხელი. ამის შემდეგ წავედით ქალაქში წერილის ჩასაგდებად ფოსტის ყუთში და დიდხანს ვილაპარაკეთ პატივცემულ მეუღლეთა შესახებ; თან ათას რამეს ვფიქრობდით, რის მოყვანაც არც კი ღირს. ნასადილევს პაპიდასაც ვუამბეთ ეს ამბავი. მთელი ჩვენი თათბირი იმით დამთავრდა, რომ გადავწყვიტეთ, არ

დაგვეყოფნა, გამოვცხადებუღიყავით მისტერ მიკობერთან პაემანზე დანიშნულ დროს.

ჩვენ თხუთმეტი წუთით ადრე მივედით დანიშნულ ადგილას. მისტერ მიკობერი უკვე იქ იყო. იგი იდგა გულხელდაკრეფილი და მიეპყრო თვალები ციხის წვეტიანი კედლებისათვის. მას ეცვა ძველი სერთუკი და ნახმარი ვიწრო შარვალი; აღარ ეტყობოდა ყოფილი ამაყი გამომეტყველება!

– ძვირფასო კოპერფილდ! – მითხრა მან და ხელი ჩამომართვა. – დიდად გმადლობთ ასეთი სიკეთისათვის.

– იმედი მაქვს, რომ თქვენი მეუღლე კარგად ბრძანდება?

– გმადლობთ, – მიპასუხა მიკობერმა, თითქოს არც ისე კმაყოფილმა ამ კითხვით, – ჩემი მეუღლე ჩვეულებრივად არის. აი ვალის ციხეც, – თქვა მან და ნაღვლიანად დახარა თავი. – აქ, პირველად, რამდენიმე წლის შეწუხების შემდეგ, დაცხრა მომაბეზრებელი ხმები მევალებებისა; მათი ბრბო აღარ აწუხებდა ჩვენი სახლის შესავალ კარებს და აღარ აწამებდა სმენას მუდმივი რახუნით. ჯენტლმენებო, – განაგრძო მისტერ მიკობერმა, – როცა რკინის მოაჯირის ჩრდილი ეფინებოდა ხოლმე გზას, მე ხშირად მიცქერია, როგორ თამაშობდნენ ჩემი ბავშვები ამ მოაჯირის ჩრდილში. ყოველი ქვა აქ ძვირფასია ჩემთვის მოგონებით, და თქვენ, რასაკვირველია, მიხვდებით და მაპატიებთ ჩემ გულჩვილობას.

– თქვენ გუნებაზე ვერ ბრძანდებით, მისტერ მიკობერ? – ჰკითხა ტრედელსმა.

– დიას, სერ, – უპასუხა მისტერ მიკობერმა.

– როგორ ბრძანდება ჩვენი მეგობარი ჰიპი, მისტერ მიკობერ? – ვკითხე რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ.

– ძვირფასო კოპერფილდ! – მიპასუხა მისტერ მიკობერმა სიბრაზით და გაფითრდა აღშფოთებისაგან. – თუ პატრონს თქვენს მეგობრად ასახელებთ, – ძალიან მებრალებით, მაგრამ თუ თქვენ კითხულობთ მას, როგორც ჩემს მეგობარს, არ შემიძლია არ გავიციხო სარდონიკულად.

ბოდიში მოვიხადე, რომ უნებურად შევეხე თემას, რომელმაც იგი ასეთ აღშფოთებაში მოიყვანა.

– თუ ნებას მიბოძებთ, – ვუთხარი მე, – ის, რომ არ ჩავიძინო ახალი უხერხულობა, მოვიკითხავ ჩემს ძველ მეგობრებს: მისტერ და მის ვიკფილდს.

– მის ვიკფილდი, – მიპასუხა მისტერ მიკობერმა და გაწითლდა თმის ძირამდე, – მის ვიკფილდი ყოველთვის იყო და იქნება ბრწყინვალე განსახიერება ყოველგვარი ქალური სათნოებისა, ძვირფასო კოპერფილდ! ეს არსება ერთადერთი ნათელი სხივია ჩემი არსებობის მოღრუბლულ ცაზე. გამიყვანეთ ცოტა განზე, – მითხრა მისტერ მიკობერმა, – ვედარ ვიკავებ თავს.

ჩვენ შევუხვიეთ ვიწრო შესახვევში. მისტერ მიკობერმა ამოიღო ჯიბდან ცხვირსახოცი და კედელს მიეყრდნო ზურგით.

– ასეთი ბედის ვარ, – გვითხრა მისტერ მიკობერმა და აქვითინდა გულწრფელი ცრემლებით. – ასეთია ჩემი ბედი, ჯენტლმენებო, რომ ყველაზე კეთილშობილური გრძნობანი ადამიანის გულისა ჩემთვის საშინელი ტანჯვის წყაროდ ხდება. ჩემი ერთგულება მის ვიკფილდისადმი იმის მიზეზი გახდა, რომ ათასი ისარი დაესვა ჩემს უბედურ გულს!

მისტერ მიკობერმა ჩაიღო ცხვირსახოცი ჯიბეში, აიწია პერანგის საყელო და, გამვლელების ყურადღება რომ არ მიექცია თავის სევდისათვის, გვერდზე მოიგდო ქუდი და დაბალი ხმით რაღაც მხიარული სიმღერაც კი დაიდიდინა. მაშინ შევნიშნე, რომ დიდი სიამოვნებით გავაცნობდი მას პაპიდას, თუ გამოგვეყვებოდა პაიგეტში, სადაც ღამის თავშესაფარსაც იშოვიდა.

– ჯენტლმენებო, – გვიპასუხა მისტერ მიკობერმა, – რაც გსურდეთ, ის მიყავით. მე ჩალა ვარ, რომელიც მიცურავს უფსკრულისაკენ სტიქიონებს მინებებულად.

გზაში რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი. არ ვიცოდი, რა მეთქვა ან რა მექნა; როგორც ჩანდა, ტრედელსიც ასეთ მდგომარეობაში იყო. მისტერ მიკობერი თითქმის მთელი გზის განმავლობაში ღრმა სევდას მისცემოდა.

ჩვენ პირდაპირ პაპიდას სახლში შევედით, რადგან დორა ავად იყო. პაპიდა აღერსიანად დახვდა მიკობერს. მისტერ მიკობერმა აკოცა მას ხელზე, ამოიღო ცხვირსახოცი და ფანჯარას მიუახლოვდა.

მისტერ დიკი სახლში იყო. იგი ბუნებით ისეთი მგრძნობიარე იყო სხვისი სევდისადმი და ისეთი ალღო ჰქონდა ამ მხრივ, რომ ხუთი წუთის განმავლობაში ექვსჯერ მაინც ჩამოართვა ხელი მისტერ მიკობერს. მისტერ მიკობერს ისე გაუკვირდა ასეთი თანაგრძნობა უცნობისაგან, რომ ყოველ ახალ ხელის ჩამორთმევაზე იმეორებდა: „სერ, მათცებთ თქვენი გულკეთილობით!“

– როგორ გრძნობთ თავს? – ჰკითხა მისტერ დიკმა და თანაგრძნობით შეხედა.

– არც კარგად, არც ავად, სერ, – უპასუხა ოხვრით მისტერ მიკობერმა.

– თქვენ უნდა დამშვიდდეთ და გამხიარულდეთ, შეძლებისდაგვარად, – უთხრა მისტერ დიკმა.

სხვა დროს და სხვა გარემოებაში ამგვარი სცენა სასაცილო და გასართობი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ ამ წუთში ვგრძნობდი, რომ ყველანი რაღაც უხერხულ, გულდამძიმებულ სულიერ განწყობილებაში ვიმყოფებოდით. მისტერ მიკობერი, როგორც ჩანდა, მერყეობდა და არ იცოდა, გაემქლავნებინა, თუ დაეფარა თავისი საიდუმლო.

– თქვენ ძველი მეგობარი ხართ ჩემი შვილიშვილისა, მისტერ მიკობერ, – უთხრა პაპიდამ, – ძალიან მწყინს, რომ აქამდის არ მინახიხართ!

– ქალბატონო! – უპასუხა მისტერ მიკობერმა. – დიდად ვწუხვარ, რომ არ მქონდა ბედნიერება თქვენი გაცნობისა უწინ; ყოველთვის როდი ვგავდი დამტვრეულ გემს, როგორადაც ამჟამად მხედავთ.

პაპიდა დაეყრდნო პატარა მაგიდას, რომელსაც უჯდა ჩვეულებრივად, ყურადღებით დაუწყო სინჯვა მისტერ მიკობერს. ვხედავდი, რომ კრიზისი ახლოვდებოდა. მისტერ მიკობერი უეცრად წამოხტა, ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი და მწარედ აქვითინდა.

– რა მოგივიდათ, მისტერ მიკობერ? – ვუთხარი მე. – რას ნიშნავს თქვენი ასეთი სასოწარკვეთილება? მიყავით სიკეთე, ამიხსენით. თქვენ ხომ ძველ მეგობართა შორის იმყოფებით!

– მეგობართა შორის, სერ! – გაიმეორა მისტერ მიკობერმა და ყველაფერი, რაც გულში ჰქონდა, უეცრად ამოხეთქა. – ღმერთო ჩემო! სწორედ ამიტომ ვიტანჯები ასე საშინლად! ნუ მკითხავთ, რაშია საქმე! უსინდისობაში, სისაძაგლეში, – აი, რაშია საქმე! და ყველა ამის სახელია – ჰიპი!

პაპიდა და ჩვენ ყველანი თავზარდაცემულები ვისხედით.

– გათავდა ბრძოლა! – თქვა მისტერ მიკობერმა და თან გამწარებული აფრიალებდა ცხვირსახოცს. დროგამოშვებით იგი ისე იქნევდა ხელებს, თითქოს ებრძოდა წინააღმდეგობას, რომეიც აღემატებოდა ადამიანის ძალას. – აღარ მინდა ვათრიო სიცოცხლის საშინელი ტვირთი.

არასოდეს არ მენახა ადამიანი ამ ზომამდე გამწარებული. მე ვცდილობდი, დამემშვიდებინა მაგრამ მიკობერი უფრო და უფრო მეტად გამოდიოდა მოთმინებიდან.

– მე არავის ჩამოვართმევ ხელს, – თქვა მისტერ მიკობერმა ხვნეშით. არავის არ ჩამოვართმევ ხელს, სანამ არ გავსრისავ... იმ საძაგელ ქვემძრომს... ჰიპს! არასოდეს არ მივცემ თავს ნებას... ვისარგებლო სტუმართმოყვარეობით, სანამ არ ამოვახეთქინებ... ვეზუვის... ცხელ ლავას... ამ არამზადა... ჰიპზე! მე... არავის... არ მინდა... გავცე ხმა... სანამ,, სანამ არ გავანადგურებ... ამ უსინდისო ორპირ... ჰიპს!

უკვე შემეშინდა, რომ მისტერ მიკობერი იქვე არ მომკვდარიყო. საშინელი სანახავი იყო, როგორი წვალებით ამბობდა ამ ოდნავ გასარჩევ სიტყვებს. ბოლოს, ღონემიხდილი დაეცა სკამზე. მივეშველე საჩქაროდ, მაგრამ უარყო ყოველგვარი დახმარება ჩემის მხრით.

– არა, კოპერფილდ! დამანებეთ... თავი... არ შემიძლია მივიღო... არავითარი დახმარება... სანამ არ გავასწორებ მის უბედურებას... რომელიც მის ვიკფილდს მიაყენა იმ... არამზადა... უსინდისო ჰიპმა.

სრულებით დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი სამი სიტყვის თქმასაც კი ვერ ესაძლებდა, ჰიპის სახელს რომ არ მიეცა მისთვის განსაკუთრებული ენერჯია.

– საიდუმლო... ყველასთვის... უკლებლივ... სწორედ... ერთი... კვირის შემდეგ... დილით... ყველა აქ დამსწრე... და მის ტროტუდიც... და ეს კეთილი... ჯენტლმენიც... სასტუმროში... კენტერბერიში... სადაც მე და მისის მიობერი ვმდგომართ... იდესდაც შოტლანდიურ სიმღერებს... იქ ნიღაბს მოვგლეჯე ამ არამზადა... ჰიპს!

ამ მაგიური სიტყვით, რმელიც ბოლოს წარმოთქმული იყო განსაკუთრებული ძალით, მისტერ მიკობერი გაეარდა ოთახიდან და ყველანი გაოცებული და შეწუხებული დაგვტოვა. მაგრამ აქაც არ უღალატა თავის თავს და იმ დროს, როდესაც ყველანი კერ კიდევ თავზარდაცემულები ვისხედით, შემოგვიტანეს წერილი.

აი, იგი:

„სრულებით საიდუმლოდ.

ჩემო ძვირფასო სერ!

გთხოვთ ბოდიში მოიხადოთ ჩემს მაგივრად თქვენი პაპიდას წინაშე ჩემი აღელვებისათვის. აფეთქება მოხდა შინაგანი ბრძოლის გამო, რომელსაც უფრო ადვილად მიხვდება, ვიდრე აღწერს ადამიანი...

იმედი მაქვს, რომ საკმარისი სიმარტივით გამოვთქვი სურვილი, გნახოთ ერთი კვირის შემდეგ, დილით, ქალაქ კენტერბერიში, სწორედ იმ სასტუმროში, სადაც მისის მიკობერი და მე ვმდგომართ ოდესდაც თქვენთან ერთად შოტლანდიურ სიმღერებს.

როდესაც მე ავასრულებ მოვალეობას, როდესაც გამოვამუდგანებ მოტყუებასა და ვერაგობას, ისევ მექნება უფლება, ვუცქირო თვალებში ჩემს ახლობლებს, და მაშინ ჩემი სურვილი იქნება. მომიწყონ მეც ერთი უბრალო კუთხე იმ სამუდამო განსასვენებელში, სადაც

სოფლის წინაარნი მყუდრო კუბოებში

აწ განისვენებენ მარადი ძილით...

აღალი ხელმოწერით

ვილკინს მიკობერი“.

თავი ორმოცდამეშვიდე

კოპერფილდი

გაიარა რამდენიმე თვემ მას აქეთ, რაც ჩვენ მართა ვნახეთ მდინარის პირას. მასუკან აღარც ერთხელ აღარ მინახავს ეს ქალი, თუმცა დროგამოშვებით

ხვდებოდა მისტერ პეგოტის. მართალი რომ ვთქვა, უკვე იმედი დავკარგე ემილიას კვალის აღმოჩენისა და თანდათან ვრწმუნდებოდი უბედური ქალის სიკვდილში.

მისტერ პეგოტის წრმენა შეურყეველი იყო. რამდენადაც შემეძლო შემენიშნა, არასოდეს შეჰპარვია ეჭვი, რომ იპოვნიდა საყვარელ დისწულს.

გამსჭვალული მტკიცე რწმენით, რომ ბედი, ადრე თუ გვიან, დაკარგულ დისწულს დაუბრუნებდა, მისტერ პეგოტი მაინც არ იჯდა უსაქმოდ. ზოგჯერ იგი წავიდოდა ხოლმე შუალამისას იარმაუთში, იმ ვარაუდით, რომ იქნებ, რაიმე შემთხვევის გამო, სანთელი არ არის გამოდგმული ძველი ნავის ახლის ფანჯარაშიო. ზოგჯერ, როდესაც წაიკითხავდა გაზეთში რაიმე განცხადებას, რომელსაც შეეძლო ჰქონოდა რაიმე კავშირი ემილიასთან, ხელში იღებდა ყავარჯენს და მიდიოდა შორ გზაზე დაკარგული ქალის კვალის საძებნელად. როდესაც გაიგო, თუ რა მიაბო მის დარტლმა, იგი წავიდა ზღვით ნეაპოლში და დაბრუნდა უკან. მოგზაურობისას ძალიან მკაცრ პირობებს იტანდა და ყოველ გროშს უფროთხილდებოდა, რომ დაეზოგა დისწულის პოვნამდე. არასოდეს არ გამიგია, რომ მას დაეჩივლოს ან ძებნის სიძნელე ან დაღლა.

ჩემი ქორწინების შემდეგ დორა ხშირად ხედავდა ხოლმე მას და მუდამ უხაროდა მისი მოსვლა. მოხდებოდა, რომ იგი შემოვივლიდა ჩვენთან ბინდისას. მივიწვევდი სახლში ჩიბუხის მოსაწვეად და ორნი ვბაასობდით, თან წყნარად დავსეირნობდით ბაღის ხეივანში.

ერთ საღამოს მიაბო, რომ წინა რამით სახლის კარებთან მართა დახვდა. იგი ელოდებოდა მას და სთხოვდა, არ გასულიყო ლონდონიდან მის უნახავად.

– ხომ არა უთქვამ-რა, როდის გნახავთ კვლავ? – ვკითხე მე.

– არა, მასტერ დევი, – მიპასუხა მან და ჩაფიქრებულმა ჩამოისვა ხელი სახეზე. – ვკითხე ამის შესახებ, მაგრამ დამარწმუნა, რომ არ შემიძლია გიპასუხო ამ კითხვაზეო.

ორი კვირის შემდეგ, საღამო ჟამს, მარტო დავსეირნობდი ბაღში. მთელი დღის განმავლობაში წვიმდა და ჰაერი სინესტით იყო გაჟღენთილი. სველი, დამძიმებული ფოთლები ჩამოშვებულიყვნენ ხეებზე; ცა ჯერ კიდევ ღრუბლებით იყო დაფარული, თუმცა აღარ წვიმდა და ჩიტები მხიარულად ეღურტულენენ ნათელი ცის მოლოდინში. ნელ-ნელა ბინდი ჩამოეშვა; ფრინველების ნაზი ხმა შეწყდა ბუჩქებში და ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც იცის ხოლმე ამგვარ საღამოს ქალაქგარეთ, როდესაც არ ირხევა არც ერთი ფურცელი და მხოლოდ იშვიათად ისმის ჩამოვარდნილი წვეთი ხმა.

ჩვენი აგარაკის გვერდით იყო ფათალოთი დაბურული ხეივანი. იგი გზაზე გადიოდა, სახლის წინ, ღრმად ჩაფიქრებული დავსეირნობდი და, როდესაც შემთხვევით გავიხედე გზისაკენ, დავინახე ვიღაც ქალი, რომელიც თავს მიქნევდა და ხელით მეძახდა.

– მართა, – ვუთხარი მე და მივუახლოვდი.

– შეგიძლია გამომყევთ? – მკითხა მან ჩურჩულით. – ვიყავი მასთან, მაგრამ სახლში არ დამხვდა. ბარათი დაუტოვე მაგიდაზე, რომ წამოვიდეს დაუყოვნებლივ. შეგიძლიათ გამომყევთ ახლავე?

პასუხის ნაცვლად დაუყოვნებლივ გავედი ჭიშკარში. მართა წავიდა ლონდონისკენ, საიდანაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო ეფიქრა ადამიანს მისი ტანისამოსის მიხედვით, იგი საჩქაროდ მოსულიყო ჩემთან ფეხით.

ვკითხე – ლონდონში ხომ არ მივდიოდით. მან თავი დამიქნია. გზაზე ცარიელი ეტლი შეგვხვდა, რომელიც დავიქირავე.

– საით წავიდეს მეეტლე? – ვკითხე მე, როცა ეტლში ჩავსხედით.

– „ოქროს სკვერისკენ“, – მიპასუხა მან, – ოღონდ მაღე წავიდეს.

ჩვენ გავცერდით მისი ნიშნით „ოქროს სკვერის“ ერთ შესავალთან. ვუბრძანე მეეტლეს დაეცადნა, იმ განზრახვით, რომ იქნებ ეტლი დაგვჭირდებოდა. მართამ ხელი ჩამავლო სახელოში და წამიყვანა ერთ ბნელ ქუჩაში, როგორც ცოტა არ



არის ქალაქის ამ ნაწილში. სახლები აქ ოდესღაც ძალიან ლამაზს, კერძო საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ, სადაც თითო ოჯახი ცხოვრობდა. მაგრამ ახლა ისინი უკვე დიდი ხანია, რაც დაძველებულიყვნენ და ქირავებოდნენ ცალ-ცალკე ოთახებად. ჩვენ შევედით ერთ-ერთი ამგვარ სახლის კარებში, მართამ ხელი გამიშვა და მანიშნა, რომ აველოდი კიბეზე.

ჩვენ ავდიოდით სულ ზემო სართულში. ბინდბუნდში რამდენჯერმე მომეჩვენა, თითქოს ჩვენ წინ მიდის ვიღაც, ქალის ტანსაცმელში. როდესაც კუთხეს შევუხვიეთ, რომ ავსულიყავით უკანასკნელ საფეხურზე, ისევ ის ქალი წარმოგვიდგა; ერთი წუთით შეჩერდა კარების წინ, შემდეგ მოჰკიდა ხელი კარის სახელურს და შევიდა ოთახში.

– ეს რას ნიშნავს? – იკითხა მართამ ჩურჩულთ. – იგი ჩემს ოთახში შევიდა. სრულებით არ ვცნობ, ვინ არის.

სამაგიეროდ, მე ძალიან კარგად ვიცნობდი ამ ადამიანს. პირველივე შეხედვაზე მის დარტლი ვიცანი.

ავუხსენი ჩემს თანამგზავრს, რომ მინახავს ეს ლედი წინათ. ის იყო მოვასწარი ამის თქმა, რომ ოთახში ახლადმოსულის ხმა გაისმა, მაგრამ ჩვენ არ გვესმოდა მისი სიტყვები. მართამ გაკვირვებთ შემომხედა და ნელა წამიყვანა კიბეზე. შემდეგ მიუახლოვდა პატარა კარებს მეორე მხრიდან; ამ კარს კლიტე არ ჰქონდა და ერთი ხელის კერაზე გაიღო. ჩვენ შევედით ვიწრო, ცარიელ საკუჭნაოში. ამ საკუჭნაოსა და იმ ოთახს შუა, რომელსაც მართა თავისას უწოდებდა, პატარა კარი იყო, ამჯერზე ოდნავ გაღებული. ჩვენ აქ შევჩერდით, ძლივს მოვითქვით სული დაღლილობისაგან. ჩემი თანამგზავრი ოდნავ შეეხო ტუჩებს თავისი ხელით. შემქმლო მხოლოდ დამენახა, რომ მეზობელი ოთახი საკმაოდ ფართო იყო, რომ იქ იდგა ლოგინი და კედლებზე გემების სურათები ეკიდა. მე ვერ ვხედავდი მის დარტლს, ვერც მას, ვისაც იგი ელაპარაკებოდა.

რამდენიმე ხნის განამგლობაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

– რა მენადვლება, რომ სახლში არ არის, – თქვა როზა დარტლმა მედიდურად. მას არც კი ვიცნობ, და არც მსურს ვიცნობდე. მე თქვენთან მოვედი.

– ჩემთან? – უპასუხა ნაზმა ხმამ.

ამ ხნის გაგონებაზე თრთოლვამ გამიბრინა მთელს ტანში; მე ვიცანი ემილიას ხმა!

– დიას! – უპასუხა მის დარტლმა. – განგებ მოვედი თქვენს სანახავად. რაო? თქვენ, მგონია, არ გრცხვენიათ გამოაჩინოთ თქვენი სახე?

სიძულვილი და თავდაჭერილი გაშმაგება ისმოდა ამ ხმაში.

– მე მოვედი, რომ მენახა ჯემს სტირფორდის სათამაშო, – თქვა მან, – მენახა გოგო, რომელიც გაიქცა მასთან ერთად, რომელიც სამშობლოში გახდა დაბალი ბრბოს ყბედობის საგნად, უტიფარი, თავხედი, გამოქნილი მეგობარი ჯემს სტირფორდისთანა ხალხისა.

გაისმა ხმაური, თითქოს უბედური ქალი, რომელსაც უმასპინძლებოდნენ ამ დაცინვით, მივარდა კარებს და სასტიკმა მტარვალმა გადაუღობა გზა. შემდეგ ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა.

მის დარტლმა პირველმა დაილაპარაკა.

– არ დაიძრათ ადგილიდან, – უთხრა მან და ფეხი დაჰკრა იატაკს, – ან არადა, დავიყვრებ მთელი სახლის გასაგონად, ვინც ხართ!

საშინელი სასოწარკვეთილების კივილი იყო ერთადერთი პასუხი ამ სასტიკი შეურაცხყოფისა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცოდი, რა მექნა. თუმცა ძალიან მინდოდა შემეწყვიტა ეს პაემანი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ნება არ მქონდა თვალთ ვჩვენებოდი უბედურ ქალს. მხოლოდ მისტერ პეგოტის შექმლო ენახა და დაეფარა თავისი დისწული.

– ასე! – თქვა მის დარტლმა და ზიზღით გაიცინა. – ძლივს არა ვნახე იგი! და ის საცოდავი ადამიანი მოჰყვა ამის ქსელში! ოინბაზი!

– ო, შემიბრალებთ! – შესძახა ემილიამ. – ვინც არ უნდა იყოთ, თქვენ იცით ჩემი უბედური ბედი. შემიბრალებთ, თუ გინდათ, რომ თქვენც შეგიბრალონ!

– რომ მე შემიბრალონ! – უთხრა მან სიამაყით. – რა შეიძლება იყოს საერთო შენსა და ჩემს შუა?

მის დარტლი სკამზე დაჯდა, ოდნავ გაღებული კარის წინ, და დაბლა იყურებოდა, თითქოს ემილია ფერხთით იყო გართხმული. ახლა ვხედავდი მის მთრთოლვარე ტუჩებს და სასტიკ თვალებს, რომელნიც ერთ წერტილს მისჩერებოდნენ ალტყინებული გამარჯვების გამომეტყველებით.

– ყური მიგდეთ, რას გეტყვით. – შეჰყვირა მან, – ნუთუ გგონიათ, რომ გულს მომიღბობთ თქვენი ცრემლებით? იტირეთ, თუნდ იცინეთ, – ეს ჩემთვის სულ ერთია, გათახსირებულო მონავ!

– ო, შემიბრალებთ ოდნავ მაინც! – შესძახა ემილიამ. – მოიღეთ მოწყალება უბედურისადმი, თორემ გავვიჟღებო და მოვკვდები სასოწარკვეთილებისაგან!

– ეს არ იქნება დიდი სასჯელი! – უთხრა როზა დარტლმა. – იცით, რა მოახდინეთ? გიფიქრიათ ოდესმე იმ უბედურ სახლზე, რომელიც დაობლდა თქვენი მეოხებით?

– ო, არ ყოფილა არც ერთი წუთი, არც ცხადლივ, არც სიზმარში, რომ თვალწინ არ მქონოდა ეს ძვირფასი სახლი იმ სახით, რა სახითაც დავტოვე იგი სამუდამოდ, იმ უბედურ დღეს. ო, ჩემო მშობლიურო კერავ! ო, საყვარელო, დაუვიწყარო ძიავ! შენ რომ წარმოდგენილი გქონოდა, რა სატანჯველს მომაყენებდა შენი სიყვარული ჩემი დაცემის პირველი წუთიდანვე, ეცდებოდი, დაგეფარა შენი გრძნობა, თუნდაც ეს ძალიან ძნელი ყოფილიყო შენთვის! შენ გამიჯავრდებოდი ერთხელ მაინც სიცოცხლეში, რომ გადამდვილებოდა ჩემი სირცხვილის ატანა. არა, არა, ჩემთვის არ არის არავითარი ნუგეში ამქვეყნად, იმიტომ, რომ ყველა მათ მეტისმეტად ვუყვარდი, ყოველთვის, ყოველთვის.

როზა დარტლი იჯდა უძრავად, როგორც ქანდაკება, და მიეპყრო უბედური ქალისთვის თავისი შეუბრალებელი თვალები.

– რაში მეკითხება შენი სახლი? მე ვლაპარაკობ მის სახლზე! – თქვა მის დარტლმა. – გესმის? ვლაპარაკობ იმ სახლის შესახებ, სადაც მე თვითონ ვცხოვრობ. აი ღირსეული საგანი განხეთქილებისა ლედი-დედასა და შეილ-ჯენტლმენს შორის! – განაგრძობდა ამაყი ლედი და თან ზიზღით გაიწოდა ხელი და მიაპყრო მრისხანე თვალები გართხმულ ქალს. – გომბიო, რომლიც ღირსი არცკია მოსარეცხედ იყოს კეთილშობილ ოჯახში, ამყარებს ამ სახლში სიძულველს, მრისხანებას, სევდას, წყევტს უწმინდეს კავშირს!

– ნუ მეუბნებით მაგას, – ქვითინებდა ემილია და თან ხელებს იმტვრევდა საშინელი სასოწარკვეთილებით. – როდესაც იგი პირველად შემხვდა ჩემი ცხოვრების გზაზე, – ო, ნეტავი არასოდეს არ გათენებულიყო ის საშინელი დღე! – მე აღზრდილი ვიყავი სათნოებით, როგორც თქვენ ან ყოველი სხვა ლედი, საცოლვე ვიყავი კეთილი ყმაწვილი კაცისა, რომელიც ღირსი იყო შეერთო ცოლად საუკეთესო ლედი. თუ თქვენ თვითონ მის სახლში ცხოვრობთ და იცნობთ მას, თქვენ იქნებ იცით, რა საშინელი გავლენა შეუძლია იქონიოს ამ ადამიანმა სუსტ არსებაზე. არ ვიმართლებ თავს, მაგრამ კარგად ვიცი, და მან თვითონაც კარგად იცის, ან მიხვდება ამას, როდესაც აღელვებული სინდისი შეაწუხებს სიკვდილის წინ, მიხვდება, რომ მისი მხრით ყოველგვარი ხერხი იყო ნახმარი გამოუცდელი, გულუბრყვილო ქალის მოსატყუებლად და სახელის გასატეხად. მე დაუფუჯვრე გულწრფელად და შემიყვარდა მთელი ჩემი გულით.

– თქვენ შეგიყვარდათ იგი? თქვენ? – დაიყვირა როზა დარტლმა და მუშტები მოკუმდა.

პასუხი არ იყო. ემილია მიეფარა ჩემი თვალიდან.

– თქვენ ბედავთ და მეუბნებით ამას მე, უსინდისო არსებავ? – განაგრძო როზა დარტლმა. – ჩემს ხელთ რომ იყოს, ვუბრძანებდი სიკვდილამდე ეცემნათ ამ გომბიოსათვის.

იგი იზამდა ამას, მე დარწმუნებული ვარ. არ იყო ქვეყანაზე წამება და სასჯელი, რომელსაც არ ინატრებდა მისთვის ამ წუთში როზა დარტლი.

– შეიძლება უცნაური ბუნება მაქვს, – განაგრძო როზა დარტლმა, – მაგრამ არ შემიძლია თავისუფლად ვისუნთქო იმ პაერით, რომლითაც თქვენ სუნთქავთ. ეს პაერი შემხუთავი და მოშხამულია პატიოსანი ხალხისათვის, მინდა გავწმინდო იგი თქვენი აქ ყოფნისაგან. ამიტომ, თუ ხვალამდის აქ დარჩებით, თქვენი ამბავი, ყველა საინტერესო წვრილმანებით, მთელ სახლს ეცოდინება. თუ ადგილს გამოიცვლით და ისურვებთ ამ ქალაქში დარჩენას, პატიოსანი ქალის სახით, დარწმუნებული იყავით, რომ ყოველგან და ყოველთვის ვიპოვნი საშუალებას მოკვლიჯოთ ორპირობის ნირაბი. წადით თქვენისთანებთან და გარყვნილების ბუდეში იცხოვრეთ; მხოლოდ მაშინ იქნებით თავისუფალი ჩემი დევნისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი რისხვა და შურისძიება თან გდევთ ყოველ ადგილას. და ამ ადგილს აღმომიჩენს ჯენტლენი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ცდილობდა, თქვენი ღირსეული მეუღლე გამხდარიყო.

ო, ნუთუ არასოდეს არ მოვა მისტერ პეგოტი? ნუთუ დიდხანს მომიხდება ამ სცენის მოწმედ ყოფნა? შევძლებ კი მის ატანა?

– რა, რა ვქნა? – შეჰყვირა ემილიამ.

– რა ჰქნათ? – გაიმეორა მის დარტლმა, – თქვენ იპოვით, უჩვეელია, ნეტარებას და ბედნიერებას საკუთარ ფიქრებში. შესწირეთ თქვენი არსებობა ჯემს სტირფორდის ნაზი აღერისის მოგონებას, – მას ხომ უნდოდა მიეთხოვებინეთ ერთ თავისი ლაქიასათვის, რომელიც მზად იყო მიეღო თქვენი თავი საჩუქრად თავისი ღირსეული ბატონის ხელიდან. იცხოვრეთ ამ ამაყი მოგონებით, აღტაცებაში მოდით თქვენი იშვიათი ღირსებისაგან და გიხაროდეთ ის ბედნიერი მდგომარეობა, რომელიც დაჭირეთ ყველას თვალში. მაგრამ, თუ ყოველივე ეს მაინც არ მოგიტანთ სასურველ ნუგეშს, მისთხოვდით იმ კეთილ კაცს, რომელზედაც ლაპარაკობდით, და ბედნიერი იყავით იმით, რომ ის შეგიბრალებთ. მაგრამ თუ ამანაც არ გიშველათ, მაშინ მოკვდით, – ეს ყველაზე უკეთესი იქნება.

კიბეზე მოისმა შორი ფეხის ხმა. ეს იყო მისტერ პეგოტის ნაბიჯი. მადლობა დმერთს!

როდესაც როზა დარტლმა წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები, ადგა თავისი ადგილიდან და მე უკვე ვეღარ ვხედავდი მას.

– მე თქვენ უკვე დამტვრეული სათამაშო მეგონეთ, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა თავისი შნო, მაგრამ შევცდი! თქვენ ჯერ ისევ პრიალებთ ოქროსავით და ნამდვილი ლედის სთაბეჭდილებას ახდენთ. მაშ გახსოვდეთ კარგად! – უთხრა მან და გააღო კარი გასასვლელად. – მე მძულხართ და გადავწყვიტე, გაგსრისოთ და გაგანადგუროთ, თუ არ მოიხსნით მაგ ნიღაბს და არ წახვალთ ერთ-ერთს გარყვნილების სახლში, სადაც ფეხს ვერ შესდგამს ვერც ერთი პატიოსანი ქალი. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

ფეხზე ხმა კიბეზე უფრო მკაფიოდ მოისმა. იგი სწრაფად უახლოვდებოდა ამ საშინელი სცენის ადგილს. როცა როზა დარტლმა გაიხურა კარი, ვიდაცამ ჩაუარა მას გვერდით და შევიდა ემილიას ოთახში.

– ძია!

შევჩერდი და შევიხედე ოთახში. მისტერ პეგოტის ეჭირა გულში ჩაკრული გულწასული დისწული. რამდენიმე წუთის განმავლობაში უყურებდა მას სახეში, შემდეგ დაიხარა მის საკოცნელად. ო, რა ნაზი იყო ეს კოცნა! მან დააფარა ემილიას სახეს თავისი ცხვირსახოცი.

– მისტერ დევი! – მითხრა მან მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით. – სიზმარი ამიხდა!

გულწასულ, უგრძობელ ემილიას სახეს ისევ ცხვირსახოცი ეფარა. მისტერ პეგოტიმ ჩაიკრა გულში და მძიმე, ფრთხილი ნაბიჯით დაიწყო ჩასვლა კიბეებზე ძვირფასი ტვირთით ხელში.

თავი ორმოცდამერვე

უფრო შორი მოგზაურობის დასაწყისი

მეორე დღეს, დილაადრიან, მე და პაპიდა ბაღში დავესეირნობდით; პაპიდა მუდამ დორას უვლიდა და ამიტომ ძალიან ცოტას დადიოდა. ამ დროს გადმომცეს, რომ მისტერ პეგოტის სურს ჩემი ნახვა. იგი თვითონ დამხვდა ბაღის ბოლოში. როდესაც მისტერ პეგოტიმ დაინახა პაპიდა, შორიდანვე მოიხადა ქუდი, რადგან დიდ პატივს სცემდა მას. ნაამბობი მქონდა პაპიდასათვის ყველაფერი, რაც წინა დღეს მოხდა. მის ბეტსი ხმაამოუღებლად მივიდა მისტერ პეგოტისთან და გულითადი თანაგრძობით ხელი დაჰკრა მხარზე. ეს იეთი ღრმა გამომეტყველებით იყო ჩადენილი, რომ ამჯერაზე ეს უბრალო მოძრაობა ყველაზე მჭკრეტყველური გადმოდგა. მისტერ პეგოტი მშვენივრად მიუხვდა პაპიდას, თითქოს მას ათასი სიტყვა ეთქვას მისთვის.

– ტროტ! – მითხრა პაპიდამ. – წავალ და „პატარა ყვავილს“ მივხვდავ; მგონია, მალე გაიღვიძებს.

– იმედი მაქვს, ქალბატონო, რომ თქვენ ჩემი გულისთვის არ მიბრძანდებით? – შენიშნა მისტერ პეგოტიმ.

– თქვენ მოსალაპარაკებელი გაქვთ, ჩემო მეგობარო, – უპასუხა პაპიდამ. – უჩემოდ ეს თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება.

– არა, ქალბატონო, – უთხრა მისტერ პეგოტიმ, – დიდად დამავალებთ, თუ დარჩებით ჩვენთან და ინებებთ ჩემი უბედობის მოსმენას.

– მართლა? მაშ დავრჩები, – უპასუხა პაპიდამ.

– გუშინ საღამოს, – დაიწყო მისტერ პეგოტიმ, – მე გადავიყვანე ჩემი ბავშვი ჩემს ოთახში, სადაც დიდი ხანია მოველოდებოდი და სადაც მისთვის უკვე ყველაფერი მზად იყო. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ მცნობდა და, როცა მიცნო, – ყველაფერში გამომიტყდა გულახდილად და გულწრფელად, თითქოს აღსარებას ამბობსო.

– როდესაც ემილია გაქცეულა იმ სახლიდან, – თქვა მისტერ პეგოტიმ მკაცრი და მრისხანე სახით, – სადაც, როგორც მასტერ დევომ იცის, იმ გველს დაკეტილი ჰყავდა... წყეულიმც იყოს... საბრალო, დამით გაპარულიყო. მირბოდა და თან ესმოდა თავისი კენესა და ტირილი. ფეხები წვეტიან ქვებზე დაეჭრა, მაგრამ არაფერს არ გრძნობდა, თითქოს თვითონაც ქვისა ყოფილიყო. და მირბოდა სულ შორს, შორს. თვალები უელავდა, ყურები უწიოდა. უეცრად... ესე იგი, თქვენ გესმით, ასე მოეჩვენა, თითქოს გათენდა და დადგა დილა, ნოტიო, ქარიანი, იგი ქვიშაზე იწვა, ზღვის პირას, თავს ადგა ვიდაც ქალი და იქაურ ენაზე ეკითხებოდა, რა დაემართა...

– ემის თვალთ დაუბნელდა, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ, – მაგრამ როდესაც დააკვირდა ამ ქალის სახეს, იცნო ერთი იმ ქალთაგანი, რომელთანაც არა ერთხელ უსეირნია და ულაპარაკია ზღვის პირას. ემიმ უამბო თავისი უბედურება და ყმაწვილმა ქალმა წაიყვანა თავის სახლში... დიას, წაიყვანა სახლში, – გაიმეორა მისტერ პეგოტიმ და ხელები მიიფარა სახეზე.

ამ კეთილმა საქციელმა, როგორ ჩანდა, ძალიან იმოქმედა მოხუცზე; არასოდეს არ მენახა მის სახეზე ასეთი გამომეტყველება.

– თქვენ წარმოიდგინეთ, – განაგრძობდა მისტერ პეგოტი, – ქოხი პატარა იყო, მაგრამ დიასახლისმა იშოვნა ადგილი ემისთვის... ქმარი ამ დროს წასული

ყოფილა ზღვაზე... და იგი საიდუმლოდ ინახავდა ამ ამბავს. მეზობლები ცოტანი იყვნენ; ისინი, ვინც იყვნენ, დაიყოლია საიდუმლოს შესანახად. ემი ავად გამხდარა ცხელებით და იქაური ენა სრულებით დაგიწყებია; მხოლოდ მშობლიურ ენაზე შეეძლო ლაპარაკი... და თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში ეჩვენებოდა, თითქოს ის, ვინც მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე, ვითომც ფანჯარასთან ყარაულობს, ხან ოთახში დგას, და ემი უყვიროდა დიასახლისს, არ დაენებებინათ იგი მისთვის; ამავე დროს გრძნობდა, რომ მისის ლაპარაკი არ ესმოდათ და სულ ეშინოდა, ვაითუ ახლავე მტაცონ ხელი და წამიყვანონ. დიდხანს იყო იგი ასეთ მდგომარეობაში თუ არა, არ ვიცი, ოღონდ მერე ძილი მოერია. ამ ძიმა დაასუსტა... მანამდე კი ზოგჯერ ისეთი ძალა მოეცემოდა, კარგად მყოფზე მეტი... ახლა კი დასუსტდა ბავშვივით.

იგი შეჩერდა, თითქოსდა უნდოდა შეესვენა საკუთარი მოთხრობის საშინელებისაგან, და ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ განაგრძო:

– ნათელი დღე იყო, სადამო ახლოვდებოდა, როდესაც გაეღვიძა. ჯერ მოეჩვენა, რომ იგი სახლშია და რომ კვირა დღეა; მაგრამ ვაზის ფოთლები ფანჯარასთან და მთები, რომლებიც მოჩანდნენ შორით, უცხონი იყვნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ამგვარ აზრს. ამ დროს შემოვიდა დიასახლისი და დაჯდა ემის ლოჯინთან. ამას მოაგონა ემის, რომ იგი თავის სახლში არ არის და რომ შორს არის მისგან! მოაგონდა აგრეთვე, სად იწვა და რისთვის, და ატირდა ამ კეთილი ადამიანის მკერდზე...

მისტერ პეგოტის არ შეეძლო უცრემლოდ მოეგონებინა ეს კეთილი დედაკაცი. ტყუილად ეცადა, განეგრძო თხრობა; ცრემლები ისევ ახრჩობდნენ.

– როდესაც ემი მომჯობინდა, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, – ეცადა, გამოსთხოვებოდა ამ კეთილ ადამიანს და სამშობლოში წამოსულიყო. ამ ქალის ქმარი სახლში დაბრუნდა და ორივემ ჩასვეს იგი გემში, რომეიც ლივორნოში მიდიოდა და იქიდან საფრანგეთში. მას თან ჰქონდა ცოტაოდენი ფული, მაგრამ ამ კეთილმა ხალხმა მცირედზე მცირედი გამოართვეს ყველაფრისათვის, რაც მისთვის გააკეთეს.

ემი მივიდა საფრანგეთში და დადგა მოახლედ სასტუმროში ნავსადგურთან. აქ ერთხელ უეცრად ისევ გაჩნდა ეს გველი... ერთი დამხვდეს სადმე! მე არ ვიცი, რას ვუზამ! როდესაც ემიმ დაინახა ის კაცი... მან ვერ მოასწრო მისი დანახვა... მთელი შიში და ზარი ისევ თავს დაატყდა და გამოექცა იმ ჰაერსაც კი, რომლითაც იგი სუნთქავდა. ემი მოვიდა ინგლისში და დუვრში გადმოვიდა ნაპირზე.

იგი მოვიდა ლონდონში, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ და ხმა დაიდაბლა, – იგი, რომელსაც არასოდეს სიცოცხლეში არ ენახა ეს ქალაქი, მოვიდა ლონდონში... უფულოდ... ყმაწვილი... ლამაზი... თითქმის იმწუთშივე, როგორც კი ემი გადმოვიდა ნაპირზე, მან იპოვა, როგორც მას ეგონა, კეთილი მეგობარი... პატიოსანი დედაკაცი, რომელიც ელაპარაკებოდა მკერაობის შესახებ და დაჰპირდა ბევრი სამუშაოს შოვნას; მან აღუთქვა თავშესაფარი თავის სალხში, დაჰპირდა აგრეთვე, გაეგო საიდუმლოდ ყველაფერი ჩემსა და ყველა დანარჩენის შესახებ. და როდესაც ჩემი ბავშვი, – დაუმატა მან ხმამაღლა, – როდესაც ჩემი ბავშვი იდგა უკვე უფსკრულის პირას, რომელსაც მე ვერ დავასახელებ და ვერც მოვიგონებ, მაშინ მართამ აასრულა თავისი სიტყვა და გადაარჩინა იგი.

მე ვერ შევიკავე სიხარულის ამოძახილი.

– მასტერ დევი, – მითხრა მისტერ პეგოტიმ და ჩამომართვა ხელი თავისი ძლიერი ხელით, – თქვენ პირველმა მომაგონეთ მართა. გმადლობთ, სერ! მან აასრულა თავისი დანაპირები. იგი, როგორც ნათელი სული, საჩქაროდ მივიდა, სადაც ემი იწვა და ეძინა და უთხრა: „ადექი! გაიქეცი! აქ შენ მგელის სიკვდილზე უარესი უბედურება! წამო, წამომყევი!“ მან უამბო ემილიას, რომ მნახა მე, რომ ვაპატიე ყველაფერი და მიყვარს ძველებურად. მან საჩქაროდ ჩააჩვა კაბა, დაუჭირა

ემის სუსტი და მორთოლვარე ხელი, არ უსმენდა, რასაც ეუბნებოდნენ გარშემომყოფნი... მან ჩემს საბრალო ქალთან გამოარღვია ბრბო და ბნელ რამეში ბედნიერად გამოიყვანა შავი, აშშორებული ჯურღმულიდან.

– მთელი ღამე, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ, – მე და ემიმ ერთად გავატარეთ. საათების მიხედვით – თითქოს ბევრი არ გვიპალარაკია, უფრო ნაკლებად მოვასწარი მისი ძვირფასი სახის დანახვა, მაგრამ მთელი რამის განმავლობაში მისი ხელები ჩემს ყელს ეხვია და თავი აქ ესვენა; ჩვენ ახლა ვიცით, რომ ისევ შეგვიძლია მივინდოთ ერთმანეთს.

ჩვენ ყველანი ჩუმად ვისხედით. ყოველი ჩვენგანი გართული იყო საკუთარ ფიქრებში. ბოლოს მივმართე მისტერ პეგოტის და ვუთხარი:

– თქვენ, რასაკვირველია, უკვე გადაწყვეტილი გაქვთ მომავლის გეგმა, ძვირფასო მეგობარო? ამაზე, მგონია, ლაპარაკიც ზედმეტია.

– სრულებით გადაწყვეტილი, მასტერ დევი, – იპასუხა მან. – მე უკვე ვუთხარი ჩემს ემის, რომ აქედან შორს არის დიდი, დიდი მიწები. იქ ავსტრალიაში, არავინ არას დააყვედრის ჩემს საუნჯეს, იქ ჩვენ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ.

– მე ვკითხე, დანიშნული გაქვს თუ არა წასვლის ვადა-მეთქი.

– დღეს დილით, – იპასუხა მან, – ვიყავი ნავსადგურში, რომ გამეგო გემების წასვლის დრო. ექვსი კვირის შემდეგ მიდის ერთი გემი. უკვე ვიყავი ამ გემზე. კარგი სამგზავროა.

– მერე, თქვენ მარტონი მიდისართ? – ვკითხე მე.

– დიას, მასტერ დევი, – მიპასუხა მან, – ჩემ დას ისე უყვარხართ თქვენ და ყველა თქვენთანები და ისეა შეჩვეული მხოლოდ თავის სამშობლოზე ფიქრს, რომ არა მგონია, კარგი იყო მისი წაყვანა. ამას გარდა, არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც მას აბარია, მასტერ დევი, და ჩვენ ეს არ უნდა დავივიწყოთ.

– საბრალო ქამი! – შევძახე უნებურად.

– ჩემი და, ქალბატონო, უვლის მის სახლ-კარს და ქამს. ძალიან უყვარს, – განუმარტა მისტერ პეგოტიმ პაპიდას.

– მისის გუმიჯი? – ვკითხე მე.

– ჩვენ შორის რომ დარჩეს... ესე იგი თქვენს წინაშე... და თქვენს წინაშე რომ ითქვას, ქალბატონო... როდესაც მისის გუმიჯი დაიწყებს წუწუნს, შეიძლება ადამიანს არ ესიამოვნოს. მე რასაკვირველია, მესმის მისი ამბავი, მაგრამ ყველამ ხომ არ იცის ეს.

მე და პაპი დამ დავადასტურეთ მისი აზრი.

– ამას გარდა, – განაგრძო მისტერ პეგოტიმ, – ჩემს დას შეიძლება ეჩვენოს ზოგჯერ... მე არ ვამბობ, რომ უსათუოდ ეჩვენება, მაგრამ შეიძლება ეჩვენოს... რომ მისის გუმიჯი ზოგჯერ უსიამოვნო ადამიანია. ამიტომ არ ვაპირებ ჩემი დისა და მისის გუმიჯის ერთად დასახლებას; მას ვუშოვნი ბინას, სადაც იგი იდიასახლისებს, როგორც უნდა. ამისთვის წასვლის წინ, ვფიქრობ, დავუნიშნო მისის გუმიჯს პენსია, რომ ეყოს სიცოცხლეში. იგი ჩინებული დედაკაცია. თავისთავად ცხადია, ყოველად შეუძლებელია, რომ იგი, საბრალო, სიბერის დროს დაწრიალებდეს და დაძრწოდეს გემზე და შორი ქვეყნის ტყეებსა და უდაბნოებში. აი, რა მოვიგონე მე მისთვის, – დაუმატა მისტერ პეგოტიმ.

მას არავინ დავიწყებოდა: იგი ზრუნავდა ყველაზე, გარდა თავისი თავისა.

– ემი, – განაგრძო მან, – ჩემთან იქნება, საბრალო! მას სიწყნარე და სიმშვიდე ესაჭიროება, სანამ ჩვენ სავსებით არ მოვემზადებით ამ შორეული ზღვის გადაღმა მხარეში წასასვლელად, იმედი მაქვს, რომ განვლილი ტანჯვა დიდი ხნის წარსულად მოეჩვენება, როდესაც ისევ თავის მკაცრ, მაგრამ მოსიყვარულე ბიძის გვერდით იქნება.

პაპი დამ თავი დაუქნია ამ იმედის დასტურად, და ამ გამამხნეველმა მოძრაობამ დიდად ასიამოვნა მისტერ პეგოტი.

– შემდეგ კიდევ აი რა, მასტერ დევი, – მიტხრა მან და ხელი ჩაიყო ჯიბეში, – აქ ფულია... ორმოცდაათი გირვანქა. ამას მინდა დაეუმატო ის ფულიც, რომეიც ემის თან ჰქონდა გამოპარვის დროს... მე ვკითხე ფულზე, თუმცა არ ვუთხარი, რად მინდოდა გამეგო. მე მარჯვე არა ვარ თვლაში. ერთი გაისარჯეთ და დათვალეთ, სწორია თუ არა?

მან მომაწოდა ქალაქის ფურცელი და თვლებში მიცქეროდა, სანამ ვითვლიდი. ანგარიში სწორი იყო.

– გმადლობთ, ასტერ დევი, – მითხრა მან, როდესაც დაეუბრუნე ქალაქი. – ამ ფულს, თუ ნებას მომცემთ, წასვლის წინ საქალაქეში შევახვევ და დავაწერ, ვისთვის არის. ამას კი, მეორეს, მის დედას გავუგზავნი პატარა განმარტებით და წერილით.

მე ვუპასუხე, რომ სწორედ ასე საჭირო და რომ მას ყველაფერი მოუფიქრებია.

– მე ვთქვი, რომ ერთი საქმე დარჩა გასაკეთებელი, და ორი კი გამოდგა, – თქვა მან ნაღვლიანი ღიმილით. – როდესაც დღეს დილით გამოვდიოდი სახლიდან, არ ვიცოდი, შემეტყობინებინა თუ არა ქამისთვის, რაც მოხდა აქ. მერე დავწერე წერილი და ფოსტაში მივეცი. ამ წერილში ყველაფერი ვუამბე, როგორ იყო საქმე, და მივწერე აგრეთვე, რომ ხვალ მივალ იარმაუთთან საბოლოოდ გამოსათხოვებლად.

– და თქვენ გინდათ, მეც წამოგყვით? – ვკითხე მე, რადგან ვხედავდი, რომ მას კიდევ ჰქონდა სათქმელი რაღაც.

– თუკი შეგიძლიათ, ასე დიდად დამავალთ, მასტერ დევი, – იპასუხა მან, – მე ვიცი, რომ თქვენი ნახვა ცოტათი გაამხიარულებს მას.

რადგან ჩემი პატარა დორა მშვენიერ გუნებაზე იყო და ძალიან უნდოდა, რომ წავსულიყავი, მივეცი სიტვა მისტერ პეგოტის გამეცილებინა იგი. მეორე დილით ჩვენ ჩავსხედით იარმაუთის დილიუანსში და გავწიეთ ძველი გზით.

ცოტა ხანს ვიხეტიალე ქალაქში და შემდეგ ქამის სახლში მივედი. პეგოტის გაეჭირავენებინა თავისი სახლი და მასთან გადასახლებულიყო. მე შევხვდი პეგოტის სუფთა სამზარეულოში; იქვე იყო მისის გუმიჯიც, რომელიც თვით მისტერ პეგოტის მოყვანა ძველი ნავის სახლიდან. მეეჭვება, რომ სხვას ვისმე დაეძრა იგი თავისი სადარაჯოდან. როგორც ჩანდა, მისტერ პეგოტის უკვე ყველაფერი ეამბნა მათთვის. ქამი ის იყო გასულიყო, რომ ცოტა გაეგლო ზღვის ნაპირზე. იგი მალე დაბრუნდა და ზალიან გაუხარდა ჩემი დანახვა.

ისე მეჩვენა, მას უნდოდა ჩემთან ცალკე ლაპარაკი. ამიტომ გადავწყვიტე, მეორე საღამოს გზაში დავხვედროდი, როდესაც სამუშაოდან ბრუნდებოდა. ამ რამეს პირველად აიღეს სანთელი ძველი ნავის სახლის ფანჯრიდან. მისტერ პეგოტი ქანობდა იქ, თავის ჩამოკიდებულ საწოლზე და ქარი უწეწავდა ჭადარა თმას.

მთელი მეორე დღე იგი მოუნდა ძველი სათევზაო ნავისა და მისი მოწყობილობის საქმის მოგვარებას. იგი ალაგებდა და ღონდონში გზავნიდა წვრილმან საოჯახო ნივთებს, რომელნიც თავისთვის გამოსადეგად მიაჩნდა, და სტოვებდა ისეთ ნივთებს, რომელიც მისის გუმიჯს გამადგებოდა. მისის გუმიჯმა მთელი დღე გაატარა მასთან ერთად შრომაში. რადგან მე სევდიანი მისწრაფება მქონდა ამ საყვარელი ძველი სახლისადმი და მინდოდა ერთხელ კიდევ მენახა იგი, ჩვენ შევთანხმდით, საღამოზე შევხვედროდით ერთმანეთს ამ სახლში. დრო ისე განვსაზღვრე, რომ ამაზე ადრე ქამი მენახა.

მისი პოვნა ძნელი არ იყო. მე ვიცოდი, სადაც მუშაობდა იგი. გავემართე იმის შესახვედრად და მართლაც შევხვდი შუაგზაზე. ჩვენ ცოტა გავიარეთ ერთად. მან მკითხა ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედავს.

– თქვენ ნახეთ იგი, მასტერ დევი?

– მხოლოდ ერთი წუთით, როდესაც გულწასული იყო, – ვუპასუხე მე.

ჩვენ გავიარეთ რამდენიმე ნაბიჯი და მან თქვა:

– თქვენ გგონიათ, მასტერ დევი, რომ კვლავ ნახავთ?

– ეს, მე გგონია, ძალიან ძნელი იქნება მისთვის, – ვუპასუხე მე.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაუმატა მან, – დიახ, რასაკვირველია, ძალიან ძნელი იქნება.

– მაგრამ, ქამ, – ვუთხარი ხმადაბლა, – თუ საჭიროა მიწერა რისიმე თქვენი სახელით, იმ შემთხვევაში, თუ სიტყვიერად შეუძლებელი იქნება თქმა... ან იქნებ გადაცემა გსურთ რისამე ჩემი საშუალებებით, მე გავაკეთებ ამას.

– ამაში დარწმუნებული ვარ, მასტერ დევი. გმადლობთ, სერ. თქვენ ძალიან კეთილი ხართ, დიდად გმადლობთ, დიახ, არის რაღაც, რაც მე მინდოდა ან მეთქვა მისთვის, ან მიმეწერა.

– რა?

ჩუმიად გავიარეთ რამდენიმე ნაბიჯი და შემდეგ მითხრა:

– ის კი არა, რომ მე მას ვაპატიე... არა, უფრო მეტი. მე მინდოდა მეთქვა მისთვის, რომ ვტხოვ მაპატიოს, ძალა რომ დავატანე და თავს მოვახვიე ჩემი სიყვარული. ზოგჯერ ვფიქრობ, მე რომ არ ჩამომერთმია მისთვის სიტყვა, წამომყოლოდა ცოლად, მეტი ნდობა ექნებოდა ჩემი და მეტყოდა, რაც აწუხებდა, მთხოვდა რჩევას და, შესაძლებელია, გადამერჩინა კიდევ.

ჩვენ ისევ გავიარეთ ხმაამოუღებლად.

– მე მიყვარდა იგი... და მიყვარს მისი ხსოვნა... ისე ძლიერად, ისე, რომ არ შემიძლია ვუთხრა, თითქოს ახლა ბენდიერი ადამიანი ვარ. მე შეიძლება ბენდიერი ვყოფილიყავ მხოლოდ მაშინ... როდესაც სრულებით დავივიწყებდი მას... მე კი მეშინია, რომ ვერ ავიტან, თუ მას ეტყვიან, რომ მართლაც დავივიწყე იგი. მაგრამ თუ თქვენ... თუ თქვენ შეგიძლიათ მოიგონოთ რამე ისეთი, რომ აფიქრებინოთ, თითქოს არც ისე ძალიან ვიტანჯები... და რომ ჯერ ისევ მასზე ვნაღვლობ... რამე ისეთი, რაც შეუმსუბუქებს მას საბრალო სულს და მაინც არ აფიქრებინებს თითქოს შესაძლებელია, რომ როდისმე ცოლი შევიერთო ან ვინმე გახდეს ჩემთვის იგივე, რაც ის იყო ჩემთვის... მე გთხოვთ – უთხარით ყოველივე მას... იგი მუდამ საყვარელი და კეთილი იყო.

მე ჩამოვართვი ხელი მის ვაჟკაცურ ხელს და დავპირდი, რომ ავასრულებდი მის დავალებას, როგორც კი მოვახერხებდი.

– გმადლობთ, მასტერ დევი, – მიპასუხა მან, – ეს დიდი პატივისცემაა თქვენის მხრით, რომ მოხვედით ჩემს შესახვედრად და ისეთი კეთილი ხართ, რომ ნუგეშსა სცემდით ბიძიას და ებაასებოდით მთელი ამ ხნის განმავლობაში. ესეც ხომ ბევრს ნიშნავს. ძალიან კარგად მესმის, მასტერ დევი, რომ მამიდა კი წავა ლონდონში, სანამ ისინი გამეგზავრებიან, და კიდევ ნახავენ ერთმანეთს წასვლამდის, მაგრამ მე ვეღარ ვნახავ ძიას. ეს მე ვიცი... ჩვენ არ ვეუბნებით ამას ერთმანეთს, მაგრამ ეს ასე იქნება, და უკეთესიც არის. როდესაც თქვენ უკანასკნელად ნახავთ ბიძაჩემს, სულ უკანასკნელად, გადაეცით მას ერთხელ კიდევ ჩემი სალამი და გულითადი მადლობა ობლისა, რომლისთვისაც იგი მშობელ მამაზე უკეთესი იყო.

მე ამასაც დავპირდი.

– ერთხელ კიდევ გმადლობთ, – მითხრა მან და მაგრად ჩამომართვა ხელი. – მე ვიცი, სად გინდათ წასვლა, მშვიდობით, მასტერ დევი.

მან ოდნავ გაიქნია ხელი, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ არ შეუძლია იმ ადგილის ნახვა, და პირი მიიბრუნა. მე გავხედე მას, როდესაც მიდიოდა მთვარის შუქზე ამ უდაბურ ალაგას, და დავინახე, რომ რამდენჯერმე შეხედა მთვარის ვერცხლისფერ ზოლს, ზღვაზე გაწოლილს, და თანდათან მიეფარა ჩემს თვალებს.

კარი ღია იყო, როდესაც სახლს მივუახლოვდი. შესვლისას დავინახე, რომ ყველა ნივთი უკვე გატანილი იყო გარეთ, გარდა ძველი სკივრისა, რომელზედაც იჯდა მისის გუმიჯი კალათით ხელში და შესცქეროდა მისტერ პეგოტის.



– მოხვედით, როგორ სთქვით, მასტერ დევი, გამოვემშვიდობოთ ძველს ახლა, ჰა? – მითხრა მისტერ პეგოტიმ და სანთელი ასწია.

– მართლაც, თქვენ ყველაფრის ჩალაგება მოგისწრიათ, – ვუთხარი მე.

– ეჰ! რასაკვირველია, ჩვენ არ გვიზარმაცია! მისის გუმიჯი ისე გაისარჯა, ისე... როგორც, არ ვიცი, კიდევ ვინ გაისარჯებოდა ამგვარად, – მითხრა მისტერ პეგოტიმ, თან უყურებდა მისის გუმიჯს და არ იცოდა, კიდევ რა სიტყვა მოენახა საკმარისად საქებარი.

ყველაფერი ალაგებულ იყო, – პატარა ლოკოკინების ჩარჩოიანი სარკეც კი. მომაგონდა, როგორ ვიწექი აქ, როდესაც მოხდა პირველი დიდი უბედურება ჩემს სახლში. მომაგონდა, ცისფერთვალება ბავშვი, რომელმაც მომხიბლა მაშინ, მომაგონდა სტირფოდი და მომეჩვენა, თითქოს იგი აქ იდგა, ახლოს, და შეიძლებოდა შემხვედროდა ყოველი კუთხის შესახვევში.

– დანიელ, – უთხრა მისის გუმიჯმა უეცრად, დადგა თავისი კალათა და ხელზე ჩამოეკიდა მისტერ პეგოტის. – ძვირფასო დანიელ! აი ჩემი უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც ვიტყვი ამ სახლში: შენ არ უნდა დამტოვო მე; ნუ იფიქრებ ჩემს აქ დატოვებას, დანიელ, ნუ იფიქრებ!

მისტერ პეგოტიმ შეხედა მისის გუმიჯს, შემდეგ მე, მერე ისევ მას, თითქოს ახლა გაიღვიძაო.

– გემუდარები, ძვირფასო დანიელ, ნუ იფიქრებ! – საჩქაროდ შესძახა მისის გუმიჯმა. – წამიყვანე თან, დანიელ, შენთან და ემისთან! მე თქვენი მოსამსახურე ვიქნები, მომთმენი და ერთგული. თუ არიან მონები იმ ქვეყნად, სადაც თქვენ მიდიხართ, თქვენი მონა გავხდები და ვიქნები, ოღონდ ნუ დამტოვებ აქ, დანიელ! შენ ისეთი კეთილი და საყვარელი ხარ!

– ჩემო კარგო! – უპასუხა მისტერ პეგოტიმ და თავი გაიქნია. – შენ არ იცი, რა შორია გზა და რა მძიმე იქნება იქ ცხოვრება.

– ო, რასაკვირველია, ვიცი, დანიელ! მე შემიძლია წარმოვიდგონო! – შესძახა მისის გუმიჯმა. – მაგრამ აი ჩემი უკანასკნელი სიტყვა ამ ჭერქვეშ: მე დავწვები აქ და მოვკვდები, თუ თან არ წამიყვანთ. არ მივეკარები იმ პენსიას, რომელიც შენ დამინიშნე; მოვკვდები, მაგრამ შენთან და ემისთან ერთად. ქვეყნის ბოლომდე წამოგყვებით, თუკი თან წამიყვანთ. ვიცი... რატომ... მე ვიცი, შენ ფიქრობ, რომ წუწუნა და ბუზღუნა ვარ, მაგრამ ძვირფასო, საყვარელო, ახლა ის აღარ ვარ, ტყუილად კი არ ვიჯექი აქ ამდენი ხნის განმავლობაში; ვყარაულობდი და ვფიქრობდი შენს უბედურებაზე, უსარგებლოდ არ დავმჯდარვარ, მასტერ დევი! უთხარით რამე ჩემს შესახებ. მე ვიცი ყველა მისი ჩვეულება და ნაღველი. ზოგჯერ შემიძლია ვანუგეშო, და ვიმუსავებ ბეთიტად. დანიელ! კეთილო დანიელ! ნუ დამანებებ თავს!

მისის გუმიჯმა სტაცა ხელი და აკოცა მას.

ჩვეე გამოვართეთ სკივრი, ჩავაქრეთ სანთელი, დავკეტეთ კარი გარედან და დავტოვეთ ძველი ნავის სახლი. მეორე დილას, როდესაც დილიჟანსით ლონდონში მივედით, მისის გუმიჯსა და მის კალათას ეჭირათ ერთი საუკეთესო ადგილთაგანი. მისი გუმიჯი ბედნიერი იყო!

თავი ორმოცდამეცხრე

აფეთქება

როდესაც დრო, ასეთი საიდუმლოებით დანიშნული მისტერ მიკობერის მიერ, მხოლოდ ოცდაოთხი საათით იყო დაშორებული, შევეკითხე პაპიდას, როგორ მოვქცეულიყავით, რადგან პაპიდას არასგზით არ უნდოდა ღორას თავის დანებება.

– მე ხმას არ გაგცემთ, – გამოუცხადა დორამ პაპიდა და შეარხია თავისი კულულები. – გაგაჯავრებთ, მოგისვეთ ჯიპს, რომ მთელი დღე გიყეფოთ. დარწმუნებული ვიქნები, რომ მართლაც ბებერი, ბრაზიანი ლედი ხართ, თუ არ წახვალთ.

– ჩემო ყვავილო, – უპასუხა პაპიდამ სიცილით, – შენ ხომ იცი, რომ უჩემოდ არ შეგიძლია ყოფნა.

– რას მელაპარაკებით! – უთხრა დორამ. – სრულებით არ მჭირდებით. განა თქვენ ჩემი გულისათვის დარბიხართ მთელი დღის განმავლობაში ზევით და ქვევით კიბეებზე? განა თქვენ ზიხართ ჩემს გვერდით და მიაშობთ დოლის ამბავს, როგორ მოვიდა იგი თქვენთან დაგლეჯილი ფეხსაცმელებით და მთლად მტვრიანი... აჰ, როგორი საბრალო, საძაგელი ბიჭი იყო! თქვენ ხომ არასოდეს არ სჩადიხართ იმას, რაც მე მესიამოვნება, – მართალი არა ვარ? ხომ ასეა, ძვირფასო პაპიდა?

ამ სიტყვებით საჩქაროდ აკოცა პაპიდას დაუმატა:

– ო, რასაკვირველია, თქვენ ყველაფერს აკეთებთ! მე ხომ ვსუმრობ! მაგრამ ახლა ყური მიგდეთ, – განაგრძობდა დორა და თან ეალერსებოდა. – თქვენ აუცილებლად უნდა წახვიდეთ. გამოვიგონებ თქვენთვის ათასგვარ უსიამოვნებას, ჯიპიც ამას იზამს. თქვენ ძალიან ინანებთ, რომ არ გამექცეთ. ამას გარდა, – დაუმატა დორამ და გააკვირვებით შემოგვხედა ჯერ მე და შემდეგ პაპიდას, – რატომ არ უნდა წახვიდეთ ორივენი? განა ისე მიძიმედ ვარ ავად?

– რას ლაპარაკობ! რა საკითხავია! – შეჰყვირა პაპიდამ.

– რა სისულელეა, – დაუმატე მე.

– თქვენ დაბრუნდებით და იმდენ ახალ ამბავს მოიტანთ თან, რომ მთელი კვირა დაგჭირდებათ საამბობლად და ასახსნელად. ვიცი, რონ ასე ადვილად ვერ მივხვდები, თუ რამე საქმიანია. და თუ კიდევ თვლაც დამჭირდება, მე არ ვიცი, როგორ მოვახერხებ. აბა! ახლა ხომ წახვალთ, არა? თქვენ ხომ მხოლოდ ერთ ღამეს არ გაათევთ სახლში, უთქვენოდ კი ჯიპი დამიცავს. წახვლის წინ დოდი ამიყვანს ზევით და თქვენს მოსვლამდე არ ჩამოვალ.

საღამოს ჩვენ ოთხივენი, ესე იგი: პაპიდა, მისტერ დიკი, ტრედელსი და მე გავემგზავრეთ დუვრის საფოსტო კარეტი კენტერბერიში.

სასტუმროში, სადაც მისტერ მიკობერმა პაემანი დაგვინიშნა და რომელშიც ჩვენ შევედით შუაღამისას, დამხვდა ბარათი ცნობით, რომ იგი გამოცხადდება დილით, სწორედ ათის ნახევარზე.

დილაადრიან მე დავდიოდი ძველ, საყვარელ, წყნარ ქუჩებში. ყვავები თავს დასტრიალებდნენ კოშკებს და თვით კოშკები, ნაცნობ მიდამოებზე ამართულნი, ადგნენ ნათელი დილის სივრცეში ისე მშვიდად, თითქოს დედამიწაზე არც კი არსებობდა ის მოვლენა, რომელსაც ცვლილება ეწოდება.

ათის ნახევრის მოახლოებასთან ერთად მატულობდა ჩვენი მღელვარებაც. პაპიდამ დაიწყო წინ და უკან სიარული ოთახში; ტრედელსი იჯდა დივანზე და გაზეთს კითხულობდა, თუმცა მისი თვალები არ იღებდნენ მონაწილეობას ამ კითხვაში, რადგან რაღაცას ეძებდნენ ჭერზე. მე ფანჯარაში ვიყურებოდი, რომ დროზე მეცნობებინა მისტერ მიკობერის მოსვლა. დიდხანს არ მომიხდა ლოდინი: საათის რეკვასთან ერთად იგი გამოჩნდა ქუჩაში.

– მოდის! მოდის! – შევძახე მე.

– დილა მშვიდობისა, ქალბატონო, დილა მშვიდობისა, ჯენტლმენებო, – გვითხრა მისტერ მიკობერმა. – თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით, სერ, – დაუმატა მან და მიმართა მისტერ დიკს, რომელიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელს უჭერდა.

– ისაუბრეთ კიდევ, სერ? – ჰკითხა მისტერ დიკმა. – ხომ არ ინებებთ კატლეტს?

– არაფრის გულისათვის, მისტერ დიკსონ! – შესძახა მიკობერმა. – მადა და მე, უკვე დიდი ხანია, რაც გავშორდით ერთმანეთს.

„მისტერ დიკსონს“ ისე გაუხარდა თავისი ახალი სახელი და, როგორ ჩანდა, ისეთ დიდ პატივისცემად მიიღო, რომ ისევ მაგრად ჩამოართვა ხელი მისტერ მიკობერს და გაიცინა ბავშვივით.

– დიკ! – უთხრა პაპიდამ.

მისტერ დიკი გაწითლდა და მოჭკვიანდა.

– აბა, სერ! – უთხრა პაპიდამ მისტერ მიკობერს და ხელთათმანები ჩაიცვა, – ჩვენ მზად ვართ.

– იმედი მაქვს, ქალბატონო, რომ მოკლე ხანში თქვენ მოწამე იქნებით აფეთქებისა, – უპასუხა მიკობერმა. – მისტერ ტრედელს, მგონია, ნებას მიბოძებთ, გამოვაცხადო აქ, რომ ჩვენ თანხმობით ვმოქმედებთ.

– ეს მართალია, კოპერფილდ, – მითხრა ტრედელსმა, რომელსაც გაკვირვებით შეეხედე, – მისტერ მიკობერმა მთხოვა რჩევა და მე მივეცი ეს რჩევა.

– ჩვენ სავსებით გენდობით, მისტერ მიკობერ, – ვუთხარი მე, – და შევასრულებთ ყველაფერს, რასაც თქვენ მოისურვებთ.

– თქვენი ნდობა, მისტერ კოპერფილდ, ამ შემთხვევაში არ იქნება გაწბილებული, – მიპასუხა მისტერ მიკობერმა. – მინდა ხუთი წუთით თქვენზე ადრე წავიდე, რომ მიგიღოთ – მის ვიკფილდის სტუმრები – ვიკფილდისა და ჰიპის კანტორაში, სადაც დაქირავებულ კლერკად ვმსახურობ.

მე და პაპიდამ შევხედეთ ტრედელსს, და მან თანხმობის ნიშნად თავი დაგვიქნია.

– მეტი არა მაქვს-რა სათქმელი, – დააბოლოვა მისტერ მიკობერმა. ამ სიტყვებთან ერთად დიდი თავაზიანობით დაგვიკრა თავი და გააჭრა. როდესაც ხუთმა წუთმა გაიარა, ტრედელსმა შესთავაზა პაპიდას ხელი და ჩვენ ყველანი წავედით ძველი სახლისაკენ; გზაში არავის ხმა არ ამოგვიღია.

მისტერ მიკობერი კანტორაში დაგვხვდა. კანტორის დიდი სახაზავი უილქში გაერჭო და ერთი ადლით მაინც ამოეყოფებინა თავი, თითქოს რაღაც ახალი ჯურის უაბო არისო.

მე მომეჩვენა, თითქოს ჩემგან მოულოდნენ ლაპარაკის დაწყებას.

– მის ვიკფილდი სახლშია, მისტერ მიკობერ? – ვკითხე მე.

– მისტერ ვიკფილდი ლოგინად არის ჩავარდნილი, ნეკრესის ქარებით იტანჯება, – მიპასუხა მან, – მაგრამ მის ვიკფილდს, უეჭველია, ძალიან გაუხარდება ძველი მეგობრების ნახვა. ხომ არ ინებებთ შესვლას, მისტერ კოპერფილდ?

იგი წინ წავგიძღვა, გააღო ვიკფილდის კანტორაში კარის ორივე ნახევარი და ხმამაღლა წარმოსთქვა:

– მის ტროტუვი, მისტერ დავით კოპერფილდი, მისტერ თომას ტრედელსი და მისტერ დიკსონი!

მე არ მენახა ური ჰიპი მას შემდეგ, რაც სილა გავარტყი. ჩვენმა მისვლამ, როგორც ჩანდა, გააოცა იგი.

– ჭეშმარიტად! – შეჰყვირა მან. – აი სრულებით მოულოდნელი სიხარული! ხედავ, ასე ვთქვათ, ყველა მეგობარს ერთად!

– იმედი მაქვს, თავისუფალი ბრძანდებით, მისტერ ჰიპ? – ჰკითხა ტრედელსმა.

– დიას, მისტერ ტრედელს, – უპასუხა ჰიპმა, – საქმე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სასურველია; თუმცა მე და მიკობერს საკმარისი საქმე გვაქვს, რადგან ვიკფილდი თითქმის აღარავითარი საქმისათვის აღარ ვარგა. მიუხედავად ამისა, მუსაობა მისთვის ნამდვილი სიამოვნებაა. თქვენ, მისტერ ტრედელს, მგონია, არ ხართ ისე დაახლოებული მისტერ ვიკფილდთან? მგონია, მხოლოდ ერთხელ მქონდა ბედნიერება მენახეთ მასთან?

– დიას, მართალს ბრძანებთ! აქამდის არ მქონდა არავითარი საქმე მისტერ ვიკფილდთან, – უპასუხა ტრედელსმა, – თურემ, რასაკვირველია, ჩვენ უკვე დიდიხნის ნაცნობები ვიქნებოდით, მისტერ ჰიპ!

აგნესას შემოსვლამ, რომლის მოსაყვანად წავიდა მიკობერი, შეწყვიტა ეს საუბარი.

მე ვხედავდი, როგორ უთვალთვალებდა ური აგნესას, როდესაც იგი ჩვენ გვესალმებოდა. ამ დროს მიკობერმა რაღაც ანიშნა ტრედელსს და იგი ყველასათვის შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან.

– თქვენ აქ მეტი საქმე არ გაქვთ, მიკობერ, – უთხრა ურიმ, მაგრამ მისტერ მიკობერი უძრავად იდგა კარებთან და სახაზავი გულთან ეჭირა.

– რაღას ელით, მიკობერ? – ჰკითხა ურიმ. – განა ვერ გაიგეთ, რომ აქ საქმე აღარა გაქვთ-რა?

– გავიგე, – უპასუხა ერთ ადგილზე გაქვავებულმა მიკობერმა.

– მაშ რაღას ელით? – ჰკითხა ურიმ.

– იმას, რომ... მოკლედ რომ ვთქვა, მე ასე მომწონს, – უპასუხა მიკობერმა მოუთმენლად.

ურის სახე დაემანჭა. მან დაკვირვებით შეხედა მიკობერს.

– გასწით აქედან! მალე მოგელაპარაკებით.

– თუ არის ქვეყანაზე არამზადა, რომელსაც უკვე მეტისმეტად დიდი ხანია, რაც ველაპარაკები, – შეჰყვირა მიკობერმა გაშმაგებით, – ამ არამზადის სახელი ჰიპია!

ური ისე გადახტა, თითქოს დაარტყესო. ნელა მოგვაველო თვალი ყველას და თქვა დაბალი ხმით:

– ოჰო! ეს ხომ შეთქმულებაა! მათ პირობა შეუკრავთ, რომ აქ მოყვართ თავი. ისინი ჩემს მსახურთან ერთად მუხანათობენ ჩემს წინააღმდეგ. არა, კოპერფიდ? მაშ კარგი! მიფროთხილდით მიკობერ! გასწით აქედან! მე ახლავე გაგისწორდებით!

– მისტერ მიკობერ, – ვუთხარი მე, – მოიქეცით ისე, როგორც ღირსია.

– რა კარგ ხალხში ჩავვარდი, – წაისისინა ურიმ. – მის ტროტვულ, თქვენ უკეთესს იზამთ, თუ უბრძანებთ, რომ აქ შეჩერდნენ, თორემ მე თქვენს მეუღლეს ისეთ „გაჩერდის“ ვუბრძანებ, რომ არც თქვენ გაიცინებთ. დამეთანხმეთ, ჩემთვის არ არის სასიამოვნო ჩავრიო ასეთ საქმეებში ასეთი პატივცემული ხნიერი ღელის ამბავი. მის ვიკფილდ, თქ თქვენ გიყვართ მამათქვენი, გთხოვთ, აქ ნუ ჩაერევით. მე გავაღატაკებ მას, თუ არ დამიჯერებთ! აბა, გადით ახლა! სად არის დედა? – იკითხა მან უეცრად და მხოლოდ მაშინ შენიშნა ტრედელსის იქ არ ყოფნა. – ეს კარგი ამბავია! და ყველაფერი ეს ჩემს საკუთარ სახლში!

– მისის ჰიპი აქ არის, მისტერ ჰიპ, – უთხრა ამ დროს ტრედელსმა, რომელიც ოთახში შემოვიდა ღირსეული შვილის ღირსეულ დედასთან ერთად, – გავბედე და თვითონ გავაცანი ჩემი თავი.

– მერე, ვინ მოგცათ უფლება ძალით გასცნობოდით მას? – შეჰყვირა ურიმ. – ვინ ბრძანდებით? რა გნებავთ აქ?

– მე გახლავართ მისტერ ვიკფილდის აგენტი და მეგობარი სერ, – უპასუხა ტრედელსმა საქმიანი ადამიანის მშრალი, წყნარი კილოთი, – და აქ, ჯიბეში, მაქვს სრული მისი მინდობილობა – ვიმოქმედო მის მაგივრად ყველა მის საქმეში.

მიკობერმა, რომელსაც ძლივს ვაკაგებდი ჩხუბისაგან, ახლა გამოიღო სწრაფად უბიდან სახაზავი, ამოიღო ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი და დაიწყო შემდეგის კითხვა:

– „უღირსეულესო მის ტროტვულ და თქვენ ჯენტლმენებო...“

– ღმერთმა ნუ ქნას! – მითხრა პაპილამ დაბალი ხმით. – თუ ბოროტმოქმედება დიდია, მან, უეჭველია, ერთი ოზმა ქაღალდი მაინც დახარჯა!

მიკობერს არ გაუგია ეს შენიშვნა. იგი განაგრძობდა:

– „ვინაიდან მე გამოვდივარ თქვენს წინაშე, რათა ბრალი დავდო და გამხილო, უეჭველია, ყველაზე შესანიშნავი არამზადა, რომელიც კი ოდესმე არსებულა დედამიწის ზურგზე... (აქ მიკობერმა, თვალეზაულებლად სახაზავით, როგორც ჯადოსნური კვერთვით, ური ჰიპზე მიუთითა), გთხოვთ უმორჩილესად, არ მომაქციოთ ყურადღება პირადად მე. იმ დგომარეობაში, როდესაც სირცხვილმა, გაჭირვებამ და სასოწარკვეთილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწიეს, შევედი ვიკფილდისას... და ჰიპის ფირმის კანტორაში, თუმცა ნამდვილად მას მართავდა მხოლოდ ჰიპი. ჰიპი და მხოლოდ ჰიპია ამ მანქანის ჩარხი. ჰიპი და მხოლოდ ჰიპია მატყუარა და გაიძვერა!“

ამ სიტყვებთან, ური, უფრო გაღურჯებული, ვიდრე გაფითტებული, მივარდა მისტერ მიკობერს, რომ გამოეგლიჯა მისთვის ეს წერილი, მაგრამ მიკობერმა საოცარი ხელოვნებით ჩაარტყა მას სახაზავი გაწვდილს თითებში.

– ამასაც მოგაგონებ, დამაცადე! – შეჰყვირა ურიმ და დაიკლაკნა ტკივილისაგან.

– „ჯამაგირი, რომელსაც ვიღებდი... ჰიპის კანტორაში, არ აღემატებოდა უმნიშვნელო თანხას, ოცდაორ შილინგსა და აქვეს პენსს კვირაში. მგონია, საჭირო არ არის იმის ახსნა, რომ მალე იძულებული გავხდი მიმემართნა... ჰიპისთვის ფულის სასესხებლად, მისის მიკობერისა და ჩვენი უბედური, მაგრამ მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოსაკვებად. მგონია, ეს აუცილებლობა წინასწარ ნავარაუდევია ჰქონდა... ჰიპს... საჭირო არ არის ამაზე ლაპარაკი, რომ ამ სესხს მაძლევდნენ თამასუქებით, სესხის წერილებით, ვალის საბუთებით, სახელმწიფოსაგან დადგენილი კანონების თანახმად, და, ამგვარად, მალე დავინახე, რომ გაბმული ვარ ბადეში, რომელსაც... ჰიპი თანდათან სწნავდა ჩემს გარშემო, ჩემს დასაღუპავად.“

ის ნეტარება, რომელსაც ჰგვრიდა მისტერ მიკობერს მისი ეპისტოლარული ნიჭი ამ საქმეთა უბედური მდგომარეობის აღწერაში, თითქოს ასკეცად უნაზღაურებდა მას მთელ იმ შიშსა და ნაღველს, რომელიც სინამდვილემ მიანიჭა! მან განაგრძო:

– „აი მაშინ... ჰიპმა დაიწყო გამოჩენა ჩემდამი სწორედ იმდენი ნდობისა, რამდენიც საჭურო იყო მისი ჯოჯოხეთური გეგმის სისრულეში მოსაყვანად. ჩემი დახმარება სწორედ იქ იყო მუდამ საჭირო, სადაც საქმე შეეხებოდა რაიმე სიყალბეს, ან სადაც ნავარაუდევია იყო შეცდომაში შეყვანა ერთი პიროვნებისა, რომელსაც დავასახელებ, როგორც მისტერ ვ-ს. როდესაც გადავჭერი შინაგანი ბრძოლა ჯამაგირიანობასა და უჯამაგირობასა, პურიანობასა და უპურიანობასა, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, დავისახე მიზნად, მესარგებლა ყველა ამ შემთხვევით, რათა შემხილებინა და ნათელმეყო ყველა ის სისამაგლე და ვერაგობა, რომელიც ჩაიდინა ჰიპმა მისტერ ვიკფილდის დასაღუპად.“

„ჩემი ბრალდება ჰიპის წინააღმდეგ, – კითხულობდა იგი, შემდეგ შეხედა თავის მოწინააღმდეგეს და ყოველი შემთხვევისათვის მოიმარჯვა სახაზავი ილღის ქვეშ, – შემდეგია: ჯერ ერთი, – როდესაც მისტერ ვიკფილდის გონება და მესხიერება, იმ მიზეზების გამო, რომელთა განხილვას აქ არც საჭიროება და არც ადგილი არ მოითხოვს, დასუსტდა და დაუჩლუნგდა... ჰიპმა აურია და გააფუჭა კანტორის ყველა საქმე. როდესაც მისტერ ვიკფილდს ყველაზე ნაკლებად სექდლო ხოლმე საქმის მართვა... ჰიპი უსათუოდ სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა და მიაჩნებდა რაიმე ქაღალდს. ამგვარ შემთხვევებში... ჰიპი შოულობდა მისტერ ვიკფილდის ხელმოწერას დიდმნიშვნელოვან საბუთებზე, რომელთაც მოაჩვენებდა სრულიად უბრალოდ, შემოუდებდა მაგიდაზე, როგორც ყოველად უმნიშვნელოს. ასე, მაგალითად, მან აიძულა მისტერ ვიკფილდი მიეცა მისთვის... ჰიპისთვის სრული მინდობილობა, რათა მას, ჰიპს, ჰქონოდა უფლება განკარგულება მოეხდინა და კანტორისათვის მინდობილი თანხა – ოცი ათას ექვსას თორმეტი

გირვანქა – მოეხმარა ყალბი მოთხოვნების დასაფარავად არარსებულ ვალდებულებების გამო და ვითომდა ნაკლული თანხების შესავსებად“.

– თქვენ აგებთ ამისთვის პასუხს, კოპერფილდ. თქვენ! – შეჰყვირა ურემ მუქარით. – ამას არ დავტოვებ ასე თავის დროზე!

– ჰკითხეთ... ჰიპს, მისტერ ტრედელს, – უთხრა მიკობერმა და შეწყვიტა კითხვა. – ვინ ცხოვრობდა მის ბინაში მის შემდეგ? ჰკითხეთ, მოიღეთ მოწყალება.

– ცხოვრობდა რეგენი, – უპასუხა ჰიპმა ზიზღით, – და იგი ახლაც იქ ბინადრობს!

– ჰკითხეთ... ჰიპს, – განაგრძობდა მიკობერი, – ჰქონდა თუ არა ამ სახლში უწინ წიგნაკი? გთხოვთ.

ურის გამხდარმა ხელმა უეცრად შეწყვიტა ნიკაპის ფხაჭხა.

– ან ჰკითხეთ, ხომ არ დაუწვავს-რა ამის მაგვარი? – დაუმატა მიკობერმა. – იგი იტყვის, რომ სწავდა, და იკითხავს, სად არის ნაცარი, მიუთითეთ ვილკინს მიკობერზე, და იგი გაიგებს რაიმეს, არც ისე სასიამოვნოს თავისთვის.

მიკობერმა მედიდურად ჩაღო თავისი დაბაბი საყელოში და განაგრძო კითხვა:

– „მეორე, – ჰიპი, როგორც დანამდვილებით ვიცი და სინდისის ქვეშ ვამბობ, დავთრებში და საბუთებზე სისტემატურად ხელს აწერდა მისტერ ვიკფილდის მაგივრად. ამრიგად მოიქცია იგი ერთ შემთხვევაში, რომელიც შემიძლია დავამტკიცო სათანადო საბუთებით, სახელდობრ...“

და მიკობერმა ისევ დაატკბო თავისი სმენა სიტყვების რახარუხით, რომელიც, რასაკვირველია, სასაცილო და მეტიც იყო, მაგრამ, უნდა შევნიშნო, ეს გარემოება მხოლოდ მიკობერს არ ემართება. ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ბევრჯერ შემიშინავს ეს გატაცება ზედმეტი სიტყვებით. იგი რაღაც საერთო წესად არის ხოლმე მიღებული ყველა საზეიმო შემთხვევაში და მასზე ემყარება მრავალი ფორმალური და სასამართლოს საბუთი. მათი კითხვისა ან წარმოთქმის დროს ხალხი თითქოს განსაკუთრებით ტკბება, როდესაც შეხვდება ჭახაჭახა სიტყვების წყებას, რომელიც ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავს, როგორც, მაგალითად: „მინდა, მოვიტხოვ და მსურს“, ანდა კიდევ: „ვუტოვებ, ვუანდერძებ და განვსაზღვრავ“ და სხვანი. ჩვენ ვლაპარაკობთ ენის სიძნელეზე და ჩვენვე კი ვაწამებთ ენას; გვიხარია, რომ გვაქვს ზედმეტი სიტყვების მარაგი, რმელიც შეგვიძლია მოვიხმაროთ საზეიმო შემთხვევაში, და გვეჩვენება, რომ ეს დიდებულია და კეთილხმოვანი.

მიკობერი განაგრძობდა კითხვას განსაკუთრებული ხალისით, პირის წკაპუნით.

– „სახელდობრ, ამრიგად, ესე იგი, ვინაიდან მისტერ ვიკფილდი მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის მხრივ და ძალიან ადვილად შესაძლებელი ყო, რომ მისი სიკვდილი გამოიწვევდა მრავალი სიყალების გამომჟღავნებას და ჰიპის უფლების დამსობას ვიკფილდის ოჯახობაზე, როგორც მე, ქვემოთ ხელისმომწერს, ვილკინს მიკობერსა მგონია, და რაც შეიძლება მომხდარიყო, თუ მისი ასულის მამისადმი სიყვარული არ იქნებოდა წინასწარდაჯერებული, რომ კანონიერ განხილვამდე არ მიიყვანოს ორივე ამხანაგის კანტორის საქმეები, – ამის გამო ამ დასახელებულმა ჰიპმა საჭიროდ დაინახა, ჰქონოდა მარაგად სესხის ვალდებულება ზემოაღნიშნული თანხის, ოცი ათას ექვსას თოთხმეტი გირვანქისა, პროცენტებით, რომელ ვალდებულებაშიც ნათქვამია, თითქოს ეს თანხა სესხად ჰქონდეს მიცემული ჰიპს მისტერ ვიკფილდისთვის, რათა გადაერჩინა იგი სირცხვილისაგან, თუმცა ეს თანხა სინამდვილეში არც გაცემულა არასდროს, არც არსებულა და არც მიღებულა. ხელმოწერა ამ საბუთზე, ვითომც შედგენილი მისტერ ვიკფილდის მიერ და შემოწმებული ვილკინს მიკობერის მიერ, – ყალბია. მე მაქვს უბის წიგნაკი, რომელშიც მრავალი ნიმუშია ამგვარი ყალბი ხელმოწერისა მისტერ ვიკფილდის მიერ“.

ური წამოხტა, ამოიღო ჯიბიდან გასაღებების აბმულა, გააღო მაგიდის უჯრა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და არ ჩაუხედნია შიგ, ისევ მოგვიბრუნდა ჩვენ.

– საბუთი ჩემთან არის, – სთქვა მიკობერმა და გამარჯვებულად გადმოგვხედა ყველას, – ესე იგი, დღეს დილით, როდესაც ეს წერილი იწერებოდა, იგი მე მწონდა, მაგრამ შემდეგ გადავეცი მისტერ ტრედელს.

– სრული სიმართლეა, – დაადასტურა ტრედელმა.

– ური, ური! დამორჩილდი და სთხოვე პატიება ამ ჯენტლმენებს! – ყვიროდა დედაბერი. – მე ვიცი, ჯენტლმენებო, რომ ჩემი შვილი დაგმორჩილდებათ, თუ ადროვეთ. მისტერ კოპერფილდ, თქვენ ხომ იცით, როგორი მორიდებული და მორჩილი იყო იგი მუდამ.

– დედი, გაჩუმდი! უკეთესს იზამდი, რომ თოფი აგელო და გულში გესროლა ჩემთვის!

ური ერთი წუთით გაჩუმდა, შემდეგ წარბებზე შეკრულმა შემომხედა და თქვა:

– აბა, კიდევ რა გაქვთ? არის კიდევ რამე? მოიტათ. რას მიყურებთ ასე?

მიკობერი ისევ შეუდგა თავისი ბრალდების კითხვას; იგი დიდი ხალისით დაუბრუნდა ამ საქმეს, რომელიც ამდენ სიამოვნებას ჰგვრიდა მას.

– „მე შემიძლია დავამტკიცო, რომ მთელი სისუსტე, ნაკლი და თვით სიკეთე, თვით მშობლიური სიყვარული და პატიოსნების გრძობა უბედური, მოტყუებული და გაძარცვული მისტერ ვიკფილდისა რაიმდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ იმას ემსახურებოდა, რომ ხელი შეეწყო ძუნწი, ქვაწვია და მუხანათი... ჰიპის გამდიდრებისათვის; რომ ჰიპის ერთადერთი მიზანი, გარდა გამდიდრებისა, იყო სურვილი სავსებით ხელში ჩაეგდო მისტერ ვიკფილდი და მისი ასული. მისტერ ვიკფილდმა, რომელსაც ეშინოდა, რომ მოელის გაკოტრება და პატიოსანი სახელის დაკარგვა, მთელი თავისი იმედი დაამყარა ამ ადამიანის სახეს მაჯლაჯუნაზე (მიკობერმა ეს ახალი გამოთქმა განსაკუთრებული რიხით წარმოსთქვა), ამ მაჯლაჯუნაზე, რომელმაც მოახერხა, საჭირო და აუცილებელი გამხდარიყო, და ამის საშუალებით მოამზადა თავისი კეთილისმყოფელის დაღუპვა. ყოველი ამის დამტკიცებას მე ვკისრულობ და, უეჭველია, უფრო მეტსაც დავამტკიცებ“.

მე რაიმდენიმე სიტყვა წავჩურჩულე აგნესას, რომეიც ჩემს გვერდით იდგა და სიხარულისა და მწუხარების ცრემლებს ღვრიდა ერთსა და იმავე დროს. მსმენელთა შორის ატყდა მოძრაობა, თითქოს მიკობერმა დაამთავრა კითხვა, მაგრამ მან არაჩვეულებრივი ღირსებით წარმოსთქვა: „უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ“, და ერთდროულად ღრმა სევდისა და უდიდესი აღტაცების გამომეტყველებით წაიკითხა:

– „მე გავათავე. დარჩენია მხოლოდ, დავამტკიცო ეს ბრალდება საბუთებით და შემდეგ, ჩემს ოჯახობასთან ერთად, სამუდამოდ მოვშორდე ქვეყანას, სადაც, როგორც ჩანს, ჩვენ მეტნი ვართ. ეს მალე იქნება შესრულებული. წარმომიდგენია, რომ ჩვენი ძუძუთა ბავშვი პირველი დაუტყვევებს სულს კვების უქონლობის გამო და რომ მას ჩვენი ტყუილები მიჰყვებიან. იყოს ნება ღვთისა! რაც შემეხება მე, ჩემმა კენტერბერიში გადმოსახლებაზე უკვე გამოიღო ნაყოფი. ჩემი ჩამწყვდევა სავალო ციხეში, კანონიერ საფუძველზე, და შიმშილი დაამთავრებენ დანარჩენს. კმაყოფილი ვიქნები, თუ ჩემზე, როგორც ეს ნათქვამი იყო ერთ მამაც და განთქმულ ზღვის გმირზე, რომელთანაც თავის შედარებას მე, რასაკვირველია, ვერ გავბედავ – იტყვიან, რომ შევასრულე ყოველივე ეს არა რაიმე ჯილდოს ან სახელის მოხვეჭის იმედით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ

ინგლისის, მაშულისა და მშვენიერებისათვის.

ვილკინს მიკობერი“.

ვილკინს მიკობერმა დაკეცა ქაღალდი და მდაბალი თავის დაკვრით მიართვა იგი პაპიდას, როგორც ნივთი, რომელიც შესაძლებელია, ესურვა შეენახა.

ურიმ შეხედა მიკობერს, მივიდა და ხმაურით გააღო ორივე კარი. კარადა ცარიელი იყო.

– სად არის დავთრები? – შეჰყვირა მან ზარდაცემულმა. – ვინ მოიპარა?

– მე, – უპასუხა მიკობერმა, – მე ჩავიდინე, როდესაც ჩვეულებრივად ვიყავი თქვენთან გასაღებისათვის.

– ნუ შეწუხდებით – სთქვა ტრედელსმა, – დავთრები ჩემთან არის.

– მაშ თქვენ მოპარულ ნივთებს იღებთ? – შეჰყვირა ურიმ.

– ამგვარ შემთხვევაში – უსათუოდ, – უპასუხა ტრედელსმა.

მაგრამ როგორ გამიკვირდა და როგორ გავოცდი, როდესაც პაპიდა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ღრმა დუმილში იყო წასული, უეცრად მივარდა ურის და ორივე ხელით სწვდა საყელოში.

– შენ იცი, რასაც ვთხოვლობ? – შეჰყვირა მან.

– ტუსადის ტანისამოსს, თუ რას? – უთხრა ურიმ.

– არა, ჩემს ქონებას! აგნესა, ჩემო გულო! სანამ მეგონა, რომ მამაშენმა გაფლანგა იგი, ხმა არ ამომიღია იმის შესახებ, რომ ჩემი ფული აქ იყო მიცემული საწარმოოდ; ტროტისთვისაც კი, როგორც თვითონაც იცის, არაფერი მითქვამს; მაგრამ ახლა, როდესაც გაგიგე, რომ ეს ადამიანი პასუხისმგებელია, ახლა მოვითხოვ ჩემს ქონებას. ტოტ, მიდი, გამოართვი, წაართვი!

ხომ არ ეგონა პაპიდას ამ წუთში, რომ მისი ფული ურის უბეში ედო. ამას ვერ ვიტყვი დანამდვილებით; მაგრამ იგი ისე აჯანჯღარებდა ურის, თითქოს ფული მას მართლაც თან ჰქონდა. საჩქაროდ დავარწმუნე პაპიდა, – ვეცდებით გამოვართვათ მას ყველაფერი, რაც კი მითვისებული აქვს მოტყუებით-მეთქი. ამ ლაპარაკმა და წუთიერმა დაფიქრებამ დაამშვიდა პაპიდა.

ამ დრო მისის ჰიპი ცრემლებით ევედრებოდა შვილს, დამორჩილებოდა ჯენტლმენებს; გვიჩოქებდა წინ თითო-თითოდ ყველას და გვპირდებოდა ათას უცნაურ რამეს. ბოლოს ურიმ დასვა იგი სკამზე, ბოროტებით სავსე თვალებით შემომხედა და მითხრა.

– რა გინდათ ახლა?

– ახლავე გეტყვით, რაც აუცილებელია, – უთხრა ტრედელსმა.

– განა კოპერფილდს ენა არა აქვს? – წაიბუტბუტა ურიმ. – მე ბევრს მოგცემდით, თუ მეტყოდით, რომ მას ენა მართლაც მოჭრილი აქვს.

– აი რა არის ამჟამად აუცილებელი, – თქვა ტრედელსმა. – უპირველეს ყოვლისა, ამ წუთშივე უნდა ჩამაბაროთ ხელშეკრულება თქვენი ამხანაგობაში შესვლის შესახებ და მოძრავი ქონების სავალლო მოწმობა.

– კი, მაგრამ, ვთქვათ, რომ არ მაქვს ეს ხელშეკრულება, – გააწყვეტინა ურიმ.

– კი, მაგრამ თქვენ გაქვთ იგი, – უპასუხა ტრედელსმა, – ჩვენ არაფერი არ გვინდა ვიცოდეთ თქვენი წარმოდგენის შესახებ.

უნდა გამოგტყდე, რომ ამ წუთში პირველად დავაფასე სათანადოდ ნათელი გონება და მტკიცე, მომთმენი პრაქტიკული ჭკუა ყოფილი სკოლის ამხანაგისა.

– შემდეგ, – განაგრძო ტრედელსმა, – უნდა გადმოგვცეთ უკანასკნელ გროშამდე ყველაფერი, რაც კი ხელში ჩაიგდეთ. ყველა დავთარი, ყველა საბუთი კანტორის საქმეებისა ჩვენთან უნდა იყოს შესანახად, და აგრეთვე ყველა თქვენი წიგნი, ანგარში, ბარათი, – ერთი სიტყვით – ყველაფერი, რაც კი აქ არის.

– ვითომ ეს აუცილებელია? – უპასუხა ურიმ. – მე მჭირდება დრო, რომ მოვიფიქრო.

– სრული სიმართლეა, – შენიშნა ტრედელსმა, – მაგრამ საქმის გარჩევამდე ეს საბუთები ჩვენ გვექნება. გთხოვთ, არა-და, გაიძულდეთ თქვენს ოთახში იჯდეთ და არავისთან არ იქონიოთ კავშირი.

– მაგას არ ვიზამ, – სთქვა ურიმ წყევლით.



– მაშინ ციხე საკმარისად საიმედო ბინაა, – შენიშნა ტრედელსმა, – და თუმცა კანონი, შესაძლებელია, უფრო გვიან დაგვიბრუნებს ყველაფერს, რაც გვერგება, და იქნება მან ვერ გააკეთოს ეს ისეთი სისრულით, როგორც თქვენ თვითონ, სამაგიეროდ, არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი დაგხჯით, ყოველ შემთხვევაში, ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით. კოპერფილდ, გაისარჯეთ, წადით გილდჰოლში პოლიციელის მოსაყვანად.

– მოიცადეთ! დამიყვირა ურიმ. – ნუღარ ღრიალებ, დედი, დაე წაიღონ ხელშეკრულება. წადი, მოიტანე.

– მოეხმარეთ, მისტერ დიკ. გვიყავით წყალობა, – უთხრა ტრედელსმა.

მისტერ დიკმა, ამ დავალებით გაამაყებულმა, გააცილა მოხუცი. იგი მალე დაბრუნდა და მოიტანა არა მარტო ხელშეკრულება, არამედ ის ყუთიც, რომელშიც იგი იღო და რომელშიც ვიპოვეთ საანგარიშო დავთარი და სხვადასხვა ქაღალდები, რომლებიც ძალიან გამოგვადგა შემდეგში.

– კარგი, – თქვა ტრედელსმა. – ახლა, მისტერ ჰიპ, თქვენ შეგიძლიათ წაბრძანდეთ და მოიფიქროთ თქვენი მდგომარეობა, ამასთან, გაისარჯეთ და განსაკუთრებით იქონიეთ მხედველობაში, რომ... ამას გიცხადებთ ყველა აქ დამსწრის სახელით... თქვენ დაგრჩენიათ მხოლოდ ერთი გამოსავალი, რომელიც ავიხსენით, და რომ იგი აუცილებლად უნდა შეასრულდეს დაუყოვნებლივ.

ური თვალაულებლად გაძვრა კარებში.

მიობერმა თვალთ გააცილა იგი, სანამ ური არ მიიძალა კარებს უკან, და მაშინ წინადადება მომცა „მოწმედ ვყოფილიყავი ერთიერთ ნდობის აღდგენის დროს მისის მიკობერსა და მას შორის“. შემდეგ მთელი დანარჩენი საზოგადოებაც მიიწვია თავის სახლში.

აგნესა დაუბრუნდა ავადმყოფ მამას, ტრედელსი დარჩა ჰიპის საყარაულოდ, – ისე რომ, მხოლოდ მე, პაპიდა და მისტერ დიკი გავყევით მიკობერს.

მისი სახლი ახლოს იყო. მისტერ მიკობერი შევარდა სასტუმრო ოთახში ისეთი სისწრაფით, რაც მხოლოდ მისთვის იყო შესაძლებელი.

– ემი, ჩემო სიცოცხლე! – შეჰყვირა მან და გადაეხვია მისის მიკობერს. – ემი, ჩვენი ურთიერთნდობა, ასე ხანგრძლივად არსებული ჩვენ შორის, ისევე აღდგენილია! ახლა მობრძანდეს სილატაკე! – ყვიროდა მისტერ მიკობერი და თან ცრემლებს აფრქვევდა. – მოდით, შიმშილო, ძონძებო, სიცვივე და გლახის აბგავ! ურთიერთნდობა გაგვამხნევეს ბოლომდე!

მისის მიკობერს მღელვარებისაგან გული წაუვიდა და მისი გონს მოყვანა იყო საჭირო. პაპიდამ და მისტერ მიკობერმა იკისრეს ეს საქმე.

– მაპატიეთ, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, – მითხრა საბრალო ქალმა და ხელი გამომიწოდა, – მაგრამ ღონე ცოტადა შემრჩა, ხოლო გამორკვევა უკანასკნელი გაუგებრობისა ჩემსა და მიკობერს შორის ხუმრობა არ არის!

– ეს არის თქვენი ოჯახი? – იკითხა პაპიდამ.

– ჯერჯერობით მეტი არა გეყავს, – მიუგო მისის მიკობერმა.

– აჰ, რას ბრძანებთ, მე მაგაზე არ ვამბობ, მე ვკითხულობ – ყველა თქვენია ეს ბავშვები?

– ეს აზრი სწორია, ქალბატონო, – უპასუხა მისტერ მიკობერმა.

– ის უფროსი ყმაწვილი კაცი, – განაგრძო პაპიდამ, – რისთვის არის მომზადებული?

– როდესაც ჩვენ ამ ქალაქში გადმოვსახლდით, – უპასუხა მიკობერმა, – იმედი მქონდა, რომ ვილკინსი მგალობლად მოეწყობოდა ტაძარში. მაგრამ ვაკანსია არ იყო ტენორისთვის იმ პატივცემულ შენობაში, რომლის წყალობით ეს ქალაქი სარგებლობს ასეთი დიდი, ღისეულად დამსახურებულის სახელით, და... მოკლედ რომ ვთქვათ, მან ჩვეულებად გაიხადა სიმღერა მაღალი საზოგადოებისათვის.

პაპიდა ჩაფიქრდა დაახლოებით ერთი წუთით და უთხრა:

– მიკვირს, მისტერ მიკობერ, რომ ჯერ აზრად არ მოგსვლიათ ინგლისიდან გადასახლება.

– აჰ, ქალბატონო! – უპასუხა მიკობერმა. – ეს ოცნებაა ჩემი სიყმაწვილისა და უნაყოფო სურვილი ვაჟკაცობისა!

მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელ თავის სიცოცხლეში მას აზრად არ მოსვლია ეს!

– მართლაც, – თქვა პაპიდამ და მე შემომხედა, – ეს ხომ ძალიან კარგი იქნება თქვენთვისაც და თქვენი ოჯახობისთვისაც. მისტერ მიკობერ, გადასახლება რომ გადავწყვიტოთ. აი, დევი იცნობს ხალხს, რომლებიც ავსტრალიაში აპირებენ გამგზავრებას. თუ თქვენ გადაწყვეტთ გადასახლებას, რატომ არ უნდა წახვიდეთ ერთად? მოიფიქრეთ ეს, მისტერ და მისის მიკობერ, დრო ჯერ კიდევ არის, – კარგად აწონ-დაწონეთ.

– მე მსურდა მხოლოდ ერთი რამ მეკითხა, კეთილო მილედი, – თქვა მისის მიკობერმა, – როგორ გგონიათ, ჯანსაღი ჰავა არის იქ?

– უმშვენიერესი, – უპასუხა პაპიდამ.

– ამ შემთხვევაში, – განაგრძო მისის მიკობერმა, – ინდა ვიცოდე კიდევ როგორია იმ ქვეყნის წყობილება, შეუძლია ისეთი ნიჭითა და უნარით აღსავსე ადამიანს, როგორიც მისტერ მიკობერია, იქონიოს იმედი, რომ ჯეროვან მდგომარეობას დაიჭერს საზოგადოებაში? მე აღარას ვამბობ ოლქის მმართველის ან სხვა ამგვარი ადგილის დაჭერის შესახებ, მაგრამ მოიპოვება, თქვენის აზრით, იქ პირობები მისი ნიჭის სათანადო განვითარებისათვის?

– არსად არ არის უკეთესი გარემოება და პირობები შრომისმოყვარე და წესიერი ადამიანისათვის, – უპასუხა პაპიდამ.

– შრომისმოყვარე და წესიერი ადამიანისათვის, – გაიმეორა მისის მიკობერმა მძიმედ, – სამართლიანია. ნათლად ვხედავ, ავსტრალია სწორედ სათანადო ადგილია მიკობერის მოღვაწეობისათვის.

– მეც დარწმუნებული ვარ, ქალბატონო, – დაუმატა მისტერ მიკობერმა – რომ დღევანდელ პირობებში მხოლოდ ეს მხარე ვარგა ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის, და რომ იმ ნაპირებზე ჩვენი ბელი აუცილებლად მიიღებს სხვა, უკეთეს მიმართულებას და სახეს.

არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ უეცრად გაიტაცა იგი მომავალი კეთილდღეობის ოცნებამ, ასე რომ, გაცილების დროს იგი უყურებდა მიმავალ ხარებს უკვე ავსტრალიელი ფერმერის თვალებით.

თავი ორმოცდამეათე

განვლილი გზის ისევ თვალის გადავლება

მე იძულებული ვარ, ერთხელ კიდევ შევჩერდე, ო, ჩემო პაწაწინა ცოლო!

აი, იმ სახეებში, რომელნიც მწკრივად იშლებიან მოგონებაში ჩემს თვალწინ, ერთი სახეა, წყნარი და მშვიდი. იგი თავისი უმანკო სიყვარულით და ბავშვური მშვენიერებით მეუბნება: შეჩერდი, მომიგონე!

მე ავასრულე ამას. ყველაფერი დანარჩენი ბინდება და ჰქრება. ისევ დორასთან ვარ, ჩვენს პატარა სახლში, ლონდონის მიდამოში. არ ვიცი, დიდხანს იყო თუ არა იგი ავად. კვირებისა და თვეების ანგარიშით – ცოტა ხანს; მაგრამ იმის მიხედვით, რაც გამოვიარე, დრო იყო დიდი, ძალიან დიდი დრო.

თანდათან შემეპარა შიში, რომ არასოდეს აღარ დადგება ის დღე, როდესაც დავინახავ ჩემს პაწაწინა ცოლს, მზეზე რომ დარბოდეს ძველ მეგობარ ჯიპთან ერთად.

დორა წევს და გიღიმის. იგი აოცრად საყვარელია, და არ ისმის მისგან არც ერთი მოუთმენელი სიტყვა, არც ერთი საყვედური. იგი ამბობს, რომ ჩვენ ყველანი ძალიან კეთილები ვართ; რომ მან იცის, თუ როგორ იტანჯება მისი საყვარელი, კეთილი ბიჭუნა; რომ პაპიდა სულ ჰყარაულობს, სულ უვლის, სულ ფუსფუსებს, ემსახურება მას. ზოგჯერ ორი მოხუცი ლედი, დები – იადონები, მოდიან დორას სანახავად, და მაშინ ვიგონებთ ჩვენი ქორწილის დღეს და მთელ იმ ბედნიერ ხანას.

დილაა. დორა, პაპიდა მიერ მორთული, მიჩვენებს, როგორ ჯერ ისევ კულულებად იხვევა მისი მშვენიერი თმები გშლილ ბალიშზე, რა გრძელი და მბზინავია ისინი და როგორ უყვარს მას მათი ტარება ბადეში.

– იმიტომ კი არა, რომ აქამდე ვამაყობდე ჩემი თმებით, ჩემო ბიჭუნა, – მეუბნება იგი, როდესაც ვიღიმები, – არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც შენ მათ ლამაზად თვლიდი, და კიდევ იმიტომ, რომ, როდესაც პირველად დავიწვე ფიქრი შენზე, ჩავიხედე სარკეში და ჩემს თავს დავეკითხე: გაგეხარდება თუ არა, რომ მიიღო ამ თმების კულუდი! აჰ, რა სულელი ბავშვი იყავი, როდესაც გაჩუქე ასეთი კულუდი!

– ეს იმ დღეს იყო, როდესაც შენ ყვავილებს ხატავდი, მე რომ მოგიტანე, და როდესაც გითხარი, რომ მიყვარხარ, დორა.

– მაგრამ მაშინ სრულებით არავითარი სურვილი არ მქონდა მეამბნა შენთვის, როგორ დავტიროდი მათ, თვითონაც არ ვიცო, რატომ, – მითხრა დორამ. – როდესაც ისევ შევიძლებ სირბილს უწინდებურად, წავიდეთ და ვნახოთ ის ადგილები, სადაც ჩვენ ისეთი სულელები ვიყავით, არა დოდი?

– აუცილებლად. და ისევ გავატაროთ რამდენიმე ბედნიერი დღე. მაგრამ უნდა დაეჩქარო მორჩენას, გენაცვალე!

– ო, მე მალე მოვრჩები! შენ არ იცი, რამდენად უკეთ ვარ ახლა.

საღამოა. ვზივარ იმავე სკამზე, იმავე ლოგინთან და იგივე სახე მიყურებს მე. ჩვენ რამდენიმე ხანს ვდუმდით. მის სახეს ღიმილი დასთამაშებდა. აღარ დამაქვს ჩემი მსუბუქი ტვირთი კიბეზე, ზევით და ქვევით; იგი მთელი დღე აქ წევს.

– დოდი!

– რა, გენაცვალე, დორა?

– მე აგნესას ნახვა მინდა. ძალიან მინდა ვნახო იგი.

– მე მივწერ, ჩემო კარგო.

– მართლა მისწერ?

– ამ წამშივე მივსწერ.

– შენ ახლა ძალიან მოწყენილი ხარ, დოდი, როდესაც ქვევით ზიხარ ხოლმე?

– იჩურჩულებს დორა და მეხვევა ყელზე.

– მაშ როგორ ვიქნები, გენაცვალე, როდესაც ვხედავ შენს ცარიელ სკამს.

– ჩემს ცარიელ სკამს! (იგი მაგრად მომეკრა და დაახლოებით ერთი წუთი დუმდა). – და შენ მართლა ამხნევ ჩემს იქ არყოფნას, დოდი? – მეკითხება იგი ღმილით და თვალებში შემომყურებს.

– ჩემო სულო! მაშ ვისი არყოფნა იქნება ჩემთვის უფრო შესამჩნევი, ვიდრე შენი!

– ჩემო კარგო დოდი! აჰ, მე ისე მიხარია და თან მაინც მენადვლება!

ღამეა, და ჯერ ისევ დორასთან ვარ. აგნესა მოვიდა, ჩვენთან გაატარა მთელი დღე და საღამო. ჩვენ ბევრი არ გვილაპარაკია, მაგრამ დორა ძალიან კმაყოფილი და მხიარული იყო. ახლა ჩვენ მარტონი ვართ.

ვიცი თუ არა, რომ ჩემი პაწაწინა ცოლი მალე დამტოვებს? მე მითხრეს ეს. ახალი არაფერი უთქვამთ ჩემთვის. მაგრამ ვერც კი წარმომიდგენია. ანგარიში ვერ მიმიცია ჩემი თავისთვის. დღეს რამდენჯერმე გავედი სატირლად. მიჭირავს მისი ხელი, ვიკრავ გულში, ვხედავ მის სიყვარულს ჩემდამი, და მე, სიცოცხლითა და ძალით სავისეს... არ შემიძლია უარი ვთქვა მკრთალ, ბუნდოვან იმედზე!

– მე ზოგი რამ მაქვს გულში, რაც მინდა გითხრა, დოდი, შენ ხომ არ გამიჯავრდები? – მითხრა მან.

დავლე თავი ბალიშზე მის გვერდით. იგი თვალეში მიცქერის და საოცარი სინაზით მელაპარაკობა. თანდათან მისი ლაპარაკის დროს ვამჩნევ ღრმად დაჭრილი გულით, რომ იგი თავისთავზე ლაპარაკობს, როგორც რაღაც წარსულზე.

– მე მგონია, საყვარელო, რომ მეტისმეტად ყმაწვილი ვიყავი! ვლაპარაკობ არა მარტო წლოვანების შესახებ, არამედ გამოცდილებაზე და საერთოდ ყველაფერზე. მგონია, უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენ გვეყვარებოდა ერთმანეთი, როგორც პატარა ბიჭსა და გოგოს, და შემდეგ დაგვევიწყნა. მგონია, რომ არ ვვარგოდი ცოლად!

ვცდილობდი, შემეკავებინა ცრემლები, და ვუპასუხე:

– ო, დორა, გენაცვალე! იქნება იმიტომ, რომ მეც არ ვვარგოდი ქმრად!

– არ ვიცი, – მიპასუხა მან და თავისებურად შეარხია კულულები, – შესაძლებელია. მაგრამ მე რომ მეტად ვყოფილიყავი მომზადებული ოჯახური ცხოვრებისათვის, შესაძლებელია მაშინ შენც უფრო დალაგებული ქმარი გამხდარიყავი.

– ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიყავით, ცემო საყვარელო დორა. – მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, ძალიან; მაგრამ ჩვენ რომ დიდხანს გვეცხოვრა ერთად, ჩემს ბავშვ-ქმარს მოსწყინდებოდა ასეთი ცოლი. იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ივარგებდა მის მეგობრად. იგი თანდათან სულ მეტად იფიქრებდა, რა აკლია მის სახლს, და ცოლი კი ვეღარ გამოიცვლებოდა. ასე უკეთესად გამოვიდა.

– დორა, გენაცვალე, ნუ მელაპარაკები მაგას!

– აქ არ არის არც ერთი სიტყვა საყვედურისა, – მიპასუხა მან და მაკოცა. – მე მეტისმეტად მიყვარხარ, დოდი, რომ გისაყვედურო რამე! ეს სიყვარულია მთელი ჩემი დამსახურება, გარდა, იქნებ, იმისა, რომ გონჯი არ ვიყავი... ან რომ შენ ღამაზად მთვლიდი. იქ, დაბლა, სიცარიელა, დოდი?

– საშინელი სიცარიელეა!

– ნუ ტირი! ჩემი სკამი იქ არის?

– იქ არის. თავის ჩვეულებრივ ადგილას.

– აჰ, როგორ ტირის ჩემი საბრალო ბიჭუნა! გაჩუმდი! გაჩუმდი! ახლა მნება მომეცი, დაპირებულის ასრულება გთხოვო. მინდა აგლესას მოველაპარაკო. როდესაც დაბლა ჩახვალ, უთხარი აგნესას, ამოვიდეს ჩემთან, და, სანამ მას ველაპარაკები, ნურავის შემოუშვებ, პაპიდასაც კი. მინდა მარტოდმარტო მოველაპარაკო აგნესას, სრულებით მარტო.

დავიბრდი, მაშინვე ამესრულებინა ყველაფერი, მაგრამ ვერ მოვშორდი.

– მე ვთქვი, რომ ასე უკეთესია, – მიხურჩულებს იგი და ყელზე მეხვევა. – ღმერთმანი, დოდი, რამდენიმე წლის შემდეგ შენ აღარ გეყვარება შენი პაწაწინა ცოლი, ისე, როგორც ახლა გიყვარს. ვიცი, რომ მეტისმეტად ყმაწვილი და სულელი ვიყავი. ასე უკეთესია.

აგნესა დაბლა იყო, როდესაც ჩავედი. ავასრულე დორას დავალება. იგი ავიდა ზევით და დამტოვა მარტო ჯიპთან.

მივუჯექი ცეცხლს და ყრუ სამდურავით ვიგონებდი ყველა იდუმალ გრძნობას, რომელიც დამბადებია ცოლის შერთვის შემდეგ. ვიგონებდი ყოველ სისულელეს, მომხდარს ჩემსა და დორას შორის, და ვგრძნობდი, რა დიდი სიმართლეა იმაში, რომ ცხოვრება წვრილმანებიდან დგება. ნუთუ მართლაც უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენ გვეყვარებოდა ერთმანეთი, როგორც ბავშვებს, და შემდეგ დაგვევიწყებინა ერთმანეთი? გამუცდელი გულო, მიპასუხე!

რამდენ ხანს ვიყავი წასული ფიქრებში, არ ვიცი. მე გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან ჩემი პაწაწინა ცოლის ძველმა მეგობარმა. უფრო მოუსვენრად,

ვიდრე უწინ, იგი გამოვიდა თავისი ჩინური ქოხიდან, დაეინებოთ მომაჩერდა თვალებში, მოითხოვა ზევით ასვლა.

– ახლა არ შეიძლება ჯიპ, არ შეიძლება.

იგი მძიმედ ბრუნდება უკან, მილოკავს ხელს და ისევ დაშტერებით შემომყურებს ამღვრეული თვალებით.

– აჰ, ჯიპ! იქნებ არასოდეს აღარ შეიძლებოდეს!

იგი წვება ჩემს ფეხთით, იზმორება, თითქოს უნდა დაიძინოს, საბრალოდ კვნესის... და... კვდება.

– აგნესა! შეხედე! შეხედე!

მე ვხედავ სახეს, სიბრაღულითა და სევდით აღსავსეს... ცრემლების ნაკადულს... ჩუმი ნაღველის საშინელ გამოსხედვას და დიდად ზეაწვდილ ხელს!

– აგნესა!

ყველაფერი გათავებულია! წყვილი მიბნელებს თვალებს და ყველაფერი ჰქრება მესხიერებიდან.

თავი ორმოცდამეთერთმეტე

მისტერ მიკობერის მოღვაწეობა

ახლა არც დროა და არც ადგილი იმისთვის, რომ ჩემი იმდროინდელი სულიერი განწყობილების განხილვაში შევიდე. მაშინ მეგონა, რომ ჩემი მომავალი ქვის კედლით იყო ამოქოლილი და რომ ბოლო მოელო ჩემს ძალ-ღონესა და მოღვაწეობას ცხოვრებაში-მეთქი, გარდა სამარისა ვეღარსად ვერ ვხედავდი თავშესაფარს ჩემი დაობლებული გულისათვის.

არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, როდის მირჩიეს პირველად მოგზაურობა, და როგორ მოხდა, რომ დამაჯერეს, სულის სიმშვიდის ძიება ადგილების გამოცვლაშიაო. აგნესას სულით ისე იყო გამსჭვალული ყველაფერი, რაზედაც კი ჩვენ ვფიქრობდით, ვლაპარაკობდით და ვაკეთებდით იმ კაეშნის ხანაში, რომ, მგონია, ეს გეგმაც მის გავლენას შემიძლია მივაწერო.

იმ დაუვიწყარი წუთის შემდეგ, როდესაც გამომეცხადა ზეაწვდილი ხელით, იგი, როგორც კეთილი სული, მგფარველობდა ჩემს დაობლებულ სახლს. როდესაც სიკვდილი გაჩნდა, ჩემმა პაწაწინა ცოლმა, – როგორც მითხრეს შემდეგ, როდესაც ამის მოსმენა შემეძლო, – ღიმილით მიიძინა აგნესას მკერდზე.

განვაგრძობ.

სამოგზაუროდ ვემზადებოდი. როდესაც მიწამ დაფარა ის, რაც წარმავალი იყო ჩემი პაწაწინა ცოლის არსებაში, მე მხოლოდ იმას ველოდი, რომ გამგზავრებულყო უცხო მხარეში მიმავალი ხალხი, და მას, რასაც მიკობერი „ჰიპის საბოლოოდ განადგურებას“ უწოდებდა.

ტრედელსის წინადადებით, რომელმაც იმ ხანაში გამოიჩინა თავი, როგორც უერთგულესმა და მოსიყვარულე მეგობარმა, ჩვენ, ისე იგი პაპიდა, აგნესა და მე, კენტერბერიში დავბრუნდით. დაპირებისამებრ, მაშინვე მიკობერთან გავემართეთ, სადაც ისევე როგორც ვიკფილდთან, ტრედელსი ატარებდა მთელ თავის დროს საანგარიშო დავთრების სინჯვაში.

– აბა, მისტერ და მისის მიკობერ, – უთხრა პაპიდამ იმწამსვე, როგორც კი ჩვენ დავსხედით, – რას იტყვით? მოიფიქრეთ თუ არა ჩემი წინადადება?

– თქვენ დიდ პატივს გვდებთ, ქალბატონო, – უპასუხა მიკობერმა, გაშალა რაღაც ქაღალდი და განაგრძო: – მივიღე რა მხედველობაში ფულით დახმარება, რომელიც საშუალებას გვძლევს გავემგზავროთ ჩვენი პატარა ნავით ახალი ცხოვრების ფართო ზღვაში, ერთხელ კიდევ გადავსინჯე და ავწონე უდიდესი საიკითხი, რომელიც თქვენს წინადადებას ეხება. ნებას ვაძლევ ჩემს თავს,

მოგართვათ ჩემი საკუთარი ხელით ხელმოწერილი თამასუქი (შედგენილი, რასაკვირველია, კანონებისა და პარლამენტის დადგენილებათა მიხედვით, ღერბიან ქარაღღზე) თვრამეტი, ოცდაოთხი და ოცდაათი თვის ვადით.

– მოაწყვეთ ეს საქმე ისე, როგორც გსურდეთ, – უთხრა პაპიდამ.

– ქალბატონო, – უპასუხა მიკობერმა, – ჩემი მეუღლე და მე ვგრძნობთ, რა უზომო სიკეთით გვექცევიან ჩვენი მეგობრები და კეთილისმყოფელები. ახლა, როდესაც ვფურცლავ ჩემი ცხოვრების სრულებით ახალ გვერდს და ამჯერზე არასახუმარო გაქანებით ვაპირებ არაჩვეულებრივი ნახტომის გაკეთებას, მიმაჩნია, რომ საკუთარი ღირსების შეგნებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია და ჩემი შვისისათვის სამაგალითოდ აუცილებელი, რომ მომავალი ხელშეკრულება შესრულებული იყოს, როგორც ორ საქმიან ადამიანს შორის.

პაპიდამ შენიშნა, რომ საქმე არ გაძნელდება იქ, სადაც ორივე მხარე ყველაფერზე თანახმაა. მისტერ მიკობერიც ამავე აზრის იყო.

– ჩვენი ახალ სარბიელზე მოდგაწეობისთვის მზადების შესახებ, ქალბატონო, – განგარძობდა მიკობერი თავმომწონედ, – ნებას ვითხოვ, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. ჩემი უფროსი ქალი ყოველდღე, დილის ხუთ საათზე, მიდის ერთ-ერთ მეზობელ რძით სავაჭროში, რათა შეისწავლოს იქ პროსების წველის ხელფონება. უმცროსი ბავშვები აკვირდებიან ღორებსა და შინაური ფრინველების ზნეჩვეულებებს, რომლებიც მოშენებული ჰყავთ ამ ქალაქის უღარიბეს ნაწილში, ჩემი უფროსი ვაჟი ვილკინსი დადის ჯოხით ხელში და ვარჯიშობს მწყემსობაში, როდესაც კი ამისი შემთხვევა ეძლევა; ეს არც ისე ხშირად ხდება, რადგან უხეში ხალხი, უმეტეს შემთხვევაში, ლანძღვით აიძულებს ხოლმე მას თავი დაანებოს ამ საქმეს.

ამის შემდეგ მისტერ მიკობერმა ხელი გაუწოდა მისის მიკობერს, შეხედა ქალაღღების გროვას, რომელიც წინ ედო ტრედელსს მაგიდაზე, და გვითხრა, რომ გვტოვებს საქმეების გასარჩევად, და ორივენი დიდი ცერემონიით გავიდნენ ოთახიდან.

– ძვირფასო კოპერფილდ, – მითხრა ტრედელსმა მიკობერების გასვლის შემდეგ, – არ ვიხდი ბოდიშს, რომ ამ საქმეებით გაწუხებ, რადგან იცი, დიდ მონაწილეობას იღებს ყოველივე ამაში, და, ამას გარდა, იქნებ ამ საქმეებმა ცოტათი გაგართოს. იმედი მაქვს, ძვირფასო მეგობარო, რომ შეიძლება მოგვისმინო.

– მე სრულებით დამშვიდებული ვარ, – ვუპასუხე ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ, – უპირველესად ყოვლისა, ყველამ პაპიდაზე უნდა ვიფიქროთ. შენ ხომ იცი, რამდენი გააკეთა მან ჩვენთვის?

– რასაკვირველია, რასაკვირველია, – მიპასუხა ტრედელსმა, – ვის შეუძლია ამის დავიწყება.

– მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის, – განვაგრძე მე. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში რაღაც ახალი სევედა ეწია. იგი მიდიოდა ყოველ დილას ლონდონში და ხშირად მხოლოდ დამე ბრუნდებოდა სახლში. შენ იცი, ტრედელს, რამდენ მონაწილეობას იღებს იგი სხვების ბედში. მას არ სურს მითხრას, რა დაემართა.

პაპიდა მთელი ჩემი ლაპარაკის განმავლობაში იჯდა გაფითრებული, უძრავი; ბოლოს, რამდენიმე ცრემლი ჩამოუგორდა დანაოჭებულ სახეზე და თავისი ხელი ჩემსას დაადო.

– არაფერი, ტროტ, არაფერი, ეს აღარ განმეორდება, შენ ყველაფერს მალე გაიგებ. ახლა უკეთესია აგნესას საქმეს შევუდგეთ.

– მე სამართლიანად უნდა დავაფასო მისტერ მიკობერი, – დაიწყო ტრედელსმა, – მას, უეჭველია, არასოდეს არ უმუშავია ძალიან ბევრი თავის თავისთვის, მაგრამ დაუღალავი ადამიანია, როდესაც სხვებისთვის მუშაობს. ვერ წარმოიდგენ, როგორი სიცხარით შეუდგებოდა ხოლმე საქმეს; როგორი

გაშმაგებით იყო ჩაფლული დღე და ღამე ქაღალდებში და საანარიშო დავთრებში; ამას დაუმატოთ უამრავი წერილები, რომელთაც მწერდა ხოლმე აქედან ვიკვილდის სახლში და ზოგჯერ აქვე, მაგიდის მეორე მხრიდან, როდესაც, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადვილი იყო პირადი ახსნა.

– მისტერ დიკიც სასწაულს ახდენდა, – განგარძო ტრედელსმა. – როდესაც იგი მორჩა ური ჰიპის ყარაულობას, მან შესწირა თავი მისტერ ვიკვილდს.

– დიკი შესანიშნავი ადამიანია, – თქვა პაპიდამ. – ყოველთვის ვამბობდი ამას. შენ იცი, ეს ტროტ.

– შემდეგ, თქვენ, მის ვიკვილდ, ჩემდა უდიდეს სასიამოვნოდ, შემიძლია გითხრათ, რომ მისტერ ვიკვილდმა აგრეთვე შესამჩნევად იბრუნა პირი მოკეთებისაკენ ამ ბოლო დროს, – განაგრძობდა ტრედელსი ნაზი სიფრთხილით.

– დროდადრო მას უბრუნდება მეხსიერების შემოკრებისა და აზრის ერთ საგანზე შეჩერების უნარი. ისე რომ, ბევრ შემთხვევაში ძალიან დაგვეხმარა, მეტადრე ზოგიერთ საქმეში, რომელიც, თავისი დახლართულობის გამო, სრულებით აუხსნელი დარჩებოდა ჩვენთვის. მაგრამ ამჟამად ჩემი მოვალეობაა წარმოგიდგინოთ შედეგები და არ ვიყბელო ყველა ამ ჩემგან შემჩნეულ საიმედო გარემოებაზე, თორემ ასე ვერასოდეს გავათავებ.

– მაშ ასე, – თქვა ტრედელსმა და გაშალა მაგიდაზე ქაღალდები. – როდესაც დაეთვალე ყველა თანხა და ერთგვარ წესრიგში მოვიყვანე, აღმოჩნდა, ჯერ ერთი, აუარებელი უნებური შეცდომები და, მეორეც, იმდენიმე, თუ მეტიც არა, განზრახი დახლართულობა და სიყალბე. ჩვენ გამორკვეულად ვთვლით, რომ მისტერ ვიკვილდს შეუძლია ლიკვიდაცია უყოს თავის კანტორას აგენტის საშუალებით, დაუყოვნებლივ და დაუბრკოლებლად.

– ო! რა ბედნიერებაა! – შესძახა აგნესამ. – თუ მამაჩემი პატიოსნად გამოდის ამ დახლართული საქმეებიდან, მეტი რაღა უნდა ვისურვო! მუდამ იმაზე ვოცნებობდი, რომ მენახა იგი ოდესმე განთავისუფლებული მდგომარეობიდან, რომელიც მას ჰბოჭავდა; მაშინ შევწირავ მას ჩემს სიცოცხლეს და, იმედი მაქვს, ნაწილობრივ მაინც სამაგიეროს მივუზღავ მისი მზრუნველობისა და უნაზესი სიყვარულისათვის. ყველა მის ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შემდეგ ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება, ჩემს თავზე ავიღო ჩვენი მომავლის მოწყობა.

– კი, მაგრამ რა საშუალებით აპირებთ ამას, აგნესა?

– უკვე დიდი ხანია ნაფიქრი მაქვს, ტროტგულდ, და დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებ. აქ ბევრნი მიცნობენ კარგად და ისეთი კეთილი თვალთ მიცქერიან, რომ შემიძლია ამაში დარწმუნებული ვიყო. თქვენც ნუ შეგეპარებათ ეჭვი. ჩვენ დიდი მოთხოვნილება არა გვაქვს. თუ დავიჭირავებ ჩვენ საყვარელ ძველ სახლს და პანსიონს გავხსნი, ამით სასარგებლოც ვიქნები და ბედნიერიც.

– შემდეგ, მის ტროტგულდ, – უთხრა ტრედელსმა, – თქვენი ქონება...

– დიახ, მისტერ ტრედელს, უპასუხა პაპიდამ და ღრმად ამოიოხრა, – ამაზე ერთს გეტყვით: თუ ჩემი ფული აღარ არის, მე ავიტან ამას; თუ მოინახება – გამეხარდება მისი დაბრუნება.

– თუ არ ვცდები, თქვენი ფული იყო რვა ათასი გირვანქა სტერლინგი სახელმწიფო ქარამდებად? – იკითხა ტრედელსმა.

– დიახ, – უპასუხა პაპიდამ.

– ჩვენ კი მხოლოდ ხუთი შეგვიძლია დაგიბრუნოთ, – შეწუხებით თქვა ტრედელსმა.

– მას მეტი არც ჰქონდა, – თქვა პაპიდამ იმავე სიმშვიდით. – სამი ათასი მე დავინარჩუნე, ერთი ათასი შევიტანე შენს მაგიერად, ჩემო ტროტ, დოქტორთა კოლეგიაში, დანარჩენი ორი კი მე მაქვს. რადგან მთავარი თანხა დაგვარგე, საჭიროდ ვცანი აღარ მეთქვა-რა და შავი დღისთვის შევინახე. მინდოდა მენახა. როგორ გამოხვიდოდი გაჭირვებიდან, ტროტ, და შენ საკუთარი ძალ-ღონით

მშვენივრად გამოხვედი, მოთმინებითა და მუყაითობით. აგრეთვე დიკიც... ნუ მელაპარაკებთ... მე მგონია, რომ ნერვები ცოტათი აშლილი მაქვს.

ამას ვერავინ ვერ იტყოდა მის ბეტსის შემყურე. იგი იჯდა სრულიად მშვიდად, წელში გამართული, გულხელდაკრეფილი; პაპიდას საოცრად ეჭირათავი.

– მაშ ასე, ძვირფასო მეგობრებო, – განგარძო პაპიდამ, – თქვენ მართლაც წაართვით ეს ფული იმ ყაჩაღს?

– საქმე იმაშია, – უპასუხა ტრედელსმა, – რომ მისტერ მიკობერმა ყოველი მხრიდან შემოარტყა ალყა და ყველა მის უარზე მზად ჰქონდა ახალი დასამტკიცებელი საბუთი. ასე რომ, მას არასგზით არ შეეძლო უარი ეთქვა. შესანიშნავი აქ ის არის, რომ ური ჰიპოთეკისა ეს ფული იმდენად არა თავისი გაუმაძღარი სიხარბის გამო, რამდენადაც კოპერფილდის სიძულვილით. ამაში სრულებით დარწმუნებული ვარ. თვითონ გამომიცხადა ეს გულახდილად. სთქვა, რომ შესწირავდა, რამდენსაც გინდა თანხას, ოღონდ ევნო კოპერფილდისათვის.

– ოჰო! – შესძახა პაპიდამ, შეიკრა წარბები და აგნესას შეხედა. – ახლად რაღას იქმს?

– არ ვიცი, – უპასუხა ტრედელსმა, – ის და მისი დედა წავიდნენ ერთად ღონღონში ღამის დილიდან.

– კარგი, მაშ რა გადავწყვიტეთ მიკობერის შესახებ? – იკითხა პაპიდამ.

– ჰო, მართლა! – თქვა ტრედელსმა და გამხიარულდა. – მოვალე ვარ, ერთხელ კიდევ სრული სამართლიანობით დავაფასო მისტერ მიკობერი. იგი რომ ასეთი მუყაითი და მტკიცე არ ყოფილიყო, ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწევდით, ვერაფერს და, მგონია, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და არ დავივიწყოთ, რომ მისტერ მიკობერი ასე იქცეოდა მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობისათვის, მეტადრე თუ წარმოვიდგენთ, როგორ შეეძლო მას კარგად მოწყობა ჰიპოთეკის, განუმეხება რომ გადაეწყვიტა.

– მეც ასე ვფიქრობ, – შევნიშნე მე.

– მაშ რა მივცეთ მას? – იკითხა პაპიდამ.

მე და ტრედელსმა გადავწყვიტეთ – გადაგვეხადა მიკობერისათვის ვალები. მოგვემზადებინა და გაგვესტუმრებინა იგი თავისი ოჯახით ავსტრალიაში და პირველ ხანებში იქ მოსაწყობად მიგვეცა ასი გირვანქა სტერლინგი, ოღონდ იმ პირობით, რომ ხუმრობაგაშვებით, გამოგვერთმია ფულის გადახდის ვალდებულება, როგორც თვითონ მან ისურვა, რადგან მისტერ მიკობერისათვის უკეთესი იქნებოდა, თუ იგი თავისთავს მოვალედ ჩასთვლიდა. ამას დავუმატე კიდევ, რომ გავაფრთხილებ მისტერ პეგოტის, რომელსაც სავსებით შეიძლება ენდოს ადამიანი, მისი მომავალი თანამგზავრის ხასიათის შესახებ და დავავალე, მისცეს მისტერ მიკობერს კიდევ ასი გირვანქა, როდესაც ამას მისტერ პეგოტი საჭიროდ დაინახავს-მეთქი.

– იმედი მაქვს, – დაიწყო ტრედელსმა გაუბედავად, – რომ თქვენ, მის ტროტვუდ, და შენ, კოპერფილდ, მაპატიებთ, თუ, ჩემდა დიდად სამწუხაროდ, შევეხები თქვენთვის მტკივნეულ საკითხს; მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია მოგავიხაროთ... იმ დღეს, როდესაც მიკობერი გამვიდა თავისი შესანიშნავი ბრალდებით, ჰიპოთეკით მუქარით დაასახელა... პაპიდაშენის ქმარი.

პაპიდა იჯდა წელში გამართული და თითქოს დამშვიდებით თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

– იქნებ ეს უტიფარი და უმინშენელო მუქარაა, – განგარძო ტრედელსმა.

– არა – უპასუხა პაპიდამ.

– მაშ... გთხოვთ მაპატიოთ... მართლაც არსებობდა ასეთი პიროვნება და ჰიპოთეკის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა?

– მართალია, ძვირფასო მეგობარო, – უპასუხა პაპიდამ.



აქ ტრედელსმა შესამჩნევად აურია ენა და თქვა, რომ მას თვითონ არ შეუძლია შეეხლოს ამ საგანს; რომ საჭიროდ დაინახა, არ შეხებოდა მას საქმის გარჩევის დროს ისევე, როგორც მიკობერის ვალების პირობებს; რომ ჩვენ უკვე გავუშვიტ ური ჰიპო ხელიდან და რომ ეს ადამიანი, უეჭველია, რითაც კი შესაძლებელი იქნება, სიავეს უზამს ყველას, ვინც კი ამ საქმეშია ჩარეული.

პაპიდა ისევე მშვიდად იჯდა, მაგრამ ორი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე.

– თქვენ სრულებით მართალი ხართ, – თქვა მან, – ამის შესახებ დუმილი აუცილებელია.

– ხომ არ შეგვიძლია მე ან კოპერფილდს, გავეკეთოთ რამე ამ მხრივ? – იკითხა ტრედელსმა ფრთხილად.

– არაფერია საჭირო, დიდად გმადლობთ, – უპასუხა პაპიდამ. – ეს უბრალო მუქარა იყო. ტროტ, დაუძახე მიკობერებს, ჩემს შესახებ კი საკმარისია ლაპარაკი.

ამ სიტყვებით გაისწორა კაბა, გასწორდა წელში და თვალები კარებს მიაკყო.

მეორე დღეს წავედით სახლში, პაპიდასთან, და როდესაც ძილის წინ მარტონი დაერჩით, როგორც წინათ, მან მკითხა:

– შენ მართლა გინდა იცოდე, ტროტ, რა მაწევს გულზე ლოდად ამ ბოლო დროს?

– რასაკვირველია, მინდა, პაპიდა. თუ უწინაც მწყინდა ხოლმე, როდესაც არ შემეძლო გამეზიარებინა თქვენი ნაღველი, მით უფრო ძლიერია ეს გრძნობა ახლა.

– შენ შენი დარდიც საკმარისი გქონდა, შვილო, – მიპასუხა პაპიდამ აღერსიანად, – რა საჭირო იყო ჩემის დამატებაც? სხვა მიზეზი შენგან დაფარვისა არ მქონდა, ტროტ.

– მე ვიცი, მაგრამ მაინც მიამბეთ.

– ხვალ დილით შეგიძლია გამომყვე?

– რასაკვირველია!

დილის ცხრა საათზე ჩვენ წავედით ლონდონში. გავიარეთ რამდენიმე ქუჩა და ბოლოს მივადწიეთ ერთ დიდ საავადმყოფოს. შესავალთან იდგა უბრალო დროგი, რომელზედაც ეს არის ახალ დაედგათ კუბო. მეეტლემ იცნო პაპიდა და მის ხელის დაქნევაზე მძიმედ დაიძრა. ჩვე უკან გავყევით.

– ახლა გესმის, ტროტ, – თქვა პაპიდამ, – იგი უკვე აღარ არის.

– საავადმყოფოში გარდაიცვალა?

– დიას!

პაპიდა იჯდა ჩემს გვერდით წელში გაჭიმული და უძრავად, მაგრამ ისევე დავინახე ცრემლები მის სახეზე.

– იგი უკვე იყო მანდ ერთხელ, – მითხრა პაპიდამ შემდეგ. – დიდხანს ავადმყოფობდა... რამდენიმე წელს... მოტეხილი, დაავადებული ადამიანი იყო. როდესაც უკანასკნელი ავადმყოფობის დროს შეიტყო თავისი მდგომარეობა, ეთხოვა, შეეტყობებინათ ჩემთვის. მან წმინდა გულით მოინანია ყველა დანაშაული.

– თქვენ მასთან დადიოდით, პაპიდა. მე ვიცი.

– დიას. ხშირად დავდიოდი.

– იგი გარდაიცვალა ჩვენი კენტერბერიში წასვლის წინა რამეს?

პაპიდამ თავი დამიქნია.

– ახლა უკვე არავის და არაფერს აღარ შეუძლია მისი ვნება. უბრალო მუქარა იყო, – თქვა პაპიდამ.

როდესაც სასაფლაოს მივუახლოდვით, გამოვედით კარეტიდან და კუბოს გავყევით. იქ მიწას მივაბარეთ.

– დღეს ოცდათექვსმეტი წელი შესრულდა, რაც ჯვარი დავიწერე, – შენიშნა პაპიდამ, როდესაც კარეტით უკან ვბრუნდებოდით.

ჩვენ ხმაამოუღებლად დავიკავეთ ჩვენი ადგილები. პაპიდა დიდხანს იჯდა ჩუმად და ჩემი ხელი ეჭირა. ბოლოს აქვითინდა და მითხრა:

– მართლაც მშვენიერი იყო, როდესაც გავთხოვდი მასზე, მაგრამ ძალიან გამოიცვალა, ტროტ.

გრძნობის ასეთი გამომქადაგება ხანგრძლივი არ იყო. როდესაც პაპი დამ ცრემლებით გული მოიხრა, მალე დამშვიდდა და თითქმის გამხიარულდა კიდევ. შენიშნა, რომ ბოლო დროს ცოტა ნერვები მოეშალა, თორემ არ გამოამქადაგებდა მწუხარებას.

ჩვენ მივედით ჰაიგეტში, სადაც მიკობერის წერილი დაგვხვდა, დილის ფოსტით მოსული. აი იგი:

„მიღედი და მისტერ კოპერფილდ!

სანეტარო აღთქმის ქვეყანა, რომელიც მეჩვენებოდა ჰორიზონტზე ასე ცოტა ხნის წინათ, ისევ სქელმა ნისლმა მოიცვა და სამუდამოდ მიეფერა იმ უბედურისა და ბედისაგან გაჩაგრულის თვალთაგან, რომლის დაღუპვა გადაწყვეტილია.

უაღრესად პატივცემულმა კომერციულმა სასამართლომ ვერსტმისტერში გამოსცა დადგენილება ჰიპის მეორე საჩივრის გამო, მიკობერის წინააღმდეგ, რომლის ძალით უბედური მოვალე პოლიციელების მსხვერპლი გახდა.

ვინაიდან ისინი მიმეღიან, ამას მოჰყვება უბრალო დაბოლოება, რადგან სულიერი ტანჯვა ასატანია მხოლოდ გარკვეულ ზომამდე, რომელსაც უკვე მივადწიე. ჩემი ცხოვრება გათავებულია. გისურვებთ ბედნიერებასა და გამარჯვებას. თუ შემდეგში რომელიმე მგზავრი მივა იმ ადგილას, რომელიც დანიშნულია ამ ქალაქის უბედურ მოვალეთათვის, იგი რასაკვირველია, უნებური გულის თრთოლვით ძლივს გააჩრევს ციხის კედელზე დაუხანგებელი ლურსმნით დაწერილს, ნახევრად წაშლილ ასოებს

ვ. მ.

P.S. მე ვხსნი ამ წერილს, რათა დაეუმატო, რომ ჩვენმა საერთო მეგობარმა თომას ტრედელსმა, უკეთილშობილესი მის ტროტგულის სახელით, გადაიხადა ვალიც და სასამართლოს ხარჯიც. ასე რომ, მე და ჩემი ოჯახი ნეტარების უმადლეს მწვერვალზე ვიმყოფებით“.

## თავი ორმოცდამეთორმეტე

### ქარიშხალი

ახლა ვუახლოვდები საზარელს, წარუშლელ შემთხვევას ჩემს სიცოცხლეში, რომელიც ათასნაირი ქსელით არის გადახლართული ყველაფერთან, რაც მას წინ უძღოდა.

მრავალი წლის შემდეგ იგი ისევ მეღანდება ძილში; მუდამ მაგონდება ქარიშხლიან ავდარში ან ზღვის ნაპირის დანახვაზე.

უცხოეთში მიმავალთა გამგზავრების ვადა ახლოვდებოდა. ჩემი ბებერი გადია ჩამოვიდა ლონდონში. მუდამ მასთან და მის ძმასთან ვიყავი, ისევე, როგორც მიკობერები. როგორც ჩანდა, ისინი ცდილობდნენ, დაახლოებულიყვნენ; მაგრამ ემილია არ მინახავს.

ერთ საღამოს, გამგზავრებამდე სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენ სამნი ვისხედით; მე, პეგოტი და მისი ძმა. ლაპარაკი ქამზე ჩამოვარდა. პეგოტი გვიამბობდა, როგორი სინაზით გამოემშვიდობა იგი მას, როგორ ვაჟკაცურად და მტკიცედ ეჭირა თავი, მეტადრე ბოლო დროს, როდესაც, მისი აზრით, ქამი ყველაზე მეტად იტანჯებოდა.

იმ დროს მე და პაპი დამ თავი დავანებეთ ჩვენს ბინებს ჰაიგეტში. მე – იმიტომ, რომ მოგზაურობას ვაპირებდი; პაპი დამ – იმიტომ, რომ დუვრში მოისურვა დაბრუნება. ჩვენ მოკლე ხნით დავიქირავეთ ბინა კოვენტგარტენში. როდესაც სახლში ვბრუნდებოდი ამ ლაპარაკის შემდეგ, მომაგონდა ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ქამთან იარმაუთში და უეცრად შევეყოვნე ჩემი წინანდელი გადაწყვეტილების შესახებ, რომ ემილიასთვის დანიშნული წერილი მხოლოდ უკანასკნელ წუთში გადამეცა მისტერ პეგოტისათვის; ვიფიქრე, რომ უკეთესი იქნებოდა, ახლავე მიმეწერა ემილიასთვის ყოველივე ის, რასაც ქამი მელაპარაკებოდა. აზრად მომივიდა რომ ჩემი წერილის მიღების შემდეგ ემილიამ, შესაძლებელია, მოისურვოს უკანასკნელი საღამოს გაგზავნა თავისი უბედური საქმროსათვის. უნდა მიმეცა მისთვის ამისი საბაბი.

ამიტომ იმ საღამოსვე დავჯექი წერილის დასაწერად. ვუამბე ემილიას, როგორ ვნახე ქამი, როგორ მთხოვა მან, რომ გადამეცა ემილისათვის ყველაფერი ის, რასაც ახლა ვწერდი; თან დავურთე მოკლე ბარათი მისტერ პეგოტისადმი, რომ მას გადაეცა ეს წერილი დანიშნულებისამებრ. ორივე წერილი დავდე ტალანში, რომ გაეგზავნათ, და გათენებისას ჩავწექი ლოგინში.

გამადვილა პაპი დამ, რომელიც ჩემს ლოგინს მოუახლოვდა.

– ჩემო ტროტ, – მითხრა მან და ხელი ჩამომადვა, – გადავეცი ემილიას თქვენი წერილი; მან დაწერა აი ეს და დამავალა მეკითხა თქვენთვის, ხომ არ ისურვებთ წაიკითხოთ, და თუ ცუდს არას ნახავთ, ხომ ვერ გვიზამთ ისეთ სიკეთეს, რომ გადასცეთ იგი?

– თქვენ წაიკითხეთ? – ვკითხე მე.

მან სევდიანად დამიქნია თავი. გავხსენი წერილი და შემდეგი წავიკითხე:

„მე გადმომცეს თქვენი დავალება. აჰ! რითი და როგორ შემიძლია გამოვიცხადოთ ჩემი მადლობა თქვენი ასეთი უმაგალითო სიკეთისათვის!

ყველა თქვენი სიტყვა ღრმად ჩამეჭრა გულში. მე მათ სიკვდილამდე შევინახავ იქვე. ეს – მჭრელი დანაა და მაინც ნუგეშია. როდესაც ვხედავ ისეთ ხალხს, როგორიც თქვენ ხართ, კეთილო ჩემო მეგობარო, და ბიძაჩემს, მაშინ მესმის სიცოცხლის უსაზღვრო სიკეთე.

ჩემო ძვირფასო, ჩემო მეგობარო, მშვიდობით! სამუდამოდ ამქვეყნად! ო, ნეტავი შემეძლოს, ისევ ბავშვად გავიღვიძო, რომ ნება მქონდეს მოგიახლოვდე; გმადლობთ სულითა და გულით! მშვიდობით საუკუნოდ!“

წერილი ცრემლებით იყო დანამული.

– შემიძლია გადავცე, რომ არაფერს ცუდს არ ხედავთ ამ წერილში და გაგზავნით მას, მასტერ დევი? – მკითხა მისტერ პეგოტი, როდესაც ამ წერილის კითხვა გავათავე.

– რასაკვირველია, – ვუპასუხე მე, – მაგრამ მგონია...

– რა, მასტერ დევი?

– ვფიქრობ, თვითონ წავიდე იარმაუთში. ჯერ კიდევ არის დრო. მოვასწრებ წავიდე და დავბრუნდე გემის გამგზავრებამდე. იგი, თავისი მარტოობით, თავიდან არა მშორდება. მე რომ გადავცე ახლა ეს წერილი, ემილიას ხელით დაწერილი, და ამით მოგცეთ საშუალება გამგზავრების წუთში უთხრათ ემილიას, რომ ქამმა მიიღო იგი, – ეს დიდი ნუგეში იქნება ორივესთვის.

ჩემი თხოვნით მისტერ პეგოტი შევიდა ფოსტაში, აიღო ჩემთვის ადგილი დილიუანსში და საღამოს ისევ გავუდექი იარმაუთის გზას, რომელზედაც უკვე რამდენჯერ მეგლო სულ სხვადასხვა გარემოებაში.

– რა უცნაური ცაა, – ვუთხარი მე, სხვა მოსაუბრის უყოლობის გამო, ფოსტალიონს პირველ სადგურზე, – არ მაქსოვს, როდისმე მენახოს ამის მაგვარი რამ!

– მეც არასოდეს არ მინახავს, – მიპასუხა ფოსტალიონმა. – ეს ქარიშხლის ცაა, სერ. მე მგონია, ზღვაზე ახლა საშინელება ხდება, ან არადა, მალე დაიწყება საშინელება.

ცაზე მიჰქროდა ჭრელი ღრუბლები, ადგილ-ადგილ რაღაც უცნაური ალისფერით შეფერილები. ზოგ ადგილას ისინი გროვდებოდნენ და მთებს შეადგენდნენ. მათ შორის მოგელანდებოდათ უფსკრულები, ყველა მიწიერ ნაპრალებზე უღრმესი. და ამ მთების მწვერვალებზე მოხეტიანე მთვარე თითქოს უეცრად ვარდებოდა უფსკრულში, ვითომც ბუნების კანონების ამ საშინელ დარღვევაში მას თავზარი დაეცა. მთელი დღე ჰქროდა ქარი, მაგრამ ახლა ქარიშხალი გაშმაგდა და, რაც დრო მიდიოდა, მით უფრო და უფრო საშინლად და საზარლად ღმუოდა ჩვენს გარშემო.

დაღამდა. ღრუბლები შეიკრა და მთლიან შავ სქელ ნაბადივით მოედო ცას, ქარიშხალი ზმუოდა და უსტვენდა. მისი ქროლვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ცხენებს ძალა ელეოდათ; ხშირად უკან იხევდნენ, ასე რომ, ჩვენ ყოველ წუთს გადაბრუნების მოლოდინში ვიყავით. ღამეები ამ დროს ისედაც ბნელი იცის. სექტემბრის ბოლო იყო.

გათენდა, მაგრამ ქარიშხალი არ დაწყნარებულა. ვყოფილვარ იარმაუთში ისეთ დროს, როდესაც, მეზღვაურების სიტყვით, „მთელი ძალითა და ღონით უბერავდა“, მაგრამ არასოდეს არ ქარიშხლისმაგვარი არ მენახა-რა. ჩვენ ძალიან გვიან მივედით იუვიში, რადგან უკანასკნელი ათი მილის მანძილზე ყოველ ნაბიჯს ვიღებდით, ასე ვთქვათ, ბრძოლითა და იერიშით. სავაჭრო მოედანზე აუარებელი ხალხი მოგროვილიყო. ღამით ყველა მცხოვრებს დაეტოვებინა ლოგინი და გარეთ გამოსულიყო კედლებისა და სახურავების ჩამონგრევის შიშით.

როდესაც ზღვისკენ გავწიეთ, საიდანაც ჰქროდა ეს საზარელი ქარი, მისი ძალა უფრო და უფრო მატულობდა. ჯერ კიდევ ზღვასთან მიახლოებამდე ჩვენ უკვე ვგრძნობდით ტუჩებზე მლაშე ქაფს და ძვალ-რბილში გვატანდა ზღვის სინესტე. ზღვის ტალღებმა რამდენიმე მილის მანძილზე დაჰფარეს იარმაუთის დაბალი მიდამოები, ყოველი გუბე აზვირთებულყო ქარისაგან; მაგრამ, როდესაც ჩვენს თვალწინ გაიშალა ზღვა, დავინახეთ ჰორიზონტზე საზარელი ტალღები, რომლებიც უზარმაზარი მთებივით იმართებოდნენ მდურარე უფსკრულების პირას და თითქოს მეორე, დროებით ნაპირს წარმოადგენდნენ კოშკებითა და შენობებით.

ჩამოვხტი ძველ სასტუმროში და მაშინვე წავედი ზღვის საცქერლად. ბორძიკით მივდიოდი ქუჩებში, რომლებსაც მოსდებოდა ქვიშა, ღვის ბალახი, ქაფი, ღორღი; თავს ვარიდებდი გადმოცვივნილ კრამიტებს და ვეჭიდებოდი ხალხს, რომელთაც ქარი მაჯახებდა გზაჯვარედინზე. ზღვის ნაპირას დამხვდნენ არამარტო მეზღვაურები, არამედ ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ყველანი ეფარებოდნენ აქ მყოფ შენობებს და კუთხეებიდან იყურებოდნენ. ზოგიერთები ბედავდნენ და ღია ადგილზე გამოდიოდნენ, მაგრამ ყოველ წუთში ქალით გატაცების სიფათი მოელოდათ.

შევვრეიე ამ ხალხში და ვნახე მტირალი ქალები, რომელთა ქმრები ზღვაში იყვნენ გასული თევზებისა და ლოკოკინების საჭერად. ჭადარა მეზღვაურები ცას შესცქეროდნენ, თავს იქნევდნენ და ჩურჩულებდნენ ერთმანეთში. გემების პატრონები მღელვარებითა და შიშით ელოდებოდნენ რაღაცას; ბავშვები გროვდებოდნენ უფროსების წინ და თვალეში შესცქეროდნენ მათ. ყველაზე მამაცი მეზღვაურები მღელვარებით გაჰყურებდნენ ზღვას, თითქოს მტერსა ზვერავდნენ; ზღვა კი, მრისხანე და საზარელი, ისროდა ტალღას ტალღაზე, ღრიალებდა და ქაფდებოდა; ქარი სტვენით ატრიალებდა და ჰფანტავდა კორიანტელში ქვიშასა და ქვებს.

მე ვერ ვიპოვე ქამი იმ ბრბოში და წავედი მასთან სახლში. კარი დაკეტილი დამხვდა და არავინ პასუხი არ გამცა შემს დარახუნებაზე. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებით გავედი ნავსაშენში, სადაც იგი მუშაობდა. იქ მითხრეს, რომ ქამი

წასულიყო ლოუსტოფტში დაზიანებული გემის შესაკეთებლად და დაბრუნდებოდა მეორე დღეს დილით. მას, როგორც საუკეთესო ოსტატს, ხშირად შორიდან იწვევდნენ.

ნაღვლიან გუნებაზე ვიყავი; მარტოობას ვგრძნობდი და ამასთან მაწუხებდა ქამის არყოფნაც. უკნასკნელმა ამბებმა გაცილებით უფრო ძლიერად იმოქმედეს ჩემზე, ვიდრე თვითონ მეგონა. ამას გარდა, გრიგალი მაყრუებდა; რაღაც უცნაური უგულისყურობა დამეუფლა.

ასეთ სულიერ მდგომარეობაში ლაპარაკი დაღუპული გემების შესახებ, ჩემდა უნებურად, მაგონებდა ქამს და აძლიერებდა ჩემს მღელვარებას. რაღაც უცნაური წინათგრძნობა მქონდა, რომ იგი ზღვით დაბრუნდებოდა ლოუსტოფტიდან და უსათუოდ დაიღუპებოდა. ეს შიში ისე გაძლიერდა ჩემში, რომ გადავწყვიტე სადილობამდე ერთხელ კიდევ წავსლულიყავი ნავსაშენში და მეკითხა პატრონისათვის, – შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ქამი ზღვით დაბრუნებულიყო.

საჩქაროდ შევუკვეთე სადილი და წავედი ნავსაშენში. მისი პატრონი, სანათურით ხელში, ალაყაფის კარებთან იდგა და დაკეტვას აპირებდა. მან გადაინახარხარა ჩემს კითხვაზე. მიპასუხა, რომ არც ერთი ჭკუაზე მყოფი ადამიანი, და გიჟიც კი, ამისთანა დარში არ მოსცილდება ნაპირს, და ყველაზე ნაკლებად ისეთი მეზღვაური, როგორიც არის ქამი პეგოტი.

დავბრუნდი სასრუმროში ცოტათი დარცხვენილი, მაგრამ მაინც ვერ დავმშვიდდი. გრიგალი კი, – მეჩვენებოდა ასე, – სულ ძლიერდებოდა, თუკი შესაძლებელი იყო მისი მეტი გაძლიერება. ქარის ღმუილი ღუმელის მიღებში და სახლის ჭუჭრუტანებში ათასგვარ ხმებზე, ჭრიალი და ხეთქება კარიებისა და დარაბებისა, სახურავების რახუნი, კედლების ზანზარი და ზღვის ყრუ ღრენა – ახლა უფრო საშინელი მეჩვენებოდა, ვიდრე დილით. ჩამოწოლილმა სიბნელემ უფრო გააძლიერა საშინელება, ნამდვილი და მოლანდებული.

მე არ შემეძლო არც ჭამა, არც ოთახში ყოფნა; არ შემეძლო არაგფრის კეთება. ქამის ბედით შეწუხებული, ვერც ერთი წუთით ვერ ვისვენებდი.

ხან ოთახში დავდიოდი წინდა უკან, ხან გახეთს ვკითხულობდი, ვუსმენდი საზარელ ხმაურს, ბუხრის ალში ვაკვირდებოდი უცნაურ სახეებ... ბოლოს, კედლის საათის ერთგვარმა და აღუშფოთებელმა წიკწიკმა ისე მომაბეზრა თავი, რომ ლოგინში ჩაწოლა გადავწყვიტე.

სანუგემო იყო იმის გაგება, რომ სასტუმროს ზოგიერთ მომსახურეს გადაეწყვიტა, არ დაწოლილიყვნენ ამ ღამეს. საშინლად დაქანცული ვიყავი, მაგრამ როგორც კი ლოგინში ჩავწექი, მთელი დადლილობა და ძილი უეცრად გამიქრა და სრულებით გამოვფხიზლდი.

რამდენიმე საათის განმავლობაში ვიწექი და ვუსმენდი ქარიშხალს; ხან მეჩვენებოდა, თითქოს მესმის ყვირილი ზღვაზე; ხან სასიგნალო სროლა დაღუპულებისა, ხან სახლების დანგრევა. რამდენჯერმე ავდექი, რომ ფანჯარაში გამეხედა. მაგრამ ფანჯრის შუშაში ვხედავდი მხოლოდ სანთლის მკრთალ შუქს და ჩემს საკუთარს, სამარისფრად გაფითრებულ სახეს, რომეიც თითქოს ჩემსკენ მოიწვედა შავი წყვილიადიდან.

ბოლოს, ჩემი მღელვარება იქამდე მივიდა, რომ ავდექი და ჩავედი დაბლა, ფართო სამზარეულოში, სადაც შეგროვილიყვნენ ყველა მოსამსახურენი და გარს შემოჰხვეოდნენ დიდ მაგიდას, რომეიც სიფრთხილისათვის შუა ოთახში იყო გამოწეული.

დაახლოებით ორი საათი დავეყავი სამზარეულოში. შემდეგ გავადე კარი და გავიხედე დაცარიელებულ ქუჩაში. ქვიშა, ზღვის ბალახი და ქაფის შხეფები ისევ მოჰქროდნენ კორიანტელში და იძულებული ვიყავი, მეთხოვა დახმარება კარის მისაკეტად.

ცარიელი და საშინელი მეჩვენა ჩემი ოთახი, როდესაც ზევით ავედი, მაგრამ ისეთი დაქანცული ვიყავი, რომ ბოლოს ღრმა ძილს მივეცი თავი.

ვილაცამ დამირახუნა კარზე.

– რა ამბავია? – ვიკითხე მე.

– ნაპირის ახლოს გემი იღუპება.

წამოვხტი და ვიკითხე, რა გემია-მეთქი.

– ხომალდია ესპანეთიდან ან პორტუგალიიდან, ოურითა და ღვინით. დაუჩქარეთ, სერ, თუ გნებავთ დაინახოთ. ნაპირზე ფიქრობენ, რომ ყოველ წუთში მოსალოდნელია მისი სრული დამსხვრევა.

მსახური გაიქცა. საჩქაროდ ჩავიცივი და გავევარდი ქუჩაში.

იქ უკვე ბევრი ხალხი იყო. ყველა ზღვის პირისკენ მივბოძა და მეც იქით გავიქეცი. ბევრს გადავასწარი. მალე ჩემს წინ აბობოქრებული ზღვა გადაიშალა.

ძნელი იყო რაიმე ხმის გარჩევა, გარდა გრიგალის ღმუილისა; დიდი წვალებით მივიწვედი წინ ქარის პირისპირ, არ ვიცოდი, საით გამეხედა და არაფერს ვხედავდი, გარდა მღვრიე წყლისა და ქაფისა. ვილაც ნახევრადშიშველმა მეზღვაურმა მიმითითა მარცხნივ და მაშინ დავინახე, ნაპირთან საკმაოდ ახლოს, თითქმის სრულებით დამსხვრეული გემი.

ერთი ანძა გადატეხილიყო და ერთ მხარეზე ეგდო, გახლართული იალქნებსა და თოკებში. როდესაც გემი, რომელსაც ტალღები იქით-აქეთ ისროდნენ, ცხვირით მობრუნდა ჩვენსკენ, დავინახეთ მეზღვაურები, რომელნიც ცულებით მუშაობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ძალიან მხნე ვაჟკაცი გრძელი, ხუჭუჭა თმით. უეცრად გაისმა სასოწარკვეთილი კივილი, რომელიც ქარიშხლის ღრიალშიც კი გაირჩეოდა. ტალღები გაშმაგებით ეძგერნენ გემს, მოჰგლიჯეს ქიმის ნაწილი და თან ჩაიტანეს ხალხი, იალქნები, ფიცრები...

მეორე ანძა ჯერ კიდევ იღვა და ზედ დაფლეთილი იალქნის ნაკუწები და დახლართული თოკები იწეწებოდა ქარში. გემი მეჩხრზე დადგა, როგორ მეუბნებოდა ჩახლენილი ხმით იგივე მეზღვაური, შემდეგ აიხსნა და ისევ დადგა. მერე ისევ ჩვენსკენ მობრუნდა და ჩვენ დავინახეთ დარჩენილ ანძაზე ოთხი კაცი. ყველაზე მაღლა იყო გრძელხუჭუჭთმიანი ვაჟკაცი.

ტალღებმა ისევ დაფარეს გემი, შემდეგ იგი ისევ გამოჩნდა. ორი ადამიანი უკვე აღარ იყო. ნაპირზე სასოწარკვეთილება მატულობდა. ვაჟკაცები კვენსოდნენ და ხელებს იმტვრევდნენ; ქალები კიოდნენ და სახეს იფარავდნენ. ზოგნი გიჟებივით დარბოდნენ ნაპირზე წინ და უკან და ემუდარებოდნენ შველას, რაც შეუძლებელი იყო. უკანასკნელთა რიცხვს ვეკუთვნოდი და გონებადაკარგული ვეხვეწებოდი ნაცნობ მეზღვაურებს – არ დაეშვათ ამ უბედურთა დაღუპვა ჩვენს თვალწინ.

ამ დროს შევნიშნე, რომ ხალხი აჩოქოლდა. ეს ქამი მოიწვედა წინ ამ ბრბოში.

მივევარდი და მგონი, გავიმეორე ჩემი თხოვნა. მაგრამ, როგორი შეწუხებულიც არ ვიყავი ამ საზარელი სანახაობით, მაინც ქამის სახის მტკიცე გამომეტყველებამ და თავისებურმა გახედვამ ზღვისკენ, - სწორედ იმგვარმა გახედვამ, როგორც იმ დილას, როცა ემი გაიქცა, – უეცრად გონს მომიყვანა და დავინახე, რა ხიფათი მოელოდა მას. მოვეჭიდე ორივე ხელით და ვევედრებოდი იმავე მეზღვაურებს – არ ეგდოთ მისთვის ყური და არ მიეცათ ნება ზღვაში გადაშვებულიყო.

– მასტერ დევი, – მითხრა მან ნათელი სახით და ორივე ხელი ჩამომართვა, – თუ ჩემი აღსასრულის დღე დადგა – დადგა; თუ არადა – ჯერ კიდევ დავცდი მას. ამხანაგებო მომეხმარეთ, მე მივდივარ.

გვერდზე გამწიეს და იქ დაჭერილი ვყავდი მეზღვაურებს; ისინი ცდილობდნენ, გაეგებინებინათ ჩემთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ჩემს გაშმაგებაში, რომ ქამს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ცურვით წავიდეს დამსხვრეული გემისაკენ, და რომ მე მხოლოდ შემოიძლია ავრიო და ავადეღვო ისინი, ვინც ნაპირიდან უნდა მოეხმარონ მას. არ ვიცი, რას ვპასუხობდი მე და რას მელაპარაკებოდნენ ისინი, ოღონდ ვხედავდი, რომ ნაპირზე ყველანი

აწრიალდნენ; მოიტანეს თოკები და ყოველმხრიდან მოეხვივნენ ქამს. შემდეგ დავინახე იგი ზღვის ნაპირზე. მან მოიბა ერთი თოკი წელზე, მეორე დაიჭირა და ხელის გარშემო დაიხვია. ერთი ამ თოკთაგანი, გორგალად დახვეული, ეჭირათ მეზღვაურებს, რომ გაეშალათ შემდეგ იგი, რამდენიც საჭირო იქნებოდა, და ბოლო ხელში ჰქონდათ.

თუმცა გამუცდელი ვიყავი, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ გემი წუთით წუთში უნდა დამსხვრეულიყო. ცხადი იყო, რომ იგი შუაზე გასკდებოდა, მასზე მყოფი უკანასკნელი ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. იგი ჯერ ისევ ანძაზე იყო. თავზე ეხურა წითელი ქუდი, მეზღვაურების ქუდისმაგვარი, მაგრამ უფრო ღია და ლამაზი ფერისა. დროგამოშვებით იგი იქნედა ამ ქუდს, იმ დროს, როდესაც ფიცრები უკვე ჭახჭახებდნენ და იხნიქებოდნენ ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს; გემის ზარი კი ცოცხლივ ურეკავდა მას გლოვის ზარს. ჭკუაზე ვირეოდი საშინელებისა და სასოწარკვეთილებისაგან. არ ვიცი რატომ, ეს ქუდის ქნევა მაგონებდა ჩემს ოდესღაც ძვირფას მეგობარს.

ქამი მარტოკა იღვა. ზღვას გასცქეროდა. აი დიდი ტალღა მოასკდა ნაპირს და უკან გაიქცა. ქამმა მოხედა თოკის მჭერაგებს, გადაეშვა ტალღაში და შეუდგა მედგარ ბრძოლას. იგი ხან ამოდიოდა ტალღის მწვერვალზე, ხან ვარდებოდა უფსკრულში და თვალისაგან გვეკარებოდა. მერე უკან გამოაგდო ტალღამ და საჩქაროდ გამოათრიეს.

დაშავებულიყო; მე შორიდან დავინახე სისხლი მის სახეზე, მაგრამ იგი სრულებით არ ზრუნავდა ამ ჭრილობაზე. იგი, ასე ჰგავდა, ბრძანებას იძლეოდა, მეტი თავისუფლება მიეცათ თოკის მოშვებით; ასე დავასკვენი ქამის მოძრაობიდან, და იგი ისევ ზღვაში გადაეშვა.

დიდი ბრძოლის შემდეგ, ბოლოს, მიუახლოვდა გემს. ისე ახლოს იყო მისგან, რომ კიდევ ცოტა – და ერთი ძლიერი გაწვეით ხელს სტაცებდა... მაგრამ, აი მოდის უზარმაზარი, მწვანე, საშნელი ზვირთი, გემის თავზე გადადის და ნაპირისკენ მოემართება. მოვარდა და ისევ უკან გაიქცა.

როდესაც მივირბინე იმ ადგილას, სადაც თოკსა სწევდნენ, ზღვაზე მხოლოდ რამდენიმე ფიცარიღა ქანაობდა, თითქოს უბრალო კასრი გატეხილიყო. ყველა მაყურებელს თავზარდაცემული სახე ჰქნდა.

იგი გამოათრიეს ჩემს ფერხით... უგრძობელი... მკვდარი...

ქამი გადაასვენეს უახლოეს სახლში. უკვე აღარავინ მაკავებდა. არ ვშორდებოდი და სხვებთან ერთად ვღებულობდი ყოველ ზომას, რომ სიცოცხლისათვის დამებრუნებინა. მაგრამ ტალღამ მოკლა იგი!

ჯერ ისევ მის ლოგინთან ვიჯექი; უკვე აღარ იყო აღარავითარი იმედი და ყველაფერი ნაცადი და გათავებული იყო, როდესაც ერთმა მეთევზემ, რომელიც გვიცნობდა მე და ემილიას, ჩუმად დამიძახა. მზისგან დამწვარ სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა; გაფითრებული ტუჩები უთრთოდა.

– ხომ არ მობრძანდებით აქეთ, სერ? – მითხრა მან.

მის სახეზე თითქოს წარსული დღეების მოგონება წავიკითხე.

შიშით ვტაცე ხელი და ვკითხე:

– რაო, დამხრჩვალა გამოაგდო?

– დიახ, – მიპასუხა მან.

– მე ვიცნობ?

მან არაფერი მიპასუხა.

წამიყვანა ზღვის ნაპირზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ემილია და მე ბავშვობისას კენჭებს ვაგროვებდით და სადაც ახლა ეყარა დამსხვრეული ნავის სახლის ნაფოტები, რომეიც გრიგალმა გაფანტა წარსულ რამეს; აქ, ამ სტუმართმოყვარე ჭერის ნანგრევებში, დავინახე იგი მწოლიარე, თავქვემხელამოდებული, სწორედ იმ სახით, როგორც ოდესღაც ხშირად მენახა მძინარე, შუაღამისას, მისტერ კრიკლის პანსიონში.

## თავი ორმოცდამეცამეტე

### ახალი და ძველი ჭრილობა

არ უნდა გეთქვა, სტირფორდ, ჩვენი უკანასკნელი გამოთხოვების დროს, როდესაც აზრადაც კი არ მომსვლია, რომ ეს შენი უკანასკნელი ნახვა იყო... არ უნდა გეთქვა: „მომიგონე ხოლმე იმ სახით, რა სახითაც ყველაზე კარგი გეჩვენებოდი“. მუდამ ასე ვიქცეოდი და განა შემეძლო მეფიქრა სხვანაირად ახალ, როდესაც ჩემს წინ ასეთი სურათი იყო?

ხალხმა მოიტანა საკაცე, დაასვენეს იგი, დააფარეს დროშა და დაბაში წაიღეს. ყველა გამცილებელი იცნობდა მას, ყოფილიყვნენ მასთან ერთად ზღვაში, ენახათ იგი მხნე და მხიარული. ქარიშხალი ისევ ღრიალებდა და ქარი ზმუოდა. ბრბო ხმაამოუღებლად მიასვენებდა მიცვალებულს სახელში, სადაც უკვე დაესადგურებინა სიკვდილს.

მაგრამ, როდესაც კარებთან მივიდნენ, მეთევზეები შეჩერდნენ, გადახედეს ერთმანეთს და შემდეგ მე შემომხედეს. მივხვდი ამ შეხედვის მნიშვნელობას: მათი აზრით, კარგი არ იყო ამ ორი მიცვალებულის ერთად დასვენება.

ქალაქისკენ წავედით და სასტუმროში დავასვენეთ მიცვალებული.

გადავწყვიტე, დამით გამესვენებინა იგი, რომ ნაკლები ყოფილიყვნენ ცნობისმოყვარეები. უკვე შუალამე იყო, როდესაც ეტლი მოადგა სასტუმროს ეზოს, მაგრამ მას მაინც ბევრი ხალხი მოეხვია. ქუჩებში და დიდ შარაგზაზედაც კი გვხვდებოდა ხალხი; მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, გავედი გაშლილ მინდორში.

ნათელი შემოდგომის დღე იყო, სადილობის დრო, როდესაც ჰაიგეტში მივედით. მიწას ჩამოცვენილი ფოთლების სუნი ასდოდა და წითელ, ყვითელ და ყავისფერ ფოთლებზე მზის სხივები თამაობდა. უკანასკნელი მანძილი ფეხით გავიარე, რომ ამეწონ-დამეწონა მდგომარეობა და მომეფიქრა ჩემი მოქმედების გეგმა. ეტლს კი ვუბრძანე, გაჩერებულიყო და მოეცადა.

სახლი ისევ ისეთი იყო, რეგორც უკანასკნელად ვნახე. არც ერთი ფარდა არ იყო აწეული, არავითარი ნიშანი სიცოცხლისა ცარიელ, მოკირწყლულ ეზოში, და კარიც კი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ძალიან იშვიათად იღებოდა.

ყმაწვილი მოახლე გამოვიდა გასადღით ხელში, და როდესაც შემომხედა, მითხრა:

- რა დაგემართათ სერ? უქეიფოდ ხართ?
- არა, არაფერია; მე აღელვებული ვარ.
- რა მოხდა? მისტერ ჯემსი ხომ კარგად არის?
- ჩუმად, - ვუთხარი მე. - მისის სტირფორდი უნდა ენახო. სახელშია?

შეშინებულმა მოახლემ მიპასუხა, რომ მიღედი ძალიან იშვიათად გამოდის ოთახიდანაც კი და თითქმის არავის არ იღებს, მაგრამ მე კი მიმიღებს. იგი ზევით არის და მის დარტლიც მას ახლავს. რას ვუბრძანებ გადასცეს?

მე ვუბრძანე, არაფერი არ ეთქვა და მხოლოდ გადაეცა ჩემი სადარბაზო ბარათი. პასუხის მოლოდინში დავჯექი სასტუმრო ოტახში.

ამ ოთახის უწინდელი სასიამოვნო სანახაობა სრულებით გამქრალიყო. დარბები სანახევროდ მიხურული იყო; ქნარი დიდი ხანია მოუხმარებლად იდგა თავის ალაგას. პატარა ყმაწვილის სურათს მტვერი დასდებოდა. აქვე იდგა მაგიდა, სადაც დედა შვილის წერილებს ინახავდა. შევეკითხე ჩემს თავს: კითხულობს თუ არა იგი ამ წერილებს ახლა, და კვლავაც წაიკითხავს?

სახელში ისეთი სიჩუმე იყო, რომ მესმოდა მოახლე ქალის მსუბუქი ფეხის ხმა კიბეებზე. იგი დაბრუნდა პასუხით, რომ მისის სტირფორდი უქეიფოდ არის და



ამიტომ არ შეუძლია ჩამოვიდეს დაბლა, მაგრამ ძალიან გაუხარდება ჩემი ნახვა, თუ ვინებუ და ზევით ავალ მასთან. ერთი წუთის შემდეგ მის წინ ვიჯექი.

მისის სტირფორდი შვილის ოთახში იჯდა. ცხადი იყო, რომ შვილის სიყვარულმა აიძულა იგი გადმოსახლებულიყო ამ ოთახში და რომ იმავე მიზეზით მის გარშემო ელაგა სხვადასხვა ნივთები, რომლებიც ოდესღაც მას ეკუთვნოდა. მაგრამ პირველი სიტყვებიდანვე მისის სტირფორდი ცდილობდა, აეხსნა ჩემთვის, თითქოს მხოლოდ იმიტომ გადმოვიდა ამ ოთახში, რომ მოსწყინდა ერთფეროვანი სანახაობა მისი ფანჯრიდან, და მისი სახის ამაყი გამომეტყველება ნებას არ გაძლევდათ, რაიმე ეჭვი შეგეტანათ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

მას, როგორც მუდამ, როზა დარტლი ახლდა. მისი შავი თვალების შემოხედვაზე დავინახე, – იგი მიხედრილია, რომ საზარელი ამბავი მოვიტანე.

– მწუხარებით ვამჩნევ, რომ შავებს ატარებთ, მისტერ კოპერფილდ! – მითხრა მისის სტირფორდმა.

– საუბედუროდ დავკვირვდი, – ვუპასუხე მე.

– ჯერ სულ ყმაწვილი ხართ და უკვე გამოსცადეთ ასეთი მძიმე დანაკლისი! – განაგრძო მან. – დიდად ვწუხვარ! მაგრამ იმედი მაქვს, რომ დრო დაგამშვიდებთ და ნუგუმს გცემთ.

– იმედი მაქვს, რომ დრო ჩვენ ყველას დაგვამშვიდებს, – ვუთხარი მე და შევხედე, – ჩვე ყველამ უნდა ვიქონიოთ ამის იმედი, მიღედი, როდესაც რაიმე უბედურება დაგვატყდება თავს.

ჩემმა სახის გამომეტყველებამ და ცრემლებმა შეაშფოთეს იგი.

ცდილობდი, ხმა დამემორჩილებინა, როდესაც დავასახელე მისი შვილი, მაგრამ ხმა ამიკანკალდა. მისის სტირფორდმა ორჯერ ყრუდ გაიმეორა ეს სახელი და შემდეგ ძალდატანებული სიმშვიდით მკითხა:

– ჩემი შვილი ავად არის?

– ძალიან ავად არის.

– თქვენ ნახეთ?

– დიახ.

– შერიგდით?

მე ვერ ვთქვი ვერც „ჰო“, ვერც „არა“. მან ოდნავ მიიბრუნა თავი იქით, სადაც როზა დარტლი იდგა. ამ წუთში ტუჩების ოდნავი მოძრაობით წაჩქურჩულე როზა: „იგი მოკვდა!“

რომ მისის სტირფორდს მობრუნებისას არ დაენახა ცხადად ის, რისთვისაც იგი ჯერ არ იყო საკმარისად მომზადებული, დავეშურე შევხვედროდი მის თვალებს; მაგრამ დავინახე, რომ როზა დარტლმა თავზარდაცემულმა და სასოწარკვეთილმა, ხელები ასწია და შემდეგ სახეზე მიიფარა.

მშვენიერმა ლედიმ, რომელიც ასე საოცრად ჰგავდა მას, შემომხედა დაბნეული თვალებით და ხელი შუბლზე მიიდო. ვთხოვდი, დამშვიდებულიყო და მომზადებულიყო ჩემს მოსასმენად, მაგრამ უკეთესს ვიზამდი, თუ ვთხოვდი, რომ ეტირა, რადგან იგი უძრავად იჯდა, როგორც ქვა.

– როდესაც უკანასკნელად ვიყავი აქ, – ვბუტბუტებდი მე, – მის დარტლმა, მიაგმო, რომ იგი ხშირად დასეირნობს ზღვაზე... თუ იმ დამეს ზღვაზე იყო, სახიფათო ნაპირთან ახლოს... როგორც ამბობენ... და თუ გემი, რომლითაც...

– როზა! მოდი აქ! – უთხრა მისის სტირფორდმა.

როზა მიუახლოვდა, მაგრამ შეუბრალებელი, გამწარებული თვალები ნაკვერჩხლებივით ენთო; მან საშინლად გადაიხარხარა, როდესაც გაჩერდა მისი დედის წინ.

– რაო? – უთხრა მან. – დაკმაყოფილებულია ახლა თქვენი ამპარტავნობა, უგუნურო დედაკაცო?... ახლა, როდესაც იგი თქვენი ამპარტავნობის გამო სიცოცხლეს გამოეხალმა... გესმით? სიცოცხლეს!

მისის სტირფორდმა, უძრავმა, გაქვავებულმა გადაიწია სავარძლის ზურგზე; იგი მხოლოდ კენესოდა და გიჟივით შეჰყურებდა მის დარტლს.

– დიახ! დიახ! – ყვიროდა როზა და ხელს გულში იცემდა. – შემომხედეთ, – დაუმატა მან და თავისი ჭრილობის ნიშანზე მიუთითა, – შეხედეთ თქვენი გარდაცვალებული შვილის მშვენიერ ნაწარმოებს!

უბედური ლედის კენესა გულს მიგლეჯდა. ეს კენესა სულ ისევ ისეთი მტკივნეული და ყრუ იყო და თან სდევდა თავის უღონო მოძრაობა, მაგრამ სახეს ჯერ არ გამოეცვალა თავისი გამომეტყველება. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული და სახის კუნთები თითქოს გაჰყინვოდა.

– გახსოვთ, როდის ჩაიდინა ეს! მიყურეთ მე, რომეიც იძულებული ვარ, გატარო ეს დაღი, და იტირეთ, რომ თქვენ გაზარდეთ იგი ასეთი!

– მის დარტლ!.. შესდექით! – ვემუდარებოდი მე.

– თავი დამანებეთ! მინდა ვილაპარაკო! – შეჰყვრა მან და მომანათა აღზნებული თვალები. – შემომხედეთ მე, მილედო, მედიდურო დედავ ამაყი, გულქვა შვილისა! იკენესეთ, რომ თქვენ შობეთ იგი! იტირეთ, რომ თქვენ გააფუჭეთ იგი! იტირეთ, რომ თქვენ დაჰკარგეთ და რომ მეც დაგკარგე იგი!

მან მოკუმშა მუშტები და მთელი გამხმარი სხეული აუთრთოლდა.

– მის დარტლ! როგორ არ გრცხვენიათ!.. რა სისასტიკა!

– მე მინდა ველაპარაკო მას და ვერაფერი ძალა ამქვეყანაზე ვერ დამიშლის ამას, სანამ აქ ვდგევარ! მე იმდენი ხნის განმავლობაში ვდუმდი, რომ შემიძლია ახლა ვილაპარაკო! მიყვარდა იგი უფრო ძლიერად, ვიდრე თქვენ, – განაგრძო მან და ამაყად მიუბრუნდა დედას, – მე ისე მიყვარდა, რომ არ ვთხოვლობდი მადლობას. მე რომ მისის ცოლი გავმხდარიყავი, მონა ვიქნებოდი მისი სურვილებისა, ერთი აღერსიანი სიტყვის გულისთვის. დიახ, მე შემეძლო ეს. ვინ იცის ეს ჩემზე უკეთესად? თქვენ იყავით მომთხოვნი, ამაყი, წვრილმანი! ჩემი სიყვარული ტავგამეტებით იყო სავსე!

– შემომხედეთ აქ! – განაგრძობდა იგი და ერთხელ კიდევ უწყალოდ დაირტყა ხელი ჭრილობაზე. – როდესაც იგი უკეთ მიხვდა თავის საქციელს, მოინანია, მაშინ ვმღეროდი მისთვის, ველაპარაკებოდი და უახლოეს მონაწილეობას ვიღებდი ყველაფერში, რასაც კი ის აკეთებდა ან ლაპარაკობდა. სიყვარულის ალით აღფრთოვანებული, ცვდილობდი, მესწავლა და შემეთვისებინა ყველაფერი, რაც კი მას აცოცხლებდა. და მე მოვხიბლე, გავიტაცე იგი. ჯერ წმინდას სულით და უმანკოს გულით შევუყვარდი მას მაშინ... დიახ, ვუყვარდი მას! იმ დროს იგი ხშირად მოგიშორებდათ ხოლმე რამდენიმე მიზეზიანი სიტყვით და გულში მიკრავდა მე!

– შემდეგ, – განაგრძობდა როზა, – მე დამამცირეს; წინათვე უნდა მცოდნოდა ეს, დაბრმავებული რომ არ ვყოფილიყავი მისი ბავშვური სიყვარულით. სათამაშო დედოფალა ვიყავი, რომითაც ერთობოდნენ ერთი ან ორი საათის განმავლობაში, უსაქმურობისაგან, შემდეგ მიაგდებდნენ და ისევ აიღებდნენ, როგორც წუთიერ გასართობს. ჩვენ გავშორდით ხმაამოუღებლად. თქვენ იქნებ ხედავდით ამას და გიხაროდით. მას აქეთ ორივე თქვენთვის მე ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ დამახინჯებული ავეჯი, ნივთი, უთვალო, უყურო, უგრძობელი... თქვენ კენესით! იტირეთ, რა გამოვიდა თქვენი სიამაყის გამო! მე თქვენ გეტყვით: იყო დრო, როდესაც მე მიყვარდა იგი მეტად, ვიდრე თქვენ შეგეძლოთ გყვარებოდით მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

– მის დარტლ! – ვუთხარი მე. – ნუთუ ისეთი სასტიკი ხართ, რომ ვერაფერს გრძნობთ ამ უბედური ადამიანის შემყურე...

– მერე? ვინ რას გრძნობდა ჩემს მაგივრად? – დამიყვირა მან გამწარებული ხმით. – ამ დედამ ხომ თვით ნადათესა ეს. დაე მომკას ახლა მოსავალი, როდესაც იგი დამწიფდა.

– და თუ შვილის შეცდომანი... განვაგრძობდი მე.

– შეცდომანი! – შეჰყვირა მან და უეცრად აქვითინდა, ვინ ბედავს მის გაკიცხვას! მას ჰქონდა სული, რომელიც მრავალის უმრავლეს იმ სულებად ღირდა, ვისაც იგი თავის მეგობრობას ანიჭებდა!

– შესაძლებელია, რომ არავის არ უყვარდა იგი ჩემსავით; არავინ არ აფასებდა მას ჩემზე მეტად, – ვუპასუხე მე, – მაგრამ მინდოდა მხოლოდ შემენიშნა, რომ თუ ტქვენში არავითარ თანაგრძნობას არ იწვევს დედამისის უბედურება, და თუ მისმა საქციელმა თქვენ იმ ზომამდე გაგამწარათ...

– სიცრუეა! – შეჰყვირა მან და თან იგლგლდა შავს თმას. – მე მიყვარდა იგი!

– თუ ასეთ დროს არ შეგიძლიათ დაივიწყოთ თქვენი თავი, – განვაგრძე მე, – ისე მაინც შეხედეთ ამ ადამიანს, როგორც უცხოს, როგორც ქალს, რომელიც თქვენ არასოდეს არ გინახავთ, და დაეხმარეთ როგორმე!

მთელი ამ ხნის განმავლობაში მისის სტირფორდი იმავე უძრავ მდგომარეობაში იმყოფებოდა; გიჟივით მიეშტერებინა ცარიელ სივრცეში თავისი დაბრმავებული თვალები და ისევ ისე უცნაურად კენესოდა. უეცრად მის დარტლი მივარდა მას და დაუწყო ტანისამოსის გახდა.

– წყეულიმც იყავით! – დაიყვირა მან მწუხარებისა და სიავის გამომეტყველებით. – ცუდ ფეხზე მოხვედით თქვენ აქ პირველად! წყეულიმც იყავით! წადით აქედან!

უკვე გასული ვიყავი ოთახიდან, მაგრამ დავბრუნდი და დავრეკე, რომ დამეძახა მოსამსახურეთათვის. მის დარტლი მოხვეოდა უბედურს, დასტიროდა მას, ჰკოცნიდა, არწევდა თავის მკერდზე, როგორც ბავშვს, და ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რომ გამოეწვია ჩამქრალი გრძნობა. ახლა მე აღარ მეშინოდა მათი მარტო დატოვება და გამოვედი.

სადამოს დავბრუნდი და მიცვალებული მისი დედის ოთახში დავასვენეთ. დედა, როგორც მითხრეს, იმავე მდგომარეობაში იყო; მის დარტლი თავს არ ანებებდა არც ერთი წუთით. ექიმები მოიწვიეს, ათასგვარი ზომები იყო მიღებული, მაგრამ იგი იწვა, როგორც ქანდაკება და მხოლოდ ყრუდ კენესოდა დროგამოშვებით.

გავიარე მთელი ეს სევდიანი სახლი და ფარდები ჩამოვუშვი. იმ ოთახის ფანჯრები, სადაც იგი ესვენა, ყველაზე უკანასკნელად ჩამოვაფარე. ავწიე ტყვიასავით მძიმე ხელი და ჩემს გულთან მივიდე. მთელი ქვეყანა სიკვდილის დუმილში წასული მეჩვენა და მხოლოდ მისი უბედური დედის გმინვა არღვევდა მას.

თავი ორმოცდამეთოთხმეტე

გადასახლებულნი

მე ჯერ კიდევ ბევრი საქმე მქონდა გასაკეთებელი და არ შემეძლო მივცემოდი უკანასკნელი დღეების შთაბეჭდილებას. საჭირო იყო დამემალა ოკეანეს იქით მიმავალთათვის ეს საზარელი ამბავი. დრო ცოტადა იყო. იმავე ღამეს ვინახულე მისტერ მიკობერი და დავავალე, ყოველი ღონისძიება ეხმარა, რომ მისტერ პეგოტის ყურამდე არ მიეღწია ცნობას ამ უბედურების შესახებ. მან სრული თანაგრძნობით იკისრა, შეეჩერებინა ყოველგვარი ცნობა.

უნდა შევნიშნო, რომ მისტერ მიკობერმა, რომელიც ცდილობდა შეჰკუებოდა ახალ მდგომარეობას, მიიღო რაღაც უცნაური კონტრაბანდისტული შეხედულება. სხვათა შორის, შეიძინა მუშამბის სრული ტანისამოსი და მეზღვაურის ქუდი. ამ ჩაცმულობაში, დურბინით ხელში და ერთგარი გამოხედვით, როდესაც იგი ცალი თვალით შეჰყურებდა ცას, თითქოს ქარიშხალს მოეღისო, გაცილებით უფრო მეტად ჰგავდა მეზღვაურს, ვიდრე მისტერ პეგოტი. მიკობერის მთელი ოჯახობა

იყო, ასე ვთქვათ, შეიარაღებული და მომზადებული ბრძოლისათვის. მისის მიკობერს ამოერჩია თავის ქუდებში ყველაზე პატარა და ძველი, მაგრამ შეენასკვანიაკაპქვეშ, შალი კი, მკერდზე ჯვარედინად გადაკრული, მაგრად კვანძით შეეკრა ზურგზე, სწორედ ისე, როგორც მომართო პაპი დამ, როდესაც პირველად მივედი მასთან ნახევრადშიშველი. მისტერ მიკობერი-უმცროსი მორთული იყო მეზღვაურის შალის ხალათით და ყველაზე ბანჯგვლიანი შარვლით, რომელიც კი ოდესმე მენახა. ტყუპები ისე იყვნენ შეფუთულნი და შეკრულნი, როგორც ფოსტით გასაგზავნი ფორთოხლები. მისტერ მიკობერს და მის უფროს ვაჟს სახელოები ოდნავ დამკლავებულები ჰქონდათ, თითქოს მხოლოდ ბრძანებას ელოდნენ, რომ ჩარეულიყვნენ მუშაობაში, ავარდნილიყვნენ ანძაზე და აეკრიფათ თოკები.

მისტერ მიკობერის ოჯახობა იმყოფებოდა პატარა, ჭუჭყიან სასტუმროში, თვით ნავსადგურთან. ვინაიდან ამ ოჯახის წევრები, როგორც გადასახლებისათვის გამზადებულნი, ერთგვარ ყურადღებას იპყრობდნენ გენგერდორფში და საკმარისად ბევრ მაყურებლებს იზიდავდნენ, ჩვენ სიამოვნებით შევაფარეთ თავი მათ ბინას. პაპი და აგნესა ჰკერავდნენ ბავშვების ტანისამოსს. პეგოტი ხმაამოუღებლად შეელოდა მათ.

ძნელი იყო პასუხის გაცემა ყველა კითხვაზე და უფრო ძნელი იყო, როდესაც მიკობერმა მოიყვანა მისტერ პეგოტი და ჩაწერულე მოხუცს, რომ წერილი გადაცემულია და ყველაფერი რიგზე არის; მაგრამ შევასრულე ერთიცა და მერეც და გავაბედნერე ჩემი ძველი მეგობარი. თუ მეტყობოდა ის, რასაც ვგრძნობდი, მე ჩემი საკუთარი სევდაც საკმარისი მქონდა, ასე რომ, არავის არ აღძვრია ეჭვი.

– როდის გადის გემი? – იკითხა პაპი დამ.

– ხვალ დილით, რვა საათზე, ჩვენ უკვე გემზე უნდა ვიყოთ, – განმარტა მისტერ მიკობერმა.

– ოჰო! – თქვა პაპი დამ. – ეს ადრეა.

მისტერ მიკობერი გავიდა ბუფეტში, სადაც, როგორც ჩანდა, თავს ისე გრძნობდა, როგორც სახლში, და დაბრუნდა დიდი ჯამით, რომელსაც ორთქლი ასდოდა. უნებურად შევნიშნე, რომ იგი ფცქვნიდა ლიმონებს საკუთარ, თითქმის ათი გოჯის სიგრძის საკეცი დანით. როდესაც დაამთავრა ლიმონების ფცქვნი, სათანადო სიამაყით გაწმინდა დანა თავისი ტანისამოსის სახელოზე. აქ შევნიშნე, რომ მისის მიკობერიც და უფროსი ბავშვებიც შეიარაღებულნი იყვნენ ამგვარივე იარაღით. პატარებს კი მხარზე მაგარი ზონარით ჩამოკიდებული ჰქონდათ ხის კოვზები. როგორც ჩანდა, მისტერ მიკობერი ყოველნაირად ეჩვეოდა გადასახლებულთა ცხოვრების ჩვეულებებს და ამიტომ იმის მაგივრად, რომ პუნში ცოლისთვის და უფროსი ბავშვებისთვის ჭიქით მიერთმია, – ჭიქები მაგიდაზე ელაგა, – მან დაუსხა და თვითონაც დაისხა საკმაოდ საძაგელი თუნუქის მათლაფაში, და არასოდეს არ მენახა, რომ ოდესმე ასეთი სიამოვნებით დაედიოს პუნში, როგორც ამ სადამოს, როდესაც ცარიელი ჭურჭელი ჯიბეში ჩაიდო.

– ჩვენ სამუდამოდ უარს ვაცხადებთ ყოველგვარ ფუფუნებაზე, – თქვა მან. – ტყის მცხოვრებლებს, ბუნებრივია, არ შეუძლიათ იქონიონ ისეთივე მოთხოვნილებანი, როგორც ცივილიზაციით განაზღვრულ ქვეყნების მცხოვრებთ.

– თუ გზაში შემთხვევა იყოს წერილის გამოგზავნისა, გვაცნობეთ რამე თქვენს შესახებ, – უთხრა პაპი დამ.

– შემთხვევა როგორ არ იქნება, – შენიშნა მისტერ მიკობერმა. – ოკეანე სავსეა გემებით და თვით ავსტრალიაც რა შორს არის? სულ ახლოა! – დაუმატა მან და თან ღორნეტივით ათამაშებდა თუჯის ფიალას. – ხელად გადავცურავთ.

ახლა მაგონდება, როგორი უცნაური, მაგრამ ამასთან დამახასიათებელი იყო მიკობერისათვის, რომ ლონდონიდან კენტერბერიში წასვლის შესახებ ლაპარაკობდა, როგორც ქვეყნის ბოლოზე მოგზაურობის შესახებ და ინგლისიდან ავსტრალიაში წასვლას კი უყურებდა, როგორც რაიმე არსზე გადაცურვას.

– იმედი მაქვს, ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, – მითხრა მისის მიკობერმა, – რომ ჩვენ ოდესმე ისევ მოგვიხდება ცხოვრება ძველ ინგლისში, ჩვენი გვარეულობის წევრთა შორის, ნუ იკრავ წარბებს, მიკობერ. ამჟამად ვლავარაობ არა ჩემს გვარეულობაზე, არამედ ჩვენს შვილიშვილებსა და შვილიშვილის შვილებზე. სწორი მოგახსენოთ, როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს ახალი სამშობლო, – განაგრძო მას დაფიქრებით, – მაინც ძალიან ძნელია დავიწყება ძველისა; და თუ ჩვენი გვარი მიაღწევს ოდესმე სიმდიდრესა და დიდებას, ვისურვებდი, რომ ეს სიმდიდრე ბრიტანეთის საღაროს შეემატოს.

– ბრიტანეთი უნდა დაემორჩილოს თავის ხვედრს, ჩემო კარგო, – უპასუხა მიკობერმა, – იგი, როგორც მე ვიცი, ძალიან ცოტას ზრუნავდა ჩემზე და მეც არ ვგრძნობ განსაკუთრებულ გულისტკივილს მის მიმართ.

– აი, ხედავ, მიკობერ! შენ არ ხარ მართალი! – უპასუხა მისის მიკობერმა. – შენ ხომ იმიტომ მიდიხარ შორეულ ქვეყანაში, რომ დაამკვიდრო კავშირი იმ ქვეყანასა ალბიონს შორის, და არა იმიტომ, რომ შეწყვიტო იგი.

– ეს კავშირი, ჩემო კარგო, – უპასუხა მისტერ მიკობერმა, – გიმეორებ, სრულებით არ მატკობდა იმ ზომამდე, რომ რაიმე სურვილსა ვგრძნობდე ისევ გავაბა იგი.

– აი, მიკობერ, – უპასუხა მისის მიკობერმა, – ისევ იძულებული ვარ გითხრა, რომ შენ არ ხარ მართალი! შენ არც კი იცი, რამდენი შეგიძლია, მიკობერ! შენ აუცილებლად დაამკვიდრებ კავშირს ბრიტანეთთან!

მისტერ მიკობერი იჯდა წარბებაწეული და სანახევროდ უარყოფდა მეუღლის აზრს, მაგრამ, როგორც ჩანდა, მაინც გრძნობდა, როგორი ღრმა აზრი იხატებოდა მასში მომავლის შესახებ.

– ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, – განაგრძობდა მისის მიკობერი, – ვისურვებდი, რომ მიკობერი სათანადოდ გრძნობდეს თავის მდგომარეობას. მგონია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიკობერმა იმ წუთიდან, როდესაც ფეხს შესდგამს გემზე, სავსებით დააფასოს და იგრძნოს თავისი მდგომარეობა. ჩვენმა დიდი ხნის ნაცნობობამ, მისტერ კოპერფილდ, დაგანახათ, რომ არ ვარ სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანი; ჩემი ტემპერამენტი, თუ ნებას მომცემთ ასე გამოვთქვა, უფრო პრაქტიკული მიდრეკილებისაა. ვიცი, რომ ეს მოგზაურობა ძალიან შორია; ვიცი, რომ მას ახლავს მრავალი უხერხულობა და გაჭირვება. არ შემიძლია თვალები დავხუჭო ამ გარემოებაზე. მაგრამ ამავე დროს ვიცი, რაც არის მიკობერი. ვიცი, რა ძალა არის მიკობერში, და ამიტომ მეტად მნიშვნელოვან სასიცოცხლო საკითხად ვთვლი იმ გარემოებას, რომ მიკობერმა ანგარიში გაუწიოს თავის მდგომარეობას.

– ჩემო კარგო, – უპასუხა მიკობერმა, – იქნებ ნება მომცე შევნიშნო, რომ, ალბათ, რამდენადმე ვგრძნობ ჩემს მდგომარეობას.

– რამდენადმე, მაგრამ სავსებით კი არა, მიკობერ, – დაუმატა მისის მიკობერმა, – ეს მეტად დიდი საკითხია. ძვირფასო მისტერ კოპერფილდ, მიკობერის მდგომარეობა არ არის ჩვეულებრივი. მიკობერი მიდის შორეულ ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ პირველად იყოს დაფასებული და გააგებული ღირსებისამებრ. ჩემი აზრით, მიკობერმა მტკიცე ხმით უნდა სთქვას: „მოვედი ამ ქვეყნის დასაპყრობად! თუ აქ არის პატივი, დიდება, სიმდიდრე და საკმარისად ხელსაყრელი თანამდებობა, მოიტათ აქ! ისინი ჩემია!“

მისტერ მიკობერმა შემოგვაველო ყველას თვალი, თითქოს ფიქრობდა, რომ ამ აზრში იყო საკმარისი ნაწილი სიმართლისა.

– ვსვამ ყველა თქვენს სადღეგრძელოს გამოსალმებისას და ვისურვებთ, ყოველ თქვენგანს თან სდევდეს კეთილდღეობა და წარმატება, – თქვა პაპი დამ და თავი დაუკრა მისტერ პეგოტის.

ბავშვებსაც მისცეს ნება, ამოედოთ თავისი კოვზებით ეს სახელოვანი სასმელი, რათა დაეღიათ საერთო სადღეგრძელო. ამის შემდეგ პაპი და და აგნესა

ადგნენ და გამოემშვიდობნენ იქ მყოფთ. ნაღვლიანი იყო ეს გამოთხოვება. ბავშვები უკანასკნელ წუთამდე ებლაუჭებოდნენ აგნესას და საბრალო მისის მიკობერი მტირალი დავტოვეთ.

მეორე დღეს, ნასადილევს, მე და ჩემი პეგოტი გავემგზავრეთ გრევზენდში. გემი შემოსულიყო მდინარეში და გარს აუარებელი ნაგები ეხვია. სამგზავრო ქარი ჰქონდა და გამგზავრების ნიშანი უკვე ფრიალებდა მთავარი ანძის წევრზე. მაშინვე დავიქირავე ნავი, გავარღვიე მიმავალი ნაგების რკალი და გემს მივადექით.

მისტერ პეგოტი ბაქანზე გველოდა. მიაბო, რომ მიკობერი, ეს-ეს არის, დატუსაღებული იყო ჰიპის სარჩელის გამო და რომ მან, პეგოტიმ, ჩვენი დავალების თანახმად, გადაიხადა ფული. შემდეგ მან წაგვიყვანა მე და ჩემი გადია დაბლა და უკანასკნელი შიში, რომ მის ყურთასმენამდე მიაღწევდა ცნობა უბედურების შესახებ, გაიფანტა. მიკობერმა მეგობრული და ამავე დროს მფარველობის გამომეტყველებით გაუყარა ხელი მისტერ პეგოტის და გამომიცხადა, რომ ისინი ეს მესამე დღეა, არ მოშორებიან ერთმანეთს თითქმის არც ერთი წუთით.

ჯერ ვერ გავარჩიე ბნელში, მაგრამ ცოტ-ცოტა ჩემი თვალები შეეჩვივნენ სიბნელეს და მეჩვენა, თითქოს რაღაც უცნაური სურათის შუა ვდგევარ. დიდი ღირების, გემის გადახიდულების და გადასახლებულთა ფიცრის საწოლებს შორის, სკივრებსა, ბოხჩებსა, კასრებსა და აუარებელი ბარგის ხროვას შუა, რომელიც ალაგ-ალაგ განათებული იყო ჭერქვეშ მოქანავე სანათურით და დღის მკრთალი შუქით, ღია ფანჯრებში რომ შემოდებოდა, – ირეოდა აუარებელი ხალხი, რომელიც ახლად ეცნობოდა ერთმანეთს, ეთხოვებოდნენ. ლაპარაკობდნენ, ყვიროდნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ, სჭამდნენ და სვამდნენ. ზოგიერთნი უკვე შესჩვიოდნენ ახალ სამყოფელს, მოწყობილიყვნენ და დაესვათ ბავშვები – ზოგი სკამზე, ზოგი ბარგზე. ზოგნი კი ვერ მოულოდნენ ადგილს და სვედიანად დაეხეტებოდნენ კუთხიდან კუთხეში. აქ, ამ პატარა ადგილას, ერთ გროვაში იყო მოქცეული ყველა წლოვანების ხალხი, დაწყებული ახლადდაბადებული ბავშვებით, და გათავებული ღრმა მოხუცებით, რომელთაც, იქნებ, რამდენიმე დღეა დარჩენოდათ სიცოცხლისა, და ამასთან ყველა ხელობის წარმომადგენელი, მიწის მუშებით დაწყებული, რომელთაც ფეხსაცმელების ძირებით მიჰქონდათ თავიანთი ქვეყნის მიწა, და გათავებული მჭედლებით, რომელთაც კანზე ჯერ კიდევ შერჩებოდათ ინგლისის ჭვარტლისა და კვამლის კვალი.

როდესაც მივიხედ-მოვიდეთ, მეჩვენა, თითქოს ერთ-ერთ ღია სარკმელთან ემილია იჯდა, მის გვერდით – ერთი ტყუპთაგანი. ამ ჯგუფმა იმიტომ უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება, რომ მჯდომარე ქალს აკოცა გამოთხოვებისას სხვა ქალმა, წყნარად გაიარა ბრბოში და მიიძალა. ეს მეორე ქალი აგნესად შევიცანი, მაგრამ საშინელი აურზაურისა და თვით ჩემი მღელვარების გამო, იმწამსვე დავკარგე იგი მხედველობიდან. ამ დროს გამცილებლებს გამოუცხადეს, დროა გემი დატოვოთო. აქ შევნიშნე, რომ ჩემი გადია იჯდა რაღაც სკივრზე და მწარედ ტიროდა, ხოლო მისის გუმიჯი, ვიდაც სხვა, შავტანისამოსიან ქალტან ერთად, ფუსფუსებდა მისტერ პეგოტის ნივთების გარშემო...

– ხომ არას მეტყვით კიდევ, მასტერ დევი? – მკითხა მისტერ პეგოტიმ. – ხომ არ მოიგონებთ რასმე დავიწყებულს, ვიდრე უკანსკნელად გამოვესალმებოდეთ ერთმანეთს?

– მხოლოდ ერთი რამ, – ვუპასუხე მე. – რა იქნა მართა?

მან ხელი ახლო მხარზე ქალს, რომელიც მისის გუმიჯის გვერდით იდგა, და მე მართა დავინახე.

– თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, – ვუთხარი მე. – თან მიგყავთ?

მართამ ცრემლებით მიპასუხა. მეც ვერაფერი ვეღარა ვუთხარი და მხოლოდ მაგრად ჩამოვართვი ხელი მისტერ პეგოტის. ალბათ, არასოდეს არავინ არ

მყვარებია ისე, არავისადმი ისეთი პატივისცემა არ მქონია, როგორც მოხუც მისტერ პეგოტისადმი.

გემი სწრაფად დაიცალა გამცილებლებისაგან. მე ჯერ კიდევ დამრჩენოდა ყველაზე ძნელი საქმე. გადავეცი მისტერ პეგოტის ის რაც დამავალა მეთქვა მისთვის სამუდამო გამოთხოვებისას ქამმა. ჩემთვის უფრო მძიმე და ძნელი იყო იმის მოსმენა, როდესაც მოხუცმა მთხოვა, გადამეცა პასუხად უამრავი სიტყვები სიყვარულისა და სიბრალულისა მისთვის, ვისაც აღარ შეეძლო მათი მოსმენა!

წასვლის წუთი დადგა. გადავეხვიე მოხუცს, ხელი გაუყარე ჩემს გადიას და საჩქაროდ ავედი ბაქანზე. იქ გამოვეთხოვე საბრალო მისის მიკობერს; მისი უკანასკნელი სიტყვები ის იყო, რომ არასოდეს თავს არ დაანებებს მისტერ მიკობერს.

ჩავსხედით ნავში და შორიასლოს შევჩერდით, რომ გვენახა, როგორ დაიძროდა გემი.

როდესაც იალქანები გაიფსო, გაიშალა ქარზე და გემი დაიძრა ადგილიდან. გარშემო მყოფ ნაგებიდან იგრიალა სამჯერ „ვაშამ“, რომელიც აიტაცეს გემზე. გამოძახილმა გაიმეორა იგი და გაჰფანტა მიდამოში. გული გამეწურა ამ ხმაზე. აფრიალდა ცხვირსახოცები, ქუდები, და ამ დროს დავინახე იგი, ემი!

იგი იდგა და თავისი ბიძის მხარს მიყრდნობოდა. ბიძამ საჩქაროდ მოუთითა ჩვენსკენ და მან გამოგვიგზავნა უკანასკნელი სალაში. დიახ, ემილიავ! მშვენიერო, დადუპულო ყვავილო! მიენდე და მიეყრდნე მას შენი დათრგუნვილი გულით, რადგან მას ეჭირე შენ მთელი მისი სიყვარულის ძალით.

როდესაც ნაპირს მივაწიეთ, კენტის მთებზე დაეშვა ღამე და მძიმედ დამაწვა გულზე.

თავი ორმოცდამეთხუთმეტე

მოგზაურობა

როდესაც ინგლისიდან მივდიოდი, წასვლის წუთში არც კი მესმოდა სავსებით, რა დიდი მეხი დამატყდა თავს. დაგტოვე ჩემი გულის ახლობელი და წავედი საზღვარგარეთ, დარწმუნებული, რომ უკვე გადავიტანე ჩემი უბედურება, რომ დიდი ხანია, რაც მან გაიარა. ასე ადამიანი, ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაჭრილი, თვითონ არც კი გრძნობს თავის ჭრილობას. ახლა, მარტოდ დარჩენილს, პირველ ხანებში არც კი მესმოდა, რა სასტიკი და მძიმე იყო ჩემი იარა.

შეგნება თანდათან მოდიოდა. სიცარიელის მძიმე გრძნობა დღითიდღე ღრმავდებოდა და იზრდებოდა. ჯერ ეს მხოლოდ ბუნდოვანი გრძნობა იყო სევდისა და დანაკლისისა, შემდეგ, შეუმჩნეველი საფეხურებით, იგი გადაიქცა უიმედო შეგნებად ყველა იმისა, რაც დაგკარგე: სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა; ყველა იმისა, რაც დაიმსხვრა და დაიღუპა: ჩემი პირველი გულუბრყვილო მინდობა, ჩემი გულის პირველი სიყვარული, მთელი ჩემი სიცოცხლის ოცნების კოშკი!

ვნადვლობდი ჩემს პაწაწინა ცოლზე, რომელიც სიკვდილმა ხელიდან გამომტაცა სიყვარულისა და სილამაზის სრულ ასაკში; ვნადვლობდი იმ ადამიანზე, რომელსაც შეეძლო დაემსახურებინა ათასი ხალხის ისეთივე სიყვარული და გააკვირვება, რასაც ვგრძნობდი მისდამი ბავშვობიდან, და რომლის ბრწყინვალე ნიჭი ყოველთვის მაკვირვებდა; ვტიროდი საბრალო დამსხვრეულ გულს, რომელმაც მოისვენა ბობოქარი ზღვის ტალღებში, და ვდარდობდი მეთევზის იმ საცოდავი ქოხის ნანგრევებზე, სადაც ოდესღაც, ბავშვობაში, ვისმენდი ღამით ქარიშხლის ზუზუნს.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ყველაზე უკეთესი იქნებოდა – სამშობლოში მოგვედარიყავი; მაშინ უკან ვიხვედი ჩემს მოგზაურობაში, რომ რაც შეიძლება მალე მიმეღწია სამშობლოს საზღვერბს. სხვა დროს კი შეუგნებლად მივისწრაფოდი წინ, სულ წინ; დავეძებდი – არ ვიცი, რას, გავურბოდი – არ ვიცი, რას.

როდესაც ახლა გონების თვალთ ვუბრუნდები ჩემი ცხოვრების იმ ხანას, იგი წარმომიდგება ხოლმე, როგორც სიზმარი, მძიმე და საშინელი, მაგრამ სრულებით გამოურკვეველი ფორმით. უცხო ქალაქები – სასახლეები, ტაძრები, სურათები, ციხე-დარბაზები, საფლავეები, ფანტასტიკური ქუჩები – მიჰქროდნენ ჩემს წინ რაღაც ბურანში, და მე, მთვლემარე მგზავრი, გულგრილად ვუყურებდი ყველა ამ მშვენიერ ადგილს და ხელოვნების ნიმუშს. მაგრამ აი, ბოლოს, გაჰქრა შფოთიანი, საზარელი სიზმრები და მოღუშულ ცის კაბადონზე აციმციმდა ალიონი.

მრავალი თვის განმავლობაში ვმოგზაურობდი ღრუბლიანი გულით; რაღაც ბუნდოვანი და გაურკვეველი სულიერი განწყობილება არყვედა ჩემს დაბნელებულ გონებას, მიშლიდა სამშობლოში დაბრუნებას, და განვაგრძობდი მოგზაურობას, შეწუხებული და მოუსვენარი, ზოგჯერ შეუჩერებელი გადავდიოდი ადგილიდან ადგილზე; მაგრამ ზოგჯერ, პირიქით, დიდი ხნით ვბინავდებოდი ერთ ალაგას. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც არ მქონდა არავითარი გარკვეული მიზანი და მისწრაფება.

შვეიცარიაში ვიყავი. იტალიიდან მოვედი აქ, ალპები გადმოვლახე და მას აქეთ დავეხეტებოდი მთიან ბილიკებზე გზის მაჩვენებელთან ერთად. არ ვიცი, ეუბნებოდა თუ არა რასმე ჩემს გულს ეს ღრმა ხეობები, უფსკრულები და მაღალი მთები. საზარელი გამოქვაბულები და ნაპრალები, მყინვარები და მგრგვინავი ჩანჩქერები მავსებდნენ თრთოლვითა და გაკვირვებით, მაგრამ სხვას არაფერს ვგრძნობდი.

ერთხელ, საღამოუჟამს, მზის ჩასვლის წინ, ჩავდიოდი დაბლა ველში, სადაც რამე უნდა გამეთია. ჩავდიოდი მთის ფერდობზე მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით და დავინახე ჩემს დაბლა გაშლილი მინდვრები; უეცრად ამავსო რაღაც დიდი ხნის დავიწყებულმა ნეტარმა გრძნობამ, რომეიც ჩემს გულში გამოაღვიძა მიდამოების მშვენიერებამ და საღამოს სიწყნარემ. მახსოვს, – უეცრად შეჩერდი რაღაც სევდით გულში, მაგრამ ეს სევდა არ იყო არც მძიმე, არც უიმედო. მახსოვს, – თითქმის იმედი მომეცა, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია ჩემთვისაც კი სასიკეთო ცვლილება.

ველს იმ დროს მივადწიე, როდესაც ჩამავალი მზე ანათებდა თოვლიან მწვერვალებს, რომლებიც გარს შემოჰხვეოდნენ მას ღრუბლებით. მთის ძირი ღრმა ხეში, სადაც სოფელი იყო, ხასხასა მწვანით იყო დაფარული და ამ მშვენიერ, მდიდარ მცენარეულობის ზემოთ ამართულიყო შავი ფიჭვები, რომლებიც ბუნებას ზვავების შესაჩერებლად დაენიშნა. მათ თავზე აყუდებულიყვნენ შავი, ყინულიანი, ჭადარა კლდეები; ადგილ-ადგილ მთის ფერდობზე გაფანტულიყვნენ ცალ-ცალკე ქოხები, რომლებიც ისე პატარად მოჩანდნენ ამ გოლიათების მეზობლად, რომ სათამაშოები ეგონებოდა ადამიანს. ასევე სათამაშოდ მოჩანდა სოფელი ველში, ხის ბოგირით, რომლის ქვეშ მოჩხრიალებდა მთის ნაკადული; იგი მიხტოდა კლდიდან კლდეზე და შხუილით მიისწრაფოდა ხეხილებს შორის. საღამოს წყნარ ჰაერში მოისმოდა შორი სიმღერა, – ეს მწყემსების სიმღერა იყო. ამ დიად სიწყნარეში ბუნება პირველად დამელაპარაკა და, მისის ხმის მორჩილი, დავემხე ბალახებში დაღლილი თავით და ავქვითინდი ისე, როგორც აღარ მეტირა მას უკან, რაც დორა დავეკარგე.

როდესაც შინ მივედი, იქ წერილი დამხვდა, რამდენიმე წუთით ამაზე ადრე მოტანილი. თვითონ ინგლისიდან წამოსვლის შემდეგ ძალიან იშვიათად ვწერდი და რამდენიმე სიტყვით ვაცნობებდი ხოლმე, რომ კარგად ვარ და ამა და ამ



აღაგას მივედი. უფრო დალაგებით და დაწვრილებით წერა ჩემი მდგომარეობის შესახებ არც შემეძლო და არც ხალისი მქონდა.

პაკეტი ხელში მეჭირა, გაეხსენი და აგნესას წერილი წავიკითხე.

იგი ბედნიერი იყო და სასარგებლო თავისი ახლობლებისათვის. მისი საქმეები წარმატებით მიდიოდა, როგორც მოელოდა კიდევ. ამაზე მეტი თავის შესახებ არა მოუწერია-რა; წერილის დანარჩენი შინაარსი მე შემეხებოდა.

აგნესა არ მაძლევდა არავითარ რჩევას, არც მელაპარაკებოდა ჩემი მოვალეობის შესახებ. გულწრფელი თანაგრძნობით და სიმპათიით გამსჭვალული, ამბობდა მხოლოდ, რომ სწამს და იმედი აქვს ჩემი. ჩემისთანა ადამიანი, მწერდა იგი, მოახერხებს და სიკეთისკენ მიმართავს ყოველგვარ ვარამსა და დარდს. იგი ამაყობდა ჩემი სახელით და იმედი ჰქონდა, რომ იგი თანდათან გაიზრდებოდა. მას სჯეროდა, რომ დაულაღაგად ვიშრომებდი არჩეულ ასპარეზზე. თუ ჩემი ბავშვური დღეების მწარე გამოცდილებამ გამომიყვანა ის, რაც ვარ, მით უფრო მეტი იმედი ჰქონდა, რომ ახლანდელი ნამდვილი დიდი უბედურება აუცილებლად გამამაგრებდა და გამაუმჯობესებდა. თვითონ გამოცდილს, მით უფრო მეტი წარმატებით შემეძლებოდა სხვების სწავლება. იგი ამაყობდა არა მარტო იმით, რაც უკვე გაკეთებული მქონდა, არამედ უფრო მეტად იმით, რაც უნდა გამეკეთებინა.

გულზე დავიდე ძვირფასი წერილი და მოვიგონე ის უნუგეშო წუთები, რომელსაც ერთი საათის წინ განვიცდიდი. შვეიცარიელი მწყემსების ხმები მიწყდა შორს მთებში; მშვიდი საღამოს ღრუბლები ჩაქრა, ველის ათასგვარი ფერები მიიხრდილა და თოვლიანი მთების ბრწყინვალე მწვერვალები შეუერთდნენ ღამის ცის შორეულ მკრთალ კიდეებს; მაგრამ ცხადად მივხვდი, რომ საშინელი ღამე, მისი საზარელი მოჩვენებით, სამუდამოდ გაიფანტა ჩემს გულში და არ აქვს სახელი იმ სიყვარულს, რომელიც ამ წუთიდან ვიგრძენი ამ ერთადერთი ქალისადმი მთელს ქვეყანაზე, რომელიც ასე განუზომლად ძვირფასია ჩემთვის.

რამდენჯერმე გადავიკითხე მისი წერილი და იმ საღამოსვე მივწერე პასუხი. აგუსტენი, რა ზომამდე იყო საჭირო ჩემთვის მისი შველა ახლანდელ გარემოებაში; უიმისოდ არც ვიქნებოდი და არც ვიქნები ის, რადაც იგი მთვლის, იგი არის ჩემი აღმაფრთოვანებელი, და დავპირდი, ძალა დამეტანებინა ჩემი თავისთვის და შრომას დავბრუნებოდი.

გაიარა სამმა თვემ. გადავწყვიტე, გამოურკვეველ დრომდე გამეგრძელებინა საზღვარგარეთ ყოფნა.

აგნესას რჩევით, ბუნებაში ვექებდი ნუგეშს და ვპოულობდი მას. მალე იმდენივე მეგობარი მოვიპოვე ველში, რამდენიც იარმაუთში მყავდა. როდესაც ზმთარი დადგა, ჯენევაში გადავსახლდი; მაგრამ გაზაფხულზე ისევ უკან დავბრუნდი. კეთილი შვეიცარიელები ისე მიმელოდნენ, როგორც ძველ მეგობარს.

ვმუშაობდი ადრიანი დიდიდან გვიან საღამომდის, გულმოდგინედ და მოთმინებით. დავწერე რომანი, ნაწილობრივ ჩემი საკუთარი ცხოვრების გამოცდილებიდან, და გავუზიარე იგი ტრედელსს. ჩემი ლიტერატურული სახელი სწრაფად იზრდებოდა და ცნობები ამის შესახებ ჩემამდეც აღწევდა იმ მოგზაურთა საშუალებით, რომელთაც შემთხვევით ვხვდებოდი. ხანმოკლე დასვენებისა და გართობის შემდეგ უწინდელი გულმოდგინეთა და ბეჯითობით შევუდექი ახალი რომანის წერას, რომლის იდეა ძალიან მიტაცებდა. თანდათან იმ დროის განმავლობაში, სანამ ამ შრომას ვეწეოდი, ზნეობრივი ძაღლონე შესამჩნევად მემატებოდა და ვცდილობდი, დამეწერა წიგნი რაც შეიძლებოდა უკეთესად. ეს იყო ჩემი ოცნების მესამე ნაყოფი.

როდესაც ამ მოგზაურობის შესახებ ვლაპარაკობ, მოვიგონე ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო მომეგონა, გარდა ერთი გარემოებისა, რომელსაც მზრუნველობით გვერდს ვუვლიდი, თუმცა აზრად არ მქონია, დამემალა ან დამეფარა რომელიმე ჩემი ფიქრთაგანი. მსურდა უკანასკნელ შესაძლებლობამდე

არ მელაპარაკა ჩემი სულის უიდუმალეს მისწრაფებაზე: ახლა ამ გარემოებაზე უნდა ვილაპარაკო.

არ შემიძლია ნიშანდობლივად ვთქვა, როდის გავიფიქრე პირველად, რომ ჩემი ადრინდელი და ნათელი იმედები შეიძლებოდა აგნესაზე შეჩერებულიყო. ვერ ვიტყვი, ჩემი სევდის რომელ ხანაში გავიფიქრე პირველად, მისი სიყვარულის საუნჯე. ეს აზრი დაიბადა ჩემს თავში ახალი საყვედურებისა და ახალი სინანულის სახით, როდესაც ჩემი სევდის ანაბარად მიტოვებული, ობლად დავრჩი ამქვეყნად.

მე რომ იმ დროს მუდამ აგნესას საზოგადოებაში ვყოფილიყავი, უეჭველია, სასოწარკვეთილების ზეგავლენით ვუღალატებდი ამ ჩემს საიდუმლოს. სწორედ ამისი მეშინოდა ინსტიქტურად, როდესაც პირველად წარმომიდგა ინგლისში დაბრუნების აუცილებლობა. დაკარგვა მისი თანაგრძნობის თუნდაც უმცირესი ნაწილისა აუტანელი იქნებოდა ჩემთვის, და ამავე დროს, თუ ჩემს თავს ვუღალატებდი და გამოვტყდებოდი, ამით აუცილებელს საზღვარს დავდებდი ჩვენ შუა და უწინდელი გულახდილობა უკვე ვეღარ იარსებებდა ჩემსა და აგნესას შორის.

თავიდან ვერ მომეშორებინა ის აზრი, რომ გრძნობდა, რომლითაც იგი ამჟამად მექცეოდა, წარმოიშვა პირველად ჩემი საკუთარი არჩევანისა და მოპყრობის გამო. თუ ვუყვარდი მას როდისმე სხვა სიყვარულით, – და იყო დრო, როდესაც ასე მეგონა, – თვითონ უკუვაგდე ეს სიყვარული. ჩემი პირველი სიყვარული, ნაზი და ძლიერი, სხვას ეკუთვნოდა. ისე არ მოვიქეცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი, და თუ აგნესა ჩემთვის მხოლოდ დად დარჩა, ეს ჩემი საკუთარი სურვილი იყო, შემაგრებული და სისრულეში მოყვანილი მისი მშვენიერი გულის დიდსულოვნებით.

ყოველთვის ვგრძნობდი ჩემს სისუსტეს მის სულიერ ძალასთან და სიმტკიცესთან შედარებით. ეს შეგნება ახლა უფრო ღრმად ჩამენერგა. არ ვიყავი მისთვის ის, რაც შეიძლებოდა ვყოფილიყავი წარსულ წლებში, და იგი არ იყო ჩემთვის ის, რაც შეეძლო ყოფილიყო, თუ მისი ხელის ღირსი გავხდებოდი. დრო წასულია, თვითონ დაკარგე იგი სამუდამოდ. ამას ვერავის დავაბრალებ!

ბევრი ვიტანჯე ამ ბრძოლაში, მაგრამ პატიოსანი კაცის მოვალეობად ვთვლიდი, სამუდამოდ შორს უკუმეგდო ფიქრი ამ შეუდარებელი ქალის შესახებ. ახლა აღარ იყო საჭირო იმისი დამალვა, რომ მიყვარდა იგი და სულით და გულით მას ვეკუთვნოდი; მაგრამ ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ უკვე გვიანია და შეუძლებელია იმ ნათესაური დამოკიდებულების დარღვევა, რომელიც დიდი ხანია დამყარდა ჩვენს შორის.

ამგვარი იყო მუდმივი მერყეობა და მღელვარება ჩემი სულისა გამგზავრების შემდეგ, სახლში დაბრუნებამდე. სამმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც გაიშალა იაღქნები გემზე, რომელმაც გადასახლებულნი ავსტრალიაში წაიყვანა. მზის ჩასვლისას, იმავე საათს და იმავე ადგილას ვიდექი იმ გემის ბაქანზე, რომელიც ინგლისის ნაპირს მიადგა.

სამი წელი! სწრაფად გაირბინეს მათ უცხოეთში, თუმცა დღითიდღე მძიმედ მიდიოდნენ. მოგესალმები შენ, სამშობლო მხარე, და შენ, აგნესა! მაგრამ ჩემი არა ხარ! შენ არ შეგიძლია ჩემი იყო! შენ შეგეძლო ჩემი ყოფილიყავი უწინ, მაგრამ ამ დრომ განვლო და აღარ დაბრუნდება არასოდეს!

თავი ორმოცდამეთექვსმეტე

დაბრუნება

შემოდგომის ცივი საღამო იყო, როდესაც ლონდონში მოვედი. წვიმიანი და მოღუშული დარი იდგა, ასე რომ, წუთი წუთის განმავლობაში გაცილებით მეტი ტალახი და ბურუსი ვნახე, ვიდრე შემეძლო მენახა საზღვარგარეთ მთელი წლის განმავლობაში. სახლები შემომყურებდნენ ძველი მეგობრებივით, მაგრამ არ შემეძლო არ მეთქვა, რომ ეს მეგობრები მეტისმეტად ჭუჭყიანები იყვნენ და რომ ბევრი რამ გამოცვლილიყო მათში.

ზოგიერთ ცვლილებას ჩემი ახლობლების მდგომარეობაში უკვე მოველოდი. პაპიდა გადასახლდა დუერში; ტრედელსი ვექილობას შეუდგა და ახლა თანდათან სახელს იხვეჭდა. იგი ცხოვრობდა გრეის სკვერთან, და მისი უკანასკნელი წერილებიდან ვიცოდი, რომ ჰქონდა ერთგვარი იმედი, მაღე შეერთო უმშვენიერესი ქალი დედამიწის ზურგზე.

სახლში საშობაოდ მომელოდნენ, ასე რომ, არავინ ჩემ მეგობართაგან არ ფიქრობდა, რომ ასე ადრე დავბრუნდებოდი. განგებ შევიყვანე ისინი შეცდომაში, რომ გამეოცებინა ჩემი მოულოდნელი მისვლით. და მიუხედავად ამისა, როდესაც მარტოღმარტო, ხმაამოუღებლად მივდიოდი ბურუსიან ქუჩებში, მწყინდა, რომ არავინ დამხვდა.

ნაცნობმა მაღაზიებმა თავიანთი მხიარული სინათლით მაღე გაფანტეს ჩემი სევდა და თითქმის გავმხიარულდი, როდესაც გამოვედი კარეტიდან გრეის სკვერთან, ყავახანის წინ.

– ხომ არ იცით, სად ცხოვრობს აქ მისტერ ტრედელსი? – ვკითხე მსახურს, როდესაც ვთბებოდი ბუხართან საზოგადო დარბაზში.

– გოლბორნის სასამართლოში, სერ, მეორე ნომერი.

მოუთმენლად ველოდი ტრედელსთან შეხვედრას. სწრაფად გავათავე სადილი და საჩქაროდ გავედი კიბეზე.

კიბეზე იყო წარწერა, რომ მისტერ ტრედელსს უჭირავს აპარტამენტები სასამართლოს ძველი შენობის ზემო სართულში. საჭირო იყო კიბეზე ასვლა. ეს იყო ძველი, დახვავებული კიბე, მკრთალად განათებული ყოველი სართულის ბაქანზე პატარა სანათურით, რომელიც ძლივს ბუქტავდა ჭუჭყიანი შუშის პატარა ციხეში.

როდესაც კიბეზე ავდიოდი, უეცრად მომეჩვენა, რომ სადღაც იქ, ღრუბლებში, ისმის მხიარული და სასიამოვნო სიცილი, რომელსაც, ცხადია, ვერ მიაწვრდით ვერც ვექილისა და, თუ გნებავთ, ვერც ვექილის მწერლებს. ცხადზე უცხადესი იყო, იცინოდა ორი ან სამი მხიარული ყმაწვილი ქალი. რომ დავრწმუნებულიყავი ამაში, შეეჩერდი ყურის დასაგდებად, მაგრამ ამ დროს ფეხი ჩამივარდა ფიცარსა და ფიცარს შუა; უეჭველია, ამ ხმაურობამ მიღწია მხიარული საზოგადოების ყურთასმენამდე, რადგან უეცრად ღრმა დუმილი ჩამოვარდა, სანამ ვითავისუფლებდი ფეხს ამ ხაფანგიდან.

შემდეგი გზა მეტი სიფრთხილით გავიარე და მივადწიე მშვიდობით სასურველ საზღვარს. გულმა ძგერა დამიწყო, როდესაც ერთ კარებზე წავიკითხე: „მისტერ ტრედელსი“. ერთი წუთის განმავლობაში კარებთან ვიდექი და შემდეგ დავაკაკუნე. საშინელი ალიაქოთი ატყდა ერთი ოთახის სიღრმეში. შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. ისევ დავაკაკუნე.

ამჯერზე ჩემთან გამოვიდა პატარა, ცოცხალთვალებიანი ბიჭი, რომელიც ლაქიასაც გავდა და კლერკსაც.

– შინ ბრძანდება მისტერ ტრედელსი?

– დიახ, სერ, მაგრამ არ სცალია.

– ჩემთვის აუცილებელია მისი ნახვა.

ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ ცოცხალთვალებიანმა ბიჭმა, როგორც ჩანდა, გადაწყვიტა, რომ ჩემი შეშვება შეიძლება. შემიყვანა ჯერ პატარა საკუჭნაოში, რომლის მისაღები ოთახის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ პატარა

სასტუმროში, სადაც საწერ მაგიდას, ქაღალდებით სავსეს, ჩემი ძველი მეგობარი უჯდა.

– ვისა ვხედავ! – შეჰყვირა ტრედელსმა, როდესაც შემომხედა. – კოპერფილდ!

– ხომ სრული მშვიდობაა, ჩემო ტრედელს?

– სრული მშვიდობა, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო კოპერფილდ, და მხოლოდ კეთილი ამბებია!

და ჩვენ ორივენი ავტირდით სიხარულისაგან.

– აჰ, ჩემო ძვირფასო ამხანაგო! – მითხრა ტრედელსმა და აიბურძენა თმა, ყოვლად უშიზნოდ, რადგან იგი ისედაც მუდამ აბურძენული ჰქოდა. – ჩემო კარგო კოპერფილდ, დიდ ხნის დაკარგულო და მარად სანატრელო მეგობარო! ოჰ, როგორ მიხარია შენი ნახვა! როგორ მოგვიძებია მზე! როგორ მიხარია! სიცოცხლესა და სინდისსა ვფიცავ, ჩემო საყვარელო კოპერფილდ, რომ ჯერ არასოდეს არავის ნახვა არ გამხარებია ამგვარად!

მეც მეტად აღელვებული ვიყავი, ისე რომ, პირველად ლაპარაკიც კი ვერ მოვახერხე.

– ჩემო ძვირფასო, დაუფასებელო მეგობარო! – განგარძობდა ტრედელსი. – ინგლისის მწერალო ლიტერატორო, ჩემო სახელოვანო, განთქმულო კოპერფილდ... როდის მოხვედი? საიდან მოდიხარ? რას აკეთებ?

ადარ დამაცადა პასუხის გაცემა, ისე ჩამსვა საბარძელში ბუხრის წინ. შემდეგ ცალი ხელით ნაკვერჩხლებს ურევდა ბუხარში მაშინ, მეორე ხელით კი ყელსახვევს მიჩეჩავდა. როდესაც საბოლოოდ ჩაფჯექი სავარძელში, ისევ მომეხვია და მეც გულში ჩავიკარი. ჩვენ ორივენი ვტიროდით და მაგრად ვართმევდით ხელს ერთმანეთს.

– წარმოიდგინე, ჩემო კარგო! მე ხომ ცოლი შევირთე!

– ცოლი შეირთე? – შევძახე აღტაცებით.

– პატიოსან სიტყვას გაძღვე! რაღა ბევრი ვილაპარაკო! ის ამ ოთახში დგას, ფარდის უკან, ფანჯარასთან; მიიხედე!

ამ წუთში, ჩემდა უაღრეს განსაცვიფრებლად, გამოვიდა თავისი საფარიდან „შემშენიერესი ქალი დედამიწის ზურგზე“, რომელიც სიცილით შემომეგება და ოდნავ წითლდებოდა. აღერსიანობა, მხიარულება და ბედნიერება გამოიხატებოდა ახალჯვარდაწერილის სახეზე. მე გადავკოცნე იგი, როგორც ძველმა მეგობარმა, და სულითა და გულით მიუულოცე ახლად შეუღლებულებს.

– ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენ ასეთ ბედნიერ გარემოებაში შევხვდებოდით ერთმანეთს! – შესძახა ტრედელსმა. – აჰ, რა ბედნიერი ვარ!

– მეც ბედნიერი ვარ, ძვირფასო მეგობარო! – ვუთხარი მე.

– მეც ბედნიერი ვარ, შემძლია დაგარწმუნოთ, – თქვა სოფიმ ღიმილით და თან გაწითლდა.

– ჩვენ ყველანი ისეთი ბედნიერები ვართ, რომ მეტი არ შეიძლება, – დაუმატა ტრედელსმა, – ჩვენი ქალებიც ბედნიერნი არიან!.. ოჰ, ისინი სრულებით დამავეიწყდნენ!

– დაგავიწყდნენ? – გავიმეორე მე.

– ეს ქალები, – მითხრა ტრედელსმა, – ჩემი სოფის დები არიან, ისინი სტუმრად არიან ჩვენსას, ეს რამდენიმე ხანია; ჩამოვიდნენ ლონდონის დასათვალიერებლად. ყური მიგდე, გენაცვალე, დაუძახე, აქ მოვიდნენ!

სოფი გავიდა მეორე ოთახში, სადაც როგორც გვესმოდა, მას შეხვდნენ აღტაცებული და საერთო სიცილით.

– მშვენიერი მუსიკაა, კოპერფილდ, არა? – მითხრა ტრედელსმა. – ძალიან სასიამოვნოა ყურისთვის. დიას! ამ ძველ ოთახებსაც კი გარკვევით სიცოცხლე ემატება ამ ჰანგისაგან. რა შეიძლება იყოს ამაზე მშვენიერი, მით უფრო ისეთი უბედური ბოგანოსათვის, რომელიც სულ მარტოდმარტო ცხოვრობდა მთელ თავის სიცოცხლეში, – გესმის? ეს მშვენიერება!

– მერე, რამდენი ყმაწვილი ქალია თქვენთან? – ვკითხე მე.

– უფროსი, რომელსაც „მზეთუნახავს“ უწოდებენ, აქ არის, – მითხრა ტრედელსმა და ხმას დაუწია. – მას კაროლინა ჰქვია. სარაც აქ არის; ამ ქალს, როგორც უწინაც მითქვამს შენთვის, რაღაც სტკივა ხერხემალში, თუმცა ამჟამად მისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია. ორი უმცროსი და, რომელთაც სოფი ზრდიდა, აქ არიან. ლუიზაც არ არის.

– მართლა?

– დიას! ახლა უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ბინა სულ სამი ოთახისაგან შედგება.

უნებურად მივიხედ-მოვიხედე, რომ გამეგო, სად თავსდებიან თვით მისის და მისტერ ტრედელსი. ტრედელსი მიმიხვდა.

– არაფერია, ჩემო კარგო! – ითხრა მან. – მე ხომ უკვე ვითხრა, რომ მომზადებული ვართ, უშიშრად შევხედეთ ყოველგვარ ქარიშხალსა და გაჭირვებას. წასულ კვირას ჩვენ ღოგინი გავიმართეთ აი აქ, იატაკზე; მაგრამ, მოულოდნელად, აღმოჩნდა კიდევ ერთი პატარა საკუჭნაო ზევით, სახურავის ქვეშ; მშვენიერი ოთახია, როგორც შენ თვითონაც ნახავ. სოფიმ, რომ ესიამოვნებინა ჩემთვის, თვითონ გააკრა შპალერი, და ახლა ჩვენ იქ გავიმართეთ საწოლი. ნამდვილი ბოშების კარავია!

– ერთი სიტყვით, ძვირფასო ტრედელს, შენ სრული ბედნიერი ხარ ცოლის შერთვით. უზომოდ მიხარია!

– გმადლობ, მეგობარო! – მითხრა ტრედელსმა და ხელი ჩამომართვა. – დიას, ისეთი ბედნიერი ვარ, როგორც კი შეიძლება იყოს ადამიანი! აი ჩვენი ქალებიც! უნდა გაგაცნო, მისტერ კოპერფილდ. მის კაროლინა კრულერ, მის სარა, მის ლუიზა, მარგარიტა და ლიუსი.

ესენი ნამდვილი ვარდები იყვნენ, ჯანსაღნი, აყვავებულნი, მშვენიერნი. მის კაროლინა ყველაზე ბრწყინვალე მოჩანდა, მაგრამ სოფის ნათელ თვალებში იმდენი სინაზე, გულწრფელობა და სიყვარული გამოსჭვიოდა, რომ იგი გარკვევით ჩრდილავდა დის სილამაზეს, და მე დავრწმუნდი, რომ ჩემი მეგობარი არ შემცდარა არჩევანში. მისის ტრედელსმა დაგვისხა ყველას თითო ფინჯანი ჩაი, მიჯდა კუთხეში ბუხართან და შეუდგა ტორტის მზადებას.

ეს საქმე არ უშლიდა ჩვენს მშვენიერ დიასახლისს, მხიარულებაშიც მიეღო მონაწილეობა, და გავიგე, უპირველესად ყოვლისა, რომ მისის ტრედელსს ენახა აგნესა. თომასმა ქორწილის შემდეგ წაიყვანა იგი კენტერბერიში და იქ მან ჩემი პაპიდაც ნახა. აგნესა და პაპიდა მაშინ ძალიან კარგად იყვნენ. ისინი სულ ჩემზე ლაპარაკობდნენ. თომა სულ ჩემზე ფიქრობდა, სანამ საზღვარგარეთ ვიყავი, როგორც მარწმუნებდა სოფი. იგი დარწმუნებულია, რომ მას მე ყველაზე მეტად ვუყვარვარ. თომა მისთვის უდიდესი ავტორიტეტი იყო ყველა შემთხვევაში, რაც არ უნდა მოხდეს, მას მუდამ სჯერა თომას სიტყვა და ეყვარება იგი მთელი სულითა და გულით.

სოფი და ტრედელსი ისეთ განსაკუთრებულ პატივისცემას იჩვენდნენ „მზეთუნახავისადმი“, რომ ეს უფრო მოკრძალებულ მორჩილებას მოგაგონებდათ. ეს ძალიან მართობდა, თუმცა საერთოდ მათ თავაზიანობასა და თავგანწირვას აღტაცებაში მოყვავდი. თუ მისის ტრედელსმა მთელ სადამოს ერთხელ სთხოვა მეუღლეს მოეტანა რამე, ან შეედგა მადლა რაიმე ნივთი, ამგვარი თხოვნით და დავალებით მისტერ ტრედელსს მიმართავდა თითოეული ვარდისფერი ქალი თორმეტჯერ მაინც, ერთი საათის განმავლობაში. ისინი ვერ სძლებდნენ აგრეთვე სოფის გარეშე. თუ რომელი მათგანს გაეწეწა კულული, მხოლოდ სოფის შეეძლო მისი წესრიგში მოყვანა, რადგან იგი უხვევდა თმებს და თავს ვარცხნიდა ყველა თავის დას; თუ რომელიმე მათგანს დაავიწყდებოდა რაიმე სიმღერის ჰანგი, მხოლოდ სოფის შეეძლო მისი მოგონება. დაგვჭირდა, მოგვეგონებინა რომელიღაც დაბის სახელი დევონშირში, – მხოლოდ სოფის შეეძლო სცოდნოდა, რა ერქვა

მას. რაღაცის გამო საჭირო იყო წერილის მიწერა სახელში, – სოფი მისწერდა ამ წერილს ხვალ დილით, ჩაის წინ. ერთი სიტყვით, ვარდისფერი ყმაწვილი ქალები ბატონობდნენ ამ სახელში უდავოდ. და ყოველად შეუძლებელი იყო მათთვის უფრო ერთგულის და უფრო ბეჯითი მოსამსახურეების შოვნა, ვიდრე იყვნენ ტრედელსი და სოფი. არ ვიცი, რამდენი ბავშვი გამოზარდა სოფიმ თავის სიცოცხლეში, მაგრამ მან იცოდა ყველა ასაკის ბავშვის სიმღერები, რომლებიც კი ოდესმე შეთხზულა ინგლისურ ენაზე. სუფთა, წკრიალა ხმით მან იმ სადამოს, თავისი დების ბრძანებით, იმღერა ერთი თორმეტჯერ მაინც სულ სხვადასხვანაირი ჰანგები. მე სრულიად მოხიბლული და გაოცებული ვიყავი. ყველაზე უკეთესი ის იყო, რომ ყველა ამ მოთხოვნილებასთან ერთად, ყველა ეს ქალი უაღრეს სინაზესა და პატივისცემას გრძნობდა სოფისა და ტრედელსისადმი. დარმწუნებული ვარ, რომ არც ერთ აბურძგენილ თავს და, საერთოდ, არც ერთ თავს, არა ჰრგებია კოცნის ისეთი სექცვა, როგორც ტრედელსს თავს დაატყდა, როცა იგი წამოვიდა ჩემს გასაცვილებლად სასტუმროში.

მე გავმორდი ტრედელსს საერთო დარბაზში და მისი წასვლის შემდეგ დიდხანს სიამოვნებით ვიგონებდი მთელ ამ სცენას. ეს იმას ჰგავდა, რომ უეცრად დამენახა ათასი ვარდის ბუჩქი, გაზრდილი და გაფურჩქვნილი ამ მსცოვანი შენობის ზემო სართულში, რომეიც მოწოდებული იყო ბრიტანეთის კანონების შესასწავლად. დევონშირელი ქალები ყოფნა საწერი მასალებით დატვირთულ მტვრიან თაროებს შორის, ჩაი და ტორტი, თამაშობდა და ბავშვური სიმღერები ამ ბურუსიან სამეფო ეტრატებისა, წითელი თასებისა, შავი ყდებისა, მეღნის შუშებისა, საწერი ქაღალდებისა, იურიდიული განაჩენებისა, განცხადებებისა, – ყოველივე ეს ისეთ ფანტასტიკურ და სასაცილო სურათს წარმოადგენდა, თითქოს სიზმარში ვნახე, რომ ვექილების სიაში მოხვდა სულთანის ოჯახი „ათას ერთი ღამიდან“ და მოიტანა თან მოლაპარაკე ფრინველი, მომღერალი ხე და ოქროს წყალი.

მივიდგი სკამი ერთ-ერთ ბუხართან საერთო დარბაზში და ვფიქრობდი სევდით, მაგრამ უნაღველოდ, ჩემს წარსულ ბედზე, და შემეძლო უშიშრად შემეხედა ჩემი მომავლისათვის. სახლი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, არ არსებობდა ჩემთვის. ის, ვისშიც შემეძლო აღმეძრა სიყვარული ჩემდამი, მე თვითონ მივაჩვიე იმ აზრს, რომ მხოლოდ და ყოფილიყო ჩემთვის. იგი გათხოვდებოდა; ჩემს მაგივრად სხვა წარადგენს თავის უფლებას მის გულზე და იგი არასოდეს არ გაიგებს იმ სიყვარულს, რომელთაც სავსე იყო ჩემი გული.

მაგრამ შეუძლია კი ჩემს გულს, თუმცა იგი გამობრძმედილია ხანგრძლივი უბედურებით, დამზვიდებით აიტანოს თავისი ხვედრი? როდესაც ჩავუფიქრდი ამ საკითხს, ჩემი თვალები უეცრად შეჩერდნენ არსებაზე, რომელიც თითქოს ბუხრის ალიდან გამოვიდა ჩემს მოგონებასთან ერთად.

პატარა დოქტორი ჩილიპი, რომელსაც ჰქონდა ერთგვარი დამსახურება ჩემს გაჩენაში ამქვეყნად, იჯდა მეორე კუთხეში და გაზეთს კითხულობდა. მრავალმა ზამთარმა და ზაფხულმა გადაიარა მისტერ ჩილიპის თავზე; მაგრამ იგი ახლაც, როგორც ყოველთვის, ისევ ის პატარა, უწყინარი და ჭკვიანი ადამიანი იყო. თითქმის ეჭვი არ შემპარვია, რომ პატივცემული დოქტორი არაფრით არ გამოცვლილიყო იმ ღამიდან, როდესაც იგი იჯდა ჩვენს სასტუმროში პაპიდას პირდაპირ და მოელოდა ჩემს განაჩენს.

მივედი მასთან და ვუთხარი:

– როგორ ბრძანდებით, დოქტორ ჩილიპ?

ამ მოულოდნელმა კითხვამ, უცნობი ადამიანის მხრით, ძალიან აადრევა პატივცემული მედიცინის დოქტორი, ასე რომ, ძლივს მოითქვა სული და მიპასუხა:

– გმადლობთ, სერ, თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით. დიდად გმადლობთ.

– თქვენ არ გახსოვართ, დოქტორ ჩილიპ?

– არ ვიცი, სწორი მოგხსენოთ, – მიპასუხა მისტერ ჩილიპმა მორიდებული დიმილით, თან თავს იქნევდა და ყურადღებით მაკვირდებოდა, – ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, თითქოს თქვენი სახე მეცნობა, მაგრამ ვერასგზით ვერ მომიგონებია თქვენი სახელი, სერ.

– და თქვენ კი ამ სახელს იცნობდით უფრო ადრე, ვიდრე მე თვითონ გავიგებდი მას.

– ნუთუ? მაშასადამე, თქვენ გნებავთ თქვათ, სერ, რომ მე მქონდა პატივი, ჩემი ჩანამდებობის მოვალეობით, მოქმედი პირი ვყოფილიყავი, როდესაც... როდესაც...

– დიას, მისტერ ჩილიპ!

– აჰ, რას ბრძანებთ!.. თქვენ მეტისმეტად გამოიცვალეთ მასუკან, არა, სერ?

– ძალიან შესაძლებელია.

– ამ შემთხვევაში, სერ, – შენიშნა მისტერ ჩილიპმა. – თქვენ, იმედი მაქვს, მაპატიეთ, თუ ჩემს თავს ნებას მივცემ გკითხოთ, რა გვარი ბრძანდებით, სერ?

როდესაც ჩემი ვინაობა დავასახელე, დოქტორი ჩილიპი საშინლად აღელდა და ცხარედ დამიწყო ხელის ჩამორთმევა.

– აჰ! – შესძახა მისტერ ჩილიპმა, გადახარა თავი ერთ მხარეზე და დამაკვირდა ყურადღებით. – ნუთუ ეს თქვენ ხართ, მისტერ კოპერფილდ? საკვირველია! მე უეჭველად გიცნობდით, გაბედულება რომ მყოფნოდა, უფრო დაკვირვებით შემომეხედნა თქვენთვის. თქვენსა და თქვენს საბრალო მშობელს შორის დიდ მსგავსებას ვხედავ.

– მე არასოდეს არ მინახავს მამაჩემი, მისტერ ჩილიპ!

– ეს დიდად საწყენია ყოველის მხრივ, მეტადრე თქვენი სიცოცხლის ამ ხანაში. ჩვენ პროვინციაში ვცხოვრობთ, სერ, მაგრამ ჩვენამდეც კი მოაღწია თქვენმა სახელმა, – განაგრძო დოქტორმა ჩილიპმა და ისევ გაიქნია თავისი პატარა თავი. – ლიტერატურული სახელი დიდი რამ არის! თქვენი შრომა, სერ ძნელიც არის და წარმტაციც.

– რომელ მხარეში ცხოვრობთ თქვენ ამჟამად? – ვკითხე და გვერდში მივუჯექი.

– მე დავსახლდი რამდენიმე მილის სიშორეზე ქალაქ სენტედმონდსიდან, სერ, – მიპასუხა მისტერ ჩილიპმა. – ჩემმა მეუღლემ მიიღო აქ მემკვიდრეობით პატარა მამული; მე კი ვიყიდე აქვე პატარა პრაქტიკა და ვშრომობ დამაკმაყოფილებელი წარმატებით. იქნებ, გესიამოვნოთ გაიგოთ, ჩემი ქალიშვილი ახლა გასათხოვარი ქალია, სერ. დედამისი წარსულ კვირას იძულებული იყო, ორი გოჯით ჩამოეშვა მისი კაბა, სერ. ასე მირბის დრო, მისტერ კოპერფილდ! თქვენ არ გყავთ ოჯახობა, სერ?

მე უარყოფით გავიქნიე თავი.

– თქვენ ამ ცოტა ხანში დიდი უბედურება გეწვიათ, სერ, – მითხრა მისტერ ჩილიპმა, – მე ეს გავიგე თქვენი მამინაცვლის დისგან.

– მერე, სად ნახეთ იგი, მისტერ ჩილიპ!

– როგორ თუ სად? განა არ იცით, რომ თქვენი მამინაცვალი ჩემი მეზობელი გახდა?

– არა, არ ვიცოდი.

– დიას, მისტერ მორდსტონი ჩემი მეზობელია. მან შეირთო ყმაწვილი ქალი ჩვენი პროვინციიდან, და ამ ქალმა მზითვად მშვენიერი მამული მოუტანა. საბრალო! თქვენი ტვინი კი, სერ, ვფიქრობ, მუდამ მუშაობაში იმყოფება, არა? ეს ლიტერატურული შრომა, უეჭველია, მეტისმეტად დამქანცველია, არა, სერ?

მაგრამ ავუხვიე ამ კითხვას და ისევ მორდსტონებს დავუბრუნდი.

– ეჰ, რა ბევრი ვილაპარაკო! ჩვენ ხომ მშვენივრად გვახსოვს ძველი დრო მისტერ კოპერფილდ!

– და-ამამ არ აუხვიეს ძველ წესებს? – ვკითხე მე.

– არ ვიცი, როგორ გიპასუხოთ ამის გამო უფრო წესიერად, სერ, – მიპასუხა მისტერ ჩილიპმა, – მხოლოდ აი რაშია საქმე... ექიმი, რომელსაც აქვს ერთგვარი ნდობა რომელსამე ოჯახში, იძულებულია, თავის თანამდებობის გამო, დახუჭოს თვალები და დაიცოს ყურები. მაგრამ ყოველივე ამასთან უნდა მოგახსენოთ პირდაპირ, რომ ეს სასტიკი ხალხია, სერ; მეტსაც ვიტყვი: მათი სისასტიკე ამქვეყნიური ცხოვრების გარდა, მომავალ ცხოვრებაზედაც ვრცელდება.

– მომავალი, უეჭველია, მათ დაუხმარებლად მოეწეობა, მისტერ ჩილიპ. გაცილებით უფრო საინტერესოა, რას აკეთებენ ისინი ამჟამად.

მისტერ ჩილიპმა გაიქნია თავი, მოურია გლინტვეინს და მოსვა.

– უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მშვენიერი ლედი იყო! – შენიშნა მან სიბრალულით.

– ახლანდელი მისის ორდსტონი?

– დიახ, მშვენიერი და მომხიბლავი ლედი, – გაიმეორა მისტერ ჩილიპმა, – საყვარელი და სასიამოვნო ყოველმხრით. მისის ჩილიპი პირდაპირ დარწმუნებულია, რომ მისი გონება სრულებით შეირყა ამ უბედურის გათხოვების შემდეგ, და ამჟამად იგი ისე დადის, როგორც გიჟი. ასეთია ჩემი მეუღლის აზრი, და თქვენ ხომ იცით, – დაუმატა მისტერ ჩილიპმა იდუმალი კილოთჲ, – რომ ქალებს დიდი დაკვირვების უნარი აქვთ ამგვარ შემთხვევებში.

– უეჭველია, და-ძმა შეერთებული ძალით ცდილობდნენ მის მორჯულებას თავისებურად! – ვუთხარი მე. – და, უეჭველია, მიაღწიეს თავის მიზანს.

– თითქმის ასეა, დიახ, – დამიდასტურა მისტერ ჩილიპმა. – ჯერ მათ შორის დიდი დავა და ჩხუბი იყო, მაგრამ ახლა შემიძლია დაგარწმუნოთ, ის საბრალლო აზრდილივით დადის. როდესაც და მოვიდა ძმის მისაშველებლად, ორივემ პირდაპირ სული ამოართვეს იმ საცოდავს, ასე რომ, იგი მისულია ფიზიკურ და გონებრივ უმწეობამდე.

მე ვუთხარი, რომ ეს ადვილი დასაჯერებელია.

– და თუ გულახდილობაზე წავიდა, – განაგრძო მისტერ ჩილიპმა და ისევ მოსვა გლინტვეინი, – შემიძლია მოგახსენოთ საიდუმლოდ, რომ მისი დედა ჯავრისაგან გარდაიცვალა, როდესაც დარწმუნდა შვილის უბედურებაში. ვინ იცის? მთელი ეს სულიერი ტანჯვა და სასტიკი მოპყრობა, უეჭველია, ადრიან სამარეში ჩაიყვანენ თვით მისის მორდსტონსაც. გათხოვებამდე კი იგი მხიარული და ჯანსაღი ქალი იყო, მაგარი აგებულებისა. ქმარი და მული ნამდვილ ციხის მცველებად ჰყვანან საბრალლოს!

– უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი ძალიან არ უყვართ ჩვენს კუთხეში, – განაგრძო მისტერ ჩილიპმა, – თუმცა მათ ეს არაფრად ენაღვლებათ და სრული თავისუფლებითა და სინდისის უქენჯნავად უქადიან სამუდამო დაღუპვას ყველას, ვინც კი მათ სიძულვილსა ბედავს. ამგვარად განწირული მრავალია ჩვენს მხარეში და მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს; მაგრამ მისის ჩილიპი სამართლიანად სჯის, რომ და-ძმა თვითონ არიან განწირული, ითმინონ საუკუნო სასჯელი, რადგან გაურბიან ხალხის საზოგადოებას და იძულებულნი არიან, იკვებონ თავიანთი საკუთარი გულებით; და უნდა მოგახსენოთ, რომ მათი გული ცუდი საკვებია! ნება მიბოძეთ ახლა შეგეკითხოთ თქვენი ტვინის შესახებ, სერ... ეს საკითხი თავიდან არა მშორდება. უეჭველია, თქვენ დიდ ძალას ატანთ მას, – ასე არ არის, მისტერ კოპერფილდ?

მაგრამ ვინაიდან თვით მისტერ ჩილიპის საკუთარ ტვინს ერთგვარი ძალა ადგა ზედმეტი გლინტვეინის ხმარებით, ჩემთვის ძნელი არ იყო მისის გადაყვანა ამ თემიდან. სხვათა შორის, გავიგე, რომ მისტერ ჩილიპი ჩამოსულია ამჟამად გრეისინში, რათა წარადგინოს მედიკურ კომიტეტში ჩვენება ერთი შესანიშნავი პიროვნების შესახებ, რომელმაც შეარყია თავისი ტვინი უზომო ღოთობით. ეს პიროვნება მისი პაციენტი იყო.



– ამგვარ შემთხვევაში, სერ, – მითხრა მისტერ ჩილიპმა, – მეტად მიზეზიანი ვხდები. ჩემი მეთოდი ნებას არ მაძლევს, სასტიკ ზომებს მივმართო პაციენტის მიმართ. ეს, ასე ვთქვათ, დაამცირებდა ჩემს ადამიანობას. იცით, მისტერ კოპერფილდ, დიდხანს ვერ მოვედი გონს იმ მოუსვენარი ლედის საქციელის გამო, რომელთანაც მომიხდა პირისპირ ჯდომა თქვენი დაბადების მოლოდინში. საშინელი რამე იყო!

ამის პასუხად შევნიშნე, რომ ხვალ დილით მივემგზავრები პაპიდასთან, რომელმაც ისე დააშინა იგი იმ ღამეს, და რომ იგი მშვენიერი დედაკაცია, როგორც თვით მისტერ ჩილიპიც დარწმუნდება, უფრო ახლოს რომ გაეცნო იგი. მაგრამ მარტო იმ ფიქრმა, რომ შესაძლებელი იყო შეხვედრა ამ არსებასთან, ისეთი ცხადი თავზარი დასცა მისტერ ჩილიპს, რომ წარმოთქვა ოდნავი ღიმილით: „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ შემდეგ უბრძანა, მოეტანათ სანთელი და დაუყოვნებლივ წავიდა საწოლ ოთახში, თითქოს სხვაგან ვერსად ვერ იგრძნობდა თავს უზრუნველყოფილად პაპიდას შემოტევისგან. იგი სამკაოდ მაგრად იდგა ფეხზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პატარა კაცის პულსი საშინლად სცემდა და ისეთ ხიფათს აღნიშნავდა, როგორიც მას, უეჭველია, არ გამოუცდია მას შემდეგ, რაც პაპიდა, გაცრუებული თავის მოლოდინში ქალის დაბადების გამო, ეტყერა თავისი ქუდით.

შუალამე იყო. დოქტორ ჩილიპის შემდეგ მეც წავედი დასაძინებლად.

მეორე დღეს დუერის დილიჯანსმა გადამიყვანა საღსალამათი მის ბეტსის ძველებურ სასტუმრო ოთახში, სადაც იგი, ამჟამად სათვალეებით შეიარაღებული, ჩაის მიირთმევდა. პაპიდა, მისტერ დიკი და პეგოტი, რომელიც ახლა პაპიდასთან ცხოვრობდა, როგორც დიასახლისი, დამხვდნენ აღტაცებითა და სიხარულის ცრემლებით. როდესაც, პირველი აღელვების შემდეგ, ჩვენმა ლაპარაკმა დამშვიდებული ხასიათი მიიღო, გუამბე პაპიდას, როგორ შევხვდი მისტერ ჩილიპს და რა საზარელი მოგონება დარჩენია პატარა დოქტორს პაპიდას შესახებ ამ დრომდის. ამან დიდად ასიამოვნა მოხუცი. იგი და პეგოტი დიდხანს ლაპარაკობდნენ საბრალო დედანემის მეორე ქმარზე და იმ „ყაჩაღის“ – მისი დის – შესახებ, რომელსაც პაპიდა არასგზით, არავითარი სასჯელის შიშით და არავითარი სიკეთის გულისთვის არ უწოდებდა სხვა სახელს.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

აგნესა

როდესაც მე და პაპიდა მარტონი დავრჩით პატარა სასტუმროში, შუალამემდე შევეყვით ლაპარაკს. გავიგე, რომ გადასახლებულნი საკმაოდ ხშირად იწერებოდნენ სამშობლოში და რომ ყველა მათ წერილში გამოიხატებოდა ბრწყინვალე იმედები. მისტერ მიკობერი ისევ გზავნიდა ინგლისში პატარა თანხებს, სხვადასხვა „ფინანსურ ვალდებულებათა“ გამო, რომლებიც სრული იურიდიული ფორმით იყო დადებული „თავის მოყვარესთან“. ეს ნაწილობრივ წერილებიდანაც ვიცოდი, რომელსაც საზღვარგარეთ მიგზავნიდნენ. მაგრამ პაპიდას მოთხრობამ უფრო ნათლად ამიხსნა ყველა ის საინტერესო ამბები, რომელიც ჩემი დიდი ხნის არყოფნის დროს მოხდა. ამ მოთხრობაში მისტერ დიკიც არ იყო დავიწყებული. პაპიდამ შემატებინა, რომ იგი ახლა უმაგალითო გულმოდგინებით იღებს პირებს ყველაფრიდან, რაც კი ხელში მოხვდება, და უბედური ჩარლზ პირველი აღარავითარ მონაწილეობას აღარ იღებს ამ კალიგრაფიულ შრომაში. მისტერ დიკს წარმოუთქმელად ამხიარულებდა და ახალისებდა ხან ერთი და ხან მეორე მანუსკრიპტის პირის გადაღება, და ამ შრომამ ძალიან გაახალისა მისი ერთფეროვანი სიცოცხლე. თავისი მოხსენება

დიკის შესახებ პაპივამ დაამთავრა ჩვეულებრივი ფორმულით, რომ მის გარდა არავინ იცის და არც შეუძლია იცოდეს, რა ადამიანია მისტერ დიკი.

ვისხედით ბუხრის წინ ძველებურად და პაპივამ ხელს მისვამდა ხელზე. უცერად მკითხა:

– როდის აპირებ კენტერბერიში წასვლას, ტროტ?

– ხვალ დილით, პაპივამ, დავიქირაებ ცხენს და წავალ, ხომ არ გინდათ თქვენც წამობრძანდეთ ჩემთან ერთად?

– არა, ტროტ, – მიპასუხა პაპივამ, – მე სახლში დავრჩები.

– მაშინ მარტო წავალ. სიმართლე გითხრათ, დღესაც შევივლიდი კენტერბერიში, ძალიან რომ არ მდომოდა თქვენი ნახვა.

პაპივამ, როგორც ეტყობოდა, ნასიამოვნები იყო ამ სიტყვებით, მაგრამ მაინც მიპასუხა:

– ჰმ! ჩემი ბებერი ძელები ხვალამდეც მოიცდიდნენ, ტროტ, ტყუილად არ წახვედი.

და მან ისევ ხელი გადამისვა ხელზე. ვიდექი ახლა ბუხრის წინ, ჩაფიქრებული, რადგან აგნესას ხსენებამ გააცოცხლა ჩემი ყველა მწარე მოგონება და სინანული, რომელმაც მომიცვია ამ ბოლო ხანებში. ბევრი სანუგეში რამ იყო ამ სინანულში, რადგან მან მასწავლა ის, რაც ვერ გავიგე პირველ სიყმაწვილეში; მაგრამ მაინც ეს სინანული იყო. ახლა უკეთ მესმოდა პაპივას სიტყვები, რომელსაც იგი მეუბნებოდა ოდესღაც: „აჰ, ტროტ, ბრმა ხარ, ჩემო კარგო, ბრმა!“

ჩვენ ორივენი ჩუმი ვისხედით რამდენიმე წუთის განმავლობაში. როდესაც თვალები ავიღე, შევნიშნე, რომ პაპივამ დაკვირვებული ყურადღებით მადევნებდა თვალყურს. ისე მეჩვენა, თითქოს იგი ჩემი შინაგანი ფიქრის სვლასაც კი მისდევდა.

– მამამისი მოხუცია, ტროტ, მთლად გათეთრდა, – მითხრა პაპივამ, – თუმცა ყველა სხვა მხრივ გაცილებით უკეთესად არის. რაც შეხება აგნესას, იგი ისევ ისეთი კეთილი, მშვენიერი, ჭკვიანი და უნგაროა, როგორც ყოველთვის. რომ შემეძლოს მოვიგონო უმაღლესი ქება, ტროტ, ეს ქება აგნესასი იქნებოდა...

არ იყო მისთვის უდიდესი ქება, არ იყო ჩემთვის უარესი საყვედრი. ო, როგორ შორს ავცდი პირდაპირ გზას!

– თუ იგი ზრდის ყმაწვილ ქალებს და ასწავლის მათ, ისეთები იყვნენ, როგორიც თვითონ არის, – განგარძო პაპივამ დიდის გრძნობით და ცრემლები მოადგა თვალებზე, – ეჭვი არ არის, ტროტ, რომ მისი ცხოვრება კარგად მიდის. იყოს ბედნიერი თავისით და სასარგებლო თავისი ახლობლებისათვის, – აი, მისი მიზანი. ასე სთქვა მან თვითონ, და განა შესაძლებელია სხვაფრივ იყოს, როდესაც ლაპარაკია ასეთ არაჩვეულებრივ ქალზე?

– ჰყავს თუ არა აგნესას ვინმე...

ხმამაღლა ვიქრობდი, მაგრამ ვერ გავბედე ჩემი ფირების დაბოლოება.

– რა, ტროტ! რა გინდოდა გეთქვა? ჰყავს თუ არა... ვინ მაინც?

– საქმრო.

– საქმროები ათეულობით, – მიპასუხა პაპივამ რაღაც სიამაყით. – ჩემო კარგო, მას ოცჯერ მაინც შეეძლო გათხოვება შენს აქ არყოფნაში.

– არავითარ ეჭვი არ მეპარება ამაში, პაპივამ, მაგრამ მინდა ვიცოდე, ჰყავს თუ არა აგნესას ვინმე, მისი ღირსი?

ერთი წუთის განმავლობაში პაპივამ სდუმდა, ნიკაპით ხელზე დაყრდნობილი; შემდეგ ნელა მოაბრუნა თვალები ჩემსკენ და მითხრა:

– მე ეჭვი მაქვს, რომ აგნესას უყვარს...

– და, რასაკვირველია, ბედნიერია, – გაგაწყვეტინე მე.

– ტროტ, – მიპასუხა პაპივამ დინჯად. – არ შემეძლია ამის პასუხი მოგცე, არავითარი უფლება არ მქონდა მეთქვა ის, რაც ვთქვი. აგნესას არ მოუნდია ჩემთვის ეს საიდუმლო, მაგრამ ეჭვი მეპარება.

და პაპივამ ისეთი დაკვირვებული და აღელვებული ყურადღებით შემომხედა (იგი შეკრთა კიდევ), რომ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე დაგრწმუნდი, იგი მართლაც მისდევდა ჩემს ფიქრთა მიმდინარეობას. საბოლოო დასკვნამდე მივიყვანე ყველა ჩემი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება და ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად, შემეკავებინა გულის დეღვა.

– სრულებით არ ვიცი, ასეა თუ არა, – მიპასუხა პაპივამ, – შენ არ უნდა დაემყარო ჩემს ეჭვებს. იქნებ ეს ეჭვები უსაფუძვლოა. მე არ მაქვს ლაპარაკის უფლება.

– თუ ეს ასეა, – გავიმეორე მე, – აგნესა, უეჭველია, გამიზიარებს თავის გულის საიდუმლოს. არასოდეს არაფერი დამიმალავს მისგან, როგორც დისგან, და იმედი მაქვს, არც იგი დამიმალავს რამეს.

პაპივამ მძიმედ მოაშორა თვალები ჩემს სახეს და, ჩაფიქრებულმა, თვალებზე ხელი მიიფარა. მეორე მისი ხელი ჩემს მხარზე იდო. ასე ვისხედით და ვიგონებდით წარსულს და აღარც ერთი სიტყვა აღარ გვითქვამს ერთმანეთისთვის, სანამ დასაძინებლად არ გავშორდით.

დილაადრიან კენტერბერიში გავემგზავრე. ვერ ვიტყვი, ვითომ სრულებით ბედნიერი ვიყავი იმედით, რომ გავიმარჯვე ჩემს თავთან ბრძოლაში; ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩემი ბედნიერება იზრდებოდა ჩქარი შეხვედრის მოლოდინში.

მაღე გადავიარე ნაცნობი მინდვრები და შევედი ძველი ქალაქის წყნარ ქუჩებში, სადაც ყოველი ქვა ნცნობი იყო ჩემთვის პატარაობიდან. მიგუახლოვდი ძველ სახლს და უკუვდექი, რადგან ჩემმა გულმა მეტისმეტად ძლიერი საფრთხე იგრძნო. დავბრუნდი მძიმე ნაბიჯით და კუთხის მრგვალი ოთახის ფანჯარაში შევიხედე, სადაც ოდესღაც კანტორის წიგნებს უსხდნენ: ჯერ – ური ჰიპი და შემდეგ – მიკობერი. ეს ოთახი ახლა პატარა სასტუმროდ იყო მოწყობილი და მასში აღარ იყო აღარავითარი ნიშანი წინანდელი კანტორისა. ყველა სხვა მხრით დარბაისელი ძველი სახლი, ფაქიზი და სუფთა, ისევ ისეთი იყო, როგორიც პირველად ვნახე იგი. ჩემს დაკაკუნებაზე გამოვიდა ახალი მოახლე, ჩემთვის უცნობი. ვთხოვე მოესხენებინათ მის ვიკფილდისათვის, რომ მისი ნახვა სურს ჯენტლმენს, ახლადდაბრუნებულს საზღვარგარეთიდან, მისი მეგობრისაგან დავალებით. ამიყვანეს ძველი კიბით სასტუმრო დარბაზში, რომელსაც სავსებით შეენახა თავისი უწინდელი სახე. წიგნები, რომელთაც ვკითხულობდით ოდესღაც მე და აგნესა, ისევ იმ თაროებზე ელაგა და პატარა მაგიდა, სადაც გაკვეთილებს ვამზადებდი ხოლმე საღამოობით, ისევ იმ კუთხეში იდგა. ყველა ცვილილება, შემოტანილი ჰიპების შემოსევით, წარუშალათა და ყველაფერი ისევ ძველ წესზე იყო დალაგებული, როგორც დიდი ხნის წარსულს ბედნიერს დროს.

გაიღო პატარა კარი; შევეკრთი და მივბრუნდი. მშვენიერი, ნათელი თვალები ჩემი ბავშვობის მეგობრისა შეხვდა ჩემს თვალებს. მე გადავეხვიე მას.

– აგნესა! ძვირფასო მეგობარო! ძალიან მოულოდნელად გამოვცხადდი თქვენს წინაშე!

– ო, არა, არა! მე მიხარია თქვენი ნახვა, ტროტვუდ!

– არ დამიჯერებთ, აგნესა, რა ბედნიერი ვარ, რომ ისევ გხედავთ!

მე გულში ჩავიკარი და ორივენი ხმაამოუღებლად ვიდექით ასე რამდენიმე წუთს, შემდეგ დავსხედით ერთად და მისმა მშვენიერმა სახემ შემომანათა ისეთი აღერსით, რომელზედაც ცხადად თუ სიზმრად, წლებით ვოცნებობდი.

იგი ისეთი მშვენიერი იყო, ისეთი კეთილი, რომ ვერ მომენახა ჩემი გრძნობის გამომხატველი სიტყვები. მინდოდა მადლობა გადამეხადა მისთვის; მინდოდა გამომეთქვა (როგორც ხშირად წერილებში ვწერდი), როგორი კეთილი გავლენა ჰქონდა ხოლმე მას მუდამ ჩემს ბედზე, მაგრამ ჩემი ცდა ამას დარჩა. სიხარულისა და სიყვარულისაგან ვედარ შევბული ლაპარაკი.

აგნესა ეცადა, თავისი მუდმივი სათნოებით დამეშვიდებინა ჩემი აღელვებული გრძნობები; დამიწყო ლაპარაკი ემილიაზე, რომელიც მას რამდენჯერმე ენახა

იდუმალად, გადასახლებულთა გამგზავრების წინ, და ღრმა სინაზით მელაპარაკებოდა დორას საფლავის შესახებ. იგი ისე ჰარმონიულად და ნაზად ეხებოდა ჩემი მოგონების სიმებს, რომ არც ერთი მათგანი არ უღრიალებდა. ვუსმენდი სევდიანი, შორი მუსიკის ხმას სრული მოწიწებით და არავითარი სურვილი არ მქონდა, მომეშორებინა მოგონებანი, რომელთაც იგი ჩემს გულში იწვევდა. და ან რად უნდა მომეშორებინა, როდესაც ყველა ჩემს მოგონებებთან განუყრელ კავშირში იყო ის, აგნესა, ჩემი ცხოვრების მფარველი ანგელოზი!

– თქვენ, აგნესა, – დავიწყე ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ, – მითხარით რამე თქვენს შესახებ. თითქმის არაფერს არ მელაპარაკებით საკუთარი ცხოვრების შესახებ, ჩემი ხანგრძლივი არყოფნის განმავლობაში.

– რა გითხრათ, ტროტუდ? – მიპასუხა მან ნათელი ღიმილით. – მამა ჯანმრთელად არის და უწინდებურად ჩვენ ძველს სახლში ვცხოვრობთ. ჩვენი მრეღვარება დასრულდა, სახლი დაავიბრუნეს; რაკი ეს იცით, ჩემო ტროტუდ, მაშ ყველაფერი გცოდნიათ.

– ყველაფერი, აგნესა? – ვკითხე მე.

შემომხედა, წუთიერმა მორცხვობის აღმურმა აუღეწა უცებ სახე და ისევ გაქრა. გაიღიმა წყნარი ნაღველის გამომეტყველებით, როგორც მე მეჩვენა და თავი გაიქნია.

შვენიშნე მღელვარების ნიშნები სახეზე და სხვა საგანზე გადავუხვიე.

– ბევრი საქმე გაქვთ, ძვირფასო აგნესა?

– ჩემს პანსიონში? – მკითხა მან და ისევ მომაპყრო ნათელი, წყნარი თვალები.

– დიახ, თქვენ, უეჭველია, ძალიან იღლებით?

– კი, მაგრამ ეს შრომა იმდენ სიამოვნებას მგვრის, რომ უმადურობა იქნებოდა, მას შრმა ვუწოდო.

სიწითლის ფერმა ერთხელ კიდევ გადაჰკრა და გაჰქრა მის სახეზე და, როდესაც დაღუნა თავი, ისევ შვენიშნე სევდიანი ღიმილი.

– თქვენ ინახულებთ მამას და, რასაკვირვლია, მთელ ამ დღეს ჩვენთან გაატარებთ, – მხიარულად მითხრა აგნესამ. – იქნება ღამეც გაათიოთ თქვენს ოთახში? ჩვენ ყოველთვის „თქვენს ოთახს“ ვუწოდებთ მას, ძველი ჩვეულებისამებრ.

უკანასკნელი წინადადებით არ შემეძლო მესარგებლა, რადგან პაპიდას დავპირდი, რომ იმ საღამოსვე დავბრუნდებოდი; მაგრამ სიხარულით დავეთანხმე, დავრჩენილიყავი მთელი ღლით.

– რამდენიმე ხანს დაკავებული ვიქნები, – მითხრა აგნესამ, – მაგრამ თქვენ აქ ნახავთ წიგნებს, ტროტუდ, და ძველ ნოტებს.

– და ძველ ყვავილებსაც, აგნესა, მგონი, ყველა ძველ ნივთს, – ვუთხარი და გარს მოვიხედე.

– თქვენ მართალი ხართ, ტროტუდ. როდესაც საზღვარგარეთ იყავით, განსაკუთრებულ სიამოვნებას ვგრძნობდი იმაში, რომ ყველა ძველი ნივთი ძველი წესრიგით შემენახა. ჩვენ ოდესღაც ძალიან ბედნიერები ვიყავით, არა?

– ო, რასაკვირველია, ჩვენ ბედნიერები ვიყავით! – დავუდასტურე მე.

გაიღიმა და გავიდა იმავე კარებში, რომელშიაც შემოვიდა.

ეს და-ძმური სიყვარული იყო და ახლა ერთადერთი საუნჯე და ჩემს მოვალეობად ვთვლიდი – ხელუხლებლად და მოწიწებით გავფრთხილებოდი მას. მე რომ ნება მიმეცა ჩემი თავისთვის და შემერყია ის მეგობრული ნდობა, რომელიც წარმოიშვა ხანგრძლივი ჩვეულების გამო, ვფიქრობ, აუცილებლად და სამუდამოდ დაგვარგავდი ამ საუნჯესაც. ეს აზრი ღრმად ჩამენერგა ახლა გულში და მასზე ვცდილობდი დამემყარებინა ჩემი მომავალი დამოკიდებულება აგნესასთან. რაც უფრო მეტად მიყვარდა იგი, მით უფრო მეტად ვცდილობდი, არ მომეშორებინა გონებიდან ეს აზრი.

მისტერ ვიკვილდი ეს არის ახლა დაბრუნებულიყო ბაღიდან, რომელიც ორი მილის სიშორეზე იყო ქალაქიდან. იგი დადიოდა იქ თითქმის ყოველდღე და მუშაობდა. მისტერ ვიკვილდი სწორედ ისეთი იყო, როგორც ამიწერა პაპილამ. ჩვენ დავსხედით სადილზე ექვსიოდე პატარა გოგონასთან ერთად. სახლის პატრონი ახლა აჩრდილად მომეჩვენა თავისი მშვენიერი სურათისა, რომელიც კედელზე ეკიდა.

სიმშვიდე და სიწყნარე დამყარდა ისევ ძველებურ სახლში, როდესაც სადილი გათავდა, ყველანი ავედით ზევით სასტუმროში, რადგან მისტერ ვიკვილდი აღარ სვამდა ახლა ღვინოს, და, მაშასადამე, არ იყო საჭირო დარჩენა სასადილოში ტკბილის შემდეგ. აგნესამ და მისმა მოწაფეებმა დაიწყეს თამაშობა, სიმღერა და ხელსაქმე. ჩაის შემდეგ ბავშვები გამოგეთხოვნენ და წავიდნენ დასაძინებლად. ჩვენ ვისხედით სამნი და ვბაასობდით ძველ დროზე.

– ჩემი როლი წარსული დროის განმავლობაში ისეთი იყო, – თქვა მისტერ ვიკვილდმა და გაიქნია ჭადარა თავი, – რომ უნდა ვინანო, დრმად ვინანო და ვივაგლახო. რატომ, თქვენ ეს იცით, ტროტვუდ! მაგრამ გითხრათ სრული სიმართლე? არ ვინდომებდი, რომ ეს წარსული წამეშალა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო კიდევ.

ადვილად დაგუჯერე ამ სიტყვებს, როდესაც შევხედე სახეს, რომელიც ამ ჭადარა მოხუცის გვერდით იყო.

– მე რომ წარსული წავშალო, – განაგრძო მისტერ ვიკვილდმა, – იძულებული ვიქნებოდი წამეშალა მასთან ერთად უმაგალითო მოთმინება, ერთგულება, თავის გაწირვა, ბავშვური სიყვარული... არა! უფრო ადრე დავიფიწყებ ჩემს საკუთარ თავს ვიდრე ამ წარსულს, როგორც არ უნდა იყოს მასში ჩემი როლი.

– მესმის, სერ, – ვუთხარი დაბალი ხმით, – და პატივს ვცემ თქვენს გრძნობებს, როგორც მუდამ პატივს ვცემდი მათ...

– მაგრამ არავინ, თქვენც კი, ტროტვუდ, არავი არ იცის, რამდენი გააკეთა მან, როგორი შინაგანი ბრძოლა გადაიტანა ძვირფასმა აგნესამ თავის თავთან.

მის შესაჩერებლად აგნესამ მუდარებით შეხედა და თავისი ხელი დაადო მის მხარეს; სახე საშინლად გაუფითრდა.

– კარგი, ჩემო საყვარელო, კარგი! – უთხრა მისტერ ვიკვილდმა დრმა ამოოხვრით და თან განაგრძობდა, როგორც ჩანდა, ბრძოლას რაღაც შინაგან სატანჯავთან. – არასოდეს არ მიაბნია თქვენთვის, ტროტვუდ, მისი დედის ამბავი. ან იქნება სხვა ვინმემ გაიმბოთ?

– არავინ, სერ.

– ამბავი ძალიან უბრალოა, თუმცა, შესაძლოა, ტრაგიკული. იგი გამოძვდა ცოლად მამის სურვილის წინააღმდეგ და მამამ უარი სთქვა თავის ქალიშვილზე. ქალი პატიებას სთხოვდა, სანამ აგნესა დაიბადებოდა ამქვეყნად. მაგრამ იგი სასტიკი ადამიანი იყო, მოუდრეკელი, მკაცრი, დედა კი დიდი ხანია, რაც სამარეში იწვა. მამამ უარი უთხრა პატიებაზე.

აგნესა მიეყრდნო მის მხარეს და ხელი მამის ყელს მოხვია.

– მას მოსიყვარულე, ნაზი გული ჰქონდა და იგი დაიმსხვრა, – განაგრძობდა მისტერ ვიკვილდი. – ნაზად ვუყვარდი, მაგრამ ბედნიერი არასოდეს ყოფილა. მუდამ იტანჯებოდა ფარული სულიერი სევდით. უკანასკნელმა უარმა შეუბრალებელი მამის მხრივ (მან მრავალჯერ მიმართა მამას) საბოლოოდ დაასუსტა მისი სათუთი სხეული. იგი დაჭლებქდა და მოკვდა. მან დამიტოვა ორი კვირის აგნესა და ჭადარა თმები, რომელიც თქვენ უთუოდ შემამჩნიეთ, ტროტვუდ, თქვენი პირველი მოსვლის დროს ამ სახლში.

მან აკოცა აგნესას ღოყაზე.

– ჩემი სიყვარული პატარა შვილისადმი, რასაკვირველია, უმწეო იყო, მაგრამ მაშინ ვიტანჯებოდი განუკურნებელი სენით. მეტს არაფერს ვიტყვი ამაზე.

ვლადიმერს ჩემს შესახებ კი არა, ტროტკულ, არამედ მის დედაზე და თვით მასზე. თუ მე განდობთ ჩემი სიცოცხლის ამ კვანძს, იმედი მაქვს, თქვენ მოახერხებთ მის გახსნას, და ვიცი – მიხედვით, რად გავხდი ისეთი, როგორსაც თქვენ მიცნობდით, ტროტკულ, იმ დიდი ხნის წარსულ დღეებში. მე ყველაფერი ვთქვი.

მოსუცის დახრილი თავი და მისი ქალის სათნოებით სავსე სახე ამთავრებდნენ ამ მოთხრობის აზრს. საჭირო რომ ყოფილიყო განსაკუთრებული ხაზით აღმენიშნა ჩვენი შეხვედრის ხასიათი იმ საღამოს, ეს სურათი უნდა დამეხატა.

რამდენიმე წუთის შემდეგ აგნესა მივიდა ფორტეპიანოსთან და დაუკრა რამდენიმე ძველი ჰანგი, რომლებიც წარსულ დროს ხშირად მოგვისმენია ამ ოთახში.

– ხომ არ აპირებთ კვლავ საზღვარგარეთ წასვლას? – მკითხა აგნესამ, როდესაც გვერდით დავუდექი.

– რას იტყვის ამაზე ჩემი დაია?

– იმედი მაქვს, რომ არ წახვალთ.

– ამ შემთხვევაში არც დამებადება ეს განზრახვა, აგნესა.

– რადგან თქვენ მეკითხებით, უნდა გითხრათ გულახდილად, ტროტკულ, რომ აღარ უნდა წახვიდეთ.

– დიას, ჩემო ძვირფასო დაო, – ვუთხრაი მე და დავიხარე მისკენ, – თქვენი მადლობელი უნდა ვიყო ყველაფერში. დღეს ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე უნდა მეტქვა თქვენთვის ის, რაც მუდამ ცოცხლობდა ჩემს ფიქრებში დორას სიკვდილის შემდეგ. გახსოვთ, აგნესა, როგორ შემოხვედით ჩვენს პატარა ოთახში ხელაწვდილი?

– ო, ტროტკულ, – მითხრა ცრემლმორეულმა აგნესამ, – რა მოსიყვარულე გულუბრყვილო, ნორჩი არსება იყო! როგორ შემიძლია დავივიწყო თქვენი დორა!

– და რაც იყავით თქვენ ჩემთვის იმ საბედისწერო წუთს, ძვირფასო დაო, იგივე თქვენ ჩემთვის ყოველთვის. მუდამ ასეთნაირად წარმომედგინეთ, აგნესა. თქვენ ყოველთვის იყავით ჩემთვის ხემძღვანელი მაღალ მისწრაფებათაღმი!

მან დახარა თავი. ცრემლმორეულ სახეზე გაუელვა ისევ იმ სევდიანმა, მშვიდმა ღიმილმა.

– იმ ზომამდე ვარ თქვენი მადლობელი, აგნესა, რომ ვერ ვპოულობ სიტყვებს ჩემი გრძნობების გამოსათქმელად. უნდა იცოდეთ (თუმცა არ ვიცი, როგორ გამოვთქვა ეს), რომ ასე გიყურებთ მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, და თქვენ მუდამ წამიძღვებით ჭეშმარიტებისაკენ, როგორც უკვე გამომიყვანეთ მძიმე განსაცდელის ბნელი ლაბირინთიდან. არც არ უნდა მოხდეს ამის შემდეგ, როგორი ახალი ცვლილებაც არ უნდა მოხდეს ჩვენს ბედში, ჩემი თვალები მუდამ თქვენსკენ იქნება მიპყრობილი და მე ისევ ისე მეყვარებით, როგორც მიყვარდით აქამდე. თქვენ იქნებით ჩემი ერთადერთი ნუგეში და იმედი, როგორც მუდამ იყავით, სიკვდილამდე, ჩემო ძვირფასო დაო, გიყურებთ თქვენ, როგორც საუკეთესო მშველელსა და უმაღლეს წინამძღოლს.

მან გამომართვა ხელი და მითხრა, რომ ამაყობს ჩემით, თუმცა მას ვაკუთვნებ ქებას, რომლის ღირსი არ არის. შემდეგ განაგრძო დაკვრა, თან თვალს არ მაშორებდა.

– ხომ არ დასცინებთ, აგნესა, ჩემს საყვარელ ოცნებას?

– არა!

– ხომ არ დამცინებთ, თუ ვიტყვი, რომ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენი მოსიყვარულე გული გაუბლებს ყოველგვარს წყენას და თქვენ არასოდეს, სიცოცხლის ბოლომდე არ გამოიცვლებით თქვენს გრძნობებში?

– ო, არა! არა!

სევდიანი ფიქრის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე და იმწამსვე გაჰქრა. იგი განაგრძობდა დაკვრას და თან შემომყურებდა თავისი წყნარი ღიმილით.

როდესაც მარტო ვბრუნდებოდი შუალამისას, ქარი ნავლიანად ხმაურობდა ჩემს გარშემო, როგორც მოუსვენარი მოგონება დიდი ხნის წარსულ დროზე. ვიგონებდი იმ დღის შთაბეჭდილებას და შიში დამებადა, რომ აგნესა არ იყო ბედნიერი, თვითონაც არ ვიყავი ბედნიერი, მაგრამ ვცდილობდი შეძლებისდაგვარად შევრიგებოდი ჩემს ბედს. რაც წავიდა, მას ვეღარ დააბრუნებს, რასაკვირველია, ვერავითარი ადამიანური ძალა!

## თავი ორმოცდამეთერთმეტე

### ციხის დათვალიერება

დროებით პაპიდასთან დავსახლდი დუგრში და იქ, ფანჯრის წინ, რომლიდანაც ოდესღაც გავეყურებდი მთვარის შუქის ანარეკლს ზღვაზე, დამშვიდებით ვმუშაობდი ჩემს წიგნზე.

ერთხელ როგორღაც ლონდონს გავემგზავრე, რომ ცოტათი გავსხვაირებულიყავ სატახტო ქალაქის აურზაურში და ტრედელსი მენახა. ჩემი ინგლისში არყოფნის დროს იგი ბევრს ზრუნავდა ჩემზე და მშვენიერს წესრიგში დამხვდა ყველა ჩემი საქმე.

როდესაც, ჩემი სახელის გამო, აუარებელი წერლები მომაცარეს და ამ ჩემთვის სრულებით უცნობი ხალხის წერილებზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელი იყო შევეხვეწე ტრედელსს, გამოეკრა ჩემი სახელის წარწერა თავის კარებზე, და დაუზარებელი ფოსტალიონები იქ აძლევდნენ ჩემთვის დანიშნულ მთელ დასტა წერილებს. აქვე, დროგამოშვებით, ვშრომობდი ამ წერლების გარჩევაზე, როგორც რომელიმე სტატს-მდივანი, ოღონდ უჯამაგირო.

ამ წერილთა შორის ზოგჯერ მხვდებოდა წერილები სხვადასხვა წინადადებით თავისუფლად მომუშავე ვექილებისაგან, რომლებიც ყოველთვის ჯოგობით თავს დასტრიალებდნენ დოქტორთა კოლეგიას. წინადადება ჩვეულებრივ შემდეგი შინაარსისა იყო: ხომ არ ვინებებ ნება დავროთ ამას და ამას, იმუშაოს ჩემი სახელით; ამ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება გადამიხადოს ამდენი და ამდენი პროცენტი მოგებისა.

ჯერ მიკვირდა, რომ სოფის ხშირად ვხედავდი რვეულთან, რომელსაც იგი, ჩემს შესვლისთანავე, სწრაფად ჰკეცავდა და მაგიდის უჯრაში მაღაავდა. მაგრამ საიდუმლოება მალე გამოირკვა. ერთხელ ტრედელსა, რომელიც ის იყო დაბრუნდა სასამართლოდან, გამოიღო თავისი მაგიდის უჯრიდან ქაღალდი და მკითხა, რა აზრისა ვარ ამ ხელის შესახებ.

– ეჰ, გეთაყვა, თომა! – შესძახა სოფიმ, რომელიც ამ დროს ფოსტლებს უთბობდა ქმარს ბუხრის წინ.

– რატომ არ ვუჩვენო, გენაცვალე? – მხიარულად უპასუხა ტრედელსმა. – რას იტყვი ამ ხელის შესახებ, კოპერფილდ?

– ძალიან მკაფიო და სწორი, არაჩვეულებრივი მტკიცე ხელია, – ვუპასუხე მე.

– ქალის ხელს არ ჰგავს, არა? – მკითხა ტრედელსმა.

– ქალისას? – გავიმეორე მე. – რას ამბობ! რა უგავს ამას ქალის ხელს?

ტრედელსმა აღტაცებით გადაიხარხარა და გამომიტყდა, რომ ამას სოფი სწერს. ვინაიდან მას მალე დასჭირდება კლერკი, სოფი თვითონ აპირებს ამ თანამდებობის დაჭერას. მან ამოირჩია ერთი ნიმუში, ჰბაძავდა მას, და ახლა შეუძლია დაწეროს დღეში, აღარ მახსოვს, რამდენი თაბახი. სოფი ძალიან დარცხვენილი იყო ამ ამბის გამო და შენიშნა, რომ თომა, როგორც ჩანს, თავის მოსამართლედ დანიშნასაც კი არ გამოაცხადებდა ისე სასწრაფოდ, როგორც იგი

მოიქცა თავისი ცოლის გადამწერლობის შესახებ. თომამ უპასუხა, რომ ეს არის მართალი და რომ იგი, ყოველ შემთხვევაში, ამყობს თავისი კლერკით.

– რა მშვენიერი ცოლი გყავს, ტრედელს! – ვუთხარი მე, როდესაც სოფი გავიდა.

– დიახ, კოპერფილდ, – მიპასუხა ტრედელსმა. – იგი ყოველმხრივ მშვენიერი ქალია... როგორ დიასახლისობს! როგორი ყურადღება, როგორი ცოდნა ოჯახური საქმეებისა, როგორი ყაირათიანობა, წესიერება, მხიარულება...

– შენ მართლაც შეგიძლია აქო. ბედნიერი კაცი ხარ. მეგონია, რომ ყველაზე ბედნიერი წყვილი ხართ დედამიწია ზურგზე!

– ეს მართალია; ჩვენ მართლაც უბედნიერესი ხალხი ვართ, მიპასუხა ტრედელსმა. – სწორი გითხრა, როდესაც ვხედავ, როგორ დგება იგი გათენებისას და ბაზარში მიდის, ვიდრე კლერკები მოვლენ სამსახურში; სულ უბრალო რამისგან აკეთებს მშვენიერ საზეიმო სადილებს, პუდინგებსა და პაშტეტებს; ყველაფერი ისეთ წესსა და რიგზე აქვს და თვითონაც მუდამ ისეთი მორთული და მიმზიდველია; ღამდამობით ზის ჩემთან ერთად, რა დრომდისაც არ უნდა ვმუშაობდე, და მუდამ ისეთი ნაზია, მუდამ ისე მამხნეებს... და ყოველივე ეს მხოლოდ ჩემთვის! როდესაც ვუკვირდები, პირდაპირ ამ მჯერა, კოპერფილდ!

მას ახარებდა ცოლის მიერ გამთბარი ფოსტლებიც კი, და, როდესაც ჩაიცვა ეს ფოსტლები, სიამოვნებით გაწვართა ფეხები ბუხრის პირზე.

– სწორი გითხრა, ზოგჯერ მართლაც არ მჯერა, – გაიმეორა ტრედელსმა. – ახლა ჩვენი გართობა! იგი არავითარ ხარჯს არ მოითხოვს და რა მხიარული კია! თუ კარგი დარია, სასეირნოდ მივდივართ. ვიხედებით განათებული მალზიების ფანჯრებში; ვუხვებ სოფის, როგორ ბრასლეტს ვუყიდი მას, ბრილიანტებითა და იაგუნდებით მორთულს, ფული რომ მქონდეს; სოფი მიხვებებს, რომელ საათს მიყიდდა. მინანქრიანს, შეძლება რომ ჰქონდეს. ან მივდივართ რომელსამე მოედანზე ან დიდ ქუჩაზე, დავინახავთ რომელსამე ღამაზ სახლს და ვმსჯელობთ იმის შესახებ, რომ ურიგო არ იქნებოდა მისი დაქირავება, როდესაც მსაჯულად გამხდიან. და დავიწყებთ ოთახების განაწილებას, – ეს ქალებს, ეს ჩვენ, და სხვა, სანამ ბოლოს ურთეირთსასიამოვნო დარ გადავწყვეტთ, რომ ეს შესაძლებელია, მოხდეს კიდევ, და შესაძლებელია, არც მოხდეს, გარემოებათა მიხედვით. ზოგჯერ თეატრშიც დავდივართ იაფფასიან ბილეთებით და ვტკბებით. სოფი და, მართალი გითხრა, თვით მეც, პიესის ყოველ სიტყვას სინამდვილედ ვიღებთ. შინ დაბრუნებისას, გზაში ვიყიდით რამე ტკბილეს სასაქარლამოში, ან ზღვის კიბოს – თევზის დუქანში, მოვიტანთ სახლში, გავმართავთ ვახშამს და ვმუსაიფობთ იმის შესახებ, რაც ვნახეთ. შენც ხომ კარგად იცი, კოპერფილდ, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ რომ ლორდ-კანცლერი ვიყო.

ჩვენ ორივემ გულიანად გავიცინეთ, ტრედელსმა ისევ დაიწყო ღაპარაკი და მისტერ კრიკლი ახსენა.

– ბერუცუნა კრიკლი, – თქვა მან თავისი ჩვეულებრივი გულკეთილობით და ჩაფიქრებული შესცქეროდა ბუხარს.

– მე აქ წერილი მომივიდა ამ ბებერი არამზადისაგან, – ვუთხარი მე.

მომაგონდა, როგორ სცემდა ხოლმე იგი ტრედელსს, და ბრაზი მომივიდა, როდესაც დავინახე, რომ ტრედელსი მზად იყო ეპატიებინა მისთვის ყველაფერი.

– ჩვენი დირექტორის კრიკლისგან? – შესძახა ტრედელსმა. – რას მელაპარაკები?

– ახლა ისიც იმ მეგობართა რიცხვშია, რომელთაც იზიდავთ ჩემი სახელი და ქონება და რომლებიც მარწმუნებენ, რომ მუდამ ვუყვარდი. კრიკლი ამჟამად სასწავლებლის დირექტორი აღარ არის. მას თავი დაუნებებია სკოლისათვის და ციხის ზედამხედველი გამხდარა მიდლსეკში.

მეგონა, რომ ტრედელსს გაუკვირდებოდა ეს ამბავი, მაგრამ არ გაჰკვირვებია.



– იგი მწერს, რომ დიდად მოხარული იქნება, მაჩვენოს ციხის დისციპლინის შესანიშნავი სისტემა და ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც შეიძლება ბოროტმოქმედი მიიყვანო გულწრფელ მონანიებად. ეს სისტემა, როგორც ცნობილია, შედგება ტუსადის მარტოდმარტო ჩამწვედვაში. რას იტყვი ამაზე?

– სისტემის შესახებ? – მკითხა ტრედელსმა სერიოზულად.

– არა, იმის შესახებ, რომ მივიღო მისი მიწვევა და შენც თან წაგიყვანო.

– კარგი. თანახმა ვარ. – მიპასუხა ტრედელსმა.

– მაშინ მივწერ ამის შესახებ. შენ გახსოვს, უეჭველია, რომ სწორედ ამ კრიკლმა გააგდო სახლიდან საკუთარი შვილი და რა ცხოვრებას ეწეოდა იგი თავისი ცოლითა და ქალიშვილით, თუ აღარას ვიტყვი ჩვენდამი მოპყრობის შესახებ.

– მშვენივრად მახსოვს, – მიპასუხა ტრედელსმა.

– და მიუხედავად ამისა, როდესაც ამ წერილს წაიკითხავ, დაინახავ, რომ იგი უნახესი არსებობს ქვეყანაზე, გამსჭვალული სიყვარულით პატიმრებისადმი, რომლებიც დატყვევებულნი არიან ყველგვარ შესაძლებელ და შეუძლებელ სისაძაგლეთა გამო. ამ ჯენტლმენების გარდა მისი სიყვარული, როგორც ჩანს, სხვა არავისზე არ ვრცელდება.

ჩვენ ამოვარჩიეთ დღე და გადავწყვიტეთ წასვლა; იმ დღესვე მივწერე წერილი მისტერ კრიკლს.

დანიშნულ დროს მე და ტრედელსი გავემართეთ ციხეში. ეს იყო უზარმაზარი, მტკიცე შენობა, რომლის აშენება აუარებელ ფულად დაუჯდა სახელმწიფოს.

შენობის კანტორაში, რომელიც ბაბილონის გოდოლის ქვედა სართულს მოგაგონებდათ, – ისეთი უზარმაზარი იყო იგი, – ჩვენ წარვუდექით ჩვენს ყოფილ მასწავლებელს, რომელიც იდგა რამდენიმე მოსამსახურისა და მნახველთა წრეში. ჩვენი პატივცემული გამგე ძალიან დაბერებულიყო და მისი გარეგნობა, არ შეიძლება ითქვას, რომ უკეთესობისკენ გამოცვლილიყო. სახე ისევ წითელი ჰქონდა, თვალები ისევ პატარა, მაგრამ უფრო ღრმად ჩაცვენილი. თხელი თეთრი თმა, რომითაც მუდამ მაგონდებოდა იგი, სრულებით გასცვენოდა და სქელი ძარღვები მოტვლებილ თავზე უფრო მკაფიოდ მოუჩანდა.

სადილის დრო იყო, ასე რომ, ჩვენ გავწიეთ ჯერ უზარმაზარ სამზარეულოში, სადაც უდიდესი ზედმიწევნით ანაწილებდნენ ყოველი დამნაშავეს ხვედრ სადილს, და შემდეგ საკანში ურიგებდნენ. ჩუმი ვუთხარი ტრედელსს, რომ არა მგონია, ან ჯარისკაცები, ან მეზღვაურები, ან მოჯამაგირენი და სხვა მუშაკები ასეთ გემრიელ საჭმელს სჭამდნენ, როგორც ეს ბოროტმოქმედი-მეთქი. მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ამას თხოულობდა მათი „სისტემა“, და თითქოს არავის არ უნდოდა ეფიქრა, რომ ამ სისტემის გარდა შესაძლებელი იყო სხვა სისტემაც.

როდესაც მივდიოდით მშვენიერი ტალანებით, მე ვკითხე მისტერ კრიკლს, რაში მდგომარეობს მთავარი წესი და უპირატესობა ამ ყოველისმომდრეკი და ყოველისშემცველი სისტემისა-მეთქი, და შევიტყვე, რომ იგი წარმოადგენს სრულებით განმარტოებულს დატუსადებას, ასე რომ, არც ერთ ტუსადს არ აქვს საშუალება, გაიგოს რამე მეორის შესახებ, და, ამას გარდა, ამ სისტემით ტუსადი უნდა მიეყვანათ ისეთ სულიერ განწყობილებად, რომელიც გულწრფელ აღსარებას ათქმევინებდა მას.

მაგრამ სხვადასხვა ნომრის დათვალიერების დროს და ტალანში გავლისას დავრწმუნდი, რომ დამნაშავეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და რომ ურთიერთშორის კავშირის დასამარებლად მათ შესანიშნავი სისტემა ჰქონდათ. მგონია, შემეძლო დამემტკიცებინა ეს, მაგრამ ამგვარი ეჭვი ცხადი შეურაცხყოფა იქნებოდა ამ „სისტემისა“ და ამიტომ ვეცადე, რამდენადაც შემეძლო, მეპოვნა გულწრფელად მომნანიებელი.

მაგრამ აქაც თვალში გეცემოდით ისეთი გარემოებანი, რაც სამართლიან ეჭვებს იწვევდნენ. მოვისმინე მრავალი მონანიება და გულწრფელი აღსარება, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და თითქმის ერთი და იმავე სიტყვებისაგან შესდგებოდნენ, რაც ზალიან საეჭვოდ მომეჩვენა. ვნახე მრავალი მელა, რომელიც უარს აცხადებდა ვენახებზე, რომლის ხილი მატთვის მიუწვდომელი იყო, და ძალიან ცოტა ვნახე ისეთი, რომელიც გაუძლებდა ცთუნებას, მის წინ რომ დაედოთ ერთი მტევანიც კი ამ ყურძნისა.

ციხის დათვალიერების დროს რამდენჯერმე ყური მოგკარი ლაპარაკს ვიღაც ოცდამეშვიდე ნომრის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანდა, საერთო საყვარელი იყო და სამაგალითო ყველა დამნაშავისათვის. ამიტომ გადავწყვიტე, არ გამომეტანა ჩემი საბოლოო დასკვნა, სანამ ამ ადამიანსაც არ ვნახავდი. მითხრეს, რომ ოცდამეცხრე ნომერიც პირველი ხარისხის მნათობს წარმოადგენს, მაგრამ მას ერთგვარად ჩრდილავს არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობა სხივოსანი მეზობლისა. იმდენი რამ მითხრეს ამ ოცდამეშვიდე ნომრის შესანიშნავი წერილების შესახებ, რომელთაც იგი მუდამ სწრეს თავის დედას, რომ მოუთმენლად მოველოდი მის ნახვას. ბოლოს ჩვენ მივედით მისი საკნის კარებთან და მისტერ კრიკლმა შეიხედა კარის ჭუჭრუტანაში; მან გამოგვიცხადა უდიდესის აღტაცებით, ლოცვანს კითხულობსო.

იმწამსვე რამდენიმე თავი მივარდა კარებს სანახავად, თუ როგორ კითხულობდა ლოცვანს ოცდამეშვიდე ნომერი, და კარის ჭუჭრუტანას ალყა შემოარტყა ექვსიოდე ცნობისმოყვარემ. რომ აეცილებინა ეს უხერხულობა და რომ შესაძლებელი გამხდარიყო, თავისუფლად გვეხილა ოცდამეშვიდე ნომერი, მისტერ კრიკლმა უბრძანა გაეღოთ კარი და გამოიწვია იგი ჩვენთან. როდესაც ეს აასრულეს, ვინ დავინახეთ მე და ტრედელსმა, ჩვენდა განსაცვიფრებლად? ური ჰიპი!

იმწამსვე გვიცნო და გვითხრა უწინდელი ღმეჭით:

– როგორ ბრძანდებით მისტერ კოპერფილდ? ხომ კარგად ხართ, მისტერ ტრედელს?

ამ სცენამ საერთო გაკვირება გამოიწვია. მგონია, ყველას უკვირდა, რომ იგი არ ამაცობდა და უბრალოდ გველაპარაკებოდა.

– აბა, „ოცდამეშვიდე“! – უთხრა მისტერ კრიკლმა და თან შესცქეროდა სიბრალულითა და გაკვირვებით. – როგორ გრძნობთ თავს დღეს?

– უღრმეს სასოებასა და მორჩილებას ვგრძნობ, სერ! – უპასუხა ურიმ.

– თქვენ მუდამ ასეთი ხართ, „ოცდამეშვიდე“! – უთხრა მისტერ კრიკლმა.

ამ დროს ერთმა იქ დამსწრეთაგანმა ჰკითხა საოცარის მზრუნველობით:

– ხომ კარგად გრძნობთ აქ თავს?

– გმადლობთ, სერ, – უპასუხა ური ჰიპმა. – გაცილებით უკეთ, ვიდრე თავისუფლების დროს; მე ვხედავ ახლა ჩემს შეცდომებს, სერ, და ამიტომაც, რომ ასე კარგად ვგრძნობ თავს.

ბევრნი იქ მყოფნი ძალიან აღელდნენ ამის გამო; ერთი მათგანი წინ გამოვიდა და ჰკითხა ღრმა სიბრალულით:

– კმაყოფილი ხართ, ხორციით?

– გმადლობთ, სერ, – უპასუხა ურიმ და გაიხედა იქით, საიდანაც მოისმოდა ეს ხმა. – გუშინ იგი უფრო მაგარი იყო, ვიდრე მსურდა, მაგრამ ჩემი ვალია მოვითმინო. მე დიდ შეცდომებს ჩავდიოდი, ჯენტლმენებო, – აქ მან წყნარი ღმილით თვალი მოგვაველო ყველას, – და უნდა ხმაამოურებლად ავიტანო მათი შედეგები.

დამწრეთა შორის გაისმა ჩურჩული, რომელიც გამოხატავდა აღტაცებას „ოცდამეშვიდე ნომრის“ სასოებით სავსე სულიერ განწყობილებისადმი, და თან უსიამოვნებას ზედამხედველისადმი, რომელთაც საბაბი მისცა საჩივრებად (ეს

ჩივილი იმწამსვე ჩაიწერა მისტერ კრიკლმა). ყველა შესცქეროდა ურის, როგორც იშვიათ სამუზეუმო ნივთს. მისტერ კრიკლმა უბრძანა, გაეღოთ ოცდამერვე ნომერი.

უკვე ისეთ განწყობილებაზე ვიყავი, რომ სრულებით არ გამკვირვებია, როდესაც იქიდან გამოვიდა ლიტიმერი წიგნით ხელში.

– აბა, „ოცდამერვე“! – უთხრა ერთმა სათვალთან ჯენტლმენმა, რომელსაც იმ დრომდის ხმა არ ამოუღია. – ამ ცოტა ხანში თქვენ შოკოლადს უჩიოდით. ახლა ხომ კმაყოფილი ხართ?

– მადლობას მოგახსენოთ, სერ, – უპასუხა ლიტიმერმა, – ამჟამად იგი უკეთესია. თუ ნებას მიბოძებთ, შევნიშნავ მხოლოდ, სერ, რომ, ჩემი აზრით, რძე, რომელზედაც მას აკეთებენ, ვერ არის ძალიან კარგი; თუმცა ვიცი, სერ, რომ ლონდონში მას წყალს ურევენ და ძალიან ძნელია შოვნა სათანადო ღირსების პროდუქტისა.

– როგორც ჩანდა, ეს „ოცდამერვე“ სათვალთან ჯენტლმენის ნებიერი იყო და იგი ცდილობდა, მიექცია მისკენ საერთო ყურადღება, მაშინ როდესაც „ოცდამეშვიდე“ მისტერ კრიკლის ნებიერი ჩანდა.

– როგორ გრძნობთ თავს, „ოცდამერვე“? – ჰკითხა სათვალთან ჯენტლმენმა.

– გმადლობთ, სერ, – უპასუხა ლიტიმერმა, – ვხედავ ჩემს შეცდომებს, სერ. მე ვწუხვარ ახალ ჩემი ყოფილი მეგობრების ცოდვებს, სერ; მაგრამ იმედი მაქვს, ეს ცოდვები ეპატიებათ მათ.

– საერთოდ ხომ კმაყოფილი ხართ თქვენი მდგომარეობით?

– დიდად გმადლობთ, სერ, – უპასუხა ლიტიმერმა, – სრულებით კმაყოფილი ვარ.

– თუ გაქვთ რამე სათქმელი, გვითხარით გულახდილად.

– სერ, – უპასუხა ლიტიმერმა თვალეზღვრით, – თუ თვალეზღვრით არ მატყუებენ, დამსწრეთა შორის შევნიშნე ერთი ჯენტლმენი, რომელიც მიცნობდა წარსულ წლებში. იქნებ მისთვის სასარგებლო იყოს გაიგოს, რომ ყველა ჩემს წარსულ შეცდომას ვაწერ იმ გარემოებას, რომ მთელ ჩემს დროს ვატარებდი ახალგაზრდებში, და ჩემს თავს ნება მივუცვი, გავეტაცნე მათ სისუსტეს, რასაც ვერ გავუძელი. იმედი მაქვს, სერ, რომ ეს გასაფრთხილებლად გამოადგება ამ ჯენტლმენს და მაპატიებს ჩემს შერნიშვნას.

მე შევნიშნე, რომ ბევრმა თვალეზღვრით მიიფარა ხელები, ისე, როგორც ამას სჩადიან ანგლიკანურ ეკლესიაში შესვლის დროს.

– ეს დიდად საქებაარია „ოცდამერვე“. მე მოველოდი ამას თქვენგან. ხომ არას იტყვიტ კიდევ?

– სერ, – უპასუხა ლიტიმერმა აწეული წარბებით, მაგრამ თვალეზღვრით, – იქ იყო კიდევ ერთი ყმაწვილი ქალი, რომელიც ცუდი გზით წავიდა და რომელიც ვერ გადავარჩინე. ვთხოვ ამ ჯენტლმენს, თუ ეს შესაძლებელია, გადასცეს ჩემს მაგივრად ამ ქალს, რომ მიპატიებია მისთვის მისი ცუდი მოპყრობა ჩემდამი და გურჩევ, მოინანიოს იგი.

აქ „ოცდამერვე“ შებრუნდა თავის საკანში. შესვლამდე მან და ური ჰიპმა გადახედეს ერთმანეთს. როდესაც კარი დაკეტეს, იქ დამსწრეთა შორის გასიმა ჩურჩული, რომ ეს ღირსეული ადამიანია და მშვენიერი ნიმუში მომნანიებელი ცოდვილისა.

– აბა, „ოცდამეშვიდე“, – უთხრა მისტერ კრიკლმა, – ხომ არა გაქვთ-რა რაიმე სურვილი, რომელიც შეგვიძლია აგისრულოთ? თუ გაქვთ, გვითხარით გულწრფელად.

– გავბედავ უმდაბლესად გთხოვოთ, სერ, – უპასუხა ურის და თავი ჩაჰკიდა, – ნება მომცეთ, დედას წერილი მივწეროთ.

– თქვენი სურვილი ასრულებული იქნება, – უთხრა მისტერ კრიკლმა.

– გმადლობთ, სერ, მე მეშინია, რომ დედა ავად არის!

– თქვენ დაასახელეთ მისტერ კოპერფილდ, „ოცდამეშვიდე“, ხომ არ გსურთ უთხრათ მას რამე?

– თქვენ მიცნობდით გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე აქ მოხვდებოდი და ასე გამოვიცვლებოდი, მისტერ კოპერფილდ, – მითხრა ურიმ და შემომხედა. არც ერთ შემთხვევაში, თვით მის თვალბეჭდშიც კი, არასოდეს არ მენახა ასეთი გაიძვერული შემოხედვა. – თქვენ მიცნობდით მაშინ, როდესაც მე, მიუხედავად ჩემი შეცდომებისა, შევინარჩუნე მოკრძალება ამაყთა წინაშე და მორჩილება გაბრაზებულთა წინაშე. თქვენ თვითონ იყავით სასტიკი ჩემდამი, მისტერ კოპერფილდ; ერთხელ თქვენ სახეშიც გამარტყით, გახსოვთ?

საერთო სიბრაღული. მე შემომყურებენ აღშფოთებით.

– მაგრამ მე გაპატიეთ, მისტერ კოპერფილდ! – მითხრა ურიმ. – ყველას ვაპატიე, ცოდვა იქნებოდა ჩემ მხრივ, ვინმე რომ მძულდეს. გულწრფელად, სულით და გულით გაპატიეთ, და იმედი მაქვს, შემდეგში თავს შეიკავებთ ამგვარი საქციელისაგან. თქვენ უბედურება გეწიათ და იმედი მაქვს, ეს სასარგებლო იქნება თქვენთვის; მაგრამ უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ აქ მოხვედრილიყავით. მისტერ ვიკფილდისთვის, ისევე როგორც მის ვიკფილდისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ აქ მოხვედრილიყვნენ. ყველაზე უკეთესი სურვილი, რომელიც შემიძლია გამოვთქვა, მისტერ კოპერფილდ, თქვენთვის, და ყველა თქვენთვის ჯენტლმენებო, ის არის, რომ თქვენ ყველანი დაგიჭირონ და აქ მოგათავსონ. როდესაც ვიგონებ ჩემს წარსულ შეცდომებს, და ვფიქრობ ჩემი სულის მდგომარეობაზე, საკვებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ სურვილის შესრულება ყველაზე სასარგებლო იქნებოდა თქვენთვის. მებრალება ყველა, ვინც კი არ ზის აქ, ცალკე საკანში.

იგი შევიდა თავის ნომერში და საერთო ქება თან სდევდა მას; მაგრამ მე და ტრედელსმა თავისუფლად ამოვისუნთქეთ, როდესაც იგი ისევ ჩაჰკეტეს.

ვერ მოვითმინე და ვიკითხე, რისთვის სხედან ეს ორი ადამიანი-მეთქი, მაგრამ ეს, მგონია, ისეთ უმნიშვნელო გარემოებად ითვლებოდა, რომ ლაპარაკადაც კი არ ღირდა. არავინ მიპასუხა. ამიტომ მე მივმართე ერთ დარაჯთაგანს, რომელსაც, როგორც შევნიშნე, საკმაოდ კარგად ესმოდა ამ წარმოდგენის ნამდვილი აზრი.

– ხომ არ იცით, – ვკითხე მე მას, როდესაც მივდიოდი ტალანში, – რა ბოროტმოქმედებისთვის ზის აქ ეს „ოცდამეშვიდე“?

– ბანკის საქმეზე, – მიპასუხა მან.

– ინგლისის ბანკში აღმოჩენილი სიყალბის გამო ხომ არა?

– დიახ, სერ. მოტყუებისათვის, სიყალბისათვის და სხვების ჩათრევისათვის. ეგ და რამდენიმე სხვა. ეგ იყო მათი მეთაური. ეს იყო კარგად მოგვარებული და კარგად მოფიქრებული შეთქმულება დიდ თანხაზე. განაჩენი: მუდმივი გადასახლება. „ოცდამეშვიდე“ ყველაზე მოხერხებული იყო ამ ბრბოში და ცოტას გაწყდა ხელიდან არ დაუძვრათ. ბანკმა ძლივს მოახერხა მისი დაჭერა.

– ხომ არ იცით, „ოცდამერვემ“ რაღა ჩაიდინა?

– „ოცდამერვემ“, – მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ ჩუმად და თან იქით-აქით იხედებოდა, რომ დარწმუნებულიყო, ხომ არავის ესმოდა, როგორ სრულიად უპატივცემულოდ ლაპარაკობდა ამ უმწიკვლო არსებათა შესახებ, – „ოცდამერვემ“ (მასაც გადასახლება აქვს მისჯილი) მიიღო ადგილი და გაქურდა თავისი ყმაწვილი ბატონი; ორას ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი ფულად და ძვირფასი ნივთები მოჰპარა მისი გამგზავრების წინ. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ეს შემთხვევა, რადგან დამნაშავე დაიჭირა ქონდრისქალმა. ოღონდ დამავიწყდა მისი სახელი.

– მის მაუჩერი ხომ არა?

– დიახ, სწორედ მის მაუჩერი. ქურდი გაეპარათ წითელი პარიკითა და ამგვარივე ბაკენბარდებით, რაც სრულიად სცვლიდა მის გარეგნობას, და მზად

იყო ამერიკაში წასასვლელად, მაგრამ ეს ქონდრისქალი შეხვდა მას ქუცაში, იცნო და ფეხებში მოეჭიდა, რომ წაექცია.

– ყოჩაღ, მის მაუჩერ! – შეეძახე მე.

– დიახ, თქვენ აუცილებლად იტყოდით ამას, რომ გენახათ იგი მოწმეთა შორის, – განგარძო დარაჯმა. – იგი სცემდა მას ისე, რომ მთელი სახე დაუსივდა, და საშინლად სთელავდა ფეხებით, როდესაც მის მაუჩერი ფეხებში სწვდა. მაგრამ მის მაუჩერმა იქამდე არ დაანება თავი, სანამ არ დაინახა იგი კლიტითა და გასაღებით ჩაკეტილი. იგი ისე ჩააფრინდა ამ კაცს, რომ პოლიციელები უძულეზულნი იყვნენ, ორივე წაეყვანათ პოლიციაში. მან ნათლად და გარკვევით მისცა ჩვენება სასამართლოში, ასე რომ ქება და მადლობა დაიმსახურა მსაჯულისაგან, და ხალხმა კი დიდი ზეიმით გააცილა იგი სახლში. მოსამართლეთა წინაშე იგი ამბობდა, რომ ყველა იმ სისაძაგლისათვის, რაც იცის ამ არამზადაზე, სწვდებოდა და არ გაუშვებდა, თუნდაც ერთი ხელი ჰქონოდა და ლიტიმერს კი სამსონის ძაღა. მგონია, მის მაუჩერი მართლაც იზამდა ამას.

მეც ასე ვფიქრობდი და ამისთვის დიდი პატივისცემა ვიგრძენი მის მაუჩერის მიმართ.

ჩვენ დავათვალიერეთ ყველაფერი, რაც კი ღირსი იყო ყურადღებისა ამ დაწესებულებაში. რასაკვირველია, სრულებით ზედმეტი იყო ახსნა ისეთი ადამიანისათვის, როგორც მისტერ კრილი იყო, რომ „ოცდამეშვიდე“ და „ოცდამერვე“ არამზადები არიან; რომ ისინი ისევ ისეთ არამზადებად დარჩნენ, როგორც იყვნენ; რომ ეს პირმოთხე ორპირები სწორედ იმისთვის ვარგანან, რომ ასეთ ალაგას და ხალხის წინ გამოაჩინონ თავისი სინანული. რომ მათ მშვენივრად იციან, რა სარგებლობა შეუძლიათ მიიღონ აქედან, როდესაც გადაასახლებენ, ან გაანთავისუფლებენ, ერთი სიტყვით, რომ ყოველივე ეს ტყუილი შრომაა ფუჭს, უვარგისსა და ხელიდან წასულ საქმეზე. ჩვენ გულამღვრეულნი დავბრუნდით სახლში.

## თავი ორმოცდამეცხრამეტე

### ნათელი ეფინება ჩემს გზას

შობის უქმეები მოახლოებული იყო. დაახლოებით ორი თვე გავიდა, რაც სახლში ვცხოვრობდი. აგნესას ძალიან ხშირად ვხვდებოდი. ჩემს გარშემო განუწყვეტლივ ისმოდა ლიტერატურული სახელის გუგუნის, რაც მიწვევდა ჩემი აზრების ახალი განსახიერებისათვის. თითქმის გუგრილად ვუსმენდი კრიტიკისა და მკითხველების აზრს; ვუსმენდი მხოლოდ აგნესას ქებას და ხარბად ვიჭერდი ყოველ მის სიტყვას.

კვირაში ერთხელ მაინც, ზოგჯერ უფრო ხშირადაც, მივდიოდი კენტერბერიში და სადამოებს ძველ სახლში ვატარებდი. ჩვეულებრივად სახლში ვბრუნდებოდი შუალამისას, სევდით შეპყრობილი, და ჩემი სევდა კიდევ უფრო ძლიერდებოდა აგნესასთან გამოთხოვებისას. მიუხედავად ამისა, ასეთი გასეირნება მაინც მართობდა: მინდვრებში ცხენით სიარული უკეთესი იყო, ვიდრე მარტოდ ჯდომა ოთახში, უნაყოფო სინანული საკუთარ ბედზე.

როდესაც ვუკითხავდი აგნესას ჩემს ხელნაწერებს და თან თვალყურს ვადევნებდი მისი ყურადღებით სავსე სახის ცვალებადობას, როდესაც იგი იცინოდა ან ტიროდა, დაინტერესებული იმ ფანტასტიკური მსოფლიოთი, რომელშიაც ვცხოვრობდი, – უნებლიედ ვფიქრობდი იმაზე, როგორი იქნებოდა ჩემი ბედი, რომ...

პაპიდასა და ჩემს შორის ჩემი დაბრუნების დღიდანვე მოხდა რაღაც, რასაც ვერ ვარქმევ ვერც უხერხულობას, ვერც გულჩათხრობას, არამედ ჩემ მიხვედრას

იმისას, რომ ორივენი ვფიქრობდით ერთსა და იმავე საგანზე, თუმცა არას ვამბობთ ამის შესახებ. როდესაც სადამობოთ, ძველიდანვე დარჩენილი ჩვეულებით, მივუსხდებოდით ხოლმე ბუხარს, ხშირად ჩვენი აზრები ერთი და იმავე მიმართულებით მიმდინარეობდნენ და ორივემ ვიცოდით ეს, თითქოს ჩვენს შორის სრული გულახდილი ლაპარაკი მომხდარიყოს. ამასთანავე სრულ დუმილს ვიცავდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ პაპილამ ნაწილობრივ მაინც წაიკითხა ჩემი აზრები ჩამოსვლის პიველსავე სადამოს, და რომ მას მშვენივრად ესმის, რომ არ მინდა ამის შესახებ ლაპარაკი.

უქმეები დადგა, მაგრამ აგნესამ ჯერ არა შემატყობინა-რა თავისი გრძნობების შესახებ. რატომ? ნუთუ მას ესმოდა ჩემი გულის ნამდვილი ვითარება და ეშინოა, შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ჩემთვის თავისი გულახდილობით? ეს ეჭვი ახლა ძალიან მაწუხებდა, მაგრამ ჩემი მსხვერპლი უმნიშვნელო იყო და სულ უბრალო მოვალეობაც კი ვერ შევასრულე მისდამი. საჭირო იყო, ასე თუ ისე, დაერწმუნებულიყავი ჩემს ეჭვებში და, თუ მართლაც არსებობდა ჩვენს შორის ეს ზღუდე, გადავწყვიტე, ერთბაშად დამერღვია იგი მტკიცე ხელით. რაც უფრო მაღე, მით უკეთესი!

ზამთრის ცივი დღე იყო. ო, რამდენი მიზეზი მაქვს, დავისხომო ეს დღე ჩემი სიცოცხლის ბოლომდე! რამდენიმე საათის განმავლობაში ძლიერ თოვდა, და თოვლი ახლა ყინვას მაგრად მიეკრა მიწისათვის. ზღვის უსაზღვრო სივრცეზე, ჩემი ფანჯრიდან რომ მოჩანდა, ბობოქრობდა ჩრდილოეთის ქარი.

– მიდიხარ დღეს, ტროტ? – მკითხა პაპილამ და ოთახში შემოიხედა.

– დიახ, პაპილა. მივდივარ კენტერბერიში. მშვენიერი დარია ასეთი მგზავრობისათვის.

– იმედი მაქვს, შენი ცხენიც ამ აზრისაა. მაგრამ მას თავი ჩაუკიდნია, თითქოს ფიქრობს, რომ თავლაში ყოფნა მაინც უკეთესი იქნებოდა.

პაპილამ ხელი გადამისვა მხარზე და სავარძელში ჩაჯდა. მის გვერდით დავეჯექი და ვკითხე:

– ხომ არა იცით-რა, პაპილა, კიდევ აგნესას გრძნობის შესახებ?

– მგონია, ვიცი, ტროტ, – მითხრა მან და დაკვირვებით შემომხედა სახეში.

– თქვენი ეჭვი გამართლდა?

– მგონია, რომ ასეა.

მან ისევ ყურადღებით შემომხედა სახეში.

– აი კიდევ რა, ტროტ, – მითხრა პაპილამ.

– რა?

– მგონია, აგნესა თხოვდება.

– ღმერთმა გააბედნიეროს, – ვთქვი მე მხიარულად.

– ღმერთმა გააბედნიეროს! – გაიმეორა პაპილამ. – და ბედნიერი იყოს მისი მეუღლე!

ჩვენ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მხიარულად ჩავირბინე კიბე, შევეჯექი ცხენზე და გავექუსლე. ახლა უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე, სისრულეში მომეყვანა ჩემი გეგმა.

რა კარგად მახსოვს ეს ზამთრის მგზავრობა! თოვლის ნამქერი, რომელსაც ქარი ხის ტოტებიდან ჰყრიდა, სახეში მცემდა; ცხენი თავისი ჩლიქებით აბაკუნებდა დატკეპნილ გზაზე, რომელსაც ირგვლივ შემოხვეოდა თოვლის ზვინები, ცარცის ორმოებში დაგროვილი. აქა-იქ მიიზღაზნებოდა ფურგონები თივით; დაღლილი ცხენები შეჩერდებოდნენ ხოლმე შესასვენებლად პატარა ბორცვებზე და ზარებს აჟღარუნებდნენ.

აგნესა მარტო დამხვდა. პატარა გოგონები, მისი მოწაფეები, უკვე დათხოვილი იყვნენ ზამთრის არდადეგებზე და თავთავიანთ სახლებში წასულიყვნენ. აგნესა ბუხართან იჯდა წიგნით ხელში.

ჩემი მისვლის გამო თავი დაანება წიგნს, აიღო ხელსაქმის კალათა და ფანჯარას მიუჯდა. მე მის ახლოს ჩამოვჯექი ფანჯრის ფიცარზე და ჩვენს შორის გაიბა ლაპარაკი ჩემი ლიტერატურული შრომების შესახებ. აგნესა მეკითხებოდა, როდის დავამთავრებ წიგნს და რამდენი დავწერე ჩემი უკანასკნელად ყოფნის შემდეგ. იგი ძალიან მხიარულად იყო და სიცილით მიწინასწარმეტყველებდა, რომ მალე ისეთი განთქმული მწერალი გავხდები, რომ ჩემთან შეუძლებელი იქნება ლაპარაკი ჩვეულებრივ საგანზე.

– მით უფრო დიდი სიამოვნებით ვსარგებლობ ამ დროით, აგნესა, რომ მოგელაპარაკოთ სერიოზულად, სანამ ეს შესაძლებელია.

– თქვენ დღეს განსაკუთრებით ჩაფიქრებული ხართ, ტროტკუდ!

– გითხრათ, აგნესა, რაზედაც ვფიქრობ? უნდა გითხრათ, რადგან დღეს ნამდვილად ამისთვის მოვედი.

მან გადადო ხელსაქმე, როგორც ჩვეულებრივ სჩადიოდა, როდესაც სერიოზულად ვაპირებდით ლაპარაკს.

– ძვირფასო აგნესა! ნუთუ თქვენ ეჭვი გეპარებათ ჩემს ერთგულებაში?

– არავითარი! – მიპასუხა მან და გაკვირვებით შემომხედა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ მე ის აღარ ვარ თქვენდამი, რაც მუდამ ვიყავი?

– არა! გასსოვთ, სამშობლოში დაბრუნებისას, მე ვცდილობდი გამომეთქვა, რა უზომო მადლობელი ვარ თქვენი, ძვირფასო აგნესა?

– კარგად მახსოვს, – მიპასუხა მან რბილად.

– თქვენ საიდუმლო გაქვთ. გამიზიარეთ, აგნესა!

აგნესა შეკრთა და თვალები დახარა.

– არსებობს ადამიანი, რომელსაც თქვენ, ბოლოს, დათანხმდით, შესწიროთ თქვენი სიყვარული... საკვირველია რომ ეს გავიგე არა თქვენი პირიდან, აგნესა! რად მიმაღავთ ასე გულმოდგინედ ყველაფერს, რაც თქვენს ბედნიერებას ეხება? შეგიძლიათ მომენდოთ მე, – რასაკვირველია, შეგიძლიათ, რადგან თქვენ თვითონ სთქვით ეს, – ნება მიბოძეთ, ვიყო მეგობარი და ძმა თქვენი სიცოცხლის ამ გადამჭრელ წუთში.

აგნესა წამოდგა, შემომხედა მუდარით, თითმის სამღურავით, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი თითქმის უნებურად, მიიფარა სახეზე ხელები და ცხარე ცრემლებით აქვითინდა.

– აგნესა! ძვირფასო დაო! ჩემო მეგობარო! რა ვქენი? რით გაწყენინეთ?

– თავი დამანებეთ, ტროტკუდ! მე შეუძლოდ ვარ! არ შემიძლია ლაპარაკი. სხვა დროს მოგელაპარაკებით! მოგწერთ! ნურას მეტყვით ახლა. გაჩუქდით, ტროტკუდ!

– აგნესა! არ შემიძლია თავი დაგანებოთ ასეთ მდგომარეობაში. ძვირფასო დაო, საყვარელო მეგობარო. თუ თქვენ უბედური ხართ, გამიზიარეთ თქვენი უბედურება. თუ თქვენ შეველა ან რჩევა გჭირდებათ, ნება მიბოძეთ დაგეხმაროთ ერთითაც და მეორითაც. მაშ ვისთვისღა ვცოცხლობ ახლა, აგნესა, თუ არა თქვენთვის?

– ო, შემიბრალებთ, ტროტკუდ! აღარ შემიძლია. სხვა დროს!

აი ყველაფერი, რისი გარჩევაც მოვახერხე მისი პასუხიდან. რა იყო ეს? ნუთუ ბრმა ეგოიზმი ერთხელ კიდევ მახვევინებდა სწორი გზიდან? ან, პირიქით, ყოველივე ეს შესავალი იყო იმისი, რაზედაც ჯერ კიდევ ასე ცოტა ხნის წინ ვერც კი ვბედავდი ოცნებას?

– არა, მე უნდა ვილაპარაკო. გულახდილად უნდა მოგელაპარაკოთ. თუ თქვენ გაწუხებთ ის არი, რომ შემშურდება იმ ადამიანის ბედნიერება, რომელიც თქვენ გიყვართ, რომ არ დაგუთმობ ჩემს ადგილს მორჩილად მას, ვინც თქვენ აირჩიეთ, – დაანებეთ თავი ამ აზრს და დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი უნდობლობა არ დამიმსახურებია. ტყუილად არ ვიტანჯე. ჩემს თქვენდამი დამოკიდებულებაში არა აქვს ადგილი ეგოისტურ გრძნობას.

ახლა იგი დამშვიდებული იყო. მან მომაქცია გაფითრებული სახე და მითხრა მძიმედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ სრულებით მკაფიოდ:

– თქვენი მეგობრობა, ტროტკულ, გულწრფელი და წმინდა, მაიძულებს გითხრა, რომ თქვენ სცდებით. ამაზე მეტს ვერას ვიტყვი. თუ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მჭირდებოდა შეველა და დახმარება, ისინი თავისთავად მოდიოდნენ ჩემთან. თუ ოდესმე უბედური ვიყავი, ამან გაიარა. თუ მაქვს რაიმე საიდუმლო, იგი ახალი არ არის და, ყოველ შემთხვევაში, ის არ არის, რაც თქვენ გგონიათ. არ შემიძლია გაგიზიაროთ იგი; არ შემიძლია გიაგებოთ. დიდი ხანია მხოლოდ და მხოლოდ მე მეკუთვნის და სამუდამოდ დარჩება ჩემთან...

– აგნესა, შეჩერდით!..

მას უნდოდა გასვლა, მაგრამ შეეჩერე და ხელი მოვხვიე. „ეს საიდუმლო ახალი არ არის“ ათასი ფიქრი და იმედი დატრიალდა ჩემს თავში და ყველაფერი ახალი შუქით განათდა.

– ძვირფასო აგნესა! შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი გულწრფელად და არ დავარდვიო ჩემი უზომო პატვისცემა თქვენდამი? როდესაც დღეს თქვენთან წამოსასვლელად ვემზადებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ყვექანაზე ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებას ამის გამოთქმას. მეგონა, რომ იგი სამუდამოდ დარჩება გულში იმ დრომდე, სანამ ჩვენ ორივენი მოვხუცდებით. მაგრამ თუ ახლა, აგნესა, ახლადდაბადებული იმედი მასულდგმულებს, იმედი, რომ შემიძლია გიწოდოთ არა დის სახელი, არამედ სულ სხვა...

იგი ისევ ატირდა, მაგრამ მის ცრემლებს ახლა არ ჰქონდა არაფერი საერთო იმ ცრემლებთან, რომელსაც იგი ერთი წუთის წინ ღვრიდა. ამ ცრემლებში ჩემთვის დიდი იმედი აციმციმდა.

– აგნესა, ჩემო ძვირფასო მეგობარო! ო, ნეტავ იმ დროს, როდესაც ჩვენ ორნი ერთად ვიზრდებოდით ამ სალხში. მაშინ რომ თქვენ მეტი ყურადღებით მოქცეოდით თქვენს თავს და ნაკლები ყურადღებით მე – ჩემი ფრთაშესხმული ფიქრი, უეჭველია, არასოდეს არ მოგშორდებოდათ თქვენ; მაგრამ თქვენ მეტისმეტად კარგი იყავით, მიუწვდომლად მაღლა იდექით, ჩემთან შედარებით, და ამიტომ გახდით ჩემთვის აუცილებელი ყოველ ჩემს ბავშვურ ოცნებაში. თქვენთვის ყველა ჩემი საიდუმლოს გაზიარება და თქვენი იმედით ყოფნა ჩემი ცხოვრების ყველა გარემოებაში ჩემთვის მეორე ბუნებად იქცა, და ამ ახალმა მეორე ბუნებამ დროებით შეცვალა პირველი, უფრო მაღალი, რომლითაც მე მიყვარდით ისე, როგორც ახლა მიყვარხართ.

იგი ისევ ტიროდა, მაგრამ ახლა ეს სიხარულის ცრემლები იყო. მე გულში ჩავიკარი იგი.

– როდესაც მე მიყვარდა იგი, ჩემი სიყვარული მაშინაც კი არ მომცემდა ისეთ ბედნიერებას თქვენი თანაგრძნობის გარეშე. და როდესაც დაეკარგე ჩემი პაწაწინა ცოლი, ძვირფასო აგნესა, რა ვიქნებოდი, თქვენი მეგობრული დახმარება რომ არ მქონოდა?

უფრო მაგრად ჩავიკარი გულში და უფრო მაგრად მომეკრა ისიც. მისი ხელი თრთოდა ჩემს მხარზე და მისი ნათელი თვალები ბრწყინავდნენ სიხარულის ცრემლებით.

ვცდილობდი, ამეხსნა მისთვის ჩემი შინაგანი ბრძოლა და ის დასკვნა, რომელსაც დავადექი ამ ბრძოლის შემდეგ, თუ მე ვუყვარვარ ისეთი სიყვარულით, რომელიც ნებას აძლევს მას ჩემი ცოლი გახდეს, შეუძლია ღირსი გამხადოს ამ ბედნიერებისა, არა იმიტომ, რომ ეს ჩემი მოქმედებით დამემსახურებინა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სიყვარული მისდამი, გამობრძმედილი ბრძოლაში და გაზრდილი სიცოცხლის აურზაურში, ჭეშმარიტია, უზომო და შეურყეველი! ო, აგნესა, შენი ნათელი თვალებიდან ამ წუთში მიცქეროდა ჩემი პაწაწინა ცოლის ნათელი სული და მამხნევებდა.



– მე უზომოდ ბედნიერი ვარ, ტროტკუდ! არის მაინც ერთი გარემოება, რომელიც უნდა აგისხნა.

– რა, ჩემო სულო?

მხრებზე დამადო ორივე ხელი და წყნარად შემომხედა თვალებში.

– თქვენ ვერ ვხდებით, რა მინდა გითხრათ?

– არა, ჩემო კარგო, მე მეშინია ახლა გამოცანებისა, ამისხენი გენაცვალე.

– მე მიყვარდით მუდამ, მთელს ჩემს სიცოცხლეში!

მეორე დღეს ჩვენ მივედით დუვრში პაპიდასთან. იგი ჩემს კაბინეტში იყო, როგორც პეგოტიმ გვითხრა. პაპიდა სათვალისანი იჯდა ბუხართან.

– აჰ! – წარმოსთქვა პაპიდამ და თან ცდილობდა დაენახა ბინდბუნდში. – ვინ მოგიყვანია თან, ტროტ?

– აგნესა, პაპიდა.

ამ ამბავმა, როგორც ჩანდა, ცოტათი გააოცა პაპიდა, რღაგან ჩვენ გადავწყვიტეთ, დრომდე არაფერი გვეთქვა მისთვის. აგნესას ხსენებაზე იმედით სავსე თვალებით შემომხედა, მაგრამ როდესაც ჩემში ვერ დაინახა ვერავითარი ცვლილება, მოიხსნა სათვალე და დაიწყო ცხვირის კეხის სრესა.

სადილის დროს, ორჯერ თუ სამჯერ, პაპიდამ სათვალე გაიკეთა და ყურადღებით გვაკვირდებოდა ხან მე, ხან აგნესას; გაცრუებული თავის იმედებში, იგი აღშფოთებით იგლეჯდა სათვალეს და ცხვირს ისრესდა. მისტერ დიკი ძალიან აღელვებული იყო ამ გარემოებით, რადგან ხანგრძლივი გამოცდილებით ძალიან კარგად იცოდა, რომ ამას სიკეთე არ მოჰყვებოდა.

– მართლა, პაპიდა, – ვუთხარი ნასადილევს, – მე მოველაპარაკე აგნესას იმის შესახებ, რაზედაც თქვენ ამბობდით.

– ძალიან ცუდად მოქცეულხარ, ტროტ, – მიპასუხა პაპიდამ და გაწითლდა, – შენ დაარღვიე მოცემული პირობა.

– კი, მაგრამ თქვენ ხომ არ ჯავრობთ, პაპიდა? ყოველ შემთხვევაში, აღარ გაჯავრდებით, როდესაც გაიგებთ, რომ აგნესა ბედნიერია თავისი სიყვარულით.

– სისულელეა! გაჩუმდი, ტროტ!

ხელი მოვხვიე აგნესას, მივიყვანე პაპიდას სავარძლის ზურგთან და ორივენი დავიხარეთ მისკენ. როდესაც პაპიდამ მოიხედა და დაგვინახა ასეთ პოზაში, ხელიხელს შემოჰკრა და ისტერიკა დაემართა – პირველიდა უკანასკნელი, მას აქეთ, რაც ვიცნობდი მას.

ხმაურზე პეგოტი შემოვიდა. როდესაც პაპიდამ მოიხედა, წამოხტა სავარძლიდან, მაგრამ გადაეხვია პეგოტის და დიდი ამბით უწოდა მას „სულელი დედაბერი“. შემდეგ გადაეხვია მისტერ დიკს, რომელმაც სიამაყით მიიღო ეს ჯილდო, მაგრამ უზომოდ გაოცდა.

ვერასოდეს ვერ ვათქმევინე პაპიდას, რა მიზნით მელაპარაკებოდა იგი უკანასკნელად. შესაძლებელია, განზრახ მომაცყუა; მაგრამ, შესაძლებელია, თვითონაც ცდებოდა ჩემი გრძნობის შესახებ.

– მერე რა? ვთქვი, რომ აგნესა თხოვდება. შენ ჩემზე უკეთესად იცი, რომ ეს მართალია.

მეტი ვერაფერი ვათქმევინე.

ჩვენ დავქორწინდით ორი კვირის შემდეგ. მხოლოდ ტრედელსი და სოფი და დოქტორი სტრონგი თავისი მეუღლით მოვიწვიეთ სტუმრად ქორწილში. ჩემთან იყო ჩემი მუდმივი შთაგონების წყარო, ჩემი სიცოცხლისა და თვით ჩემი გულის გული.

– ჩემო საყვარელო! – მითხრა აგნესამ. – ახლა, როდესაც მარტონი ვართ, დამრჩენია გაგიზიარო კიდევ ერთი გარემოება.

– რა, გენაცვალე?

– მას კავშირი აქვს იმ საღამოსთან, როდესაც დორა გარდაიცვალა. გახსოვს თავისთან რომ ამიყვანა?

- კი.
  - მან მითხრა, რომ დამიტოვა ზოგი რამ. შეგიძლია მიხვდე, რა იყო ეს? მივხვდი და ამის გამო უფრო მძლავრად მოვეხვიე ჩემს ძვირფას ცოლს.
  - მან მითხრა, რომ მომმართავს უკანასკნელი თხოვნით და მიტოვებს ანდერძს.
  - მერე, რაში მდგომარეობდა იგი?
  - იმაში, ჩემო კარგო, რომ მე დამეჭირა მის შემდეგ მისი დაცარიელებული ადგილი!
- აგნესამ მომაყრდნო თავი და ატირდა. მეც ავტირდი მასთან ერთად, თუმცა ბედნიერები ვიყავით.

## თავი მესამოცე

### მოულოდნელი სტუმარი

გათავებულა თითქმის ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა; მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელზედაც ჩემი ხსოვნა ხშირად შეჩერდება ხოლმე დიდი სიამოვნებით.

მივადწიე უფრო დიდ სახელსა და სიმდიდრეს. ჩემი ოჯახური კეთილდღეობა ჰყვოდა გავატარე ცოლქმრობაში ათი ბედნიერი წელი. ერთხელ გაზაფხულზე, როდესაც მე და აგნესა ბუხართან ვისხედით ჩვენს ლონდონის სახლში და ჩვენი სამი შვილი იქვე თამაშობდა, მომახსენეს, რომ ვიღაც უცნობს სურს ჩემი ნახვა.

მას ჰკითხეს, საქმეზე ხომ არ იყო მოსული. მაგრამ ეპასუხნა, არაო. იგი მოვიდა მხოლოდ ჩემს სანახავად და მოვიდა შორიდან. იგი მოხუცი იყო, როგორც სთქვა მსახურმა, და გარეგნობით სოფლის მეურნეს ჰგავდა.

სწორედ იმის წინ აგნესა უამბობდა ბავშვებს მათ საყვარელ ზღაპარს და, თითქოს განგებ, იმ ალაგას შეჩერდა, როდესაც უნდა მოსულიყო კუდიანი დედაბერი, მტელი კაცობრიობის მოძულე. ვიღაც უცნობის მოსვლამ შეაშინა პატარები. ჩვენმა ბიჭიკომ ხიფათის თავიდან ასაცილებლად დამალა თავი დედის კალთაში; უფროსმა გოგონამ, პატარა აგნესამ კი, დააგდო სკამზე დედოფალა და დაიმალა ფანჯარასთან, ფარდის უკან, დროგამოშვებით იგი გამოჰყოფდა ხოლმე იქიდან თავის ოქროს კულულებს.

- შემოვიდეს, - ვუთხარი მე.

პატარა აგნესამ, შემოსულის გარეგნობით მოხიბლულმა, მიიღბინა მასთან, დედამისი კი სწრაფად წამოხტა თავისი ადგილიდან და შესძახა ადელეგებულის ხმით: „ეს მისტერ პეგოტია!“

როდესაც პირველმა მღელვარებამ გაიარა, იგი დაჯდა ბუხართან და მუხლებზე ბავშვები დაისვა. ამ დროს ბუხრის ალმა გააშუქა მისი პატიოსანი სახე. ამ პოზაში მისტერ პეგოტი მეჩვენა ისეთ ღონიერ, ჭარმაგ და, მაშასადამე, ისეთ მშვენიერ მოხუცად, როგორც არ მენახა მეტად.

- მასტერ დევი... - დაიწყო მან.

რა სასიამოვნო იყო ჩემთვის მოსმენა ამ პატარაობის სახელისა, რომელსაც ჩემი ძველი მეგობარი მიწოდებდა!

- რა ბედნიერებაა, მასტერ დევი, რომ ერთხელ კიდევ მომიხდა ნახვა თქვენი და თქვენი მშვენიერი მეუღლისა!

- ბედნიერებაა, დიახ, თქვენ მართალი ხართ, ძვირფასო, ძველო მეგობარო!

- ეს პაწაწინები, მასტერ დევი, ხომ ნამდვილი ყვავილებია! თქვენ აი ამ უმცროსზე კიდევ უფრო პატარა იყავით, როდესაც პირველად გნახეთ. ემილიაც სულ პაწაწინა იყო.

– დრომ მე გაცილებით უფრო მეტად გამომცვალა, ვიდრე თქვენ, მისტერ პეგოტი, – ვუთხარი მე, – მაგრამ დაე ეს ცელქები დასაძინებლად წავიდნენ. უთხარით, მისტერ პეგოტი, სად წავიდნენ თქვენი ჩემოდნისათვის? ინგლისში, რასაკვირველია, მხოლოდ ჩემი სტუმარი ხართ და სხვისი არავისი. მოიტანონ თქვენი ნივთები. დავლით თითო ჭიქა გროგი და გვიამბეთ ყველაფერი, რაც მოხდა ამ ათი წლის განმავლობაში.

– თქვენ მარტო მობრძანდით, მისტერ პეგოტი? – ჰკითხა აგნესამ.

– დიახ, ქალბატონო, – უთხრა მან და ხელზე აკოცა, – სრულებით მარტო.

ჩვენ ჩავისვით იგი შუაში და არ ვიცოდით, როგორ მოგვეაღიარებინა მისთვის, რითი გვეცა პატივი. როდესაც ვუსმენდი მოხუცს, ისეთ ნაცნობ ხმას, მეჩვენებოდა, თიტქოს მისტერ პეგოტი ისევ განაგრძობს შორ მოგზაურობას საყვარელი დისწულის საძებნელად.

– ბევრი ზღვის გამოცურვა დამჭირდა, მასტერ დევი, რომ თქვენამდე მომეღწია.

– მალე აპირებთ უკან დაბრუნებას? – ჰკითხა აგნესამ.

– დიახ, ქალბატონო, – უპასუხა მისტერ პეგოტიმ. – მე სიტყვა მივეცი ემილიას, რომ დავბრუნდები რაც შეიძლება მალე. მოვხუცდი, როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, გულში კი, უნდა გამოვტყდე, დიდი ხანია უკვე მქონდა სურვილი – მენახეთ, მასტერ დევი. მოდი-მეთქი, ერთი შეგხედავ ბედნიერ ოჯახს, სანამ მთლად არ დაგჩაჩანაკებულვარ.

– აბა, ახლა, მისტერ პეგოტი, გვიამბეთ, როგორ ცხოვრობთ იქ, – ვუთხარი მე.

– საამბობელი თითქმის არაფერია, მასტერ დევი. ჯერ, რასაკვირველია, საქმე არ მოეწყო უწვალებლად, მაგრამ მალე ყველაფერი მოწესრიგდა საუკეთესოდ, და ჩვენი მეურნეობაც აყვავდა. მუდამ ხომ ასე, მასტერ დევი, როდესაც გულმოდგინედ შეუდგებით საქმეს. არ გამოვიდა გუშინ, – გამოვა დღეს; ბედი არ გქონდა დღეს, – უსათუოდ გეწევა ხვალ.

– როგორ არის ემილია? – ვკითხეთ მე და აგნესამ ერთხმად.

– მას უკან, რაც თქვენ გამოეთხოვეთ, ქალბატონო, ემილია ჯერ ძალიან ნაღვლობდა, მაგრამ ეს არ უშლიდა, მუდამ სიკეთით მოეხსენებინეთ. ძალიან კარგი ჰქენით, რომ დაგვიმალეთ მაშინ ის საზარელი ამბავი. ემილია ვერ გადაიტანდა იმ დროს... დიახ, საშინლად ნაღვლობდა საბრალო, ისე რომ გული მეწურებოდა მისი ცქერით.

– მაშ როდის გაიგო საბრალო ქამის გარდაცვალება? – ვკითხე მე.

– ამ საიდუმლოს, მასტერ დევი, ძალიან გულმოდგინედ ვუმაღავდი, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, – მითხრა მისტერ პეგოტიმ. – ჩვენ მაშინ განმარტოებულ ალაგას ცხოვრობდით. ერთხელ ისე მოხდა, რომ, როდესაც სამუშაოდ ვიყავი გასული, მოვიდა ჩვენთან მგზავრი ინგლისიდან, სუფოლკელი იყო თუ ნორფოლკელი, კარგად არ მახსოვს. ამ მგზავრმა თან მოიტანა ძველი გაზეთი, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ის ქარიშხალი. – აი, ამრიგად გაიგო ემილიამ ყველაფერი იმ უბედურების შესახებ.

მისტერ პეგოტიმ ხმას დაუწია ამ სიტყვებთან.

– და ამან არავითარი ცვლილება არ გამოიწვია მასში? – ვკითხეთ ჩვენ.

– აჰ, რას ბრძანებთ, მასტერ დევი, – მითხრა მან და თავი გაიქნია, – დიდი ცვლილება მოახდინა, დიდი ხნით, იქნება დღემდეც, როგორც მე მგონია. მაინც განმარტოებამ ერთგვარი სარგებლობა მოუტანა. ამასთან მას ბევრი საქმე აქვს. ფრინველებს უვლის და სახლის წესრიგს უგდებს ყურს. ამრიგად, მწუხარება ნელდება, თუ მთლად არა, ცოტათი მაინც. თუმცა, – დაუმატა მან ჩაფიქრებით, – თქვენ, მგონია, ვეღარც იცნობთ ჩემს ემილიას, ახლა რომ ნახოთ.

– ნუთუ ასე გამოიცვალა? – ვკითხე მე.

– მე ყოველდღე ვხედავ და ამიტომ ძნელია ჩემთვის ამისი თქმა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ასეა. წვრილი, სუსტი, – განაგრძობდა მისტერ პეგოტი და თან ბუხარში მუგუზღებს შეჰყურებდა, – გამხდარი სახე, სავლიანი ცისფერი თვალები, ჩაცვივნილი ღოყები, პატარა თავი, მუდამ ოდნავ დახრილი, წყნარი ხმა, მოკრძალებული მიხრა-მოხრა, თითქოს სულ რაღაცის ერიდებოდ, – აი, როგორი გახდა ჩემი ემი!

ჩვენ ხმაამოულებლად შევეყურებდით, როდესაც იგი ბუხრის ალს მისჩერებოდა.

– ზოგი ფიქრობს, რომ ემი უბედური იყო სიყვარულში, ზოგი – რომ სიკვდილმა ჩაშალა მისი გათხოვება, – ნამდვილი არავინ იცის. ოცჯერ მაინც შეეძლო გათხოვება ამ ხნის განმავლობაში. „არა, ძია, – მიპასუხებს ხოლმე, – ჩემი დრო წასულია“. ჩემთან იგი მუდამ მხიარულია, მაგრამ სხვებთან – ყოველთვის ჩუმი და ჩაფიქრებული. მომთმენია უზომოდ და თავისი ბიძაც ძალიან უყვარს. ყმაწვილ ხალხს და მოხუცებს – ყველას უყვართ და ყველანი მას მიმართავენ ხოლმე რჩევისათვის.

– მართა ისევ თქვენთან ცხოვრობს? – ვკითხე მე.

– მართა გათხოვდა, მასტერ დევი, ჩვენი ჩასვლის მეორე წელს. ერთმა ყმაწვილმა კაცმა, მუშამ მეზობელი მამულიდან, ერთხე ბაზარში მიმავალმა, ჩვენს წინ გაიარა, მართა მოეწონა და მაშინვე წინადადება მისცა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ქალები იქ იშვიათია. საქმე გაიჩარხა უდავიდარაბოდ. მართამ მთხოვა, მეამბნა მისი საქმროსთვის დაუმაღლავად მთელი მისი ამბავი. მე ვუამბე. მთ ჯვარი დაიწერეს და ახლა ცხოვრობენ მამულში, რომელიც რამდენიმე ასი მილის მოშორებით არის ჩვენგან.

– მისის გუმიჯი როგორღა არის? – ვკითხე მე.

ამ კითხვაზე მისტერ პეგოტი უეცრად გადაიხარხარა.

– ხომ არ დამიჯერებთ, მასტერ დევი, – მითხრა მან, – რომ მასაც მისცეს წინადადება, გემის მზარეულმა სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა!

– მერე, რა უპასუხა მისის გუმიჯმა? – ვკითხე მე, როდესაც ჩვენი მხიარულება ცოტათი დაცხრა.

– აი ამას კი ვერასოდეს ვერ გამოიცნობთ, მასტერ დევი. თქვენ არც კი დაიჯერებთ. იმის მაგივრად, რომ წესიერად ეპასუხნა „მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ მე ღარ შემძღია ვიფიქრო ჩემი მდგომარეობის გამოცვლაზე, ჩემი ხნოვანების გამო“, – ყველა ამის მაგივრად მისი გუმიჯმა სტაცა ხელი სათლს და თავზე ჩამოაფხატა საბრალო მზარეულს. მან ყვირილი მორთო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და ძლივს გადავარჩინე ამ გაჭირვებისაგან.

მისტერ პეგოტიმ ისევ გადაიხარხარა. მე და აგნესაც აყყვეით მას.

– მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, მოხუცმა აასრულა თავისი დაპირება, რომელიც ჩვენი წასვლის წინ მომცა. – დაიწყო ისევ მისტერ პეგოტი და მოიწმინდა სახიდან ოფლის მსხვილი წვეთები. – მთელ დედამიწის ზურგზე ვერ იპოვით ახალ ადამიანს უფრო მორჩილს, უფრო კეთილს, პატიოსანს, ერთგულს და დიდსულოვანს, ვიდრე მისის გუმიჯი. იგი აღარ დარდობს, აღარ წუწუნებს, აღარ კვნესის.

– საინტერესო იქნებოდა გამეგო რამე თქვენგან მიკობერის შესახებ, – ვუთხარი მე. – იგი გაუსწორდა ყველა თავის მეგალეს და ტრედელსის თამასუქიც კი გამოისყიდა. მასასადამე, მისტერ მიკობერი კარგად ცხოვრობს. თქვენ რა იცით მის შესახებ?

მისტერ პეგოტიმ ღიმილით ჩაიყო ხელი ჯიბეში და ამოათრია იქიდან რაღაც შეკრული, საიდანაც დიდი სიფრთხილით ამოიღო უცნაური ფორმის გაზეთის ფურცელი.

– როდესაც ცოტათი ფეხი მოვიკიდეთ სოფლად, შემდეგ გადავსახლდით პორტ-მიდლბეში; ამ დაბას ქალაქს ვუწოდებთ.

– მანამ კი მისტერ მიკობერი თქვენთან ერთად ცხოვრობდა? – ვკითხე მე.

– დიახ, ჩვენ ერთად ვცხოვრობდით, და ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ჯენტლმენი მისტერ მიკობერზე უკეთესი. მოხდებოდა ხოლმე, მასტერ დევი, რომ იგი იჯდა და მთელი დღეებით მზეზე ითბობდა თავი პატივცემულ მელოტ თავს. მიკვირს, როგორ არ გაუდნა თავი. ახლა კი ქალაქის მსაჯულად გეყავს.

– მსაჯულად? შეხეთ ერთი!

მისტერ პეგოტიმ მიმითითა გაზეთში ერთ წერილზე და მე ხმამაღლა წავიკითხე შემდეგი სტრიქონები, დაბეჭდილი „Port Middlebay Times“-ში

„გუშინ ოტელის ერთ-ერთ სალონში გაიმართა სადილი ჩვენი სახელოვანი თანამოქალაქის და თანამოქალაქის, ესკვაირის, მიდლბეის ოლქის გენერალური მსაჯულის ვილკინს მიკობერის პატივსაცემად. მრავალი ხალხი დაესწრო ამ ზეიმს. გამოანგარიშებული იყო, რომ მხოლოდ მაგიდას გარს უსხდა არანაკლებ ორმოცდაშვიდი სულისა, იმათ გარდა, ვინც კიბეზე და ტალანში იდგნენ. პირველი ადგილი სუფრაზე, როგორც პრეზიდენტს, ეჭირა დოქტორ მელს, პორტ მიდლბეის გიმნაზიის დირექტორს, მის მარჯვნივ იჯდა თვით სახელოვანი სტუმარი. როდესაც მრავალი სადღეგრძელო, რაც ერთსულოვანი აღტაცებით იქნა მიღებული. აიღო რა პირველი ჭიქა სადღეგრძელებლად „სახელოვანი სტუმრისა, რომელიც ჩვენი ქალაქის მშვენიერებას შეასდგენს“, დოქტორ მელმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა, საგსე გრძნობითა და ღრმა აზრით: „დაე სახელოვანი იყოს იგი ჩვენ შორის აწ და მარადის, და ყველა საქმე აყვავდეს იმ ზომამდე, რომ მის გულს არასოდეს არ მიეკაროს სურვილი დატოვოს თავისი თანამოქალაქენი, რომელნიც ერთსულოვნად არიან აღსავსენი მისდამი გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით“. მქუხარე „ვაშა“, რომითაც მიღებული იყო ეს სადღეგრძელო, ყოველ აღწერას აღემატება. ბოლოს, ყველა დადუმდა და ვიკლინს მიკობერმა, ესკვაირმა, წამოთქვა საზოგადოების წინაშე სამადლობელი სიტყვა. შეუძლებელი იყო აუღელვებლად მოესმინა ადამიანს ის ადგილი, სადაც მჭერმეტყველი ორატორი იკონებდა თავისი კარიერის დასაწყისს და აფრთხილებდა ახალგაზრდობას, რომელიც აუდიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა, იმ ხიფათისაგან, რაც მოეველინება ხოლმე ადამიანს საცდუნებლად ფინანსურ ვალდებულებათა სახით, და შემდეგში, მიუხედავად ყოველგვარი სურვილისა, შეუძლებელი ხდება დაჰფარო. ამ დროს ტიროდნენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ხანგრძლივი გამოცდილების ცეცხლში გამობრძმედილი ვაჟკაცებიც. შემდეგი სადღეგრძელოები იყო დოქტორ მელისა, მისის მიკობერისა (რომელმაც მოხდენილი თავის დაკვრით გადაუხადა მადლობა დამსწრე საზოგადოებას) და სხვათა. ზეიმის ბოლოს ყველა მაგიდა გაქრა თითქოს ჯადოსნური კვერთხის გაქნევით და დარბაზი დაიცალა მოცეკვავეთათვის. ტერფსიქორის თაყვანისმცემელნი სტებებოდნენ ამომავალი მზის პირველ სხივებამდე, და მათ შორის განსაკუთრებით თავი ისახელეს: ვილკინ მიკობერმა-შვილმა და მშვენიერმა მის ელენემ, დოქტორ მელის მეოთხე ქალიშვილმა.

მე დამაფიქრა ამ მისტერ მელის გვარმა და ძალიან გამეხარდა, როდესაც გავიგე, რომ იგი სწორედ ის საბრალო ღარიბი მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი იყო, რომელიც ოდესღაც სიღარიბის გამო დაითხოვეს მისტერ კრიკლის პანსიონიდან. ამ დროს მისტერ პეგოტიმ მიმითითა გაზეთში წერილზე, და აქ ჩემს გვარს წავაწყდი. მე წავიკითხე:

„დავით კოპერფილდს, ესკვაირს,  
სახელგანთქმულ მწერალს.

ძვირფასო სერ!

მრავალმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ვეღარ ვტკბები იმ სახის მზერით, რომელსაც ამჯამად იცნობს განათლებული მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი ნებისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, მოშორებული ვარ ჩემი მეგობრისა და სიჭაბუკის ჟამის თანამოსაუბრის პირად საზოგადოებას, მაინც ნება მიბოძეთ, ძვირფასო სერ, დაგარწმუნოთ, რომ არასოდეს არ მომიშორებია ფრთხილი თვალი თქვენი ნიჭის არწივისებური აღმაფრენისათვის.

ჩვენგან, ორთავესაგან პატივცემული პიროვნება მოდის ამ ადგილებიდან ევროპაში და ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ბეჭდვით მოგიძღვნათ უგულითადესი მადლობა, როგორც ჩვენი მხრით, ისე მთელი პორტ-მილდბეის მცხოვრებთა მხრივ, მადლობა ყველა იმათი, ვისაც შესწევს ძალა, მისწვდეს და დააფასოს ხელოვნების უმაღლესი სიტკბოება.

განაგრძეთ, სერ! თქვენ უკვე განთქმული ხართ ამ მხარეში და ჩვენ შორისაც არიან ღირსეული დამფასებელნი თქვენი მაღალი ნიჭისა. განაგრძეთ, სერ, თქვენი არწივისებური აღმაფრენა! პორტ-მილდბეის მცხოვრებნი მუდამ თქვენ მოგყვებიან და თვალყურს გადევნებენ აღტაცებითა და გულითადის სიამოვნებით.

დედამიწის ამ ნაწილიდან თქვენსკენ მოპყრობილ თვალთა შორის მუდამ სადარაჯოზე იქნება

ფხიზელი თვალი, რომელიც ეკუთვნის  
ვიკინს მიკობერს, მსაჯულს“.

როდესაც გადავათვალიერე ფურცლის მთელი შინაარსი, დავინახე, რომ მისტერ მიკობერი მუდმივი და გულმოდგინე თანამშრომელი იყო ამ გაზეთისა. იმავე ნომერში დაბეჭდილი იყო მისი მეორე წერილი ხიდის აშენების შესახებ, და აქვე მოთავსებული იყო განცხადება ვიკლინს მიკობერის „წერილების სრული კრებული“ გამოსვლის შესახებ, მნიშვნელოვანი შესწორებებითა და დამატებებით. გაზეთის პოლიტიკური განყოფილება, თუ არ ვცდები, მთლად, უკლებლივ, მისტერ მიკობერის კალამს ეკუთვნოდა.

დიდხანს და ბევრს ვლაპარაკობდით ხოლმე სადამოლობით მისტერ მიკობერის შესახებ, სანამ მისტერ პეგოტი სტუმრად იყო ჩვენთან. მან დაახლოებით ერთი თვე დაჰყო ჩვენთან. ჩემი პაპიდა და ჩემი პეგოტი საგანგებოდ ჩამოვიდნენ დუვრიდან ლონდონში მის სანახავად. აგნესა და მე გემის ბაქანზე გამოვეთხოვეთ.

მისი წასვლის წინ ერთად ვიმგზავრეთ იარმაუტში და ვიყავით იქაურ სასაფლაოზე, რომ დაგვეხედა პატარა მარმარილოს ფირფიტისათვის, რომელიც ჩემის დავალებით დაადეს ქამის საფლავს. როდესაც მე, მისი თხოვნით, გადავუწერე ქარაღზე საფლავის უბრალო წარწერა, მისტერ პეგოტი დაიხარა, მოგლიჯა საფლავზე ამოსული ბაღახი და აიღო ერთი მუჭა მიწა.

– ეს ემისთვის. – მითხრა მან და ერთიცა და მეორეც ყუთში ჩადო. – მე დავპირდი ამას, მისტერ დევი.

თავი სამოცდამეერთე

განვლილი გზის უკანასკნელი თვალის გადავლება

ჩემი ამბავი თავდება. უკანასკნელად ვიხედები უკან.

მე და აგნესა განვაგრძობთ მოგზაურობას ცხოვრების გზაზე. შვილები, მეგობრები, ნათესავები გარს გვახვევია. ჩემს გარშემო მესმის გუგუნის პატივისმცემელთა ხმებისა, რომლებიც არ არიან გულგრილად განწყობილნი ჩემდამი.

ვისი სახეები იხატება ყველაზე მკაფიოდ ჩემს წინაშე ამ აბოპოქრიფულ კრებულში?

აი, ჩემი პაპიდა, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღი, ხალისიანი და ჯანმრთელი. იგი ისევ წელში გამართულია და დაუფიქრებლად გაივლის ექვს მილს, ზამთრის ცივ დარშიაც კი.

მასთან ერთად მუდამ მოგზაურობს პეგოტი, ჩემი კეთილი, მოხუცი გაღია. პეგოტის ლოყები, მაგარი და წიტვლი ჩემი ბავშვობის დროს, როდესაც მე მიკვირდა – რატომ ფრინველები არ ჰკენკავენ მათ, ვაშლების მაგივრად, დაჭკნა და გაყვითლდა ახლა. თვალები, ოდესღაც ისეთი მოელვარე, დაუსუსტდა და მიმკრთალდა, თუმცა ჯერ კიდევ საკმარისი სიცოცხლე და შუქი კიაფობს მათში. მაგრამ პეგოტის სალოკმა თითმა, ოდესღაც დაკავშირებულმა ჩემს წარმოდგენაში მუშკის-კაკლის საფხეკთან, ისევ ძველი სახე შეინარჩუნა და, როდესაც ჩემი უმცროსი ვაჟი გაუბედავი ნაბიჯით გადადის პაპიდასაგან მოხუც გაღიასთან და ცდილობს, დაიჭიროს ეს თითი, ცოცხლად მაგონდება ჩვენი ბლონდერსტონის პატარა სასტუმრო ოთახი, როდესაც ფეხს ვიდგამდი. პაპიდას დიდი ხნის საგონებელი შესრულებულია. ამჯამად იგი ნათლიაა ნამდვილად ამქვეყნად არსებულის ბეტსი ტროტგუდისა, ხოლო დორა, მისი მომდევნო გოგონა, რომ პაპიდა ძალიან ანებივრებს მის დას.

რაც უზარმაზარი უდევს პეგოტის ჯიბეში. ეს გახლავთ სახელოვანი წიგნი ნიანგების შესახებ, რომელმაც მიაღწია ღრმა და უმწეო მოხუცებას; მისი ფურცლები დაგლეჯილი და დაკერებულია მრავალ ალაგას, მაგრამ პეგოტი უჩვენებს მას ჩემს შვილებს, როგორც წარსული დროის უძვირფასეს ნაშთს.

ზაფხულის არდადეგების დროს მუდამ ჩემს ბავშვებთან ერთად დადის მოხუცი დიკი, ჩვენი საერთო მეგობარი. იგი ღრუბლებისაკენ უშვებს უშველებელ ფრანს და თვითონვე ისეთის აღტაცებით სტკბება მისი ცქერით, რომლისთვისაც არ არსებობს სახელი ადამიანის ენაზე. იგი მესამება წარმოუთქმელის ნეტარებით, თავს მიკრავს, თვალებს ახამახამებს და ყურში მიხურჩულებს:

– ტროტგუდ, მგონია, სიხარულით გაიგებთ, რომ მე დავამთავრებ ჩემს ნაშრომს, როდესაც სხვა საქმე არ მექნება. და თქვენი პაპიდა მაინც ყველაზე საოცარი ადამიანია დედამიწის ზურგზე. დიას, სერ!

ვინ არის ეს წელში მოხრილი ლედი, ჯოხს რომ ებჯინება? მის სახეს ჯერ კიდევ ემჩნევა ყოფილი სიამაყისა და სილამაზის ნიშნები, მაგრამ მაინც სულიერი ავადმყოფობა გამოკრთის მთელ მის გარეგნობაში. იგი ბაღშია. მის გვერდით დგას შავგვრემანი, დამჭკნარი, გამხდარი ქალი, ჭრილობის თეთრი ნიშნით ტუჩზე. ყური დაუგდოთ რას ლაპარაკობენ ისინი.

– როცა! მე დამავიწყდა ამ ჯენტლმენის გვარი.

როზა იხრება და უსახელებს „მისტერ კოპერფილდს“.

– დიდად მიხარია თქვენი ნახვა, სერ. ძალიან ვწუხვარ, რომ შავებში ხართ; იმედი მაქვს, დრო კეთილად განკურნავს თქვენ გულს.

მისი მოუთმენელი თანამგზავრი უწყრება მოხუც ლედის და უხსნის, რომ მე არ ვარ შავებში, ურჩევს, დამაკვირდეს და მომიგონოს.

– სერ, თქვენ ნახეთ ჩემი შვილი? – მეუბნება მოხუცი ლედი. – შეურიგდით მას?

იგი მიყურებს დაკვირვებით, ხელს მიიდებს თავზე და კვნის. უეცრად იგი კივის საზარელი ხმით:

– როზა, მოდი ჩემთან, იგი მოკვდა!

როზა იჩოქებს მის წინდა ხან უაღერსებს, ხან უწყრება, ხან ველური სიამაყით შეჰყვირებს: „მე თქვენზე მეტად მიყვარდა იგი!“ ხან, ბოლოს ცდილობს, დაამშვიდოს თავის მკერდზე, როგორც ავადმყოფი ბავშვი. ასეთ მდგომარეობაში ვტოვებ მათ, და ასე მხედება მუდამ ეს ორი ლედი; ასე ატარებენ ისინი მთელ თავის დროს, დღითი დღე, წლითიწლით.

ეს რა გემი მოდის ინდოეთიდან და რომელი ინგლისელი ქალი მისთხოვებია ბებერ შოტლანდიელ კრეზს, უშველებელი, ჩამოყრილი ყურები რომ აქვს?

ნუთუ ეს ჯულია მილსია?

დიახ, ეს ჯულია მილსია, თავისნება და მშვენიერი. ზანგს დააქვს მისი სადარბაზო ბარათები და ოქროს სინზე მიაერთმევს წერილებს. სპილენძისფერ დედაკაცს, ჯულია მილსის მოახლეს, მშვენიერს ბუდუარში მოაქვს მისთვის საუზმე. ჯულია აღარ წერს დღიურებს, აღარ მღერის პათეტიკურ სიმღერებს, – არა! – ახლა იგი მუდამ ეჩხუბება და ებუტება ბებეც შოტლანდიელ კრებს, რომელიც ყვითელ დათვს ჰგავს, გამოქნილის ტყავით. ჯულია ლაპარაკობს და ფიქრობს მხოლოდ ოქროზე.

ჯულიას მშვენიერი სახლი აქვს, ბრწყინვალე სტუმრები და საუცხოო სადილები ყოველდღე, მაგრამ მის ვერ ვხედავ მწვანე ნორჩ რტოებს, რომლებიც იზრდებოდნენ და ჰყვოდნენ. მე ვხედავ, ვის უწოდებს თავის „საზოგადოებას“ ჯულია მილსი. მისი მუდმივი სტუმარია ჯონ მაღდონი. მან მაღალი თანამდებობა მიპოვა და დასცინის იმ ხელს, რომელმაც ეს საქმე მოუწყო. დოქტორი სტრონგი, მისტერ მაღდონის თვალში, „ნამდვილი ანტიკია“. დიახ, ფუქსავატი ჯენტლმენები და ფუქსავატი ქალბატონები გახვევიან გარს, ჯულია მილს!

აი თვით დოქტორი სტრონგიც, დაუზარებლად მომუშავე თავის ლექსიკონზე (სადღაც ასე ე-სთან). იგი ბედნიერია თავისი ცოლით და სახლით. „ძველი ჰუსარი“ ისევ მის ოჯახში ცხოვრობს, მაგრამ უკვე არაფერში აღარ ერევა და არავითარ გავლენას აღარ ახდენს, როგორც უწინ იყო ხოლმე.

ყველაზე ხშირად ვხვდები ჩემს კეთილ მეგობარს ტრედელსს. იგი ტემპლში ცხოვრობს და შრომობს დაუზარელად. მისი თმები (იქ, სადაც მოტველები არ არის) სასამართლოს პარიკის მუდმივი ტარებისაგან უფრო უცნაურად არის აბურძგვნილი. ტრედელსის მაგიდა სავსეა ქალაღების უშველებელი დასტით. გარს ვიხედები და ვეუბნები ტრედელსს:

– სოფი რომ ახლაც შენი მდივანი იყოს, ტრედელს, მას დიდი შრომა დასჭირდებოდა.

– შენ მართალი ხარ, ძვირფასო კოპერფილდ; ჩემი კლერკები უსაქმოდ არ სხედან. მაგრამ მაინც დამეთანხმე, რომ ის დღეები, გოლბორნის სასამართლოში, მშვენიერი დღეები იყო, არა?

– მაშინ სოფიმ გიწინასწარმეტყველა, რომ შენ მოსამართლე იქნები, და ახლა ამის შესახებ უკვე ისმის ლაპარაკი ქალაქში.

– მერე რა? – იპასუხებს ტრედელსი. – თუ მე მოსამართლე ვიქნები...

– ძალიან კარგად იცი, რომ იქნები.

– აგრე იყოს, ძვირფასო კოპერფილდ. მაინც ვიტყვი, რომ ის დრო მშვენიერი იყო.

ჩვენ მივდივართ ერთად ხელიხელგაყრილები. დღეს ტრედელსს ოჯახური წვეულება აქვს: დღესასწაულობენ სოფის დაბადების დღეს. მასთან მივდივარ ამ ზეიმზე. გზაში ტრედელსი მიაბობს თავისი ოჯახური ბედნიერების ამბავს:

– ჩვენი ორი ვაჟი წარმატებით განაგრძობენ განათლებას და საუკეთესო მოწაფეებად ითვლებიან სკოლაში. ჩემი ცოლის სამი და მშვენიერად გათხოვდა. შემდეგი სამნი ჩვენთან ცხოვრობენ და სამი დანარჩენი კი, მისის კრულერის გარდაცვალების შემდეგ, სახლში დიასახლისობენ. ყველანი ბედნიერები და კმაყოფილები არიან.

– გარდა, იქნება...

– „მზეთუნახავისა“? დიახ. ეს ძალიან სამწუხაროა, რომ საქმროდ მან ასეთი არამზადა აირჩია; მაგრამ ის ყმაწვილი ლამაზი იყო, ისეთი კონტა და კოპწია, და საკვირველი არ არის, რომ „მზეთუნახავს“ თავბრუ დაეხვა. თუმცა ამჟამად დამშვიდდა და ჩვენთან ცხოვრობს. ჩვენ თავიდან მოვიშორეთ მისი ქმარი. იქნება როგორმე გავამხიარულოთ ჩვენი „მზეთუნახავი“.

ისე მოხდა, რომ ტრედელსმა შეიძინა სწორედ ის სახლი, რომელიც განსაკუთრებით მოსწონდათ მას და მის ცოლს, როდესაც წარსულ წლებში,



თავიანთი სადამოს სეირნობის დროს, სახლებს ათვალიერებდნენ. ეს უშველებელი სახლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტრედელსის კანტორა მაინც საპირფარეშოშია მოთავსებული. და აქვე, ქაღალდების გვერდით, მისი ჩექმები ალაგია. თვით ტრედელსი და სოფი დიდის შევიწროებით მოწყობილან სადღაც ზემო ოთახებში, იმ დროს, როდესაც საუკეთესო დარბაზები „მზეთუნახავსა“ და მის დებს უჭირავთ. მთელ სახლში არ მოიძებნება თავისუფალი ოთახი, და არ ვიცი, რად, მაგრამ ეს ქალები მუდამ სტუმრად არიან ამ კეთილ მეუღლეებთან. აი ახლაც, როდესაც ჩვენ ავდივართ კიბეზე, მთელი გროვა ქალებისა გამორბის კარებიდან და იმდენსა ჰკოცნიან ტრედელსს, სანამ სული არ უგუბდება. სოფის დაბადების დღეს მათ სუფრას გარს უსხედან: სოფის სამი გათხოვილი და თავისი სამი მეუღლით და კიდევ ერთი ძმა რომელიღაც მეუღლისა, და კიდევ ერთი ბიძაშვილი მეორე მეუღლისა, და კიდევ და, რომელიღაც მეუღლისა, მგონი, დანიშნული იმ ბიძაშვილზე. საზოგადოება მრავალფეროვანია და სასიამოვნო. ტრედელსი, ისეთივე კეთილი, როგორც იყო, ზის ნამდვილი მამამთავარივით უზარმაზარი მაგიდის თავში და სოფი სუფრის მეორე ბოლოდან მომხიბლავად უღიმის მას.

ახლა, როდესაც დავამტავრე თემი წიგნი და გულში ვიკლავ სურვილს, განვაგრძო მისი წერა დაუსრულებლად, ყველა სახე ქრება; მხოლოდ ერთი სახე, რომელიც მინათებს განსაკუთრებულის სინათლით და რომლის შუქითაც ვხედავ ჩემს ირგვლივ ყველა საგანს, დგას ყველაზე მაღლა და არასოდეს არ ეფარება ჩემს თვალთაგან.

თავს ვიბრუნებ და ვხედავ მას ჩემს გვერდით, გაბრწყინებულს წმინდა შუქით. სანათური სუსტად ანთია და წერაში შუალამეს გადამიცილებია; მაგრამ საყვარელი არსება ფხიზლობს ჩემს გვერდით.

ო, აგნესა! ჩემო სულო! დაე შენი სახე ჩემს გვერდით იყოს იმ წუთამდე, როდესაც მე დავასრულებ ჩემს სიცოცხლეს. დაე ერთხელ კიდევ, უკანასკნელად დაგინახონ ჩემმა თვალებმა, როდესაც ყველა მიწიერი საგანი და ხალხი დაიხრდილება, როგორც ამ დამთავრებული წიგნის ჩრდილები. დაე დაგინახო მაშინაც ასეთივე წმინდა შუქით თვალებგაბრწყინებული!